ალექსი ტალაქვაძე

ეროვნული ძიებანი

ტომი II

„მეცნიერება" • 1983

9(41)
63.3(2)
9(47.922)
გ 587

ნაშრომი ავტორის სამტომეულის მეორე ტომია. მასში მონოგრაფიულადაა შესწავლილი ფეოდალური საქართველოს ქალაქები და საქალაქო წყობილება XVII—XVIIIსს. იგი ემყარება მდიდარ საარქივო მასალებს, სხვადასხვა ხასიათის პირველწყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურას. წიგნში წარმოდგენილია ავტორის ხანგრძლივი კვლევის შედეგები ქალაქის სოციალურ სტრუქტურაზე, კლასთა ბრძოლაზე, საქალაქო წყობილების საკითხებზე, ქალაქების მმართველობაზე, მოურავზე, მამასახლისზე, მელიქზე, ნაცვალზე, ქედხუდაზე და სხვა მოხელეებზე, საქალაქო ცხოვრებაში მათ როლზე. ფართოდაა მსჯელობა ხელოსნურ და სავაჭრო ორგანიზაციებზე, ამქრულ ორგანიზაციებზე, ამქრების შინაგან სტრუქტურაზე, შეგირდისა და ქარგლობის ინსტიტუტზე, ამქრის როლზე საქალაქო ცხოვრებაში და სხვა. საუბარია საქართველოს ქალაქების გარეგან სახეზე, ქალაქის სიმაგრეებზე, სავაჭრო-სახელოსნო და სხვა საქალაქო ნაგებობებზე.

წიგნი განკუთვნილია როგორც საქართველოს ისტორიის სპეციალისტებისათვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვისაც.

სარედაქციო კოლეგია

შ. დუმბაძე (მთ. რედაქტორი), ა. აფაქიძე, რ. მეტრეველი, ნ. შენგელია, ვ. გუჩუა, მ. მესხია.

ტომის რედაქტორი რ. მეტრეველი

ᲨᲛ $\frac{10604}{Ш\ 607(06)—83}$ 163—82 © „მეცნიერება"

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ლიტერატურისა და წყაროების მოკლე მიმოხილვა

ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო წესწყობილების შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიისათვის შედარებით ახალი პრობლემაა.

ფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა უმთავრესად საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მოთხრობით კმაყოფილდებოდა. IX—XVIII სს. ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები საერთოდ უყურადღებოდ ტოვებდნენ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ისტორიის უმთავრეს საკითხებს. მით უფრო, მათი მოთხრობის საგანი არ ყოფილა ფეოდალური საქართველოს ქალაქების მეურნეობა, მოსახლეობის სოციალური აღნაგობა, საქალაქო წესწყობილება და სხვა მსგავსი საკითხები. ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა დიდი უმეტესობა, უკეთეს შემთხვევაში, ამა თუ იმ ქალაქის დასახელებით, მისი დაარსების დროისა და პოლიტიკური ისტორიის ცალკეული მომენტების აღნიშვნით კმაყოფილდებოდა.

ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში გაფანტული არაპირდაპირი მითითებანი, ქართული დოკუმენტური, აღწერილობითი თუ სხვა სახის ცნობები მხოლოდ მასალებს იძლეოდნენ ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო წესწყობილების შესასწავლად.

ქართულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიაში პირველად ვახუშტი ბაგრატიონმა (XVIII ს. პირველი ნახევარი) სცადა მის წინადროინდელ საისტორიო მწერლობაში გაფანტულ სხვადასხვა ცნობებისათვის თავი მოეყარა და საქართველოს ქალაქებს ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით შეხებოდა.

ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრება“ ფეოდალურ ისტორიოგრაფიაში პირველი ნაშრომია, სადაც მრავალ სხვა საკითხთან ერთად წამოჭრილია საქართველოს პოლიტიკური ისტორი-

ის შესწავლაში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინების აუცილებლობაც.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი მოკლედ იხილავს არა მარტო სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას საქართველოს ცალკეული ბოტანიკურ-აგრონომიული არსის მიხედვით, არამედ აგრეთვე შინამრეწველობას, ქალაქებსა და ზოგ შემთხვევაში კიდევ საქალაქო მეურნეობის დარგებსაც.

ვახუშტიმ მოგვცა ძველი საქართველოს ქალაქების მოკლე ისტორია და აღწერა. მაგრამ ის ამით არ დაკმაყოფილებულა. მან პირველმა სცადა დაედგინა ის ძირითადი ნიშანი, რომელიც, მისი აზრით, განასხვავებდა ქალაქს სხვა მჭიდროდ დასახლებული პუნქტისაგან. ვახუშტის სიტყვით, ყველა „დაბანი, ციხოვან-კოშკოვანი“ როდი შეიძლება მივიჩნიოთ ქალაქად; ქალაქები შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ იმათ, რომელთაც „ა ქ უ ს თ მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა დ ა გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ქ ა ლ ა ქ თ ა“[1].

მართალია, ვახუშტი ამ შემთხვევაში ცდებოდა და მას არ ესმოდა ქალაქის, როგორც გარკვეული ეკონომიკური და სოციალური მოვლენის არსი, ქალაქი, „როგორც კონცენტრაცია მოსახლეობის, წარმოებისა და კაპიტალის“, მაგრამ მისი ცდა გამოეყო ქალაქი ჩვეულებრივ დასახლებული პუნქტისაგან, თავისებურად განესაზღვრა მისი ბუნება, მაინც აღსანიშნავია.

ვახუშტი ბაგრატიონი, თუმც გვევლინება ფეოდალური ქალაქების პირველ შემსწავლელად, უყურადღებოდ ტოვებდა ამ თვალსაზრისით საინტერესო საკითხებს. მაგალითად, იგი ერთი სიტყვითაც არ შეხებია, თუ რაში მდგომარეობდა მის მიერ საგანგებოდ ხაზგასმული „მმართველობა და განწყობილება ქალაქთა“, ე. ი. თუ როგორი იყო საქალაქო წესწყობილება, ან კიდევ ქალაქების სოციალური აღნაგობა და სხვ. მით უფრო, რომ ვახუშტი თავის ზემოხსენებულ ნაშრომში ფეოდალურ საქართველოს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობას საერთოდ უყურადღებოდ არ ტოვებდა და ამგვარ საკითხებს საგანგებოდ ეხებოდა.

ვახუშტის ძირითად წყაროს, როგორც აღვნიშნეთ, უმთავრესად ძველი ქართული საისტორიო მწერლობა შეადგენდა; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის „საქართველოს ცხოვრებაში“ მოყვანილი ცნობები ამა თუ იმ ქალაქის წარმოშობის დროისა თუ ისტორიის ცალკეული მომენტების შესახებ ზოგჯერ არ შეესაბამება ქარ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა „სამეფოსა საქართველოსა“, თ. ლ ო მ ო უ რ ი ს დ ა ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1941.

თულ ისტორიულ წყაროთა მონაცემებს და ძნელი ხდება იმის გარკვევა, თუ რა მასალაზე იყო დამყარებული იგი ამ შემთხვევაში.

ამას გარდა, ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით, ვახუშტის თხზულებაში ხშირად ძველი და მის დროინდელი ცნობები ერთმანეთშია არეული.

ცხადია, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოცემული მიმოხილვა ვერც ფაქტიური მასალების შესწავლისა და ვერც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ვერ დააკმაყოფილებს დღევანდელ ჩვენს მოთხოვნილებებს. ვახუშტის „საქართველოს ცხოვრება" ჩვენთვის ამჟამად უფრო წყაროა, ვიდრე სრულყოფილი მეცნიერული გამოკვლევა საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო წესწყობილებისა.

ვახუშტის მიერ დაწყებულ საქმეს ფეოდალურ ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდხანს არ ჰყოლია გამგრძელებელი. მაგრამ ვახუშტის გავლენა მის შემდეგდროინდელ ისტორიოგრაფიაზე დიდი იყო.

XIX ს. დამდეგს უკვე ჩნდება ცალკე საისტორიო ხასიათის ნაშრომი, რომელიც საგანგებოდ ქართულ ქალაქებს ეძღვნება. იგი ხელნაწერის სახით დაცულია საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში[2] და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში[3]. ხელნაწერი შემდეგნაირადაა დასაბუთებული: „ქალაქნი საქართუ(ბ)ლოჲსანი უწინარეს განყოფილებისა სამ სამეფოდ ამა დრომდის ვითარ ისაჯელებოდნენ და ანუ აწ ვითარ ისაჯელებიან, ანუ ვისგან აღშენებულან და ანუ რომელს წელსა და ოდეს მოოხრებულან, შენნი და ცარიელნი, გინა თუ დაბად ქმნილნი ანუ ს[რულია]დ მოოხრებულნი".

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული ხელნაწერი მოთავსებულია სხვადასხვა საისტორიო მასალათა კრებულში; კრებულის ჩვენთვის საინტერესო ნაწილი შედგენილი უნდა იყოს დავით ეგნატეს ძე თუმანიშვილის მიერ[4].

ხელნაწერში — „ქალაქნი საქართუ(ბ)ლოჲსანი" — საქართველოს ქალაქები ანბანის მიხედვითაა დალაგებული და მოცემულია 76 ძველი და ახალი ქალაქის ისტორია და აღწერა. იგი იწყება ქ. არქევანით და მთავრდება ხონით.

ვახუშტის შრომისა და დ. თუმანიშვილის ხელნაწერის ცალკე-

---

[2] ЦГИАГ, ф. 223, № 33, лл. 355—368.

[3] ГМГ, ф. S. 2503, лл. 1—7.

[4] იხ. ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, I, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ. თბ., 1949, გვ. 29—30.

ული ადგილების ზერელე შედარებაც კი ცხადჰყოფს, რომ ხელნაწერის ავტორს ისტორიული ცნობები ამა თუ იმ ქალაქის შესახებ ვახუშტის თხზულებიდან ამოუღია. მაგრამ არის ცალკეული ადგილები, სადაც დ. თუმანიშვილი განსხვავებულ მასალას იძლევა და ასე თუ ისე ავსებს ვახუშტის ცნობებს. ყოველივე ამის გამო იგი საინტერესოა არა მარტო როგორც გარკვეული საფეხური ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეოდალური საქართველოს ქალაქების შესწავლის თვალსაზრისით, არამედ როგორც წყაროც.

XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ დავით ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონი და სხვ., საქართველოს პოლიტიკური და კულტურის ისტორიის წყაროების შეგროვებითა და მიმოხილვით კმაყოფილდებოდნენ. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხებისა და კერძოდ, ქალაქების შესწავლა მათი კვლევის გარეშე დარჩა.

ასევე შეიძლება ითქვას XIX ს. პირველი ნახევრის ცნობილი ქართველოლოგის მ. ბროსეს შესახებაც, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოს ისტორიის წყაროების შეკრებას, მათ გამოცემასა და შესწავლას შესწირა.. მ. ბროსეს გამოქვეყნებული მასალები და საერთოდ, მისი მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობა დიდად უწყობდა ხელს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ისტორიის შესწავლის წარმატებას, მაგრამ ეს საკითხები, მით უფრო ფეოდალური საქართველოს ქალაქები და საქალაქო წესწყობილება, მას სპეციალური შესწავლის საგნად არ გაუხდია.

აღსანიშნავია, რომ XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის ამ მნიშვნელოვანი ნაკლის ნაწილობრივ მაინც შევსება ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა პლატონ იოსელიანმა სცადა.

პლ. იოსელიანმა საქართველოს ქალაქების ისტორიისა და სიძველეების შესწავლას არაერთი ცალკეული ნაშრომი თუ წერილი მიუძღვნა[5]. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ერთი ნაშრომი[6]. ამ მცირე მოცულობის წიგნაკში ავტორმა მოკლედ მოხაზა საქართველოს ქალაქების არა მარტო პოლიტიკური ისტორია,

---

[5] Описание древностей г. Тифлиса, Тифлис, 1866; Описание города Душета, Тифлис, 1860.

[6] П. Иоселиани, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850.

არამედ მათი წარმოშობის მიზეზებისა და საქალაქო წესწყობილების შესწავლაც სცადა.

შრომის დასკვნით ნაწილში პლ. იოსელიანმა მოგვცა თავისი ზოგადი მოსაზრებები საქართველოს ქალაქების წარმოშობის ძირითადი მიზეზების შესახებ. ამ თვალსაზრისით იგი პირველია ქართულ ისტორიოგრაფიაში და, ამდენად, ცხადია, მისი მოსაზრებები ინტერესს მოკლებული როდია. პლ. იოსელიანის აზრით, საქართველოს ქალაქების წარმოშობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უმთავრესად მდინარეებმა: «Города в Грузии возникали преимущественно на главных реках края и на их главных притоках. В этом отношении первое место принадлежит Куру (Мтквари)»[7]. მაგრამ ეს არ ყოფილა ერთადერთი მიზეზი. ავტორის მოსაზრებით, ფეოდალური საქართველოს ქალაქები თავიანთ საწყისს უძველეს ციხე-სიმაგრეებში იღებენ; პლ. იოსელიანი წერს: «Происхождение городов Грузинских первоначально было чисто воинственное, вынуждаемое необходимостью самосохранения. Все древнейшие города, основание которых приписывается Картлосу и его ближайшим потомкам, были не что иное, как горные крепости, под стеною которых охотно водворялось и удобно множилось население. В последствии, феодальная организация Царства Картлосианских возвела на степень городов многия местности, любится для них постоянными резиденциами или временными приютами»[8].

პლ. იოსელიანი აღნიშნავს იმასაც, რომ ქალაქები არა მარტო ციხე-სიმაგრეებთან წარმოიშობოდნენ, არამედ მნიშვნელოვან რელიგიურ ცენტრებთან: «Много также действовало и религиозное благовение к местам отличенным особенно святостью, к храмам ознаменованным важными воспоминаниями и в особенности к кафедрам Епископов, вокруг которых часто обновлялись старые, нередко возникали новые города».[9]

რელიგიურ ცენტრებთან წარმოშობილი ქალაქები, მისი აზრით, საქართველოში მაინც შედარებით იშვიათი იყო და ამგვარ მოვლენას ჩვენში ისეთი ფართო ხასიათი არ მიუღია, როგორიც დასავლეთ ევროპაში.

აღსანიშნავია, რომ ავტორი ამ დაკვირვებას სათანადო მეცნიერულ

---

[7] П. Иоселиани, Города, с. 76, см. также, с. 77—79.

[8] იქვე, გვ. 79.

[9] იქვე, გვ. 80.

დასაბუთებას ვერ აძლევს. მისი აზრით, საეპისკოპოსო კათედრალებთან სხვა რელიგიურ ცენტრებთან ქალაქები იშვიათად წარმოიშობოდნენ, რადგანაც «Религия в Закавказье любила больше уединенное отшельничество на висотах скал и во глубине ущельев, чем бурный шум общественной жизни»[10].

ამრიგად, პლ. იოსელიანის აზრით, საქართველოს ქალაქები ძირითადად წარმოიშვნენ უმთავრეს მდინარეებთან, ციხე-სიმაგრეებთან და იშვიათად რელიგიურ პუნქტებთან. ამ გზით წარმოშობილ ქალაქებს გარდა საქართველოში იყო «Города, образовавшиеся сами из-себя в следствие свободного сосредоточения промышленности или развития торговли», მაგრამ ასეთი ქალაქები, ავტორის აზრით, საქართველოში მაინც გამონაკლისი იყო[11].

როგორც ვხედავთ, პლ. იოსელიანისათვის ცხადია, რომ ქალაქი არის პუნქტი «сосредоточения промышленности и торговли», მაგრამ მისთვის, ისე როგორც თანამედროვე და მომდევნო ხანის ევროპის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთათვის, მთავარს წარმოადგენდა არა არსებითი, არამედ ფორმალური საკითხი — თუ რა ტიპის დასახლება უსწრებდა ქალაქს, რა პუნქტებთან გაჩნდნენ ქალაქები: სანაოსნო მდინარეებთან, ციხე-სიმაგრეებთან, ადმინისტრაციულ თუ რელიგიურ ცენტრებთან და სხვ.

პლ. იოსელიანისათვის, ისე როგორც საერთოდ მარქსიზმის წინადროინდელი ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთათვის, უცნობი იყო ქალაქების წარმოშობის მიზეზების სწორი მეცნიერული ახსნა, რომ ქალაქის წარმოშობა ყველგან შრომის საზოგადოებრივი განაწილების შედეგია, და ეს საფუძველია სანაოსნო მდინარეებზე, ციხე-სიმაგრეებთან თუ სხვაგან წარმოშობილი ქალაქებისათვის.

პლ. იოსელიანი თავის ზემოხსენებულ ნაშრომში ვაკვრით შეეხო საქართველოს ქალაქების სოციალური აღნაგობის ზოგიერთ საკითხს (მოქალაქის წოდების საკითხი), ასევე მმართველობას (Моурави, Нацвали, Гзири, Мелик)[12]. ამ მხრივაც მისი ნაშრომი პირველია ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგრამ მან ვერ მოგვცა ფეოდალური საქართველოს ქალაქების სოციალური წყობისა და მმართველობის სისტემის მეცნიერული ანალიზი. ამას გარდა, ამ საინტერესო საკითხების კვლევის დროს იგი თითქმის არ იყენებს ფაქტობრივ

---

[10] იქვე.
[11] იქვე, გვ. 81
[12] იქვე, გვ. 82—85.

მასალებს და ამ თვალსაზრისით შრომის ეს ნაწილი ზერელე მიმოხილვის შთაბეჭდილებას ტოვებს.

პლ. იოსელიანის შრომის ძირითად წყაროს საერო ქართული ფეოდალური საისტორიო მწერლობა, კერძოდ კი, ვახუშტის ზემოხსენებული ნაშრომი წარმოადგენს. მაგრამ იგი არ დაკმაყოფილებულა ვახუშტის თხზულებაში გაფანტული სხვადასხვა სახის ცნობების მარტოოდენ თავმოყრით. შესაძლებელ შემთხვევაში პლ. იოსელიანმა მოიშველია ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა ცნობებიც. ზოგი ბერძენი თუ რომაელი ისტორიკოსი პირველად პლ. იოსელიანის მიერ იქნა გამოყენებული ამა თუ იმ ქართული ქალაქის ისტორიის შესასწავლად[13]. მიუხედავად ამისა, იგი, ზოგ შემთხვევაში, წყაროებთან შეუთანხმებლად, შეიძლება ითქვას, ზეპირად ლაპარაკობს ამა თუ იმ ქართული ქალაქის წინაქრისტიანულ ხანაში ან კიდევ, უხსოვარ დროში არსებობის შესახებ, რომელიც ძველ ისტორიულ წყაროებში არც კი მოიხსენიება. ამას გარდა პლ. იოსელიანი ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ყოველ ცნობას უკრიტიკოდ იზიარებს და იმეორებს. ყოველივე ეს კი მისი შრომის მეცნიერულ ღირებულებას საგრძნობლად ამცირებს.

XIX ს. მეორე ნახევარში, კერძოდ 70—80-იან წლებში საქართველოში ახალ (ბურჟუაზიული) საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ვითარებათა შემდგომმა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის შესწავლის აუცილებლობის საკითხი.

XIX ს. ქართული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ცნობილი წარმომადგენელი დ. ბაქრაძე ჯერ კიდევ 1873 წ. წერდა:

«В настоящее время, как известно, историей народа в строгом смысле слова признается не описание внешних событий и не биографии отдельных личностей, а верное и обстоятельное изображение его внутренней жизни, его социального и экономического быта. Такая история только тогда может быть составлена, когда именно будет поняты и выяснены все стороны внутренней жизни... Внутренная жизнь древнейшей Грузии... нам неизвестна... Хроники заняты преимущественно, если не исключительно, внешними ея событиями... Внутреннюю жизнь оне или

---

[13] მაგალითად, პირველი ბერძნული ცნობა ქ. თბილისის შესახებ. იხ. П. Иоселиани, Описание древностей г. Тифлиса, с. 12.

обходят молчанием, или касаются их как бы не хотя, мимоходом»[14].

როგორც ვხედავთ, დ. ბაქრაძე აუცილებლად მიიჩნევდა „ხალხის საშინაო ცხოვრების, მისი სოციალური და ეკონომიკური ყოფის ჭეშმარიტ“ ასახვას; მაგრამ ქართულ საისტორიო წყაროთა იმდროინდელი მდგომარეობა მას აიძულებდა ამ მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა სამერმისო საქმედ მიეჩნია. ამით აიხსნება აგრეთვე ისიც, რომ „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე“ ილია ჭავჭავაძე ამ საკითხებზე მხოლოდ ზოგადი მოსაზრებების გამოთქმით დაკმაყოფილდა.

სავსებით მართებულად შენიშნავდა ილია ჭავჭავაძე, რომ ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის, „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული ისტორიკოსების მიერ „ისტორიის მოქმედი“, ქვეყნის ეკონომიკური დოვლათის შემქმნელი ხალხი მივიწყებული იყო; ხალხის ისტორია მეფეთა ისტორიითაა შეცვლილი, „თითქოს ხალხის ისტორიის“ წარმოსადგენად „საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია“[15]. ამას გარდა, ი. ჭავჭავაძისავე შენიშვნით, ფეოდალური ხანის ქართულ საისტორიო მწერლობაში, თვით მეფეთა ისტორიაც ვერ არის სათანადოდ მოცემული: ისტორიკოსები უმთავრესად მეფეთა საგარეო პოლიტიკისა და ომების შესახებ მოგვითხრობენ და თითქმის ამასვე ამბობენ მათი საშინაო მოღვაწეობის შესახებ; ასე რომ, ძველი ქართული საისტორიო მწერლობის წარმომადგენლები საქართველოს შინაგანი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ ისეთ რაიმე მასალას არ გვაწვდიან, რომელიც შეიძლებოდა მკვლევარს საბუთად გამოეყენებინა სათანადო მეცნიერული დასკვნებისათვის[16].

სამართლიანად შენიშნავდა ილ. ჭავჭავაძე, რომ გამუდმებულ ომებში ქართველი ხალხის გამძლეობის ძირითადი მიზეზი არა იმდენად მკლავის სიძლიერეში უნდა ვეძიოთ, რამდენადაც ქვეყნის ეკონომიკურ წყობაში[17].

ამიტომაც, ქართველი ხალხის ჭეშმარიტი ისტორიის შექმნა ეკონომიკური წყობის შესწავლის, მისი გათვალისწინების გარეშე

---

[14] Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, Спб, 1878, с. XIII.

[15] ილ. ჭავჭავაძე, ძველი საქართველოს ეკონომიური წყობილების შესახებ, თხზულებანი, ტ. V, ტფილისი, 1927, გვ. 201.

[16] იქვე, გვ. 202

[17] იქვე.

შეუძლებელია. ყოველივე ამის გამო, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საკითხების კვლევა ილ. ჭავჭავაძეს XIX ს. ქართული ისტორიოგრაფიის გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა.

მაგრამ XIX ს. ქართულმა ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ ეს ამოცანა ვერ შეასრულა. იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფია უმთავრესად არქეოლოგიურ-არქეოგრაფიული ინტერესებით შემოიფარგლა: ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი, დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, ე. თაყაიშვილი და სხვ., ცდილობდნენ შეეგროვებინათ, დაეცვათ და გამოექვეყნებინათ საქართველოს ისტორიის რაც შეიძლება მეტი ძეგლი. ზემოხსენებულ მკვლევართა მეცნიერული ინტერესები უმთავრესად პოლიტიკური ისტორიის საკითხებით შემოიფარგლა, ხოლო საქართველოს ეკონომიკური ისტორია, საერთოდ და კერძოდ, ქალაქები და საქალაქო წესწყობილება, სოციალური ისტორიის ძირითად პრობლემებთან ერთად, მათ საგანგებოდ არ უკვლევიათ.

XIX ს. მეორე ნახევარში დაბეჭდილი წერილები და ნაშრომები ცალკეულ ქალაქებზე (თბილისი, გორი და სხვ.) უფრო აღწერილობით ხასიათს ატარებდა, ვიდრე მეცნიერული გამოკვლევისას. ამ თვალსაზრისით ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება მიჩნეულ იქნეს დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ო ვ ი ს «Тифлис в историческом и этнографическом отношениях», ს. ე გ ი ა ზ ა რ ო ვ ი ს «Городские цехи» და ზოგი სხვა ნაშრომი, რომელთა შესახებ ჩვენ ქვემოთ, ცალკეულ პრობლემებთან დაკავშირებით ვილაპარაკებთ.

XIX ს. მიწურულში წარმოშობილმა სოციალურ-დემოკრატიულმა მოძრაობამ და 1905 წ. რევოლუციამ ახალი იდეური საფუძვლები შეუქმნა და ახალი გაქანება მისცა ქართულ ისტორიოგრაფიას.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების მეცნიერული შესწავლა, ისე როგორც საქართველოს ისტორიის სხვა ფუძემდებლური პრობლემებისა, XIX ს. დამდეგიდან ივ. ჯავახიშვილის შრომების გამოქვეყნებით იწყება.

ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1905 წ. თავის სამაგისტრო ნაშრომში — «Государственный строй древней Армении и древней Грузии»[18] — გაკვრით შეეხო აგრეთვე ძველ საქართველოში ქალაქების წარმოშობის პრობლემას და ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი

---

[18] ТР, кн. VII, Спб, 1905.

მოსაზრებაც გამოთქვა. 1907 წ. კი ქართულ ენაზე ქვეყნდება ივ. ჯავახიშვილის "საქართველოს ეკონომიური ისტორია", სადაც მოკლედ განხილულია IX—XIII სს. საქართველოს სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა-ხელოსნობა, საფას-საზომები. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი გათვალისწინებული მასალების სისრულითა თუ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უნაკლო არ იყო, იგი თავისი დროისათვის წარმოადგენდა უაღრესად მნიშვნელოვან ნაბიჯს საქართველოს ისტორიის ამ უბანზე.

ამ ნაშრომში პირველად არის განხილული არა მარტო ვაჭრობა და ხელოსნობა IX—XIII სს., არამედ იმდროინდელი თბილისის საქალაქო წესწყობილებაც. წამოჭრილია აგრეთვე საკითხი ვაჭართა და ხელოსანთა ორგანიზაციების შესახებ და სხვ.[19].

ივ. ჯავახიშვილს ყურადღების გარეშე არ დარჩენია გვიანფეოდალური საქართველოს საქალაქო ცხოვრება და წესწყობილებაც. ამ საკითხებს მიეძღვნა მისი საჟურნალო სტატია: „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს."[20] ეს წერილი მისი ვრცელი ნაშრომის (რომლის გამოქვეყნებაც ავტორმა ვერ მოასწრო) ერთი, შემოკლებული ნაწილია, სადაც მოკლედ აღწერილია გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების მდგომარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, საქალაქო მეურნეობა. ამას გარდა, მოცემულია საქალაქო წესწყობილებისა და ცხოვრების (უმთავრესად თბილისის მაგალითზე) მოკლე მიმოხილვა. ივ. ჯავახიშვილის ეს წერილი გვიანფეოდალური ხანის საქართველოს საქალაქო წესწყობილების შესახებ დღემდე ერთადერთი ნაშრომია.

ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების გარეგან სახეს ივ. ჯავახიშვილი შეეხო თავის წიგნში — „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში"[21]. აქ, სხვათა შორის, განხილულია შემდეგი, ჩვენთვის საინტერესო საკითხები: „ქალაქის დამახასიათებელი ნიშნები", „ქალაქის მთავარი ნაგებობანი", „ქალაქის სავაჭრო და საზოგადოებრივი ნაგებობანი" და სხვ.

ივ. ჯავახიშვილის ზემოხსენებულმა და სხვა ზოგადი ხასიათის ნაშრომებმა საერთოდ მნიშვნელოვნად წინ წასწიეს ფეოდალური საქართველოს ქალაქების შესწავლის საქმე; მაგრამ, რაკი საქალაქო წესწყობილებებისა და ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები

---

[19] იხ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 19—45.
[20] იხ. ჟურნალი „პრომეთე", 1918 წ., № 1.
[21] ნაშრომი გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1946 წ.

მის შრომებში ან მხოლოდ გაკვრით, ან კიდევ სრულებით არ არის წამოჭრილი და განხილული, ეს კარდინალური პრობლემები ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე თითქმის შეუსწავლელი დარჩა.

ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო წესწყობილების შესწავლის საქმის სწორად წარმართვას მნიშვნელოვნად ხელი შეუწყვეს ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ცნობილი წარმომადგენლების ს. ჯანაშიას[22] და ნ. ბერძენიშვილის[23] ზოგადი თუ სპეციალური ხასიათის შრომებმა და წერილებმა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ზემოდასახელებულ ქართველ ისტორიკოსთა მიერ შექმნილი „საქართველოს ისტორია", სისტემატური კურსი, უძველესი დროიდან XIX ს. დამდეგამდე[24].

ზემოაღნიშნულ ნაშრომებთან ერთად არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ თანამედროვე ისტორიკოსთა ზოგადი ხასიათის წერილები, რომელნიც XVII—XVIII სს. საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას შეეხებიან. მათ შორის აღსანიშნავია ს. კაკაბაძის „საქართველოს ეკონომიკური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში"[25] და „საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში"[26]. ს. კაკაბაძის დასახელებული წერილებიდან პირველი XVII—XVIII სს. თბილისის ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვაა, ხოლო მეორე კი არსებითად პეისონელის თავისთავად საინტერესო ცნობების თარგმანია.

ჩვენთვის საინტერესო საკითხები გვიანფეოდალური ხანის საქალაქო ცხოვრებისა და წესწყობილების შესახებ ს. კაკაბაძეს ამ და სხვა ხასიათის მრავალრიცხოვან ნაშრომებში არ წამოუჭრია და საგანგებოდ არ შეუსწავლია.

ასევე ზოგადი ხასიათის მიმოხილვას წარმოადგენს გ. ნ ა თ ი-

---

[22] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბ., 1936. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, თბ., 1935; არაბობა საქართველოში, თბ., 1937 და სხვ.

[23] Н. А. Б е р д з е н и ш в и л и, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии, Тб., 1938. სამღვეროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში, МИГК, 1937, вып. VI; ერთი უძველესი საბაჟოს მდებარეობისათვის, Известия, ГМК, Т. X В, 1940, ძველი თბილისის ტოპონიმიკისათვის, „მიმომხილველი", II, 1951, და სხვ.

[24] Н. А. Б е р д з е н и ш в и л и, И. А. Д ж а в а х и ш в и л и, С. Н. Д ж а н а ш и а, История Грузии, ч. I, с древнейших времен до начала XIX в., под редакцией С. Джанашиа. 2-е испр. изд., тб., 1950.

[25] ჟურნალი „მნათობი", 1924 წ., № 2.

[26] ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, I, 1940.

ძ ი ს «К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия»[27].

შედარებით უფრო ვრცელი ამოცანა აქვს დასახული დ. უჩანეიშვილს თავის გამოკვლევაში: „Экономическое состояние Восточной Грузии во второй половине XVII века"[28].

დ. უჩანეიშვილი ეხება შემდეგ საინტერესო საკითხებს: 1. ქალაქების მდგომარეობა საქართველოში, 2. ვაჭრობის მდგომარეობა, 3. ქალაქებში კერძო პირთა ჩამოსახლების ზრდა და მრეწველობისა და ხელოსნური წარმოების მდგომარეობა და სხვ. მაგრამ ავტორის მიერ გამოყენებული ცალმხრივი და ამავე დროს მცირერიცხოვანი მასალები მას ამ საკითხების სწორად და სისრულით გარკვევის შესაძლებლობას არ აძლევენ.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ მოგვეპოვება ფეოდალური საქართველოს ქალაქების ცოტად თუ ბევრად სრული სურათის ამსახველი ერთი მთლიანი გამოკვლევა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენთვის საინტერესო ცალკეული საკითხები სრულებით შეუსწავლელი იყოს და რომ ზოგ პრობლემებზე მნიშვნელოვანი გამოკვლევები არ მოგვეპოვებოდეს. ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში შედარებით დამუშავებულ საკითხთა რიგს შეიძლება მიეკუთვნოს ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიის საკითხი.

XIX ს. 40-იანი წლებიდან საქართველოს ქალაქებში ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა გვიანფეოდალური ხანის ვაჭრულ და ხელოსნურ ორგანიზაციებში სათანადო რეფორმების გატარების აუცილებლობა. ამან კი ქართული ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის მიზეზებისა და ბუნების შესწავლის აუცილებლობა წამოჭრა. ამის გამო, XIX ს. 40—50-იანი წლებიდან შეიქმნა არა მარტო ქართული ამქრული ორგანიზაციების აღმწერი ლიტერატურა, არამედ სათანადო მეცნიერული გამოკვლევებიც.

გვიანფეოდალური ხანის ამქრული ორგანიზაციების ისტორიის შესახებ არსებული ლიტერატურა შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ისინი, რომელთაც უმთავრესად აღწერილობითი ხასიათი აქვთ და ამჟამად ჩვენთვის წყაროების მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ. მეორე ჯგუფში კი, გამოკვლევები

---

[27] იხ. კრებული «История классовой борьбы в Закавказье», თბ., 1930.
[28] ИИГК, в. V, 1937.

ივარაუდება, რომელნიც ძირითადად პირველზე არიან დამყარებული.

პირველი ჯგუფის ლიტერატურა განეკუთვნება XIX ს. 50—60-იან წლებს და იძლევა საქართველოში ცარისტული მმართველობის დამყარების შემდეგდროინდელი ამქრული ორგანიზაციების მეტნაკლებად სრულ აღწერას. ამ აღწერილობითი ხასიათის ნაშრომებს შორის (რომელთაც აგრეთვე გამოკვლევების პრეტენზიებიც აქვთ) მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ი. ფ. ახვერდოვის მიერ 1857 წ. დაწერილ სტატიებს: 1. Записка об амкарах в Тифлисе, 2. Об организации учреждения амкар и их обычаях, и 3. О причинах дороговизны в Тифлисе, რომელნიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1883 წ. ერთად დაიბეჭდა[29].

ი. ფ. ახვერდოვის წერილების მიზანი იყო დაეცვა თბილისის ამქრული ორგანიზაციები მოწინააღმდეგეთა შემოტევებისაგან და გადაერჩინა ამქრები მოსალოდნელი რეფორმებისაგან. სწორედ ეს გარემოება ჩრდილავს შრომის ღირსებას და გვაიძულებს ზოგი მის მიერ მოთხრობილის სისწორეში ეჭვი შევიტანოთ. ნაშრომის არსებით ნაკლად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ისიც, რომ ავტორი უმთავრესად ემყარება თავის პირად დაკვირვებებს და არ იყენებს ქართულ თუ სომხურ სათანადო წყაროებს. მთელს ნაშრომში მხოლოდ ერთი დოკუმენტია მოშველიებული. ჩვენ ამაზე არაფერს ვიტყოდით, რომ ყოველივე ამის შედეგად ი. ფ. ახვერდოვი მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევაში სავსებით ყალბ დასკვნამდე არ მიდიოდეს. ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ ი. ფ. ახვერდოვის მიერ ქართული ამქრის წარმოშობისა და სხვა საკითხების შესახებ გამოთქმულ არსებითად მცდარ დებულებებზე[30]. შევეხებით მხოლოდ მის არასწორ მოსაზრებას ქართული სამეფო ხელისუფლებისა და ამქრული ორგანიზაციების ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით. ი. ფ. ახვერდოვის აზრით, „Так как коренные владетели Грузии, цари из династии Багратидов, когда приобретали вновь наследственное свое достояние, всегда тревожимые заботами сохронения за собою престола и наследствие этого, занятые более внешнею политикою, мало входили во внутреннее управление края, что доказывается и самым царя

---

[29] И. Ф. Ахвердов, Тифлиские амкары, записка об амкарах, Тиф., 1883.

[30] Там же, с. 7—10.

Вахтанга уложением, в котором, хотя оно и написано в то время, когда в Тифлисе существовали амкары, ничего не упоминается о цехах. И потому масса городского населения, состовлявшая и тогда амкары, при переходах верховной власти из одних рук в другие, будучи оставлена всегда на благоусмотрение своего здравого смысла... связывалась по необходимости теснее и создавала для себя... особое учреждение, которым управлялась без всякого содействия или участия административной власти и по предметам общественных между собою отношений судилась и разбиралась через своих уста-башей или избранных посредников, никогда не возбуждая тем ревности высшей власти... В таком положении оставленные амкары, без участия в устройстве и делах их правительства не служила никому орудием для достижения или усиления власти; не получали ни прав, ни привилегии[31].

ი. ფ. ახვერდოვის მთელი ეს მცდარი კონცეფცია იმის შედეგია, რომ იგი არ იცნობდა სათანადო ქართულ მასალებს. მას გულდასმით რომ გადაეთვალიერებინა ვახტანგ VI-ის კანონების კრებული ან ენახა მაინც მისივე „დასტურლამალი", .ან კიდევ, თუნდაც, XVIII ს. მეორე ნახევარში შედგენილი „თბილისის მოურავის" სარგო, ამქართა წესდებები და მრავალი სხვა მასალა, კარგად დაინახავდა, თუ როგორი იყო ქართველ მეფეთა საშინაო პოლიტიკა ამ მხრივ და თუ როგორ აქტიურად ერეოდა სამეფო ხელისუფლება ამქრის შინაურ ცხოვრებაში. მაგრამ ყოველივე ამის შესახებ დეტალურად ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ი. ფ. ახვერდოვის ზემოაღნიშნულ წერილებს უსწრებდა გ. იზმიროვის 1849 წ. შედგენილი სპეციალური ნარკვევი: «Об амкарах (цехах) в Тифлисе и об устройстве их»[32], რომელიც, როგორც ჩანს, ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა იმდროინდელ თბილისში. თუკი ი. ახვერდოვი თბილისის ამქრებისადმი მიკერძოებას იჩენდა, გ. იზმიროვი პირიქით, მათ მიმართ მტრულად ილაშქრებდა და ყოველივე ამის გამო ხელოვნურად ქმნიდა ისეთ სურათებს, რომელიც სინამდვილეს ან ნაწილობრივ შეესაბამებოდნენ, ან კიდევ სრულებით ამახინჯებდნენ.

---

[31] И. Ф, Ахвердов, Тифлисские амкары, записки об амкарах, с. 10.
[32] ГМГ, ф. н. 2883, Ros, 269.

გ. იზმიროვის ერთადერთ წყაროს უშუალო დაკვირვება წარმოადგენდა და ზოგი ისეთი დოკუმენტი (მაგ., მეპურეების ამქრის განცხადება ანდრონიკაშვილის სახელზე), რომელიც მისი აზრით, ჩირქს ცხებდა თბილისის ამქრების საქმიანობას. გ. იზმიროვის ეს ნარკვევი, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჩვენთვის მაინც მნიშვნელოვანია, რაკი ის ააშკარავებს ამქრული ცხოვრების ისეთ მხარეებს, რომელიც მიჩქმალული იყო ამქრული ორგანიზაციების დამცველთა მიერ.

არანაკლებ საინტერესოა გ. იზმიროვის მეორე სტატიაც—«Несколько замечаний на статью «О Тифлисских цехах»[33]. ამ „შენიშვნაში" იგი უფრო ობიექტურობას იჩენს და ზოგ ისეთ წვრილ მან საკითხსაც ეხება, რომელიც სხვა დროს მკვლევარს შეიძლებოდა არცკი შეემჩნია.

ამქრული ორგანიზაციების ისტორიისადმი მიძღვნილ წერილთაშორის აღსანიშნავია აგრეთვე გაზ. «Кавказ»-ის სხვადასხვა ნომრებში დაბეჭდილი სტატიები: «Уста-баш», «О Тифлисских цехах»[34].

ამქრული ორგანიზაციების ისტორიის შესახებ შენიშვნები და მასალები მოეპოვებათ აგრეთვე ლ. ზაგურსკის[35], ჰაკსტჰაუზენს[36], შანშიევს[37], დუნკელ-ველინგს[38], ე. ვეიდენბაუმს[39] და სხვ.

ყველა ზემოდასახელებული ავტორი უფრო დამკვირვებელია და ამაშია მათი ცნობების ღირსებაც; მაგრამ ამ ღირსებას ამცირებს ის, რომ ისინი არ იცნობდნენ ან, უკეთეს შემთხვევაში, სუსტად იცნობდნენ ადგილობრივ ენას, საჭირო დოკუმენტურ მასალას, ქვეყნის ისტორიას და ზნე-ჩვეულებას. ყველაფერი ეს კი, ბუნებრივია, ხდებოდა წყაროდ მათი არაერთი პრინციპული შეცდომისა, რომელთა შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

აღმოსავლურ ქართულ ამქრული ორგანიზაციების მმართველობას, შინაგან ცხოვრებას და ფეოდალური საქართველოს საქალაქო წესწყობილების ზოგიერთ საკითხს ეხება ცარისტული რუსეთის ცნო-

---

[33] «Закавказский Вестник», 1850, г. № 51.

[34] Сб. газ. «Кавказ», изд. О. И. Константиновым, второе полугодие 1846 г., Тифлис, 1847; «Кавказ», 1858 г., № 93.

[35] Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г., ЗКОИРГО, т. VIII, 1873 г.

[36] Aug. von Haxthausen, Transkaukasia, Leipzig, 1856.. пер. на русский язык — «Закавказский край», Спб, 1857 г.

[37] Два слова об амкаре, Тифлис, 1857,.

[38] Статистическое описание гор. Тифлиса, Тифлис.

[39] Путеводители по Кавказу, Тифлис, 1888.

ბილი ისტორიკოსი დუბროვინიც თავის ნაშრომში «История войны и владычества русских на Кавказе»[40].

ამქრული ორგანიზაციების მიმოხილვისას ნ. დუბროვინი დაკმაყოფილდა იმ დროისათვის არსებული აღწერილობითი ლიტერატურით და ძირითადად გაიმეორა მათი მონაცემები[41]; მისი მოსაზრებები კი აღმ. საქართველოს საქალაქო წესწყობილების შესახებ უმეტეს შემთხვევაში მცდარია. მაგ., სრულ გაუგებრობას წარმოადგენს ნ. დუბროვინის მოსაზრება, რომ აღმ. საქართველოს ქალაქების სომხურ მოსახლეობას «Первоначально... управляли мамасахлиси... и нацвали, но потом обе эти должности соединены были в мелике... Грузины же и татары, жившие в Тифлисе, были подчинены тифлисскому моураву... Власть мелика и моурава была одинакова»[42].

ქართული და, საერთოდ, ამიერკავკასიის, ამქრული ორგანიზაციების ისტორიისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ს. ა. ეგიაზაროვის ვრცელი გამოკვლევა «Городские цехи. Организация и внутреннее управление закавказских амкарств»[43]. ს. ა. ეგიაზაროვის ეს ნაშრომი დღემდე ერთადერთია, რომელიც დეტალურად იხილავს ა/კავკასიის ამქრულ გაერთიანებათა შინაგან ორგანიზაციას, ამქრული ცხოვრების ყოველ მხარეს. ნაშრომში დამოწმებულია არა მარტო აღწერილობითი ხასიათის წყაროები, ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ავტორები, არამედ სააარქივო მასალები, სათანადო დოკუმენტებიც. მრავალ ღირსებასთან ერთად ს. ეგიაზაროვის ნაშრომს არაერთი ნაკლი ახლავს. ამას გარდა, იგი ამჟამად როგორც მეთოდოლოგიურად, ასევე სათანადო მასალების გამოყენების სისრულისა და მათი ანალიზის თვალსაზრისით, საკმაოდ მოძველებულიცაა.

ს. ა. ეგიაზაროვი თავისი ვრცელი ნაშრომით ცდილობს, როგორც თვითონ მიუთითებს წინასიტყვაობაში, მონახოს ის არსებითი მსგავსება, რაც არსებობდა ევროპის შუა საუკუნეების ამქრულ ორგანიზაციებსა და აღმოსავლეთის, კერძოდ, ა/კავკასიის ამქრულ ორგანიზაციებს შორის და ამით უჩვენოს „აღმოსავლეთის არიელების“ როლი საერთოდ ცეხური ორგანიზაციული პრინციპების

---

[40] იხ. ტ. I, კნ. II, Спб, 1871.
[41] იხ. აგრეთვე, გვ. 184—187.
[42] იქვე, გვ. 205.
[43] ЗКОИРГО, кн. XIV, вып. 2, 1891.

შემუშავების საქმეში. კვლევის ასეთი მეთოდი, ცხადია, უარყოფით გავლენას ახდენს ნაშრომზე. იგი აიძულებს ავტორს მიჩქმალოს ამქრული ორგანიზაციების ზოგი ისეთი მხარე, რომელიც ანალოგიას ვერ პოვებს ევროპის ცეხურ ორგანიზაციებში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ს. ეგიაზაროვი ამიერკავკასიის ამქრულ ორგანიზაციებს დიფერენცირებულად კი არ იხილავს, არამედ როგორც ერთ მთლიანს. იგი არ ცდილა ეჩვენებინა ამიერკავკასიის ცალკეულ ხალხთა მიერ შექმნილი ამქრული ორგანიზაციებისათვის უდავოდ დამახასიათებელი თავისებურებანი.

ამის გარდა, ს. ა. ეგიაზაროვს თავის ნაშრომში ძირითადად გამოყენებული აქვს სომხური (თუმცა არცთუ სრულად) მასალები; საქართველოს ქალაქების ამქრული ორგანიზაციების შესახებ იგი, სომხურის გარდა, რუსული (XIX ს. პირველი ნახევრის) საარქივო მასალებით მსჯელობს, შრომაში არსად დამოწმებული არ არის არც ერთი ქართული დოკუმენტი თუ სხვა სახის წყარო. ცხადია, ქართული წყაროების გარეშე წარმოუდგენელია უშეცდომოდ და უნაკლოდ შესწავლილი იქნეს ქართული ამქრული ორგანიზაციები.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, ს. ა. ეგიაზაროვის ნაშრომი ერთადერთ და ამომწურავ შრომად იყო მიჩნეული ქართული ამქრული ორგანიზაციების შესახებ არსებულ ლიტერატურაში. ქართული ხელოსნობის შემსწავლელნი დღემდე ვერ გასცილდნენ ს. ა. ეგიაზაროვის მასალებსა და დასკვნებს და ძირითადად იმეორებენ მას. მაგ., ფ. გოგიჩაიშვილი ნაშრომში — «Das Gewerbe in Georgien» (1901 წ.) — მოკლედ თითქმის იგივეს გადმოგვცემს, რაც ს. ა. ეგიაზაროვს აქვს მოთხრობილი თავის ვრცელ გამოკვლევაში[44].

ქართულ ამქრებზე XX ს. დამდეგს დაკვირვება აწარმოვა ნ. დერჟავინმა. ქ. გორის ხელოსნური ორგანიზაციების შესახებ შეგროვილი მასალების საფუძველზე იგი მოხსენებითაც გამოსულა 1912 წ. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ეთნოგრაფიის განყოფილებაში[45]. ნ. დერჟავინის მიერ შეგროვილი მასალები, სათანადო გამოკვლევითურთ, დაიბეჭდა 1926 წ.[46].

---

[44] აღსანიშნავია, რომ ს. ეგიაზაროვის ძირითადი (ზოგ შემთხვევაში მცდარი) მოსაზრებანი თბილისის ამქრების შესახებ სავსებით უკრიტიკოდ გაიმეორა პოეტნოვმა თავის უკანასკნელ ნაშრომში.

[45] См. შ. დადიანი, წერილი პეტერბურგიდან, „სახალხო გაზეთი", 1912 წ.; № 519.

[46] Н. Н. Державин, Следы древнегрузинских цеховых органи-

ნ. ნ. დერჟავინს თავის წერილში, გარდა მეტად საინტერესო ტერმინოლოგიური მასალებისა, მოცემული აქვს ამქრის შინა ორგანიზაციის დაწვრილებითი აღწერა, წეს-ჩვეულებანი და სხვა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ეთნოგრაფიულ მასალას, ქართული ამქრული ორგანიზაციების შესასწავლად.

ნ. ნ. დერჟავინს მოტანილი მასალების ანალიზის საფუძველზე სათანადო დასკვნებიც აქვს გაკეთებული. მისი აზრით, «Можно уже a priori думать, что некоторые этнографические детали нынешных закавказских амкарств восходят по крайней мере к XII в.»[47].

ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიისა და საქალაქო წყობილების ცალკეულ საკითხებს ეხებიან თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები და ეკონომისტები.

ალ. ფირცხალაიშვილმა ამქრების 1865 წ. გამოსვლას მიუძღვნა სპეციალური გამოკვლევა და ამასთან დაკავშირებით ილაპარაკა ამქრული ორგანიზაციების ისტორიის შესახებაც[48]. ხოლო თავის სადოქტორო ნაშრომში — «Города Закавказья (В XIX в. до реформ 1874 г. в связи с колониальной политикой царизма)»[49], მოკლედ განიხილა ქართლ-კახეთში მეფობის დროინდელი ამქრული ორგანიზაციების ისტორიისა და საქალაქო წესწყობილების ზოგიერთი საკითხები. თუმცა ამ შემთხვევაში, რაკი ეს საკითხები მისი სპეციალური კვლევის საგანს არ შეადგენდა, ალ. ფირცხალაიშვილი დაკმაყოფილდა ს. ა. ეგიაზაროვის ძირითად დებულებათა გამეორებით[50] და ცნობილ „თბილისის მოურავის სარგოს“ რუსულად გადათარგმნით.

თბილისის ხელოსნობისა და ამქრების ისტორიის საკითხებს საგანგებოდ შეეხო გ. გამყრელიძეც ჯერ კიდევ 1926 წ. დაბეჭდილ ნაშრომში[51], ხოლო შემდეგ თავის საკანდიდატო დისერტაციაში

заций по данным современной этнографии, Язык и литература, т. I, вып. 1—2, 1926.

[47] Н. Н. Державин, Следы..., с. 284.

[48] ალ. ფირცხალაიშვილი, თბილისის ამქრების 1865 წ. გამოსვლის ისტორიისათვის, თსუ-ს შრომები, ტ. XI, თბ., 1940, გვ. 32—82;

მისივე, К истории выступления тбилисских амкаров в 1865 г., «Исторические записки», кн. 8, М., 1940.

[49] ხელნაწერი, Тб., 1942.

[50] А. Г. Пирцхалайшвили, Города Закавказья, с. 43—47.

[51] გ. გამყრელიძე, ხელოსნობა თბილისში, თბ., 1926.

1940 წ.[52], რომელიც არსებითად პირველის შევსებულ და გადამუშავებულ სახეს წარმოადგენს.

გ. გამყრელიძე ზემოხსენებულ საკანდიდატო დისერტაციაში საგანგებო თავს უძღვნის საქართველოს „ქალაქებსა და საქალაქო წყობილებას", მაგრამ ეს თავი უფრო საქართველოს ისტორიის (უძველესი დროიდან XIX ს-მდე) მოკლე კონსპექტს წარმოადგენს, ვიდრე ქალაქებისა და საქალაქო წესწყობილების მეცნიერულ მიმოხილვას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ალ. ფირცხალაიშვილის, ასევე გ. გამყრელიძის ზემოდასახელებული ნაშრომები შეიცავენ რიგ პრინციპული ხასიათის შეცდომებს, რომლებიც ჩემ მიერ არაერთხელ ყოფილა შენიშნული[53] და ამიტომ აქ მათ შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებ.

საქართველოში ხელოსნური ორგანიზაციების წარმოშობის დროის საკითხის გარკვევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გ. გამყრელიძის საინტერესო სტატიას: „საქართველოში ამქართა წარმოშობის საკითხისათვის"[54], რომელიც ძირითადად დამყარებულია VI ს. ქართული ლიტერატურული ძეგლის „ევსტათე მცხეთელის მარტვილობის" მონაცემებზე.

ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის საკითხს, მათ ისტორიას XIX ს. თბილისის ისტორიასთან დაკავშირებით, ეხება აგრეთვე შ. ჩ ხ ე ტ ი ა ნარკვევებში: „თბილისის ისტორიისათვის"[55], „ამქრების ისტორიიდან. ამქრები და ხელოსნები თბილისში 1860-იან წლებში"[56] და «Тбилиси в XIX столетии. 1865—1869» (Тб., 1942). მაგრამ ისე როგორც ა. ფირცხალაიშვილის, გ. გამყრელიძის, ასევე შ. ჩხეტიას ზემოდასახელებული ნაშრომები უმთავრესად XIX ს.

---

[52] გ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ხელოსნური მრეწველობა და ამქრული წყობილება საქართველოში (ხელნაწერი), თბ., 1940.

[53] ალ. ფირცხალაიშვილისა და გ. გამყრელიძის ნაშრომებზე შენიშვნები იხილე ჩემს წერილებში: «К вопросу об институте подмастерьев в грузинских амкарах (цехах) в позднефеодалный период»; Сообщения АН Гр. ССР, IX, № 6, 1948 г., с. 376—384; „ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან", საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1949, გვ. 141—153; „მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის", 1948, გვ. 033—035; „ისევ ქართული ამქრული ორკანიზაციების ისტორიის შესახებ", „მიმომხილველი", ტ. II, 1952 , გვ. 489—495

[54] Сообщ. АН Груз, ССР, т. II, № 6, 1941 г.

[55] МИГК, в. I, 1938.

[56] Известия ГМГ, т. XB, 1940.

ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიას იხილავს. მათ წყაროსაც, ძირითადად, იზმიროვის და სხვათა აღწერილობითი შრომები, ეგიაზაროვის გამოკვლევა და XIX ს. ცალკეული დოკუმენტები წარმოადგენს. ყოველივე ამის გამო, ისინი მხოლოდ გაკვრით შეეხებიან XVII—XVIII სს. ამქრულ ორგანიზაციებს და უყურადღებოდ ტოვებენ მათ ბუნებას და როლს გვიანფეოდალური ხანის საქალაქო ცხოვრებაში. ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიის, გვიანფეოდალური ხანის საქართველოს საქალაქო ცხოვრების ცალკეულ საკითხს გაკვრით ეხება აგრეთვე პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ნაშრომებში: „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოში და ამიერკავკასიაში“ (თბ., 1941), „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება მე-19—20 საუკუნეებში“ (თბ., 1949) და სხვ.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში სავსებით შეუსწავლელია ფეოდალური ქალაქების სოციალური სახე. ალ. ფირცხალაიშვილის ერთადერთი წერილი „მოქალაქეთა“ საკითხზე[57] მხოლოდ გვიანფეოდალური თბილისის მოსახლეობის ზედაფენის — მოქალაქეთა წოდების საკითხს შეეხება და ოდნავ ავსებს ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მხრივ არსებულ ხარვეზს.

შეუსწავლელია აგრეთვე გვიანფეოდალური ხანის საქალაქო წეს-წყობილება, ქალაქის მოხელეთა უფლება-მოვალეობანი. საქართველოს ისტორიის მკვლევართა მიერ ფეოდალური ხანის ქალაქის მოხელეები მხოლოდ გაკვრით და საერთოდ საქართველოს სამოხელეო წყობასთან ერთად განიხილებოდა. ჯერ კიდევ მ. ბროსემ თავის საქართველოს ისტორიის შესავალს დაურთო საქართველოს სამეფოს მოხელეთა სია, მაგრამ მას ამ შემთხვევაში სამოხელეო წყობის მიმოხილვა არ მოუცია და იგი მხოლოდ მოხელეთა უბრალო ჩამოთვლით დაკმაყოფილდა[58].

ასეთსავე შთაბეჭდილებას ტოვებს ალ. ხახანაშვილის მიერ 1897 წ. დაბეჭდილი საჟურნალო წერილი — „საქართველოს სამეფოს მოხელენი“[59], სადაც ვახტანგ VI-ის „დასტურლამალსა“ და ფურცელაძის მიერ რუსულ ენაზე გამოცემული დოკუმენტების მიხედვით ჩამოთვლილია აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო მოხელეები, მათ შორის ქალაქისაც (ამირა, მელიქი, ნაცვალი, უსტაბაში, ქედხუდი და სხვ.); მაგრამ რაკი ალ. ხახანაშვილს გათვალისწინებული არ ჰქონდა მისი დროისათვის არსებული სხვა ნაბეჭდი

---

[57] თსუ-ს შრომები, ტ. XXXV, 1949.

[58] M. Brosset, Instr.

[59] ჟურნალი „მოამბე“, 1897, № 3.

წყაროებიც კი, ასე მოკლე მიმოხილვაშიც, რომელიც უფრო ქართულ სამოხელეო ტერმინთა ლექსიკონს მოგვაგონებს, არაერთი შეცდომა აქვს დაშვებული. კიდევ უფრო სუსტია ალ. ხახანაშვილის მეორე წერილი, რომელიც იმერეთის სამეფოს სამოხელეო წყობას მიეძღვნა[60].

ქართული სამოხელეო წყობის შესახებ ვახუშტის ნაშრომში დაცული ცნობებისა და მ. ბროსეს ზემოაღნიშნული მიმოხილვის განმეორებით დაკმაყოფილდა კარსტი ვახტანგ VI-ის კანონებისადმი მიძღვნილ საგანგებო გამოკვლევაში, სადაც იგი, ვრცელი შენიშვნების სახით, გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სამოხელეო წყობასაც შეეხო[61]. ი. კარსტის ნაშრომშიც უმთავრესად მოხელეების სია და ქართულ სამოხელეო წყობაში ხმარებული აღმოსავლური წარმოშობის ტერმინების ამოცნობის ცდებია წარმოდგენილი; იგი არ ცდილა გაეხსნა და შეესწავლა ცალკეულ თანამდებობათა ბუნება და შინაარსი; ყოველივე ამის გამო, მისი ნაშრომი თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნილებათა სიმაღლეზე ვერ დგას.

რევოლუციამდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში მხოლოდ ივ. ჯავახიშვილი შეეხო გვიანფეოდალური ხანის საქართველოს საქალაქო წესწყობილებას ზემოხსენებულ საჟურნალო წერილში — „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს.“

უკანასკნელ ხანებში კი, ქართლის სამეფოს საქალაქო წესწყობილებას, საერთოდ სახელმწიფოებრივი წყობილების შესწავლასთან დაკავშირებით, ეხებიან ვ. გაბაშვილი თავის საკანდიდატო დისერტაციაში[62] და ი. სურგულაძე სადოქტორო დისერტაციაში.[63] აღნიშნულ ნაშრომებში არსებითად XVII—XVIII სს. მიჯნის ქართლის სახელმწიფოებრივი წყობაა განხილული და ამიტომაც ასე ვრცელი თემის ფარგლებში საქალაქო წესწყობილება, მისი ყოველი მხარე სისრულით ვერ არის წარმოდგენილი. ამას გარდა, ვ. გაბაშვილი და ი. სურგულაძე თავიანთ გამოკვლევებში მხოლოდ ქართლის ქალაქებს ეხებიან და არა საერთოდ გვიანფეოდალური ხანის საქართველოს საქალაქო წესწყობილებას. ასე, რომ ქართულ

---

[60] ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, სამსახურის დაწყობილება იმერეთის მეფე სოლომონ II-ის დროს, გაზ. „კვალი“, 1900, № 24.

[61] K a r s t, Code du roi Vakhtang VI, Strasburg, 1935.

[62] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება „დასტურლამალის“ მიხედვით, ხელნაწერი, 1942.

[63] И. С у р г у л а д з е. Государственный строй Картлинского царства на рубеже XVII—XVIII вв., рукоп.

ისტორიოგრაფიაში დღემდე სავსებით შეუსწავლელი რჩება დასავლეთ საქართველოს საქალაქო წესწყობილება.

ჩვენ ამჟამად სათითაოდ ვერ შევჩერდებით XIX—XX სს. პრესაში გაფანტულ იმ წერილებსა და წვრილ ნაშრომებზე, რომელნიც მიეძღვნა ცალკეული ქალაქების აღწერასა და ისტორიას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისითაც საქართველოს ყველა ქალაქი არ ყოფილა აღწერის თუ შესწავლის ობიექტი. ცალკეული ნაშრომები და წერილები უმთავრესად ისეთ მსხვილ ქალაქს ეძღვნებოდა, როგორიცაა თბილისი და, გამონაკლის შემთხვევაში, კიდევ ზოგ სხვას, მაგ., ქ. გორს[64].

საერთოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ ფეოდალური ხანის საქართველოს ცალკეული ქალაქების შესახებ მონოგრაფიული გამოკვლევები დღემდე ჩვენ არ მოგვეპოვება. აქ ქვემოთ დასახელებული თბილისისა და გორის შესახებ არსებული უახლესი გამოკვლევებიც კი, ზოგ გამონაკლისს გარდა, ჩვენთვის საინტერესო საკითხებს — ქალაქების სოციალურ სახეს, საქალაქო ცხოვრებასა და წესწყობილებას — ან მხოლოდ გაკვრით ეხებიან, ან კიდევ სავსებით უყურადღებოდ ტოვებენ და უმთავრესად ქალაქის პოლიტიკური ისტორიის მოთხრობით კმაყოფილდებიან; სხვა ცალკეული წერილების შინაარსი კი ქალაქის თუ ნაქალაქარის სიძველეების აღწერით ან კიდევ მისი ისტორიის ამა თუ იმ მომენტის გარკვევით ამოიწურება.

ქალაქების შესახებ არსებული ლიტერატურის ასეთი მდგომარეობა ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო წესწყობილების ისტორიის მკვლევარს აიძულებს ცალკე შეისწავლოს ამა თუ იმ ქალაქის როგორც წარსული, ასევე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სახე და მხოლოდ ამის შემდეგ იზრუნოს ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო წესწყობილების შესახებ ზოგადი, მეცნიერული სურათის შექმნაზე.

---

[64] თბილისისა და გორის შესახებ არსებულ უახლეს, მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევათა შორის შეიძლება დასახელებული იქნეს: Н. Бадриашвили, Тифлис, Тб., 1934; Г. Бухникашвили, Гори, историч. очерк, Тб., 1947 (ამ ნაშრომზე შ. მესხიასა და დ. გვრიტიშვილის რეცენზია იხ. ჟურნ. „ბოლშევიკში", 1948 წ., № 5); დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორიიდან, თბ., 1947; . გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1952.

* *
*

ფეოდალური საქართველოს ქალაქების შემსწავლელი თუკი წინამორბედთა მიერ ჩატარებული კვლევითი მუშაობით არცთუ ისე ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება, უფრო მეტი დაბრკოლებები ექმნება მას თვით წყაროების სიმცირის თვალსაზრისით.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ისე როგორც უცხოური წერილობითი წყაროები საქართველოს შესახებ, ფეოდალური საქართველოს საქალაქო ცხოვრების შესწავლასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გარკვევის შესაძლებლობას ვერ იძლევა.

მაგრამ ის მცირე ცნობები მაინც, რაც ფეოდალური ხანის ქართველ ისტორიკოსებს მოეპოვებათ, ჩვენ მიერ წინამდებარე ნაშრომში ამომწურავად არის გამოყენებული. ზოგი საკითხის გარკვევაში გამოყენებულია არა მარტო ძველი და ახალი „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული ისტორიკოსების თხზულებები („მოქცევაჲ ქართლისაჲ“; ლეონტი მროველი, ჯუანშერი, „მატიანე ქართლისაჲ“; სუმბატ დავითის ძე, დავითის ისტორიკოსი, თამარის ისტორიკოსები, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ჟამთააღმწერელი, „ქართლის ცხოვრების“ გამგრძელებლები, ფარსადან გორგიჯანიძე, „ახალი ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე)[65], არამედ აგრეთვე სხვა ნაბეჭდი ქართული ლიტერატურული ძეგლებიც, რომელთა დასახელებას აქ არ შევუდგებით.

ფეოდალური ხანის ქალაქებისა და საქალაქო წყობილების შესწავლაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ დოკუმენტებს — სიგელ-გუჯრებს, რომელთა შორის ზოგიერთი უშუალოდ, ზოგი კიდევ არაპირდაპირ შეეხება ჩვენთვის საინტერესო არაერთ საკითხს; მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ქალაქების

---

[65] იხ. „ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942 (ქვემოთ მითითებული იქნება როგორც A); „ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლის ნუსხა, ე. თაყაიშვილის რედაქციით, თბ., 1906 (ქვემოთ—M); „ქართლის ცხოვრება“, ნაწილი პირველი, გამოცემული მ. ბროსესაგან, Спб, 1851 (ქვემოთ—B_1) „ქართლის ცხოვრება“, ნაწილი მეორე, გამოცემული დ. ჩუბინოვისაგან, Спб, 1854 (ქვემოთ B_2), „ქართლის ცხოვრების“ ამ უკანასკნელ (ვახტანგისეულ) რედაქციათა ფრანგული თარგმანი, იხ. Histoire de la Georgie, Spb, I, 1849. II, 1857, ძვ. ქართული საისტორიო მწერლობის მიმოხილვა, იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945; კ. ტ ე ტ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, II, თბ., 1941.

არქივებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს, ის მასალებიც კი, რაც განადგურებას გადაურჩა და დღეისათვის ნაწილობრივ გამოცემულიც არის, მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის საქალაქო ცხოვრებისა და წესწყობილების ისეთ საკითხებზე, რომელთაც ოფიციალური ფეოდალური ისტორიოგრაფია დუმილით უვლის გვერდს.

ქართული დოკუმენტების შეგროვებას და გამოქვეყნებას XIX ს. 50—60-იან წლებიდან მოჰკიდეს ხელი და დღემდე მრავალი მნიშვნელოვანი დოკუმენტთა კრებული იქნა გამოცემული მ. ბროსეს, ალ. ცაგარელის, დ. ფურცელაძის, ალ. ხახანაშვილის, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის, ს. კაკაბაძის, ნ. ბერძენიშვილის, მ. ხუბუას და სხვების მიერ. ჩვენთვის საინტერესო მასალა შესულია აგრეთვე კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემულ „Акты"-ს სხვადასხვა ტომებში. ამას გარდა, ისტორიული ხასიათის ცალკეულ დოკუმენტებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირები აქვეყნებდნენ ქართულ თუ რუსულ პერიოდულ გამოცემებში. ესენიც ჩვენ სრულად გამოვიყენეთ.

უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე დაცული ქართული თუ უცხოური ეპიგრაფიკული მასალა სხვადასხვა დროს გამოცემული მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, ნ. მარის, ე. თაყაიშვილის, თ. ყაუხჩიშვილის და სხვების მიერ.

საინტერესო მასალები ზოგ შემთხვევაში დაცულია აგრეთვე ძველ ქართულ ხელნაწერთა მინაწერებში. ამისათვის გადავათვალიერეთ და საჭირო შემთხვევაში გამოვიყენეთ დღემდე გამოცემული ქართულ ხელნაწერთა აღწერილობანი.

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს საქალაქო წესწყობილების შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართულ სახელმწიფოებრივ სამართლის ძეგლებს.

XVII—XVIII სს. ქართლის სამეფოს საქალაქო წესწყობილების შესახებ უხვ ცნობებს გვაწვდის ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი"[66]. ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით, „რაც ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში" შეტანილი აქვს, მისი დროისა არ არის, არამედ ბევრი რამ XVII და ნაწილობრივ უფრო ადრინდელი საუკუნეების გარიგებასა და დანაწესებს წარმოადგენს"[67].

„დასტურლამალში" საგანგებოდ არის გამოყოფილი დებულებები საქალაქო წესწყობილების, საქალაქო გამოსაღებების, საბაჟო დაწესებულებათა ორგანიზაციის, ბაჟის ნორმებისა და სხვ. შე-

---

[66] დასტურლამალი, გამოცემული პ. უმიკაშვილის მიერ. თბ., 1888.

[67] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ეკ. ისტორია, I, 1930, გვ. 51.

სახებ. ბოლოს კი საერთოდ მოხელეთა, და მათ შორის ქალაქის ხელისუფალთა, სარგოს ნორმებზედაც არის ლაპარაკი.

ასევე მნიშვნელოვანია ვახშანგ VI-ის სამართლის წიგნიც[68]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ ვიყენებთ არა მარტო საკუთრივ ვახტანგის კანონებს, არამედ მისივე ბრძანებით გადმოქართულებულ უცხო სამართლის წიგნებსაც. კერძოდ „სომხური სამართლის" თარგმანს[69].

ზოგი მკვლევარის აზრით (მაგ., ივ. სურგულაძის), ვახტანგის ბრძანებით თარგმნილი უცხოური სამართლის წიგნები (ბერძნული, სომხური) სასამართლო პრაქტიკაში გამოყენებული არ ყოფილა და ამდენად, ისინი ქართული სინამდვილის დასახასიათებლად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს. მაგრამ ამ მოსაზრების წინააღმდეგ ლაპარაკობს როგორც ქართველ ისტორიკოსთა მოწმობანი, ასევე თვით დოკუმენტები, სასამართლოს განაჩენები.

დავით ბაგრატიონი თავის ხელნაწერ ნაშრომში, «История Грузии», წერდა: Вахтанг VI «управлял кротко и благоразумно Иверию по законам Греческим, а для купечества по законам Армянским а так-же по уложению царя Георгия VI, к коим законам присовкупил потом свое особенное уложение»[70]. დავით ბაგრატიონის ეს მოწმობა რომ სინამდვილეს ასახავს, და რომ ვახტანგის ბრძანებით თარგმნილი სომხური და ბერძნული სამართალი გამოყენებული იყო არა მარტო ვახტანგის დროს, არამედ ერეკლე II-ის დროსაც, ამას 1768 წ. ერთი დოკუმენტიც ადასტურებს. იესე მდივანი კვეზერელს თბილისში, მოედანთან დუქნების დაუკითხავად გაყიდვის გამო უჩიოდა, „ამათი საჩივარი ჩვენ, მოსამართლეებმა, მოვისმინეთ. ბერძნული სამართალი ასე უჩენდა: უასაკოს ყმაწვილისაგან გასყიდვა არ იქნება... ქართული და სომხური სამართალი ასე უჩენდა: ბატონისა და სახლის კაცის შეუკითხავად და დაუბეჭდავად მამული არ გაიყიდებაო. თუ გაიყიდა, როცა წაედავებიან დაიხსნიანო. ამ სამართლებით ეს ნასყიდობა (კვეზერელისა, შ. მ.) მრუდი ნასყიდობა არის, უნდა ისევ

---

[68] ვახტანგის კანონების რუსული თავისუფალი თარგმანი იხ. Сборник законов царя Вахтанга, изд. А. Френкеля, под. редакцией Д. З. Бакрадзе, Тифлис, 1887.

[69] „სამართალი სომხური", ქართული ვერსია შესრულებული ვახტანგ VI-ის ბრძანებით, გამოსცა ლ. მელიქსეთ-ბეგმა, თბ., 1927.

[70] Царевич Давид, История грузин, ИВАН, отдел рукописей, № 14, л. 371.

იესე მდივანმა დაიხსნას[71]. ცხადია ვახტანგის კანონებს ავსებდა გადმოქართულებული სომხური თუ ბერძნული კანონები და, საჭირო შემთხვევაში, ყველა მათ სასამართლო პრაქტიკაში იყენებდნენ კიდეც. უცხოური კანონებიც, ვახტანგის ბრძანებით, სწორედ ამ მიზნით იყო თარგმნილი. განსაკუთრებით „სომხურ სამართალში", რომელსაც დავით ბაგრატიონის სიტყვით, უმთავრესად ვაჭრების (ე. ი. ქალაქის ხელოსნურ-ვაჭრული მოსახლეობის) მიმართ იყენებდნენ, მართლაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ხელოსნებს, ვაჭრებსა და მათ ორგანიზაციებს.

გვიანფეოდალური საქართველოს საქალაქო ცხოვრების ზოგ მხარეს გვიხსნის დავით ბაგრატიონის ე. წ. „სამართლის პროექტი"[72], რომელშიც, მისი შემდგენელის სიტყვით, ძირითადად განმეორებულია და განმარტებულია მანამდე არსებული კანონები: «Царствование родителя моего Георгия XIII мне поручено было пополнить и в большую ясность привести древния узаконения. Стараясь споспешествовать пользам своего отечества и руководствуясь разными законами, я присовкупил к древним грузинским узаконениям многия постановления, которыя найдены были, по моему соображению, полезными для Иверских народов»[73]. როგორც ჩანს, დავით ბაგრატიონის „სამართალი" საკუთრივ ახალი პროექტი კი არ იყო, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, არამედ მის დრომდე მოქმედი სამართლის ძეგლების და სხვადასხვა კანონების თავმოყრა და განმარტება. ამდენად, იგი, XVIII ს. მიწურულისათვის, უფრო მოქმედ სამართლის ძეგლად შეიძლება მივიჩნიოთ, ვიდრე პროექტად.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აგრეთვე ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობის გაჯანსაღების მიზნით იოანე ბაგრატიონის მიერ შედგენილი პროექტი, სადაც უმთავრესად ყურადღება გამახვილებულია სამეფოს ეკონომიკური ცხოვრების, საქალაქო წესწყობილების, ვაჭრობა-ხელოსნობის მოწესრიგებასა და მათ შემდგომ განვითარებაზე[74]. აღსანიშნავია, რომ იოანე ბაგრატიონის პროექტი, ნაწილობრივ, ქართლ-კახეთის სამეფოში, მისი დროი-

---

[71] ЦГИАГ, ф. 229, кн. 8, дак. № 139. ამავე საკითხზე საინტერესო მასალას იძლევა პ. გუგუშვილის მიერ გამოქვეყნებული „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად... შემოღებულნი ჰსჯულნი", იხ. МИГК; 1938, в. III, с. 77 и др.

[72] ГМГ, фн. 884.

[73] Царевич Давид, История грузии, ИВАН, н.: 14, л. л. 371—372.

[74] ГМГ, ф. н: 2155.

სათვის (XVIII ს. მიწურული) არსებულ მდგომარეობასაც ასახავს. პროექტის ერთი თავი — „მოხელეთათვის“ — მე-7 პარაგრაფიდან მოკიდებული ვიდრე 50-მდე ვაჭარ-ხელოსანთა ამქრის უსტაბაშების უფლება-მოვალეობას, მათ დამოკიდებულებას სამეფო ხელისუფლებასთან და სხვა საკითხებს შეეხება და ამდენად, წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს XVIII ს. დასასრულის ქართლ-კახეთის სამეფოს საქალაქო წყობილების შესასწავლად.

*
* *

VI—XIV სს. საქართველოს ქალაქების შესახებ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ცნობები დაცულია უცხო ისტორიკოსებისა და გეოგრაფების თხზულებებში, განსაკუთრებით კი ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში.

ნაშრომის პირველი თავისათვის გამოვიყენეთ აგრეთვე არაბ გეოგრაფთა, ისტორიკოსთა და ბიზანტიელ ისტორიკოსთა ცნობებიც.

XIII—XV სს. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისა და ქალაქების შესახებ ზოგი ცნობა მოეპოვებათ ამ დროინდელ ევროპელ მოგზაურებსაც, ეს დოკუმენტები შრომის პირველ თავშია გათვალისწინებული.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ისე როგორც ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ასევე უცხოურიც, საქალაქო წყობილების შესასწავლად თითქმის არავითარ მასალას არ გვაძლევს და მხოლოდ საქართველოს ამა თუ იმ ქალაქის დასახელებითა და, ზოგ შემთხვევაში, მოკლე აღწერით კმაყოფილდება.

XVI ს. საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესახებ თითქმის არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება როგორც ქართულ, ასევე უცხოურ მწერლობაშიც. XVI ს. მეორე ნახევრის რუსი ელჩების — რ. ბირკინის, ს. ზვენიგოროდსკისა და კ. სავინის[75] — აღწერილობები თითქმის არაფერს გვაძლევენ ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.

XVII ს. დამდეგიდან, როცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთო-

---

[75] См. С. А. Белокуров, Сношения России с Кавказом, Материалы, в. I, 1578—1613 гг., М., 1888, с. 35—45; 84—222; 262—314.

ბა თანდათან ძლიერდება და ევროპის სხვა ქვეყნებიც უფრო ინტერესდებიან საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით, ევროპულ ლიტერატურაში აღწერილობითი ხასიათის წყაროები მრავლდება, ამიტომაც ჩვენი ძირითადი საკითხისათვის — XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქები — შედარებით მდიდარი ცნობები მოიპოვება XVII—XVIII სს. ევროპელ მისიონერთა[76], მოგზაურთა თუ ელჩების აღწერილობებში.

ზოგი ცნობა საქართველოსა და მისი ქალაქების მდგომარეობის შესახებ შემონახულია პიეტრო დე ლა ვალეს[77], ჯიოვანი დე ლუსას[78], ტავერნიეს[79], ელჩინის[80], ვ. გაგარას[81] და სხვ. აღწერილობებში.

განსაკუთრებით კი მდიდარ ცნობებს შეიცავენ XVII ს. პირველი ნახევრის სამეგრელოს მდგომარეობის შესახებ ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა"[82], კახეთის სამეფოს შესახებ რუსი ელჩების — თ. ვოლკონსკის[83], ე. მიშეცკის[84], იმერეთის სამეფოს შესახებ ა. ივლევის და ნ. ტოლჩინოვის[85] და სხვათა მუხლობრივი აღწერილობანი.

XVII ს. 60-70-იან წლების საქართველოს საერთოდ ეკონომი-

---

[76] კათოლიკე მისიონერთა სხვადასხვა ხასიათის ცნობები XIII—XIX სს. საქართველოს შესახებ შეკრიბა და სათანადო გამოკვლევითურთ გამოსცა მიხ. თამარაშვილმა, იხ. მისი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902.

[77] Г. Казбек, Италиянцы о Кавказе, «Кавказ», 1867, № 41, 42.

[78] Описание перекопских и ногайских татар, черкесов, мингрелов и грузин Жана де-Люка, Зам. Имп. Одесского общ. истории и древностей, т. XI, Одесса, 1879.

[79] Les six voyages del I. B. Tavernier, Boron d'Aubonne, en Turquie, en Perse et aux Jndes. სათანადო ადგილის ქართული თარგმანი იხ. აღ. ჭყონია, ტავერნიეს მოგზაურობიდან მე-XVII ს-ში, „მოამბე", 1898, № VI.

[80] Посольство дьяка Елчина... в Дадианскую землю, Чтения в Имп. общ истории и древностей Российских при моск. Университете, кн. II, М., 1887.

[81] М. Полиевктов и Г. Натадзе, Старый Тифлис в известиях современников, Тб., 1929.

[82] А. Ламберти, Опис. Колхиды, СМОМПК; в. XLIII, Тиф., 1913; см. груз. перевод — „სამეგრელოს აღწერა", თარგმ. აღ. ჭყონიასი, თბ., 1933.

[83] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, 1615—1640, Документы к печати подготовил М. Полиевктов, Тб., 1937.

[84] Посольство кн. Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию, 1640—1643, Док., изд. М. Полиевктов, Тб., 1928.

[85] Посольство стольника Толчанова и дьяка Ивлева в Имеретию 1650-1652, Док. издел. М. Полиевктов, Тб, 1926.

კური მდგომარეობისა და ქალაქების შესახებ მეტად უხვი მასალები დაცული აქვს ცნობილ ფრანგ მოგზაურს ჟ. შარდენს[86].

ქ. თბილისის გარეგანი სახისა და XVII ს. უკანასკნელი მეოთხედის საქალაქო ცხოვრების საინტერესო აღწერა მოეპოვება დიონისიო კარლის[87].

XVII ს. დასასრულის საქართველოს ყოველი კუთხის ქალაქებს ჩამოთვლის ვიტსენ ნიკოლაე[88].

XVII ს. მიწურულის საქართველოს შესახებ მრავალმხრივ საინტერესო ცნობები დაცულია ცნობილი გერმანელი მოგზაურის ენგ. კემპფერის თხზულებებში. მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში ინახება ენგ. კემპფერის თხზულების იმ ნაწილის რუსული ხელნაწერი თარგმანი, რომელიც საქართველოსაც შეეხება. თარგმანი შემდეგნაირადაა დასათაურებული: «Новейшии известии о казане, Астрахане, Грузинии, иных других царю Султану и Шаху погроничных поданных татарах землях и провинцыях с кратким известием. О касписком море и дарье реке, также и персицком дворе ево новеиших штатских и военных поведениях для изъяснения россисских и персицких деиств. Сочиненная от Енгельберта Кемпфера, печатана в Ниренберхе 1724 г[89]. ე. კემპფერის ეს თხზულება დღემდე უცნობი იყო და არ ყოფილა გამოყენებული საქართველოს ისტორიის მკვლევარების მიერ.

თარგმანი შესრულებულია XVII ს. პირველ ნახევარში; ხოლო

---

[86] Chardin, Voyages en Perse et autres lieux del' Orrient, I—X, Paris, 1811. ა/კავკასიის შესახებ ნაწილის რუს. თარგმანი: «Путешествие Шардена по Закавказью», пер. Е. Бахутовой и Е. Косовичи, Тиф., 1902. ამავე ნაწილის უახლოესი თარგმანი (ხელნაწერი)—Е. Б. Гвиниашвили, Описание путешествии Шардена, как источник инфор. о Грузии, т. I, 1946. ქართული არასრული თარგმანი ვ. ბარნოვისა, Шардени, მოგზაურობა საქ-ში, თბ., 1948.

[87] Материалы по истории Грузии и Кавказа, вып. 29, Тб., 1951. ლათინური ტექსტი ქართული თარგმანითურთ, იხ. გვ. 157—182.

[88] Witsen Nicolaes, Noort ooster gedelte van Asia en Europa.., Amsterdam, 1705.

[89] MM, Уваровское соб. 803, 4; по Леониду, № 1610. მ. პოლიევქტოვი ე. კემპფერის შესახებ წერდა: «Существующее известие, что Кемпфер получил приглашение в Тифлисе и долго здесь оставался, окончательного подтверждения еще не имеет» (Европейские путешественники по Кавказу, т. 1935, с. 134). ცხადია ე. კემფერის ზემოხსენებული თხზულება ადასტურებს, რომ ის თბილისშიც ყოფილა და რომ მას თავის აღწერილობაში საქართველოს შესახებაც საინტერესო ცნობები დაუცავს.

ორიგინალი, რომელიც ნიურნბერგში 1724 წ. ყოფილა დაბეჭდილი, მოსკოვის წიგნსაცავებში ჩვენ ვერ მოვძებნეთ.

შედარებით მდიდარი ცნობები გვიანფეოდალური საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისა და ქალაქების შესახებ დაცულია XVIII ს. ევროპელ მოგზაურთა აღწერილობებში. XVIII ს. დამდეგის საქართველოს შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვება ცნობილ ფრანგ ბოტანიკოსს პ. ტურნეფორს[90]. მასვე აქვს ჩახაზული 1700 წ. თბილისის გრაფიკული გამოსახულებაც.

XVIII ს. 40-იან წლების საქართველოს ეხება ფრანგი დე ლა პორტიც[91], მაგრამ მის ცნობებს ჩვენთვის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; როგორც ს. ჯანაშიამ თავის დროზე გაარკვია, დე ლა პორტის აღწერილობა „არის მხოლოდ შარდენის განმეორება. ავტორს შარდენის მოგზაურობიდან ამოუკრებია ზოგიერთი ადგილები, თავისებურად დაუდგენია ისინი და რამოდენიმედ სახეუცვლია მათთვის. არც ერთი ახალი ცნობა მას არ მოეპოვება და, რა თქმა უნდა, ავტორი საქართველოში არ ყოფილა"[92]. დე ლა პორტის ცნობები საქართველოს შესახებ რუსულადაც არის თარგმნილი, სადაც ჩართულია (ალბათ, მთარგმნელის მიერ) მრავალი ნაწყვეტი იაზიკოვის აღწერილობებიდან[93].

XVII ს. შუა წლების საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის, საქართველოს ქალაქების, სხვადასხვა ქვეყნებიდან ეკონომიკური (სავაჭრო) ურთიერთობის შედარებით ვრცელი აღწერა მოეპოვება პეისონელს[94].

---

[90] Relation dùn voyage du Levant... par M. Pitton de Tournefort, Par., 1717; ტურნეფორის ცნობები თბილისის შესახებ. იხ. М. Полиевктов, и Г. Натадзе, Ст. Тифлис, с. 26—32.

[91] Le voyageur francais au La Connoissance de lancien et du nouveau Mcnde, mis au jour par M. l'abbé Delaporte, Quatrié me edition, t. II, Par., MDCCL XXI.

[92] ს. ჯანაშია, დე ლა პორტის ცნობები საქართველოს შესახებ და წყარო ინტერპოლაციებისა მათს რუსულ თარგმანში, МИГК, в. 3, 1937, с. 224.

[93] Всемирный путешествователь или познание старого и нового света, т. е. описание всех по сие время известных земель в четырех частях света... Изданное господ. Аббатом де ла порт, а на Российском языке переведенное с французского, т. II, 1779, მესამე გამოც. 1800 წ. რუსულიდან მომდინარეობს. XIX ს. დამდეგს გაკეთებული ქართული თარგმანიც: იხ. ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 217—225.

[94] იხ. მისივე, Fraite sur le commerce de la mer Noire, I, II, Paris, 1787; პეისონელის ხუთწიგნებიდან საქართველოს შესახებ ცნობების ცალკეული ადგილების თარგმანი იხ. პეისონელი, ამბავი საქართველოს არეულობაზე, „ივე-

ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე უხვი ცნობები დაცული აქვს გიულდენშტედტს თავის „მოგზაურობაში“[95]. იგი XVIII ს. 70-იან წლების საქართველოს აგვიწერს უმთავრესად სტატისტიკური და გეოგრაფიული თვალსაზრისით; ეხება საქართველოს მეტნაკლებად მნიშვნელოვან ქალაქებს; იძლევა მათი არა მარტო გარეგანი სახის, არამედ, ზოგ შემთხვევაში, ეკონომიკური შესაძლებლობის აღწერასაც.

გიულდენშტედტის ვრცელი აღწერილობის შემდეგ შედარებით სქემატური ჩანს იაზიკოვის[96], ს. ბურნაშოვის[97] მოკლე და თვით ი. რაინეგსის[98] შედარებით ვრცელი აღწერილობებიც. მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელთა ცნობებიც თავისთავად საინტერესოა და საჭირო შემთხვევაში ვიყენებთ კიდეც მათ.

ჩვენ მიერ გამოყენებულია არა მარტო XVIII ს. შედგენილი აღწერილობითი წყაროები, არამედ XIX ს. დამდეგისაც, რომელნიც საქართველოში ცარისტული რეჟიმის დამყარების წინა დროსაც შეეხებიან. ასეთ წყაროთა შორის განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ი. კლაპროტის „მოგზაურობა“[99], რომელიც XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. დამდეგის საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის, საქართველოს ქალაქების აღწერას იძლევა. ასევე ჩვენ მიერ გამოყენებულია XIX ს. პირველი ნახევრის სხვა ხასიათის ძეგლებიც, რომელნიც სხვადასხვა მხრიდან აშუქებენ XVIII ს. და

რია“, 1879 წ. № 7—10; 1884 წ., № 9—10. ს. კაკაბაძე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკ-ში, ქუთაისის პედაგოგ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, ქუთ., 1940.

[95] tr. J. A. Güldenstädt, Reisen nach Georgien und Jmereti, Berlin, 1815; პირველი (1787, 1791 წწ.) გამოცემიდან გაკეთებული რუსული არასრული თარგმანი: «Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа из путешествия... И. А. Гюльденштедта, Спб, 1809; თბილისის შესახებ იხ. Ст. Тифлис, с. 39—43.

[96] Записки капитана Языкова о Грузии, А. А. Цагарели, грамоты, I, с. 187—194, 261.

[97] С. Д. Бурнашев, Картина Грузии или описание политического состояния царств картлинского и кахетинского, 1896.

[98] Dr. Jacob Reineggs. Allegemeine Nistorisch-topographische Reschreibung des Kaukasus, zw, Theil, St. Pet., 1797. აქედან ცალკეული ადგილების ქართული თარგმანი იხ. დოქტ. იაკობ რაინეგსი, საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა XVIII საუკუნეში, „ივერია“, 1879 წ., № 4.

[99] J. Klaproth, Reisen in den Kaucasus und nach Georgien, I, II, Halle, 1812, 1814; თბილისის აღწერის რუსული თარგმანი იხ. Ст. Тифлис, გვ. 66 და ა. შ.

XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს საქალაქო ცხოვრების საკითხებს. მაგრამ ამათზე ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ.

აღმოსავლურ საისტორიო მწერლობაში ცნობები XVII—XVIII სს. საქართველოს შესახებ, წინა ხანებთან შედარებით, არცთუ უხვია. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ზოგი მასალა მაინც მოეპოვებათ მაკარი ანტიოქელს[100], XVII—XVIII სს. სომეხ ისტორიკოსებს — არაქელ თავრიზელს[101], ესაია ჰასან-ჯალალიანცს[102], ლუკა ინჯიჯიანს[103], არტემ არარატელს[104] და სხვებს.

ზემოდასახელებული უცხო ავტორები უმთავრესად საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის ზოგადი დახასიათებით, ამა თუ იმ ქალაქის დასახელებით და მოკლე აღწერით კმაყოფილდებიან. ისინი, თითქმის ყველა, გვერდს უვლიან საქალაქო წესწყობილების, ქალაქების სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების აღწერას.

ამას გარდა, რაკი უცხო დამკვირვებლები, უმეტეს შემთხვევაში, არ იცნობდნენ ადგილობრივ ენას, ზნე-ჩვეულებას, ისინი უმთავრესად სხვადასხვა მომზადებისა და განწყობილების თარჯიმნების ინფორმაციებზე იყვნენ დამოკიდებული. ყოველივე ეს, ცხადია, გავლენას ახდენდა უცხოელთა ცნობების სიზუსტესა და ობიექტურობაზე.

უცხო ავტორთა ცნობებით სარგებლობის დროს განსაკუთრებით მხედველობაში მისაღებია ამა თუ იმ მოგზაურის, ინფორმატორის თუ ისტორიკოსის კლასობრივი ინტერესები და მისი რელიგიური კუთვნილებაც. ძირითადად ეს იყო მიზეზი იმისა, რომ XVII—XVIII სს. საქართველოს მდგომარეობის შესახებ ზოგი ავტორი არარეალური, ან კიდევ დამახინჯებულ სურათს იძლეოდა.

---

[100] П. Жузе, Грузия в 17 столетии по изображению патриарха Макария, Казань, 1905 (текст и перевод).

[101] Պատմութիւն Հայոց, ეჩმიაწ.—ვაღარშაპატ, 1884, 1897. თარგმნილია ფრანგულად, იხ. M. Brosset, Collection d'historiens armeniens, t. I, SPB, 1874, p. 270—604.

ქართული თარგმანი მ. მესხიშვილისა (ხელნაწერი).

[102] Պատմութիւն համարոտ Աղուանից երկրի, Երուսաղեմ, ფრანგული თარგმანი იხ. M. Brosset, Collection..., t. II, SPB, 1876, p. 193-220.

[103] Ալիսուրտագրոց նորից մասանց աշխարհիր Վենետիկ, I, 1802.

[104] Жизнь Артемия Араратского, ч. II, Спб, 1813.

* *
*

ზემოგანხილულ ქართველ თუ უცხო ისტორიკოსთა, მოგზაურთა და ინფორმატორთა ცნობები, ასევე ნაბეჭდი ქართული დოკუმენტური მასალები (რაკი საქართველოს საქალაქო ცხოვრებისა და წესწყობილების ამსახველი დოკუმენტები საგანგებოდ არავის უგროვებია და გამოუცია) მხოლოდ ნაწილობრივ აშუქებენ წინამდებარე ნაშრომში აღძრულ ცალკეულ საკითხებს. ამიტომაც ნაბეჭდი წყაროების ცნობათა შევსება და ზოგი კარდინალური საკითხის შესწავლა უმთავრესად საარქივო მასალების მიხედვით მოგვიხდა.

განსაკუთრებით მდიდარი აღმოჩნდა საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის სხვადასხვა ფონდი, სადაც ჩვენ მიერ მიკვლეულ იქნა მრავალი მნიშვნელოვანი დოკუმენტი გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების სოციალური ცხოვრების, საკუთრების ქალაქური წესის, საქალაქო მმართველობის, ამქრული ორგანიზაციების ისტორიისა და სხვა საკითხების შესახებ[105]. აქ მოპოვებულ მრავალრიცხოვან დოკუმენტთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 1807 წ. შედგენილი — «Список находяшимся в городе Тифлисе живущим княжеским, дворянским и гражданским крестьянам с показанием кто чем промышляет»[106]. «Ведомость патриаршим церьковным и монастырским крестьянам проживающим в г. Тифлисе»[107], რომელიც კარგად აგვისახავს XVIII ს. დასასრულისა და XIX ს. დამდეგის თბილისის სოციალურ აღნაგობას.

სოციალური ცხოვრების სხვადასხვა საკითხების, კერძოდ გვიანფეოდალურ საქართველოში "მოქალაქის" წოდების საკითხის შესასწავლად ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 1817—1818 წწ. შედგენილი «Регистр комиссии о дознании кто из тифлисских граждан в какой степени мокалаков состоит — поступаемым в одную от мокалаков обяснениям и документам[108], სადაც შეტანილია 260 მოქალაქის განცხადება და მათ მიერ წარდგენილ დოკუმენტთა მოკლე შინაარსი. თუმცა კომისიაში წარდგენილ განცხადე-

---

[105] საქ. ცენტრალური საისტორიო არქივში ჩემ მიერ მოპოვებული ქართულ-რუსული მასალების ნაწილი დაიბეჭდა კიდეც: იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, МИГК, в. 26, 1948.

[106] ЦГИАГ, ф. 16, д. 497, лл. 45—55.

[107] იქვე, ფფ. 55—77, 84—90.

[108] Ф. I. ц. 193, лл. 73—116.

ბა-დოკუმენტთა დედნებს ვერ მივაკვლიეთ (დოკუმენტთა დედნები, როგორც ჩანს, დაუბრუნდა მათ მფლობელებს), ცალკეული განმარტებები და წარდგენილ საბუთთა შინარსიც დიდ დახმარებას გვიწევს ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევაში.

საქ. ცენტრალურ საისტორიო არქივში მოპოვებულ დოკუმენტთა შორის საქალაქო მმართველობის შესასწავლად მნიშვნელოვანია ქალაქის მოხელეების — თბილისის მოურავის, მელიქ-მამასახლისის, ნაცვალის „სარგოთა წიგნები", „თელავის მოურავის სარგო", „გორის მოურავის სარგო" და სხვა, რომელთა უმეტესობა აქამდე სავსებით უცნობი იყო.

ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქ. ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ მეწვრილმანეთა ამქრის „პირობის წიგნს" (წესდება)[109], გიორგი XII-ის ბრძანებებს ბაზაზბაშისა და მეწვრილმანეთა უსტაბაშის დანიშვნის შესახებ და ქუთაისის მუზეუმში დაცულ „ქუთაისის მეპურეთა ამქრის" წესდებას[110]. აქვე უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე, როგორც პირველხარისხოვანი წყარო, უკვე დაბეჭდილი, მაგრამ ქართული ამქრული ორგანიზაციების მკვლევართა მიერ დღემდე გამოუყენებელი, თბილისის (ავლაბრის) ოქრომჭედელთა ამქრის სომხურ ენაზე შედგენილი ვრცელი წესდება, რომელიც გამომცემლის ცნობით XIX ს. პირველ წლებს უნდა ეკუთვნოდეს[111].

გვიანფეოდალური საქართველოს საქალაქო წესწყობილების შესასწავლად მრავალი საინტერესო მასალა მოპოვებული იქნა აგრეთვე ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების სხვადასხვა ფონდებში, ერევნის ხელნაწერ სიძველეთა საცავში — მატენადარანში, ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში, ლენინგრადის სახელმწიფო ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში, სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში და სხვაგან, მაგრამ მათზე ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ.

საჭიროდ ვცნობთ საგანგებოდ შევჩერდეთ მოსკოვის სახელმწიფო ცენტრალურ სამხედრო-ისტორიულ არქივში ჩვენ მიერ 1949 წ. მოპოვებულ ზოგ მასალაზე.

გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების შესახებ, განსაკუთ-

---

[109] შ. მ ე ს ხ ი ა, ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1949, გვ. 147—148.

[110] შ. მ ე ს ხ ი ა, op. cit., გვ. 150—152.

[111] იხ. ჟურნალი „ლუმა", 1898, წ. I, გვ. 328—333; წ. II; გვ. 193—209.

რებით კი ქალაქების გარეგანი სახის შესასწავლად, მდიდარი მასალები დაცულია მოსკოვის ЦГВИА—ს ВУА ფონდში. აქ ჩვენ მოვიპოვეთ XVIII ს. მიწურულის საქართველოს თითქმის ყველა ქალაქისა და ციხე-ქალაქის გეგმა. გეგმათა უმეტესობა შედგენილია საქართველოში მეფის რუსეთის რეჟიმის დამყარების პირველ წლებში და ასახავს საქართველოს ქალაქების იმდროინდელ მდგომარეობას, როცა ისინი ახალმა ხელისუფლებამ ჩაიბარა.

ВУА ფონდში დაცულია აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების ა ნ ა ნ უ რ ი ს 1806 წ. შედგენილი გეგმა[112], ციხე-ქალაქ ა წ ყ უ რ ი ს 1828 წ. — მისი ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ — შედგენილი გეგმა[113], ასევე, ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ი ს 1828[114] და 1838[115] წწ. გეგმები, ა ხ ა ლ ც ი ხ ი ს 1828 წ. შედგენილი[116]; ქ. გორის გარეგან სახეს, მის მდგომარეობას XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დამდეგს კარგად ასახავს მისი სამი გეგმა: პირველი ორი 1802 წ.[117] არის შედგენილი, მესამე კი 1824 წ. ამ უკანასკნელს მიწერილი აქვს: «Город Гори, снятой инструментально в 1802 году полковником Дренякиным, а исправленный в 1824 году капитаном Жихаревым»[118]. აქვე არის დუშეთის გ ე გ მ ა, რომელიც დათარიღებული არ არის, მაგრამ 1802 წ. უნდა იყოს შედგენილი[119], სილნაღის ორი გეგმა, ორივე 1802 წ. შედგენილი[120], თელავის აგრეთვე ორი — 1802 წ.[121] და 1819 წ.[122] შედგენილი.

ქ. თბილისის გარეგანი სახის შესაწავლად ჩვენ მოგვეპოვება, წერილობით წყაროებთან ერთად, ქალაქის გრაფიკული გამოსახულებანიც. თბილისის უძველეს გრაფიკულ გამოსახულებად, ჯერჯერობით, შარდენის „მოგზაურობას“ დართული (XVII ს. 70-იანი წლებისა) ჩანახატი ითვლება. შემდეგ ტურნეფორისა (1700 წ.), ხოლო XVIII ს. პირველი ნახევრის თბილისს ვახუშტის ცნობილი გეგმა წარმოგვიდგენს. ამ წყაროებს ამჟამად შეემატა ჩვენ მიერ ЦГВИА-ში

---

[112] ЦГВИА, ф. ВУА, № 21626.
[113] იქვე, № 21660.
[114] იქვე, № 4965.
[115] ЦГВИА, ф. 349 (л), оп. 3, д. 2864.
[116] ЦГВИА; ф. ВУА, № 5018.
[117] იქვე, № 20548, № 20547.
[118] იქვე, № 21868.
[119] იქვე, № 211911.
[120] იქვე, №№ 22588, 20546.
[121] იქვე, № 22647.
[122] იქვე, № 22649.

მოპოვებული თბილისის სხვადასხვა დროს შედგენილი 7 გეგმაცამათგან 3 გეგმა XIX ს. პირველ ნახევარს ეკუთვნის და ამჟამად ამათზე არაფერს ვიტყვით.

ჩვენთვის საინტერესოა თბილისის პირველი ოთხი გეგმა, რომელნიც XVII ს. არიან შედგენილნი. ამ ოთხი გეგმიდან ორი დათარიღებულია — ერთი ფრანგული, გადაღებულია 1782 წ., მეორე, რუსული — 1800 წ. ორ პირველს კი თარიღი არ უზის და არც მათი შემდგენელი ჩანს; მაგრამ მათივე მონაცემების მიხედვით, ისინი არ შეიძლება XVIII ს. პირველი ნახევრის შემდეგ შედგენილად მივიჩნიოთ[123].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თბილისის 1782 წ. გეგმა, რომელსაც ახლავს შედარებით ვრცელი ექსპლიკაცია ფრანგულ ენაზე[124]. გეგმა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ აქ აღნიშნულია არა მარტო ციხე-სიმაგრეები, საერო და საეკლესიო უმთავრესი შენობები, არამედ სახელოსნო-სავაჭრო ნაგებობები და რიგები, რაც სხვა მსგავს გეგმებში ჩვენ არ შეგვხვედრია.

XVIII ს. მიწურულის თბილისის გარეგანი სახის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა თბილისის 1800 წ. გეგმა (დაცული ორ ცალად), გეგმას მიწერილი აქვს: «План города Тифлиза, резиденции царства Грузинского с описанием его частей и в них главных публичных строений. Сочинен 1800 года»[125]. გეგმას თან ახლავს დეტალური და მრავალმხრივ საინტერესო ექსპლიკაცია.

ЦГВИА—ში ინახება აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ქალაქთა გეგმებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია რუხის 1770 წ. სქემატურად შედგენილი გეგმა: «Карта сочиненная 1770 году, ноября (!) 15[20] дня о положению крепости Рух в мингрелии... Сочинил капитан Зорнак»[126], ფოთის 1811 წ. გეგმა[127], ქ. ქუთაისის 1820 წ. ტოპოგრაფიული გეგმა[128] და სხვ.

XVIII ს. 30—40-იანი წლების დასავლეთ საქართველოს საერთო მდგომარეობის, ქალაქების, სავაჭრო დაბებისა და ციხე-ქალაქების გარეგანი სახის შესასწავლად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის არ-

---

[123] ЦГВИА, ф. ВУА, №№ 22657, 22658.
[124] ЦГВИА, ф. ВУА, № 22656.
[125] იქვე, № 22660.
[126] იქვე, № 22407.
[127] იქვე, № 22371.
[128] ЦГВИА, ф. ВУА, № 22110.

ქივში დაცული იმერეთის სამეფოს ვრცელი რუქა[129]. იგი შედგენილია იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის დროს და გაგზავნილია რუსეთში ანნა იოანეს ასულის მეფობის (1730—1740) ჟამს. საამისო მითითება თვით რუქაზეა, რომელიც ამ რუქის პირველ აღმწერელს იმათურელს სწორად ვერ ამოუკითხავს[130]. ქუთაისის გეგმის ჩანახაზს ქვემოთ ქართულად მიწერილია: „მეფე მელითონწკისა ალექსანდრე მართლმადიდებელი გვირგვინოსანი, თანადგომითა პატრიარქისა ჩვენისა გრიგოლისათა და ყოველთა ერთათა და [დიდე] ბ [ულ]თა ქარტასა მელითინსკისა მოვართმევთ დიდსა კემწიფესა იმპერატრიცასა ანას იოანნას [ასულსა] კელითა მიტროპოლიტისა ტიმოფესი“. იქვე არის ამავე შინაარსის რუსული მინაწერიც: «Сия карта к ея Императорскому Величеству отправлена с митрополитом Тимофеем Кутаисским от милитинского царя Александра с согласия патриарха Григория и всех князе».

1737 წლისათვის რუქა არათუ შედგენილი, არამედ უკვე გაგზავნილიც კი ყოფილა რუსეთში. იმერეთის მეფე ალექსანდრე V ანნა ივანეს ასულს 1737 წ. 27 სექტემბერს წერდა: „ჩვენა ზღვის გზები და მათი ნავთ საყუდელები და თათართ ციხეები დაგვიხატავს და გვიახლებია; ან რაც ჩვენს ქვეყანაში ქანია, ვეცხლისა თუ ოქროსი თუ სხვისა მრავლის ფერისა კალისა, სპილენძისა, ტყვიისა, რკინისა, სამრიგი ჭაშნიკი მომირთმევია“[131].

რუქაზე ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი — ქალაქი, სავაჭრო დაბა, ნავსადგური, ციხე-ქალაქი და სხვ. — აღნიშნულია და ჩახაზულია იმავე სახით, როგორიც ამა თუ იმ პუნქტს ჰქონდა XVIII ს. პირველ ნახევარში. რუქაზე გაკეთებული ჩანახაზების შედარება ინსტრუმენტალურად გადაღებულ გეგმებთან გვარწმუნებს, რომ რუქის შემდგენელს უცდია ზუსტად გადაეღო ამა თუ იმ პუნქტის გარეგანი სახე, მისი არქიტექტურულ თავისებურებათა და უმთავრეს ნაგებობათა ჩვენებით და იქვე მიეცა სათანადო განმარტებაც. ამიტომაც ამ ჩანახაზების გამოყენება დას. საქართველოს ქალაქებისა

---

[129] იქვე, № 20501, ლ. II.

[130] იხ. ი. მ ა თ უ რ ე ლ ი, იმერეთის მეფის ალექსანდრე მეხუთის რუქა, ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, 1949, გვ. 211; მისივე, იმერეთის ახლად აღმოჩენილი (II) რუქა, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950, წ., № 39; რუქა თავის დროზე ხელთ ჰქონია ივ. ჯავახიშვილს და მისი ერთი ადგილი—ქუთაისის ციხისა და ქალაქის ჩანახაზი—კიდევაც გამოაქვეყნა „ურნ. „პრომეთეში“ (№ 1. 1918 წ.). რუქას იცნობდა, როგორც ჩანს, მ. ბროსე და ალ. ცაგარელიც.

[131] М. Б р о с с е, Переписка грузинских царей с российскими государями, Спб, 1861, с. 225—226.

და სხვა პუნქტების გარეგანი სახის შესასწავლად სავსებით შესაძლებელია.

ამას გარდა, რუქაზე მოიპოვება სხვა ჩვენთვის საინტერესო არაერთი ცნობაც, რომელიც ქვემოთ თავის დროზე იქნება მოტანილი.

გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო წესწყობილების შესახებ ზოგი საინტერესო მასალა მოიპოვება ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, კერძოდ, მ. ბროსეს ყოველ არქივში; აქ მოპოვებულ დოკუმენტთა პირებს, სხვადასხვა პირთა ხელნაწერებს (მაგ., დ. მელვინეთხუცეშვილის „არქეოლოგიური მოგზაურობანი“ და სხვ.) შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დავით ბაგრატიონის რუსულ ენაზე შედგენილი ხელნაწერი ნაშრომი: «Обозрение Грузии по части прав и законоведения, творение Царевича Давида, спб, 1813 г.»[132].

დავით ბაგრატიონის ვრცელი ნაშრომი არის ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის დროის სახელმწიფოებრივი წყობილების, მოქმედი სამართლისა და ცალკეული კანონების მიმოხილვა და ამდენად წარმოადგენს პირველხარისხოვან წყაროს გვიანფეოდალური ხანის საქალაქო წესწყობილების შესასწავლად. აქ გამოყოფილია ცალკეული თავები და პარაგრაფები, რომელნიც ჩვენთვის საინტერესო საკითხებისადმი არიან მიძღვნილნი. მაგ., «Товарищество», «подати и пошлины», «торговые люди и купцы (Вачары)», «Моуравы и их должности», «Нацвалы и их должности», «городское положение (калакис цесдеба)», «граждане и купцы», «Ремесленники» და სხვ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დავით ბაგრატიონის ზოგი ცნობა, როგორც ეს საკონტროლო, პარალელურ წყაროებთან შედარებით ჩანს, გაზვიადებულია, ან კიდევ, ნაკლებად ეხება XVIII ს. ქართლ-კახეთის სამეფოში არსებულ სინამდვილეს.

---

132 ИВАН, отдел рукописей, н: II, დავით ბაგრატიონის ნაშრომის ხელნაწერის მეორე ნუსხა ინახება ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. М: 10601. ხელნაწერი გამოსაცემად მომზადებულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ.

* *
*

ფეოდალური საქართველოს ქალაქების ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალაქებისა და ნაქალაქარების არქეოლოგიურ გათხრებს. ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების არქეოლოგიური შესწავლა ახლახან დაწყებული საქმეა. 1936—1937 წწ., შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გაითხარა დმანისის ნაქალაქარი და მოპოვებულ შედეგებს მიეძღვნა ლ. მუსხელიშვილის გამოკვლევა — „ქ. დმანისი — ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა"[133]. ეს ნაშრომი, შეიძლება ითქვას, დღემდე ერთადერთია, რომელიც VII—XV სს. საქართველოს ქალაქს ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლის.

უკანასკნელ ხანებში საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური გათხრები აწარმოვა ქ. თბილისის ერთ-ერთ უბანში. მისივე ხელმძღვანელობით გაითხარა რუსთავის ნაქალაქარის რამდენიმე უბანი. ამჟამად გრძელდება აგრეთვე ორი წლის წინათ დაწყებული უჯარმის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა. ზემოაღნიშნულ პუნქტებში დღესდღეობით მოპოვებული მასალები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საგანგებო შესწავლისა და ფართო პუბლიკაციის საგანი არ ყოფილა. ქართველმა არქეოლოგებმა აღნიშნულ გათხრებს ჯერჯერობით მხოლოდ ცალკეული საგაზეთო წერილები და ზოგადი სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევები მიუძღვნეს[134], რომელიც ჩვენ მიერ, საჭირო შემთხვევაში, გამოყენებულია. თუკი VI—XIII სს. ზოგი ნაქალაქარი ასე თუ ისე შესწავლილია ან კიდევ შესწავლის ობიექტადაა ქცეული, არქეოლოგიური თვალსაზრისით სრულებით შეუსწავლელია გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქები. ისინი შეუსწავლელია აგრეთვე ტოპოგრაფიული თვალსაზრისითაც.

ყველაფერი ეს, ცხადია, დიდ დაბრკოლებას უქმნის გვიანფეოდალური ხანის ქალაქებისა და საქალაქო წესწყობილების შემსწავლელს. მაგრამ ზემოაღნიშნული გათხრების შედეგები და პირადი

---

[133] იხ. რუსთაველის დროინდელი მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1938.

[134] იხ. გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საქართველოში, თბ. 1952; გ. ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევი, თბ., 1952.

მონაწილეობაც 1947 წ. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილ სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიურ და 1950 წ. უჯარმის არქეოლოგიურ ექსპედიციებში, 1948 წ. მივლინება საქართველოს ნაქალაქართა დასაზვერად და წინასწარ შესასწავლად, შესაძლებლობას მაძლევს ზოგ შემთხვევაში შევამოწმო წერილობითი წყაროების მონაცემები და ნაწილობრივ მაინც შევავსო ისტორიული ცნობები არქეოლოგიურ-ტოპოგრაფიული მონაცემებით.

ფეოდალური საქართველოს ზოგი ქალაქის ისტორიის შესწავლაში დახმარებას გვიწევს ნუმიზმატიკური მასალებიც. ნუმიზმატების — ე. ა. პახომოვის, თ ლომოურის, დ. კაპანაძისა და სხვათა წერილებსა და ცალკეულ ნაშრომებში გამოქვეყნებული ნუმიზმატიკური მასალები საჭირო შემთხვევაში ჩვენ მიერ სათანადოდ არის გამოყენებული.

უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია აგრეთვე ეთნოგრაფიული მონაცემებიც. ქართული ამქრული ორგანიზაციების შესწავლისას ჩვენ გავითვალისწინეთ ნ. ნ. დერჟავინის[135] მიერ შეგროვებული მასალა ქ. გორის ამქრების შესახებ, ი. გრიშაშვილის[136] ეთნოგრაფიულ-ისტორიული ნარკვევი თბილისის ამქრების შესახებ და ამავე საკითხებზე საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მიერ მოპოვებული ზოგი მასალაც.

* *
*

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ფეოდალური საქართველოს ქალაქები, მათი როლი ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლის გარეშე, შეუძლებელია უნაკლოდ იქნეს წარმოდგენილი საქართველოს ისტორიის ურთულესი და უმნიშვნელოვანესი მოვლენები — ქვეყნის გაერთიანებისა და ფეოდალური მო-

---

[135] Н. Н. Державин, Следы..., «Язык и литература», т. I, в. 1—2, 1926.

[136] ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბ., 1927.

ნარქვის ძლიერების წყარო, ერთი მხრივ, ეკონომიკურად ძლიერი ქალაქები და განვითარებული საქალაქო ცხოვრება იყო. ხოლო საქალაქო ცხოვრების დაცემა, თავის მხრივ, ხელს უწყობდა აგრეთვე ფეოდალური კარჩაკეტილობის გაძლიერებას და ერთიანი სამეფოს დაშლას ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად. ქალაქების ისტორიის შესწავლა თავისთავად გულისხმობს ქალაქის მოსახლეობის სოციალური სხვაობის და კლასობრივი ბრძოლის ისტორიის, საქალაქო წესწყობილების — ფეოდალური ქალაქის მმართველობის, ხელოსანთა და ვაჭართა ორგანიზაციების, მათი როლისა და სხვა საკითხების შესწავლას, რომელნიც, როგორც ვნახეთ, ქართულ თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას თავის კვლევის საგნად არ გაუხდია; მას არ შეეძლო საქართველოს ისტორიის ეს მნიშვნელოვანი საკითხები სათანადოდ შეესწავლა და სწორად გადაეწყვიტა.

წინამდებარე ნაშრომში ფეოდალური საქართველოს ქალაქების შესწავლა სავსებით დამყარებულია მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე ქალაქის, როგორც გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის, შესახებ.

კ. მ ა რ ქ ს ი ს ა და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი ს კლასიკური შრომები საერთოდ, განსაკუთრებით კი «Немецкая идеология», «Происхождение семьи, частной собственности и государства», «О разложении феодализма и развитии буржуазии» და სხვ., იძლევიან მეცნიერულ გასაღებს ქართული ფეოდალური ქალაქის ბუნების გაგებისა და შესწავლისათის.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოძღვრება ქალაქის, როგორც შრომის საზოგადოებრივი განაწილების რეზულტატის, შესახებ, ქალაქის, როგორც ფაქტის — წარმოების, კაპიტალისა და მოსახლეობის კონცენტრაციისა, ქალაქებისა და მეფის ხელისუფლებას შორის შუასაუკუნეებში არსებული კავშირის, ხელოსნური ორგანიზაციების წარმოშობის მიზეზებისა და სხვათა, შესახებ საფუძვლად დაედო წინამდებარე გამოკვლევას. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ გამოთქმული დებულებები ევროპის ფეოდალური ქალაქის შესახებ არა მარტო ანალოგიას, არამედ თავის დადასტურებას პოულობენ ფეოდალური საქართველოს მაგალითზეც.

ქალაქების განვითარების შესწავლას საფუძვლად დაედო აგრეთვე ვ. ი. ლენინის მოძღვრება წარმოებისა და ხელოსნობის განვითარების სტადიების შესახებ, რომელიც, მართალია, არსებითად შეეხება XIX ს. რუსეთს, მაგრამ აქვს ზოგადი მეთოდოლოგიური

მნიშვნელობა მიწათმოქმედებისაგან წარმოების გამოყოფის საერთო პროცესის დასახასიათებლად[137].

XIX ს. დამდეგიდან (1801 წ.) ფეოდალური საქართველო ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში ექცევა. რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში ჩიხში მომწყვდეულ ფეოდალურ ქვეყანას განვითარების ახალ გზებს უსახავდა. ცხადია, ახალმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პირობებმა საქალაქო მეურნეობის, ცხოვრების და მმართველობის განვითარებას სხვა მიმართულება მისცა. ახალი ცხოვრება თანდათან გზას იკაფავდა ქალაქების ეკონომიკურ და სოციალურ წყობაში, უქმდებოდა საუკუნეების მანძილზე შემუშავებული საქალაქო წესწყობილებისა და მმართველობის სისტემა. ასე რომ, XIX ს. დამდეგიდან გვიანფეოდალური საქართველოს საქალაქო ცხოვრებაშიც წინა საუკუნეებისაგან განსხვავებული, ახალი ხანა იწყება.

ყოველივე ზემოაღნიშნული შესაძლებლობას მაძლევდა XVII—XVIII სს. გამომეყო როგორც წინა, ასევე მომდევნო საუკუნეებისაგან და საგანგებო შესწავლის საგნად გამეხადა.

ჩვენთვის მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმასაც, რომ XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქების შესახებ მასალები გაცილებით უხვი და უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საერთოდ XVII საუკუნემდელი ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესახებ. ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალები XVII—XVIII სს. საქალაქო წესწყობილების უმთავრესი საკითხების თითქმის სისრულით შესწავლის შესაძლებლობას იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ XVII—XVIII სს. მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება ფეოდალური საქართველოს საქალაქო ცხოვრებასა და წესწყობილებაში, იგი ძირითადად მაინც წარმოადგენს წინა პერიოდის მოვლენათა შემდგომ განვითარებას თუ სახეცვლილებას. ცხადია, XVII—XVIII სს. საქალაქო ცხოვრებისა და წესწყობილების გაგება და შესწავლა წინა ხანის საქალაქო წესწყობილების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. ამიტომაც საჭიროდ მივიჩნიეთ ნაშრომის ძირითადი ნაწილისათვის, პირველი თავის სახით, წაგვემძღვარებინა VI—XVI სს. ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო წესწყობილების ზოგადი მიმოხილვა, სადაც, შედარებით მოკლედ, გადმოცემულია ყველა ის ძირითადი

---

[137] В. И. Ленин, Развитие капитализма в России, Соч., т. III, изд. 4-е, с. 285—288.

შედეგი, რაც ჩვენ მიერ ამ საკითხების საგანგებოდ შესწავლით არის მიღწეული.

წინამდებარე ნაშრომი შემოფარგლულია თემატიკურადაც. იგი XVII—XVIII სს. საქალაქო ცხოვრების მხოლოდ გარკვეული რიგის საკითხებს — ქალაქების სოციალურ სახეს, საქალაქო მმართველობას, ხელოსანთა და ვაჭართა ორგანიზაციებს, ქალაქების გარეგან სახეს და სხვ. — შეისწავლის.

ჩვენ ამჟამად საგანგებოდ ვერ ვეხებით ქალაქების ეკონომიკურ სახეს, ხელოსნობასა და ვაჭრობას XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში. ამ რიგის საკითხები ნაშრომში მხოლოდ გაკვრით არის წამოყენებული და განხილული.

ამას გარდა, ფეოდალური საქართველოს ქალაქების ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა მარტოოდენ წერილობითი წყაროების ძუნწი მონაცემებით შეუძლებელია. საქართველოს საგარეო პირობების წყალობით თითქმის სავსებით განადგურდა საქალაქო არქივები. შემორჩენილი დოკუმენტების მითითებით, საქართველოს ქალაქებში არსებობდა ე. წ. „ქალაქის დავთრები“ და სხვა მსგავსი წიგნები. არც ერთ მათგანს ჩვენამდე არ მოუღწევია, ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით ჩვენთვის უცნობია. ასევე ჩვენთვის დაიკარგა „ქალაქის აღწერის დავთრების“ უმეტესობაც.

შემორჩენილი დოკუმენტური მასალა — ყმობის სიგელები, მეფეების წყალობათა და ბრძანებათა წიგნები, ნასყიდობის წიგნები, ქალაქის მოხელეთა გარიგების წიგნები და სხვ. — უმთავრესად გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების სოციალური სახისა და მმართველობის შესახებ იძლევიან ცნობებს. აღნიშნულ ნაკლს ვერ ავსებს უცხო აღმწერელთა თითო-ოროლა ცნობა ხელოსნობისა და ვაჭრობის შესახებ XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა ფეოდალური ხანის ქალაქების არქეოლოგიურ შესწავლას. მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ამ მხრივ საქართველოში ჯერჯერობით თითქმის არაფერია გაკეთებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს განკარგულებაში მყოფი წერილობითი წყაროები ნაშრომში აღძრულ ყველა საკითხზე თანაბარი სისრულით როდი გვაწვდის საჭირო მასალას. მაგ., ქართულ და უცხოურ წყაროებში თითქმის არავითარი პირდაპირი ცნობა არ მოიპოვება გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქებში არსებული კლასობრივი ბრძოლის შესახებ. ჩვენ ამგვარ შემთხვევაში იძულებული ვხდებით მივმართოთ არაპირდაპირ ცნობებს და კლასთა ბრძოლის შედარებით მკრთალი სურათის მოცემით დავკმაყოფილდეთ.

ასევე, მასალები მცირეა საერთოდ დასავლეთ საქართველოსა და მით უფრო მისი ქალაქების შესახებ. დასავლური ქალაქების საქალაქო მმართველობაზე, ქალაქების სოციალურ წყობაზე და სხვ. საკითხებზე არსებულ დოკუმენტურ მასალებში მხოლოდ უმნიშვნელო ცნობებია დაცული. საკმაოა აღინიშნოს, რომ ჩვენ არა გვაქვს შემორჩენილი თვით ქ. ქუთაისის გამგებელ ხელისუფალთა გარიგების წიგნებიც კი.

იმერეთის სამეფოს ქალაქების შესახებ მასალები მით უფრო საინტერესო ჩანდა, რადგან აქ, გვიანფეოდალურ ხანაშიც, ძველი საქართველოს საქალაქო წესწყობილება შედარებით სუფთად იქნა შემონახული, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. მიუხედავად ამისა, მასალების სიმცირე გვაიძულებს დასავლეთ საქართველოს საქალაქო წესწყობილება ძირითადად აღმოსავლურ-ქართული მასალების საერთო ფონზე განვიხილოთ.

ნაშრომში აღძრული საკითხების უმეტესობა, სამეცნიერო-საკვლევი ცალკეული თემების სახით, ჩვენ მიერ დამუშავებულია 1944 წ.-დან 1952 წ.-მდე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტსა და ი. ბ. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე. ამ ხნის განმავლობაში წარმოებული კვლევის ზოგი შედეგი გამოქვეყნდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა ორგანოებში და სამეცნიერო პოპულარული ნარკვევის სახით, 1952 წ. ცალკე გამოცემულ „ქ. თბილისის ისტორიის“ ჩემ მიერ დაწერილ თავებში.

წინამდებარე ნაშრომი, როგორც ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო წესწყობილების მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდა, არ შეიძლება უნაკლო არ იყოს. ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე ამ საკითხის შეუსწავლელობა, მასალების სიმცირე და ცალმხრივობა არის უმთავრესი წყარო იმ ხარვეზებისა, რომელიც ნაშრომს უსათუოდ ახასიათებს.

თავი I

ქალაქები და საქალაქო წესწყობილება საქართველოში XVI ს. დასასრულამდე

(ზოგადი მიმოხილვა)

1. ქალაქების წარმოშობის საკითხისათვის საქართველოში

ძველი საქართველო უცხოურ საისტორიო მწერლობაში ხშირად მოიხსენიება, როგორც ქალაქებით ცნობილი ქვეყანა. ბერძენი გეოგრაფის სტრაბონის სიტყვით, იბერიის სამეფო (აღმოსავლეთ საქართველო) იყო შესანიშნავად მოფენილი უპირატესად ქალაქებითა და სოფლებით[1]. ასევე წერდა უძველესი სომხური გეოგრაფიის ანონიმი ავტორი კოლხეთის სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) შესახებაც: „კოლხეთში ბევრი ქალაქი, ციხე-სიმაგრე, სოფელი და სავაჭრო ადგილია"[2]. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა საქართველოს ტერიტორიაზე ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების წარმოშობას უხსოვარ დროს უკავშირებს.

ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის XI ს. წარმომადგენლის, ლეონტი მროველის აზრით, ქართველთა ეთნარქის ქართლოსის საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრების დროიდან ჩნდება ციხეები და ციხე-ქალაქები. მაგ., ლეონტი მროველის აზრით, ქართლოსის ცოლმა ქ. რუსთავი ააშენა, მცხეთოსმა ქ. მცხეთა, ოძრფოსმა ქ. ოძრფი და თუხარისი, ჯავახოსმა ქ. წუნდა და არტაანი და სხვ. ასე რომ, ლეონტი მროველის სიტყვით, მაშინ, როცა ქართველი ტომები „მამასახლისობის ხანაში", ე. ი. გვაროვნული წყობილების საფეხურზე იმყოფებოდნენ, ჩნდება პირველი ქართული ციხე-ქალაქები და ქალაქები.

---

[1] В. В. Латышев, Известия, I, с. 139.

[2] Армянская география..., приписывавшаяся Моисею Хоренскому, Издал К. Патканов, Спб, 1877, с. 39.

ცხადია, ლეონტი მროველის ასეთი წარმოდგენა სავსებით მცდარია: ქალაქების წარმოშობისათვის საჭირო სათანადო ეკონომიკური და სოციალური პირობები არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო გვაროვნული წყობილების დროს. ქალაქების წარმოშობისათვის აუცილებელი პირობა — სამრეწველო და სავაჭრო შრომის სამიწათმოქმედო შრომისაგან „გამოყოფა"[3] — გვაროვნულმა წყობილებამ არ იცის. მარქსიზმის კლასიკოსების მოძღვრებით, ქალაქი უკვე თავისთავად მოსახლეობის კონცენტრაციას, საწარმოო იარაღების, კაპიტალის, მოთხოვნილებისა და მათი დაკმაყოფილების გზების რეალურად არსებობას ნიშნავდა[4], რომელიც მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმოიშვას, როცა წარმოიშობა კერძო საკუთრება, როცა ხდება გადასვლა გვაროვნული წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაში[5].

ასე რომ, ქალაქების წარმოშობა საქართველოს ტერიტორიაზე, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, მჭიდროდ უკავშირდება კერძო საკუთრების, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს.

ს. ჯანაშია წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მეცნიერულმა ანალიზმა მიიყვანა დასკვნამდე, რომ უკვე ძვ. წ. VI საუკუნისათვის „დღევანდელი საქართველოს მოსახლეობა და მისი მეურნეობა იმდენად იყო დაწინაურებული, რომ სახელმწიფო ორგანიზაციისათვის აქ საჭირო ნიადაგი უკვე არსებობდა"[6]. ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდება აღმოსავლურ-ქართული ქართლის (იბერიის) სამეფო და დასავლურ-ქართული ეგრისის (კოლხეთის) სამეფო. წერილობითი წყაროების მონაცემები (განსაკუთრებით ჰეროდოტეს ცნობები) და არქეოლოგიური გათხრების შედეგად ვანში, დაბლაგომში, ახალგორში, მცხეთაში, გორში, ბაგინეთში და სხვაგან მოპოვებული მასალები უდავოდ ადასტურებენ VI—V სს. საქართველოს ტერიტორიაზე კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობას. ხოლო არმაზისხევში, ბორში, ურეკში, ახმეტაში, კლდეეთში, თაგილონში, ხაიშში და სხვაგან მოპოვებული არქეოლოგიური მასალები კარგად გვიჩვენებენ, რომ ქართულ სახელმწიფოებრიობას ახალი წელთაღრიცხვის I—II საუკუნისათვის უკვე განვითარების საკმაოდ გრძელი გზა ჰქონდა გავლილი.

---

[3] М. Маркс и Ф. Энгельс, Немецкая идеология, соч., т. IV, с. 12.

[4] იქვე, გვ. 40.

[5] იქვე.

[6] საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1948, გვ. 53.

VI—V სს. ქართველ ტომებში გვაროვნული წყობილების რღვევისა და სახელმწიფოს წარმოშობის დროისათვის უნდა ვეძიოთ ქალაქის, როგორც ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრის, წარმოშობა საქართველოს ტერიტორიაზე.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ლითონის სხვადასხვა სახის სამეურნეო და იშვიათი ხელოვნებით გაკეთებული საომარი იარაღები, თიხის, მინის და ლითონის ჭურჭლები, სელის ქსოვილები, ადგილობრივი ოსტატების მიერ გაკეთებული ძვირფასთვლებიანი და მინანქრებიანი ოქროს სამკაულები და სხვა, რომელიც დიდი რაოდენობით მზადდებოდა, VI—V სს. სოფლის მეურნეობისაგან ხელოსნური წარმოების გამოყოფისა და ამ უკანასკნელის განვითარების მაღალ საფეხურზე მიგვითითებენ. სოფლის მეურნეობისაგან ხელოსნური წარმოების გამოყოფა კი ქალაქების წარმოშობის უმთავრეს პირობას წარმოადგენს.

ხელოსნური შრომის სოფლის მეურნეობისაგან გამოყოფის პროცესის მეორე მხარე მიწათმოქმედებისა, მესაქონლეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარება იყო. ქართველი ტომებისათვის უკვე ძვ. წ. პირველი ათასწლეულისათვის ცნობილი ხორბლეული კულტურის მოყვანა, შემდეგში სამეურნეო იარაღების გაუმჯობესებისა და მიწის უკეთ დამუშავების წყალობით, კიდევ უფრო ვითარდება.

საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად იზრდება სოფლის მეურნეობისა და ხელოსნური შრომის პროდუქტების სახეობა და რაოდენობა. ყველაფერი ეს კი შესაძლებლობას იძლეოდა საქართველოში ვაჭრობის განვითარებისათვის. VI—V სს. საქართველო ვაჭრობას აწარმოებდა მეზობელ ქვეყნებთან, როგორც ხელოსნური ნაწარმით, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქტებითაც.

ჯერ კიდევ ასურელები იცნობდნენ მაღალხარისხოვანი კოლხური („კოლხურ") მატყლის და სელის ქსოვილებს. კოლხეთში სელის ქსოვილების წარმოების განვითარებასა და მის უცხო ქვეყნებში საკმაო რაოდენობით გატანაზე ბერძენი ისტორიკოსებიც მოგვითხრობენ (ჰეროდოტე, სტრაბონი)[7].

საქართველოდან გაჰქონდათ არა მარტო სელის ნაწარმი, არამედ ბეწვეული, ტყავები, ძვირფასი ხე (ბზა), საერთოდ სამშენებლო ხე-ტყე, ოქრო და სხვა ლითონები. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის სამეფოში შემავალი ზოგი კუთხის მოსახლეობა, მაგალითად,

---

В. В. Латышев, Известия, I, с. 9, 137.

ხალიბები, ქსენოფონტეს ცნობით, უმთავრესად რკინის მადნის დამუშავებით ცხოვრობდა[8].

კოლხ ოსტატებს თავიანთი ხელოსნური შრომით უცხო ქვეყნებშიც უსახელებიათ თავი. საინტერესოა, რომ ათენში აღმოჩენილ ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევრის «На одной чернофигурной гидрии» მიწერილია: „Κόλχος μὲποίησεν" („კოლხმა მე გამაკეთა"). გარდა ამისა, ამავე დროის ერთ-ერთი ამფორა კოლხი ოსტატის მიერ ყოფილა მოხატული, რაზედაც იქვე გაკეთებული წარწერა მიგვითითებს — „Εὐξίθεος ἐποίησε Κόλχος ἔγραφσεν"[9].

ხელოსნური წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებამ VI—V სს. იმდენად გაზარდა შინაგანი ვაჭრობა-აღებმიცემობა, რომ ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად უკვე საკმარისი აღარ იყო უცხოეთიდან შემოსული მონეტა. კოლხეთის სამეფო ძვ. წ. VI საუკუნიდან საკუთარი ფულის მოჭრას იწყებს. კოლხური მონეტის სხვადასხვა სახეების გავრცელების დრო ძვ. წ. VI—II საუკუნეებზე მოდის. აღსანიშნავია, რომ კოლხური მონეტები აღმოჩენილია არა მარტო შავიზღვისპირა ქალაქებში, — სოხუმში, ბათუმში, ანაკლიაში — არამედ დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებშიც: ზუგდიდში[10], რუხში[11], ხონში[12], ვანში[13], ქუთაისში[14] და სხვაგან, დიდი რაოდენობით ნაპოვნია კოლხური მონეტის სხვადასხვა სახეები, რაც ცხადია, დასავლეთ საქართველოს ამ კუთხეებს შორის სავაჭრო ურთიერთობის არსებობაზე მიგვითითებს. კოლხური მონეტის გავრცელების არე საკუთრივ კოლხეთის სამეფოს ფარგლებსაც სცილდება. უკანასკნელ ხანებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად კოლხური მონეტები აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს იბერიის სამეფოს სხვადასხვა რაიონებშიც. ასე რომ, კოლხური მონეტა კოლხეთსა და იბერიის სამეფოების ურთიერთდამაკავშირებელ მიმოქცევის საშუალებად იყო ქცეული.

---

[8] В. В. Латышев, Известия, I, с. 83.

[9] Б. Н. Граков, Материалы по истории Скифии..., ВДИ, 1939. № 3, с. 305, ср. Ш. С. Амиранашвили, История Грузинского искусства, I. М., 1950, с. 69.

[10] Е. А. Пахомов, Монетные клады, в. II, с. 8; в. III, с. 5,6.

[11] იქვე, III, გვ. 5.

[12] იქვე, II, გვ. 7.

[13] იქვე, I, გვ. 36.

[14] იქვე, I, გვ. 37; III, გვ. 6.

როგორც ვხედავთ, VI—V საუკუნეებისათვის საქართველოში სოფლის მეურნეობას თანდათან ეყოფა „ვაჭრული შრომაც“, სოფლის მეურნეობისაგან „ხელოსნური და ვაჭრული შრომის“ გამოყოფის შინაგანი პროცესის გაძლიერებას, თავის მხრივ, ხელს უწყობდა კოლხეთის სამეფოს იმდროინდელი საგარეო პირობებიც.

საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხების სავაჭრო ურთიერთობა ეგეოსის ზღვის სანაპიროების მოსახლეობასთან VII საუკუნისათვის იმდენად გაძლიერდა, რომ ბერძნებმა აუცილებლად მიიჩნიეს შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე გაეჩინათ მუდმივი სავაჭრო პუნქტები, კოლონიები,[15], რომელთა შორის კოლხეთის სამეფოს შინაგანი ცხოვრებისათვის მნიშვნელობა ჰქონდა განსაკუთრებით ტრაპეზუნტს, კერასუნტს, ფასიდს, დიოსკურიას, პიტიუნტს და სხვ. ამ გაერთიანებებს, იმ დროისათვის ძალიან მაღალი კულტურის მატარებლებს, არ შეიძლება შესამჩნევი კვალი არ დაემჩნიათ გარშემო მყოფი და უფრო ჩამორჩენილი მეზობელი ხალხებისათვის[16]. ზემოდასახელებული კოლონიები გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ბერძნებს საქართველოდან არა მარტო სოფლის მეურნეობისა და ხელოსნური შრომის პროდუქტები — სელის ქსოვილები, ბეწვეული, ტყავი, ცვილი, საამშენებლო ხე-ტყე — გაჰქონდათ, არამედ მათთვის აუცილებელი მონებიც გაჰყავდათ. კოლხეთის მონათმფლობელური წრის ზედაფენები მონებითაც ვაჭრობდნენ ბერძენ კოლონიზატორებთან. შავი ზღვის სანაპიროებზე მდებარე ქვეყნები, პოლიბიოსის სიტყვით, ბერძნებს აძლევდა „უდიდესი რაოდენობის, უეჭველად უბრწყინვალეს მონებს“[17]. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის მონათმფლობელები ყიდდნენ არა მარტო რიგით მონებს, არამედ მონა ოსტატებსაც. ჩვენი აზრით, სავსებით სწორი ჩანს ბ. ნ. გრაკოვი, როცა ათენში ნაპოვნი ზემოხსენებული ნივთების მომხატველად და მკეთებლად კოლხ მონა ხელოსნებს მიიჩნევს[18].

ურთიერთობა ბერძნულ კოლონიებსა და ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას შორის მარტო საგარეო ვაჭრობით როდი ამოიწურებოდა; მათ შორის თანდათან შინაგანი ეკონომიკური კავშირიც

---

[15] საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 44.

[16] Б. Д. Греков, Киевская Русь, с. 431.

[17] В. В. Латышев, Известия, II, с. 41; сравн. Б. Д. Греков, Киевская Русь, с. 431.

[18] Б. Н. Граков, Материалы по истории Скифии, ВДИ, 1939, № 3, с. 306.

მტკიცდებოდა. ასეთი ურთიერთეკონომიკური კავშირისათვის საქართველოში ნიადაგი უკვე მზად იყო.

ბერძნულ კოლონიებსა და საქართველოს შიდა რაიონების მოსახლეობას შორის ეკონომიკური კავშირის არსებობის ერთ-ერთ უძველეს საბუთად ე. წ. „ყაზბეგის განძი“ შეიძლება მივიჩნიოთ. იგი აღმოჩენილი იქნა 1877 წ. ს. ფილიმონოვის მიერ. „ყაზბეგის განძი“ შედგება სხვადასხვა დროისა და კულტურის ნივთებისაგან, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სპილენძის ორი დოქი (Кувшин), ადგილობრივი, კოლხური ფორმისა, ცხენისა და თევზების გამოსახულებიანი ორნამენტებით, რომელსაც არქეოლოგები ძვ. წ. VI ს. მიაკუთვნებენ.

ადგილობრივი ფორმისა და ნასესხები (ბერძნული) ორნამენტის ურთიერთშერწყმა შესაძლებლობას აძლევდა ა. კალისტინსკის გამოეთქვა მოსაზრება, რომ „ესენი დამზადებულია შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე ბერძენი ხელოსნების მიერ ადგილობრივი მაცხოვრებლების საჭიროებისათვის, ანდა იგი ნაკეთები იყო ადგილობრივი ოსტატების მიერ ბერძნული ნიმუშების მიხედვით“[19].

არქეოლოგიური ძეგლების მონაცემებს მხარს უჭერს წერილობითი წყაროებიც. სტრაბონი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებულ ბერძნულ ქალაქებს მიიჩნევდა მათ ირგვლივ მცხოვრებ ხალხთა სავაჭრო ცენტრად. ამ მხრივ დიოსკურია გამოირჩეოდა[20]. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სტრაბონი ფასიდს უკვე კოლხების სავაჭრო ნავსადგურს უწოდებს: „ფასიდთან მდებარეობს ამავე სახელწოდების ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ნავსადგური“[21].

სწორედ იმის გამო, რომ დას. საქართველოში ამგვარი ქალაქების წარმოშობისათვის შინაგანი პირობებიც არსებობდა, ბერძნული კოლონიები ბერძნებისა და მათი გავლენის გაქრობასთან ერთად კი არ ქრებიან, არამედ შემდეგაც განაგრძობენ არსებობას და ფეოდალური საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ. VIII—XII სს. ქართულ-უცხოურ წყაროებში არაერთხელ მოიხსენიება ტრაპეზუნტი, ნიკოფსე, ფაზისი, დიოსკურია (ცხუმი), პიტიუნტი და სხვა, როგორც დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პუნქტები. ასე რომ, ერთ დროს ბერძ-

---

[19] А. Калистинский, Из истории срибули на Кавказе, сб. статей посвящ. памяти Н. Л. Кондакова, Прага, 1926, с. 51; ср. Ш. И. Амиранашвили, История Груз. искусства, М., 1950, с. 73—74.

[20] В. Латышев, Известия, I, с. 136.

[21] იქვე, გვ. 136—137.

ნული კოლონიზაციის შედეგად წარმოშობილი ქალაქები თანდათან ადგილობრივ მკვიდრთა ხელში გადადის და ქართულ ქალაქებად იქცევა.

ზემოხსენებულ კოლონიებს გარდა, დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში, უკვე ბერძენთა კოლონიზაციის დროისათვის, არსებობდა კოლხეთის სამეფოს იმდროინდელი დედაქალაქი აია, რომელიც კოლხეთის სიღრმეში მდინარე ფაზისზე ყოფილა გაშენებული და რომლის სიდიადეზეც ბევრს ლაპარაკობს ბერძნული ცნობილი თქმულება არგონავტების შესახებ. ამავე დროისათვის წარმოშობილად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ქ. ეგრი (ბედია), რომლის დაარსებასაც ლეონტი მროველი დასავლურ ქართველ ტომთა ეთნარქს ეგროსს მიაწერს[22]. ცხადია, დასავლეთ საქართველოს შესახებ არსებული მასალების სიმცირით აიხსნება, რომ წყაროებში ამდროინდელი კოლხეთის სამეფოს სხვა ქალაქები მოხსენებული არ არის. მაგალითად, ძველი ქართული და უცხოური წყაროებით სავსებით უცნობია ვანი (მდ. რიონის შუა წელი), რომელიც იქ არსებულ ნაგებობათა ნაშთებისა და აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალათა მიხედვით, VI—V სს. ეგრისის მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი იყო[23].

საქართველოში საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის უმნიშვნელო როდი იყო აგრეთვე დიდი სავაჭრო გზა, რომელიც საქართველოს ტერიტორიას გაივლიდა. სტრაბონის ცნობით, „ირკანიაზე გავლით მიედინება მდინარე ოკი და ოკსი და ზღვას ერთვის, მათზე მოსახერხებელია ნაოსნობა; ამ მდინარეებზე გადააქვთ ინდოეთის ბევრი საქონელი ირკანიას ზღვაში, იქიდან კი ალბანეთში მიაქვთ და ბოლოს მდ. მტკვრით და მიმდებარე ტერიტორიებით— ევქსინში[24]. პლინიუს უფროსი, ვარონის ცნობებზე დამყარებით, კიდევ უფრო აკონკრეტებდა ამ გზის მიმართულებას.

პლინიუს უფროსის ცნობით, ინდოეთიდან მოსული საქონელი დასავლეთისაკენ ჰირკანიის (კასპიის) ზღვიდან მტკვრით მიდიოდა, ხოლო შემდეგ სახმელეთო გზით (ლიხის გადასასვლელი), რომლის გავლისათვის სულ დიდი 5 დღე იყო საჭირო; ამის შემდეგ კი საქო-

---

[22] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 2; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 168.

[23] ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, არქეოლოგიური გათხრები სოფ. ვანში 1947 წელს, „მიმომხილველი", № 1, 1949 წ., გვ. 297—308; გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, წინაპართა ნაკვალევი, გვ. 126; ვანის ისტორიისათვის უმნიშვნელო როდია ავრეთვე იქ აღმოჩენილი კოლხური მონეტები, კუნძ. სამოსის ოქროს სტატერი, ლიზიმიხის ვერცხლის მონეტა და სხვ. (იხ. Е. А. П а х о м о в, Монетные клады, в. I, с. 36, 37, 38, 41).

[24] В. В. Л а т ы ш е в, Известия, I, с. 149—150.

ნელი მდ. ფაზისით (რიონი) გადაჰქონდათ შავ ზღვამდე, ქ. ფაზისამდე.

მიუხედავად იმისა ერთვოდა თუ არა კასპიის ზღვას წინათ ამუდარია (ოქსი), ამ მიმართულებით სახმელეთო გზის არსებობას მაინც მეცნიერები არ უარყოფდნენ და ხშირად გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სატრანზიტო ვაჭრობისათვის მას ჰქონდა არანაკლები მნიშვნელობა, ვიდრე სამხრეთის გზას სირიითა და ალექსანდრიით[25]. ცხადია, შემთხვევითი არ არის სტრაბონის მითითება ფაზისზე, როგორც „სავაჭრო ნავთსადგურსა“ და დიოსკურიაზე, როგორც „საერთოდ ხალხთა სავაჭრო ცენტრზე“, სადაც თავს იყრიდა «семьдесять народностей». ასევე უმნიშვნელო არ უნდა იყოს „ევქსინიის პონტოს პერიპლის“ ანონიმი ავტორის ცნობა, რომ ქ. ფაზისში მოდიოდნენ „ბარბაროსები“ ინდოეთიდან და ბაქტრიიდან[26].

ასეთი უძველესი დიდი სავაჭრო გზის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე — მდ. მტკვარი, ლიხის გადასასვლელი, მდ. რიონი — არ შეიძლებოდა უმნიშვნელო ყოფილიყო არა მარტო კოლხეთისა და მისი ზღვისპირა ქალაქებისთვის, არამედ აღმოსავლეთ საქართველოსთვისაც. მტკვრის ბასეინისათვისაც, რომელსაც ერთი ცენტრალური ადგილთაგანი ეჭირა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელ ამ სავაჭრო გზაზე. მით უფრო, რომ იმდროინდელ იბერიის სამეფოში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალაქების წარმოშობისათვის საკმაოდ ნაყოფიერი ნიადაგი არსებობდა.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ „ქართლის მოქცევის“ ავტორის მიერ აღმოსავლეთ საქართველოში უძველესად მიჩნეული ქალაქები და, ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველთა ეთნარქისა და მისი მემკვიდრეების მიერ „მამასახლისობის“ ხანაში დაარსებული ქალაქების ერთი ნაწილი მაინც ძვ. წელთაღრიცხვის VI—V სს. წარმოშობილად მივიჩნიოთ.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მიხედვით, ძვ. წ. IV ს. დასასრულამდე აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა ქა-

---

[25] ამ გზის მნიშვნელობის შესახებ სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებები იხ. Я. Манандян, О торговле и городах Армении, Ер., 1930, с. 42—45.

[26] В. В. Латышев, Известия, I, с. 274.

[27] ლეონტი მროველი, A, გვ. 6, 16—17, 27, 31; ვახუშტი, აღწერა, გვ. 132.

ლაქები: ა რ ტ ა ა ნ ი[27], გ ა ჩ ი ა ნ ი[28], თ უ ხ ა რ ი ს ი[29], კ ა ს პ ი[30], მ ო ვ ა კ ა ნ ი[31], მ ც ხ ე თ ა[32], ო ძ რ ჯ ე[33], რ უ ს თ ა ვ ი[34], ს ა მ-შ ვ ი ლ დ ე[35], ს ა რ კ ი ნ ე[36], უ რ ბ ნ ი ს ი[37], უ ფ ლ ი ს ც ი ხ ე[38], წ უ ნ დ ა[39], ხ უ ნ ა ნ ი[40] და ჰ ე რ ე თ ი (ხ ო რ ა ნ თ ა)[41].

საქართველოს ქალაქების შესახებ არსებული წერილობითი და არქეოლოგიური წყაროების დღევანდელი მდგომარეობა ჩვენ ამჟამად თითქმის არავითარ შესაძლებლობას არ გვაძლევს შევამოწმოთ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მონაცემების სიზუსტე და განვსაზღვროთ ამა თუ იმ ქალაქის წარმოშობის დრო.

კიდევ მეტი, დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგი ქალაქის ადგილმდებარეობაც კი არ არის ზუსტად განსაზღვრული. მაგ., ქალაქების — გაჩიანის, მოვაკანის, ეგრის, სარკინეს, ჰერეთის (ხორანთას) და სხვ. ადგილმდებარეობის შესახებ ძველსა და თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვაგვარი მოსაზრებები არსებობს, რომელთა შესახებაც ჩვენ ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ.

მიუხედავად ამისა, ჩვენ შევეცდებით პარალელური წერილობითი წყაროებისა და ზოგი არქეოლოგიური მასალის მიხედვით ლეონტი მროველის მიერ მოწოდებულ წინაელინისტური ხანის საქართველოს ქალაქთა სიაში შესაძლებელი სიზუსტე შევიტანოთ.

---

[28] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 5, 20; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 36.

[29] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 6, 7, 12.

[30] „მ ო ქ ც ე ვ ა ჲ ქ ა რ თ ლ ი ს ა ჲ“; E. Т а к а й ш в и л и, Опис, II, გვ. 708; ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 6, 12; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 72.

[31] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 2; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 88.

[32] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 7, 12.

[33] „მ ო ქ ც ე ვ ა ჲ ქ ა რ თ ლ ი ს ა ჲ“, E. Т а к а й ш в и л и, Опис, II, გვ. 708; ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 6, 12; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 125.

[34] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 5, 12; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 50.

[35] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 5, 7.

[36] „მ ო ქ ც ე ვ ა ჲ ქ ა რ თ ლ ი ს ა ჲ“, E. Т а к а й ш в и л и, Опис, II, გვ. 708; ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 10, 12; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 61.

[37] „მ ო ქ ც ე ვ ა ჲ ქ ა რ თ ლ ი ს ა ჲ„, E. Т а к а й ш в и л и, Опис, II, გვ. 708, ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 12, 54; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 78.

[38] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 6; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 73.

[39] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 6, 12; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 130.

[40] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 5, 12, 17; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 45.

[41] ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 2; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 88.

უძველესი ქართული საისტორიო ძეგლი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელიც ლეონტი მროველის თხზულებას რამდენიმე საუკუნით უსწრებდა, წინაელინისტური დროის აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ოთხ ქალაქს იცნობს. „ქართლის მოქცევის“ ავტორის სიტყვით, ალექსანდრე მაკედონელს საქართველოში ლაშქრობის დროს მტკვრის ბასეინში დახვდა: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი, და ოძრჯჷ და ციხენი მათნი: „ციხჷ დიდი სარკინისაჲ, უფლის ციხჷ კასპისა, ურბნისისა და ოძრჯისა“[42]. სხვა დანარჩენი, ლეონტი მროველის მიერ დასახელებული ქალაქები და მათ შორის მცხეთაც, „ქართლის მოქცევის“ ავტორის მიხედვით, მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობისა და საქართველოს ტერიტორიაზე არიან ქართლიდან ქართველთ ტომების გადმოსახლების დროიდან წარმოიშობა.

„ქართლის მოქცევის“ ავტორის ეს ცნობა შეიძლება სინამდვილის მეტ-ნაკლებად სწორი ანარეკლი იყოს და იმაზე მიგვითითებდეს, რომ წინაელინისტური ხანის იბერიის სამეფოში საქალაქო ცხოვრება ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული.

ახლად წარმოშობილ იბერიის სამეფოს ვერც საგარეო პირობები შეხვდა ხელსაყრელი. აქემენიდების სპარსეთის მეზობლობა და ზოგ ქართველ ტომზე ბატონობაც აღმოსავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრების განვითარებას ვერ შეუწყობდა ხელს. მართალია, აქემენიდებმა მრავალი სხვადასხვა პროვინცია ერთმანეთს დაუახლოვეს, შედარებით უკეთ მოაწყვეს გზების დაცვა, ჩაატარეს ფულის რეფორმა, მაგრამ ყოველივე ამას არც აქემენიდური სპარსეთისათვის და მით უფრო მისი მეზობლებისათვის დიდი შედეგი არ მოჰყოლია. ვაჭრობა მეტად შეზღუდული იყო. ამ საქმიანობაში მხოლოდ უმთავრესი ქალაქები იღებდნენ მონაწილეობას. თვით ქალაქებიც კი უმნიშვნელო რაოდენობით არსებობდა[43].

სუსტი იყო საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა აქემენიდურ სამყაროსთან; დამახასიათებელია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე მხოლოდ სურამშია აღმოჩენილი აქემენიდური ვერცხლის სიკლა. ე. ა. პ ა ხ ო მ ო ვ ი ამის გამო წერდა: „აქემენიდთა ხანაში (VI—IV სს.) კავკასიის აზერბაიჯანმა, მთელი კავკასიის უმეტესი ნაწილის მსგავსად, ჯერ კიდევ არ იცოდა სამონეტო მიმოქცევა. თვით ისეთი ხალხი, როგორიც კოლხებია, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზე და ელიანთა სავაჭრო ცენტრებთან ახლოს მო-

---

[42] „მოქცევა ქართლისა“, E. Т а к а й ш в и л и, Опис., II, გვ. 708.
[43] შდრ. Г е р о д о т, I, с. 153.

სახლეობენ, მიზანშეწონილად თვლიდნენ დარიოს I (522—485) დროს გადასახადები გადაეხადათ მონებით და არა ფულით. ეს აიხსნება აქემენიანთა მონეტების იშვიათობით ამიერკავკასიაში. ჩემთვის ცნობილია მხოლოდ ორი შემთხვევა, როდესაც ვერცხლის მონეტები აღმოჩნდა სურამსა და ერევანში"[44].

მართალია, ე. ა. პახომოვის მტკიცება, რომ VI—IV სს. ამიერკავკასიამ ჯერ კიდევ არ იცოდა ფულის მიმოქცევა, სწორი არ არის და ამის წინააღმდეგ თვით კოლხური მონეტის არსებობის ფაქტიც და მისი გავრცელების არე ლაპარაკობს, მაგრამ ერთი მაინც ცხადია, ძვ. წ. VI—V სს. ამიერკავკასიის დიდ ნაწილში და მათ შორის იბერიის სამეფოშიც ჯერ კიდევ ფართოდ არ იყო გავრცელებული ფულის მიმოქცევა, ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული ვაჭრობა მეზობელ ქვეყნებთან.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „ქართლის მოქცევის" ავტორის ცნობით, მტკვრის ბასეინზე ამ დროისათვის არსებული ქალაქები — სარკინე, ურბნისი, კასპი და ოძრჯე და იქნებ ზოგი სხვაც, საწარმოო ძალთა განვითარების ჯერ კიდევ დაბალი დონის გამო აქტიურ მონაწილეობას ვერ იღებენ იმდროინდელ, ისედაც მოდუნებულ საგარეო ვაჭრობაში.

აღსანიშნავია, რომ დღემდე წარმოებული არქეოლოგიური დაზვერვები ურბნისში[45] და სარკინეში „ქართლის მოქცევის" ავტორის სასარგებლოდ ლაპარაკობენ და ამ ქალაქების წინაელინისტურ ხანაში არსებობის შესაძლებლობაზე მიგვითითებენ.

უკანასკნელ ხანებში მცხეთის დასავლეთით, ძეგვის მიდამოებში მდებარე სარკინეს ნაქალაქარში წინასწარმა დაზვერვამ ისეთ ნაგებობათა ნაშთებს მიაკვლია, რომელსაც არქეოლოგები ძვ. წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარიღებენ[46]. კასპი და ოძრჯე ამ მხრივ სრულებით შეუსწავლელია და გადაჭრით რაიმეს თქმა შეუძლებელია, მაგრამ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ტრადიციული დაჟინებითი მითითება ამ ქალაქთა უძველეს ხანაში წარმოშობის შესახებ მაინც ანგარიშგასაწევია. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს აგრეთვე ისიც, რომ 1928 წ. კასპში ცე-

---

[44] Е. А. Пахомов, Монетные клады, в. I, с. 14.

[45] П. С. Уварова, Христ. памятники, Матер. по археологии Кавказа, в. IV, 1894, с. 141.

[46] გ. ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევი, გვ. 134; ირ. ციციშვილი, ქრისტიანობის წინადროინდელი ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ძეგლი საქართველოში, Труды ГПИ, № 17, с. 133—134.

მენტის ქარხნის მშენებლობის დროს მუშები წააწყდნენ სამარხს, რომელშიც სხვადასხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა გოტარზეს დრახმაც[47].

აღმოსავლურ ქართულმა სახელმწიფოებრიობამ ძვ. წ. VI საუკუნიდან IV საუკუნემდე განვითარების საკმაოდ გრძელი და მნიშვნელოვანი გზა გაიარა. სოფლის მეურნეობის, ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის შემდგომი განვითარება საქალაქო ცხოვრების დაწინაურებას უწყობდა ხელს.

IV ს. დასასრული და მომდევნო საუკუნეები, წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, იბერიის სამეფოში საქალაქო ცხოვრების აყვავების ხანაა.

„ქართლის მოქცევის" ავტორის ცნობით, ამ დროს წარმოიშობა ქართლის სამეფოს უძველესი დედაქალაქი არმაზი, ქალაქი მცხეთა და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ქალაქი. აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მიხედვით, ლეონტი მროველის მიერ დასახელებული ზოგი ციხე ქალაქად მხოლოდ IV ს. გადაიქცა.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ციხე არმაზის ისტორია. ლეონტი მროველის ცნობით, ქართველთა ეთნარქ „ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთუის არაგვი მტკუარსა და განვიდა მთასა მასზე, რომელსა ეწოდების არმაზი და პირველად შექმნა მუნ ზედა სიმაგრე და იშენა მუნ ზედა სახლი"[48]. ეს ციხე IV ს. „ქართლის მოქცევის" ავტორის მიხედვით თანდათან ქალაქად იქცევა. არმაზის ციხის ციხე-ქალაქად გადაქცევის პროცესი ამ უძველეს საისტორიო ძეგლს შემდეგნაირად აქვს აღწერილი: ალექსანდრე მაკედონელმა აზოს, არიან ქართლის მეფის ძეს საჯდომად მცხეთა მისცა, მაგრამ ეს იყო „ძველი მცხეთა", რომელშიც, როგორც ჩანს, ქალაქი კი არ იგულისხმება, არამედ ძვ. წ. II ათასწლეულიდან უკვე მჭიდროდ დასახლებული მნიშვნელოვანი პუნქტი. საინტერესოა, რომ აზოს მემკვიდრე ფარნაოზი ქალაქის შენებას მცხეთაში კი არ იწყებს, არამედ არმაზში. ფარნაოზმა ჯერ „აღმართა კერპი... და დასდვა სახელი მისი არმაზ და მოქმნა წყლით კერძო და ჰრქვიან არმაზ". არმაზი თანდათან შენდება—მესამე მეფემ საურმაგმა „იწყო არმაზს შენებად", მეოთხე მეფემ „აღაშენა არმაზი", მეხუთემ ამავე მთაზე ციხე აღაშენა; სიმაგრემ უკვე ციხე-ქალაქის სახე მიიღო და მეექვსე მეფემ „ქალაქს

---

[47] Е. А. Пахомов, Монетные клады, в. II, с. 12.

[48] ვახუშტი, აღწერა, A, გვ. 4.

ზღუდე მოაქმნა"; მეშვიდე მეფე ამავე ციხე-ქალაქში შიდა ციხეს ანუ აკროპოლისს აშენებს — არიკ „შიდა-ციხე აღაშენა არმაზისა"[49]. ამრიგად, IV ს. დასასრულსა და III ს. დამდეგს თანდათან წარმოიშვა არმაზის ციხე-ქალაქი თავისი შიდა ციხით.

ქართული საისტორიო წყაროების ამ ცნობას ადასტურებს არქეოლოგიური მონაცემებიც. ეს ციხე-ქალაქი მტკვრის ნაპირზეა გაშენებული, მას ჩრდილო-აღმოსავლეთით მტკვარი უვლის. ჩრდილო-დასავლეთით იგი ბუნებრივად დაცულია ციცაბო, შვეულად დაშვებული ქართლის მთის ერთი ფერდობით, ყოველი მხრით ციხე-ქალაქს გარს არტყია თავდაცვითი კედლები. ს. ჯანაშიას ეს ციხე-ქალაქი საგანგებოდ აქვს აღწერილი[50].

ს. ჯანაშიას დაკვირვებით, არმაზის მთაზე გაშენებულ ციხე-ქალაქს აქვს შიდა ციხე; მთელი ტერიტორია (დაახლ. 30 ჰექტარი) შემოსაზღვრულია ბუნებრივი და ხელოვნური ზღუდეებით, ამ ტერიტორიაზე იყო იმდროინდელი ქალაქიც. მეფეთა ადგილსამყოფელიც — „სვეტებიანი დარბაზი" — დიდრონი ქვებით უკირდღაბოდ ნაშენი. ციხე-ქალაქის წყლით მომარაგება საგანგებოდ იყო მოწყობილი: სამეურნეო დანიშნულებისათვის წყალი ღია წყალსადენებით მოდიოდა, სასმელი წყლისათვის დახურული მილსადენები იყო კარსანიდან გამოყვანილი[51].

ციხე-ქალაქი არმაზი, რომელსაც, ლეონტი მროველის მოწმობით, ადრე ქართლი ეწოდებოდა, ქართლის (იბერიის) სამეფოს უძველეს დედაქალაქად უნდა იქნეს მიჩნეული.

ამავე ხანაზე, IV—III საუკუნეებზე მოდის არმაზის მახლობლად, სულ სამიოდე კილომეტრის დაშორებით, მტკვრისა და არაგვის შესართავთან მეორე მნიშვნელოვანი პუნქტის, მცხეთის დაწინაურებაც, მისი ქალაქად გადაქცევაც. „ქართლის მოქცევის" ავტორის მიხედვით, არმაზის ციხის აგების შემდეგ, აზოს მე-8 მეფეკვიდრის დროიდან იწყება მცხეთის შენებაც: „ბარტმან... მცხეთას ქალაქი დაიწყო... მირვან აღაშენა მცხეთაჲ ქალაქი", ხოლო როკ-

---

[49] Е. Такайшвили, Опис, II, გვ. 709. აღსანიშნავია, რომ არმაზის მთაზე დედა-ციხის აშენებას ლეონტი მროველი ქართლოსის მეუღლეს მიაწერს. ჩვენი აზრით, ლეონტის შემდეგი ცნობა: „მოკუდა ქართლოს და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა ეწოდება არმაზი. და შემდგომად ცოლმან მისმან აღაშენა დედა-ციხე" (A, 5)—ამგვარად უნდა იქნეს გაგებული. სხვა მხრივ სავსებით გაუგებარი იქნებოდა, თუ რომელ დედა-ციხეზეა აქ საუბარი.

[50] С. Н. Джанашиа, Археологические изыскания в Грузии, «Правда», 12. I, 1945, г.

[51] იქვე, გ. ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევი, გვ. 137.

მა — „მცხეთაᲐ გაიშორა“[52], დაამთავრა. პირველად არმაზი აშენდა, ხოლო შემდეგ მცხეთა, ოღონდ იგი არმაზის ციხის აშენებას, როგორც ვნახეთ, ქართლოსს მიაწერს, მცხეთისას კიდევ მცხეთოსს და არა ფარნაოზის მემკვიდრეებს.

არქეოლოგიური მონაცემები ამ შემთხვევაშიც „ქართლის მოქცევის“ ავტორს უჭერენ მხარსა და მცხეთის, როგორც ქალაქის, წარმოშობას IV—III სს. განსაზღვრავენ.

მცხეთის დღესდღეობით არქეოლოგიურად შესწავლილი VI—V სს. სამარხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს დრო აქ მოპოვებული ინვენტარით თითქმის არაფრით განირჩევა იქვე, ადრეული რკინის ხანის სამარხებში მოპოვებული ნივთებისაგან, მაგრამ უკვე მომდევნო დროისათვის მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიმჩნევა. ეს გარდატეხა ძვ. წ. IV—III სს. მოდის. ამ დროის სამარხებში ჩნდება ახალი, თავისებური ძეგლები, ცვლილება ხდება დამარხვის წესშიც და სამარხეულ ინვენტარში: უკვე აღარაა მამაკაცთა სამარხებში იარაღ-საჭურველი, ცოტაა და სხვაგვარია თიხის ჭურჭლები, უმთავრესად სამკაულებია ჩატანებული, ხშირად გვხვდება აგრეთვე ვერცხლის მონეტები, რომელიც ჩვეულებრივ მიცვალებულს პირში უდევს[53]. ამგვარი ცვლილებები, როგორც თავის დროზე ს. ჯანაშიამ შენიშნა, შეიძლება იმაზე მიგვითითებდეს, რომ მცხეთის მოსახლეობის უმეტესობა უკვე ამ დროისათვის ჩამოცილებია მუდმივ მეომრულ საქმიანობას და თავისი სხვა, ახალი ხელობით მშვიდობიან ცხოვრებას ეწევა. მცხეთელი უკვე ქალაქის მცხოვრებად ჩანს: „ჯერ კიდევ პირველი ათასწლეულის დამდეგს, ძველი წელთაღრიცხვით. ბრინჯაოს ხანაში, მცხეთა მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა. მაშინდელი მცხეთელები მეომარი ხალხი იყო, რომელიც უმთავრესად სოფლის მეურნეობას მისდევდა... ელინისტურ ხანაში მცხეთა ქალაქად გადაიქცა. ძველი მეომარი მიწათმოქმედი მცხეთელებიც უფრო მშვიდობიანი მოქალაქეები გახდნენ“[54].

ლეონტი მროველი, როგორც ზემოთაც იყო მითითებული, ქ. რუსთავის წარმოშობას „მამასახლისობის“ ხანას უკავშირებს და მის აშენებას ქართლოსის მეუღლეს მიაწერს: „და შემდგომად ცოლმან მისმან აღაშენა დედა-ციხე და მანვე აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი“[55]. ლეონტისავე ცნობით, როცა ალექ-

---

[52] Е. Такайшвили, Опис., II, с. 709.

[53] გ. ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევი, გვ. 129—132.

[54] საქართველოს ისტორია, ტ. I, გვ. 62—63.

[55] А, გვ. 5.

სანდრე მაკედონელმა საქართველოში ილაშქრა, აქ მაშინ მას, სხვა ქალაქთა შორის, რუსთავიც დახვდა[56]. ამრიგად, რუსთავიც, ლეონტი მროველის მოსაზრებით, წინაელინისტურ ხანას ეკუთვნის. მაგრამ ლეონტი მროველის მოსაზრება ამ შემთხვევაშიც შესწორებას მოითხოვს. დღესდღეობით რუსთავის ძველი ნაქალაქარის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრები მხოლოდ ზოგიერთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. ნათლად ირკვევა, რომ რუსთავის, როგორც დასახლებული პუნქტის, ისტორია იწყება ძვ. წ. II ათასწლეულიდან[57]. ამ დასახლებული პუნქტის ქალაქად გადაქცევის დროის დასადგენად ჩვენ ჯერჯერობით საჭირო არქეოლოგიური მონაცემები არ გაგვაჩნია. მაგრამ მოპოვებული მასალის მიხედვით ის მაინც ცხადი ხდება, რომ რუსთავი არ შეიძლება წინაელინისტური ხანის ქალაქად მივიჩნიოთ. მოპოვებული არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ, რომ ამ დროს ქალაქის წარმოშობისათვის მხოლოდ ნაყოფიერი ნიადაგი მოიპოვებოდა[58]. ასევე შეიძლება ითქვას ლეონტი მროველის მიერ დასახელებულ სამშვილდის, ხუნანის, უფლისციხის და ზოგი სხვა ქალაქის შესახებ, რომელნიც, ჩემი აზრით, აღმოსავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრების აყვავების დროს — IV—III სს. — წარმოშობილად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ამ მოსაზრების კონკრეტული მასალებით დადასტურების შესაძლებლობას ჯერჯერობით მოკლებული ვართ.

ამრიგად, ძველი ქართული საისტორიო წყაროების მონაცემების კრიტიკული შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მათ მიერ უძველეს დროს წარმოშობილად მიჩნეულ ქალაქთა უმეტესობა მხოლოდ IV—III სს. წარმოიშობა. ასეთი ქალაქების რიცხვს ეკუთვნის: არმაზი, მცხეთა, რუსთავი, სამშვილდე, უფლისციხე, წუნდა, ხუნანი და სხვ.

ყველაფერი ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ VI—V სს. იბერიის სამეფოში საქალაქო ცხოვრება ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული. მაგრამ გარდატეხა, როგორც ზემომოტანილი მასალებიდან ჩანს, შესამჩნევი ხდება უკვე IV საუკუნიდან. როგორც აღნიშნული იყო, საწარმოო ძალთა განვითარებამ ამ დროისათვის განაპირობა ხელოსნობისა და ვაჭრობის ისეთი მნიშვნელოვანი ცენტრის წარმოშობა, როგორიც იყო ქ. მცხეთა და სხვ. IV საუკუნისათვის უკვე არსებული ქალაქების — არმაზის, მცხეთის და სხვ. შემ-

---

[56] A, გვ. 12.

[57] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები (წინასწარი ანგარიში), ხელნაწერი, გვ. 49,51.

[58] იქვე, გვ. 52.

დგომ დაწინაურებას და ზოგი ახალი ქალაქის წარმოშობას ხელი შეუწყო აგრეთვე საქართველოს მეზობლებში IV ს. დასასრულისათვის მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმაც. როგორც ცნობილია, აქემენიდური სპარსეთის ვრცელი ტერიტორია დაპყრობილი იქნა ბერძნებისა და მაკედონელების მიერ. ალექსანდრე მაკედონელმა უზარმაზარი იმპერია შექმნა.

თუმცა ისე როგორც აქემენიდების, ასევე ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილი სახელმწიფოც შემთხვევით და ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებულ კონგლომერატთა ჯგუფს წარმოადგენდა. ბერძენ-მაკედონელთა დაპყრობით ომებს აღმოსავლეთისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია. ბერძენმა კოლონიზატორებმა აღმოსავლეთში მრავალი ახალი ქალაქი დააარსეს; გამოცოცხლება დაიწყო ძველმა ქალაქებმაც, განვითარდა ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა, მსოფლიო ვაჭრობაში ჩაება არა მარტო მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ ინდოეთიცა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიც. აქემენიდების დროსთან შედარებით ვაჭრობის განვითარებამ სხვადასხვა სახელმწიფოებთან ეკონომიკური და კულტურული კავშირის განმტკიცებამ ხელი შეუწყო მეზობელი ქვეყნების აქტივობის შემდგომ ზრდას. ქართლისა და ეგრისის სამეფოები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ელინისტური სამყაროს ეკონომიკურ-კულტურულ საქმიანობაში და იმდროინდელ მსოფლიოს თავის საკუთარ მიღწევებსაც უზიარებდნენ.

ელინისტურ ქვეყნებთან საქართველოს მჭიდრო ეკონომიკურ და კულტურულ კავშირზე მეტყველებს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული მრავალი არქეოლოგიური მასალა; მათ შორის კი ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ნუმიზმატიკურ მასალას ეკუთვნის.

ე. ა. პახომოვი ამიერკავკასიაში აღმოჩენილი ელინისტური ხანის ნუმიზმატიკური მასალების ანალიზმა შემდეგ დასკვნებამდე მიიყვანა: „მართალია, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები უშუალოდ არ შეხებია ამიერკავკასიას; მაგრამ თავისთავად მკვეთრი გარდატეხა მოახდინა კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში... ფულადი სისტემის ცვლილებას შეიძლება თვალი მიადევნო არა მხოლოდ საუკუნეებით, არამედ, იშვიათად, ათეული წლებითაც. ალექსანდრეს დრახმები და ტეტრადრახმები გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, იშვიათად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში, კიდევ უფრო იშვიათად სამხრეთში, ალექსანდრე მაკედონელის ვერცხლი

ოქროსთან ერთად ვრცელდებოდა როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში"[59].

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ უცხოეთის გზით შემოსული ფული, როგორც ჩანს, არ იყო საკმარისი ადგილობრივ გაშლილი სავაჭრო ურთიერთობისათვის და მალე იწყება ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მიბაძვით ფულის მოჭრაც. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ასეთი მინაბაძები აღმოჩენილია მცხეთაში[60].

მომდევნო საუკუნეში ფულის მიმოქცევაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიმჩნევა. მაშინ, როდესაც სომხეთი ისევ სელევკიდების მონეტით სარგებლობდა, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და მთელ საქართველოში, თბილისის მიდამოების ჩათვლით, ჩნდება ლიზიმიხის ვერცხლისა და ოქროს მონეტები, მაგრამ ლიზიმიხის მონეტები „თავის დროზე იმდენად შემოვიდა სავაჭრო მიმოქცევაში, რომ მისი უკმარობის ჟამს საქართველოში აუცილებელი შეიქნა ოქროსგან მოეჭრათ უფრო ნაკლები წონითა და ცუდი სინჯით. იგი ნაპოვნია ბათუმის, გორისა და მცხეთის განძებში. მათი გავრცელების არეალი თბილისთან თავდება"[61].

ყოველივე ეს იმაზე მიგვითითებს, რომ საქართველოს იმდროინდელი სამეფოები არა მარტო საგარეო ვაჭრობაში იღებდნენ მონაწილეობას, არამედ ურთიერთშორისაც მჭიდრო ეკონომიკურ კავშირს ამყარებდნენ.

როგორც ვხედავთ, IV—III სს. საქართველოში საქალაქო ცხოვრების შემდგომი განვითარებისა და დაწინაურების საუკუნეებია და, ალბათ, ამით აიხსნება, რომ ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, განსაკუთრებით „მოქცევაჲ ქართლისაჲ", საქართველოს უმთავრესი ქალაქების წარმოშობას და ზოგი ციხის კიდევ ქალაქად გადაქცევას ამ დროს უკავშირებს.

ძველი ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ზემოხსენებულ ქალაქთა გარდა, IV—III სს. წარმოიშობა აგრეთვე დასავლეთ საქართველოში ციხე-გოჯი[62], რომელიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბერძენ ისტორიკოსთა მიერ მოხსენიებულ Ἀρχαιόπολις-თან არის გაიგივებული, მაგრამ ციხე-გოჯის ანუ Ἀρχαιόπολις ნაქალაქარად მიჩნეულ ტერიტორიაზე დღემდე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ჯერჯერობით მხოლოდ გვიან-

---

[59] Е. А. Пахомов, Монетные клады.., в. I, с. 15—16.

[60] იქვე, გვ. 16.

[61] იქვე.

[62] ლეონტი მროველი, A, გვ. 17, ვახუშტი, აღწერა, გვ. 66—67.

რომაული და ადრებიზანტიური ხანის ძეგლებია მიკვლეული[63]. დასავლეთ საქართველოში ამავე დროს, ქართული წყაროების მიხედვით, წარმოიშობა აგრეთვე შორაპანიც[64]. აღმოსავლეთ საქართველოში კიდევ ნეკრესი[65]. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით შეიძლება შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ. საქალაქო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით წინაელინისტურ ხანაში შედარებით დაწინაურებული ჩანს კოლხეთის მონათმფლობელური სახელმწიფო. წინაელინისტური და ელინისტური დროისათვის კოლხეთის სამეფოში ქალაქების — აიას, ტრაპიზუნტის, კერასუნტის, ნიკოფსეს, ბათომის[66], ფაზისის, დიოსკურიას (ცხუმის), ეგრისის (ბედია), ვანის, ციხე-გოჯის, შორაპნის — არსებობა ეჭვს არ იწვევს.

წინაელინისტურ ხანაში შედარებით სხვაგვარი მდგომარეობაა იბერიის მონათმფლობელურ სახელმწიფოში. ამ დროისათვის მტკვრის აუზში შეიძლება ვივარაუდოთ მხოლოდ ზოგიერთი ქალაქის — კასპის, ურბნისის, სარკინეს, ოძრჯის და სხვათა არსებობა, რომელნიც დიდხანს ვერ ინარჩუნებენ ეკონომიკური ცენტრების მნიშვნელობას და ადრე ქრებიან.

უმთავრესი ქალაქების წარმოშობა იბერიის სამეფოში ძირითადად ელინისტურ ხანაზე მოდის. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ამ დროისათვის წარმოიშობიან ისეთი ქალაქები, როგორიცაა არმაზი, მცხეთა და რუსთავი. ამავე დროისათვის სავარაუდებელია აგრეთვე არტაანის, გაჩიანის, სამშვილდის, უფლისციხის,

---

[63] საქართველოს ისტორია, ნ. I, გვ. 100, ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 318—319; სწორედ იმის გამო, რომ ციხე-გოჯის ნაქალაქარად მიჩნეულ ტერიტორიაზე გვიანრომაულ ხანაზე უძველესი ძეგლები არ არის აღმოჩენილი, ნაქალაქარის ამ ტერიტორიას ელინისტური ხანის ციხე-გოჯის ადგილად ვერ მივიჩნევთ. ქართული წყაროებით ციხე-გოჯს უფრო მეტი ხნის ისტორია უნდა ჰქონდეს. ამას გარდა, ნიშანდობლივად მიგვაჩნია „დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობის“ ავტორის ცნობა „მეგრელთა ქვეყანაში“ ქალაქ ჯიხან-ქუჯის ანუ ჯიხან-ქეჯის არსებობის შესახებ (იხ. ГМГ, 2867, с. 335; Н: 1370, т. 0. 103), რაც სავსებით შეესატყვისება ამავე ძეგლის სხვა ვარიანტებში მოხსენებულ „ქუჯის ციხეს“ ანუ „ციხე-გოჯს“, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ იგი შემდეგ-დროინდელ „ჯიხა ქვინჯს“ ანუ „ჭაქვინჯს“ უნდა შეესაბამებოდეს, მაგრამ ყველაფერ-ამაზე ჩვენ თავის დროზე საგანგებოდ შევჩერდით და ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ, რომ ციხე-გოჯის ნაქალაქარი სხვაგანაა საძიებელი. (ავტორისეს მოსაზრება უკანასკნელ პერიოდის არქეოლოგიურ აღმოჩენებსა და მეცნიერულ-კვლევა-ძიების შედეგებს არ შეესაბამება (რედ.).

[64] ლეონტი მროველი, A, 17; ვახუშტი, აღწერა, 154.

[65] ლეონტი მროველი, A, 21, 24, 41; ვახუშტი, აღწერა, 99.

[66] ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. X, 1950—51, გვ. 17—24.

ხუნანის, წუნდას, თუხარისის, ჰერეთის (ხორანთას) და ნეკრესის წარმოშობაც. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, რომელიც ახალი, განსაკუთრებით არქეოლოგიური, მასალების მოპოვების შემდეგ, დასაბუთებას, საფუძვლიან შესწორებასა და დაზუსტებას მოითხოვს.

* *
*

ძველ ქართულ ენაში „ქალაქი" (qalaqi), ზოგიერთი ავტორის მიხედვით, ასურულიდან უნდა იყოს შემოსული. ნ. მარი, თავის დროზე, ქართულ „ქალაქს" («Ḳалак̆») ასურულ „ქარქა"-ს უკავშირებდა. ამგვარსავე მოსაზრებას გამოთქვამდა ადრე ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. იგი წერდა: „ქალაქი" («Ḳалак̆») „Не туземного происхождения и является заимствованным Via armeniaca сирийским словом ܩܠܩܐ; это слово образовано от глагола ู. ๆ. окружать, огородить. Будучи заимствованным, в армянском оно приняло форму քաղաք Ḳaiak̆ или по древнему произнашению Ḳалак̆»[67].

ცოტა ხნის შემდეგ ნ. მარმა უარყო ზემოაღნიშნული მოსაზრებები და ტერმინ „ქალაქის" ახალი, თავის „მოძღვრებებზე" დაფუძნებული ეტიმოლოგია წარმოადგინა[68], მაგრამ როგორც ივ. ჯავახიშვილმა სავსებით სამართლიანად შენიშნა, ტერმინ „ქალაქის" „ეტიმოლოგია არც პირველსა და არც მეორე შემთხვევაში მაინც და მაინც ისეთი დამაჯერებელი არ არის, რომ დანამდვილებით რაიმეს თქმა შეიძლებოდეს. არც ასურულში აქვს მას თავისი ეტიმოლოგია და ჯერჯერობით არც ქართულში ჩანს სრულებით დამაჯერებელი ეტიმოლოგია"[69]. ასე რომ, ივ. ჯავახიშვილმა უარყო მარის მიერ შემოთავაზებული ეტიმოლოგია, ასევე საეჭვოდ მიიჩნია თავისივე ადრე გამოთქმული მოსაზრებაც.

მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა, კარგად ირკვევა, რომ თავდაპირველად „ქალაქი" ქართულში გამაგრებულ, ზღუდეშემოვლებულ ადგილს ეწოდებოდა. „ადრია მოციქულის მიმოსვ-

---

[67] И. Д ж а в а х о в, Гос. строй, с. 40.

[68] Н. Я. М а р р, Ани, М.-л. 1934, с. X.

[69] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მატერიალური კულტურის ისტორიის მასალები, I, გვ. 33.

ლის“ ქართულ ვერსიაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „დაბასა ნიკეას ბითვინიისასა რამეთუ არღარა იყო იგი ქალაქად, არამედ უკანასკნელ შეზღუდა იგი და განავრცელა მეფემან ტრაიანე მან“[70].

როგორც ჩანს, სიმაგრეებით შემოსაზღვრული სოფელი იქცევა ქალაქად. ამ და ზოგი კიდევ სხვა მასალის მიხედვით ივ. ჯავახიშვილი სავსებით მართებულად დაასკვნიდა: სიტყვა „ქალაქმა“ ძველ ქართულში, ზოგიერთ შემთხვევაში, შეინარჩუნა თავდაპირველი მნიშვნელობა — შემოზღუდვა, სიმაგრე[71].

ასე რომ, ძველ ქართულში Калаки (ქალაქი) თავდაპირველად გამაგრებულ დასახლებულ პუნქტს ნიშნავდა და იმასვე უდრიდა, რასაც ერთ დროს ბერძნების Ἀκρόπολις, ეტრუსკების, რომაელებისა და გალების oppida, გერმანელების Bürg, სლავების Град (город)[72] და სხვ.

ტერმინ „ქალაქს“ ამგვარი თავდაპირველი მნიშვნელობა დიდხანს არ შეუნარჩუნებია. ქართულში გამაგრებული ადგილის აღსანიშნავად ადრიდანვე მკვიდრდება ციხე (цихэ). ამიერიდან კი ქალაქი განსხვავებულ, მჭიდროდ დასახლებულ პუნქტს ეწოდება და თავისი შინაარსით უპირისპირდება „სოფელს“ («сопели»), „დაბას“ და „კევს“. ერთ-ერთ უძველეს ქართულ საისტორიო ძეგლში, „წმ. ნინოს ცხოვრებაში“, მაგალითად, ნათქვამია: „მაშინ იქმნა ყოველი კაცი სოფლად და ქალაქად“[73].

„ქალაქი“ თავისი შინაარსით დაუპირისპირდა არა მარტო სოფელს, არამედ გამაგრებულ პუნქტსაც, ციხესაც; ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებში ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმები: „განამაგრნეს ციხენი და ქალაქნი“[75]. „ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა“[74] და სხვ. დამახასიათებელია, რომ ლეონტი მროველის ცნობით, ქართველთა ეთნარქი ქართლოსი პირველად მხოლოდ ციხეებს აგებს: ქართლოსმა „პირველად შექმნა მუნ (არმაზსა, შ. მ.) ზედა სიმაგრე და იშენა მუნ ზედა სახლი“[76]. ასევე მის მიერვე აგებულ

---

[70] მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 31; ср. И. Джавахов, Гос. строй, с. 40.

[71] И. Джавахов, Гос. строй, с. 41.

[72] См. Анри Пиренн, Средневековые города и возрождение торговли, Горький, 1941, с. 38; Б. Д. Греков, Киевская Русь, М., 1949, с. 92—93; М. Н. Тихомиров, Древнерусские города, М., 1946, с. 6—8.

[73] Е. Такайшвили, Опис., II, с. 754.

[74] ლეონტი მროველი, А, გვ. 9, 11.

[75] იქვე, გვ. 10.

[76] იქვე.

იქნა ორბისი (სამშვილდის), მტვერის (ხუნანის) ციხე და სხვ.: აღაშენა „ციხე ორბისა, რომელსა ჰქვიან სამშვილდე და კუალად აღაშენა მტუერისა ციხე, რომელსა აწ ჰქვიან ხუნანი“[77].

ის ფაქტი, რომ „ქალაქი“ თავდაპირველად გამაგრებულ ადგილს ნიშნავდა, და ისიც, რომ ძველი ქართული საისტორიო მწერლობით ქართველთა ეთნარქი პირველად სიმაგრეს, ციხეს აგებს და შემდეგ იწყება იქ ქალაქის მშენებლობა, იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების წარმოშობის უმთავრესი საწყისები სწორედ ამ ციხე-სიმაგრეებში უნდა ვეძიოთ. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ისიც, რომ ქალაქები ძველ საქართველოში, წყაროების მიხედვით, ომიანობის შემთხვევაში ისეთსავე თავშესაფარს წარმოადგენდა, როგორსაც ციხე და საქართველოს მიუვალი მთიანი რაიონები. ლეონტი მროველის ცნობით, ომიანობის მოსალოდნელი საშიშროების დროს „მეფეთა ქართლისათა უბრძანეს ქვეყანათა მათთა შელტოლა ციხეთა, ქალაქთა და მთიულეთთა“[78].

წინაფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქები რომ თავიანთ საწყისებს ციხეებისაგან იღებენ, ამაში ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ზოგი ქალაქის წარმოშობის ისტორიის და აგრეთვე მათი ადგილ-მდებარეობის გათვალისწინებაც გვარწმუნებს.

ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლოსის მიერ არმაზის (ქართლის) მთაზე აშენებული „სიმაგრე“, „ქართლის მოქცევის“ ავტორის მიხედვით, თანდათან, IV ს. დასასრულსა და III ს. დამდეგს ციხე-ქალაქად იქცა. ასევე, ქართლოსის მიერ აშენებული სამშვილდის ციხეც, ვახუშტის მიხედვით, ქალაქად იქცა ფარნაოზ მეფის დროს (IV ს. დასასრული). დამახასიათებელია, რომ ვახუშტის წარმოდგენით, სამშვილდის ქალაქად გადაქცევა მჭიდროდაა დაკავშირებული მის საერისთავო რეზიდენციად გახდომასთან: ვახუშტი წერს: „ციხე ორბეთი, აწ წოდებული სამშვილდე აღაშენა ქართლოს და პირველმან მეფემან ფარნაოზ ჰყო საერისთაო და ქალაქი“[79].

ასეთივე ისტორია აქვს ხუნანსაც, იგიც, ქართლოსის მიერ აშენებული ციხე საერისთავო რეზიდენციად და ქალაქად ფარნაოზის დროიდან იქცევა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ძველი ქართული საისტორიო

---

[77] იქვე.
[78] იქვე. გვ. 30.
[79] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 44.

მწერლობის მიერ საქართველოს უძველეს ქალაქებად მოხსენებული პუნქტები იყო არა მარტო მნიშვნელოვანი სიმაგრეები, არამედ მათი უმრავლესობა აგრეთვე ადმინისტრაციულ ცენტრებსაც — მეფეთა საჯდომებს, საერისთავო რეზიდენციებს წარმოადგენდა. ასეთი იყო არმაზი, მცხეთა, არტაანი, ოძრჯე, რუსთავი, სამშვილდე, ხუნანი, ეგრი, ციხე-გოჯი და სხვ.

ამრიგად, წინაფეოდალური ხანის საქართველოს უმთავრესი ქალაქების წარმოშობა ძირითადად დაკავშირებულია ციხეებთან და მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ცენტრებთან — უმთავრესად აქ იყრიდა თავს იმდროინდელი ხელოსნურ-ვაჭრული მოსახლეობა. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ქართულ წყაროებში მოხსენებული წინაფეოდალური ხანის ქალაქები ყოველთვის ციხესთან არიან დაკავშირებული და უმეტესად ციხე-ქალაქებად მოიხსენიებიან. ქართულ წყაროებში ციხე-ქალაქებად იწოდებიან თუხარისი, კასპი, სარკინე, წუნდა, უფლისციხე, არმაზი, სამშვილდე, ციხე-გოჯი და სხვ.

ბუნებრივია, ციხე თუ ადმინისტრაციული ცენტრი ყოველთვის არ შეიძლებოდა ქალაქის წარმოშობის მიზეზი ყოფილიყო. ციხეები სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან უბნებზე შენდებოდა, მაგრამ ესა თუ ის სტრატეგიულად, სამხედრო თვალსაზრისით თავისთავად მნიშვნელოვანი რაიონი და მისი ციხე, ცხადია, ყოველთვის არ ქმნიდა ქალაქის წარმოშობისათვის ხელსაყრელ პირობებს. ადმინისტრაციული პუნქტი, ციხე მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა გამხდარიყო ხელოსნურ-ვაჭრული მოსახლეობის თავშესაფარი, როცა იგი სამეურნეო თვალსაზრისით დაწინაურებულ რაიონში მდებარეობდა; მხოლოდ ამგვარ შემთხვევაში ეკისრებოდა ციხეს ადამიანთა არა მარტო სიცოცხლის, არამედ ქონების დაცვაც. ყოველივე ამის შედეგად კი იგი სხვაგვარად ეწყობოდა, ვიდრე ჩვეულებრივი ციხე და თანდათან ციხე-ქალაქის სახეს იღებდა[80]. შემთხვევითი არ არის, რომ იბერიის სამეფოს ზემოჩამოთვლილი ქალაქების დიდი უმეტესობა სწორედ ქართლის შიდა და სამხრეთ რაიონებზე მოდის, რომელიც სამეურნეო თვალსაზრისით ამ დროისათვის, შედარებით სხვა რაიონებთან, განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს. ასევე შეიძლება ითქვას კოლხეთის იმ რაიონების შესახებაც, სადაც არსებობდნენ ქალაქები — შორაპანი, ვანი, ციხე-გოჯი, ეგრი და სხვ.

წინაფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების წარმოშობა-

---

[80] ირ. ციციშვილი, ქრისტიანობის წინადროინდელი ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ძეგლი საქართველოში, Труды ГПИ, 1948, № 17, გვ. 131.

ში ერთგვარი როლი სავაჭრო გზებსაც ჰქონდა. მნიშვნელოვან სამდინარო გზაზე წარმოშობილ ქალაქებად ჩანან მცხეთა, ხუნანი, რუსთავი, კასპი, ურბნისი, სარკინე და სხვა, რომელნიც მტკვრის ნაპირებზე მდებარეობდნენ. მაგრამ სავაჭრო გზა ქალაქის წარმოშობის ერთადერთ პირობად არ შეიძლება მივიჩნიოთ. მარტო ამ საფუძველზე წარმოშობილი ქალაქები გზის გადანაცვლებასა ან კიდევ მისი მნიშვნელობის შემცირებასთან ერთად ქრებიან. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აქ დასახელებულმა ზოგმა უძველესმა ქალაქმა — კასპმა, ურბნისმა, სარკინემ — დიდხანს ვერ იარსებეს, ზოგმა მათგანმა, მაგალითად სარკინემ, ქართული წყაროების მიხედვით, მხოლოდ ძვ. წ. IV ს. დასასრულამდე გაძლო.

რას წარმოადგენდა ტოპოგრაფიულად წინაფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქები? მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი.

არმაზი, როგორც ზემოაღნიშნული არქეოლოგიური მასალებიდან ჩანდა, წინაფეოდალური ხანის ტიპიური ციხე-ქალაქია თავისი კლდეებითა და კოშკებით, დედა-ციხით. საინტერესოა, რომ თვით ციხე-ქალაქის ტერიტორიის შიგნით არის იმდროინდელი ქალაქიც. ქალაქი ჯერ კიდევ არაა გაშორებული ციხის ტერიტორიას.

უფლისციხე მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზეა გაშენებული. ადრე მას (როგორც ეს დღესაც ეტყობა) მდინარე უფრო ახლო ჩაუდიოდა, ვიდრე დღეს. ჩრდილო-დასავლეთიდან ქალაქს კლდეში ამოკვეთილი თხრილი ჰქონდა შემოვლებული, რომელიც, ჩემი აზრით, საჭირო შემთხვევაში მტკვრის ერთი ტოტით შეიძლებოდა გაევსოთ. ასე რომ, უფლისციხე ზოგჯერ ნახევარ კუნძულს და ზოგჯერ კიდევ კუნძულს წარმოადგენდა მტკვარში. საკუთრივ ქალაქი ამ ბუნებრივ და ხელოვნურ ზღუდეებში იმყოფებოდა. მისი უმთავრესი ნაგებობანი კლდეშია გამოკვეთილი. აქ ჩვენ ვხვდებით კლდეში რამდენიმე სართულად ნაკვეთ ოთახებს, დარბაზებს, თვით ანტიკური ხანის თეატრსაც კი[81], ქუჩებს, მოედნებს, საიდუმლო გვირაბს მტკვრისაკენ და სხვ.

სამშვილდეს (იხ. გეგმა) სამხრეთით მდ. ქცია ჩაუდის, ჩრდილოეთით მდ. ჭივჭვა. იგი სამკუთხედის ფორმისაა, ადვილად მისადგომი მხარიდან გადაკეტილია დედა-ციხით. ქციისა და ჭივჭვას ნაპირები თითქმის ვერტიკალურად არის დაშვებული საკმაოდ ღრმად, ისე რომ, ისინი დღესაც მიუვალი ჩანან, მაგრამ ქალაქი ძველად ამ მხრივაც გაუმაგრებიათ — კედლების კვალი დღესაც შეიმჩნევა.

---

[81] Ср. Ш. Н. Амиранашвили, История грузинского искусства, М., 1950, с. 87—88.

ამ სამკუთხა ტერიტორიაზე იყო მოქცეული თავის დროზე უძველესი ქალაქიც და სხვა ძველი ნაგებობანი. ციხე-ქალაქს შემსვლელთათვის მხოლოდ ერთი კარი, დედა-ციხეში გამავალი ჰქონდა.

ხუნანს ჩრდილო-აღმოსავლეთით მტკვარი ჩაუდის, სამხრეთით ქცია. ციხე-ქალაქი მათ შესართავზე იყო გაშენებული, ისე რომ ესეც სამკუთხედის ფორმის ნახევარ კუნძულს მოგვაგონებს. ხუნანი სავსებით შეუსწავლელია. მაგრამ, საფიქრებელია, რომ ესეც, ისე როგორც სამშვილდე, დედა-ციხით გადაკეტილი იყო მტკვრიდან ხრამამდე (ქციამდე) და ქალაქიც თავდაპირველად მდინარეებითა და ციხით შემოსაზღვრულ ტერიტორიაში იყო მომწყვდეული.

რუსთავი (იხ. გეგმა) მტკვრის მარცხენა ნაპირზეა. დასავლეთით მას მტკვარი უვლის, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი საგანგებოდ გაყვანილი არხი. სამხრეთ-აღმოსავლეთით არის ციხის მთავარი (ერთადერთი) შესასვლელი. რუსთავის საკმაოდ დიდი ციხის ტერიტორიაში ივარაუდება უძველესი ქალაქის არსებობაც. მაგრამ ეს ნაქალაქარის რაიონი დღესდღეობით არქეოლოგიურად შესწავლილი არ არის.

ასევე მდინარეთა შესართავზე იყო გაშენებული მცხეთა (მტკვრისა და არაგვის), კასპი (მტკვრისა და ლეხურას) და სხვ. მსგავსი სახე ჰქონდათ დასავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქებსაც: შორაპანს დასავლეთით მდ. ყვირილა ჩაუდის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ძირულა. მდინარეთა შესართავებით შექმნილი სამკუთხედი აქაც ციხითაა გადაკეტილი. ციხე მდ. ყვირილას გვირაბით უერთდებოდა. ციხე საკმაოდ ვრცელი იყო, ისე რომ, იქ ქალაქის არსებობა, ამ სიმაგრესთან ერთად, სავსებით დასაშვებია. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო ჩანს სტრაბონის შემდეგი მითითება: „ფასადი (რიონის ზედა წელი და ყვირილა, შ. მ.) სანაოსნოა ზემოთ სარაპანამდე“[82].

ასეთივე სახის ქალაქად ჰქონდათ წარმოდგენილი ძველ ბერძნებს კოლხეთის უძველესი დედაქალაქი აიაც: „აია (Αἶα) კოლხთა ქალაქია ეიტის მიერ აშენებული, ზღვიდან 300 სტადიონითაა დაშორებული. მას გარს უვლის ორი მდინარე: იპი და კიანე და ნახევარკუნძულს ქმნიან“ [83]

ორმაგი თხრილებითა და კედლებით გამაგრებული ყოფილა ახ. წ. II ს. დამდეგის ფასიდიც: „კედლების გარშემო გაყვანილია

---

[82] В. В. Латышев, Известия, I, с. 136.

[83] Стефан Византийский, В. В. Латышев, там же, с. 253.

ორმაგი თხრილი; ორივე განიერია. წინათ კედლები იყო თიხით აშენებული, მათზე ხის კოშკები იდგა, ამჟამად კედლებიცა და კოშკებიც ნაგებია გამომწვარი აგურისაგან, იგი მყარ საძირკველზეა ნაგები"[84] — წერდა არიანე ადრიანე კეისარს.

ზემომოტანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ მონათმფლობელური ხანის საქართველოს ციხე-ქალაქები შენდებოდა უმთავრესად ბუნებრივად გამაგრებულ, მდინარეთა შესაყარ, ძნელად მისადგომ ადგილებზე; მათ ხელოვნურად — კედლებით, თხრილებით, კოშკებით — კიდევ უფრო ამაგრებდნენ. საკუთრივ ქალაქი — ვაჭარ-ხელოსანთა სამოსახლო ადგილები ჯერ კიდევ ციხე-ქალაქის კედლებშია მომწყვდეული[85], ყველაფერი ეს ნათლად მიგვითითებს ამ ციხე-ქალაქთა პირვანდელ დანიშნულებაზე, ციხეებზე, როგორც მონათმფლობელური ხანის საქართველოს ქალაქების საწყისებზე.

ამას გარდა, ზემომოტანილი მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ ციხე-ქალაქი უმთავრესი, ძირითადი ტიპია მონათმფლობელურ საქართველოს საქალაქო ცხოვრებაში.

წინაფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მცხეთას.

როგორც ზემომოტანილი არქეოლოგიური და წერილობითი მასალებიდან ჩანდა, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არმაზის ციხე-ქალაქისა და იქვე, სამიოდე კილომეტრის დაშორებით მტკვრის მარცხენა ნაპირზე, არაგვის შესართავთან, მცხეთის წარმოშობაც თითქმის ერთდროულად ხდება. მაგრამ არმაზის ციხე-ქალაქი, როგორც ჩანს, თავის ციხის კედლებში ვეღარ იტევს ხელოსნურ-ვაჭრულ მოსახლეობას და ქალაქის მოსახლეობა იქვე, მის მახლობლად წარმოშობილ მცხეთაში გადადის. ამის წყალობით მცხეთა თანდათან ძლიერდება და ვაჭრობა-ხელოსნობის მნიშვნელოვან ცენტრად იქცევა, რასაც ცხადყოფს აქ წარმოებული არქეოლოგიური გათხრები და წერილობითი წყაროებიც. ასე გაძლიერებული მნიშვნელოვანი პუნქტი უკვე ბერძნულ წყაროებშიც არმაზთან ერთად მოიხსენიება, როგორც ცალკე ქალაქი: „ამ მდინარეებთან (მტკვარი და არაგვი, შ. მ.) მათი შესართავის ზემოთ მდებარეობს გამაგრებული ქალაქები კლდეზე, ერთმანეთისაგან 16 სტადიონით დაცილებულნი"[86]. მაგრამ მცხეთის დაწინაურება ამაზე აღარ შეჩერებულა, იგი მალე

---

[84] В. В. Латышев, там же, с. 221.

[85] შდრ. ირ. ციციშვილი, ქრისტიანობის წინადროინდელი ხუროთმოძღვრების ზოგიერთი ძეგლი საქართველოში, Труды ГПИ, 1948, № 17, с. 131

[86] Латышев, Известия, I, с. 140.

„ქალაქად დიდად და დიდებულად“[87] იქცევა. საკმაოდ ვრცელი ხდება მისი ტერიტორიაც: ყველა ნიშნის მიხედვით, წერდა ს. ჯანაშია, მცხეთა იყო ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი თავისი დროისათვის, ამაზე მეტყველებენ თუნდაც მისი ტერიტორიის ზომები; იგი გადაჭიმული იყო აღმოსავლეთით — ზემოავჭალის რკინიგზის ხიდამდე... ჩრდილოეთით ქალაქი გრძელდებოდა სამთავროს ეკლესიამდე[88].

დამახასიათებელია, რომ უკვე ასე გაძლიერებული ქალაქი ახ. წ. II საუკუნისათვის ბერძენ-რომაელი მწერლებისთვისაც თავისი ნამდვილი სახელით ხდება ცნობილი. პტოლომე მას „μεστ-λῆτα“ (მესტლიტას) უწოდებს. პტოლომეს ცნობით მესტლიტა (მცხეთა) და Ἀρμαχτ:ικα (არმაზი) ჯერ კიდევ დამოუკიდებელი ცალკე ქალაქებია[89], მაგრამ მალე, სახელოსნო-სავაჭრო მოსახლეობისა და ამასთან ერთად ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრის არმაზიდან მცხეთაში გადანაცვლების გამო, ძველი ციხე-ქალაქი არმაზი კარგავს მნიშვნელობას, როგორც ქალაქი, და ამიერიდან მხოლოდ ციხის როლს ასრულებს. იგი გაძლიერებული მცხეთის დედა-ციხედ იქცევა. მცხეთა კი ამ უზარმაზარი აკროპოლისის ქალაქს, მის რაბადს წარმოადგენს. ამგვარად, ძველი ციხე - ქალაქი ამიერიდან ქალაქის ციხეტებად, მის ციხედ გადაიქცევა. ამით აიხსნება, რომ ბერძენ ისტორიკოსთა მიერ ერთ დროს მთავარ ქალაქად მოხსენიებულ „არმიზიკეს“ (არმაზს) დიონ კასიუს კოკეონი უკვე აკროპოლისს უწოდებს[90]. დამახასიათებელია, რომ ქართულ წყაროებშიც, ახ. წ. IV ს. დამდეგის ამბავთან დაკავშირებით ძველ ნაქალაქარად არმაზის ციხე-ქალაქი მოიხსენიება.

ამრიგად, არმაზისა და მცხეთის შერწყმის პროცესი, რომელიც თავის საწყისებს ძველი წელთაღრიცხვის დამლევისათვის იღებს, ახალი წელთაღრიცხვის II—III სს. სრულდება, სწორედ მაშინ, როცა ქართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხები ხდება, როცა კრიზისს განიცდის მონათმფლობელური ურ-

---

[87] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, Е. Т. Такайшвили, Опис., II, 731.

[88] С. Н. Джанашиа, Археологические изыскания в грузии, «Правда», 12. I. 1945. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ს. ჯანაშიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „თავიდანვე „არმაზციხე წარმოადგენდა მხოლოდ მთელს ნაწილს, კერძოდ, მცხეთის კრემლს“ (იხ. იქვე). ამგვარი მოსაზრების წინააღმდეგ, ჩვენი აზრით, გარდა ქართულ-უცხოური წერილობითი წყაროებისა, არქეოლოგიური მონაცემებიც ლაპარაკობს, რომლის მიხედვითაც არმაზციხის ტერიტორიაზე ელინისტური ხანის ქალაქის არსებობა უდავოდ არის მიჩნეული.

[89] В. В. Латышев, Известия, I, с. 242.

[90] იქვე, გვ. 613.

თიერთობა და როცა თანდათან ფეხს იკიდებს ახალი, ფეოდალური ურთიერთობა... და ეს შემთხვევითი არ იყო. ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობა სახეს უცვლიდა ძველ მონათმფლობელურ ციხე-ქალაქებს, ზოგი სავსებით ქრებოდა და ზოგი კიდევ ფეოდალური ქალაქის დამატებად იქცეოდა.

წარმოების მონათმფლობელურ წესს, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც ახალი, შედარებით პროგრესული ფეოდალური ურთიერთობა ცვლის.

ჯერ კიდევ ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე საქართველოში წარმოების ორი წესი ებრძვის ერთმანეთს. ფეოდალური ურთიერთობის შემდგომ წარმატებებს აპირობებს საწარმოო ძალთა განვითარებაში მომხდარი ცვლილებები. იმ დროისათვის განსაკუთრებით უმჯობესდება რკინის დამუშავება, რომლისგანაც უკვე უფრო რთული სასოფლო-სამეურნეო და საომარი იარაღები კეთდება. სასოფლო-სამეურნეო იარაღების განვითარებას მოჰყვა მიწათმოქმედების შემდგომი განვითარება, მოჰყავთ მეტი პურეული, განვითარდა მებაღეობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში მევენახეობის შემდგომ განვითარებას. ინტენსიური მეურნეობის პირობებში მონური შრომა თანდათან უვარგისი ხდება; იგი ახალ, შრომის ნაყოფიერებით დაინტერესებულ მუშახელს შოითხოვდა. ასეთს გლეხები წარმოადგენდნენ, რომელნიც ჯერ კიდევ სტრაბონის დროს სამეფო მამულებს ამუშავებდნენ. სტრაბონისეული მეოთხე გვარი ხალხი, „λαοί“, როგორც ს. ჯანაშია ფიქრობს, მონობიდან განთავისუფლებული გლეხები უნდა იყოს, რომელთა მდგომარეობა უახლოვდებოდა კოლონების მდგომარეობას[91]. მსგავსი მუშახელი თანდათან სხვა მაღალმა საზოგადოებრივმა წრემაც გაიჩინა.

სამეურნეო და საომარი იარაღების განვითარებამ, მისმა გაძვირებამ მეორე მხრივ გამოიწვია სტრაბონისეული „მესამე გვარი ხალხის“, მიწისმოქმედებისა და მოლაშქრეების შემდგომი დიფერენციაცია; გაძვირებული იარაღების შეძენა „მესამე გვარი ხალხის“ მხოლოდ შეძლებულ ნაწილს შეეძლო, ამავე ჯგუფის ხალხი იძენდა აგრეთვე წინადროსთან შედარებით რთულ საომარ იარაღებს. ასეთი გზით „მესამე გვარ ხალხს“ თანდათან ეყოფა, წარჩინებულთა შემდეგდროინდელი ტერმინოლოგიით, „აზნაურთა“ წრე, რომელიც თანდათან სამეფო ხელისუფლების დასაყრდენი ხდება. „მესამე გვა-

---

[91] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, 1949, გვ. 150.

რის“ უმრავლესობა, კარგავს რა თავის ძველ, ძირითად ქონებრივ-სა და პოლიტიკურ უფლებებს, თანდათან „მეოთხე გვარ ხალხში“, გლეხობაში გადადის.

საზოგადოების ამგვარმა, ახლებურმა დანაწილებამ ახალი კლასობრივი დაპირისპირებები წარმოშვა. მეფის ხელისუფლება წარჩინებულთა წრეს მამულების ბოძებით კიდევ უფრო აძლიერებს. მაგრამ მიწების დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ მონათმფლობელურ ქურუმთა ხელში იყო მოქცეული — მეფისა და აზნაურების ინტერესები ერთიანდებიან მონათმფლობელ ქურუმთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ახალი იდეოლოგია ქრისტიანობა იქნა გამოყენებული. მეფის ხელისუფლებამ და მისმა დასაყრდენმა აზნაურთა წრემ IV ს. 30—40-იან წლებში ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გამოაცხადეს და ამით მონათმფლობელი ქურუმების ბატონობას საფუძველი გამოაცალეს. ქრისტიანობა ქართლში გაბატონდა, როგორც ახალი ფეოდალური კლასის, აზნაურების იდეოლოგია. ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება იყო პირველი გამარჯვება წარჩინებულთა წრისა და თავისთავად მრავალმხრივი მნიშვნელოვანი ფაქტი ქართლის სამეფოს პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ცხოვრებისათვის.

აზნაურთა კლასის გამარჯვება ამით არ დამთავრებულა. სამეურნეო ცხოვრების შემდგომი აღმავლობა, კერძოდ, მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ვენახი, ხეხილი და სხვ.) განვითარება ახალ ფეოდალურ სოციალურ ჯგუფში — აზნაურებში — იწვევს მისწრაფებას დროებით მფლობელობაში მიღებული მიწები მემკვიდრეობითი, მყარი მემამულეობის სახით განიმტკიცონ. მაგრამ ამჟამად აზნაურთა ამგვარ მისწრაფებას სამეფო ხელისუფლება წინ აღუდგება. იცვლება ძალთა თანაფარდობა. იწყება ბრძოლა ძველ მოკავშირეთა — სამეფო ხელისუფლებასა და აზნაურებს შორის. აზნაურები სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართლში უკვე ფეხმოკიდებული სასანიდური ირანისაგან მხარდაჭერას პოულობენ. მეფის ხელისუფლება კი იძულებული ხდება დაქვეითების გზაზე შემდგარ ძველ მონათმფლობელურ წრესა და „წვრილ ერს“ დაემყაროს.

აზნაურთა წრე შემდგომი განვითარებისათვის VI ს. დამდეგს კიდევ უფრო მეტ გასაქანს პოულობს. ვახტანგ გორგასალის შემდეგ, მისი მემკვიდრეების დროს მეფობა გაუქმდა (523 წ.) და ქართლში აზნაურები გაბატონდნენ. მეფობის გაუქმება იყო არა მარტო გარეგანი ძალის, ირანელთა მძლავრობის შედეგი, როგორც ამას ქართული ფეოდალური და ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია

წარმოგვიდგენდა, არამედ ახალი ფეოდალური ურთიერთობის განვითარებისა.

VI ს. მეორე ნახევრიდან ქართლის აზნაურებსა და ირანელებს შორის ურთიერთობა ფუჭდება. ირანელების ადმინისტრაციული აპარატი (მარზპანის ხელისუფლება) გაბატონებული კლასისათვის, აზნაურებისათვის გამოუსადეგარი ხდება. ჩნდება იძულების ახალი, საკუთარი აპარატის შექმნის აუცილებლობა. ქართლის აზნაურთა მისწრაფება ამ მხრივაც გამარჯვებით დასრულდა. VI ს. მიწურულს წარმოიშვა ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება, რომელიც თავისი წარმოშობითა და შინაარსით არსებითად განსხვავდებოდა მონათმფლობელობის დროინდელი ქართლის მეფის ხელისუფლებისაგან.

ქართლის ერისთავებმა საკუთარი, ქართული ზედწერილიანი ფულის მოჭრაც დაიწყეს, რომელიც ფართოდ იყო გამოყენებული როგორც საშინაო, ასევე მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობაში.

ამგვარსავე პროცესს VI ს. ადგილი ჰქონდა აფხაზეთშიაც, რაც ძველ მეფეთა ხელისუფლების მოსპობაში, ახალ მთავართა ხელისუფლების გაჩენასა და ქრისტიანობის მიღებაში გამოიხატა.

ს. ჯანაშიას სიტყვით, შედარებით თავისებური იყო მდგომარეობა საკუთრივ ეგრისში. დასავლეთ საქართველოში II ს. დამდეგისათვის არსებული ოთხი წვრილი პოლიტიკური ერთეულიდან IV ს. დასასრულს ლაზიკის (ეგრისის) სამეფო წარმოიქმნა, რომელიც ახალ ფეოდალურ ძალთა განვითარებისა და რომის იმპერიის გავლენის შესუსტების შედეგი იყო. დასავლეთ საქართველოში „ფეოდალურ კლასს ნაკლები დაბრკოლებები ეღობება თავის მისწრაფებების განხორციელების გზაზე... აქაც არსებული წყობილება, მეშვიდე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დამლევს... საკმაოდ მნიშვნელოვან ტეხილს განიცდის“[92]. ფეოდალიზაციის პროცესი აქაც მეფის ხელისუფლების მოსპობით და ერისმთავრის ხელისუფლების წარმოშობით სრულდება. ასე რომ, „მეექვსე საუკუნიდან მთელს საქართველოს მიწა-წყალზე შეუზღუდველად მკვიდრდება ფეოდალური საწარმოო წესი, ფეოდალური საკუთრება და სახელმწიფოებრიობა, ფეოდალური იდეოლოგია. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ახალ საზოგადოებას თავისი განვითარების ზენიტამდე ჯერ კიდევ დიდი გზა უძევს“[93].

---

[92] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, იქვე, გვ. 127.

[93] იქვე.

სოფლის მეურნეობისა და ხელოსნური შრომის პროდუქტების უფრო მეტი რაოდენობით გატანა საშინაო თუ საგარეო ბაზარზე იმით აიხსნება, რომ V—VI სს. იბერია და ეგრისი აქტიურად ებმება საგარეო ვაჭრობაში.

ამ მხრივ საინტერესოა წერილობითი წყაროების მონაცემებიც. პროკოპი კესარიელის ცნობით, იბერიის სამეფო აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იმდროინდელ დვინში გაშლილ მსოფლიო ვაჭრობაში. მისი სიტყვით, „დვინში მრავალი ვაჭარი ცხოვრობს... და ეწევა თავის საქმიანობას. იქ ხომ საქონელი შემოაქვთ ინდოეთიდან, მეზობელ იბერიიდან და თითქმის ყველა, სპარსეთში მოსახლე ტომთა და რომაელთა ქვეშევრდომ ზოგიერთ ხალხთა ქვეყნებიდან და ერთმანეთში აღებმიცემობას აწარმოებენ“[94]. არანაკლებ აქტიურობდნენ ეგრისელებიც, რომელნიც, აგათიას სიტყვით, ზღვებზე „დასცურავენ კიდეც და... ვაჭრობაშიც ნახულობენ დიდ სარგებელს“[95].

აღსანიშნავია, რომ VI—VII სს. მიჯნაზე საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში ვაჭრობა იმდენად აუცილებელ საქმედ ყოფილა მიჩნეული, რომ სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი განხეთქილების შემდეგაც კი, როცა მათ შორის ყოველგვარი კავშირი გაწყდა, სავაჭრო ურთიერთობა მაინც იქნა შენარჩუნებული[96].

ფეოდალური ურთიერთობის გაბატონებამ, რაც მთავარია, კიდევ უფრო განავითარა ხელოსნური წარმოება და საშინაო ვაჭრობა, ამან კი ხელი შეუწყო ახალი ქალაქების წარმოშობასა და საქალაქო ცხოვრების შემდგომ განვითარებას.

შემთხვევითი არ არის, რომ ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების დროს უკავშირდება, როგორც არქეოლოგიური, ასევე წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით, საქართველოს უდიდესი ქალაქის თბილისის წარმოშობა.

თბილისში და მის მიდამოებში სხვადასხვა დროს აღმოჩენილი მასალები უდავოს ხდიან, რომ ჯერ კიდევ ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანაში თბილისის დღევანდელი ტერიტორია დასახლებული ყოფილა. უკანასკნელ ხანებში ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ წარმოებულმა გათხრებმა თბილისისა და მისი მიდამოების უძველესი მოსახლეობის შესახებ ჩვენი წარმოდგენა კიდევ უფრო გააფართოვა.

---

[94] ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, II, გვ. 61.

[95] ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, III, გვ. 51; შდრ. Georgica, II, გვ. 46, 51, 67—68.

[96] История Агван Мойсея Каганкатваци, Спб, 1861, с. 216—317.

თბილისის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს შემდეგდროინდელი ნივთიერი კულტურის ძეგლებიც. დამახასიათებელია, რომ 1935 წ. ღრმაღელეში, მიწის სამუშაოების შესრულების დროს, აღმოჩენილ იქნა რამდენიმე თიხის ჭურჭელთან ერთად ბრინჯაოს სამაჯური, ბრინჯაოს ბეჭედი გემმით, საკიდი ბაყაყის გამოსახულებით და ერთი ე. წ. „ეგვიპტური სკარაბეი". თბილისის ამ უძველეს მოსახლეობას თავის დროზე აღებ-მიცემობაც უწარმოებია მეზობელ სახელმწიფოებთან. მუზეუმისა და კეცხოველის ქუჩების რაიონში აღმოჩნდა 6 ბაქტრული მონეტა[97], უნივერსიტეტის მახლობლად, ვარაზის ხევში — რომაული (ავგუსტის) მონეტები[98], ნაპოვნია აგრეთვე ბოსფორული მონეტები II—III სს.[99]. და სხვ. მონეტები აღმოჩენილია თბილისის მიდამოებშიაც — დიღომში[100] და სხვაგან.

ყველაფერი ეს იმაზე მიგვითითებს, რომ თბილისის ტერიტორიაჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის დასასრულს, ხოლო განსაკუთრებით ახალი წელთაღრიცხვის II—III სს. მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული. ასე რომ, მზადდებოდა ნიადაგი ამ მჭიდროდ დასახლებული, ეკონომიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით მოხერხებული მდებარეობის მქონე პუნქტის ქალაქად გადაქცევისათვის.

წერილობითი წყაროების მიხედვით, IV საუკუნისათვის თბილისში უკვე ციხეც არსებობდა[101]. სპარსელმა პიტიახშმა თავის საჯდომად სწორედ ეს, ეკონომიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი, ციხე აირჩია[102]. მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ იყო ქალაქი. მჭიდროდ დასახლებული პუნქტის ქალაქად გადაქცევა ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებამ განაპირობა. ქართული წყაროების მიხედვით, ვახტანგ გორგასალის ბრძანებით იწყება თბილისის შენება მისი სატახტო ქალაქად გადაქცევის მიზნით[103]; ეს საქმე მისი მემკვიდრის დროს განხორციელდა. თბილისი ქართლის სამეფოს სატახტო ქალაქად იქცა[104]. ქალაქში ხელოსნურ-ვაჭრული მო-

---

[97] Е. А. Пахомов, Монетные клады, в. II, с. 10.

[98] იქვე, III, გვ. 27, შდრ. I, გვ. 40.

[99] იქვე, გვ. 11.

[100] იქვე, II, გვ. 12; ს. მაკალათია..., Труды ГМГ.

[101] ლეონტი მროველი, A, 86; „მოქცევაჲ ქართლისაჲ", Е Такайшвили, Опис., II, с. 720.

[102] „მოქცევაჲ ქართლისაჲ", Е. Такайшвили, Опис., с. 720.

[103] ჯუანშერი, A, გვ. 136.

[104] ჯუანშერი, A, გვ. 140; შდრ. ბერძნული ცნობა თბილისის შესახებ. ს. ყაუხჩიშვილი, უძველესი ბერძნული ცნობა თბილისის შესახებ, Труды ГМГ.

სახლეობა კიდევ უფრო გამრავლდა. „ქართლის მოქცევის“ ავტორის სიტყვით, ვახტანგის მემკვიდრის დაჩი მეფის დროს „ტფილისს კაცნი დასხდებოდეს“[105]. ქართლში მეფობის გაუქმებისა და ახალი ფეოდალური ურთიერთობის საბოლოოდ გამარჯვების შემდეგ თბილისი გამარჯვებული ფეოდალური კლასის მესვეურთა—ქართლის ერისმთავართა — რეზიდენციად იქცა. ამრიგად, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცენტრმა თბილისში გადაინაცვლა.

მონათმფლობელური ქართლის ძველი დედაქალაქი მცხეთა IV—VI სს. ჯერ კიდევ ინარჩუნებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრის როლს. ახ. წ. IV ს. მცხეთაში მხატვართუხუცესისა და ხუროთმოძღვრის თანამდებობის არსებობა[106] ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგების განსაკუთრებულ დაწინაურებაზე მიგვითითებს. წერილობითი წყაროებით, VI საუკუნის მცხეთაში სპარსელ მეხამლე (მეფეხსაცმელე) და მეჯადაგე (მეტყავე?) ხელოსანთა მთელი კოლონია არსებობდა[107]. დაახლოებით ამავე (VI—VII) საუკუნეებს მიეკუთვნება მცხეთის ერთ-ერთ უბანში (სამთავროში) აღმოჩენილი მცხეთელი ოქრომჭედლის სამარხი, მისი ხელობისათვის დამახასიათებელი ნივთებით — პაწია სასწორი სხვადასხვა სიდიდის საწონებით და საბეჭდად გამზადებული გამოთლილი ძვირფასი თვლები[108]. მაგრამ VI ს. დასასრული და VII ს. მცხეთის ეკონომიკურად დაცემის საუკუნეებია. ახალი, ფეოდალური ქართლის ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრის — თბილისის წარმოშობასთან ერთად, ეცემა ძველი მონათმფლობელური მცხეთისა და მისი აკროპოლისის — არმაზის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა. მცხეთის დაცემის პროცესი თავისებურად, შესანიშნავად ასახა „ქართლის მოქცევის“ ავტორმა, მისი სიტყვით, ქართლში მეფობის გაუქმებასთან და ერისმთავართა ხელისუფლების გამარჯვებასთან ერთად იწყება მცხეთის დაცემაც:

...„დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ, მაშინ მცხეთაჲ ათხელდე-

---

[105] „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, Е. Такайшвили, Опис, II, с. 722.

[106] ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. III. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 66.

[107] „ევსტათე მცხეთელის მარტვილობა“, მ. სანინინი, საქართ. სამოთხე, გვ. 313, ს. კაკაბაძე, საისტ. კრებული, III, გვ. 80. J. Duchawachoff, das Martyrium des Reiligen Eustatius von Mzcheta... Akad. d. wissensich zu Berl. B. XXXVIII, 1901, გვ. 876—877.

[108] გ. ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევი, გვ. 173.

ბოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალა განდიდნებოდა"[109].

ამრიგად, თბილისის წარმოშობა და მცხეთის დაცემა ქვეყნის შინაგან განვითარებასთან, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობასა და გამარჯვებასთან იყო დაკავშირებული. ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფია ამ შინაგანი პროცესების მნიშვნელობას ვერ გებულობდა და მცხეთის დაცემას მხოლოდ გარეშე ძალას, არაბთა გამანადგურებელ ლაშქრობას მიაწერდა[110]. ცხადია, მცხეთაში არაბთა ლაშქრობამ მხოლოდ ხელი შეუწყო მცხეთის დაცემის ადრე დაწყებული პროცესის დასრულებას VIII ს. დამდეგისათვის. ამიერიდან მცხეთა ქართლის რელიგიური ცენტრის (კათალიკოსის საჯდომი) როლს ასრულებდა, ხოლო არმაზი კი დიდხანს ინარჩუნებდა ციხისა და საბაჟოს როლს და, როგორც შემოსავლის წყარო, მცხეთის ეკლესიას ეკუთვნოდა[111]. ფეოდალიზაციის პროცესის დროს წარმოშობილად ჩანს, ჩვენი აზრით, აღმოსავლეთ საქართველოს მეორე მნიშვნელოვანი ქალაქი უჯარმაც. უჯარმა, ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, ახ. წ. III ს. დასასრულსა და VI ს. დამდეგს წარმოშობილი ქალაქია[112]. ქართველთა გაქრისტიანების მომენტისათვის იგი უკვე ერმრავალი, მეფეთა საჯდომი ქალაქი ყოფილა[113] და იმდროინდელი მცხეთის თანაბრად იყო მიჩნეული[114]. მაგრამ იგი განსაკუთრებით მომდევნო, V ს. ვახტანგ გორგასალის დროისათვის გაძლიერებულა. ვახტანგის ბრძანებით, უჯარმა კიდევ უფრო აღშენდა[115], სხვადასხვა ნაგებობებით, სამეფო

---

[109] Е. Такайшвили, Опис., II, გვ. 725; შდრ. ჯუანშერი. გვ. 145; სუმბატ დავითის ძე, გვ. 338.

[110] იხ. „მატიანეᲗ ქართლისაᲗ"; A, გვ. 167; ვახუშტი მცხეთის დაცემის შესახებ წერდა: „მცხეთა შემდგომად ყრუსა (მურვანი, შ. მ.) მოოკრდა. იტყვიან მძლავრებისათვის მოჰმადიანთა არღარა ყვეს ქალაქი, რათა არა მათ იპყრან და შეიგინოს სიწმინდე" (იხ. აღწერა; გვ. 61).

[111] „ვქენით მოკითხული და დასაბამითგან არმაზის ციხე მცხეთისა" ყოფილიყო და ამჟამადაც მას მივეცითო, წერდა ალექსანდრე მეფე 1434 წ. სიგელში (იხ. ქრონიკები, II, გვ. 241). არმაზის ციხისა და საბაჟოს შესახებ იხ. აგრეთვე ალექსანდრეს 1433 წ. სიგელი (ს. კაკაბაძე, ისტ. საბუთები, III, გვ. 16; ქრონიკები, II, გვ. 239—240) და სხვ. (იხ. ქრონიკები, II, გვ. 253; საქ. არქივი, III, გვ. 114; ს. კაკაბაძე, ისტ. საბუთები, III, გვ. 25).

[112] ლეონტი მროველი, A, გვ. 36; შდრ. იქვე, გვ. 44.

[113] ლეონტი მროველი, A, გვ. 77; „მოქცევაᲗ ქართლისაᲗ", Е. Такайшвили, Опис., II, с. 791.

[114] „მოქცევაᲗ ქართლისაᲗ", Е. Такайшвили, Опис., II, გვ. 718, შდრ. იქვე, გვ. 717.

[115] ჯუანშერი, A, გვ. 126; 136; ვახუშტი, აღწერა, გვ. 90.

პალატითა და „მტკიცე და ძლიერი“ ზღუდეებით[116]; ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ზემომოტანილ ცნობებს ადასტურებს უჯარმის ნაქალაქარზე დღემდე შემორჩენილ გრანდიოზულ ნაგებობათა მეცნიერული შესწავლა. შ. ამირანაშვილის სიტყვით, „ძველ ნაგებობათა ნაშთების წინასწარი განხილვა გვიდასტურებს, რომ ზოგიერთი ნაგებობა უფრო ადრე უნდა იყოს აშენებული, ვიდრე ვახტანგ მეფე უჯარმას გააფართოებდა და თავის რეზიდენციად გამოაცხადებდა... უჯარმის ქალაქის მეორე ნაწილის არქიტექტურა ვახტანგ გორგასალის ნაგებობას წარმოადგენს“[117]. ვახტანგის დროინდელ ნაგებობათა დიდრონი კარ-სარკმელები, ნალისებრი მოყვანილობის თაღები და სწორკუთხოვანი კოშკები არსებითად განსხვავდება შემდეგდროინდელი მინაშენებისგანაც როგორც შენების ტექნიკის, ასევე არქიტექტურის თვალსაზრისითაც[118].

IV—V სს. მიაკუთვნებს ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ქ. ხორნაბუჯის წარმოშობასაც[119]. ვახტანგ გორგასალის დროს
9 აქ, როგორც მნიშვნელოვან პუნქტში, საეპისკოპოსო კათედრალიც დაარსდა[120]. ხორნაბუჯი, ამ დროიდან მოკიდებული, დიდხანს ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში[121].

V ს. წარმოიშვა, წერილობითი წყაროების მიხედვით, ჭერემიცჯუანშერის სიტყვით, ვახტანგმა დასვა ეპისკოპოსი „ერთი ჭერემს მისვე აღშენებულსა და მუნ ქმნა ქალაქი ერთი“[112]. აღსანიშნავია, რომ სხვა, XI—XIII სს. ქართველი ისტორიკოსები ჭერემს, როგორც ქალაქს, არ იხსენიებენ; როგორც ჩანს, მან ადრე დაკარგა ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი VI ს. წარმოშობილ ქალაქად თვლის ქსნის ერისთავთა სარეზიდენციო ლარგვისსაც[123]; მაგრამ XIV ს. წყაროს ასეთი მითითება არ დასტურდება სხვა ცნობებით და ჩვენ, საერთოდ, საეჭვოდ გვეჩვენება ლარგვისის, როგორც ქალაქის, არსებობა ფეოდალურ ხანაში.

---

116 ჯ უ ა ნ შ ე რ ი, A, გვ. 138.

117 შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართ. ხელოვნების ისტ., ტ. I, თბ., გვ. 155.

118 გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, წინაპართა ნაკვალევი, გვ. 171—173.

119 ჯ უ ა ნ შ ე რ ი, A, გვ. 136; ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, M, გვ. 338.

120 ჯ უ ა ნ შ ე რ ი, A, გვ. 135.

121 „ქართლის მატიანე“, A, გვ. 185, 195; ისტორიანი და აზმანი, გვ. 100.

122 ჯ უ ა ნ შ ე რ ი, A, გვ. 136; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 99.

123 შ. მ ე ს ხ ი ა, ძეგლი ერისთავთა, თბ., 1952, გვ. 11; თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 4.

ამავე ხანაში იღებენ თავიანთ საწყისებს ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორიც იყო არტანუჯი, დმანისი, გორი და სხვა, მაგრამ მათზე სხვაგან შევჩერდებით.

ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების წყალობით, საქალაქო ცხოვრება წინ წავიდა დასავლეთ საქართველოშიც. V—VI სს. აქ მრავალი მნიშვნელოვანი ქალაქი წარმოიშვა.

ქართულ წყაროებში მხოლოდ VIII ს. ამბებთან დაკავშირებით მოხსენიებული ქუთაისი[124]. ბერძნული ცნობების მიხედვით, VI ს. ეგრისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი იყო. ქუთაისი — ციხე ხშირად არის დასახელებული პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის საისტორიო თხზულებებში[125]. ჯერ კიდევ პლ. იოსელიანმა მიუთითა, რომ ძველი ბერძნული კჳტა (Κύτα) ქართულ „ქუთაისს“ უნდა შეესატყვისებოდეს და, მაშასადამე, სტეფანე ბიზანტიელის „Κύτα-πολις Κολχική“-ში ქუთაისი ივარაუდებოდეს[126]. ასე რომ, VI ს. ქუთაისი ეგრისის სამეფოს ქალაქად ითვლებოდა.

საინტერესოა, რომ დასავლეთ საქართველოში, ფეოდალიზაციის პროცესთან დაკავშირებით, დაახლოებით იმგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში. ქუთაისი თანდათან ძლიერდება, ის მალე უპირველეს ქალაქად იქცევა და ახალი, დასავლურ-ქართული გაერთიანების — აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი ხდება. ამასთან დაკავშირებით, სრულდება აგრეთვე ძველი, მონათმფლობელური კოლხეთის დედაქალაქის ციხე-გოჯის დაცემის პროცესიც. VIII ს-დან იგი როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ მნიშვნელობასაც კარგავს.

V—VI სს. ეგრისის ქალაქი იყო ვარდციხეც, რომელიც ეგრისიდან იბერიაში მიმავალ გზაზე მდებარეობდა[127]. პროკოპი კესარიელის სიტყვით, Ῥοδόπολις (ვარდციხე) და მოხირისი ეგრისის „ყველაზე შესანიშნავი ქალაქებია“[128].

ვარდციხის (როდოპოლისის), როგორც ძლიერი ციხისა და მნიშ-

---

[124] ჯუანშერი, A, გვ. 150; შდრ. იქვე, გვ. 154.

[125] ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, III, გვ. 30—31, 56, 123, 159 და სხვ.

[126] П. Иоселиани, города, გვ. 51—52; В. В. Латышев, Известия I, с. 262; ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, III, с. 280.

[127] პროკოპი კესარიელი, ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, II, გვ. 156.

[128] ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, II, გვ. 73.

ვნელოვანი ქალაქის, შესახებ მოგვითხრობენ იუსტინიანეს ნოველები[129], აგათიას საისტორიო თხზულება[130] და სხვ. წყაროებიც.

როგორც აღინიშნა, ეგრისის (ლაზიკის) VI ს. შესანიშნავ ქალაქთა შორის პროკოპი კესარიელი მოხირისსაც (მუხურისს) იხსენიებს, რომელიც აგრეთვე როგორც მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ირან-ბიზანტიის ომის დროს[131].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიზანტია-ირანის მიერ ეგრისში წარმოებული 20-წლიანი ომის აღწერასთან დაკავშირებით VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსები უმთავრესად ციხე-სიმაგრეებსა და იმ ქალაქებს იხსენიებენ, რომელთანაც საომარი ოპერაციები იყო დაკავშირებული. ამიტომაც მათი ცნობები ეგრისის იმდროინდელი ქალაქების შესახებ სრული არ არის. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ ბერძენი ისტორიკოსები ერთი სიტყვითაც არ მოიხსენიებენ სწორედ ამ დროის მნიშვნელოვან ციხე-ქალაქ ვაშნარს, რომელიც უკანასკნელ ხანებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით ჩვენთვის საკმარისად ცნობილი გახდა[132]. ვაშნარის დღემდე შემორჩენილი ნაგებობები და მათი ნაწილები — მარმარილოს ჩუქურთმიანი სვეტისთავები, სამარხებში მოპოვებული ოქროს სამკაული და სხვ.— უდავოდ ადასტურებენ, რომ იგი VI—VII სს. ქალაქი იყო[133]. VI ს. წარმოიშვა ეგრისის სამეფოს სამხრეთ საზღვარზე ქ. პეტრაც. ბიზანტიელი ისტორიკოსების ცნობით, იგი იუსტინიანე კეისარს მისმა სტრატეგოსმა იოანე ციბემ, სტრატეგიული და ეკონომიკური მოსაზრებებით, ააშენებინა[134]. „პეტრა, თ. უსპენსკის სიტყვით, სახელმწიფოებრივ ტენდენციებს გამოხატავდა. აქ მოეწყო არა მარტო ბიზანტიური გავლენის საყრდენი, სათანადო სამხედრო სათადარი-

---

[129] იქვე, გვ. 198.

[130] იქვე, ტ. III, გვ. 158. აღსანიშნავია, რომ VIII—XIII სს. ქართული საისტორიო მწერლობა არ იხსენიებს ვარდციხეს. ს. კაკაბაძის აზრით, ბერძნული *Ῥοδόπολις* შეიძლება იყოს ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებული დიმნა (იხ. ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, გვ. 130), მაგრამ ამ მოსაზრებას დასაბუთება აკლია.

[131] აგათია, ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, III, გვ. 30, 41, 54, 55—56, 83, 123, 157.

[132] ვაშნარის შესახებ იხ. დიუბუა დე მონპერე, Voyage, ტ. III, გვ. 86—94; მ. ბროსე, Additions et Eclaircis á l'Hist. de la Georg; 86; დ. ბაქრაძე, Арх. путешествие по Гурии и Адчаре, с. 275—278.

[133] გ. გობეჯიშვილის მოხსენება ვაშნარის გათხრების შედეგების შესახებ (იხ. ოქმი № 5, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების საჯარო სხდომისა, 24. V. 1949 წ.); გ. ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევი, გვ. 168—169.

[134] ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, II, გვ. 48.

გო ნაწილებით და სურსათ-სანოვაგით, არამედ აგრეთვე საბაჟო უწყებებითაც"[135]. ბიზანტიის იმპერია პეტრაში გამაგრებული სტრატეგოსის მეშვეობით ეგრისში თავის ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებდა, ეგრისის ვაჭრობა გარკვეულ რეგლამენტს დაუქვემდებარა; იოანე ციბემ, ისტორიკოსების ცნობით, შემოიღო ე. წ. მონოპოლიონი[136]. ყველაფერი ეს, ცხადია, მიგვითითებს არა მარტო ქ. პეტრას, არამედ საერთოდ ეგრისის სამეფოს მნიშვნელობაზე ბიზანტიის იმპერიის იმდროინდელ საგარეო ვაჭრობაში[137].

როგორც ვხედავთ, ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების დროისათვის მთელ საქართველოს ტერიტორიაზე არაერთი მნიშვნელოვანი ქალაქი წარმოიშვა — თბილისი, უჯარმა, ხორნაბუჯი, ჭერემი, ქუთაისი, ვარდციხე, მოხირისი, ვაშნარი, პეტრა და სხვ. მაგრამ ეს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გამარჯვების მხოლოდ პირველი შედეგები იყო.

*
* *

VIII—X სს. საქართველოს ისტორიაში, როგორც საშინაო, ასევე საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით, მრავალმხრივ მნიშვნელოვანი საუკუნეებია. ფეოდალური ურთიერთობა განვითარების ახალ ნაბიჯებს დგამს. საქართველოს ტერიტორიაზე VIII ს. დასასრულს და IX ს. დამდეგს ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროები — ტაო-კლარჯეთის, კახეთის, აფხაზეთის — წარმოიშობა. ამ სამეფო-სამთავროთა წარმოშობა საქართველოს ცალკეული კუთხეების, განსაკუთრებით იმ რაიონების, რომელნიც არაბთა ლაშქრობას გადაურჩნენ, ეკონომიკური დაწინაურებით აიხსნება. კახეთში ამ დროისათვის განვითარებული ჩანს მევენახეობა, მესაქონლეობა და მეურნეობის სხვა დარგებიც. VIII საუკუნიდან ეკონომიკურად განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს ტაო-კლარჯეთი. იგი დიდი ხნიდან საქართველოს პურის ბეღელად იყო მიჩნეული, ტაო-კლარჯეთს პური სხვა ქვეყნებშიაც გაჰქონდა. ამავე რაიონებში ასევე

---

135 ф. Успенский, История Виз. империи, I, с. 492.

136 ს. ყაუხჩიშვილი, Georgica, II, გვ. 48.

137 შდრ. ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, გვ. 34 და ა. შ.

ფართოდ იყო განვითარებული მეღვინეობა და მესაქონლეობა. აქ დღემდე შემორჩენილი ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშები და მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები თავისთავად მეტყველებენ კუთხის ეკონომიკურ სიძლიერესა და ხელოსნური წარმოების განვითარების მაღალ დონეზე. დამახასიათებელია, რომ ოშკის ტაძრის მშენებლობაზე, როგორც იქვე გაკეთებული წარწერა მოგვითხრობს, 70-ზე მეტი დაქირავებული კალატოზი, ხურო და მჭედელი მუშაობდა. ამავე წარწერის მიხედვით, მშენებლობაში მომუშავე ხელოსნებზე, სურსათ-სანოვაგის გარდა, ყოველწლიურად 20000 დრახმა (დაახლ. 4000 მან. ოქროთი) იხარჯებოდა.

ტაო-კლარჯეთის მშენებელი ხელოსნები სხვა კუთხეებშიც მიდიოდნენ სამუშაოდ. დასავლეთ საქართველოს ზოგ ნაგებობათა მშენებლად „ოპიზარი კალატოზები"[138] ჩანან.

სოფლის მეურნეობისა და ხელოსნური წარმოების განვითარებასთან ერთად იზრდება საშინაო და საგარეო ვაჭრობაც. შემთხვევითი როდია, რომ ტაო-კლარჯეთის მეფის დავით კურაპალატის მონეტები აღმოჩენილია ძველი რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებში და ბალტიის ზღვის სანაპირო ქვეყნებშიც.

საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარება აპირობებდა საქალაქო ცხოვრების წინსვლას, ახალი ქალაქების წარმოშობას.

დამახასიათებელია, რომ სწორედ ამ რაიონებში, განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთში და კახეთში, VIII—X სს. ახალი ძლიერი ქალაქები წარმოიშვა.

საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აგრეთვე არაბთა ლაშქრობა და მათი ბატონობის დამყარება. არაბთა ლაშქრობებმა VII ს. მეორე ნახევრიდან გაამძაფრა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, ხოლო VIII ს. დამდეგიდან არაბთა მფლობელობის დამყარებამ და მასთან დაკავშირებით არაერთმა გამანადგურებელმა ლაშქრობამ (მურვანის ლაშქრობა და სხვ.) და მძიმე ხარკმა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა ერთხანს შეაფერხა. ამ მხრივ განსაკუთრებით დაზარალდა ქართლი. მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო... მას შემდეგ, რაც დაიწყო ხალიფატში ფეოდალიზაციის პროცესი, თბილისის საამიროც გარკვეულ ფეოდალურ ერთეულად იქცა და მისმა მეზობლებმაც, ქართულმა ფეოდალურმა სამეფო-სამთავროებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. კიდევ მეტი, ზოგმა მათგანმა თბილისის საამიროსთან კე-

---

138 იხ. ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, „ძვ. საქართველო", ტ. III, გვ. 41.

თილმეზობლური ურთიერთობა დაამყარა. ეკონომიკურად დაწინაურებული ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროები მალე აქტიურად ჩაებნენ რომაელების დროიდან განვითარებულ მსოფლიო ვაჭრობაში.

საქალაქო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით უმნიშვნელო არ იყო აგრეთვე თვით არაბების მიერ ამიერკავკასიაში შექმნილი სამხედრო პოლიტიკური ბაზები, რომელნიც შემდეგ, ხელსაყრელ ეკონომიკურ მდგომარეობათა წყალობით, ვაჭრობისა და ხელოსნობის მნიშვნელოვან ცენტრებად იქცნენ.

არაბებმა, გარკვეული სამხედრო მოსაზრებით, განსაკუთრებით გააძლიერეს თბილისი, რომელიც მათ მიერ შექმნილი საამიროს ცენტრი იყო და რომელიც ჩრდილოეთის მთავარ სამხედრო ფორპოსტად აქციეს ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ. ასევე, მრავალი სამხედრო-პოლიტიკური ბაზა შექმნეს არაბებმა აზერბაიჯანში (კისალი, შამქორი, განძაკი და სხვ.), რომლებმაც შემდეგ საერთაშორისო ვაჭრობაში უფრო მეტი როლი შეასრულეს, ვიდრე ძველმა სომხურმა ქალაქებმა[139].

VIII—X სს. საქართველოში საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე საერთაშორისო ვაჭრობის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, მტკვრის აუზში გადანაცვლებას და ჩრდილოეთის ქვეყნებთან (ხაზარები, სლავები) ვაჭრობის აღორძინებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამხრეთ საქართველოს ქალაქებმა უკვე X ს. (იქნებ მასზე ადრეც) ეკონომიკური კავშირი დაამყარეს ძველი რუსეთის ჩრდილოეთ რაიონებთანაც კი. ასევე უმნიშვნელო როდი იყო არაბების მიერ, აზერბაიჯანისა და საქართველოს მეშვეობით, სამხრეთ რუსეთის რაიონებთან დამყარებული სავაჭრო ურთიერთობა. საქართველოს სამეფო-სამთავროები ამ ვაჭრობაში არა მარტო ხიდი იყო, არამედ მისი აქტიური მონაწილეც.

საქართველოს, განსაკუთრებით აფხაზეთის სამეფოსა და ტაოკლარჯეთის სამთავროს, მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე ბიზანტიის იმპერიასთანაც.

ყველა ზემოაღნიშნულმა ხელსაყრელმა საშინაო და საგარეო პირობებმა ხელი შეუწყო საქართველოს საქალაქო ცხოვრების აყვავებას და ახალი ქალაქების წარმოშობას.

ამ დროს წარმოშობილ ქალაქთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ დმანისი. არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ

---

139 Я. Манандян, О торговле и городах Армении, с. 138.

V—VI სს. დმანისი საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული პუნქტი იყო. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ დმანისის გათხრების დროს აღმოჩნდა იუსტინიანე კეისრის მონეტა[140]. ამას გარდა, გ. ჩუბინაშვილის აზრით, დმანისის სიონი VI ს. უნდა იყოს აგებული[141]. ასე რომ, დმანისი, როგორც მჭიდროდ დასახლებული პუნქტი, არაბთა მფლობელობის დამყარებამდეც არსებობდა. თვით ის ფაქტი, რომ ბუღამ 853 წ. დმანისს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და იგიც, როგორც შამქორი, გაამაგრა[142], დმანისის მნიშვნელობის შესახებ ლაპარაკობს. მაგრამ მისი ქალაქად, ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრად გადაქცევა მაინც IX საუკუნიდან უნდა ვივარაუდოთ. ამ დროიდან ჩნდება აგრეთვე პირველი ცნობები დმანისის, როგორც ქალაქის, შესახებ ქართულ საისტორიო მწერლობაში. დმანისის დაწინაურებას განსაკუთრებით ხელს უწყობდა მისი მოხერხებული მდგომარეობაც. იგი საქართველოდან სომხეთისაკენ მიმავალ უმთავრეს სავაჭრო გზაზე იყო, რომელსაც უკანასკნელ დრომდე (რკინიგზის გაყვანამდე) არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ ამ გზას „აქლემის გზას“ ეძახდნენ[143].

დმანისი IX ს. მოკიდებული აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ მხრივ, საკმარისი იქნება თუნდაც იმ ფაქტის დასახელება, რომ XIII ს. აქ სამეფო ზარაფხანა არსებობდა[144].

ახლად წარმოშობილ ქალაქთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქ. არტანუჯი. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, არტანუჯის ციხე ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალის დროს აუშენებიათ[145], რომელიც შემდეგ არაბებს დაუნგრევიათ[146]. XI ს. ისტორიკოსის სუმბატ დავითის ძის სიტყვით, აშოტ კურაპალატმა დანგრეული ციხე აღადგინა და ქალაქიც გააშენა: ციხე „განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ და წინა კერძო მისსა ქუეშეთ

---

140 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, გვ. 326.

141 გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართ. ხელოვნების ისტორია, თბ., 1926, გვ.192.

142 „მატიანე ქართლისაჲ“, M. გვ. 222.

143 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, Op. Cit., გვ. 328—330.

144 თ. ლ ო მ ო ურ ი, ფული რუსთაველის ეპოქაში, „შოთა რუსთაველის დროინდელი მატ. კულტ. ძეგლები“, კრ., თბ., 1938, გვ. 292; შდრ. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 447; მ. წ ვ რ ე თ ე ლ ი, დმანისის მონეტის ვამო, Литературные разыскания, II, Тб., 1944, с. 167—168.

145 ჯ უ ა ნ შ ე რ ი, A, გვ. 191.

146 ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, M, გვ. 344.

აღაშენა ქალაქი და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია... და შექმნა მას შინა საფლავი თჳსი და დაემკვიდრა ციხესა მას შინა ცხორებად"[147].

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, არტანუჯი VIII ს. მიწურულსა და IX ს.დამდეგს წარმოშობილი ქალაქია. არტანუჯზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზაც: ქ. კარი არტანუჯის მეშვეობით აბამდა მუდმივ სავაჭრო ურთიერთობას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსა და დასავლეთ საქართველოსთან[148]. რაც მთავარია, ქ. არტანუჯი, კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით რომ ვთქვათ, ვრცელ და ნაყოფიერ ქვეყანაში მდებარეობდა, ყოველივე ამის გამო იგი სწრაფად დაწინაურდა და X ს. შუა წლებში საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქად ითვლებოდა. კონსტანტინე პორფიროგენეტი წერდა: „ციხე ადარნუჩი ძალიან არის გამაგრებული და როგორც დედა-ქალაქს (χωρόπολις), მას დიდი რაბადი აქვს. აქ მოდის საქონელი ტრაპენზუნტიდან, იბერიიდან, აბაზგიიდან, არმენიის მთელი ქვეყნებიდან და სირიიდან. ამ საქონელით აქ მეტად დიდ ვაჭრობას აწარმოებენ. ციხე ადარნუჩის ქვეყანა ანუ „არზენ" ვრცელია და ნაყოფიერი და წარმოადგენს გასაღებს იბერიისა, აბაზგიისა და მისხიების (მესხების) ქვეყნისათვის"[149].

IX—X სს. წარმოშობილად ჩანს აგრეთვე ჯავახეთის ახალქალაქიც. ქართულ საისტორიო წყაროებში ახალქალაქი პირველად ბაგრატ IV-ის დროს არის მოხსენებული, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი მანამდე არ არსებობდა. „ქართლის მატიანეს" ავტორის მიერ მოთხრობილი ისტორია ამ ქალაქის მნიშვნელობის თანდათან ზრდასა და ბაგრატ IV-ის დროისათვის განსაკუთრებულ გაძლიერებაზე მიგვითითებს. დამახასიათებელია, რომ ძლიერი კლდეკარის ერისთავის ლიპარიტის მომხრე და მეფის მოწინააღმდეგე დიდებულებმა — ფარსმან თმოგველმა და თუხარისის ერისთავმა ბეშქენ ჯაყელმა XI ს. 40-იან წლებში ახალქალაქს ზღუდე შემოავლეს, „რამეთუ მას ჟამსა უზღუდე იყო"[150]. მაგრამ ქალაქის ზღუდის მშენებლობა XI ს. 60-იანი წლებისათვის ჯერ კიდევ დამთავრებული არ ყოფილა. ალფ-არსლანის ლაშქრობის დროს მესხი დი-

---

[147] იქვე.

[148] Ср. Манандян, О торговле и городах, с. 150—151, 166.

[149] ს. ჯანაშია, კონსტანტინე პორფიროგენეტი ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. Труды ТГУ, XVIII, 1941, с. 72

[150] „მატიანე ქართლისაჲ", А, გვ. 186.

დებულები ქალაქში ვერ გამაგრდნენ, რადგან, მებატონის სიტყვით, „არა ზღუდითა მტკიცით განსრულებულ იყო ახალ ქალაქი“[151]. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ზღუდე ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, იგი მაინც საკმაოდ ძლიერი ყოფილა. ამას გარდა, ქალაქი ამ დროისათვის დიდ სიმდიდრესაც ფლობდა. იბნალ-ასარის ცნობით, ალფ-არსლანის ლაშქარმა ახალქალაქში უამრავი სიმდიდრე იგდო ხელთ[152]. მიუხედავად ალფ-არსლანის გამანადგურებელი ლაშქრობისა, ახალქალაქმა დიდხანს შეინარჩუნა სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობა.

IX—X სს. წარმოიშვა აგრეთვე თმოგვის ციხე და მის ირგვლივ კიდევ მნიშვნელოვანი ქალაქი. თმოგვის ციხე პირველად X ს. დამდეგის ამბებთან დაკავშირებით არის მოხსენიებული[153], ასე რომ, მისი ისტორია X ს. ადრე იწყება. ამავე დროისათვის წარმოშობილა მისი ქალაქიც, რომელიც განსაკუთრებით XI ს-ისათვის ძლიერდება[154].

ამ ხანას მიეკუთვნება ტაოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქის ოლთისის წარმოშობაც, რომელიც საქართველოს სამხრეთის საზღვარზე იდო და ამის გამო ხშირად მეზობელთა რბევისა და დაპყრობის საგნად იყო ქცეული[155].

IX ს-დან იწყება აგრეთვე, ჩვენი აზრით, ქ. ახალციხის ისტორიაც. აღსანიშნავია, რომ ახალციხე ქართულ საისტორიო წყაროებში არ მოიხსენიება. ვახუშტი ამას იმით ხსნიდა, რომ ადრე ახალციხე სხვა სახელით — „ლომისიანთად“ — იყო ცნობილი[156], რომელიც „ქართლის მატიანეს“ ცნობით, IX ს. გურამ მამფალის მიერ იქნა აშენებული[157]. ახალციხის ისტორიის გასათვალისწინებლად უმნიშვნელო არ არის ის, რომ აქ 1906 წ. აღმოჩენილ იქნა განძი ბიზანტიური ოქროს მონეტებით, რომელთაგან მხოლოდ ნაწილი, კონსტანტინე XI-ის (975—1028) 5 სოლიტი გახდა მეცნიე-

---

151 იქვე, გვ. 190.

152 Ибн-ал-Асир, Тирих-ал-Камиль, Баку, 1940, с. 120.

153 მატიანეჲ ქართლისაჲ, A, გვ. 166.

154 სუმბატ დავითის ძე, M, 353; იხ. აგრეთვე მატიანეჲ ქართლისაჲ, A, გვ. 185, 198; დავითის ისტორისოკი, A, გვ. 204.

155 ოლთისის შესახებ იხ. სუმბატ დავითის ძე, M, გვ. 354; შდრ. მატიანეჲ ქართლისაჲ, A, გვ. 179. დავითის ისტორიკოსი, A, გვ. 200, 220; ისტორიანი და აზშანი, გვ. 65.

156 ვახუშტი, აღწერა, გვ. 125; Ср. Пл. Иоселиани, Города, с. 28—29.

157 მატიანეჲ ქართლისაჲ, A, გვ. 165, იქვე, 186.

რებისათვის ცნობილი[158]. ასევე, ქალაქის სიძლიერეზე მეტყველებს ისიც, რომ XII—XIII სს. ცნობილი დიდგვარიანები შალვა და ივანე ახალციხელებად იწოდებიან, ისინი ახალციხის ქალაქისა და მისი მიდამოების მფლობელებად გვევლინებიან[159]. XIII ს. კი ახალციხის განსაკუთრებულ სიძლიერეზე მიგვითითებს აქ ზარაფხანის არსებობაც[160].

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ქ. თელავი X ს. წარმოიშვა[161]. იგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი იყო როგორც XI[162], ასევე მომდევნო საუკუნეებში[163].

ამრიგად, ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების დროისათვის (IV—VI სს.) წარმოიშვნენ: თბილისი, უჯარმა, ხორნაბუჯი, ჰერემი, ქუთაისი, ვარდციხე, მოხირისი, ვაშნარი, პეტრა.

ახლად გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის შემდგომმა ნაბიჯებმა, ქვეყნის ეკონომიკურმა დაწინაურებამ, ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროების შექმნამ განაპირობა VIII—X საუკუნეებისათვის ახალი ქალაქების წარმოშობა. ამ დროს მიეკუთვნება დმანისის, არტანუჯის, ახალქალაქის, ოლთისის, თმოგვის, ახალციხის და თელავის წარმოშობა. ცხადია, ეს უკანასკნელი სია სრული არ არის. ამ დროისათვის (VIII—X სს.) თითქოს არც ერთი ახალი ქალაქი არ წარმოშობილა დასავლეთ საქართველოში, რაც, რა თქმა უნდა, ქართული წყაროების ნაკლულობითა და დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური თვალსაზრისით შეუსწავლელობით უნდა აიხსნას.

ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებამ განაპირობა აგრეთვე ზოგი ძველი, წინაფეოდალური ქალაქის შემდგომი განვითარება და ზრდა, ზოგის კიდევ გაქრობა. ჩვენს განკარგულე-

---

158 Е. А. Пахомов, Монетные клады, в. I, с. 49.

159 ისტორიანი და აზმანი, გვ. 109; ბასილი, ცხოვრება თამარისი, გვ. 27, 28.

160 თ. ლომოური, ახალციხის ზარაფხანა, Труды ГМГ, XII B, 1944, გვ. 214. შდრ. თ. ლომოური, ქოდალას განძი, Труды ГМГ, XIVB, 1947, გვ. 132—133.

161 ვახუშტი, აღწერა, გვ. 100.

162 მატიანეჲ ქართლისაჲ, A, გვ. 195.

163 ქამთააღმწერელი, M, გვ. 717; თელავის, როგორც მეიდროდ დასახლებული პუნქტის, ისტორიის გასათვალისწინებლად მნიშვნელოვანია აქ, ვარდისუბნის ქუჩაზე, ერთ-ერთ ეზოში მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილი ოქროს ბიზანტიური მონეტა, თეოდოსი II-ის (408—450) სოლიდი (იხ. Е. А. Пахомов, Монетные клады, в. V, с. 30).

ბაში არსებული მასალების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ VI—VIII სს., უკვე როგორც ქალაქები, აღარ არსებობდნენ მონათმფლობელობის ხანის აია, ეგრი, ვანი, კასპი, მოვაკანი, სარკინე, ურბნისი, ჰერეთი (ხორანთა), ნეკრესი, არმაზი, მცხეთა, ციხე-გოჯი (არქეოპოლისი), გაჩიანი. აქ დასახელებულ ციხე-ქალაქთა ერთი ნაწილი (მაგ., აია, ეგრი, სარკინე) ადრე ქრება, ვიდრე ფეოდალიზაციის პროცესი დაიწყება, მაგრამ დასახელებული ქალაქების უდიდესი ნაწილი (მაგ., კასპი, მოვაკანი, ჰერეთი (ხორანთა), ნეკრესი, არმაზი) ფეოდალიზაციის პროცესთან დაკავშირებით თანდათან ეცემა და VI ს. უკვე ქრება, ზოგი კიდევ VII—VIII სს-მდე ძლებს (მაგ., მცხეთა, ურბნისი, ციხე-გოჯი, გაჩიანი). ასე რომ, ძირითადად მაინც, ძველი ციხე-ქალაქების გაქრობა ფეოდალიზაციის პროცესს და ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებას უკავშირდება და ამიტომაც ჩვენ მათი გაქრობის საერთო საზღვრად, ძირითადად, VI—VIII სს. მივიჩნევთ. ადრინდელ ფეოდალურ ხანაში თავიანთი მნიშვნელობა შეინარჩუნა წინაფეოდალური ხანის ზოგმა ქალაქმა. მაგრამ ისინი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, „შუასაუკუნეებში არ გადასულან მზამზარეული ფორმით წარსული ისტორიიდან, არამედ ხელახლა წარმოიშვნენ“. ასეთ ქალაქებად VI—X სს. ჩანან ტრაპიზუნტი[164], პეტრა[165], ბათომი, ფოთი (ძველი ფაზისი), ცხუმი (ძველი დიოსკურია), ბიჭვინტა (ძველი პიტიუნტი), ნიკოფსე, არტაანი, თუხარისი, ოძრკე, რუსთავი, სამშვილდე, უფლისციხე, წუნდა, ხუნანი, შორაპანი.

ამრიგად, ადრინდელი ფეოდალური ხანის საქართველოში არსებობდა შემდეგი ქალაქები: ქუთაისი, ვარდციხე, ვაშნარი, შორა-

---

[164] საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ VIII ს. წერილობითი წყაროების მიხედვით ქ. ტრაპიზუნტი ჯერ კიდევ აფხაზეთის სამეფოს ქალაქად იყო მიჩნეული (იხ. აბოს მარტვილობა, კ. კეკელიძის გამოცემა, გვ. 66; შდრ. იქვე, გვ. 28), მაგრამ იგი პოლიტიკურად, როგორც ჩანს, ბიზანტიის იმპერიაში ივარაუდება.

[165] თუმცა პეტრა VIს. 50-იან წლებში თვით ბიზანტიელებმა დაანგრიეს, მას თავისი მნიშვნელობა შემდეგ საუკუნეებშიც არ დაუკარგავს. აღსანიშნავია, რომ პეტრას ნაქალაქარის ტერიტორიაზე (დღევანდელი ციხისძირი) 1934—1935 წწ. აღმოჩენილ იქნა ბიზანტიური სპილენძის მონეტები, რომელნიც, სპეციალისტების აზრით, X—XII სს. მიეკუთვნება (იხ. Е. А. Пахомов, Монетные клады, в. III, с. 33, 34), მაგრამ მის მეზობლად მნიშვნელოვანი ნავსადგურისა და ქალაქის — ბათომის არსებობა, ცხადია, პეტრას როლს თანდათან ამცირებდა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სამეფოს შესახებ ჩვენ ცნობები გვაკლია. მაგ., არაფერი ვიცით ბერძენ ისტორიკოსთა მიერ VI ს. მოხსენიებული ქ. მოხირისის შემდეგი ბედისა და მისი როლის შესახებ ადრინდელ ფეოდალურ ხანაში.

პანი, ტრაპიზუნტი, პეტრა, ბათომი, ფოთი, ცხუმი, ბიჭვინტა, ნიკოფსე, თბილისი, უჯარმა, ხორნაბუჯი, ჭერემი, დმანისი, არტანუჯი, ახალქალაქი, ოლთისი, თმოგვი, ახალციხე, თელავი, რუსთავი. სამშვილდე, ოძრჯე, უფლისციხე, წუნდა, ხუნანი, არტაანი და თუხარისი.

2. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XI—XIII საუკუნეებში

(საქართველოს ქალაქები XI—XIII სს.)

VIII ს. დასასრულსა და IX ს. დამდეგს ჩამოყალიბებულ ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ბრძოლა გაერთიანებისათვის IX ს-დან დაიწყო. იგი დიდხანს გაგრძელდა და X ს. დასასრულსა და XI ს. დამდეგს, ბაგრატ III-ის მეფობის ჟამს, საქართველოს ძირითადი რაიონების (თბილისის საამიროს გარდა) გაერთიანებით დამთავრდა. გაერთიანებულ საქართველოს ფეოდალურ მონარქიას ამ დროიდან ეყრება საფუძველი. მაგრამ ბაგრატ III-ის მიერ გაერთიანებულ ქვეყანას მალე კახეთი ისევ ჩამოსცილდა და საქართველოს გაერთიანების დასრულების საქმე კიდევ მომდევნო საუკუნეების ამოცანად იქცა.

საქართველოს ძირითადი რაიონების გაერთიანებამ (ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთის სამეფო, ქართლის უდიდესი ნაწილი), გიორგი I-ის, ბაგრატ IV-ის და გიორგი II-ის დროს, თავისთავად ხელი შეუწყო ფეოდალური დაქუცმაცების მოსპობას და საქართველოს ცალკეულ კუთხეთა შორის ეკონომიკური კავშირის შემდგომ განმტკიცებას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ფეოდალიზმის დროისათვის. ამან კი, იგულისხმება, შექმნა ახალი ხელშემწყობი პირობები ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური დაწინაურებისათვის.

ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, ერთხანს, ჯერ ბასილი კეისრის ორგზის გამანადგურებელმა ლაშქრობამ, ხოლო შემდეგ თურქ-სელჩუკების არაერთმა ლაშქრობამ და განსაკუთრებით კი, 1080 წლიდან „დიდი თურქობის“ დამყარებამ საგრძნობლად შეაფერხა. ამ დროისათვის საქართველოს უმნიშვნელოვანესი ქალაქები — თბილისი, რუსთავი, დმანისი, სამშვილდე და სხვა, თურქ-სელჩუკთა ხელში აღმოჩნდა. ამას გარდა, მწარმოებელ კლასს მძიმე ტვირთად დააწვა სათურქო გადასახადები. ასე რომ, ახლად წარმოშობილ ფეოდალურ მონარქიას არა მარტო ქვეყნის გაერთიანების დასრულებისათვის უნდა ეზრუნა, არამედ აგრეთვე საქართველოს უმნიშვნელოვანესი

თემებიდან და ქალაქებიდან უცხო დამპყრობელთა განდევნისთვისაც.

ამ ორმხრივ ბრძოლაში სამეფო ხელისუფლება როგორც ძლიერ შინაგან წინააღმდეგობას (დიდგვარიანების მხრივ), ასევე საგარეო პირობების გართულებასაც (თურქ-სელჩუკების სახით) აწყდებოდა. დიდგვარიანები ქვეყნის გაერთიანებისა და ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის სასტიკი მოწინააღმდეგენი იყვნენ და მეფის ხელისუფლებასთან საუკუნეების განმავლობაში დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებდნენ (განსაკუთრებით კლდეკარის ერისთავები ბაგრატ IV-ის, გიორგი II-ისა და ნაწილობრივ დავით აღმაშენებლის დროს, ორბელიანები გიორგი III-ის დროს, დიდგვარიანთა არაერთი გამოსვლები თამარის დროსა და სხვ.).

გაერთიანების დასრულებისათვის, უცხო დამპყრობთაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის მებრძოლ მეფის ხელისუფლებას გვერდში ედგა, წვრილ აზნაურობასა და ეკლესიასთან ერთად, ქალაქები, რომელიც, ბუნებრივია, მხარს უჭერდა ფეოდალური კარჩაკეტილობის მოსპობას, ქვეყნის გაერთიანებასა და საკუთარ განთავისუფლებას უცხოელთა ბატონობისგან.

სამეფო ხელისუფლება კარგად ხედავდა ქალაქების როლს საქართველოს გაერთიანების დასრულების საქმეში, და ამიტომაც არა მარტო ქალაქების უცხოელთა და დიდებულთა ბატონობისაგან განთავისუფლებისა და ხელში ჩაგდებისათვის იბრძოდა, არამედ ყოველნაირად ხელს უწყობდა საქალაქო ცხოვრების შემდგომ აყვავებას. იქმნება კავშირი მეფის ხელისუფლებასა და ქალაქებს შორის. ამას საგანგებოდ აღნიშნავდა ენგელსი[166]. ფ. ენგელსის მითითება თავის დადასტურებას პოულობს საქართველოს მაგალითზედაც.

საქართველოს სამეფო ხელისუფლება ყოველნაირად ხელს უწყობდა ცალკეულ კუთხეთა და მეზობელთა შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას. იგი ზრუნავს გზების შეკეთებისათვის; ზოგი სავსებით გაუვალი გზა, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით, მეფემ ქვაფენილად აქცია, სასტიკ მდინარეებზე ხიდები ააგო[167]. ქალაქებში და გზებზე მიმავალ ვაჭართათვის სასტუმრო სახლები და ფუნდუკები იქნა აგებული. გარკვეული შეღავათები მიენიჭა ქალაქის მოსახლეობის გავლენიან ფენას.

---

[166] ფ. ენგელსი, О разложении феодализма и развитии буржуазии, К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI, ч. 1, М., 1937, с. 445.

[167] დავითის ისტორიკოსი, A, გვ. 227.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საქალაქო ცხოვრების შემდგომი განვითარებისათვის სამეფო ხელისუფლების ბრძოლა საქართველოს ქალაქების უცხო დამპყრობელთა, თურქ-სელჩუკთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის. ამით ქალაქები არა მარტო უცხოელთა პოლიტიკური ბატონობისაგან, არამედ მათ სასარგებლოდ განკუთვნილ მძიმე გამოსაღებებისაგანაც თავისუფლდებოდნენ, ყოველივე ამის გამო ბუნებრივია, თუკი ქალაქი ამ ბრძოლაში სამეფო ხელისუფლების მხარეზე იდგა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქ. თბილისის მოქალაქეთა ზედაფენის წარმომადგენელთა— „ქალაქის ბერების“ (უხუცესების) და ბაგრატ IV-ის ურთიერთობა. „ქართლის მატიანეს“ ცნობით, „თბილისის ბერებმა“, ისარგებლეს რა თბილისის ამირა ჯაფარის გარდაცვალებით, საქართველოს მეფე ქალაქში მიიწვიეს და საკუთრივ ქალაქი, მტკვრის მარჯვენა ნაწილი, ჩააბარეს. „მოვიდეს ტფილელნი ბერნი... უქადეს (ბაგრატს—შ. მ.) ქალაქი და უხმეს... მოვიდეს სხუანი მფლობელნი ბერნი ტფილელნი. (ბაგრატ) წარემართა თბილისად და მოეგებნეს ქალაქისა ბერნი ტფილელნი... შეიყვანეს და მოავლეს ქალაქი... მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი, შეიყვანეს საამიროსა დარბაზსა...“[168]. ასე რომ, მეფემ ქალაქის უხუცესების შემწეობით ხელთ იგდო თბილისის ის ნაწილი, სადაც გავლენა სწორედ ამ უხუცესებს ჰქონდათ — ხელოსნებითა და ვაჭრებით დასახლებული ნაწილი. მაგრამ მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ისანში კი თბილისის მაჰმადიანთა სამხედრო ფეოდალური ზედაფენა იყო მოკალათებული, რომელიც ქალაქს უბრძოლველად არ თმობდა. მემატიანეს სიტყვით, „ისნელთა ჩააგდეს ხიდი და არა მოსცეს ისანი“[169] ბაგრატს. მეფემ ბრძოლა გაუმართა ისნელებს, მაგრამ თბილისის ამ ნაწილის ხელში ჩაგდება მაინც ვერ მოახერხა.

აღსანიშნავია, რომ ამავე დროსათვის (1044—1045 წწ.) ქ. ანისის უხუცესთა დახმარებითა და მიწვევით ქ. ანისიც საქართველოს მეფეს ჰქონდა. მაგრამ ორივე ეს უმნიშვნელოვანესი ქალაქი ბაგრატ IV-მ დიდგვარიანების, კერძოდ, კლდეკარის ძლიერი ერისთავის წყალობით დაჰკარგა[170].

ბაგრატ IV მეორეჯერ იქნა მიწვეული თბილისის დასაპყრობად „თბილისის ბერების“ მიერ[171]. მეფემ ქალაქი აიღო, მაგრამ იგი ისევ

---

[168] მატიანეᲥ ქართლისაᲐ, A, გვ. 186.

[169] იქვე.

[170] იქვე, გვ. 187.

[171] იქვე, გვ. 189.

კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტმა აიძულა ამ შემთხვევაშიც დაეტოვებინა. მხოლოდ ლიპარიტის დამარცხების შემდეგ შეძლო ბაგრატ IV-მ თბილისი საყმადნაფიცო ქალაქად გაეხადა.

თურქ-სელჯუკთა პოლიტიკური ბატონობისაგან საქართველოს ქალაქების განთავისუფლება დავით აღმაშენებლის მეფობის დროს მოხდა: 1110 წ. ქ. სამშვილდე იქნა განთავისუფლებული, 1115 წ. ქ. რუსთავი; 1122 წ. ქ. თბილისი, ისტორიკოსის სიტყვით, 400 წლის განმავლობაში უცხოელთა ბატონობის შემდეგ საქართველოს დაუბრუნდა[172]; 1123 წ. დმანისი განთავისუფლდა და სხვ. დამახასიათებელია, რომ თვით ანისის მცხოვრებთა თავკაცების („თავადთა") წარმომადგენლების მიწვევით დავითმა 1123 წ. „აღიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად"[173].

აღსანიშნავია, რომ თბილისის იერიშით აღების პირველ სამ დღეს მეფე სასტიკად გაუსწორდა ქალაქს — იგი თავის ლაშქარს საძარცვავად მიანება. მაგრამ დავითი კარგად ხედავდა ქალაქის მნიშვნელობას მისი სიძლიერის განმტკიცების საქმეში და ამიტომაც ქალაქის შემდგომ აღორძინებაზე ზრუნვა მაშინვე დაიწყო. არაბი ისტორიკოსების ცნობით, მეფემ თბილისის აღების შემდეგ ქალაქის მცხოვრებლებს მფარველობა და კარგი მოპყრობა აღუთქვა. ალფარიკის ცნობით, დავითმა გაანთავისუფლა თბილისის მცხოვრებლები იმ წლის (1122 წ.) სხვადასხვა გამოსაღებებისაგან. ამას გარდა, მომდევნო წლისთვისაც, განსაკუთრებით ქალაქის მაჰმადიანურ მოსახლეობას, იმავე ისტორიკოსის ცნობით, საგადასახადო შეღავათები მიანიჭა და მრავალი სხვა ხელსაყრელი პირობაც შეუქმნა[174], ისე რომ, არაბი ისტორიკოსების სიტყვით, სამეფო ხელისუფლებისაგან ასეთ მოპყრობას მაჰმადიანები ქ. ბაღდადშიც ვერ ეღირსებოდნენ[175]. ყველაფერი ეს გასაგებია — ქალაქის ძირითად ხელოსნურ-ვაჭრულ გავლენიან ფენას ჯერ კიდევ მაჰმადიანები შეადგენდნენ, რომელნიც აქ საუკუნეების განმავლობაში იყვნენ დამკვიდრებულნი; მათ ხელში იყო იმდროინდელი თბილისის ეკონომიკა; ქალაქის ეკონომიკურად ძლიერი და გავლენიანი ფენა მეფეს თავისი ინტერესებისათვის, სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის

---

172 დავითის სტორიკოსი, A, გვ. 218.

173 იქვე, A გვ. 220.

174 ელ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ, „ენიმკის მოამბე", ტ. XIII, თბ., 1943, გვ. 141.

175 შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართვ. ერის ისტორია, II, გვ. 205, 218.

სჭირდებოდა, მათთან კავშირის დამყარება მისთვის აუცილებელი იყო.

მაგრამ დავით აღმაშენებელი ამასობაში ქალაქს თანდათან იმორჩილებდა, გზადაგზა ძარცვავდა მის მოკავშირეს. დამახასიათებელია, რომ თბილისის აღებისთანავე მეფემ „თბილისის უხუცესების“ ხელისუფლება მნიშვნელოვნად შეზღუდა.

სამეფო ხელისუფლება თავისი მოკავშირის გაძლიერების მიზნით ზრუნავს არა მარტო ძველი ქალაქების შემდგომი განვითარებისათვის, არამედ ახალი ქალაქების დაარსებისთვისაც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის დროს, ბაგრატ IV-ის ბრძანებით შენდება ქ. ატენი. ატენი და ატენის ციხე, როგორც მნიშვნელოვანი პუნქტი, უფრო ადრე იყო ცნობილი[176]. ჯერ კიდევ VII ს. პირველ ნახევარში, აქ შენდებოდა ატენის ცნობილი სიონი[177]. ცხადია, აქ მოსახლეობაც საკმაოდ მჭიდრო უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი ქალაქად მაინც არ იყო მიჩნეული. მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე არსებულ მჭიდროდ დასახლებულ პუნქტში ბაგრატ IV-ის ბრძანებით ქალაქის გაშენება იწყება; ამაზე ატენის სიონის წარწერა მოგვითხრობს: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მე, გურგანელმან, მირიანის ყმამან თარხუნის ძისამან, ატენის ციხისთავმან, ავაგენ ატენს სახლნი და ქელბაგი მას ჟამსა, ოდეს, — ადიდენ ღმერთმან, — ძლიერმან მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს პატრონსსა ჩემსა, სეფისა ზოჟარსა შიდა ქალაქის შენება; გაუმარჯოვა ღმერთმან და ბედმან მეფობისა მათისამან, ვითა სწადდა მეფობასა მათსა, ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი. შეგვწყალა მეფობამან მათმან, სასახლენი, ადგილნი და საქულბაგენი მკჳდრად, ნებიერობით გუბოძა მირიანს და ყრმათა მისთა, რომელთაცა შენება შეეძლო. მე ავაგე სახლი და ქულბაგი და შევწირე წმიდასა სიონსა ატენნისასა, საყოფელსა წმიდისა ღმრთის მშობლისასა, სალოცველად ჰგიამცა უკუნისამდე ძრიელი მეფეთა მეფემ ბაგრატ სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი და სალოცველად სულისა მირიან მიწისა მათისა, გამზრდელისა პატრონისა ჩემისათჳნ დავდევ დღე თევდორომა აღაპად, გარდაიჴდიდეს მამასახლისი წინამძღუარი სიონისა, ვინცა იყოს“[177]. წარწერა, რო-

---

[176] მატიანენ ქართლისაჲ, A, გვ. 174, 185.

[177] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1944, გვ. 178.

[177a] И. Джавахов, К вопросу о времени построения груз. храма в Атене, «Хр. Восток,», 1912, т. I, вып. III, с. 298—291; თ. ბარნაველი. ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 39.

გორც ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, 1060—1068 წწ. ეკუთვნის[178]. ამავე ხანისათვის, მის ახლო დროისათვის უნდა ვივარაუდოთ ქალაქის აგებაც ატენში.

ზემომოტანილი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი წარწერიდან ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს მითითება იმის შესახებ, რომ მეფემ ქალაქის გასაშენებლად დათმო საკუთარი „სეფე ზოვარი“ და ამას გარდა, ქალაქში დასახლების მსურველთ — გრიგოლს, მირიანს და „ყმათა მისთა“, რომელთაც მხოლოდ სახლებისა და ქულბაქების შენება შეეძლოთ, უბოძა „სასახლენი ადგილნი და საქულბაგენი მკჳდრად, ნებიერობით“. მეფე, როგორც ჩანს, დიდად დაინტერესებულია ახალი სამეფო ქალაქის შექმნით და ამიტომაც მოსახლეობისათვის გარკვეული შეღავათების მინიჭებას არ იშურებს.

დამახასიათებელია, რომ ქალაქის მშენებლები მოქალაქეთა სახლებსა და ქულბაქებთან ერთად აგებენ ქალაქის მფლობელის, ამ შემთხვევაში მეფის, სასახლესაც.

სამეფო ხელისუფლების ზრუნვის წყალობით XI—XII სს. მიჯნაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრად იქცა გორიც. გორი ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველად ჯუანშერის მიერ VII ს. დამდეგის ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიება. არჩილ მეფემ „საგანძურნი ქართლისანი და ჯავახეთისანი დასხნა გორს, რომელ მანვე ერეკლე განაჩინა სამალავად განძთა მათთუის, რომელ თანა ვერ წარქონდეს. სახლი გორისა მის არს ტონთიო დათარგმანებით „მთა ოქროსა“[179]. რაკი აქ მნიშვნელოვანი საგანძურის შენახვა შეიძლებოდა, VII ს. დამდეგისათვის ძლიერი ციხე-სიმაგრე უნდა არსებულიყო. მაგრამ ჯუანშერის ეს ცნობაც რომ არ გვქონოდა, დღესდღეობით არსებული არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ძვ. წ. V—IV სს. აქ ციხე-სიმაგრის არსებობა უეჭველად არის მიჩნეული[180]. მართლაც, გორი ისეთ გზაჯვარედინზე იდვა, რომ აქ ციხის არსებობა უძველესი დროიდან არის სავარაუდებელი, მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ არ ქმნიდა პირობებს მისი ქალაქად გადაქცევისათვის, ამ რაიონში X—XI სს. ჯერ კიდევ უფლისციხე პირველობდა. თბილისის სატახტო ქალაქად გადაქცევის შემდეგ გორის მახლობლად მდებარე უფლისციხის მნიშვნელობა შემცირდა და მალე დაეცა კიდევაც. ასევე ეცემოდა მეორე მნიშვნელოვანი პუნქტის — ნაჭარმაგევის მნიშვნელობაც. ყველაფერ ამან დასავლეთისაკენ, ჩრდილო-

---

178 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 291.
179 ჯ უ ა ნ შ ე რ ი, A, გვ. 149.
180 გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, წინაპართა ნაკვლევი, გვ. 134.

ეთისაკენ და სამხრეთისაკენ მიმავალი გზების შესაყარზე მდებარე გორს დიდი გასაქანი მისცა. შემთხვევითი არ არის, რომ ქართული და უცხოური წყაროები გორის ქალაქად გადაქცევას დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირებენ. მართლაც, გორის, როგორც ეკონომიკური ცენტრის, აღორძინებას ისახავდა მიზნად დავითის მიერ აქ ახალი, უმთავრესად სომხური, მოსახლეობის დიდი რაოდენობით გადმოყვანა, იმდენად, რომ XII ს. სომეხ ისტორიკოსს მათე ურჰაელს ქ. გორი დავითის მიერ „ქართლის ქვეყანაში საგანგებოდ სომეხთათვის აშენებულ“ ქალაქადაც კი მიაჩნია. დამახასიათებელია, რომ ახალი ქალაქის აღორძინებით, მისი მჭიდროდ დასახლებით დაინტერესებული მეფე ქ. გორის ახალ მოსახლეობას მნიშვნელოვან პირობებს უქმნიდა. ამიტომაც, მათე ურჰაელის სიტყვით, „დიდი სიხარულითა და აღტაცებით ეპყრობოდა მას (დავითს) სომეხთა ნათესავი“.

დავით აღმაშენებლის დროიდან საბოლოოდ სრულდება საქართველოს სამეფოს გაერთიანება და მისი მეზობლების განთავისუფლება უცხოელთა, თურქ-სელჩუკთა ბატონობისაგან. საქართველოს სამეფოს სახით ამავე დროიდან წინა აზიაში უძლიერესი ფეოდალური სახელმწიფო წარმოიქმნა. დავითის და მისი მემკვიდრეების (დემეტრე I, გიორგი III, თამარი) მეფობის დროს საქართველოს სამეფო მთელ ამიერკავკასიას მოიცავდა. საქართველოსთან სხვადასხვაგვარი სახის ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ჩრდილოეთ კავკასია, აღმოსავლეთ ამიერკავკასია, სამხრეთი ანუ ირანის აზერბაიჯანი, მთელი სომხეთი და შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროები (ტრაპიზონის სამეფო). მცირე აზიაში სელჩუკებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. საქართველო უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. დავით აღმაშენებლისა და მის მემკვიდრეთა მიერ ჩატარებული მრავალგვარი საშინაო ღონისძიებები სახელმწიფოებრივი მართველობის სხვადასხვა სფეროშიც, და საერთოდ შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების პირობები, ხელს უწყობდა საქართველოსა და მის მეზობელთა შორის ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, ქმნიდა მეტ-ნაკლებად მტკიცე გარანტიას „ვაჭრის პიროვნებისა და მისი საკუთრებისადმი“ (ენგელსი), რაც, თავისთავად ცხადია, აპირობებდა საქალაქო ცხოვრების შემდგომ განვითარებას და ახალი ქალაქების წარმოშობასაც.

XI—XII სს., ზემოხსენებულთა გარდა, სხვა ახალი ქალაქებიც წარმოიშვა. ჩრდილოეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით სამხრეთ სლავებთან გაცხოველებულმა ეკონომიკურმა ურთიერთობამ წარმოშვა XII ს. ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზაზე ქ. ყინვანი. ამ ქა-

ლაქის განსაკუთრებული მნიშვნელობით უნდა აიხსნას ალბათ ის, რომ იგი მეფის მიერ სამეფოს უდიდეს მოხელეებს ეძლეოდა საგამგეოდ[181].

ამავე დროს წარმოიშვა აგრეთვე სამხრეთში ქ. ბარალეთიც[182]. ჩვენი აზრით, XII ს. უნდა იყოს წარმოშობილი აგრეთვე სურამი და ალიც, როგორც ქალაქები. შემთხვევითი არ არის, ცხადია, რომ ქართლის ერისმთავარი XIII ს. სურამელად იწოდება[183], ხოლო ამირეჯიბები თავიანთი გვარის სიძველისა და დაწინაურების დასასაბუთებლად XIV ს. ქ. ალის წყალობად მიღებას იშველიებდნენ[184]. ამავე დროისათვის, თუ უფრო ადრე არა, როგორც ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობს[185], მდ. ძამის ხეობით მიმავალ სავაჭრო გზაზე არსებობდა ქ. ზოვრეთიც. ამრიგად, წერილობითი წყაროების მიხედვით XI—XII სს. წარმოშობილ ქალაქებად ჩანან ატენი, გორი, ჟინვანი, ბარალეთი, სურამი, ალი, ზოვრეთი.

ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის დროიდან ზოგიერთმა ადრეფეოდალური ხანის ქალაქმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა[186]. მაგ., საქართველოს გაერთიანების დროისათვის დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქ წუნდასაც. დამახასიათებელია, რომ XI—XII სს. ქართველი ისტორიკოსები წუნდას აღარ იხსენიებენ. მის მეზობლად არაერთი ახალი ფეოდალური ქალაქის წარმოშობამ და გაძლიერებამ (ახალქალაქი, თმოგვი) იქნებ მართლაც დაუკარგა თავისი მნიშვნელობა წინაფეოდალური ხანის ქალაქს. ვახუშტის მიხედვითაც, წუნდა „იყო ქალაქი და ციხე საერისთაო ერთმეფობამდე. არამედ აწ არღარა არს ქალაქი, გარნა ციხე“[187]. აღსანიშნავია, რომ წუნდაში დღემდე არის შემორჩენილი XIII ს. ეკლესია, რაც იმაზე მიგვითი-

---

[181] ისტორიანი და აზმანი, გვ. 95. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 277—78.

[182] ს. კაკაბაძე, ვეფხის ტყაოსანი, მე-2 გამოც. წინასიტყვაობა, გვ. LXIII; ბ. ინგოროყვა, რუსთველიანა, თბ., გვ. 169, 188.

[183] ვახუშტი, აღწერა, გვ. 130; И. Ростомашвили, Ахалкалакский уезд, СМОМПК, т. XXV, с. 40.

[184] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 127, 128, 141, 149.

[185] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 209—210—212; შდრ. ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV ს-ში, МИГК, 1937, в. I, с. 65.

[186] ნ. ბერძენიშვილი, ერთი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის, Труды ГМГ, XB, 1944, с. 21—22.

[187] ვახუშტი, აღწერა, გვ. 130.

თებს, რომ ამ დროისათვის იგი ჯერ კიდევ დასახლებული პუნქტი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, არა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრი.

X—XI სს. უკვე ქალაქი აღარ იყო ვახტანგ გორგასლის დროინდელი უძლიერესი ადრინდელი ფეოდალური ხანის ციხე-ქალაქი უჯარმაც. X ს. დამდეგის ამბებთან დაკავშირებით „ქართლის მატიანეს“ ავტორი უჯარმას უკვე ციხედ იხსენიებს, რომელიც არაბთა სარდალმა აბულ-კასიმმა დაანგრია[188]. დანგრეული ციხე მალე შეუკეთებიათ ისე, რომ გიორგი III-ის დროისათვის იგი მნიშვნელოვან სიმაგრედ იყო მიჩნეული[189]. ამასვე ადასტურებს არქეოლოგიური მონაცემებიც. უჯარმამ ციხის მნიშვნელობა, როგორც წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემებიდან ჩანს, XVIII ს. ბოლომდე შეინარჩუნა.

XI—XII სს. ქალაქად აღარ იხსენიება აგრეთვე ჭერემიც.

დასავლეთ საქართველოს შესახებ ცნობები ამ შემთხვევაშიც გვაკლია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ტრაპიზუნტი ამ დროისათვის (მასზე ადრეც) ბიზანტიის იმპერიაში, ხოლო შემდეგ ტრაპიზონის სამეფოში შედიოდა და მის უმთავრეს ქალაქს წარმოადგენდა.

ამრიგად, XI—XII სს. საქართველოში იყო შემდეგი ქალაქები: თბილისი, რუსთავი, ატენი, გორი, უფლისციხე, ჟინვანი, სურამი, ალი, ზოვრეთი, დმანისი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, ბარალეთი, თმოგვი, ოლთისი, სამშვილდე, ოძრეკე, ხუნანი, არტაანი, თუხარისი, ხორნაბუჯი, თელავი, ქუთაისი, ვაშნარი (?) ვარდციხე, შორაპანი, პეტრა, ბათომი, ფოთი, ცხუმი, ბიჭვინტა, ნიკოფსე.

როგორც ვხედავთ, რიცხობრივი თვალსაზრისით, ქალაქების ზრდაში XI—XII სს. დიდი ცვლილებები არ მომხდარა. მაგრამ სამაგიეროდ გაიზარდნენ ქალაქები თავისი შინაარსით, თვისებრივად; ამ დროისათვის საქართველოს უდიდეს ქალაქებს წარმოადგენდნენ: თბილისი, რუსთავი, გორი, ჟინვანი, დმანისი, ახალქალაქი, ახალციხე, თმოგვი, სამშვილდე, ოძრეკე, ხუნანი, თელავი, ქუთაისი და სხვ.

ზემოხსენებულ ქალაქებს გარდა, წინაფეოდალური თუ ადრეფეოდალური ხანის ძველ ნაქალაქარებსა და მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეებთან, მეფეთა დროებით სადგომებთან თუ მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრებთან, სადაც მოსახლეობა შედარებით მჭიდრო იყო, არსებობდნენ ქალაქის ტიპის დასახლების მქონე დაბები. ასეთ პუნქტებად XI—XII სს. უნდა მივიჩნიოთ მცხეთა, უჯარმა, ჭერე-

---

188 მატიანეᲥ ქართლისაᲐ, A, გვ. 169.

189 ისტორიანი და აზმანი, გვ. 66.

მი, მანგლისი, აწყური, ლორე, ერუშეთი, ნაჭარმაგევი, გეგუთი, ბოლნისი, გაგი, ჟალეთი, ბოჭორმა და სხვ., რომელთაც ჩვენს განკარგულებაში არსებული წყაროები არც ერთხელ ქალაქად არ იხსენიებენ, ალბათ, იმიტომ, რომ აქ ნაკლებად იყო მუდმივი ხელოსნურ-ვაჭრული მოსახლეობა. მიუხედავად ამისა, ეს პუნქტები იმდროინდელ საქართველოს საერთო ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

*
* *

რას წარმოადგენდნენ ფეოდალური საქართველოს ქალაქები? ადრეფეოდალურ და ფეოდალურ ხანაში წარმოშობილი ქალაქები, ასევე ის ქალაქებიც, რომელნიც ჯერ კიდევ წინაფეოდალურ ხანაში წარმოიშვნენ და შემორჩნენ ფეოდალურ ხანას, არსებითად განსხვავდებოდნენ, როგორც თავიანთი შინაარსით, ასევე გარეგანი სახითაც, მონათმფლობელური ხანის საქართველოს ციხე-ქალაქებისაგან.

ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქები ძირითადად იყვნენ ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრები. წერილობითი წყაროების არაპირდაპირი მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ X—XII სს. საქართველოში განვითარებული იყო საშუალო საუკუნეებში ცნობილი ხელობის ყოველი დარგი. შორს იყო წასული აგრეთვე ხელობის ცალკეული დარგის შემდგომი სპეციალიზაციაც.

მაგ., X—XII სს. ხელობის ცალკე დარგს წარმოადგენდა „ქვით ხუროობა“ ანუ კალატოზობა, „ქვის მთლელობა“, „ხით ხუროობა“ და ავეჯის მკეთებლობა, შენობათა მოჭიქვა, დაჭრელება და „გამოქანდაკების ხელობა“. ხელობის ცალკეულ დარგებად იყო დაყოფილი, დანაწილებული მეჭურჭლეობაც. ცალკე იყვნენ „ძელის ჭურჭლის“ მკეთებელი, „კეცის“ ანუ თიხის ჭურჭლის მკეთებელი ხელოსნები, რომელნიც სხვადასხვა დარგის სპეციალისტებად იყვნენ დაყოფილნი; „ჭურჭელთა მჭედელნიც“ იყოფოდნენ სპილენძის ჭურჭელთა და ოქრო-ვერცხლის ჭურჭელთა მკეთებლებად; ცალკე იყო აგრეთვე დაწნულ ჭურჭელთა და ტყავის ჭურჭელთა მკეთებელი ხელოსნებიც; ცალკე ხელობა იყო მეაგურეობა და მეკრამიტეობა; ხელობის სხვადასხვა დარგს, და საქართველოში საკმაოდ და-

წინაურებულს, წარმოადგენდა მინის წარმოება და ძვირფას თვალთა დამუშავება; ქსოვის ხელობაც რამდენიმე დარგად იყო დანაწილებული. წყაროებში ცალკე მოიხსენიება „საფენთა და საგებელთა მქსოველნი“; „სამოსთა მქსოველნი“ და ძვირფას შესამოსელთა — „ოქროქსოვილთა“ თუ „ოქრონემსულთა“ მქსოველნი. ამის მიხედვით სხვადასხვაგვარი იყო ქსოვის ხელობაც; წყაროებში მოიხსენიება „ჭრელად“, „შერთულად“ და „ლარულად“, „ორხაულად“ ქსოვა. ცალკე იყვნენ ნაქსოვთა თუ ძაფთა „მღებარი“ ხელოსნებიც. წყაროებში სხვადასხვაგვარ სამოსთა მოხსენიება, მაგ., „სადიაცო“ და „სამამაცო“, „სამოსელი სამღდელო“, „სამოსელი ვაჭართა“, „სამოსელი საფილოსოფოსო“, „სამოსელი საქორწინე“ და სხვ., მათი მრავალგვარობა გვაფიქრებინებს, რომ მკერვალობის ხელობაც სხვადასხვა სპეციალობად უნდა ყოფილიყო დანაწილებული. ცხადია, ცალ-ცალკე ხელობას წარმოადგენდა ტყავის დამუშავება, „ტყავის სამოსისა“ და თავსაბურავების კერვაც; მეფეხსაცმელეობაც, როგორც წყაროებიდან ჩანს, სხვადასხვა ნაწილებად იყოფოდა: ცალკე იყვნენ მოგვისა, ჩაფლას და სხვა მსგავსთა მკერვალნი, ქალამნების მკერვალნი. დანაწილებული იყო მჭედლობის ხელობაც. ცალკე იყო რკინისა და რვალის (სპილენძის) მჭედელი, ზეინკალი და, ცხადია, ოქრომჭედელი. თვით „რკინისა და რვალის მჭედლები“ საომარი იარაღების, სამეურნეო იარაღებისა და ჭურჭელთა მჭედლებად ნაწილდებოდნენ. სავარაუდებელია, რომ ცალკე იყვნენ აგრეთვე ცხენისა და სხვ. ნალის მჭედელი ხელოსნებიც. ცალ-ცალკე დარგებად ითვლებოდა X—XIII სს. მწიგნობრობასთან დაკავშირებული შემდეგი ხელობაც: წიგნების გადაწერა, „ეტრატის და ქაღალდის შექმნა“, „წიგნის შეკერვა“ (აკინძვა) და „წიგნის მოკაზმვა“; წყაროებში ცალკე მოიხსენიებიან აგრეთვე „მხატვრებიც“, რომელთა შორის ცალკე იყვნენ ეკლესია-მონასტერთა მომხატველნი და „წიგნთა მხატვარნი“; ზემოხსენებულ ხელობის წარმომადგენელთა გარდა, X—XII სს. წერილობით წყაროებში მოიხსენიებიან აგრეთვე „მეპურე“ (ხაბაზი), „მზარეული“, ქუქანკი (წყლის მილების გამყვანი), მეწისქვილე, ანუ წისქვილის მკაზმავი, „ნავის მკეთებელი“, „ისართა მთლელი“ („მემშვილდენი“), მენელსაცხებლე, „დამყუენელნი წვერიანი“ (მკვეცარნი, დალაქი) და სხვ. ხელობის წარმომადგენლები[194].

---

[190] ხელოსნური წარმოების განვითარების შესახებ X—XIII სს. საქართველოში იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X—XIII სს. ქართულ მონასტრებში“, „მიმომხილველი“, ტ. I, თბ., 1949, გვ. 75—80.

ხელოსნური წარმოების ზემოდასახელებული დარგების წარმომადგენლების უმთავრეს თავშესაყარს, რა თქმა უნდა, საქართველოს ქალაქები წარმოადგენდა. ამას არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებენ, რომელიც ნაწილობრივ მაინც ავსებს წერილობითი წყაროების ჩვენებას.

საქართველოს ქალაქებს შორის, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით, უდიდეს ქალაქს თბილისი წარმოადგენდა. ჯერ კიდევ VII ს., სომეხი ისტორიკოსის მოსე კალანკატუელის სიტყვით, თბილისი თავისი სიმდიდრით უცხოელებს აოცებდა. იგი იყო „ნებიერი მოვაჭრე, სახელოვანი და დიდი ქალაქი"[191], რომელიც უდიდეს სიმდიდრეს ფლობდა. ხაზარების გამანადგურებელი ლაშქრობის (627 წ.) შედეგების შესახებ მოსე კალანკატუელი მოგვითხრობს, რომ დამპყრობლებმა უდიდესი განძი ჩაიგდეს ხელთ; ურიცხვი ლაშქარი ნადავლით მძიმედ იყო დატვირთული; იმდენად ბევრი ოქროსა და ვერცხლის განძი დაიტაცეს და თავის მბრძანებელს მიართვეს, რომ შეხედვაც კი დამღლელი იყო[192].

მიუხედავად არაერთი გამანადგურებელი ლაშქრობისა, თბილისი X ს. ამიერკავკასიის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქად ითვლებოდა. არაბი გეოგრაფი ისთაჰრი. X ს. პირველი ნახევრის თბილისის შესახებ მოგვითხრობს: „თბილისი... სიმდიდრით სავსე ადგილია, მრავალ ხილიან-ნათესებიანი. მრავალგვარი საქონელი და თაფლი მტკვრით მიაქვთ იქიდან... მთელს ირანში ბარდავზე, დარუბანდზე და თბილისზე უფრო დიდი ქალაქი არ არსებობს"[193]. ამგვარადვეა ნათქვამი ამავე დროის არაბულ საგეოგრაფიო თხზულებაში[194] და სხვა სახის აღწერილობაში[195]. თბილისი განსაკუთრებით მომდევნო საუკუნეებში დაწინაურდა.

თბილისის ერთ-ერთ, შედარებით თავისუფალ უბანში, სამასი არაგველის სახელობის ბაღთან, ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელთან უკანასკნელ ხანებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ თბილისი XI—XIII სს. კერამიკული წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა. აღმოჩენილ იქნა თიხის ჭურჭლის ხელოსნური საწარმოების მთელი უბანი. აქ უწარმოებიათ თიხის არა მარტო უბრალო ჭურჭლები, არამედ მხატვრუ-

---

191 История Агван Майсея Каганкатвици, Спб, 1861, с. 107.

192 იქვე, გვ. 120.

193 ვლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ირანელი ავტორები, გვ. 4.

194 იქვე, გვ. 15.

195 ედრისის ცნობები, იხ. A m é d e J a u b e r t, Geographie d'Edrise, m-cecond, Par., 1840, გვ. 325.

ლი კერამიკის საუცხოო ნიმუშებიც — სხვადასხვა სახის მოჭიქული ჭურჭლები. აღმოჩენილ 6 ქურაში უმთავრესად ჭიქურით დაფარული ჭურჭლები უწვავთ. თბილისში დამზადებული სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭლები საქართველოს სხვა ქალაქებშიც და მეზობელ ქვეყნებშიც გაუტანიათ. აღსანიშნავია, რომ ამ უბანში, ჭურჭლეულს გარდა, მოჭიქული კრამიტები და შენობათა პერანგების სადეკორაციო დეტალები, შორენკეცებიც უწარმოებიათ. კერამიკის ეს დარგიც, მეკრამიტეობა-მეაგურეობა, როგორც ჩანს, იმდროინდელ თბილისში საკმაოდ განვითარებული ყოფილა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, თბილისის ხელოსნურ წარმოებაში მინის ჭურჭელთა კეთებასაც[196]. აქ განვითარებული ყოფილა აგრეთვე, როგორც წერილობითი წყაროებიდან ჩანს, აბრეშუმის, მატყლისა და სხვ. ქსოვილების დამზადებაც. XIII ს. თბილისის შესახებ მარკო პოლო შენიშნავდა, რომ იქ გამოირჩევა აბრეშუმისა და სხვა ქსოვილები[197]. ხელობის სხვადასხვა დარგის განვითარების შესახებ მოგვითხრობს აგრეთვე თბილისური ოქრომჭედლობის, მჭედლობის, ხუროთმოძღვრების და სხვ. დღემდე შემონახული ძეგლებიც.

ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ქ. დმანისიც. დმანისის ნაქალაქარის გათხრების დროს აღმოჩენილი კერამიკა მრავალფეროვანია. როგორც ფორმის, ისე ტექნიკისა და აგრეთვე ორნამენტთა სხვადასხვაობის მხრივაც. გარდა სადა, ანგობიანი ჭურჭლებისა, როგორც გათხრებმა დაამტკიცა, დმანისში უწარმოებიათ მოჭიქული ჭურჭლებიც, რომელნიც იმით არიან განსაკუთრებით საინტერესონი, რომ მათ შორის ქართულ წარწერიანი ცალებიც აღმოჩნდა[198]. ამ ჭურჭლების შესახებ ლ. მუსხელიშვილი წერდა: „გასაოცარია ორნამენტული სახეების სიმრავლე; კონტურები თამამად და მკაფიოდაა გამოყვანილი, ფერები დიდი გემოვნებითაა შეხამებული“[199]. სპეციალისტების აზრით, დმანისში აღმოჩენილ ჭურჭლეულთა მსგავსი ნაწარმი ვრცელდება მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, ჩრდ. უკრაინაში, ყირიმში, დასავლეთ ბიზანტიაში და სხვ.

დმანისის ნაქალაქარის გათხრების დროს მოჭიქულ ჭურჭელთა

---

196 გ. ლომთათიძე, თბილისის არქეოლოგიური შესწავლის დასაწყისი, გაზ. «Комунисти», 26/VI—1949, № 126; მისივე, წინაპართა ნაკვალევი, გვ. 140.

197 М. Полиевктов и Г. Натадзе, Старый Тифлис, с. 7.

198 ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, გვ. 403.

199 იქვე. გვ. 443.

ნახევარფაბრიკატების აღმოჩენა, აგრეთვე ქართულ წარწერიანი ცალების არსებობა კერამიკულ ნაწარმთა ადგილობრივ დამზადებაზე მიგვითითებენ. საინტერესოა აგრეთვე, რომ დმანისიდან ხუთიოდე კილომეტრის მანძილზე, ფინეზაურის ხეობასთან, კარგი ხარისხის წითელი საჭურჭლე თიხა ბლომად მოიპოვება.

ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმთა გარდა, დმანისში სპარსული ყაიდის, ხშირად ლუსტრიანი და ზოგჯერ ოქროსვარაყიანი ფაიანსიც ბევრი აღმოჩნდა. მაგრამ ამათგან ზოგიერთი იმისთანაც იყო, რომლის ორნამენტი „ორიგინალური სპარსული კი არაა, არამედ საკმაოდ უმწეო მიბაძვას წარმოადგენს"; ეს კი, როგორც ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავდა, გვაძლევს შესაძლებლობას, რომ დავასკვნათ: „ფაიანსიც, ნაწილობრივ მაინც, ადგილობრივი ნაწარმოებია"[200].

ამას გარდა, დმანისის ნაქალაქარის შესწავლა იძლევა საკმაო საფუძველს, რომ აქვე ხის დამუშავება, მინისა და სელის წარმოება ხელოსნობის საკმაოდ დაწინაურებულ დარგებად მივიჩნიოთ. დმანისისათვის, როგორც ქალაქისათვის, მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მის ახლო მიდამოებში განვითარებულ მეღვინეობასა და მებაღეობასაც[201]. არაბი ისტორიკოსის იაკუთის ცნობით, დმანისი აბრეშუმის წარმოებითაც განთქმული ყოფილა; იგი წერს: „დმანისი არის ქალაქი თბილისის სანახებიდან, არმენიაში, საიდანაც გააქვთ აბრეშუმი"[202].

თავისი სიძლიერით, ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებით დმანისს არაფრით ჩამოუვარდებოდა ქ. რუსთავი. როგორც წერილობითი და არქეოლოგიური მასალებიდან ირკვევა, რუსთავი განსაკუთრებით დაწინაურდა საქართველოში ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების შემდეგ. ამ ხანაში რუსთავის (ბოსტან-ქალაქის) სიძლიერის შესახებ მეტყველებს მისი პოლიტიკური როლიც იმდროინდელ ქართლის სამეფოში.

საინტერესოა, რომ ს. ერემიანის მოსაზრებით, ქართლის მარზპანის საჯდომი თელეთი, Tab. Peut-იას მიხედვით, Teleba უნდა ყოფილიყო, რომელიც, მისი აზრით, უდრის „ბოსტან-ქალაქს"[203]. ს. ერემიანის მტკიცებით „ბოსტან - ქალაქის" სახელწოდების ანა-

---

[200] იქვე, გვ. 444.

[201] იქვე, გვ. 448.

[202] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, დმანისის მონეტის გამო, „ლიტერატურული ძიებანი", ტ. II, 1944, გვ. 171.

[203] როგორც ცნობილია, ძველი ქართული საისტორიო მწერლობით, „ბოსტან-ქალაქი" ქ. რუსთავის უძველესი სახელია.

·ლიზი გვიჩვენებს, რომ ქართლში მარზპანად სომხეთისა და ალბანიის მსგავსად, მარზპანის დომენი იწოდებოდა, რომლის ქართული ფორმა შემორჩენილია სახელწოდებად Bostan-qalaqi (ბოსტან—ქალაქი), მთელ რაიონს კი ეწოდებოდა Sa-bostano (საბოსტანო). ეს პირველი მარზპანების ადგილსამყოფელი ქალაქ თელეთში resp. ბოსტან-ქალაქი შემორჩენილია ჯერ კიდევ მცხეთაში, სადაც ადგილობრივი დინასტია განაგრძობდა მმართველობას[204].

ამრიგად, ს. ერემიანის აზრით, ბოსტან-ქალაქი (შემდეგდროინდელი რუსთავი) ქართლის მარზპანთა საჯდომი იყო. მიუხედავად იმისა გავიზიარებთ თუ არა ს. ერემიანის მოსაზრებას, ერთი მაინც ცხადია, რომ თვით სახელწოდება „ბოსტან-ქალაქი“ ქართულის მიხედვით აუხსნელი ჩანს. ჯერ ივ. ჯავახიშვილმა, ხოლო შემდეგ ს. ჯანაშიამ აღნიშნეს, რომ „ვოსტანიკი“ ანუ *пистаніка* ეწოდებოდა იმ მცხოვრებლებს, რომლებიც წარმოშობილი იყვნენ იმ ოლქებიდან, რომლებიც ეკუთვნოდა ადრე სომეხთა მეფეს[205]. და რომ სომხური „ოსტანი“ მთლიანად შეესაბამებოდა ქართულ „სეფეწულებს“ [206]. ასე რომ, ქართული „ბოსტან-ქალაქი“ საუფლისწულო, მეფის საგვარეულოს ქალაქს, «удельный город»-ს უნდა ნიშნავდეს, რაც ადრეფეოდალური ხანის რუსთავის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიგვითითებს.

რუსთავის დაწინაურება ადრინდელ ფეოდალურ ხანაში აისახა არქეოლოგიურ მასალებშიც. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ორმო-სამარხებში აღმოჩენილი ოქროსა და ბრინჯაოს საყურეები, მინის სანელსაცხებლები და სხვ., ახ. წ. IV—VII სს. მიეკუთვნება. ასევე, მტკვრის მარცხენა ნაპირზედაც ნაქალაქარის ტერიტორიის ქვეფენიდან ამოღებული ნივთებიც — საკინძის თავები, აბზინდა, მინის ჭურჭლის ნამტვრევები, გემიანი საბეჭდავები და სხვ., ამავე ხანას მიეკუთვნება. განსაკუთრებით საინტერესოა ნაქალაქარის ტერიტორიაზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე აღმოჩენილი VII—IX სს. მატერიალური კულტურის ძეგლები: საეკლესიო ნაგებობის ჩუქურთმიანი ქვის ნატეხები, ქვის ლავგარდნის ნაწილები, ჯვრიანი კრამიტები,

---

[204] С. Т. Еремян, Феодальные образования Картли в период марзбанства (532—627 гг.)—Тезисы диссертации на соиск. степени канд. ист. наук, 1935, с. 6,7,8.

[205] И. А. Джавахов, Гос. строй древней Грузии и Армении, с. 93.

[206] С. Н. Джанашиа, К критике Моисея Хоренского, МИГК, в. VI, 1937, с. 484,

ზოგიერთი ქართული ასომთავრული წარწერის ნაწყვეტი, სპილენძის ბიზანტიური VI ს. მონეტა და სხვ.

მტკვრის მარჯვენა ნაპირზედაც ამ დროის უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლებია მოპოვებული; განათხარ ქვევრებში აღმოჩნდა ჭაჭა, რომელიც ამ ქვევრების დანიშნულებაზე მიგვითითებს; ამას გარდა, აღმოჩნდა „ფეტვის ორმოებიც", ქვის დიდი საბეჭდავი ჯვრის გამოსახულებით და ბერძნული წარწერით; აქვე ქართული სიტყვაცაა ამოკაწრული, ნაპოვნია VII ს. პირველი ნახევრის დასასრულის ბიზანტიური მონეტა[207].

ყველაფერი ეს VI—IX სს. განვითარებული საქალაქო მეურნეობისა და მჭიდრო მოსახლეობის არსებობაზე მიგვითითებს. შეინიშნება ერთი გარემოებაც: მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მოსახლეობა უმთავრესად სოფლის მეურნეობას მისდევს (ღვინის ქვევრები, „ფეტვის ორმოები" ამის მაუწყებელია). ეს ნაწილი ქალაქის ერთი მნიშვნელოვანი სამეურნეო უბანია, რომელზედაც ფეოდალური ქალაქის ეკონომიკა დიდად იყო დამოკიდებული. ყურადღებას იქცევს მეორე გარემოებაც: IX საუკუნიდან მტკვრის მარჯვენა ნაპირზე უკვე მოსახლეობა თითქოს აღარ ჩანს. არქეოლოგიურად მნიშვნელოვანი ძეგლები ამ დროიდან წყდება. შეიძლება ეს იმაზე მიგვითითებდეს, რომ X—XI ს-დან, როცა საქალაქო ცხოვრება რუსთავში შემდგომ განვითარებას განიცდის, მისი ახლო უბნების მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თანდათან თავს იყრის ქალაქის უმთავრეს რაიონში.

ამდროინდელი რუსთავი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრიც იყო. როგორც „ქართლის მატიანეს" ცნობიდან ირკვევა, ისე როგორც საქართველოს იმდროინდელ უდიდეს ქალაქებში, თბილისში და დმანისში, ასევე რუსთავშიაც X—XI სს. არაბი მოხელე ამირა იჯდა[208]. რუსთავსაც, როგორც ჩანს, თავისი საკუთარი ამირა ჰყავდა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ამ ქალაქსაც არაბები თბილისსა და დმანისზე ნაკლებად არ თვლიდნენ. დამახასიათებელია, რომ არაბთა ბატონობის ხანაშიც ძველ ქართულ ქალაქს თავისი სახე არ დაუკარგავს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ძეგლები — ქვის დიდი საბეჭდავი ჯვრითა და ბერძნულ-ქართული წარწერით, ჯვრიანი კრამიტები, ქართული ასომთავრული

---

[207] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები (წინასწარი მოხსენება), ხელნაწერი, გვ. 49 და შემდეგ. შდრ. მ ი ს ი ვ ე, წინაპართა ნაკვალევი, გვ. 186—189.

[208] მატიანეჲ ქართლისაჲ, A, გვ. 193.

წარწერები და მათი ნაწყვეტები და სხვა, კარგად გვიჩვენებს იმ-დროინდელი რუსთავის სახეს და იმას, რომ მისი ძირითადი მოსახ-ლეობა, მიუხედავად არაბთა პოლიტიკური ბატონობისა, მაინც ქარ-თული იყო. 1115 წ. რუსთავში უცხოელთა პოლიტიკურ ბატონო-ბას დავით აღმაშენებელმა ბოლო მოუღო და ქალაქსაც ამიერიდან შედარებით თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა მიეცა. თა-მარის დროისათვის რუსთავს იმდენად უცვლია სახე, რომ ზოგი ის-ტორიული გადმოცემით იგი თამარის მიერ დაარსებულად და გაშე-ნებულადაც კი არის მიჩნეული[209].

XII—XIII სს. რუსთავის ეკონომიკურ სიძლიერეზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს არქეოლოგიური მასალები. არქეოლოგიურ-მა ექსპედიციამ ნაქალაქარის ერთ-ერთი ნანგრევის კუთხეებთან მო-ნეტათა მთელი განძი (წონით 8,2 კგ) აღმოაჩინა, რომელიც უმთავრე-სად XII—XIII სს. მიეკუთვნება[210]. ეს კარგად გვისახავს რუსთა-ვის მოქალაქის ქონებრივ შესაძლებლობას. ქალაქის მცხოვრებთა ზედაფენის ქონებრივ შესაძლებლობაზე მოგვითხრობს აგრეთვე სხვადასხვა სახის სამკაულები, კერძოდ, ოქროს საყურე დამშვენე-ბული ფაქიზი ჭვირული, წნულოვან-გრეხილოვანი ბურთობით და ექვსყურა ყვავილის მსგავსი გულსაკიდი, ლამაზი და ფაქიზი გემოვ-ნებით გაკეთებული. როგორც გ. ლომთათიძემ მიუთითა, „ამ ორი სამკაულის სახით ხელთა გვაქვს საუკეთესო ნიმუშები საშუალო საუკუნეების ქართული ოქრომჭედლური ხელოვნებისა, რომელსაც დღემდე უმთავრესად საეკლესიო ინვენტარების მიხედვით ვიცნობ-დით“[211]. სამკაულებიდან კიდევ ყურადღებას იქცევს პასტის ან მი-ნის, ან ძვირფას ქვათა მძივები, ბეჭდები, მინის სამაჯურები და სხვ.

არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ X—XIII სს. რუსთავი კერამიკული წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრიც ყოფი-ლა. აქ უწარმოებიათ მოჭიქული ჭურჭლები, ფაიანსი. აღსანიშნავია, რომ რუსთავის კერამიკული ნაწარმი განსხვავდება თბილური და დმანური მსგავსი ნაწარმისაგან და ერთგვარ თავისებურებას ინარჩუ-ნებს. არქეოლოგიური მონაცემები შესაძლებლობას იძლევა რუს-თავში მინის წარმოებაც ვივარაუდოთ[212]. როგორც გვიანდელი ხა-ნის წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რუსთავი X—XIII სს. გან-

---

[209] იხ. პ. ·ინგოროყვა, რუსთველიანა, გვ. 165.

[210] გ. ლომთათიძე, რუსთავის არქეოლოგიური ძიების შედეგები, გვ. 37—38.

[211] იქვე, გვ. 34—35.

[212] გ. ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევი, გვ. 173.

თქმული იყო აგრეთვე მეაბრეშუმეობითა და აბრეშუმის ნაწარმით[213].

აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ქალაქის მცხოვრებთა ნასახლარებში საკმაო რაოდენობით ბოსტნეულის პარკებში შენახული თესლეულობა (საზამთროს, კვახისა და სხვ.), რაც იმაზე მიგვითითებს, რომ რუსთაველ ხელოსნებს, გარდა სახელოსნო-სარეწავებისა, „ჰქონდათ ბოსტნები და პატარა მინდვრები"[214].

ხელოსნური წარმოების ცენტრები იყო საქართველოს სხვა მნიშვნელოვანი ქალაქებიც — ქუთაისი, გორი, სამშვილდე, ხუნანი, ახალციხე, ახალქალაქი, თელავი, ჟინვანი და სხვა, მაგრამ წერილობით წყაროებს ამ ქალაქებში ხელოსნური წარმოების ამა თუ იმ დარგის განვითარების შესახებ, ისე როგორც საერთოდ საქართველოს სხვა ქალაქებზედაც, ცნობები არ დაუცავს. ქართულ-უცხოურ (არაბული, სომხური) წყაროებში ისინი მხოლოდ მოიხსენიებიან, როგორც მნიშვნელოვანი ქალაქები, მაგრამ თუ რაში მდგომარეობდა მათი ამგვარი მნიშვნელობა, წყაროებში არაფერია ნათქვამი. არქეოლოგიურად კი ზემოხსენებული ქალაქები სავსებით ხელუხლებელია და შეუსწავლელი; ასე რომ, ჩვენ მოკლებული ვართ ყოველგვარ შესაძლებლობას ამა თუ იმ ქალაქში ხელოსნური წარმოების ცალკეული დარგების განვითარების შესახებ კონკრეტული მასალებით ვილაპარაკოთ.

ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქები იყვნენ არა მარტო ხელოსნური წარმოების ცენტრები, არამედ აგრეთვე მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრებიც. „შრომის შემდგომი დანაწილება მიწისმოქმედსა და ხელოსანს შორის", ფ. ენგელსის სიტყვით, აპირობებს ფეოდალურ ქალაქებში ვაჭართა ფენის, ახალი საზოგადოებრივი ფენის წარმოშობასა და გაძლიერებას, რომელიც უკვე ეწევა მხოლოდ პროდუქტების გაცვლას და არა მის წარმოებას[215].

საქართველოს ფეოდალური ქალაქები აქტიურად ებმებიან როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვაჭრობაში. დამახასიათებელია, რომ X—XIII სს. საბუთების მიხედვით, ყოველგვარი ნივთი საქართველოში ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა, და შინაგან ბაზარზე ტრიალებდა. მაგ., საქართველოს ბაზრებზე იყიდებოდა ლაგამი, უნაგი-

---

213 ს. ყაყაბაძე, ისტორიული საბუთები, I, გვ. 34.

214 Ф. Энгельс, Анти-Дюринг, с. 256.

215 Ф. Энгельс, Происхождение семьи, частной собственности и государства, ОГИЗ, с. 171.

რი, უბრალო თუ ოქროთი მოჭედილი, სხვადასხვა სახის სამოსელი, სამეურნეო იარაღები: სახნისი, ქუაბი და სხვ., ხარის ტყავი, ქალამანი, საამშენებლო მასალა — კირი, ქვა და სხვ.[216].

სხვადასხვა სახის არაპირდაპირი წყაროებიდან ირკვევა, რომ საქართველოს ქალაქებს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ არაბეთთან, სპარსეთთან, ბიზანტიასთან, სლავებთან, სომხეთთან, ეგვიპტესთან, ჩინეთთან და სხვ. მაგ., XI—XIII სს. მასალების მიხედვით, ბაღდადიდან და სხვა მაჰმადიანური ქალაქებიდან შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის ქსოვილები, ნელსაცხებლები და სურნელოვანი ნივთიერებანი, ცხენის აკაზმულობა, შაქარი, ძვირფასი თვალ-მარგალიტი და სხვ. ამავე ქვეყნებიდან, ზოგჯერ ზოდებით, ოქრო და ფოლადიც კი შემოუტანიათ, რომელთა დამუშავება ადგილობრივ წარმოებდა.

ბიზანტიიდან შემოჰქონდათ ქსოვილები, რომელთაც სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ქსოვილებისაგან განსხვავებით, „ბერძნულს“ უწოდებდნენ; აქედანვე მოდიოდა ოქროქსოვილი, სამღვდელთმსახურო, საეკლესიო ნივთები და სხვ. ძვირფასი ფარჩეულობა მოჰქონდათ სომხეთიდანაც, რომელსაც „სომხურს“ უწოდებდნენ[217], აღსანიშნავია, რომ საუკეთესო მატყლი ქართველ ვაჭრებს ალექსანდრიიდანაც შემოუტანიათ[218].

XII—XIII სს. განსაკუთრებით იზრდება ჩინური ქსოვილების გატანა დასავლეთში წინააზიის გზით. ჩინური ქსოვილები საქართველოშიც შემოჰქონდათ. შემოდიოდა აგრეთვე ჩინური კერამიკაც. დამახასიათებელია, რომ ჩინური კერამიკის ძალიან ძვირფასი ნიმუში ფრაგმენტების სახით აღმოჩნდა დმანისის ნაქალაქარის გათხრების დროს[219].

დმანისის არქეოლოგიური გათხრები მასალებს გვაწვდის აგრეთვე ამ ქალაქის ურთიერთობის შესახებ ჩრდილოეთ შავი ზღვის სანაპიროებთან, ერთი მხრივ[220], და, მეორე მხრივ, სამხრეთის ახლო თუ შორეულ მეზობლებთან.

საქართველოს ქალაქებს არა მარტო შემოჰქონდათ უცხოეთიდან

---

216 შდრ. ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 31—32.

217 იხ. ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 30—31.

218 ისტორიანი და აზმანი, გვ. 114; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 33.

219 Э. Кверфельдт, Китайская керамика XII—XIII вв. на Кавказе, Памятники эпохи Руставели, 1, 1938, 186—188.

220 А. Банк, Керамика из Дманиси и Херсонеса, Памят. эпохи Руставели, с. 179—180.

სხვადასხვა სახის ნაწარმი, არამედ გაჰქონდათ კიდეც ხელოსნური წარმოების პროდუქტები. საქართველოდან გადიოდა ბამბის, მატყლის, აბრეშუმის ნაწარმი, სხვადასხვა სახის ქსოვილები, ტანისამოსი, ხალიჩები, ქურქები, კერამიკული ნაწარმი და სხვ.

საქართველოს ქალაქების სავაჭრო ურთიერთობას მეზობელი ქვეყნების ქალაქებთან გვიჩვენებს აგრეთვე უცხოური ფულების გავრცელება საქართველოს ქალაქებში და ასევე ქართული ფულების გავრცელება საზღვარგარეთ.

ჯერ კიდევ VI ს. დასასრულსა და VII ს. დამდეგს, ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების პირველ საუკუნეებში ქართლის ერისმთავრებმა თბილისში, ქართული ასომთავრული წარწერით, საკუთარი ფულის მოჭრა დაიწყეს[221]. ცხადია, ფულის მოჭრა თბილისში განვითარებული საშინაო და საგარეო ვაჭრობით იყო ნაკარნახევი.

არაბთა ბატონობის დამყარების შემდეგ, 704/5 წლებში, თბილისში თვით არაბები იწყებენ ფულის მოჭრას. აღსანიშნავია, რომ თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი არაბული მონეტები, სხვა არაბულ ფულთან ერთად, გადიოდა ჩრდილოეთისა და დასავლეთის ქვეყნებში. მაგ., ისეთ ადგილებში, როგორიცაა ვლადიმირის, კურსკის, ტულის, ფსკოვის, მინსკისა და ოლონეცკის ოლქები, ასევე, ლიფლანდია და ფინეთი, სხვა განძთა შორის აღმოჩნდა თბილისში მოჭრილი ე. წ. „თბილურ-არაბული“ დრამებიც[222]. შორეულ ქვეყნებში გადიოდა, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ტაო-კლარჯეთის მეფეთა (დავით კურაპალატის) ფულებიც. ყოველივე ეს იმის მაუწყებელია, რომ ქ. თბილისს და საქართველოს იმდროინდელ სხვა ქალაქებსაც მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ აღმოსავლეთის თუ დასავლეთის, სამხრეთისა თუ ჩრდილოეთის მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან.

სავაჭრო ურთიერთობა არსებობდა თვით საქართველოს ქალაქებს შიგნითაც. დამახასიათებელია, რომ ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის მიერ მოჭრილი მონეტის დღემდე ცნობილი ერთადერთი ცალი სწორედ ქ. თბილისში აღმოჩნდა[223]. თბილისი მაშინ არაბთა ხელში იყო.

---

[221] დ. კაპანაძე, ქართ. ნუმიზმატიკა, გვ. 35—36; Е. А. Пахомов, Монетные клады, в. I, с. 44.

[222] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 40.

[223] Е. А. Пахомов, Монеты Грузии, I, с. 59; მისივე, Монетные клады, в. I, с. 48.

XI—XIII სს. თბილისის მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის შესახებ მეტყველებს აქ აღმოჩენილი მონეტები ამ საუკუნეებისა, რომელთა შორის აღრიცხულია, ქართულ სხვადასხვა დროის მონეტათა გარდა, ბიზანტიური მონეტები, ეიუბიდების, ილდიგიზიდების, მოსულის ათაბაგების ორთუკიდების, რუმის სელჩუკების ჯალალ ად-დინის და ჰულაგუიდების მონეტები[224].

ასევე, დმანისის ნაქალაქარში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, XI—XIII სს. ქართულ მონეტებს გარდა, მოპოვებულ იქნა ილდიგიზიდების, ჰულაგუიდების, ეიუბიდების, ჯალალ ად-დინის, რუმის სელჩუკების, ბიზანტიის (ბასილ II-ის, კონსტანტინე VIII-ის, მიხეილ IV-ის, თეოდორას, ისააკ I-ის, რომანოზ IV-ის, მიხეილ VIII-ის), ჰენრი ფლანდიელისა (1205—1206) და სომხურ-მონღოლური მონეტები[225]. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქ. დმანისი XII—XIII სს. იმდენად ძლიერი სავაჭრო ქალაქი იყო, რომ იგი XIII ს. პირველ ნახევარში საკუთარ ფულსაც ჭრიდა. იმდროინდელ დმანურ მონეტაზე იკითხება: „ქალაქი დმანისი. ხანგრძლივს ჰყოფს მას ღმერთი, წელსა ექვსას ორმოცდა ორსა“ (—1245)[226].

ქ. ახალციხეში ნაპოვნია როგორც ქართული, ასევე XI—XIII სს. ბიზანტიური მონეტები, ორთუკიდების მონეტები, ჰალაბის ათაბაგებისა და ტრაპიზონული ასპრების მიმბაძველობაც[227]. ახალციხე XIII—XIV სს. მიჯნაზე კიდევ უფრო გაძლიერებულა, მონღოლებს მისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრისათვის და, ალბათ, ამით აიხსნება, რომ XIII ს. დასასრულს აქ ზარაფხანა დაუარსებიათ, რომლის შესახებ მითითება მოიპოვება ყაზან ყაენის (1293—1304) მიერ მოჭრილ ვერცხლის მონეტაზე[228].

დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქი ქუთაისი ვაჭრობას აწარმოებდა არა მარტო ბიზანტიის იმპერიასთან, არამედ აღ-

---

224 თ. ლომოური, ფული რუსთაველის ეპოქაში, რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები (კრებული), გვ. 312—313.

225 თ. ლომოური, იქვე, გვ. 310; ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, გვ. 446.

226 გ. წერეთელი, დმანისის მონეტის გამო, „ლიტ. ძიებანი“, II, 1944, გვ. 171; თ. ლომოური, ფული რუსთაველის ეპოქაში; ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, გვ. 446.

227 თ. ლომოური, ფული რუსთაველის ეპოქაში, გვ. 312.

228 თ. ლომოური, ახალციხის ზარაფხანა, Труды ГМГ, XIV В., 1947, с. 132; 133; მისივე, ქოდალას განძი, Труды ГМГ, XIV В., 1947, с. 134—135. დ. კაპანაძე, უცნობი ქართული მონეტებისა და ზარაფხანების საკითხის შესწავლისათვის, Труды ГМГ, XIV В., 1947, с. 149—156.

მოსავლეთის სხვა ქვეყნებთანაც. მაგ., ქუთაისში ბიზანტიური[229] და ტრაპიზონული ასპრების მიმბაძველობათა[230] გარდა, აღმოჩენილია XIII ს. დამდეგის ილდიგიზური მონეტა, სელჩუკური ვერცხლის დირჰემი[231] და სხვ. ქუთაისი, თბილისის უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებამდე, საქართველოს სამეფოს დედაქალაქი იყო და აქ, ცხადია, სამეფო ზარაფხანაც არსებობდა. როგორც ჩანს, აქ უნდა იყოს მოჭრილი ბაგრატ III-ის მონეტა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი[232]. ამას გარდა, როგორც უკანასკნელი ხანის გამოკვლევები გვიჩვენებენ, ქუთაისში ზარაფხანა უნდა არსებულიყო XIII ს. დამდეგსაც[233]. აღმოსავლური მონეტები ნაპოვნია აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებშიც; მაგ., ბიჭვინტაში აღმოჩენილია რუმის სელჩუკების ქეიყობადის (1219—1236) მიერ კონიაში და სივასში მოჭრილი ვერცხლის დირჰემები[234]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ XI—XIII სს. სხვადასხვა მუსლიმანური დინასტიის (ეიუბიდების, ილდიგიზიდების, ორთუკიდების, აზერბაიჯანის, მოსულისა და ჰალაბის ათაბეგების) და მონღოლების სპილენძისა და ვერცხლის მონეტები, რომელნიც აღმოსავლეთ საქართველოში საკმაოდ არიან გავრცელებულნი, დასავლეთში თითქმის არ ჩანს[235]. სამაგიეროდ, დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით ბიზანტიური ოქროს მონეტებია და XIII ს-დან კიდევ ტრაპიზონული ვერცხლის მონეტები და მათი მიმბაძველობა (მაგ., სოხუმში, ქუთაისში, ბიჭვინტაში, და სხვაგან). ბიზანტიური მონეტები ასევე ვრცელდება მთელს აღმოსავლეთ საქართველოშიც.

მეზობელ ქალაქებთან სავაჭრო ურთიერთობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, როგორც ჩანს, ქ. ალიც. აქ 1925 წ. მოპოვებულ იქნა განძი 480 წვრილი ოქროს მონეტისაგან შემდგარი, რომელთაგან 204 ჯუჩიდ (1290—1391 წწ. შორის) ხანებს ეკუთვნის, ნაწილი ჯალაირიდებს, ზოგი კიდევ იოანე II (1280—1297) ტრაპი-

---

229. Е. А. Пахомов, Монетные клады, в. III, с. 35.

230 თ. ლომოური, ფული რუსთაველის ეპოქაში, გვ. 313.

231 Е. А. Пахомов, Монетные клады, в. III, с. 43, 44.

232 Е. А. Пахомов, Монеты Грузии, I, с. 118.

233 დ. კაპანაძე, უცნობი ქართული მონეტებისა და ზარაფხანების საკითხის შესწავლისათვის, Труды ГМГ, XIX В., 1947, с. 156.

234 Е. А. Пахомов, Монетные клады, в. I, с. 55.

235 თ. ლომოური, ფული რუსთაველის ეპოქაში, გვ. 316.

ზონული ასპრების მიმბაძველობაა, ხოლო 258 ცალი კი ქართულ მონეტებს წარმოადგენს[236].

აღსანიშნავია, რომ ქართული მონეტების გავრცელების არე XII ს. მიწურულსა და XIII ს. პირველ ნახევარში საკუთრივ საქართველოს საზღვრებს სცილდება. იგი საკმაო რაოდენობით არის აღმოჩენილი სამხრეთით, სომხეთის ყოფილ სამეფოს ტერიტორიაზე, მის სხვადასხვა ქალაქებში, ჩრდილოეთით ყუბანის ხეობამდე; ასევე იგი გავრცელებული უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთით შირვანშიც, რომელთანაც საქართველოს მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი ფაქტები ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი[237].

XI—XIII სს. აღმოსავლური თუ დასავლური მონეტების დიდი რაოდენობით გავრცელება საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, საქართველოს უმთავრეს ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, დმანისი, ახალციხე) საკუთარი ზარაფხანების არსებობა, მონეტების აღმოჩენა განძების სახით ქალაქებსა (თბილისში რამდენიმეჯერ[238], რუსთავში, ალში და სხვ.) და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მიგვითითებს საქართველოს ქალაქებზე, როგორც მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრებზე, და იმაზედაც, თუ როგორ ქმნიდა პირობებს გაცხოველებული საშინაო და საგარეო ვაჭრობა ამა თუ იმ პირის ხელში საკმაოდ დიდი თანხის დაგროვებისათვის.

წერილობითი წყაროების ცნობები ფეოდალური ხანის, კერძოდ VI—XIII სს., საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ მოგვეპოვება, ხოლო ნაქალაქარები არქეოლოგიურად იმდენად შესწავლილი არ არის, რომ ამის მიხედვით მაინც შეგვეძლოს ძველი საქართველოს ქალაქების მოსახლეობის რაოდენობის შესახებ დაახლოებით ვიმსჯელოთ.

ის ორიოდე ცნობა კი, რაც საამისოდ დღესდღეობით გაგვაჩნია, საჭიროდ ვთვლით აქ მოვიტანოთ. არაბი ისტორიკოსის ტაბარის ცნობით, ბულას 853 წ. ლაშქრობის დროს თბილისში 50000 მცხოვრები დაღუპულა[239]. როგორც არ უნდა იყოს გაზვიადებული და-

---

[236] Е. А. Пахомов, Монетные клады, в. II, с. 45—46.

[237] თ. ლომური, ფული რუსთაველის ეპოქაში, ვ. 316.

[238] საინტერესოა, რომ თბილისში, მის ყველაზე უძველეს უბანში 1904 წ., სხვათა შორის, აღმოჩენილი იქნა განძი, შემდგარი 800 სასანიდური და ბიზანტიური ვერცხლის მონეტისაგან, რომელიც VI ს. დასასრულს და VII ს. დამდეგს მიეკუთვნება (იხ. Е. А. Пахомов, Монеты Грузии, I, с. 30; მისივე, Монет. клады, в. I, с. 43).

[239] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტ., II, გვ. 376.

ღუპულთა რაოდენობის შესახებ ტაბარის ეს ცნობა, ეჭვს გარეშეა, რომ იმდროინდელ თბილისში 50000 მცხოვრები მაინც უნდა ყოფილიყო. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის ქალაქები საერთოდ საშუალო საუკუნეებში საკმაოდ მრავალრიცხოვან მოსახლეობას ითვლიდა[240]. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა ამ დროის ერთ-ერთი ძლიერი ქალაქი თბილისიც.

თბილისის მოსახლეობა, ცხადია, კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბებისა და თბილისის მის სატახტო ქალაქად გადაქცევის შემდეგ. შემთხვევითი არ უნდა იყოს XIV ს. ანონიმი ქართველი ისტორიკოსის მითითება იმის შესახებ, რომ ჯალალ ად-დინის თბილისში 1227 წ. გამანადგურებელ ლაშქრობას ქალაქის, დაახლოებით, 100000 მცხოვრები შეეწირა[241].

XII—XIII სს. რუსთავის ნაქალაქარის სამარხებში, დაკრძალულთა სიხშირის მიხედვით, არქ. მ. ივაშჩენკოს მიერ დაახლოებით გაანგარიშებულ იქნა, რომ იმდროინდელ რუსთავში 20000 კაცს უცხოვრია[242]. ასევე მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო ქ. სამშვილდის მოსახლეობაც. სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფელის სიტყვით, XV ს. 40-იან წლებში, როცა უკვე ქ. სამშვილდე დაქვეითების გზაზე იყო შემდგარი, ჯანშაჰის მოლაშქრეებმა სამშვილდეში „1664 კაცის თავისაგან ქალაქის კარზედ მინარა დადგეს და 9400 ტყვედ ჩაიგდეს“, ამათ გარდა, მრავალი ტყესა და ჯაგნარში ამოსწყვიტეს, და 60 კაცი სამღვდელო პირი კიდევ ცხვარივით ქალაქის კარზე ამსხვერპლეს[243]. ასე რომ, 1440 წ. ქ. სამშვილდეში მარტო ტყვედ წაყვანილთა და დახოცილთა რაოდენობა 11124-ზე მეტი ყოფილა, რაც ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ დაზარალებულ ნაწილზე გვაძლევს წარმოდგენას. ცხადია, გაცილებით მრავალრიცხოვანი იქნებოდა სამშვილდის მოსახლეობა მისი განსაკუთრებული სიძლიერისა და აყვავების (XI—XIII სს.) დროს.

მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო აგრეთვე დმანისის, გორის, ქუთაისის და სხვ. ქალაქთა მოსახლეობაც, მაგრამ საამისოდ ცნობები, არაპირდაპირიც კი, ჩვენ არ მოგვეპოვება.

---

[240] В. Бартольд, Историко-геогр. очерк Ирана, 1903, с. 147; Я. Манандян, О торговле и городах Армении, с. 155.

[241] ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, III, 1949, გვ. 58; ს. ყაბაძე, საქ. ეკ. ვითარება XVIII ს-ში, „მნათობი“, № 2, 1924, გვ. 225.

[242] გ. ლომთათიძე, რუსთავის არქეოლოგიისათვის, „კომუნისტი“, 1950, 24/V.

[243] თომა მეწოფელი, ლ. მელიქსეთ-ბეგის გამოცემა, თბ., 1937, გვ. 27. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 41.

თუ ქალაქების ტოპოგრაფიის მიხედვით ვიმსჯელებთ, საქართველოში იყო ისეთი ქალაქებიც (მაგ., უჯარმა, უფლისციხე, ახალქალაქი, ჟინვანი, ატენი და სხვა), რომელთა მოსახლეობა ალბათ 2000—5000 არ აღემატებოდა.

სულ სხვაგვარი იყო ფეოდალური საქართველოს მოსახლეობის სოციალური სახეც, მაგრამ ამის შესახებ საგანგებოდ ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით. ამრიგად, ზემომოტანილი მასალების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ VI—XIII სს. ქართული ფეოდალური ქალაქი თავისთავად წარმოადგენს მოსახლეობის, საწარმოო იარაღების, კაპიტალის მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილების მეთოდების კონცენტრაციას[244].

* * *

ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქები განსხვავდებოდნენ წინაფეოდალური ხანის ქალაქებისაგან როგორც თავიანთი წარმოშობის საფუძვლებით, სოციალური, ეკონომიკური შინაარსით, ასევე გარეგანი სახითაც.

თუკი წინაფეოდალური (მონათმფლობელური) საქართველოს ქალაქებისათვის ძირითად ამოსავალს მაინც ციხე წარმოადგენდა, ფეოდალური ქალაქის წარმოშობისათვის ძირითადი პირობა ციხე-სიმაგრე კი არ არის, არამედ სოფლის მეურნეობის, ხელოსნური წარმოების განვითარებითა და სხვა ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რაიონი.

მაგ., ქ. თბილისი წარმოიშვა უკვე დიდ ხნით ადრე მჭიდროდ დასახლებულ პუნქტში, რომელიც აგრეთვე მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე იყო. ასევე შეიძლება ითქვას ქ. ქუთაისის, დმანისის, არტანუჯის, ახალქალაქის, თმოგვის, ახალციხის, ატენის, გორის, ბარალეთისა და სხვ. შესახებ. ფეოდალური ქალაქების წარმოშობის თავისებურმა მიზეზებმა (განსხვავებულმა წინაფეოდალური ხანის ქალაქების წარმომშობი მიზეზებისაგან), ცხადია, თავის მხრივ განაპირობეს ფეოდალური ქალაქის განსხვავებული გარეგანი სახეც.

თუკი წინაფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრეებთან წარმოშო-

---

[244] К. Маркс и Ф. Энгельс, Немецкая идеология, соч., т. IV, 1937, с. 40.

ბილი ქალაქები ძირითადად ციხის ირგვლივ მომწყვდეულ ტერიტორიებს წარმოადგენდნენ, ფეოდალური ხანის ქალაქები ციხე-ქალაქის კედლების ფარგლებიდან გამოდიან და ან კიდევ, თვით აპირობებენ, მოსახლეობის ქონებრივი სიმდიდრის დასაცავად, ციხე-სიმაგრეების წარმოშობას — ქალაქებთან ერთად ჩნდება ციხე-სიმაგრეებიც. პირველი შემთხვევა — ქალაქების გამოსვლა ციხე-ქალაქების კედლებიდან — წინაფეოდალური ხანიდან ფეოდალურ ხანაში შემოღწეულ ქალაქებს ახასიათებს, მეორე კი — ფეოდალურ ხანაში წარმოშობილ ახალ ქალაქებს.

მოვიტანოთ სათანადო მაგალითები:

პირველი შემთხვევის მაგალითს ჯერ კიდევ მცხეთა-არმაზის ურთიერთობა იძლევა. ერთ დროს ქართლის დედაქალაქი არმაზის ციხე-ქალაქი II—III ს-დან მის მახლობლად წარმოშობილ ქალაქის ციხედ იქცევა. არმაზი უკვე ციხე-ქალაქი კი არ არის, არამედ აკროპოლისი, შიდაციხე მცხეთისა. მაგრამ ყველაფერი ეს უფრო ნათლად ჩანს წინაფეოდალური ხანის იმ ქალაქების მაგალითზე, რომლებმაც ფეოდალურ ხანაშიც შეინარჩუნეს ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობა.

ქ. უჯარმა, როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგ გორგასალის წინადროინდელ ქალაქად არის მიჩნეული. მაგრამ ვახტანგის დროს ამ ქალაქის ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რომ ზოგ ძველ ქართველ ისტორიკოსს იგი ვახტანგის აშენებულადაც კი მიაჩნია.

ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს (V ს. შუა წლები — VI ს. დამდეგი), როცა ფეოდალურმა ურთიერთობამ საკმაოდ ძლიერად მოიკიდა ფეხი და გამარჯვების წინადღეს განიცდიდა, საკუთრივ ციხე-ქალაქიდან საქალაქო ცხოვრება ქვემოთ, ციხე-ქალაქის კედლებს გარეთ, მდ. იორისაკენ, შედარებით გაშლილი და დაფერდებული მთის კალთებისაკენ ინაცვლებს. ვახტანგის წინადროინდელი ციხე-ქალაქი კი ამიერიდან ამ ახალი ქალაქის შიდაციხედ, აკროპოლისად იქცევა. იგი მხოლოდ ქალაქის მფლობელის (ამ შემთხვევაში მეფის) საჯდომია. აქ არის მეფის დარბაზი (პალატა)[245], კარის ეკლესია, რომლის უძველესი ფენა სწორედ V ს. მიეკუთვნება[246] და სხვ. ადრეფეოდალური ხანის ახალი ქალაქიც გამაგრებულია, ამ ახალი მოსახლეობის ქონებრივ ავლადიდებას ქალაქის კედლები და

---

[245] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, A, გვ. 138.

[246] შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., გვ. 156.

კოშკები იცავს. ქალაქი საგანგებო კარებით უერთდება ციხეს; ასევე, გარე სამყაროსთან კავშირისათვის მას სხვა კარებიც გააჩნია. აღსანიშნავია, რომ ვახტანგის ბრძანებით ქვედა ქალაქისათვის შემოვლებული ზღუდეც, ფეოდალური ურთიერთობის შემდგომი ზრდისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების წყალობით, თანდათან ილახება. მოსახლეობა ჩნდება ქალაქის კედლებს გარეთაც. ამას უჯარმის ნაქალაქარის კედლების ირგვლივ დღესაც ნამოსახლართა კვალის მრავლად არსებობა ადასტურებს.

მსგავსი მოვლენა შეინიშნება ქ. სამშვილდის ისტორიაში. სამშვილდე წინაფეოდალური ხანის ტიპიური ციხე-ქალაქი იყო, მაგრამ მან ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების შემდეგ თავისი სახე საგრძნობლად შეიცვალა. ჩემი აზრით, VIII ს-მდე, მის დასასრულამდე, ციხე-ქალაქი, ერთი მხრივ, „დედა-ციხის“ (გადამკეტი ციხის) და, მეორე მხრივ, მდინარეთა შესაყარით შექმნილი სამკუთხედის ტერიტორიას არ გასცილებია. დამახასიათებელია, რომ ამ ციხე-ქალაქის მფლობელნი ძველ პიტიახშთა შთამომავალნი, „ნათესავით პიტიახშნი“ სამშვილდის ცნობილ სიონს ციხე-ქალაქის უძველეს ნაწილში აგებენ[247]. VIII ს. დასასრულიდან (თუ მასზე ადრეც არა, მაგრამ ამ მხრივ მხოლოდ ქალაქის საფუძვლიან არქეოლოგიურ შესწავლას შეუძლია გადამწყვეტი სიტყვის თქმა) ქალაქის მოსახლეობა დასავლეთით (ერთადერთ შესაძლებელ მხარისაკენ) ვრცელდება და „დედა-ციხის“ მიერ ჩაკეტილ სამკუთხა ტერიტორიის ფარგლებს სცილდება. ფეოდალური ხანის ქალაქი თავს აღწევს ციხე-ქალაქის პირვანდელ ტერიტორიას. ახალ ქალაქს ახალი კედელი უჩნდება, რომელიც აგრეთვე კეტავს მდ. ხრამისა და ჭივჭავისაკენ დაქანებულ ფერდობებს. ახალ კედელს ერთადერთი კარი აქვს გარე სამყაროსთან შესაერთებლად. ერთადერთი კარით უერთდება ახალი ქალაქი აგრეთვე შიდაციხესა და ძველ ციხე-ქალაქს, რომელიც ამიერიდან ძირითადად ქალაქის მფლობელის საჯდომადაა განკუთვნილი. ძველი ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე უმთავრესად ეკლესიები (VIII ს. სიონი, X ს. ბაზილიკა, XII ს. ეკლესია), ქალაქის მფლობელის დარბაზები და სხვა საჭირო ნაგებობებია თავმოყრილი. მაშინ როდესაც ახალი ქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის საცხოვრებელი ნაგებობების ნაშთებთან

---

[247] ლ. მ ე ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, სამშვილდის სიონის წარწერები, „ენიმკის“ მოამბე, ტ. XIII, გვ. 101.

ერთად[248] სახელოსნო ნაგებობების (მაგ., ზეთსახდელი) ნანგრევებიც გაირჩევა.

ამრიგად, წინაფეოდალური ხანის ციხე-ქალაქი, ახალი ურთიერთობის გამარჯვების შემდეგ, ფეოდალურ ქალაქად იქცა; ამჟამად ქალაქს მისი შიდაციხე იცავს. სამშვილდის დედა-ციხე უკვე ამ ახალი ქალაქის დამატებას წარმოადგენს.

ასევე იცვლება წინაფეოდალური რუსთავის სახე ფეოდალურ ხანაშიც. წინაფეოდალური რუსთავი მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირსა და არხს შორის მომწყვდეულ და მაგარი კედლებით დაცულ ციხის ტერიტორიაზე ივარაუდება. სამწუხაროდ, არქეოლოგიურად ქალაქის ეს უძველესი და საინტერესო ნაწილი სრულებით არაა შესწავლილი. ქალაქის მოსახლეობა აქაც მალე ციხის ტერიტორიას სცილდება და არხის მარცხენა ნაპირისაკენ ინაცვლებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ჩანს, რომ აქ, არხის მარცხენა ნაპირზე, ნაქალაქარის ტერიტორიის ქვეფენიდან ამოღებული ნივთები — საკინძის თავები, აბზინდის, მინის ჭურჭლის ნამტვრევები, გემიანი საბეჭდავები, VI ს. ბიზანტიური სპილენძის მონეტა და სხვ. — სწორედ იმ ხანას (IV—VI სს.) მიეკუთვნება, როცა ძლიერდება ფეოდალიზაციის პროცესი და როცა ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობა იმარჯვებს. ასე რომ, რუსთავის ნაქალაქარის ის ტერიტორია, რომელიც არხის მარცხენა ნაპირზე იმყოფება, თავის საწყისებს IV—VI სს. იღებს, მაშასადამე, ის ახალი, ფეოდალური რუსთავის ნაქალაქარია და არა წინაფეოდალური რუსთავისა, რომლის არსებობის შესახებაც ასე დაჟინებით მიგვითითებს ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. საქმე იმაშია, რომ წინაფეოდალური რუსთავი იმ ციხის კედლებში იყო მომწყვდეული, რომელიც ფეოდალური ხანიდან ახალი ქალაქის დამატებად იქცა.

წინაფეოდალური ხანის ქალაქების ფეოდალურ ქალაქებად გადაქცევის მსგავს პროცესს ადგილი ჰქონდა აგრეთვე სხვა ქალაქების (ხუნანის, წუნდას, არტაანის, გაჩიანის და სხვ.) ისტორიაშიც, მაგრამ ამ საინტერესო პროცესისადმი თვალმიდევნების ყოველგვარ შესაძლებლობას, როგორც წერილობითი, ასევე არქეოლოგიური მასალების უქონლობისა გამო, მოკლებული ვართ.

ფეოდალური ხანის იმ ქალაქებს, რომელნიც წინაფეოდალური ხანის ციხე-ქალაქებისაგან წარმოიშვნენ (მაგ., სამშვილდე, რუსთავი,

---

[248] Е. Такайшвили, Изв. Кавк. отдела Имп. арх. общества, в. I, с. 40.

ხუნანი, უჯარმა და სხვ.), ჩვენ ფეოდალური საქართველოს პირველი ტიპის ქალაქებს ვუწოდებთ.

ზემოხსენებული ქალაქებისაგან განსხვავდებოდნენ ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების დროს წარმოშობილი ქალაქები. ადრინდელი ფეოდალური და ფეოდალური ხანის ქალაქებისათვის დამახასიათებელია საკუთრივ ქალაქს გარდა მისი ციხე-სიმაგრეც, რომელიც ამ შემთხვევაში მხოლოდ ქალაქის მფლობელის, მეფის თუ დიდებულის საჯდომს წარმოადგენს და რომელსაც საშიშროების შემთხვევაში ქალაქის დაცვაც აკისრია.

ფეოდალურ ხანაში ციხე-სიმაგრე ქალაქთან ერთად ჩნდება. მაგ., თბილისთან ერთად ჩნდება მისი ციხეც, კალა, რომელიც „ქართლის მოქცევის" ავტორის სიტყვით, ისეთსავე დამოკიდებულებაში იმყოფება თბილისის მიმართ, როგორც III—VI სს. არმაზის ციხე მცხეთის მიმართ[249]. კალა ფეოდალური ხანის ქალაქის აკროპოლისია; ამგვარი მნიშვნელობა შერჩა თბილისის ციხეს გვიანფეოდალურ ხანაშიც. ქალაქის ძირითადი ნაწილი, ანუ როგორც ძველი ქართული საისტორიო წყაროები აღნიშნავენ, საკუთრივ ქალაქი (თბილისი) ციხის გარეთ იყო, რომელსაც ციხესთან საერთო კედელი და კარი აერთებდა. თვით ციხე, რა თქმა უნდა, საკუთარი კედლებით იყო გამოყოფილი საერთო საქალაქო გალავნისაგან.

თბილისის მსგავსად შენდებოდა აგრეთვე ფეოდალური ხანის სხვა ქალაქებიც. ჩვენი მიზნისათვის განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ქ. არტანუჯი. იგი, VIII—IX სს. მიჯნაზე, არაბების მიერ საფუძვლიანად დანგრეული ციხის ადგილზე აღმოცენდა.

ქალაქის მშენებელი მთავარი, აშოტ ბაგრატიონი ციხესთან ერთად, რომელიც მაღალ ადგილზე მდებარეობდა, მის წინ და ქვეშ ქალაქსაც აშენებს[250]. ციხე და ქალაქი ერთდროულად წარმოიშობა. ციხე მისი მფლობელის საჯდომია, აქაა აშოტ ბაგრატიონის სასახლე, ეკლესია და სასაფლაო. ციხეში იყო მეფის საჭურჭლეც[251]. ციხე ამავე დროს აკროპოლისია[252], რომლის წინ საკუთრივ ქალაქია გაშლილი. როგორც კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობიდან ჩანს, X ს. შუა წლებში არტანუჯის ციხის ქალაქი, ანუ რაბადი საკმაოდ ვრცელი ყოფილა.

---

249 „მოქცევაჲ ქართლისაჲ", Е. Такайшвили, опис., II, с. 724.

250 სუმბატ დავითისძე, М, გვ. 344.

251 გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხ-ბა, ТР, VII, შდრ. ქართული ლიტ. ქრესტომატია, I, გვ. 137.

252 Н. Я. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, ТР, XII, с. 109—110.

ამავე ტიპის ქალაქი იყო თმოგვიც. თმოგვის ციხე თმოგვისა და მისი მიმდგომი ადგილების მფლობელის საჯდომი იყო[253]; საკუთრივ ქალაქი კი მის ირგვლივ იყო გაშენებული, ციხესაც ამ ქალაქის დაცვა ევალებოდა. მეორე ტიპის ქალაქებს მიეკუთვნება ქ. დმანისიც, მხოლოდ იმ მცირეოდენი განსხვავებით, რომ ქალაქის გეოგრაფიული პირობებისა გამო ციხე ქალაქს ზემოთ, მის რომელიმე კუთხეში კი არ არის მოქცეული, არამედ საკუთრივ ქალაქში, მის შუა ნაწილში, ბუნებრივად ამაღლებულ ადგილზე. ქ. დმანისის ნაქალაქარი მოთავსებულია მდ. მაშავერასა და ფინეზაურის შესართავს შორის 90—100 მ სიმაღლის ქარაფოვან კონცხზე. მისი ფართობი 13 ჰექტ. უდრის.

საკუთრივ ქალაქში გამოიყოფა შიდაციხე რომელიც მოთავსებულია თითქოს საგანგებოდ აღმართულ კლდეზე, რომელიც ქალაქის ტერიტორიას დაჰყურებს და ბატონობს მასზე. ციხის ირგვლივ და წინ გადაშლილია ქალაქი. შიდაციხეს ოთხივე მხრივ კედელი არტყია, მხოლოდ ქალაქის გაშლილი ნაწილიდან აქვს შესასვლელი. შიდაციხიდან წამოყვანილი კედელი ქალაქს სამხრეთიდან ზღუდავს[254]. ციხეში რამდენიმე ნაგებობაა, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს დმანისის აბანო; აბანო „სპეციალური დანიშნულების შენობა იყო, იგი რეზიდენტის სახმარად იყო განკუთვნილი, რომელიც შიდაციხეში იჯდა (აბანო მხოლოდ ერთ კაცზეა გაანგარიშებული)“[255]. დმანისს თავისი გარეუბანიც ჰქონდა, იგი ქალაქის საზღვრებს გარეთ იყო. სწორედ გარეუბანში აუგიათ მეორე აბანო რამდენიმე კაცისათვის, როგორც ჩანს, ქალაქის მოსახლეობისათვის განკუთვნილი.

ფეოდალური ხანის ქალაქების წარმოშობის გასათვალისწინებლად საინტერესო მასალას იძლევა აგრეთვე ახალქალაქისა და ატენის ისტორიაც.

ახალქალაქი თავდაპირველად გაუმაგრებელ, უზღუდო ადგილზე წარმოიშვა. ქალაქის კედლებისა და ციხის აგება ქალაქის წარმოშობისა და მისი გაძლიერების შემდეგ დაიწყეს, კერძოდ, XI ს. 40-იან წლებში[256]. დამახასიათებელია, რომ XI ს. 60-იან წლებშიც, როცა ახალქალაქი, იბნ ალ-ასირის სიტყვით, უამრავ სიმდიდრეს ფლობდა, „ქართლის მატიანეს“ ცნობით, ჯერ კიდევ არ იყო ქალა-

---

[253] დ ა ვ ი თ ი ს ი ს ტ ო რ ი კ ო ს ი, A, გვ. 204.
[254] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი, გვ. 335—336.
[255] იქვე, გვ. 363.
[256] მატიანეჲ ქართლისაჲ, A, გვ. 186.

ქის მტკიცე კედლების და ციხის მშენებლობა დასრულებული[257]. ამრიგად, ახალქალაქის ციხე ქალაქის ნაწილს, მის დამცველს, დამატებას წარმოადგენს. იგი აქ ქალაქის წარმოშობის შემდეგ ჩნდება. ახალქალაქის ციხეც, რა თქმა უნდა, მისი მფლობელის საჯდომად იყო განკუთვნილი.

ატენის სიონის წარწერიდან კარგად ჩანს, რომ ქალაქის ნაგებობების შენებასთან ერთად იწყება მეფის დარბაზის შენებაც, რაც, რა თქმა უნდა, საგანგებო ციხეში უნდა ყოფილიყო. სავსებით მართებულად შენიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, რომ „ისე გამოდის თითქო ამ წარწერაში ქალაქი მოზღუდვილი ადგილის მნიშვნელობითაა ნახმარი და დარბაზი თუმცა ქალაქის მშენებლობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ მაინც ამ მოზღუდვილი ადგილის (ე. ი. საკუთრივ ქალაქის.—შ. მ.) გარეშე ნაგებობად იყო ნაგულისხმევი“[258]. ატენის ციხეში, მის დარბაზში, რომელიც ქალაქისაგან იყოფოდა და რომელიც ქალაქთან ერთად წარმოიშვა, იყო მეფის (ქალაქის მფლობელის) საჭურჭლეც. დავით აღმაშენებელს, როგორც მისი ანდერძიდან ჩანს, ატენში საჭურჭლე ჰქონია[259]. ამრიგად, ახალქალაქისა და ატენის მაგალითიდან ჩანს, რომ ფეოდალურ ხანაში ქალაქის წარმოშობა მასთან ერთად ქალაქის მფლობელის ციხისა და დარბაზის წარმოშობასაც გულისხმობს. ქალაქი ციხესთან კი არ წარმოიშობა, არამედ პირიქით, ციხე-დარბაზი წარმოიშობა ქალაქთან.

ფეოდალური ხანის მეორე ტიპის ქალაქებს მიეკუთვნება აგრეთვე გორი, ციხითა და რეზიდენტის საჯდომით, თითქოს საგანგებოდ შექმნილ გორაკზე და მის ირგვლივ კიდევ კედელშემოვლებული გაშლილი ქალაქით, ქუთაისი თავისი ციხითა და ქალაქით, ახალციხე საკუთრივ ქალაქი და „ციხით ქალაქის თავს“[260], ოლთისი მაღალ კლდოვან გორაკზე ოთხკუთხედად გაშენებული ციხით, მომრგვალო კოშკებითა და დარბაზებით და ქვემოთ გაშლილი ქალაქით[261] და სხვ.

ქართული ფეოდალური მონარქიის განსაკუთრებული ძლიერების დროს, როცა საქართველო წინააზიის უძლიერეს სახელმწიფოს

---

257 მატიანეᲗ ქართლისაᲗ, A, გვ. 190.

258 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მშენებლობის ხელოვნება ძველს საქართველოში, I, გვ. 34.

259 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, შიომღვიმის ისტორიული საბუთები, ქრონიკები, II, გვ. 51—52.

260 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 125.

261 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩარგალში, პარიზი, 1938, გვ. 46—49.

წარმოადგენდა და როცა მისი საზღვრები შავიდან კასპიის ზღვამდე ვრცელდებოდა, საქართველოში ე. წ. „დაუცველი ქალაქების“ წარმოშობისათვის პირობები იყო. მიუხედავად ამისა, XI—XIII სს. საქართველოში ისეთი ქალაქი, რომელსაც არ ჰქონდა თავისი ციხე და ან კედლები, შეიძლება ითქვას, არ არსებობდა; „დაუცველი ქალაქი“ ფეოდალური საქართველოსათვის დამახასიათებელი არ იყო.

ეს ფაქტი კი მიგვითითებს იმაზე, რომ ქალაქთან გაშენებული ციხის მიზანი ფეოდალურ საქართველოში მარტო ქალაქისა და მისი მოსახლეობის სიმდიდრის დაცვა კი არ იყო, არამედ აგრეთვე ქალაქის მფლობელის (მეფის თუ დიდებულის) პოლიტიკური ბატონობისა. როცა საქართველოს საზღვრები, მონარქიის სიძლიერის გამო, დაცული იყო, საქართველოს შიდა რაიონების ქალაქებს, რა თქმა უნდა, საგანგებო ციხეებითა და კედლებით დაცვა აღარ დასჭირდებოდა, მაგრამ ასეთი კედლები და ციხეები თუ მაინც ქალაქთან ერთად წარმოიშობოდა, ცხადია, იმისაგვის, რომ ერთი მხრივ ქალაქს კედლებით მაინც თავი დაეცვა ფეოდალურ მესაკუთრეთა შემოტევისაგან და, მეორე მხრივ, ქალაქის მფლობელ დიდებულს თუ მეფეს, ციხეებში გამაგრებით, უზრუნველეყო თავისი ბატონობა ქალაქზე. „აქედან მას (ქალაქის მფლობელს.—შ. მ.) შეეძლო დამუქრებოდა მოქალაქეებს“. ამიტომაც ძლიერი ქალაქი ყოველთვის ცდილობდა მოესპო ქალაქის მფლობელის ციხე[262].

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით შეიძლება შემდეგი დავასკვნათ: საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისა და გამარჯვების შემდეგ ძველ ციხე-ქალაქს თანდათან ეთიშება საკუთრივ ქალაქი, ის მის ირგვლივ, მის კალთებზე იშლება; სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი, საქალაქო ცხოვრება მთლიანად აქ გადმოდის. ძველი ციხე-ქალაქი ამიერიდან ამ ახალი ქალაქის დამატებას, მის ციხეს წარმოადგენს. ფეოდალური წყობილების შემდეგ წარმოშობილი ახალი ქალაქები თავიდანვე ამგვარ სახეს იღებს: ქალაქი და ციხე თითქმის ერთდროულად წარმოიშობა. საქალაქო ცხოვრება ციხე-სიმაგრის ირგვლივ არის გაშლილი. ციხე-სიმაგრე, რომელშიც ქალაქის მფლობელია მოკალათებული, საკუთრივ ქალაქის დამატებას წარმოადგენს; ქალაქსა და მის მფლობელს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შემთხვევაში, ქალაქის ინტერესებს ემსახურება — ქალაქსა და მის მფლობელს საერთო მტრისაგან იცავს, ამავე დროს კი ქალაქზე ბატონობის საშუალებაცაა.

---

[262] Г. Белов, Городской строй и городская жизнь средневековой Германии, М., 1912, с. 28.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის ციხისაგან გამოყოფის, წინაქალაქის, ანუ რაბადის ჩამოყალიბების პროცესი საქართველოში ფეოდალური ქალაქის წარმოშობისა და ჩამოყალიბების პროცესია.

ეს მოვლენა საქართველოში ჯერ კიდევ II—III სს. შეინიშნება ქ. მცხეთისა და არმაზის ციხის ურთიერთობის მაგალითზე, ხოლო უფრო ხშირი და თვალსაჩინო ხდება VI საუკუნიდან, რაც, თავის მხრივ, იმაზე მიგვითითებს, რომ ამ დროისათვის „მთელს საქართველოს მიწა-წყალზე შეუზღუდველად მკვიდრდება ფეოდალური საწარმოო წესი, ფეოდალური საკუთრება და სახელმწიფოებრიობა“[263].

XIII ს. 20-იანი წლებიდან ცენტრალური აზიიდან მონღოლების მეთაურობით წამოსულმა მომთაბარე ტომების ლაშქრობებმა მნიშვნელოვანი კვალი დააჩნიეს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების შემდეგდროინდელ ისტორიას.

მონღოლებმა ზედიზედ დაამარცხეს მეზობელი ქვეყნები, ამიერკავკასიაშიც გამოჩნდნენ და არაერთი ლაშქრობის შემდეგ, XIII ს. 40-იან წლებიდან, გასტეხეს ფეოდალური საქართველოს წინააღმდეგობა და ქვეყანა თავიანთი ხანგრძლივი ბატონობის ქვეშ მოაქციეს. მონღოლთა ბატონობას მძიმე შედეგი მოჰყვა. XIII ს. მთელი მეორე ნახევარი და XIV ს. პირველი მესამედი მონღოლთა ბატონობის ხანაა საქართველოში. ამ პერიოდში თავი იჩინა ქვეყნის ეკონომიკურმა დაცემამ და სამეურნეო დეგრადაციამ[264]. ქვეყნის ეკონომიკურ განადგურებას, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა მძიმე მონღოლური გადასახადები (საქართველო მათ ყოველწლიურად 50000 ოქროს უხდიდა) და, მეორე მხრივ, სამხედრო ბეგარა. ქართველი გლეხი (ყმა) ვალდებული იყო არა მარტო ეხადა სხვადასხვა მონღოლური გამოსაღებები, არამედ მონაწილეობა მიეღო მათ შორეულ სამხედრო ლაშქრობებშიც. ყველაფერი ეს ეკონომიკურად და ფიზიკურადაც ანადგურებდა მწარმოებელ კლასს.

ფეოდალური მეურნეობის ეკონომიკის დაქვეითებაში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა მიწის მფლობელობის მონღოლურმა წესმა, დამახასიათებელმა მომთაბარე მესაქონლეობისათვის, რო-

---

[263] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 127.

[264] Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии, с. 7.

მელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფეოდალური მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის"[265].

ამას გარდა, ჯერ კიდევ მონღოლთა გაბატონებამდე, ჯალალ-ად-დინის არაერთმა ლაშქრობამ, რომელმაც განსაკუთრებით თბილისი გაანადგურა, შემდეგ მონღოლთა ლაშქრობებმა და განსაკუთრებით XIII ს. 60-იანი წლებიდან ოქროს ურდოსა და ირანის ილხანებს შორის წარმოშობილმა ურთიერთშორის ომმა, რომლის ასპარეზს განსაკუთრებით ამიერკავკასია წარმოადგენდა, თითქმის დააცარიელა, გაანადგურა საქართველო. ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის გამუდმებულმა ომიანობამ გამოიწვია მნიშვნელოვანი საქარავნო გზის (რომელიც ამიერკავკასიაზე გადიოდა) გადანაცვლება სამხრეთისაკენ.

.ყველაფერმა ამან განსაკუთრებით შეაფერხა საქართველოს შემდგომი ეკონომიკური განვითარება: სოფლის მეურნეობის დაცემასთან ერთად, ეცემა აგრეთვე ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა, ქვეითდება საქალაქო ცხოვრება.

ქალაქების მოსახლეობის ძირითად მწარმოებელ ფენას მძიმე ტვირთად დააწვა მონღოლთა ბატონობა. გამანადგურებელ ლაშქრობას გადარჩენილი ხელოსნები მონღოლებს ტყვედ მიჰყავდათ. კირაკოს განძაკელის სიტყვით, „მონღოლები ყველას ხოცავდნენ, ცოცხლად ტოვებდნენ მხოლოდ მცირე რიცხვს ქალებისა და ბავშვებისას: ხელოსნები ტყვეებად მიჰყავდათ"[266], ხოლო გადარჩენილებს გადასახადები ხდიდა სულს. „ქალაქად და სოფლად ყველა ხელოსანს საგანგებო გადასახადებს ადებდნენ, არსებობის ყველა გზები გადაკეტეს... ვაჭრებს ქონებას სტაცებდნენ; მათ მოაგროვეს ოქროს, ვერცხლისა და ძვირფასი ქვების უდიდესი განძი"[267].

გადასახადი წესდებოდა ყოველ გასაყიდ საქონელზე; ტამღა შემოსავლის 3% შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ მონღოლები სამეფო სახლისათვის შეძენილ საქონელზედაც კი ტამღას აწესებდნენ. ჟამთააღმწერელის სიტყვით, „თუ სამზარეულოსა მეფისასა ცხვარი, გინა კრავი ისყიდებოდა, მასზედაც ხარაჯა წაუღიან, რომელსა იგი ტამღად უწოდდეს"[268].

---

[265] იქვე, გვ. 10.

[266] История монголов по армянским источникам, в. II, из истории Киракоса Гандзакеци, пер. К. П. Патканова, Спб, 1874, с. 36; ср. Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский, Золотая Орда и ее падение, с. 53.

[267] იქვე, გვ. 80.

[268] ჟამთააღმწერელი, M, გვ. 238.

მონღოლებმა თავის მხარეზე გადაიბირეს მოქალაქეთა ძლიერი, გავლენიანი ფენა: „ცხოვრების „აღორძინებით“ სარგებლობდნენ საზოგადოების წარჩინებულები, ე. ი. მსხვილი მიწათმფლობელები, ვაჭრები და მუსლიმანთა უმაღლესი სასულიერო წოდება“[269], რომელნიც თავიანთი მხრივ არანაკლებ, ვიდრე მონღოლები ავიწროებდნენ ქალაქების მოსახლეობის მწარმოებელ ფენას. კირაკოს განძაკელის სიტყვით, ქართველი დიდებულები და წარჩინებულები ძარცვავდნენ ღარიბებს და ამ თანხით ყიდულობდნენ ძვირფას ჩასაცმელებს. წარჩინებულები და ოლქის გამგებლები მონღოლებს აქეზებდნენ გამომძალველობისა და დაბეგვრის საქმეში[270].

ქალაქების ძირითადი მწარმოებელი ფენის ძარცვაში მონღოლებს გამოყენებული ჰყავდათ თვით მოქალაქეთა ფენიდან გამოსული გავლენიანი და მდიდარი ვაჭრები. კირაკოს განძაკელის სიტყვით, მაშინ, როცა მონღოლები ასე ულმობლად ძარცვავდნენ ქალაქებს, ისინი განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ მდიდარ და გავლენიან ვაჭარს უმეკს[271]. აღსანიშნავია, რომ 1259—1260 წწ., როდესაც ქართველი მეფეები, ნარინ დავითი და ულუ დავითი, მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყდნენ, მონღოლებმა თბილისის გამგებლობა ვიღაც სომეხ დიდვაჭარს შადინს ჩააბარეს[272]. დიდვაჭართა ხელში იყო მონღოლური გადასახადების აკრებაც. მაგ., საქართველოში სამონღოლო გადასახადების ამკრებ მოხელეთა უზენაეს ხელისუფლად დანიშნული ხოჯა-აზიზი, ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, იყო „სპარსი ვაჭარი“, რომელიც დიდად დაახლოებული ყოფილა ყაენთან[273].

მოქალაქეთა ეს ზედაფენა მონღოლთა ისედაც მძიმე და მოუწესრიგებელ საგადასახადო სისტემას თავის გამდიდრების წყაროდ იყენებდა და ამით კიდევ უფრო ანადგურებდა ქალაქების მწარმოებელი ფენის ეკონომიკას. ამრიგად, მონღოლთა ხელისუფლების სახით მწარმოებელ კლასს კიდევ ახალი ექსპლოატატორი უჩნდება; ამასთან ერთად, ძველ ექსპლოატატორთა სასარგებლოდ განკუთვნილი გამოსაღებები (მეფის, ეკლესიის, საერო ფეოდალების, მოხე-

---

[269] Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский, Золотая Орда и ее падение, М.—Л., 1950, с. 54.

[270] История монголов по армянским источникам, в. II, с. 70, 79.

[271] იქვე, გვ. 79.

[272] ყამთააღმწერელი, M, გვ. 679.

[273] იქვე, გვ. 680—681.

ლეების და სხვ.) არათუ დარჩნენ ძალაში, არამედ ზოგი მათგანი კიდევ უფრო გაიზარდა[274].

ყოველივე ამის გამო თანდათან ნადგურდებოდა ქალაქის ძირითადი მშრომელი ფენა; ყველაფრის გადახდის შემდეგ, რასაც ხელისუფლება სთხოვდა, მწარმოებლებს არსებობისათვის არაფერი რჩებოდათ[275], გაქცევას არჩევდნენ და ამით გამოხატავდნენ პროტესტს არსებული მდგომარეობის წინააღმდეგ. საქართველოს ქალაქებიდან გარბოდნენ არა მარტო წვრილი მწარმოებლები, არამედ, ზოგ შემთხვევაში, საკმაოდ შეძლებული ვაჭრებიც. ყველაფერი ეს კარგად აისახა ანისის მანუჩეს მეჩეთის 1319—1335 წწ. სპარსულ წარწერაში[276].

საქალაქო ცხოვრების დაცემას ხელს უწყობდა აგრეთვე საქართველოს სამეფოში ფეოდალური პარტიკულიარული ძალების შემდგომი გაძლიერება. მაღალი ფეოდალური წრეები (დიდებულები, მთავრები) სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში იმუნიტეტის მოპოვებისა და განმტკიცებისათვის წარმატებას აღწევენ. მონღოლები მხარს უჭერენ დიდებულებს ამ ბრძოლაში და ხელს უწყობენ მთავართა შემდგომ გაძლიერებას, რომ ამით კიდევ უფრო დაასუსტონ სამეფო ხელისუფლება.

XIII ს. 50-იან წლებში მონღოლთა ყაენის მიერ საქართველოს სამეფო ტახტზე ორი მეფის დამტკიცება, „ხას-ინჯუს“ სახით საქართველოსაგან სამცხე-საათაბაგოს გამოყოფა, რომლის სათავეშიც მთავარი იდგა, იყო ნაბიჯები ქვეყნის შიგნით პარტიკულიარისტული ძალების განმტკიცებისაკენ.

ამას გარდა, საქალაქო ცხოვრებაზე გავლენას ახდენდა ისიც, რომ სამეფო ხელისუფლების ძველი მოკავშირე, მოქალაქეთა გავლენიანი მაღალი ფენა, ამჟამად მონღოლთა მიერ მხარდაჭერილი და პატივცემული, მონღოლთა მხარეზე აღმოჩნდა. სამეფო ხელისუფლება კარგავს თავის მოკავშირეს, სამაგიეროდ ძლიერ ძალას იძენენ მონღოლები და სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი დიდგვარიანები. მოქალაქეთა ეს ზედაფენა, რომელთა ინტერესები ხშირ შემთხვევაში თან ხვდება დიდებულთა ინტერესებს, ხელს უწყობს ქალაქების გადასვლას დიდებულთა ხელში და მასთან ერთად ძარცვავს ქალაქების ძირითად მწარმოებელ მოსახლეობას.

---

[274] Н. Бердзенишвили, ук. соч., с. 8.

[275] Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский, ук. соч., с. 55.

[276] В. В. Бартольд, Персидская надпись на стене анийской мечети Мануче, Спб, 1911, с. 7.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა, ცხადია, ხელი შეუწყო, განსაკუთრებით XIII ს. მეორე ნახევრიდან, მონღოლთა ბატონობის მეორე პერიოდიდან, საქალაქო ცხოვრების დაქვეითებას საქართველოში.

საქართველოს ბევრმა ქალაქმა სავსებით დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ზოგი კიდევ დაქვეითების გზას დაადგა და მალე უმნიშვნელო პუნქტად იქცა, ზოგმა, მართალია, შეინარჩუნა თავისი სახე, მაგრამ გამანადგურებელი ლაშქრობების წყალობით საგრძნობლად დაზიანდა.

მაგალითად, რუსთავის, როგორც ქალაქის, ისტორიის დასასრული, წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით სწორედ XIII ს. 50—60-იან წლებზე მოდის. ვახუშტის ცნობით, რუსთავი ქალაქი იყო „ᲔᲓ (65) მეფის დავითისამდე (ულუ დავითამდე, შ. მ.), არამედ გამოსვლასა ბერქა ყენისასა მოოხრდა და აწ არს ოჯერ“[277]. მართალია, ბერქა ყაენის (1256—1266) ლაშქრობის დროს მოოხრდა ივრის ხეობის ქვედა ნაწილი ვიდრე ალაზნის შესართავამდე, მაგრამ რაიმე კონკრეტული ცნობა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში ამ დროს ქ. რუსთავის აოხრების შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, ვახუშტის მითითება სავსებით მართალი ჩანს; ამას არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებს.

რუსთავის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნაქალაქარის ნანგრევებში მონეტათა მთელ განძს მიაკვლია, რომელიც 395 ფულის ერთეულს შეიცავს. ნუმიზმატ დ. კაპანაძის წინასწარი შესწავლით მასში 16 ცალი გიორგი მესამეს ეკუთვნის. არის აგრეთვე გიორგი მესამისა და თამარის ფული, რომელზედაც ჯალალ ად-დინის დამღაა დაკრული. 377 ცალი ლაშა გიორგის და რუსუდანს ეკუთვნის; ასე რომ, განძი ჯალალ ად-დინის საქართველოში ლაშქრობის შემდეგ არის დაფლული. სხვა ადგილებში აღმოჩენილ მონეტათა ერთი ნაწილიც გიორგი III, თამარს და ლაშა გიორგის ეკუთვნის; აღმოჩენილია აგრეთვე ჯალალ ად-დინის 32 მონეტაც. რუსთავის ნაქალაქარში მანგუ-ყაენის (1251—1259) მონეტაც არის ნაპოვნი[278]. ასე რომ, აქ აღმოჩენილი XII—XIII სს. მონეტები 1156—1259 წწ. მიეკუთვნება. შემდეგდროინდელი მონეტები ჯერჯერობით არ ჩანს. ასე რომ, არსებული მასალების მიხედვით, XIII ს. მეორე ნახევარში

---

[277] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 50.

[278] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, რუსთავის არქეოლოგიური თხრის შედეგები, გვ. 37—38.

რუსთავში თითქოს წყდება ცხოვრება. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამ დროისათვის მართლაც რუსთავი რაღაც კატასტროფულმა ძალამ ერთბაშად წალეკა. გ. ლომთათიძე წერს: „შენობათა ძალით განადგურების სურათი ყოველ ნაბიჯზე სრულიად თვალნათლივ ჩანს. როგორც ეტყობა, ეს უმთავრესად ხანძრის, მთელი ამ უბნების გადაწვის შედეგია: ხის კონსტრუქციები დამწვარა და მათზე დაყრდნობილი თუ მათ შორის მყოფი ნაწილებიც ჩანგრეულა და რაც ქვეშ მოუყოლებია, ყველაფერი მეტ-ნაკლებად ჩაულეწია. ამ დიდი განადგურების შემდეგ შენობები აღარ განახლებულა და ამის გამო ბევრი რამ, თუმცა დამტვრეული, მაგრამ ხელუხლებელი შემორჩენილა ჩვენ დრომდე“[279]. ასეთი კატასტროფა, რომელმაც ქალაქი ისე დაასამარა, რომ ამის შემდეგ იგი ფეხზე ვერ წამომდგარა, შეუძლებელია XIII ს. მეორე ნახევარზე ადრე ვივარაუდოთ, რაკი ამ დრომდე, როგორც მოტანილი ნუმიზმატიკური მასალებიდან ჩანდა, საქალაქო ცხოვრება ჯერ კიდევ გრძელდებოდა. ასე რომ, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ქალაქის კატასტროფის დროდ XIII ს. მეორე ნახევარი (60-იანი წლების შემდეგ) უნდა მივიჩნიოთ. ამრიგად, სავსებით მართალი ჩანს ვახუშტი, როცა რუსთავის, როგორც ქალაქის, ისტორიის დასასრულად XIII ს. 60-იან წლებს მიიჩნევდა. ამ დროიდან მოკიდებული რუსთავი ფეხზე აღარ წამომდგარა. იგი გაქრა როგორც ქალაქი და როგორც დასახლებული პუნქტიც. XVII ს. დასასრულს აქ მხოლოდ სამეფო სახლი იქნა აგებული, რომელიც XVIII ს. დამდეგს ვახტანგ VI-ის ბრძანებით დაანგრიეს. ასე რომ, XVII—XVIII სს. რუსთავის ტერიტორიაზე ძველი ძლიერი ქალაქის არსებობის შესახებ მხოლოდ „ძველთა სიგელთა და მოხელეთა“ გადმოცემებიღა იყო დარჩენილი. იგი ამ დროისათვის მეფეთა საზამთრო სადგომსა და სანადირო ადგილს წარმოადგენდა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი განადგურებული რუსთავის ტერიტორიას სიცოცხლე დაბრუნებოდა — ამჟამად ძველი რუსთავის ნაქალაქარისა და მისი მიდამოების ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი სამრეწველო ქალაქი, სოციალისტური რუსთავია გაშენებული. მონღოლთა ბატონობის პერიოდში დაკარგა თავისი მნიშვნელობა უფლისციხემაც. XII ს. ქ. უფლისციხის მახლობლად ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქის გაძლიერება, როგორიც იყო გორი, ქ. თბილისის განთავისუფლება და იქ პოლიტიკური ცენტრის გადატანა უფლისციხის მნიშვნელობას თანდათან ამცირებდა, მაგრამ ამის შემდეგაც უფლისციხე მაინც

---

[279] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, იქვე, გვ. 27—28.

არსებობას განაგრძობდა. მონღოლთა გამანადგურებელმა ლაშქრობამ და ეკონომიკურმა პოლიტიკამ დააჩქარა უფლისციხის დაცემა. ვახუშტის სიტყვით, იგი „იყო ქალაქი ჩინგისამდე (ე. ი. მონღოლთა ლაშქრობის დაწყებამდე, შ. მ.) და აწ არს შემუსვრილი[280]. მართლაც, მონღოლთა ბატონობის დამყარების შემდეგ უფლისციხის, როგორც ქალაქის და მნიშვნელოვანი პუნქტის, ხსენება ქართულ საისტორიო მწერლობაში წყდება.

XIII ს. მეორე ნახევრიდან დაეცა, როგორც ირკვევა, ქ. ხუნანიც. ვახუშტი ხუნანის, როგორც ქალაქის, დაცემას მურვანის ლაშქრობას უკავშირებს, მაგრამ X—XIII სს. ქართველი, სომეხი და არაბი ისტორიკოსები ხუნანს არაერთხელ იხსენიებენ როგორც ქალაქს, რაც ცხადია, ვახუშტის ზემოხსენებულ მოსაზრებას უარყოფს. ხუნანის დაცემაც მონღოლთა ბატონობის ხანასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ციხე-სიმაგრე კი ხუნანში, ვახუშტის სიტყვით, მის დრომდეც არსებობდა[281].

ვახუშტი XII—XIII სს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქის ხორნაბუჯის დაცემას ბერქა ყაენის ლაშქრობას მიაწერს: ხორნაბუჯი, წერს ვახუშტი, „იყოცა ქალაქი კარგი. ისიცა ბერქას გამოსვლასა მოოჯრდა“[282]. ამრიგად, XIII ს. მეორე ნახევრიდან რუსთავი, უფლისციხე, ხუნანი და ხორნაბუჯი, როგორც ქალაქები, მნიშვნელობას კარგავენ.

ამას გარდა, მონღოლთა ბატონობის დროისათვის შემცირდა ზოგი ქალაქის როლი და დაქვეითების გზას დაადგა — მაგ., ოძრეე, თმოგვი, ჟინვანი, დმანისი და სხვა, მაგრამ ისინი კიდევ დიდხანს ცოცხლობენ და საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, XV ს. შუა წლებამდე მაინც, გარკვეულ როლს ასრულებენ.

სახე შეიცვალეს აგრეთვე ზემოხსენებულმა, სამონასტრო-საეკლესიო ცენტრებთან, ძველ ციხეებთან, მეფეთა სადგომებთან წარმოშობილმა დაბებმაც, რომელნიც ადრე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ცხოვრებაში. ზოგი მათგანი მონღოლთა ბატონობის დროისათვის თითქმის დაცარიელდა.

მონღოლთა გამანადგურებელმა ლაშქრობებმა დიდი ზიანი მიაყენეს საქართველოს სხვა ქალაქებს, მაგალითად, თბილისს. მათი წყალობით, როგორც ეს არქეოლოგიური მასალებიდან ჩანს, თბილისის ზოგი მნიშვნელოვანი უბანი სამუდამოდ მოისპო.

---

[280] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 73.
[281] იქვე, გვ. 45.
[282] იქვე.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ თბილისის ერთ-ერთ უბანში, სამასი არაგველის სახელობის ბაღის გვერდით წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გამოავლინა თიხის ჭურჭლის მკეთებელი ხელოსნებით დასახლებული მთელი უბანი. სახელოსნო ნაგებობათა ნანგრევებში, გადანაყარი ჭურჭლის ნამტვრევებს შორის ნაპოვნია სპილენძის მონეტები, მათ შორის უძველესი X ს. ეკუთვნის (არაბული), ხოლო უახლესი რუსუდან მეფეს (1222—1245). უმთავრესად რუსუდანისავე ფულებისაგან შედგება არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ნაპოვნი განძი (პატრონის გვამთან ერთად ქისით თუ ჯიბით მიწაში ჩამარხული)[283]. ამ უბანში აღმოჩენილი როგორც ნუმიზმატიკური მასალა, ასევე მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებიც XIII ს. პირველ ნახევარს არ სცილდება. როგორც ჩანს, XIII ს. II ნახევრიდან ქალაქის ამ უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთის უბანში ცხოვრება შეწყდა; მართლაც, როგორც შემდეგდროინდელი წყაროებიდან ჩანს, და როგორც ქვემოთ დავინახავთ, გვიანფეოდალურ ხანაში თბილისის ეს უბანი ბაღებით იყო დაფარული. ასე რომ, ძველი თბილისის მეჭურჭლე ხელოსნებით დასახლებული ხალხმრავალი და ცოცხალი უბანი ჯერ ჯალალ ად-დინის, ხოლო შემდეგ მონღოლთა ლაშქრობების წყალობით განადგურდა და საბოლოოდ მიწის ქვეშ მოექცა. მსგავს მოვლენას ალბათ საქართველოს სხვა ქალაქებშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ სათანადო მასალა, როგორც არქეოლოგიური, ასევე წერილობითი, ჩვენ, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება.

როგორც ვხედავთ, მონღოლთა ბატონობამ დიდი ზიანი მოუტანა ფეოდალურ საქართველოს ქალაქებს; მაგრამ მონღოლთა ბატონობის ხანა, ისე როგორც საერთოდ წინა აზიაში, ასევე საქართველოშიც, არ ყოფილა სრული და ხანგრძლივი დაცემის ხანა; ჩვენი აზრით, სწორად შენიშნავდა ვ. ვ. ბარტოლდი, როცა წერდა, რომ „ქვეყნის კეთილდღეობის საერთო დონე არ შეიძლება არ დაეცეს ველურთა ბატონობის გავლენით, მაგრამ მმართველობის სისტემა საერთოდ რჩება იგივე. მონღოლი მბრძანებლები, უფრო სწრაფად, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო, ითვისებდნენ ადგილობრივ კულტურას“[284]. ამით აიხსნება, რომ წინა აზიის, ასევე საქართველოს ქალაქების უმეტესობა გადაურჩნენ სრულ განადგურებას.

---

[283] გ. ლომთათიძე, თბილისის არქეოლოგიური შესწავლის დასაწყისი, გაზ. „კომუნისტი“, 26/VI, 1949, № 126.

[284] В. В. Бартольд. Персидская надпись, с. 11

ამას გარდა, მონღოლები მათივე მიერ დანგრეულ ზოგ ქალაქს ისევ აღადგენდნენ[285], ან კიდევ, აარსებდნენ ახალს, რომელიც არანაკლებ ძლიერდებოდა, ვიდრე ძველი ქალაქები[286].

XIV ს. 50-იანი წლებიდან ილხანების სახელმწიფოს ერთიანობისა და სიძლიერის დაცემამ, მისმა დანაწილებამ რამდენიმე წვრილ პოლიტიკურ ერთეულად ხელი შეუწყო საქართველოს თანდათან განთავისუფლებას მონღოლთა ბატონობისაგან, მძიმე სამონღოლო გადასახადებისაგან. ამავე დროს საქართველოს ხელსაყრელი პირობები ექმნება სხვა შორეულ თუ ახლობელ მეზობლებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. როგორც ზემომოტანილი ნუმიზმატიკური მასალებიდანაც ჩანდა, XIV ს. საქართველო ეკონომიკურ ურთიერთობას ამყარებს ოქროს ურდოსთან, ირანის და მცირე აზიის სახელმწიფოებთან და ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებთან[287].

საქართველოს ქალაქების ასეთი ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, ზოგ მათგანში (თბილისი, დმანისი, ქუთაისი, ახალციხე) ზარაფხანების არსებობა XIII—XIV საუკუნეებში იმაზე მიგვითითებს, რომ საქართველოს ქალაქები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრის როლს. მაგ., თბილისი, მიუხედავად ჯალალ ად-დინის და შემდეგ მონღოლების გამანადგურებელი ლაშქრობისა, XIV ს. 30-იან წლებში უცხოელების მიერ ჯერ კიდევ სიმდიდრით განთქმულ ქალაქად იყო მიჩნეული. პაპი იოვანე XXII 1328 წ. თბილისის შესახებ წერდა: „შემდგომად ბევრი რჩევისა და გამოძიებისა დავრწმუნდით ჩვენ და ჩვენი ძმები კარდინალები, რომ თბილისი, ქართველთა სამეფოს შუა გული ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერთი სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია... ამიტომ... სმირნის საეპისკოპოსო კათედრა გადაგვაქვს ხსენებულის თბილისს ქალაქს“[288].

XIV ს. ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის აღდგენას დიდად უწყობდა ხელს სამეფო ხელისუფლების, გიორგი VI — ბრწყინვალეს (1318—1348) მიერ ჩატარებული არაერთი ღონისძიება, რაც პირველ რიგში გამოიხატა საქართველოს, მონღოლთა მიერ ფაქტიურად დანაწილებული სამეფოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენაში. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო გიორგი ბრწყინვალეს ღო-

---

285 Киракос Гандзакеци, пер. Х. П. Патканова, «История Монголов по армянским источникам», в. II, с. 15.

286 В. В. Бартольд, там же.

287 Н. А. Бердзенишвили, Очерки, с. 12—93.

288 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, სპბ., 1902, გვ. 32; ლათინური ტექსტი, იქვე, 580; შდრ. გვ. 34, 581.

ნისძიებანი ფულის სისტემის, კანონმდებლობის მოწესრიგების საქმეში და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გიორგი VI-ის დროინდელ საკანონმდებლო ძეგლებში (სამართალი ბექასი და აღბუღასი) მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ვაჭართა, კერძოდ, მისი ზედაფენის, უფლებრივი მდგომარეობის საკითხს, მაგრამ ამაზე ქვემოთ შევჩერდებით.

ამრიგად, მიუხედავად მონღოლთა ბატონობის მწვავე შედეგებისა, XIII ს. მთელ სიგრძეზე და XIV ს. 80-იან წლებამდე, საქართველოს ქალაქების უმეტესობამ (თბილისმა, გორმა, ქუთაისმა, დმანისმა, სამშვილდემ და სხვ.) ძირითადად შეძლეს თავიანთი როლის შენარჩუნება.

2. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XV—XVI საუკუნეებში

XIV ს. 80—90-იან წლებიდან საქართველოს ხელსაყრელი საშინაო და საგარეო მდგომარეობა შეიცვალა. საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით საქართველოსათვის განსაკუთრებული მძიმე შედეგები ჰქონდა თემურ-ლენგის რვაგზის ლაშქრობას, რომელიც 1386 წლიდან 1404 წლამდე გრძელდებოდა. თემურის გარდაცვალების შემდეგ, ვიდრე 1415 წლამდე, საქართველო არაერთხელ აოხრებულა მის მემკვიდრეთა წყალობითაც.

სამეფო ხელისუფლების თავისთავად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, ალექსანდრე I-ის მეფობის დროს (1412—1442), დანგრეული ქვეყნისა და მისი მეურნეობის აღდგენის თვალსაზრისით საკმარისი არ აღმოჩნდა.

ფეოდალური ეკონომიკის შემდგომ დაქვეითებას განსაკუთრებით ხელს უწყობდა მწარმოებელი კლასის განადგურება. ჩნდება დისპროპორცია მწარმოებელ კლასსა და მის მებატონეთა რაოდენობას შორის. ამასთან დაკავშირებით იზრდება გადასახადთა სახეობა და რაოდენობა. ყველაფერ ამან შეაჩერა ფეოდალური საქართველოს საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება, კიდევ მეტი, იგი დაქვეითების, დაკნინების გზაზე დააყენა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება სოციალურ ცხოვრებაშიც; XV ს. განსაკუთრებით იზრდება ფეოდალთა ზედაფენის პოლიტიკური უფლებები. ერთ დროს მეფის მოხელე მთავრები, ერისთავთ-ერისთავები და ერისთავები მმართველობაში შეუალობას მოიპოვე-

ბენ და თანდათან ფაქტობრივ და მეფისაგან დამოუკიდებელ ხელისუფლებად იქცევიან. ნატურალური მეურნეობის გაბატონება კიდევ უფრო ხელს უწყობს ამგვარი მისწრაფების გაძლიერებას.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბატონყმობის შემდგომ განმტკიცებას, რომელმაც, თავის მხრივ, განაპირობა გაერთიანების, ერთიანი ხელისუფლების განმტკიცების მომხრე ძალთა მოქცევა ფეოდალთა ბატონობის ქვეშ. ამ დროისათვის ფეოდალთა ბატონობის ქვეშ საბოლოოდ ექცევა წვრილი თავისუფალი მწარმოებელთა ფენა, წვრილი აზნაურობა, დაქვეითების გზაზე დამდგარი ქალაქებიც. მოქალაქეთა ზედა, გავლენიანი ფენა თანდათან ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში გადადის. ახალი ძლიერი ძალა კი, რომელსაც ქვეყნის ერთიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლა შეუძლია, ნატურალური მეურნეობის, ბატონყმობის გაბატონების დროს უკვე აღარ ჩანს. ასეთ საშინაო და საგარეო პირობებში ქვეყნის დაშლა ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად გარდაუვალი ჩანს. მართლაც, XV ს. შუა წლებიდან დაიწყო საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლა. XVI ს. დამდეგისათვის ეს პროცესი ძირითადად უკვე დასრულებული იყო. ამ დროისათვის ერთიანი სამეფოს მაგიერ უკვე არსებობდა ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოები და სამცხის საათაბაგო. მაგრამ ქვეყნის დეცენტრალიზაციის პროცესი ამით არ დამთავრებულა, იგი თანდათან უფრო ღრმავდება. ცალკეული სამთავროები და სათავადოები კიდევ უფრო მიისწრაფვიან მთლიანი პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ და ფორმალურად თუ არა, ზოგი მათგანი ფაქტობრივად აღწევს კიდევაც მიზანს.

პოლიტიკურად და ეკონომიკურად დანაწილებულ, დაქვეითებულ საქართველოს იმ დროისათვის კიდევ უფრო მძიმე საგარეო პირობები ექმნება. XV ს. მთელ სიგრძეზე საქართველო ირანის ტერიტორიაზე პირველობისათვის მებრძოლ თემურიდებისა და თურქმანი ტომების არაერთი ლაშქრობის ობიექტი ყოფილა (ჯეჰან შაჰი, უზუნ ჰასანი, იაყუბ ყაენი), რის შედეგადაც არა მარტო საქართველოს ცალკეული პროვინციები, არამედ მნიშვნელოვანი ქალაქებიც სასტიკად ნადგურდებოდა (მაგ., ჯეჰან შაჰის ლაშქრობა 1440 წ. სამშვილდეში და თბილისში, 1477 წ. უზუნ ჰასანის ლაშქრობა თბილისში, 1488 წ. იაყუბ-ყაენისა და სხვ.).

XV ს. დასასრულისათვის ირანში პირველობისათვის მებრძოლთა შორის საბოლოოდ იმარჯვებენ ყიზილბაშები სეფევიდების დინასტიით სათავეში. სეფევიდების ირანი ისეთსავე აგრესიულ ქვეყანას წარმოადგენდა, როგორც მისი წინაპრების ქვეყანა. საქართველოს დაპყრობასა და დარბევას იგი თავის ამოცანად მიიჩნევდა.

საქართველოსათვის, საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო თურქ-ოსმანთა გაბატონება მცირე აზიაში. ოსმალებმა 1453 წ. კონსტანტინოპოლი აიღეს, 1461 წ. ტრაპიზონის სამეფო და ამით საქართველო საბოლოოდ მოსწყვიტეს ევროპის ქვეყნებს.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ძლიერი, აგრესიული ოსმანთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება დიდ საფრთხეს უქმნიდა. ყველაფერ ამას კარგად ხედავდა საქართველოს იმდროინდელი მთავრობა და ამიტომაც რომის პაპის ინიციტივას, რომლის უკანაც იტალიის ქალაქების ვაჭრები იდგნენ, მოეწყოთ „ჯვაროსნული ლაშქრობა“ ოსმალთა წინააღმდეგ, საქართველო აქტიურად გამოეხმაურა, თუმცა ამგვარი კოალიციური ლაშქრობის მოწყობის გეგმა, იმდროინდელ საშინაო და საგარეო პირობათა წყალობით, ვერ განხორციელდა.

ჩრდილო იტალიის ქალაქების არაერთი ცდა დაებრუნებინათ ოსმალთა გაბატონების წყალობით დაკარგული უპირატესობანი ამაო აღმოჩნდა. ამიერიდან ისინი შეურიგდნენ თურქ-ოსმალთა მონოპოლიური ვაჭრობის გაბატონებას შავი ზღვის სანაპიროზე და აღმოსავლეთთან ვაჭრობის სხვა გზებს ეძებდნენ.

დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა (საზღვაო გზა აფრიკის ირგვლივ ინდოეთისაკენ, ამერიკის აღმოჩენა), ევროპიდან ინდოეთში ამიერკავკასიისა და მცირე აზიის გავლით მიმავალი გზის გაქრობამ და მის მაგიერ ჩრდილოეთის გზის — თეთრი ზღვიდან არხანგელსკით, მოსკოვით, ასტრახანით ირანში — აღმოჩენამ მახლობელი აღმოსავლეთი თანდათან გამოთიშა ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებისაგან[289]. ყველაფერ ამან კიდევ უფრო შეამცირა საქართველოს ქალაქების მნიშვნელობა და როლი და ისინი გაქრობის გზაზე დააყენა.

ამრიგად, XVI ს. დამდეგისათვის საქართველო აღმოჩნდა ორ ძლიერ აგრესიულ სახელმწიფოთა შორის; ამ უკანასკნელთა გამუდმებული ბრძოლის არენას სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოც წარმოადგენდა.

ცვლილებებმა საქართველოს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და ასევე საგარეო ურთიერთობაში, XV საუკუნიდან განაპირობეს საქართველოში ეკონომიკური ცხოვრების დაცემა. XV ს. თითქმის აღარ აწარმოებს საქართველო საგარეო ვაჭრობას; მწარმოებელი კლასის განადგურება, ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონომიკური რაიონებისა და ქალაქების აოხრება არათუ საგა-

---

[289] Н. Бердзенишвили, Очерки, с. 21.

რეო ბაზარზე გასატანი, არამედ შინაური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი პროდუქტების წარმოების შესაძლებლობასაც კი სპობდა.

მაგ., მნიშვნელოვნად შემცირდა ქ. თბილისის როგორც მოსახლეობა, ასევე მისი ეკონომიკური როლიც. არაერთ გამანადგურებელ ლაშქრობათა წყალობით XV ს. 70-იანი წლებისათვის თბილისის ზოგი უბანი სავსებით დაცარიელებულია. კონტარინის ცნობით, არც ისე დიდი ხნის წინ სახელგანთქმული თბილისი, მისი დროისათვის დანგრეული ყოფილა: „ქალაქი თბილისი წინათ სახელგანთქმული იყო თავისი სივრცელით; მაგრამ ახლა ძალიან დანგრეულია. სხვათა შორის ის ნაწილები, რომლებიც დანგრევას გადაურჩნენ, საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული“[290].

მცირე ზომის ქალაქად, მცირე რაოდენობის მცხოვრებლებით მოიხსენიებს XVI ს. დასასრულის თბილისს ტომაზო მინადოიც: „თბილისი მცირე ზომის ქალაქია, მცირერიცხოვანი მცხოვრებლებით და სახლებით დამასკოს ვერ შეედრება; არც სიმდიდრითა, არც მცხოვრებლების სიმრავლითა და ქალაქის ტერიტორიის სიდიდით მასთან ვერ მივა“[291]. ყოველივე ამის გამო, იქნებ სწორი იყოს რუსი ელჩების ცნობა, იმის შესახებ, რომ თბილისში XVI ს. ბოლოსათვის მხოლოდ 2000 კომლი ცხოვრობდა[292]. თუ კომლში დაახლოებით 5 სულს ვიანგარიშებთ, XVI ს. დასასრულის თბილისში თითქოს 10000 მცხოვრებზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. როგორი არაზუსტიც არ უნდა იყოს რუსი ელჩების ცნობა, ჩანს, რომ იმდროინდელი თბილისის მოსახლეობა საგრძნობლად იყო შემცირებული.

XV ს. 70-იანი წლებისათვის მცირე ქალაქად ქცეულა აგრეთვე ქუთაისიც. კონტარინი ქუთაისის შესახებაც გვაცნობებს: „9 რიცხვს მივაღწიეთ ჩვენ ქუთაისამდე (Cotachis), მცირე ქალაქამდე, ციხითურთ, რომელიც გაშენებულია მთაზე...გადავედით ხიდით საკმაოდ დიდი მდინარე და გავჩერდით მინდორზე, სადაც გაშენებულია სასახლე საქართველოს მეფის ბაგრატისა, რომელსაც ეკუთვნის ქალაქი ქუთაისი“[293].

მცირე მნიშვნელობის ქალაქად მოიხსენიებს ამბროსიო კონტა-

---

[290] Путешествие Амвросия Контарини, БИПР, отд. I, т. II, с. 67—78.

[291] საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქივი.

[292] С. А. Белокуров, Сношения России с Кавказом, Материалы, в. I, М., 1889, გვ. 311.

[293] Путешествие Амвросия Контарини, გვ. 34.

რინი სამცხის ათაბაგის სარეზიდენციო ქალაქ ახალციხესაც. ერთ-ერთი ქართველი მთავარი, კონტარინის სიტყვით, ბათუმთან ერთად ფლობდა „ასევე უმნიშვნელო მცირე ქალაქს კალტიხეას (Caltichea), რომელიც ეაჭრობს აბრეშუმით, უხეში ტილოთი და ნაწილობრივ ცვილით“[294]. ამ დროისათვის შემცირებულია აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქების მნიშვნელობა იმდენად, რომ იოსაფ. ბარბაროს მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს შორის ასე თუ ისე ყურადღებას იქცევდა მხოლოდ თბილისი და გორი. იგი წერს: „ქალაქთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია თბილისი. ის საკმაოდ კარგად შენებულია, მაგრამ მცირედ დასახლებულია. ყურადღებას იქცევს კიდევ ციხე-სიმაგრე გორი“[295]. მართლაც, გორი იმდროინდელი ქართლის შედარებით მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. კონტარინი მოგვითხრობს: „17 რიცხვში მივედით ჩვენ გორში (Gorides)... ეს ქალაქი საკმაოდ დიდი მდინარით ირწყვება და საერთოდ საკმაოდ კარგიცაა“[296].

XV ს. განსაკუთრებით დაეცა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული ქალაქები. ჯერ კიდევ XV ს. დამდეგისათვის შავი ზღვის სანაპიროებზე მნიშვნელოვან ქალაქებად ითვლებოდა ბათუმი და სოხუმი, ეს უკანასკნელი, ივ. შილბერგერის მიხედვით, იყო აფხაზეთის „მთავარი ქალაქი“[297], რომელშიც 1449 წლამდე გენუელებს თავიანთი საწარმომადგენლო ჰქონდათ[298], ესა და სხვა ქალაქები უკვე XV ს. II ნახევრისათვის ზოგ შემთხვევაში ციხე-სიმაგრეებად ან კიდევ უმნიშვნელო ქალაქებად იწოდებიან. ბარბაროს ცნობით ბათომი და სევასტოპოლი (სოხუმი) მხოლოდ დიდი ციხე-სიმაგრეებია[299], ხოლო ამბროსიო კონტარინის მიხედვით, ბათომი მცირე ქალაქია სიმაგრით, რომელთა მცხოვრებნიც „საერთოდ ძლიერ ღარიბები არიან“[200], ასევე უმნიშვნელო ქალაქი იყო ფაზისიც (ფოთი). ფაზისის „მოსახლეობის მთელი წარმოება მდგომარეობს არც ისე დიდი რაოდენობის უხეში ტილოს დამზადებაში და ცვილის მოპოვებაში“ — მოგვითხრობს კონტარინი[201].

---

[294] იქვე, გვ. 30.

[295] Путешествие в Тану Иосафета Барбаро, БИПР, т. I, Спб, 1836, გვ. 65.

[296] Путешествие Амвросия Контарини, გვ. 38.

[297] Путешествия Ивана Шильтбергера по Европе, Азии и Африке, Записки Имп. Новоросс. университета, Од., 1867, т. 1, в. 1—2, გვ. 45—46.

[298] იქვე, გვ. 45.

[299] Путешествие в Тану Иосафета Барбаро, გვ. 45—46.

[200] Путешествие Амвросия Контарини, გვ. 30.

[201] იქვე, გვ. 31—32.

საქართველოს ქალაქები, რომელნიც მართალია დაქვეითდნენ, მაგრამ მაინც ინარჩუნებდნენ მნიშვნელობას, უმთავრესად ურთიერთშორის ვაჭრობას აწარმოებდნენ. ამით აიხსნება, რომ ასეთ, ეკონომიკური დაქვეითების ხანაში საქართველოში ფულის მოჭრა არ შეწყვეტილა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს მონეტები მდარე ღირებულების ვერცხლისაგან იჭრებოდა და მცირე წონისა იყო[202].

დამახასიათებელია, რომ გორში აღმოჩენილი XV ს. მონეტები სავსებით დაბალი ღირსების ვერცხლისაგან, უკეთ — დავერცხლილი სპილენძისაგან იყო მოჭრილი. ასევე დაცემას განიცდის, გორის განძის მიხედვით, XV ს. მონეტის წონაც, რომელიც მაშინ 1 გრამს იშვიათად აღწევდა, გადაგვარება ემჩნევა მონეტის ტექნიკურ და მხატვრულ შესრულებასაც[203]. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ნუმიზმატები, XV ს. ქართული მონეტების ეს ნიშნები კარგად ასახავენ იმდროინდელი საქართველოს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასა და კულტურულ დაქვეითებას[204].

XV ს. საქართველოს ბევრი მნიშვნელოვანი ქალაქი საბოლოოდ გაქრა. მაგ., ქალაქი ოძრხე, რომელიც, „დავით და კონსტანტინეს წამების“ ავტორის მიხედვით, ერთ დროს „იყო ქალაქი იგი სახელოვან“, ვახუშტის სიტყვით, XV ს., საქართველოს სამეფო-სამთავროებად დანაწილების შემდეგ დაეცა: ოძრხე „იყო ქალაქი და ციხე განყოფილებისამდე სამეფოსა საერისთაოდ, და შემდგომად მისა დაბად, ხოლო აწ არს ოჯერ და ციხე შემუსრვილი“[205].

XV ს. მეორე ნახევრიდან დაიწყო აგრეთვე სამშვილდის დაცემა. XV ს. 40-იან წლებში სამშვილდემ სასტიკი აოხრება განიცადა, მისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობა გაწყდა[206]. საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის შემდეგ იგი უკვე აღარ თამაშობდა ეკონომიკური ცენტრის როლს და ერთ-ერთი ფეოდალურ-პატრიარქალური ერთეულის, საბარათიანოს პოლიტიკურ ცენტრად იქცა. XV ს. მეორე ნახევარში მას უკვე დავით ქაჩიბაისძე ფლობდა[207].

---

202 Е. А. Пахомов, Монетные клады, в. I, с. 30.

203 დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 79; შდრ. მისივე, XV ს. გორის განძი...

204 იქვე, გვ. 80.

20 ვახუშტი, აღწერა, გვ. 125.

206 თომა მეწოფელი, ლ. მელიქსეთ-ბეგის თარგმანი, გვ. 27, შდრ. იქვე, გვ. 33. St. Martin, Memoires suré Armenie, II, გვ. 179; П. Иоселиани, Города, с. 60.

207 ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, გვ. 38.

ყოველივე ეს სამშვილდის ეკონომიკურ მნიშვნელობას თანდათან ამცირებდა, რაც, ვახუშტის სიტყვით, XVI ს. 70—80-იან წლებისათვის, თურქთა ამაოხრებელი ლაშქრობის შემდეგ მისი საბოლოო დაცემით დამთავრდა[208]. XVI ს. მეორე ნახევარი სამშვილდის, როგორც ქალაქის, ისტორიის დასასრულად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ მას, როგორც ციხე-სიმაგრეს, დიდხანს არ დაუკარგავს მნიშვნელობა და ამ თვალსაზრისით ხშირად განახლება-გამაგრების ობიექტიც ყოფილა[209].

ამავე დროისათვის არის სავარაუდებელი აგრეთვე ქ. თმოგვის მნიშვნელობის დაცემაც. XV ს. ერთ-ერთ მინაწერში ჯერ კიდევ იხსენიება „თმოგვის ტამლა"[210] (საქალაქო გამოსაღები), მაგრამ XVI ს-ის II ნახევრისათვის ქალაქი უკვე დაცემის გზაზე იყო შემდგარი[211]. ვახუშტის ცნობით, თმოგვი დაბას წარმოადგენდა[212].

XIV ს. დაქვეითების გზაზე იდგა ქ. დმანისიც. ეს კარგად აისახა არქეოლოგიურ, კერძოდ, ნუმიზმატიკურ მასალებში. ლ. მუსხელიშვილის ცნობით, დმანისის ნაქალაქარის გათხრების დროს XIV ს. მხოლოდ 3 მონეტა იქნა აღმოჩენილი, მაშინ როდესაც წინა საუკუნეებისა მრავლადაა ნაპოვნი. XV ს. დმანისში მხოლოდ ერთი (გიორგი VII-ის) მონეტითაა წარმოდგენილი, ხოლო XVI—XVII სს. არც ერთით[213]. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ XV ს-ისათვის დმანისის ძლიერი ქალაქი უკვე აღარ არსებობდა. მაგრამ იგი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე იდვა და ძლიერ სიმაგრესაც წარმოადგენდა; ამიტომაც მას, როგორც საბაჟოს[214] და ციხე-სიმაგრეს, დიდხანს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. დმანისიც, ისე როგორც სამშვილდე, XV—XVI სს. სომხით-საბარათიანოს სათავადოშია მოქცეული და ძლიერი ფეოდალის საჯდომს წარმოადგენს, თუმცა ამ დროისათვის იგი უკვე სოფელია, რომელიც 120 კომლ მცხოვრებს ითვლის[215]. დმანისში საბაჟოსა და სათავადოს

---

[208] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 44; შდრ. П. И о с е л и а н и, Города, გვ. 60—61.

[209] ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, B², გვ. 332, 335; პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, B², გვ. 397, 400.

[210]. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, შიო მღვიმის მონასტრის საბუთები, გვ. 46.

[211] შდრ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო, საისტ. მოამბე, I, 1924, გვ. 157; მ ი ს ი ვ ე, კვლევა-ძიებანი საქ. ისტორიიდან, გვ. 67.

[212] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 127.

[213] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი, გვ. 446.

[214] დმანისის საბაჟო ბარათაანთ გაყრის 1536 წ. წიგნში იხსენიება, იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საისტ. მოამბე, I, 1924, გვ. 181.

[215] ჯ ა მ ბ უ რ ი ა, სომხით საბარათიანოს სათავადოების ისტორიიდან, გვ. 37

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცენტრის არსებობა თავისთავად გულისხმობს, რომ აქ ცხოვრება XVI—XVIII სს. გრძელდებოდა. მართლაც, XVII—XVIII სს. დმანისში ორბელიანთა სასახლე არსებობდა და აქ ამავე დროს არაერთი მშენებლობაც ჩატარებულა. გორჯასპი ორბელიანი 1720 წ. შემდეგი შინაარსის საბუთს აძლევდა მდივანბეგიშვილს, სახლთუხუცესს ელისბარს: „დმანისის სასახლე, ნარიყალა და ნაციხვარი კურთხეულს პაპა თქვენს ორბელს ძმებისაგან წილში რგებოდა და სახლიც აუშენებია. მას უკან ბიძა თქვენი სულხან იქ მდგარიყო და მამათქვენს ქორწილი იქ ექნა; მასუკან ერეკლე მეფის ჟამში ბიძა ჩემს პაპუას იქ ცოტა რამ შენობა ექნა, მერე ბიძა თქვენმა მდივანბეგმა ერასტიმ ლაპარაკი დაგვიწყო და გვთხოვა... ადგილი იმისი იყო და მივართვით და ციხე და სახლები თვითონ ააშენა და ჩვენის შენობის ფასს დაგვპირდა, ვეღარ მოგვცა... ახლა თქვენ... მოგახსენეთ, და იმ შენობის ფასი უკლებლად მოგვეცითო“[216]. ასე რომ, დმანისის ნაქალაქარში აღმოჩენილი XVII ს. რეინული კერამიკის ფრაგმენტები[217] და XVIII ს. სამიოდე მონეტა[218] ძლიერი ფეოდალის კარმიდამოსა და დმანისის საბაჟოსთან უნდა იყოს დაკავშირებული და არა მის როლთან საგარეო ვაჭრობაში.

XV—XVI სს. ეცემა აგრეთვე ქ. ჟინვანის მნიშვნელობაც. აღსანიშნავია, რომ 1474 წ. ერთ საბუთში ჟინვანი, ჯერ კიდევ როგორც ქალაქი, თბილისისა და გორის გვერდით მოიხსენიება[219], მაგრამ ამის შემდეგ მისი ხსენება, როგორც ქალაქისა, ქართულ წერილობით წყაროებში წყდება. ვახუშტის სიტყვით, ერთ დროს ძლიერი ქალაქი და მაგარი ციხე ჟინვანისა, მისი დროისათვის სავსებით უქმი ყოფილა[220].

ზემოაღნიშნულმა საშინაო და საგარეო პირობებმა შეამცირეს აგრეთვე სხვა ქალაქების, კერძოდ, ახალქალაქის, ატენის, ზოვრეთის და სხვ. მნიშვნელობა. ამ დროისათვის ისინი მცირე ქალაქებად იქცნენ. აღსანიშნავია, რომ ატენი XV ს. ჯერ კიდევ ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქად იყო მიჩნეული, ისე რომ, მეფეს დი-

---

216 საქ. ცსია, ფ. 229, დავთარი, 22, № 18.

217 Б. А. Шелковников, Рейнская керамика из раскопок Дманиси, საქართველოს მუზეუმის შრომები, XVI B, 1950, გვ. 163.

218 ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, გვ. 446.

219 ს. ს. მ. Sd 2891, გვ. 107.

220 ვახუშტი, აღწერა, გვ. 93.

დად უმძიმდა მისი საგამგეოდ გაცემა ერთ-ერთ ფეოდალზე.[221]. მაგრამ ამ დროიდან მისი მნიშვნელობა შემცირდა და მცირე ქალაქად იქცა[222]. ატენი, როგორც მცირე სავაჭრო პუნქტი, არსებობდა XIX საუკუნემდე[223]. ერთ-ერთი სათავადოს მცირე ზომის ქალაქად და საბაჟო პუნქტად იქცა ძველი მძოვრეთიც[224] და სხვ.

ამრიგად, მონღოლთა ბატონობამ ბოლო მოუღო ისეთი ქალაქების არსებობას, როგორიც იყო რუსთავი, უფლისციხე, ხუნანი და ხორნაბუჯი. ამათ გარდა, XV—XVI საუკუნეებისათვის, როგორც ქალაქები, გაქრნენ: ოძრეე, სამშვილდე, თმოგვი, დმანისი და ჟინვანი. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ამ დროიდან საგრძნობლად შემცირდა საქართველოს უმთავრესი ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, გორის და სხვ., მნიშვნელობა, ხოლო უმეტესობა კიდევ — ბათომი, სოხუმი, ფოთი, ატენი, ახალციხე, ახალქალაქი, ალი, მძოვრეთი და სხვა მცირე ზომის ქალაქებად იქცნენ, ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ დაეცა საქალაქო ცხოვრება XV—XVI სს. საქართველოში.

მაგრამ საქართველოს იმდროინდელ ყოველ სამეფოში საქალაქო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისითაც ერთნაირი მდგომარეობა როდი იყო.

განსაკუთრებით არახელსაყრელ ისტორიულ პირობებში მოექცა XV—XVI სს. დასავლეთ საქართველო; ძველი სავაჭრო გზები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს აერთებდა აღმოსავლეთ კავკასიასთან, ირანის ქვეყნებთან და მცირე აზიასთან, XV ს. შუა წლებიდან მომდევნო საუკუნეებში სავსებით გაუქმდა. გაუვალი იყო ჩრდილოეთის გზაც. ხოლო საზღვაო გზები და საზღვაო ვაჭრობა თურქთა ხელში იმყოფებოდა, მათ მონოპოლიას შეადგენდა. დასავლეთ საქართველოსათვის განსაკუთრებით მძიმე შედეგები ჰქონდა ოსმალეთის მეზობლობასა და ბატონობას. საქმე იმაში იყო, რომ დასავლეთ საქართველო ოსმალეთის იმპერიისათვის მონათა (ტყვეთა) ერთ-ერთ მიმწოდებელ ქვეყნად იქცა. ტყვეებით ვაჭრობდა თითქმის ყველა, როგორც სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლები (კათალიკოსი, ეპისკოპოსი და სხვ.), ასევე საერო ფეოდალები (თავადი, აზნაური და სხვ.). ამას გარდა, მთელ XVI ს. სიგრძეზე

---

221 ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV ს-ში, მსკი, წ. I, 1937, გვ. 52.

222 ვახუშტი, აღწერა, გვ. 57.

223 ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 68.

224 ნ. ბერძენიშვილი, ერთი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის, სსმ. შრომები, ტ. XB, 1944, გვ. 21—22; ვახუშტი, აღწერა, გვ. 58.

დასავლეთ საქართველო ეწეოდა თავდაცვით ომებს ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ, რაც ისედაც შემცირებული მოსახლეობისათვის კიდევ უფრო გამანადგურებელს წარმოადგენდა. ამ ბრძოლის ერთადერთი და უმნიშვნელო შედეგი სახელმწიფოებრივი და კულტურული დამოკიდებულების შენარჩუნება იყო.

მაგრამ ამგვარი შედეგით ვერ დამთავრდა მესხეთის (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს) ბრძოლა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. მესხეთი, რომელიც დამოუკიდებელ ფეოდალურ ერთეულად იქცა, საუკუნეების მანძილზე რჩებოდა საქართველოს მეფეთა ისევ შემოერთების ცდის ობიექტად. ქართლის თუ იმერეთის მეფეები ცალ-ცალკე ცდილობდნენ მესხეთი ისევ შემოეერთებინათ და ამის გამო თვით ქართული სამეფოების მიერაც არაერთხელ აოხრებულა. მაგრამ ეს უმთავრესი როდი იყო.

მესხეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ირანისა და ოსმალეთის ყურადღების ცენტრში ექცეოდა. განსაკუთრებით კი მისი დამორჩილებისათვის ოსმალეთი იბრძოდა. მესხეთში გაბატონება ოსმალო-თურქებს მყარ ნიადაგს მისცემდა კავკასიაში ბატონობისათვის. მართლაც, ოსმალეთმა XVI ს. მეორე ნახევრიდან თანდათან დაიწყო თავისი გეგმების განხორციელება და მისი დასასრულისათვის მიზანსაც მიაღწია. მესხეთი უცხოელთა ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა. ქართველი ხალხის ბრძოლა ქვეყნის ამ ნაწილში დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის მარცხით დამთავრდა. მესხეთში (სამცხე-საათაბაგოში) თურქი ასიმილატორების გაბატონების შედეგად, მათ ხელში აღმოჩნდა სამხრეთ საქართველოს თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ქალაქი. ოსმალებმა სხვადასხვა დროს დაიპყრეს და თავის ბატონობას დაუმორჩილეს ქალაქები: ახალციხე, ახალქალაქი, არტანუჯი, ოლთისი, არტაანი და სხვ. ამრიგად, XVI—XVII სს. მიჯნაზე საქართველომ მრავალი მნიშვნელოვანი ქალაქი დაკარგა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ საქართველოს ზემოხსენებულ ქალაქებს, მაშინაც კი, როცა ისინი ოსმალთა ბატონობის ქვეშ იყვნენ, მჭიდრო ეკონომიკური კავშირი ჰქონდათ საქართველოს სხვა ქალაქებთან და განსაკუთრებით კი ქ. თბილისთან და გორთან. ქართულ წერილობით წყაროებში ხშირად მოიხსენიება ახალციხიდან და სამცხე-საათაბაგოს სხვა პროვინციებიდან თბილისისაკენ მიმავალი ქარავნები[225]. ოსმალ-დამპყრობთა მიერ მიტაცებული პროვინციებისა და ქალაქების დაბრუნებას, ისევ საქართველოს მიწაწყალთან შეერთებას ქართველი ხალხი საუკუნეთა

[225] პაპუნა ორბელიანი, B², გვ. 466, 477; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, 1919, გვ. 42—43.

მანძილზე თავის გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევდა და ცდილობდა ყოველი ხელსაყრელი მომენტი გამოეყენებინა, თავისი უფლებები განეხორციელებინა ისტორიულად კუთვნილ მიწა-წყალზე. დამახასიათებელია, რომ რუსეთ-საქართველოს 1783 წ. ტრაქტატში საგანგებოდ იყო შეტანილი მუხლი, რომლითაც რუსეთის მთავრობა თავის თავზე ღებულობდა ომის წარმოებისა და სამშვიდობო საზავო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ყოველგვარი შესაძლებლობა გამოეყენებინა, რათა საქართველოს დაბრუნებოდა ყველა ის ოლქი და პროვინცია, რომელიც კი მოძალადეთა მიერ იყო წარსულში მიტაცებული. ცხადია, ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა ახალციხის საფაშო ანუ სამცხე-საათაბაგო, რომელიც ქართველთა კუთვნილ მიწა-წყალს შეადგენდა[226]. მაგრამ ამ ისტორიული უკუღმართობის გასწორება XVIII ს. მთელ სიგრძეზე ვერ მოხერხდა.

განსაკუთრებულ ვითარებაში მიმდინარეობს ქართლის ისტორია XVI ს. როგორც ცნობილია, 1555 წ. ირან-თურქეთს შორის ზავის მიხედვით, ქართლი ირანის ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა. მაგრამ ქართლის მეფე ლუარსაბ I, ხოლო შემდეგ მისი შვილი სიმონ I დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებენ ირანელების გასადევნად თბილისიდან, ქვემო ქართლიდან და საქართველოს სხვა პროვინციებიდან და ამ ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევენ.

საქართველოსათვის განსაკუთრებით მძიმე იყო ირან-ოსმალეთის მეორე ომი, რომლის შედეგადაც ქართლი 1578 წლიდან ოსმალთა გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. არ კმაყოფილდებოდნენ სათურქო გადასახადებით, ერეოდნენ ქვეყნის საშინაო საქმეებში, აუქმებდნენ არსებულ პოლიტიკურ წესწყობილებას და აწესებდნენ ახალს, თურქულს. ყოველივე ეს კი ქვეყანას გადაგვარებას, გათურქებას უქადდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ოსმალთა ასეთი პოლიტიკა უკმაყოფილებას იწვევდა ქართული ფეოდალური საზოგადოებრიობის თითქმის ყოველ ფენაში — როგორც საერო, ასევე სასულიერო ფეოდალებში, გლეხობაში და ვაჭართა ფენაშიც. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო ირანთან მშვიდობიანი სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტით, რის შედეგადაც მათ არ ეძლეოდათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ მნიშვნელოვან საგარეო ვაჭრობაში. ყოველივე ამის გამო ქართლის მეფეთა ბრძოლას თურქ ასიმილატორთა წინააღმდეგ თავისი წარმატებები ჰქონდა. სიმონ პირველმა ოცწლიანი დაუცხრომელი ბრძოლის შედეგად შესძლო ქართლის ძირი-

---

[226] М. Н. Бутков, Материалы по новой истории Кавказа, II, 1869, с. 142.

თადი ნაწილი ოსმალთა ბატონობისაგან გაენთავისუფლებია. იგი აქტიურად იბრძოდა სამცხე-საათაბაგოში გაბატონებულ ოსმალთა წინააღმდეგაც და ქვეყნის შინაურ საქმეებშიც აქტიურად ერეოდა. ქართველი ხალხის დაუცხრომელი ბრძოლის შედეგად თურქ-ოსმალები იძულებული ხდებოდნენ ამ შემთხვევაში უკან დაეხიათ. მაგრამ ყველაფერ ამას ქართლის სამეფოსათვის განსაკუთრებით მძიმე შედეგები ჰქონდა. გამუდმებულმა ომიანობამ მოსახლეობა საგრძნობლად შეამცირა, ქვეყანას მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა მოესპო. ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრები, მრავალ აოხრებათა წყალობით, კიდევ უფრო ეცემოდა. განუზომლად იზრდებოდა მწარმოებელი კლასის ექსპლოატაცია. ყოველივე ამას საზოგადოების მწარმოებელი ფენა მიჰყავდა იქამდე, რომ იგი იძულებული ხდებოდა ქართლიდან გაქცეულიყო და უფრო მშვიდობიანი ცხოვრებისათვის ახალი ადგილი ეძებნა. გამუდმებული ომიანობა, ირანელთა და ოსმალთა გამანადგურებელი ლაშქრობები და ამასთან დაკავშირებით ქვეყნის ძარცვა, მეზობელ მთიელ ფეოდალთა ყაჩაღური, მძარცველური ლაშქრობანი, სამეფო ხელისუფლების სისუსტე იყო ის მიზეზები, რამაც ქვეყანა ეკონომიკურად დაქვეითების გზაზე დააყენა. ამ დროის ქართლის სამეფოში არ იყო არავითარი პირობა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილიყო „ვაჭრის პიროვნება და მისი საკუთრება". ყოველივე ამის გამო ქართლის ქალაქები დაქვეითების გზაზე იყო შემდგარი. ქვეყნის ეკონომიკური დაქვეითების, ქართლის სამეფოს სხვადასხვა კუთხეთა შორის სუსტი ეკონომიკური კავშირის არსებობის ერთი შედეგი იყო ფეოდალთა მაღალი ფენის შემდგომი გაძლიერება და პატრიარქალური, კარჩაკეტილი საერო და სასულიერო ფეოდალური სათავადოების წარმოშობა და განმტკიცება, რომელთა სათავეშიც თავადი იდგა. სათავადოების სისტემის შემდგომი განვითარება კიდევ უფრო ასუსტებდა ქვეყნის ცალკეულ კუთხეთა შორის არსებულ ისედაც სუსტ ეკონომიკურ კავშირს. დამახასიათებელია, რომ ერთ დროს ერთიანი საქართველოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრები, ძლიერი ქალაქები — დმანისი, სამშვილდე, ზოვრეთი და სხვ., XV—XVI სს. ცალკეული სათავადოს პოლიტიკურ ცენტრად, თავადის კარმიდამოდ იქცევა და თითქმის მთლიანად წყდება ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ცხოვრებას. ზემოაღნიშნული ქალაქების დაცემის მიზეზი (სხვა საშინაო და საგარეო მიზეზებთან ერთად) სწორედ ამაშიც უნდა ვეძიოთ. ასევე შეიძლება ითქვას საქართველოს ცალკეულ სამთავროთა ქალაქების შესახებაც.

საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროთა შორის XVI ს. შედარებით უკეთესი საშინაო და საგარეო პირობები ჰქონდა კახეთს. იგი, სხვა კუთხეებთან შედარებით, XVI ს. ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი და მოწინავე იყო. იმ დროისათვის საკმაოდ მაღალ საფეხურზე იყო მეაბრეშუმეობა, იმდენად, რომ აბრეშუმი საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საგანს წარმოადგენდა. არანაკლებ იყო განვითარებული მეღვინეობაც; ღვინოც დიდი რაოდენობით გაჰქონდათ როგორც მეზობელ, ასევე შორეულ ქვეყნებშიც. საერთოდ აღმოსავლეთ საქართველო და განსაკუთრებით კახეთი ცნობილი იყო ენდროთი, რომლისგანაც მაღალი ღირსების საღებავები მზადდებოდა. გვიანფეოდალურ ხანაშიც ენდრო დიდი რაოდენობით გაჰქონდათ კახეთიდან. კახეთისათვის, მისი ვაჭრობისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის სიახლოვეს მნიშვნელოვან სავაჭრო გზასთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბატონყმურ ურთიერთობას კახეთში არ მიუღია ისეთი მახინჯი ფორმა, როგორც მან საქართველოს სხვა კუთხეებში, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში მიიღო. ტყვეებით ვაჭრობის შესახებ კახეთში მასალები არ არის შემორჩენილი. კახეთის მეფეების მიერ ჩატარებულმა მრავალმხრივმა საშინაო, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულმა და სამხედრო რეფორმებმა ხელი შეუწყვეს ქვეყნის შინაგანი ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერის განმტკიცებას. ყოველივე ამან კახეთი შედარებით კეთილმოწყობილ ფეოდალურ სამეფოდ აქცია და ბუნებრივია, თუკი ქართლიდან გამოქცეული გლეხობა თავშესაფარს კახეთის სამეფოში ეძებდა, აქ ესახლებოდა. იგი თავშესაფარი გახდა არა მარტო გლეხობისათვის, არამედ აგრეთვე ხელოსნებისა და ვაჭრებისთვისაც. ყოველივე ამის გამო XVI ს. კახეთში მოსახლეობა არათუ შემცირდა, პირიქით გაიზარდა კიდეც.

XV—XVI სს. კახეთში სოფლის მეურნეობის ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების შედეგად არაერთი ახალი ქალაქი წარმოიშვა, რომელთა მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა.

კახეთში XV ს. წარმოშობილი და დაწინაურებული ჩანს ქ. ბაზარი. მცხეთის საკათალიკოსო მამულების XV ს. 40-იან წლებში შედგენილ სიაში სხვათა შორის მოხსენებულია „ბაზარს ოცდაშვიდი კომლი კაცი ვაჭარი, სომეხნი და ურიანი"[227]. როგორც ჩანს, XV ს. 40-იან წლებში ბაზარი უკვე მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქ-

---

[227] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 197, შდრ. „საქ. არქივი", III, გვ. 117.

ტი ყოფილა. მარტო მცხეთის საკათალიკოსოს აქ 27 კომლი ვაჭარი ჰყოლია. მაგრამ ბაზარი, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი XV ს-დან დაწინაურდა. რუსი ელჩების აღწერილობიდან ჩანს, რომ XVII ს. დამდეგს უკვე დანგრეული ბაზარი ერთ დროს, კერძოდ XV—XVI სს. მნიშვნელოვანი ქალაქი ყოფილა, სასახლეებით, ქარვასლებით, დუქნებით და სხვა ნაგებობებით[228].

ბაზარი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში; ამაზე საგანგებოდ მიგვანიშნებენ რუსი ელჩები[229].

XV—XVI სს. განსაკუთრებით გაძლიერდა გრემი, ამ დროისათვის იგი კახეთის უმთავრეს ქალაქად იქცა. გრემის ნაქალაქარში არსებული XV—XVI სს. წინადროის მატერიალური კულტურის ძეგლები იმაზე მიგვითითებენ, რომ იგი ადრეც მნიშვნელოვანი პუნქტი იყო[230], მაგრამ გრემი, როგორც ქალაქი, XV ს. წარმოიშვა. სწორი უნდა იყოს ვახუშტი, როცა წერს, რომ „გრემი... ქმნეს ქალაქად ქრისტესსა ჩუჯ (1466)“[231]. ამ დროიდან მოკიდებული ორი საუკუნის მანძილზე, XVII ს. 70-იან წლებამდე გრემი კახეთის პოლიტიკური ცენტრის როლს ასრულებდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არაერთხელ აოხრებულა, განსაკუთრებით კი XVII ს. დამდეგს შაჰ-აბასის მიერ. წერილობითი წყაროების ცნობებით (რუს ელჩთა ცნობები[232], ქართველ ისტორიკოსთა მონაცემები)[233] და მატერიალური კულტურის გრემში დღემდე შემონახული ძეგლებით[234] კარგად ჩანს, რომ იგი თავისი დროის ერთი უდიდესი და ძლიერი ქალაქი იყო.

იმდროინდელ კახეთში მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა აგრეთვე ქ. ყარაღაჯიც. ყარაღაჯში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალები — არშაკიდებისა და სასანიდების დრახმები[235] — აქ ადრე-

---

[228] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, изд. М. Н. Полиевктов, с. 297, 386, Тб., 1937.

[229] იქვე, გვ. 390.

[230] იხ. Е. А. Пахомов, монетные клады, в. IV, გვ. 15; ალ. მამულაშვილი, გრემის სარწყავი არხი, მუზეუმის მოამბე, XIB, 1941, გვ. 179.

[231] ვახუშტი, აღწერა, გვ. 99—100.

[232] Материалы по истории грузино-русских взаимоотношении, с. 285, 286, 422 და სხვ.

[233] ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 261 და სხვ.

[234] ალ. მამულაშვილი, კახეთის ძველი აბანოები, მუზეუმის მოამბე, XIVB, 1947; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქ-ში, გვ. 30.

[235] Е. А. Пахомов, Монетные клады, в. IV, გვ. 15, 24.

ვე მჭიდროდ დასახლებული პუნქტის არსებობაზე მიგვითითებს. ხოლო ჰულაგუიდური მონეტების მთელი განძის აღმოჩენა[236] და აქ XIV ს. ზარაფხანის არსებობა ამ დროისათვის განვითარებული საქალაქო ცხოვრების მაუწყებელი უნდა იყოს. საგულისხმოა, რომ ნუმიზმატ დ. კაპანაძის აზრით „კახური ფულის მოჭრის ტრადიციაც XIV ს-ში უნდა ჩანერგილიყო, რადგან ამდროინდელი ოქროს ურდოს ზოგიერთი მონეტა ბაზრისა, ბელაქნისა და ყარაღაჯის სახელით არის აღბეჭდილი. თუ პირველი ორი ქალაქი (ამავე სახელწოდებისა, შ. მ.) შირვანშიც იყო, მესამე ხომ (ყარაღაჯი) უდავოდ კახურია და ეს გარემოება საკმარისია იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ კახეთში საკუთარი ზარაფხანის არსებობის შესახებ"[237].

მიუხედავად იმისა, რომ ძველი თელავიდან კახეთის მეფეებს პოლიტიკური ცენტრი გრემში გადმოაქვთ, და ამით თელავის პოლიტიკური მნიშვნელობა ეცემა, თელავს თავისი ეკონომიკური როლი მაინც შენარჩუნებული ჰქონდა და იგი არსებობას განაგრძობდა XV—XVII სს. მთელ სიგრძეზე. XVII ს-დან კი თელავი ისევ აღმავლობის გზას დაადგა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, XV—XVI სს. კახეთში საქალაქო ცხოვრება არათუ დაეცა, როგორც ეს შეინიშნება იმდროინდელი საქართველოს ყველა სხვა პროვინციაში, არამედ პირიქით, კიდევ უფრო განვითარდა და დაწინაურდა. მაგრამ კახეთის აღმავლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. XVII ს. დამდეგს შაჰ-აბასის გამანადგურებელმა ლაშქრობებმა კახეთის აღმავლობას საზღვარი დაუდო და მისი მნიშვნელოვანი ქალაქები მიწასთან გაასწორა.

3. სოციალური ურთიერთობა და საქალაქო წესწყობილება X—XVI საუკუნეებში

სოციალური ურთიერთობის შესახებ მასალები შედარებით მცირე მოგვეპოვება. განსაკუთრებით მცირეა, შეიძლება ითქვას, არც კი გაგვაჩნია რაიმე მნიშვნელოვანი მასალა ადრინდელი ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში სოციალური ურთიერთობის შესახებ. ამიტომაც ქვემოთ ამ მოკლე მიმოხილვაში უმთავრესად X—XVI სს. მასალების მოტანით დავკმაყოფილდებით, რომელიც ზო-

---

[236] Е. А. Пахомов, Монетные клады, в. IV, გვ. 50.

[237] დ. კაპანაძე, უცნობი ქართული მონეტებისა და ზარაფხანების საკითხის შესწავლისათვის, მუზეუმის მოამბე, ტ. XIVB, 1947, გვ. 157.

გადად მაინც გაგვარკვევს საქართველოს უმთავრეს ქალაქებში არსებულ სოციალურ ურთიერთობასა და საქალაქო წესწყობილებაში.

X—XIV სს. ქართულ დოკუმენტებში ტერმინი „ქალაქი“ უპირისპირდება ტერმინ „სოფელს“ (სოფელი) და „დაბას“ (დასახლება). ამის შესაბამისად ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ქალაქის მოსახლეობის აღმნიშვნელად იხმარებოდა განსაკუთრებული ტერმინი — „მოქალაქე“, განსხვავებით იმ ტერმინებისაგან, რომლებითაც აღინიშნებოდა სოფლის მოსახლეობა — „მსოფლიონი“ და დაბის — „მდაბიურნი“.

საქართველოს ქალაქის ძირითად მოსახლეობას ეწოდებოდა „ქალაქის მკვიდრნი“, რომელშიც იგულისხმება როგორც ვაჭრულ-ხელოსნური ფენა, ასევე ფეოდალური არისტოკრატია. ძველქართულ ისტორიულ ლიტერატურაში „ქალაქის მკვიდრთა“ ძირითადი ნაწილის — ვაჭრებისა და ხელოსნების — აღმნიშვნელად ადრე ჩნდება ტერმინი „მოქალაქე“ და „ქალაქის ერი“. „მოქალაქე“, როგორც ქალაქის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის აღმნიშვნელი ტერმინი, VIII ს-დან გვხვდება ქართულ ორიგინალურ ძეგლებში[238]. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ „მოქალაქე“ ძველქართულ ისტორიულ ლიტერატურაში იხმარება მხოლოდ დედაქალაქის მოსახლეობის აღმნიშვნელად. იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქი მცხეთა იყო (VI ს-მდე), ძეგლებში მოხსენებულია „მცხეთის მოქალაქე“[239], მას შემდეგ კი, რაც საქართველოს დედაქალაქად თბილისი გადაიქცა, ეს წოდება („მოქალაქე“) თბილისის მცხოვრებთა წოდება ხდება. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს გვიანფეოდალურ ხანაშიც[240].

საქართველოს სხვა ქალაქების მოსახლეობის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი „ქალაქის ერი“ ან „სავაჭრო ერი“[241].

„ქალაქის ხალხად“, „სავაჭრო ხალხად“ იწოდებოდა ქალაქის მოსახლეობა, რომელიც დაკავებული იყო ვაჭრობით ან ხელოსნობით. ამრიგად, ეს ფენა უპირისპირდებოდა ძეგლებში მოხსენებულ „მდაბიურნი“-ს.

XII—XIII სს. თბილისში „მოქალაქეებად“ იწოდებოდა ყველა ვაჭარი და ხელოსანი, დამოუკიდებლად იმისა, იყვნენ თუ არა ისინი თავისუფალნი ანდა მეფის, ეკლესიის, კერძო მესაკუთრეთა

---

238 აბო თბილელის წამება, კ. კეკელიძის გმოც., გვ. 75.

239 ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, A, გვ. 48.

240 ისტორიული დოკუმენტები, III, გვ. 54.

241 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 65.

შიერ დაკავებულნი. ამ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება მხოლოდ XVI ს-დან, როდესაც „მოქალაქის“ წოდება ხდება საპატიო თბილისის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, კერძოდ, სამეფო და საეკლესიო-სამონასტრო ვაჭრებსა და ხელოსნებში. რაც შეეხება ქალაქის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლებიც ეკუთვნოდნენ სამეფო საგვარეულოს ანდა იყვნენ კერძო მფლობელები, „მოქალაქეთა რიგებიდან გარიცხულნი იყვნენ“[242].

IX—X სს. საქართველოს ქალაქების მოსახლეობა, „ქალაქის ერი“, რომელიც ძირითადად შედგებოდა ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან, არ იყვნენ ერთგვაროვანნი როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, ამ ფენაში, თავისუფალ ვაჭრებთან და ხელოსნებთან ერთად, შედიოდნენ აგრეთვე ყმა-ვაჭრები და ხელოსნები (სამეფო, სამონასტრო და სხვ.); მეორეც, თავისუფალი მოქალაქეებიდან გამოიყოფოდნენ „დიდვაჭარნი“[243], რომელთა გვერდით გვხვდებოდნენ უბრალოდ „ვაჭარნი“, რომლებიც პირადი თავისუფლებით სარგებლობდნენ, მაგრამ ეკონომიკურ ურთიერთობაში დიდად ჩამორჩებოდნენ „დიდვაჭრებს“. ამიტომ ესენი ითვლებოდნენ ამ დიდვაჭრების ერთგვარ ხელზე მოსამსახურედ და დიდვაჭრების მიერ ჩამოტანილ საქონელს ასაღებდნენ.

ფეოდალურ ქალაქებში თავისუფალი ვაჭრები ცალკე ჯგუფებს ქმნიდნენ. ქალაქის მოსახლეობისაგან განსხვავებით ისინი ატარებდნენ სპეციალურ სავაჭრო ტანსაცმელს[244]. მათ თავიანთი ორგანიზაცია გააჩნდათ. XIII ს. სავაჭრო ორგანიზაციების შესახებ ძვირფასი ცნობები შეიძლება მოვიძიოთ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. „დიდვაჭრებს“ შორის ვაჭართა უფროსად ითვლებოდა „ვაჭართუხუცესი“[245]. მის მოვალეობას შეადგენდა მიეღო როგორც თავისი ხელქვეითი, ასევე უცხოეთიდან ჩამოსული ვაჭრებიც.

უცხოელ ვაჭრებს უპირველესად ვაჭართუხუცესისათვის უნდა მიემართათ. ეს უგზავნიდა მათ სპეციალურ პირს, რომელსაც ქალაქში შემოყავდა უცხოელები დღის შუქზე[246]. ძალიან საპატიო,

---

[242] ეს საკითხი ქვემოთ იქნება განხილული.

[243] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, გვ. 81. შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, სტროფი 1067, 1122, 1123, და სხვ. (საიუბილეო გამოცემა, თბ., 1937, ქართულ ენაზე).

[244] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, სტროფი, 1058, 1080, 1256, 1257.

[245] იქვე, სტროფი, 1068, 1580

[246] იქვე, 1071.

ჩამოსულ მსხვილ ვაჭრებს ვაჭართუხუცესი აბინავებდა მათთვის განკუთვნილ სპეციალურ დასასვენებელ ადგილას[247]. თავის მხრივ, ჩამოსული ვაჭრებიც ვალდებულნი იყვნენ ვაჭართუხუცესებისადმი გამოეჩინათ სათანადო პატივი, ხლებოდნენ მათ და ეჩვენებინათ თავიანთი საქონელი. ამის გარდა, უცხოელი სტუმრები ვაჭართუხუცესს მიართმევდნენ საჩუქარს; ვაჭართუხუცესი ჩამოტანილი საქონლიდან იღებდა სამეფო ბაჟს და შემდეგ თავისუფალი ვაჭრობის ნებართვას აძლევდა მათ.

ვაჭართუხუცესი, როგორც ქალაქის მოსახლეობის ვაჭართა ფენის წარმომადგენელი, მეფის წინაშე გარკვეულ სამსახურს ასრულებდა. როგორც რუსთაველის პოემიდან ჩანს, „დიდვაჭრები", დადგენილი წესის მიხედვით, ყოველ ახალ წელს მეფეს მიართმევდნენ საჩუქრებს, რომლის შემდეგ ვაჭართუხუცესის მეთაურობით ისინი სასახლეში ცხადდებოდნენ[248].

რამდენადაც ქალაქის მოსახლეობის ზედაფენა (ვაჭართა ზედაფენა) სამეფო ხელისუფლებისათვის აუცილებელ ძალას წარმოადგენდა, სამეფო ხელისუფლება მათ იახლოებდა და განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებდა. დამახასიათებელია, რომ ზოგჯერ ისინი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალებებს ასრულებდნენ. მაგალითად, ქართულმა სამეფო საბჭომ დიდვაჭარს ზანქან ზორაბაბელს დაავალა ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოეყვანა თამარ მეფისთვის სასიძო — იური ბოგოლიუბოვი[249]. სამეფო ხელისუფლების ვაჭართა ზედაფენასთან მტკიცე კავშირს მოწმობს აგრეთვე მათი მოხსენიება წყაროებში მეფის „არიფად"[250], ანდა მამად[251].

ამრიგად, დიდვაჭარნი — ესაა ეკონომიკურად უფრო ძლიერი და სოციალურად პრივილეგირებული ვაჭართა ფენა. „დიდვაჭარი არაა მარტო ვაჭარი საქმოსანი. ძალიან ხშირად ისინი ასრულებენ უცხო ქვეყნებთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან პოლიტიკურ და-

---

[247] იქვე, 1070.

[248] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, „ვეფხისტყაოსანი, სტროფი, 1120, 1122.

[249] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ 81.

[250] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, სტროფი, 1165.

[251] История Монголов по армянским источникам., в. II, из истории Киракоса Гандзакеци. Перевод К. П. Патканова, Спб, 1874, с. 71. დიდ ინტერესს იწვევს XIV ს. ქართველი ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ მეფე დავით VI-ის (1247—1270) უმეფობის ჟამს მონღოლებმა ქვეყნის გამგებლობა უბოძეს „ვინმე შადინს, ტომით სომეხს" (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ნუსხა, გვ. 679) რომელიც უთუოდ იყო მსხვილი ვაჭარი.

ვალებებს. ისინი ხელმძღვანელობენ საქალაქო ცხოვრებას და სარგებლობენ ქვეყანაში არცთუ ისე მცირე პოლიტიკური გავლენით"[522].

მსხვილი ვაჭრების მნიშვნელობა და როლი კარგადაა ასახული XIV ს. ქართული სამართლის ძეგლებში. ბექა და აღბუღას სამართალში მსხვილი, პატივმოსილი ვაჭრის სისხლი შეფასებულია 12000 „თეთრად" (ფულადი ერთეული დაახლოებით 20 კაპ. ვერცხლით) და დაკნინებული აზნაურის (წარჩინებულის) სისხლს უტოლდება, იმ დროს, როდესაც ამავე სამართლის მიხედვით, გლეხის სისხლი შეფასებული იყო მხოლოდ 400 „თეთრად"[253]. განსაკუთრებით დამახასიათებელია, რომ „დიდვაჭრები" მოქალაქეთა სხვა ფენის მოსამართლედაც კი გამოდიოდნენ. ზემოხსენებული სამართლის წიგნში ნათქვამია: „ვინცა მოძღვარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ან კარგი დიდ-ვაჭარი, ან კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს... დასვი ბჭედ". „დიდვაჭარი" „ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვის"[524]. ცხადია, როგორც ეს თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა სავსებით სწორად შენიშნა, დიდვაჭარი შეიძლებოდა მხოლოდ ვაჭრებისა და საერთოდ ქალაქის მცხოვრებთა მოსამართლედ ყოფილიყო[255]. საინტერესოა, რომ მოსე ხორენაცმა, რომელიც ფეოდალმიწისმფლობელთა წარჩინებულების შეხედულებათა გამომხატველია, მოქალაქეები მეორე ადგილზე დააყენა ფეოდალური არისტოკრატიის შემდეგ[256].

საქართველოს მსხვილი ვაჭრები ბატონობდნენ არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობაშიც. ქარავნებს ყოველთვის მეთაურობდნენ მსხვილი ვაჭრები, რომელთაც „ქარავანთა უხუცესებს" უწოდებდნენ. საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობის მეთაურები საქართველოში, ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ქალაქებშიც, ქმნიდნენ სავაჭრო გაერთიანებებს ე. წ. „ურტაღებს". „ურტაღები" მსხვილი სავაჭრო გაერთიანებებია. ტერმინი „ურტაღი" ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში დამოწმებულია მხოლოდ XIII ს. შუა წლებში, კერძოდ, 1253 წ. რკონის სიგელში, მაგრამ, რამდენადაც ამგვარი სავაჭრო ორგანიზაციები, ასეთივე სახელწოდებით, აღმოსავლეთის ქალაქებში ცნობილია უფრო ადრეც,

---

[252] Н. А. Бердзенишвили, Очерк..., с. 3—4.
[253] Д. Чубинов, Грузинская хрестоматия, Спб, 1853, с. 226.
[254] იქვე, გვ. 226.
[255] ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომიური ისტორია, გვ. 26.
[256]. Я. А. Манандян, О торговле и городах Армении, с. 163.

ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია მათი უფრო ადრე არსებობა საქართველოშიც.

რკონის სიგელში დამოწმებულ „ურტაღში“ გაერთიანებულია სამი პირი. როგორც ამ სიგელიდან ირკვევა, ეს გაერთიანება აწარმოებდა ფართო ვაჭრობას არა მარტო საქონლით, არამედ მამულებითაც. ზოგჯერ ისინი ყიდულობდნენ მსხვილ მამულებს, რომელთა ღირებულება 65000 თეთრი იყო[257]. მიწების შეძენა ხდებოდა არა მარტო კომერციული მიზნით; ზოგჯერ ეს დიდი მამულები გადადიოდა ურტაღის რომელიმე წევრის საკუთრებაში, რის შედეგადაც მსხვილი ვაჭარი იძენდა ფეოდალისათვის დამახასიათებელ ნიშანს. ურტაღის წევრები მამულებს იძენდნენ სხვა გზითაც. ისინი აწარმოებდნენ მსხვილ საკრედიტო ოპერაციებს, იძლეოდნენ დიდ თანხებს სესხად. ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში ვალდებულის მამული გადადიოდა ურტაღის საკუთრებაში. ასეთი შემთხვევები იმდროინდელ საქართველოში არ იყო იშვიათი[258].

ფეოდალურ არისტოკრატიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ურტაღებთან. ზემოხსენებული სიგელიდან ირკვევა, რომ ზოგიერთი ფეოდალი, თვით ისეთი მსხვილიც, როგორიც იყო, მაგალითად, ერისთავთერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი კახა, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ურტაღების საქმიანობაში — ღებულობდნენ მათგან სესხს და მათთან სხვადასხვა სავაჭრო გარიგებებში მონაწილეობდნენ[259].

თავისუფალი და სამეფო მსხვილი ვაჭრების გვერდით მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ვაჭრობაში ყმა ვაჭრებიც, რომლებიც მონასტრებსა და ფეოდალებს ეკუთვნოდნენ. მაგალითად, შიომღვიმის მონასტერს ჰყავდა თბილისში ყმა ვაჭრები არა მარტო თბილისის განთავისუფლების შემდეგ, არამედ მაშინაც, როდესაც ქალაქი არაბი ამირების ხელთ იყო. ამავე მონასტერს თბილისში ჰქონდა დუქნები (ნაყიდი ან ნაწყალობევი)[260]. ერთი სიგელის მიხედვით XII ს. შიომღვიმის მონასტერს ჰყავდა თავისი ყმა ვაჭრები ქ. ყინვანშიც[261], ხოლო გიორგი III-ის 1170 წ. სიგელის მიხედვით ირკვე-

---

257 თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 134.

258 შდრ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 35.

259 თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 134.

260 თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული დოკუმენტი შიო მღვიმის მონასტრისა, თბ., 1896, გვ. 16.

261 იქვე, გვ. 22.

ვა, რომ შიომღვიმის მონასტერს ჰყავდა ყმა ვაჭრები საქართველოს სამეფოს სხვა ქალაქებშიც[262].

სხვა მონასტრებსა და ეკლესიებსაც ჰყავდათ თავიანთი ყმა ვაჭრები და ხელოსნები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მაგალითად, თამარ მეფის დროისთვის (1184—1213) მარტო რუსთავის ეპისკოპოსს ქ. რუსთავში ჰქონდა ყმა მოქალაქეების 67 სახლი[263]. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალაქები მთლიანად არ ეკუთვნოდა მონასტრებს, საეკლესიო ფეოდალები უმეტეს ქალაქებში წარმოდგენილი იყვნენ ყმა ვაჭრების, ხელოსნებისა და აგრეთვე დუქნებისა და სხვა ნაგებობების მსხვილ მესაკუთრეებად.

ეკლესია-მონასტრები მნიშვნელოვანი რაოდენობით ფლობდნენ ყმა ვაჭრებსა და ხელოსნებს XIV—XVI სს. საქართველოს ქალაქებშიც. XV ს. საბუთიდან ირკვევა, რომ მცხეთის საკათალიკოსოს თბილისში ჰქონდა სასახლე, ქულბაქები, მამული და ჰყავდა ვაჭრები, ასევე იგი ატენში, არტაანში, არტანუჯში, ყინვანში, გორში, ბაზარში და სხვაგანაც მნიშვნელოვან ქონებასა და ყმათა რაოდენობას ფლობდა[264]. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სასულიერო ფეოდალებს ამ დროისათვის არაერთი ციხე და მისი შემოსავალი ეკუთვნით. მაგ., ზემომოტანილი საბუთით მცხეთის ეკლესიას ატენში ციხე ეკუთვნის, მასვე აქვს „არტანუჯის ციხე და მისი შესავალი“ და სხვ. ამას გარდა, არმაზის ციხე, როგორც შემოსავლის წყარო, ხომ მცხეთის ეკლესიას ჰქონდა[265].

მცხეთის ეკლესია საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქებში ყმა ვაჭრებსა, ხელოსნებსა და ქულბაქებს ფლობდა XV ს.[266] და მომდევნო საუკუნეებშიც[267]. თბილისში საკმაო რაოდენობით ყმები და სავაჭრო ნაგებობები ეკუთვნოდა აგრეთვე თბილისის სიონს[268]. თავისი ყმები ჰყავდა თბილისში მეტეხის ეკლესიასა[269] და სხვ. საქართველოს სხვა ქალაქებშიც იყვნენ სხვადასხვა კუთხეთა ეკლესია-

---

262 საქართველოს სიძველენი, დამატება, III ტომი, თბ., 1926, გვ. 5.

263 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტორიული დოკუმენტები, ნ. I, თბილისი, 1913, გვ. 34.

264 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 195—197.

265 ისტორიული საბუთები, III, გვ. 16; შდრ. ქრონიკები, II, გვ. 239—240; 241, 253; საქართველოს არქივი, II, გვ. 114.

266 იხ. საქართველოს არქივი, III, გვ. 116, 117; ისტორიული საბუთები, III, გვ. 35; ქრონიკები, II, გვ. 306.

267 ისტორიული საბუთები, II, გვ. 51; ქრონიკები, II, გვ. 320, 401.

268 იქვე, II, გვ. 41; ქრონიკები, II, გვ. 385.

269 იქვე, III, გვ. 61.

მონასტრების ყმა-ვაჭრები და ხელოსნები. 1575 წ. საბუთის მიხედვით აწყურის საყდარს თავისი ყმები საკუთარი ქულბაქებით ჰყავდა ქ. ახალციხეში[270], დავით გარეჯის მონასტერს გრემში[271], ქუთაისის საყდარს, 1578 წ. დავთრით, ქ. ქუთაისში[272] და ასე შემდეგ.

ეკლესია-მონასტრებს გარდა საქართველოს ქალაქებში ყმათა დიდი რაოდენობის მფლობელები იყვნენ, ცხადია, საერთო ფეოდალებიც — მეფე, დიდებული აზნაურები, თავადები. სწორედ ესენი იყვნენ პირველი შემწირველები მონასტრებისა და ეკლესიებისადმი ყმა ვაჭრებისა, ხელოსნებისა და ქულბაქებისა.

ჩვენ მიერ ზემოდასახელებული ეკლესია-მონასტრების ყმა ვაჭრები და ხელოსნები, მცირე გამონაკლისს გარდა, რომელსაც მონასტრები და ეკლესიები თვით იძენდნენ, საერო ფეოდალთა მიერ იყო შეწირული. ჩვენ მოგვეპოვება, ამათ გარდა, XV—XVI სს. არაერთი საბუთი, რომლებიდანაც კარგად ირკვევა საერო ფეოდალთა მფლობელობა საქართველოს ქალაქებში[273].

ამრიგად, ქართული ფეოდალური ქალაქების მოსახლეობის ერთი ნაწილი შედგებოდა დიდვაჭრებისაგან, რიგით თავისუფალი ვაჭრებისა და ყმა ვაჭრებისაგან (საეკლესიო, სამონასტრო და საერო ფეოდალების).

ქალაქის მოსახლეობის მეორე ფენას შეადგენდნენ ხელოსნები, რომლებიც ქალაქის მოსახლეობის ყველაზე ფართო წრეების წარმომადგენლები იყვნენ. ხელოსნები, ისევე როგორც ვაჭრები, იყოფოდნენ თავისუფალ და არათავისუფალ ხელოსნებად. მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ვაჭრებში იყვნენ „საპატიო“ და „ღირსეულები“, ასევე ხელოსნებს შორისაც იყვნენ „ღირსეულები“ და „საპატიონი“. XII ს. საქართველოში ასეთები იყვნენ ოქრომჭედლები ბექა და ბეშქენ ოპიზარები, რომლებიც ძველ ხელნაწერთა მინაწერებში ხშირად იხსენიებიან „ღირსეულებად“[274]. ცნობები სხვა პირებზე, რომლებიც ასეთივე წოდებით სარგებლობდნენ, ჩვენ არ გაგვაჩნია.

თუმცა ქალაქის მოსახლეობის ნაწილი შედგებოდა ყმა ხელოსნებისაგან, რომლებიც ეკუთვნოდნენ მეფეს, ეკლესიებს, მონასტრებს

---

270 იქვე, II, გვ. 48.

271 იქვე, III, გვ. 82.

272 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მასალები დას. საქართველოს სოციალური და ეკ. ისტორიისათვის, „საისტ. კრებული“, წ. I, გვ. 11.

273 იხ. ისტორიული საბუთები, III, გვ. 19. იქვე, გვ. 54, 65 და სხვ.

274 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. I, გვ. 293.

და საერო ფეოდალებს, ყველაფერი ეს დიდ გავლენას ახდენდა ქალაქების საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. იგი აფერხებდა საქალაქო თვითმმართველობის განვითარებას. თავის კონსპექტში ენგელსს მოყავს „საფრანგეთის ისტორიის“ ავტორის მარტენის მოსაზრება: „ბევრ ქალაქის ეპისკოპოსებს, საერო სენიორებსა და მსხვილი მონასტრის მესვეურებს შორის დანაწილებულებს, გააჩნიათ იმდენივე სენიორები, რამდენი კვარტალიცაა, და თითქმის იმდენივე, რამდენი ქუჩაცაა“...[275]. ასეთივე ტენდენციას ჰქონდა ადგილი ფეოდალური საქართველოს ქალაქებშიც.

ყველაფერი ეს აიძულებდა ხელოსნებს სასულიერო და საერო ფეოდალთა ხელყოფისაგან თავის დასაცავად გაერთიანებულიყვნენ განსაკუთრებულ ორგანიზაციებში[276].

ფეოდალური საქართველოს ქალაქის მოსახლეობის ნაწილი შედგებოდა ე. წ. „ქალაქის ღარიბებისაგან“. ეს ფენა იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ სამეფო ხელისუფლება იძულებული გახდა მათთვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია. თუ წყაროებს დავუჯერებთ, ღარიბთათვის ქალაქებში სპეციალური თავშესაფრები იგებოდა, ანუ ე.წ . „სახლები ღარიბთათვის“[277], რომელსაც სახელმწიფო ინახავდა. ცხადია, ღარიბთა მიმართ ასეთი ყურადღების გამოჩენით ხელისუფლება თავის კლასობრივ ინტერესებს ამჟღავნებდა, რომ უვნებელეყო ქალაქის მოსახლეობის ეს „მოუსვენარი“ ფენა. ოფიციალურად კი სახელმწიფო ხელისუფლება ღარიბთა მფარველად გამოდიოდა. თამარის ერთ-ერთი ისტორიკოსის ცნობით, „ღარიბი ხალხის“ შესანახად იხარჯებოდა სახელმწიფო შემოსავლის 1/10[278]. სინამდვილეში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ თანხის მნიშვნელოვან ნაწილს სამეფო ჩინოვნიკები ითვისებდნენ.

ქალაქის ძირითად მოსახლეობას შორის არსებული სოციალური უთანასწორობა იყო მიზეზი მათი პოლიტიკური ინტერესების სხვაობისა. მოქალაქეთა უმაღლესი ფენა თანდათანობით გამოიყოფოდა თავისი ფენიდან და გადადიოდა ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში. მათ უკვე სხვა ინტერესები უჩნდებათ, რომლებიც, რა

---

[275] ფ. ენგელსი (საფრანგეთის შესახებ ფეოდალიზმის ეპოქაში), ამონაწერები მარტენის „საფრანგეთის ისტორიიდან“, მარქსისა და ენგელსის არქივი, ტ. X, მოსკოვი, 1948, გვ. 282 (რუსულ ენაზე).

[276] ქართული ხელოსნური ორგანიზაციის წარმოშობის საკითხს ჩვენ საგანგებოდ შევეხებით ქვემოთ.

[277] ი. ჯავახიშვილი, სამშენებლო ხელოვნება ძველ საქართველოში, გვ. 63.

[278] ბასილი, ცხოვრება მეფეთ - მეფისა თამარისი, გვ. 35.

თქმა უნდა, არ შეიძლება დაემთხვეს ყმა ვაჭრებისა და ხელოსნების ინტერესებს, მაგრამ, სამწუხაროდ, იმისათვის, რომ თვალი მივადევნოთ დეტალებში ამ საინტერესო პროცესს, საამისოდ წყაროთა მონაცემები არაა საკმარისი.

საქართველოს ქალაქებში ფეოდალური არისტოკრატია გაბატონებულ ფენას წარმოადგენდა. ფეოდალური საქართველოს თითქმის ყველა ქალაქი მეფისა და დიდებულების ხელთ იყო[279]. მაგალითად, არტაანი საქართველოს გაერთიანების შემდეგ იყო საერისთავოს რეზიდენცია, XII ს. მას მესხი ფეოდალები ფლობდნენ. თამარ მეფის დროს ქალაქი შედიოდა სამცხის სპასალარის ყვარყვარე ჯაყელის სამფლობელოში. ერისთავის ასეთივე რეზიდენცია იყო თუხარისიც. ბაგრატ IV-ის დროს იგი ეკუთვნოდა ბეშქენ ჯაყელს. ბაგრატის დროიდან, ჩანს, ოძრხეც გახდა ციხისჯვარელის საკუთრება. სხვადასხვა პერიოდში რუსთავი აგრეთვე იმყოფებოდა სხვადასხვა პირის მფლობელობაში. X—XIII სს. მანძილზე ამ ქალაქმა გამოიცვალა რამდენიმე მფლობელი. ასეთივე ისტორია აქვს სამშვილდესაც მისი სამეფო საკუთრებად გადაქცევამდე (გიორგი III დროიდან). ქ. უფლისციხე ხან დიდებულების და ხან მეფეთა ხელთ იყო. ქ. არტანუჯი დიდხანს იყო ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების რეზიდენცია. შემდეგ მას ფლობდა ივანე აბუსერიძე, შემდეგ ერთხანს კლდეკარის ერისთავი. ახალქალაქი თმოგველების ხელთ იყო, შემდეგ სამეფო ქალაქი ხდება. დიდებულები ფლობდნენ აგრეთვე ქალაქებს: თმოგვს, ახალციხეს, ჟინვანს, და სხვ. მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ქალაქებს.

სამეფო ხელისუფლებისა და ქალაქების ურთიერთობის ისტორიიდან ირკვევა, რომ ბაგრატ IV-ის დროიდან, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლისა და გიორგი III-ის დროს, სამეფო ხელისუფლება აწარმოებს ბრძოლას ქალაქების დაუფლებისათვის. ამით აიხსნება, რომ დავით აღმაშენებელმა, რომელმაც თურქ-სელჩუკთაგან გაანთავისუფლა მთელი რიგი ქართული ქალაქები (თბილისი, რუსთავი, დმანისი და სხვ.), მსხვილ ფეოდალებს კი არ უწყალობა ისინი, არამედ უშუალოდ სამეფო ხელისუფლებას დაუქვემდებარა. ამასვე აკეთებს გიორგი III, რომელიც სარგებლობს ყოველი ხელსაყრელი შემთხვევით, რომ მსხვილ ფეოდალებს წაართვას ქალაქები (მაგა-

---

[279] XI—XII სს. ქალაქებთან ფეოდალური არისტოკრატიის ურთიერთობის შესახებ იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქალაქი და ფეოდალური არისტოკრატია XI—XII სს.); „მიმომხილველი", ტ. II. 1951, გვ. 83—107.

ლითად, ქ. სამშვილდე და სხვ.). ამ ბრძოლაში სამეფო ხელისუფლებას მხარს უჭერდა ქართული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი. შემთხვევითი არაა, რომ „უხუცესებს“ (ე. ი. ქალაქების: რუსთავისა და ანისის ქალაქის მოსახლეობის ზედაფენა) არაერთხელ შეუთავაზებიათ ბაგრატ IV-ისათვის უშუალოდ თავისი მფარველობის ქვეშ აეღო ეს ქალაქები. სამეფო ხელისუფლება, თავის მხრივ, იჩენს მზრუნველობას ქალაქის ზედაფენის მიმართ, ხელს უწყობს მისი მდგომარეობის განმტკიცებას, ატარებს ღონისძიებებს ახალი ქალაქის შესაქმნელად. მყარდება შედარებით მტკიცე კავშირი „სამეფო ხელისუფლებასა და ქალაქებს“ შორის, რისი მეოხებითაც სამეფო ხელისუფლება თავისთვის იტოვებს ფეოდალური საქართველოს უმნიშვნელოვანეს ქალაქებს (თბილისი, რუსთავი, გორი, ქუთაისი, სამშვილდე, დმანისი, ატენი, ხუნანი და სხვ.). „სამეფო ხელისუფლებისა და ქალაქების კავშირი“ აღწევს პოლიტიკურ წარმატებასაც — დავით აღმაშენებელმა და გიორგი III შეძლეს მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგობის გატეხვა, თუმცა ეს გამარჯვება დროებითი აღმოჩნდა.

თამარის გამეფებით (1184 წ.) მდგომარეობა შეიცვალა. მსხვილმა ფეოდალებმა შეძლეს თავიანთი რიგი პრივილეგიების დაბრუნება. სამეფო ხელისუფლება იძულებულია ანგარიში გაუწიოს გამარჯვებული ფეოდალური ზედაფენის ინტერესებს და დაუთმოს მას ზოგიერთი ქალაქი. „სამეფო ხელისუფლებისა და ქალაქების კავშირი“ სუსტდება. ამ პროცესის შემდგომ განვითარებას ხელს უწყობენ მონღოლი დამპყრობლები.

საბოლოო ჯამში ყველა ქალაქი განაწილებული აღმოჩნდა სამეფო ხელისუფლებასა და მსხვილ ფეოდალებს შორის, ამიტომ X—XVI სს. საქართველოში არ არსებობდა ე. წ. „თავისუფალი ქალაქები“. ეს იმის შედეგად მოხდა, რომ აქ „ფეოდალიზმი არ იყო დამსხვრეული ქალაქების დიდი განვითარებით“ (მარქსი).

დიდებულებმა მიიღეს ქალაქები მეფეებისაგან საჩუქრად სამსახურის სანაცვლოდ, ზოგიერთებმა — სამემკვიდრეო მფლობელობით, ზოგმა კიდევ დროებით, მის მიერ რომელიმე სახელმწიფო თანამდებობის შესრულების პერიოდში. მეფის წინაშე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს შეეძლო წაერთმია ქალაქი, რომელიც დამნაშავეს სამემკვიდრეო მფლობელობაში ჰქონდა, აგრეთვე ის ქალაქიც, რომელიც დროებით სარგებლობაში იყო გაცემული.

მგაალითად, მეფე გიორგი III-ის წინააღმდეგ (1177 წ.) ორბელთა აჯანყების შემდეგ მათ დაკარგეს არა მარტო ქ. სამშვილდე, არა-

მედ ყველა სხვა საჩუქარიც, რომელიც მათ მეფისგან ჰქონდათ მიღებული.

ფეოდალურ საქართველოში ყველაზე უფრო ხშირად ქალაქები გადაეცემოდა დროებით მფლობელობაში. დროებით მფლობელობაში ქალაქების გადაცემა ხდებოდა სხვადასხვა პირობებში, მაგალითად, ქალაქების გადაცემა სამფლობელოდ „მოქალაქეთა" ხარაჯას (განსაზღვრული გადასახადის) გადახდის პირობით მფლობელთა სასარგებლოდ. „სახარჯო ქალაქები" უმეტეს შემთხვევაში სამეფო სახლის მსხვილი ჩინოვნიკების ხელთ იყო (ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და სხვ.); ამით ხდებოდა მათი სამსახურის გასტუმრება. მაგალითად, თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვით, ივანეს, სარქისის შვილს მსახურთუხუცესის თანამდებობასთან ერთად ებოძა „მრავალი სახარაჯო ციხე-ქალაქი"[280].

ფეოდალურ საქართველოში „სახარაჯო" ქალაქები გადაეცემოდათ როგორც განუყოფელი „საკუთრება", ასევე სამონახევრეობის საწყისებზეც. მაგალითად, თამარ მეფემ ზაქარიას, ვარამის შვილს, სხვათა შორის უწყალობა „მრავალი ქალაქი სრული და სანახევრო მფლობელობის უფლებით"[281]. სრული მფლობელობით ქალაქის გადაცემა ნიშნავდა სახარაჯო ქალაქის მფლობელისადმი მთელი საქალაქო შემოსავლის მიცემას, ხოლო სამონახევრო საწყისებზე გადაცემის შემთხვევაში ქალაქის შემოსავლის ნახევარი სამეფო ხაზინაში მიდიოდა.

თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვით, მეფისგან საბოძვრად გაცემული ანდა სხვა გზებით მრავალი ქალაქი ხელში უვარდებოდა ზოგიერთ დიდებულს. დამახასიათებელია, რომ ერთი ქართველი ფეოდალი შანშე მხარგრძელი 15 ქალაქს ფლობდა. 1223 წ. ივანე მხარგრძელი პაპი ჰონორიუს III-ს წერდა: „ჩემი ძმისწული შანშე 15 დიდი ქალაქის მფლობელია, თქვენს წინაშე ქედს იხრის, და ითხოვს თქვენს კეთილმოწყალებას"[282].

საყურადღებოა, რომ ფეოდალთა ზედაფენის მიერ ქალაქების ფლობა საქართველოში იმდენად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რომ ვახუშტის დამოწმებით, ეს ფაქტი წარმოადგენდა ისეთსავე აუცილებელ ატრიბუტს მსხვილი ფეოდალის ღირსებისათვის, როგორც მიწის, ციხისა და სასახლის მფლობელობა[283].

---

280 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 54.

281 იქვე.

282 მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 9.

283 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 14.

'დიდებული, რომელიც ფლობდა ქალაქს სრულად ან სანახევრო საწყისებზე, ითვლებოდა ქალაქის ბატონ-პატრონად. ხშირად ეს ბატონობა ვრცელდებოდა მიმდებარე ქალაქებზეც, ამას გარდა იგი ატარებდა არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ხასიათსაც.

ქალაქები დიდებულებისა და გავლენიანი ჩინოვნიკების მფლობელობაში გადადიოდა როგორც სამეფო საჩუქარი, ასევე შესყიდვის გზითაც, რაც დასტურდება ქ. ანის ისტორიით[284]. ასეთ შემთხვევებს არაერთხელ ჰქონდა ადგილი თვით საქართველოში. სადუნ მანკაბერდელმა, რომელიც კარგად ცნობილი პიროვნებაა XIII ს. საქართველოს ისტორიაში, მიაღწია მეფე დიმიტრი II-ისაგან მიეღო ქ. თელავი, ბელაქანი და სხვა დასახლებული პუნქტები, შემდეგ გადაიხადა მნიშვნელოვანი თანხა და გამოსტყუა მეფეს ქ. დმანისი თავისი ოლქით[285]. ამითაც არ დაკმაყოფილდა; სადუნი მეფისგან იღებს ქ. ყარსს და აქცევს მას თავის რეზიდენციად. სადუნ მანკაბერდელი არა მარტო გავლენიანი ჩინოვნიკია, არამედ ვაჭარიც. ქალაქების შესყიდვით იგი დიდ მოგებას იღებს და მალე სხვადასხვა გზებით განიმტკიცებს თავის მდგომარეობას ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში.

სავსებით სამართლიანად შენიშნავს ი. პ. პეტრუშევსკი, რომ „ცხოვრობდნენ რა ქალაქად, ქალაქის სამიწათმოქმედო წარჩინებულები დაკავშირებულნი აღმოჩნდნენ საქალაქო ვაჭრობასთანაც ანუ მონაწილეობას იღებდნენ გადასახადის აკრება-შესყიდვაში, ანდა მსხვილ საერთო საქარავნო საგარეო ვაჭრობაში, პრივილეგირებული ვაჭრების — ურტაღების კომპანიებში თანხებს დებდნენ“[286]. ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი იმდროინდელ ქართულ ფეოდალურ ქალაქებში. ჩვენ მიერ მოხსენებული კახა ერისთავთერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი, ერთ-ერთი უძლიერესი დიდებულთაგანი, მრავალი მამულის მფლობელი თავისი თანამდებობით დაკავშირებული იყო ქალაქის ძირითად მოსახლეობასთან, მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა მისი კავშირი მოქალაქეებთან. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქალაქო ვაჭრობაშიც, საიდანაც იღებდა დიდ მოგებას. ფეოდალური არისტოკრატიის ასეთსავე წარმომადგენლად გამოიყურება თამარ მეფის მეჭურჭლეთუხუცესიც — ყუთლუ არსლანი. ყუთლუ არსლანს, რომელიც მოხვდა ფეოდალური არისტო-

---

[284] Н. А. Марр, Ани, 1934, გვ. 32.

[285] Груз. историк XIV в., М., გვ. 717.

[286] И. П. Петрушевский, Городская знать в государстве Хулагундов, «Советское востоковедение», V, 1948, с. 97.

ქრატიის უმაღლეს ფენაში, მჭიდრო ურთიერთობა აქვს ქალაქის საეკლესიო წრეებთან, რის შედეგადაც ზოგიერთი ისტორიკოსი ანგარიშს უწევს მის პიროვნებას, რომელმაც სიმდიდრის მეშვეობით მიაღწია აღზევებას.

არანაკლებ იყო დაკავშირებული თბილისის საქალაქო ცხოვრებასთან ქართლის ერისთავი და თბილისის ემირი — აბულასანი. იგი თბილისის პირველი მკვიდრია, ამიტომ მართავს ქალაქს; მის ხელთაა ქალაქი რუსთავი. არაა ინტერესსმოკლებული, რომ ეს მსხვილი ფეოდალი დავით ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიაში" ფიგურირებულია „თბილისელი ვაჭრის" სახელწოდებით[287], რაც აიხსნება მისი სიახლოვით თბილისელ დიდვაჭარ ზანქან ზორაბელთან და სხვ.

ქალაქის ფეოდალური არისტოკრატიის მჭიდრო კავშირი დიდვაჭრებთან და მათზე გავლენა ისეთი ადამიანებისა, როგორიცაა ყუთლუ არსლანი, აბულასანი, ‘ახა მეჭურჭლეთუხუცესი, სადუნ მანკაბერდელი და სხვ., თანდათანობით გამოყოფს მათ მოქალაქეებისაგან და ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში აყენებს.

ეს პროცესი განსაკუთრებით ღრმავდება მონღოლთა მფლობელობის დამყარების დროიდან. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მაშინ როდესაც ქალაქის მწარმოებელი მოსახლეობა სამონღოლო გადასახადებისა და მათი ამკრები მოხელეების წყალობით სასტიკად ნადგურდებოდა, მოქალაქეთა მაღალი ფენის წარმომადგენლებს მონღოლები განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ და მათ სხვადასხვა მაღალ თანამდებობებს აძლევდნენ. ყოველივე ეს ხელს უწყობდა დიდვაჭრების, მოქალაქეთა გავლენიანი ფენის წარმომადგენლების ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში თანდათან გადასვლას. ვაჭარი, რომელმაც მოხელეობასთან ერთად მამულებიც ხელთ იგდო, მალე ფეოდალად იქცევა და უფლებრივადაც ფეოდალურ არისტოკრატიას უთანაბრდება. ამის საუკეთესო მაგალითია ულუ-დავითის დროს (1247—1270) თბილისში გადმოსახლებული მდიდარი სომეხი ვაჭარი უმეკ//ომეკ-ი.

სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, ქ. კარინის (არზრუმის) აღებისა და დანგრევის დროს „В 691 (1242 წ.) ბაჩუ-ნოინმა... გამოიყვანა იქიდან სახელოვანი მამაკაცი, მდიდარი და კეთილისმყო-

---

[287] დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, ხელნაწერი ინახება ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფილიალის ხელნაწერთა განყოფილებაში, 4. 14. გვ. 171).

ფელი უმეკი და მისი ნათესავები".[288] უმეკის დახასიათებას იძლევა კირაკოს განძაკეცი: „მონგოლები განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ ერთ მდიდარ ვაჭარს (*Մեծատուն վաճառականն*), უმეკს, რომელსაც ისინი ეძახდნენ ასიმს (*ասիլ*)... ის დასახლდა თბილისში და იწოდებოდა ქართველი მეფის დავითის მამად (*հայր անուանեալ թագաւորի վրաց Դաւթի*). ხანს გამორჩეული ჰყავდა იგი და წარჩინებულები ანგარიშს უწევდნენ მას"[289].

ჩანს, „მეფის მამად" წოდებული უმეკი დიდი პატივისცემით სარგებლობდა საქართველოში. მას სათანადო გავლენა ჰქონდა არა მარტო როგორც მდიდარ ვაჭარს, არამედ როგორც მეფის ახლობელსა და, საერთოდ, ფეოდალური არისტოკრატიის მიერ პატივცემულს.

„მეფის მამად" მიჩნეული და ყველასაგან პატივცემული „მდიდარი ვაჭარი" უმეკი თანდათან იძენს იმასაც, რაც საჭიროა დიდებულთა პატივის მოსაპოვებლად და თავის შთამომავლობას, სიმდიდრესთან ერთად, ამ პატივსაც უანდერძებს. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ თვით უმეკი დაქორწინებული იყო ხაჩინელი მფლობელისა და დიდებულის ჰასან ჯალალის ასულზე. საგულისხმოა ისიც, რომ ჯალალის მეორე ასული მონღოლთა ყაენის ჭარმაგანის შვილის ბორას მეუღლე ყოფილა, ხოლო მესამე ისეთ გავლენიან დიდებულს ჰყავდა მეუღლედ, როგორც ტარსაიჭ ორბელი იყო[290]. ასე რომ, უმეკს ამ მხრივ დიდებულთა წრეში მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოდგმული.

ამას გარდა, 1284 წ. ერთი ცნობის მიხედვით, უმეკი მიჩნეულია თბილისის „წმ. გიორგის", ე. წ. „ციხის დიდის" (თათრის მოედანზე) სომეხთა ეკლესიის მაშენებლად და პ ა ტ რ ო ნ ა დ[291]. როგორც ჩანს, „მდიდარ ვაჭარს" თბილისში XIII ს. შუა წლებში საკუთარი ეკლესიაც აუშენებია. ყოველივე ეს კი იმის პირობას წარმოადგენდა, რომ

---

[288] История Монголов по армянским источникам, в. I, перевод К. П. Патканова, Спб, 1873, с. 7.

[289] Գաւոմուրիւն արարեալ Կիրակոսի Գանձակեցւոյ, 1910, с. 349—350; შდრ., История Монголов, В. VII, спб, 1874, с. 79; ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, გარეჯის სომხური ეპიგრაფიკა, „ენიმკის" მოამბე, V—VI, 1940, გვ. 163; მ ი ს ი ვ ე, ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის, Труды ТГУ, VI, 1924, გვ. 87.

[290] История Монголов, в. I, с. 72; пр. 10; ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის, გვ. 87.

[291] И. О р б е л и, Фрагмент крестного камня с арабской надписью в Тифлисе, Жур. «Восток», IV, 1918, с. 197; Л. М е л и к с е т-Б е к о в, О междоусобице в Тифлисе в 1197 г. Изв. КИАИ, III, 1925, с 56—57.

ჯერ თვით უმეკი „პარონ“-ად (պարոն), ხოლო შემდეგ მისი შთამომავალი ქერიმადინი სომეხთა დიდ თავადად, ერისთავად (մեծիշխան) ქცეულიყო. დამახასიათებელია, რომ XIII ს. ცნობილი სომეხი მეცნიერის იოანე ერზინკაელის კოსმოგრაფიული ტრაქტატის წინასიტყვაობაში პარონ უმეკი მოიხსენიება მამად და მაშენებლად ეკლესიისა, „ღირსად პატივცემულისა და ბრძნისა და დიდის სომეხთ მთავრისა პარონ ქარიმადინისა“[292].

როგორც ვხედავთ, „მდიდარი ვაჭრის“ შვილი უკვე „სომეხთა დიდ ერისთავად“ იწოდება, რომელიც, სხვათა შორის, მემკვიდრეობით ფლობს მამის მიერ თბილისში აშენებულ ეკლესიასაც.

უმეკისა და მის მსგავს ვაჭართა გავლენა, რომელნიც დიდებულთა საფეხურამდე ადიან, დიდი უნდა ყოფილიყო არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ სფეროშიც. სწორედ ასეთ ვაჭრებს წარმოადგენდნენ ჩვენ მიერ ზემოდასახელებული შადინი, რომელსაც მონღოლებმა „შეავედრეს თბილისი (მისცეს თბილისის გამგებლობა) და თჳთ მეფობაცა“[293], და ხოჯა აზიზი, საქართველოში სამონღოლო ხარკის ამკრები უზენაესი მოხელე.

ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა კავშირი მოქალაქეთა ზედაფენასთან ამ უკანასკნელთა ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში გადასვლით თავდება, მათი ინტერესების თანდათანობით გაერთიანებას დიდი გავლენა ჰქონდა საქალაქო ცხოვრებასა და საქალაქო წყობილებაზე.

ამას გარდა, სამეფო ხელისუფლების ქალაქებთან კავშირის შესუსტება, ქალაქის ზედაფენის წარმომადგენელთა თანდათანობითი გადასვლა ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში და მათი ინტერესების გაერთიანება, ქალაქების დაქვემდებარება დიდებულებისადმი — ყველაფერი ეს თამარ მეფის დროს დიდებულთა გამარჯვების, ქვეყნის შინაგანი ერთიანობის შესუსტების, აგრეთვე საქართველოს მონღოლებთან და სხვა გარეშე მტრებთან ბრძოლაში დამარცხების ძირითადი მიზეზი იყო.

ფეოდალური არისტოკრატიის გავლენა ქალაქებზე ამით არ შემოიფარგლებოდა. ისინი გავლენას ახდენდნენ ქალაქების ეკონომიკურ ცხოვრებაზე თავიანთი მსხვილი სავაჭრო ოპერაციებით, და პოლიტიკურ ცხოვრებაზე — როგორც უმაღლესი სამეფო ჩინოვ-

---

[292] ლ. მელიქსეთ-ბეგი, იქვე, გვ. 59; მისივე, ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის, გვ. 85; მისივე, გარეჯის სომხური ეპიგრაფიკა, გვ. 164.

[293] М., გვ. 679. ჩვენი მოსაზრება შადინის ვინაობის შესახებ იხ. წერილში „საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“, გვ. 98.

ნიკები. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ფეოდალური არისტოკრატია ბატონობდა არა მარტო ქალაქად, არამედ მის მიმდებარე ტერიტორიებზეც. მეფეებისაგან დიდებულები ქალაქებთან ერთად იღებდნენ მისადმი დაქვემდებარებულ გარშემო ადგილებსაც. მაგალითად, დავით აღმაშენებელმა ივანე ორბელიანს გადასცა ქ. სამშვილდე თავისი სანახებით[294]. ქ. რუსთავის გამგებელი ამავე დროს ფლობდა მასთან ახლომდებარე პუნქტების მოსახლეობასაც. იგივე შეიძლება ითქვას ქ. ჟინვანის მფლობელზედაც.

დამახასიათებელია, რომ ქართველმა ფეოდალმა გრიგოლ ბაკურიანისძემ, რომელიც ბიზანტიაში მსახურობდა, ქართველ მეფეს, გიორგი II-ს (1072—89) გადასცა ქ. ყარსი თავისი სანახებით. დავითის ისტორიკოსი იუწყება: „და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა...“[295] გიორგი მეფემ „დაუტევნა კარს აზნაურნი შავშნი და წამოვიდა შინა“[296].

ფეოდალური არისტოკრატიის ბატონობა ქალაქისადმი მიმდებარე ტერიტორიებზე, რომლებზედაც ძალიან იყო დამოკიდებული ფეოდალური ქალაქის ეკონომიკა, აპირობებდა პოლიტიკურად ფეოდალების ქალაქისადმი დაქვემდებარებას. როგორც მარქსი მიუთითებს, „შუა საუკუნეებში სოფელი პოლიტიკურად ექსპლოატაციას უწევს ქალაქს ყველგან, სადაც ფეოდალიზმი არ იყო დამსხვრეული ქალაქების არნახული განვითარებით, როგორც იტალიაში“[297].

მეფეების მიერ ქალაქების დიდებულებისადმი გადაცემა ხდებოდა ძირითადად მისი ეკონომიკური უზრუნველყოფის მიზნით. ქალაქის შემოსავლის დიდი ნაწილი მიდიოდა მათი დროებითი თუ მუდმივი მფლობელობის ხელში. ამიტომ დიდებული, რომელიც ფლობდა ქალაქს, ყოველთვის ცდილობდა შეენარჩუნებინა ამ ქალაქში პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა, იგი ძნელად თუ გაუშვებდა ხელიდან იმ უფლებებს, რომელიც მეფისგან ჰქონდა ბოძებული. ამიტომ ქალაქის მფლობელ დიდებულს უჩნდება სურვილი გადაიქცეოს იგი თავის კერძო საკუთრებად.

ქართული ფეოდალური ქალაქების ცხოვრებაში უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სასულიერო ფეოდალების, ეკლესიისა და მონასტრების მონაწილეობას.

---

[294] Стеф. Орбелиани, История Сюникской провинции, исследования и статьи И. О. Эмина, М., 1896, с. 362.

[295] დავითის ისტორიკოსი, A, გვ. 200.

[296] იქვე.

[297] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, 1949, გვ. 814.

ამრიგად, ფეოდალური არისტოკრატიის პოლიტიკური ბატონობა ქალაქებში, ამ ბატონობის შენარჩუნების ხანგრძლივი ცდები, მათი მონაწილეობა ქალაქების ეკონომიკურ ცხოვრებაში, ქალაქების სანახებში ბატონობა, ფეოდალური არისტოკრატიის მჭიდრო კავშირი მოქალაქეთა ზედაფენასთან, ამ ზედაფენასა და ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესების გაერთიანება ქალაქის მოსახლეობის ფართო ფენების წინააღმდეგ, ერთი სიტყვით, ქართული ფეოდალური ურთიერთობის დიდი გავლენა საქალაქო ცხოვრებაზე იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ XII—XVI სს. საქართველოში და შემდგომ საუკუნეებშიც არ განვითარდა დამოუკიდებელი საქალაქო მმართველობა, არ წარმოიქმნა შუასაუკუნეების კომუნის ტიპის „ქალაქი-რესპუბლიკა". თუმცა ეს არ იყო ერთადერთი შედეგი ზემოაღნიშნული მოვლენებისა, მისი მეორე შედეგი იყო თანდათანობითი შესუსტება და კავშირის გაწყვეტა ქალაქსა და სამეფო ხელისუფლებას შორის. შემთხვევითი არ არის, რომ მოქალაქეთა ზედაფენა, რომელიც ერთ დროს მეფესთან შეხმატკბილებით მოქმედებდა და მეფეთა მიერ პატივდებული იყო, დროთა ვითარებაში სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალადაც კი გამოდის. მაგ., დავით აღმაშენებლის მეფობის დროს განსაკუთრებით შეღავათმინიჭებული თბილისის მაჰმადიანური ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის ზედაფენა მომდევნო საუკუნეებში სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგედ იქცევა და სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ძალას მხარს უჭერს, მის დამხმარედ გამოდის.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თბილისის მცხოვრებთა ორიენტაცია ჯალალ ად-დინის საქართველოში ლაშქრობის დროისათვის. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, 1226 წ., როცა ჯალალ ად-დინმა თბილისში ილაშქრა, პირველ დღეს, ქალაქის მცველთა მედგარი წინააღმდეგობის წყალობით, იგი იძულებული იყო უკან დაეხია[298]. მაგრამ მალე ქალაქის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ქართველი ისტორიკოსის სიტყვით სპარსები (მაჰმადიანები), ამოქმედდნენ და ჯალალ ად-დინს საიდუმლოდ დახმარება აღუთქვეს[299]. ქართველი ისტორიკოსი, რა თქმა უნდა, ცდილობს შეაფერადოს არსებული მდგომარეობა და ქართველთა მეფის მოღალატედ ქალაქის მხოლოდ უცხო, მაჰმადიანური რწმენის მცხოვრებლები გამოიყვანოს. ამ ღალატში ალბათ ქალაქის მცხოვრებთა სხვა ფენებიც იღებდნენ მონაწილეობას. მოღალატეებმა მოკლეს

---

[298] M, 575.

[299] იქვე.

ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ ომის განახლებისათვის მომზადებული, ქალაქის დაცვის ხელმძღვანელი დემნა ჯაყელი... ამასთან ერთად ქალაქში, ისტორიკოსის სიტყვით, „იქმნა შინათ ომი“ — ე. ი. თვით ქალაქის დამცველებს შორის გაჩაღდა ბრძოლა[300], გარედან კიდევ ხვარაზმელები უტევდნენ. ჯალალ ად-დინის მომხრე თბილისის მოსახლეობამ ხვარაზმელებს ქალაქის კარები გაუღო და შიგ შემოუშვა. ჯალალ ად-დინმა მოქალაქეთა დახმარებით თბილისი ხელთ იგდო და სასტიკად ააოხრა. თუნდაც რომ ქართველი ისტორიკოსის ცნობა სარწმუნოდ მივიღოთ და ჯალალ ად-დინის მომხრეებად, ქალაქის გამცემლებად მარტო ქალაქის მაჰმადიანური მოსახლეობა მივიჩნიოთ, მაინც საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე. ეს ის მაჰმადიანებია, რომელნიც დავით აღმაშენებლის დროს განსაკუთრებით პატივდებულნი იყვნენ და თბილისში, მეფეთა მხარდაჭერის წყალობით, უფრო უკეთ გრძნობდნენ თავს, ვიდრე რომელიმე მაჰმადიან მფლობელთა ქალაქებში. მაგრამ დავითის დროიდან უკვე დიდი ხანი იყო გასული. მეფის ხელისუფლების ძველი მოკავშირეები, მოქალაქეები, ამჟამად სამეფო ხელისუფლებისადმი დამორჩილებულნი და ძარცვის ობიექტად იყვნენ ქცეულნი. ყოველივე ამის წყალობით ირღვევა კავშირი მოქალაქეების ზედაფენასა და სამეფო ხელისუფლებას შორის. მოქალაქეები ახალ მოკავშირეს ეძებენ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ; ასეთს ზოგ შემთხვევაში ფეოდალური არისტოკრატია წარმოადგენს, ზოგჯერ კიდევ საგარეო ძალა, რომელიც განადგურებით ემუქრება სამეფო ხელისუფლებას. ამით აიხსნება თბილისელთა ერთი ნაწილის მიმხრობა ჯალალ ად-დინისადმი, ამით აიხსნება აგრეთვე მონღოლებისა და დიდვაჭართა კავშირიც, დიდვაჭრების გამოყენება მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში მაღალ სამოხელეო თანამდებობებზე და სხვ.

ფეოდალური არისტოკრატიისა და მოქალაქეთა ზედაფენის ინტერესთა თანდათან გაერთიანება, ბუნებრივია, ხელს უწყობდა აგრეთვე ქვეყნის გაერთიანების მომხრე ძალთა შესუსტებას და დაშლა-დანაწილების მომხრეთა გაძლიერებას. ყოველივე ამან, სათანადო საგარეო ზემოგანხილულ მოვლენებთან ერთად, განაპირობა აგრეთვე ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლა, რამაც თავის მხრივ კიდევ უფრო შეასუსტა საქართველოს ცალკეულ კუთხეთა შორის მანამდე არსებული ეკონომიკური კავშირი და ამით უფრო შეამცირა ქალაქების როლი.

მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ XV—XVI სს. საქართველოს

---

[300] იქვე, გვ. 575—576.

ქალაქების უმეტესობა უცხოელთა დროებით თუ მუდმივად ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა, ნაწილი კიდევ კარჩაკეტილ ფეოდალურ სამთავროთა თუ სათავადოების პოლიტიკურ ცენტრებად იქცნენ. ასე რომ, XV—XVI საუკუნეებისათვის ფეოდალური საქართველოს ქალაქები უკვე ველარ წარმოადგენდნენ ქვეყნის ერთიანობისათვის მებრძოლ მნიშვნელოვან ძალას.

კიდევ მეტი, მოქალაქეები ზოგ შემთხვევაში გაერთიანებისათვის მებრძოლ მეფეთა მოწინააღმდეგეებადაც კი გამოდიან. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ XVI ს. 60-იან წლებში თბილისის განთავისუფლებისათვის მებრძოლ სიმონ I-ს მოქალაქენი არათუ შიემხრნენ, როგორც თვით მოელოდა, არამედ „ცოლი და შვილი იმათაც ციხეში შეასხეს და ციხიდამ შექმნეს ბრძოლა“[301]. ასე რომ, ამიერიდან სამეფო ხელისუფლებას უხდება ბრძოლა როგორც ქალაქების უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის, ასევე ქალაქებსა და სამეფო ხელისუფლებას შორის არსებული ძველი კავშირის აღდგენისათვის.

*
* *

აღმოსავლეთისა და აგრეთვე საქართველოს ქალაქების მმართველობა და პოლიტიკური წყობა შეუსწავლელია. ქალაქ ანისის გათხრებშა მოგვცეს უხვი მასალა, მაგრამ საქალაქო მმართველობის შესასწავლად ეს მასალა ახალს თითქმის არაფერს იძლევა, ამიტომაც ნ. შარი, რომელსაც სურდა ეჩვენებია საქალაქო თვითმმართველობის არსებობა ანისში, ვერ პოულობდა შესაბამის ფაქტებს ვერც წერილობით და ვერც არქეოლოგიურ ძეგლებში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს მხოლოდ „ანის უხუცესების“ მოხსენიება, რომელთა როლი საქალაქო მმართველობაში არცთუ ისე ნათელია[302]. ანის ეპიგრაფიკული მასალებით ვლინდება კიდევ ერთი საქალაქო ჩინოვნიკის მუჰთასიბის (muhtasib) არსებობა[303].

---

[301] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 219, შდრ, შედეგი ქართლის ცხოვრებისა, გვ. 285.

[302] Всеобщая история Вардана Великого, пер. Эмина, М., 1861, გვ. 147. შდრ. Н. Я. Марр, Ани, с. 35, 127, 131.

[303] იხ. Я. А. Манандян, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

საკუთრივ საქართველოში წარმოებულმა გათხრებმა, კერძოდ ქ. დმანისის შესწავლამ, ამ თვალსაზრისით იმედები არ გაამართლა და საქალაქო წყობისა და მმართველობის შესასწავლად რაიმე ახლის დამატება წერილობითი წყაროებისადმი ვერ შეძლო. ამიტომ, როდესაც ვეხებით ამ საკითხს, ჩვენ ვეყრდნობით წერილობითი წყაროების არაპირდაპირ და არცთუ ისე გასაგებ ცნობებს, რომელთა მიხედვით ყოველთვის ვერ ხერხდება სასურველი სურათის აღდგენა. თუ ჩვენ შეგვიძლია, ნაწილობრივად მაინც, წარმოვადგინოთ სამეფო ქალაქების მმართველობის სისტემა, დიდებულთა ხელისუფლების ქვეშ მყოფი ქალაქების მმართველობისა და წყობის შესახებ თქმა არაფრის შეგვიძლია, გარდა იმისა, რომ ასეთი ქალაქების უმეტესობა წარმოადგენდნენ დიდებულების რეზიდენციას და მათ ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ.

ერთიანი ქართული მონარქიის წარმოქმნის შემდეგ ქალაქის მმართველი ინიშნებოდა მეფის მიერ, ქალაქის მმართველი მოხელეები „ქალაქის თავებად" იწოდებოდნენ, მაგრამ ეს იყო საერთო სახელწოდება, რომლის ქვეშ იგულისხმებოდა ყოველი ქალაქის გამგებელი.

ქ. თბილისის მმართველის სახელწოდება იყო „ემირი" ან „ემირთა ემირი". ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში ეს ტერმინი ჩნდება არაბთა მფლობელობის დამკვიდრებასთან. დასაწყისში ემირებად იწოდებოდნენ ქართლის (აღმოსავლეთ საქართველოს) უმაღლესი არაბი მოხელეები, მაგრამ თბილისის საამიროს ტერიტორიის განსაზღვრის შემდეგ, ემირები გადაიქცნენ თბილისისა და მისი სანახების განმგებლებად. ეს არაბული ტერმინი მტკიცედ შევიდა ქართულ ენაში და XVII ს. დასაწყისამდე ქ. თბილისის გამგებლები უფრო ხშირად ემირებად იწოდებოდნენ.

თბილისის თურქ-სელჩუკთა უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ (1122 წ.) თბილისის ემირებს ქართველი მეფეები ნიშნავდნენ. დავით აღმაშენებელმა გაანთავისუფლა ქალაქი უცხოელთა ხელისუფლებისაგან, შეზღუდა საქალაქო თვითმმართველობა, რომელიც შემოღებული იყო მოქალაქეთა ზედაფენის მიერ არაბი ემირების დინასტიის გადაშენების შემდეგ, და ქალაქის მეთაურად დააყენა თავისი მოხელე, რომელიც ასევე იწოდებოდა ემირად. თბილისის ემირებს ქართველი მეფეები ქართველ დიდებულთა წარმომადგენლობიდან ნიშნავდნენ.

თამარ მეფის დროს თბილისის ემირად იყო თბილისის მკვიდრი, დიდებული აბულასანი. საჭიროა აღინიშნოს, რომ აბულასანი იყო „ქართლისა და თბილისის ემირი"[304], იგივე აბულასანი ერთ-

წარწერაში დასახელებულია „ქართლის ერისთავთ-ერისთავად და ემირთა-ემირად“[305]. ცხადია, რომ XII—XIII სს. თბილისის ემირი, ძველი ჩვეულებით, ერთსა და იმავე დროს იყო ქართლის გამგებელი (ერისთავი), ე. ი. ქ. თბილისთან ერთად ის განაგებდა ახლომდებარე ტერიტორიებსაც.

ემირი ინიშნებოდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებშიც. 1398 წ. დათარიღებულ ერთ დოკუმენტში ქ. გორის გამგებელი ასევე იწოდებოდა „ემირთა-ემირად“[306]. XIII ს. მიწურულის დოკუმენტში იხსენიება ქ. ჟინვანის ემირი, რომელსაც, ისევე როგორც თბილისის ემირს, ექვემდებარებოდა ქალაქთან ერთად მიმდებარე სოფლებიც[307].

ემირებად იწოდებოდნენ აგრეთვე სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქების გამგებლებიც. 1278 წ. დოკუმენტში იხსენიება ქ. ქუთაისის ემირი[308], XV ს. მიწურულის ერთ მინაწერში, უფრო ადრინდელ ხელნაწერში ნახსენებია სამცხის ემირთაემირი[309].

ქართველი მეფეები ემირებს ნიშნავდნენ აგრეთვე ქართულ სამეფოში მათ მიერ შემოერთებულ მნიშვნელოვან ქალაქებში. როდესაც მეფე გიორგი III დაიპყრო ქ. ანი და შემოუერთა იგი ქართულ სამეფო ხელისუფლებას, ქალაქის ემირად მან დანიშნა ერთ-ერთი ქართველი დიდებული[310]. თამარის ისტორიკოსის სიტყვით, ქ. კარის შემოერთების შემდეგ (1206 წ.) ქალაქის განმგებელ-ემირად დაინიშნა ივანე ახალციხელი[311].

მაგრამ ამ უცხო წარმოშობის ტერმინთან („ემირი“) ერთად ქალაქის გამგებლის აღსანიშნავად წყაროებში იხმარება ქართული ტერმინიც — „მოურავი“.

მოურავის ინსტიტუტი ქართულ სახელმწიფო აპარატში არსებობს XI ს-დან (თუ უფრო ადრე არა)[312]. მოურავი ეწოდებოდა აგრეთვე ცალკეულ რაიონებში მეფის მიერ დანიშნულ გამგებლებს. ჩვენს განკარგულებაშია მთელი რიგი დოკუმენტებისა XIV ს. და-

---

304 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 81.

305 Е. Такайшвили, Археологические экскурсии, в. IV, с. 148—152.

306 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 225.

307 „საისტორიო მოამბე“, ტ. I, 1924, გვ. 141.

308 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 160.

309 იქვე, გვ. 322.

310 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 60.

311 იქვე. გვ. 124.

312 თ. ჟორდანია, ისტორიული დოკუმენტი შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 14.

საწყისიდან, რომლებშიც თბილისის ემირის გვერდით იხსენიება ატენისა და სხვ. მოურავები[213]. XI—XVI სს. მოურავის (ემირის) უფლება-მოვალეობის შესასწავლად მასალები, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მათი მოვალეობანი ამ პერიოდში ისეთივე იყო, როგორიც შემდგომ საუკუნეებში.

მოურავის (ემირთაემირის) გარდა საქალაქო მმართველობის საქმიანობაში მონაწილეობას იღებდნენ თანამდებობის სხვა პირებიც, მაგალითად, „ციხისთავი", რომელიც ფიგურირებს მცხეთაში ჯერ კიდევ VI ს., თბილისში კი — VI—VII სს. მიჯნაზე[314]. არსებობს აგრეთვე დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ ციხისთავის არსებობას ქალაქებში: გორში, ატენში, ქუთაისში და სხვ.[315] XI—XVI სს. მრავალი დოკუმენტი მიუთითებს ციხისთავის არსებობას არა მარტო ქალაქებში, არამედ სხვადასხვა ციხეებშიც[316]. ქალაქის ციხისთავის მოვალეობას შეადგენდა ქალაქის ციხის უსაფრთხოების დაცვა, რისთვისაც მას ჰყავდა სპეციალური სამხედრო გარნიზონი, რომელიც ციხეში იდგა, და საერთოდ „ქალაქის მცველები"[317]. „ქალაქის მცველები" იდგნენ ციხეებში, ქალაქის კარებთან და სხვა ადგილებში. ციხისთავის თანამდებობა ძველი მნიშვნელობით შენარჩუნებული იქნა XVII—XVIII სს-შიც.

X—XIII სს. საქართველოს ქალაქებში იყვნენ თანამდებობის სხვა პირებიც. XI—XII სს. დოკუმენტებში ხშირად იხსენიება „შურტა"[318]. სამწუხაროდ, დოკუმენტების მიხედვით ჯერჯერობით ძნელია დადგინდეს, თუ რას წარმოადგენდა ეს თანამდებობის პირი. ა. კრემერის განმარტებით, აღმოსავლეთის ქალაქებში შურტა იყო პოლიციის მოხელე, რომელიც ქალაქში „წესრიგს" იცავდა[319].

---

313. საქართველოს სიძველენი, დამატება, III ტ. გვ. 9—12; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 145, 220; 222, ისტორიული დოკუმენტები, III, გვ. 9, 28, 61.

314 მოქცევაჲ ქართლისაჲ; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Опис., т. II, გვ. 724.

315 საქართველოს სიძველენი, დამატება, ტ. III, გვ. 11—12; И. Д ж а в а х о в, К вопросу о времени построения храма в Атене, X р. В., т. I, вып. 3, გვ. 239—290. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 136, 263, 340.

316. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული დოკუმენტი შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 4, 12, 26, 53; ქრონიკები, I, გვ. 80, 263 და სხვ.

317 ქამთააღმწერელი, М., გვ. 575, 758.

318. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული დოკუმენტები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 11, 12.

319. A. K r e m e r, Culturgeschichte des Orientsunter den chalifen, I, Wein, 1875, გვ. 163., Ensyklopedie des Islam, IV, გვ. 423. В. В. Б а р т о л ь д, Туркестан в эпоху монгольского нашествия, გვ. 236—237. И. А. Д ж а в а х и ш в и л и, Экономическая история Грузии, გვ. 24.

უნდა ვიფიქროთ, რომ შურტას თანამდებობას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სახელმწიფოს დამსჯელი ორგანოების სისტემაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში იყო რამდენიმე შურტა. საინტერესოა, რომ შურტა სამეფო ჩინოვნიკის სახით ჩანს გიორგი II მეფობაში 1072 წელს, ე. ი. თბილისის უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებამდე, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს შურტას არსებობაზე თბილისის გარდა სხვა ქალაქებშიც.

ქართულ ქალაქებში თანამდებობის პირებად იყვნენ აგრეთვე მწონავები და მებაჟეები, რომლებიც, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, შურტას მოხელეები იყვნენ[320].

1170 წ. დოკუმენტში მოხსენებული მეფე გიორგი III-ის გუსტასიბის გადასახადი[321] მიუთითებს ქალაქებში (ამ შემთხვევაში თბილისში) გუსტასიბის თანამდებობის არსებობაზე. უეჭველია, ქართული სიტყვა „გუსტასიბი“ ნაწარმოებია არაბული «Muhtasib»-ისაგან მუჰთასიბის თანამდებობა ცნობილია მუსლიმანურ აღმოსავლეთში. იგი ბაზარში ზომა-წონის ზედამხედველია და ამავე დროს ასრულებს პოლიციელის მოვალეობასაც[322]. სომხური წყაროებით, მუჰთასიბის მოვალეობაში შედიოდა აგრეთვე ქალაქის გადასახადების აკრეფაც[323].

გიორგი III-ს აღნიშნულ სიგელში იხსენიება გადასახადი „საამიდო“ და „სარაისო“, რაც მიუთითებს შესაბამისი თანამდებობების არსებობაზე საქართველოს ქალაქებში. ხსენებული ტერმინებიც არაბული წარმოშობისაა — პირველი წარმოსდგება „ამიდ“-ისაგან, მეორე — „რაის“-ისაგან — მუსლიმანური აღმოსავლეთის ქალაქებში ცნობილი თანამდებობის სახელწოდებებისაგან[324]. ქართულ ქალაქებში თუ რაში გამოიხატებოდა კონკრეტულად მათი

---

[320] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 26—27.

[321] საქართველოს სიძველენი, დამატება III ტომისათვის, გვ. 5.

[322] Н и з а м а л-М у л ь к, Сиасет-Намэ, М. Л., 1948, გვ. 47. Enzyklopedie des Islam, III, გვ. 758—759., A. K r e m e r, Culturgeschichte desor, გვ. 423—426, В. В. Б а р т о л ь д, Туркестан..., გვ. 240—241. В. А. Г о р д л е в с к и й, Государство Сельджукидов в Малой Азии, с. 126—146.

[323]. Я. М а н а н д я н, დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

[324] Н и з а м а л-М у л ь к, Сиасет-Намэ, გვ. 49, 160, 305; В. В. Б а р т о л ь д, Туркестан..., გვ. 244, 349, В. А. Г о р д л е в с к и й, დასახ. ნაშრ., გვ. 63, 141, 172.

მოვალეობანი, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით არ შეიძლება გაირკვეს, იგი მომავალი კვლევა-ძიების საგანია.

როგორც ზემომოტანილი მასალებიდან ჩანს, საქართველოში არაბთა ხანგრძლივი მფლობელობისა და მაჰმადიანურ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად, საქართველოს ქართველ მეფეთა მიერ დანიშნული მოხელეებიც XI—XIII სს. დოკუმენტებში უმთავრესად არაბული სახელებით მოიხსენიებიან. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ საქმე გვქონდეს მაჰმადიანური სამყაროს საქალაქო წესწყობილების საქართველოში მზამზარეულად გადმოტანასთან, მის ნასესხობასთან. არაბული სახელწოდების მატარებელი ქართული სამოხელეო ინსტიტუტები თავისი ბუნებით (შინაარსით) განსხვავდებოდნენ ამგვარივე სახელწოდების მატარებელი აღმოსავლური ინსტიტუტებისაგან. მაგ., მუსლიმანური აღმოსავლეთის ამირა, სხვადასხვა პროვინციათა უმაღლესი გამგებელი, სულ სხვაა თავისი უფლებით და მოვალეობით, ვიდრე საქართველოს ქალაქების ამირა, რომელიც ყოველმხრივ ქართულ მოურავს შეესატყვისება. ასევე შეიძლება ითქვას შურტას შესახებაც. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ქართლის მთიან რაიონებში დადასტურებული შულტას (შურტას) თანამდებობა სულ სხვა ბუნების მატარებელია, ვიდრე მუსლიმანური აღმოსავლეთის ამავე სახელწოდების სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი.

მუჰთასიბის მოვალეობა (რომელიც ქართულში „გუსტასიბის" სახით შემოვიდა), როგორც მისი სამოხელეო ფუნქციების გათვალისწინება გვარწმუნებს, სავსებით შეესატყვისება ძველი ქართული სამოხელეო ინსტიტუტის „ნაცვალის" (Букв. наместник) მოვალეობას. ისე როგორც „ქალაქის ნაცვალი" საქართველოს ქალაქებში, ასევე მუჰთასიბი მაჰმადიანური აღმოსავლეთის ქალაქებში ამოწმებენ სასწორების სიზუსტეს, საქონელზე დადებულ ნიხრს, გასაყიდად შემოტანილი საქონლის სახეობას და ამ თვალსაზრისით, ქალაქში არსებული წესების დარღვევის შემთხვევაში, ასამართლებენ დამნაშავეს. მათივე მოვალეობაა ქალაქში საერთო წესრიგის დაცვაც[325]. ასე რომ, ქართული სამოხელეო წყობისათვის ადრიდანვე ცნობილ „ქალაქის ნაცვალს", ისე როგორც ქალაქის სხვა მოხელეებს, XI-XII სს. არაბული სახელწოდება შეუთვისებია. აღსანიშნავია, რომ „ნაცვალი", ისე როგორც მოურავი, ძველი ინსტიტუტია ქართულ სამო-

---

[325] Низам ал-Мульк, Сиасет-намэ, с. 47; А. К. Кремер, დასახ. ნაშრ., с. 423—426; В. В. Бартольд, დასახ. ნაშრ., გვ. 240—241.

ხელეო წყობაში, ამიტომაც იგი XII ს. საბუთებში გუსტასიბის პარალელურადაც გვხვდება. „ნაცვალი“ თამარის 1193 წ. სიგელშია მოხსენიებული[326].

საინტერესოა, რომ ქართულ დოკუმენტებში XI—XII სს. საქართველოს ქალაქების მოხელეთა შორის „მამასახლისი“ არ მოიხსენიება, რომელიც ქართული სამოხელეო წყობილებისათვის, დოკუმენტალურად, VI ს-დან მაინც არის დადასტურებული, ალბათ იმიტომ, რომ მამასახლისიც, ისე როგორც ნაცვალი, XI—XII სს. რომელიმე არაბული სახელით (რაისი? ამადი?) იყო მონათლული.

ამრიგად, ამ შემთხვევაში ჩვენ ქართული სამოხელეო ტერმინების არაბული წარმოშობის ტერმინებით შეცვლასთან, ე. ი. ტერმინოლოგიურ ნასესხობასთან გვაქვს საქმე და არა მუსლიმანური აღმოსავლეთის საქალაქო წესწყობილების საქართველოში გადმონერგვასთან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოხსენებული არაბული ტერმინების უმეტესობამ ქართულში ფეხი ვერ მოიკიდა. მაგ., ამირა, ისიც ზოგჯერ, XVII ს. დამდეგამდე მხოლოდ თბილისის გამგებლის აღსანიშნავად იხმარება. სხვა ქალაქების გამგებლებს კი, XIV—XVIII სს. საბუთებით, მოურავი ეწოდებოდა.

XII ს. დასასრულიდან ქართულ წერილობით წყაროებში სრულებით აღარ ჩანს გუსტასიბი, რაისი, ამადი და შურტა. ეს უკანასკნელი მხოლოდ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს შემორჩა. მაგრამ ეთნოგრაფიული მასალებით დადასტურებულ შურტას საქალაქო წესწყობილებასთან არაფერი აქვს საერთო. XIII—XVI სს. მტკიცედ მკვიდრდება ქართული სამოხელეო ტერმინები: მამასახლისი, ნაცვალი, ქალაქის მწერალი, ქალაქის მეჭურჭლე და სხვ. XVI ს. ქართულ საქალაქო წესწყობილებაში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაც ხდება, მაგრამ ამაზე საგანგებოდ ქვემოთ შევჩერდებით.

ქალაქის ზემოხსენებული მოხელეები — ციხისთავი, შურტა, გუსტასიბი (ნაცვალი) და სხვ., ქალაქის მოურავს (ამირას) ემორჩილებოდნენ. თვით სამეფო ქალაქები და მათი გამგებლები, მოურავები კი, XIV ს. ძეგლის, „ჭელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მეფის ვაზირს, მეჭურჭლეთუხუცესს ემორჩილებოდა[327].

ქალაქის გამგებელი მოურავი (ემირი) ინიშნებოდა მსხვილი ფეოდალების წრიდან, ხოლო ქ. თბილისის ემირთაემირს XII ს.

---

[326] С. Какабадзе, თამარ მეფის სიგელი, Изв. КИАИ, ტ. III, გვ. 116—117.

[327] ჭელმწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის გამოცემა, 1920, გვ. 8—9.

მიწურულიდან სამეფო „დარბაზში“ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. რაც შეეხება ქალაქის მოხელეთა სხვა თანამდებობებს (შურტა, გუსტასიბი, მწონავი, მებაჟე და სხვ.), ისინი მეფის მიერ კომპლექტდებოდა ქალაქის ზედაფენის წარმომადგენლებისაგან. ქალაქის დაბალი ფენების შევიწროებისა და ექსპლოატაციის თვალსაზრისით, აღნიშნული მოხელენი არ ჩამოუვარდებოდნენ მსხვილ ფეოდალებს.

ფეოდალური ქალაქის მთელი აპარატის შენახვა ქალაქის მოსახლეობის მშრომელთა დაბალ ფენას აწვა მხრებზე.

მოურავის (ან ემირის) სასარგებლოდ მოდიოდა ქალაქის მშრომელი მოსახლეობისაგან აღებული საემირო ან სამოურავო გადასახადი[328]. განსაკუთრებული გადასახადი იკრიბებოდა ციხისთავის სასარგებლოდ. ამას გარდა, ცალკეც გაიღებოდა „ციხისთავის“ გადასახადი[329], რომელიც დამოწმებულია გიორგი II-ის (1072 წ.) სიგელში. ეს გადასახადი, ჩანს, გამიზნული იყო ციხის მოვლა-პატრონობისა და შეკეთებისათვის.

შურტას შენახვაც იყო აგრეთვე ქალაქის მშრომელი მოსახლეობის მოვალეობა. გიორგი III-ის 1170 წ. სიგელში სხვათა შორის ნახსენებია გადასახადი „შურტასთვისაც“[330]. მწონავის სასარგებლოდ მიდიოდა განსაკუთრებული წილი მწონავის გადასახადიდან. მებაჟის სასარგებლოდ კი ქალაქის ბაჟის წილიდან მიდიოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს განკარგულებაში არაა მასალები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი გახდებოდა თვალის გადევნება და დაახლოებით მაინც წონისა ან ბაჟის გადასახადების ოდენობის დადგენა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობდა გუსტასიბის გადასახადიც, რომელიც ქალაქის ამ მოხელისათვის იყო დანიშნული: იყო აგრეთვე გადასახადები ამირისა და რაისისთვის, რომელთა ფუნქციები ჩვენთვის ნათელი არაა.

ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა მოსახლეობა ასრულებდა, რა თქმაუნდა, სხვა ვალდებულებებსაც როგორც ქალაქის საჭიროებისათვის, ასევე მეფესთან დამოკიდებულების თვალსაზრისითაც[331].

ქალაქის ვაჭრებისა და ხელოსნების განთავისუფლება საქალაქო გადასახადებისაგან, იშვიათი გამონაკლისის სახით, შესაძლებე-

---

328 საქართველოს სიძველენი, დამატება III ტომისათვის, გვ. 5.

329 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული დოკუმენტები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 11.

330 საქართველოს სიძველენი, დამატება III ტომისათვის, გვ. 4.

331 იხ. ისტორიული დოკუმენტები, II, გვ. 41 და სხვ.

ლი იყო მხოლოდ მეფის ბრძანებით. მეფის ბრძანებით ხდებოდა აგრეთვე შემოტანილი საქონლის ბაჟისაგან განთავისუფლება.

მეფე დავით აღმაშენებელმა თავის ანდერძში ყოველგვარი საქალაქო გადასახადებისაგან გაანთავისუფლა ქ. თბილისში არსებული შიომღვიმის მონასტრის სავაჭრო ნაგებობანი, აგრეთვე ამ მონასტრის ვაჭრების მიერ ქალაქში შემოტანილი საქონელი[332]. შთამომავალთა მიერ დავითის ანდერძის განახლება და დამტკიცება ხდებოდა. გიორგი III-ის მიერ 1170 წ. შიოღვიმის მონასტრისადმი ბოძებული სიგელით, მეფე ანთავისუფლებს გადასახადისაგან არა მარტო თბილისის ყმა-ვაჭრებს და ხელოსნებს, რომლებიც შიომღვიმის მონასტერს ეკუთვნოდნენ, არამედ ამ მონასტრის ყველა ვაჭარს და ხელოსანს მთელს სამეფოში[333].

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის ვაჭრები და ხელოსნები, რომლებიც დიდებულების მიერ იყვნენ შეწირულნი ეკლესია-მონასტრებისათვის, თავისუფლდებოდნენ თვით დიდებულების მიერ საქალაქო და საეკლესიო გადასახადებისაგან, მაგრამ მეფის ნებართვითა და ბრძანებით. მაგალითად, ქ. ჟინვანის მფლობელმა, თამარ მეფის მანდატურთუხუცესმა ჭიაბერმა შიომღვიმის მონასტერს შესწირა ქალაქის რამდენიმე ვაჭარი და გაანთავისუფლა ისინი ყოველგვარი გადასახადისაგან, რის შემდეგაც მათ ევალებოდათ მონასტრის წინაშე შეესრულებინათ გარკვეული ვალდებულებანი. მაგრამ ყველაფერი ეს, დოკუმენტების მიხედვით, მოხდა მეფის თანხმობითა და ნებართვით. შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებული იმუნიტეტი დადასტურებულ იქნა ქ. ჟინვანის შემდეგი მფლობელის მიერ[334].

მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მონასტრის ყმა-ვაჭრები და ხელოსნები მთლიანად თავისუფლდებოდნენ ბატონყმური ვალდებულებებისაგან. პირიქით, ისინი ასრულებდნენ მთელ რიგ მძიმე საქმეს მონასტრების, ეკლესიისა და მათი წარმომადგენლების სასარგებლოდ. ამას გარდა, სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლები, თავიანთი შემოსავლის გაზრდის მიზნით, ყმა-ვაჭრებისა და ხელოსნების ვალდებულებათა ოდენობას ზრდიდნენ, რაც ხელს უწყობდა ქალაქის დაბალი ფენების მღელვარების ზრდას.

---

332. თ. ჟორდანია, ისტორიული დოკუმენტები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 16.

333. საქართველოს სიძველენი, დამატება III ტომისათვის, გვ. 5.

334 მატიანე ქართლისაჲ, A, 186, Всеобщая история Вардана Великого, пер, Эмина, М., 1861, с. 147.

ზემოაღნიშნულიდან ცხადია, თუ როგორ იყო მოწყობილი საქალაქო მმართველობა, რომელიც ძირითადად სამეფო მოხელეების ხელთ იყო. მაგრამ ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამეფო მოხელეებთან ერთად ფეოდალური საქართველოს ქალაქებში არსებობდნენ მოქალაქეთა ხელისუფლების წარმომადგენლებიც. X—XI სს. (შეიძლება უფრო ადრეც) საქართველოს ზოგიერთ ქალაქში ქალაქის მოსახლეობის შეძლებული ნაწილის წარმომადგენლები იყვნენ „ქალაქის უხუცესები“ ანდა „ქალაქის ბერები“. ისტორიულ ძეგლებში „ქალაქის უხუცესები“ გვხვდება მხოლოდ თბილისსა და ანისში. „ქალაქის ბერების“ ხელისუფლება თბილისში არსებობდა იმ დროსაც, როდესაც ქალაქი არაბთა ხელთ იყო.

თბილისის ემირის შემდეგ „ბერები“ იყვნენ ყველაზე გავლენიანნი. ემირის ხელისუფლების დროებით თუ სრულად შეწყვეტისას, მათ შეეძლოთ ქალაქი გადაეცათ თავიანთი სურვილის მიხედვით ვინმე სხვისთვის. როგორც ზემოთ იყო მითითებული, თბილისის ემირის, ჯაფარის გარდაცვალების შემდეგ „თბილისის უხუცესებმა“ („ტფილელნი ბერნი“) რამდენჯერმე მიიწვიეს მეფე ბაგრატ IV და ქალაქი შესთავაზეს.

როგორც ჩანს, „თბილელნი ბერნი“, როდესაც აუცილებლობა მოითხოვს, ემირის არყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილნი არიან ქალაქი სხვას გადასცენ, ამასთანავე ისინი ითვლებიან ქალაქის სრულუფლებიან განმგებლებად. ისინი მოქმედებენ მოსახლეობის შეძლებული ნაწილის სახელით. როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანდა, „თბილისის ბერები“ უფლებამოსილები არიან ქალაქის მარჯვენა სანაპიროზე, ე. ი. თვით ქალაქში, იქ, სადაც იმყოფება ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა ფენა.

თუ თბილისის ბერებს შეეძლოთ გადაეცათ ქალაქი სხვისთვის, უეჭველია, რომ შესაფერის ვითარებაში შეეძლოთ თვითონ დაეკავებინათ იგი. თბილისის ისტორიაში იყო ისეთი პერიოდი (XI—XII სს. მიჯნა), როდესაც იგი 40 წლის განმავლობაში ქალაქის ზედაფენის — „თბილისის ბერების“ ხელთ იყო.

თბილისის უკანასკნელი ემირის, ჯაფარიანთა დინასტიის წარმომადგენლის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ქალაქის დაუფლება ვერ შეძლო ვერც ერთმა მუსლიმანურმა განმგებელმა და ვერც ქართველმა მეფემ (გიორგი II-ის მეფობის დასასრულსა და დავით აღმაშენებლის მეფობის დასაწყისში), ქალაქს მართავდა თბილისის მოქალაქეების მიერ არჩეული პირი. არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი ამხსთან დაკავშირებით წერს: თბილისი... დაახლოებით 40 წელი ხალხის ხელში იყო. თბილისის ხელმწიფენი ჯაფარიდების გვარისა-

ნი იყვნენ, რომლებიც 200 წელი ბატონობდნენ, შემდეგ ამოწყდნენ და ქალაქის მმართველობა ხალხის ხელთ გადავიდა. ყოველთვიურად ხალხიდან ერთი განაგებდა და ასე გრძელდებოდა 40 წელი[335].

ზედმეტია ხაზგასმა იმისა, რომ ალ-ფარიკის გაგებით „ხალხი"— წარმოდგენილია ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ გავლენიანი ნაწილის სახით, რომელმაც შეძლო ხელთ აეღო ქალაქის მმართველობა.

მაგრამ მოქალაქეთა ზედაფენის გამგებლობა ქალაქში დროებითი მოვლენა იყო. დავით აღმაშენებელმა, როგორც კი დაიკავა ქალაქი თბილისი, დაუქვემდებარა იგი თავის მოხელეებს და „თბილისის ბერების" ხელისუფლება შეზღუდა. ალბათ ამით აიხსნება ის, რომ თბილისის განთავისუფლების შემდეგ „თბილისის ბერები" წყაროებში უკვე აღარ იხსენიებიან"[336].

აღსანიშნავია, რომ როსტომ გურიელის XVI ს. ერთ სიგელში მოწმეთა შორის მოხსენებულია „ქალაქთ უხუცესი („старейшина городов») გორჯასპი მახაძე"[337]. საინტერესოა, რომ დასავლეთ საქართველოში, სადაც ძველი ქართული საქალაქო სამოხელეო წყობა უცხოური გავლენისაგან შედარებით თავისუფალი იყო, შემოინახა X—XI სს. საქართველოს საქალაქო წყობილებისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტის სახელწოდება. მაგრამ, ცხადია, გურიის მთავრის „ქალაქთ უხუცესი" საესებით სხვა ხელისუფალია — იგი საერთოდ გურიის ვაჭრობისა და საბაჟოების გამგებელი, ზედამხედველი უნდა იყოს და არა რომელიმე ცალკეული ქალაქის, თუ, მით უფრო, „ქალაქების" მმართველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით შეიძლება შემდეგი მოკლე დასკვნები გავაკეთოთ.

1. საქართველოში ქალაქების წარმოშობა სოფლის მეურნეო-

---

[335] ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, არაბი ისტორიკოსი XII საუკუნის თბილისის შესახებ. ენიმკის მოამბე, XIII, 1940, გვ. 139—140.

[336] საქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლები — ქალაქის ბერები თბილისის გარდა აღმოსავლეთის სხვა ქალაქებშიც არსებობდნენ, მაგალითად, ანისში. ნ. მარის აზრით, ანისის „ბერები" იდგნენ საქალაქო თვითმმართველობის სათავეში და ქალაქის მასშტაბით სარგებლობდნენ საკანონმდებლო სამართლით (იხ. „ანისი", გვ. 35). საეჭვოა ქ. ანისში დამოუკიდებელი საქალაქო თვითმმართველობის ანდა ბერების საკანონმდებლო სამართლის არსებობა იმ დროს, როდესაც ქ. ანისს მართავდნენ სამეფო ხელისუფლების ანდა ქალაქის მუსლიმანი განმგებლების მიერ დანიშნული პირები (იხ. Всеобщая история Вардана Великого, пер. Эмина, М., 1861, с. 147).

[337] Д. Б а к р а д з е, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, с. 283.

ბისაგან ხელოსნური წარმოების გამოყოფის, გვაროვნული წყობილების რღვევისა და კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს უკავშირდება. მონათმფლობელური საქართველოს საქალაქო ცხოვრებისათვის უმთავრესად ციხე-ქალაქები იყო დამახასიათებელი.

2. IV—V სს. ფეოდალიზაციის პროცესის გაძლიერებამ, VI ს. დასასრულისათვის კი ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებამ განაპირობა სოფლის მეურნეობისაგან ხელოსნური წარმოების გამოყოფის პროცესის კიდევ უფრო გაძლიერება, ამასთან დაკავშირებით საქალაქო ცხოვრების განვითარება და არაერთი ახალი ფეოდალური ქალაქის წარმოშობა.

*

* *

ქალაქის მოსახლეობის ვაჭარ-ხელოსანთა ფენისა და ფეოდალური არისტოკრატიის კლასობრივი ანტაგონიზმი კიდევ უფრო მწვავდება XII—XIV სს. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ამ ორ ფენას შორის დაპირისპირება მკვეთრად ასახულია ისეთ ლიტერატურულ ძეგლში, როგორიც რუსთველის „ვეფხისტყაოსანია“.

რუსთველის პოემის მთავარი გმირები ფეოდალური საზოგადოების მაღალ ფენას ეკუთვნიან, რომელთაც ავტორი, როგორც თვით ამ ფენის წევრი, აკუთვნებს საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. მათთან ერთად რუსთაველი თავის პოემაში ასახავს ფეოდალური ქვეყნის მეორე სამყაროსაც, რომელიც არსებითად განსხვავდება პირველისაგან და უპირისპირდება მას — ეს ვაჭართა სამყაროა. თუკი, რუსთაველის სიტყვით, ფეოდალური არისტოკრატიისათვის დამახასიათებელია ჭკუა, გმირობა, კეთილსინდისიერება, თავდადება, რაინდობა, ვაჭართა საქმიანობა სხვა არა არის რა, თუ არა „მსხვილ მოგებათა“ მიღება:

„დიდ-ვაჭარნი სარგებელსა ამის მეტსა ვერ ჰპოვებენ:
იყიდიან, გაყიდიან, მოიგებენ, წააგებენ;
გლახა თვე ერთ გამდიდრდების, სავაჭროთა ყოველგნით ჰკრებენ;
უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიდებენ“[338].

---

[338] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, სტროფი 1069.

ვაჭარი, თუნდაც დიდვაჭარი, რუსთაველის სიტყვით „ცქაფი, უწრფელი მსწრომელია“[339], მას არ გააჩნია ის მაღალი ადამიანური თვისებები, რაც ფეოდალური არისტოკრატიისათვის ასე დამახასიათებელია. ასე რომ, ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობა, მათ შორის მსხვილი ვაჭრებიც, ფეოდალური არისტოკრატიის მიერ არ იყო მიჩნეული საზოგადოების ღირსეულ, ნამდვილ წევრად.

ფეოდალური არისტოკრატიის ამგვარი დამოკიდებულება მოქალაქეებისადმი და ამას გარდა ქალაქის მოსახლეობის ჩვენ მიერ ზემოგანხილული დიფერენციაციაც, ფეოდალური არისტოკრატიის საუკუნოვანი ბრძოლა ქალაქების ხელში ჩასაგდებად, მეფის მიერ დანიშნულ მოხელეთა გაბატონება ქალაქებში, მათი გასტუმრების წესი, სხვადასხვა გამოსაღებთა სიმძიმე და სხვა, ქმნიდა პირობებს კლასობრივი ანტაგონიზმის კიდევ უფრო გამწვავებისათვის.

საქართველოს ქალაქებში ბრძოლას ფეოდალთა ძალმომრეობის წინააღმდეგ აწარმოებდა ქალაქის მოსახლეობის როგორც დაბალი, ასევე ზედაფენაც — მსხვილი ვაჭრები და ფინანსისტები. ამიტომაც ანტიფეოდალური გამოსვლები საქართველოს ქალაქებში სხვადასხვა სახით ვლინდებოდა: ზედაფენა სათანადო უფლებების მოპოვებისა და გაფართოებისათვის იბრძოდა, ქალაქის ექსპლოატირებული მოსახლეობა კი ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

საქართველოს ფეოდალური ქალაქების მოსახლეობის ზედაფენამ უფლებათა მოპოვებისათვის ბრძოლა განსაკუთრებით მას შემდეგ დაიწყო, რაც დავით IV-მ მათი წარმომადგენლების — „ქალაქის ბერების“ ხელისუფლება საგრძნობლად შეზღუდა. ბრძოლამ აშკარა და მასიური ხასიათი ქ. თბილისში თამარის გამეფების დროიდან (1184 წ.) მიიღო. მოქალაქეთა ზედაფენის ამგვარი მისწრაფება თავისი ინტერესებისათვის გამოიყენა მათთან როგორც თანამდებობით, ასევე საქმიანობითაც დაახლოებულმა, ჩვენ მიერ ზემოდასახელებულმა სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესმა (гл. казначей) ყუთლუ-არსლანმა. თვით ყუთლუ-არსლანიც, როგორც ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, სიმდიდრის წყალობით იყო ამგვარ თანამდებობაზე აღზევებული და მის მომხრეთა წრეშიც (დასშიც) უმთავრესად სწორედ „სიმდიდრით აღზევებულნი“ ანუ მსხვილი ვაჭრები და ფინანსისტები შედიოდნენ[341]. „სიმდიდრით აღზევებულთა“ დასმა, ყუთლუ-არ-

---

339 იქვე, სტროფი, 1167.

340 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, თბ., 1929, გვ. 155—186. შდრ. ა. კ ი კ ვ ი ძ ე, მე-12 საუკუნის საქართველო, თსუ-ს

სლანის მეთაურობით, მეფის ხელისუფლებისათვის საღმასრულებლო უფლების დატოვება და საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილი ახალი დარბაზის (საბჭო) — რომელშიც „სიმდიდრით აღზევებულნიც“ მიიღებდნენ მონაწილეობას — დაარსება მოითხოვა. ყუთლუ-არსლანის და მისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მომხრეების მოთხოვნა კატეგორიული იყო: მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი იარაღით იმუქრებოდნენ და სამეფო სასახლის (თბილისში, ისანში) ასაღებად მომზადებული იყვნენ[341].

მოქალაქეთა ზედაფენისა და მათი მომხრეების ეს შეიარაღებული გამოსვლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა, ყუთლუ-არსლანი დააპატიმრეს. მაგრამ ამ მოძრაობას უკვალოდ არ ჩაუვლია: საგრძნობლად გაიზარდა არსებული სამეფო დარბაზის უფლებები, სადაც ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა გარდა, როგორც მასალებიდან ჩანს, ამიერიდან ქალაქის დიდი მოხელეები (მაგ., თბილისის ამირა) და მსხვილი ვაჭრებიც იღებდნენ მონაწილეობას (შდრ. დიდვაჭარ ზანქან ზორბაბელის მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში). ყუთლუ-არსლანის „სიმდიდრით აღზევებული“ დასის გამოსვლას, ცხადია, არავითარი შედეგი არ გამოუღია ქალაქის ძირითადი მწარმოებელი ფართო მოსახლეობის უფლებათა გაფართოების თვალსაზრისით; ის ისევ უუფლებო ფენად რჩებოდა. მას უხდებოდა ბრძოლა არა მარტო ამ მხრივ, არამედ თავისი ეკონომიკური ინტერესების დასაცავად, ცალკეულ ფეოდალთა და დიდ მოხელეთა წინააღმდეგაც, რომელნიც სამეფო ხელისუფლებასთან ერთად, კირაკოზ განძაკელის სიტყვით, დაუნდობლად ძარცვავდნენ ქალაქის მოსახლეობის დაბალ ფენებს[342]. ქალაქის მოსახლეობის მწარმოებელ ფენას ექსპლუატატორებად ევლინებოდნენ საეკლესიო ფეოდალებიც, რომელნიც, თვით XI ს. საეკლესიო მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის სიტყვით, მხოლოდ პირადი გამდიდრებისათვის ზრუნავდნენ და რომელთაც საამისო წყაროდ XI ს. საქართველოში ქალაქებისა და სოფლების დაბალი მოსახლეობა გაეხადათ[343].

შრომები, IX, 1939, გვ. 167; И. П. Петрушевский, Городская знать..., Сов. Вост. V, с. 97.

[341] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 77.

[342] См. История Монголов по армянским источникам, в. II, Спб, 1874, с. 70, 78—79.

[343] ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისაჲ, „ათონის კრებული“, თბ., 1901, გვ. 323.

საერო და საეკლესიო ფეოდალების გაზრდილი მოთხოვნილებები და მასთან დაკავშირებით ექსპლოატაციის ზრდა იწვევდა ქალაქების მოსახლეობის დაბალი ფენის ერთიანი ფრონტით გამოსვლას მათ წინააღმდეგ.

როგორც საქართველოს კათალიკოსის ეპიფანეს 1218 წ. ბრძანებიდან ჩანს, ქ. ანისის ქალკედონური ეკლესიის მსახურთ სხვადასხვა საეკლესიო გამოსაღებთა რაოდენობა თვითნებურად გაუზრდიათ, ისე რომ, გვირგვინის კურთხევისა და მიცვალებულის დამარხვისათვის მოქალაქეებისაგან 100 დრამს იღებდნენ. ამას გარდა, იქ, სადაც მღვდელს წირვისათვის ტყავის მხოლოდ ნაჭერი („თითო შოლტი") ერგებოდა, მთელი ტყავი მიჰქონდათ. ანელი ხუცები მოქალაქეებს დიდი რაოდენობით ართმევდნენ თურმე სხვა გამოსაღებებსაც; ყოველივე ამას ანისის მართლმადიდებლური მოსახლეობა ისე აუღელვებია, რომ ზოგ ეკლესიაში მრევლმა სიარული სავსებით შეწყვიტა; ქალაქის მოსახლეობის ბრძოლამ საეკლესიო ხელისუფლების წინააღმდეგ იმდენად მასიური და საშიში სახე მიიღო, რომ საქართველოს კათალიკოსი იძულებული გამხდარა საქმეში თვით ჩარეულიყო და სათანადო ბრძანებით, აეძულებინა ანისის საეკლესიო ხელისუფალნი ამგვარ თვითნებობაზე ხელი აეღოთ. ქალაქის მოსახლეობის მღელვარებამ აიძულა კათალიკოსი გვირგვინის კურთხევისა და მიცვალებულის დამარხვისათვის ანელ ხუცესის მიერ დაწესებული გამოსაღების, 100 დრამის მაგიერ ამიერიდან 33 დრამა დაეწესებინა და ასევე საგრძნობლად შეემცირებინა სხვა გამოსაღებებიც[344].

მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონია ქ. დმანისშიც. როგორც დმანისის ერთ-ერთი ეკლესიის XIII ს. დამდეგის წარწერიდან ჩანს, დმანისის ეპისკოპოსი ქალაქის მოსახლეობის მღელვარების გამო იძულებული გამხდარა შეემცირებია ის მძიმე გადასახადები, რასაც დმანელი საეკლესიო პირები ართმევდნენ ამა თუ იმ მომსახურეობისათვის[345].

ანისი და დმანისი გამონაკლისი როდი იყო. ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით, ეპიფანე კათალიკოსის 1218 წ. განკარგულებას საქართველოს სხვა სამრევლოებშიც საეკლესიო მისაცმე-

---

[344] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII სს., თბ., 1934, გვ. 9—21; Н. Я. М а р р, Надпись Епифания Каталикоса Грузии, Изв. Ак. Наук, 1910, № 17, с. 1433—1442.

[345] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 389.

ლის ოდენობის შემცირება მოჰყოლია[346], რაც, ცხადია, ქალაქისა და სოფლის ღარიბი მოსახლეობის ბრძოლით იყო მოპოვებული.

კლასობრივი ბრძოლა მოქალაქეთა (прожан) და ფეოდალურ არისტოკრატიას შორის ზოგ შემთხვევაში რელიგიური კონფლიქტების სამოსელში ეხვეოდა. საქართველოს ქალაქებში, განსაკუთრებით XI საუკუნიდან, საკმაოდ მომრავლდა სომხური მოსახლეობა. საქართველოს მთავრობა, როგორც სომხების, ასევე სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა მიმართ, დავით IV დროიდან მოკიდებული, სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის პოლიტიკას მისდევდა; მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ქართველ, ასევე უცხო ისტორიკოსებს აღნიშნული აქვთ ქართველ - სომეხთა რელიგიური კონფლიქტების შემთხვევები, რომელიც ზოგჯერ მასიური გამოსვლის სახესაც იღებდა. ამგვარ გამოსვლებს თავისი სოციალური და ეკონომიკური, კლასობრივი საფუძვლები გააჩნდა; ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ცნობილი სირიელი ავტორის გრიგოლ ბარ ჰებრაის ანუ აბულ-ფარაჯის ცნობა, რომლის მიხედვით, 1197 წ. მოხდა შეტაკება ქართველებსა და სომხებს შორის, ე. წ. „აღდგომის“ თაობაზე, ბარ ჰებრაის მიხედვით ქართველებმა დაწვეს სომხების ეკლესია, სადაც აღმოჩნდა დაღუპული 4 თუ 40 სომეხი. და როდესაც ამის შესახებ ახლო-მახლო მცხოვრებმა სომხებმა გაიგეს, შეიკრიბნენ 40000 სული და განზრახული ჰქონდათ ქართველებისათვის ომი გამოეცხადებინათ. ქართველებმა შეძლეს სისხლის ღვრის თავიდან აცილება, სომხებს გადაუხადეს 100000 დინარი ეკლესიის ასაშენებლად და ათასათასი დინარი თითოეული დაღუპულის სისხლის სანაცვლოდ“[347].

ამ მოძრაობას ადგილი ჰქონია თბილისში. ბარ ჰებრაის მიერ მოხსენებულ ქართველებს ქვეშ ქართველი დიდებულები, ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები, ხოლო აჯანყებულ სომხებს ქვეშ ძირითადად თბილისის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობა და მისი მოკავშირე, თბილისის მიდამოებში მოსახლე სომხური სარწმუნოების მიმდევარი გლეხობა ივარაუდება. ამ მოძრაობის საფუძველი კი, ცხადია, ფეოდალური არისტოკრატიისა და ქალაქის მოსახლეობის ინტერესთა კლასობრივ დაპირისპირებაში უნდა ვეძიოთ; რელიგიურ მომენტს შეიძლებოდა მხოლოდ ერთგვარი საბაბის როლი ეთამაშა. ბრძოლას ფეოდალურ არისტოკრატიასა და ქალაქის

---

[346] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში, გვ. 21.

[347] Л. Меликсет-беков, О междоусобице в Тифлисе в 1197, Изв. КИАИ, т. III, 1925, с. 55.

ვაჭრულ-ხელოსნურ მოსახლეობას შორის ფართო და შეიარაღებული გამოსვლის ხასიათი მიუღია. აღსანიშნავია, რომ თბილისის ვაჭარ-ხელოსნები მარტო არ ყოფილან, მათ მოკავშირეებად ქალაქის მახლობელი სოფლების ექსპლოატირებული მოსახლეობაც გაუხდიათ. დამახასიათებელია, რომ მსგავს მასიურ მოძრაობას თბილისში, ბარ ჰებრაის სიტყვით, ადგილი ჰქონია აგრეთვე 95 წ. ადრე, ე. ი. 1102 წელსაც.

ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენა, უშუალო მწარმოებელი იბრძოდა არა მარტო ფეოდალური არისტოკრატიის, არამედ მოქალაქეთა პრივილეგირებული ფენის — დიდ ვაჭართა და ფინანსისტთა ძალმომრეობის წინააღმდეგაც, მაგრამ, X—XIII სს. შესახებ საამისო კონკრეტული მასალა გვაკლია, ოფიციალური ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფია ამ საკითხზე დუმს.

ამრიგად, კლასობრივი ბრძოლა საქართველოს ფეოდალურ ქალაქებში განსაკუთრებით მწვავე ხასიათს იღებს XII—XIII სს. ქალაქის მოსახლეობის ზედაფენა აწარმოებს ბრძოლას თავისი უფლებების გაფართოებისათვის და XIII ს. დამდეგს ამ მხრივ ერთგვარ წარმატებასაც აღწევს. ქალაქის მოსახლეობის დაბალ ფენებს ორმხრივ უხდებათ ბრძოლა, როგორც საერო და სასულიერო ფეოდალების, ასევე მოქალაქეთა ზედაფენის ძალმომრეობის წინააღმდეგაც. კლასობრივი ანტაგონიზმი ექსპლოატატორთა მიმართ მწარმოებელი ფენის მასიური და ზოგჯერ კიდევ შეიარაღებულ გამოსვლაში ვლინდებოდა.

თავი II

საქართველოს ქალაქები XVII—XVIII საუკუნეებში

1. საქართველოს მდგომარეობა XVII—XVIII საუკუნეებში

XVII—XVIII სს. საქართველოს ისტორია პოლიტიკურად დაშლილი ქვეყნის, ცალკეული სამეფოებისა და სამთავროების ისტორიაა.

თუმცა გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სხვადასხვა სამეფოებსა და სამთავროებში მდგომარეობა ძირითადად ერთნაირი იყო, მაგრამ ცალკეული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მოვლენები ამა თუ იმ სამეფოში მაინც სხვადასხვაგვარად ვითარდებოდა. მაგალითად, XVI ს. მიწურულსა და XVII ს. დამდეგს კახეთი თავის ეკონომიკური მდგომარეობით, საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებთან შედარებით, დაწინაურებული იყო.

კახეთის მეფე, მოქნილი საგარეო პოლიტიკის წყალობით, ახერხებდა თავისი ქვეყნისათვის შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების პირობები შეექმნა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. კახეთი, ისე როგორც საერთოდ საქართველო, ორი ძლიერი აგრესორი ქვეყნის ინტერესებს ქვეშ იყო მოქცეული და როგორც ოსმალეთისათვის, ასევე ირანისთვისაც სავსებით მიუღებელი ჩანდა საგარეო ურთიერთობაში კახეთის მეფის მიერ აღებული გეზი — ერთდროულად სამი ხელმწიფის — მოსკოვის, ირანისა და ოსმალეთის ყმობა. ეს მით უფრო მოუთმენელი იყო შაჰ-აბასისათვის, რომელსაც თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინების საქმეში ამიერკავკასიის და კერძოდ, საქართველოს საკითხის საბოლოოდ გარკვევა ერთ-ერთ მთავარ მომენტად მიაჩნდა. შაჰ-აბასმა ჯერ კიდევ 1605 წ. სცადა კახეთში მის კარზე გაზრდილი, გამაჰმადიანებული კონსტანტინეს გამეფებით, რომელმაც შაჰ-აბასის დავალებით, რუსეთის ხელმწიფის ელჩების თვალწინ დახოცა საკუთარი მამა და ძმა, კახეთი საბოლოოდ მორჩილებაში

მოეყვანა. მაგრამ კახეთის აჯანყებამ, თვით კონსტანტინეს იზოლირებამ კახ ფეოდალთა მიერ შაჰ-აბასი აიძულეს ამჟამად თავის განზრახვაზე ხელი აეღო და კახეთის სამეფო ტახტზე ქრისტიანი თეიმურაზ I დაემტკიცებინა. 1606 წ. ქართლის სამეფო ტახტზე კი, მისივე თანხმობით, ახალგაზრდა ლუარსაბ II იქნა აყვანილი. შაჰ-აბასი ქართლ-კახეთის საქმეს ამით გადაწყვეტილად არ თვლიდა და უფრო სხვა ღონისძიებების გატარებისათვის ემზადებოდა.

შაჰ-აბასის ორგზის ლაშქრობა ქართლსა და კახეთში — 1614 წ. და 1616 წ. — საქართველოს ამ ორი სამეფოს საბოლოო მორჩილებაში მოყვანას ისახავდა მიზნად. თემურ-ლენგის ლაშქრობების შემდეგ საქართველოს ასეთი მძიმე და ამაოხრებელი ლაშქრობა, შეიძლება ითქვას, არ განუცდია. კახეთმა „მთელი თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაჰკარგა. ასი ათასამდე კაცი მტერს შეაკვდა, ამდენივე ტყვედ წაიყვანეს ყიზილბაშებმა. დაღესტნელმა ყაჩაღებმაც დრო იხელთეს და ხელი მოითბეს. მტერმა დასწვა, დაანგრია და გაანადგურა, რასაც კი მისწვდა. შაჰ-აბასის საგანგებო ბრძანებით არღვევდნენ სასახლეებს, ციხეებს, ეკლესია-მონასტრებს, კაფავდნენ ზვრებსა და ვენახებს... ნანგრევებად იქცა ქალაქები"[1]. არანაკლებ დაზიანდა ქართლიც. დიდიხნით ცხოვრება შეწყდა ქართლისა და კახეთის შედარებით აყვავებულ კუთხეებში. ქართლი და კახეთი შაჰ-აბასმა სახანოებად აქცია. დღის წესრიგში დადგა ქართველობის სავსებით მოსპობის, გადაშენების საკითხი, მაგრამ 1623 წ. მარტყოფისა და 1624 წ. მარაბდის ომებმა ქართველობა იხსნა გადაშენებისაგან, შაჰ-აბასის მძიმე განაჩენისაგან.

შაჰ-აბასის გამანადგურებელმა ლაშქრობებმა მძიმე კვალი დაამჩნია ქართლ-კახეთის ეკონომიკურ მდგომარეობას. სოფლის მეურნეობის ძირითადი წამყვანი დარგების (მევენახეობა, მეაბრეშუმეობა) განადგურებამ, ხელოსნური წარმოების შესუსტებამ დასცა კახეთის ქალაქების მნიშვნელობა და კიდევ უფრო შეამცირა ქართლის ქალაქების როლი. დამახასიათებელია, რომ რუსი ელჩების სიტყვით, კახელებმა მხოლოდ XVII ს. 40-იანი წლებიდან, როცა კახეთის მეფე შაჰთან „მორიგდა", ე. ი. როცა ასე თუ ისე მშვიდობიანი ცხოვრების პირობები შეიქმნა, ხელახლა მიჰყვეს ხელი სოფლის მეურნეობისა და ხელოსნური წარმოების ცალკეული დარგების აღდგენას[2]. შაჰ-აბასმა კახეთის ფეოდალური ქალაქების არა

---

[1] საქართველოს ისტორია, ნ. 1, გვ. 335.

[2] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, издал М. Полиевктов, Тб., 1937, с. 426.

მარტო ეკონომიკური საფუძვლები მოსპო, არამედ თვით ქალაქებიც საფუძვლიანად დაანგრია. ერთ დროს მჭიდროდ დასახლებული, მშვენივრად ნაგები ზაგემი, მისი სხვადასხვა ნაგებობანი, დუქნები და სხვა, რუსი ელჩის თ. ვოლკონსკის სიტყვით, XVII ს. 40-იან წლებისათვის „ცარიელი იყო"[3]. რუსი ელჩების 1615 წ. ერთ ცნობაში ნათქვამია, რომ შაჰ-აბასმა თავისი ლაშქარი გააგზავნა საქართველოში და დალაშქრა იგი, ქართველთა მეფე თეიმურაზს ზაგემი წაართვა, ქართველები წაასხა, ზაგემში ყველანი ამოხოცა[4]. ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია, თუ რატომ იყო ერთ დროს მნიშვნელოვანი ქალაქი ზაგემი XVII ს. 40-იანი წლებისათვის მხოლოდ არცთუ ისე დიდი ქალაქი[5]. ასევე განადგურებულ იქნა კახეთის მეორე მნიშვნელოვანი ქალაქი გრემიც. გრემის სამეფო სასახლისა და სხვა ნაგებობათა განადგურების შესახებ პირდაპირ მიუთითებენ რუსი ელჩები[6]. გრემიც, ისე როგორც ზაგემი, თითქმის დაცარიელდა; მისი ნაგებობანი XVII ს. შუა წლებისათვის ძირითადად ნადირთა სადგომად იყო ქცეული. XVII ს. ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: როსტომ მეფე „აიყარა და ორს დღესზედ გრემს მივიდა, იქ მრავალი კარგად ნაშენები სასახლენი დაქცეულ-დანგრეული ვნახეთ, უკარო და უჭერო, ნადირთ სადგომ მქნილნი"[7]. ვახუშტის სიტყვით, შაჰ-აბასის მიერ დანგრეული ქალაქი შემდგომ ვეღარ აღმდგარა; გრემი დაბად იქცა: „ოდეს მოაოჯრა შაჰაბაზ, მიერით არს დაბა და არღარა ქალაქი"[8]. გიულდენშტედტის სიტყვით კი, ოდესღაც ვრცელი ქალაქ გრემიდან XVIII ს. 70-იანი წლებისათვის დარჩენილი იყო მხოლოდ 5 ეკლესია[9].

შაჰ-აბასის ლაშქრობათა შედეგი ისე მძიმე იყო, რომ ქვეყანა დიდხანს წელში ვერ გაიმართა. XVII ს. 30—40-იან წლებში კახეთის მნიშვნელოვანი ადგილები გავერანდა და ტყედ იქცა. საამისო ცნობებს რუსი ელჩებიც იძლევიან[10]. ყოველივე ამის შედეგად კახეთში თითქმის არც ერთი ქალაქი არ ჩანდა. ამიტომაც სინამდვი-

---

[3] იქვე, გვ. 386.

[4] იქვე, გვ. 30.

[5] იქვე, გვ. 422.

[6] იქვე.

[7] ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია გვ. 261.

[8] ვახუშტი, აღწერა, გვ. 99—100.

[9] Dr. I. A. Guldenstädt, Reisen nach Georgien und Imerethi, Berlin, 1815, გვ. 96; შდრ. გვ. 100. რუსული თარგმანი: И. А. Гюльденштедт, Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, Спб, 1809, с. 219, 224.

[10] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с. 331.

ლის ერთგვარ ანარეკლად შეიძლება მივიჩნიოთ რუსი ელჩების თავისთავად გაზვიადებული ცნობა იმის შესახებ, თითქოს ქართულ მიწაზე ქალაქები არ არის, ვაჭრები არ არიან, ისინი შაჰის ქალაქიდან — თბილისიდან ჩამოდიან[11].

ამრიგად, XVII ს. პირველ მეოთხედში კახეთში, გარეშე ძალის შემწეობით, საქალაქო ცხოვრება დაქვეითების გზას დაადგა. ახლა იგი თავისი მდგომარეობით არათუ გაუთანაბრდა საქართველოს სხვა კუთხეებს, არამედ შაჰ-აბასის გამანადგურებელ ლაშქრობათა შედეგად, კიდევ უფრო დაზიანდა. ასე რომ, XVII ს. პირველ ორ მეოთხედში აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოები ეკონომიკური დეგრადაციის გზაზე იყო შემდგარი. მსგავსი მოვლენები კიდევ უფრო მძაფრ ხასიათს იღებდა დასავლეთ საქართველოში. იმერეთის სამეფოში ეკონომიკური საფუძვლების მოშლისა გამო ქვეყნის ცალკეულ სამთავროებად დანაწილების პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება. ფეოდალური სამთავროები თანდათან ეყოფა სამეფოს... ბატონდება ფეოდალური კარჩაკეტილობა. ქვეყნის დანაწილება თითქმის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად, ისედაც დასუსტებული ძალების დაქსაქსვა კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევდა თურქ დამპყრობლებს იმერეთის სამეფოზე თავიანთი ბატონობა და გავლენა განეხორციელებინათ.

XVII ს. დამდეგიდანვე დასავლეთ საქართველოს სამთავროები (სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა) და შემდეგ თვით იმერეთის სამეფოც ყოველწლიურ ხარკს უხდიან ოსმალებს: „ოსმალთა გაბატონებას თვით ფეოდალები უწყობდნენ ხელს. მე-17 საუკუნის სიგრძეზე ოსმალთა ჯარი არაერთხელ შემოსულა დასავლეთ საქართველოში მთავრების ან სხვა თავადების ხელისშეწყობით. მეზობლის მიერ მომძლავრებული მთავრის ან თავადის მოწვევით თურქები გადმოდიოდნენ დასავლეთ საქართველოში და საშინელი აოხრება-დარბევით „წესრიგს აღადგენდნენ ხოლმე“[12].

XVII ს. მთელ სიგრძეზე დასავლეთ საქართველოში გაბატონებული იყო ფეოდალური წყობილების ყველაზე მახინჯი სახე — ტყვეებით ვაჭრობა, რომელიც კიდევ უფრო ანადგურებდა მწარმოებელ კლასს. ყოველივე ამის შედეგად დასავლეთ საქართველოში თანდათან მოიშალა მეურნეობა, განადგურდა ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობა, ეცემა საქალაქო ცხოვრება, უკიდურესობამდე უძლურდება სამეფო ხელისუფლება. გურიის, სამეგრელოსა და სხვ.

---

[11] იქვე, გვ. 332, შდრ. მსგავსი ცნობა, «Кавказ», № 41. 1867 წ.

[12] ხაქართველოს ისტორია, I. გვ. 352.

მთავრები, იმერეთისა და ქართლის სამეფოს უფლისწულები გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებენ იმერეთის სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად. სამეფოს მოხელეები ითვისებენ უმაღლეს ხელისუფლებას. ქვეყანა ანარქიამ მოიცვა. გაბატონდა ნატურალური, კარჩაკეტილი მეურნეობა. დამახასიათებელია, რომ თვით სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის (1611—1657) მიერ რუსეთის სამეფო კარზე წარვლენილი ელჩის სიტყვიდან ჩანდა, რომ მათ ფული არა აქვთ და ვაჭრობენ ყოველგვარი საქონლით, რომელიც მათ გააჩნიათ, საქონელს ცვლიან[13]. ლევან დადიანის გამთავრებამდე კიდევ, მისივე ელჩის სიტყვით, «А торгу-де у прежних дадианских царей ни скем не бывало»[14]. მისიონერი ლუდოვიკო გრანჯერიო 1615 წ. სამეგრელოდან რომში იწერებოდა: „პირველად მოგვაწოდონ ის ნივთები, რომლებიც აქ (სამეგრელოში) ფულის ადგილას გადის, რადგან აქ ფულს არ ხმარობენო“[15]. ლევან II დადიანის მიერ ჩატარებული ღონისძიებები, რომელზედაც ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ, დასავლეთ საქართველოს საერთო მდგომარეობას დიდად არ ცვლიდა.

XVII ს. 30—40-იან წლებიდან ქართლის სამეფოს საშინაო და საგარეო ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. 1632 წლიდან ირანი ქართლის გამგებლებად, მეფეებად გამაჰმადიანებულ ქართველებს გზავნის, რომელნიც ირანის შაჰის „ვალი“-დ (მოადგილედ) ითვლებოდნენ. ქართლის სამეფო ყოველწლიურ ხარკს აძლევდა ირანს, ამას გარდა, ქართლიდან უამრავი ყოველწლიური „საჩუქრებიც“ ირანის სამეფო კარზე მიდიოდა. ქართლის ამგვარმა ვასალობამ ქვეყანას ერთგვარი მშვიდობა მოუპოვა. ყველაფერი ეს ქართლისა და კახეთის თავდადებული ბრძოლის შედეგი იყო.

ქართლის პირველი „ვალი“ როსტომი (1632—1658) იყო, იგი ირანის შაჰის თავდადებულ ვასალად და მომხმარედ ითვლებოდა. 1634 წ. იმერეთში გადახვეწილი თეიმურაზიც ბრუნდება და კახეთს უდგება სათავეში. თეიმურაზს თავისი მომხრეები ჰყავდა; ქართლის ფეოდალების ერთი ნაწილი თეიმურაზს უჭერდა მხარს გამაჰმადიანებული როსტომის წინააღმდეგ და მის ქართლში გამეფებას ცდილობდა. თეიმურაზიც უფრო ფართო გეგმებს ისახავდა: ერთი მხრივ, თურქეთის დახმარებას მოელოდა ქართლში ირანის მიერ დასმული „ვალი“-ს წინააღმდეგ; ამავე დროს რუსეთის ხელ-

---

[13] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с. 144.

[14] იქვე, გვ. 149.

[15] ვ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 142.

მწიფის წინაშე ელჩებს აგზავნიდა და მოსკოვის დახმარებითა და მფარველობით საქართველოს სამეფო-სამთავროთა გაერთიანებას ფიქრობდა. მაგრამ თეიმურაზის ამგვარი პოლიტიკა მარცხით დამთავრდა: 1642 წ. ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი შეიკრა; მოსკოვის ხელმწიფეს კი იმჟამად შექმნილ საგარეო და საშინაო ვითარებათა გამო, არ ჰქონდა შესაძლებლობა რეალური დახმარება აღმოეჩინა კახეთის მეფისათვის. ყოველივე ამან თეიმურაზს მომხრეები თანდათან ჩამოაცილა. ამავე დროს როსტომიც მოხერხებულად მოქმედებდა. იგი არ ებრძოდა ქართველობას და ქართლში ირანული მართვა-გამგეობის დანერგვას არ ცდილობდა, ქვეყანამაც ამოისუნთქა. გამუდმებული ომიანობა შეწყდა. ყოველივე ამან როსტომს მომხრეთა რიცხვი გაუზარდა. 1648 წ., შაჰის ბრძანებით. როსტომმა კახეთის წინააღმდეგ გაილაშქრა, თეიმურაზი იძულებული გახდა ტახტისთვის თავი მიენებებინა. როსტომი კახეთის გამგებლადაც დაინიშნა.

როსტომი ენერგიული მმართველი აღმოჩნდა. ქვეყანაში შინაფეოდალურ ომებს თანდათან ბოლო მოუღო და შედარებით წესრიგი დაამყარა. ამას გარდა იგი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის. როსტომი კარგად ხედავდა, რომ მარტო ქართლის და კახეთის თავადების შემორიგება ტახტზე განმტკიცებისათვის საკმარისი არ იყო. სამეფო ხელისუფლებას კიდევ სხვა დასაყრდენი სჭირდებოდა; ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების აღორძინებას ექნებოდა. მართლაც, როსტომის მიერ ამ მხრივაც არაერთი ღონისძიება იქნა ჩატარებული.

ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას, ვაჭრობის განვითარებას ისახავდა მიზნად როსტომის ზრუნვა გზების, ხიდების უკეთ მოწყობისათვის; იგი სამხრეთისაკენ მიმავალ გზაზე, მდ. ქციაზე აგებს ხიდს[16], რომელიც წითელი ხიდის სახელითაა ცნობილი და ამჟამადაც მოქმედებს. თვით ხიდის თაღებქვეშ მგზავრთათვის სასტუმროები იქნა გაშენებული. ასევე, ქარვასლები დაიდგა მდ. ქციას ნაპირებზეც. შარდენი, გაოცებული როსტომის მიერ აგებული ხიდისა და ქარვასლების სილამაზით, წერდა: „ამ ლამაზ ხიდს გვერდით არის ქარვასლა, რომელიც უკვე სიძველემდეა მიღწეული და იწყებს დანგრევას. მისი არქიტექტურა გასაოცარია. მასში მრავალი ოთახია, რომლებიც მდინარეს გაჰყურებენ... ყოველ მათგანს აქვს აივანი.

[16] ვახუშტი, აღწერა, გვ. 45. მისივე, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 7: ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია. გვ. 262.

მთელს საქართველოში მე არ მინახავს ამაზე ულამაზესი ხიდი და ამაზე ულამაზესი ქარვასლა"[17]. როსტომის მიერ აგებული ხიდისა და ქარვასლების აღწერა მოეპოვება აგრეთვე გიულდენშტედტსაც[18].

უმნიშვნელო როდი იყო აგრეთვე როსტომის ღონისძიებანი საქართველოს ზოგი ქალაქისა და მისი ციხე-სიმაგრის განახლებისათვის. ვახუშტის სიტყვით, როსტომის დროს „აღაშენეს გორის ციხე"[19]. ასევე მის მიერვე არაერთი მნიშვნელოვანი მშენებლობა ჩატარდა თბილისშიც: ააგეს სასახლე, გაამაგრეს ციხე, განაახლეს ქალაქის გალავანი, „მოავლო მეტეხს ზღუდე" და სხვა[20]. როსტომი ზრუნავდა არა მარტო ქალაქების აღდგენა-განახლებისათვის, არამედ აგრეთვე ახლის გაშენებისთვისაც. როსტომის ბრძანებით მდ. თეძამზე (ქართლში) ქალაქი იქნა გაშენებული, რომელსაც „მეფის ქალაქი" ეწოდა. „მეფის ქალაქი" სამეფო იყო. „მეფის ქალაქის" ერთ-ერთი ეკლესიის წარწერაში მოთხრობილია „ქალაქისა ამის მკვიდრობისათვის მეფის ქალაქელთა სომეხთა ჩუენთა სახასოთა ვაჭართა..." შესახებ[21]. როგორც სხვა დოკუმენტიდან ირკვევა, 1636 წლისათვის „მეფის ქალაქი" თეძამზე უკვე აშენებული ყოფილა. როსტომმა ამ დროს წერეთლის შვილს სეფე დავლეს „თეძმის პირის მეფის ქალაქის მამასახლისობა" უბოძა[22]. ასე რომ, ეს ახალი ქალაქი როსტომის ბრძანებით 1632—1636 წწ. ყოფილა გაშენებული. აღსანიშნავია, რომ სახელწოდება „მეფის ქალაქი" თეძმის პირზე გაშენებულმა ქალაქმა დიდხანს ვერ შეინარჩუნა და იგი ქართულ ისტორიულ წყაროებში უფრო „ქართლის ახალქალაქის" სახელითაა ცნობილი, ალბათ იმის გამო, რომ „მეფის ქალაქი" დიდხანს არ ყოფილა სამეფო ხელისუფლების ხელში; „მეფის ქალაქის" დაქვეითების შემდეგ იგი ქართლის თავადების (თარხნიშვილების) სამფლობელოს, სათავადოს ერთ-ერთ ცენტრად იქცა.

როსტომის მიერ ჩატარებული ზემოაღნიშნული ღონისძიებანი, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას, დაქვეითებული საქალაქო ცხოვრების თანდათან აღდგენასა და ქალაქების მნიშვნელობის ზრდას, რაც თავის მხრივ სამეფო ხელისუფ-

---

[17] Chardin, Voyage, II, გვ. 142; რუსული უახლესი თარგმანი ე. ღვინიაშვილისა, გვ. 245 (ინახება საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტ. ინსტიტუტში).

[18] I. A. Güldenstädt, Reisen, p. 117; И. А. Гюльденштедт, Описание, с. 248.

[19] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 70.

[20] იქვე, გვ. 71.

[21] П. И о с е л и а н и, Города, გვ. 72.

[22] ЦГИАГ, ф. 229, кн. 25, № 126.

ლებას აძლიერებდა. მსგავსი მოვლენები შეინიშნება დასავლეთ საქართველოს ზოგ კუთხეში, კერძოდ, სამეგრელოს სამთავროში. ლევან II დადიანი, რომელიც დამოუკიდებელ ხელმწიფობას ჩემულობდა, არათუ ემორჩილებოდა იმერეთის მეფეს, არამედ იმერეთის სამეფოს ხელში ჩასაგდებად და მთელი დასავლეთ საქართველოს თავის ხელქვეშ გაერთიანებისათვის იბრძოდა. იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში გაძლიერებული მთავარი ხშირ შემთხვევაში წარმატებებსაც აღწევდა.

ლევან დადიანი თავის მხრივ შეეცადა სამეგრელოს სამთავროში ხელი შეეწყო ვაჭრობის, ხელოსნური წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. ამ მხრივ მის ღონისძიებებს გარკვეული შედეგებიც მოჰყვა, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც მეზობელ სამეფოთა და სამთავროთა ხარჯზე ხდებოდა. დამახასიათებელია, რომ ლევან II-ის ბრძანებით განახლებულ და გაძლიერებულ ქ. რუხში, XVII ს. 40-იან. წლებში, იმერეთის სამეფოს ქ. ჩხარიდან აყრილი ვაჭრები და ხელოსნები დაასახლეს. ამის შესახებ იმერეთისა და კახეთის მეფეებზე გამარჯვებული მთავარი ხონის წმ. გიორგის ხატის 1636 წ. წარწერაში თავმომწონედ მოგვითხრობს: „მას ჟამსა ოდეს შევებენით ბაღდადს მეფეს გიორგის და კახს ბატონსა თეიმურაზს და გაგვემარჯვა... თავად მეფე ჯელთ დაგურჩა და სრულობით იმერელნი და კახნი დარბაისელნი... ამავე ჟამსა ავჰყარეთ ქალაქი ჩხარი და ჩავასხით ზუგდიდს, აღვაშენეთ და გავაწყვეთ ქალაქი რუხისა“[23]. დამახასიათებელი ფაქტია — გაძლიერებისათვის მებრძოლი მთავარი იმერეთის მეფეს ქალაქს უოხრებს და მის ხარჯზე ახალ ქალაქს თავის სამთავროში აშენებს.

ლევან დადიანს, სამთავროს ეკონომიკური აღორძინების მიზნით, სხვა ღონისძიებაც ჩაუტარებია. თუ არქანჯელო ლამბერტს ვერწმუნებით, ლევან II-ს საკუთარი ზარაფხანაც ჰქონია[24]. ლევან დადიანის ამგვარ ღონისძიებებს თავისი შედეგები ჰქონდა; პიეტრო დელლა ვალლე სხვათა შორის შენიშნავდა, რომ ამჟამად მეგრელებმა შეიცვალეს თავიანთი თვისებები და მათი პროვინცია გადაიქცა ერთ-ერთ საუკეთესოდ და მჭიდროდ დასახლებულად მთელს

---

[23] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, II, 1914, გვ. 276; შდრ. დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი, ოდიშის ხატების ზედ-წარწერნი, ИВАН, отд. рукописей, E 48, с. 3.

[24] ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 26; დ. ქ ა პ ა ნ ა ძ ე, უცნობი ქართული მონეტების საკითხისათვის, Известия ГМГ, XIV B, 1947, с. 157.

საქართველოში[25]. სამთავროში შედარებით განვითარდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობაც. ლევან II-ის ელჩი მოსკოვის ხელმწიფის კარზე აღნიშნავდა, რომ დადიანთა წინაპრებს არავისთან ჰქონიათ ვაჭრობა, ახლა კი ვაჭრობენ თურქებთან და ყიზილბაშებთან: მათი ხალხი ზღვით მოდიან და მეგრელებისაგან ყიდულობენ აბრეშუმს, თაფლს, ტილოს და სხვა საქონელს, რომელიც მათ გაიჩნიათ[26]. დამახასიათებელია, რომ ლევან II ხშირად რუსეთის მეფეს მიმართავდა თხოვნით, რათა მისთვის ხელოსნები გამოეგზავნათ[27]. ცხადია, ლევან II ღონისძიებანი ხელს უწყობდა სამეგრელოს სამთავროს ეკონომიკურ დაწინაურებას, მაგრამ დასავლეთ საქართველოში ამ დროისათვის შექმნილ საერთო მდგომარეობას მაინც დიდად ვერ ცვლიდა.

აღმავლობის შედარებით მტკიცე ნაბიჯებით XVII ს. მეორე ნახევარში მიდიოდა ქართლი. ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას განსაკუთრებით ხელს უწყობდნენ როსტომის შემდეგ ქართლში ბაგრატიონთა მუხრან-ბატონების შტოს წარმომადგენელი მეფეები: ვახტანგ V (შაჰ-ნავაზი), გიორგი I და განსაკუთრებით კი ვახტანგ VI. XVII ს. მეორე ნახევრიდან ძლიერდება აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან. ამ დროისათვის არაერთხელ ჩნდებიან აქ ევროპელი ვაჭრები და ევროპის სავაჭრო კაპიტალის სხვა აგენტები — კათოლიკე მისიონერები. ქართლის მეფე თავის მხრივ ცდილობს დააინტერესოს ევროპელი ვაჭრები საქართველოთი საერთოდ და კერძოდ თბილისით, რომ კიდევ უფრო მიიზიდოს ისინი. ვაჭრობის აღორძინებაში ქართლის მეფე ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისა და თავისი ხელისუფლების გაძლიერების წყაროს ხედავდა.

დამახასიათებელია, რომ თვით ქართლის მეფე ვახტანგ V (შაჰ-ნავაზი) არწმუნებდა ევროპის სავაჭრო კაპიტალის აგენტებს, კათოლიკე მისიონერებს, „ევროპელები ინდოეთში მიმოსვლისათვის ვერ იპოვიდნენ უკეთეს გზას“ ვიდრე საქართველოა. „გარწმუნებთ, აღნიშნავდა მეფე, თუ ერთხელ სცადეს ამ გზაზე წამოსვლა, მერე სხვა გზას აღარ დაადგებიან“. თბილისი კიდევ მეტად მარჯვე ადგი-

---

[25] См. «Кавказ», № 41, 1867 г.

[26] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, с. 149, Посольство дьяка федота Елчина... в Дадианскую землю (1639—1640), Чтения в Импер, общ. истории и древностей Российских при Моск. Унив., II кн., 1887, с. 271.

[27] М. Полиевктов, Новые данные о московских художниках XVI—XVII вв. в Грузии, Тб., 1941, с. 14.

ლი იქნებოდა ფრანგი ვაჭრების საქონლის საწყობად. ვახტანგ V, დაინტერესებული ევროპელი ვაჭრების მიზიდვით, მისიონერებს პირდებოდა: ევროპელები თუ აღებმიცემობისათვის მოვლენ... მათ „გავანთავისუფლებ ყველა გადასახადებისაგან და მივანიჭებ ყოველგვარ უპირატესობას, რასაც კი ისურვებენ. ჩემი საბრძანებელია შავ ზღვამდის, დიდი გავლენა მაქვს სპარსეთში და დიდი პატივი ოსმალეთშიო“[28]. არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ინტერესებიც აიძულებდა შაჰ-ნავაზის მემკვიდრეებს (ვახტანგ VI, საბა-სულხან ორბელიანი) ევროპასთან კავშირი ეძებნათ[29], მაგრამ, როგორც ცნობილია, ქართლის მეფეთა ამგვარი ცდა მარცხით დამთავრდა.

ქართლისა და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს შემდგომ ეკონომიკურ აღორძინებაში დიდი როლი შეასრულა ვახტანგ VI-ის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, როგორც მისი ჯანიშინობის (მოადგილეობის), ასევე ქართლში მეფობის დროს (1703—1724 წწ.). ვახტანგ VI-მ ქვეყნის აღდგენისათვის ზრუნვა ქართლის აყრილი და გაფანტული მოსახლეობის უკან დაბრუნებით და დაუსახლებელი, გადაშენებული ადგილების (თრიალეთი, გუჯარეთი, ბაიდარი, ტაშირი და სხვ.) დასახლებით დაიწყო. სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოშლილი სარწყავი სისტემის განახლებას. აღორძინდა და განვითარდა ინტენსიური სოფლის მეურნეობის კულტურები — მევენახეობა, მებაღეობა. ასევე წარმატება დაეტყო მესაქონლეობას, მეაბრეშუმეობას... ყოველივე ამის გამო ამბობს ვახუშტი, რომ „ვახტანგ აღაშენა და განავრცო ქართლი... განაღო რუნი და აღაშენა მრავალნი დაბნები“[30].

საქალაქო ცხოვრების შემდგომ განვითარებას ხელს უწყობდა აგრეთვე სხვადასხვა სახის მშენებლობათა ჩატარება თბილისში, გორში და სხვაგან. ზრუნვა გზებისა და ხიდების შეკეთებისათვის, ქარვასლების აგებისათვის, სამონეტო საქმის მოწესრიგებისათვის და სხვა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო კანონმდებლობის მოწესრიგებაც. ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილ „დასტურლამალში“ — სახელმწიფოებრივი წყობის ძირითად კანონებში, დიდი ადგილი დაეთმო საქალაქო ცხოვრების მოწესრიგებას, ქალაქის მოხელეთა უფ-

---

[28] შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, ქართ. თარგმ., გვ. 106—107.

[29] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველებს შორის, გვ. 313; ს ულ ხ ან-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, მოგზაურობა ევროპაში, თბ., 1940, გვ. 159.

[30] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 109: ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, B², გვ. 323.

ლება-მოვალეობის განსაზღვრას; ასევე, ვახტანგის ბრძანებით შეკრებილ ქართულ და უცხოურიდან თარგმნილ კანონებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ხელოსნური წარმოების, ხელოსნური შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების საკითხებს. ვახტანგ VI-მ მოქალაქეებს, თბილისის მცხოვრებ გავლენიან ზედაფენას „საკუთრების ქალაქური წესის" შემოღებით მნიშვნელოვანი უპირატესობანი მიანიჭა. ყოველივე ამის წყალობით ქ. თბილისი, გორი და ქართლის სხვა ქალაქები აღმავლობის გზაზე დადგა. ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა უმნიშვნელო როდი იყო მეზობელი სამეფო-სამთავროებისთვისაც. დამახასიათებელია, რომ ვახტანგის კანონები არა მარტო ქართლის სამეფოში, მთელს საქართველოში გავრცელდა და იხმარებოდა. ამას გარდა, ქართლის სატახტო ქალაქის — თბილისის აღორძინება, რომელიც, მართალია, ძველებურად საქართველოს დედაქალაქს პოლიტიკურად არ წარმოადგენდა, მაგრამ ეკონომიკურად მაინც ქვეყნის გამაერთიანებელი იყო, საქართველოს, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების აღორძინებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

შეიძლება ითქვას, რომ XVII ს. მეორე ნახევარი და XVIII ს. პირველი მეოთხედი არა მარტო ქართლის, არამედ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს აღორძინებისა და განვითარების საუკუნეებია. XVII ს. მესამე მეოთხედში კახეთი მტკიცედ დაადგა ეკონომიკური აღორძინების გზას. როსტომისა და არჩილის მმართველობის დროისათვის (1664—1675 წწ.) აღკვეთილ იქნა ლეკთა გამუდმებული თავდასხმები, ქვეყანაში შედარებით წესრიგი დამყარდა. „ეს პირობა კი საკმაო აღმოჩნდა, რომ ხიზან-ბოგანო გლეხები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მრავლად მისულიყვნენ ამ ბუნებით მდიდარ მხარეში"[31].

მაგრამ XVII ს. მიწურულისათვის და XVIII ს. დამდეგისათვის კახეთში გაძლიერდა ლეკების მძარცველური თავდასხმები; ამას გარდა, ლეკიანობა არა მარტო შინაფეოდალური ომებისათვის, არამედ აგრეთვე კლასობრივი ბრძოლის იარაღადაც იქნა გამოყენებული — კახელი გლეხები ხშირად უთანხმდებოდნენ ლეკებს და მათთან ერთად არბევდნენ თავიანთ მებატონეთა სახლ-კარს, ყანებს. ლეკიანობა კახეთში თანდათან მწვავე ხასიათს იღებდა და მ ამე შედეგებს ტოვებდა[32].

ქვეყნის შემდგომ მშვიდობიან განვითარებას წინ გადაეღობა ამ დროისათვის შექმნილი საგარეო ურთიერთობა. XVIII ს. ბ ოლ ეგი-

[31] საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 369.

[32] იქვე, გვ. 370.

სათვის ახლო აღმოსავლეთში ისევ ერთმანეთს ეჯახება სამი სახელმწიფოს ინტერესები. პეტრე I-ის რუსეთი ცდილობს ხელთ იგდოს კასპიის ზღვის ნაპირები. მაგრამ ამ მიზნის განხორციელებას წინ ეღობება როგორც ირანი, ასევე ოსმალეთიც. კასპიის ზღვის სანაპიროებზე მტკიცედ გამაგრებისათვის საჭირო იყო ამიერკავკასიის შიდა ოლქებშიც ღრმად შეჭრა. ყველაფერი ეს კი საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენდა. და პეტრე I-ს აიძულებდა მოკავშირეები ეძებნა ამიერკავკასიის ხალხებში. პეტრეს პოლიტიკისათვის საქართველოს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სტრატეგიული თვალსაზრისით, ასევე იმ სამხედრო დახმარების მხრივაც, რომელიც საქართველოს შეეძლო აღმოეჩინა რუსეთისათვის ირანის და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში[33]. ამით აიხსნება, რომ რუსეთი ყოველთვის ცდილობდა სათანადოდ გამოხმაურებოდა საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროთა რუსეთისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს.

ქართველობა კი, თავის მხრივ, კარგად ხედავდა რა რუსეთის, ოსმალეთის და ირანის პოლიტიკურ ინტერესთა შეუთანხმებლობას, სამხრეთის ორ აგრესორ სახელმწიფოთა მიერ შექმნილი მტრული გარემოცვის გარღვევას რუსეთის შემწეობით, მისი მფარველობით და დახმარებით ცდილობდა, ამ საქმეში რუსეთი ქართველობას ყველაზე ძლიერ, სანდო და საიმედო მფარველ-მოკავშირედ მიაჩნდა. ასე რომ, რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები ახლო აღმოსავლეთში — ბრძოლა სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ თავისთავად ემთხვეოდა ქართველების გეგმას — ქვეყნის განთავისუფლებას მოძალადეთა ბატონობისაგან. ამით აიხსნება, რომ 1720 წ. პეტრე I-ის მოწოდებას ვახტანგ VI, რომელიც თვით ეძებდა შესაძლებელ შემთხვევას რუსეთის ხელმწიფეს დაკავშირებოდა, გამოეხმაურა და ირანის წინააღმდეგ ომის სამზადისს შეუდგა. ვახტანგ VI-ის წარმოდგენით საქართველოს ირანის ბატონობისაგან განთავისუფლებისა და თურქთა მიერ მიტაცებული სამხრეთის მიწაწყლის დასაბრუნებლად უკეთესი დრო არ შეიძლებოდა დადგომოდა[34]. ამიტომაც, როგორც კი რუსეთის არმია დაიძრა დერბენდისაკენ, ვახტანგ VI თავისი ლაშქრით განჯაში დადგა და რუსეთის არმიის შირვანში მოსვლას დაელოდა, რომ იქ, შეთანხმებისამებრ, მოკავშირეთა ლაშქარი ერთმანეთს შეხვედროდა[35]. ვახტანგ VI სამი თვე იდგა განჯა-

---

33 В. П. Лысцов, Персидский поход Петра I, М., 1951, с. 190—192.

34 საქართველოს ისტორია, ნ. I, გვ. 370—371.

35 М. Броссе, Переписка грузинских царей с российскими государми, с. IXXIX.

ში, მაგრამ რუსეთის არმია არ ჩანდა. ამასობაში პეტრე I-მა ვახტანგ VI-ს აცნობა, რომ ვერ ახერხებდა თავისი ძალების მიშველებას, ვიდრე კასპიის ზღვის სანაპიროზე არ გამაგრდებოდა და ბაქოს არ აიღებდა, იგი იუწყებოდა, რომ პირველი ამოცანა ახლა იყო კასპიის ზღვის სანაპიროზე დამკვიდრება[36]. ვახტანგი იძულებული გახდა დაბრუნებულიყო თბილისში. ქართლის მეფე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა — ერთი მხრივ თურქეთი ემუქრებოდა, მეორე მხრივ კიდევ მისმა „პატრონმა" ირანმა ვახტანგი მოღალატედ გამოაცხადა, ქართლის ტახტი წაართვა და იგი კახეთის მმართველს კონსტანტინეს მისცა[37].

კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა ქართლის მეფისათვის რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმება: ოსმალთა სულთანმა იცნო რუსეთის უფლებები კასპიის ზღვის ნაპირებზე, ხოლო პეტრემ თურქეთს დაუთმო ირანის ყველა ჩრდილო-დასავლეთი მხარე, რომელშიც მთელი აღმოსავლეთ საქართველოც შედიოდა.

ყოველივე ამან თავისი მძიმე შედეგები გამოიღო. კახეთის მმართველმა კონსტანტინემ ლეკებისაგან შემდგარი ჯარით 1723 წ. სასტიკად ააოხრა თბილისი[38]. ლეკებმა ისე გაანადგურეს ქალაქი, რომ იგი დიდხანს ვერ დაუბრუნდა თავის ადრინდელ მდგომარეობას. ამასობაში ოსმალებიც დიდი ლაშქრით დაიძრნენ საქართველოს წინააღმდეგ და თბილისი უომრად აიღეს, ქართლი დაიპყრეს. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიაში დაიწყო ოსმალთა ბატონობის მძიმე წლები, რომელიც 1723 წლიდან 1735 წლამდე გაგრძელდა. ამრიგად, XVIII ს. 20-იან წლებში საქართველო „მტრული გარემოცვის გარღვევის" ცდისათვის კვლავ მძიმედ დაზარალდა. ოსმალეთმა რუსეთის მოკავშირე ქართველების მოშლა და მის ადგილზე თურქულ-მაჰმადიანური საფაშოების შექმნა ცადა. ოსმალებმა გააუქმეს ქართლის სამეფო ტახტი. ვახტანგი იძულებული იყო 1724 წ. თავისი ოჯახით და ამალით რუსეთს გადახვეწილიყო. XVIII ს. პირველ მეოთხედში მოსკოვის ქართველთა კოლონია ერთბაშად გაიზარდა. აქ, ვახტანგ VI-სთან ერთად, ჩავიდა ქართველ პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეთა დიდი დასი, რომელსაც ჯერ კიდევ იმედი არ ჰქონდა დაკარგული, რომ დიდი რუსი ხელმწიფის დახმარებით საკუთარ მიწაწყალს ოსმალ მოძალადეთა ბატონობისაგან გაათავი-

---

[36] В. П. Лысцов, Персидский поход Петра I, с. 213.

[37] საქართველოს ისტორია, ნ. 1. გვ. 372.

[38] სეხნია ჩხეიძე, B², გვ. 331.

სუფლებდა და აღმოსავლეთის აგრესიულ სახელმწიფოთა მტრულ გარემოცვას საბოლოოდ გაარღვევდა. მოსკოვი ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ პოლიტიკურ ემიგრანტთა თავშესაფარი გახდა. აქედანაც კარგად ჩანს, რომ „მოსკოვის ქართული კოლონია ქართველი ხალხის იმ რწმენის ცოცხალი გამოსახულება იყო, რომ რუსეთი ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელსაც ამიერკავკასიაში უშუალო პოლიტიკური ინტერესები მოეპოვება, და რომ ეს ინტერესები საქართველოს პოლიტიკურ მისწრაფებას არ ეწინააღმდეგება“[39].

ოსმალებმა ქართლი 6 ერთეულად დაყვეს და მათი გამგებლობა ქართლის ძლიერ თავადებს ჩააბარეს. 1725 წ. დაწესდა მძიმე საოსმალო გადასახადები. გლეხობა ორმაგ სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდა; დაიხარკა ეკლესიის ქონებაც, ეკლესიათა მამულები ზოგი ფეოდალებმა მიიტაცეს. შეწყდა ირანთან ვაჭრობა. გაუთავებელი ომიანობა და ოსმალთა ბატონობა საქართველოს ვაჭრებისათვის კიდევ უფრო მიუღებელი ჩანდა. უკმაყოფილო იყო ქართველ ფეოდალთა დიდი ნაწილიც. ასე რომ, ოსმალობამ აქ მტკიცე სოციალური დასაყრდენი ვერ გაიჩინა. ამიტომაც გამუდმებული ბრძოლა წარმოებდა თურქი ასიმილატორების წინააღმდეგ[40]. ამას გარდა ამ დროისათვის ლეკთა თავდასხმები უფრო ხშირად მწვავე ხასიათს იღებდა. არ დარჩენილა აღმოსავლეთ საქართველოს არც ერთი კუთხე, არც ერთი სოფელი, რომელიც ლეკების ძარცვისა და განადგურების ობიექტი არ ყოფილიყოს. ასე რომ, ქართველობას ორმხრივ უხდებოდა ბრძოლა — თურქი ასიმილატორებისა და ლეკი მტაცებლების წინააღმდეგ. გამუდმებული ომი კიდევ მეტად აზიანებდა ქვეყანას.

ოსმალებმა ქართლში გაბატონების შემდეგ გარე კახეთიც დაარბიეს. არც ლეკები ასვენებენ კახეთს. ლეკთა ჩამოსახლება და გაბატონება კახეთში ქვეყანას გალეკებასა და გადაგვარებას უქადდა; ყოველივე ამის გამო, გლეხებსა და ლეკებს შორის ზოგ შემთხვევაში დამყარებული კავშირი ადგილობრივ მებატონეთა წინააღმდეგ საბრძოლველად ამჟამად დაირღვა. კახეთი ლეკების წინააღმდეგ გლეხთა აჯანყებამ მოიცვა. ლეკიანობას თანდათან თითქოს ფეხი ამოეკვეთა. ამას თან დაერთო ისიც, რომ კახთა მეფე კონსტანტინემ მოახერხა ლეკებთან მორიგება და მათი ძალის ოსმალთა

---

[39] საქართველოს ისტორია, გვ. 373.

[40] ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. I, 1944, გვ. 181-182.

წინააღმდეგ გამოყენება. ამის შემდეგ ლეკები უფრო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთს არბევდნენ[41]. კონსტანტინემ ოსმალეთთანაც ზავი დადო და ყოველწლიური ხარკი იკისრა. ყოველივე ამით კი კახეთს ერთგვარი მშვიდობა მოუპოვა.

ოსმალობისა და ლეკიანობის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის მეთაურად ისევ ქართლი გამოდიოდა. მართალია, თურქ-ასიმილატორებმა თავის მიზანს ვერ მიაღწიეს — ქართველობა ვერ გადააშენეს და უკან დაიხიეს, მაგრამ ქვეყანა ამ თავდადებულ ბრძოლაში მძიმედ დაზიანდა, ზოგი მჭიდროდ დასახლებული პროვინცია სავსებით გავერანდა, ხელახლა დაკნინების და დაქვეითების გზას დაადგა აღმავლობის გზაზე შემდგარი საქართველოს ქალაქები.

ოსმალობამ დიდხანს ვერ იბოგინა ქართლში, მაგრამ ქვეყანას ამით ამოსუნთქვის საშუალება როდი მიეცა. ოსმალები სპარსელებმა შეცვალა.

XVIII ს. 30-იანი წლებიდან ირანის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. ნიჭიერმა სარდალმა ნადირმა რამდენიმეჯერ დაამარცხა ოსმალები. ამიერკავკასიაში ოსმალთა მდგომარეობა შეირყა. XVIII ს. 30-იანი წლებიდან კახეთი და ქართლი ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებამ მოიცვა. ოსმალობა ქართლში გადაშენდა. ნადირმა ერევანს მიიწვია ოსმალეთის მიერ კახეთის გამგებლად დანიშნული თეიმურაზ II და ქართლ-კახეთის თავადების უმეტესობა დაატყვევა. ქართლ-კახეთი კი ალექსანდრე დავითის ძეს მისცა საგამგეოდ და ქვეყანას მძიმე გადასახადები გააწერა. ამ ამბების თანამედროვე სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს: „წაართვეს ქალაქს (თბილისს, შ. მ.) რვა ათასი თუმანი, სახასო სოფლებს სამი ათასი თუმანი, პური ათასი ხარვარი (—25.000 ფუთი-შ. მ.)... ქართლსა და კახეთში ორი ათასი მოლაშქრე კახი"[42]. ამრიგად, „ოსმალობის" მაგიერ ქართლში „ყიზილბაშობა" დამკვიდრდა. ნადირის მიერ დატყვევებულმა თეიმურაზმა და სხვა თავადებმა 1735 წ. გაქცევა მოახერხეს და ქართლ-კახეთი ირანის ძალადობის წინააღმდეგ ააჯანყეს. ნადირმა შაჰ-აბასის ძველი მეთოდით იწყო მოქმედება — ქართლ-კახეთს დამსჯელი ექსპედიციები გაუსია და ქვეყნის არა მარტო აოხრებას, არამედ აყრასა და გადაშენებას ლამობდა[43]. აღსანიშნავია, რომ ნადირმა მუღანში თავის შაჰად „ამომრჩევლებს" საჩუქრებად 8.000 ქართველი ტყვე მონებად მისცა. ამას გარდა განადგურებულ ქართლს კიდევ

---

[41] იქვე, გვ. 184.

[42] სეხნია ჩხეიძე, B², გვ. 339.

[43] იქვე, გვ. 339—340.

ახალი გადასახადი — 3.300 თუმანი გააწერა[44]. ყოველივე ამან 1736 წ. ქართლი ისევ ააჯანყა. ნადირ-შაჰმა შეძლო აჯანყების მეთაურთა ვერაგულად ხელში ჩაგდება, მაგრამ აჯანყება მაინც არ ცხრებოდა, ნადირ-შაჰი იძულებული გახდა თავის გეგმაზე — ქვეყნის აყრა-გადაშენებაზე — ხელი აეღო და აჯანყებულთა დაყვავება და შემორიგება ცადა. ირანელი ასიმილატორები იძულებულნი გახდნენ ამ შემთხვევაშიც უკან დაეხიათ. ნადირ-შაჰმა თეიმურაზი კახეთის მმართველად დანიშნა, ხოლო ხანჯან ხანი კი — ქართლისა.

ქართლში მაინც მშვიდობა ვერ დამყარდა, ქვეყანა შინა ფეოდალურმა ომებმა მოიცვა: შანშე ქსნის ერისთავი დაქირავებული ლეკების შემწეობით საამილახვროს არბევდა; ამილახვარი კი ყიზილბაშთა ლაშქრით ქსნის ხეობას აოხრებდა. ყველაფერი ეს საერთო მტერს — ამ შემთხვევაში ყიზილბაშებს — ქართლში თავისი ბატონობის განმტკიცების შესაძლებლობას აძლევდა. 1741 წ. ყიზილბაშებმა, ფისკალური მიზნით, ქართლი აღწერეს. პაპუნა ორბელიანი ირანელების მიერ ჩატარებული აღწერის შესახებ მოგვითხრობს: „ესრეთ იყო აღწერა, რაც ძველათ ნასოფლარი სადმე იყო, ყველგან ზომეს მიწები საბლით, ხრევი (ე. ი. ხარკი — შ. მ.) დასდვეს. ეგრეთვე ამ სახით შენობა თუ სადმე იყო დიდი ხრევი დასდვეს, ვითაც ერანის ქვეყანაში მომცემი. მიწა არის და ბევრი გამოსავალი აქვს, ამ ქვეყანას განუწესეს. თვალეს ვაზები[45], ეგრე ვაზის სათვალავს რასაც მიხვდნენ, ვაზს ერთი ბისტი (—2 კაპ.) დასდვეს; სოფელსა და ბაღსა შინა რაც ხე ნახეს თითო შაური დასდვეს: კაცს ორი მინალთუნი, ყმაწვილსა ასაკოვანსა ხუთი აბაზი და შემდგომი ამისი ათს წლამდის ხარჯი დასწერეს ყმაწვილზე; პირუტყვზე ყოველს ზედა განაწესეს, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველს ფერს შენობას ანუ ოხერს ადგილს ასეთი ხარჯი დასდვეს, რომ ყოვლის კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო... არას დროს აქამდე ერანის ხელმწიფისაგან ქართლის ქვეყანა არ დაწერილიყო... ამ ამბავთა შინა მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა, მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებს თავის ხელით კაფდის და აოხრებდის...“[46] თანამედროვეს მიერ მოთხრობილიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად მძიმე უნდა ყოფილიყო ყიზილბაშების მიერ ქართლზე გაწერილი ხარკი. მაგრამ ნადირ-შაჰი ზემოაღნიშნულით არ კმაყო-

---

[44] იქვე, გვ. 340.

[45] დედანში „გზები“, რომელსაც ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად „ვაზებად“ ასწორებს. იხ. მისი, XVIII ს. ქართლის ისტორიიდან, გვ. 198—199.

[46] პაპუნა ორბელიანი, B_3, გვ. 345.

ფილდება, პაპუნა ორბელიანის სიტყვით, მაშინ როცა „ქართლში პური ისე ძვირათ იყო, რომ... ბევრჯელ ვნახეთ ბალახის კურკას გაახმობდნიან, დაფქვიდენ და იმას სჭამდენ“, ერანის ხელმწიფემ მოითხოვა მის მიერ გაწეული ხარჯის მაგიერ ქართლს პური მიეცა მტკიცე ფასებში — ლიტრა ერთ ბისტად[46]. „ქართლში ამ წლებში (ეს იყო 1741—1745 წწ.) პურის მოუსავლიანობა იყო, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — ნადირ-შაჰმა კი 60.000 მინალთუნის (დაახლოებით 1 მანეთს უდრის) ხარკის ანგარიშში 3.000.000 ლიტრა პურის გადახდა მოითხოვა. ეს პური კი ბაზარზე სულ მცირე 300 000 მინალთუნი ღირდა. ასე რომ, მარტო 1741 წ. ქართლის მოსახლეობამ 240.000 მინალთუნი მეტი გადაიხადა ვიდრე მას ემართა“[47]. ყოველივე ამის შედეგი, თანამედროვეს სიტყვით, იყო ის, რომ „მრავალი სული აიყარა ამ ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გარდაიხვეწა“[48]. ამის შემდეგაც ნადირ-შაჰი არაერთ ახალ სამსახურს უბრძანებდა ქართლს. უკანასკნელად კიდევ 2.000.000 ლიტრა პური მოითხოვა. და, მისივე ბრძანებით, 8.000 ხარი ქართლიდან გაიყვანეს. პაპუნა ორბელიანის სიტყვით, „აღარ დარჩა ქართლში ხარი“[49]. ასე რომ, შაჰის პოლიტიკა არა მარტო სოფლის მეურნეობის მუშახელს, არამედ გამწევ ძალასაც ანადგურებდა. ქართლი ისევ აჯანყებამ მოიცვა. ამჟამად მას სათავეში გივი ამილახვარი ედგა.

ქართლის აჯანყებას თეიმურაზ II არ მიემხრო და შაჰის წინაშე თითქოს ერთგულება დაიმსახურა. ამის გამო 1742 წ. შაჰმა თეიმურაზს წყალობა უყო — კახეთი ხარკისაგან გაანთავისუფლა. კახეთი ისევ გაძლიერდა: მას ამჟამად არც ლეკები აწუხებდნენ და არც ერანის ხელმწიფის ხარჯი. ყოველივე ამის გამო იგი ქართლიდან აყრილ გლეხთა თავშესაფრად იქცა.

ქართლის გამუდმებულმა ბრძოლამ ირანელების წინააღმდეგ თავისი შედეგი გამოიღო. ნადირ-შაჰი იძულებული გახდა ქართლის და კახეთის მიმართ თავისი პოლიტიკა შეეცვალა და 1744 წ. ქართლსა და კახეთში ქრისტიანი მეფეები მამა-შვილი — თეიმურაზი და ერეკლე გაემეფებინა. ამას გარდა, ქართლი თავის საზღვრებში აღდგა. ნადირმა დაუბრუნა ლორე, ბორჩალო, ბოდარი და სხვ., როშელიც ერთი საუკუნის წინ შაჰ-აბასმა მიისაკუთრა. უარყოფილი იქნა ქართველთა გამაჰმადიანების პოლიტიკაც. „მაგრამ ეს შაჰის

---

[47] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, B², გვ. 347.

[48] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, გვ. 200—201.

[49] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, B², გვ. 347.

წყალობა როდი იყო. ეს იყო ქართველთა ასორმოცდაათწლოვანი მედგარი ბრძოლით მონაპოვარი"[50]. ქართველთა თავდადებულმა ბრძოლებმა აიძულეს როგორც თურქი, ასევე ირანელი დამპყრობლები უკან დაეხიათ.

თავდადებულმა ბრძოლამ ქართველობის შენარჩუნებისათვის, გამუდმებულმა ომებმა ოსმალეთის, ირანის და ლეკიანობის წინააღმდეგ დიდი მსხვერპლის გაღება მოითხოვა. „ძნელბედობის ხანამ", „ოსმალობის" და „ყიზილბაშობის" ხანამ საქართველოში მძიმე შედეგები გამოიღო — ქვეყანა აოხრდა, გაიზარდა გლახაკთა, ბოგანოთა და ხიზანთა რიცხვი, გამრავლდა გადაშენებული, დაუსახლებელი ადგილები. აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლი, სადაც XVIII ს. 20-იანი წლებისათვის 40.000-ზე მეტი მცხოვრები ითვლებოდა, 20—30-იოდე წლის შემდეგ თითქმის სრულებით დაცარიელდა: „დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთაოებში. აღარსად ჩანდა შენობა იმ მხარეს"[51] — მოგვითხრობს თანამედროვე.

გამუდმებული ომიანობა, რომლის შედეგადაც საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქები (თბილისი, გორი და სხვ.) არაერთხელ აოხრებულა, დიდად აბრკოლებდა ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას. ისპობოდა მშვიდობიანი ცხოვრების პირობები. დამახასიათებელია, რომ ყიზილბაშობის დროს არაერთხელ აუყრიათ ქალაქის მოსახლეობა და შაჰის ბრძანებით სხვა ქალაქებში გაუყვანიათ სამუშაოდ. პაპუნა ორბელიანის სიტყვით, „დაებარებინა ხელმწიფეს ქალაქიდან (თბილისიდან, შ. მ.) ოთხასი კაცი მუშად, გაუძღვა ქალაქის მელიქი აღა და მივიდნენ ყარს(ს), ამუშავეს თვე ერთი და გაისტუმრეს ისევ"[52]. მსგავსი შემთხვევა არაერთი იქნებოდა. საქართველოს ქალაქებს ანადგურებდა აგრეთვე მძიმე გამოსაღებები ოსმალთა თუ ყიზილბაშთა სასარგებლოდ. მარტო ქ. თბილისმა, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ერთ წელს 8000 თუმანი გადაიხადა.

გამუდმებული ომიანობა აიძულებდა ქალაქის მცხოვრებლებს მიეტოვებინათ თავიანთი სახელოსნო-სავაჭრო ნაგებობები და სხვაგან ეძიათ თავშესაფარი. ნაწილი კიდევ, რა თქმა უნდა, უფრო

---

[50] ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, გვ. 209—210.

[51] პაპუნა ორბელიანი, B_2, გვ. 473.

[52] იქვე, B^2, გვ. 372.

ხუსტი, ქალაქში რჩებოდა და დამპყრობელთა მსხვერპლი ხდებოდა.

პაპუნა ორბელიანის სიტყვით, როცა სპარსეთის შაჰმა კიდევ ახალი გამოსაღებები გააწერა ქართლსა და მისგან კიდევ ახალი სამსახური მოითხოვა, რომელსაც მბრძანებელი „არბაბს“ უწოდებდა, ილაჯგაწყვეტილი ქვეყანა, რაკი ბრძანების შესრულება არ შეეძლო, მომავალი განსაცდელისაგან თავის დაცვის მიზნით აიყარა; აიყარა თვით მეფეც. ფეოდალებთან ერთად თბილისის შეძლებული მოქალაქეებიც მეფეს თან გაყვნენ: ქართველი საერო თუ სასულიერო ფეოდალები, „ვინა ქალაქსა შინა სახლეულად იდგნეს, ესე ყოველნი გაყვნენ ბატონს. ქალაქის მელიქი აღა აიყარა სახლით, აგრევ მოქალაქესა, რომელსა შეეძლო, უფროსი აიყარა ქალაქისა და წავიდნენ. მიბრძანდა ბატონი და დადგა ანანურს, ეს ყოველნი თავადნი ანუ მოქალაქენი დააყენეს თავის-თან“[53].

ქალაქის აყრილი, შეძლებული ხელოსნური და ვაჭრული ფენა დანგრეულ ქალაქს ისევ უბრუნდებოდა და ხელახლა იწყებდა ცხოვრებას. არ არსებობდა ძლიერი სამეფო ხელისუფლება, რომელიც უზრუნველყოფდა ქალაქის მოსახლეობის პიროვნებისა და ქონების დაცვას, იგი მუდამ გარეშე თუ შინაურ მტერთა თავდასხმის მოლოდინში იყო და ამიტომაც მუდმივი თავშესაფრის ძიებისას არჩევდა სადმე ძლიერ სახელმწიფოს შეხიზნოდა და თავისი პიროვნების და ქონების ისეთი დამცველი მოენახა, რომელსაც მსგავსი გამუდმებული ლაშქრობანი ან იშვიათად ან კიდევ სრულებით არ აწუხებდა. ასეთს ამდროისათვის გაძლიერებული რუსეთის სახელმწიფო წარმოადგენდა. საქართველოდან მოსახლეობის გასვლა ამიერკავკასიაში XVII—XVIII სს. მიჯნაზე, პეტრე I-ის დროიდან დაიწყო. აქეთკენ განსაკუთრებით ილტვოდნენ არა მარტო ვაჭრები, რომელნიც მოზდოკსა და ასტრახანს ესახლებიან, არამედ გლეხებიც კი. ყველაფერი ეს, როგორც ნ. ბერძენიშვილმა მიუთითა, „იყო ცოცხალი გამოხატულება საქართველოს სახელმწიფოებრიობის ღრმა კრიზისისა“[54].

ოსმალობა-ყიზილბაშობამ მოშალა აგრეთვე ვახტანგ VI-ის დროიდან სათანადო კანონებითა და დებულებებით განმტკიცებული საქალაქო წესწყობილება. ქალაქებსა და სოფლებს ოსმალთა თუ ყიზილბაშთა დანიშნული მოხელეები განაგებდნენ, რომლებიც, რა

---

[53] იქვე, გვ. 395.

[54] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საანგარიშო [მოხსენება, „მიმომხილველი“, ტ. I, 1949, გვ. 338; იხ. აგრეთვე პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX-XX სს., თბ., 1949, გვ. 78—79.

თქმა უნდა, არღვევდნენ ძველ წესებს, ქალაქს და საერთოდ მთელ ქვეყანას „უსამართლო ბევრი რამ სათხოვარი და გამოსაღები დასდებოდა“. ყველაფერი ესეც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა საქალაქო ცხოვრების დაცემას; ამიტომაც ქართლისა და კახეთის მეფეებსა და სხვა ხელისუფალთ ოსმალობისა და ყიზილბაშობის დროს მოშლილი საქალაქო წესწყობილების ისევ აღდგენისათვის უხდებოდათ ბრძოლა. ანტონ I კათალიკოსი ქალაქში სვეტის ცხოვლის ყმებისადმი 1752 წ. ბოძებულ სიგელში წერდა: ამ „ავს დროშით (1723—1744 წწ.-შ. მ.) და უმკვიდროთ ქართლის ბატონობაში ქალაქი ხან ოსმანთ ეჭირათ, ხან ყიზილბაშთა, არც მეფე იჯდა ქრისტიანე და არც პატრიარქი და ვინც მაშინ ბატონობდნენ, მოხელეები და გამრიგე-მოსაქმენიც ქალაქშიც და სოფლებშიც იმათ თან ყავდათ და ქალაქსაც და სრულ საქართველოსაც უსამართლო ბევრი რამ სათხოვარი და გამოსაღები დასდებოდა... დიდს შეწუხებაში და ბეგარაში ჩაცვენილ იყავით“, ...მოშლილ იყო ქალაქის „განწესებები და გუჯრები“[55], რომელიც ამიერიდან ისევ უნდა აღვადგინოთო. ქართლ-კახეთის სამეფოს ხელისუფალთა ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორედ ოსმალობისა და ყიზილბაშობის დროს „მოშლილი საქალაქო განწესებების“, საქალაქო ცხოვრების აღდგენა წარმოადგენდა.

XVIII ს. პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოში, XVII ს. მიწურულს დაწყებული შინაური არეულობა გრძელდებოდა. ფეოდალურ ურთიერთობაში სათავადოს სისტემის განუსაზღვრელი ბატონობა დიდად აბრკოლებდა ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის აღდგენას. მთავართა და თავადთა უფლებების ზრდა ბუნებრივად იწვევდა კარჩაკეტილ ფეოდალურ სამთავროთა და სათავადოთა კიდევ უფრო გაძლიერებას, ქვეყნის ერთიანობის დაცემას და იმერეთის სამეფო ხელისუფლების დაუძლურებას. ყოველივე ეს კი, ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთშიც უცხო მოძალადეს მეტ გასაქანს აძლევდა. 1723 წლიდან თურქებმა დაიპყრეს ფოთი, ასევე ოსმალებმა გაანადგურეს ლევან დადიანის მიერ განახლებული რუხი და მისი ციხე. ამიერიდან რუხი უმთავრესად სტრატეგიულ მნიშვნელობას ინარჩუნებს. რუხის ხარჯზე ოსმალებმა გააძლიერეს, როგორც სტრატეგიული და სავაჭრო ზღვისპირა პუნქტი, ანაკლია. ოსმალთა ხელში იყო ამავე დროს სხვა შავიზღვისპირა სავაჭრო ქალაქები და ნავსადგურები — ბათუმი, ციხისძირი (ძველი პეტრა) და სოხუმი.

---

[55] ГМГ, ф. Sd 2964.

თურქების გაძლიერება შავი ზღვის სავაჭრო პუნქტებზე დასავლეთ საქართველოს დიდ საფრთხეს უქმნიდა. ზემოაღნიშნული ზღვისპირა სიმაგრეები გამოყენებული იყო, როგორც უმთავრესი პუნქტები ტყვეებით ვაჭრობისა. ტყვეებით ვაჭრობა, ფეოდალური ურთიერთობის ეს ყველაზე მახინჯი ფორმა, ამჟამად, სამეფო ხელისუფლების დაუძლურების დროისათვის, კიდევ უფრო ფართო და მწვავე ხასიათს იღებდა. ამას გარდა, თურქი ასიმილატორების გაბატონება დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს ნაწილში ქვეყანას მთლიან დამორჩილებას, ქართველობას გადაშენებას უქადდა. თურქთა ძალმომრეობის წყალობით მოსახლეობის ერთი ნაწილი მაჰმადიანობას იღებდა და თანდათან კარგავდა თავის ენას, კულტურას. მაგრამ ქართველი ხალხის ძირითადი მასის თავდადებულმა ბრძოლამ თურქ ასიმილატორთა წინააღმდეგ ეს უკანასკნელნი აიძულა იქაც უკან დაეხიათ.

1752 წ. იმერეთის სამეფო ტახტზე ახალგაზრდა სოლომონ ალექსანდრეს ძე გამეფდა. ახალგაზრდა მეფე ენერგიულად შეუდგა იმერეთის უძლიერესი თავადების წინააღმდეგ ბრძოლას, მათ მორჩილებაში მოყვანას და ამ მიმართულებით ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია. დიდმნიშვნელოვანი იყო აგრეთვე სოლომონ I-ის ღონისძიებანი ტყვეთასყიდვის წინააღმდეგ; „თანდათან სოლომონმა თავის სამეფოში თითქმის სავსებით მოსპო ეს საშინელი სენი“[56]. 1757 წ. ხრესილის ომში ბრწყინვალე გამარჯვებამ ოსმალეთის სულთნის ლაშქართან სოლომონ I-ის საგარეო მდგომარეობა კიდევ უფრო განამტკიცა. გამარჯვებულმა მეფემ გადამდგარი თავადებიც შემოირიგა. მეფის ხელისუფლება იმერეთის სამეფოში თანდათან მტკიცდებოდა[57]. ამის შემდეგაც სოლომონ I-მა თურქებზე არაერთი გამარჯვება მოიპოვა. ოსმალები იძულებულნი ხდებიან სოლომონთან სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყონ; მაგრამ იმერეთის მეფე დარწმუნებული იყო, რომ თურქეთის სულთანთან ხანგრძლივი მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება შეუძლებელი იყო და ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ძლიერ მოკავშირეს ეძებდა. ასეთს მთელი საქართველოსათვის, — ცხადია, სოლომონ I-ისათვისაც, რუსეთი წარმოადგენდა. 1768 წ. სოლომონის მიერ რუსეთის სამეფო კარზე ელჩად მაქსიმე ქუთათელი გაიგზავნა. იმერეთის მეფე რუსეთის ხელმწიფისაგან მფარველობას

---

[56] საქართველოს ისტორია, ნ. I, გვ. 390.

[57] იქვე, გვ. 418.

ითხოვდა. თავის მხრივ კიდევ, თურქეთთან ომის შემთხვევაში რუსეთს სამხედრო დახმარებას პირდებოდა[58]. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სოლომონ I-სა და ერეკლე II-ს შორისაც 1758 წ. სამხედრო კავშირი დამყარდა, რომლითაც ორივე მხარე გარეშე მტრის (თურქეთის თუ ირანის) შემოსევის შემთხვევაში ურთიერთდახმარებას კისრულობდა.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოც თანდათან ძალას იკრებდა და აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად შემდგომი აღორძინების გზაზე დგებოდა: „მეფე შესამჩნევად გაძლიერდა, მისი შიში და პატივისცემა დასჩემდათ დადიანსა და გურიელსაც. ქვეყანა დამშვიდდა და სწრაფად მოშენება იწყო. ათიოდე წელიწადში მოსახლეობამ თვალსაჩინოდ მოიმატა“[59]. ქვეყანა ეკონომიკურად მოღონიერდა, გამოცოცხლება დაიწყო დასავლეთ საქართველოს ქალაქებმა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1744 წ. ნადირ-შაჰის მიერ თეიმურაზ II დამტკიცებულ იქნა ქართლის, ხოლო მისი შვილი ირაკლი II კიდევ კახეთის მეფედ. მამა და შვილი შეთანხმებულად და ენერგიულად შეუდგნენ ქვეყნის „გამოხსნისა და აღდგენისათვის“ ბრძოლას. ნადირ-შაჰი, მართალია, იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო, მაგრამ ქვეყანას მძიმე გამოსაღებებით და სხვადასხვაგვარი სამსახურის დაკისრებით მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობას არ აძლევდა. ნადირის სამეფოს დღეები დათვლილი იყო, იგი 1747 წ. მოკლულ იქნა და ამის შემდეგ ირანი გამუდმებულმა არეულობამ მოიცვა. იგი მალე რამდენიმე დამოუკიდებელ სახანოდ დაიშალა. ასევე, ცალკე სახანოებად დაიშალა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაც. ქართლსა და კახეთს შედარებით ხელსაყრელი საგარეო პირობები შეექმნა. ქართლ-კახეთის მეფეები გამუდმებით ებრძოდნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონების მოსურნე ხანებსა და ამ ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევდნენ: ერევნის, განჯისა და ნახჭევნის სახანოები ქართლ-კახეთის მეფეების მოხარკე შეიქმნა. „ხანებზე გამარჯვება, ერევნის განჯისა და ნახჭევნის დამორჩილება ქართველ მეფეთა დიდი სამხედრო და პოლიტიკური წარმატება იყო. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში საქართველოს უპირატესობა თითქოს აუცილებელი ხდებოდა“[60].

ქართლ-კახეთის მეფეთა წინაშე მეორე გადაუდებელი ამოცანაც იდგა — ლეკთა თარეშების აღკვეთა. ლეკთა მოულოდნელი თავ-

---

[58] საქართველოს ისტორია, ნ. I, გვ. 392.

[59] იქვე, გვ. 397.

[60] საქართველოს ისტორია, გვ. 376; გვ. 378—379.

დასხმები დიდ ზიანს აყენებდა ქართლ-კახეთის მოსახლეობას. ლეკები იტაცებდნენ არა მარტო ქვეყნის სიმდიდრეს — მოსავალს, საქონელს, არამედ სამუშაო ძალასაც, ადამიანებსაც, რომელთაც ისინი დაღესტანში უმთავრესად ყირიმის ვაჭრებზე ყიდდნენ. ლეკთა თარეშს დიდი ზიანი მოჰქონდა ქალაქებისთვისაც. თბილისისაკენ თუ საქართველოს სხვა ქალაქებისაკენ მიმავალი ქარავნები, ან კიდევ საქართველოს ქალაქებიდან მეზობელი ქვეყნების ქალაქებისაკენ მიმავალი ქარავნები არაერთხელ გაუძარცვიათ ლეკებს. ამ ამბების თანამედროვე ისტორიკოსების თხზულებებში ჩვენ ხშირად ვხვდებით ცნობებს ლეკების მიერ ქარავნების გაძარცვის შესახებ. მაგ., პაპუნა ორბელიანის თხზულებებში ხშირია ასეთი მითითებები: ლეკებმა „თრიალეთზე დიდი ქარავანი წაახდინეს"; ლეკებმა გაძარცვეს „ქარავანი არზრუმს მიმავალი ალგეთზე"[61]; ან კიდევ: „მცირეთა ხანთა შინა წამოვიდა ჯარი ისევ ლეკისა განჯიდამ და დადგა სომხითის ქვეყანაში და დაუწყო ცემა აქა-იქ და დადგა გზაზე, მრავალი მიმსვლელი-მომსვლელი ქარავანი წაახდინა... წავიდა ეს ლეკის ჯარი და ჯავახეთის მთებზე ავიდა, შეკრა გზები"[62]. სხვა საისტორიო წყაროში კიდევ ნათქვამია: „შეყრილობანი ლეკთანი მოვიდნენ ღართის კარს, წარტყვენეს ქარავანი ქართლისა"[63]. მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა. ლეკები ძარცვავდნენ არა მარტო ქალაქებში მიმავალ ქარავნებს, არამედ ქალაქების მიდამოებსაც, სოფლებს, რომელზედაც ფეოდალური ქალაქის ეკონომიკა ბევრად იყო დამოკიდებული. პაპუნა ორბელიანი წერს: ლეკები „მოვიდნენ ბევრჯერ და ქალაქების (თბილისის — შ. მ.) გარემოთა ბაღებთა, წისქვილებთან, და მოითარეშიან". შემდეგ კი „დაიწყეს რბევა ქალაქისა გარეშემოთა სოფლებთა. ასთსა კლდეთა შეიტანიან ნაშოვარი, რომ ქართველთა ჯარი იქ ვერ მიადგიან"[64]. ლეკები ზოგჯერ თვით ქალაქებში შეპარვასაც ახერხებდნენ და ხელოსნურ ნაწარმს თუ სავაჭროს იტაცებდნენ. პაპუნა ორბელიანის სიტყვით, როდესაც აჯი-ჩალაბი ქართლს შემოესია, „რაც ვაჭარი იყო ტფილისის ქალაქისა ამათი საქონელი სულ აიკლო, რომ დიაღ დიდძალი საქონელი და ლარი (ქსოვილი — შ. მ.) წაიღო და წარვიდა"[65]. თბილისს ზიანს აყენებდნენ ლეკთა ცალკეული წვრილი რაზმებიც. ალექსანდრე ჯამბა-

---

[61] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, B², გვ. 430.
[62] იქვე, გვ. 461.
[63] შედეგი კახეთის ცხოვრებისა, B_2, გვ. 504.
[64] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, B_2, გვ. 465, შდრ. აგრეთვე, იქვე, გვ. 463.
[65] იქვე, გვ. 442.

კურ-ორბელიანს სხვათა შორის მოთხრობილი აქვს: „შუა დღის შემდგომ ქ. ტფილისის ავლაბრის მხარეს... იქ. მტკუარის პირზედ მჩითავებსა ჩითები ჰქონდათ გაფენილი და წყლით თურმე ნამავდნენ. ამ დროს ჩუღურეთისა და ავლაბრის შუა ხევიდან დაქვეითებული ლეკები წამოეპარნენ, მჩითავები მტკვარში შეეცურდნენ, ლეკებმა ჩითები დაიტაცეს და გაიქცნენ“[66]. მსგავსი მაგალითი არაერთი იქნებოდა თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების ისტორიაში.

ზოგჯერ კიდევ ლეკების დიდი ლაშქარი ქალაქებისაკენ მიმავალ გზებს კეტავდა და მათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისაგან წყვეტდა. ასეთი შემთხვევაც აღნიშნული აქვს პაპუნა ორბელიანს: „შეიკრა გზები მტრისაგან (ლეკებისაგან, შ. მ.), რომ მგზავრი აღარ გაატარეს, აღარც ზემო ქართლიდამ ჩამოუშვეს და აღარც ახალციხისა ქვეყნიდამ ქარავანი; ამით ქალაქს თბილისს ძვირობა შეიქმნა და ხალხი დიაღ შეწუხდნენ“[67]. ერეკლე II-ს, პაპუნა ორბელიანის სიტყვით, არაერთხელ დასჭირვებია ლეკების მიერ ქალაქების ირგვლივ შექმნილი ასეთი რკალის გარღვევა[68]. ლეკების ამგვარი გამუდმებული ლაშქრობები ანადგურებდა ქვეყანას; ეცემოდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა. წვრილ-წვრილ თარეშებს გარდა, ლეკები 1754—1760-იან წლებში მსხვილ ლაშქრობებსაც აწყობენ, მაგრამ ერეკლე II-ის მიერ ლეკთა მარბიელი ლაშქარი ხუნძარის ბატონის ნურსალ-ბეგის მეთაურობით სასტიკად იქნა დამარცხებული. ქვეყანას მაინც ლეკთა წვრილი თარეშები არ ასვენებდა. ერეკლე II იძულებული ხდება უფრო გადამჭრელ ზომებს მიმართოს. XVIII ს. 70-იანი წლებისათვის „მორიგე ჯარის“ შექმნისა და სხვა სამხედრო რეფორმათა ძირითადი მიზანი იყო ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლა. მართლაც, „მორიგეს“ შექმნამ, მიუხედავად იმისა, რომ თავადების ჟინიანობის წყალობით იგი არც ისე დიდხანს არსებობდა, საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო. ამასთან ერთად, ერეკლეს სხვადასხვა ღონისძიებებმა — ციხეების გამაგრება და შეკეთება, ახალი ციხეების აგება და სხვა — ლეკებს საქართველოში ფეხი ამოუკვეთეს, ლეკთა ლაშქრობები უკვე სისტემატურ ხასიათს არ ატარებდა.

მრავალმხრივი იყო ერეკლეს ღონისძიებანი, ქართლ-კახეთის

---

[66] ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, დაღესტნიდგან ლეკების გადმოსვლა, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1914, გვ. 20.

[67] პაპუნა ორბელიანი, B_2, გვ. 466.

[68] იქვე, გვ. 467.

სამეფოს მის ხელქვეშ გაერთიანების შემდეგ (1762 წ.), ქვეყნის შინაგანი ძლიერების აღდგენის საქმეში. ერეკლე II-ის საგლეხო პოლიტიკა მტკიცედ აწესრიგებდა ყმასა და ბატონს შორის „ბატონ-ყმური რიგით“ არსებულ ნორმებს, რომელიც ბატონების მიერ მწარმოებელი კლასის საზიანოდ არაერთხელ ყოფილა დარღვეული. ბრძოლა სათავადოების წინააღმდეგ, ოპოზიციონური ელემენტების განადგურება (მარკოზაშვილის დარბაზი), ერისთავებისა და ხანების მიერ მოურავების დანიშვნა (არაგვის საერისთავო, ყაზახის სახანო, ბორჩალო, ბაიდარი) და სხვა, ქვეყნის გაერთიანებისა და სამეფო ხელისუფლების სიძლიერის აღდგენისაკენ იყო მიმართული.

ქართლ-კახეთის მეფე არ ივიწყებდა თურქ-ოსმალთა მიერ მიტაცებულ ქართულ მიწაწყალსაც და შესაძლებელ შემთხვევაში მის შემოერთებაზედაც ფიქრობდა. საამისო მომენტი რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომის დროს დადგა. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე და იმერეთის მეფე სოლომონი მზად იყვნენ შეერთებოდნენ რუსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ, თუკი რუსეთის სახელმწიფო ამ ბრძოლაში მათ სათანადო სახსრებითა და ჯარით დახმარებას აღმოუჩენდა.

საქართველოს მეფეებთან რუსეთს ამჟამად კავშირი აუცილებლად და სასარგებლოდ მიაჩნდა; ოსმალეთის წინააღმდეგ სამხრეთის ფრონტის გახსნით იგი თურქების მნიშვნელოვან ძალას ომის მთავარ არენას ჩამოაშორებდა. ამიტომაც 1769 წ. საქართველოში რუსეთის ლაშქარი შემოვიდა. თავიანთი მიზნები ჰქონდათ ამ ომში საქართველოს მეფეებსაც: სოლომონ I-ს რუსეთის ლაშქარი თავისი შინაგანი ძლიერების განმტკიცებისა და იმერეთიდან ოსმალეთის საბოლოოდ განდევნისათვის სჭირდებოდა. ერეკლე II-ს რუსეთის დახმარებით ოსმალეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის დაბრუნება, ჭარ-ბელაქანის უბატონო თემების დამორჩილება და ლეკთა მტაცებლური თავდასხმების აღკვეთა სურდა[69]. მართალია, რუსეთის ლაშქრის საქართველოში გამოჩენამ გენ. ტოტლებენის მეთაურობით და ასპინძის ომმა, რომელიც ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, ერეკლეს ჩანაფიქრი ვერ შეუსრულეს და რუსეთის მოკავშირეობამ ქართლ-კახეთს მეზობელი ქვეყნები კიდევ უფრო გადაუმტერეს, მაგრამ რუსეთ-ოსმალეთის ომს საქართველოსათვის მაინც მნიშვნელობა ჰქონდა. 1774 წ. ქუჩუქ-კაინარჯის ზავით, იმერეთი რჩებოდა ოსმალეთის

---

[69] საქართველოს ისტორია, ნ. I, გვ. 392.

ვასალობის ქვეშ, მაგრამ სათურქო გამოსაღებისაგან თავისუფლდებოდა.

საგარეო ურთიერთობაში გარკვეული პოლიტიკური გეზის აღებას ქართლ-კახეთის სამეფოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გენ. ტოტლებენის მოქმედებამ საქართველოში, მეფის რუსეთის გულგრილმა დამოკიდებულებამ XVIII ს. 70-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებასთან დაკავშირებით, ერეკლე II აიძულა ერთხელ კიდევ გადაეხედა თავისი საგარეო პილიტიკისათვის, მაგრამ ძირითადი არჩევანი მაინც ერთი რჩებოდა — რუსეთის სახელმწიფო იქნებოდა ერთადერთი საიმედო და მტკიცე მოკავშირე. რუსეთის მეშვეობით იგი ფიქრობდა ერთხელ და სამუდამოდ ეხსნა ქვეყანა ირანელ და ოსმალო ასიმილატორების თავდასხმებისაგან და ფეოდალურ ჩიხში მომწყვდეული საქართველო აღორძინების გზაზე დაეყენებინა. როგორც ცნობილია, 1783 წ. გიორგიევსკში ხელმოწერილ იქნა რუსეთ-საქართველოს შორის დადებული „მეგობრული ხელშეკრულება", ტრაქტატი. მიუხედავად იმისა, რომ ამის შემდეგაც ქართლ-კახეთის მეფეს საგარეო და საშინაო მდგომარეობა არაერთხელ გართულებია და ამის გამო არაერთხელ წამოუჭრიათ ოპოზიციურ ძალებს რუსეთთან დამყარებული ურთიერთობის გადასინჯვის საკითხი, ირაკლი II და მისი მომხრე ფეოდალთა პროგრესული ნაწილი რუსეთთან დადებული ხელშეკრულების დამცველად და რუსეთთან კავშირის განმტკიცების მომხრედ რჩებოდნენ. აღსანიშნავია, რომ რუსეთთან კავშირის გაგრძელების მომხრენი იყვნენ აგრეთვე საქართველოში მცხოვრები სომხები — მსხვილი ვაჭრები, რომელთათვისაც განსაკუთრებით საჭირო იყო ძლიერი სახელმწიფოს მფარველობა და მასთან ეკონომიკური კავშირი. სომეხი ფეოდალები კიდევ რუსეთის დახმარებით სომხური სახელმწიფოს აღდგენაზე ოცნებობდნენ.

ერეკლე II დიდ ყურადღებას უთმობდა ქვეყნის შინაგანი ეკონომიკური აღორძინებისათვის ზრუნვას. მეფეს კარგად ესმოდა, რომ სოფლის მეურნეობის, ხელოსნურ-მანუფაქტურული წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების გარეშე წარმოუდგენელი იყო ქართლ-კახეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობის განმტკიცება. ამიტომაც, იგი ზრუნავდა როგორც საქართველოში არსებული სარეწავების გაუმჯობესებაზე, ასევე ახლის დაარსებაზე. მაგ., ერეკლე II-მ თბილისში შექმნა მინის საწარმოო[70], მის მიერვე 1774 წლიდან ალა-

[70] იხ. ЦГВИА, Ф. ВУА, № 22656. თბილისის 1782 წ. ფრანგ. გეგმა, ექსპლიკაციის №49.

ვერდში და ასტალაში უცხოეთიდან საგანგებოდ გამოწერილი ბერძენი ოსტატების შემწეობით განახლდა საქართველოში საუკუნეების მანძილზე მივიწყებული სამთამადნო სარეწავები, რომელიც სამეფოს მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა. ზრუნვა სამთამადნო წარმოების შემდგომ განვითარებაზე არ შეწყვეტილა ერეკლე II-ის მემკვიდრის გიორგი XII-ის დროსაც. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე ახალ-ახალ მადნებს ეძებდა და რუსეთის მეშვეობით სამთამადნო წარმოების გაფართოებაზე ფიქრობდა. გიორგი 1800 წ. სათანადო პირებს უბრძანებდა: „გრაფი პუშკინი აპოლოს აპოლოსიჩი მადნების გასასინჯავად მივა", დიდის პატივით მიიღეთ და ხალხსაც მიაღებინეთ... „ერთი ბეწვის ოდენა თუ აწყენინეთ, ვინმე რიგიანათ და მართებულად აღარ დახვდათ და ისე მართებულად არ წაიყვანეთ და არ მოიყვანეთ, ჩვენს ბატონყმობაზედ ხელი უნდა აიღოთ, ეს საქმე ხუმრობა არ არის"[71]. ასევე უბრძანებდა ჯავახიშვილებს, რომ ღირსეულად დახვედროდნენ მის მიერ მადნების გასასინჯად გაგზავნილ ბერძენ ოსტატებს: „ერთობლივ ჯავახიშვილები, მერე ელია ბერძენი და ერთი სხვა მადანჩი ბერძენი გამოგვიგზავნია და მაღალაშვილი დათუა გამოგვიტანებია და ამათ უნდა გარკონის მადანი აჩვენოთ, დამალვა არასდროს არ იქნება. უნდა მანდედამ ჯავარი ჩამოგვიტანონ. თუ ეგ მადანი არ უჩვენეთ ამ ბერძნებს და დამალეთ, ასე იცოდეთ, რომ „ჩვენს ბატონყმობაზე ხელს აგაღებინებთ"[72]. მოტანილი მასალებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ზრუნავდა გიორგი XII ერეკლეს მიერ წარმატებით წამოწყებული სამთამადნო საქმის განვითარებისათვის და ისიც, თუ როგორ ეღობებოდა ყოველივე ამას ქვეყანაში განმტკიცებული ბატონყმური ურთიერთობა — მეფეს სჭირდება საგანგებოდ გააფრთხილოს მეპატრონე თავადიშვილები, რომ ბერძენ ოსტატებს მადანი არ დაუმალონ.

ერეკლე II-მ განსაკუთრებით განავითარა აგრეთვე სამხედრო დანიშნულების სარეწაოებიც. თბილისის 1782 წ. გეგმის მიხედვით ქალაქში იყო „მეფის ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა"[72]. ერეკლეს დროსვე მოწესრიგდა აგრეთვე სამონეტო საქმე, სტამბის საქმე, განვითარდა ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგები და სხვ.

ერეკლე II ცდილობდა აგრეთვე წარმოების ახალი დარგების დანერგვასაც; განზრახული ჰქონდა „მოეზიდნა უცხოეთიდან კაპი-

---

[71] ГМГ, ф. 3010.
[72] ГМГ, ф. 3011.
[72] ЦГВИА, ф. ВУА, № 22656, ექსპლიკაციის № 40.

ტალისტ-წამომწყებნი"[73]. აღსანიშნავია, რომ უცხოეთიდან მოწვეული კაპიტალისტ-წამომწყებნი ხშირად მეფისაგან რადიკალური სახელმწიფოებრივი რეფორმებს, კერძოდ, გლეხთა ბატონყმობისაგან განთავისუფლებასაც კი მოითხოვდნენ და სამეფო ხელისუფლებას ამ მნიშვნელოვან ღონისძიებათა გატარებისაკენ აქეზებდნენ[74]. მაგრამ ქართლ-კახეთის იმდროინდელი სამეფო, ცხადია, საამისოდ მზად არ იყო.

სამეფოს ეკონომიკური აღორძინების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ ერეკლე II ვაჭრობის განვითარებას მიიჩნევდა. უკვე ერეკლეს დროის საქართველოში, სათანადო მერკანტელისტური თეორიებიც მუშავდება ვაჭრობის, როგორც ქვეყნის გამამდიდრებელისა, და ვაჭრების, როგორც ფუტკრებივით მზრუნველ და სიტკბოების მომპოვებელ ხალხთა, შესახებ. ალექსანდრე ამილახვარის აზრით, „არა რა არს ესრეთ განმადიდებელი და განმაძლიერებელი სახელმწიფოჲსა, ვითარ სიმრავლე ვაჭართა და ვაჭრობის მათი, რომელნი მოვლიან ყოველსა სოფელსა და შემოჰკრებენ ყოველგნით კეთილსა მამულსა თჳსსა, და დაიმჭირნოსა ცხოვრებისათჳს კაცთასა. ამისათჳს ჰკამს ცდას განმრავლებისა მათისა და გახალისებაჲ მათი საქმეთა შინა მათთა, და ნუცავინ შეურაცხ-ჰყოფს სახელმწიფოს შინა მათ, რომელნი შეირაცხჳან სიმაგრედ ჯარისა, შემმოსილ ერისა და დიდებად მეფისა. რომელსა ჰსძულს ვაჭარი და შეურაცხ-ჰყოფს, ნუმცა უყვარს მას სიმრავლეჲ თეთრისა და ნუმცა დიდებით ცხოვრებაჲ თჳსი, ურომლითაოდ არა ეგების არცა ერთი, და რომელთა მივიჩნევ დიდად მონაწილედ კეთილოვნებისა სამეფოჲსათა ვაჭართა მიუღიეს თავსა შორის თჳსსა მჰსგავსებაჲ ბუნებით კეთილგონიერისა ფუტკრისა (რომელი, მპოვნელი მზესა ქუეშე ყოვლისა სიტკბოებისა, შემოჰკრებს ბუდესა თჳსაა და აღავსებს თავსა თჳსაა და პატრონსა სიტკბოებითა), ხოლო თუმცა ვჰპოვნებდეთ რასმე ნაკლოვანებასა ვაჭართა შინა, ჰკამს ეგრეთ მომთმენელ ვიყუნეთ, ვითარ იგი პატრონი ფუტკართა ისარისა მისსა"[75]. ვაჭართა როლი ამგვარადვე წარმოდგენილი ჰქონდა ქართლ-კახეთის იმ-

---

[73] საქართველოს ისტორია, ნ. I, გვ. 399.

[74] См. А. Ерицов, Индийские богатые завещания, «Кавказ», 1883, № 94, А. И. Иоаннисян, Россия и армянское освободительное движение, Ереван, 1947, с. 149—155; შ. მესხია, რაფიელ დანიბეგაშვილი, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 13/XI, 1949, № 45.

[75] ალ. ამილახვარი, ბრძენი აღმოსავლეთისა, ГМГ, ф. 303, с. 71—72. ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, I. თბ., 1907, გვ. 235—236.

დროინდელ ხელისუფლებას და ამიტომაც ყოველნაირად ცდილობდა მათთვის ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნა. ერეკლე II-ს ვაჭრები არა მარტო ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების წყაროდ, არამედ აგრეთვე სამეფო ხელისუფლების პოლიტიკურ დასაყრდენადაც სურდა გამოეყენებინა. დამახასიათებელია, რომ ერეკლე „მორიგე ლაშქრის“ სამსახურიდან მხოლოდ ვაჭრებს ანთავისუფლებდა და აძლევდა შესაძლებლობას „მორიგეში“ თავიანთ მაგიერ სხვა გაეგზავნათ“[76]. თავის „ანდერძში“ იგი საგანგებოდ ჩერდებოდა ვაჭრებზე და მემკვიდრეებს აფრთხილებდა, რომ მოქალაქეებს სხვა სამსახურზე ნუ მოაცდენთ, რადგან „ხარჯისაც (სახელმწიფო შემოსავლის./ შ. მ.) დასაკლისია და თავის აღებ-მიცემობაზე აღარ იქნებაო“[77]. ერეკლე, როგორც თვით აღნიშნავდა, „ვაჭართა ზიანს“ ს ა-ველნაირად უფრთხილდებოდა. ამ მხრივ საინტერესოა ერეკლეს წერილი მურავიოვისადმი რუსული ფულის ერთეულების ადგილობრივი ფულის ღირებულებასთან შედარების შესახებ. 1770 წ. ერეკლე წერდა: „რომელიც იმპერიალი არის... ის (საქართველოში, შ. მ.) ერთ თუმნად იხარჯება დაუყოვნებლად; რომელიც ძველი რუბლი არის ის ექვს აბაზად აქაურს თეთრზედ, და ახალი რუბლი ხუთ აბაზ ერთ შაურად. ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ბრძანებით ძალასაც მოვინდომებდით ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სამსახურისათვის, რ. ე უნამეტნესადაც გასულიყო ოქროც და ვერცხლიც, მაგრამ რადგანაც გარეშემო მეზობლებში მეტად არ დაიხარჯება, ამისთვის ვაჭართ ზიანს გავუფრთხილდით, რომ ქვეყანას სავაჭრო არ მოაკლდეს“[78]. ერეკლე II ცდილობდა აგრეთვე ქვეყანაში აღებ-მიცემობის განვითარების მიზნით მოეზიდა უცხოელი, განსაკუთრებით კი სომეხი ვაჭრები. ქართლის დაუსახლებელი ადგილების დასახლებას, ვაჭრობის შემდგომ განვითარებას ისახავდა მიზნად ქართლში კოლონისტების მიზიდვის ცდები. ამავე მიზანს ისახავდა ერეკლეს „მანიფესტი სომხთადმი“, რომლითაც იგი სპარსეთის სხვადასხვა პროვინციებში გაფანტულ სომხებსა, „ურჯულოთა მიერ წამებულ ხალხს“ თავის ქვეყანაში თავმოყრისაკენ მოუწოდებდა და „თავისუფლებრივ ცხოვრებასა“, „მონაგებთა“ ხელისუფლებას და ქართველი ერის თანაბარ პატივს და სიყვარულს ჰპირდებოდა[79].

ქართლ-კახეთის სამეფო არ კმაყოფილდებოდა ამგვარი ღონის-

---

[76] ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი.

[77] საქართველოს სიძველენი, I, გვ. 219.

[78] А. Ц а г а р е л и, Грамоты, II, в. I, с. 37.

[79] ЦГИАГ, ф. 227, № 1300.

ძიებებითა და სხვა საშუალებებითაც საშინაო და საგარეო ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის იბრძოდა, ახალ-ახალ გზებს საზავდა. ქვეყნის სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური წყობის გარდაქმნა დღის წესრიგში იდგა. ამ დროისათვის არაერთი პროექტი შემუშავებულა, სახელმწიფოებრივი წყობის, სამართლის და სხვ. გარდაქმნის მიზნით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იოანე ბაგრატიონის პროექტი, რომელიც ნაწილობრივ მაინც, ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII ს. მიწურულისათვის არსებულ მდგომარეობასაც ასახავს.

პროექტიდან კარგად ჩანს ქართლ-კახეთის სამეფოს მეურნეობის შემდგომი წინსვლა; სამეფო ხელისუფლების გაძლიერება დიდად იყო დამოკიდებული საერთოდ ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებაზე და კერძოდ, სამთამადნო და სხვა სახის წარმოების, ვაჭრობა-ხელოსნობის, საქალაქო ცხოვრების და სხვ., მოწესრიგებაზე. ამიტომაც პროექტის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ საკითხებს აქვს დათმობილი. პროექტის ცალკეული თავები, სპეციალურად ვაჭრობის განვითარების მიზნით, სათანადო ღონისძიებათა გატარების აუცილებლობაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ იოანე ბატონიშვილს არ აკმაყოფილებს ამ მხრივ მიღწეული, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ვაჭრობა ქართლ-კახეთის სამეფოში უმთავრესად უცხო წარმოშობის ხალხის ხელთ არის. მისი წარმოდგენით, ქართლ-კახეთის მეფის ხელისუფლების გაძლიერებისათვის „პირველი საქმე არის რითაც შეიძლებოდეს ვაჭრობა დავაგუაროთ ქართველთა კაცთა შორის, ამისათვის რომელ, რისაც სარწმუნოების არის მეფე და ერნი, ვაჭარნიცა მისივე სარწმუნოებისანი უმჯობეს იქმნებიან. ჩუჷნ თითქმის სომხებისა და თათრების ვაჭრების ჯელის შემხედუჷლნი ვართ და ეს ძლიერება იქმნება ჩუჷნი ოდესცა ვაჭარნიცა ჩუჷნნი იქმნებიან; და ამისთვის გამოვარჩიოთ ქართლიდამ, კახეთიდამ რაოდენიმე კაცნი, ისევ ვაჭრებთან ნამყოფნი და შევარჩვიოთ ვაჭრობას. ამათ ჯელი განემართოს საქუეყნოს შემოსავლიდამ, რათა ისწავლონ ვაჭრობა; გარდა ამისა, სომეხთაცა და თათართაცა ისე ივაჭრონ, როგორითაც უვაჭრიათ პირველ“[80]. მაგრამ ვაჭრობის განვითარებისათვის თვით ქალაქთა კეთილმოწყობა, საქალაქო ცხოვრების მოწესრიგება იყო საჭირო. ამ საკითხებსაც იოანე ბაგრატიონი დიდ ადგილს უთმობს. იგი ზოგი ქალაქის გამაგრება-განახლებაზე, ზოგთა კიდევ დაარსებაზე მოგვითხრობს[81]. ასევე,

---

[80] ГМГ, ф. Н: 2155, გვ. 27—28.

[81] იქვე, გვ. 39.

საჭირო იყო ზრუნვა ქალაქების მოსახლეობის ზრდისთვისაც. ამ მიზნით იოანეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსახლეობის აყრა და ქალაქში გადმოსახლება მიაჩნდა საჭიროდ; ახლად დასახლებული მოსახლეობა შვიდ წელიწადს „გათარხნებული“ უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ხარჯებისაგან[82]. ასე და ამგვარი საშუალებებით აღორძინებულ ვაჭრობაში, იოანე ბაგრატიონის პროექტით, თვით მეფის ხელისუფლებაც უნდა იღებდეს მონაწილეობას: „იყოს სამეფო დუქნები ერთად. მას დუქნებსა შინა იყოს ყოველგვარი გასასყიდელი ფარჩებიც და სხუა კარგნი ნივთები, აგრეთვე საიდანაცა ფეშქაშები მოერთმევა მეფესა, რაც ენებება ამ გუარს ნივთებსაც გააყიდვინებს მასვე დუქანშია, აგრეთვე სამკედრო იარაღითა და აქედამაც კარგი შემოსავალი ექნება მეფეს“[83]. მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის მარტო ვაჭრობის განვითარება როდია საკმარისი. იოანე ბაგრატიონის სიტყვით, სამეფო ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს აგრეთვე სამთამადნო და სხვა სახის წარმოების, საფეიქრო საქმისა და სხვ. განვითარებისათვის: „მადნები, რაოდენ შეიძლებოდეს ან მეფემ თავის ჯარჯით ამუშაოს და ანუ იჯარადარს მისცეს... მუშა მოიჯარადრის რიცხვში იყოს, იმის ჯარჯზედ“[84]. „ვეცადნეთ გამრავლებასა ყოვლისა გვარის ჭელოვნებისასა, გაკეთებასა ქარხნისასა და მცოდნეთა კაცთა მიხანიკისა და სხუათა სახმარობათა წისკვილებისა, შენობებისა მცოდნეთა კაცთა უცხოს ქვეყნიდამ მოყუანასა და ამას სწაულათა გამრავლებასა, ეგრეთვე საქსოვებისა მცოდნეთა“...[85] იოანე ბატონიშვილის პროექტში უკვე ასახული იყო ისიც, რაც ერეკლე II-ს ამაზე ადრე დაწყებული ჰქონდა, მაგრამ რომელიც ჯერ კიდევ საკმარისი არ ჩანდა.

საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალობისა და ყიზილბაშობის დროს ქართლსა და კახეთში მოშლილი საქალაქო წესწყობილების, ვახტანგ VI-ის დროინდელი „განწესებების“ აღდგენას, შევსებასა და განმტკიცებას. ერეკლემ 1770 წ. ბრძანებით აღადგინა ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის მიერ დაკანონებული ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის მაღალი ფენისათვის — „მოქალაქეთათვის“ (გვიანფეოდალური ხანის გაგებით) ხელსაყრელი „საკუთრების ქალაქური წესი“; მის მი-

---

[82] იქვე,
[83] იქვე, გვ. 42.
[84] იქვე, გვ. 5.
[85] იქვე, გვ. 40—41.

ერვე ხელახლა განსაზღვრულ იქნა ქალაქის მოხელეების (მოურავის, მელიქ-მამასახლისის, ნაცვლის და სხვ.) უფლება-მოვალეობა და სარგო. ერეკლე II-ის დროინდელი სამეფო ხელისუფლება აქტიურად ჩაერია აგრეთვე ხელოსნურ ორგანიზაციათა — ამქრების — საქმიანობის მოწესრიგებაშიც, ქალაქის სამართლის მოწესრიგებაში საქალაქო ცხოვრების ყოველ უბანში. სამეფო ხელისუფლება გვიანფეოდალური ხანის ქალაქების მოსახლეობის ზედაფენისათვის ხელსაყრელი პირობებისა და გარკვეულ უპირატესობათა მინიჭების წყალობით ცდილობდა ძლიერი მოკავშირე გაეჩინა დეცენტრალიზაციის მომხრე თავადების წინააღმდეგ. მაგრამ ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ის სახე, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომელმაც გვიანფეოდალურ ხანაში ქვეყანა ჩიხში მოაქცია, საქალაქო ცხოვრების იმდენად განვითარების შესაძლებლობას არ იძლეოდა, რომ იგი ამ ჩიხის დამძლევ ძალად ქცეულიყო.

ამას გარდა, საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის, „ვაჭრის პიროვნებისა და ქონების დაცვის უზრუნველყოფისათვის“ ჯერ კიდევ საკმარისი არ ჩანდა ერეკლეს მიერ ჩატარებული ღონისძიებანი. ამით აიხსნება, რომ ერეკლე II-ს ზოგჯერ ადმინისტრაციული ზომების მიღება სჭირდებოდა, რათა შეენარჩუნებინა ქალაქების მოსახლეობა. მაგ., 1784 წ. საგანგებო ბრძანებით მან აკრძალა ქ. თბილისიდან და გორიდან მოსახლეობის აყრა და სხვაგან გადასვლა[86].

მიუხედავად ამისა, ერეკლე II-ის მოღვაწეობის დრო, წინა ხანასთან შედარებით, ქართლ-კახეთის სამეფოში საქალაქო ცხოვრების აღორძინებისა და შემდგომი განვითარების პერიოდი იყო. ასევე შეიძლება ითქვას დასავლეთ საქართველოს შესახებაც. XVIII ს. მეორე ნახევრიდან იმერეთის სამეფოშიც ქალაქები და საქალაქო ცხოვრება აღორძინების გზას დაადგა. მაგრამ ქვეყანაში გაბატონებული თავადური სისტემა მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობას სპობდა. საქართველო მძიმე ფეოდალურ კრიზისს განიცდიდა. ერეკლე II კარგად გრძნობდა ამ კრიზისს, ფეოდალურ ჩიხს, სახელმწიფოებრივი წესწყობილების უვარგისობას, მისი გარდაქმნისაკენ მიისწრაფოდა, მაგრამ საამისო შინაგანი პროგრესული ძალა აღარ ჩანდა, ამიტომაც ფეოდალური ჩიხის დაძლევის ერთადერთ საშუალებად ისევ რუსეთთან ურთიერთობა და მისი დახმარება მიაჩნდა.

---

[86] Д. Пурцеладзе, Крестьянския Грамоты, с. 42.

1795 წ. ირანის შაჰის აღა მაჰმად-ხანის გამანადგურებელმა ლაშქრობამ, რომელმაც საქართველოს ყველაზე უდიდესი ქალაქი მიწასთან გაასწორა, კიდევ უფრო გაამწვავა ფეოდალური, ბატონყმური კრიზისი, კიდევ უფრო დაასუსტა ქვეყნის პროგრესული ძალები.

აღა მაჰმად-ხანის გამანადგურებელმა ლაშქრობამ გააქარწყლა ერეკლეს მიერ საქალაქო ცხოვრების აღორძინების მიზნით ჩატარებული მრავალმხრივი რეფორმები. ერეკლე II-ის მარცხმა კრწანისის ველზე გამოამჟღავნა ქართლ-კახეთის სამეფოს მძიმე კრიზისი, მისი უძლურება — უზრუნველყოს ქვეყანაში მშვიდობიანი ცხოვრება, რომელიც აუცილებელი პირობა იყო ფეოდალური ჩიხის დაძლევისა და განვითარების ახალი გზების დასახვისათვის. დამახასიათებელია, რომ აღა მაჰმად-ხანის ლაშქრობის დროს თბილისიდან გახიზნული მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, განსაკუთრებით შეძლებულ მოქალაქეებს, არ სურდათ თბილისში დაბრუნება, ისინი რუსეთისაკენ მიიწევდნენ[87]. ბუნებრივია, ვაჭარი ისეთ ძლიერ სახელმწიფოს ეძებდა, რომელიც უზრუნველყოფდა მისი „პიროვნებისა და საკუთრების დაცვას".

თბილისში დარჩენილი მოქალაქეები კი 1796 წ. საგანგებო არზით ერეკლე II-ისაგან ქალაქის გამაგრებასა და მათი ქონების დაცვის უზრუნველყოფას მოითხოვდნენ. მაგრამ თუ ქალაქის (თბილისის) გამაგრება და მისი დაცვა მტრისაგან ვერ მოხერხდებოდა, ისეთ ადგილას გადასახლების მოსურნენი იყვნენ, სადაც შეეძლებოდათ მშვიდობიანი ცხოვრება და მათი ისედაც განადგურებული ქონების მტრის ძალმომრეობისაგან მომავალში მაინც დაცვა[88]. ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლებას მოქალაქეთა სამართლიანი მოთხოვნის — უშიშროების უზრუნველყოფის — შესრულების შესაძლებლობა არ ჰქონდა. ამიტომაც ეს მნიშვნელოვანი, ერთადერთი ძალაც, რომელიც მეფის ხელისუფლებას ფეოდალური ჩიხის დაძლევისათვის სურდა გამოეყენებინა, თანდათან ხელიდან ეცლებოდა — ნაწილი რუსეთში გადადიოდა, ნაწილი კიდევ ოპოზიციურ ძალად იქცეოდა და საქართველოში იმ გარეშე ძალის გაბატონებას უწყობდა ხელს, რომელიც ქვეყნის უშიშროებას უზრუნველყოფდა. ასეთს ამ დროისათვის მეფის რუსეთი წარმოადგენდა. შემთხვევითი არ არის, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ვაჭრები ცარიზმის

---

[87] შდრ. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., გვ. 77.

[88] საქართველოს სიძველენი, III, გვ. 228.

აგენტებად იქცნენ და ყოველნაირად ხელს უწყობდნენ რუსეთის ხელისუფლების განმტკიცებას საქართველოში. 1798 წ. ქართლ-კახეთის ენერგიული მეფე ერეკლე II-ც გარდაიცვალა. გიორგი XII-ის ხანმოკლე მეფობის წლები კი აღმოსავლეთ საქართველოს თანდათანობითი დაცემის წლები იყო. გიორგის გარდაცვალების შემდეგ (1800 წ.) ქართლ-კახეთი გამუდმებულმა ურთიერთბრძოლამ მოიცვა. ერთმანეთს ებრძოდნენ ტახტის მაძიებელი უფლისწულები; ქვეყანა კიდევ უფრო უძლურდებოდა. მეფის რუსეთმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და ქართლ-კახეთის სამეფოში მეფობა გააუქმა; 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტით აღმოსავლეთ საქართველო რუსეთს შეუერთდა.

რუსეთთან შეერთებით საქართველომ დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა, იგი მეფის რუსეთის კოლონიად იქცა. რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში ამოიკვეთა ირანელ და თურქ ასიმილიატორთა მძარცველური ლაშქრობები, ლეკთა ყაჩაღური თარეშები. ქვეყანა გადაშენებას გადაურჩა, დადგა მშვიდობიანი განვითარების პირობები; ქართველ ხალხს, რუს ხალხთან დამყარებული მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის შედეგად, ფეოდალური ჩიხის დაძლევის შესაძლებლობა მიეცა — კაპიტალისტურმა ურთიერთობამ საქართველოში თანდათან გზა გაიკაფა; ცალკეულ ფეოდალურ ერთეულებად დაქსაქსული ქვეყანა გაერთიანდა და XIX ს. მეორე ნახევარში ქართველი ხალხი ჩამოყალიბდა როგორც ერი. ეს იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების მეორე და ქართველი ხალხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგი.

2. საქართველოს ქალაქები XVII—XVIII საუკუნეებში

XVII ს. დამდეგი, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში საქალაქო ცხოვრების დაცემის, ქალაქების აოხრების დრო იყო. საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით დაწინაურებული კახეთიც XVII ს. დამდეგს განადგურდა და მისი ქალაქები აოხრდა. რუსი ელჩების, მიშეცკისა და კლუჩარევის მიხედვით, XVII ს. 40-იან წლებში კახეთში ქალაქები არ იყო, რაც ძველად იყო, შაჰმა ლაშქრობების დროს დაანგრია და გაანადგურა[89]. კიდევ მეტი, ამავე ელჩების

[89] Посольство кн. Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640—1643, док. издал М. Полиевктов, т. I, 1928, с. 160.

მიხედვით, კახეთში არათუ ქალაქები, ბაზრებიც და იარმარკებიც კი არ ყოფილა[90]. ერთ დროს სახელგანთქმული გრემი, ამ დროისათვის როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანგრეული იყო ისე, რომ მას რუსი ელჩები სოფელს ან კიდევ მცირე ქალაქს უწოდებენ. რუსი ელჩების ზემომოტანილ ცნობებს ჩვენ უყოყმანოდ ვერ გავიზიარებთ. მიშეცკსა და კლუჩარევზე რამდენიმე წლით ადრე ნამყოფი ფ. ვოლკონსკი და ა. ხვატოვი, მართალია, კახეთში ქალაქების არარსებობაზე, მათ განადგურებაზე მოგვითხრობენ, მაგრამ არ უარყოფენ სავაჭრო ადგილების, ვაჭრობის და სავაჭრო საგნების არსებობას იმდროინდელ კახეთში[91]. როგორც არ უნდა იყოს გაზვიადებული მიშეცკისა და კლუჩარევის მითითება, ერთი მაინც ცხადია, როსტომის წინა ხანის კახეთისა და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოსათვის ქალაქთა და სავაჭრო ადგილთა სიმცირე დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო. XVII ს. შემცირდა აგრეთვე კახეთის ქალაქის ყარაღაჯის მნიშვნელობაც, რომელიც თანდათან უცხოელთა ბატონობის ქვეშ მოექცა. XVIII ს. დამდეგისათვის იგი, როგორც ქალაქი, აოხრებული იყო[92]. XVII ს. მთელ სიგრძეზე კახეთში ერთადერთ ქალაქად თელავი რჩებოდა, რომელსაც XV—XVI სს. თავისი ძველი მნიშვნელობა შედარებით დაკარგული ჰქონდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გამქრალიყო და რომელიც კახეთის მეფემ არჩილმა (1664—1675 წწ.) ისევ აღადგინა[93]. სწორედ თელავი უნდა ჰქონდეს მხედველობაში შარდენს, როცა წერს: „კახეთის სამეფოში რამდენიმე ქალაქი ყოფილა უწინ; ახლა ისინი სულ დანგრეულია ერთის გარდა, რომელიც კ ა ხ ე თ ა დ ვ ე (sic) იწოდება. თბილისში ყოფნის დროს მითხრეს ის ქალაქები (კახეთის დანგრეული ქალაქები, შ. მ.) დიდები და მდიდრულად ნაგები იყოო; ამასვე აფიქრებინებს კაცს ის, რაც კიდევ მთელად დარჩენილა, თვის ნანგრევებიც“[94]. შარდენის მიერ აქ „კახეთად“ წოდებული ქალაქი სხვა არ შეიძლება იყოს, თუ არა თელავი. იგი იმდროინდელი კახეთის მართლაც ერთადერთი ქალაქი იყო. თელავი მომდევნო ხანებში გაძლიერდა და მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქად იქცა. Nicolaes Witsen-იც XVII ს. კახეთში ოთხ ქალაქს ასახელებს — Gremia (-გრემი), Pasari

---

[90] იქვე.

[91] Материалы по истории грузино-русских взаимоотношении, გვ. 332.

[92] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 49.

[93] იქვე, გვ. 100.

[94] შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა, ქართ. თარგ., გვ. 80.

(-ბაზარი), Karagatjech (-ყარაღაჯი) და Chekiti (-ხეკითი?)[95], ეს უკანასკნელი მოგვაგონებს შარდენისეულ „კახეთს“, რაც ამ შემთხვევაშიც თელავს უნდა უდრიდეს. თელავის ამგვარი სახელი — „კახეთი“ ან კიდევ Chekiti ქართული წყაროებისათვის უცნობია.

კახეთის მდგომარეობა საქალაქო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით თითქმის არ შეცვლილა XVIII ს. პირველ ნახევარში. ვახუშტის მიხედვით, არჩილის მიერ განახლებულ თელავში იყო მხოლოდ „სასახლე და ციხე“[96]. კახეთის ძველი, სხვა მნიშვნელოვანი ქალაქები — უჯარმა, ყინვანი, ხორნაბუჯი, გრემი, ბაზარი და სხვა, ზოგი ადრე, ზოგი კიდევ XVII ს. სოფლებად და დაბებად იყო ქცეული. საქალაქო ცხოვრება „ძნელბედობის“, ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობის დროს კახეთშიც დაქვეითდა. კახეთში ქალაქების აღდგენა-განახლება ისევ ერეკლე II-ს მეფობის დროზე მოდის. არჩილის მიერ ძველი თელავის გვერდით შექმნილი ახალი თელავი[97] ერეკლე II-ის დროისათვის თანდათან ძლიერდება. XVIII ს. 50-იანი წლებისთვის ერეკლე II-მ, პაპუნა ორბელიანის სიტყვით, „განასრულა გალავანი თელავისა“[98]. მომდევნო წლებში თელავი თანდათან აღორძინდა და აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს ქალაქად იქცა. გიულდენშტედტი მას კახეთის დედაქალაქს (die Kachetische Hauptstadt) უწოდებს, რომელიც აგრეთვე ვაჭრობა-ხელოსნობის მნიშვნელოვანი ცენტრიც იყო[99]. კახეთის მთავარ ქალაქად მოიხსენიებს თელავს ბურნაშევიც[100].

XVIII ს. მეორე ნახევარში კახეთში, ერთ-ერთი უძველესი ქალაქის ნანგრევებზე, მის მახლობლად, რომელიც დიდი ხნით უკვე მივიწყებული იყო, წარმოიშობა ახალი ქალაქი ს ი ღ ნ ა ღ ი. სიღნაღი, როგორც პუნქტი, ქართველ ისტორიკოსთა მიერ XVIII ს. არაერთხელ მოიხსენიება. მაგრამ XVIII ს. პირველ ნახევარში იგი ქალაქი არ ყოფილა. სიღნაღის ქალაქად გადაქცევა აგრეთვე ერეკლე II-ის მოღვაწეობის დროზე მოდის. ომან ხერხეულიძის სიტყვით, ქართლ-კახეთის მეფემ გორის, თელავის და სხვ. გალავნებთან

---

[95] W i t s e n N i c o l a e s., Noort ooster gedeelte van Asia en Europa, m. 2, Amsterdam, 1705, გვ. 516.

[96] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 100.

[97] იხ. ძველი და ახალი თელავის ვეგმა, ЦГВИА, ф. ВУА.

[98] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, В², გვ. 451.

[99] И. А. Г ю л ь д е н ш т е д т, Описание, გვ. 223; Reisen, გვ. 98-99.

[100] С. Д. Б у р н а ш е в, Картина Грузии, Тб., 1896, с. 9.

ერთად სიღნაღის გალავანიც აღაშენა[101]. აღორძინებული პუნქტი მალე ქალაქად იქცევა. ერეკლე II-ს 1770 წ. იგი ქართლ-კახეთის ქალაქთა სიაში შეაქვს[102]. არტემ არარატელი, რომელმაც საკმაოდ დიდი დრო გაატარა XVIII ს. მიწურულს სიღნაღში, სხვათა შორის, წერს: ეს ქალაქი დაღესტანს ესაზღვრება, მთაზეა გაშენებული, ბევრია ვაზი და ნაყოფის მომცემი ხეები, აქვეა ერთი დიდი ქართული მონასტერი, სასტუმრო და ციხე[103]. სიღნაღს იხსენიებს და დეტალურად აღწერს აგრეთვე გიულდენშტედტიც[104].

ინტერესს იწვევს იმის გარკვევა, თუ რომელი ქალაქის ნანგრევებზე აღმოცენდა სიღნაღი. ამ მხრივ დახმარებას გაგვიწევს 1826 წ. სიღნაღის აღწერილობა, რომელიც ЦГВИА-შია დაცული. უცნობი ავტორი, აღწერს რა XIX ს. დამდეგის სიღნაღს, უყურადღებოდ არ ტოვებს მის მიდამოებში არსებულ სიძველეებსაც, აღმწერელის მიხედვით სიღნაღის მიდამოებში ორი მნიშვნელოვანი სიძველეა: «1. Крепость Чуети именовавшыяся в древности Хорнабуджи, стены от времени разрушаются». მეორე ძველი სიმაგრე კიდევ, აღმწერს ვახტანგ გორგასალის აშენებულად მიაჩნია, მაგრამ ეს უკანასკნელი ამჟამად ჩვენ არ გვაინტერესებს[105].

როგორც ჩანს, ავტორი ლაპარაკობს სიღნაღის ტერიტორიაზე ძველი ქართული საისტორიო მწერლობით XII—XIII სს. საკმაოდ ცნობილი ქალაქის ხორნაბუჯის ნაშთების შესახებ. საეჭვო არ არის, რომ რუსი ავტორის «Чуети» იგივეა, რაც ვახუშტისა და სხვა წყაროების (რომან ხერხეულიძე, რაინეგსი და სხვ.) „ჭოეთი", «Tschoet»[106]. ვახუშტი თავის თხზულებაში შენიშნავდა: „ყარაღაჯის სამკრით, საიაც დასწყდების ცერეთის მთა ანუ ციკის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი და აწ უწოდებენ ჭოეთს. აქ კლდესა ზედა შენ არს ციხე მაგარი და იყოცა ქალაქი კარგი"[107]. ნათლად ჩანს, რომ უსახელო რუსი ავტორისა და ვახუშტის მიხედვითაც ხორნაბუჯის შემდეგი სახელი „ჭოეთი" ყოფილა. ასე რომ, 1826 წ. ცნობის ავტორს ძველი ხორნაბუჯის ანუ

---

[101] ომან ხერხეულიძე, B_2, გვ. 499.

[101] ერეკლე II-ის ოფიციალური ცნობა იხ. „საქართველოს წარსულის სასტატისტიკო და საეკონომიო შესასწავლად", „ კვალი", № 11, 1898 წ.

[103] Жизнь Артемия Араратского, Спб, 1813, ч. II, с. 121-122.

[104] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 200; Reisen, с. 91.

[105] ЦГВИА, ф. ВУА, № 18481, л. 106.

[106] ომან ხერხეულიძე, B^2, გვ. 499; I. Reineggs, Beschreibung, გვ. 105—106. რაინეგსს ჭოეთი შეცდომით ყარაღაჯის ნანგრევებად მიაჩნია.

[107] ვახუშტი, აღწერა, გვ. 97.

შემდეგდროინდელი ჭოეთის ნაშთები სიღნაღის მიდამოებში ეგულებოდა.

ქართულ საისტორიო გეოგრაფიაში ხორნაბუჯის ადგილმდებარეობა ზუსტად არ არის დადგენილი. ვახუშტი, როგორც ვნახეთ, მას ყარაღაჯის სამხრეთით ეძებდა. მის მიერვე მოცემული სხვადასხვა განმარტებებიდან ჩანს, რომ ხორნაბუჯი ვახუშტის მართლაც ცივის მთის დასასრულს ეგულებოდა, თუმცა ვახუშტი თავის რუქაზე ხორნაბუჯს ყარაღაჯის სამხრეთით კი არ ათავსებს, როგორც წერს, არამედ მის ჩრდილოეთით. ვერც ივ. ჯავახიშვილი არკვევს ზუსტად ხორნაბუჯის ადგილმდებარეობას[108], მაგრამ მას საქ. ისტორიულ რუქაზე ყარაღაჯის ჩრდილოეთით მდ. ალაზნის მახლობლად, მის მარჯვენა ნაპირზე ათავსებს[109]. ეს, ცხადია, ვახუშტის სათანადო ცნობებს არ შეესაბამება. ვახუშტი, როცა ცივის მთის დასასრულის შესახებ საუბრობს, იქვე შენიშნავს: მთა „მერმე წარმოვალს და მივალს მაღარო-ხორნაბუჯამდე"[110]. ამას გარდა, ვახუშტის სიტყვით, „ხორნაბუჯის დასავლით არის ბოდბის-ჯევი, პირველ წოდებული ბოდბა, გამომდინარე ცივის მთისა; ამ ჯევს ზედა არს ბოდბის ეკლესია გუმბათიანი"[111]. გავიმეოროთ ზემოთქმულიც, რომ ხორნაბუჯი არის იქ, „სადაც დასწყდების ჰერეთის მთა ანუ ცივის მთა". ასე რომ, ზემომოტანილ განმარტებათა მიხედვით, ხორნაბუჯი უნდა ვეძიოთ ცივის მთის დასასრულს, მაღაროს მახლობლად და ბოდბის-ჯევისა და ბოდბის აღმოსავლეთით, ე. ი. ნამდვილად ყარაღაჯის სამხრეთით და არა მის ჩრდილოეთით. როგორც ჩანს, ვახუშტის რუქის შედგენის დროს შეცდომა მოსვლია, მაგრამ ეს შეცდომა მისივე ცნობებით ადვილად სწორდება. რა პუნქტი უნდა იყოს ზემოდასახელებულ მიდამოებში ისეთი, რომელიც ჩვენ შეიძლება ხორნაბუჯის ადგილად ვივარაუდოთ? რა თქმა უნდა, ის პუნქტი, სადაც XIX ს. დამდეგს ამ ძველი ქალაქის ნაშთები ჩანდა და რომელსაც აქ ქალაქის გაქრობის შემდეგ ჭოეთს ეძახდნენ და XVIII ს. II ნახევრის სიღნაღის მიდამოებში მდებარეობდა. მართლაც, სიღნაღთან „დასწყდების ცივის მთა", აქვეა ვახუშტის მიერ მოხსენებული მაღარო და სიღნაღის დასავლეთით, იქვე მახლობლად არის ბოდბისხევი და ბოდბა.

---

[108] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1945, გვ. 40, 44.

[109] საქართველოს ისტორიული რუქა, ივ. ჯავახიშვილის რედ., თბ., 1923.

[110] ვახუშტი, აღწერა, გვ. 87.

[111] იქვე, გვ. 97.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სიღნაღის მიდამოებში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალები დიმიტრი I, გიორგი III, თამარის, გიორგი IV-ისა და ელდეგეზიდების შესახებ[112]. როგორც ვხედავთ, სიღნაღის მიდამოებში აღმოჩენილ მონეტათა განძი ძირითადად XII—XIII სს. მიეკუთვნება. რა თქმა უნდა, ეს განძიც სხვას არ შეიძლება ეკუთვნოდეს, თუ არა იმ ძველ ნანგრევებს, რომელიც XVIII ს. ჭოეთის სახელით იყო ცნობილი და XII—XIII სს. ხორნაბუჯი ეწოდებოდა. მართლაც, XII—XIII სს. კახეთში ხორნაბუჯი ერთ-ერთ უძლიერეს ქალაქად ითვლებოდა.

ამრიგად, XVIII ს. მეორე ნახევრის ქალაქი სიღნაღი, XII—XIII სს. საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქის ხორნაბუჯის ნანგრევებზე, მის მიდამოებში აღმოცენებულა. აღსანიშნავია, რომ XVIII ს. მეორე ნახევარში წარმოშობილი ქალაქი სიღნაღი თანდათან გაიზარდა და XIX ს. დამდეგისათვის აღმოსავლეთ საქართველოში ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის ძლიერ ცენტრად იქცა.

როგორც ვხედავთ, XVIII ს. კახეთში მხოლოდ ორი ქალაქი იყო — თელავი და სიღნაღი. ამათ გარდა, კახეთში სხვა, მნიშვნელოვანი ქალაქის ტიპის დასახლების დაბებიც არსებობდა, რომელთა შორის XVIII ს. 70-იან წლებში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საგარეჯოს, სადაც გიულდენშტედტის ცნობით 500 კომლზე მეტი (დაახლ. 2500 სული) მცხოვრები იყო[113].

საქალაქო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო XVII საუკუნის ქართლში. ქართლის სამეფოს ეკუთვნოდა საქართველოს ძველი დედაქალაქი თბილისი. მიუხედავად მრავალჯერ აოხრებისა თბილისი მაინც ინარჩუნებდა საქართველოს ქალაქებში უპირველეს ადგილს.

ჯერ კიდევ ი. ტავერნიე XVII ს. შუა წლების თბილისის შესახებ წერდა: „ტფილისს, რომელიც ქართლის სატახტო ქალაქია, კარგი მდებარეობა აქვს, საკმაოდ დიდია და კარგად გაშენებული და აქ აბრეშუმის დიდი ვაჭრობა სწარმოებს“,[114] როსტომის ხანიდან მოყოლებული თბილისი ისევ აღმავლობის გზას დაადგა და XVII ს. შუა წლებში და შემდეგ ერთ-ერთ ხალხმრავალ ქალაქს, ხელოსნობისა და

---

[112] Е. А. Пахомов, Монетные Клады, в. I, с. 52.

[113] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 209; Reisen, с. 83.

[114] I. B. Tavernier,..., Reluzion, Paris, 1677, II, IX, ქართ. თარგმანი, „ტავერნიეს მოგზაურობიდან“, „მოამბე“, VI, 1898, გვ. 5.

ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა. 1663 წ. კათოლიკე მისიონერი ანდრია ეპიფანე თბილისის შესახებ რომში იწერებოდა: „აქ (თბილისში, შ. მ.) უფულოდ წყლის გარდა არაფერი იშოვება, ფულიც ადვილად იხარჯება, რადგან აქ ძლიერ ბევრი ხალხია. აქაური მკვიდრის გარდა, აუარებელი ვაჭრები არიან აღმოსავლეთიდან მოსული; ამიტომ აქ ცხოვრება იაფი არ არის“[115]. მრავალრიცხოვანი მცხოვრებლებითა და სხვადასხვა ქვეყნებიდან მოსული ვაჭრებით და მათ მიერ მოტანილი საქონლით უხვ ქალაქად სახავს ამავე დროს თბილისს სერაფინო მილოკოკანელიც[116]. XVII ს. 70-იანი წლების, ვახტანგ V-ის (შაჰ-ნავაზის) დროინდელი თბილისის საგარეო ვაჭრობის, მოსახლეობის მრავალრიცხოვნობისა და სიდიდის შესახებ ლაპარაკობდა აგრეთვე ფრანგი მოგზაური შარდენიც: «Город Тифлис густо населен. В нем можно встретить больше чем где-либо иностранцев. Здесь ведется большая торговля»[117]. მომდევნო ხანისათვის თბილისი კიდევ უფრო გაძლიერდა, განსაკუთრებით კი XVIII ს. პირველ მეოთხედში, რაც კარგად ჩანს ტურნეფორისა[118] და ვახუშტის[119] აღწერილობებიდან. მაგრამ გაძლიერებული თბილისი ოსმალობისა და ყიზილბაშობის დროს ისევ ეცემა. მისი შემდგომი აღორძინება კიდევ ერეკლე II-ის მოღვაწეობის დროზე მოდის.

XVII—XVIII სს. ქართლის მეორე მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა გორი. ქ. გორსა და მის ციხეს XVI—XVII სს. არაერთი აოხრება განუცდია. ვახუშტის მიხედვით, როცა სიმონ I-მა გორის ციხე ოსმალებს წაართვა, იგი სასტიკად დანგრეულა. ციხე როსტომის მეფობის დროისათვის ყიზილბაშებს განუახლებიათ. მისი დროიდან იწყება გორის ერთგვარი აღორძინებაც. გარეშე მტრებისაგან ქალაქი და ციხე მოსეენებული იყო. როსტომმა აქ სამეფო სასახლეც ააშენა[120]. მიუხედავად ამისა, XVII ს. 70-იან წლებში გორი თბილისთან შედარებით პატარა ქალაქი იყო. მართალია შარდენს, ქართლის ოთხ ძირითად პუნქტთა შორის, მხოლოდ თბილისი და გორი მიაჩნია ქალაქად, მაგრამ ეს უკანასკნელი, მისი სიტყვით, პატარა ქალაქი იყო: „გორი პატარა ქალაქია, — წერს შარდენი, — მდებარეობს ვაკეზე... მტკვრის ნაპირას ერთი გორის ძირში, რომელზე-

---

115 თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 225.

116 ისტორიის ინსტიტუტის არქივი.

117 შარდენი, მოგზაურობა საქ-ში, ე. ღვინიაშვილის თარგმანი, გვ. 224.

118 Старый Тифлис, сб., с. 26.

119 ვახუშტი, აწერა, გვ. 52—54.

120 იქვე, გვ. 74.

დაც ციხე არის აშენებული... ეს ციხე აუშენებია გურჯისტანის უკანასკნელი ომის დროს, 40 წლის წინათ რუსტენ ხანს (როსტომს, შ. მ.)... ეს ციხე ძალიან მაგარია, მოხერხებულ ადგილზე არის აშენებული, თვით ქალაქი პატარაა. სახლები და ბაზრები მიწურებია. მცხოვრებლები სულ ვაჭრები არიან და ამიტომ საკმაოდ შეძლებულნიც. აქ უხვად არის ყოველგვარი ხორაგი და იაფად იყიდება"[121]

ოსმალობა-ყიზილბაშობის დროის გორიც ძლიერ დაზიანდა. ნადირ-შაჰმა, ვახუშტის სიტყვით, გორის ციხე დაანგრია; ამავე დროს „ოსმალთა და ლეკთა ყიზილბაშთაგან შემცირდა ქალაქიც"[122]. გორის ციხის აღდგენისა და ქალაქის აღორძინებისათვის ზრუნვა ისევ ერეკლე II მეფობის დროიდან იწყება. ომან ხერხეულიძის სიტყვით, „ირაკლიმ განაახლა ციხე გორისა"[123]. ამის შემდეგაც, ერეკლე II-ის ბრძანებით, გორის ციხე და მისი ქალაქის გალავანი არაერთხელ შეკეთებულა; როგორც 1797 წ. საბუთიდან ჩანს, გორის გალავნის, ციხისა და სხვ. შეკეთება ძირითადად გორელების და გორის მიმდგომი სოფლის მცხოვრებლების შრომითა და ხარჯით უნდა მომხდარიყო. ერეკლეს ბრძანებით, საკირე ქვის მოჭრა, საჭირო კირის გამოწვა, სამყოფი აგურის გამოჭრა და გამოწვა, მათი ადგილზე მიტანა გორელებს (ცხადია, მისი დაბალი მოსახლეობის) თავისი შრომითა და ხარჯით უნდა განეხორციელებინათ. ხოლო კირისა და აგურის გამოსაწვავად რაც შეშა იქნებოდა საჭირო, საციციანოს, საჯავახოს, სათარხნოს სოფლებს — ქარელიდან ძეგვამდე — უნდა მიეტანათ. საამშენებლო ქვა და მუშახელი კი „ვაკე ქართლის" — „მუხრანიდან მოკიდებული ჭალით საყარამდინ" — სოფლებს უნდა მიეწოდებინათ. რაც მთავარია კალატოზების სასმელ-საჭმელი და ხელფასიც, ერეკლეს ბრძანებით, გორელებსა და გორის სარეწავებს უნდა გაეღოთ[124].

ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლების ზრუნვის შედეგად XVIII ს. მეორე ნახევრიდან გორი თანდათან ძალას იკრებდა და აღორძინების გზაზე დგებოდა, მაგრამ თავის ადრინდელ სიძლიერეს XVIII ს. მანძილზე მაინც ვერ მიაღწია. იაზიკოვი გორის შესახებ წერდა, რომ იგი შემოზღუდულია ქვის არცთუ ისე მაღალი და სუსტი ღობით, გორაზე ძველი ციხეა, რომელშიც ერთი მცველი ცხოვრობს. ამჟამად ქალაქში მოსახლეობა ბევრი არაა, ნანგრევებიდან

---

[121] შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქ-ში, გვ. 81-82.
[122] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 74.
[123] ო მ ა ნ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე., B_2, გვ. 499.
[124] ИВАН; отд. рукописей, E: გვ. 160.

ჩანს, რომ იგი უფრო მეტი იყო. რამდენიმე გამორჩეული სახლია, უმეტესობა მიწურებია[125]. აღსანიშნავია, რომ გორს დაბად მოიხსენიებს მურავიოვი[126], რაინეგსის მიხედვითაც იგი პატარა ქალაქია[217]. გორს იხსენიებენ, მის ციხეს აღწერენ აგრეთვე გიულდენშტედტი[128]. ბურნაშევი[129], კლაპროტი[130] და სხვ. არაერთი მნიშვნელოვანი ცნობა გორის ციხისა და ქალაქის გარეგანი სახის შესახებ მოეპოვებათ XVII—XIX ს. ქართველ ისტორიკოსებს[131].

თბილისისა და გორის გარდა ქართლში იყო სხვა ქალაქებიც. 1624 წ. ერთ რუსულ დოკუმენტში მოხსენებულია სურამი, როგორც ქალაქი[132]. ქართლის XVII ს. ქალაქთა შორის თბილისისა და გორის გვერდით სურამს იხსენიებს შარდენიც, რომელიც, ფრანგი ვაჭრის თვალით, ამ დროისათვის უფრო დაბა იყო, ვიდრე ქალაქი[133]. შარდენისვე ცნობით, XVII ს. ქართლში ქალაქად მიჩნეული ყოფილა ალიც, რომელიც, მისი სიტყვით, ამ დროისათვის პატარა სოფელი იყო[134]. როგორც ჩანს, ალი XVII ს. 70-იან წლებში ძლიერ დამცრობილა. მაგრამ XVIII ს. პირველ ნახევარში მას ისევ გამოცოცხლება დატყობია. ვახუშტის ცნობით, იგი ქართლის „მცირე ქალაქი“ იყო[135]. მართალია, ქართლ-კახეთის ქალაქთა შორის ერეკლე II ალს არ მოიხსენიებს, მაგრამ ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ იგი იმდროინდელ ახალდაბაზე ნაკლები მნიშვნელობის პუნქტი იყო. მით უფრო, რომ ამდროინდელი სხვა წყაროები ალს ქართლის ერთ-ერთ ქალაქად მიიჩნევენ. „ამ პროვინციაში (ზემო ქართლში, შ. მ.) მთავარი ქალაქებია — წერდა ალ. ამილახვარი — გორი, ცხინვალი, სურამი, ალი“[136].

---

[125] А. Цагарели, Грамоты, I, с. 188.

[126] იქვე, გვ. 217.

[127] I. Reineggs, Beschreibung, გვ. 75.

[128] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 166.

[129] С. Д. Бурнашев, Картина Грузии, с. 8.

[130] I. Klaproth, II, 325—327.

[131] სეხნია ჩხეიძე, გვ. 338; პაპუნა ორბელიანი, გვ. 396., ომან ხერხეულიძე, B²; ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., გვ. 240, 243 და სხვ., А. Туманов, Описание Груз. города Гори,Спб, 1816.

[132] Материалы по истории грузино-русских взаимоотношении, с. 164.

[133] შარდენი, მოგზაურობა საქ-ში, გვ. 81.

[134] იქვე, გვ. 63.

[135] ვახუშტი, აღწერა, გვ. 80—81.

[136] ალ. ამილახვარი, გეორგინული ისტორია, „მნათობი“, № 8, 1939, გვ. 128.

როგორც ჩანს, შარდენის მიხედვით, XVII ს. 70-იანი წლების ქართლში მხოლოდ ოთხი ქალაქი იყო: თბილისი, გორი, სურამი და ალი. მაგრამ ეს ორი უკანასკნელიც ფრანგ მოგზაურს ქალაქებად არც კი მიაჩნია. სხვა მნიშვნელოვან პუნქტებს შარდენი ქართლში არ იცნობდა, რაკი მას ისინი არ გაუვლია. მაგ., შარდენი არ იცნობდა როსტომის მიერ დაარსებულ „მეფის ქალაქს" (ქართლის ახალ-ქალაქს), ასევე იგი არ იცნობდა ცხინვალსაც, რომელიც თბილისის ჩრდილოეთით მდებარეობდა. თუმცა ეს პუნქტებიც ფრანგ ვაჭარს ასევე შეიძლება ქალაქად არ მიეჩნია. დამახასიათებელია, რომ მეორე უცხოელიც, Nic. Witsen-ი XVII ს. მეორე ნახევრის ქართლში მხოლოდ ორ ქალაქს — თბილისსა და გორს —ასახელებს[137].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVII ს. მეორე ნახევარსა და XVIII ს. პირველ მეოთხედში, როცა შეწყდა უცხოელთა გამუდმებული თავდასხმები, ქართლი აღმავლობის გზას დაადგა; დარბეული და დანგრეული ქალაქები თანდათან შენდებოდა, გამოცოცხლებას იწყებდა ვაჭრობა-ხელოსნობა... მაგრამ ამ ხნის განმავლობაში („მეფის ქალაქს" გარდა, რომელიც XVII ს. პირველ ნახევარში წარმოიშვა), არც ერთი ახალი ქალაქი არ წარმოშობილა. სამაგიეროდ გაიზარდა „მცირე ქალაქთა", ანუ სავაჭრო დაბათა რიცხვი. ეს კარგად ჩანს ვახუშტის ცნობიდან.

ვახუშტის მიხედვით, XVIII ს. პირველ ნახევარში ქართლში შემდეგი დიდი და მცირე ქალაქები იყო: „ოფრეთი მცირე ქალაქი და ციხე მისი"[138], „მცირე ქალაქი ბოლნისი"[139], „წინწყარო ქალაქი მცირე"[140], თბილისი[141], ახალქალაქი[142], „ატენი მცირე ქალაქი"[143], „მძორეთი მცირე ქალაქი"[144], „მცირე ქალაქი ახალგორი"[145], გორი[146], „მცირე ქალაქი ცხინვალი"[147], „თამარაშენი მცირე ქალა-

---

137 Nic Witsen, Noort oostergedeelte von Asia en Europa, გვ. 516.
138 ვახუშტი, აღწერა, გვ. 36.
139 იქვე, გვ. 37.
140 იქვე, გვ. 47.
141 იქვე, გვ. 52—54.
142 ვახუშტი, აღწერა, გვ. 56.
143 იქვე, გვ. 57.
144 იქვე, გვ. 58.
145 იქვე, გვ. 68.
146 იქვე, გვ. 73—74.
147 იქვე, გვ. 76.

ქი"[148], „ალი ქალაქი მცირე"[149], „სურამი მცირე ქალაქი"[150] და „ახალდაბა მცირე ქალაქი"[151].

ამრიგად, ვახუშტის დროისათვის ქართლში 14 მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტიდან დიდი ქალაქი მხოლოდ ორი — თბილისი და გორი იყო, დანარჩენი 12 კიდევ „მცირე ქალაქებს", ქალაქის ტიპის დასახლების მქონე სავაჭრო პუნქტებს წარმოადგენდნენ.

მაგრამ ვახუშტის მიერ აქ დასახელებულ „მცირე ქალაქთა" შორის, რა თქმა უნდა, განსხვავება იყო. ამით აიხსნება, რომ ვახუშტის მიერ აქ „მცირე ქალაქებად" მოხსენებული ზოგი პუნქტი შემდეგ-დროინდელ წყაროებში არც მცირე და არც საერთოდ ქალაქად არ მოიხსენიებიან (მაგ., ოფრეთი, ბოლნისი, წინწყარო, თამარაშენი და სხვ.), ალბათ იმიტომ, რომ ეს პუნქტები ვაჭართა და ხელოსანთა მუდმივი სამოსახლო ადგილი კი არ იყო, არამედ დროებითი შესაკრებელი. ასევე ზოგი აქ დასახელებულ მცირე ქალაქთაგან კიდევ ერთ დროს ძლიერი, მაგრამ შემდეგ დამცრობილი პუნქტებია, მაგ., ატენი, მძორეთი (ზოერეთი); ალი და სხვ. ზოგი კიდევ შემდეგდროინდელ წყაროებში უკვე ქალაქებად მოიხსენიებიან. შეიძლება ეს იმით აიხსნებოდეს, რომ ვახუშტის დროინდელი ზოგი მცირე ქალაქი შემდეგში, განსაკუთრებით XVIII ს. 60—70-იანი წლებიდან მოღონიერდა და ძველი მდგომარეობა აღიდგინა, ან კიდევ თანდათან გაიზარდა და ქალაქად იქცა. ასეთებად ჩანან სურამი და ცხინვალი.

სურამი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ერთ-ერთ უძველეს პუნქტს წარმოადგენდა. იგი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შემაერთებელ გზაზე, სურამის ქედის ერთადერთ გადასასვლელზე მდებარეობს. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ აქ, უძველეს სავაჭრო გზაზე მდებარე პუნქტში, სურამში აღმოჩენილია აქემენიდური ვერცხლის სიკლა, რომელიც მთელს საქართველოში დღემდე ერთადერთ აღმოჩენად ითვლება[152]. ასე რომ, სურამი უძველესი დროიდან დასახლებულ მნიშვნელოვან პუნქტად უნდა იქნეს მიჩნეული. მაგრამ იგი IX—XIII სს. ქართულ და უცხოურ წყაროებში ქალაქად არც კი მოიხსენიება. თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ სურამი ქალაქი არ იყო. ქართული

---

148 იქვე.
149 იქვე, გვ. 80—81.
150 იქვე.
151 იქვე.
152 Е. А. Пахомов, Монетные клады, в. I, გვ. 36.

წერილობითი წყაროები არ იხსენიებს, მაგალითად, სამხრეთის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქს ახალციხესაც. აღსანიშნავია, რომ ქართლის ერისმთავრები XII—XIII სს. „სურამელად“ იწოდებიან (შდრ. სამხრეთში „ახალციხელები“). ქართულ წყაროებში არაერთხელ გვხვდება „სურამელი გრიგოლ მსახურთუხუცესი[153]“, „დიდი მსახურთუხუცესი გრიგოლ სურამელი“[154], „სურამელი ბეგა“ და სხვ. ისე როგორც ახალციხელებს ახალციხე ეკუთვნოდათ და იგი მათი საჯდომი ქალაქი იყო, ასევე ეკუთვნოდა ქართლის ერისმთავარს — დიდ მოხელეს, საქართველოს სამეფოს მსახურთუხუცესს სურამი. სურამი ქართლის ერისთავების საჯდომი იყო. ცხადია, იგი იმდროინდელი საქართველოს მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ, მიუხედავად მრავალგვარი საშინაო და საგარეო ცვლილებებისა, სურამი სავსებით არასოდეს გამქრალა (ამ მხრივ მას დიდად უწყობდა ხელს თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა), ოღონდ XVII—XVIII სს. მიჯნაზე, როგორც აღვნიშნეთ, ის მცირე ქალაქად იყო ქცეული. XVIII ს. მეორე ნახევარში, მართალია, სურამს თავისი ძველი დიდება მთლიანად ვერ დაუბრუნებია, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტის როლს, როგორც ქალაქი, მაინც ასრულებდა. ერეკლე II-ს იგი ქართლ-კახეთის ქალაქთა შორის აქვს მოხსენებული[155]. სურამს ქართლის სხვა ქალაქებთან ერთად (გორი, ცხინვალი და სხვ.) გამაგრებულ დაბად იხსენიებს მურავიოვიც. იგი ამის თაობაზე 1770 წ. პანინს წერდა[156]. ასე რომ, XVIII ს. 70-იან წლებში სურამი გორის, თელავის და სხვა აქ დასახელებული პუნქტების თანაბარ „დაბად“ ყოფილა მიჩნეული. გიულდენშტედტიც შიდა ქართლის ცნობილ ადგილთა შორის ასახელებს გორს, ცხინვალს და სურამს[157]. ი. რაინეგსიც იხსენიებს სურამს[158]. სურამისა და მისი ციხის შესახებ გივი ამილახვარის აჯანყების ამბების აღწერასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობები დაცული აქვს აგრეთვე პაპუნა ორბელიანსაც[159].

ამრიგად, ვახუშტის მიერ მოხსენებულ მცირე ქალაქთა შორის

---

153 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 127.

154 იქვე, გვ. 128, შდრ. იქვე, გვ. 141, 149.

155 „ქვალი“, № 11, 1898.

156 А. Цагарели, Грамоты, I, с. 189.

157 И. А. Гюльденштедт, Описание, с. 166.

158 I. Reineggs, Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus, m. II, st, Pet. 1779, p. 73, «Iberien»-ის მაგიერ უნდა იყოს «Imeretien».

159 პაპუნა ორბელიანი, В², გვ. 377, 378.

XVIII ს. მეორე ნახევარში სურამი ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო.

ასევე შეიძლება ითქვას ცხინვალის შესახებაც. ცხინვალი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია. ცხინვალსა და მის მიდამოებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები ამის საუკეთესო საბუთია[160]. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმასაც, რომ აქ 1943 წ. აღმოჩენილ იქნა სელევკიდების ვერცხლის ტეტრადრასმა, რომელიც ანტიაქ ევერგეტს (138—129) მიეკუთვნება[161]. როგორც ჩანს, ცხინვალი წინაქრისტიანულ ხანაშიც მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ იგი, როგორც ვაჭრებით დასახლებული პუნქტი, იხსენიება 1344 წ. სიგელში[162]; XVII—XVIII სს. წყაროებში კი უკვე „მცირე ქალაქად" ან ქალაქად იხსენიება. როგორც ზემოთ ვნახეთ, ცხინვალს, გორთან, სურამთან და სხვებთან ერთად, როგორც ქართლის მნიშვნელოვან პუნქტს, ასახელებენ ვახუშტი, მურავიოვი, გიულდენშტედტი; ასევე მას, როგორც სიმაგრეს, იხსენიებს იაზიკოვიც[163]; ალ. ამილახვარი კი თავის „გეორგინულ ისტორიაში" ყოველთვის ქართლის ქალაქად მოიხსენიებს და გორის შემდეგ მეორე ადგილს აკუთვნებს[164]. ცხინვალი ქალაქად მოხსენებული აქვს აგრეთვე რაინეგსს თავის „აღწერილობაში"[165].

XVIII ს. მეორე ნახევარში, ქართლის ჩრდილოეთ რაიონებში, ჩრდილოეთის ქვეყნებთან, რუსეთთან ეკონომიკური კავშირის გაძლიერებისა და უძველესი სავაჭრო გზის გახსნასთან დაკავშირებით მანამდე ცნობილი პუნქტები — ანანური და დუშეთი თანდათან ქალაქებად იქცევიან.

ანანური არაგვის ერისთავთა სადგომი ციხე-სიმაგრე იყო. ვეძათხევისა და „არაგვის კიდეზედ, წერს ვახუშტი, არის ანანური. ძველად იყო ეკლესია მცირე, არამედ წელსა ქრისტესა ჩ ღ დ (1704) აღაშენა გიორგი ერისთავმან ეკლესია გუმბათიანი, დიდი, გარემო

---

160 გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, „მიმომხილველი", II, გვ. 239—276.

161 Е. А. Пахомов, Монетные клады, в. V, с. 16.

162 თ. ყორდანია, ქრონიკები, II, გვ. 197.

163 А. Цагарели, Грамоты, I, с. 188.

164 ალ. ამილახვარი, გეორგინული ისტორია, „მნათობი", №8, 1939, გვ. 128, 153, 154.

165 Reineggas, Beschreibung..., გვ. 76.

მოაულო ზღუდე ქვითკირისა და მაღალსა კლდესა ზედა ქნა კოშკი და ციხე"[166].

აღსანიშნავია, რომ ანანური XVIII ს. დამდეგს მარტო ციხე-სიმაგრე როდი იყო, იგი, როგორც ჩანს, სავაჭრო პუნქტად ითვლებოდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ 1939 წ. ანანურის ერთ-ერთი კოშკის არქეოლოგიურად შესწავლისა და გაწმენდის დროს აღმოჩნდა ჯიოვანი კორნაროს (1709—1722) ოქროს ვენეციური მონეტის ნატეხი და სეფევიდი შაჰ ჰუსეინის (1718—1722) ვერცხლის მონეტა[167]. არაგვის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, ანანური მეფის ხელში გადავიდა და თანდათან მცირე ქალაქად იქცა. ანანურის ქალაქად გადაქცევა დიდი ხნის განმავლობაში გადაკეტილი ჩრდილოეთის გზის (დარიალის, „რუსეთის გზის") გახსნასთან იყო დაკავშირებული. თეიმურაზ II-ის 1755 წ. სიგელიდან ჩანს, რომ „ოსეთის გზით ვაჭარნი და ქარავანი ქალაქს" (თბილისს) მოვიდნენ. ეს გზა კი მანამდე იმდენი ხნის გადაკეტილი იყო, რომ ოდესმე აქ გზის არსებობაც კი მივიწყებული ყოფილა; მეფის სიტყვით, თითქოს აქამდე, „არასდროსა და ჟამს არ ქმნილიყო, რომ ოსეთზედ ქარავანის გზა ყოფილიყოს და ამ მთის გზაზედ ქარავანი, ვაჭარი და სოვდაგარი მოსულიყო". რაკი ასეთი მნიშვნელოვანი გზა გაიხსნა და ამ გზით ვაჭრებმა და ქარავანმა სიარული იწყო, ამ გზით წამოსული ვაჭრების კიდევ უფრო მიზიდვის მიზნით მეფემ ოსეთის გზით შემოსულ საქონელზე, სხვა ადგილებთან შედარებით, შეღავათიანი, „მსუბუქი" ბაჟი დააწესა[168]. მაგრამ მალე „ოსეთის გზით" დიდი რაოდენობით იწყო სავაჭრო საქონელმა შემოსვლა, ისე რომ ამ გზით მიმომსვლელ ვაჭრებს განსაკუთრებული შეღავათები არ სჭირდებოდათ; ამიტომაც ერეკლე II-მ 1771 წ. სიგელით „ოსეთის გზის" ბაჟის შეღავათები მოსპო და სხვებს გაუთანაბრა[169]. როგორც ერეკლე II-ის სიგელიდან ჩანს, 20-იოდე წლის უკან გახსნილი გზა ისეთივე მოძრავი და მნიშვნელოვანი გახდა, როგორიც სხვა, საქართველოს იმდროინდელი სავაჭრო გზები. სწორედ ამ მოძრავმა და ახლად გახსნილმა, ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანასთან დამაკავშირებელმა გზამ აქცია ანანური ქალაქად. შემთხვევით არ უწოდებდა ერეკლე II ანანურს „საქართველოთგან" რუსეთის გზის კარს"[170].

---

166 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 64.

167 Е. А. П а х о м о в, Монетные клады, в. IV, с. 71.

168 Акты, II, с. 1133.

169 იქვე, გვ. 1136.

170 А. Ц а г а р е л и, Грамоты, II, в. I, с. 2.

ანანური, როგორც „მცირე ქალაქი“, ერეკლე II-ს ქართლ-კახეთის სამეფოს ქალაქთა სიაში შეაქვს. გიულდენშტედტის ცნობითაც, «Ананур... в числе городов»[171]. იგი იყო არა მარტო ჩრდილოეთიდან თბილისისაკენ მიმავალი საქონლის გამტარებელი პუნქტი, არამედ თვითონაც აწარმოებდა ვაჭრობას საქართველოს მთის მოსახლეობასთან. XVIII ს. 70-იანი წლების რუსული დოკუმენტების მიხედვით «В Ананури, Цхинвали... находятся армяне и жиды, кой имеют торг и продают такия товары, какия у них в употреблении»[172]. ანანური, როგორც მნიშვნელოვანი პუნქტი და სიმაგრე, მოხსენიებული აქვთ მურავიოვს,[173] იაზიკოვს[174] და სხვ.

ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზის, „რუსეთის გზის“ გახსნის შემდეგ დაწინაურებული ჩანს აგრეთვე ამ გზაზე მდებარე პუნქტი დუშეთიც. XVIII ს. ქართველი ისტორიკოსები (ვახუშტი, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე და სხვ.) დუშეთს, როგორც პუნქტს, არაერთხელ იხსენიებენ, მაგრამ XVIII ს. 80-იან წლებამდე იგი ქალაქად არ ჩანს. ერეკლე II-საც დუშეთი ქართლ-კახეთის ქალაქთა 1770 წ. სიაში არ შეუტანია. დუშეთი ჯერ არაგვის ერისთავის საჯდომი იყო. აქ „ერისთავის სასახლე“[175] არსებობდა, მაგრამ თეიმურაზმა და ერეკლემ არაგვის ერისთავის მამული საუფლისწულოდ გაარიგეს, ხოლო არაგვის ერისთავი ჯიმშერი კი უფლისწულის ვახტანგ ერეკლეს ძის აღმზრდელად გაიხადეს. ჯიმშერმა ამასთან დაკავშირებით „აღაშენა ციხე დუშეთისა... და ცდილობდა შემატებასა ამ ქვეყნებისასა. მეფენიც ჯეროვნად უსმენდნენ“[176]. არაგვის საერისთავოს გაუქმების შემდეგ დუშეთი საუფლისწულო მამულად (ფაქტიურად, ისევ სათავადოდ) იქცა.

პლატონ იოსელიანის სიტყვით, დუშეთი 1784 წ., ერეკლეს ბრძანებით, ქალაქის ხარისხამდე იქნა აყვანილი[177]. გიულდენშტედტს დუშეთი ქალაქად აქვს მოხსენიებული — «Город Душет... лежит на дороге... от Моздока в Тифлис»[178]. აღსანიშნავია, რომ დუშე-

---

171 И. А. Гюльденштедт, Описание, с. 171.

172 А. Цагарели, Грамоты, I, с. 76.

173 იქვე, გვ. 217.

174 იქვე, გვ. 188.

175 პაპუნა ორბელიანი, B_2, გვ. 455.

176 იქვე, გვ. 449.

177 П. Иоселиани, Города, с. 45; დუშეთის შესახებ იხ. მისი, «Описание г. Душети», т. I.

178 И. А. Гюльденштедт, Описание, с. 171.

თი, რომელიც XVIII ს. 80-იან წლებიდან წინაურდება, იმ საუკუნის დასასრულსა და XIX ს. დამდეგს უფრო მზარდი და გაძლიერებული აღმოჩნდა, ვიდრე მის მეზობლად მდებარე ანანური. მართალია, 1803 წ. მეფის რუსეთის ხელისუფლებამ ანანური სამაზრო ქალაქად აქცია, მაგრამ მოსახლეობა ქალაქში XIX ს. პირველ წლებში არათუ გამრავლდა, არამედ თანდათან შემცირდა. 1819 წ. ცნობით ანანურში სულ 219 სული ცხოვრობდა[179]. ამავე დროს კი თანდათან იზრდებოდა დუშეთი. როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა და მოხერხებული სტრატეგიული მდებარეობა ქალაქის გამძლეობისათვის საკმარისი ძალა ვერ აღმოჩნდა. ერეკლე II-ის დროინდელი, სავაჭრო გზის გახსნასთან წარმოშობილი, ქალაქი ანანური XIX ს. დამდეგს თანდათან დაქვეითდა და რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა 1821 წ. 4 თებერვლის ბრძანებით ანანურისათვის სამაზრო ქალაქის ღირსება წაერთმია და იგი ისევ უფრო მზარდი და ძლიერი დუშეთისათვის დაებრუნებინა. მიუხედავად ამისა, ანანური მაინც იწოდებოდა დუშეთის მაზრის ქალაქად[180].

ამრიგად, XVII—XVIII სს. ქართლში უმთავრეს ქალაქებს თბილისი და გორი წარმოადგენდა. იყო აგრეთვე არაერთი „მცირე ქალაქი", რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სურამი, ცხინვალი, ანანური და დუშეთი.

XVIII ს. ქართლის მცირე ქალაქებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე ახალგორი[181], ახალდაბა[182] და წილკანი. ახალგორი და წილკანი ერეკლე II-ს XVIII ს. 70-იანი წლების ქართლის ქალაქებს შორის აქვს მოხსენებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წილკანი, როგორც ქალაქი, სხვა ქართული წყაროებისათვის უცნობია. შეიძლება ითქვას, რომ იგი ისეთსავე პუნქტს (მნიშვნელოვან დაბას მრავალრიცხოვანი მოსახლეობით) წარმოადგენდა, როგორსაც საგარეჯო კახეთში. აღსანიშნავია, რომ წილკანში, ერეკლეს ცნობით, 700 კომლი (დაახლ. 3.500 სული) მცხოვრები ითვლებოდა[183].

ორიოდე სიტყვა სამხრეთ საქართველოს ქალაქებზე, რომელნიც ამ დროისათვის (XVII—XVIII სს.) ოსმალეთის მიერ მიტაცე-

---

[179] ЦГИАГ, ф. 16, № 2420, л. 145.

[180] ЦГИАГ, ф. 16, № 4229, л. 58.

[181] См. Цагарели, Грамоты, I, с. 217; I. Reineggs, Beschreibung, გვ. 75, „კავალი", № 11, 1898.

[182] შედეგი ქართლის ცხოვრებისა, B_2, с. 270; Д. Пурцеладзе, Крест. грамоты, с. 8.

[183] „კავალი", № 11, 1898.

ბული იყვნენ, მაგრამ ისტორიულად და ეთნიკურად საქართველოს ეკუთვნოდნენ და რომელნიც მასთან ეკონომიკურ კავშირს მაინც არ წყვეტდნენ.

XVII ს. ქართულ-უცხოური წყაროების მიხედვით სამხრეთ საქართველოს ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქს ახალციხე წარმოადგენდა. მაკარი ანტიოქელი მას „სახელგანთქმულ ახალციხედ“ მოიხსენიებს[184]. ახალციხეში გაუვლია აგრეთვე შარდენსაც, ახალციხესთან ერთად იგი იხსენიებს აწყურსაც (უსკერი). სამხრეთ საქართველოში მას სხვა ქალაქებიც შეხვედრია, მაგრამ ზოგი მათგანის სახელს შარდენი არ იხსენიებს[185]. ამათ გარდა, XVII ს. დამდეგის (1624 წ.) რუსულ წყაროში თურქეთის ქალაქებად დასახელებულია Олтисн (ოლთისი), Намурдан (ნამერვანი) და Артанес (არტანუჯი?), რომელიც სულთან აჰმედს თეიმურაზ I-სთვის უწყალობებია[186]. ნ. ვიტსენის ცნობით საათაბაგოში XVII ს. სულ 10 ქალაქი იყო, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: ახალციხე (Agalticha), ოლთისი (Oltijsi), აწყვერი (Askweri) და არტანუჯი? (Artajsi)[187].

XVIII ს. პირველი ნახევრის სამცხე-საათაბაგოს მცირე და დიდი ქალაქების შესახებ უფრო სრულ ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონი. ვახუშტის მიხედვით თურქეთის მიერ მიტაცებულ სამცხე-საათაბაგოში იყო: აწყური „ქალაქი და ციხე დიდშენი“[188], ახალციხე[189], გოკია — „ქალაქი მცირე“[190], „ბარალეთი მცირე ქალაქი“[191], ახალქალაქი[192], „მცირე ქალაქი კოლა“[193], „სათლე ქალაქი მცირე“[194], ართვინი — „ქალაქი მცირე“[195], „არტანუჯი — ქალაქი მცირე და ციხე მაგარი კეთილშენი“[196], „ოლთისი — ქალაქი კარ-

---

[184] Г. Жузе, Грузия в 17 столетии по изображению Патриарха Макария, текст и перевод, Казань, 1905, с. 13.

[185] შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქ-ში, გვ. 54.

[186] Материалы по истории грузино-русских взаимоотношении. с. 63.

[187] Nic. W i t s e n, op. cit. c. 516.

[188] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 124.

[189] იქვე. გვ. 125.

[190] იქვე, გვ. 129.

[191] იქვე, გვ. 130.

[192] იქვე, გვ. 130—131.

[193] იქვე, გვ. 133.

[194] იქვე, გვ. 135.

[195] იქვე, გვ. 136.

[196] იქვე, გვ. 137.

.გი"[197], „ბასიანი (ასან ყალა) არა დიდი ქალაქი"[198], „ქალაქი მცირე ოსპირა"[199], „ქალაქი ბობურდი"[200], „ხოფჯა და რიზა"[201]. ამრიგად, ვახუშტის ცნობით, სამცხე-საათაბაგოში 4 (ახალციხე, ახალქალაქი, ოლთისი და ბობურდი) ქალაქი იყო, ხოლო დანარჩენი 11 კიდევ მცირე ქალაქებს წარმოადგენდნენ. როგორც ვხედავთ, XVIII ს. მცირე ქალაქთა შორის მოიხსენიებიან ერთ დროს (X—XIII სს.) საქართველოს უძლიერესი ქალაქები — არტანუჯი, ბარალეთი და სხვ.

XVIII ს. მეორე ნახევრის წყაროებიც მოიხსენიებენ ვახუშტის მიერ ჩამოთვლილ ზოგ ქალაქს, ზოგს კიდევ თავის მხრივ უმატებენ. მაგ., ლეონის 1771 წ. ცნობით თურქეთის ქალაქებია: ციხე და ქალაქი ხერთვისი, ახალციხე, ახალქალაქი და აწყვერი[202]. გიულდენშტედტის მიხედვით თურქეთის მიერ მიტაცებულ ჯავახეთში იყო სამაზრო ქალაქები: ახალქალაქი, კოლა (Гола), არდაგანი, ჩილდირი და ხერთვისი, სამცხის ოლქის საგუბერნიო ქალაქს კიდევ ახალციხე წარმოადგენდა[203]. აღსანიშნავია, რომ XVIII ს. 70-იანი წლების ცნობებში, როგორც ვხედავთ, ხერთვისი ქალაქად არის მოხსენიებული. ერეკლე II 1771 წ. პანინს, სხვათა შორის, წერდა: ჩვენ ჩვენი ჯარით დავიკავეთ მტრის ციხე-ქალაქი ხერთვისი[204]. როგორც ჩანს, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სიმაგრე XVIII ს. მეორე ნახევრიდან ქალაქად ითვლებოდა[205].

ზემოგანხილული მასალების მიხედვით შეიძლება შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: XVII—XVIII სს. ქართლსა და კახეთში უმთავრეს ქალაქებს თბილისი, გორი და თელავი წარმოადგენდა. ამათთან ერთად საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქალაქები — სიღნაღი, სურამი, ცხინვალი, ანანური, დუშეთი; „მცირე ქალაქები" და დაბები — ალი, ატენი, მძორეთი, „მეფის ქალაქი", ახალდაბა, საგარეჯო, წილკანი და სხვ.

კახეთის ქალაქები — თელავი, სიღნაღი — სამეფოა; აქ მეფის

---

[197] იქვე, გვ. 138.
[198] იქვე, გვ. 139.
[199] იქვე.
[200] იქვე, გვ. 141.
[201] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 142.
[201] А. Ц а г а р е л и, Грамоты, I, с. 322—324.
[203] И. Г ю л ь д е н ш т е д т, Описание, с. 163—165.
[204] А. Ц а г а р е л и, Грамоты, I, с. 326; Грамоты, II, в. I, с. 79.
[205] ო ვ ა ნ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე, B_2, გვ. 493.

ხელისუფლებას, სათავადო სისტემის არარსებობისა გამო, ქალაქის დასაკუთრებაში მოცილე არ ჰყავს. ქართლის უმთავრესი ქალაქები — თბილისი, გორი და მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სხვა ქალაქებიც — ცხინვალი, ანანური, დუშეთი, სურამი, ალი, ატენი, ახალდაბა — აგრეთვე სამეფოა. ქართლის არც ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი თავადს არ ეკუთვნოდა. სათავადოს პოლიტიკური ცენტრები — ახალგორი ქსნის საერისთავოში, მძორეთი (ზოვრეთი) საციციანოში, „მეფის ქალაქი" (ახალქალაქი) სათარხნიშვილოში, დმანისი და სამშვილდე სომხით-საბარათიანოში და სხვა ან მცირე ქალაქებს ან კიდევ ძირითადად ციხე-სიმაგრეებს წარმოადგენდნენ. ასე რომ, ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლებამ საქართველოს ერთიანობის დროის სამეფო ქალაქები შეინარჩუნა — საქართველოს უმთავრესი ქალაქები მეფეს ეკუთვნის, იგი ნომინალური მფლობელია აგრეთვე სათავადოების პოლიტიკური ცენტრების, მცირე ქალაქებისაც. მაგრამ ყველაფერი ეს სამეფო ხელისუფლების სიძლიერით კი არ აიხსნება, არამედ გვიანფეოდალურ საქართველოში არსებული მფლობელობის წესით. ამას გარდა გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქები ვერ წარმოადგენდნენ ისეთ ძალას, რომ მათ ხელი შეეწყოთ სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისათვის. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ისეთი ძლიერი ქალაქები, როგორიც იყო ახალციხე, ახალქალაქი და სხვ., ოსმალეთის მიერ მიტაცებული და საქართველოს შინაგან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორებული იყო. სამხრეთ საქართველოს ქალაქებს, ისე როგორც მეზობელ მაჰმადიანთა სხვა ქალაქებს, მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოს ქალაქებთან.

საქართველოს ქალაქების ერთი ნაწილის საესებით დაკარგვა, საქალაქო ცხოვრების განვითარების დაბალი დონე იყო ერთი ძირითადი მიზეზი გვიანფეოდალური ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფო ხელისუფლების სისუსტისა.

*
* *

XVII—XVIII სს. დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის დასახასიათებლად ჩვენ კიდევ უფრო მცირე მასალები მოგვეპოვება. უცხო ავტორთა ზოგიერთი ცნობა მხოლოდ ზო-

გადად ეხება დასავლეთ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს, სამთავროს. ქართული საისტორიო მწერლობა კი ამ მხრივ თითქმის არაფერს გვაძლევს და მხოლოდ პოლიტიკური ისტორიის მოთხრობით კმაყოფილდება.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ XVI ს. და XVII ს-ის დამდეგს, დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებით ვაჭრობა-ხელოსნობა და საერთოდ საქალაქო ცხოვრება დაქვეითების გზაზე იყო შემდგარი. ამ დროისათვის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი არ არსებობდა. თვით ქუთაისიც დაუძლურებული და დაცემული იყო. ასევე დაეცა შავი ზღვის სანაპირო ქალაქების და ნავსადგურების მნიშვნელობაც; აფხაზეთში, ჟ. დე-ლიუკას ცნობით, XVII ს. დამდეგისათვის არც ერთი ქალაქი არ არსებობდა. ცნობილ სოხუმში ამ დროს ტრაპეზუნტიდან, კონსტანტინოპოლიდან და კაფადან მოსული ვაჭრები, რომელნიც ზოგჯერ იზამთრებდნენ აქ, დუქნებში კი არ სხდებოდნენ, არამედ თვით ხომალდებში აწარმოებდნენ ვაჭრობას. მთელი ავლადიდება, რომელიც უცხოელ ვაჭრებთან შეეძლო ადგილობრივ მოსახლეობას გაეცვალა, იყო ტყავი, ცვილი, თაფლი და თევზი[206]. როგორც ჩანს, ხელოსნური წარმოება იმდროინდელ აფხაზეთში სავსებით დაცემული იყო.

შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო სამეგრელოს სამთავროში. თუმცა არქანჯელო ლამბერტიც სამეგრელოს იმდროინდელ ეკონომიკურ მდგომარეობას ძლიერ მუქი ფერებით გვიხატავს. ლამბერტის „აღწერილობის“ მიხედვით XVII ს. 30—50-იან წწ. სამეგრელოში „საქონლის ყიდვა-გაყიდვისათვის არც დუქნები აქვთ და არც მოედნები“; ერთადერთ გამონაკლისს ამ შემთხვევაში რუხი წარმოადგენდა, რომელიც ლევან დადიანის მიერ იყო განახლებული[207]. თუმცა სამეგრელოში გარდა რუხისა ქალაქები არ იყო, ლამბერტის სიტყვით, ვაჭრობა წარმოებდა იარმარკების დროს, რომელიც უმთავრესად საეკლესიო ცენტრებთან იმართებოდა, მაგ., წიფურიაში[208], ილორში, ბედიაში და კორცხელში. აღსანიშნავია, რომ იარმარკები სამეგრელოში მრავალრიცხოვან ხალხს უყრიდა თავს. ლამბერტის ცნობით, ზოგჯერ ოციათას კაცამდე შეიკრიბებოდა. აქვე ვაჭრების

---

[206] Описание перекопских и нагайских татар, черкесов, мингрелов и грузин Жана де Люка, Зап. Им. Од. Общ. истории и древностей, XI, 1879, с. 492.

[207] არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა (ქართ. თარგმანი, ი. ჭყონიასი), გვ. 156.

შიერ ირანიდან და ოსმალეთიდან მოტანილი ფართლეულითა და სხვა სახის საქონლით ვაჭრობდნენ[209].

ასე რომ, ლამბერტის ცნობით, XVII ს. პირველ ნახევარში სამეგრელოში მხოლოდ ერთი ქალაქი — რუხი არსებობდა. ამასვე ადასტურებს ფ. ელჩინის ცნობაც: სამეგრელოში სავაჭრო ადგილები არ არის, ერთი ადგილია, სადაც სომეხთა 40 სახლია და 10 სახლი ებრაელებისაა[210]. ამ შემთხვევაში, ცხადია, რუხი იგულისხმება, რომელსაც ლამბერტიც „სომხების ქალაქს" უწოდებდა. რუხი, როგორც მნიშვნელოვანი პუნქტი, ცნობილია აგრეთვე შარდენისთვისაც[211]. აღსანიშნავია, რომ რუხს სამეგრელოს მთავარ ქალაქად ასახელებს ნ. ვიტსენი[212].

რუხი დასავლეთ საქართველოს ერთი უძველესი პუნქტთაგანია. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აქ 1930 წ. ვერცხლის კოლხური მონეტის მთელი განძი იქნა მოპოვებული[213], ამაზე ადრე კიდევ, 1920 წ., რუხში, მდ. ენგურის მახლობლად შემთხვევით მიგნებულ სამარხში ოქროს ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერი და ოქროსავე მიმბაძველობა ლოისიმისის სტატერისადმი[214]. ამ, თავისი დროის მნიშვნელოვანი პუნქტის შესახებ ძველ ქართულ და უცხოურ მწერლობას, სამწუხაროდ, არავითარი ცნობა არ შემოუნახავს. ეს უძველესი მნიშვნელოვანი პუნქტი, როგორც აღვნიშნეთ, ლევან II დადიანმა განაახლა. ვახუშტის სიტყვით, „რუხის ციხე დიდშენი" ლევან დადიანმა 1647 წ. ააშენა[215]. მაგრამ იგი მარტო ციხის აშენებით არ დაკმაყოფილებულა. აქ მან იმერეთის სამეფოდან (ჩხარიდან) წამოყვანილი ვაჭრები დაასახლა და რუხი ქალაქად აქცია. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, „რაც ჩხარში ვაჭარნი გაასახლნეს სომხები... დადიანმან რუხის ქალაქი იმაებით ააშენა"[216]. მაგრამ რუხის სიძლიერე დიდხანს

---

[208] „წიფურია" ქართული საისტორიო წყაროებისათვის უცნობია, არქ. ლამბერტის „წიფურია" უნდა უდრიდეს ფ. ელჩინის მუხლობრივ აღწერაში მოხსენებულ «городок Пискурия», რომელიც, როგორც ელჩინის მარშრუტიდან ჩანს, სამეგრელოში ჯგალსა და მარტვილს შორის მდებარეობდა (იხ. Посольство дьяка Федота Елчина, II, 1887 с. 350—351.

[209] არქ. ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 157.

[210] Посольство дьяка Ф. Елчина, с. 337.

[211] შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, გვ. 31; 35.

[212] Nic. W i t s e n, Op. cit., c. 516.

[213] Е. А. П а х о м о в, Монетные клады, с. 5.

[214] იქვე, გვ. 7.

[215] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 167—168.

[216] ფ ა რ ს ა დ ა ნ გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია, გვ. 241.

არ გაგრძელებულა. 1725 წ. ოსმალებმა იგი, როგორც სამეგრელოს შიდა სიმაგრე, სასტიკად დაანგრიეს და მის ხარჯზე შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც თვითონ ბატონობდნენ, ანაკლია გააძლიერეს[217]. ამის შემდეგ რუხის მნიშვნელობა, როგორც ჩანს, დაეცა. იაზიკოვის ცნობით, XVIII ს. 70-იანი წლებისათვის იგი მხოლოდ სიმაგრე იყო[218]. მაგრამ საინტერესოა, რომ 1770 წ. ერთ საბუთში „რუხის ქალაქია" მოხსენებული[219].

ლევან დადიანს რუხის გარდა სხვა სიმაგრეებიც ჰქონია. მის მიერ რუსეთის ხელმწიფესთან წარგზავნილი ელჩი გეგენავა აღნიშნავდა, რომ მის მთავარს ხუთი ქალაქი აქვს ქვით ნაშენი, ხოლო განაპირა მხარეში ერთ-ერთი ქალაქია გაშენებული. ლევან დადიანის საცხოვრებელ ქალაქად კი ზუგდიდს იხსენიებს[220]. აქ მოხსენიებული «Город», ცხადია, სიმაგრეს (Крепость) ნიშნავს. ამ დროისათვის ქალაქი არ ყოფილა არც თვით დადიანის პოლიტიკური ცენტრი ზუგდიდი.

სამეგრელოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტად შარდენი მოიხსენიებს ანაკლიასაც, რომელიც ოდესღაც „დიდი ქალაქი იყო ჰერაკლეს" სახელით ცნობილი, მაგრამ რომელიც მისი დროისათვის მხოლოდ შავი ზღვის სანაპირო სოფელსა და მცირე ნავსადგურს წარმოადგენდა[221]. ანაკლია მოხსენებული აქვს Eroinchan, Heraclle-ას სახელით 1615 წ. წერილში ლუდოვიკო გრანჯერიასაც[222]. ანაკლია, მართლაც, შავი ზღვის სანაპიროზე ერთი უძველესი პუნქტთაგანი იყო[223], მაგრამ XVII ს. ის სოფელსა და ნავსადგურს წარმოადგენდა, სადაც, ლამბერტის ცნობით, აგრეთვე საეპისკოპოსო კათედრალი არსებულა[224]. ანაკლია თურქებს, შარდენის მიხედვით, ტყვეებით ვაჭრობის ცენტრად გაუხდიათ[225]. როგორც აღვნიშნეთ, ოსმალებმა იგი, რუხის ხარჯზე, მის ქვემოთ 1725 წ. ააშენეს და გაამაგრეს[226].

---

[217] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 167—168.

[218] А. Ц а г а р е л и, Грамоты, I, с. 261.

[219] М. Б р о с с е, Переписка грузинских царей, с. 228.

[220] Материалы по истории Грузино-Русских взаимоотношении, с. 144; ср. Посольство Ф. Елчина, с. 271.

[221] შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, გვ. 16, 38.

[222] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 140.

[223] Е. А. П а х о м о в, Монетные клады, в. V, с. 8.

[224] ა რ ქ. ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 121.

[227] შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქ-ში, გვ. 16.

[226] ვ ა ხ უ შ ტ ი, აწერა, გვ. 167.

გვიანფეოდალური ხანის ქართულ მასალებში ანაკლია ქალაქად არ არის მოხსენებული, მაგრამ ზღვისპირა მნიშვნელოვან და უკვე გაძლიერებულ ციხესთან, რომელსაც ნავსადგურიც გააჩნდა, ვაჭრობა წარმოებდა და იგი მცირე ქალაქის როლს ასრულებდა. აღსანიშნავია, რომ რაინეგსი თავის „აღწერილობაში" საგანგებო ადგილს უთმობს ანაკლიის ქალაქის და მის გვერდით არსებული ციხის აღწერას[227]. ანაკლია ქალაქად არის აღნიშნული აგრეთვე 1804 წ. რუსეთის ხელისუფლების მიერ შედგენილ „სამეგრელოს ნაწილის რუქაზე" («Карта часть мингрелии»)[228].

შავი ზღვის სანაპიროზე სხვა მნიშვნელოვანი პუნქტებიც არსებობდა. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ფოთი, ძველი ფაზისი, რომელიც XVII ს. წყაროებში არც კი არის მოხსენებული, მაგრამ, რომელსაც თავისი მნიშვნელობა, როგორც ნავსადგურს და სავაჭრო პუნქტს, შენარჩუნებული ჰქონდა.

იმერეთის სამეფოს 1737 წ. რუქაზე საგანგებოდ ჩახაზულია ფოთის ციხის გეგმა და შიგ ჩაწერილია: „ქ. ფოთის ციხე ქართულად ფასუს ქვიან. ძველად ქალაქიც ყოფილა. ორ თოღიანი ფაშა ზის. 1723 წ. ქ[რისტე]ს ააშენეს თათართ. ორმოცდა ათი თოფი ძეს დიდი". ქვემოთ კიდევ იქვე მიწერილია: „ნავთსაყუდელი"[229]. როგორც ჩანს, XVIII ს. 40-იან წლებში ფოთი ქალაქი არ იყო, ამ დროს მისი ძველად ქალაქობის შესახებ მხოლოდ მოგონება ყოფილა დარჩენილი. მაგრამ მას, როგორც ნავსადგურს და ციხეს, სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომაც აქვს ის საგანგებოდ აღნიშნული რუსეთს გასაგზავნ რუქაზე იმერეთის მეფეს, როგორც მნიშვნელოვანი ადგილი თავისი მდებარეობით. მაგრამ მას მარტო სტრატეგიული მნიშვნელობა როდი ჰქონდა, იგი ძვირფასი იყო როგორც სავაჭრო ადგილიც[230]. ფოთის ასე დიდმნიშვნელობის გამო იბრძოდა იმერეთის მეფე, რუსეთის ჯარის დახმარებით, XVIII ს. 70-იან და XIX ს. დამდეგს ფოთის თურქთა ბატონობისაგან გასანთავისუფლებლად.

აღსანიშნავია, რომ გიულდენშტედტის მიხედვით, ფოთი იყო არა მარტო ნავსადგური და სიმაგრე, არამედ ქალაქიც[231].

---

[227] I. Reineggs, Beschreibung, გვ. 5.

[228] ЦГВИА, ф. ВУА, № 20497.

[229] ЦГВИА, Ф. ВУА, № 20501, 11.

[230] Историческое описание турецких городов... покоренных оружием русских в Европе и Азии, в 1828 г., Спб., 1828, с. 72, 77.

[231] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 371.

ასეთსავე პუნქტებს, ციხე-სიმაგრეებს, ნავსადგურებსა და მცირე ქალაქებს შავი ზღვის სანაპიროზე წარმოადგენდნენ ბათომი[232], სოხუმი[233] (აყუ), ნიკოფსე ანუ ანაკოფია[234] და ბიჭვინთა[135]. აღსანიშნავია, რომ სოლომონ I ერთ თავის წერილში ეკატერინე II-ისადმი ნიკოფსის ანუ ანაკოფის „აფხაზ-იმერთა სამეფოს პირველ ქალაქს“ უწოდებდა[236]. ვახუშტი ზემოხსენებულ შავი ზღვის სანაპირო მცირე ქალაქებთან ერთად ასახელებს აგრეთვე ქობულეთს, „მცირე ქალაქსავით“[237]. გონის — „მცირე ქალაქი და ციხე“[238] და ზუფუს —. „მცირე ქალაქსაებრ“[239]. ზემოხსენებულ მცირე ქალაქებსა თუ მათ მსგავსად მოწყობილ ნავსადგურებსა და ციხეებში გაბატონებულ ოსმალებთან სხვადასხვა საქონლით ვაჭრობას აწარმოებდნენ დასავლეთ საქართველოს ქალაქები, განსაკუთრებით კი ქუთაისი.

როგორი იყო მდგომარეობა საკუთრივ იმერეთში? XVII ს. 50-იანი წლების იმერეთის სამეფოს შესახებ ჩვენთვის საინტერესო ცნობები მოიპოვება რუსი ელჩების — ტოლჩანოვისა და ა. ივლეევის აღწერილობებში[240]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ელჩები ყველა გამაგრებულ და დასახლებულ პუნქტს იმერეთში „Город“-ს უწოდებენ და 130-ზე მეტს იმერეთის ამგვარ „Город“-ებს ჩამოთვლიან კიდეც. ამიტომაც ძნელდება „ქალაქის“, ამ სიტყვის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობით, გარჩევა უბრალო გამაგრებული პუნქტისაგან.

რუსი ელჩების აღწერილობის მიხედვით, იმერეთის სამეფოს მთავარ, და იქნებ ერთადერთ, ქალაქს ქუთაისი წარმოადგენდა; იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა — «Большой город Кутаиси», ე. ი. საკუთრივ ციხე-სიმაგრე, რომელშიც ცალკე იყო გამოყოფილი

---

[232] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 176; А. Ц а г а р е л и, Грамоты, I, с. 28, ср. Грамоты, II. в. I, с. 3.

[233] Грамоты, I, с. 28; R e i n e g g s, Beschreibung, p. 8; А. Ц а г а р е л и, с. 61.

[234] А. Ц а г а р е л и, Грамоты, с. 261; R e i n e g g s, Beschreibung, გვ. 4—5.

[235] R e i n e g g s, Beschreibung, გვ. 3.

[236] А. Ц а г а р е л и, Грамоты, II, в. I, с. 69., ср. Грамоты, I, с. 289.

[237] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 175.

[238] იქვე, გვ. 176.

[239] იქვე, გვ. 171.

[240] Посольство стольника Толчанова и дьяка Ивлеви в Имеретию, документы издал М. П о л и е в к т о в, т. I, 1928.

«Кремль-город», და „ქვედა, პატარა ქალაქი ქუთაისი“ ანუ საკუთრივ ქალაქი[241]. მაგრამ თუ რას წარმოადგენდა „ქვედა ქალაქი“, თუ როგორ იყო დასახლებული იგი, რუსი ელჩების ცნობებიდან არ ჩანს. XVII ს. 70-იანი წლების ქუთაისს აღწერს შარდენი, მაგრამ ქალაქის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ისიც თითქმის არავითარ ცნობას არ გვაწვდის[242]. ქუთაისს, როგორც „დიდ დედა ქალაქს“, მოიხსენიებს იმერეთის მეფე ბაგრატ IV ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილ წერილში, მაგრამ თუ რაში გამოიხატებოდა მისი სიდიდე, არც ამ წერილიდან ირკვევა[243]. ქუთაისის ქალაქში და მის ციხეში ოსმალთა ბატონობამ და არაერთმა გამუდმებულმა შინაურმა თუ საგარეო ომმა, ცხადია, შეამცირეს ქუთაისის მნიშვნელობა. რუსეთ-ოსმალეთის 1768 — 1774 წწ. ომის დროს ქუთაისის ვაჭრობა, რომელსაც ის ძირითადად ოსმალეთთან აწარმოებდა, კიდევ უფრო დაქვეითდა[244], მისი მოსახლეობაც მცირდებოდა[245], მიუხედავად ამისა, ქუთაისი XVII—XVIII სს. იმერეთის (მთელი დასავლეთ საქართველოს) ერთადერთი, შედარებით დიდი ქალაქი იყო.

შარდენის სიტყვით, ქუთაისსა და სკანდას შუა მდებარეობდა ჩიკარისი, რომელიც იმერეთში „ქალაქად ითვლებოდა“, მაგრამ რომელიც, ფრანგი მოგზაურის მიხედვით, უფრო სოფელს გავდა[246]. შარდენის დასახელებული ჩიკარისი უნდა იყოს ჩიხორი, რომელსაც ვახუშტი „მცირე ქალაქს“ უწოდებს[247]. ქუთაისსა და ჩიხორის გარდა სხვა მნიშვნელოვანი პუნქტი შარდენს თავისი მოგზაურობის დროს იმერეთში არ შეხვედრია.

XVII ს. კიდევ ერთი უცხოური წყარო (Nic. Wisten) საკუთრივ იმერეთში 10 ქალაქის არსებობაზე მოგვითხრობს, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ქუთაისს (Kutaï), სკანდას (Eskander), Savasso Pellit(შავა სოფელი?), ჩხარს (Tsch-Hari) და გეგუთს (Kekugite) ასახელებს[248]. როგორც ჩანს, ნ. ვიტსენის ცნობა არც სრულია და არც ზუსტი. ქართული წყაროებით უცნობია შავასოფელი (?), ასევე, სკანდა და გე-

---

[241] Посольства Толчанова, с. 152—157.

[242] შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, გვ. 66—67.

[243] М. Б р о с с е, Переписка Грузинских царей, с. 84—85.

[244] А. Ц а г а р е л и, Грамоты, I, с. 194.

[245] И. Г ю л ь д е н ш т е д т, Описание, с. 354—355; R e i s e n, p. 165—166.

[246] შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, გვ. 65.

[247] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 154. ჩიხორი ქალაქადაა მოხსენებული აგრეთვე იმერეთის 1737 წ. რუკაზედაც.

[248] Nic. W i s t e n, Op. cit., გვ. 516.

გუთი არც ერთ გვიანფეოდალური ხანის (და მასზე ადრინდელ) მასალებში ქალაქად არ არის მოხსენიებული. ერთი მეფეთა სადგომი იყო XI—XII სს-დან, მეორე კიდევ ციხე. ჩხარი კი სხვა წყაროების მიხედვითაც ქალაქად იყო მიჩნეული.

ჩხარი, იმერეთის ქალაქი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVII ს-40-იან წლებში ლევან დადიანის მიერ იქნა აოხრებული. ამის შემდეგ მისი მნიშვნელობა შემცირებულია: ჩხარი „ყოფილა ქალაქი, არამედ აოხრდა ლევან დადიანისაგან. აწ არს დაბა“ — წერდა ვახუშტი[249]. ლევან II-ის მიერ აოხრებული ქალაქი XVIII ს. 30-იან წლებში იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ს ისევ განუახლებია. იმერეთის 1737 წ. რუქაზე, იქ, სადაც ჩხარია ჩახაზული, მიწერილია: „ქალაქი ჩხარი წმიდის გიორგის მონასტერი, ახლად აღშენებული მეფის ალექსანდრესაგან ქ[რისტ]ეს აქეთ ჩღლზ (1737 წ.)[250]. ასე რომ XVIII ს. ჩხარი ისევ ქალაქად იყო მიჩნეული.

XVIII ს. 40-იან წლებში იმერეთის სამეფოს მდგომარეობას, ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით, კარგად წარმოგვიდგენს იმერეთის 1737 წ. რუქა, სადაც ჩახაზულია იმდროინდელი დასავლეთ საქართველოს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ყველა პუნქტი. შავი ზღვის სანაპიროზე რუქის მიხედვით იყო შემდეგი მნიშვნელოვანი პუნქტები: ბიჭვინთა, ზუფუ, ანაკოფია, სოხუმი (აყუ), ანაკლია, ფოთი, „ქაჯეთის ციხე“ (ძველი პეტრა, ციხისძირი) და „ქობულეთი ქალაქი“[251]. ამათ გარდა, საკუთრივ იმერეთის ტერიტორიაზე ყოფილა „ხონი და წმიდის გიორგის საყდარი, სამთავარეპისკოპოსო და ვაჭრობაც არის, ყასაბაა“. ხონი მართლაც მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი იყო მთელ XVIII ს. სიგრძეზე, ამას ადასტურებს გიულდენშტედტის ცნობებიც. ხონში, რომელსაც გიულდენშტედტი „დიდ სოფელს“ უწოდებს, 200 ოჯახი ცხოვრობდა. ეს დაბა მნიშვნელოვან ვაჭრობას აწარმოებდა სხვადასხვა უცხოური თუ ადგილობრივი საქონლით[252]. ხონს იმერეთის უმთავრესი სავაჭრო ცენტრის (რომელიც სამთავარეპისკოპოსოსთან იყო დაკავშირებული) როლი შენარჩუნებული ჰქონდა XIX ს-შიც,

მსგავს სავაჭრო ცენტრს—„ყასაბას“ (Местечка) წარმოადგენდა, რუქის შემდგენლის მიხედვით, შ ო რ ა პ ა ნ ი. შორაპანი, როგორც

---

[249] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 153.
[250] ЦГВИА, ВУА, № 20501, л. 11.
[251] იქვე,
[252] И. Г ю л ь д е н ш т е д т, Описание, с. 336—337, 355—356.

სიმაგრე და სავაჭრო პუნქტი, ცნობილია აგრეთვე XVIII ს. მეორე ნახევრის წყაროებითაც[253]. „ყასაბა“ ყოფილა აგრეთვე საჩხერე, ჭილატყე და ონი[254], მაგრამ ასეთ „ყასაბაებს“ გარდა იყო ქალაქებიც. რუქის შემდგენელის მიხედვით ამ დროის იმერეთში იყო „ქობულეთის ქალაქი“, „ოზურგეთი და მისი... ქალაქი“, „ქუთაისის ქალაქი“, „ქალაქი ჩხარი“ და „ქალაქი ჩიხორი“ ე. ი. სულ 5 ქალაქი. მაგრამ ეს ცნობა გაზვიადებულია, რადგან იგი განსაკუთრებული მიზნით იყო შედგენილი — იმერეთის მეფეს, რუსეთის მფარველობის მაძიებელს, სურდა დაეინტერესებინა რუსეთის ხელმწიფე იმერეთის სიმდიდრითა და ეკონომიკური სიძლიერით.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ქობულეთი, ჩხარი და ჩიხორი მცირე ქალაქები იყვნენ, ე. ი. ისეთი პუნქტები, რომლებსაც რუქის შემდგენელი „ყასაბას“ უწოდებდა; ისინი დიდად არ განსხვავდებოდნენ ხონის, ონის, საჩხერისა და სხვა მსგავსი პუნქტებისაგან. ოზურგეთი კი იმდროინდელ არც ერთ წყაროში ქალაქად არ არის მოხსენებული; იგი, ვახუშტის აღწერით, გურიის მთავრის რეზიდენცია და აგრეთვე სავაჭრო პუნქტიც ყოფილა, ე. ი. ისეთივე „ყასაბა“, როგორიც სხვა ზემოხსენებულები.

სავაჭრო პუნქტები, ციხე-სიმაგრეებთან თუ საეკლესიო ცენტრებთან დაკავშირებით წარმოშობილი, იმერეთის იმდროინდელ სამეფოში სხვაც იყო. მაგ., 1669 წ. საბუთში მოიხსენიება „ჭყვისის ციხე ქალაქი“[255], ბაღდადი[256], ლაიღაში[257], ცუხვათი[258] და სხვ.

ამრიგად, ზემოთ განხილული მასალების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ XVII—XVIII სს. დასავლეთ საქართველოში საქალაქო ცხოვრება უფრო დაბალ დონეზე იდგა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. მთელ დასავლეთ საქართველოში ერთადერთ მნიშვნელოვან ქალაქს ფაქტიურად მხოლოდ ქუთაისი წარმოადგენდა. სამაგიეროდ მრავალად იყო „ყასაბაები“ — სავაჭრო პუნქტები, ანუ მცირე ქალაქები.

დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII სს. მცირე ქალაქები

---

253 I. Reineggs, Beschreibung, გვ. 42.

254 ონი, როგორც ვაჭრობის ცენტრი, მოხსენებული აქვს გიულდენშტედტსაც, იხ. Описание, с. 317; „ონის ქალაქს“ იხსენიებს სოლომონ II თავის 1880 წ. ბრძანებაში, ქუთაისი მას., № 787.

255 М. Броссе, Переписка Грузинских царей, с. 86-87.

256 А. Цагарели, Грамоты, I, с. 28.

257 დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, გვ. 29.

258 А. Цагарели, Грамоты, I, с. 28, 194.

თავიანთი წარმოშობის საფუძვლების მიხედვით შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დავყოთ.

პირველი ჯგუფის „მცირე ქალაქები“ სანავსადგურო სიმაგრეებთან არიან წარმოშობილნი. ასეთებს მიეკუთვნებიან: ბიჭვინთა, ზუფუ, ანაკოფია, სოხუმი, ანაკლია, ფოთი, ქობულეთი და ბათომი.

მეორე ჯგუფის „მცირე ქალაქები“ მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეებთან, ან კიდევ ადმინისტრაციულ (სამთავრო თუ სათავადო) ცენტრებთან არიან დაკავშირებული. მეორე ჯგუფის მცირე ქალაქებს მიეკუთვნება: რუხი, ზუბდიდი (ზუგდიდი), საჩხერე, შორაპანი, ჭილატყე, ონი, ლაიღაში, ბაღდადი, ცუხვათი, ოზურგეთი.

მესამე ჯგუფის „მცირე ქალაქები“ საეპისკოპოსო კათედრალებსა თუ სხვა თვალსაზრისით მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრებს უკავშირდებიან. ასეთი იყო ჩხარი, რომელიც წმ. გიორგის მონასტერთან იყო წარმოშობილი, ხონი კი სამთავარეპისკოპოსო საყდართან; საეკლესიო ცენტრთან იყო დაკავშირებული აგრეთვე ჩიხორიც.

იმერეთის მეფეს ქ. ქუთაისი ეკუთვნოდა, იგი აგრეთვე სხვა მცირე ქალაქების პატრონადაც ითვლებოდა. მცირე ქალაქების დიდი რაოდენობა ან სამთავრო თუ სათავადო (რუხი, ზუბდიდი, საჩხერე, ოზურგეთი და სხვ.) ან კიდევ ოსმალების მიერ იყო დაპყრობილი.

ქვეყნის დაშლილობა, რომელიც დასავლეთ საქართველოში უფრო ღრმად იყო ფეხმოკიდებული, ვიდრე აღმოსავლეთში, საერთო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის უქონლობა, სამეფო ხელისუფლების სისუსტე, თურქ-ასიმილატორთა თავდასხმები და ბატონობა — იყო ის მიზეზები, რომელიც ხელს უშლიდა საქალაქო ცხოვრების განვითარებასა და მსხვილი ქალაქების წარმოშობას დასავლეთ საქართველოში.

*

* *

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების ეკონომიკური მდგომარეობის გასათვალისწინებლად, იმის შესასწავლად, თუ როგორი იყო ამა თუ იმ ქალაქში მოსახლეობის კონცენტრაცია, წარმოების იარაღები, კაპიტალი, მოთხოვნები და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობანი[259], ჩვენ ძალიან მცირე მასალა მოგვეპოვება;

---

[259] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч. IV, с. 40.

რაკი გვიანფეოდალური ხანის არც ერთი ქალაქის არქივი, „საქალაქო დავთრები“ (რომელთა არსებობის შესახებ ჩვენ არაერთი წერილობითი მითითება მოგვეპოვება) არ შენახულა, საქალაქო მეურნეობის უნაკლო სურათის წარმოდგენა ძლიერ ძნელდება. თუ ზოგ ქალაქზე (მაგ., თბილისი, გორი, თელავი და სხვ.) ჩვენ არაპირდაპირი ცნობები მაინც მოგვეპოვება, ზოგის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. მაგ., ჩვენ ვერაფერს ვიტყვით დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ხელოსნური წარმოების განვითარების შესახებ. სათანადო არაპირდაპირი მასალაც კი არც დოკუმენტურ და არც აღწერილობით წყაროებში არ შენახულა. ყოველივე ამის გამო, ცხადია, ჩვენი მიმოხილვა ამ თვალსაზრისით სრული არ იქნება.

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი თბილისი იყო. XVII—XVIII სს. თბილისი ხელოსნური წარმოების ცენტრს წარმოადგენდა. აქ განვითარებული იყო ხელობის იმდროისათვის ცნობილი თითქმის ყველა დარგი. XVIII ს. აღწერილობით წყაროებში არაერთხელ არის მითითებული თბილისში სხვადასხვა სახის ხელოსნური საწარმოების არსებობის შესახებ. მაგ., იაზიკოვი წერდა, რომ თბილისში ყოველგვარი სახელოსნო საკმაოდაა, ყოველ სახელოსნოს თავისი რიგი აქვს[260]. ასევე წერდა XVIII ს. 70-იან წლების თბილისის შესახებ მურავიოვიც: სხვადასხვა ხელობის ხალხი საკმაო რაოდენობითაა[261]. ასეთსავე ზოგად ცნობას თბილისში ხელოსნური წარმოების ზოგიერთი დარგის განვითარების შესახებ იძლევა აგრეთვე გიულდენშტედტიც[262].

. იოანე ბაგრატიონის ცნობით (რომელმაც აღწერა XVIII ს. დასასრულისა და XIX ს. დამდეგის თბილისის სახელოსნო რიგები), იმდროინდელ თბილისში დიდი რაოდენობით იყვნენ ხარაზები (სხვადასხვა სახის ფეხსაცმელების მკერავები), სარაჯები (ცხენის აკაზმულობის — უნაგირის, აღვირის მკეთებელი ოსტატები), ჭონები (მექუდეები), სირაჯები (ტიკებისა და რუმბების მკეთებლები), ქურქჩები (ბეწვეულის დამამზადებელი ხელოსნები), მკერვალები, ნალბანდები, ჩილინდრები (კლიტეების, გასაღებების და სხვ. მკეთებელნი), დალაქები, მექვაბეები (სპილენძის ჭურჭლის მკეთებლები), ოქრომჭედლები, მესანთლეები, რომელნიც აგრეთვე საპონის გამოხარშვასაც აწარმოებდნენ, კალატოზები, ხუროები, დურგლები, ხარატები, თიხის ჭურჭლის ოსტატები, რომელნიც ჭურჭელს გარ-

---

260 А. Цагарели, Грамоты, I, с. გვ. 188.

261 იქვე, გვ. 217.

262 И. Гюльденштедт, Описание, с. 185; Reisen, გვ. 132.

და ქვევრებსაც ამზადებდნენ, საკრავთა მკეთებელი ოსტატები, მხატვრები, ყაბაზები (ძაფის, ბაბთის, ზონრის მგრეხელი ოსტატები), დაბაღები (მეტყავეები), მღებრები (ანუ ლილახანის ოსტატები, სხვადასხვა ქსოვილთა მღებავები), ფეიქრები, მელაინეები, ქვის მთლელები, მეჩახმახეები, მეთოფეები, მეხანჯლეები, მეპურეები (ალაფები) და სხვა ხელობის წარმომადგენლები. იოანე ბაგრატიონის სიტყვით, თბილისის ბაზარი ხელობის ამ დარგების წარმომადგენელთა სხვადასხვა რიგებისაგან შედგებოდა, სადაც ხელოსნების ნაწარმი დიდი რაოდენობით იყო გამოტანილი[263].

თბილისის ხელოსანთა ცალკეული დარგის წარმომადგენელთა რიგების შესახებ სათანადო მითითება მოიპოვება თბილისის 1782 წ. გეგმაშიც. გეგმის შემდგენელის მიხედვით, ქალაქის პირველ კვარტალში, იქ, სადაც იყო მეფის სასახლე სათანადო სამეურნეო ნაგებობებით, მეფის სასახლის დასავლეთის ფასადის პირდაპირ ერთ ხაზზე იყო იარაღების სახელოსნოები, აქვე მახლობლად იყო აგრეთვე მღებრების რიგი (ქუჩა), ოქრომჭედლების რიგი, საფეიქრო (დრაპების) სახელოსნოები, ჩილინდრების, მეაბრეშუმეთა და მეფეხსაცმელეთა სახელოსნოები[264]. გეგმის მიხედვით, ეს ის ადგილია, რომელსაც თბილისის XVIII ს. პირველი ნახევრის გეგმა, ბაზარს უწოდებს და რომელზედაც შარდენი შენიშნავდა: „სასახლის წინ არის ოთხკუთხი მოედანი... მოედანი დუქნებით არის შემოზღუდული და ბოლოს გრძელი ბაზარია სასახლის პირდაპირ. მშვენიერი სანახავია მოედანი და სასახლის ფასადი ამ ბაზრის თავიდან“[265]. ზემოხსენებულთა გარდა 1782 წ. გეგმაში დასახელებულია აგრეთვე „მექვაბეთა სახელოსნო“ და სირაჯხანა (ტიკების და სხვ. სახელოსნო)[266]. ხელოსანთა სხვა რიგებს გეგმის შემდგენელი არ იხსენიებს.

თბილისის 1800 წ. გეგმით კი, რომელზედაც, სამწუხაროდ, მხოლოდ მეფის, დიდგვარიანთა და საეკლესიო ნაგებობაა ჩატანილი, ქალაქში 2 ბაზარი, 2 მოედანი და 4 ქარვასლა იყო[267]. ბაზრები

---

263 იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, 1936, გვ. 193—195.

264 ЦГВИА, Ф: ВУА, № 22656, იხ. გეგმის ექსპლიკაციის № 15, 17, 18, 26, 27, 28.

265 შარდენი, მოგზაურობა საქ-ში, გვ. 95.

266 ЦГВИА, Ф. ВУА, № 22656, ექსპლიკაციის № 35, 63.

267 ЦГВИА, Ф. ВУА, № 22660.

და ქარვასლები ძირითადად სწორედ ხელოსნებს ჰქონდათ დაკავებული. ასევე, ხელოსნებს ჰქონდათ დაკავებული ქალაქის დუქანთა უმეტესობაც. 1803 წ. აღწერით, რომელიც მოგვცემს წარმოდგენას XVIII ს. დასასრულის თბილისის შესახებ, ქალაქის 574 დუქნიდან ხელოსნებს ეჭირათ 310 დუქანი, 85 დუქანი იყო „с красным товаром", საწვრილმანო საქონლით 63, სასურსათო 76 და ღვინო-არაყის 40; ე. ი. ვაჭართა დუქნების რაოდენობა სულ 264-ს უდრიდა[268]. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ XIX ს. პირველი წლების თბილისში მოსახლე ხელოსნები მისდევდნენ ხელობის 35 სხვადასხვა დარგს[269].

ხელოსნური ნაწარმი ძირითადად ბაზრისათვის მზადდებოდა, თბილისელი ხელოსნების ერთი ნაწილი თავის ნაწარმს იქვე ჰყიდდა, ნაწილი კიდევ საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების სხვადასხვა ქალაქებში გადიოდა. ამ მხრივ საინტერესო ცნობა მოეპოვება XVIII ს. 80-იანი წლების შესახებ ბურნაშევსაც[270]. თბილისის ხელოსნების ნაწარმი გადიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც. გიულდენშტედტის ცნობით, ხონის ბაზარზე სხვადასხვა სახის მატერიები მოდიოდა «из тифлисских фабрик»;[271]. ასე რომ, თბილისის ხელოსნები აწარმოებდნენ არა მარტო თავისი და საკუთარი ბატონის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ საშინაო და საგარეო ბაზრისთვის. ხელოსანი, წერს ვ. ი. ლენინი, „რაკი ერთხელ ბაზარზე გამოვიდა, შემდეგში ის იწყებს ბაზრისათვის წარმოებასაც, ე ი. იქცევა საქონელმწარმოებლად". „სასაქონლო მეურნეობის შემდგომი განვითარება გამოიხატება ვაჭრობის გაფართოებით, სპეციალისტ ვაჭარ-შემსყიდველების გაჩენით; წარმოების გასაღების ბაზარს წარმოადგენს არა სოფლის ვიწრო ბაზარი, ან იარმარკა, არამედ მთელი ოლქი, შემდეგ მთელი ქვეყანა და ზოგჯერ კიდევ სხვა ქვეყნებიც კი"[272].

ხელოსნურ საწარმოებს გარდა, თბილისში იყო შედარებით მსხვილი სარეწავებიც, რომელთაც იმდროინდელი წყაროები „ფაბრიკებს" და „ქარხნებს" უწოდებს, რაც, რა თქმა უნდა, ამ სარეწავების არსის გამომხატველად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

---

[268] Акты, II, с. 106.

[269] ЦГИАГ, Ф. 16, д. 497, л.л. 55—62, 63—77.

[270] С. Д. Бурнашев, Картина Грузии, с. 2.

[271] И. Гюльденштедт, Описание, с. 173; 355.

[272] ვ. ი. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, ქართ. გამ., გვ. 386—387, თხზ., ტ. III, გვ. 283.

სხვადასხვა სახის შედარებით მსხვილი სარეწაველი, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, განსაკუთრებით ერეკლე II-ის დროიდან, XVIII ს. მეორე ნახევრიდან ჩნდება, ისინი მეფესა და სამეფო სახლის წევრებს ეკუთვნოდათ, რომელნიც ამა თუ იმ სარეწაოს იჯარით გასცემდნენ ხოლმე. შენიშვნები ასეთი სარეწაველების თბილისში არსებობის შესახებ აღწერილობით წყაროებშიც მოიპოვება[273]. საყურადღებო ცნობები შემოგვინახეს ამ მხრივ იაზიკოვმა, გიულდენშტედტმა[274]. მნიშვნელოვან სარეწაოთა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს XVIII ს. 70-იანი წლების თბილისში არსებული ზარაფხანა, რომლის იჯარიდან მეფე ყოველწლიურად, იაზიკოვის ცნობით, 30. 000 მანეთს იღებდა[275]— მინის საწარმო[276], მარილსახდელი (солеварная, sulrabinaderei) სარეწაო[277], სამღებროები, ჭურჭლეულობის „ქარხანა“[278] და სხვ. აღსანიშნავია, რომ სარეწაველებში ყმური შრომა კი არ იყო გამოყენებული, არამედ ძირითადად დაქირავებულ ოსტატთა და მათ დამხმარეთა შრომა. ყველა ზემოაღნიშნული სარეწაო მეფის მიერ იჯარით იყო გაცემული. მოიჯარადრე კიდევ სათანადო ოსტატებს ამუშავებდა.

მოიჯარადრეებად, როგორც მასალებიდან ჩანს, ფეოდალები კი არ იყვნენ, რომელთაც შეეძლოთ იჯარით აღებულ სარეწაველებში თავიანთი ყმები ემუშავებინათ, არამედ უმთავრესად მოქალაქენი, ქალაქის ვაჭრები. ამიტომაც, ბუნებრივია, ზარაფხანის ლითონის სადნობ სარეწაოს, სამღებროს და სხვ. მოიჯარადრეებს სათანადო ოსტატების დაქირავება, ზოგ შემთხვევაში უცხოეთიდან ჩამოყვანა და მათი დამხმარეების, შავი მუშების დაქირავება უხდებოდათ. თბილისის სამღებროები, რომლის იჯარაც სამეფო სახლს წლიურად 500—700 თუმანს აძლევდა, უმთავრესად მოიჯარადრეთა მიერ დაქირავებული ოსტატებისა და მათი დამხმარეების შრომით მუშაობდა. ამ მხრივ საინტერესო დაკვირვება აქვს ნ. ბერძენიშვილს თავის ნაშრომში „სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში[279]. მისი აზრით, სამღებროები „უკვე მანუფაქტურაა და არა საშუალო საუკუნეების სახელოსნო“, რადგან „იჯარადარი მღებარი (ოსტატი,

---

[273] Цагарели, Грамоты, I, с. 189.

[274] И. Гюльденштедт, Описание, с. 262.

[275] А. Цагарели, Грамоты, I, с. 187.

[276] თბილისის 1782 წ. გეგმა, ЦГВИА, Ф. ВУА, № 22656, ექსპლიკ. № 49.

[277] И. Гюльденштедт, Описание, с. 185; Reisen, გვ. 131

[278] ალ. ამილახვარი, გეორგინული ისტორია, „მნათობი“, 1939, № 3, გვ. 150.

[279] იხ. МИГК, VI, 1937 წ.

შ. მ.) არაა და ამავე დროს სამღებროს ექსპლოატაციას უშუალოდ ეწევა. ამავე დროს ეს იჯარადარი არ არის ფეოდალი, რომ გვეფიქრა, თითქოს სამღებროში ის თავის ყმა-ოსტატს ასაქმებს"[280]. ასევე შეიძლება ითქვას არა მარტო თბილისის სამღებროების, არამედ საქართველოს სხვა ქალაქების სამღებროთა უმეტესობის შესახებაც. სამღებროები კი XVIII ს. თითქმის ყველა დიდ და მცირე ქალაქში არსებობდა; კერძოდ, ანანურში, დუშეთში, ახალგორში, ცხინვალში, გორში, სურამში, საჩხერეში, ქუთაისში, ზოვრეთში, ახალქალაქში (ქართლის), თელავში და სხვ.[281].

სამღებროთა მსგავსად იყო მოწყობილი შრომა აგრეთვე მეფის მიერ იჯარით გაცემულ სხვა სარეწავებშიც. სამღებრო ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა. მით უფრო დახელოვნებული ოსტატები (და არა უბრალო ყმები) იყო საჭირო ზარაფხანისათვის, ლითონთა სადნობ და საომარ იარაღთა (ზარბაზნები, მორტირები) ჩამოსასხმელი სარეწაოებისათვის და სხვ., რომელთა დაქირავებაც სათანადო მოიჯარადრეებს უხდებოდათ. ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობას გვაწვდის „მადნის ოსტატი ბერძნების განცხადება". ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმების პირველი წლების საქართველოში მადნების დამუშავება შეწყდა; ოსტატებმა ციციანოვს განცხადებით მიმართეს: „რვა თვე არის გრაფი მობრძანებულა, არც გვიშვებს რომ მაღარო ვამუშაოთ; იმ მაღაროდამ თუმცა სარგებელი თვითო ორორი შაური გვაქვს, იმის საბაბით ორმოცი და ორმოცდაათი თუმანი, კაცის თავს ვალი გვაქვს... და ნოქრებიც (დაქირავებული პირები, შ. მ.) დავიჭირეთ და თვეში თვითო თუმანი ნოქრის ხარჯი არის"[282]. როგორც ჩანს, მაღაროში, ოსტატებს გარდა, რომელთაც შემოსავლიდან გარკვეული წილი ერგებოდათ[283], „ნოქრებიც", სხვა დაქირავებული პირებიც მუშაობდნენ, რომელთაგან თვითეულზე თვეში თითო თუმანი იხარჯებოდა. მსგავსი, იჯარადართა თუ თვით ოსტატთა მიერ დაქირავებული პირები მუშაობდნენ სხვა სარეწაოებშიც. ასე რომ, მეფის ზემოხსენებული სარეწაოები თბილისში, XVIII ს. 70—80-იან წლებში, ძირითადად მანუფაქტურები იყო და არა სახელოსნოები. მაგრამ მანუფაქტურული წარმოება იმდროინ-

---

280 ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში, МИГК, VI, 1937, გვ. 441.

281 იქვე, გვ. 438.

282 ЦГИАГ, ფონდი, 2, საქმე 48, ფურცელი 78.

283 XIX ს. დამდეგის საბუთით ქართლ-კახეთის სამეფოში მადნების მაღაროების დამუშავების დროს აღმოჩენილი ოქრო ყველა მეფეს ეკუთვნოდა, 1 ფუთ ვერცხლიდან კი 150 მან., დანარჩენი მომუშავეებს რჩებოდათ (1, № 419.).

დელ თბილისში იმდენად სუსტად იყო განვითარებული, რომ იგი საქალაქო მეურნეობაში გაცილებით უფრო ნაკლებ როლს ასრულებდა, ვიდრე წვრილი ხელოსნური სასაქონლო წარმოება.

საქართველოს სხვა ქალაქებში ხელოსნური წარმოების ცალკეული დარგების განვითარების შესახებ XVII—XVIIII სს. ჩვენ თითქმის არავითარი მასალა არ მოგვეპოვება. მართალია შემორჩენილია ზოგიერთ ქალაქთა მოსახლეობის აღწერის დავთრები, მაგ., ცხინვალის, გორის, თელავის, და სხვ., მაგრამ აქ კომლები შეტანილია ისე, რომ მათი საქმიანობის შესახებ არაფერია ნათქვამი. ცალკეულ საბუთებში კი ამა თუ იმ ქალაქის თითო-ოროლა ხელოსანია დასახელებული, რაც, ცხადია, ხელოსნური წარმოების განვითარებაზე წარმოდგენას ვერ მოგვცემს. აღწერილობითი ხასიათის წყაროებიც ამ მხრივ არაფერს გვაძლევენ. ყოველივე ამის გამო ჩვენ იძულებული ვართ ამჟამად დავკმაყოფილდეთ 1802 წ. მასალებით, რომელიც რუსეთის ხელისუფლების დამკვიდრების პირველი წლის, ე. ი. ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელი წლების მდგომარეობას აგვისახავს.

1802 წ. ცნობების მიხედვით, ქ. თელავში 234 ხელოსანი იყო, რომელთა უმეტესობა, აღმწერის სიტყვით, ვარჯიშობდნენ ქსოვაში, სამჭედლო ხელოსნობაში, ქუდების და ჩექმების კერვაში[284]. აღსანიშნავია, რომ თელავის მოსახლეობის თითქმის 2/3-ს ხელოსნები შეადგენდნენ, გაცილებით ნაკლები იყვნენ ვაჭრები; ამავე მასალების მიხედვით, თელავში იყო 10 ვაჭარი და საწვრილმანოებით მოვაჭრე 47, ე. ი. სულ 57[285]. როგორც ჩანს, თელავის მოსახლეობის საქმიანობას უმთავრესად ხელოსნური წარმოება შეადგენდა; შედარებით მსხვილი სარეწაო, რომელსაც აღმწერელი „ფაბრიკებს“ უწოდებს, ორი ყოფილა—სამღებრო და ტყავის დამმუშავებელი. დუქანთა რაოდენობაც თელავში საერთოდ 60-მდე აღწევდა. როგორც ჩანს, აქ მხედველობაშია მიღებული უმთავრესად ვაჭართა დუქნები.

1802 წ. მასალები უფრო სრულ ცნობებს გვაწვდის ქ. სიღნაღის შესახებ. აღწერის მიხედვით, სიღნაღში იყო ოქრომჭედელთა (серебряников) 9 დუქანი, სადაც 5 ოსტატი მუშაობდა, მქსოველთა — 83 სახელოსნო, სადაც 113 სული მუშაობდა, მღებავთა 4 დუქანი 8 ხელოსნით, ფეხსაცმლის შემკეთებელთა 2 დუქანი ორი ხელოსნით, ფეხსაცმლის მკერავთა 11 დუქანი 13 ხელოსნით, მეტყავეთა — 2 ხე-

---

[284] ЦГИАГ, ფონდი 16, საქმე 51.

[285] იქვე.

ლოსნით (დუქნები არ ჰქონიათ), მებათქაშეთა 2 დუქანი ორი ხელოსნით, მექვაბეთა 3 დუქანი 3 ხელოსნით, მჭედელთა 5 დუქანი 6 ხელოსნით, მენახშირეთა — 2 ხელოსნით (დუქნები არ ჰქონიათ), ხუროთა და მეაველჯეთა 2 დუქანი სამი ხელოსნით; მკერვალთა 2 დუქანი 4 ხელოსნით და ხუთი გამყიდველით. მეთერძეთა — 10 (დუქნები არ ჰქონიათ), მხერხავთა 2 დუქანი 3 ხელოსნით, მეწისქვილეთა 3, მექუდეთა 3 (?), მეთამბაქოეთა 1 დუქანი, დამტარებელნი — 6[286].

ამრიგად, XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დამდეგს საკუთრივ ქ. სიღნაღში მცხოვრებნი მისდევდნენ ხელობის 20 სხვადასხვა დარგს, მათ სახელოსნოებს ქალაქის 131 დუქანი ეჭირა; ამათ გარდა, ცალკე იყო აგრეთვე დუქნები „წითელი საქონლით — 39, მექუდეების — 10, ზოგი სახელოსნო თვით ქალაქის ციხის შიგნით ყოფილა. ციხეში ქსოვილების დუქანი — 42, მეთითბრეთა — 1“[287]; ასე რომ, სიღნაღში, საერთოდ, ხელოსნებს 189 დუქანი ეჭირათ, მაშინ, როცა ფართლეულით მოვაჭრეებს მხოლოდ 32 დუქანი ჰქონდათ. როგორც ჩანს, XVIII ს. მიწურულს სიღნაღი უკვე ქართლ-კახეთის მნიშვნელოვანი სახელოსნო და სავაჭრო ცენტრი ყოფილა.

შედარებით სხვაგვარი მდგომარეობა იყო გორში 1802 წ. აღწერით. ხელოსნებს აქ მხოლოდ 50 დუქანი ეჭირათ, მაშინ, როცა დუქანთა რაოდენობა „წითელი საქონლით“ 90-ს უდრიდა. ხელოსნების დუქნებიდან ანუ სახელოსნოებიდან იყო მეთითბრეთა დუქანი — 3, მეტყავეთა — 4, მექუდეთა —3, მღებავთა — 9, სხვადასხვა საქონელთა — 14, ოქროულობის — 1, ვერცხლეულობის — 2, მებათქაშეთა — 1“[288]. 14 დუქანი სხვადასხვაგვარი საქონლით აღმწერელს შეაქვს იმ გრაფაში, სადაც საერთოდ ხელოსნების დუქნებია ჩამოთვლილი. ეტყობა ეს 14 დუქანიც ხელოსნებს ეკუთვნოდათ. განხილული მასალიდან ჩანს, რომ XVIII ს. დასასრულის გორი უფრო სავაჭრო ცენტრი იყო, ვიდრე სახელოსნო. იქნებ ეს იმით აიხსნება, რომ იგი სავაჭრო გზაზე იყო და ამიტომაც უფრო ვაჭრებს უყრიდა თავს.

1802 წ. აღწერილობა ცნობებს გვაწვდის აგრეთვე ქ. დუშეთის შესახებ. დუშეთში XVIII ს. მიწურულს ხელოსნობას მისდევდა 76

---

[286] ЦГИАГ, ф. 16, საქმე 51, ფურცელი 3.
[287] იქვე, ფურცელი 10.
[288] ЦГИАГ, Ф. 16, д. 51, л. 5.

ოჯახი ანუ ორივე სქესის 518 სული. აღმწერელი შენიშნავს, რომ დუშეთში ვაჭრობას მხოლოდ 14 ოჯახი მისდევდა[289].

როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლებამ მხოლოდ სამაზრო ქალაქებში მოახდინა ვაჭრობისა და ხელოსნობის მდგომარეობის აღწერა. XIX ს. დამდეგის მსგავსი თუ სხვა ხასიათის მასალა საქართველოს სხვა ქალაქების შესახებ, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება.

შედარებით უფრო სრული მასალებია საქართველოს ქალაქების ვაჭრობის შესახებ. საქართველოს ქალაქების საშინაო თუ საგარეო ვაჭრობაში ისევ თბილისი პირველობდა.

XVII ს. 30-იან წლებიდან, როცა შეწყდა ირანისა და ოსმალეთის გამუდმებული ლაშქრობები, თბილისმა თანდათან ისევ აღადგინა სავაჭრო ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან. როგორც როსტომის 1636 წ. ბრძანებიდან ჩანს, იმდროინდელ თბილისში სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოდიოდა და თბილისიდანაც გადიოდა აბრეშუმის ნაწარმი, სხვადასხვა სახის ფართლეული, ბამბა და მისი ნაწარმი, სხვადასხვა სახის საწვრილმანო, თუთუნი, მარილი, ბრინჯი, ერბო და თაფლი, ნალ-ლურსმანი და რკინის სხვა ნივთები, მატყლი, თევზი, და სხვა სურსათი[290]. მისიონერ სერაფიონ მელიკოკანელის სიტყვით, აღორძინებულ თბილისში XVII ს. 60-იან წლებში ერთმანეთს ხვდებოდნენ ყოველი მხრიდან — სპარსეთიდან, ალეპოდან, კონსტანტინოპოლიდან და მთელი საქართველოდან — მოსული ვაჭრები. მისივე სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღე აქ უამრავი ვაჭარი და მრავალი საქონლით დატვირთული ქარავანი შემოდიოდა, მაინც საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით ყველაფერი ძვირი იყო[291]. თბილისის ვაჭრობის შესახებ XVII ს. 70-იან წლებში მნიშვნელოვანი ცნობები დაცული აქვს შარდენსაც[292]. თბილისი მოხერხებულ გზაზე მდებარეობდა. აქედან შეეძლო დასავლეთის სავაჭრო კაპიტალს ურთიერთობა დაემყარებინა ინდოეთთან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან. XVIII ს. დამდეგს თბილისში ვაჭრობა კიდევ უფრო დაწინაურდა; მაგრამ თბილისის აღმავლობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, XVIII ს. 20-იან წლებიდან დიდი ხნით შეჩერდა.

XVIII ს. 40—50-იანი წლებიდან თბილისი თანდათან აღორძინების გზას დაადგა და აღმოსავლეთის ვაჭრობაში მნიშვნელოვანი

---

[289] იქვე. ფურცელი, 7.

[290] ГМГ, Ид 1559.

[291] მიხ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 88.

[292] შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, ა. ღვინიაშვილის თარგმანი, გვ. 206.

როლის შესრულება დაიწყო. XVIII ს. 50-იანი წლებიდან, დარიალის საავჭრო გზის გახსნის შემდეგ, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, თბილისი კიდევ უფრო დაუახლოვდა რუსეთს. ამიერიდან ეს კავშირი არა მარტო პოლიტიკურ, არამედ მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობაშიც გამოიხატებოდა. თეიმურაზ II-ის სიგელის მიხედვით „ოსეთის გზით“ ქალაქში (თბილისში) ვაჭრებმა და ქარავნებმა მოსვლა დაიწყეს.

ირანიდან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან მომავალი საქარავნო გზებიც თბილისში იყრიდნენ თავს. ამ გზებით თბილისი ეკონომიკურ კავშირს ამყარებდა მაჰმადიანური აღმოსავლეთის ქალაქებთან.

1736 წ. შედგენილ „თბილისის ბაჟის გარიგების“ წიგნიდან ჩანს, თუ რა და რა სახის საქონელი ტრიალებდა თბილისის ბაზარზე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა „ყიზილბაშობა“ ბატონობდა. საბუთის სიტყვით, თბილისში შემოდიოდა სხვადასხვა სახის ფარჩა, ბაგრასტა, ლანდარა, მაუდი, შალი, აბრეშუმი, ბამბა, ხამხალათი, განჯიდან შემოტანილი აბრეშუმი, სხვა ქვეყნიდან მოტანილი აბრეშუმი, ბაზირგანის აბრეშუმი, ბეწვეული, მატყლი, სხვადასხვა საწვრილმანო, სურსათ-სანოვაგე: ხმელი თევზი, გელაქნური, ორაგული და ზუთხი, ბრინჯი, ერბო, თაფლი, ქონი, ხუშკაბარი, ზეითუნი, მარილი, ზეთი, ნესვი, საზამთრო, კიტრი; სხვა სახის საქონელი: შაბი, რკინა, ნალი, ლილა თავრიზის, გუნდა და სპილენძი, ენდრო, თამბაქო, ხმელი ტყავი და სხვ.

ამას გარდა, მესასწორე (ყაფანდარი) ბაჟს იღებდა ბაზარზე გამოტანილ ხორბალზე, ფქვილზე, ქერზე, ფეტვზე და სხვა ზემოდასახელებულ საქონელზედაც. თბილისის ბაზარზე იყიდებოდა აგრეთვე ცხენი, ჯორი და სხვა ოთხფეხი საქონელი. ზემოჩამოთვლილი საქონელი ქალაქში შემოჰქონდათ აქლემის, ცხენის, ხარის და ვირის საპალნეებით, ბაჟიც ძირითადად ამის მიხედვით იყო დაწესებული[293].

მომდევნო წლებში, როცა ყიზილბაშობა გადაშენდა და ქართლ-კახეთის მეფეები ენერგიულად შეუდგნენ ძნელბედობის ჟამს დაკნინებული ქალაქის გაძლიერებას, თბილისი ვაჭრობის კიდევ უფრო მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. XVIII ს. 50—60-იანი წლების თბილისის ვაჭრობის შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის პეისონელი. მისი ცნობით, XVIII ს. 50—60-იანი წლების თბილისში ყო-

---

293 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ... „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“.

ველდღე მოდიოდა ქარავნები განჯიდან, შემახიიდან, ერევნიდან, თავრიზიდან და არზრუმიდან. თბილისიდან, მისივე ცნობით, ყოველ თვეში 150—200 ურემი გადის ერევანს, თავრიზს და არზრუმს[294]. თბილისზე გაივლიდა აგრეთვე სპარსეთიდან კონსტანტინოპოლს, სმირნას, ალეპოს და ამ ქალაქებიდან სპარსეთს მიმავალი საქონელი. ამიტომაც, პეისონელის სიტყვით, „თბილისი წარმოადგენდა ყველაზე უფრო ხელსაყრელ ადგილს სპარსეთთან ვაჭრობის დასამყარებლად“, „სპარსეთის ყველა ქალაქის გასაღებს“[295].

საქართველოსა და მის ქალაქებში, პეისონელის ცნობით, დიდი გასავალი ჰქონდა ინგლისურ დრაპებს, აბრეშუმის ვენეციურ მატერიებს, უბრალოსა და ოქრონემსულს. აქვე დიდი მოგებით იყიდებოდა ჰოლანდიიდან შემოტანილი ზეზი (აბრეშუმნარევი ოქროსა და ვერცხლის ძაფი) და სხვა[296]. შემოჰქონდათ, ცხადია, აღმოსავლური ქალაქებიდან სხვადასხვა სახის ქსოვილები და ნედლეულიც. მაგ., შემახიიდან — თივთიკი, „უზბეკების ქვეყნიდან“—წითელი თივთიკი და სხვ[297].

თბილისი უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის საწყობი და გასაღების ბაზარი როდი იყო. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავისი ნაწარმით აღმოსავლეთის ქვეყნებთან არსებულ სავაჭრო ურთიერთობაში. თბილისელი მოქალაქეები ვაჭრობას აწარმოებდნენ ბეწვეულით სპარსეთში და არზრუმით კონსტანტინოპოლის ბაზარზე. აქედანვე გადიოდა აგრეთვე აბრეშუმიც, რომლითაც საქართველო ძველიდანვე ცნობილი იყო. შარდენი, სხვათა შორის, შენიშნავდა, რომ საქართველო ბევრ აბრეშუმს აწარმოებს, ქართველებს იგი გააქვთ თურქეთში, ერზერუმში და სხვ. ადგილებში და ამით დიდ ვაჭრობას ეწევიანო[298]. ექსპორტის საგანს შეადგენდა აგრეთვე ენდრო, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველო ძველიდანვე ცნობილი იყო. ჯერ კიდევ XII ს. არაბი გეოგრაფი ედრისი მიუთითებდა თბილისიდან და მისი მეზობელი მიდამოებიდან ენდროს დიდი რაოდენობით გატანაზე[299]. XVIII ს. დამდეგს თბილისიდან და საერთოდ

---

[294] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ XVII-18 საუკუნეში (პეისონელის ცნობით), ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, I, 1940, გვ. 121.

[295] იქვე, გვ. 119—120.

[296] იქვე, გვ. 118.

[297] იქვე.

[298] შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში...., ე. ღვინიაშვილის თარგმანი, გვ. 206.

[299] A m é d é e J a u b e r t, Géographie d'Edrisi m. seconde, 1840, გვ. 330.

საქართველოდან ენდროს დიდი რაოდენობით გატანის შესახებ მოგვითხრობს ტურნეფორი, რომლის მიხედვით ერზერუმში ყოველწლიურად მიდის ენდროთი დატვირთული 2000 ქარავანი. ერზერუმიდან ენდრო დაირბექირში გაჰქონდათ. ტურნეფორის ცნობით, საქართველო ენდროთი ამარაგებდა ინდოსტანსაც, სადაც „საუკეთესო ჭრელი მატერიები იქსოვება“[300].

თბილისიდან გადიოდა მატყლიც, ტყავეულობა, ცვილი, ერბო, თაფლი და სხვ. საქართველოს საგარეო ვაჭრობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთისა და ქართლის ღვინოებს, რომელიც დიდი რაოდენობით გადიოდა საზღვრებს გარეთ, განსაკუთრებით ისპაანში.

ძლიერი სავაჭრო ქალაქი, მნიშვნელოვანი სახელოსნო ცენტრი და რაც მთავარია „ყველაზე უფრო მოხერხებული ადგილი შავი ზღვით სპარსეთთან ვაჭრობის წარმოებისათვის“, თბილისი იზიდავდა უცხოეთის სავაჭრო კაპიტალსა და ვაჭრებს. ქართლ-კახეთის მეფე თავის მხრივ ცდილობდა ხელი შეეწყო თბილისში უცხოელთა ვაჭრობისათვის, რომ ამით ქალაქის ეკონომიკური სიძლიერე აღედგინა. ამიტომაც, პეისონელის ცნობით, ერეკლე ევროპელების თბილისთან სავაჭრო კავშირის დამყარებასა და გაძლიერებაში დიდი დახმარებისა და საქმეთა შემსუბუქების იმედებს იძლეოდა[301].

თბილისის საშინაო და საგარეო ვაჭრობის შესახებ ზოგი ცნობა მოეპოვება აგრეთვე იაზიკოვს[302], მურავიოვს[303], გიულდენშტედტსა[304] და სხვ., მაგრამ, ისინი ამ ვაჭრობის აღწერას არ აწარმოებენ.

გიულდენშტედტის ცნობით, თბილისში ხმარებაში იყო, გარდა ქართული ფულის სხვადასხვა სახეებისა, თურქული, ირანული და რუსული. რუსულ იმპერიალებს აქ ქართულ თუმნად იღებდნენ[305].

თბილისის ვაჭრობა XVIII ს. დასასრულისათვის რუსეთის ქალაქებთან ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ გაძლიერებული. იგი უმთავრესად ისეთ ქალაქებთან ამყარებდა კავშირს, როგორიც იყო მოზდოკი, ყიზლარი და ასტრახანი. ქართველი ვაჭრები ნაკლებად მი-

---

300 Старый Тифлис, с. 28—29.

301 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ევროპის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ, გვ. 120.

302 А. Ц а г а р е л и, Грамоты, I, с. 187—188.

303 იქვე, გვ. 217.

304 А. Г ю л ь д е н ш т е д т, Описание, с. 184—185; Reisen, გვ. 131—132.

305 იქვე, გვ. 263—265.

დიოდნენ რუსეთის შორეულ ქალაქებში. კიდევ უფრო სუსტი იყო და, შეიძლება ითქვას, შემთხვევით ხასიათს ატარებდა, თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების კავშირი დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. მართალია, თბილისში XVIII ს. მიწურულს მოჰქონდათ ამსტერდამიდან მაუდი (Сукно), შაქარი და სხვ., ასევე, ვენეციიდან აბრეშუმის მატერიები და სხვ., მაგრამ მიუხედავად ერეკლეს ცდისა, თბილისს რუსეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირის დამყარება ჯერ კიდევ ვერ მოეხერხებინა. შედარებით უფრო მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა არსებობდა მეზობელ მაჰმადიანურ ქვეყნებთან და საკუთრივ საქართველოს ქალაქებთან და პროვინციებთან[306]. აღმოსავლეთის ქალაქებში ხშირად იყვნენ თბილისელი ვაჭრების ქარავნები, მაგ., არზრუმში[307], ყარსში და სხვ.

თბილისის ეკონომიკური სახის წარმოსადგენად მნიშვნელობა ენიჭება დუქნების რაოდენობის გათვალისწინებასაც. ს. კაკაბაძის გამოანგარიშებით, XVIII ს. დამდეგს დუქანთა რაოდენობა თბილისში 200-ზე მეტი იყო[308], XVIII ს. 80-იან წლებში კი, ბურნაშევის ცნობით, — 500-მდე[309]. თუ ს. კაკაბაძის გაანგარიშება სწორია, XVIII ს. 80-იანი წლებისათვის, ამავე საუკუნის დამდეგთან შედარებით, დუქანთა რაოდენობა 2 1/2-ჯერ გაზრდილა. აღა მაჰმად-ხანის ლაშქრობის შედეგად თბილისი სასტიკად იქნა აოხრებული, გადაიწვა ქალაქი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობები მოისპო. ამით აიხსნება, რომ XIX ს. დამდეგსაც, 1703 წ. დუქანთა რაოდენობა თბილისში თითქმის იმდენივე იყო (574), რამდენიც XVIII ს. 80-იან წლებში.

საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს ქუთაისიც წარმოადგენდა. ქ. ქუთაისში აღმოჩენილ მონეტთა განძი, რომელიც რამდენიმე ვენეციური (ჯიოვანნო კორნარო — 1709—1722; სებასტიან მოჩენიკო — 1722—32, კარლო რუციინი — 1732—35), ოსმალური (აჰმედ მესამისა) და თბილისში მოჭრილი მონეტებისაგან შედგება[310], მიგვითითებს იმაზე, თუ რომელ ქვეყნებთან ჰქონდა ურთიერთობა ქუთაისს XVIII ს. დამდეგისათვის.

---

306 Обозрение Российского владич. на Кавказе, I, с. 254.

307 Жизнь Артемия Араратского, I, с. 260.

308 ს. კაკაბაძე საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 ს-ში, „მნათობი", № 2, 1924, გვ. 229.

309 С. Д. Бурнашев, Картина Грузии, с. 3.

310 Е. А. Пахомов, Монетные клады, в. IV, с. 73.

აღსანიშნავია, რომ XVII ს. ქუთაისში და მის მიდამოებში ჩნდება აგრეთვე მეფის რუსეთის კოპეიკები[311], რაც აგრეთვე ამ დროისათვის რუსეთთან ურთიერთობაზე მიგვითითებს. მაგრამ ქუთაისის ეკონომიკური ურთიერთობა აღმოსავლეთ თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან მაინც ჯერ კიდევ უფრო შემთხვევით ხასიათს ატარებდა, ვიდრე რეგულარულს. ქუთაისი ვაჭრობას უმთავრესად საქართველოსა და მეზობელი ოსმალეთის სხვადასხვა ქალაქებთან აწარმოებდა. ევროპის საქონელიც უმთავრესად ამ გზით შემოდიოდა. მაგ., პეისონელის ცნობით, საფრანგეთში დამზადებული ლონდონური დრაფი სტამბოლიდან შავი ზღვითა და ხმელეთით არზრუმის გზით შემოჰქონდათ „ოსმალეთის საქართველოში“ (ე. ი. დასავლეთ საქართველოში). მაგრამ, პეისონელისავე ცნობით, იმერეთში თვით ევროპელ ვაჭრებსაც შემოუტანიათ პოლონური მაუდი; ხოლო კონსტანტინოპოლიდან სომეხ და ბერძენ ვაჭრებს ვენეციისა და სხვა ქალაქების ყოველგვარი მატერიები შემოჰქონდათ, რომელიც აქ საკმაოდ დიდი რაოდენობით იყიდებოდა[312].

ქუთაისიც თავისი ნედლეულითა თუ ნაწარმით მონაწილეობას იღებდა ამ ვაჭრობაში. აქედან გადიოდა ძირითადად „ოსმალეთის საქართველოს მთავარი გასატანი საქონელი აბრეშუმი, რომელიც აქ ბლომად არის“. აქედანვე გადიოდა აგრეთვე დიდი რაოდენობით ცვილი, ბეწვეულობა და სხვ[313].

პეისონელის ცნობებს მხარს უჭერს და ადასტურებს ქუთაისის მიტროპოლიტის მაქსიმეს 1769 წ. ცნობებიც[314]. ქუთაისი ვაჭრობას აწარმოებდა აღმ. საქართველოს ქალაქებთანაც. იაზიკოვის ცნობით, ქუთაისში ყოველგვარი საქონელი მოდიოდა აღმოსავლეთ საქართველოდან[315]. ასევე, ქუთაისსა და იმერეთის სხვა მცირე ქალაქებს თავიანთი ნაწარმი გაჰქონდათ აღმ. საქართველოს ქალაქებში. დამახასიათებელია, რომ ქ. გორის ერთ-ერთ კარს „იმერეთის კარი“ ეწოდებოდა.

გიულდენშტედტის ცნობით, XVIII ს. 70-იანი წლების დას. საქართველოში და მათ შორის ქუთაისში გავრცელებული იყო 17

---

311 Е. А. Пахомов, Монетные клады, В. I, с. 32.

312 ს. კაკაბაძე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ, გვ. 114—115.

313 იქვე, გვ. 116.

314 А. Цагарели, Грамоты, в. I, с. 29; ср. II, в. I, с. 3.

315 იქვე, გვ. 194.

სხვადასხვა სახის ოსმალური მონეტა, „ყირიმული ლარი", თბილისური მონეტები და რუსეთის მონეტები[316].

ვაჭრობაში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სხვა ქალაქებიც: თელავი, სადაც სავაჭრო დუქანთა რაოდენობა 57-ს უდრიდა, რომელთაგან სხვადასხვა საწვრილმანო ნივთებით სავაჭრო 47 დუქანი იყო, დანარჩენში, როგორც ჩანს, ფართლეული და სხვ. ნივთები იყიდებოდა[317], სიღნაღშიც, რომელიც ძირითადად ხელოსნობის ცენტრს წარმოადგენდა, ვაჭართა 32 ოჯახი ცხოვრობდა[318]. გორში მოსახლე ვაჭართა რიცხვი 164 კომლს უდრიდა. გორის ვაჭრებს 90 დუქანი ეჭირათ[319]. დუშეთში ვაჭრობას 44 კომლი აწარმოებდა, რომელთაც 48 დუქანი ეჭირათ[320] და სხვ. მონაწილეობდნენ ვაჭრობაში მცირე ქალაქებიც. ამ მხრივ საგულისხმო ცნობები მოეპოვება გიულდენშტედტს ხონის შესახებ, სადაც თავს იყრიდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და კუთხეებიდან შემოტანილი საქონელი, ასევე ევროპული სხვადასხვა მატერიები, ოსმალეთის ქალაქებიდან შემოტანილი ნივთები და სხვ[321].

ზოგი მცირე ქალაქი კი უმთავრესად ადგილობრივი ნივთებით ვაჭრობდა და მეზობელი კუთხეების მოსახლეობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. მაგ., ონის ვაჭრები, გიულდენშტედტის ცნობით, რკინის ნაწარმით ვაჭრობენ, მას წედისიდან იღებენ, ვაჭრობენ ქართლის ქაღალდის ნაწარმით, მარილით, პრასით, ამისათვის აქ ჩამოდიან ოსები დვალეთიდან, დუგორიდან, ბასიანიდან; ჩამოდიან აგრეთვე სვანებიც[322].

ორიოდე სიტყვა საქართველოს ქალაქების მოსახლეობის შესახებ. რაკი საქალაქო დავთრები შემონახული არ არის, ქალაქების მოსახლეობის რაოდენობის გასარკვევად ძირითადად უცხო ავტორთა არაზუსტი მითითებებით უნდა დავკმაყოფილდეთ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XV—XVI სს. თბილისის მოსახლეობა საგრძნობლად შემცირებული იყო. XVII ს. 30-იანი წლებიდან ქალაქის აღორძინება, რა თქმა უნდა, მოსახლეობის გამრავლებასთანაა და-

---

316 И. Гюльденштедт, Описание, с. 376—380.

317 ЦГИАГ, ფონდი, 16, საქმე 51, ფურცელი 11.

318 იქვე, ფურცელი, 3.

319 იქვე, ფურცელი 5.

320 იქვე, ფურცელი 7.

321 И. Гюльденштедт, Описание, გვ. 355—356, Reisen, p. 173—174.

322 იქვე, გვ. 317. Reisen, გვ. 142.

კავშირებული. თუ პატრი კარლის ცნობას დავუჯერებდით, 1667 წლისათვის მთელი საქართველოს უმთავრეს ქალაქ თბილისში 70 თუ 80 ათასი სული ცხოვრობდა[323]. ცხადია, კათოლიკე მისიონერის ეს ცნობა ზუსტი არ არის და გაზვიადებული უნდა იყოს. მაგრამ, XVII ს. 70-იანი წლების თბილისი რომ მჭიდროდ დასახლებული და ხალხმრავალი ქალაქი იყო, ამაზე შარდენიც მიგვითითებს[324].

პატრის ცნობა რომ გაზვიადებულია, ეს მომდევნო ხანის მასალებიდანაც ჩანს. თბილისს XVII ს. II ნახევარში აოხრება არ განუცდია, ასე რომ, მისი მოსახლეობა XVIII ს. დამდეგისათვის თუ არ გაზრდილა, არც შემცირდებოდა. ტურნეფორის ცნობით კი, XVIII ს. პირველ წლებში თბილისში დაახლოებით 20 000 მცხოვრები იყო[325]. ს. კაკაბაძეს ეს ცნობა სარწმუნოდ არ მიაჩნია და თბილისის მცხოვრებლებზე გაწერილი გადასახადების რაოდენობის მიხედვით ცდილობს მოსახლეობის რაოდენობაც დაადგინოს. მისი აზრით, XVIII ს. პირველ წლებში აქ 2800 კომლი, ე. ი. დაახლოებით 14. 000 სული მცხოვრები უნდა ყოფილიყო[326]. რაც ეწინააღმდეგება თვით ტურნეფორის და სხვა ავტორების მითითებას თბილისის მოსახლეობის მრავალრიცხოვნობის შესახებ.

XVIII ს. მეორე მეოთხედში, ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს, ბუნებრივია, ქალაქის მოსახლეობა შემცირდებოდა. ამას გარდა, ქალაქში ჭირმა 1770 წ. 4000 კაცი იმსხვერპლა[327]. ამით აიხსნება, რომ ქალაქის მოსახლეობას XVIII ს. დამდეგიდან ვიდრე 70-იან წლებამდე ზრდა არ ეტყობა. ერეკლე II-ის ოფიციალური ცნობით, თბილისში ცხოვრობდა „მართლმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი, ფრანგნი და თათარნი კომლი ოთხი ათასი“[328], ე. ი. 20000 სული. ამასვე ადასტურებს გიულდენშტედტის ცნობაც, რომ 1772 წ. თბილისში დაახლოებით 24. 000 სული ყოფილა[329]. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ დროისათვის ჭირმა 4.000 მცხოვრები იმსხვერპლა, XVIII ს. 70-იან წლებამდე თბილისში 24. 000 მცხოვრები უნდა ყოფილიყო, რაც იაზიკოვის მითითებითაც დასტურდება: В

---

[323] მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 233.

[324] შარდენი, მოგზაურობა საქ-ში, გვ. 207.

[325] Старый Тифлис, с. 30.

[326] ს. კაკაბაძე, ეკონომიური ვითარების შესახებ, „მნათობი“, 1924, გვ. 225, შენ. 4.

[327] И. Гюльденштедт, Описание, с. 183; Reisen, p. 129.

[328] „კვალი“, № 11, 1898 წ.

[329] И. Гюльденштедт, Описание, с. 182, Reisen, e. 128.

Тифлисе «считается, по их сказкам, пять тысячь дворов»[330], ე. ი. 25. 000 სული. მაგრამ, 70 - იანი წლების შემდეგ იგი 20. 000 სულამდე დავიდა. ამის შემდეგაც ქალაქის მოსახლეობა არ გაზრდილა, 1783 წ. აღწერით, თბილისის მოსახლეობა 20.000-მდე არც კი აღწევდა[331]. აღა მაჰმად - ხანის ლაშქრობამ იმდენად შეამცირა ქალაქის მოსახლეობა, რომ 1803 წ., ე. ი. აღა მაჰმად - ხანის ლაშქრობიდან რვა წლის შემდეგაც, ქალაქის მოსახლეობა 2924 კომლს, ე. ი. დაახლოებით 14620 სულს შეადგენდა. როგორც ჩანს, XIX ს. დამდეგს თბილისის მოსახლეობა, XVIII ს. 70—80-იან წლებთან შედარებით, 18% შემცირებულა[332].

სხვა ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობის შესახებაც მოგვეპოვება ზოგიერთი ცნობა. მაგ., ერეკლეს 1770 წ. ცნობით, ქ. გორში „ქართველნი, ფრანგნი და სომეხნი კომლი ხუთასი“ ე. ი. 2500 სული მცხოვრები ყოფილა. აღსანიშნავია, რომ იაზიკოვის ცნობით, სწორედ ამ დროისათვის გორის მოსახლეობა საგრძნობლად შემცირებული იყო[333]. სხვა ცნობა გორის მოსახლეობის შესახებ, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია.

თელავში, ერეკლეს ცნობით, „მკვიდრობენ... ქართველნი და სომეხნი ხიზნათ, და თელავის ბოლოს სოფლით 740 კომლი“[334]. როგორც ჩანს, ერეკლეს ქალაქის მცხოვრებლებში ახლო მდებარე სოფლის მოსახლეობაც და ხიზნებიც უვარაუდნია; ყველა ამით თელავის მცხოვრებნი 3700 აღწევდა. მაგრამ, თუ საკუთრივ ქალაქის მკვიდრ მოსახლეობას, ძირითადად ხელოსნებსა და ვაჭრებს მივიღებთ მხედველობაში, როგორც 1802 წ. აღწერიდან ჩანს, იგი XVIII ს. ბოლოსათვის მხოლოდ 966 სულს შეადგენდა[335].

სიღნაღში, ერეკლესავე ცნობით, 1770 წ., ე. ი. ჯერ კიდევ ახლად აღორძინებულ ქალაქში, მხოლოდ 100 კომლი მოსახლე (ვაჭარი და ხელოსანი) ე. ი. 500 სული მცხოვრები ყოფილა[336]. ქალაქი შალე გაიზარდა და ქართლისა და კახეთის ზოგ ქალაქს გაასწრო კიდეც. 1802 წ. აღწერით, XVIII—XIX სს. მიჯნაზე სიღნაღში უკვე 1000 სული იყო[337].

---

330 А. Цагарели, Грамоты, I. с. 187.

331 ЦГИАГ, Ф. 226, № 1148.

332 შდრ. ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 226-27.

333 А. Цагарели, Грамоты, I, с. 188.

334 „ქვალი“, № 11, 1898 წ.

335 ЦГИАГ, ფონდი 16, საქმე 51, ფურცელი, 11.

336 „ქვალი“, № 11, 1898; შდრ. И. Гюльденштедт, Описание, с. 200.

337 ЦГИАГ, ფონდი, 16, საქმე 51, ფურცელი 10.

კიდევ უფრო ახალი ქალაქი იყო დუშეთი. მისი მოსახლეობაც სწრაფად იზრდებოდა. 1802 წ. ცნობით დუშეთში უკვე 1324 სული მცხოვრები იყო[338].

ერეკლე II-ის ოფიციალურ ცნობაში ზოგი მცირე ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის შესახებაც არის დაცული ცნობა. არაგვზე გაშენებულ „მცირე ქალაქ ანანურში მკვიდრობენ ქართველნი და სომეხნი 100 კომლი“[339], ე. ი. სულ 500 სული. ანანურის მცხოვრებთა რიცხვი მომდევნო წლებში არ გაზრდილა, პირიქით მცირდებოდა და ამით აიხსნება, რომ მას, როგორც აღვნიშნეთ, სამაზრო ქალაქის ღირსება წაართვეს. ასევე მცირერიცხოვანი იყო მოსახლეობა მცირე ქალაქ ახალგორშიც. ერეკლეს ცნობით, აქ მცხოვრები „ქართველნი და სომეხნი“ 140 კომლი, ე. ი. 700 სული იყო[340]. შედარებით მეტი ყოფილა მოსახლეობა სურამში, სადაც „მკვიდრობენ... ქართველნი, სომეხნი და ურანი 200 კომლი“[341], ე. ი. 1000 სული. ვაჭრობის მნიშვნელოვანი პუნქტი იყო ქართლ-კახეთში წილკანი, რომელიც 700 კომლს[342] ანუ 3.500 სულ მცხოვრებს ითვლიდა და საგარეჯო, სადაც გიულდენშტედტის ცნობით, 500 კომლი, ე. ი. 2500 მცხოვრები იყო[343]. ასეთსავე პუნქტებს წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში ხონი, სადაც აგრეთვე გიულდენშტედტის ცნობით, 200 კომლი, ე. ი. 1000 მცხოვრები ითვლებოდა[344] და შორაპანი, სადაც რამდენიმე ასეული ვაჭარი მოსაქმეობდა[345].

ჩვენ, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება სათანადო ცნობები ქუთაისის მოსახლეობის რაოდენობის გასარკვევად. მაგრამ აღწერილობითი ხასიათის წყაროებიდან ჩანს, რომ XVIII ს. ქუთაისის მოსახლეობა ძლიერ შემცირებული იყო. 1769 წლისათვის ქუთაისის მოსახლეობა მხოლოდ 500 კომლამდე ე. ი. 2500 სულამდე აღწევდა[346]. მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა XIX ს. დამდეგსაც; ლატვინოვის ცნობით, ქუთაისში ვაჭართა მხოლოდ 100 სახლი, ე. ი. 500

---

338 იქვე, ფურცელი 7.

339 „კვალი“, № 11, 1898.

340 იქვე.

341 იქვე.

342 იქვე.

343 И. Гюльденштедт, Описание, с. 209; Reisen, 83.

344 იქვე, გვ. 336, Reisen, с. 171.

345 Reineggs, Beschreibung, გვ. 42.

346 შ. ბურჯანაძე, სოლომონ I-ის მეფობა (ხელნაწერი), გვ. 16. შდრ. А. Цагарели, Гр., I, с. 71, ср. И. Гюльденштедт, Описание, с. 355, Reisen, с. 166.

სული (ორივე სქესის) ყოფილა[347]. ცხადია, მით უფრო მცირერიცხოვანი იყო დასავლეთ საქართველოს მცირე ქალაქთა მოსახლეობა. საინტერესოა, რომ შარდენის ცნობით, ჩიხორში XVII ს. 70-იან წლებში სულ 50 კომლი, ე. ი. 250 სული ყოფილა[348], ხოლო ანაკლიაში 100 კომლი, ანუ 500 სული მცხოვრები იყო[349]. როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში მოსახლეობის რაოდენობა მცირე იყო: ქალაქების უმეტესობა 1000-ზე ნაკლებ მცხოვრებს ითვლიდა, ზოგი ქალაქის მოსახლეობა კი მხოლოდ 2000—3000-მდე აღწევდა. მოსახლეობის მრავალრიცხოვნობის თვალსაზრისით გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებს თბილისი უსწრებდა, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა XVII—XVIII სს. 20.000-ს უდრიდა, მაგრამ ამ მხრივაც იგი თავის წინანდელ მდგომარეობას დიდად ჩამორჩებოდა.

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს საშინაო და საგარეო ვაჭრობა თბილისისა და სხვა ქალაქთა ვაჭრების ხელში საკმაოდ დიდ თანხას უყრიდა თავს. აღსანიშნავია, რომ XIX ს. დამდეგის ოფიციალური წყაროს მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროისათვის თბილისში დიდი „სამთავნოს“ (კაპიტალის) მფლობელი არაერთი ვაჭარი ყოფილა. როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, „რაც უფრო განუვითარებელია წარმოება, მით უფრო თავს იყრის ფულადი ქონება ვაჭრების ხელში, ანუ მით უფრო გვევლინება იგი როგორც ვაჭრული ქონების სპეციფიური ფორმა“[350].

თბილისის ვაჭრები შორეულ ქვეყნებთან კავშირს აბამდნენ და მსხვილ სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ. მაგ., 1800 წ. იანვრის ერთი საბუთით თბილისელ ვაჭარს ხანდავიანი დიმიტრის ინდოეთიდან 1368 თუმნის, ე. ი. 13.680 მანეთის მარტო ფართლეული და რამდენიმე ათასის ღირებული სხვადასხვა სახის ძვირფასი თვლები ჩამოუტანია. ამ ვაჭრის მიერ ჩამოტანილი საქონლის ერთი ნაწილი, კერძოდ 9.830 მანეთის ფართლეული და 12.030 მანეთის ძვირფასი თვლები ვაჭარ აღა ზურაბოვს გასასაღებლად აუღია სამი წლის ვადით[351]. ცხადია, არაერთი მსგავსი მსხვილი ოპერაცია ჩატარდა იმდროინდელ თბილისში. ასეთი მსხვილი სავაჭრო გარიგებები

---

347 Акты, I, с. 407.

348 შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქ-ში, გვ. 65.

349 იქვე, გვ. 16.

350 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, III_1, გვ. 284 (თავი მეოცე, სავაჭრო კაპიტ. ისტორიიდან, მესამე ფურცელი).

351 ГМГ, Ф. Qd 1477.

საკმაოდ დიდ თანხას აგროვებდა თბილისელ და საქართველოს სხვა ქალაქების ვაჭართა ხელში.

კაპიტალის (სამთავნოს) სიდიდის მიხედვით თბილისელი ვაჭრები რამდენიმე ჯგუფად იყვნენ დანაწილებულნი: პირველ ჯგუფში შედიოდნენ მოქალაქენი, რომელთაც ჰქონდათ 50000 მანეთზე მეტი კაპიტალი. ამ ჯგუფში შედიოდა 6 სამეფო (სახაზინო) და 2 საეკლესიო მოქალაქე, ე. ი. სულ 8 კაცი; მეორე ჯგუფში ითვლებოდნენ მოქალაქენი, რომელთაც 10000 მანეთზე მეტი კაპიტალი ჰქონდათ; ასეთ ვაჭართა ჯგუფი თბილისში 61 სახელმწიფო (სამეფო) მოქალაქეს აერთიანებდა; მესამე ჯგუფში კი, რომელთაც 1000 მანეთზე მეტი კაპიტალი ჰქონდათ, სულ 120 ვაჭარი ყოფილა[352]. ასე რომ, მარტო თბილისში შედარებით დიდი კაპიტალის მფლობელი 180 მოქალაქე იყო. დიდი კაპიტალის მფლობელნი უნდა ყოფილიყვნენ საქართველოს სხვა, შედარებით მნიშვნელოვანი ქალაქების— ქუთაისის, გორის, სიღნაღის თელავის და სხვ. — ვაჭრებიც, მაგრამ მათ შესახებ ჩვენ მასალები არა გვაქვს.

სავაჭრო კაპიტალის „არსებობა, — წერს კ. მარქსი, — და განსაზღვრულ სიმაღლემდე განვითარება თვით შეადგენს ისტორიულ წანამძღვარს კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებისათვის, როგორც ფულადი ქონების კონცენტრაციის წინაპირობა...“[353].

დამახასიათებელია, რომ სწორედ ზემოხსენებული დიდი კაპიტალის მქონე თბილისელი მოქალაქეები და მათი მემკვიდრეები იყვნენ ერთი პირველთაგანნი, რომელთაც საქართველოში ადგილობრივ მსხვილ საწარმოებს ჩაუყარეს საფუძველი. მაგ., XVIII ს. დასასრულს თბილისის პირველ მოქალაქეთა შორის აღრიცხული მიხეილ სარაჯიშვილი და მისი მემკვიდრეები XIX ს. დამდეგსა და მის მეორე ნახევარში იყვნენ საქართველოში ღვინისა და კონიაკის მსხვილი წარმოების ორგანიზატორები. მსგავსი როლი შეასრულეს XIX ს. საქართველოში XVIII ს. თბილისის სხვა პირველ მოქალაქეთა მემკვიდრეებმაც.

სავაჭრო კაპიტალის განვითარებას საქართველოს ქალაქებში სხვა მხრივაც ჰქონდა პროგრესული მნიშვნელობა — იგი ხელს უწყობდა ფეოდალური ნატურალური მეურნეობის დაშლას, მის გადაქცევას სასაქონლო მეურნეობად; აფართოებდა საქონლის მიმოქცევას და უბიძგებდა ქვეყანაში ნაციონალური ბაზრის წარმოქმნას, კიდევ უფრო აკავშირებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხესა და

---

[352] ЦГИАГ, ფონდი, 16, საქმე 3512, ფურცელი 10—18.

[353] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, III_1, გვ. 284.

ეკონომიკურად აახლოებდა ქვეყანას სხვა ხალხებთან. ასე რომ, სავაჭრო კაპიტალი, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც ფეოდალიზმის რღვევას მოასწავებდა.

ასეთსავე როლს ასრულებდა აგრეთვე გვიანფეოდალური ხანის საქართველოში გაძლიერებული სავახშო კაპიტალიც. „სავახშო კაპიტალის განვითარება დაკავშირებულია ვაჭრული კაპიტალის განვითარებასთან, მარქსის სიტყვით იგი ‘სავაჭრო კაპიტალის „ტყუპი ძმა“ არის[354].

გვიანფეოდალური ხანის ქართული დოკუმენტები მრავალმხრივ საინტერესო მასალას გვაწვდის XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში სავახშო კაპიტალის განვითარების შესახებ. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საქართველოს ქალაქებში და, საერთოდ, ფულის მსესხებლები იყვნენ ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, ეკლესია, თავად-აზნაურები, მეფის იჯარის წევრები და თვით მეფეც[355]. ყველაზე დიდ მსესხებელს მეფე წარმოადგენდა. გამსესხებლებს კი უმთავრესად მსხვილი ვაჭრები, დალალები, მსხვილ სავაჭრო-საკრედიტო ოპერაციებში მონაწილე ცალკეული თავადები და სხვ. შეადგენდნენ.

აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ II-სა და ერეკლეს 1753 წ. ვაჭარ მელქუა მიღდისის 8.600 მინალთუნი (1 მინ დაახლ. უდრის მანეთს) ჰქონიათ ვალად[356]. ასევე, ერეკლე II-ს თბილისელი ვაჭრის გიორგი ნაზარბეგაშვილის 4791 მან. ჰქონია სესხად[357]; გიორგი XII-ს თბილისელი ვაჭრისაგან, აღა ფუნთუაშვილისაგან სესხად 1065 მან. აუღია[358]. ამავე მეფეს ვალი ჰქონდა თბილისელი ხანუმა დალალისა 1070 თუმანი (1070 მან.)[359], სარა დალალისა 248 თუმ. (2480 მან.)[360] და სხვ.

საინტერესოა, რომ მსხვილ სავაჭრო-საკრედიტო ოპერაციებში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე თავადებიც. ამ მხრივ გვიანფეოდალურ საქართველოში თუმანიშვილების გვარი (სახლი) გამო-

---

[354] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტ., III$_2$, გვ. 124—125 (თავი 36, წინაკაპიტ. ურთიერთ., იქვე).

[355] ამ საკითხზე საგანგებოდ იხ. ნ. ქ ო ი ა ვ ა, კრედიტი XVIII ს. საქართველოში, Труды, ТГУ, XXXIV а-в, 1948, с. 21—45.

[356] Д. П у р ц е л а д з е, Крест. грамоты, с. 13.

[357] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, მასალები..., გვ. 77.

[358] ი ქ ვ ე, გვ. 79.

[359] ი ქ ვ ე, გვ. 87.

[360] ი ქ ვ ე, გვ. 90.

ირჩეოდა, რომელთაც თავიანთი ვაჭარი-აგენტები ჰყავდათ საქართველოსა და თვით რუსეთის ქალაქებში (მოზდოკი, ასტრახანი)[361]. თუმანიშვილები მსხვილ საკრედიტო ოპერაციებსაც აწარმოებდნენ: მაგ., მანუჩარ თუმანიშვილს, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, 1760 წლიდან 1802 წლამდე, სხვადასხვა პირზე გასესხებული ჰქონია 3154 თუმანზე (31540 მან.) მეტი თანხა[362]. ასევე საკრედიტო ოპერაციებს აწარმოებდა მისი ძმა სულხანოვი, რომელსაც სესხად 680 თუმანი (6.800 მან.) ჰქონდა გაცემული[363].

სესხი, კრედიტი XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში ჯერ კიდევ უმთავრესად მოხმარებაზე მიდიოდა და ნაკლებად, უმნიშვნელო რაოდენობით ხმარდებოდა წარმოებას. ამიტომაც სესხის დაფარვა ხდებოდა წვრილი მწარმოებლის (ხელოსნის) თუ წვრილი ვაჭრის მცირე შემოსავლით ან კიდევ მსესხებლის (მეფე, ეკლესია, თავადი და აზნაური) ქონებით და არა მსხვილი წარმოებიდან მიღებული მოგებით[364]. მიუხედავად ამისა, სავაჭრო კაპიტალს გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების განვითარებისათვის, ფეოდალური მეურნეობის დაცემისა და წარმოების გამსხვილებისათვის უსათუოდ მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, „მევახშეობა არ ცვლის წარმოების წესს“, მაგრამ იგი „არღვევს და ანადგურებს ანტიურ და ფეოდალურ სიმდიდრეს და ანტიურ და ფეოდალურ საკუთრებას“[365]. „ყოველი წინაკაპიტალისტური წარმოების წესის არსებობის დროს მევახშე რევოლუციურ როლს ასრულებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი არღვევს და სპობს საკუთრების ფორმებს, რომელთა მტკიცე საფუძველზე... დამყარებულია ქვეყნის პოლიტიკური წყობილება... მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც კაპიტალისტური წარმოების წესის დანარჩენი პირობები მოიპოვება, მევახშე წარმოადგენს ახალი წარმოების წესის შექმნის ერთ-ერთ საშუალებას, მით რომ, იგი ერთის მხრივ ანადგურებს ფეოდალებს და წვრილ მწარმოებლებს და, მეორეს მხრივ, ცენტრალიზაციას აძლევს შრომის პირობებს და აქცევს მათ კაპიტალად“[366].

---

[361] იხ. დ. გვრიტიშვილი, XVIII ს. საქართველოს ეკონომიური ისტორიიდან, ხელნაწერი (ინახება საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტ. ინსტიტუტში), გვ. 8—11. შდრ. დოკ. ГМГ, Ф. Hd 7730, 7660, 7092.

[362] ГМГ, ф. Hd 5422, 5423, 3506, 14595, 3508; ф. Sd № 151, 156, 153, 157. 162; შდრ. დ. გვრიტიშვილი, ხსენებული წერილი, გვ. 6-7.

[363] ГМГ, ф. Hd № 4823; Sd 158.

[364] შდრ. ნ. ქოიავა, კრედიტი XVIII ს. საქართველოში, გვ. 41—42.

[365] კ. მარქსი, კაპიტალი, III_2, გვ. 127.

[366] იქვე, გვ. 128 (თავი 36-ე).

თავი III

ქალაქების სოციალური სახე და კლასთა ბრძოლა გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში

1. ქალაქის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა

ა. დამოკიდებული ხალხი ქალაქებში

XV—XVI სს. საქართველოს სოციალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხები ხდება. ფეოდალური ურთიერთობა ახალ საფეხურს აღწევს — იმარჯვებს ბატონყმობა, რაც უფლებრივად ჯერ კიდევ თავისუფალი მწარმოებელი ფენის თანდათან გაქრობაში, ახალი, უმაღლესი სოციალური წოდების (თავადის) წარმოქმნაში და ბატონყმური ურთიერთობის შემდგომ გამწვავებაში გამოიხატა. XVI საუკუნიდან იშლება თითქმის ყოველგვარი უფლებრივი განსხვავება საზოგადოების უმდაბლეს საფეხურზე მდგომ ცალკეულ სოციალურ ფენებს შორის. ბატონყმური ურთიერთობის გამარჯვება გლეხობას საბოლოოდ ამაგრებს ფეოდალის მიწაზე. ყმა გლეხს, ბატონის სურვილის გარეშე, არ შეუძლია მიატოვოს მაშული, რომელზედაც ის იჯდა. გვიანფეოდალური სამართალი, როგორც ზედნაშენური მოვლენა, აქტიურად მოქმედებს თავის ბაზისზე და გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის წარმომადგენელს უფლებას აძლევს 30 წლის განმავლობაში ეძებოს გაქცეული ყმა გლეხი და ძველ სამკვიდრებელს დაუბრუნოს. ამ დროის მანძილზეც გაქცეული გლეხი მებატონის კუთვნილებად რჩება.

ბატონყმობის გამარჯვება საქართველოში, თავისუფალი მწარმოებელი ფენის გაქრობა იწვევდა კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას სოფლად. ყველაფერი ეს, ცხადია, გავლენას ახდენდა საქალაქო ცხოვრებაზე. ქალაქები გვიანფეოდალურ ქვეყანაში გამონაკლისი როდი იყო. ბატონყმური ურთიერთობა, ისე როგორც სოფლად, ქალაქებშიც კიდევ უფრო მტკიცდებოდა.

XVII—XVIII სს. საქართველოში ბატონყმობის შემდგომი განვითარების, განმტკიცებისა და ფეოდალური მეურნეობის კრიზისის საუკუნეებია. ბატონყმური მეურნეობის ერთგვარ ჩიხში მომწყვდევა განსაკუთრებით აშკარა გახდა XVIII ს. მეორე ნახევრიდან.

ბატონყმური ურთიერთობის გამწვავება სოფლად აიძულებდა ყმა ხელოსანს, თუ ვაჭარს თავშესაფარი ქალაქში ეძებნა. ამას გარდა, სასაქონლო მეურნეობის განვითარება და მასთან დაკავშირებით ნატურალური რენტის გვერდით ფულადი რენტის გაჩენა (განსაკუთრებით XVIII ს. მეორე ნახევრიდან) სოფლიდან ქალაქად ყმა გლეხობასაც ერეკებოდა. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ ფეოდალური ქალაქი იზიდავდა არა მარტო ყმა ხელოსნებს, ვაჭრებსა და გლეხებს, არამედ წვრილ აზნაურებსაც, რომელნიც ქალაქში „ვაჭრობის სახედ“ ცხოვრებას ამჯობინებდნენ, ვიდრე თავიანთ გაოხრებულ მამულში ყოფნას.

მოვიტანოთ სათანადო მაგალითები: 1750 წ. საბუთით, ნასყიდა და თამაზ მჭედლიძეები ბატონის ნებართვის გარეშე „ავის დროისათვის (ავის დროს გამო) დიდხანს ქალაქს (თბილისს)“ დარჩნენ; ბატონმა მათი აყრა მოინდომა, მაგრამ ისინი „არ გაყვნენ, ქალაქი არ გაუშვეს“. ბატონი იძულებული გახდა მათთვის თავი დაეხსნევინებინა და ქალაქში დაეტოვებინა[1]. სოფლის ყმა ხელოსნები, რომელთაც ქალაქში ხელობა ესწავლათ, ქალაქში დარჩენას აუცილებლად მიიჩნევდნენ. ამ მხრივ დამახასიათებელია ერთ-ერთი ხელოსნის განცხადება: „ქალაქში სახელო (ხელობა, შ. მ.) მესწავლა და უქალაქოდ სოფელში ვერ დავრჩებოდიო“[2]. სოფლელ ყმათა შვილების ქალაქში ხელობაზე მიბარება მათ ქალაქში დამკვიდრების საწინდრად მიაჩნდათ. 1775 წ. სამართლის განჩინებაში სხვათა შორის ნათქვამია: „ბატონი გარაყანიძე ფარემუზ ქალაქს ჩამოვიდაო და ბერუკას აქედან ყრიდაო და ჰავჭალას მიყვანდაო. ეს ბერუკა შეეხვეწა შვილები შაგირდათ ხელობაში მიმიციაო და ამათ შაგირდობიდამ ნუ მომაშლევინებო და მე კი გეახლებიო“[3].

ყმა ხელოსნები ქალაქში არა მარტო ძალით, ბატონის ნებართვის გარეშე, არამედ მისი თანხმობითაც მოდიოდნენ. ს. მუხრანის ფეიქარი ოსეფა იულონ ბატონიშვილს 1791 წ. თხოვდა: თქვენი თანხმობისამებრ ქალაქს ჩამოველ და აქ რამდენიმე წელს სა-

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები, გვ. 101—102.

[2] ГМГ, Ad 1313.

[3] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 13, საბ. № 221.

ქალაქო გამოსაღებისაგან გამათავისუფლონ, სანამ „ვალებს მოვისხლეტდეო“[4].

ქალაქისაკენ ისწრაფოდნენ არა მარტო ხელოსნები, ხელობის მცოდნენი, არამედ ისეთი გლეხებიც კი, რომელთაც არც ხელობა იცოდნენ და არც სათანადო კაპიტალი ჰქონდათ ვაჭრობის საწარმოებლად. სოფლელი ყმა გლეხების ლტოლვა ქალაქისაკენ (უმთავრესად თბილისისაკენ) განსაკუთრებით XVIII ს. დამლევსა და XIX ს. დამდეგს შეიმჩნევა. პ. ციციანოვის 1804 წ. ცნობით, საქართველოს ქალაქებში მოსახლეობის სიმჭიდროვე სოფლიდან ლტოლვილმა გლეხობამ გამოიწვია, რომელიც მართალია ძლიერ მცირე „კაპიტალს“ ფლობდა (მისივე ცნობით, ასეთ გლეხთა მიერ გასაყიდად გამოტანილი საქონლის ღირებულება ზოგჯერ მხოლოდ 5 მანეთამდე აღწევდა), მაგრამ მაინც ხელს ჰკიდებდა ვაჭრობას და ქალაქებში ადგილს იკავებდა თავისი უმნიშვნელო საქონლით[5]. სოფლის მოსახლეობის ლტოლვა ქალაქებისაკენ იმდენად შესამჩნევი ყოფილა, რომ რუსეთის ხელისუფლება იძულებული ხდებოდა ბრძანება გაეცა, მებატონეებს უკანვე წაეყვანათ მათგან გამოქცეული გლეხები. ყველა გლეხი, რომელსაც მცირე კაპიტალი აღმოაჩნდებოდა, ქალაქიდან ორი თვის ვადაში უნდა გაესახლებინათ. მაგრამ, როგორც XIX ს. მასალებიდან ირკვევა, ციციანოვის ასეთ ბრძანებას დიდი შედეგი არ მოჰყოლია და მის შემცვლელთა დროსაც არაერთხელ დასმულა საკითხი ქალაქს შეხიზნულ სოფლელთა გასახლების შესახებ.

ბატონყმური ურთიერთობის გამწვავება, როგორც აღვნიშნეთ, სოფლიდან ქალაქისაკენ წვრილ აზნაურობასაც ერეკებოდა. თბილისის „კეთილშობილნი აზნაურნი“ 1810 წ. ვახტანგ ორბელიანს მოახსენებდნენ: „ჩვენის მშობლის მამულიდან მტრის მიზეზით გადმოვარდით მეფეთ ჟამში და აქ ტფილისს შინა ვცხოვრობდით და რადგან ქვეყანა აგვიოხრდა და იქიდამ შემოსავალი აღარ გვქონდა რა, გამო ამისა რომელნიმე ჩვენ კეთილშობილთაგანი ვაჭრობის მსგავსად ვცხოვრობდითო“[6].

როგორც ვხედავთ, გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქი, ერთი მხრივ, ერთგვარად ხელს უწყობდა სოფლის ყმა ხელოსანთა და ვაჭართა განთავისუფლებას თავიანთი მებატონეებისაგან და, მეორე მხრივ კიდევ, ქალაქებში თავს უყრიდა ყმა ხელოსნებსა და

---

[4] ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 25, საბ. 55.

[5] Акты, II, с. 49.

[6] ЦГИАГ, ф. 16, д. 792, л.л. 65, 77.

ვაჭრებს. მაგრამ, როგორც მასალების შესწავლა გვარწმუნებს, თავისუფალი წვრილი მწარმოებელი გვიანფეოდალური ხანის ქალაქებში მაინც შედარებით მცირე იყო. სწორედ ეს გარემოება, ჩვენი აზრით, გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების სოციალური სახის ერთგვარ თავისებურებაზე მიგვითითებს, რომელიც წითელ ზოლად გასდევს XVII—XVIII სს. საქართველოს საქალაქო ცხოვრებასა და წესწყობილებას.

სოფლიდან ქალაქში გადმოსახლებული ხელოსანი თუ ვაჭარი, რომელიც, ერთხანს ყმობისაგან თავის დაღწევას ახერხებდა, ქალაქში ზოგჯერ ისევ ახალ ბატონს იძენდა. დამახასიათებელია, რომ ჩვენ მიერ ზემოხსენებული ნასყიდა და თამაზ მჭედლიძეები, რომლებმაც თავი დაიხსნეს ბატონისაგან და ქალაქს დარჩნენ, მალე თავიანთ თავს მონასტერს წირავენ და დოდოს მონასტრის შეწირული ყმები ხდებიან[7]. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ასეთივე ბედი ჰქონდა ქალაქში გადმოხვეწილ ხელოსანთა თუ ვაჭართა ერთ ნაწილს.

ასე რომ, ისე როგორც მთელ ქვეყანაში, საქართველოს ქალაქებშიაც ბატონყმური ურთიერთობა იყო გაბატონებული და მისი მოსახლეობის ძირითად ნაწილს ყმა ხელოსნები და ვაჭრები წარმოადგენდნენ.

ყმების ყველაზე დიდი მფლობელი ქალაქებში მეფე და მისი ოჯახი იყო. თბილისის 1783 წ. აღწერით[8], ქართლ-კახეთის იმდროინდელ მეფეს მარტო თბილისში 1589 კომლი ყმა ჰყავდა. ამათში ივარაუდებოდა თბილისის გარეუბანში (ავლაბარში) მოსახლე გლეხები (სულ ავლაბარში ამ დროს 136 კომლი ცხოვრობდა) და უმთავრესად კი მეფის ყმა ხელოსნები და ვაჭრები. ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეებს ასევე ყმები ჰყავდათ საქართველოს იმდროინდელ ყველა სამეფო ქალაქში (გორი, თელავი, სიღნაღი, ცხინვალი, ქუთაისი და სხვ.). მაგ., XIX ს. დამდეგის ცნობის მიხედვით, იმერეთის უკანასკნელ მეფეს ქ. ქუთაისში 110 კომლი ყმა ჰყოლია; მცირე ქალაქ ჩხარში 50 აზნაური თავიანთი ყმებით და სხვ[9]. ყმების საკმაოდ დიდ რაოდენობას ფლობდნენ ქალაქებში დედოფლებიც. ზემოხსენებული აღწერის მიხედვით, დარეჯან დედოფალს თბილისში სულ 248 კომლი ჰყავდა. აქედან 80 კომლი ავლაბარში მოსახლე გლეხი იყო, 30 კომლი აზნაური და მსახური, დანარჩე-

---

[7] თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 102.
[8] ЦГИАГ, ფ. 226, საბ. 1148.
[9] Акты, IV, с. 258.

ნი კიდევ, 138 კომლი, დედოფლის ყმა ვაჭარ-ხელოსნებს შეადგენ-დნენ.

დარეჯან დედოფალი XIX ს. დამდეგს რუსეთის ხელისუფლებას ატყობინებდა, რომ მას ქალაქში ჰყავდა ყმები — მოქალაქენი კომლი 50, არა მოქალაქე ვაჭარ-ხელოსნები 18 კომლი და ავლაბარში მობეგრე (გამომღები) გლეხები 94 კომლი.[10] ასე რომ, XVIII ს. დასასრულისათვის დედოფალს მარტო თბილისში ჰყოლია 162 კომლი, ამათგან მოქალაქე და ყმა ვაჭარ-ხელოსანი 68 კომლი. დარეჯან დედოფალს ყმები ჰყავდა გორშიც — 24 კომლი,[11] ცხინვალშიც[12] და სხვაგან. ასევე ყმა ვაჭრები და ხელოსნები ჰყავდა დედოფალ მარიამსაც თბილისში და გორში 1790 წლიდან საერთოდ სადედოფლო ყმების რაოდენობის ნახევარი[13]; ე. ი. იმდენივე, რამდენიც ჰყავდა დარეჯან დედოფალს XVIII ს. დასასრულისათვის. ამით აიხსნება სწორედ, რომ XVIII ს. დასასრულისათვის დარეჯან დედოფლის ყმების რაოდენობა ქალაქში თითქმის ნახევრით შემცირდა. სადედოფლო ყმები იყვნენ აგრეთვე ცხინვალში. ცხინვალის მოსახლეობის XVIII ს. შედგენილი აღწერილობის ნაწყვეტში სხვათა შორის მოხსენიებულია დედოფლის ყმა 6 კომლი, ყველა ებრაელი (როგორც ჩანს, ვაჭრები), ხოლო ცხინვალის ხიზანთა შორის „მოქალაქე — დედოფლის ყმა სალმახანაშვილი მიკირტუმა"[14]. XIX ს. დამდეგის ცნობით, იმერეთის დედოფალს ქუთაისში ჰყავდა ყმები—სომეხი 25 კომლი, ებრაელი 43 კომლი, სულ 68 კომლი, ჩხარში 4 კომლი ყმა და სხვ[15].

ქალაქებში ყმა ვაჭრები ჰყავდათ ბატონიშვილებსაც. მარტო გიორგი ბატონიშვილს, 1783 წ. აღწერით, ჰყავდა თბილისში 145 კომლი ყმა, იულონ ბატონიშვილს 46, ალმასხან ბატონიშვილს 17, ალექსანდრე ბატონიშვილს 50, ფარნაოზ ბატონიშვილს 37, მირიან ბატონიშვილს 3, ხოლო ბატონის ასულებსა და რძალს (მარიამ, სოფიო ქეთევან, ნინა) თითო - ოროლა ყმა ჰყოლიათ. სულ საბატონიშვილო ყმა 1783 წ. შეადგენდა 306 კომლს[16]. საბატონიშვილო ყმები იყვნენ სხვა ქალაქებშიც. მაგ., ბატონიშვილ მირიანისათვის თელავ-

---

[10] ЦГИАГ, ფ. 226, № 9128; შდრ. საქ. სიძველენი, III, გვ. 298.
[11] ЦГИАГ, იქვე.
[12] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 1, საბ. № 124.
[13] ЦГИАГ ფ. 226, № 9061.
[14] ГМГ, ფ. Hd 1606.
[15] Акты, IV, с. 259.
[16] ЦГИАГ, ფ. 226, საბ. № 1148.

ში ერეკლეს 1794 წ. სიგლით მიეცა 24 ოჯახი[17]. ასევე ვახტანგ ბატონიშვილს ყმები ჰყავდა დუშეთში[18]. საკმაო რაოდენობით ჰყავდა ყმები თბილისში დავით ბატონიშვილსაც. 1803 წ. ცნობით იგი თბილისში ფლობდა «Промышленников производящих торг и ремесленников грузин и армян дом. 27, 109 душ». ამას გარდა, თბილისის ერთ - ერთ უბანში, «в Авлабар промышленников производящих торг и ремесленников дом. 22, 84 душ»[19]. ასე რომ, თბილისში დავით ბატონიშვილს სულ 39 კომლი ყმა ვაჭარი და ხელოსანი ჰყოლია.

საბატონიშვილო ყმები იყვნენ საქართველოს სხვა ქალაქებშიც, მაგ., ცხინვალის მოსახლეობის აღწერაში შეტანილია „საბატონიშვილო კომლი 5“. ამას გარდა გიორგი ბატონიშვილის, იულონ ბატონიშვილის ხიზანთა შორის ცხინვალში დასახელებულია „ხიზანი მოქალაქე გოლინაშვილი, მეჩახმახე (оружейник?) გასპარა, ხიზანი მჭედელი, ახალგორელი მექვაბე, ფეიქარი გოგია“ და სხვ[20].

მეფისა და მისი ოჯახის შემდეგ, გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში ყმების ყველაზე დიდი მფლობელები ეკლესიები იყვნენ, რომელთა შორის უპირველესი ადგილი მცხეთის საკათალიკოსოს ეჭირა. მცხეთის ეკლესია, ძველიდანვე, საქართველოს ქალაქებში, კერძოდ თბილისში[21], გორში[22], ბაზარში[23], გრემში[24] და სხვაგან, ყმა ვაჭრებსა და ხელოსნებს საკმაო რაოდენობით ფლობდა. მცხეთის ეკლესიის ამგვარი მფლობელობა გრძელდებოდა XVII—XVIII საუკუნეებშიც. იგი, შეწირულობებით თუ საკუთარი სახსრებით, ახალ- ახალ ყმებსაც იძენდა და ქალაქების ყმა ხელოსან-ვაჭრების მებატონეთა შორის ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა.

ეკლესიებისადმი ყმათა პირველი შემწირველი მეფე და მისი ოჯახი იყო. მაგ., 1631 წ. თეიმურაზმა სვეტისცხოველს შესწირა გორში სომეხი ვაჭარი, 1664 წ. მარიამ დედოფალმა მცხეთის ეკლესიას შესწირა ვაჭრები, სადედოფალო ყმები ცხინვალში[25]; თვით მცხეთის ეკლესიის მესვეურებიც, კათალიკოსებიც, არანაკლებ ზრუნავდნენ

---

[17] ЦГИАГ, ф. канц. МВД, опис 471, д. 10—19, л. л. 246, 249.
[18] იქვე, д. 31, ф. 112.
[19] იქვე, д. 10—19, ф. 172.
[20] ГМГ, ф. Hd 1606.
[21] ЦГИАГ, ф. 230, დათ. 1, ნაწ. 1, საბ. 1, 34; 43;
[22] იქვე, საბ. 6, 15 .
[23] იქვე, საბ. 24.
[24] იქვე, საბ. 24, 55.
[25] ისტ. საბუთები, IV, გვ. 17.

საკუთარი სახსრით ქალაქში ყმების გამრავლებისათვის. დომენტი კათალიკოსი (XVII ს.) ქალაქში ასახლებს და ყმებად იხდის ოქრომჭედელსა და მესაათე ხელოსნებს[26]. 1671 წ. საბუთით ვაჭარი, რომელსაც კათალიკოსის ვალი ჰქონდა, თავს სწირავს მცხეთის ეკლესიას, როგორც ნასყიდი ყმა[28]. 1687 წ. კიდევ კათალიკოსი ნიკოლოზ ამილახვარი თბილისს ასახლებს თავის ყმას „სვან კალატოზს"[29], 1707 წ. მცხეთის ეკლესიას ეყმნენ იმერეთიდან გადმოხვეწილი ვაჭრები, რომელნიც კათალიკოსმა დომენტიმ ცხინვალში დაასახლა[30]. 1745 წ. კათალიკოსმა სურამის მამასახლისისაგან ვაჭარი იყიდა[31]. თბილისსა და ცხინვალს გარდა, როგორც თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ბრძანებებიდან ჩანს, მცხეთის კათალიკოსს ყმები ჰყავდა გორშიც[32]. ამგვარი გზებით მცხეთის ეკლესიას უმრავლდებოდა ყმა ხელოსნები და ვაჭრები თბილისში, გორში, ცხინვალში და სხვაგან. მაგ., XVIII ს. ერთი დაუთარიღებელი საბუთით, მსახურთა და ვაჭართა გარდა, მცხეთის ეკლესიას თბილისში ჰყავდა ყმა ხელოსნები: ფეიქარი 2, ოქრომჭედელი 2, მეჩახმახე, მესანთლე, კალატოზი, ნალბანდი, გარეთუბანს ქალაქისა რამდენიმე ფეიქარი, ქურქჩი, მკალავი, დაბაღი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ სიაში ყმათა შორის მოიხსენიება ბაყალბაშიც (ბაყალების უსტაბაშიც)[33]. 1705 წ. საბუთით კიდევ, მარტო ერთი ოჯახიდან (წინწყაროელ მარქარას ოჯახიდან, რომელიც კათალიკოსს უყიდია და ქალაქში დაუსახლებია), კათალიკოსს ჰყავდა ყმები — ორი დურგალი, მჭედელი და ჭონი (მექუდე)[34]. თბილისის მოსახლეობის 1783 წ. აღწერით, კათალიკოსის ყმებს ქალაქში 198 კომლი შეადგენდა, მათ შორის უმეტესობა ხელოსნები და ვაჭრები იყვნენ.

მცხეთის ეკლესიის შემდეგ, საქართველოს ქალაქებში, კერძოდ თბილისში, საკმაოდ დიდი რაოდენობით ფლობდა ყმებს თბილისის საეპისკოპოსო ეკლესია. XVII—XVIII სს. საბუთებში ხშირად არიან მოხსენებული თბილისის სიონისადმი თავშეწირული თუ მებატონეთა მიერ შეწირული ხელოსნები და ვაჭრები. მაგ., 1619 წ. სო-

---

[26] იქვე, გვ. 40.
[27] ЦГИАГ, ფ. 230, ნაწ. I, საბ. 411.
[28] ისტ. საბუთები, IV, გვ. 50.
[29] იქვე, გვ. 66
[30] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 24, საბ. 43.
[31] Д. Пурцеладзе, Церков. Гуджари, с. 44.
[32] ЦГИАГ, ფ.230, დავთ. I, ნაწ. I, საბ. 134, ЦГИАГ, ფ. 226, № 1362.
[33] ГМГ, ფ. Ad 1772.
[34] საქ. სიძველენი, II, გვ. 203.

მეხ ვაჭრებს თავი შეუწირავთ თბილისის საეპისკოპოსო საყდრის ყმად[35]. 1706 წ. სახლთუხუცესმა თეიმურაზმა სიონის ეკლესიას ვაჭარი შესწირა[36]. 1773 წ. კი მესაპირისწამლე (თოფის წამლის მკეთებელი?). ხელოსანს, რომელიც იმერეთიდან გადმოსახლებულა და არავის ყმობდა, თავისი თავი სიონის ეკლესიისათვის შეუწირავს[37]. სიონის ეკლესიისადმი თბილისში თავშეწირულობაზე მოგვითხრობენ აგრეთვე 1773, 1776, 1780 წლისა და სხვა დროის საბუთები[38]. თავშეწირულ ყმათა გარდა, სიონს თავისი ნასყიდი ყმებიც ჰყავდა: 1768 წ. ერეკლე II-ის ერთ ბრძანებაში თბილელისაგან ნასყიდი ცხინვალელი ვაჭარია მოხსენებული[39]. ამგვარი გზებით შეძენილი თბილისის ეპისკოპოსს მარტო თბილისში, 1783 წ. აღწერით, 59 ყმა ჰყავდა[40]. შეწირული ხელოსანი ყმები ჰყავდა ნათლისმცემლის მონასტერსაც თბილისში; 1708 წ. ვახტანგ VI-მ მონასტერს ქალაქში მკერვალი უბოძა ყმად[41]. ამავე მონასტრის თავშეწირული ყმა ვაჭრები იყვნენ თბილისში[42], თელავში[43] და სხვაგან. 1783 წ. აღწერით, ნათლისმცემლის მონასტერს მარტო თბილისში 13 კომლი ყმა ჰყავდა.

ასევე, ყმა ხელოსნები და ვაჭრები ჰყავდა შუამთის მონასტერს XVII ს. დამდეგს გრემში[44], სვეთაროს ეკლესიას გორში[45], ქვაბთახევის მონასტერს თბილისში, გორში[46], წილკნის ეკლესიას თბილისში[47], იერუსალიმის ეკლესიას თბილისში, გორში[48] და სხვ. ამათ გარდა, თბილისში, 1783 წ. აღწერით, ყმები ჰყავდათ დავითგარეჯის მონასტერს (10 კომლი), მანგლელ ეპისკოპოსს (6 კომლი), რუსთველ ეპისკოპოსს (18 კომლი), მროველ ეპისკოპოსს (2 კომლი), ნინოს ეკლესიას (3 კომლი), წმ. ევსტეტის ეკლესიას (4 კომლი), ატოტის წმ. გიორგის ეკლესიას (3 კომლი), წმ. შიოს ეკლესიას

---

35 ისტ. საბუთები, IV, გვ. 11.
36 ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. I, ნაწ. II, საბ. 45.
37 იქვე, საბ. 34.
38 იქვე, საბ. 49, 55, 64, 66, 67, 68, 69, 70.
39 იქვე, საბ. 170.
40 ЦГИАГ, ფ. 226, № 1148.
41 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრის საბუთები, გვ. 23.
42 იქვე, გვ. 70—71; იხ. აგრეთვე ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. 1, опис. 20, საბ. 77.
43 ЦГИАГ, იქვე, საბ. 54.
44 Д. П у р ц е л а д з е. Церковн. гуджары. с. 86.
45 ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. 1, опис, 15, საბ. 25.
46 ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. 1, опис. 5, საბ. 1.
47 იქვე, დავთ. 1, ნაწ. 7, საბ. 24; იქვე, დავთ. 20, საბ. 14.

(2 კომლი), ქარის ღვთისმშობლის ეკლესიას (5 კომლი), იკორთის ეკლესიას (1 კომლი), ხარებისას (1 კომლი), ღვთისმშობლისას (4 კომლი), და სხვ. საერთოდ ქართულ ეკლესია-მონასტრებს (კათალიკოსის სამფლობელოს გამოკლებით) მარტო თბილისში 167 კომლი[49] ყმა ეკუთვნოდა.

თავიანთი ყმები ჰყავდათ ქალაქებში დასავლეთ საქართველოს ეკლესიებსაც. მაგ., ქუთაისის ეკლესიას ქუთაისშივე ჰყავდა შეწირული ვაჭარი[50], ბიჭვინტის ეკლესიას ქუთაისში ყმა ვაჭარი[51], მიძინების ეკლესიას ქუთაისშივე ჰყავდა ყმა ვაჭრები[52], ჯრუჭის ეკლესიას[53], გელათის მონასტერსა[54] და სხვებს. დასავლეთ საქართველოს ეკლესიებს თავიანთი ყმები ჰყავდათ მცირე ქალაქებში. მაგ., კაცხის ეკლესია ჭალატყეში ფლობდა ვაჭარ ებრაელებს[55], ბიჭვინების ეკლესია ანაკლიასა და ფოთში მეთევზეებს[56] და სხვ.

1819 წ. აღწერით, ქუთაისის საყდარს მცირე ქ. ჩხარში ჰყავდა 5 კომლი ვაჭარი, გელათის საყდარს ჩხარში 4 კომლი ვაჭარი, ჩხარის წმ. გიორგის ეკლესიას ჩხარშივე ვაჭარი 6 კომლი, გოგნის უდაბნოს მიძინების ეკლესიას ქუთაისში 2 ვაჭარი[57] და სხვ.

რაკი გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს სომხები შეადგენდნენ, სომხურ ეკლესიებსაც ჰყავდათ საქართველოს ქალაქებში შეწირული თუ „თავიანთი თეთრით" ნასყიდი ყმები — ხელოსნები და ვაჭრები. ამ მხრივ ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მფლობელს ეჩმიაძინის ეკლესია წარმოადგენდა.

1715 წ. საბუთით ეჩმიაძინის ეკლესია ქ. თბილისში ყიდულობს თბილისელ ასატურაშვილისაგან ყმებს[58], ეჩმიაძინის თეთრით იყო ნაყიდი აგრეთვე თბილისში ქვისმთლელი, მეზანდუკე, ბაყალი და სხვ. ხელობის წარმომადგენლები[58]. ნაყიდს გარდა ეჩმიაძინს თავ-

[48] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 51, საბ. 179, 189, 220.

[49] ЦГИАГ, ფ. 226, № 1148.

[50] ЦГИАГ, ფ. 320, დავთ. 16, საბ. 17.

[51] იქვე, საბ. 41.

[52] ЦГИАГ, ფ. 226, № 1057.

[53] ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. 16, საბ. 458.

[54] ს. კაკაბაძე, დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, გვ. 95—96, 100. შდრ. ЦГИАГ, ფ. 226, № 2190; КМ., док. 106.

[55] КМ., док. 132.

[56] ს. კაკაბაძე, დას. საქ. საეკლესიო საბუთები, I, გვ. 41—42, 43.

[57] ს. კაკაბაძე, მასალები დას. საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის, „საისტ. კრებული, ნაწ. I, 1929, გვ. 86—87.

[58] მატენადარან, Груз. док., საქაღალდე 252, საბ. 12.

[59] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 21, საბ. 39; тамже, დავ. 17, საბ. 151.

შეწირული ყმებიც ჰყავდა. თბილისში[60]. 1783 წ. აღწერით, მარტო თბილისში ეჩმიაძინის ეკლესიას 49 კომლი ყმა ჰყოლია[61], ხოლო 1803 წ. დოკუმენტით — 59 კომლი. მათ შორის იყვნენ ხელოსნები: 3 მკერვალი, მეზანდუკე, მექვაბე, 3 მებაღე, 2 ხარაზი, 4 დაბაღი, 2 მეურმე, მეწუღე, სირაჯი, ფეიქარი, მეაბანოე, მკალავი; სხვები კიდევ ალბათ ვაჭრები იყვნენ[62]. ეჩმიაძინს ნასყიდი ყმები ჰყავდა ცხინვალში[63], თავშეწირული ყმა გორში[64] და ქუთაისში[65]. თბილისში ყმები ჰყავდათ სხვა სომხურ ეკლესიებსაც, მაგ., ახპატის, ფეთხაინის, მოღნინის, სუმბნიშნის, ვანქის და კუსების ეკლესიას, მაგრამ ესენი ყმათა შედარებით მცირე მფლობელები იყვნენ. ყველა მათ, 1783 წ. აღწერით, თბილისში მხოლოდ 18 კომლი ყმა ჰყოლიათ. ასე რომ, სომხურ ეკლესიებს მარტო თბილისში სულ 67 კომლი ყმა ჰყავდათ. აღსანიშნავია, რომ ამავე დროისათვის კათოლიკე პატრებს თბილისში ჰყავდათ 5 კომლი ყმა[67].

ჩვენ, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება სათანადო მასალები იმის დასახასიათებლად, თუ როგორი იყო აქ მოხსენებულ ეკლესია-მონასტერთა ყმების საქმიანობა XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში, გარდა იმ ნაწყვეტი ცნობებისა, რომელიც ზემოთ იყო მოტანილი, და რომლიდანაც ჩანს, რომ მათი უმეტესობა ან ხელოსანია ან კიდევ ვაჭარი. ამ ნაკლს ნაწილობრივ მაინც ავსებს XIX ს. დამდეგის დოკუმენტები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ, თუ რა და რა საქმიანობას ეწეოდნენ ეკლესია-მონასტრების ყმები XVIII ს. დასასრულისა და XIX ს. დამდეგის თბილისში. ამიტომაც ასეთი მასალების მოტანას საჭიროდ მივიჩნევთ.

1807 წ. თბილისის პოლიცმეისტერის მიერ შედგენილ საეკლესიო პატრიარქისა და მონასტრის გლეხთა სახელების სიის მიხედვით, საერთოდ ქართულ-სომხურ ეკლესია-მონასტრების ყმათა რაოდენობა თბილისში 306 კომლს უდრიდა[68], მაშინ, როცა 1783 წ. აღწერის ზემომოტანილი მასალების მიხედვით, ქართული და სომ-

---

[60] მატენადარან, Груз. док., საქაღალდე, 252, საბ. 601.

[61] ЦГИАГ, ფ. 226, № 1148.

[62] მატენადარან, Груз. док., საქაღალდე 252, საბ. 81; შდრ. ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 43, საბ. 63.

[63] მატენადარან, Груз. док., საქაღალდე 252, საბ. 63.

[64] იქვე, საბ. 34.

[65] იქვე, საბ. 38.

[66] ЦГИАГ, ფ. 226, № 1148.

[67] იქვე.

[68] ЦГИАГ, ф. 16, д. 497, л. л. 84—90.

ხური ეკლესიების ყმების რაოდენობა XVIII ს. 80-იან წლებში 437 კომლს შეადგენდა. საეკლესიო ყმათა რაოდენობის ასე შემცირება შეიძლება აღა მაჰმად ხანის გამანადგურებელი ლაშქრობის შედეგი იყოს, რომელმაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისის მოსახლეობა საერთოდ საგრძნობლად შეამცირა.

1807 წ. მასალების მიხედვით ზემოხსენებული 306 კომლიდან ქართული ეკლესიის კათალიკოსს 129 კომლი ეკუთვნოდა, ე. ი. 59 კომლით ნაკლები, ვიდრე 1783 წ. ჩვენ მოგვეპოვება აგრეთვე ამავე წლის მეორე დოკუმენტი თბილისში მცხოვრები პატრიარქის, საეკლესიო და სამონასტრო გლეხების შესახებ, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რა საქმიანობას ეწეოდნენ პატრიარქის ეს ყმები ქ. თბილისში. ამ დოკუმენტის მიხედვით კათალიკოსის ქალაქში მოსახლე ყმებიდან იყო: მექუდე-მქსოველი — 1, მღვდელი გაურკვეველი საქონლით მოვაჭრე მოზდოკში — 1, თევზით მოვაჭრე —3, მექისე — 1, აგურის მკეთებელი — 3, სხვადასხვა ქალაქში მოხეტიალე ვაჭარი— 1, გაურკვეველი საქონლის მრეწველი — 5, მესანთლე — 2, ბაღებში მომუშავე — 3, სხვადასხვა საქონლით მოვაჭრე — 3, მეუნაგირე —2, მეფეხსაცმელე — 4, საკვები პროდუქტებით მოვაჭრე — 4, მებათქაშე — 3, მექვაბე — 4, მკერვალი — 6, მსახური — 15, ხილით მოვაჭრე — 1, მჭედელი — 3, შინა მსახური — 2, ფარჩით მოვაჭრე — 1, წითელი საქონლით მოვაჭრე — 3, მეტყავე — 3[69], და სხვა, სულ 125. ამათგან, თუ მებაღეებსაც ხელოსნებად ჩავთვლით, 64 იყო სხვადასხვა სპეციალობის ხელოსანი, 23 ვაჭარი, 1 მევახშე, დანარჩენი კიდევ სხვადასხვა საქმიანობას მისდევდა. ასე რომ, საქართველოს პატრიარქი თავისი ყმა ხელოსნებით, ვაჭრებითა და მევახშეებით აქტიურ მონაწილეობას იღებდა გვიანფეოდალური თბილისის საქალაქო ცხოვრებაში. ამავე მასალის მიხედვით, თბილისის საეპისკოპოსო ეკლესიას თბილისშივე ჰყავდა: „ურმის ოსტატი — 1, დალაქი — 2, ცხენის მოწყობილობის ხელოსანი — 1, წვრილი საქონლით მოვაჭრე — 3, ხილით მოვაჭრე — 1, დამტარებელი — 1, მსახური — 2, მჭედელი — 1, დღიური მუშა — 1, არაფრის მრეწველი — 2, წითელი საქონლით მოვაჭრე — 1, საკვები პროდუქტებით მოვაჭრე — 2, ფეხსაცმელების მკერავი — 1, გზაში მოსიარულე — 1, მექუდე — 1, მკერავი — 1, მეპურე — 1, მეთევზე — 1, მქსოველი — 1, მკლავი — 1“[70]; როგორც ვხედავთ, თბილელის ყმათა უმეტესობას ქალაქში ისევ ხელოსნები (15) და ვაჭ-

---

[69] ЦГИАГ, ფ. 16, დ. 497, ფ. 55—56.

[70] იქვე, ფ. ფ. 57—58.

რები (8) შეადგენდნენ. უმთავრესად ვაჭრები და ხელოსნები ჰყავდა თბილისში აგრეთვე იერუსალიმის ეკლესიასაც. ამ ეკლესიის ყმათა შორის აღწერილობაში მოხსენებულია: „რუსეთის ქალაქებში სავაჭროდ მავალი — 1, წითელ საქონლით მოვაჭრე — 6, ფეხსაცმლის მკერავი — 1, მჭედელი — 2, მექუდე — 1, სხვადასხვა საქონლით მოვაჭრენი — 1, არაფრით მოვაჭრე — 1"[71]. იერუსალიმის ეკლესიის 15 ყმიდან 10 ვაჭარი იყო, 4 ხელოსანი და მხოლოდ 1 გაურკვეველი პროფესიისა. ამგვარადვე, უმთავრესად ხელოსნები და ვაჭრები ჰყავდა სომხურ ეკლესიათა შორის ყმების ყველაზე დიდ მფლობელს თბილისში — ეჩმიაძინის ეკლესიას. აღწერილობაში ეჩმიაძინის შემდეგი ყმებია მოხსენებული: „სოფლად მოხეტიალე ვაჭარი — 1, სხვადასხვა ქალაქებში მავალი სავაჭროდ — 1, თერძი — 4, ღღიური მუშა — 1, მეურმე — 1, მეწაღე — 1, მეაბრეშუმე — 1, მეაბანოვე — 1, მსახური — 1, მეხამლე — 2, მექვაბე— 2, მექუდე — 2, მკურნალი — 1, არამრეწავნი — 2, მესანთლე — 1, მეპურე — 2, დურგალი — 1, მეთევზე — 1, მეუნაგირე — 1, ფეიქარი — 1"[72]. ასე რომ, ეჩმიაძინის ეკლესიის 34 ყმიდან 20 იყო ხელოსანი და 6 ვაჭარი, დანარჩენი კიდევ სხვადასხვა საქმიანობისა.

აღწერილობა იძლევა შესაძლებლობას წარმოვადგინოთ აგრეთვე სხვა ეკლესია-მონასტრების ყმათა საქმიანობის შესახებ მასალები, მაგრამ ამჟამად ყველა მათ აქ ჩამოთვლას საჭიროდ აღარ მივიჩნევთ და დავკმაყოფილდებით მხოლოდ აღწერის მასალების ზოგადი ანალიზით. XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დამდეგს თბილისში ეკლესია-მონასტრების 306 კომლი ყმიდან ქალაქში ხელოსნობასა და ვაჭრობას მისდევდა 240 კომლი, ამათგან ხელოსნობას 166, ვაჭრობას 72, მევახშეობას 2, ხოლო დანარჩენი სხვადასხვაგვარ სამსახურს უწევდა თავის ბატონს[73].

მეფისა, დედოფლისა, უფლისწულებისა და ეკლესიის გარდა გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში ყმა ხელოსნები და ვაჭრები ჰყავდათ გაბატონებული საზოგადოებრივი წრის სხვა წარმომადგენლებსაც, კერძოდ თავადებსა და აზნაურებს. დავით ბატონიშვილის განცხადების მიხედვით, გვიანფეოდალური საქართველოს საქალაქო წყობილება ნებას აძლევდა მებატონეთა ყმებსაც თავისუფლად ეწარმოებინათ ვაჭრობა საქართველოს ქალაქებში[74]. ცხადია,

---

[71] იქვე, ფ. ფ. 56.

[72] იქვე, ფ. ფ. 58—59.

[73] იქვე, 55-62.

[74] Царевич Давид, Обозрение Грузин, ИВАИ, И: II, §923.

ასეთი შესაძლებლობა თავს უყრიდა კერძო მებატონეთა სოფლელ ხელოსნებსა და ვაჭრებს საქართველოს ქალაქებში. მებატონეები არა მარტო თავიანთი ყმების სოფლიდან ქალაქებში გადმოყვანით კმაყოფილდებოდნენ, არამედ თვით ქალაქებში სხვადასხვა გზით (მეფის წყალობა, ყიდვა და სხვ.) იძენდნენ ყმებს. მაგ., XVII ს. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით როსტომ მეფემ გადამდგარი ზაალ ერისთავი შეიწყალა და „რაც ქალაქში ვაჭრები ყოლებოდა, ისინიც მისცა“[75]. ქალაქში (თბილისში) ყმები ჰყავდათ სხვა ერისთავებსაც. ქსნის ერისთავს იასეს, როგორც ეს როსტომის 1637 წ. წყალობის წიგნიდან ჩანს, „ძველთაგან სამკვიდრო“ ვაჭრები ჰყოლია ქ. თბილისში, რომელიც მეფემ ერისთავს სულ ახლა უწყალობა[76]. 1749 წ. საბუთში კიდევ მოხსენებულია ქსნის ერისთავის შანშეს ყმები ქ. გორში[77]. ქსნის ერისთავებს, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი რაოდენობით ჰყავდათ თავიანთი ყმა ვაჭრები მათსავე საერისთავოს ცენტრში, მცირე ქალაქ ახალგორში[78]. როგორც 1751 წ. საბუთიდან ირკვევა, თბილისში ყმის მფლობელი იყო აგრეთვე არაგვის ერისთავიც. არაგვის ერისთავის მფლობელობა თბილისში იმდენად დიდი ყოფილა XVIII ს. 50-იან წლებში, რომ მას ქალაქში ამ დროისათვის თავისი ყმების გამგებლად საგანგებო მოხელე, მამასახლისიც კი ჰყავდა[79]. თბილისში ყმებს ფლობდნენ აგრეთვე მუხრანბატონებიც. 1782 წ. საბუთის მიხედვით, საკუთარი ქვეყნიდან გადმოვარდნილი და დაობლებული ოჰანეზა იოანე მუხრან ბატონს თბილისს მოუყვანია, დაუსახლებია და თავის ყმად გაუხდია[80]. 1785 წ. კიდევ კონსტანტინე მუხრანბატონმა თბილისში ყმა ხელოსანი შეიძინა[81]. 1783 წ. აღწერით მას მარტო თბილისში 31 კომლი ყმა ჰყოლია[82].

საქართველოს ქალაქებში ყმათა მნიშვნელოვანი რაოდენობის მფლობელი იყო აგრეთვე ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალური საგვარეულო ამილახვრებისა. ამილახვარს თბილისში, მართალია, 1783 წ. აღწერით, მხოლოდ 5 კომლი ყმა ჰყოლია, მაგრამ სამაგიეროდ მას ყმები საკმაოდ დიდი რაოდენობით ჰყავდა· გორში, რო-

---

[75] ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 251.
[76] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 24, საბ. 155.
[77] იქვე, დავთ. 23, საბ. 191.
[78] ГМГ, Ид 10832.
[79] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 6, საბ. 176.
[80] იქვე, დავთ. 5, საბ. 82.
[81] იქვე, საბ. 75.
[82] ЦГИАГ, ფ. 226, № 1148.

შელიც მის სამოურავოს შეადგენდა, ცხინვალში და სხვაგან. 1791 წ. ამილახორთა გაყრილობის წიგნის მიხედვით, საამილახვრო ყმას გორში შეადგენდა 30 კომლი, ცხინვალში 6 კომლი, თბილისში 5 კომლი; თბილისელ ყმათაგან ერთი ხარაზი იყო, ერთიც კიდევ მკერვალი[83]. საამილახვრო ყმები მოხსენებულია აგრეთვე ცხინვალის მოსახლეობის XVIII ს. შედგენილ აღწერილობაში[84]. თბილისში ყმები ჰყავდათ სხვა თავადებსაც. მაგ., თუმანიშვილებს, ყაფლანიშვილებს, ციციშვილებს, მელიქიშვილებს, აბაშიშვილებს, გერმანოზიშვილებსა და სხვ. 1783 წ. აღწერით კერძო საბატონო (თავადთა და აზნაურთა) ყმათა რაოდენობა თბილისში 724 კომლს უდრიდა. განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ქალაქებში ყმათა შედარებით დიდი მფლობელები იყვნენ ქალაქის მოხელეები, მოურავი, მელიქ-მამასახლისი და სხვ. მაგ., 1783 წ. აღწერით, თბილისის მოურავს და სარდალს დავით ციციშვილს პირადად ზემოხსენებულ 724 კერძო საბატონო ყმიდან 208 კომლი ეკუთვნოდა[85]. თბილისის მელიქ-მამასახლისს აღას, ბებუთაშვილების საგვარეულოდან, 1755 წ. საბუთის მიხედვით, თბილისში ჰყავდა ყმათა შორის ბაყალი, ფეიქარი, ყასაბი, მეურმე, 2 კალატოზი, მესანთლე, 2 დალაქი, 2 მეჭურჭლე, ნალბანდი, მეკონდახე, ხარაზი, დურგალი, 2 მჭედელი, ზაბაზი, მელეინე და სხვ[86]. 1783 წ. აღწერით, მელიქ ავეტიქას, ზემოხსენებულ აღას შთამომავალს, თბილისში 66 კომლი ყმა ჰყავდა, რომელთა უმეტესობას ვაჭრები და ხელოსნები შეადგენდნენ.

კერძო მებატონეთა მფლობელობას ფეოდალური საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში კარგად წარმოგვიდგენს თელავისა და ცხინვალის მოსახლეობის აღწერების ნაწყვეტები, შედგენილი XVIII ს. შუა წლებში. ცხინვალის მოსახლეობა, აღწერის მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდებოდა: აზნაურიშვილი 2 კომლი, გათარხნებული 17 კომლი (მამასახლისი, მღვდლები, და ორიოდე ხელოსანი). აზნაურთა ყმა 2 კომლი, მეფის ყმები 17 კომლი, საბატონიშვილო 5 კომლი, ხერხეულიძეების ყმები 4 კომლი, ფარსადან მაჩაბლის ყმა 4 კომლი, ბარძიმ მაჩაბელის ყმა 2 კომლი, ბეგთაბეგიანთი ყმა 9 კომლი, ოთარ მინბაშის ყმა 3 კომლი, ამილახვრისშვილი გივის ყმა 4 კომლი, დედოფლის ყმა 6 კომლი, სარდალ-სახლთხუცის და სხვ.

---

[83] ГМГ, ф. Ид: .1617.

[84] ГМГ, ф. Ид: 1606.

[85] ЦГИАГ, ф. 226, № 1148.

[86] იქვე, ф. 229, დავთ. 22, საბ. 93. შდრ. აგრეთვე 1802 წ. საბუთი, იქვე, დავთ. 18, საბ. 169.

ყმა 28 კომლი[87]. ასე რომ, ამ აღწერის მიხედვით, ორიოდე გათარხნებულ პირთა გარდა, ცხინვალის მთელი მოსახლეობა მეფის, მისი ოჯახის, თავადების თუ აზნაურების ყმებს შეადგენენ.

ამგვარსავე სურათს იძლევა თელავის მოსახლეობის აღწერის ნაწყვეტიც: „არის თელავს ბაზიერთხუცის დავითის ყმა კომლი ნდ (54); აქავ თელავს მდივანბეგის დემეტრეს ყმა კომლი ნა (51); არის თელავს გიორგი ყორჩიბაშისშვილის ყმა კომლი ლა (31). აქავ პაატას ყმა და ნუგზარის კომლი იე (15), აქავ შერმაზანის ყმა კომლი ი(10)"[88]. რა თქმა უნდა, თელავის ეს აღწერა ნაკლულია, არ არიან წარმოდგენილი მეფის ყმები, რომელნიც ამ დროისათვის იქ საკმაო რაოდენობით იყვნენ. მიუხედავად ამისა, იგი კარგად წარმოგვიდგენს, თუ როგორ იყო გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქის მოსახლეობა განაწილებული სხვადასხვა მებატონეთა ყმებად.

მსგავსი სურათი გვქონდა დასავლეთ საქართველოს ქალაქებშიც. მცირე ქალაქ საჩხერეში, რომელსაც ზურაბ წერეთელი თავის საკუთარ ქალაქს უწოდებს, თავადს თავისივე ყმა ვაჭრები ჰყავდა[89]. ასევე, ყმა ვაჭრებითა და ხელოსნებით დასახლებული იყო ქ. ქუთაისიც.

ისე როგორც სამეფო, საუფლისწულო თუ საეკლესიო ყმები, ასევე საბატონო ყმები ქალაქებში უმთავრესად ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდნენ. საბატონო ყმათა საქმიანობის შესასწავლად ჩვენ ისევ XIX ს. დამდეგის მასალებს უნდა მივმართოთ და ძირითადად თბილისის მაგალითით უნდა დავკმაყოფილდეთ. საამისოდ ჩვენ მოგვეპოვება 1807 წ. სია თბილისში მცხოვრები გლეხებისა, რომლებიც სხვადასხვა საქმიანობას მისდევდნენ[90], და 1807 წელსვე შედგენილი დოკუმენტი თბილისში მცხოვრებ მემამულეთა გლეხების შესახებ[91]. ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საბატონო ყმათა უმეტესობა ქ. თბილისში სწორედ ხელოსნობითა და ვაჭრობით ცხოვრობდა. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი:

ერთ-ერთი უძლიერესი თავადის, ქართლ-კახეთის სამეფოს ყოფილი სარდალ-სახლთუხუცესის იოანე ორბელიანის ყმებს შეადგენდნენ: ხილის გამყიდველი — 1, მეფეხსაცმლე — 4, ხურო — 1, შემკეთებელი —1, მეპურე — 1, მეეტლე — 1, მომსახურეობაში

---

[87] ГМГ, ф. Ид: 1606.
[88] ГМГ, ф. Ид: 1607.
[89] ГМГ, ф. Sd: 1595; შდრ. აგრეთვე, Sd 1319.
[90] ЦГИАГ, ф. 16, д. 497, л. л. 45—55.
[91] ЦГИАГ, ф. 16, д. 497, л. л. 55—77.

მყოფი — 14, მეაბრეშუმე — 2, საკვები პროდუქტებით მოვაჭრე— 2, მეყასბე — 1, მექვაბე — 2, მებაღე — 1, მეთევზე — 1, მკერვალი — 1, ფეიქარი — 2, მღებავი — 2, გაურკვეველი პროფესიის მრეწველი — 1, მჭედელი — 1, მხერხავი — 1[92]. ასე რომ, ივანე ორბელიანის 40 ყმიდან 24 ხელოსანია, 5 ვაჭარი და 1 მევახშე. ხელოსნები, ორბელიანის ყმები, ხელობის 14 სხვადასხვა დარგს მისდევდნენ. ამგვარადვე, თბილისში ყმების მეორე დიდ მფლობელს თამაზ ორბელიანს 37 ყმა ჰყავდა თბილისში, ამათგან იყო ზეინკალი — 2, ფეიქარი — 1, ვერცხლის მკეთებელი — 2, მეღვინე — 1, მესაპნე — 2, წითელი საქონლით მოვაჭრე — 2, მხერხავი — 1, მკერვალი — 5, მებათქაშე — 1, მეპურე — 2, მეყასბე — 1, მეთევზე — 1, მეფეხსაცმლე — 1, მჭედელი — 1[93], ე. ი. 21 ხელოსანი და 3 ვაჭარი. თამაზ ორბელიანის ყმები თბილისში 11 სხვადასხვა ხელობას მისდევდნენ.

თავად დარჩია ბებუთაშვილს, ქ. თბილისის ყოფილ მელიქ-მამასახლისს ქალაქში ჰყავდა სულ 53 ყმა, მაშინ როცა მის წინაპარს მელიქ-მამასახლისს ავეტიქას, 1783 წ. აღწერით, 66 კომლი ჰყოლია. დარჩია ბებუთაშვილის ყმებიდან იყო მკერავი 2, წითელი საქონლით მოვაჭრე 1, მხერხავი 2, მჭედელი 1, მეტყავე 2, მღებავი 2, მეფეხსაცმლე 7, მეაბრეშუმეთა მოწაფე 1, მექვაბე 3, ფარჩით მოვაჭრე 1, მზარეული 1, მებაღე 4, საკვები პროდუქტებით მოვაჭრე 2, დამკერებელი 1, მეთევზე 2, ფეიქარი 3, მეპურე 1[94], ე. ი. 34 ხელოსანი და 4 ვაჭარი. თბილისში ყმა ხელოსან-ვაჭართა შედარებით მსხვილ მფლობელთა გვერდით იყვნენ ისეთი თავადებიც, რომელნიც მხოლოდ თითო-ოროლა ყმებს ფლობდნენ. მაგ., თ. გიორგი ციციშვილს მხოლოდ ერთი ყმა ფეიქარი ჰყოლია[95], ლუარსაბ თარხნიშვილს კიდევ 1 ვერცხლისმკეთებელი[96] და ასე შემდეგ.

---

[92] იქვე, ფ. 63.

[93] იქვე, ფ. 64.

[94] იქვე, ფ. 65.

[95] იქვე, ფ. 67.

[96] იქვე, ფ. 66.

ჩვენი მასალების მიხედვით, XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დამდეგს 49 თავადს თბილისში ჰყავდა სულ 279 ყმა, რომელთაგან ხელოსანი იყო 168, ვაჭარი 30 და მევახშე 1[97].

თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ყმათა მფლობელებად იყვნენ აზნაურებიც. მაგრამ აზნაურთა ყმები გვიანფეოდალურ ქალაქებში შედარებით მცირერიცხოვანი იყო. თბილისში აზნაურთა უმეტესობას 2—3, ზოგს კიდევ თითო ყმა ჰყავდა. აზნაურთა შორის თბილისში ყმათა ყველაზე დიდი მფლობელი ოსეფა ყორღანაშვილი ყოფილა, რომელსაც 1783 წ. აღწერით 15 კომლი ყმა ჰყოლია, ხოლო XIX ს. დამდეგის მასალებით მას ჰყავდა „მეტყავე — 1, მეფეხსაცმლე — 1, ვერცხლისმკეთებელი — 1, მსახური — 3, საკვები პროდუქტებით მოვაჭრე — 1, მებაღე — 1[98], ამათგან 4 ხელოსანი და 1 ვაჭარი. საერთოდ კი 24 აზნაურს თბილისში ჰყავდა 54 ყმა, ამათგან 36 ხელოსანი და 8 წვრილი ვაჭარი[99].

თბილისში ყმები ჰყავდათ აგრეთვე არაქართველ- მფლობელებსაც. მაგ., ჯაფარ ყულიხანს, მელიქ საჰაკას, და სხვ. მაგრამ მათი ყმების რაოდენობა ქალაქში შედარებით უმნიშვნელო იყო. ყმათა მფლობელი გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში იყვნენ აგრეთვე თვით ქალაქის მოსახლეობის პრივილეგიური ფენები — თბილისში ე. წ. მოქალაქეები, სხვა ქალაქებში კიდევ შეძლებული ვაჭრები. მაგ., 1783 წ. აღწერით, მოქალაქეთა ყმები თბილისში 46 კომლს უდრიდა; XIX ს. დამდეგის მასალებით კი, თბილისის 14 მოქალაქეს მხოლოდ 22 ყმა ჰყოლია, ამათგან 14 ხელოსანი იყო, 3 ვაჭარი და 1 მევახშე[100]. შეძლებულ ვაჭრებს ყმები ჰყავდათ საქართველოს სხვა ქალაქებშიც, მაგრამ ამ საკითხზე საგანგებოდ ქვემოთ შევჩერდებით. აქ კი საჭიროდ მივიჩნევთ მოვიტანოთ სათანადო ცხრილი თბილისის მოსახლეობის სოციალური აღნაგობისა და საქმიანობის შესახებ, რომელიც ჩვენთვის ცნობილ საარქივო და ნაბეჭდ მასალებზეა დამყარებული:

---

[97] იქვე, ფ. ფ. 63—71.
[98] იქვე, ფ. 73.
[99] იქვე, ფ. ფ. 71—75.
[100] ЦГИАГ, ф. 16, д. № 497, л. л. 76—77.

ყმა ხელოსანთა და ვაჭართა რიცხვი თბილისში

	ყმათა მფლობელნი	კომლობრივი აღწერა 1782/83 წწ.[101]	კომლობრივი აღწერა 1803 წ.[102]	1807 წ. საეკლესიო და სათავადო ყმათა აღწერა (კომლობრივად)[103]					მოსახლეობის საერთო რიცხვი		
				ხელოსნები	ვაჭრები და მევახშეები	მსახურები	სხვადასხვა პროფესია	ს უ ლ	1782/83 წწ. აღწერა-რით	1803 წ. აღწერით	1807 წ. მასალების მიხედვით
1	მეფე (ხაზინა)	1589	1055	—	—	—	—	—	3750	2924	3684[105]
2	დედოფალი	248	195	—	—	—	—	1983[104]	—	—	—
3	ბატონიშვილები	306	86	—	—	—	—	—	—	—	—
4	ეკლესია (ქართული და სომხური)	437	357	165	64	25	43	247	—	—	—
5	თავადი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
6	აზნაური	724	944	43	9	7	6	65	—	—	—
7	მოქალაქეები	46	—	14	4	2	2	24	—	—	—
	ს უ ლ	3350	2637	373	105	108	65	671	—	—	—

[101] ЦГИАГ, ფ. 226, № 1148, შდრ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, თბილისის მოსახლეობის აღწერის უწყისი 1780—91 წლისათვის, საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 227—232.

[102] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, თბილისის აღწერა 1803 წ., საისტორიო მოამბე, II, 1925 გვ. 27—104.

[103] ЦГИАГ, ფ. 16, საქმე 497, ფ. ფ. 84—90, იქვე, ფ. ფ. 45—55, 55—77.

[104] I. K l a p r o t h, Reise in der Kaukasus und nach georgien, Halle, 1812, I, Тифлис, გვ. 74.

[105] იქვე.

ზემომოტანილი ცხრილის, განსაკუთრებით 1807 წ. აღწერის, შესავსებად ჩვენ გამოვიყენეთ კლაპროტის ცნობები, რომლის მიხედვითაც 1807—1808 წწ. თბილისის მოსახლეობა 3684 კომლს უდრიდა. ამათგან, მისივე ცნობით, „მოქალაქე" — სახაზინო (ყოფილი სამეფო, სადედოფლო, საუფლისწულო) ყმა იყო 1983 კომლი. „სოფლის კაცი", ჩვენი ვარაუდით, საეკლესიო ყმა, კლაპროტის ცნობით, 251 კომლს უდრიდა; ამათ გარდა, ცალკე იყო „თავადის სოფლის კაცი", ე. ი. კერძო მებატონეთა ყმები, რომელთა რაოდენობა 426 კომლს უდრიდა. ასე რომ, ეკლესიებისა და კერძო მებატონეთა ყმების რაოდენობა თბილისში, კლაპროტის ცნობით, სულ 677 კომლს უდრიდა. ეს ცნობა მხოლოდ ხუთიოდე კომლის განსხვავებას იძლევა 1807 წ. აღწერის ოფიციალურ მასალებთან შედარებით (1807 წ. აღწერით მათი რაოდენობა 672 კომლამდე აღწევდა), რაც კლაპროტის ცნობათა დაახლოებით სისწორეზე მიგვითითებს.

ზემომოტანილი მასალები, ისე როგორც კლაპროტის აღწერა, ცალკე არ გამოყოფენ მოქალაქეებს, ისინი მეფის (ხაზინის), დედოფლისა და ეკლესიის ყმებში არიან ნავარაუდევი. ამიტომაც თუ ჩვენ გვსურს გავითვალისწინოთ თბილისში მოსახლე ყმა ხელოსანთა და ვაჭართა რაოდენობა, ყმათა საერთო რაოდენობას უნდა გამოვაკლოთ მოქალაქეთა რიცხვი; როგორც XIX ს. დამდეგის მასალებიდან ირკვევა, XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დამდეგს თბილისში დაახლოებით 450—550 მოქალაქე იყო. თუ XVIII ს. 80-იანი წლებისათვის მოქალაქეთა 450 კომლს ვივარაუდებთ, მაშინ 1781/82 წწ. აღწერის მიხედვით თბილისში 2900 კომლი ანუ მოსახლეობის 77,33 % ყმა იყო, რომელთა დიდი უმეტესობა, როგორც მასალებიდან ჩანს, სწორედ ხელოსნები და ვაჭრები იყვნენ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ XVIII ს. 80-იან წლებსა და XIX ს. დამდეგს თბილისში თავადაზნაურობა მოსახლეობის მხოლოდ 7—6 %-ს შეადგენდა, თავისუფალი მწარმოებლები (მოქალაქეებითურთ) მოსახლეობის მხოლოდ 15,67 % იქნებოდა. ასე რომ, ქალაქი ძირითადად ყმა ხელოსნებითა და ვაჭრებით იყო დასახლებული.

ერთგვარი შესამჩნევი ცვლილება თბილისში XVIII ს. 80-იან წლებიდან XIX ს. დამდეგამდე ხდება. ჯერ ერთი, საგრძნობლად მცირდება მოსახლეობის საერთო რაოდენობა, რაც უმთავრესად აღა მაჰმად ხანის გამანადგურებელი ლაშქრობითა და ნაწილობრივ ზოგ მოქალაქეთა სხვა ქალაქებში გადასახლებით აიხსნება.

XIX ს. დამდეგს საგრძნობლად მცირდება სამეფო (სახაზინო), სადედოფლო, საუფლისწულო და საეკლესიო ყმათა რაოდენობა. თუკი

1781/82 წლისათვის მეფისა, მისი სახლის წევრებისა და ეკლესიის ყმები ყმათა საერთო რაოდენობის 77 %-ს შეადგენდა, 1803 წ. აღწერით, 64,20 % იყო, ე. ი. 12,8 % შემცირებულა. სამაგიეროდ საგრძნობლად გაიზარდა კერძო მებატონეების ყმათა რაოდენობა, როგორც ჩანს, XIX ს. პირველ წლებში კერძო მებატონეებს მოუხერხებიათ ხელთ ეგდოთ სახაზინო ყმათა ერთი ნაწილი. მაგრამ ამას არ გამოუწვევია ყმათა რაოდენობის ზრდა საერთოდ. პირიქით, 1803 წლისათვის თბილისში ყმები 2187 კომლს ანუ მოსახლეობის 74,76 %-ს შეადგენდნენ, ასე რომ XVIII ს. 80-იან წლებთან შედარებით ყმების საერთო რაოდენობა 2,57%-ით შემცირებულა. გაიზარდა თავისუფალ მწარმოებელთა რაოდენობა. ისინი, ამ დროის მასალებით, მოსახლეობის 19,24 %-ს შეადგენდნენ. როგორც ჩანს, თავისუფალ მწარმოებელთა რიცხვი მარტო ქალაქში მოსახლე ყმების ხარჯზე როდი იზრდებოდა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გარდატეხები, ამ თვალსაზრისით, XIX ს. მომდევნო წლებში ხდება. კლაპროტის ცნობების მიხედვით, 1807/8 წწ. მოქალაქეთა და სახაზინო ყმათა რაოდენობა 1983 კომლს უდრიდა. რაც მოსახლეობის 53,82 %-ს შეადგენდა, მაშინ როცა საეკლესიო და კერძო საბატონო ყმები, როგორც კლაპროტის, ასევე 1807 წ. აღწერილობის მასალებით, მოსახლეობის მხოლოდ 18,4 % იყო; როგორც ჩანს, საეკლესიო და კერძო საბატონო ყმათა რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულა. თუ გავიხსენებთ, რომ 1809-1810 წწ. თბილისში 550 მოქალაქე იყო, სახაზინო, საეკლესიო და კერძო საბატონო ყმათა რაოდენობა თბილისში 1807/08 წწ. სულ 2110 კომლს, ანუ მოსახლეობის 57,27 %-ს შეადგენდა. ასე რომ, თბილისში XIX ს. პირველ ათეულში საგრძნობლად შემცირებულა ყმათა საერთო რაოდენობა. სამაგიეროდ გაიზარდა თავისუფალ მწარმოებელთა რიცხვი, რომელიც უკვე მოსახლეობის 36,73 %-ს შეადგენდა.

ამრიგად, XVIII ს. 80-იანი წლების თბილისში ყმები მოსახლეობის 77,33 %-ს შეადგენდა, 1803 წ. 74,76%-ს, ხოლო 1807—1808წწ. 57,27%-ს. ასე რომ, გვიანფეოდალური თბილისის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ბატონყმობის უღელში იყო შებმული. ქალაქის მოსახლეობის 6 თუ 7% ბატონობდა მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე. თავისუფალ მწარმოებელთა რაოდენობა XVIII ს. 80-იან წლებში მხოლოდ 15,17 % იყო; მაგრამ მათი რიცხვი ქალაქში თანდათან იზრდებოდა, 1803 წ. იგი უკვე მოსახლეობის 19,24%-ს, ხოლო 1807/8 წწ. 36,73%-ს შეადგენდა. ამას გარდა, XIX ს. პირველი ათეულის დასასრულისათვის საგრძნობლად შემცირდა როგორც კერძო საბატონო, ასევე

საეკლესიო ყმათა რაოდენობაც. მაგრამ ყველაფერი ეს ახალი, XIX ს. შედეგი იყო, როცა საქართველოს ქალაქებში საერთოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური გარდატეხები ხდება, რაც ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება.

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქების მოსახლეობას ძირითადად ყმა ხელოსნები და ვაჭრები შეადგენდნენ. ქალაქის მოსახლეობა განაწილებული იყო მეფესა, მისი სახლის წევრებსა, ეკლესია-მონასტრებსა და თავადაზნაურებს შორის. თავისუფალ მწარმოებელთა ფენა გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში, ისე როგორც მთელს ქვეყანაში, მოსახლეობის მცირე პროცენტს შეადგენდა.

ფეოდალურ ქვეყანაში მოსახლეობის მცირე პროცენტის ექსპლოატირებული მოსახლეობის დიდ უმრავლესობაზე გაბატონების საფუძველი იყო ფეოდალური საკუთრება მიწაზე. გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქებიც ფეოდალების საკუთრებას შეადგენდა. ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ქალაქის უდიდესი მფლობელი მეფე იყო. ამიტომაც მეფე ითვლებოდა ქალაქის მოსახლეობის ყველა ფენის უზენაეს მფლობელად. შემთხვევითი არ იყო გვიანფეოდალურ საქართველოში გავრცელებული ფორმულა: „ქალაქი ვისიც არის, უცხოეთიდან მოსული კაციც იმას ეკუთვნისო“. ასე რომ, ქალაქის მფლობელობა მეფეს შესაძლებლობას აძლევდა თავისი პოლიტიკური უფლებები განეხორციელებინა არა მარტო ქალაქის მკვიდრ მოსახლეობაზე, არამედ უცხოეთიდან მოსულ და ამათუ იმ ქალაქში დასახლებულ თავისუფალ მწარმოებელზე თუ ვაჭარზე.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქალაქში მნიშვნელოვან მფლობელებს წარმოადგენდნენ როგორც ეკლესია, ასევე კერძო მებატონეები, რომელთაც სამეფო ქალაქებში ეკუთვნოდათ, თავიანთ სასახლეებს გარდა, სამოსახლო თუ სადუქნე ადგილები, დუქანი თუ ქარვასლა და ზოგ შემთხვევაში წვრილი სარეწაოც. საერო თუ სასულიერო ფეოდალების ამგვარი მფლობელობა საწარმოო საშუალებებზე (на средства производства) ქალაქებში ქმნიდა პირობებს უფლებრივად თავისუფალი წვრილი მწარმოებელი თავიანთ ყმებად ექციათ.

დამახასიათებელია, რომ ქალაქში სამეფო, სახასო ადგილზე მოსახლე მცხოვრებლები სამეფო ყმებად იყვნენ მიჩნეული, ხოლო კერძო მებატონის მიერ ნასყიდ ადგილებზე დასახლებულები კი, კერძო მებატონის ყმებად. შაჰნავაზი ქალაქის მელიქ ეინალისადმი 1661 წ. მიცემულ წყალობის წიგნში სხვათა შორის წერდა: „თქვე-

ნის ყმების წიგნის განახლებას დაგვეაჯენით ...და რაც ეული კაცი ქალაქს (თბილისს, შ. მ.) ჩვენს სახასო ადგილს გესახლა, ისიები ჩვენთვის სახასოთ დავიჭირეთ, და სხვა ნასყიდი... თქვენსავ ნასყიდს ალაგზედ გესახლათ, ისიები შეგიწყალეთ და გიბოძეთ თორმეტი კუამლი"[106]. ფეოდალ-მებატონისაგან ტყვეობიდან თავდახსნილი თუ უცხო ქვეყნიდან მოსული ვაჭარი და ხელოსანი ხშირად ქალაქში სამოსახლო ადგილს ითხოვდა და სამაგიეროდ კი თავის თავის ყმად მინებებას პირდებოდა. 1782 წ. საბუთიდან ჩანს, რომ 12 წელიწადს ტყვედ ნამყოფმა გორელმა დათუნაშვილმა დედოფალს სადუქნე და სახლის ალაგი თხოვა, და თუ ასეთს მიიღებდა, თავის თავს ყმად ანებებდა. ზემოხსენებულ სიგელში ნათქვამია: „ტყვეობიდამ მოსულხარ, ჩვენი ყმობა მოინდომე, ჩვენც ავლაბარში ჩვენს ყმათ დაგადგინეთ, დუქნისა და სახლის ალაგიც გიბოძეთ, რადგან ახალშენი კაცი ხარ ორს წელიწადს ყოვლისფრის სათხოვრისაგან გვითარხნებიხარ... ორს წელიწადს უკან, რაც შეძლება გექნება" უნდა გვემსახუროო[107]. ამავე გზით გაიჩინა ყმა თბილისში ლევან ბატონიშვილმაც. 1780 წ. „უცხო ქვეყნიდან მოსულ" კაცს ლევან ბატონიშვილმა „თათრის მეიდნის პირზე ერთი დუქნის ალაგი" უბოძა; ამას გარდა, „რადგან ახალი მოსული იყო და არ შეეძლო, დუქნის ასაშენები თეთრიც" ბატონიშვილმა მისცა, „ახალმოსული კაციც" ამიერიდან ბატონიშვილის ყმად იქცა[108]. ქალაქში სამოსახლო ადგილის ბოძებით, ან კიდევ ქალაქში დასახლებით ყმებს იძენდნენ აგრეთვე სხვა მებატონეებიც. მუხრანბატონმა იოანემ 1782 წ. ერევნიდან კაცი თბილისს მოიყვანა და დაასახლა და ერევნელი ვაჭარი ამ გზით საშვილიშვილოდ ყმად გაიხადა[109]. მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა. გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში თავისუფალი მწარმოებლის ყმად ქცევის სხვა მიზეზებიც იყო. პირველ რიგში წვრილი მწარმოებლის ქონებრივი შეუძლებლობა, მისი დავალიანება. „შეუძლებელი მოვალეები" გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო; „შეუძლებელი მოვალე", რაკი მას სესხის დაფარვა თავისი მცირე შემოსავლით არ შეეძლო, იძულებული ხდებოდა თავი ყმად მიეცა იმ პირისათვის, რომლისგანაც მან ვალი აიღო, ან კიდევ იმისთვის, რომელმაც მის მიერ აღებული ვალი გადაუწყვიტა. ვალის გადაწყვეტით იგი ფაქტიურად თავს ყიდდა, ხდებოდა „ნასყიდ"

---

[106] ЦГИАГ, ფ. 229, დათვ. 5, საბ. 114.
[107] იქვე, დავთ. 8, საბ. 123.
[108] იქვე, დავთ. 5, საბ. 21.
[109] იქვე, დავთ. 5, საბ. 82.

(купленный) ყმად". მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი: 1665 წ. საბუთით იმერეთიდან თბილისს გადმოსახლებული და ქალაქში მოსაქმე „ეული კაცი", ვალების გამო, ყმად აძლევს თავს თბილისის მელიქს ეინალს[110]. 1740 წ. საბუთით კიდევ, გორელები ნადირაანთ თამაზა და მისი შვილები, ვალის გამო, თავს ჰყიდიან გორის მელიქზე[111]. 1782 წ. მჩითავმა ხელოსანმა, რომელიც ჯავახეთიდან გადმოსახლებულა და თბილისში თავისი ხელობით საქმიანობდა ვალის გამო, ან როგორც საბუთშია ნათქვამი, რაკი „მოვალეები აწუხებდნენ", თავი მიჰყიდა ერთ-ერთ თბილისელ მოქალაქეს[112]. 1783 წ. საბუთში ვკითხულობთ: ეს წიგნი მოგეცი „მე მირიმანთ არუთინას შვილმა დალაქი მოსიამა შენ ტერ-შაოანთ ოჰანას შვილს აბელს ასე რომ... ამას წინად ვიდრე ორმოცდაერთი წელი მამაჩემს არუთინას ჩემი თავი მიეყიდნა მოქალაქე ივანგულანთ ნაზარას შვილ ფარსადანზე... იმ თარიღიდან ამ ჟამამდე ვემსახურე ჩემს აღას (ბატონს, შ. მ.) ფარსადანას ჩემის შეძლებისამებრ". მისი გარდაცვალების შემდეგ „ჩემმა ქალბატონმა ხანფერიმ თავისი ნებაყოფლობით აზატი მიყო... რომ თავისუფალი შევიქენ... მაგრამ, რათგან მოვალე კაცი ვიყავ და მოვალეები (sic) მაწუხებდნენ და არსიდ ვალის გარდახდევინების შეძლება... არ მქონდა მოველ და შენ შემოგეხვეწე რომ მოვალეთაგან დამიხსნა და ცოლშვილით შენი ყმა ვიყუნეთ... შენც... დამიხსენ და სხუა გუარადაც ჩემი გული შეიჯერე... ვიყუნეთ შენი მორჩილი და მონა, როგორადაც ბატონყმობის წესია"[113]. როგორც ვხედავთ, ყმობისაგან განთავისუფლებული ხელოსანი დავალიანების გამო იძულებულია თავი გაყიდოს და ისევ ახალი ბატონი შეიძინოს. დალაქ ხელოსნის მიერ ვალის გამო თავის გაყიდვაზე მოგვითხრობს აგრეთვე 1799 წ. საბუთიც[114], ხოლო სტამბულიდან ყიზლარს მოსულ დავალიანებული ვაჭრის თავის გაყიდვაზე კი 1784 წ. საბუთი[115]. „შეუძლებელი მოვალეები", რომელნიც ვალის გამო თავიანთ თავს ყიდდნენ, როგორც აღვნიშნეთ, „ნასყიდ ყმებად" იქცეოდნენ. ამ მხრივ საინტერესოა 1671 წ. საბუთი, რომლის მიხედვით ვაჭარი არუთინა ოჰეზაშვილი, რაკი მას კათალიკოსის „ვალი დაატყდა" და მისი გადაწყვეტის შესაძლებლობა არ ჰქონდა, თავის თავს საკათალიკოსო ეკლესიას „ნასყიდ ყმად" აძლევს[116]. ნასყიდ ყმათა კატე-

[110] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 5, საბ. 117.
[111] იქვე, ფ. 230, დავთ. 1, ნაწ. 5, საბ. 10.
[112] იქვე, ფ. 229, დავთ. 16, საბ. 64.
[113] იქვე, საბ. 15.
[114] იქვე, საბ. 17.
[115] იქვე, ფ. 229, დავთ. 45, საბ. 134.
[116] ისტორიული საბუთები, IV, გვ. 50.

გორიას მიეკუთვნებოდნენ გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში არა მარტო შეუძლებელი მოვალენი, არამედ ისინიც, რომელნიც ქალაქების ხშირად დარბევისა გამო უცხოელ მოძალადეთა ხელში ტყვეებად ვარდებოდნენ და რომელთაც შემდეგ ესა თუ ის ფეოდალი თუ შეძლებული მოქალაქე სათანადო თანხის გაღებით დაიხსნიდა. თბილისელი მეკონდახე ხელოსანი ოქრუა თავის გაყიდვის წიგნში აღნიშნავდა: „პატარა ჯავახეთიდან გადმოსული ვიყავ და თავისუფლად ქალაქში (თბილისში, შ. მ.) ვიმყოფებოდი. რამდენიმე ხანი გამოვიდა და ლეკში დავიკარგე და გამოვიპარე, მეორედ დავიკარგე. მე ჩემი სახსარი არა მქონდა რომ თავი დამეხსნა, ჯელმწიფის უბრძანებოთ არავინ დამიხსნა, მის სიმაღლეს არზა მივართვი და ოქმი მიბოძა ვინც დაგიხსნის, იმისი ყმა იყავიო“... ამის შემდეგ კონსტანტინე მუხრან ბატონს დაუხსნია და თავიც ყმად მისთვის მიუნებებია[117]. როგორც ვხედავთ, წვრილი მწარმოებელი, რომელიც ქალაქში თავისუფლად ცხოვრობდა, ლეკებს ტყვედ გაუტაცნიათ, საკუთარი სახსრებით თავის დახსნა ტყვეობიდან არ შეძლებია და იძულებული გამხდარა ახალი ბატონი ეძებნა, რომელიც მას ამ ტყვეობიდან დაიხსნიდა.

გვიანფეოდალურ საქართველოში, რაკი ის ორი აგრესორი ქვეყნის ინტერესთა შორის იყო მოქცეული და მათი რბევა-ლაშქრობის ასპარეზს წარმოადგენდა, ქალაქის მცხოვრებთა ტყვედ ჩავარდნის ხშირი შემთხვევები იყო. ტყვეობიდან დახსნა კი ქალაქის თავისუფალ მწარმოებელს ამიერიდან დამხსნელის ყმად აქცევდა. ერეკლე II-ის ბრძანება, „ვინც ტყვეობიღამ მოვა... ვინც დაიხსნის იმას იმისი იქნება და ვისთანაც თითონ უნდა იმასთან მივა“[118], გვიანფეოდალური ქალაქების თავისუფალი მწარმოებელი მოსახლეობის ყმებად გადაქცევის ფართო შესაძლებლობას იძლეოდა.

„ნასყიდ ყმათა“ ძირითად ფენას ქალაქებში მებატონეთა მიერ თავიანთი სახსრებით შეძენილი ყმა ხელოსნები და ვაჭრები შეადგენდნენ.

გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში ყმებს ყიდულობდა გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის ყოველი წარმომადგენელი და ასევე მოქალაქეთა პრივილეგიური ფენებიც. 1644 წ. საბუთით, სოფლიდან თბილისს გადმოსახლებული ყმა მის ბატონს ქალაქის მელიქ ეინალისთვის მიუყიდნია და იგი ქალაქელ ნასყიდ ყმად ქცეულა[119]. 1745 წ. საბუთით სურამის მამასახლისმა კათალიკოსს მიჰყი-

---

[117] ЦГИАГ, ფ. 229, დათ. 5, საბ. 75.

[118] იქვე, საბ. 88.

[119] იქვე, საბ. 119.

და თავისი ყმა ვაჭარი[120]. თავიანთი „თეთრით ნაყიდი“ ყმები საკმაოდ დიდი რაოდენობით ჰყავდა თბილისში ეჩმიაძინის ეკლესიას[121]. ნასყიდი ყმები — ხელოსნები და ვაჭრები ჰყავდათ ქალაქის შეძლებული მოსახლეობის წარმომადგენლებსაც ცხინვალში, გორში, თბილისში და სხვაგან, მაგრამ ამაზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით.

ყმა ხელოსნისა და ვაჭრის მფლობელს შეეძლო თავისი ყმა წყალობად გაეცა მებატონისათვის, ან კიდევ ეკლესიისა თუ მონასტრისათვის შეეწირა. გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში ყმა ხელოსანთა და ვაჭართა ერთ ყველაზე უფრო ფართო წრეს ე. წ. „შეწირული ყმები“ შეადგენდნენ. „შეწირული ყმები“, ცხადია, მხოლოდ ეკლესია-მონასტრებს ჰყავდათ. მაგ., 1604 წ. კახთა დედოფალმა თინათინმა ორი კომლი ვაჭარი გრემში შუამთის მონასტერს შესწირა[122], 1631 წ. თეიმურაზ I-მა მცხეთის ეკლესიას შესწირა გორელი ვაჭრები[123]. 1639 წ. სიგელში როსტომი სხვათა შორის წერდა: „შეწირულობისა ქარტა მოგართვით (იერუსალიმის ეკლესიას)... და შემოგწირეთ გორს ჩვენი ვაჭარი დონდორას შვილის ფიბუას შვილები დონდორა და ფეროზა“[124]. 1668 წ. მეფე შაჰნავაზმა წილკნის ეკლესიას შესწირა ვაჭარი მექვაბისშვილი სარუხანა[125]. შეწირული ყმა ვაჭრები ჰყავდა თბილისში სიონის ეკლესიასაც, ქუთაისის ეკლესიას ქუთაისში, გელათის მონასტერს ქუთაისში და ასე შემდეგ. ჩვენ მიერ ზემოდასახელებულ ეკლესია-მონასტრების ქალაქში მოსახლე ყმებს შორის უმეტესობა სწორედ შეწირულნი იყვნენ. ყმა ვაჭართა და ხელოსანთა შეწირვა იმდენად გავრცელებული იყო გვიანფეოდალურ საქართველოში, რომ დამატებითი მასალის მოტანას აქ ზედმეტად მივიჩნევთ. შეწირული ყმები მათი შემწირველების მიერ ჩვეულებრივ თავისუფლდებოდნენ სამეფო თუ საბატონო გამოსაღებისაგან და მხოლოდ ეკლესია-მონასტრის წინაშე სათანადო სამსახურის გაწევა ევალებოდათ. ასე რომ, ისინი, ქალაქის სხვა ყმა ხელოსან-ვაჭრებთან შედარებით, თითქოს უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ. ამით აიხსნება ნაწილობრივ ისიც, რომ ეკლესია-მონასტრებს არა მარტო მეფისა და კერძო მებატონეების მიერ შეწირული ყმები ჰყავდათ, არამედ აგრეთვე ისეთნიც, რომელთაც თავი ნებით შეუწირავთ. ასეთ ყმებს, რომელნიც „შეწი-

---

120 Д. Пурцеладзе, Церк. Гуджары, с. 44.

121 იხ. მატენადარან, ქართ, საბუთები, საქაღალდე I, საბ. 12, 81 და სხვ.

122 Д. Пурцеладзе, Церк. Гуджары, с. 86.

123 ისტ. საბუთები, IV, გვ. 17.

124 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 51, საბ. 179.

125 იქვე, ფ. 230, დავთ. I, ნაწ. 7, საბ. 24.

რულ ყმათა“ კატეგორიაში ივარაუდებოდნენ, ჩვენ შეიძლება პირობით „თავშეწირულნი“ ვუწოდოთ. „თავშეწირული ყმები“, ხელოსნები და ვაჭრები საქართველოს ქალაქებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. მრავალ საბუთთა შორის, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია, აქ მხოლოდ რამდენიმეს მოვიტანთ. 1619 წ. სომეხმა ვაჭრებმა თავი შესწირეს თბილისში სიონის ეკლესიას[126]. დამახასიათებელია, რომ ეკლესია-მონასტრებს თავს სწირავდნენ ყმობისაგან განთავისუფლებული თავდახსნილი ყმები. ბაქარის დროს (1717—1719) თბილისელ თეიმურაზს ბატონისაგან თავი დაუხსნია, მაგრამ ისევ თავისივე ნებით სვეტიცხოველის ეკლესიისათვის შეუწირავს თავი[127]. 1708 წ. საბუთიდან ჩანს, რომ თბილისელ მკერვალს, რომელიც ნასყიდი ყოფილა, თავი დაუხსნია და ბატონისაგან განთავისუფლების შემდეგ ნათლისმცემლის მონასტრის ყმობა მოუნდომებია, თავი მისთვის შეუწირავს[128]. 1713 წ. ერთ საბუთში კიდევ აღნიშნულია: „თელავიდამ ავიყარე და მოველ ქალაქს და ჩემის ნება წადილითა... უდაბნოს თავი შემოვსწირეო“[129]. იმერეთიდან თბილისში გადმოსულ მესაპირისწამლე თავისუფალი ხელოსნის სიონის ეკლესიისადმი თავშეწირვის შესახებ მოგვითხრობს 1773 წ. საბუთი[130]. ამგვარადვე, თავისი თავი, შვილები და შვილისშვილები ნებაყოფლობით შესწირა ქუთაისელმა ვაჭარმა 1783 წ. ეჩმიაძინის ეკლესიას[131]. მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმარისი ჩანს იმის საჩვენებლად, თუ როგორ ხდებოდნენ იძულებულნი გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების იურიდიულად თავისუფალი ხელოსნები და ვაჭრები „თავიანთი ნებასურვილითვე“ ბატონი გაეჩინათ.

თავშეწირული ყმების გვერდით ფეოდალურ ქალაქებში იყვნენ აგრეთვე „ნებიერი ყმები“ (добровольный), რომელნიც თავიანთი „ნებით“ ეყმობოდნენ ამა თუ იმ მფლობელს. თუკი თავშეწირული და შეწირული ყმები მხოლოდ ეკლესია-მონასტრებს ჰყავდა, „ნებიერი ყმები“ უმთავრესად საერო ფეოდალებს ირჩევდნენ. XVII—XVIII სს. დოკუმენტთა შორის ჩვენ არაერთი საბუთი გვხვდება, რომელიც ამა თუ იმ თავისუფალი ხელოსნის თუ ვაჭრის ნებით ყმობაზე მოგვითხრობდეს. მაგ., 1646 წ. საბუთით, თბილისის ვაჭრები მურაჩაშვი-

---

126 ისტ. საბუთები, IV, გვ. 11.

127 ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. 1, ნაწ. I, საბ. 191.

128 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრის საბუთები, გვ. 23.

129 იქვე, გვ. 70.

130 ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. 1, ნაწ. II, საბ. 34.

131 მატენადარან, ქართ. დოკუმენტები, საქაღალდე I, საბ. 38.

ლები შაჰნაზარა და დავითა თბილისის მოურავს მანუჩარს ყმად აძლევენ თავიანთ თავს[132]. 1782 წ. ნებით ყმობის საბუთში ნათქვამია: „ჰასტრახანიდან მოსული და ქალაქს მსახლობელი არუთინას შვილი ოჰანეზა“ „მოვედი ქალაქსა (თბილისს შ. მ.) და არავინა მყვანდა ბატონი და არც პატრონი“ და შენ მელიქიშვილს ავთანდილს ჩემის ნებით გეყმეო[133]. როგორც ვხედავთ, ასტრახანიდან მოსული და თბილისს მოსახლე ოჰანეზა თავისუფალი ვაჭარია, რომელიც თბილისში თავისავე ნებით „ბატონსა და პატრონს იძენს“. ამგვარადვე, 1794 წ. საბუთით თბილისელი ხელოსანი მექვაბე გრიგოლა თავისავე ნებით ეყმო თბილისის მელიქ-მამასახლისს ავეტიქას[134]. „ნებიერი ყმის“ ბატონ-ყმური ურთიერთობა მის ფლობელთან განსხვავდება ნასყიდი, ნაწყალობევი და შეწირული ყმის დამოკიდებულებისაგან თავიანთ ბატონთან. „ნებიერ ყმას“ შეუძლია მის მიერ არჩეული ახალი ბატონი თავის ნებითვე მიატოვოს და ან თავისუფლად განაგრძოს ცხოვრება, ან კიდევ ისევ ახალი ბატონი ეძებოს. ამ მხრივ საინტერესოა რევაზ ამილახვრის მიერ მიცემული წიგნი ახალციხიდან მოსულ "ნებიერი ყმა“ ვაჭრებისადმი: „ეს წიგნი მოგეცი მე რევაზ ამილახვარმა შენ ახალციხიდამ ჩამოსულს ავეტიქასა, ძმასა შენსა გალუსტასა, პეტროზასა და სოლომონასა, ასე რომე მოხვედით (და თქვენი ნებით გვეყმეთ) მანამ ქართლში გიყვნეთ და ერჩომინებოდესთ, ჩემს მეტს ვერავის მიუხვიდეთ და თუ ისევ ახალციხეს წასვლა მოინდომოთ ან თქვენ და ან თქვენმა შვილებმა, ვერ დაგიშალოთ ვერც მე და ჩემმა შვილებმა, ძალით ყმათ ვერ დაგიჭიროთ და ხეობამდინაც ჩემის ხარით და ურმით მიგიყვანოთ“[135]. როგორც ჩანს, თუ ნებით მისულ ყმასა და მის ბატონს შორის განსაკუთრებული პირობა არ იყო შეკრული, მას შეეძლო სხვას ხლებოდა. ამას გარდა, მას „ძალით ყმად“ ვერ დაიჭერდნენ, ბატონის შვილები მასზე უფლებას ვერ განახორციელებდნენ და თუ ყმა წასვლას მოინდომებდა, ბატონი კისრულობდა „თავისი ხარით და ურმით“ იგი გადაეყვანა კიდეც სათანადო ადგილამდე.

ზემოდასახელებულ სხვადასხვა კატეგორიის ხელოსან და ვაჭარ ყმებს გარდა, საქართველოს ქალაქებში მოსაქმეობდნენ აგრეთვე ხიზნებიც — ხიზანი ხელოსანი და ვაჭრები, ე. ი. ისეთები, რომელნიც აიყარნენ თავიანთი სამკვიდრებელი ადგილიდან და რო-

---

[132] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 52, საბ. 97.
[133] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 17, საბ. 72.
[134] იქვე, დავთ. 11, საბ. 118.
[135] იქვე, დავთ. 37, საბ. 1.

მელთაც სხვაგან უძებნიათ თავშესაფარი. სხვადასხვა ქვეყნიდან გადმოხვეწილი ხიზანი ვაჭრები და ხელოსნები არაერთი იყო თბილისში. მაგ., არზრუმელი ვაჭარი თავის გაყიდვის წიგნში სხვათა შორის წერდა: „ჩემის ქვეყნიდამ გადმოვარდნილი ვიყავ და ყოვლითურთ იწროებში და აქ ტბილისის ქალაქს დავსხდი... ცოლი შევირთე... შვილები მომეცა და ამ ხიზნის გამოსაზრდელად ვალი დამედო“ და იძულებული გავხდი თავი გამეყიდაო[136]. გვიანფეოდალური საქართველოს XVII—XVIII სს. სამშინაო და მძიმე საგარეო მდგომარეობა ყოველგვარ შესაძლებლობას ქმნიდა ხიზანთა კატეგორიის გამრავლებისათვის, როგორც სოფლად, ასევე ქალაქებშიაც. თუკი თბილისს ხშირად სხვა ქალაქიდან მოსული ხიზნები აფარებდნენ თავს, არ იყო იშვიათი შემთხვევა, როცა თვით თბილისელი მოქალაქეები ქალაქიდან აიყრებოდნენ და საქართველოს სხვა ქალაქს შეეხიზნებოდნენ, ან კიდევ საქართველოს საზღვრებს გარეთაც მიდიოდნენ. მაგ., ერთ-ერთი თბილისელი მოქალაქე 1803 წ. ციციანოვს წერდა: „აღა მაჰმად ხანმა ესე ქალაქი რომ წაახდინა, ჩემი ცოლშვილიც ტყვედ წაასხა, მოველ ასტრახანს, იქ ვიპოვე ტყვეები, ვალით იყო თუ ვახშით დავიხსენ, რუსეთს გავასხი და მოზდოგს გახლავართ ხიზნათაო“[137]. ზოგი თბილისელი მოქალაქე კი საქართველოს სხვა ქალაქში შედარებით უშიშარ ადგილას იხიზნებოდა. მოქალაქე ყასაბი თბილისში აღა მაჰმად ხანის ლაშქრობის შემდეგ ქ. გორში გახიზნულა და იქ დაუწყია ცხოვრება[138]. ამით აიხსნება, რომ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების მოსახლეთა შორის ხიზანი მოქალაქეებიც მოიხსენიებიან. მაგ., ქ. ცხინვალის მოსახლეობის აღწერაში 28 კომლი ხიზანია დასახელებული, მათ შორის მოქალაქე დედოფლის ყმა საღმახანაშვილი მიკირტუმა“, ბაყალი სტეფანა, „ხიზანი მოქალაქე გოლინაშვილი, მეჩახმახე გასპარა“, ხიზანი მჭედელი, ახალგორელი მექვაბე, ფეიქარი გოგია და სხვ[139]. ამრიგად, გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ძირითად მასას ყმა ხელოსნები და ვაჭრები შეადგენდნენ. ყმათა ძირითად კატეგორიებს, ისე როგორც მთელს ქვეყანაში, ქალაქებშიაც „ნასყიდი ყმები“ (რომელშიც შეუძლებელი მოვალეცა და ტყვეობიდან დახსნილიც ივარაუდებოდა), „ნაწყალობევი“, „შეწირული“ (რომელშიც თავშეწირულნიც შედიოდნენ), „ნებიერი ყმები“ და ხიზნები შეადგენდნენ.

---

[136] ЦГИАГ, ფ. 229, დაეთ. 16, საბ. 17.

[137] იქვე, ფ. 226, № 8963.

[138] იქვე, ფ. 226, № 9027.

[139] ГМГ, ფ. Ид: 1606.

ნასყიდ ყმებზე“, რომელნიც მებატონეს საკუთარი თანხით შეუძენია, ან კიდევ მათი ვალი დაუფარავს თუ ტყვეობიდან დაუხსნია და სხვ., ბატონს საკმაო ხარჯი ჰქონდა გაწეული და ამიტომაც ისინი მის «неполная собственность»-ს შეადგენდნენ. იგი საშვილისშვილო ყმა იყო, რომელსაც ბატონის ნებართვის გარეშე არსად შეეძლო წასვლა. ბატონი მას ყიდდა, აგირავებდა, წყალობად გასცემდა და სხვ. მაგ., 1786 წ. საბუთით ხუთი თუმნის ვალის გირაოდ თბილისში ბატონის მიერ მიცემული იყო „სტეფანე კალატოზი და მეზანდუკე არუთინა“, ე. ი. 2 ხელოსანი ოსტატი[140]. ამგვარადვე ექცეოდა ბატონი ნაწყალობევ ყმებსაც.

ყმა ხელოსან-ვაჭართა შორის, „ნასყიდ ყმებთან“ შედარებით, თითქოს უკეთეს პირობებში იყვნენ შეწირულნი და თავშეწირულნი, რომელნიც შემწირველთაგან თითქმის ყოველთვის გათარხნებულნი იყვნენ სახელმწიფო და საბატონო გამოსაღებებისაგან. შეწირული და თავშეწირული ყმები მხოლოდ ეკლესია-მონასტრებს ჰყავდა.

ყმათა ზემოხსენებულ კატეგორიებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა „ნებიერ ყმებს“, რომელთაც შეიძლება დროებითი, არამუდმივი ყმები ეწოდოთ. ნებიერ ყმებს თავისივე ნებით წასვლა შეეძლოთ; ისინი მებატონეთა ქონების გაყოფის დროს მებატონეთა შორის კი არ იყოფოდნენ, როგორც ამას მებატონეები აკეთებდნენ სხვა კატეგორიის ყმათა მიმართ, არამედ ვისთანაც თვით მოისურვებდნენ, იმასთან დარჩებოდნენ ან კიდევ საერთოდ წავიდოდნენ. ბებუთაშვილების (თბილისში) გაყრილობის 1749 წ. წიგნში სხვათა შორის ნათქვამია: „რაც ნების ყმები არიან, ვისაც თავი უნდოდესთ იმას პირ მისცენ და ემსახურონო“[141], ე. ი. მათ ჩვენ არ გავიყოფთო. მართალია, „ნებით ყმა“ ამ მხრივ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, მაგრამ გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში განმტკიცებული ბატონყმური ურთიერთობა ასეთ მათ განსხვავებულობასაც თანდათან სპობდა და ამ თითქმის თავისუფალ წვრილ ხელოსანსა და ვაჭარს აქრობდა.

ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს „თავშეწირული“ და „ნებიერი ყმების“ კატეგორია, რომელნიც, ერთი შეხედვით, თითქოს თავიანთი ნებით ყმებად აძლევენ თავს საეკლესიო თუ საერო ფეოდალებს. გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში ყმათა ამგვარი კატეგორიის არსებობა ერთი მხრივ იმას გვიჩვენებს, რომ

---

[140] ГМГ ფ. Sd: 152.

[141] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 18, საბ. 169.

ფეოდალურ ქალაქებში თითქმის სავსებით არ არსებობდა იურიდიულად თავისუფალი მწარმოებელი. ამას გარდა, ხელოსნის თუ ვაჭრის ნებით ყმობა თუ თავშეწირვა იმისი მაუწყებელია, რომ საქართველოს ქალაქებში იმდენად იყო განმტკიცებული ბატონყმური ურთიერთობა, რომ წვრილ მწარმოებელს ქალაქებში, სადაც მთელი მოსახლეობა განაწილებულია საერო და სასულიერო ფეოდალებს შორის, სადაც ყოველდღიური პირობები მას ყმობისაკენ ერეკება და დღეს თუ ხვალ ყმად აქცევს, იურიდიულად თავისუფალი მწარმოებლის გაძლება შეუძლებელია, იძულებულს ხდის ბატონთა შორის, სანამ ჯერ კიდევ შესაძლებლობა აქვს, შედარებით „უკეთესი“ შეარჩიოს და თავისივე სურვილით თავი შესწიროს თუ ეყმოს მას. ამგვარი გზით ის იძენს ისეთ ბატონს, რომელიც მას „ძალით ყმობისაგან“ დროებით მაინც იხსნის, დაიცავს იმ კონკურენციისაგან, რომელიც მას ყმური, მაგრამ ორგანიზებული, ხელოსნური და ვაჭრული შრომისაგან მოელის. გვიანფეოდალურ ქალაქებში შედარებით „უკეთეს ბატონად“ თითქოს ეკლესია ჩანდა, რომლის ყმებიც ქალაქებში შეუვალობით სარგებლობდნენ. მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმასაც, რომ საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობა ფეოდალურ ქვეყანაში, როგორც სოფლად, ასევე ქალაქად, შედარებით უკეთ იყო ორგანიზებული, ვიდრე კერძო საბატონო მეურნეობანი. ყოველივე ამით, ეკლესიის ყმათა შეუვალობით, საეკლესიო მეურნეობის ორგანიზებულობით აიხსნება თავშეწირულ ყმა ხელოსანთა და ვაჭართა სიმრავლე გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში.

დასასრულ, „თავშეწირულ“ და „ნებიერ ყმათა“ არსებობა ქალაქებში მიგვითითებს იმაზე, რომ გვიანფეოდალურ ხანაში ქალაქი იმდენად თავისუფლებას კი არ ანიჭებდა ყმა ხელოსანსა და ვაჭარს, რამდენადაც ქალაქს თავშეფარებულ, პირადად თავისუფალ წვრილ მწარმოებელს აკარგვინებდა ამ თავისუფლებას. ასე რომ, ცნობილი გერმანული აფორიზმი «Die Stadtluft macht frei “ XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქების მიმართ უკვე არ შეიძლება გამოვიყენოთ. პირიქით, საქართველოს ქალაქებში განმტკიცებული ბატონყმური ურთიერთობა ჯერ კიდევ დამოუკიდებელ წვრილ მწარმოებელს ყმობისაკენ ერეკებოდა და სხვადასხვა კუთხიდან ქალაქში მოსულ თავისუფალ ხელოსანსა და წვრილ ვაჭარს, ნებით თუ ძალით, ყმად აქცევდა. ამ თვალსაზრისით გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების სოციალური წყობა არსებითად განსხვავდებოდა X—XIV სს. საქართველოს ქალაქების სოციალური წყობისაგან.

ბ) ქალაქის მოსახლეობის პრივილეგირებული ფენა

(„მოქალაქის“ წოდების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში)

გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში ყმა ვაჭრებისა და ხელოსნების, ამ თითქმის უუფლებო ძირითადი მოსახლეობის, გვერდით იყვნენ აგრეთვე შედარებით პრივილეგიური ფენებიც. ქალაქის მოსახლეობის ერთი ნაწილის პრივილეგიური მდგომარეობა უმთავრესად მათ ეკონომიკურ შეძლებაზე იყო დამყარებული; ამიტომაც ამ ფენაში ძირითადად მსხვილი ვაჭრები იგულისხმებოდნენ. ეს, ეკონომიკურად შეძლებული და ამის გამო უფლებრივად პრივილეგირებული წრე თანდათან ეთიშება ქალაქის ძირითად მოსახლეობას და ხშირ შემთხვევაში უპირისპირდება კიდეც მას. ქალაქის მოსახლეობის ზედა, შეძლებული ფენა, განსხვავებული თავისი ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობით, ცდილობდა მისი ეს განსხვავებული მდგომარეობა თავის წოდებაშიც (взвании) გამოეხატა და ამ მხრივადაც ქალაქის მოსახლეობაში წამყვანის, ძირითადის როლი მიეკუთვნებინა.

შინაკლასობრივი ბრძოლა, რომელიც ქალაქის მოსახლეობაში საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, ამ შემთხვევაში მისი ზედაფენის გამარჯვებით მთავრდება. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ქ. თბილისის მოსახლეობის თანდათან დიფერენციაციაში და მის ორ, არსებითად განსხვავებულ ნაწილად გათიშვაში.

X—XVI სს. თბილისში მოსახლეს, თავისუფალ თუ არათავისუფალ, შეძლებულ თუ ღარიბ ვაჭარსა და ხელოსანს, თანაბრად „მოქალაქე“ ეწოდებოდა. „მოქალაქეობა“ რომელიმე ცალკეული წრის პატივად ჯერ კიდევ არ იყო. მაგ., 1523 წ. საბუთში კერძო მებატონის თაყა ზედგინიძის თბილისელი ყმა ვაჭარი „მოქალაქედ“ იწოდება. 1523 წ. თაყა ზედგინიძემ შიომღვიმის მონასტერს უწყალობა „ტფილის ქალაქს ვაჭარი“, რომელიც, საბუთის სიტყვით, „ყოველთა წელიწადთა უკლებლად გამოიღებდეს ექუსსა ლიტრასა ზეთსა... სამსა ლიტრასა ცვილსა... და იმა მოქალაქისაგან მოტანილს ცვილსა და ზეთსა ჩუენის შვილსა საფლავზედა აანთებდეს“[142]. როგორც ჩანს, „მოქალაქე“ XVI ს. დამდეგის თბილისში კერძო საბატონო ყმა ვაჭარსაც ეწოდება. მაგრამ ამ მხრივ გარდატეხა, როგორც ირკვევა, XVI ს. მეორე ნახევრიდან ხდება. ბატონ-

---

[142] ისტ. საბუთები, III, გვ. 54.

ყმური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება გვიანფეოდალურ თბილისში კიდევ უფრო აღრმავებს ქალაქის მოსახლეობის სოციალურ დიფერენციაციას. ქალაქში მოსახლე სამეფო, საეკლესიო თუ კერძო საბატონო ყმა ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან გამოყოფილი ქალაქის მცხოვრებთა შეძლებული ნაწილი თანდათან ისაკუთრებს „თბილისელი მოქალაქის“, ან კიდევ „მოქალაქის“ სახელს და სხვა, სამეფო, საეკლესიო თუ კერძო საბატონო თბილისელ ყმა ხელოსანთა თუ ვაჭართაგან განსხვავებით, „მოქალაქედ“ იწოდება. XVII ს. საბუთებით მოქალაქე უკვე თბილისში მცხოვრებთა მხოლოდ ერთი ნაწილის აღმნიშვნელად ჩანს. 1628 წ. სიმონ II-მ თბილელ ეპისკოპოსს შემდეგი წყალობის წიგნი მისცა: „თბილელობას დაგვეაჯენით... და მოგახსენეთ თბილელობა... რაც სიონთა ღვთის მშობელს ქალაქს ან ვაჭარი ჰყოლებოდეს შეწირული და ან ქულბაქი... ჩუენც შეგვიწირამს უკლებლად... რა რიგადაც ან მოქალაქესა და ან თემის კაცს სხვის თბილელისათვის ემსახუროს ისრევ თქუენ უნდა გემსახუროს“[143]. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში „მოქალაქე“ უპირისპირდება ქალაქში მცხოვრებ „თემის კაცს“, ანუ, როგორც 1777 წ. ერთ საბუთშია ნათქვამი, თბილისში „ისე მსახლობლთ“; ბუნებრივია, ქალაქში მცხოვრები და მოსაქმე „თემის კაცი“, ანუ „ისე მსახლობელი“ ან ხელოსანი იყო და ან ვაჭარი[144]. ასე რომ, XVII ს. დამდეგისათვის თბილისში მცხოვრები ყოველი ხელოსანი თუ ვაჭარი მოქალაქედ არ შეიძლებოდა წოდებულიყო. სიმონ II-ის ზემომოტანილი სიგელის შინაარსი რომ უფრო ნათელი იყოს, ერთ ადგილს მოვიტანთ დარეჯან დედოფლის შემოსავლის ნუსხიდან: „ტფილისში სადედოფლო ჩემი ყმები მოქალაქენი კომლი 50...“ „ქალაქში (თბილისში, შ. მ.) ჩემი ყმანი გარეშე სოფლებისა მოკრეფილნი კაცნი, კომლი 18“[145]. ამ შემთხვევაშიც „მოქალაქენი“ „ისე მსახლობელთ“, „თემის კაცთ“, ანუ გარეშე სოფლებიდან ქალაქს დასახლებულ ყმებს უპირისპირდება. ამრიგად, როგორც ვხედავთ, „მოქალაქის“ წოდება ქალაქში (თბილისში) მცხოვრებთა მხოლოდ ერთი ფენის უპირატესობად იქცევა, და იგი ამგვარ წოდებად, ჩვენი აზრით, XVI—XVII სს. მიჯნაზე ხდება.

თბილისში მოქალაქის წოდების მისაღებად „მოქალაქედ“ გახდომა, ანუ „მოქალაქედ ქმნა“ იყო საჭირო. 1756 წ. ხელნაწე-

---

[143] Акты, I, с. 16.

[144] იხ. შგ., თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები, გვ. 23.

[145] ЦГИАГ, ф. 226, საბ. № 9128.

რის მინაწერში სხვათა შორის მოიხსენიება „მოქალაქედ ქმნილი ჯელოსანი მხატვარი... ალექსი“[146].

მოქალაქედ გახდომისათვის, ე. ი. მოქალაქის წოდების მიღებისათვის XVII—XVIII სს. თბილისში გარკვეული წესი არსებობდა, ამის შესახებ ჩვენ, მართალია, XIX ს. დამდეგის, მაგრამ მეტად საინტერესო, არაერთი ცნობა მოგვეპოვება.

XIX ს. დამდეგს, რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, თბილისის მოქალაქეთა საკითხის შესასწავლად სათანადო კომისია შეიქმნა, რომელშიც შეიყვანეს თავადები — ფალავანდიშვილი, დარჩია, ბებუთოვი (თბილისის ყოფილი მელიქ-მამასახლისი), დიმიტრი ორბელიანი, მელიქიშვილი და მოქალაქენი — თაყოევი, ფოთოევი, მუნთოვი, ბასტამოვი და სარაჯიშვილი[147], რომელთაც უნდა განემარტათ მოქალაქის წოდების მიღების, მოქალაქეთა ხარისხებისა და სხვ. დაკავშირებით ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროინდელი წესები. კომისიის მასალებს თან ერთვის აგრეთვე მოქალაქის ზურაბ მელიქიშვილის მიერ შედგენილი, და სხვა მოქალაქეთა მიერ დამტკიცებული განმარტებები[148], მოქალაქის მის. სარაჯიშვილის პირადი განცხადება ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე და სხვ[149]. ზემოხსენებული მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის მოქალაქედ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ თბილისის მკვიდრი სახელმწიფო ყმები, მაგრამ, ცხადია, არა ყველა. მოქალაქეთა საგადასახადო დავთარში შეიძლებოდა შეეტანათ სახელმწიფო ყმები[150], მაგრამ მხოლოდ ისინი, რომელთაც შეეძლოთ აღსრულება იმისა, „რაც მოვალეობა აქვს მოქალაქესა“[151], უკეთ რომ ვთქვათ, ისინი, რომელნიც ხაზინას მოქალაქეთათვის გათვალისწინებულ გამოსაღებს მისცემდნენ. ასე რომ, მოქალაქეობისათვის საკმარისი არ იყო მარტო მეფის ყმობა —ერთ უმთავრეს პირობას ეკონომიკური შესაძლებლობა შეადგენდა. ცხადია, ამის გამო ყველა სამეფო თუ სადედოფლო ყმა თბილისის მოქალაქე ვერ იქნებოდა. სწორედ ამით აიხსნება, რომ ქართლ-კახეთის დედოფალს, ასევე, მეფეს, კათალიკოსს, მოქალაქეთა გარდა, თბილისში არამოქალაქე ყმებიც ჰყავდათ.

მოქალაქის წოდება შეეძლოთ მიეღოთ, ზემო პირობის დაცვით

---

[146] Ф. Жордания, Опис., I, გვ. 398; შდრ. საქ. სიძველენი, II, გვ. 546.

[147] ЦГИАГ, ფ. 226, № 8544.

[148] იქვე, ფ. 1, საქმე № 193, ლ. ლ. 46—47.

[149] იქვე, ფურც. 5

[150] ЦГИАГ, ფ. 1, საქმე № 193, ლ. 46.

[151] ЦГИАГ, ფ. 226, № 8544, მუხ. დ.

და მეფის საგანგებო ბრძანებით, სხვადასხვა სოფლებიდან თბილისში გადმოსახლებულ სახელმწიფო ყმებს. მოქალაქე ზურაბ მელიქიშვილი ამ საკითხზე ამგვარ განმარტებას იძლეოდა: „სახელმწიფო ყმანი, საქართველოს სოფლებიდამ მოსულნი, ძალ უმსთ ჩასაწერად მხოლოდ მეფის ნებითა. მოქალაქობის... წოდებას მიიღებს მაშინ, როდესაც ყოველ ჟამიერი მყოფობა მისი იქმნების ტფილისში და ექმნების სახლი, ქონება, ანუ შეირთავს მოქალაქის ქალსა და მისცემს ხაზინას ხარჯსა ვითარცა პირველნი მოქალაქენი[152]. ასე რომ, სოფლიდან ქალაქს გადმოსახლებული სახელმწიფო ყმის მოქალაქედ გახდომისათვის საჭირო იყო მეფის ბრძანება, თბილისში მუდმივად დასახლება, უძრავ-მოძრავი ქონების შეძენა, თუნდაც მოქალაქის ქალის შერთვით, და სათანადო სახელმწიფო გამოსაღების გაღება.

მოქალაქე შეიძლებოდა ყოფილიყო არა მარტო ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო ყმა, არამედ უცხო ქვეყნიდან მოსულიც, თუკი იგი თბილისში დამკვიდრდებოდა და ქართლ-კახეთის მეფის მფარველობას აღიარებდა. ზურაბ მელიქიშვილი წერდა: მოქალაქედ შეიძლება იყვნენ „ისინიცა ყმანი, რომელნიც საზღვარს გარეთიდამ მოვლენ ჰსწორედ ტფილისს სახელმწიფოს ყმად და დადგებიან მარადის მას შინა საცხოვრებლად და მისცემენ მოქალაქეებთანა საზოგადოსა ხარჯსა[153]“. ზ. მელიქიშვილის ცნობას სავსებით ადასტურებს ზემოაღნიშნული კომისიის განმარტებაც[154] და დავით ბატონიშვილის მითითებაც[155].

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, მოქალაქედ გახდომის ერთ აუცილებელ პირობას თბილისში დამკვიდრება, „ყოველჟამიერი მყოფობა“ წარმოადგენდა. ამით აიხსნება, რომ მეფეთა თუ სხვათა მიერ მოქალაქეებისადმი ბოძებულ სიგელებში ყოველთვის ლაპარაკია მათი თბილისში მკვიდრობის შესახებ. „მკვიდრსა ტფილისის მსახლობელთა მოქალაქეთა“ მიმართავდა ვახტანგ VI 1722 წ.[156], ასევე წყალობას უბოძებდა ანტონ I XVIII ს. 50-იან წლებში „მკვიდრთა და ერთგულთა მოსამსახურეთა მოქალაქეთა ყოველთავე“[157]. ამითვე აიხსნება აგრეთვე ისიც, რომ თბილისელი ვაჭრები კომისიაში წარდგენილ განცხადებებში თავიანთი მოქალაქეობის დასამტკიცებ-

---

[152] იქვე, ფ. 1, საქმე № 193, ლ. 46.

[153] იქვე.

[154] ЦГИАГ, ф. 226, № 8544, ფურც. 28—29.

[155] Царевич Д а в и д, Обозрения Грузии, ИВАН, н. II, § 912.

[156] ГМГ, ф. Sd — 2938.

[157] იქვე. Sd — 2964.

ლად ყოველთვის ხაზს უსვამდნენ თავიანთ მკვიდრობას, თბილისში მუდმივ ცხოვრებას. „მკვიდრ მოქალაქეებს“ უწოდებდნენ თავიანთ თავს მესანთლოვები[158], ფრიდონოვები[159], კანდურლოვები[160], ჩხაროვები[161], უსტაზოვები[162], აბელ აბესალომოვი[163], მირაგოზოვები[164], გულაგოვები, ლილიპაროვი[165] და სხვ.

სამეფო ყმათა გარდა, მოქალაქის წოდება შეიძლებოდა მიეღოთ ზემოაღნიშნული პირობების დაცვით, როგორც დედოფლის, ასევე საეკლესიო ყმებსაც, მაგრამ მათ სამეფო მოქალაქეებისაგან განსხვავებით „სადედოფლო მოქალაქენი“ და „საეკლესიო მოქალაქენი“ ეწოდებოდათ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, დედოფალ დარეჯანს XVIII ს. მიწურულს თბილისში „მოქალაქე სადედოფლო“ 50 კომლი ჰყოლია. ამას გარდა, 1783 წ. აღწერაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ დედოფლის 248 კომლიდან ყმა ხელოსანი და ვაჭარი 80 კომლი იყო, აზნაური და მსახური 30 კომლი, ხოლო „სხვა (ე. ი. 138 კომლი) მოქალაქენი“, რომელნიც „ქალაქის მოქალაქეთ დავთარში სწერიან“-ო.[167]. „სადედოფლო მოქალაქენი“ ცალკეულ დოკუმენტებშიც გვხვდება. მაგ., 1768 წ. ერთ საბუთში „მოქალაქე სადედოფლო უმიკაანთ ოსეფას ჯალაბი“ არის მოხსენებული[168].

XVII—XVIII სს. მიჯნის ერთ-ერთ დაუთარიღებელ და ხელმოუწერელ საბუთში პატრიარქის „მემკვიდრე ....ყმანი ქალაქში მსახლობელნი“, როგორც თვით პატრიარქის მინაწერიდანვე ჩანს, მოქალაქეებად იწოდებიან[169]. თბილისის ეპისკოპოსი კი 1713 წ. თავის ერთ სიგელში წერდა: „რაგვარადაც სხვანი მოქალაქე ჩვენი ყმანი ჩვენს მონასტერს ემსახურებოდეს (თქვენც) ისე ემსახურენითო“[170]. 1749 წ. ანტონ I კათალიკოსმა წყალობის სიგელი მისცა „სვეტიცხო-

---

158 ЦГИАГ, ფ. 1, № 193, ფ. 73.
159 იქვე, ფ. 84.
160 იქვე, ფ. 82.
161 იქვე, ფ. 80.
162 იქვე ფ. 79.
163 იქვე, ფ. 78.
164 იქვე.
165 იქვე, ფ. 77.
166 იქვე, ფ. 73.
167 ЦГИАГ, ფ. 226, № 1148
168 საქართველოს სიძველენი, III, გვ. 6—7.
169 ГМГ, ფ. Ad 1772.
170 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრის ისტ. საბუთები, გვ. 70—71.

ველის მკვიდრსა“ და (მისსა) „ყმასა მოქალაქეს იეზაანთ ბუჟინა-შვილს ოვანეზას“[171]. XIX ს. დამდეგის ნასყიდობის წიგნში კი აგრეთვე სვეტიცხოვლის ეკლესიის მოქალაქის ხუდაადაანთ ანტონას ქალი მოიხსენიება[172]. ეკლესიების მოქალაქეებს, მსგავსად დედოფლის მოქალაქეებისა, სამეფო მოქალაქეებისაგან განსხვავებით, „საეკლესიო მოქალაქენი“ ეწოდებოდათ. მოქალაქე ზურაბ კუტალაევი, რომელიც ქართველ მეფეთა მიერ იერუსალიმის ეკლესიისათვის ყოფილა შეწირული, მისი განმარტებით, მოქალაქედ იწოდებოდა. აღსანიშნავია, რომ დარჩია ბებუთოვი უდასტურებს ზ. კუტალაევს, რომ ის „საეკლესიო მოქალაქის წოდებაში“ იმყოფება[173]. ამგვარადვე უჩვენებენ თავიანთ განმარტებებში მოქალაქენი პეტრუზა და პოღოსა კოტოანტ საანოვები, რომ ისინი, როგორც იერუსალიმის ეკლესიისადმი შეწირულნი, „საკათალიკოზო მოქალაქეთა“ თანაბრად არიან მიჩნეულნი. მათი განცხადების სისწორეს ზურაბ მელიქიშვილიც ადასტურებს[174]. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ „საეკლესიო მოქალაქენი“ შედარებით მცირენი იყვნენ, და როგორც ჩანს, მხოლოდ თბილისში ყმათა მფლობელობის თვალსაზრისით ძლიერ ეკლესიებს ჰყავდათ[175]. აღსანიშნავია, რომ ზოგი საეკლესიო მოქალაქე, თავისი „კაპიტალის“ სიდიდის მიხედვით, პირველხარისხოვან სამეფო მოქალაქეების გვერდით იდგა. მაგ., XIX ს. დამდეგის ცნობით, პირველხარისხოვან რვა მოქალაქეთა შორის, რომელთაც 50.000-ზე მეტი მანეთის კაპიტალი ჰქონდათ, ორი სწორედ საეკლესიო მოქალაქე იყო[176].

თუ მოქალაქედ შეიძლებოდა ყოფილიყო დედოფლის, ეკლესიის ყმა, მოქალაქის წოდებას ვერ მიიღებდნენ ბატონიშვილთა და სხვა კერძო მებატონეთა ქალაქში მოსახლე ყმები. ამგვარ ყმათა მოქალაქედ გადაქცევისათვის პირველ რიგში ბატონიშვილთა და თავადთა ყმობისაგან თავდახსნა და შემდეგ მეფის საგანგებო ბრძანება იყო საჭირო. მოქალაქე ასატურ როსტომოვი თავის განცხადებაში მიუთითებდა, რომ ადრე ის ბატონიშვილს ეკუთვნოდა, ხოლო შემ-

---

171 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 11, საბ. 39.

172 იქვე, დავთ. 39, საბ. 150.

173 იქვე, ფ. 1, საქმე № 193, ფ. 108.

174 იქვე, ფ. 111.

175 პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი, რომელმაც „მოქალაქეთა საკითხზე“ საგანგებო წერილი დასწერა (см. Труды ТГУ XXXV в, 1949, с. 165—189), რაკი უმთავრესად მხოლოდ XIX ს. დამდეგის დოკუმენტებით სარგებლობდა, სადედოფლო და საეკლესიო მოქალაქეთა არსებობის შესახებ არაფერს ლაპარაკობს.

176 ЦГИАГ, ფ. 16, 3512, ფ. 10—18.

დეგ, მეფე გიორგიმ უბრძანა რა მელიქს, იგი შეტანილ იქნა მოქალაქეთა საგადასახადო დავთარში, როგორც სახელმწიფო ყმა და მოქალაქე. ასატურ როსტომოვს ამის დასამტკიცებლად სათანადო საბუთებიც წარმოუდგენია[177]. საუფლისწულო ყმები, რომელნიც მათ პატრონებს ჩამოერთმეოდათ, ზოგი მათგანი, მეფის ბრძანებით შეიძლებოდა შეეტანათ მოქალაქეთა სიაში. XIX ს. დამდეგის დოკუმენტში სხვათა შორის ნათქვამია: გადასახადის ყოფილმა ამკრებმა მოქალაქეებმა უჩვენეს, რომ ჯერ კიდევ მეფე გიორგის დროს, როდესაც მისი ნებით ჩამოერთვათ ალექსანდრე, იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს ყველა მამული, ზოგიერთი გლეხი მიკუთვნებულ იქნა სახელმწიფო მოქალაქეთა ფენისადმი და მახტის გადამხდელთა რიცხვს მიეთვალა[178].

ასევე, სათავადაზნაურო ყმები მხოლოდ მას შემდეგ შეიძლებოდა გამხდარიყვნენ მოქალაქეები, როცა ისინი თავიანთი ბატონისაგან თავს დაიხსნიდნენ, ან სხვა საშუალებით განთავისუფლდებოდნენ მათი ყმობისაგან და მათ მოქალაქედ ჩარიცხვის შესახებ მეფის სათანადო ბრძანებაც იქნებოდა[179].

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მოქალაქის წოდება გვიანფეოდალურ თბილისში შეიძლებოდა ჰქონოდა არა მარტო სახელმწიფო და საეკლესიო ვაჭრებს, არამედ ხელოსნებსაც[180], და სხვა დაბალი საზოგადოებრივი წრიდან გამოსულ პირებს, რომელნიც თბილისში სამეფო კარზე სხვადასხვაგვარ სამსახურს ეწეოდნენ. მაგ., 1700 წ. საბუთში, მოწმეთა შორის, მოხსენებულია „მოქალაქე ნასყიდა მჭედელი“[181]; როგორც ზემოთაც ვნახეთ, „მხატვარი ხელოვანი“ თავის თავს „ტფილურ მოქალაქეს“ უწოდებდა. ვახტანგ VI-ის დასტურლამალში სამეფო სახაბაზოს მოხელეთა შორის მოსხენებულია „მოქალაქე გოჩას შვილი“, „მოქალაქე გოგის შვილი“[182], სხვა დარბაზის კარის მსახურთა შორის იყვნენ აგრეთვე, „მოქალაქე ხეჩუა, მოქალაქე ზურაბა, მოქალაქე ნასყიდა[183] და სხვ. XVIII ს. საბუთებში გვხვდება აგრეთვე „მოქალაქე დალაქი“[184], „მოქალაქე ყასაბი“[185] და სხვ.

---

177 იქვე, ფ. 1, დ. 193, ფ. 102.

178 ЦГИАГ, ф. 2, оп. 1, д. 466, л. 51 vèr.

179 იქვე, ფ. 1, დ. 193, ლ. 46; შდრ. „საქ. არქივი“ II, გვ. 11.

180 ეს მომენტიც გამორჩენია პროფ. ალ. ფირცხალაიშვილს თავის წერილში.

181 საქ. სიძველენი, II, გვ. 183.

182 დასტურლამალი, გვ. 69.

183 იქვე, გვ. 74.

184 ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 10, საბ. 50; შდრ. ГМГ, ф. Qd 502; Ḥd 1647.

185 იქვე, ф. 226, № 9027.

როგორც მოქალაქეთა მიერ კომისიაში წარდგენილი განცხადებებიდან ირკვევა, მეფის ბრძანებით მოქალაქეთა სიაში შეჰყავდათ ისეთი მოხელენიც, რომელნიც მეფისაგან სათანადო ხელფასს იღებდნენ. მაგ., მეფის მემუსიკე შავტუხოვი მოქალაქის წოდებაში ყოფილა[186], ასევე, მემუსიკე ახვერდოვიც მოქალაქეთა სიაში იყო შეტანილი[187]. მოქალაქის წოდება ჰქონია აგრეთვე სამეფო ზარაფხანის ზოგ მუშაკსაც[188], მენაღარეს[189], ბარაისტარს, (знаменщик)[190]. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოხსენებული მოქალაქე (მემუსიკენი, მენაღარე, ზარაფხანის მუშაკი, ბარაისტარი და სხვ.) მეფეთა მიერ სახელმწიფოებრივი გამოსაღებებისაგან გათარხნებული იყო. ასე რომ, როგორც ეს პროფ. ალ. ფირცხალაიშვილმაც მიუთითა, მარტო სამეფო გადასახადების გაღება არ ყოფილა მოქალაქეობის წოდების მიღების ერთადერთი პირობა[191]. მოქალაქის წოდება შეიძლებოდა მიცემოდა დაბალი საზოგადოებრივი წრის ისეთ წარმომადგენელსაც, რომელსაც სხვადასხვა სამსახურის წყალობით მეფის წინაშე გარკვეული დამსახურება მიუძღოდა.

ზემომოტანილი მასალების მიხედვით შეიძლება შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: მოქალაქის წოდება გვიანფეოდალურ თბილისში შეეძლო მიეღო სახელმწიფო (სამეფო-სადედოფლო) და საეკლესიო ყმებს, უცხოეთიდან გადმოსახლებულ და საქართველოს სახელმწიფოებრივ უწყებაში შესულ ვაჭრებს, საქართველოს სოფლებიდან მოსულ სახელმწიფო და მებატონეთაგან თავდახსნილ სათავადაზნაურო ყმებს. მოქალაქეობის აუცილებელი პირობა თბილისში „ყოველ ჟამიერ (მკვიდრად) მყოფობა“, და ხელმწიფის წინაშე სხვადასხვა სახის სამსახური იყო.

მოქალაქის წოდება უმთავრესად ვაჭრების უპირატესობას შეადგენდა. მხოლოდ ცალკეული ხელოსანი და სამეფო კარის მსახურთა უმნიშვნელო პროცენტი ხვდებოდა მოქალაქეთა წრეში. ხელოსანთა ფართო მასა გვიანფეოდალურ თბილისში მოქალაქეთათვის მინიჭებულ პრივილეგიებს მოკლებული იყო. ამა თუ იმ პირის მოქალაქედ ჩარიცხვა მხოლოდ მეფის ბრძანებით ხდებოდა[192].

---

186 იქვე, ფ. 1, д. 193, л. 103.

187 იქვე, л. 104.

188 იქვე.

189 იქვე.

190 იქვე, л. 112.

191 ალ. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი, მოქალაქეთა საკითხზე, გვ. 182 — 183.

192 რა თქმა უნდა, არ არის სწორი პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი როცა წერს: „ეტყობა, ამა თუ იმ პირის ჩარიცხვა მოქალაქეთა რიგებში მსჯელობისა და დად-

ზემომოტანილი მასალებიდანაც ჩანს, რომ თბილისის მოქალაქენიც კი ერთ მთლიან ფენას არ წარმოადგენდნენ. მოქალაქეთა ერთი ნაწილი „შემძლებელი მოქალაქეებისაგან“, ქონებრივად ძლიერი მოქალაქეებისაგან შედგებოდა. სწორედ ამ „შეძლებულ მოქალაქეთაგან“ გამოდიოდნენ მოქალაქეთა შორის XVII—XVIII სს. საბუთებში ხშირად მოხსენებული „პირველხარისხოვანი“, „პირველნი“, „ჩინებულნი“, „გამორჩეულნი“ და „საპატიო“ მოქალაქეები.

„პირველხარისხოვანი“, „საპატიო მოქალაქე“ გვიანფეოდალურ საქართველოში შეესატყვისებოდა ვახტანგ IV-ის კანონებში მოხსენებულ „დიდებულ დიდვაჭარ მოქალაქეს“[193]. „პირველხარისხოვანი ვაჭარნი“ მოიხსენიება აგრეთვე ვახტანგ VI-ის ერთ სიგელში[194], ხოლო „პირველხარისხოვანი მოქალაქენი და ვაჭრები“ ერეკლე II-ის სიგელში[195].

პირველ მოქალაქეებს, ან პირველხარისხოვან მოქალაქეებს უწოდებდნენ თავიანთ თავს XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. დამდეგის თბილისის მოქალაქენი: კაკალა იპრუმოვი, აღა ზაქარბეგოვი, თამამშვილები, ამიროვები, თაყოევი, მანაცაკანოვი, შაქარ მელიქოვები, ზურაბ მელიქიშვილი, რატინოვები, პატოევები, ბუზგულოვები და სხვები[196]. ზოგი მათგანი კიდევ სათანადო განმარტებებში „საპატიო მოქალაქეებად“ არიან წარმოდგენილნი. მაგ., დარ-

---

გენის შემდეგ უნდა მომხდარიყო. თავისთავად ცხადია, მოქალაქეები, რომლებმაც ხელთ იგდეს ქალაქის საქმეები (!!) და ამას იყენებდნენ თავისი წოდების სასარგებლოდ, დიდ სიფრთხილეს გამოიჩენდნენ ახალწევრის მიღების საქმეში“ (იხ. მოქალაქეთა საკითხზე, გვ. 181). როგორც ზემომოტანილი საბუთებიდან ჩანს, მოქალაქეთა დავთარში ამა თუ იმ პირის ჩარიცხვა მეფის ბრძანებით ხდებოდა, რომელსაც ქალაქის მელიქ-მამასახლისი ასრულებდა. ცხადია, მოქალაქეთა რიგების გაზრდით დაინტერესებული სამეფო ხელისუფლება ახალი წევრების მიღებას მოქალაქეთა მსჯელობის საგნად არ გახდიდა. ამით აიხსნება, რომ პროფ. ა. ფირცხალაიშვილს თავისი ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ვერც ერთი საბუთი ვერ მოაქვს. მაგრამ პროფ. ა. ფირცხალაიშვილი სამართლიანად აკრიტიკებს გ. გოზალიშვილის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მოქალაქედ ქცევა თავდახსნილი, თავისუფალი პირის მხოლოდ ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული (იხ. იქვე, გვ. 182). ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ა. ფირცხალაიშვილი იძულებულია აღიაროს— „ხშირი იყო შემთხვევები, როცა მოქალაქეთა წოდებაში ჩარიცხვა ხდებოდა მეფეების განკარგულებით“ (იქვე). სხვა შემთხვევები კი — როცა მოქალაქის წოდებას მოქალაქეები ანიჭებენ— ფირცხალაიშვილს საბუთებით არა აქვს ილუსტრირებული და ამიტომაც მის ზემომოტანილ მოსაზრებასაც საფუძველი ეცლება.

[193] დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ქრესტომათია, ნ. I, სანკტ-პეტ., 1846, გვ. 403, § 30.

[194] ЦГИАГ, ფ. 2, д. № 49, л. 471.

[195] იქვე, ფ. 472.

[196] იქვე, ფ. 1, № 193, л. л. 73—116.

ჩია ბებუთოვის დასტურით, მელიქ შერმაზანოვს საპატიო მოქალაქის წოდება ჰქონდა[197]. არუთინა ულანცოვი განცხადებაში თავის თავს მკვიდრ მოქალაქეს უწოდებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ იგი საქალაქო გამოსაღებებს „საპატიო მოქალაქეთა თანაბრად“ იხდიდა[198]. დავით ტატოევიც, თავისივე ცნობით, მეფეთა მიერ საპატიო მოქალაქედ იყო მიჩნეული და ამის გამო ის პირველხარისხოვან მოქალაქეთა სიაში შეუტანიათ[199]. როგორც ჩანს, საბუთებში ცალკე მოხსენებული „საპატიო მოქალაქის წოდება“ ფაქტიურად იმასვე ნიშნავდა, რასაც „პირველხარისხოვანი მოქალაქის წოდება“.

მოქალაქეთა ზემოხსენებულ სხვადასხვა პატივის მაუწყებელ წოდებათა საფუძველი, ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალების მიხედვით, ძირითადად ეკონომიკური შესაძლებლობა იყო. ზემოაღნიშნული კომისია ამ საკითხზე შემდეგ განმარტებას იძლეოდა: „პირველობა მოქალაქეთა არა სხვაგზით ყოფილ არს ვითარ მხოლოდ მსვლელობისა გამო გვარისა, უძრავისა მამულისა და ან სამთავნოჲსა (капитал) გამო, გარნა რაოდენადმდე განვრცელდებოდა სამთავნო, ესე არ იყო გამოცხადებული“[200].

როგორც ჩანს, პირველმოქალაქეობის ერთ პირობას წარმოშობილობა, „გვარის მსვლელობა“ შეადგენდა. ამიტომაც მოქალაქენი თავიანთი პირველხარისხოვნობის დასამტკიცებლად წარმოშობილობაზედაც, გვარზედაც მიუთითებდნენ, თუკი ასეთი გააჩნდათ. მაგ., მოქალაქე იანგულოვები (პიტოევები) ამტკიცებდნენ — წარმოშობით აზნაურები ვართო, ჩვენი წინაპარი იოსებ პიტოევი ვახტანგ VI-ს რუსეთს გაუვა და ბოიართა შორის აღირიცხაო[201]. ამგვარადვე, შაქარმელიქოვები თავიანთ პირველხარისხოვნობას იმითაც ადასტურებდნენ, რომ ისინი ცნობილი საგვარეულოდან არიან[202]. მაგრამ გვარი, წარმოშობილობა მოქალაქისათვის პირველხარისხოვნობის წოდების მისაღებად მთავარი მომენტი არ ყოფილა. მოქალაქე მიხ. სარაჯიშვილი ამის გამო კატეგორიულად აცხადებდა: „ვაჭართ პირველობა კანონის ძალით გვაროვნობით კი არ არის, არამედ დიდის ქონების მქონებელ გვამზედ არის დამოკიდებულიო“[203]. გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორც კო-

---

[197] იქვე, ფ. 74.
[198] იქვე ფ. 79.
[199] იქვე, ფ. 83.
[200] ЦГИАГ, ф. 226, № 8544.
[201] იქვე, ფ. 1, д. № 193, л. 105.
[202] იქვე, ფ. 86.
[203] იქვე, ფ. 5.

მისიის ცნობიდანაც ჩანს, „უძრავ მამულსა“ და „სამთავნოს“ სიდიდეს ჰქონდა. „უძრავი მამული“, ზურაბ მელიქიშვილის განმარტებით, ქალაქში სახლის, მამულისა და ყმების მესაკუთრეობას გულისხმობდა. მოქალაქენიც თავიანთ განცხადებებში პირველხარისხოვნობის დასამტკიცებლად ყოველთვის საკუთრების ამ სახეზედაც მიუთითებდნენ. თამამშევები განცხადებაში წერდნენ, რომ დიდი კაპიტალის გარდა, მათ აქვთ უძრავი ქონება და ჰყავთ ყმები[204]. ამგვარადვე, ტანდუევები თავიანთი მოქალაქეობის დასამტკიცებლად აცხადებდნენ, რომ მათ წინაპრებს ყმები ჰყავდათ («продеды их имели своих крестьян“[205]. მაგ., მოქალაქე ტოტოლავს „გაყრის წიგნი“ წარუდგენია, საიდანაც ჩანდა, რომ ყმებს ფლობდა[206].

„უძრავი ქონების“ გარდა მოქალაქის პირველხარისხოვნობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სამთავნოს“ (როგორც რუსულ თარგმანშია, капитал-ის) სიდიდეზე იყო დამოკიდებული. მაგრამ, კომისიის დასკვნით, მეფეთა მიერ არ ყოფილა განსაზღვრული მოქალაქის პირველხარისხოვნობისათვის საჭირო „სამთავნოს“ (კაპიტალის) რაოდენობა[207].

პირველხარისხოვანი მოქალაქის წოდების მისაღებად, ზემოხსენებულ მთავარ გარემოებათა გარდა, მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მის მიერ ქალაქში დაკავებულ თანამდებობას, მის სამსახურს სამეფო სახლის წინაშე. კაკალა იპრუმოვი თავის პირველ მოქალაქეობას კომისიას უდასტურებდა ოთხი საბუთით, საიდანაც ჩანდა, რომ მას თანამდებობანი ეჭირა—ერთხანს მოლარედ იყო, შემდეგ ლეკების ჯარის ბოქაულად (пристав) და ბოლოს კი მეფის მიერ დანიშნულიყო ბაზაზბაშად[208]. ასე რომ, ამ ცნობილ ვაჭარს ქალაქში სხვადასხვა დროს მნიშვნელოვანი თანამდებობანიც ჰქონია, რაც მას უფლებას აძლევდა ამ მხრივაც პირველ მოქალაქეთა შორის აღრიცხულიყო. მართლაც, კაკალას ბაზაზბაშად და მოლარეთუხუცესის მოადგილედ (ნაიბად) ყოფნის შესახებ ჩვენ არაერთი დოკუმენტი მოგვეპოვება[209]. აღა ზაქარბეგოვი თავის პირველ მოქალაქეობას იმითაც ამტკიცებდა, რომ მისი ნათესავი თბილისში ნაცვლის თანამდებობაზე იყო[210]. თამამაშევების ცნობით, მათ წინაპრებსაც ნაცვლის თანამდებობა

---

[204] იქვე, ფ. 88.
[205] ЦГИАГ, ფ. 89.
[206] იქვე. ფ. 75.
[207] იქვე, ф. 226, 8544.
[208] იქვე, ფ. 1, д. № 193, л. 82.
[209] იხ. ГМГ, ф. Sd 434, 359, 360, 361—361; შდრ. Sd 343—346.
[210] ЦГИАГ, ф. 1, д. № 193, л. 79.

ჰქონიათ თბილისში, ხოლო მამამისი კი, ცნობილი პირი, 1795 წ. მძევლად იყო იბრაგიმ ხანთან ყარაბაღს[211]. ასევე კომისიას სხვადასხვა ცნობებს უდგენდნენ მოქალაქეები — თაყოევი, მელიქიშვილი, რატინოვი და სხვები[212]. მათ მიერ თუ მათ წინაპართა მიერ ქალაქში დაკავებულ თანამდებობათა შესახებ.

ამრიგად, მოტანილი მასალების მიხედვით ირკვევა, რომ საპატიო თუ პირველხარისხოვან მოქალაქეებად ითვლებოდნენ ისინი, რომელთაც ჰქონდათ „უძრავი ქონება", დიდი „სამთავნო" და ეჭირათ სხვადასხვაგვარი თანამდებობანი ქალაქში. პირველმოქალაქეობის წოდების მიღებას ხელს უწყობდა აგრეთვე „გვარის მსვლელობაც", ამა თუ იმ პირის წარმოშობილობა.

თბილისის მოქალაქეთა შორის განსაკუთრებით პრივილეგიურ ფენას სწორედ ეს პირველხარისხოვანი მოქალაქეები შეადგენენ. სხვა კატეგორიები — მოქალაქეთა მეორე კატეგორია, მესამე და ასე შემდეგ, როგორც მასალებიდან ჩანს, გვიანფეოდალურ თბილისში არ არსებობდა. კომისიაში წარდგენილ განცხადებებში მოქალაქენი არ ლაპარაკობენ (ასეთი სულ 260 განცხადება იყო) მეორე თუ მესამე ხარისხში მათი ყოფნის შესახებ. იქ მხოლოდ „მკვიდრნი", „საპატიო" და „პირველხარისხოვანი" მოქალაქენი მოიხსენიებიან. ასე რომ, მხოლოდ „პირველხარისხოვანი მოქალაქეობა" შეიძლება მეფეთა მიერ მინიჭებულ პატივად მივიჩნიოთ.

ვახტანგ VI-ის სამართალში დასახელებული ვაჭართა 4 კატეგორია, როგორც ეს ალ. ფირცხალაიშვილმაც შენიშნა[213], მოქალაქეთა 4 კატეგორიად დაყოფაზე კი არ მიგვითითებს და მარტო თბილისის მცხოვრებთა პრივილეგიური ფენის 4 კატეგორიას კი არ გულისხმობს, არამედ საერთოდ სხვადასხვა ქალაქების ვაჭრებს, რომელნიც თავიანთი პატივისა და ღირსების მიხედვით ფეოდალური სამართლის მიერ სხვადასხვა ჯგუფებად იყვნენ დანაწილებულნი.

თბილისელ მოქალაქეთა შორის მტკიცედ განსაზღვრული ხარისხები რომ არ ყოფილა, ამას თვით მოქალაქეთა კომისიის ცნობაც ადასტურებს, სადაც ნათქვამია: „ის ფორმა მოქალაქეთა შორის არა ყოფილა, რათამცა ცხადად ჩვენებულ იყოს ესოდენ პირველი, ესოდენ მეორე და მესამე"[214]. მოქალაქეთა საგადასახადო დავთრებში მოცემული დაყოფა მოქალაქეებისა 17 ჯგუფად, როგორც კომისიის წევრთა განმარტებებიდან ჩანს, მხოლოდ გადასახადის

---

[211] ЦГИАГ, ფ. 88.
[212] იქვე, ფ. 79, 87.
[213] ალ. ფირცხალაიშვილი, „მოქალაქეთა" საკითხზე, გვ. 172.
[214] ЦГИАГ, ფ. 226, № 8544.

გაწერის მიზნით იყო გაკეთებული და მის კატეგორიებზე სრულებით არ მიუთითებდა[215]. ცხადია, წარმოუდგენელიცაა მოქალაქენი, რომელნიც თბილისში სულ 556 კომლს შეადგენდნენ[216], 17 სხვადასხვა კატეგორიად დაეყოთ და ყველა კატეგორიისათვის ცალ-ცალკე უფლება-მოვალეობა განესაზღვრათ[217]. „მოქალაქის“ წოდება საერთოდ, როგორც მასალებიდან ირკვევა, გვიანფეოდალურ თბილისში მემკვიდრეობითი და საგვარეულო წოდება კი არ იყო, არამედ პიროვნული. მოქალაქეთა კომისიის დასკვნის მიხედვით, ესა თუ ის პირი, რომელიც თავის ადრინდელ ქონებრივ შესაძლებლობას დაკარგავდა, ერთხანს კიდევ რჩებოდა თავის ღირსებაში, ე. ი. მოქალაქის წოდებაში; მაგრამ თუ მდგომარეობას ვერ გამოასწორებდა და „უკიდურეს უბედურებაში“ ჩავარდებოდა, ისე რომ აუცილებელი გახდებოდა მისი ამორიცხვა მოქალაქეთა საგადასახადო დავთრიდან, იგი მოქალაქის ღირსებას დაკარგავდა. ამგვარადვე, თუკი გარდაცვლილ მოქალაქეს შვილი ან შვილიშვილი დარჩებოდა, იგი, სანამ სრულასაკოვანი გახდებოდა, თავის წინაპრის პატივს ინარჩუნებდა, მაგრამ დაასაკების შემდეგ, თუკი თავისი წინაპრის საქმიანობას ვერ განაგრძობდა, და „უკიდურეს უბედურებაში“ ჩავარდებოდა, ისიც მოქალაქეთა წოდებიდან ამოირიცხებოდა. კომისიის განმარტებაში გარკვევით იყო ნათქვამი: „გარნა რომელნიცა მოქალაქეთაგანი ვითარისამე შემთხვევითა მოაკლდებოდნენ უწინდელსა თჳსსა მდგომარეობასა, ამისთჳს მაინც არ დაჰკარგავდნენ თჳსსა ღირსებასა; ეგრეთვე, არცა ამისთანას ვისმეს სიკვდილითა ვისაც დარჩებოდა შვილი ანუ შვილის შვილი ობლათ, ისინიც მიწევნამდე სრულის ჰასაკისა, დაშთებოდნენ ღირსებასა ქვეშე თჳსსა გვარისასა. სხვებრ უკეთუ ვინმე ესრეთგანი მიეცემოდნენ ვითარსამე უკიდურესსა უბედურებასა, რომლითაც ისინი გამოირიცხებოდნენ მოქალაქეთა წიგნიდამა, მაშინ ამისთანანი ჰკარგავდნენ მოქალაქო-

---

[215] იქვე, ფ. 1, დ. 192, ლ. ლ. 46—47.

[216] იქვე, ფ. 2, оп. 1, д. 466, л. 46.

[217] დავით ბატონიშვილი თავის „обозрение»-ში წერდა: „ქალაქში მცხოვრებნი იყოფიან მოქალაქედ, რომელიც შედგება სამი კლასისაგან, თითოეული თავისი კაპიტალითა და მდგომარეობით, თითოეულ კლასს ყავს თავისი უსტაბაში ე. ი. გილდიის თავი“ (Иван, Н: II, § 913—914). დ. ბატონიშვილის ცნობა მოქალაქეთა სამი კლასის, გილდიის არსებობის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება და მხოლოდ რუსეთის ვაჭართა გილდიების ანალოგიაზე უნდა იყოს დამყარებული. დ. ბატონიშვილს ამ უსათუოდ გაზვიადებული ცნობით, როგორც ჩანს, სურდა მკითხველისათვის ეჩვენებინა, რომ საქართველოში ამ მხრივაც თითქოს ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორიც სხვა ქვეყნებში.

ბის ღირსებასა"[218]. კომისიის ჩვენება დასტურდება სხვა მასალებითაც. მოქალაქე ოსეფას მეუღლის 1764 წ. არზიდან ჩანს, რომ ოსეფა, რომელიც მოვალეების შიშით ქალაქიდან გახიზნულა და სხვა ქვეყანაში კარდაკარ დადიოდა, მაინც მოქალაქედ რჩებოდა და იხსენიებოდა[219]. მან როგორც მეორე, 1773 წ. საბუთიდან ჩანს, დიდხანს იხეტიალა უცხო ქვეყანაში, იგი მხოლოდ 1772 წ. დაბრუნდა თბილისში, მაგრამ მდგომარეობა მაინც ვერ გამოუსწორებია. მოვალეთა დასაკმაყოფილებლად, ქალაქის განწესებისამებრ მას სახლკარი გაუყიდეს, იგი „უკიდურეს უბედურებაში" ჩავარდა. ყოველივე ამის გამო ის მოქალაქეთა წიგნიდან ამორიცხული ჩანს და მოქალაქის ღირსება დაკარგულიც აქვს. არც ერეკლეს 1772 წ. ბრძანებაში და არც ქალაქის მოურავისა და მელიქ-მამასახლისის 1773 წ. განაჩენში ოსეფა უკვე მოქალაქედ აღარ იწოდება[220].

საკონტროლო მასალებით დასტურდება კომისიის ჩვენება აგრეთვე იმის შესახებაც, რომ მოქალაქის ობოლი „მიწევნამდე სრულისა ასაკისა" მოქალაქის პატივში რჩებოდა, ოღონდ სახელმწიფო გამოსაღებიდან თავისუფლდებოდა. კაკალო კოტნოვმა კომისიას წარუდგინა განმარტება „აღმორჩეულ მოქალაქეთა" დასტურით, რომ ის მოქალაქის წოდებაშია, მაგრამ ობლობის გამო გამოსაღებს არ იხდის[221]. ასევე, მკვიდრი მოქალაქე გეურქა მალხაზოვი სახელმწიფო გადასახადებს ობლობის გამო არ იხდიდა[222]. მაგრამ ობოლი მხოლოდ მანამ თავისუფლდებოდა სახელმწიფო გამოსაღებისაგან, „სანამ თავისი თავი იცნას", სანამ მისი „ველიდამ რაიმე გამოვიდოდა". მოქალაქე ნასყიდა ივანგულოვის ქვრივი ლიტვინოვს მოახსენებდა: ობლებს „რის შეჭირვებით ვზრდი, ...ჩემი უფროსი ვაჟიც ჯერეთ ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი გახლავსთ, რომ ველიდან ჯერ არა გამოდის რა... ტფილისის ძველი განწესება ასე არის, რომ ქვრივსა და ობოლს მახთაში არ გაურევენ, მანამ თავისი თავი იცნას[223]. რო-

---

[218] ЦГИАГ, ფ. 226, № 8544; პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი ამ ნათელ ცნობაში რატომღაც წინააღმდეგობას ხედავს, რომ თითქოს განმარტების ერთი ადგილი უშვებდეს მოქალაქის წოდების შემკვიდრეობით გადასვლას, მეორე კი უარყოფდეს მას. როგორც ჩანს, ალ. ფირცხალაიშვილმა ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ ქონებრივ შეძლებას მოკლებული მოქალაქე თავის წოდებაში მანამ რჩება, სანამ „უკიდურეს უბედურებას მიეცემოდეს" და არა მუდმივად, როგორც ალ. ფირცხალაიშვილს ერთი შეხედვით მიუჩნევია (იხ. მისი, „მოქალაქეთა" საკითხი, გვ. 188).

[219] საქ. სიძველენი, III, გვ. 5.

[220] იქვე, გვ. 8—10.

[221] ЦГИАГ, ფ. 1 д. № 193, л. 93.

[222] იქვე, ფ. 95.

[223] იქვე, ფ. 16, д. 497, л. 110.

ბორც ჩანს, 17 წლის ყმაწვილი, თბილისის განწესებისამებრ, ჯერ კიდევ არ იყო მიჩნეული ისეთ პირად, რომელსაც შეეძლო თავისი მამის მემკვიდრეობა განეგრძო, ის ჯერ კიდევ უასაკოდ ითვლებოდა. მაგრამ, „სრულისა ჰასაკისა მიწევნის“ შემდეგაც, თუ ობლის „ხელიდან არაფერი გამოვიდოდა“ და სახელმწიფო ხარჯს ვერ გაიღებდა, ობოლი თავისი წინაპრის ღირსებაში ვერ დარჩებოდა და მოქალაქეთა წიგნიდან ამოირიცხებოდა.

მოქალაქეობა არც გვაროვნული (საგვარეულო) ღირსება არ ყოფილა. 1702 წ. საბუთში ნახსენებია „ავლაბარში როკანას შვილი ლიონა, მისი ძმა მოქალაქე ბუჟინა, მისი ძმა ასატურა“[224]. როგორც ჩანს, სამ ძმათაგან მხოლოდ ერთია მოქალაქედ წოდებული.

XIX ს. დამდეგს შედგა აღწერა „პირველის მოქალაქისა და თვითოეულად სახელებისა მათისა“, სადაც შეტანილი იყო არა მარტო პირველხარისხოვანი მოქალაქენი, არამედ მათი გვარისა და ოჯახის წევრები. ბასტამოვების გვარიდან პირველ მოქალაქეთა სიაში 10 კაცი იყო შეტანილი, მირიმანოვების გვარიდან 9, ფრიდონოვების გვარიდან ასევე 9, ყუზანოვების გვარიდან 13, თამამშოვების— 15, ივანგულოვების — 12 და ა. შ.[225] ამრიგად, გამოდიოდა, რომ პირველხარისხოვანი მოქალაქის გვარის წევრები ყველა პირველ მოქალაქეებად იყვნენ მიჩნეულნი. ეს კი მიხ. სარაჯიშვილმა, თუმცა მისი გვარიდანაც სიაში 10 კაცი იყო შეტანილი, არსებული წესის დარღვევად მიიჩნია და მიუხედავად იმისა, რომ კომისიის წევრი იყო, სიას ხელი არ მოაწერა, „საერთო კრებას“ კი ამასთან დაკავშირებით შემდეგი განმარტება მისცა: „მე ამისთვის არ მოვაწერე ჯელი მოქალაქეთ ჯარისხობით გარჩევით დაწერის ნუსხას ზედა, რომ მას შინა სახელები არა სწერია გარჩევით, როგორც ბრძანება იყო, რომ იმენნო სპისკა უნდა გაკეთებულიყო და [აქ კი] სწერია გვაროვნობით ხუთ, ათ და ხუთმეტ სახელიანი ოჯახი, რომელშიც არიან ერთი ან ორი ეგების ღირსი და შემძლებელი და სხვანი კი უქონელნი და დამდაბლებულნი და ამასთან რადგან ვაჭართ პირველობა, კანონის ძალით, გვაროვნობით კი არ არის, არამედ დიდის ქონების მქონებლის გვამზედ არის დამოკიდებული“[226]. როგორც ჩანს, გვარის რომელიმე წევრის პირველმოქალაქეობა და პატივი მთელი გვა-

---

[224] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 117.

[225] იხ. ЦГИАГ, ф. I, д. 193, л. л. 16—19.

[226] იქვე, л. 5; პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის აზრით, „ადვილად შესაძლებელია, რომ პირველხარისხოვანი მოქალაქეობა მემკვიდრეობითი ყოფილიყო“ (იხ. „მოქალაქეთა“ საკითხზე, გვ. 188), მაგრამ ეს მოსაზრებაც დაუსაბუთებელი ჩანს.

რის (ოჯახის) წევრებზე კი არ ვრცელდებოდა, არამედ ამ ოჯახიდან „დიდის ქონების“ პირზე. ამრიგად, მოქალაქეობა, საერთოდ, და პირველმოქალაქეობა, კერძოდ, არა მემკვიდრეობითი და გვაროვნული, არამედ პიროვნული, ინდივიდუალური წოდება იყო გვიანფეოდალურ თბილისში.

საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ აგრეთვე, რომ მოქალაქეებს გვიან ფეოდალურ საქართველოში, ისე როგორც ვაჭრებს X—XIV სს. საქართველოს ქალაქებში, თავიანთი საგანგებო ტანსაცმელი, ცხოვრების თავისებური წესი და რიგი ჰქონდათ, რომელსაც XVIII ს. იესე ბარათაშვილის მოწმობით „მ ო ქ ა ლ ა ქ უ რ ს“ უწოდებდნენ და რომელიც არსებითად განსხვავდებოდა „დ ი დ კ ა ც უ რ ი ს ა“ ანუ თავადურისაგან[227]. აღსანიშნავია, რომ XIX ს. მთელ სიგრძეზე თბილისის ხელოსნებიც ისევე იცვამდნენ, როგორც საერთოდ ყველა მოქალაქე. გ. ჩიტაია შენიშნავს, რომ მოქალაქეთა და ხელოსანთა ჩაცმულობის აუცილებელ ელემენტს განსაკუთრებით ჭვინტიანი ფეხსაცმელი შეადგენდა[228]. „მოქალაქის“ წოდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეულ დრომდე მხოლოდ თბილისის მოსახლეობის ზედაფენის პატივი იყო, მხოლოდ ქ. თბილისის მსხვილი ვაჭრები და ცალკეული შეძლებული ხელოსნები იწოდებოდნენ „მოქალაქეებად“ და საქართველოს სხვა ქალაქთა მოსახლეობისაგან ამ თვალსაზრისით განსხვავდებოდნენ. მაგ., „დასტურლამალში“, ისე როგორც გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტებშიც, „მოქალაქე“ და „გორელი კაცი“ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა[223]. „მოქალაქე“ თბილისის მცხოვრებს, უმთავრესად მსხვილ ვაჭრებს ეწოდებოდათ, „გორელი კაცი? კიდევ ქ. გორის მცხოვრებს, ყოველ ვაჭარსა და ხელოსანს. შეიძლება ეს ფაქტი იმაზე მიგვითითებდეს, რომ თბილისს გარდა, საქართველოს სხვა ქალაქებში მოსახლეობის დიფერენციაცია ისე შორს არ იყო წასული, რომ მას ზედაფენა ცალკე წრედ, ცალკე წოდების (звания) მატარებლად გამოჰყოფოდა. მაგრამ, ცხადია, ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ საქართველოს სხვა ქალაქებში არ იყვნენ თბილისელ მოქალაქეთა მსგავსად სამეფო ხელისუფლების მიერ პრივილეგირებული მსხვილი ვაჭრები. ქ. თბილისისა და გორის, თუ სხვა ქალაქების მოსახლეობის ზედაფენებს შორის ერთგვარი განსხვა-

---

[227] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გამოსცა ა. იოსელიანმა, 1952, გვ. 61.

[228] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ეთნოგრაფიული პარალელები, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, 1940 წ., ტ. I, № 4, გვ. 309.

[229] დასტურლამალი, გვ. 57—58.

ვება წოდების (звание) თვალსაზრისით უფრო ფორმალური იყო, ვიდრე რეალური, შინაარსობრივი. ამით აიხსნება, რომ „მოქალაქის ადრინდელი გაგება თანდათან კარგავს თავის ვიწრო მნიშვნელობას და XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დამდეგს მისი შინაარსი თანდათან ფართოვდება. იგი უკვე სხვა ქალაქების მოსახლეობის ზედაფენის აღმნიშვნელ ტერმინადაც იქცევა.

მაგ., სოლომონ II-ის ერთ უთარიღო ბრძანებაში „ონის მოქალაქე“ არის მოხსენებული[230]; XIX ს. დამდეგის დოკუმენტს „ერთობრივ სიღნაღის მოქალაქენი“ აწერენ ხელს;[231]; 1814—1815 წწ. საბუთებს კიდევ „თელავის მოქალაქენი[232]; 1815 წ. ხელწერილში „გორის მოქალაქე იოვანე თაყინოვია“ დასახელებული[233] და სხვ. ასე რომ, XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დამდეგს საქართველოს სხვა ქალაქების შეძლებული ვაჭრებიც თანდათან იკუთვნებენ „მოქალაქის“ წოდებას და ამ, ფორმალური თვალსაზრისითაც უთანაბრდებიან თბილისელ მოქალაქეებს.

*

* *

მოქალაქეები თბილისში, ასევე მსხვილი ვაჭრები საქართველოს სხვა ქალაქებში სამეფო ხელისუფლების ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ამას გარდა, თბილისელი მოქალაქეები და მსხვილი ვაჭრები სამეფო ხაზინას მნიშვნელოვან შემოსავალსაც აძლევდნენ. ამით აიხსნება, რომ მეფის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა გაემრავლებინა მოქალაქეთა რიგები, მიეზიდა ვაჭრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან თუ უცხოეთიდან. ამ მიზნით გვიანფეოდალურ საქართველოში არსებული წესის მიხედვით, საქართველოს ქალაქებში გადმოსახლებული უცხოელი 3 წლის განმავლობაში სამეფო ხარჯისაგან თავისუფლდებოდა. XIX ს. დამდეგის ერთ დოკუმენტში ნათქვამია: „რათა სხვათაცა ისურვონ ტფილისში გადმოსახლება, პირველ დასახლებისა, ჩვენის ჩვეულებისამებრ, სამს წლამდინ ნურა ხარჯი ნუ გამოერთმევათ და შემდგომ იმა დროისა იყოს შეკრულ მონაწილედ მოქალაქეთა თანა მასთაში“[234]. უცხო ქვეყნიდან მოსული კაცი კი, ერეკლე II-ის

---

[230] ГМГ, ფ. Sd 5090.

[231] „მატენადარან“, Груз. док., საქაღალდე 255, საბ. 38; შდრ. იქვე, საბ. 84.

[232] იქვე, საბ. 46, 48, 54.

[233] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 36, საბ. 42.

[234] ЦГИАГ, ფ. 2, д. 268, л. 35г; შდრ. იქვე, ფ. 229, დავთ. 24, საბ. 5; იქვე, ф. 2, оп. 1, д. 466, л. 52 ч.

1777 წ. ბრძანებით, თუ ქალაქში დასახლდებოდა, „ვისიც ქალაქი არის... კაციც იმისი იქნება“[235]. რაკი საქართველოს უმთავრესი ქალაქები ამ დროისათვის ქართლ-კახეთის მეფის ხელთ იყო, ცხადია, „უცხო ქვეყნიდან მოსული კაციც“ მეფეს რჩებოდა, მის სამეფო ვაჭართა რიგებს ემატებოდა.

მეფე იმდენად დაინტერესებული იყო ვაჭრების მიზიდვით, რომ თვით პირადი წერილებით ცალკეულ პირებს ეპატიჟებოდა კიდეც. მაგ., 1770 წ. წერილით ერეკლე II თბილისში იწვევდა უცხოობაში (ყარიბობაში) მყოფ ივანგულანთ ისაიას, რომელიც, როგორც სხვა საბუთებიდან ჩანს, ერთი უპირველესი მოქალაქეთაგანი იყო გვიანფეოდალურ თბილისში. მეფე მას „ყოველგვარ წყალობასა და სიკეთეს“, „თვალისა და ყურის დაჭერას“ პირდებოდა[236]. ისაია ერეკლეს მოწვევიდან მხოლოდ 12 წლის შემდეგ, ე. ი. 1782 წ. მოსულა თბილისში და მეფესაც დანაპირები შეუსრულებია[237].

სამეფო ხელისუფლება ყოველგვარი შემთხვევით სარგებლობდა, რათა მოქალაქეთა, სამეფო ვაჭართა რიგები გაეზარდა. თუკი გარდაცვლილი და უძეოდ ამოვარდნილი მოქალაქის ქონებას არამოქალაქე, კერძო საბატონო ყმა იყიდიდა, მყიდველი, ქალაქში არსებული განწესების მიხედვით, სამეფო ვაჭრად უნდა აღერიცხათ და მასაც ამიერიდან სახელმწიფო გამოსაღებები უნდა მიეცა, ხოლო ისეთ პირზე, რომელსაც ამისი შესაძლებლობა არ ექნებოდა, ცხადია, სამეფო ვაჭრის თუ მოქალაქის ქონება არც გაიყიდებოდა. ასევე, მოქალაქის ქალი თუ საბატონო კაცზე გათხოვდებოდა, მთხოვნელი მის პატრონს ჩამოერთმეოდა და სამეფოდ აღირიცხებოდა. ამას გვიანფეოდალური სამართალი მტკიცედ აკანონებდა: „ვინცა სამეფო ვაჭრის ქალი შეაგულიანოს და კეთილშობილმან თვისსა ყმასა მისცეს, უკეთუ არს იგი ქვრივი და არა უვის ძეკ, მაშინ ჩამოერთვას კაცი იგი კეთილშობილსა და დაასახლონ მამულსა ზედა ქვრივისა და შერაცხონ ქმარი იგი ვაჭრად, რომელიც დასწერონ ქალაქისა დავთარსა შინაცა მოქალაქედ, ამათ რათა არა წარუწყმდეს სამეფოსა სახასო თვისი, მამული და ნაქონები“[238].

სამეფო ხელისუფლება კლასობრივი ინტერესებიდან გამოდიოდა აგრეთვე მაშინაც, როცა მოქალაქეებსა და საერთოდ შეძლებულ ვაჭრებს, ქალაქის მოსახლეობის სხვა ფენებთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებდა.

---

[235] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 18, საბ. 45.
[236] იქვე, საბ. 171.
[237] იქვე, საბ. 170.
[238] ГМГ, ფ. Н: 840, გვ. 119.

დავით ბატონიშვილის განმარტებით, მოქალაქედ წოდებულნი ცხოვრობენ ქალაქში და პირველი კლასის ქალაქის მაცხოვრებლები არიან. ისინი სარგებლობენ განსაკუთრებული უპირატესობით ყველა სავაჭრო საქმეში. მათ აქვთ უფლება შეიძინონ ქალაქებში სახლები, დუქნები, ფუნდუკები, ბაღები, ერთი სიტყვით, ყველა ის, რაც შეიძლება ჰქონდეს ყოველ ქალაქს. მათ ნება ეძლევათ თავიანთი სახლის მსახურებად იყიდონ ყმები, ბერძნული წარმომავლობის გარდა[239].

მართლაც, მოქალაქეები თუ მსხვილი ვაჭრები საქართველოს ქალაქებში მნიშვნელოვან ქონებას იძენდნენ. ჩვენ აქ მხოლოდ ზოგ მაგალითს მოვიტანთ. 1733 წ. საბუთით, ყალოანთ ისაია თბილისის „ზემო უბანში" იძენს ერთ დუქანს[240], 1737 წ. კი ყალოანთ ისაია და გიორგი ყიდულობენ ისევ ზემო უბანში ორ დუქანს[241], აქვე 1741 წ. გიორგი იხსნის საამხანაგო დუქნის ნახევარს და ამგვარად კიდევ ერთ დუქანს იძენს[242], ხოლო იგივე გიორგი 1743 და 1787 წლებში „ზემო უბანშივე" ორ დუქანს ყიდულობს;[243]. ასე რომ, ყალოანთ გიორგის თბილისის მარტო ერთ უბანში 6 დუქანი ჰქონდა. დუქნებს გარდა, იგი ქალაქში ყმებსაც იძენს; მაგ., 1742 წ. მან დავით თარხნიშვილისაგან იყიდა ყმა ერთაწმინდელი ხუციშვილი პაპუნა[244], 1750 წ. ხუცინაშვილი ბერუას გერი[245], ხოლო 1782 წ. ჯავახელი ხელოსანი, მჩითავი მათოზა[246], 1748 წ. კი მან თბილისის მიდამოებში ბაღები შეიძინა[247]. ყალოანთ გიორგი კი, როგორც კათალიკოს ანტონის 1784 წ. სიგელიდან ჩანს, „დიდათ ნამსახური თბილისის მოქალაქეა", რომელსაც „სავაჭრო საქონელი ასტრახანიდან მოდის"[248]. ასე რომ, თბილისის ვაჭარი ქალაქში იძენდა დუქნებს, ბაღებსა და ყმებსაც, მაგრამ ყმებს არა მარტო «для услуги своего дома», როგორც დავით ბატონიშვილი წერდა, არამედ ხელოსნებსაც და ამასთან მართლმადიდებლური სარწმუნოებისას. ეჭვს გარეშეა, რომ „ერთ-

---

[239] Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н: II, §§ 908—911.

[240] ЦГИАГ. ფ. 229, დავთ. 16, საბ. 67.

[241] იქვე, საბ. 78.

[242] იქვე, საბ. 76.

[243] იქვე, საბ. 77, 66.

[244] იქვე, საბ. 69.

[245] იქვე, საბ. 72.

[246] იქვე, საბ. 64.

[247] იქვე, დოკ. 65, ср. დოკ. 71.

[248] იქვე, დოკ. 70.

აწმინდელი ხუციშვილი პაპუნა“ იყო «греческого исповедения», რომელთა ყიდვა, დავით ბატონიშვილის ცნობით, თითქოს მოქალაქეებს არ შეეძლოთ. მაგრამ, როგორც ჩანს, გვიანფეოდალურ საქართველოში სინამდვილე უფრო სხვა იყო, ვიდრე სამართლის ნორმები.

მსხვილი ვაჭრების მფლობელობას ქალაქში კარგად წარმოგვიდგენს ფირყულაანთ გაყრილობის 1773 წ. წიგნი, რომლის მიხედვით ორ ძმას, ოსეფასა და გიორგის ცალ-ცალკე, სახლებისა და კარმიდამოს გარდა, ჰქონიათ ვერაზე (თბილისის უბანში) $1^1/_3$ წისქვილი, ავლაბარში ქარვასლის ადგილი, აქვე სახლების ადგილი, აგურხანა თავისი მიწით და თბილისის სხვადასხვა უბნებში 22 დუქანი (საამხანაგო დუქნებს გარდა), რომელთაგან 7-ს ქვევით ოთახებიც გააჩნდა. მათვე ჰყავდათ ყმებიც[249]. მაგრამ მოქალაქეთა მიერ ყმათა მფლობელობის თვალსაზრისით უფრო საინტერესოა 1782 წ. საბუთი. საბუთიდან ირკვევა, რომ ვაჭარს, ივანგულანთ ისაიას ქ. თბილისში, ქვემოთელეთში, კოდას, ხელთუბანს და სხვაგან 8 კომლი და 3 ობოლი ყმა ჰყოლია[250], ცხადია, ყველა ესენი ამ ვაჭრის შინამოსამსახურეები არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. საბუთებში მოხსენებულია აგრეთვე „მოქალაქის ყმა დალაქი“[251], მოქალაქის ყმა, „რომელიც დუქანში ზის“, „მოქალაქის ყმა ხარაზი“[253] და სხვ. ასე რომ, მოქალაქეები ყმებს შარტო შინამოსამსახურეებად არ იძენდნენ. XIX ს. დამდეგის მასალების მიხედვით თბილისში მოქალაქეების ყმებს შორის იყვნენ: ფეიქარი 2, მესანთლე, მეკუდე 2, ხელით მოვაჭრე, მხერხავის მოწაფე, ცხენის მოკაზმ ლობის ოსტატი, ფარჩით მოვაჭრე 2, მეფეხსაცმლე და მხერხავი, მებაღე 2 და სხვ. რომელნიც, რა თქმა უნდა, შინამოსამსახურეებად არ შეიძლებოდა მიგვეჩნია. შინამოსამსახურეები (служители), იმავე მასალების მიხედვით, მოქალაქეთა ყმებს შორის სულ 2 ყოფილა[254]. აღმოს. საქართველოს ქალაქებში სამეფო ვაჭრებისა და მოქალაქეების მფლობელობის შესახებ სხვა მასალების მოტანაც შეიძლებოდა, მაგრამ ამჟამად სიტყვის გაგრძელებას ამაზე საჭიროდ არ მივიჩნევთ[255].

---

[249] იქვე, დავთ. 34, საბ. 89.
[250] იქვე, დავთ. 18, საბ. 170.
[251] იქვე, დავთ. 16, საბ. 15.
[252] იქვე, საბ. 16.
[253] იქვე, დავთ. 5, საბ. 141.
[254] ЦГИАГ, ф. 16, д. № 497, л. л. 76—77.
[255] იხ. იქვე, ფ. 229, დავთ. 7, საბ. 123; დავთ. 16, საბ. 14, 15, 16, 17, 18 და სხვა.

მსგავსი პრივილეგიებით სარგებლობდნენ მსხვილი ვაჭრები დასავლეთ საქართველოშიაც, რისი წყალობითაც დიდ ქონებასთან ერთად ყმებსაც ფლობდნენ. ამ მხრივ საინტერესო ჩანს მაკარი ანტიოქელის ცნობა, რომელიც XVII ს. 60-იანი წლების დასავლეთ საქართველოში არსებულ მდგომარეობას აგვისახავს: „მთელი ვაჭრობა ქართველთა ხელქვეითი სომხების, ებრაელებისა და ზოგიერთი ბერძენის ხელთაა. ეს ვაჭრები, მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ ნივთს ქართველებთან ყიდიან ორჯერ და სამჯერ უფრო ძვირად, სარგებლობენ მათი პატივისცემით, ეს სომხები და ებრაელები წარმოადგენენ მდიდართა კლასს საქართველოში, და მათ წინაშე ყველა ქართველი დავალებულია განურჩევლად წარჩინებულობისა და მმართველობისა. ყოველ ამ ვაჭართაგანს ოჯახში ყავს ქართველი გოგო-ბიჭი მსახურად, რომელსაც როგორც უნდა ისე ექცევიან“[256].

როგორც ზემომოტანილი მასალებიდან ჩანს, ქალაქის მოსახლეობის ეს ქონებრივად ძლიერი და სამეფო ხელისუფლების მიერ პრივილეგირებული ფენა თავისივე თანამოქალაქეების, ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენის ექსპლოატატორებად გამოდიან და ამ მხრივ გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის წარმომადგენლებს დიდად არ ჩამოუვარდებიან. მაგრამ მოქალაქეთა და საერთოდ მსხვილ ვაჭართადმი სამეფო ხელისუფლების მიერ მინიჭებული პრივილეგიები მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა.

ჯერ ერთი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორედ ამ წრიდან ნიშნავდა მეფე ქალაქის მოხელეებს; ამას. გარდა, მსხვილი, შეძლებული ვაჭრების, ე. წ. ქედხუდების, ხელში იყო ქალაქის მცხოვრებთა შორის წამოჭრილი სამოქალაქო საქმეების სამართალი. მსხვილ ვაჭრებს, პირველხარისხოვან მოქალაქეებს არა მარტო აზნაურის, არამედ ზოგ შემთხვევაში თავადის წოდებაც ენიჭებოდათ. ერეკლე II-ის ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ „გუარით სომეხმა“ ამბროსიანთ დავითას ძე ოჰანეზას წინაპარს, ამბროსიმ, „ჟამსა პირველ ირაკლი მეფისა, კეთილმოქალაქეობითა, ერთგულად მონებითა და ნაყოფიერი საქმითა მისის უმაღლესობისაგან მიიღო პატივი და ხარისხი კეთილშობილებისა“. ხოლო მის შვილისშვილს ოჰანეზას, აგრეთვე ასტრახანელ ვაჭარს, ერეკლე II-მ მისი წინაპრის აზნაურობის პატივი და ხარისხი დაუბრუნა[257].

---

[256] П. Жузе, Грузия в 17 столетии по изобритению Патриарха Макария, Казань, 1905, с. 51.

[257] ГМГ, ფ. Hd 1543.

აზნაურის წოდება ჰქონია ჩვენ მიერ ზემოხსენებულ თბილისელ მოქალაქეს ივანგულანთ ისაიას, როგორც ეს ერეკლეს 1770 წ. წერილიდან ჩანს[258]. 1806 წ. საბუთში კიდევ „მოქალაქე, თბილისის ქალაქს მოსახლე აზნაური იოსება არიშოვი“ არის მოხსენებული[259]. იოსებ არიშოვიც, როგორც იმავე და სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, ვაჭარი იყო[260]. ბუნებრივია, თუკი მდიდარი ვაჭარი, რომელმაც აგრეთვე აზნაურის წოდებაც მიიღო, თანდათან შორდებოდა თავის წრეს და მოქალაქეთა დაბალი ფენის მიერ იგი უკვე „ბატონად“ იწოდებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ XIX ს. დამდეგის საბუთებში ხშირად გვხვდება „მოქალაქე ბატონი წურინოვი“[261], „მოქალაქე ბატონი სიმონის შვილი ყასაბბაში პარუნ (ბატონი) სტეფანა“[262] და სხვ.

მაგრამ მოქალაქეები, მსხვილი ვაჭრები მათი „კეთილმოქალაქეობითა, ერთგულად მონებითა და „ნაყოფიერი საქმითა“ არა მარტო აზნაურის წოდებას აღწევდნენ, არამედ ზოგ შემთხვევაში თავადობასაც იღებდნენ. მაგ., აბიმელიქოვებს თავადის წოდება ჰქონდათ მიღებული, მაგრამ ამავე დროს მოქალაქეთა დავთარში რჩებოდნენ. XIX ს. დამდეგის ერთი საბუთის მიხედვით, თავადი იოანე „აბიმელიქოვი მუდამ ყოფილა მოქალაქეების რიცხვში და უძლევია მახთა“[263]. ვაჭართა, მოქალაქეთა წრიდან გამოსული იყო აგრეთვე არაერთი საგვარეულო, რომელთაც გვიანფეოდალურ საქართველოში თავადის წოდება ჰქონდათ. ვაჭრობის გზით დაწინაურებულები იყვნენ ბებუთაშვილები, რომლებმაც თანდათან ქალაქში სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობანი იგდეს ხელთ და გვიანფეოდალურ თბილისში ერთ-ერთ უძლიერეს თავადებად იქცნენ. ვაჭრობის გზით დაწინაურებულებად ჩანან აგრეთვე თუმანიშვილებიც, რომელთა უმეტესობა, თავადობის მიღების შემდეგაც, ამ თავიანთ ძველ საქმიანობას, ვაჭრობას და მევახშეობას, თავს არ ანებებდა. ამავე გზით უნდა იყვნენ თავადის ხარისხამდე ამაღლებული მელიქიშვილებიც. დამახასიათებელია, რომ მაშინ, როცა მელიქიშვილთა საგვარეულოს ზოგი წარმომადგენელი XVIII ს. და XIX ს. დამდეგს თავადი იყო, ზოგი მათგანი ისევ მოქალაქეთა რიგებში რჩებოდა, თუმცა მოქალაქე მელიქიშვილები, მაგ., ზურაბი, იოსები და სხვ., მიუთითებდნენ, რომ ისინი არიან «из знатных фамилий»[264].

[258] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 18, საბ. 171.
[259] იქვე, დავთ. 39, საბ. 68.
[260] იქვე, საბ. 69.
[261] იქვე, დავთ. 43, საბ. 15.
[262] იქვე, დავთ. 49, საბ. 216.
[263] იქვე, ф. 16, д. 497, л. 99, 106.
[264] ЦГИАГ, ф. 1, д. 193, л. 86—87.

თავადის წოდებამდე ამაღლებული მსხვილი ვაჭარი, მოქალაქე შორდებოდა მოქალაქეთა ფენას, იგი თავისი ინტერესებით უპირისპირდება ქალაქის ფართო ფენების მოსახლეობას. აღსანიშნავია, რომ XIX ს. დამდეგს, როცა თბილისის მოქალაქეებმა თავიანთი უფლებების გაფართოება მოითხოვეს, მოქალაქეთა ინტერესებს, სხვა თავადებთან ერთად, ქალაქის ყოფილი მელიქ-მამასახლისი თავადი დარჩია ბებუთაშვილიც აღუდგა, მაგრამ ამაზე საგანგებოდ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ქონებრივად ძლიერ, სამეფო ხელისუფლების მიერ პრივილეგირებულ და დაწინაურებულ მოქალაქეთა და ვაჭართა გვერდით, როგორც ზემოთ დავინახეთ, ქალაქებში მოსახლეობდნენ ყმა ვაჭრები. ბუნებრივია, რომ მათ შორის როგორც ეკონომიკური, მით უფრო უფლებრივი განსხვავება არსებობდა. თვით მოქალაქეებიც არ შეადგენდნენ ერთგვაროვან ფენას. მათ შორის ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით დიდი სხვაობა არსებობდა. ზოგი მათგანი, XIX ს. დამდეგის ცნობებით, 50.000 მან. მეტი კაპიტალის მქონე იყო, ზოგს 100.000-ზე მეტი კაპიტალი ჰქონდა, მოქალაქეთა ერთი, შედარებით დიდი ნაწილი, 1000 მანეთზე მეტ კაპიტალს ფლობდა. 50000 მანეთზე მეტი კაპიტალის მფლობელი სულ 8 მოქალაქე ყოფილა, 10000 მანეთზე მეტი კაპიტალის მქონე 61 მოქალაქე, ხოლო 1000 მან. მეტი კაპიტალისა 114, ე. ი. შედარებით დიდ კაპიტალს ფლობდა სულ 283 მოქალაქე. მაგრამ მათ გვერდით იყვნენ ღარიბი მოქალაქენი, რომელთაც მცირე შემოსავალი ჰქონდათ. ასეთი, ზემოაღნიშნული ცნობებითვე, სულ 189 მოქალაქე იყო[265], ე. ი. მოქალაქეთა საერთო რაოდენობის 40%-ს ღარიბი მოქალაქეები შეადგენდნენ.

ვაჭართა შეძლებული და საშუალო ფენა თავისი ეკონომიკური მდგომარეობით უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ხელოსანი. ჩვენ, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ისეთი მასალები, რომელნიც შესაძლებლობას მოგვცემდნენ შეგვედარებინა ერთმანეთისათვის ვაჭრისა და ხელოსნის წლიური შემოსავლის რაოდენობა. მაგრამ ამ ნაკლს ნაწილობრივ ავსებს XIX ს. დამდეგის თბილისის საგადასახადო დოკუმენტები. XIX ს. პირველ წლებში რუსეთის ხელისუფლებამ თბილისის მოსახლეობას დააკისრა ქალაქის პოლიციის შენახვისათვის საჭირო ხარჯების გაღება და იგი ქალაქის ვაჭარ-ხელოსნებზე მათი შემოსავლის მიხედვით გაანაწილა. სათანადო საგადასახადო დავთრიდან ჩანს, რომ საპოლიციო ხარჯებისათვის საჭირო გამოსაღებე-

---

[265] იქვე, ფ. 16, საქ. 3512, ფ. ფ. 10—18.

ბის ყველაზე დიდი რაოდენობა გაწერილი იყო უმთავრესად ვაჭართა დუქნებზე. მაგ., ბაზაზების (ფართლეულით მოვაჭრეების) და ღვინის გამყიდველების დუქნები წლიურად 10—10 მანეთს იხდიდნენ; არყის გამყიდველთა, ბაყლების (სურსათ-სანოვაგით მოვაჭრენი), მეწვრილმანეების, ქურქჩების (ბეწვეულით მოვაჭრენი) დუქნები წელიწადში 5—5 მანეთს, მაშინ როდესაც ხელოსნების ერთი, შედარებით მეტი შემოსავლის მქონე, ნაწილის, მაგ., მკერვალების, მეფეხსაცმელეების, ოქრომჭედლების, დურგლების, მენაბდეების, მჩითავების, მჭედლების, ჭონების, დაბაღების, მეჭურჭლეების დუქნები 2—2 მანეთს იხდიდნენ; ხოლო მეორე ნაწილისა, კერძოდ ფეიქრების, მაზმანების (თოკთა და სხვ. მგრეხელნი), მკალავების, მეჩახმახეების, მელაინეების, მკუპრავების, ნალბანდების და სხვ. დუქნები 1 მან. და 50 კაპ.[266].

შემოსავლის მიხედვით პოლიციის ხარჯს იხდიდნენ არა მარტო ხელოსანთა და ვაჭართა დუქნები, არამედ ცალკეული პირებიც. ეს საგადასახადო დავთარი კიდევ უფრო საინტერესო ჩანს და შესაძლებლობას გვაძლევს თბილისის ვაჭართა თუ ხელოსანთა წლიური შემოსავალი ერთმანეთს შევუდაროთ. ცალკეულ ვაჭართა შორის იყვნენ ისეთი პირები, რომელთაც ყოველწლიურად 15 მანეთი, ან კიდევ 9 თუ 8 მან. უნდა გადაეხადათ[267], მაშინ როცა ხელოსანთა ძირითადი ნაწილი 10—10 შაურს იხდიდა. მაგ., საბუთის მიხედვით, ჭონი გრიქურას, ფეიქარ ქოჩორას, მეკონდახე შერმაზანას[268], მკერვალ ბასილას, მეფურნე ალექსას, ხარაზ იასაიას[269] და სხვებს პოლიციის ხარჯებისათვის თავიანთი შემოსავლის მიხედვით 10—10 შაური უნდა გადაეხადათ.

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, შეძლებულ ვაჭართა (ბაზაზების და სხვ.) დუქნებს 5-დან 6.5-ჯერ მეტი უნდა ეხადათ, ვიდრე ხელოსანთა დუქნებს, რაც ვაჭართა დუქნების შედარებით მაღალ შემოსავალზე მიგვითითებს. ცალკეულ ვაჭართა და ხელოსანთა წლიური გადასახადების ურთიერთშედარებიდან კი ირკვევა, რომ იმ ვაჭრების შემოსავალი, რომელნიც წლიურად პოლიციის ხარჯებისათვის 15-დან 8 მანეთამდე იხდიდნენ, საშუალოდ 22—23-ჯერ აღემატებოდა ფეიქრის, ჭონის, მკერვალის და სხვ. ზემოდა-

---

[266] ЦГИАГ, ფ. 16. д. 792, л, л. 28, 29.
[267] იქვე, л. 37.
[268] იქვე, л. 43.
[269] იქვე, л. 44.

სახელებულ ხელოსანთა პირად წლიურ შემოსავალს. როგორც ვხედავთ, გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებშიც ხელოსნის შრომის ძირითადი მიზანი იყო საარსებო საშუალების მოპოვება და არა გამდიდრება[270].

ზემომოტანილი მასალები იმაზედაც მიგვითითებენ, რომ თვით ვაჭრებს შორისაც იყო მათი წლიური შემოსავლის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავება. დამახასიათებელია, რომ ბაზაზებისა და მეღვინეების დუქნები ორჯერ მეტს იხდიდნენ, ვიდრე ბაყლების, მეწვრილმანეებისა და სხვ. დუქნები. ამას გარდა, ქალაქებში იყვნენ ისეთი ყმებიც და „უქმად მოარულნიც", რომელნიც თავიანთი სიღარიბისა გამო ამგვარ გამოსაღებთაგან სავსებით განთავისუფლებულნი ყოფილან. ღარიბ მოქალაქეებსა და მცირე შემოსავლის მქონე ხელოსნებს, ე. ი. ქალაქის მოსახლეობის უმეტესობას, არათუ რამდენიმე დუქნის, ქარვასლის და სხვ. შეძენის შესაძლებლობა ჰქონდათ. არამედ ზოგ შემთხვევაში საკუთარი დუქანიც არ გააჩნდათ და უმეტესი მათგანი ყოველთვიურ დუქნის ქირას სწორედ იმ მსხვილ ვაჭრებსა და ქალაქის სხვა პრივილეგიური წრის წარმომადგენლებს უხდიდა, რომელნიც ქალაქებში რამდენიმე დუქანს ფლობდნენ.

გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში არაერთი იყო შემთხვევა, როცა ვაჭარის თუ მოქალაქის სახლკარი თუ ბაღი, მათი ქონებრივი შეუძლებლობისა გამო, ვალში გაყიდულა. მაგ., 1780 წ. სადედოფლო მოქალაქეს, რომელიც „65 თუმან ვალის ქვეშ ჩავარდნილა", ამავე ფასად გაუყიდია თავისი ბაღი თბილისის გარეუბანში[171]. 1787 წ. ვაჭარი, დიდი ვალის მქონე აღაჯანა იძულებული გახდა ქალაქი დაეტოვებინა, მისი მამული კი ქალაქის მოხელეებმა გაუყიდეს და მით მოვალეები დააკმაყოფილეს[272]. მოვალე და შეუძლებელი მოქალაქეების მიერ სახლკარის გაყიდვის შესახებ მოგვითხრობს აგრეთვე 1761 წ.[273], 1774 წ.[274] და მრავალი სხვა საბუთი. დავალიანებულ შეუძლებელ მოქალაქეთა ქონება პირველ რიგში ქალაქის მდიდარ ვაჭრებს, ე. წ. პირველხარისხოვან მოქალაქეებს უვარდებოდათ ხელთ. სწორედ ესენი იყვნენ ყველაზე დიდი გამსესხებლები. ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის

---

[270] Архив Маркса и Энгельса, т. II (VII), с. III.
[271] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 5, საბ. 77.
[272] იქვე, დავთ. 11, საბ. 45.
[273] იქვე, დავთ. 17, საბ. 68.
[274] იქვე, დავთ. 25, საბ. 138.

პირველ მოქალაქეთა შორის აღრიცხულ ისაია თაყუაშვილის თხოვნა გიორგი XII-ისადმი 1800 წ.: „ბერძენა შვილებს [ჩემი] თეთრი მაჯთებსთ — წერდა ისაია თავის თხოვნაში — თავანთ გამორჩეული მოქალაქეების სამართლით და ანგარიშით, თვითონ ბერძენა შვილის ყაბულობის ხელმოწერილიც არის. იმათი სახლები და ბაღი გირაოთ მიჭირავს თავისი სიგლებით, რაც ქონება აქვს და საქონელი სულ გირაოდ მიწერია. ანგარიშს და განაჩენს უკან ცოტა რამ აქ (თბილისს, შ. მ.) და ყირიმს სარგებელში მომბარებია“, და ამიტომაც, ქალაქში არსებული წესის მიხედვით, ყველაფერი ეს (ბერძენიშვილთა დაგირავებული ქონება) მე უნდა გადმომეცესო[275]. როგორც ჩანს, პირველ მოქალაქეს თაყუაშვილს ვალის გზით ხელთ უგდია აგრეთვე ვაჭრების — ბერძენიშვილების „რაც ქონება და საქონელი“ იყო. მსგავსი შემთხვევა გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში არაერთი ყოფილა.

ცხადია, მოქალაქეთა, ვაჭართა და ხელოსანთა შორის ასეთი ეკონომიკური განსხვავება იყო საფუძველი მათ შორის შინაკლასობრივი ბრძოლისა. ამას გარდა, მოქალაქეთა და ვაჭართა ცალკეულ ფენებს შორის ეკონომიკური სხვაობა მათი უფლებრივი მდგომარეობის საფუძველიც იყო. შემთხვევით არ აცხადებდა მოქალაქე ზურაბ მელიქიშვილი, რომ მოქალაქეთა შორის „ისინი, რომელნიცა პირისპირ სხუათა მისცემდნენ ხარჯთა უმეტესს (სამეფო ხაზინას, შ. მ.) და ამისთვის პირისპირ მეორისა ხარისხისა ექმნებათ უმეტესი უპირატესობა... ერთი სიტყვით, ვინც მოქალაქეთაგანი დროსა მოგროებასა ხაზინის ხარჯთა მისცემს უმეტეს, იმას უმეტესი ექმნების პატივი“[276].

როგორც ჩანს, სამეფო ხელისუფლება მეტი პატივით ეპყრობოდა იმ მოქალაქეებს და ვაჭრებს, რომელნიც უფრო შეძლებულნი იყვნენ და რომელთაც შეეძლოთ მეტი გამოსაღები გაეღოთ ხაზინის სასარგებლოდ. ვაჭართა და მოქალაქეთა ეკონომიკური შეძლების მიხედვით დანაწილება კარგად აისახა გვიანფეოდალური ხანის ქართული სამართლის ძეგლებში. ვახტანგ VI-ის კანონებში ვაჭართა ოთხ კატეგორიად დაყოფას სწორედ მათი ეკონომიკური შესაძლებლობა ედო საფუძვლად.

ვახტანგის კანონების მიხედვით, ვაჭრები ოთხ ჯგუფად იყოფოდნენ და ყოველი ჯგუფის სისხლი ‘ეფარდებული იყო სხვადასხვა სოციალური წოდების წარმომადგენელთა სისხლთან. ვაჭართა შორის, კანონების მიხედვით, პირველი ადგილი „დიდებულ,

[275] იქვე, დავთ. 32, საბ. 50.

[276] იქვე, ფ. 1, საქმე № 193, ფ. 46—47.

დიდ-ვაჭარ მოქალაქეს“ ეჭირა, რომელიც, ჩვენი აზრით, სავსებით შეესატყვისება საბუთებში მოხსენებულ „პირველხარისხოვან“, „საპატიო მოქალაქეს“. „დიდებული, დიდ-ვაჭარი მოქალაქის“ სისხლი, სამართლის მიხედვით, გათანაბრებული იყო შუა აზნაურის სისხლთან და 96 თუმნად იყო შეფასებული[277]. „დიდებულის ვაჭრის ქვემოთის მეორის ვაჭრის სისხლი“ კი გათანაბრებული იყო „მესამე აზნაურის სისხლთან“ და 48 თუმნად იყო შეფასებული[278]. „ასე, რომ ვაჭართა ორი უმაღლესი კატეგორია სამართლის მიერ გათანაბრებული იყო გაბატონებული ფეოდალური კლასის ორ უკანასკნელ კატეგორიასთან. „შუა ვაჭრის ქვემოთის მესამე ვაჭრის სისხლი“ მსახურის (слуга) სისხლს უთანაბრდებოდა და 24 თუმნად იყო შეფასებული[279], ხოლო უკანასკნელი, მეოთხე კატეგორია ვაჭრებისა, სადაც გვიანფეოდალური ქალაქების ვაჭართა დიდი ნაწილი — ყმა ვაჭრები ივარაუდებოდა, გათანაბრებული იყო ყმა გლეხებთან და მათი სისხლიც, ისე როგორც ყმა გლეხებისა, მხოლოდ 12 თუმნად იყო შეფასებული[280]. აქვე ივარაუდებოდა აგრეთვე ქალაქების მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენა ყმა ხელოსნებიც. ალბათ, ამით აიხსნება, რომ ვახტანგის კანონებში ხელოსნების უფლების შესახებ საერთოდ არაფერია ნათქვამი. როგორც ჩანს, ხელოსნების უდიდესი ნაწილი ქალაქებშია; რომელთაც მოქალაქის წოდება არ ჰქონდათ, ისინი, ისე როგორც ყმა გლეხები სოფლად, საზოგადოების ფაქტობრივად უუფლებო წევრებს წარმოადგენდნენ.

როგორც ვხედავთ, ვახტანგის სამართლის მიხედვით, აზნაურთა პრივილეგიებით მხოლოდ შეძლებული ვაჭრები, დიდ-ვაჭარი მოქალაქეები და მეორე კატეგორიის ვაჭრები სარგებლობდნენ. გვიანფეოდალური სამართალი სწორედ ამ პირველხარისხოვან მოქალაქეებს, მსხვილ ვაჭრებს ათავისუფლებდა ფიზიკური და სიკვდილით დასჯისაგან. დავით ბატონიშვილი ამის გამო წერდა, რომ პირველი მოქალაქეები სიკვდილით დასჯისა და ფიზიკური შეურაცხყოფისაგან თავისუფლდებიან უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი დანაშაულის, ღალატის, ფალსიფიცირებული აქტების შედგენის, მტრებთან შეთანხმების, მიმოწერის და სხვა დანაშაულის ჩადენის გარდა[821].

---

[277] დ. ჩ ო ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ქრესტომათია, I, 1846, გვ. 403 § 30.

[278] იქვე, § 31.

[279] იქვე, § 32.

[280] იქვე, § 33.

[281] Ц а р е в и ч Д а в и д, Обозрение Грузии, ИВАН, Н: II, § 918.

ამრიგად, როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების მოსახლეობის მხოლოდ ზედაფენა, შეძლებული დიდვაჭრები სარგებლობდნენ გარკვეული უპირატესობითა და შეღავათებით, ხოლო ძირითადი მწარმოებელი კლასი, ფეოდალური საქართველოს ქალაქებშიაც ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო და დაყვანილი იყო სოფლის ყმა გლეხთა მდგომარეობამდე, თუმცა საქალაქო ცხოვრების ძირითად ძალას სწორედ ეს ფენა წარმოადგენდა.

3) ქალაქის მოსახლეობის ვალდებულებანი

გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების ძირითადი მოსახლეობა—ხელოსნები და ვაჭრები, რაკი ეკონომიკური მდგომარეობისა და კუთვნილების მიხედვით ერთგვაროვანი არ იყო, ცხადია, სხვადასხვაგვარი იყო მათი ვალდებულებანიც სახელმწიფოს თუ კერძო მებატონის წინაშე. მაგ., ქალაქის მოსახლეობის პრივილეგიურ ფენას — მსხვილ ვაჭრებს. მოქალაქეებს, მოქალაქე ხელოსნებს განსხვავებული ვალდებულებები ჰქონდათ სახელმწიფოს წინაშე, ვიდრე საეკლესიო თუ კერძო საბატონო ვაჭრებსა და ხელოსნებს.

გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში ერთ მთავარ სახელმწიფო გამოსაღებს ე. წ. მახტა წარმოადგენდა. მახტა აღმ. საქართველოს უმთავრეს ქალაქებში — თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში ფულადი გამოსაღები იყო. დავით ბატონიშვილი სხვათა შორის წერდა: თბილისის, ყაზახის, შამშადილუს, გორის, თელავის, სიღნაღის, ბორჩალოს, ფამბაკის მცხოვრებნი მეფეს ყოველწლიურად უხდიან მახტას ფულით და პურით. პურით გადახდისაგან თავისუფლდება ყველა ქალაქი, რომელიც ფულით გადაიხდის[282].

როგორც დავით ბატონიშვილის ცნობიდან ჩანს, სახელმწიფო გამოსაღებს მახტის სახელწოდებით იხდიდნენ ცალკეული პროვინციები და ასევე ქალაქებიც — თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი. საქართველოს ქალაქებში „მახტა“, მისივე განმარტებით. ფულადი გამოსაღები იყო, სხვა პროვინციებში კი იგი პურით ნაზღაურდებოდა.

როგორც გვიანფეოდალური დოკუმენტებიდან ჩანს, მახტას, ზემოხსენებული ქალაქების მცხოვრებთა გარდა, იხდიდა აგრეთ-

---

[282] იქვე, § 260.

ვე ზოგი მცირე ქალაქის მოსახლეობაც. მაგ., XVIII ს. მიწურულის დოკუმენტში „დუშეთის მოსახლეობის მახტა“ მოიხსენიება[283], XIX ს. დამდეგის საბუთში კი „ანანურის მახტა“[284], რომელიც, როგორც დუშეთში, ასევე ანანურში მოურავებს უნდა აეკრიბათ.

ქალაქის მოსახლეობის რომელი ფენა იხდიდა მახტას? ამ საკითხის შესასწავლად ჩვენ მრავალი საინტერესო დოკუმენტი მოგვეპოვება, უმთავრესად XIX ს. დამდეგისა, რომლიდანაც კარგად ირკვევა, თუ როგორი იყო მახტას, როგორც სახელმწიფოებრივი გამოსაღების, ბუნება ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროს.

XIX ს. დამდეგს „მახტის შესაწერად გამორჩეულ მოქალაქეთა“ ცნობიდან ირკვევა, რომ 1. „მეფეთა დროს“ თბილისის მოქალაქეები „წელიწადში ოთხასის თუმნის მახტას“ იხდიდნენ. 2. მახტა ნაწილდებოდა მოქალაქეთა შორის მათი შეძლების (სიმდიდრის) მიხედვით. 3. უცხო ქვეყნიდან თუ სხვა კუთხიდან საქართველოს ქალაქებში გადმოსახლებულნი 3 წლის განმავლობაში „თავისუფალ ხალხად“, ანუ მახტისაგან განთავისუფლებულად ითვლებოდნენ. 4. ვისაც არ ჰქონდა მოქალაქის წოდება ე. ი. ვინც არ იყო მოქალაქეთა დავთარში, ის მახტას არ იხდიდა. 5. მახტას იხდიდა მოქალაქეთა კომლი და არა ცალკეული პირი, ე.ი. მახტა საკომლო გამოსაღები იყო. 6. მახტას არ იხდიდნენ მოქალაქეთა ქვრივ-ობლები და ისეთი მოქალაქე მღვდლები, რომელთაც არ ჰყავდათ „ვაჭრობის მოქმედნი შვილნი“, ე. ი. ისეთნი, რომელნიც ქალაქში ვაჭრობას ან ხელოსნობას არ მისდევდნენ. 7. მახტას არ იხდიდნენ საეკლესიო თუ კერძო საბატონო ყმები ქალაქში[285]. „გამორჩეულ მოქალაქეთა“ ამგვარი ჩამენება სავსებით დასტურდება სხვა მასალებითაც. მოვიტანოთ ზოგი მათგანი. 1807 წ. ზაალ ბარათაშვილი (ზურბიანი) იოანე ორბელიანს წერდა: „პოლიციაში დაუჭერიათ რამდენიმე მოქალაქენი და ძალას ატანენ, რომ თავადთა და აზნაურთ ყმათა, რომელნიც არიან ტფილისში, თეთრი (მახტა, შ. მ.) შეაწერონ. იცის თქვენმა ბრწყინვალებამ, რომ თეთრის მახტა სახელმწიფოდ ედვათ მხოლოდ სახელმწიფო ყმათა და ჩვენი ყმანი (ე. ი. სათავადაზნაურო, შ.მ. არას დროს იმაში არ გარეულან მოქალაქეებთან. და არც საკუთრად სთხოვებიათ... ჩვენ იმის შეტი სამსახური არ შეგვიძლიან და ვერც მივსცემთ, რომელიც

[283] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 13, საბ. 68.

[284] იქვე, ფ. 226, № 8958.

[285] იქვე, ფ. 16, საქ. 2164, ფურ. 4.

განსონებულთა მეფეთა ჩვენთა დროსა სამართლიანად არ გვიმსახურიაო"[286]. ზაალ ბარათაშვილის გაწცხადები სავსებით კანონიერად ცნო იოანე ორბელიანმა და თავისი დასტურითურთ იგი ლიტვინოვს წარუდგინა[287]. მოტანილი დოკუმენტიდან ნათლად ირკვევა, რომ მახტა ისეთი სახელმწიფო გადასახადი იყო, როძელიც ქალაქებში მხოლოდ სახელმწიფო ყმებს ეთხოვებოდათ, რომ მახტის გადახდაში კერძო საბატონო ყმები არ იყვნენ „გარეულნი მოქალაქეებთან".

მახტას არ იხდიდნენ აგრეთვე ეკლესია-მონასტრების ყმა ხელოსნებიც და ვაჭრები. „წმ. ევსტატეს ეკლესიის" ყმები ლიტვინოვს წერდნენ: „ჩვენ გახლავართ გიორგი მეფისაგან წმიდის ესტატის შეწირულნი... თუ რამ ეკლესიის სათხოვარი გვაქვს, იმას იმ დებულებით ვმსახურობთ და მოქალაქის დავთარში არას დროს არ ვყოფილვართ. ახლა მოქალაქეებს ჩვენზე მახტა დაუწერავთ... ვითხოვთ წყალობას უსამართლოა და არ მიგვაცემინოთო"[288]. იყო შემთხვევა, როცა ესა თუ ის პირი ეკლესიას ემსახურებოდა, მაგრამ თვით კი სახელმწიფო ყმად რჩებოდა. ასეთი პირი ვალდებული იყო სახელმწიფო მახტა ეხადა. „აღმორჩეული მოქალაქეები" სიონის ეკლესიის ყმის ნიკოლოზ გრიქუროვის შესახებ შემდეგ განმარტებას იძლეოდნენ: „ნიკოლოს ტერ-გრიგუროვისთვის (sic) გამორთმეულია მახთა თორმეტი რუბლი, ამისთვის რომ თვითონ გვაჩვენა წერილი, რომ სიონის ეკლესიას აძლევს ნახევარ ლიტრა წმინდა სანთელს წელიწადში და მე თვითონ სახელმწიფო ვარო"[289].

მახტას არ იხდიდნენ, რა თქმა უნდა, ქალაქში მოსახლე თავადები და აზნაურები, მაგრამ თუკი რომელიმე თავადი (ასევე აზნაურიც) მოქალაქედ ირიცხებოდა, ვალდებული იყო მახტა გადაეხადა. თავადი იოანე აბიმელიქოვი ლიტვინოვს აცნობებდა: მოქალაქეებმა მეც შემომაწერეს „სხვა მოქალაქეთა თანა ნაწილი თეთრისა" (მახტისა) და პოლიციამ ძალდატანებით გამომართვა. აბიმელიქოვი ითხოვდა, როგორც თავადი, მახტისაგან გაეთავისუფლებინათ[290]. „აღმორჩეულმა მოქალაქეებმა" ამაზედაც განმარტება მისცეს: „აბიმელიქოვი მუდამ ყოფილა მოქალაქეების რიცხვში და უძლევია მახთა, ახლაც ამიტომ გამოვართვითო"[291].

მახტას თბილისში მხოლოდ მოქალაქეები იხდიდნენ და არა

---

[286] იქვე, საქ. 497, ფურ. 40.
[287] იქვე, ფურ. 43, შდრ. იქვე, ფურ. 107.
[288] იქვე, ფურ. 105, ფურ. 99.

ველა სამეფო თუ სადედოფლო ყმა. აღსანიშნავია, რომ დარეჯან დედოფალს თავის შემოსავლთა შორის ცალ-ცალკე ნაჩვენები აქვს: „ტფილისში სადედოფლო ჩემი ყმები, მოქალაქენი კომლი 50. ამათ აძესთ ჩემი მახთა წელიწადში 50 თუმანი"... „ქალაქში (თბილისში, შ. მ.) ჩემი ყმანი გარეშე სოფლებისა მოკრეფილნი კაცნი კომლი თვრამეტი. ამათგან საჩემო გამოსაღები წელიწადში 5 თუმანი თეთრი"[299]. როგორც ვხედავთ, მეორე შემთხვევაში, როცა მოქალაქეებზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ „გარეშე სოფლებიდან" ქალაქში დასახლებულ ხალხზე, სადედოფლო მახტაზე, მათ გამოსაღებთა შესახებ არაფერია ნათქვამი. ამრიგად, ზემომოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ მახტას თბილისში იხდიდნენ მოქალაქეები, სხვა ქალაქებში კიდევ ყველა სახელმწიფო ყმა ვაჭარი და ხელოსანი.

ყოველი ქალაქის მახტის რაოდენობა სამეფო ხელისუფლების მიერ წინასწარ ისაზღვრებოდა. მაგ., თბილისის მოქალაქეებს ყოველწლიურად 4000 მან. უნდა ეხადათ[293]. ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცით, თუ როგორ იყო განსაზღვრული სხვა ქალაქების მახტას რაოდენობა, საამისო ცნობა ჩვენ მიერ შესწავლილ მასალებში არ შეგვხვედრია.

სამეფო ხელისუფლების მიერ მახტას წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა თვით მოქალაქეებზე უნდა განაწილებულიყო მათი ქონებრივი მდგომარეობის, შეძლების მიხედვით. საამისოდ კი მოქალაქეებთან, მათი ზედაფენიდან იყოფოდა ე. წ. მახტას გამწერი „აღმორჩეული მოქალაქეები"; რომელნიც, როგორც მასალებიდან ირკვევა, ქალაქში არსებულ წესს თავიანთ სასარგებლოდ ხშირად ირღვევდნენ. „გამორჩეული მოქალაქეები", რათა თავიანთი წრის ხალხისათვის, დიდვაჭრებისა და ქონებრივად ძლიერი მოქალაქეებისათვის, გადასახდელი მახტას რაოდენობა შეემცირებინათ, ნაკლებად შეძლებულ თუ შეუძლებელ მოქალაქეებს ხშირად უფრო მეტს აწერდნენ, ვიდრე მათ ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით უნდა გაეღოთ. მაგ., მოქალაქე ჭონი (тапошник) დავით ჯანლუზაშვილი ლიტვინოვს მოახსენებდა: „წვრილშვილი ვარ, ჭონს უდგევარ მოჯამაგირეთა, კვირაში სამი აბაზი ფული მაქვს და თვე-

---

[289] იქვე, ფურ. 99.
[290] იქვე, ფურ. 106.
[291] იქვე, ფურ. 99.
[292] ЦГИАГ, ф. 226, № 9128.
[293] Акты, I, с. 492--493; ЦГИАГ, ф. 2, оп. I, д. 466, л. л. 39, 43, 88.
[294] ЦГИАГ, ф. 16, д. 497, л. 108.

ში ერთი კოდი პური. ეს არის ჩემი საცხოვრებელი. არც ბაღი მაქვს, არც დუქანი და ზითვის სახლში ვდგევარ. მოქალაქეებს ორი თუმანი დაეწერათ. ვალზედ ვალი ამაღებინეს და წაიღეს, ვითხოვ წყალობასა მთელს ჭონებიდან მოიკითხოთ თუ ამის მეტი მე საცხოვრებელი მქონდეს და ისე გამიკითხეთ მოვალე და წვრილშვილი"[294]. „აღმორჩეული მოქალაქეები" კიდევ თავს იმართლებდნენ, ჯანღუზაშვილი თვით ჭონია და „აქვს სახლები და დუქანიც" და ამიტომაც „თავისი შეძლებით გამოერთო ოცი რუბლიო"[295]. კიდევ უფრო საინტერესო ჩანს მოქალაქე ოქრომჭედლის გრიქურაშვილის მოხსენება: „ამასიიდამ გადმოვარდნილი გიახელ ქალაქს ხელმწიფის საფარველში. ოქრომჭედლობით დღიური მუშაობით ვცხოვრობთ. ახლა რომელიც შეაწერეს სახელმწიფო მახთა, ამ მახთაში თექვსმეტი მინალთუნი (16 მან.) თეთრი ჩემზე მოუწერიათ და ძალა დამატანეს, გამამართეს. ამ ჩემის ხელის მოქმედების გარდა ამ ქალაქში არცა ერთი ადლი მამული მაქვს, არც სხუა რამ მოსავალი და არც არა ამთენი შეძლება, რომ შევძლო ამთენი მახთის მიცემა. ასეთებზედ მიუწერიათ ამაზედ-ნაკლები, რომ რაც მე ერთი წელიწადი ჩემის მუშაობით მოვიგებ, ისინი ერთ თვეში თავიანთ მამულებიდამ ქირას აიღებენ. წყალობას ვითხოვ, რომ... მდიდრების ხარჯი მე არ გამამერთვას. ებრძანოს აღმორჩეულ სუდიებს, რომ გამრიძიონ და ჩემის შეძლებისამებრ გამამერთვას"[296]. მახტის გაწერის დროს ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინების აუცილებლობაზეა საუბარი ნონია ნარიმანოვის განცხადებაშიც[297].

როგორც ვხედავთ, მახტის გამწერ მოქალაქეებს ოქრომჭედელ ხელოსნისათვის უფრო მეტი მახტა გადაუხდევინებიათ, ვიდრე ისეთი პირებისათვის, რომელთა თვიური შემოსავალი მის ყოველწლიურ შემოსავალს აღემატებოდა. თუმცა „ქალაქის განწესება" კრძალავდა, მაგრამ აღმორჩეული მოქალაქეები ზოგჯერ მოქალაქეთა ქვრივ-ობლებსაც აწერდნენ თურმე მახტას. მოქალაქე ივანგულოვის ქვრივი იტყობინებოდა: „ოთხი თვე არის ჩემი პატრონი (—ქმარი) თქვენის ჭირის ნაცვლად შეიქნა, დარჩა ჩემზედ ხუთი წვრილფეხა ობოლი... ჩემი უფროსი ეაჟიც ჯერეთ ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი გახლავსთ, რომ ხელიდან ჯერ არა გამოდის რა... ტფილისის ძველი განწესება ეს არის, რომ ქვრივსა და ობოლს მახთაში არ გაურევენ, მინამ თავისი თავი იცნას და ცოლშვილის პატრონი შეიქნას... ჩემის ობლებისათვის ძალა დაუტანებიათ და

[295] იქვე, ლ. 99.
[296] იქვე, ლ. 29.
[297] იქვე, ლ. 109.

მახთაში დაუწერიათ... ვითხოვ..... მოკითხულობა ბრძანოთ თუ ამას წინათ ქართველ მეფეების დროს ახალი მიცვალებულის პატრონს, ოხერს, ქვრივსა და ობლებს ხარჯი გამორთმევია, ხომ მეც გამომერთოს და თუ არა და ამ ძველს ქალაქში ახალი უდები არ დამედოსო"[298].

ზემომოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ მახტა მოქალაქეთა ქონებრივი შეძლების მიხედვით უნდა განაწილებულიყო, რომ ქვრივ-ობლები მახტისგან მანამ თავისუფლდებოდნენ, სანამ „თავისი თავი იცხას", ე. ი. სანამ „მისი ხელიდან რამე გამოვიდოდა"; მაგრამ ეს იყო მხოლოდ განწესება, თბილისში „ძველთაგან არსებული", რომელიც, როგორც დავინახეთ, სწორედ ამ შეუძლებელ და ქვრივ-ობოლთა საზიანოდ ხშირად ირღვეოდა. „ძველთაგან არსებული განწესებისამებრ" თბილისის მოქალაქეები, მახტის გადამხდელნი მათი შეძლების მიხედვით, ზურაბ მელიქიშვილის ცნობით, „მოგროების დავთარში" («Раскладочная книга») 17 ჯგუფად (ხარისხად) იყვნენ დანაწილებულნი[299], მაგრამ თუ რამდენს იხდიდა თითეული ჯგუფი ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროს, მასალებიდან არ ჩანს. ამ ნაკლს ნაწილობრივ ავსებს XIX ს. დამდეგის საბუთი, არჩეული მოქალაქეების მიერ, ძველი წესის მიხედვით, 4000 მან. მახტის განაწილების ცხრილი მოქალაქეთა 17 ჯგუფზე. რაკი ეს დოკუმენტი დაახლოებით მაინც მოგვცემს წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ იყო განაწილებული მახტა XVIII ს. დასასრულს, საჭიროდ ვთვლით მის აქ მოტანასაც[300].

ჯგუფი	ოჯახის რაოდენობა	თითო ოჯახი იხდის წელიწადში
1	17	40 მან.
2	28	28 მან.
3	31	22 მან.
4	22	18 მან.
5	27	15 მან.
6	13	12 მან.
7	22	10 მან.
8	21	8 მან. 80 კაპ.
—	—	—
9	13	7 მან. 50 კაპ.
10	25	6 მან. 50 კაპ
11	16	5 მან. 50 კაპ.
12	15	4 მან. 50 კაპ.
13	20	3 მან. 50 კაპ.
14	13	3 მან.
15	20	2 მან. 50 კაპ.
16	35	2 მან.
17	81	1 მან.

[298] იქვე, ლ. 110.

[299] ЦГИАГ, ф. 1, g. 193, л. 46—47.

[300] იქვე, ფ. 2, 251. გვ. 23: შდრ. ალ. ფირცხალაიშვილი, „მოქალაქეთა" საკითხზე, გვ. 179.

[301] Акты, I, док. № 419, с. 499.

დაახლოებით ამგვარადვე ნაწილდებოდა მახტა ალბათ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ იშვიათ შემთხვევებში, კერძოდ, როცა ქალაქი უცხოელთა შემოსევის წყალობით ნადგურდებოდა, ისპობოდა მოქალაქეების დუქნები და ქონება, მოქალაქეებს სამეფო ხელისუფლება მახტის გადახდისაგან ათავისუფლებდა. მაგ., აღა მაჰმად ხანის გამანადგურებელი და მძარცველური ლაშქრობის შემდეგ, როცა თბილისის მოსახლეობა საგრძნობლად დაზარალდა, რამდენიმე წელიწადი, როგორც თვით მოქალაქეები ირწმუნებოდნენ, თბილისის მცხოვრებლებს მახტა არ გამორთმევია[301].

საქართველოს ქალაქებში იყო მეორე სახელმწიფო, აგრეთვე ფულადი გამოსაღები, ე. წ. მალი. თუკი მახტა საკომლო გამოსაღები იყო, მალი პიროვნულს წარმოადგენდა, თუკი მახტას მხოლოდ მოქალაქენი და სამეფო ყმა ვაჭრები და ხელოსნები იხდიდნენ, მალს ქალაქის ყოველი ვაჭარ-ხელოსანი იხდიდა, როგორც სამეფო, ასევე საეკლესიო და სათავადაზნაურო. 1752 წ. საბუთით, მალის გადამხდელთა შორის თბილისში დასახელებულია გიორგი ნაცვლიშვილის ყმები, ზალინას შვილები არუთინა და ისაია[302].

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მალი, როგორც ფულადი გადასახადი, „დასტურლამალის" მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ ზოგ ქალაქში—თბილისში და გორში გვხვდება. მაგრამ მარიამ დედოფლის 1664 წ. სიგელში ცხინვალში მოსახლე ვაჭრის გამოსაღებთა შორის მალიც არის დასახელებული[303]. ასე რომ, მალს იხდიდნენ არა მარტო თბილისისა და გორის მოსახლეები, არამედ ცხინვალის მცხოვრებნიც. სხვა მცირე ქალაქების, მაგ., ახალდაბის, ატენის, გამოსაღებთა შორის მალი არ არის დასახელებული. აქ მალი სხვა გადასახადებით იყო შეცვლილი. ალში კი, „დასტურლამალის" მიხედვით, მალი ვენახზე იყო გაწერილი[304]. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მალს იხდიდა აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ისეთი ქალაქების მოსახლეობაც, როგორიც იყო თელავი და ხიღნაღი.

მალის რაოდენობა მტკიცედ იყო განსაზღვრული. „დასტურლამალის" მიხედვით, თბილისში და გორში ყოველ სრულწლოვან

---

302 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 5, საბ. 16.

303 ისტორიული საბუთები, IV, გვ. 40.

304 „დასტურლამალი" მეფის ვახტანგ მეექვსისა, რედაქტორობით პ. უმიკაშვილისა, ტფილისი, 1888, გვ. 121 (შემდეგ იხ. „დასტურლამალი").

შამაკაცს „ახალს მალის გამომღებს რომ დავთარში ჩააგდებენ, იმას ნახევარს მალს გამოართმევენ რომ სამი აბაზი იქნების“[305]. ნახევარს ანუ სამ აბაზ მალს თბილისში „აზაპის“, დაუქორწინებლის მალს ეძახდნენ. „აზაპის მალი წელიწადში სამია აბაზია“, ნათქვამია ერთ საბუთში[306]. დაქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ ყოველი მამაკაცი თბილისში და გორში 6 აბაზს, ანუ სრულ მალს იხდიდა[307]. თუკი ოჯახში მამა-შვილი იყო, სანამ შვილი დაქორწინდებოდა, მალს მამა იხდიდა, შვილის დაქორწინების შემდეგ კი მამა მალისაგან თავისუფლდებოდა და ის გადასახადი შვილს ეკისრებოდა[308]. „დასტურლამალის“ მიხედვით შრომის უნარმოკლებული, რომელსაც უკვე „მოგება აღარ შეეძლო“, მალისაგან თავისუფლდებოდა[309]. თვით „დასტურლამალის“ მითითებიდან ჩანს, რომ მალი ისეთ პირებზე იყო გაწერილი, რომელთაც ქალაქებში „მოგება შეეძლოთ“, ე. ი. რომელნიც ვაჭრობას ან ხელოსნობას მისდევდნენ, მაგრამ მათ შორის თუ მაღალი წოდების პირიც იყო, მაგალითად აზნაური, როგორც 1782 წ. საბუთიდან ჩანს, მალისაგან თავისუფლდებოდა. დარეჯან დედოფალი გორის მამასახლისს უბრძანებდა: „ეს ჩვენი ყმა ალხაზიშვილი სვიმონ... რადგანაც ძველათ თავის ადგილსაც აზნაურიშვილი ყოფილან, მანდაც (ე. ი. გორში, შ. მ.) აზნაურათ უნდა იყვნენ... და მალსაც ნულარ გამოართმევთ და თუ დუქანზე აღებ-მიცემა ექნებათ, დუქნის ხარჯში თავანთ მეზობლებში არ გამოირჩევიან“[310]. ასე რომ, ვაჭარი აზნაური, მართალია „დუქნის ხარჯს“ სხვა მეზობლების (ვაჭრების, ხელოსნების) მსგავსად აძლევდა, მაგრამ მალისაგან კი თავისუფლდებოდა.

ამრიგად, მალი სახელმწიფო, ყოველწლიური, პიროვნული გამოსაღები იყო, რომელსაც იხდიდნენ საქართველოს უმთავრესი ქალაქების, როგორც სამეფო-სადედოფლო, ასევე საეკლესიო და კერძო საბატონო, ყმა ვაჭრები და ხელოსნები.

ზემოხსენებულ სახელმწიფო გამოსაღებთა გარდა იყო აგრეთვე ფულადი, ყოველთვიური გამოსაღები, რომელსაც „თვის შაუ-

---

[305] დასტურლამალი, გვ. 85.

[306] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 5, საბ. 116.

[307] დასტურლამალი, გვ. 19, 85.

[308] იქვე, გვ. 19—20.

[309] იქვე, გვ. 85.

[310] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 47, საბ. 114.

რი“ ეწოდებოდა[311]. „თვის შაურს“ ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“ შემდეგნაირად აწესებდა: „დუქნის თავს თუ ბაში ერთხელ თვეთო შაური საბატონოდ (—სამეფოდ, შ. მ) ქალაქში მოგროვდების“[312]. როგორც დავით ბატონიშვილის განმარტებიდან ჩანს, „თვის შაურს“ საერთოდ საქართველოს ყველა ქალაქის დუქნები იხდიდნენ[313]. მასალების მიხედვით ამ გადასახადს თბილისში იხდიდა როგორც სამეფო, საეკლესიო, ასევე კერძო საბატონო ყმა ვაჭართა თუ ხელოსანთა ყოველი დუქანი, დუქნის ყოველი მფლობელი, თუ მასში მოსაქმე. ზაალ ბარათაშვილი თავის წერილში იოანე ორბელიანისადმი სხვათა შორის წერდა: ჩვენს (სათავადაზნაურო, შ. მ.) „ყმათ [რაც] უწინ ასნაფთან უძლევიათ იმას ახლაც აძლევენ, რომელიც არის თვის შაური, ქეშიკი ასასის ფული და ბეგარა“[314]. ასე რომ, თავადებისა და აზნაურების ყმებიც ქალაქებში „თვის შაურს“ სხვა სახელმწიფო გამომღებთა მსგავსად იხდიდნენ.

აღსანიშნავია, რომ „თვის შაურს“, როგორც ერეკლე II-ის ერთ-ერთი ბრძანებიდან ჩანს, იხდიდა არა ის ხელოსანი თუ ვაჭარი, რომელიც სხვის დუქანში ან ქირით, ან კიდევ გირაოთი იდგა, არამედ ის პირი, ვისაც ეს გაქირავებული თუ დაგირავებული დუქანი ეკუთვნოდა[315].

საქართველოს ქალაქებს მეფის წინაშე სხვაგვარი ფულადი სამსახურიც ეკისრებოდათ, ერთ ამგვარს ე. წ. „სამასპინძლო“ წარმოადგენდა. „დასტურლამალის“ მიხედვით, თუ ბატონი (მეფე) „კოჟრიდან წაბრძანდებოდა“, თბილისს სამასპინძლო უნდა გაეღო „მარჩილი ოცი“ (12 თუმანი)[316]. როგორც როსტომის 1639 წ. სიგლიდან ჩანს, „სამასპინძლო“ ედვა აგრეთვე გორის მოსახლეობასაც[317]. „სამასპინძლო“ ისეთი გამოსაღები იყო, რომელიც საქართველოს ყოველ ქალაქს უნდა ჰქონოდა დაკისრებული. ჩვენი აზრით, სხვა მცირე ქალაქთა გამოსაღებებს შორის მოხსენიებული „ხარჯი“ იმასვე უნდა ნიშნავდეს, რასაც „სამასპინძლო“ თბილისსა და გორში[318].

---

311 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. МИГК, ვ. 26, 1948, გვ. 2 (ქვემოთ—შ. მესხია, მასალები); შდრ. აგრეთვე ЦГИАГ, ф. 16, д. 497, л. 40.

312 დასტურლამალი, გვ. 23.

313 Ц а р е в и ч Д а в и д, Обозрение Грузии, ИВАН, И II, § 784.

314 ЦГИАГ, ф. 16, д. 497, л. 40.

315 იქვე, ф. 229, დავთ. 51, საბ. 225.

316 დასტურლამალი, გვ. 124.

317 ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 51, საბ. 179.

318 ისტ. საბუთები, IV, გვ. 40.

თბილისსა, გორსა და სხვა დიდ ქალაქებთან შედარებით სხვაგვარი იყო მცირე ქალაქების სამსახური მეფის წინაშე. „დასტურლამალის“ მიხედვით, მცირე ქალაქ ახალდაბის მოსახლეობას მეფის წინაშე შემდეგი ვალდებულებები ჰქონდა: „ქრისტეშობის მარხვაში თოთხმეტი გოდორი თევზი“ ახალდაბელ ქართველებს უნდა დაეჭირათ და ახალდაბელ ებრაელებს უნდა ჩაეტანათ მეფისათვის.. ასევე, ახალდაბის ებრაულ (ვაჭრულ) მოსახლეობას ევალებოდა თავისი ხარჯით მეფისათვის რუისიდან ღვინო, ასევე ტიკიც თბილისში ჩაეტანათ. ამას გარდა, ახალდაბელებს უნდა გაეღოთ სააღდგომოდ ძროხა, კვერცხი და 20 მარჩილი (12 მან.) ფულად[319].

სხვაგვარი იყო მცირე ქალაქ ალის მოსახლეობის სამსახური. ალის მოსახლეობას „დასტურლამალის“ მიხედვით დაკისრებული ჰქონდა: სანთელი 6 ლიტრა, სამარხო 7 კოდი, „ნივრისათჳს ან ფასი და ან ლიტრა ზ (7) რაც მოგვინდება, ღვინოსა და კვერნას ვჰსთხოვთ“, ფულად კიდევ ალელებს ცხრა თუმანი ედვათ სახელმწიფოდ[320].

დაახლოებით ასეთივე იყო ცხინვალის მოსახლეობის სამსახურიც მეფის წინაშე; მათ ყოველწლიურად უნდა ეძლიათ ღვინო (ტკბილი) 28 კოკა, „ზოგჯერ კვერნა შეეწერება, ქართველმა სომეხმა ურიამ უნდა გამოიღოს; რაც იქ მოსავალი მოვა იმათვე ჩამოიტანონ“. ამას გარდა, ცხინვალელებს ემართათ ღალა, ბატონის ზვრის (ვენახის) დამუშავება და სხვ.[321] როგორც ვხედავთ, მცირე ქალაქებში XVIII ს. დამდეგისათვის მთავარს ჯერ კიდევ ნატურალური რენტა წარმოადგენდა, ვიდრე ფულადი. თუმცა მეფე ზოგჯერ, როგორც „დასტურლამალშია“ აღნიშნული, პროდუქტს მოითხოვდა, ზოგჯერ კიდევ მის ფასს, მაგრამ ძირითადად მაინც მცირე ქალაქებში ნატურალური რენტა ბატონობდა. თავის მხრივ ეს იმაზე მიგვითითებს, რომ ახალდაბის, ცხინვალის, ალის და სხვა მსგავსი ქალაქების მოსახლეობას სოფლის მეურნეობასთან კავშირი არ ჰქონდა გაწყვეტილი. ამას გარდა, გვიანფეოდალურ „მცირე ქალაქებში“ საქალაქო ცხოვრება ვერ იყო განვითარებული, ისინი ნახევრად აგრარულ (полуаграрный) ქალაქებს წარმოადგენდნენ. სწორედ ამის გამო იწოდებოდნენ „მცირე ქალაქებად“. ჩვენ, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება სათანადო მასალები იმისათვის, რომ თვალი გავადევნოთ, თუ როგორ თანდათან იცვლებოდა ნატურალური რენტა ფულადი რენტით XVIII ს. სიგრ-

---

[319] დასტურლამალი, გვ. 120.
[320] იქვე, გვ. 121.
[321] იქვე, გვ. 122.

რძეზე გვიანფეოდალურ მცირე ქალაქებშიც; მაგრამ XVIII ს. მეორე ნახევრიდან, 80-იანი წლებიდან განსაკუთრებით, სასაქონლო წარმოების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, გვიანფეოდალურ მცირე ქალაქებშიც ნატურალური რენტის მაგიერ ფულადი რენტის გაბატონება საკუთარ დასაშვებად მიგვაჩნია.

საქართველოს ქალაქებს ყოველწლიურ, ერთხელდასამუდამოდ დადგენილ, ან როგორც ძველად იტყოდნენ — „გარდაკვეთით“ — სამსახურს გარდა, მეფის წინაშე ერთდროული სამსახურიც უნდა გაეწიათ. ერთდროული გამოსაღებები სამეფო ხელისუფლების სხვადასხვაგვარ, საშინაო თუ საგარეო, საჭიროებისათვის წესდებოდა. მაგ., ქართლის სამეფოს, როცა იგი სპარსეთის ვასალად ითვლებოდა, შაჰისათვის ყოველწლიური „ფეშქაში“ უნდა მიერთმია და საამისოდ ქართლის მოსახლეობაზე სათანადო გამოსაღებები გაიწერებოდა. ქალაქები, — თბილისი და გორი ამგვარი გამოსაღებებისაგან თითქოს თავისუფლდებოდნენ. მაგრამ რამდენჯერაც ქართლიდან შაჰის ფეშქაში წავიდოდა, ეს ქალაქები იმდენჯერ ქართლის მეფეს სათანადო თანხის გაღებით უნდა „შეწეოდნენ“. ასეთი სამეფო „შესაწევარი“ თბილისისათვის 100 თუმნით, ხოლო გორისათვის 12 თუმნით იყო განსაზღვრული.

„დასტურლამალში“ ნათქვამია: „ქალაქს (თბილისს, შ. მ.) საური და ტყვის ჯარი არა ჰსძეს. მაგრამ რამდენსაც ბედნიერის ჭელმწიფის (—შაჰის, შ. მ.) ფეშქაშს გაისტუმრებენ, ვინც ქალაქში სახლობენ, ასი თუმანი ბატონს უნდა შემოაწიონ“[322]. იქვე გორის შესახებაც ვკითხულობთ: „როდესაც ჭელმწიფის ფეშქაში წავა, მაშინ უნდა გამოიღონ... თუმანი თორმეტი“[323]. ასეთი „შესაწევარი“ ყოველწლიურად მეორდებოდა და ქალაქის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვა. ასე რომ, ქალაქი თითქოს თავისუფალი იყო სპარსეთის შაჰის სამსახურისაგან, ნამდვილად კი ქალაქის მოსახლეობაც იძულებული ხდებოდა მონაწილეობა მიეღო კიდევ ერთი ექსპლოატატორის დაკმაყოფილებაში.

ქალაქის მოსახლეობა ვალდებული იყო აგრეთვე სამეფოს ლაშქრის შესანახად გამოეღო ე. წ. „სურსათი“ (сурсати). დავით ბატონიშვილი ამის გამო წერდა, რომ გადასახადისაგან თავისუფლდებოდა ყველა ქალაქი, რომელსაც ფულადი გადასახადი ემართა გარდა სურსათისა, ე. ი. ლაშქრის შესანახი საგანგებო გადასახადისაგან[324]. „სურ-

---

[322] დასტურლამალი, გვ. 85.

[323] იქვე, გვ. 20.

[321] Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, И: II, § 260.

სათი“, რაკი დროებით შეკრებილი ლაშქრის შესანახად იყო განკუთვნილი, თითქოს დროებითი გამოსაღები უნდა ყოფილიყო, ნამდვილად კი იგი მუდმივ გადასახადს წარმოადგენდა. სამეფო ხელისუფლება მას ყოველწლიურად კრებდა და სხვადასხვა საჭიროებისათვის იყენებდა. ივი, როგორც მუდმივი გადასახადი, დარჩა საქართველოში რუსეთის ხელისუფლების დამყარების შემდეგაც. სურსათს იხდიდა საქართველოს ყველა დაბალი წოდება, მათ შორის ვაჭრებიცა და ხელოსნებიც. ივი საკომლო გადასახადი იყო. მისი რაოდენობა 2 კოდი ხორბლითა და 1 კოდი (კოდი დაახლ. უდრის 2 რუს. ფუთს) ქერით განისაზღვრებოდა. ამას გარდა, ყოველი კომლი იხდიდა ე. წ. „საიასაულოსაც“ (სურსათის ამკრებთათვის), ყოველ კოდზე თითო ლიტრას (დაახლ. 8 გირვანქას) ე. ი. სულ 3 ლიტრას[325]. აღსანიშნავია, რომ ის ხელოსნები, რომელნიც მართალია ქალაქში ცხოვრობდნენ და აქ მუშაობდნენ, მაგრამ კავშირი გაწყვეტილი არ ჰქონდათ თავიანთ სოფლებთან, „სურსათს“ თანასოფლელებთან იხდიდნენ და ამიტომაც, როგორც ჩანს, ასეთ ხელოსნებზე „სურსათი“ უფრო მეტი რაოდენობით გაიწერებოდა. ზაალ ბარათაშვილი (ზურაბინი) სხვათა შორის წერდა: ჩვენი ქალაქში (თბილისში) მოსაქმე ყმები „სურსათს კიდევ მეტსა“ იხდიან, რადგან, „უმეტესნი ნაწილნი სოფლელნი არიან“ და სურსათის მოკრებაში იმათთან (სოფლელებთან, შ. მ.) ირიცხებიანო[326].

სურსათს გარდა, ლაშქრის შესანახად ქალაქის მოსახლეობას სხვა გამოსაღებებიც უნდა ეხადა. თუ „ლეკის ჯარი“ იყო დაქირავებული, ქალაქის მოსახლეობა ე. წ. „სალეკოს“ იხდიდა. „სალეკო“ გამოსაღები ხშირად არის მოხსენებული ქალაქების მოსახლეობის ვალდებულებებს შორის. როგორც თვით გორელების განცხადებიდან ჩანს, XVIII ს. 90-იან წლებში გორის მოსახლეობა „სალეკოს“ კომლზე „30 შაურსა და კოდნახევარ პურს“ იხდიდა[327].

თუკი საქართველოში რუსეთის ჯარი იყო, მათ შესანახად ქალაქებში ე. წ. „სარუსო“ გამოსაღები გროვდებოდა. მაგალითად, ცხინვალელები ერეკლე II-ს მოახსენებდნენ: „სალეკოს, სარუსოს, ლაშქარს და რომელიც თქვენი ბრძანება სათხოვარი მოვა, რაც შეგვიძლია... გვახდევინებენო[328].

---

[325] Акты, т. II, с. 7.
[326] ЦГИАГ, ф. 16, д. 494, л. 40.
[327] ГМГ, ф. Qd. 7120.
[328] ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 14, საბ. 110.

ამგვარ გამოსაღებებს, მართალია, დრეობითი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ იგი ხშირ შემთხვევაში თანდათან მუდმივ გადასახადებად იქცეოდა. ზემოხსენებულ „საქვეყნო სათხოვარს“ გარდა, მეფე ქალაქს ზოგჯერ „სესხსაც“ სთხოვდა. გიორგი XII-ის ერთ ბრძანებაში, ქალაქების „საქვეყნო სათხოვარს“ გვერდით, „სესხად სათხოვარიც“ არის მოხსენებული. „სესხად სათხოვარიც“ ფაქტობრივად ერთგვარი დროებითი გამოსაღები იყო, რომელიც მოქალაქეთა შორის უნდა განაწილებულიყო. გიორგი XII მელიქ-მამასახლისს დარჩის უბრძანებდა: ჩვენ „რაც ქალაქს ან სესხათ ან საქვეყნოთ სათხოვარი ვთხოვოთ.. რაც ფითუაშვილს აღას შეხვდეს... იმას ნურაფერზედ ნუ შეაწუხებთ და ნურც არას თხოვთ“[329]. სესხი უფრო ხშირად ფულადი იყო, ზოგჯერ კიდევ მეფე სესხად ქალაქს პურსა სთხოვდა. როგორც იულონ ბატონიშვილის მიერ გაცემული საბუთიდან ჩანს, 1797 წ. ერეკლე II-ს გორის მოსახლეობისაგან სესხად 35 ხარვალი (1 ხარკ. დაახლ. უდრის 41 კგ-ს) პური უთხოვია. სამაგიეროდ მეფე გორელებს იმ წლის სურსათისაგან განთავისუფლებას პირდებოდა[330]. მაგრამ ხშირ შემთხვევაში დაპირება დაპირებად რჩებოდა და ქალაქის მოსახლეობას როგორც სესხის, ასევე მათზე ყოველწლიურად გაწერილი გამოსაღებების გადახდაც უხდებოდათ. XIX ს. დამდეგის არაერთი საბუთი მოგვეპოვება საიდანაც ჩანს, რომ ქართლ-კახეთის მეფეებს მოქალაქეებისაგან აღებული „სესხი“ წლების განმავლობაში გადაუხდელი რჩებოდათ და სამეფოს გაუქმების შემდეგ დაზარალებული მოქალაქეები მეფის რუსეთის ხელისუფალთაგან მოითხოვდნენ ქართლ-კახეთის მეფის ვალის დაფარვას.

გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქებში ისეთი გამოსაღების არსებობა, როგორიც იყო სურსათი, ან კიდევ „პურის სათხოვარი“ სესხად, მცირე ქალაქებში გამოსაღები ღვინით და სხვა, თავისთავად მიგვითითებს, რომ როგორც მცირე, ასევე დიდი ქალაქების მცხოვრებლებს უნდა ჰქონოდათ თავიანთი მცირე მეურნეობაც, ბაღები და ბოსტნები, ასევე, ზოგ შემთხვევაში, სახნავი მიწები და ვენახიც. დავით ბატონიშვილი ფეოდალური საქართველოს ქალაქების შესახებ წერდა: «Города имеют выгодные земли, леса, луга, воды, сады, виноградные... и... тому подобные выгоды»[351]. გორელი ვაჭრების ერეკლე II-ისადმი წარდგენილი თხოვნიდან ჩანს, რომ ვაჭრებს

---

[329] იქვე, ფ. 227, № 1456 (2).

[330] ГМГ, ფ. Sd: 385.

[331] Царевич Давид, Обозрение Грузии, Иван, И: II, § 903.

ჰქონდათ ვენახი, ბაღი, ბოსტანი, სათიბი, ყანები და სხვ[332]. ასევე, თბილისის მსხვილი ვაჭრები და შეძლებული ხელოსნებიც მის ახლო-მახლო მიდამოებში (ორთაჭალა, კრწანისი, სეიდაბადი, ვერა) ბაღებსა და ბოსტნებს ფლობდნენ. ქალაქის მოსახლეობის ბაღებსა და ბოსტნებს სათანადო ვალდებულებანი ჰქონდათ დაკისრებული სამეფო ხელისუფლების წინაშე. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალ"ში" საგანგებოდ იყო გარიგებული, თუ როგორ უნდა ემსახუროს „გაღმა ჭალის" ბაღები მეფეს: ვისიც არ უნდა იყოს გაღმა ჭალის ბაღები, მეფის ყმისა თუ სხვათა, „ბაღის პატრონმა ჩვენის ქალაქის ბაღისათვის ოთხი კარგი მებაღე თავის ულუფით და ჯამაგირით ყოველს წელიწადს დაგვიჭირონ და ჩვენის ბაღებისათჳს აღურებინონ". ამას გარდა, ყოველ წელიწადს 18 კონა მწვანილს, მისი ბოლოკით, სამეფო ქარხანაში (სამზარეულო?) მიიტანდნენ. ვინც ამ ხარჯს არ გაიღებდა, მეფის ბრძანებით, თავის ბოსტანში „გასასყიდელს მწვანილს" ვერ დათესდა და ქალაქში მწვანილს ვერ გაყიდდა. თუკი ზემოაღნიშნულ გამოსაღებებს გაიღებდა, ბაღის პატრონს ნება ჰქონდა „თავისი საჭმელი და საყოფი მწუანილის" გარდა გასაყიდი მწვანილიც დაეთესა და მოეყვანა[333]. ორთაჭალის ბაღების მფლობელნი კი კათალიკოსს ემსახურებოდნენ. მაგ., მოქალაქე ფითუაშვილი აღა კრწანელებისაგან ყიდულობს ორთაჭალაში ბაღს, რომელსაც ემართა „ბატონის კათალიკოზის კულუხი და ბეგარა" და ამიერიდანაც იმ ბაღს კათალიკოსისათვის კულუხი და ბეგარა უნდა გაეწია[334]. ამგვარადვე, „მეფის ყმის მოქალაქე ფირყუზაანთ ავთანდილის" მიერ ნაყიდ ბაღს ორთაჭალაში, როგორც სხვას მსგავს, სვეტიცხოვლის (საკათალიკოზო ეკლესიის) კულუხი და ბეგარა ემართა[335]. კულუხი, როგორც ცნობილია, ღვინით გამოსაღებს ეწოდება (винная подать), მაგრამ თუ როგორ იყო განსაზღვრული იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ორთაჭალის ცალკეული ბაღებისადმი, ჩვენთვის, სამწუხაროდ, უცნობია. აღსანიშნავია, რომ XIX ს. დამდეგს, ორთაჭალის ბაღის მფლობელები ამ გამოსაღებს ფულით იხდიდნენ და ხაზინაში 1807 წ-მდე (ალბათ 1801 წლიდან) კულუხის გამოსაღები 200 მან. და 31 კაპ. შემოსულა. 1807 წლიდან კი რუსეთის ხელისუფალთ კულუხის გამოსაღები ყოველწლიურად 70 მანეთით განუსაზღვრავთ[336].

---

332 ГМГ Qd: 7120.

333 დასტურლამალი, გვ. 103—104.

334 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 5, საბ. 22.

335 იქვე, док. 146.

336 იქვე, 2, оп. 1, д. 466, л. 44.

საფიქრებელია, რომ კულუხი ორთაჭალის ბაღებიდან ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ წლებში მაინც ფულადი გამოსაღები იყო. კულუხს გარდა, ორთაჭალის ბაღებს, როგორც ანტონის 1766 და 1776 წლების საბუთებიდან ჩანს, კათალიკოსისათვის უნდა გაეღო ხილი („ნობათის ხილი"), მწვანილი („რიგის მწვანილი"), შეშა, უნდა ეხადათ ბეგარა (მუშაობა თვით კათალიკოსის ბაღში) და მიეცათ მისთვის მუშა მებაღე[337], როგორც ამას მეფის ბაღებისათვის „დასტურლამალი" განსაზღვრავდა.

გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქების მოსახლეობას სხვა სახელმწიფო ვალდებულებანიც ჰქონდათ. ზემოაღნიშნულ ფულად თუ ნატურალურ გამოსაღებებს გარდა, ქალაქს ბეგარაც ემართა. ქალაქის მოსახლეობის ბეგარა უმთავრესად სამეფო თუ საზოგადოებრივ ნაგებობათა შენებასა და შეკეთებაში გამოიხატებოდა. „დასტურლამალში" აღნიშნული იყო: ქალაქს „ქარხნის სახლები (სამეფო სარეწავები, შ. მ.) რომ დაიქცეს" მისი კედლის აღდგენა თუ შელესვა და აგრეთვე სხვა „სამუშაოც ძესო"[338]. რა თქმა უნდა, ქალაქის სხვადასხვაგვარი სამუშაოები უმთავრესად სწორედ მოსახლეობის ღარიბ, დაბალ ფენას ეკისრებოდა. ამ მხრივ საინტერესო ჩანს მეტეხის (თბილისის ერთი უბნის) მოსახლეობის არზა ერეკლე II-ისადმი 1789 წ., საიდანაც ჩანს, რომ ერეკლეს უბრძანებია მეტეხელებისათვის — „მეტეხის ციხის კარს ზეით კედელი გადაქცეული, მეტეხელებმა უნდა ააგონო". მეტეხელები ჩივიან, ამას ორმოცი თუ სამოცი თუმანი დასჭირდება და ჩვენ სულ რომ „დავიყიდნეთ ორმოც თუმანს არავინ მოგვცემსო"[339]. როგორც ჩანს, მეფე ქალაქის ერთ-ერთი უბნის მცხოვრებთაგან ან უფასო შრომას მოითხოვდა, ან კიდევ სათანადო თანხას ციხის „გადაქცეული კედლის" აღსადგენად. ამავე საბუთიდან შეგვეძლო ისიც დაგვესკვნა, სამეფო ხელისუფლება მსგავს სამუშაოებს იმ უბნის თუ კვარტლის მოსახლეობას ავალებდა, სადაც ესა თუ ის სამუშაო იყო შესასრულებელი.

მსგავსი ვალდებულებები ეკისრებოდა სხვა ქალაქების მოსახლეობასაც. მაგ., „დასტურლამალის" მიხედვით, გორის მოსახლეობას ედვა მუშაობა „ჯიდზედ, სასაკლეზედ, ზუარში, ბაღში" და სხვ[340]. „დასტურლამალის" მიერ დადგენილი ძალაში იყო მომ-

---

[337] იქვე, ф. 229, დავთ. 16, საბ. 71, 75; დავთ. 18, საბ. 14.

[338] დასტურლამალი, გვ. 124.

[339] საქ. სიძველენი, III, გვ. 50—51.

[340] დასტურლამალი, გვ. 20.

დევნო წლებშიც. 1772 წ. ერეკლე II გორის ხელისუფალთ უბრძანებდა: „ზეით გორის ციხე... რაც გასაკეთებელი არის“, ის ჩვენმა ყმებმა გორელებმა და ვინც საერთოდ გორში მსახლობელი თუ ხიზანი არის, იმათ უნდა გააკეთონო[341].

ამგვარივე შინაარსს ატარებს ერეკლე II-ის 1773 წ. ბრძანება. გორის მოურავისა და მელიქის მიმართ: „რაც გორის გალავანს სადაც ეჭირებოდეს, ოთხი ჯიხური (კოშკი) ვინც გორის გალავანში ესახლოს, იმათ დაადგმევინეთო“[342]. მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა[343], მაგრამ ესეც საკმარისი ჩანს იმის გასაგებად, თუ რას ნიშნავდა ის „მუშაობა“, რომელიც ქალაქის მოსახლეობას უნდა გაეწია.

აღსანიშნავია, რომ ქალაქებში შესასრულებელი სამუშაოები ბეგარად ედო არა მარტო ქალაქის მოსახლეობას, არამედ ამა თუ იმ ქალაქის მეზობლად მყოფ სოფლებსაც. ჩვენ ზემოთ უკვე (იხ. თავი II) მოვიტანეთ ერეკლე II-ს დროინდელი საბუთი, საიდანაც კარგად ჩანდა, რომ გორის ციხის განახლებაში მონაწილეობა, გორელებთან ერთად, მის ახლო-მახლო სოფლებსაც უნდა მიეღოთ. ამას გარდა, ერეკლე II 1773 წ. ბრძანებდა: „ოთხი ჯიხური (კოშკი) ვინც გორის ციხეში სოფლები დაიხიზნება, იმათ დაადგმევინეთო“[344]. სიღნაღის ციხის უზარმაზარი გალავანი და მისი მრავალრიცხოვანი კოშკები არა მარტო სიღნაღელების მიერ იყო აგებული, არამედ მის ახლო-მახლო სოფლელების მიერაც, სწორედ იმათ მიერ, რომელნიც საჭიროების შემთხვევაში აქ თავს აფარებდნენ. ამით აიხსნება, რომ სიღნაღის გალავნის ცალკეული კოშკი ამა თუ იმ სოფლის სახელს ატარებდა — მაგ., „კოშკი ბოდბისა“, „კოშკი ველისციხისა“, „კოშკი ქიზიყისა“, „კოშკი მაჩხაანისა“, „კოშკი საჯობო“, „კოშკი ანაგისა“, „კოშკი ბაკურციხისა“, „კოშკი კარდანახისა“, „ვაქირისა“, „შილდისა“, „ჯუგაანისა“, „მირზაანისა“, „მაღაროს“ და სხვ[345]. ასე რომ, ბეგარა ქალაქისა და მისი ციხის სასარგებლოდ სოფლის მოსახლეობასაც ედო და მას „ქალაქის მუშაობა“ ეწოდებოდა. აღსანიშნავია, რომ „ქალაქის მუშაობა“ სოფლის მოსახლეობაზე ბეგარად ძველიდანვე იყო. მაგ., სოფელ ხანდაკის შეწირულობის წიგნით, რომელიც 1474 წ. არის გაცემული, სოფე-

---

341 საისტორიო მოამბე, I, 1945, გვ. 9.
342 იქვე, გვ. 11.
343 იქვე, გვ. 12, 15.
344 იქვე, გვ. 11.
345 ЦГВИА, ф. ВУА, № 2258, № 20546.

ლი თავისუფლდებოდა სხვადასხვა სახელმწიფო გამოსაღებთა და ვალდებულებებისაგან და მათ მორის გორსა, ქალაქსა (თბილისსა) და ყინვანში მუშაობისაგან[346]. ასე რომ, 1474 წ., სანამ ეს სოფელი ეკლესიას შეეწირებოდა, ხანდაკელებს გორში, თბილისში და ყინვანში მუშაობა ემართათ. ფეოდალური ქალაქი, ამ შემთხვევაშიც, ექსპლოატაციას უწევდა სოფელს, მის მოსახლეობას.

ქალაქის მოსახლეობას სხვა ბეგარაც ჰქონდა; ერთ უმთავრესს მათ შორის სამხედრო ბეგარა—„ლაშქარი" ანუ „ლაშქარ-ნადირობა" შეადგენდა. „ლაშქარი" („ლაშქარ-ნადირობა") ეს ისეთი ბეგარა იყო, რომლისაგანაც ქალაქის მოსახლეობის არც ერთი წოდება არ თავისუფლდებოდა. ერეკლე II-მ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მორიგეში" პირადი მონაწილეობისაგან გაანთავისუფლა მსხვილი ვაჭრები, რომ ისინი თავიანთ საქმიანობას არ მოწყვეტილიყვნენ, მაგრამ მათ მორიგეში შემცვლელი, სამაგიერო პირი უნდა გამოეყვანათ. ასე რომ, ლაშქარში მონაწილეობა ქალაქის მოსახლეობის ამ პრივილეგიური ფენისთვისაც სავალდებულო იყო, მით უფრო სავალდებულო იყო, ცხადია, „ლაშქარში მონაწილეობა" საჭირო შემთხვევაში ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის, წვრილი ვაჭრებისა და ხელოსნებისათვის. ამით აიხსნება, რომ ქალაქის მოსახლეობის ბეგარათა შორის ყოველთვის „ლაშქარიც" არის მოხსენებული[347]. „ლაშქარი" არ იყო მუდმივი სამხედრო ბეგარა, იგი საჭირო შემთხვევაში გროვდებოდა, ასე რომ მოლაშქრეს მუდმივად ყოფნა ლაშქარში თითქოს არ უხდებოდა. „დასტურლამალში" გორის მოსახლეობის შესახებ ნათქვამია: „ლაშქრობა — აძესთ, როდესაც ბატონს ეჭირების, უბრძანებს, თორემ ისრე მაგ გვარს დადგომაზე არ დაეძახებისო"[348]. ამასვე ადასტურებს ზაალ ბარათაშვილის განცხადებაც, რომლის მიხედვითაც, როცა ქვეყანას საშიშროება შეექმნებოდა, ქალაქში მოსახლე მისი ყმა ვაჭრები და ხელოსნები, სხვებთან ერთად, „გავლენ თავთავის ადგილას"[349]. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საქართველოს იმდროინდელ საგარეო მდგომარეობას, როცა ქვეყანას ყოველ წუთს საფრთხე ემუქრებოდა, ცხადია, „ლაშქრობაც" თითქმის მუდმივ ხასიათს ატარებდა.

სამხედრო ბეგარის ხასიათს ატარებდა აგრეთვე ე. წ. „ქეშიკიც"

---

[346] ГМГ, ф. Sd: № 2891, გვ. 107.
[347] ЦГИАГ, ф. 226, № 5195; იქვე, ф. 229, დავთ. 14, საბ. 110.
[348] დასტურლამალი, გვ. 19.
[349] ЦГИАГ, ф. 16, д. № 497, л. 40.

(მცველი, დაცვა), რომელთა გამოყვანაც ხშირ შემთხვევაში ქალაქის მოსახლეობაზე იყო დაკისრებული. „დასტურლამალში“ საგანგებოდ აღნიშნულია: „ბატონი (—მეფე) რომ სხუაგან წაბრძანდეს (ქალაქს), ქალაქის სასაჯლის ქეშიკი ჰსძესთ“[350]. მეფის სასახლის დაცვა, მისი ქალაქში არყოფნის დროს, ქალაქის მოსახლეობაზე ყოფილა დაკისრებული. „ქეშიკი“, როგორც ქალაქის მოსახლეობის ერთგვარი სამსახური სამეფო ხელისუფლების წინაშე, მოიხსენიება სხვა დოკუმენტებშიც[351]. ქალაქის მოსახლეობის ბეგრის ერთ სახეს ე. წ. „ულაყიც“ შეადგენდა, რაც მოქალაქეთა ხარჯით, ან კიდევ მათივე ცხენით თუ ურმით სამეფო საქონლის თუ პროდუქტის ერთი ადგილიდან მეორეში გადატანას გულისხმობდა. მაგ., გორის მოსახლეობას ედვა „ატენის ღვინოს ულაყი“[352], ე. ი. ატენის ღვინის ჩაზიდვა თბილისში; ცხინვალელებს კიდევ მეფის სარგო, რაც კი ქალაქში მოგროვდებოდა, თვით უნდა ჩაეტანათ[353]. ახალდაბელ ებრაელებს ქართველების მიერ სამეფოდ დაჭერილი თევზი თბილისს უნდა ჩაეტანათ[354] და სხვ.

„ულაყი“, როგორც ერთგვარი ბეგარა, ედოთ აგრეთვე თბილისის მოსახლეებსაც[355]. აღსანიშნავია, რომ ქალაქის მოსახლეობას არა მარტო მეფე სთხოვდა „ულაყს“, არამედ მისი უშუალო მებატონეც (ეკლესია, თავადი თუ სხვ.) და ქალაქის მოხელეებიც. მარიამ დედოფალი 1664 წ. საკათალიკოსო ეკლესიისადმი შეწირულ ერთ-ერთი ცხინვალელი ვაჭრის სითარხნის წიგნში სხვათა შორის წერდა: „ულაყი თუ არ კათალიკოზისაგან, სხუა რიგად არც მოურავისა, არც სხუისაგან არ ეთანხმებოდესო“[356]. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ქალაქის მოხელეები მოსახლეობის ცხენებით არათუ დროებით, არამედ დიდი ხნითაც სარგებლობდნენ, ისე რომ, გორელების სიტყვით, ქალაქის მოხელეთა „ხელში მოქალაქეთა ცხენები კვიცებსაც კი იგებდნენ“[357]. მეფის საგანგებო ბრძანება იყო საჭირო, რომ ქალაქის ესა თუ ის მცხოვრები „ულაყის“ სათხოვრისაგან გაეთავისუფლებინათ 1719 წ. ბაქარის მიერ თბილისში ჯვარის მონასტრის ქარვასლისადმი ბოძებულ სითარხნის წიგნ-

---

350 დასტურლამალი, გვ. 124.
351 ЦГИАГ, ф. 226, № 5195; იქვე, ф. 16, д. 497, л. 40.
352 დასტურლამალი, გვ. 124.
353 იქვე, გვ. 122.
354 იქვე, გვ. 121.
355 საქ. სიძველენი, II, გვ. 203.
356 ისტ. საბუთები, IV, გვ. 40.
357 ГМГ, ф. Qd: 7120.

ში ნათქვამია: „ნურას დაჭირვებისთვის ნურც ჩაფარი, ნურც სასწრაფო(დ) გაგზავნილი (შიკრიკი, შ. მ.) ცხენს ნუ გამოიყვანებენ“ ჯვარის მონასტრის ქარვასლიდანო[358].

„ულაყის“ ვალდებულება თავისთავად გულისხმობდა აგრეთვე „ტიკსა“ და „ტომარასაც“. მეფის ღვინის ან კიდევ პურეულის თუ სხვის ერთი ადგილიდან მეორეში გადასატანად სათანადო „ტიკი“ და „ტომარა“ იყო საჭირო. ულაყთან ერთად მათი თხოვებაც ქალაქის მოსახლეობის ვალდებულებას შეადგენდა. ამიტომაც ქალაქების მოსახლეობის სამეფო ვალდებულებებს შორის საბუთებში „ტიკი და ტომარაც“ ყოველთვის მოიხსენიება[359].

ქალაქის ბეგარას წარმოადგენდა აგრეთვე ქალაქში დროებით მოსულ სხვადასხვა პირთა ჩაყენება მოქალაქეთა სახლებში. მეფის საგანგებო ბრძანება იყო საჭირო, რათა მოქალაქის თუ ქალაქის მოსახლეობის სხვა ფენის წარმომადგენელი ასეთი ბეგარისაგან გაეთავისუფლებინათ. გიორგი XII 1799 წ. ბრძანებდა: „ფითუაშვილის აღას (ერთი უპირველესი ვაჭართაგანი იყო თბილისში, შ. მ.) სახლებსა და ამის დუქნებში დგომა არავისი იქნება, ყველამ ასე უნდა იცოდნენ, თუ გინდ დიდნი თუ გინდ მცირენი, თავადნი თუ აზნაურნი... ამის სახლებსა და დუქნებში ნურვინ დადგებით... ნურც ჩვენი ძმები და ნურც ჩვენი შვილები ნურვინ დადგებით, მანამდის ამის ნება არ იყოს“[360]. ამგვარ ბეგარას, როგორც ვახტანგ VI-ის 1712 წ. საბუთიდან ჩანს, „მდგმური“ ეწოდებოდა[361].

ზემოხსენებულ სახელმწიფო გამოსაღებთა და ბეგარათა გარდა, ქალაქის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვა საეკლესიო ფულადი გამოსაღები „დრამა“. ქ. თბილისში დრამა თბილელ ეპისკოპოსის სასარგებლოდ იკრიბებოდა. 1701 წ. საბუთში ნათქვამია: „ვინც მოქალაქე ალობარში (ავლაბარში, შ. მ.) დასახლდეს თფილელის მამამთავარს ჯელი აღარა აქვს და ვინც ალობრელი ქალაქში დასახლდეს, იმისი დრამა და საკანონო თფილელის მამამთავარმა მოიკითხოს“[362]. დრამა იკრიბებოდა სხვა ქალაქებშიც და იმ საეპისკოპოსოს მიჰქონდა, რომლის სამწყსოშიც ესა თუ ის ქალა-

---

358 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 51, საბ. 187.

359 იქვე, საბ. 179; საქ. სიძველენი, II, გვ. 203.

360 ЦГИАГ, ფ. 227, № 1456 (3), შდრ. აგრეთვე, ბაქარის 1719 წ. ბრძანება ჯვარის მონასტრის ქარვასლის (თბილისში) „კაცის ჩაყენების“ ანუ „მდგმურის“ ბეგარისაგან გათავისუფლების შესახებ. იხ. ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 51, საბ. 187.

361 საქ. სიძველენი, II, გვ. 451

362 თ. ᲓᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ, ქართლ-კახეთის საეკლესიო საბუთები, გვ. 214—215.

ქი ივარაუდებოდა. ქალაქის მოსახლეობა გარკვეულ გამოსაღებს იხდიდა აგრეთვე მონათვლის, „გვირგვინის კურთხევის“ (ქორწინების) და სხვ. შემთხვევაშიც, რომელსაც „საკანონო“ ეწოდებოდა. „საკანონოს“ ამა თუ იმ სახის გამოსაღები განსაზღვრული იყო, მაგრამ საეკლესიო ხელისუფალნი ზოგჯერ ხელოვნურად ზრდიდნენ სხვადასხვა სახის საეკლესიო გამოსაღებებს, რაც არაერთხელ ყოფილა ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენების ამბოხების მიზეზი.

როგორც ვხედავთ, ქალაქების მოსახლეობის სახელმწიფო და საეკლესიო ვალდებულებანი მრავალგვარი იყო. მაგრამ „ქალაქის სამსახური“ სამეფო ხელისუფლების წინაშე ამით როდი ამოიწურებოდა. ქალაქების მოსახლეობას მეფის ხელისუფლება აკისრებდა ქალაქების ფეოდალური აპარატის, მეფის მიერ დანიშნული მოხელეების შენახვას. მაგრამ ამ რიგის ვალდებულებებზე ჩვენ ქვემოთ, საქალაქო მმართველობის მიმოხილვასთან დაკავშირებით ვილაპარაკებთ.

* * *

როგორც ზემომოტანილი მასალებიდან ჩანდა, სხვადასხვა სახის სახელმწიფო გამოსაღებები (მახტას გამოკლებით) და ბეგარა გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში უმთავრესად ყმა ხელოსნებსა და ვაჭრებს აწვათ. მაგრამ მეფის, ერთი ექსპლოატატორის სამსახურს გარდა ქალაქების ყმურ მოსახლეობას უშუალოდ თავიანთი ბატონების, მეორე ექსპლოატატორის სამსახურიც ეკისრებოდათ. ასე რომ, ქალაქების ყმურ მოსახლეობას როგორც სამეფო, ასევე საბატონო გამოსაღებები და ბეგარა უნდა. ეხადა. ამიტომაც ამბობდნენ გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქების ყმა ხელოსნები და ვაჭრები — „მეფეს ჩვენის შეძლებით ვემსახურებით და ამას გარდა ჩვენი ბატონებიც ხომ ცალკე გვიმსახურებენო“.

ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალები შესაძლებლობას არ გვაძლევენ ზუსტად განვსაზღვროთ ყოველი ცალკეული ყმა ხელოსნის თუ ვაჭრის საბატონო ვალდებულებათა სახეები. ამიტომაც ჩვენ ამჟამად გვიანფეოდალური ქალაქების ძირითადი მოსახლეობის — ყმა ხელოსნებისა და ვაჭრების — საბატონო ვალდებულებათა ბუნების ზოგადი განხილვით დავკმაყოფილდებით.

ყმა ხელოსანთა და ვაჭართა ვალდებულებანი თავიანთი მებატონეების წინაშე სხვადასხვაგვარი იყო და მათი ვალდებულებათა

სახეების განსაზღვრა იმის მიხედვითაც ხდებოდა, თუ ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის ყმა. კერძო მებატონეთა ყმას სხვაგვარი ვალდებულებები ჰქონდა, ხოლო ეკლესიისას სხვა. პირველ რიგში საეკლესიო ყმა ხელოსანთა და ვაჭართა ვალდებულებებზე შევჩერდებით.

1703 წ. ერეკლე I-მა მის მიერ ქვაბთახევის მონასტრისადმი შეწირულ ვაჭრებს მონასტრის სამსახური ამგვარად განუსაზღვრა: „ორს ვაჭარი ოგიჯანაშვილი „მიართმევდეს ყოველს წელს მონასტერს ორს ლიტრს სანთელს და ნახევარ ლიტრს საკმელს“... ორსავე ვაჭარი მამინაშვილები და მამულაშვილები „უნდა მიართმევდეს ორს ლიტრს სანოელს,ნახევარ ლიტრს საკმელს და ორს ბამბის შულოსა“ (ნართი, ძაფი სანთლისათვის, შ. მ.)... „ტფილისს რაც ეკლესიის ყმანი ჩამოსულან და მონასტრისაგან ნასყიდნი ადგილნი და სახლკარნი მიცემიან, იდილელი კუჭულაშვილები, შაქერდაშვილი და მისი ძმა თამაზა, ბეჟუა, ბაღდასარა, გასპარა, ოსეფა, ხარაზი არუთინა, მეჭურჭლის არუთინას შვილები... კომლი კაცი დიდმარხვაში თვთო ლიტრს სანთელს და ჩარექს საკმელს და თუ ექმნებათ რა საბაჟო, ბაჟს უნდა მიართმევდნენ ეკლესიას“[333]. როგორც ვხედავთ. ორის ყმა ვაჭრების, თბილისელი ყმა ვაჭრების და ხელოსნების (ხარაზი, მეჭურჭლე) ვალდებულებანი ეკლესიის წინაშე ერთნაირია, როგორც ერთს, ისე მეორეს ეკლესიისათვის სანთელი და საკმელი, ზოგს კიდევ სანთლისათვის ნართი უნდა მიერთმია და ვაჭრობისათვის სათანადო ბაჟი უნდა გაეღო. ამგვარადვე განისაზღვრებოდა ყმა ვაჭრის ვალდებულება სხვა ქალაქებშიც. დომენტი კათალიკოსის 1707 წ. სიგლით ებრაელ ვაჭარს, რომელიც მანვე ცხინვალში დაასახლა, ყმური ვალდებულებანი ასე განუსაზღვრა: „წელიწადში მცხეთას ორს ლიტრს სანთელს მისის შულოთი მოიტანდეთო“[364]. „ყოველთავე ერთობით სვეტის ცხოვლისა... მოსამსახურეთა (ყმათა, შ. მ.), მოქალაქეთა ყოველთავე“ ვალდებულებანი კათალიკოსმა ანტონ I 1752 წ. სიგლით ასე განსაზღვრა: „თქვენი განწესებული ძველივე გაგიახლდეთ და ამ გუჯარითა ამას მოგვცემდეთ: სანთელი რაც სახელდობ წონით ყველას გაწერიათ... ბაჟს ნახევარს მოგვცემდით, ლაშქარსა და ნადირობას, რასაც ქალაქის კაცს დაუძახებენ, რაც თქვენ შემოგხვდეთ, იმ ანგარიშით კაცი ნუ დაგვაკლდებით, ორს თუმანს სამასპინძლოთ მოგვართმევდეთ წელიწადში ერთხელ, ჩვენი სამსახური ბეგარა

---

363 ЦГИАГ, ф. 230, დავთ. I, ნაწ. 5, საბ. 1.
364 ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 25, საბ. 43.

ამის მეტი არა დაგვიდვია რა"[365]. ასე რომ, საკათალიკოსო მოქალაქენი, ყმა ვაჭრები და ხელოსნები მცხეთის ეკლესიას აძლევდნენ, განურჩევლად მათი საქმიანობისა, ყველა ცალ-ცალკე მათზე „წონით გაწერილ" სანთელს, ბაჟის ნახევარს და ორ თუმანს „სამასპინძლოს". სხვა ვალდებულებანი მათ, თავიანთი ხელობით, ეკლესიის წინაშე არ ეკისრებოდათ. მოხსენებული „ლაშქარ-ნადირობა", როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო სამხედრო ბეგარა იყო, რომლისაგანაც ქალაქის მოსახლეობის არც ერთი ფენა, რა თქმა უნდა, არც კათალიკოსის ყმები, არ თავისუფლდებოდა.

ყმა ხელოსნის, მესაპირისწამლე (თოფის წამლის მკეთებელი) ივანესა და მის შვილთა ვალდებულებანიც თბილისის საეპისკოპოსო ეკლესიისადმი ყოველწლიურად ჩარექნახევარი სანთლის (ჩარექი ლიტრის 1/4), ნახევარი ჩარექი საკმელის და აგრეთვე აღდგომა-ახალწელიწადს ძღვენის მირთმევით ამოიწურებოდა[366]. ამგვარადვე იყო განსაზღვრული სიონის ეკლესიის სხვა ყმათა ვალდებულებანიც, რომელთა შორის არაერთი იყო სხვადასხვა ხელობის მცოდნე ოსტატი[367]. ასევე, სანთელ-საკმლის გაღებით ემსახურებოდნენ ეჩმიაძინის ეკლესიას მისი ყმა ხელოსნები და ვაჭრებიც. საინტერესოა, რომ ეჩმიაძინის ყმა მეურმეს ეკლესიისათვის უნდა მიერთმია ყოველ წელიწადს „ერთი ჩარექი წმინდა სანთელი და ათი შაური საწირავი"[368]. ამგვარადვე იყო დასავლეთ საქართველოს ქალაქებშიც: სოლომონ II-ის 1789 წ. გელათისადმი მიცემული ვაჭრების შეწირულობის წიგნში ნათქვამია: შევწირე გელათს „სამი მოსახლე ურია კოკისშვილები და ერთი მოსახლე ანდრია მიქელასშვილი. ამ ვაჭრებს დავდევით ბეგარათ ურიას კოკისშვილს... თუთხმეტი მარჩელი თეთრი, ლიტრა სამთელი; მეორეს მოსახლეს კოკისშვილს დანიელას დავდევით თხუთმეტი მარჩილი თეთრი და ერთი ლიტრა სამთელი; მესამეს მოსახლეს კოკისშვილს დავდევით იოსებს რვა მარჩილი თეთრი და ნახევარი ლიტრა სამთელი. ანდრია სომეხს მიქელაშვილს დავდევით ხუთი მარჩილი თეთრი და ნახევარი ლიტრა სამთელი. ეს ორმოცდა სამი მარჩილი თეთრი და სამი ლიტრა სამთელი ამ ვაჭრების ბეგარა... გენათელს

---

[365] ГМГ, ფ. Sd 2964, გვ. 193—194.

[366] ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. 1. ნაწ. 2, საბ. 34.

[367] იქვე, საბ. 49, 63, 64, 66—70.

[368] იქვე, ფ. 229, დავთ. 43, საბ. 63.

მიერთმეოდეს. გენათელმან ვაჭრების საქმე გაშინჯოს და თუმცა შეიმატონ (ვაჭრობაში, შ. მ.) ბეგარასაც მოუმატოსო"[369].

როგორც ვხედავთ, ეკლესიის ყმა ხელოსნებისა და ვაჭრების ვალდებულება ეკლესიის წინაშე ერთმანეთისაგან არსებითად არ განირჩეოდა. ხელოსანი ეკლესიასა და მონასტერს თავისი ხელობით კი არ ემსახურებოდა, არამედ ამ ხელობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილით. ისეთი ხელოსნები, რომელნიც ეკლესიისა და მონასტრის წინაშე თავიანთი ხელობით წევდნენ სამსახურს, გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში გამონაკლისს შეადგენდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დომენტი III კათალიკოსის 1705 წ. საბუთი: „ესე ბიძის ჩემისა დიდისა... კათალიკოზ-პატრიარქის დომენტის... წინაწყაროს მარქარა ეყიდა და ქალაქს (თბილისს) დაესახლებინა და კარგი ხელოსანი შვილები გამოსვლოდა: დურგალი ერთი გიორგი და დურგალი მეორე ოსება და ერთი მჭედელი ავეტიზა და ერთი ჭონი ასლამაზა. ესენი, ეს მოხელენი (ხელოსანნი, შ. მ.) ვათარხნე, რომ ჩვენს საქმეს ესენი უპელფასოდ გააკეთებდეთ, რისაც ხელოსნები იყოს — დურგალი დურგლობითა, ჭონმა ჭონობითა და მჭედელმან მჭედლობითა, რაც საჩვენო გავაკეთებინოთ, ჯელფასი არ მოგეცემოდესთ და სხვარიგ გვითარხნებიხართ სვეტის ცხოვლისა, როგორც გედვათ, სანთელი თუ სხვა შესავალი მიართმევდეთ და სხვა საჩვენო სადები, სადამდი ჯელოსნობა იცოდეთ, არ გეთხოებოდესთ რა, არა ძალი, არა ბეგარა, არა ტიკი და ტომარა, არა ულაყი, არა სხუა წურილმანი სათხოვარი... სადამდი ჯელოსანი იყო, თქუენც თარხანი იყოთ და თუ არა. ნუ იქნებით"[370]. ამ მნიშვნელოვანი საბუთიდან ირკვევა: 1. თუ ხელოსნები თავიანთ ბატონთან საგანგებო პირობით არ იყვნენ შეკრულნი, მათთვის საჭირო ნივთების გაკეთებაში ხელფასს იღებდნენ. 2. მაგრამ, თუ ბატონი მათ სახელმწიფო და სხვა საბატონო ვალდებულებებისაგან გაათავისუფლებდა, ხელოსნები თავიანთ ბატონს თავიანთი ხელობით ემსახურებოდნენ და ამისათვის ხელფასი არ მიეცემოდათ. 3. ისეთი ხელოსანი, რომელიც ბატონს ხელობით ემსახურებოდა, სხვა ვალდებულებებისაგან თავისუფლდებოდა. 4. ეს სითარხნე მუდმივი არ იყო: იგი სხვა გამოსაღებისაგან მანამ თავისუფლდებოდა, „სადამდი ჯელოსანი იყო". საბუთიდან არ ჩანს, რომ ხელოსნებს — დურგალს, მჭედელს, ჭონს — აკრძალული ჰქონდეთ ბაზრისათვის მუშაობა. აღსანიშნავია, რომ

---

[369] იქვე, ფ. 226, № 2190.

[370] საქ. სიძველენი, II, გვ. 203.

ზემოხსენებულ ხელოსნებს, თავიანთი ხელობით სამსახურს გარდა, სვეტიცხოვლის ეკლესიის სანთელი და სხვა ფულადი სამსახურიც (შესავალი) ედოთ, რაც რა თქმა უნდა, ბაზრისათვის მუშაობით მიღებული შემოსავლიდან უნდა გაეღოთ. ასე რომ, ის ხელოსნებიც კი, რომელნიც თავიანთი ხელობით წევდნენ ბატონის წინაშე სამსახურს, გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში ბაზრისათვისაც მუშაობდნენ. ამას გვაფიქრებინებს აგრეთვე 1612 წ. ერთი საბუთიც, საიდანაც ირკვევა, რომ კათალიკოსის ყმა მეჭურჭლე (თიხის ჭურჭლის მკეთებელი) გიორგი, რომელსაც თბილისში ქურაც ჰქონდა, სვეტიცხოველს ყოველწლიურად სანთელს აძლევდა და ამას გარდა, რაც კათალიკოსს დასჭირდებოდა—ჭურჭელს[371]. ეს უკანასკნელი (ჭურჭლის მიცემა), როგორც საბუთშია ნათქვამი, „ქურის ვალდებულება“ იყო. ცხადია, ქურაში გამომწვარი ჭურჭელი ყველა კათალიკოსს როდი მიჰქონდა, მისი დიდი ნაწილი ბაზარზე გადიოდა და სწორედ ეს აძლევდა მეჭურჭლე ხელოსანს შესაძლებლობას საკათალიკოსო ეკლესიის სხვა ვალდებულებაც (ყოველწლიური სანთელი) გაესტუმრებინა.

როგორც ჩვენთვის ცნობილი მასალები გვარწმუნებს, ისეთი ხელოსნები, რომელნიც ეკლესიის წინაშე სამსახურს თავიანთი ხელობით წევდნენ, მაინც მცირე რაოდენობით იყვნენ. ხელოსანთა უმეტესობა კი თავისი ბატონის სასარგებლოდ შემოსავლის ერთ ნაწილს იღებდა. საეკლესიო ყმა ხელოსანთა და ვაჭართა გამოსაღებებიც არსებითად ფულადი იყო. რა თქმა უნდა, მხოლოდ ფულით შეეძლო შეეძინა მეურმეს, მესაპირისწამლეს თუ სხვა ხელობის წარმომადგენელ ყმა ხელოსანს ეკლესიისათვის მისართმევი სანთელი და საკმელი. ასევე ფულადი გამოსაღები იყო, როგორც ვნახეთ, სამასპინძლოც და სხვ. მაგრამ ეკლესია თავისი ყმა ხელოსნისაგან და ვაჭრისაგან უშუალოდ ფულის მიღებას ჯერ კიდევ ამჯობინებდა სანთელი და საკმელი მიეღო მათგან. ამ შემთხვევაში გვიანფეოდალური ქალაქების ხელოსნებისა და ვაჭრების არსებითად ფულადი გამოსაღები ეკლესიის მიმართ თითქოს ნატურალური გადასახადის სახეს, ფორმას იღებდა. თუმცა გამოსაღებთა ამგვარი გარეგანი სახეც კი, სასაქონლო წარმოების შემდგომი განვითარების წყალობით, XVIII ს. მიწურულისათვის არსებითად შეიცვალა. აღსანიშნავია, რომ საკათალიკოსო ეკლესიის თბილისში მოსახლე ყმათა მოთხოვნით, ან როგორც საბუთშია ნათქვამი, „მოქალაქეთა თხოვნისაებრ“, კათალიკოსი იძულებული გამხდარა

---

[371] ГМГ, ф. Ad: 1708,

სანთელ-საკმელის გამოსაღები 1792 წ. ფულადი ერთიანი გამოსაღებით შეეცვალა და თბილისის ყმა მოსახლეობისათვის ყოველწლიურად სანთელ-საკმელის მაგიერ 20 თუმნის (200 მან.) გამოღება დაეკისრებინა. ამას გარდა, ქალაქში მოსახლე ყმებს უნდა გაეღოთ ძველებურად „სამასპინძლო ძღვენი და სუფრების საჩეცხი საპონი“[372]. „სამასპინძლო“, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ფულადი გამოსაღები იყო. ასე რომ, XVIII ს. მიწურულისათვის თბილისში ეკლესიის ყმა ხელოსნები და ვაჭრები ძირითადად (ფორმალურად და ფაქტობრივადაც) ფულად გამოსაღებებს იხდიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ კერძო საბატონო (საუფლისწულო, სათავადაზნაურო) ყმა ხელოსნები და ვაჭრები გვიანფეოდალურ ქალაქებში არანაკლებ მრავალრიცხოვანნი იყვნენ, ვიდრე საეკლესიო, ჩვენ კერძო საბატონო ყმა ხელოსანთა და ვაჭართა ვალდებულებების შესასწავლად შედარებით მცირე მასალა მოგვეპოვება. თუკი ეკლესია-მონასტრების ყმების სამსახური ქალაქებში ეკლესიის წინაშე, XVIII ს. მიწურულამდე. ძირითადად სათანადო რაოდენობის სანთელ-საკმელის მიტანაში გამოიხატებოდა, ცხადია, ამგვარი ვალდებულებანი საერო ფეოდალების ყმა ხელოსნებს არ შეიძლებოდა ჰქონოდათ და მათი სამსახურიც უმთავრესად ფულადი გამოსაღებებით განისაზღვრებოდა. ჩვენთვის ცნობილი მასალებიდან ირკვევა, რომ საერო ფეოდალების ყმა ხელოსნები და ვაჭრები თავიანთ ბატონებს შემოსავლის ერთ ნაწილს აძლევდნენ. ამას გარდა, ისინი სხვადასხვა სახის საბატონყმო სამსახურსაც წევდნენ. ამ საკითხის გასარკვევად საინტერესო ჩანს კალატოზი ხელოსნის „ყმობის წიგნი“, მიცემული თავისი ბატონის ერასტი გოსტაშაბაშვილისადმი.

საბუთის მიხედვით, წერაქველ კალატოზ სტეფანას რამდენიმეჯერ თავისი ბატონის ყმობაზე უარი უთქვამს და ქალაქს გამოქცეულა, მაგრამ ფეოდალურმა სამართალმა კალატოზს ძველი ბატონის ყმობა ისევ გადაუწყვიტა და ხელოსანიც იძულებული გახდა ერასტი გოსტაშაბიშვილისათვის ახალი „ყმობის წიგნი“ მიეცა. როგორც ყმა ხელოსანი, იგი ვალდებული იყო, სანამ ქალაქში იქნებოდა, ანუ როგორც ყმობის წიგნშია ნათქვამი, „მანამ სანამ საკუთარ მამულზე (ე. ი. სოფელ წერაქვში) მისვლა ეღირსებოდა“, ბატონისათვის წელიწადში 5 მინალთუნი მიეცა, შობასა და აღდგომას ძღვენი მიერთმია და სხვა წვრილმანი საბატონო სამსახუ-

---

[372] ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. 1, ნაწ. I, საბ. 178.

რიც გაეწია[373]. როგორც ჩანს, ქალაქში მოსაქმე კალატოზი ხელოსანი ვალდებული იყო ბატონისათვის თავისი შემოსავლის ნაწილი გაეღო. შობისა და აღდგომის ძღვენიც, ისე როგორც ე. წ. „სამასპინძლო“, აგრეთვე ფულადი გამოსაღები იყო. ასე რომ, ქალაქში მყოფი ყმა ხელოსანი თავისი ხელობით კი არ ემსახურებოდა ბატონს, არამედ ფულადი გამოსაღებით.

ამასვე გვიდასტურებს სხვა მასალაც. მირიან ბატონიშვილს ქ. თელავში 24 კომლი ყმა ჰყავდა, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ეხადათ 10—10 მანეთი ვერცხლი მთელი ოჯახისათვის[374]. ამგვარადვე, დარეჯან დედოფლის ყმები (მოქალაქეთა გარდა)—თბილისში 18 კომლი, ყოველწლიურად მას 50 მან. აძლევდნენ ფულად[375]. რაკი ქალაქში მოსაქმე ყმა ხელოსნისა და ვაჭრის ვალდებულებანი ბატონის წინაშე ფულით განისაზღვრებოდა და არა მისი პირადი სამსახურით, ბატონს იმ სამუშაოსათვის, რასაც ხელოსანი შეუსრულებდა, თავის ყმა ოსტატისათვის სათანადო ხელფასი უნდა მიეცა. მაგრამ „ბატონყმობის ნორმები“ ფეოდალურ ქვეყანაში ხშირად ირღვეოდა და ყმა ხელოსანს თავისი ბატონი ხშირად უხელფასოდაც იმსახურებდა. როგორც 1789 წ. დოკუმენტიდან ირკვევა, თიხის ჭურჭლის მკეთებელი თბილისელი ხელოსანი თავისი ბატონისა და მისი შვილების მიერ წლების განმავლობაში წაღებული ჭურჭლების საფასურს მოითხოვდა. მარტო დედოფალ დარეჯანს (მეჭურჭლე ხელოსნის მფლობელს) ათი წლის განმავლობაში 320 მანეთის ჭურჭელი წაუღია. ბატონიშვილებს კიდევ ცალ-ცალკე მიჰქონდათ თურმე, მაგრამ მათი საფასური ამ ხნის განმავლობაში, თუმცა ეკუთვნოდა, „ერთი ფიელი (грош) არ მისცემია“. ბატონისა და მისი შვილების ამგვარი, არაკანონიერი დამოკიდებულება ხელოსნის შრომისადმი, მეჭურჭლეს, როგორც თვით აცხადებდა, ბატონის წინაშე წესიერი (ნორმალური), ყმური სამსახურის გაწევის შესაძლებლობას უსპობდა[376]. მსგავსი მაგალითები არაერთი იყო გვიანფეოდალურ ქალაქებში.

როგორც ზემოთაც ვნახეთ, ქალაქებში მოსაქმეობდნენ ისეთი ხელოსნებიც, რომელთაც სოფელთან კავშირი არ ჰქონდათ გაწყვე-

---

373 საქ. სიძველენი, II, გვ. 159—160.

374 ЦГИАГ, ф. Канц. МВД, опис 471, д. 10—19, л. 246.

375 ЦГИАГ, ф. 226, № 9128.

376 ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, II, გვ. 261 (ხელნაწ.).

ტილი, ან რომელთა ოჯახები სოფელში იყვნენ. ასეთ ხელოსნებს თავიანთი ბატონებისათვის სამსახური უნდა გაეწიათ არა მარტო ქალაქში მიღებული შემოსავლის ნაწილით, არამედ აგრეთვე სოფელშიც თავისი მეურნეობით. ზემოდასახელებული კალატოზი სტეფანა, რომელიც ქალაქში მუშაობდა, თავის ბატონს, ფულად გამოსაღებებს გარდა, პირდებოდა: „სასოფლო შესაწერი ხარჯი, როდესაც შესწერდეს ჩემს მეზობლებთანაც, ჩემის შეძლებით გავიღოო"[377]. ამასვე ადასტურებს ზაალ ბარათაშვილის განცხადება, რომ სათავადაზნაურო ყმები ქალაქში „უმეტესი ნაწილი სოფლელნი არიან" და ზოგი გადასახადების გადახდაში „იმათთან (ე. ი. სოფლელებთან, შ. მ.) ირიცხებიანო"[378].

ქალაქში მოსახლე სათავადაზნაურო ყმა ხელოსნებსა და ვაჭრებს, ისევე როგორც საეკლესიო ყმებს, თავიანთი ბატონის წინაშე ზემოაღნიშნულ მთავარ გამოსაღებთა გარდა სხვადასხვაგვარი წვრილმანი სამსახურიც ემართათ, მათ შორის ერთი ე. წ. „მდგმური" იყო. მებატონეები, რომელთაც ქალაქებში არ ჰქონდათ სასახლეები (და ასეთი უმეტესობა იყო), ქალაქში ჩამოსვლის შემთხვევაში, იკავებდნენ თავიანთი ყმების სახლ-კარს და იქ ცხოვრობდნენ. ან კიდევ მისთვის სასურველ პირს აყენებდნენ ქალაქში მცხოვრებ ყმის სახლში. ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობა დაცული აქვს XVII ს. ავტორს დიონიჯიო კარლის. მისი სიტყვით, ქართველ თავადაზნაურთა უმეტესობას თბილისში სახლები არ გააჩნიათ და როცა ისინი, სხვადასხვა გარემოებათა გამო, თბილისში ჩამოდიან, ყმებმა მათ თავიანთი საცხოვრებელი სახლები უნდა დაუთმონ. ქალაქში ყმებს დიდებულები აგდებენ საკუთარი სახლიდან და ან კიდევ რომელიმე ძველ ქოხში გადაიყვანენ, თვით კი სხვის მზამზარეულ ბინებს იჭერენ და „თანაც ამბობენ, რომ ასე თუ იქცევიან ეს იმის მაჩვენებელია, რომ „ისინი (დიდებულები) სრულუფლებიანი პატრონები არიან და ესენი კიდევ მათი ყმებიო"[379].

საბატონო და საეკლესიო ყმებს ქალაქებში თავიანთი ბატონის წინაშე სხვა ვალდებულებანიც ჰქონდათ, რომელთაც საბუთებში ჩვეულებრივ „წვრილმანი სათხოვარი" ეწოდება. ამგვარ სათხოვარში ივარაუდებოდა ე. წ. „ულაყი", „ტიკი-ტომარი" და სხვა, რომელთაც ქალაქის მოსახლეობა როგორც მეფის, ასევე მისივე უშუალო

---

377 საქ. სიძვ., I2, გვ. 160

378 ЦГИАГ, ф. 16, д. 497, л. 40.

379 დ ი ო ნ ი ჯ ი ო კ ა რ ლ ი, თბილისის აღწერა, МИГК, в. 29, 1951, გვ. 180.

ბატონისათვის ასრულებდა. როგორც ზემოთაც ვნახეთ, კათალიკოსის ყმებს თბილისში კათალიკოსისათვის „ულაყით“ სამსახური ედოთ[380]. საბატონო, საეკლესიო ყმებს, რა თქმა უნდა, თავიანთი ბატონისათვის „მუშაობაც“ ემართათ. ამ შემთხვევაში უფრო მეტად ყმა ხელოსნები იყვნენ ექსპლოატირებულნი, რომელთა უფასო შრომაც განსაკუთრებით საჭირო იყო მებატონის ცალკეულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ქალაქის მოსახლეობის ვალდებულებათა ზემომოტანილი მიმოხილვა შესაძლებლობას გვაძლევს შემდეგი მოკლე დასკვნები გავაკეთოთ:

1. გვიანფეოდალური თბილისის ე. წ. „მოქალაქეები“ და საქართველოს სხვა ქალაქების სამეფო ვაჭრები, მოსახლეობის ზედაფენა, მეფის ხაზინისათვის წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის მახტას იხდიდნენ, რომელიც საკომლო გამოსაღები იყო და მოქალაქეებზე და სამეფო ვაჭრებზე ქონებრივი შეძლების მიხედვით ნაწილდებოდა.

2. ქალაქის ძირითადი მოსახლეობა — ყმა ხელოსნები და ვაჭრები — ზედაფენასთან ერთად, იხდიდა ყველა დანარჩენ სახელმწიფო გამოსაღებს—მალს, „თვის შაურს“, „სამასპინძლოს“. ყველა ესენი ფულადი გამოსაღები იყო. საქართველოს „მცირე ქალაქებში“ XVII—XVIII სს. ფულად რენტასთან ერთად ჯერ კიდევ ნატურალური რენტაც გვხვდება, რაც თავის მხრივ სასაქონლო წარმოებისა და საერთოდ საქალაქო ცხოვრების განუვითარებლობაზე მიგვითითებს.

3. საქართველოს ყველა ქალაქის მოსახლეობის ყოველწლიური გამოსაღები—„სურსათი“ XVIII ს. და XIX ს. დამდეგსაც ნატურალური გამოსაღების სახეს ატარებდა. როგორც ნატურით, ასევე ფულით ისტუმრებდა ქალაქის მოსახლეობა ე. წ. „სალეკოს“, „სარუსოს“ და სხვ.

4. გარკვეული სამეფო, საკათალიკოსო ვალდებულებანი ჰქონდა აგრეთვე ქალაქის მოსახლეობის ბაღებსა და ბოსტნებს.

5. ქალაქის მოსახლეობის სახელმწიფოებრივი ბეგარა უმთავრესად სამეფო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა (მეფის სარეწავები, ციხეები, ხიდები და სხვ). შენება-შეკეთებაში, „ლაშქარ-ნადირობაში“, „ქეშიკის გაყვანაში“, „ულაყსა“, „ტიკსა და ტომარასა“ და „მდგმურში“ გამოიხატებოდა.

---

[380]ისტ. საბუთები, IV, გვ. 40.

6. ქალაქის ყმა ხელოსნები და ვაჭრები ზემოაღნიშნულ საბელმწიფო გამოსაღებ-ბეგარათაგან მხოლოდ მახტისაგან თავისუფლდებოდნენ. მათ მახტაც რომ ეხადათ, ერთ-ერთი ფეოდალის განცხადებისა არ იყოს, „როგორლა საბატონო ყმანი იქნებოდნენ“. ყმა ხელოსნებსა და ვაჭრებს მსგავსი ფულადი გამოსაღები თავიანთი უშუალო ბატონისათვის უნდა მიეცათ.

7. ყმა ხელოსანთა და ვაჭართა საბატონო სამსახური ძირითადად მათი შემოსავლის გარკვეული ნაწილის გაღებით ისაზღვრებოდა და არა მათი საქმიანობით, უფასო ხელოსნური თუ ვაჭრული შრომით. ასე რომ, ძირითადი საბატონო გამოსაღებიც არსებითად ფულადი რენტის სახეს იღებდა. ამიტომაც ბატონი იურიდიულად ვალდებული იყო ყმის მიერ მისთვის გაწეული შრომისათვის ხელფასი მიეცა. მაგრამ იურიდიული ნორმები ფეოდალურ საქართველოში ხშირად ირღვეოდა და მებატონე, ყმის შემოსავლის ნაწილთან ერთად, მის უფასო შრომასაც ითვისებდა.

8. გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში იშვიათად იყო ისეთი ყმა ხელოსანი, რომელიც თავის მფლობელს უფასო ხელოსნური შრომით უნაზღაურებდა საბატონო ვალდებულებებს. ასეთი ხელოსნები არა მარტო თავიანთი მფლობელისათვის, არამედ ბაზრისთვისაც აწარმოებდნენ. მებატონე კი, თავის მხრივ, არათუ ხელს უშლიდა ყმა ხელოსნის მუშაობას ბაზრისათვის, არამედ ხელს უწყობდა კიდეც მას სოფლიდან ქალაქში გადმოსახლებით, საქალაქო ცხოვრებაში ჩაბმით.

9. ამრიგად, გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში ბაზრისათვის აწარმოებდნენ არა მარტო ის ყმა ხელოსნები, რომელნიც ბატონს შემოსავლის ნაწილის გაღებით ემსახურებოდნენ, არამედ ისინიც კი, რომელნიც საბატონო ვალდებულებებს უფასო ხელოსნური შრომით იხდიდნენ. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში თავისუფალი ხელოსნური შრომა ისე სუსტად იყო წარმოდგენილი, რომ მას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ბაზრის მოთხოვნილება, რომ ქალაქებში თავისუფალ ხელოსნურ შრომას არსებითად ცვლიდა ყმა ხელოსანთა შრომა. ამ თვალსაზრისით XVI—XVIII სს. საქართველოს ქალაქები არსებითად განსხვავდებოდნენ XI—XIV სს. ქალაქებისაგან, სადაც ძირითადს თავისუფალი მწარმოებლის შრომა შეადგენდა.

2) ქალაქის ფეოდალური არისტოკრატია

გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების მოსახლეობაში, ფართო გაგებით, ივარაუდებოდნენ აგრეთვე გაბატონებული კლასის წარმომადგენლებიც — ფეოდალური არისტოკრატია. მართალია, ისინი რიცხობრივად ქალაქებში, მის ძირითად მოსახლეობასთან შედარებით, მცირენი იყვნენ, მაგრამ საქალაქო ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ, როგორც გაბატონებული სოციალური წრის წარმომადგენლები.

ჯერ ერთი, როგორც დავინახეთ, საერო თუ სასულიერო ფეოდალები ყმა ხელოსნებსა და ვაჭრებს საკმაოდ დიდი რაოდენობით ფლობდნენ. მათი ყმები იყვნენ სწორედ ქალაქში ეკონომიკური დოვლათის შემქმნელები. ამას გარდა, ამ ყმების შემწეობით ფეოდალური არისტოკრატია მონაწილეობას იღებდა საქალაქო ცხოვრებაში. მეფის, ეკლესია-მონასტრების, თუ კერძო მებატონეთა ყმა ვაჭრებს ზოგ შემთხვევაში თავიანთი მებატონის ზედმეტი პროდუქტებიც გაჰქონდათ ბაზარზე. თვით მეფეც, როგორც იოანე ბატონიშვილის პროექტიდან ჩანს, მონაწილეობდა ქალაქის აღებ-მიცემაში. იოანე ბატონიშვილი მოითხოვდა კიდევ უფრო გაფართოებულიყო მეფის მონაწილეობა ქალაქის ვაჭრობაში; სამეფო დუქნებში უნდა გაყიდულიყო „ფარჩებიც და სხუა კარგი ნივთები, აგრეთვე საიდგანაც ფეშქაშები მოერთმევა მეფესა, რაც ენებება იმგვარს ნივთებსაც გააყიდვინებს... აგრეთვე სამჯედრო იარაღთა და აქედამაც კარგი შემოსავალი ექნება მეფეს“[381]. ამგვარადვე, თავიანთი ვრცელი ფეოდალური მამულებიდან მიღებული შემოსავლის ერთი ნაწილით ქალაქებში ვაჭრობას აწარმოებდა ეკლესიაც. საბუთებში ჩვენ ხშირად გვხვდება გამოთქმები — „კათალიკოზის სავაჭრო“ და ვაჭრები, რომელნიც „კათალიკოზის სავაჭროს აიღებენ“[382] და სხვ. მსგავსი, რაც კათალიკოსის ვაჭრობაში მონაწილეობაზე მიგვითითებს. ამით აიხსნება, რომ ეკლესია დაინტერესებული იყო თავისი ყმების ერთი ნაწილი ქალაქში გადმოეყვანა და აქ მათთვის ადგილი, სახლ-კარი და დუქნები მიეცა, რომ მათ საქალაქო ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმის შესაძლებლობა ჰქონოდათ. როგორც ერეკლე I-ის 1703 წ. სიგელიდან ჩანს, ქვაბთახევის მონასტერს თავისი ყმების ერთი ნაწილი თბილისს გადმოუსახლებია და მათთვის „მონასტრისაგან ნასყიდნი ადგილნი

---

[381] ГМГ, ფ. Н 2155, გვ. 41.

[382] ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. 1, ნაწ. 1, საბ. 130.

და სახლკარნი“ მიუცია. ქალაქში გადმოსახლებული ქვაბთახევის ყმების უმეტესობა ვაჭარი იყო და რამდენიმე კიდევ ხელოსანი[383].

თავიანთი ვაჭარ-აგენტების თუ ყმა ვაჭრების საშუალებით ვაჭრობას აწარმოებდნენ თავადებიც. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ვაჭარ-აგენტები ჰყავდათ საქართველოსა და რუსეთის ქალაქებში (მოზდოკში, ასტრახანში) თუმანიშვილებს[384]; ამგვარადვე, ვაჭარ-აგენტების შემწეობით ვაჭრობას აწარმოებდა შემახიაში, ასტრახანში და სხვაგან დედოფლის სახლთუხუცესი და მდივანი თავადი იოანე ბეგთაბეგიშვილიც[385]. საინტერესოა, რომ თავადი ოთარ ამილახვარი თავისი ყმების შემწეობით ასაღებდა მის მამულშივე დამზადებულ აბრეშუმს. ამილახვრის ყმა აზნაური ვაჭარი უთრუთ ყანჩელი 1803 წ. ციციანოვს მოახსენებდა: „ოთარ ამილახვარმა ყოშაქლისას, თავის მამულში, ცოტა აბრეშუმი გააკეთებინა. ის აბრეშუმი გორს მინდოდა წამეღო. სომხითის კაპიტან-სპრავნიკმა არ დამანება. მამული ამილახვრისაა, თუთაც იმისა და თვითონ ამილახვარმა გააკეთებინაო“[386]. მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა.

ფეოდალური არისტოკრატიის მონაწილეობა საქალაქო ცხოვრებაში ამით არ ამოიწურებოდა. ისინი ქალაქებში, ყმებთან,ერთად, სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობებს, სხვადასხვა სახის სარეწავებსა და სხვ. ფლობდნენ, საიდანაც მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდნენ. ამ მხრივაც ყველაზე დიდი მფლობელი გვიანფეოდალურ ქალაქებში მეფე და მისი ოჯახი იყო. მაგ., თბილისში მეფეს ჰქონდა თავისი ქარვასლა, რომელსაც ამგვარადვე „ბატონის (მეფის) ქარვასლა“ ეწოდებოდა[387]. მასვე ჰქონდა აბანო, სხვადასხვა სახის სარეწავები. ყველა ესენი მეფის მიერ იჯარით იყო გაცემული და იგი მათგან ყოველწლიურ შემოსავალს ღებულობდა. როსტომ მეფემ სამეფო ქარვასლის იჯარიდან 1650 წ. ერთი ნაწილი, წელიწადში 100 მარჩილის (60 მინალთ.) რაოდენობით, სიონის ეკლესიას დაუთმო[388]. „დასტურლამალის“ მიხედვით XVIII ს. დამდეგისათვის მე-

---

383 იქვე, ფ. 230, დავთ. 1, ნაწ. 5, საბ. 1.

384 ГМГ, ф. Hd 7730, 760, 7092.

385 ЦГИАГ, ф. 227, № 7084.

386 იქვე, ф. 226, № 9109.

387 ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 7, საბ. 1; იქვე, დავთ. 19, საბ. 40; იქვე, დავთ. 18, საბ. 13 და სხვ.

388 ЦГИАГ, ф. 226, № 5006; Ср. Д. Пурцеладзе, Церк. Грамоты, с. 57.

ფის აბანოს იჯარა 12 თუმანს უდრიდა ყოველწლიურად[389]. „დასტურლამალის“ მიხედვითვე მეფეს ჰქონდა აგრეთვე ქალაქში „დაბა-ხანა“ (ტყავის დამამზადებელი სარეწაო), რომელიც ყოველწლიურად იჯარით 28 (ზოგჯერ მეტ-ნაკლებად) თუმნად გაიცემოდა[390]. ასევე, სამეფო ქუზახანის (ჭურჭელთა გამოსაწვავი ქურის) იჯარა წლიურად 20 მარჩილს უდრიდა და სხვ[391]. მეფის სარეწაოთა რაოდენობა თბილისში მნიშვნელოვნად გაიზარდა ერეკლე II-ის მოღვაწეობის დროს. ყველა ისინი იჯარით იყო გაცემული, მოიჯარადრეებს ყოველთვის ვაჭრები ან კიდევ ცალკეული ოსტატები შეადგენდნენ. სამეფო ხელისუფლება ამგვარი იჯარებით აქტიურად მონაწილეობდა საქალაქო ცხოვრებაში. სამეფო ხელისუფლება შემოსავალს იღებდა აგრეთვე ქალაქების ბაღებისაგანაც, იმ ადგილებისაგან, რომელსაც ისინი ქალაქში ფლობდნენ. თუკი რომელიმე პირი ქალაქში მეფის კუთვნილ ადგილზე დუქანს ან კიდევ სახლს გააშენებდა, საამისოდ მას ყოველწლიურად „ალაგის ქირა“ უნდა მიეცა: „შენობა ჩემი იყო და ალაგი ჯელმწიფისა... როგორც მე ჯელმწიფის. ალაგის ქირა მიმიცია, შენც ისე ქირა უნდა მისცეო“—ნათქვამია ერთ-ერთი ხელოსნის მიერ გაცემული დუქნის ნასყიდობის სიგელში[392]. მეფეს თბილისს გარდა სხვა ქალაქებშიც ჰქონდა სამოსახლო ადგილები, აბანოები თუ სხვ. მაგ., გორში სამეფო ხელისუფლებას ეკუთვნოდა „მეფეების სასახლის ალაგი... და წინ დიდი მეიდანი“, მეფეების ნაზვრევი, თავისი მარნითა და საწნახლით, ორი დარბაზი, აბანო, ნაბაღვარი, სახლები და სხვ., რომელიც 1803 წ. ანგარიშით დაახლოებით 2000 მან. ღირებულებისა იყო [393].

მეფეს გარდა, ქალაქებში ადგილის, დუქნების, სარეწავების და სხვ. მფლობელები იყვნენ დედოფლებიც. დარეჯან დედოფალს, მაგ., ქ. გორში ჰქონდა წისქვილი, სამღებრო, რომელიც იჯარით იყო გაცემული და საიდანაც დედოფალი საშუალოდ ყოველწლიურად 160 თუმანს იღებდა. მასვე თბილისში ჰქონდა ორი ბაღი, რომელთა იჯარიდან 24 თუმანს იღებდა, სამღებროები, რომელიც გაიცემოდა ზოგჯერ 500, ზოგჯერ კიდევ 700 თუმნად იჯარით. მასვე ჰქონდა თბილისში ყასაბხანა (რომლიდანაც ყოველწლიურად 16 თუმანს ქირას იღებ-

---

389 დასტურლამალი, გვ. 6.
390 იქვე, გვ. 24—25.
391 იქვე, გვ. 124.
392 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 44, საბ. 65.
393 იქვე, ფ. 226, № 9031.

და), აბანო და სხვ[394]. დარეჯანს სამღებროები ჰქონდა ქართლის ახალ-ქალაქშიც (მეფის ქალაქი), რომელიც მის მიერ იჯარით ყოველწლიურად 12 თუმნად იყო გაცემული[395]. თვით დედოფლები ზრუნავდნენ, რომ ქალაქებში მსგავსი სარეწაოები აეგოთ ან კიდევ დუქნები აეშენებინათ, რომ ამით მუდმივი შემოსავლის წყარო გაეჩინათ. გიორგი XII-ის მეუღლე მარიამ დედოფალი სხვათა შორის წერდა: თბილისში, გიორგის გამეფებისას, „მბოძებია დუქნების ადგილები... ხარბა (უშენი, შ. მ.) მომცემია და დუქნები მე ამიშენებია“[396]. ქალაქებში მნიშვნელოვანი ქონების მფლობელები იყვნენ უფლისწულებიც. დავით ბატონიშვილს მარტო თბილისში ჰქონდა: „თათრის მოედანზე“ «лавок 12», საიდანაც ყოველწლიურად შემოდიოდა 403 მან. და 20 კაპ., „სიონის ეკლესიასთან ახლოს მდებარე ქარვასლა“, რომელიც იჯარით გაიცემოდა 645 მანეთად. „ადგილი, რომელზედაც გაშენებულ იქნა სხვადასხვა სამეურნეო სახლები“, შემოსავალი (ქირა) აქედან 144 მან., «за Цавкинскими воротами сад», რომელიც წლიურად 310 მან. შემოსავალს იძლეოდა[397] და სხვ. ამგვარადვე, ქ. დუშეთში ბაღებს, ვენახს, სამღებროებს ფლობდა მეფის ძე ვახტანგიც[398]. დასავლეთ საქართველოს შედარებით დიდი და მცირე ქალაქების სამღებროები მეფეს ეკუთვნოდა და სოლომონ II-ს იგი აგრეთვე იჯარით ჰქონდა გაცემული[399].

მეფისა და მისი ოჯახის წევრების შემდეგ ფეოდალურ ქალაქებში ეკლესია-მონასტრები იყვნენ სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობათა შედარებით ძლიერი მფლობელები. ეკლესია, როგორც მსხვილი ფეოდალური ორგანიზაცია, ცდილობდა ქალაქებში ჰყოლოდა როგორც ყმა ვაჭრები და ხელოსნები, ასევე ჰქონოდა სათანადო ადგილები და ნაგებობანი. კათალიკოსი ნიკოლოზი თავის 1687 წ. სიგელში სხვათა შორის აღნიშნავდა: „ქალაქს (—თბილისს, შ. მ.) სასახლე ავაშენე... ერთი კაი ბაღია ავაშენე, ერთი სვანი კალატოზი ქალაქს დავასახლე“[400] და სხვ. თვით საეკლესიო ფეოდალთა საქმიანობით, და ამას გარდა, საერო ფეოდალთა შეწირულობების წყალობით, ეკლესია-მონასტრებს ქალაქში როგორც დუქნები, ასევე ქარვასლები და სხვ. ნაგებობანიც უვარდებოდათ ხელში. სვეტი-

---

[394] იქვე, ფ. 226, № 9128.
[395] იქვე, ფ. 229, დავთ. 23, საბ. 66.
[396] ЦГИАГ, ფ. 226, № 9061.
[397] ЦГИАГ, ფ. Канц.-МВД, опис 471, д. 10—19, л. 172.
[398] Тамже, д. 31, л. 112.
[399] ЦГИАГ, ф. 2, д. 34, л. 34.
[400] ისტ. საბუთები, IV, გვ. 66.

ცხოვლის ეკლესიას თბილისის მხოლოდ ერთ უბანში 10 დუქანი ჰქონია, რომელსაც ეკლესია ქირით გასცემდა ხოლმე[401].

1637 წ. ზურაბ ბარათაშვილმა თბილისის საეპისკოპოსო ეკლესიას ერთი ქულბაქი (დუქანი) შესწირა[402]. 1650 წ. როსტომმა, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამავე ეკლესიას სამეფო ქარვასლის იჯარის ნაწილი დაუთმო[403], შემდეგში ეს ქარვასლა მთლიანად გადაეცა სიონის ეკლესიას. თვით ეპისკოპოსიც სხვადასხვა გზით იძენდა როგორც დუქნებს, ასევე სხვა ნაგებობებსაც, ისე რომ, 1740 წ. ცნობით, თბილისის სიონს ქალაქში ჰქონდა: თვით საეპისკოპოსოს მიერ ნაყიდი (მათივე „მოგებული") აბანო, რომელსაც სპარსეთის შაჰმა წელიწადში 13 თუმანი და 19 აბაზი ბეგარა დაადო; ქარვასლა, რომელსაც აგრეთვე შაჰის 8 მან. და 2 შაური ბეგარა ედო. ამათ გარდა, საეპისკოპოსოს თავისივე ხარჯით აუშენებია 5 დუქანი, რომელზედაც 6 თუმანი და 6 მინალთუნი დაუხარჯავთ. სულ კი სიონის ეკლესიას თბილისში 14 1/2 დუქანი ჰქონდა. საეპისკოპოსო ეკლესია ფლობდა აგრეთვე წისქვილს ვერაზე[404]. თბილისელ ეპისკოპოსს, როგორც 1794 წ. საბუთიდან ჩანს, თბილისში დაბახანაც ჰქონია[405]. როგორც ვხედავთ, სასულიერო ფეოდალებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საქალაქო ცხოვრებაში.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს მეტეხის დეკანოზის იასეს საქმიანობა თბილისში XVIII ს. მეორე ნახევარში. 1769 წ. მეტეხის დეკანოზს იასეს უყიდია 2 1/2 დუქანი[406]; 1782 წ., 1789 წ. იგივე იასე ყიდულობს ბაღებს ავლაბარში[407], 1788 წ. ვერის ხევზე წისქვილის მეოთხედს[408], 1789 წ. ხელთ იგდებს მასზე დაგირავებულ ორ დუქანს[409], 1791 წ., 1794 წ. ყიდულობს კიდევ დუქნებს[410] და სხვ. ასე რომ, მეტეხის დეკანოზს თბილისში, ბაღებსა და წისქვილს გარდა, ჰქონდა 8 დუქანი.

---

401 ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. 2, опис, 2, საბ. 556.

402 ისტ. საბუთები, IV, გვ. 23.

403 ЦГИАГ, ფ. 226, № 5006; Д. Пурцеладзе, Церк. Грамоты, გვ. 57.

404 Д. Пурцеладзе, Церк. Грамоты, с. 64; ს. ჯაჯაბაძე, საისტ. კრებული, I, გვ. 56—58.

405 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 19, საბ. 65.

406 იქვე, დავთ. 18, საბ. 11.

407 იქვე, საბ. 4, 6.

408 იქვე, საბ. 8.

409 იქვე, საბ. 10.

410. იქვე, საბ. 9, 12, 13.

ასევე, სხვადასხვა ნაგებობანი ჰქონდა თბილისში სხვა ეკლესია-მონასტრებს. მაგ., 1714 წ. საბუთში ჩანს, რომ ჯვარის მონასტერს თავისი ქარვასლა ჰქონდა თბილისში[411], ნათლისმცემლის ეკლესიას ადგილები, სახლები, ოთახები და სხვ[412]., გარეჯის მონასტერს სასახლე და სხვ.[413] ეკლესია-მონასტრებს საქართველოს სხვა ქალაქებშიც ჰქონდათ თავიანთი დუქნები. 1738 და 1780 წწ. საბუთებში მოიხსენიება სამთავნელი ეპისკოპოსის დუქანი გორში[414]. 1798 წ. საბუთში თელავის ეკლესიის დაბახანა თელავში თავისი დუქნებით, რომელიც იჯარით ყოფილა გაცემული[415]; 1791 წ. საბუთის მიხედვით, წმ. სტეფანეს ეკლესიას სიღნაღში ჰქონდა თავისი მამული, რომელზედაც თუკი დუქანს, სახლს თუ ბაღს გააშენებდნენ, წმ. სტეფანეს ეკლესიისათვის ქირა უნდა მიეცათ[416]. 1799 წ. სოლომონ II-მ ჩხარის ეკლესიას, „მცირესა ქალაქსა შინა" ჩხარს შესწირა „სამღებროი ოთხის ჭურისა დამტევნელი"[417], ხოლო 1798 წ. ზურაბ წერეთელმა ჯრუჭის მონასტერს შესწირა ქ. ქუთაისში მის მიერვე აშენებული ფურნე თავისი სახლით და დუქანით[418].

თავიანთი დუქნები ჰქონდათ თბილისში სომხურ ეკლესიებსაც, ეჩმიაძინის ეკლესიას[419], სევანის ეკლესიას[420] და სხვ. ეკლესია-მონასტრები ქალაქებში მათ კუთვნილ დუქნებს ხშირ შემთხვევაში ქირით აძლევდნენ ხელოსნებსა და ვაჭრებს და აქედან მნიშვნელოვან შემოსავალს იღებდნენ. ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩანს ახპატის მონასტრის წინამძღვრის შემოსავლის ნუსხა, საიდანაც ირკვევა, თუ როგორ ქირავდებოდა XVIII ს. ბოლოს დუქნები თბილისში. საბუთის მიხედვით 1800 წ. დამდეგს ახპატის წინამძღვარს ერთი დუქანი იანვრიდან აპრილამდე თვეში 4 აბაზად (80 კაპ.) ჰქონია გაქირავებული, ხოლო აპრილიდან კი თვეში 2 მან. და 2 აბაზად ამ ერთი დუქნიდან წელიწადში ახპატის წინამძღვარს 2

---

411 ЦГИАГ, დავთ. 51, საბ. 187.

412 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრ. ისტ. საბუთები, გვ. 98—99.

413 იქვე, გვ. 108.

414 ЦГИАГ ფ. 229, დავთ. 36, საბ. 228, 138.

415 იქვე, ფ. 230, დავთ. 3, აღწ. 39, საბ. 1.

416 ГМГ, Hd: 11646.

417 ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. 16, საბ. 265.

418 КМ, док. № 85.

419 მატენადარან, Груз. док. папка, 252, საბ. 6; ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 17, საბ. 86.

420 იქვე, საბ. 25; ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 21, საბ. 100, 101.

თუმანი და 2 მინალთუნი აუღია. ამავე წელს მას ორი დუქანი თვეში მინალთუნ და 3 აბაზად ჰქონია გაქირავებული აგვისტოს ბოლომდე, ხოლო შემდეგ 2 მინალთუნად და 1 აბაზად; წელიწადში ამ დუქნებიდან აუღია 2 თუმანი, 5 მინალთუნი და 3 აბაზი. ახპატის მონასტრისაგან მჩითავ ხელოსანს ერთი დუქანი ჯერ 1 მინ. და 2 აბაზად ჰქონია ნაქირავები, ხოლო შემდეგ 1 მინალთუნად და 3 აბაზად. ამ დუქნის სამი თვის ქირიდან მონასტერს 9 მინალთუნი და 3 აბაზი აუღია. მას გარდა, ამავე წელს სხვა დუქნიდან ამავე მონასტერს 1 თუმანი და 5 მინალთუნი აუღია, და ასე შემდეგ[421]. როგორც ვხედავთ, დუქნების ქირას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ეკლესია-მონასტრების საერთო შემოსავალში.

საქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე გაბატონებული კლასის სხვა წარმომადგენლებიც — თავადები და აზნაურები. მათ შორის კი განსაკუთრებით ისინი, რომელთაც სხვადასხვა მაღალი თანამდებობანი ეჭირათ ქალაქში. დიდი ქალაქების მმართველებად (მოურავებად), როგორც ქვემოთ დავინახავთ, მეფეების მიერ თავადები ინიშნებოდნენ, რომელნიც, არ კმაყოფილდებოდნენ რა თავიანთი თანამდებობით, ქალაქებში ყმებისა და სხვადასხვა სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობათა შეძენით აქტიურად მონაწილეობდნენ საქალაქო ცხოვრებაში. ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს მოვიტანთ. თბილისის მელიქ-მამასახლისის თანამდებობა დიდხანს თავად ბებუთაშვილების საგვარეულოს ჰქონდა; ეს თავადები როგორც თავიანთი თანამდებობით, ასევე სხვაგვარი საქმიანობით, გვიანფეოდალური თბილისის საქალაქო ცხოვრებაში აქტიურად ერეოდნენ. შედარებით მრავალრიცხოვან ყმა ხელოსანთა და ვაჭართა გარდა, ბებუთაშვილებს თბილისში, როგორც მათი გაყრილობის 1749 წ. წიგნიდან ჩანს, ჰქონდათ 13 დუქანი, რამდენიმე სახლი და სასახლე, „დიდი აბანო", „პატარა აბანო", „დიდი ქარვასლა", „ანტონის ქარვასლის სამი ჩარექი" (სამი წილი), „აბანოებს ზევით ნასყიდი ალაგები", „ქარვასლის ალაგი", „ავლაბრის ბაღი", „სეიდაბათის ბაღი" და სხვ.[422]. აღსანიშნავია, რომ ბებუთაშვილები, კერძოდ ხოჯა ბეჰბუდა, XVII ს. შუა წლებში, თბილისში მდ. ვერაზე აკეთებს ხიდს. 1774 წ. ერთ საბუთში „ვერაზე ხოჯა ბეჰბუდას გაკეთებული ხიდია" მოხსენებული[423]. ცხადია, ხიდის შემოსავალი მისი გამკეთებ-

[421] მატენადარან, Груз. док. папка, 255, საბ. 1.

[422] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ, 18, საბ. 169; შდრ. იქვე, დავთ. 22, საბ. 70, 72, 74, 77, 78, 91, 99.

[423] იქვე, ფ. 229, დავთ. 22, საბ. 99.

ლის სასარგებლოდ მიდიოდა. ქარვასლა, აბანოები, დუქნები, ბაღები და სხვ. აგრეთვე დიდ შემოსავალს აძლევდა ბებუთაშვილებს. XIX ს. დამდეგის მასალების მიხედვით, თავად ბებუთაშვილების ქარვასლა ყოველწლიურად 5000 მან. შემოსავალს იძლეოდა. მათივე აბანო 2000 მანეთს[424] და სხვ. თავადებსა და მაღალი თანამდებობის მქონე პირთა გარდა ქალაქებში ცალკეულ სარეწავებს, სახელოსნო ნაგებობებს აზნაურებიც ფლობდნენ. მაგ., იოსებ ყორღანაშვილი 1799 წ. მოქალაქისაგან ყიდულობს 127 თუმნად ქარვასლას[425]. 1797 წ. მასვე, ავლაბარში „ავლაბრის კარის" გვერდით თავის საკუთარ ადგილზე და თავისივე ხარჯით ზეთის სახდელი სარეწავი აუშენებია, რომელიც დედოფალმა მას საშვილიშვილოდ უწყალობა[426]. ამათ გარდა, იოსებ ყორღანაშვილი თბილისში ყიდულობს აგრეთვე დუქნებს, ბაღსა და ვენახს[427] და ამრიგად, აზნაური ყორღანაშვილი, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი (დედოფლის მილახვარი), აქტიურად ერევა საქალაქო ცხოვრებაში. თავისი საკუთარი სარეწავები ჰქონდათ სხვა წვრილ მოხელეებსა და აზნაურებს თბილისში. იოანე პენტელაშვილს, XVIII ს. მიწურულის ცნობილ მწერალს (писарь), როგორც 1807 წ. საბუთიდან ჩანს, აღა მაჰმად ხანის შემოსევამდე (1795 წ.) და მის შემდეგ თბილისში ჰქონია „ჭურჭლის ქარხანა" (თიხის ჭურჭლის ქურა), რომელსაც ის ყოველწლიური ქირით გასცემდა ხოლმე[428]. სარეწავები, ქარვასლები, დუქნები და სხვა ქონება ქალაქებში ჰქონდა მოსახლეობის პრივილეგიურ ნაწილს, ე. წ. მოქალაქეებსა და მსხვილ ვაჭრებს, მაგრამ ამათზე ჩვენ უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ.

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, მეფე, მისი ოჯახი, ეკლესია-მონასტრები, თავადაზნაურები არ კმაყოფილდებიან ყმა ხელოსნებით და ვაჭრებით, ქალაქებში მათ მიერ დაჭერილი თანამდებობებით და თავიანთი სხვაგვარი საქმიანობით მონაწილეობას იღებენ საქალაქო ცხოვრებაში. საერო და სასულიერო ფეოდალების ცდა, რაც შეიძლება მეტი ყმები შეიძინონ ქალაქებში, ჰქონდეთ სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობები და სხვა, ერთი მხრივ იმას გვიჩვენებს, რომ ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობა «стали в обществе уже более необходимы, чем феодальное дворянство...

---

[424] ЦГВИА, ф. ВУА 18481; с. 49 verso.
[425] ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 6, საბ 78.
[426] იქვე, ф. 229, დავთ. 23, საბ. 32.
[427] იქვე, დავთ. 6, საბ. 82, 86.
[428] იქვე, ф. 230, დავთ. 1, ნაწ. II, აღწ. 25, საბ. 1

Да к томуже потребности дворянства настолько выросли и изменились, что даже и ему стали нужны города».[429]

ამას გარდა, საერო და სასულიერო ფეოდალების მონაწილეობა გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქების ცხოვრებაში ამწვავებდა კლასობრივ ბრძოლას ერთი მხრივ ქალაქის ფეოდალურ არისტოკრატიასა და მოსახლეობის ფართო ფენებს შორის, მეორე მხრივ კი თვით ქალაქის მოსახლეობის შიგნით — თავისუფალ თუ ყმა ვაჭართა და ხელოსანთა შორის. ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში ფეოდალური არისტოკრატიის მონაწილეობა ხელს უწყობდა აგრეთვე ქალაქებზე მათი პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებას, რაც უმთავრესად მათ მიერ ქალაქის მაღალ სამოხელეო თანამდებობათა მიღებაში გამოიხატებოდა. ქალაქის მოსახლეობას, რომელიც განაწილებული იყო რამდენიმე მებატონეს შორის, ისე რომ ქალაქის თითქმის ყოველ კვარტალს თუ ქუჩას თავისი საერო თუ სასულიერო ბატონი ჰყავდა[430], უსპობდა შესაძლებლობას ერთიანი ფრონტით ენერგიული ბრძოლა ეწარმოებინა საქალაქო მმართველობის ხელში ჩაგდებისათვის.

ქალაქების მწარმოებელ ფენაში, მის ძირითად მოსახლეობას შორის არსებული განსხვავებანი, როგორც ეკონომიკური, ასევე უფლებრივი თვალსაზრისითაც, საფუძველს ქმნიდა შინაკლასობრივი ბრძოლისათვის. ამ შინაკლასობრივი ბრძოლის გამწვავებას ქალაქების მოსახლეობის თვით ყმა ხელოსანთა და ვაჭართა შორის ხელს უწყობდა აგრეთვე ცალკეულ. ძლიერ მებატონეთა მიერ ქალაქში მოსახლე მათი ყმებისათვის მოპოვებული ე. წ. შეუვალობანი.

მეფის ბრძანებით, ზოგ შემთხვევაში, ცალკეული მებატონის ყმა ხელოსნები და ვაჭრები გვიანფეოდალურ ქალაქებში სახელმწიფო გამოსაღებებისაგან თავისუფლდებოდნენ და ასეთი ყმები მხოლოდ თავიანთი მებატონის წინაშე სწევდნენ სამსახურს. ამგვარი იმუნიტეტით გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში განსაკუთრებით ეკლესია-მონასტრები სარგებლობდნენ. ჯერ კიდევ XVI ს. სიმონ მეფის მიერ საკათალიკოსო ყმები ქალაქებში—თბილისში, თუ გორში და სხვაგან, როგორც სამეფო, ასევე სამოხელეო (ქალაქის მოხელეთათვის განკუთვნილ) გამოსაღებებისაგან

---

[429] Ф. Энгельс, О разложении феодализма..., Маркс и Энгельс, Соч., т. XVI, ч. I, 1937, с. 440.

[430] შდრ. «Архив Маркса и Энгельса», т. X, с. 282.

განთავისუფლებული იყვნენ[431]. ამგვარადვე გრძელდებოდა ეს მთელს XVII და XVIII საუკუნეებში. ქართველი მეფეები ტახტზე ასვლისთანავე აახლებდნენ სვეტიცხოველის ქალაქში მოსახლე ყმების სითარხნეს. მაგ., 1749 წ. თეიმურაზ II-მ საკათალიკოსო ყმები გორში, რომელნიც ძველიდანვე შეუვალნი ყოფილან, მომავალშიც სამეფო გამოსაღებისაგან გაათავისუფლა[432]. 1771 წ. ბრძანებით ერეკლე II-მ ერთხელ კიდევ გააფრთხილა ქალაქის მოხელეები, რომ ისინი სამეფო სათხოვარს ნუ აიღებენ როგორც თბილისში, აგრეთვე გორს, ცხინვალს და „სადაც... არის“ საკათალიკოსო ყმა ხელოსანი და ვაჭარი[433]. ამგვარადვე, როგორც წინა, ასევე XVII—XVIII სს. თარხანი იყო სამეფო გამოსაღებებისაგან თბილისის საეპისკოპოსო ეკლესიის — სიონის ყმები. 1628 წ. სიმონ II-მ თბილისში, ქართლსა და საბარათაშვილოს სხვა ქალაქებში რაც სიონის ვაჭარი იყო, ან კიდევ დუქნები ყველა სამეფო ხარჯისაგან გაათავისუფლა[434]; სიონის ყმა ხელოსნები და ვაჭრები გათარხნებული იყო როსტომის დროსაც[435] XVIII ს. დამდეგს[436] და თეიმურაზ-ერეკლეს მიერ XVIII ს. მეორე ნახევრიდან[437]. ამგვარადვე, სამეფო გამოსაღებისაგან თავისუფალი იყვნენ მეტეხის ეკლესიის ქალაქში მოსახლე ყმები[438], იერუსალიმის ეკლესიის ყმები[439], ნათლისმცემლის მონასტრის[440] ქვაბთახევის მონასტრის[441], ეჩმიაძინის ეკლესიის ყმები[442] და სხვ.

თავიანთი ყმების გათარხნებას ქალაქებში აღწევდნენ არა მარტო ეკლესია-მონასტრები, არამედ ცალკეული თავადებიც. მაგ., 1755 წ. სიგელით სახელმწიფო გამოსაღებებისა და სამსახურისაგან განთავისუფლებული იყვნენ ბებუთაშვილების ყმები — ხელოსნები და ვაჭრები, — თბილისში მოსახლენი[443]. მეფე ზოგ შემ-

---

431 ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. 1, ნაწ. 1, საბ. 142.

432 იქვე, საბ. 134.

433 იქვე, საბ. 175.

434 იქვე, ნაწ. II, საბ. 119.

435 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 450, შდრ. ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. 1, ნაწ. II, საბ. 190.

436 ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. 1, ნაწ. II, საბ. 7.

437 იქვე, საბ. 1.

438 იქვე, ნაწ. 1, საბ. 505.

439 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 51, საბ. 179, 189.

440 იქვე, ნაწ. II, აღწერა 20, საბ. 112.

441 იქვე, აღწ. 5, საბ. 1.

442 მატენადარან, Груз. док. პაპკა 252, საბ. 91, 135; ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 17, საბ. 151.

443 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 22, საბ. 93.

თხვევაში ცალკეულ მსხვილ ვაჭრებს, მოქალაქეებსაც ათავისუფლებდა სახელმწიფო გამოსაღებისაგან, მაგალითად, „მოქალაქე და დიდად ნამსახური ყალოანთ გიორგის შვილი ბაღდასარა“ „ყოვლის გამოსაღებისაგან და სახელმწიფო ბაჟისაგან“ მეფეთა მიერ განთავისუფლებული იყო. ამ ვაჭრის ასტრახანიდან მოსული საქონელიც თავის მხრივ ბაჟისაგან 1784 წ. გაათავისუფლა ქათალიკოსმაც; ყოველგვარი გამოსაღებისაგან თავისუფალი იყო მისივე ბაღები[444]. ამგვარადვე, გიორგი XII-ის მიერ ყოველგვარი სამეფო გამოსაღებებისაგან და ბაჟისაგან განთავისუფლებული იყო ვაჭარი მოქალაქე აღა ფითუაშვილი, მისი ბაღები, დუქნები და სხვა ნაგებობანი[445]. სამეფო გამოსაღებებისაგან თავისუფალი ვაჭრები ქალაქებში განსხვავებულ პირობებში იყვნენ, მათ, ცხადია, კონკურენციას ვერ გაუწევდნენ ისეთი ყმა ვაჭრები, რომელნიც ერთდროულად ორ ბატონს, მეფესა და მის უშუალო მებატონეს, ემსახურებოდნენ და რომელთაც ვაჭრობისათვის მრავალგვარი, სამეფო თუ ცალკე საბატონო ბაჟების გადახდა უხდებოდათ.

შედარებით უკეთესი მდგომარეობა ექმნებოდა აგრეთვე ეკლესიის თუ ცალკეულ მებატონეთა იმ ყმა ხელოსნებსა და ვაჭრებსაც, რომელნიც სამეფო გამოსაღებებისაგან თავისუფალნი იყვნენ და მხოლოდ თავიანთ მებატონეებს ემსახურებოდნენ. მათაც შედარებით თავისუფალი წარმოებისა და ვაჭრობის შესაძლებლობა ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო ყმა ვაჭრები და ხელოსნები იმ ამქრებშიც, სადაც ისინი ერთიანდებოდნენ, ერთგვარი შეღავათით სარგებლობდნენ[446]. შეღავათით სარგებლობდნენ მეფეთა მიერ გათარხნებული, ამქარში გაერთიანებული ცალკეული საბატონო ვაჭრები და ხელოსნები. ბებუთაშვილებისადმი 1775 წ. მიცემულ შეუვალობის წიგნში, სხვათა შორის, ნათქვამია: ბებუთაშვილის ყმები ასნაფების უსტაბაშებმა სამეფო გამოსაღებებში „მსუბუქათ უნდა გარიონო[447]. ცხადია, ყმა ვაჭარ-ხელოსანთა ერთი. ნაწილის ამგვარი შეღავათები იწვევდა მეორე, უფრო დიდი ნაწილის უკმაყოფილებას და ამ უკანასკნელთა ბრძოლას, რათა სამეფო გამოსაღებებისაგან განთავისუფლებული ყმა ვაჭრები და ხელოსნებიც მათზე დაკისრებულ სახელმწიფოებრივ ვალდებულებათა შესრულებაში მონაწილენი ყოფილიყვნენ.

---

[444] იქვე, დავთ. 16, საბ. 70. 71.
[445] იქვე, ფ. 227, № 1456 (1—3).
[446] ГМГ, ф. Ad 1880.
[447] ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 22, საბ. 93.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამა თუ იმ ყმა ვაჭრის თუ ხელოსნის განთავისუფლება სამეფო გამოსაღებებისაგან სრულებით არ ნიშნავდა მის განთავისუფლებას საერთოდ საბატონყმო სამსახურისაგან. მეფეთა მიერ ცალკეული მებატონის (ეკლესია-სათავადაზნაურო) ყმების გათარხნება მის მფლობელს მეტ შესაძლებლობას აძლევდა თავისი ყმის უფრო ინტენსიური ექსპლოატაცია თვითვე ეწარმოებინა. ეს კი ხშირად იწვევდა ამ თითქოსდა შეღავათიან პირობებში ჩაყენებულ, სამეფო გამოსაღებებისაგან განთავისუფლებულ ყმათა პროტესტებს თავიანთი კერძო მებატონეების წინააღმდეგ.

.2 კლასობრივი ბრძოლა XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ქალაქებში

კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ ქალაქებში, ისე როგორც საერთოდ ფეოდალურ საქართველოში, დღემდე სისრულით შესწავლილი ვერ არის. ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფია კლასთა ბრძოლის საკითხებს დუმილით უვლიდა გვერდს. XIX ს. თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ქართული ისტორიოგრაფიაც კლასთა ბრძოლის ისტორიის საკითხებს არც კი შეხებია; პირიქით, იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ზოგი წარმომადგენელი (ალ. ხახანაშვილი, თ. ჟორდანია და სხვ.) ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ საქართველოში ბატონყმობა არასოდეს არ განვითარებულა ისეთ საფეხურამდე, როგორც ეს სხვა ფეოდალურ ქვეყნებში მოხდა, რომ ბატონისა და ყმის ურთიერთობა საქართველოში დაჩაგრულისა და გაბატონებულის, ექსპლოატირებულისა და ექსპლოატატორის ურთიერთობა კი არ იყო; არამედ „მამისა და შვილის“, პატრონის, მფარველის, მზრუნველისა და მისდამი მინდობილი პირის აუცილებელი, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული დამოკიდებულება. ცხადია, ასეთ საზოგადოებაში, სადაც დაპირისპირებული კლასები არ არსებობენ თავადაზნაურული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლების მიხედვით, კლასობრივი ბრძოლის არსებობაც გამორიცხული იყო.

კლასთა ბრძოლის ისტორია ფეოდალურ საქართველოში არც ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს უკვლევიათ. მათი ყურადღება ამ თვალსაზრისით მხოლოდ გლეხთა XIX ს. აჯანყებებზე იყო მიქცეული.

ფეოდალური საქართველოს ისტორიის ყალბ' გაგებას ბოლო მოუღეს ქარფული მარქსისტული ისტორიოგრაფიის ფუძემდებლების—ი. სტალინის, ა. წულუკიძის და სხვების შრომებმა. ქართველმა მარქსისტებმა ნათლად უჩვენეს, რომ ისე როგორც ყოველი კლასობრივი საზოგადოების, ასევე ფეოდალური და ბურჟუაზიული საქართველოს ისტორია არის „კლასთა ბრძოლის ისტორია". ალ. წულუკიძე 1899 წ. წერდა: „ჩვენ თითონ გვრწამს და გვჯერა ის შეურყეველი ჭეშმარიტება, რომ ყველა ერთა და საზოგადოებათა ისტორია (რასაკვირველია არა პირვანდელი ხანის) სხვადასხვა ფორმის კლასთა ბრძოლის ისტორიას წარმოადგენს და ამ საზოგადო კანონისათვის ვერც ჩვენ დაგვიღწევია თავი"[448].

მნიშვნელოვანი გარდატეხა ამ მხრივ მხოლოდ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ხდება. ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა და სხვებმა, თავიანთ შრომებში, სათანადო მასალების ანალიზის საფუძველზე, ფეოდალურ საქართველოში კლასობრივი ბრძოლის ცალკეული მომენტები აგვისახეს. მონოგრაფია, რომელიც საგანგებოდ სოციალური მოძრაობის ისტორიას შეეხება, ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის. მის ნაშრომში — „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში" (თბ., 1934 წ.), ერთ-ერთი თავი მიეძღვნა სოციალურ ბრძოლას XIII ს. ფეოდალურ ქალაქში, ეპიფანე კათალიკოსის 1218 წ. წარწერის მიხედვით[449].

საკითხი კლასობრივი ბრძოლის შესახებ XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე სავსებით შეუსწავლელია[450]. კლასთა ბრძოლა კი ფეოდალური წყობილებისათვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია.

*

* *

ბატონყმური ურთიერთობის შემდგომი გამწვავება და სასაქონლო წარმოების განვითარება XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში იწვევდა ქალაქების მოსახლეობის დაბალი ფენების

---

448 ალ. წ ულ უ კ ი ძ ე, თხზულებათა კრებული, თბ., 1927, გვ. 73.

449 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9—21.

450 სოციალურ ბრძოლას XVII—XVIII სს. ქალაქებში გაკვრით შეეხო ს. კაკაბაძე თავის წერილში «Крестьянский вопрос и крестьянские движения в восточной Грузии в XVIII в. «(см. сб. «История классовой борьбы в Закавказье», Тиф., 1930).

ექსპლოატაციის ზრდას. ეს კი თავის მხრივ აღრმავებდა იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობდა მწარმოებლებსა და გაბატონებულ ფენებს შორის. კლასობრივი ბრძოლა ფეოდალური საქართველოს ქალაქებში უმთავრესად ორი ძირითადი მიმართულებით წარმოებდა: ა) ფეოდალ-ექსპლოატატორების წინააღმდეგ ანტიფეოდალური ბრძოლა და ბ) ბრძოლა თვით ქალაქის მოსახლეობას შორის — ერთი მხრივ ქალაქის ყმა ხელოსანთა და ვაჭართა და მეორე მხრივ მოსახლეობის პრივილეგიურ, მსხვილ ვაჭართა და მევახშეთა ფენებს შორის.

ანტიფეოდალური ბრძოლა XVII—XVIII სს. ქალაქებში უმთავრესად ცალკეულ მებატონეთა თუ ფეოდალური ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლის სახეს ატარებდა. ამ ბრძოლის ინიციატორები უმთავრესად ქალაქების ყმა ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ. ამათ გარდა, ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ, უფლებათა გაფართოებისათვის ბრძოლას აწარმოებდნენ ქალაქის მოსახლეობის ზედა, პრივილეგირებული ფენის წარმომადგენლებიც.

პირველ რიგში ანტიფეოდალური ბრძოლის ფორმებს შევეხოთ. XVII—XVIII სს. ქალაქებში მწარმოებელი ფენის ექსპლოატაცია მებატონეთა მიერ „ყმობის პირობის წიგნებით" თუ სხვა ფეოდალური დებულებებით განსაზღვრულ ნორმებს ჩვეულებრივ სცილდებოდა და ყმა ხელოსნის თუ ვაჭრის მფლობელი მებატონე მისგან ხშირად ახალ სხვადასხვა სამსახურს, ან კიდევ უფასო შრომას ითვისებდა.

როგორც თვით ქ. გორის ვაჭრებისა და ხელოსნების მიერ ერეკლე II-ისადმი მირთმეული არზიდან ჩანს, გორის მოურავი იასე ამილახვარი გორელი ხელოსნებისაგან ხშირად მოითხოვდა მუქთად (უხელფასოდ) „ბამბის დართვას", მოქსოვას („ფეიქრების ნართის შეყრა და მუქთათ მოქსოვას") და ქსოვილების „მუქთად შეღებვას"[451]. მებატონეთათვის უკანონოდ, „მუქთად სამსახური" უარყოფითად მოქმედებდა სასაქონლო წარმოების განვითარებაზე და ამას გარდა, წვრილ მწარმოებელ ხელოსანს გაღატაკებას უქადდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თიხის ჭურჭლის მკეთებელი თბილისელი ხელოსნის 1789 წ. არზა თავისი ბა-

---

[451] ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (ქვემოთ სსმ); შდრ. შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის XVIII ს. საქართველოს ქალაქებში, „მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის", ნ. 32, 1955, გვ. 219, ფ. Qd: 7120.

ტონისადმი. ხელოსანი გოგია დედოფალ დარეჯანს მოახსენებდა: „ათის წლისა ჩინური მოგრთმევიათ ოცდათორმეტი თუმნისა და ერთი ფული არ მომცემია; ვაკეთებ და თქვენსა და თქვენი შვილების ქარხანაში მოტანას ანგარიში არა აქვს. ვალს ვიღებ, წამალს ვყიდულობ და წამლის ფასიც არ მეძლევა. სამოცი თუმანი ვალი დამედო, მე ერთი ფული არ მომცემია. ეხლაც თქვენმა შვილმა სამის თუმნისა წაიღო (ჭურჭელი), თქვენი შვილები ცალ-ცალკე მართმევენ... ნუ დამკარგავ, შემაძლებინე თქვენი სამსახურიც და ვალის პასუხის მიცემაცა და თუ თქვენგან შებრალება არ მეღირსა, დაკარგვის მეტი ილაჯი არა მაქვსო"[452].

როგორც ვხედავთ, მებატონეთა მიერ უკანონო, უხელფასო სამსახურით უკიდურეს მდგომარეობამდე მიყვანილი ხელოსანი იძულებულია თავის შრომის ანაზღაურება ითხოვოს, თუ არა და „დაკარგვის მეტი" სხვა გზა აღარ დარჩენია.

მებატონე არა მარტო თავისი ყმის უფასო შრომას ითვისებდა, არამედ ზოგჯერ მას მის მიერ გამართულ სარეწავებსაც, სხვადასხვაგვარ სამაგიერო წყალობათა შეპირებით, ზოგჯერ სავსებით უფასოდ, ზოგჯერ კიდევ „ცოტას ფასით", ართმევდა და თავისთვის იჭერდა. საინტერესოა, რომ მოქალაქე ვაჭრის თაყუაშვილის ისაიას მიერ მეფის ბრძანებით და თანხმობით თბილისში გამართული „გვარჯილისა და თოფისწამლის ქარხანა" მეფემ, მამულის ბოძების შეპირებით, „თხოებით ჩამოართვა" და „სამეფო თოფხანისა და ციხეებისათვის" თავისთვის დაიჭირა[453]. ამგვარადვე, სხვადასხვა საჭიროებისათვის „ურუმობის (ოსმალთა ბატონობის) დროს თბილისში ფასით და უსამართლოთ" გამოურთმევიათ სახლკარი და ადგილები „ნამსახურ მოქალაქე" ბაღდასარაშვილ შაქრუასათვის[454].

სასაქონლო მეურნეობის განვითარება თანდათან ზრდიდა მებატონეთა მოთხოვნილებებს განსაკუთრებით ფულისადმი და როცა ვაჭართა თუ ხელოსანთა მიერ გაღებული ფულადი გადასახადები საკმარისი არ ჩანდა, გაზრდილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მებატონე თავის ყმა ხელოსანთა თუ ვაჭართაგან სხვადასხვა გზით გამოძალვას აწარმოებდა. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას

---

[452] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის, III, 1955, გვ. 83.

[453] საქ. ცენტრალური საისტორიო არქივი (ქვემოთ — სცსა), ფ. 229, დავთ. 18, საბ. 15.

[454] იქვე, დავთ. 11, საბ. 157.

იქცევს ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული ე. წ. სესხი, რომელიც ზოგ შემთხვევაში „ძალით სესხების“ სახეს ატარებდა. მებატონეები, ზოგჯერ მუქარით, აიძულებდნენ თავიანთ ყმებს, ვაჭრებს, რომ მათთვის სესხად ფული მიეცათ. მაგ., გიორგი XII, ჯერ კიდევ უფლისწულობის დროს, 1790 წ. ქალაქში მოსახლე თავის ყმას წერდა: 20 თუმანი „რომ არ გვასესხო არას გზით არ იქნება, ვერც უარს გვეტყვი, სესხათ გთხოვთო“. ამას გარდა, უფლისწული სხვათა შორის ხაზს უსვამდა: „ასე არ გეგონოს რომ ისე გვინდოდეს, სესხათ აგვიღია შენგან ეს ოცი თუმანი თეთრი... თუ ეს შეიტყო ვინმემ, ჩვენს მეტმა, შენს მეტმა და ფეტვისშვილის მეტმა, ასე უნდა იცოდე, რომ ჩვენი მოსისხლე იქნებიო“... „ნუ შეწუხდები, რომ ეხლა ფული გამოგართვი, ის ჩემი ვალი არის, ასე იქნება, ხომ იცი რომ ბატონს დასჭირდება, ყმამ უნდა მისცეს, ყმას დასჭირდება — ბატონმა უნდა უბოძოს... სხვისიც მართებს ქალაქში, ასე ვთქოთ შენიც გვემართოს, მაგაზე წყრომა რათ იქნებაო“[455]. როგორც მოტანილი საბუთიდან ჩანს, გამსესხებელი 20 თუმნის ასე იძულებით გასესხებისა გამო „წუხდა“, „წყრებოდა“, მას ამ წუხილის სადმე გაცხადების უფლებაც არ ჰქონდა. ამგვარ შემთხვევაში ის მომავალ მეფეს მტრად გაიხდიდა. მოძალე მსესხებლის, უფლისწულის სიტყვიერ დაპირებაში გამსესხებელს სამართლიანად ეჭვი ეპარებოდა. მან კარგად იცოდა, რომ „როცა ბატონს დასჭირდება, ყმამ უნდა მისცეს“, მაგრამ პირიქით— „ყმას დასჭირდება, ბატონმა უნდა უბოძოს“—არასოდეს მოხდებოდა. ამავე დოკუმენტიდან ჩანს, რომ გიორგი ბატონიშვილს მსგავსი მოვალეები ქალაქებში სხვაც ჰყოლია. მოძალადე მებატონე ვაჭრისაგან ფულს გარდა, ზოგჯერ სესხად, სათანადო ხელწერილით, საქონელსაც იღებდა. 1795 წ. გიორგი ბატონიშვილს თბილისელი ვაჭრისაგან 1097 მან. და 50 კაპ. სხვადასხვა სახის აბრეშუმის საქონელი წაუღია და სათანადო ხელწერილიც მიუცია. მაგრამ აღებული ვალი გიორგის გამეფების შემდეგაც არ გადაუხდია და დაზარალებული ვაჭარი 1802 წ. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთაგან მოითხოვდა უკვე გარდაცვლილი მეფის ვალის დაფარვას[456]. მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ როგორ იყო გამოყენებული „ძალით სესხება“ ძლიერი მებატონეების მიერ ქალაქის მოსახლეობის გასაძარცვად.

---

[455] იქვე, ფ. 229, დავთ. 11, საბ. 49, 50.

[456] იქვე, ფ. 2, д. 19, л. 10.

ქალაქის მოსახლეობას, მის მწარმოებელ ფენას, მძიმე ტვირთად აწვა აგრეთვე ქალაქის ფეოდალური აპარატი. ქალაქის მმართველობა მეფეთა მიერ დანიშნულ პირებს ეპყრათ, რომელთა გასამრჯელო თვით ქალაქს უნდა გაეღო. ქალაქის მოხელეებს, როგორც ეს ჩვენ მიერ საგანგებოდ იქნა შესაწავლილი[457], მოურავებს, მელიქ-მამასახლისებს, ნაცვლებს და სხვა, სამეფო ხელისუფლის მიერ ჯამაგირი კი არ ეძლეოდათ, არამედ ქალაქების სხვადასხვა სახის შემოსავლიდან იღებდნენ განსაზღვრულ ნაწილს. ასე რომ, ქალაქი ფაქტობრივად თვით კვებავდა ფეოდალურ აპარატს. ქალაქის მოხელეთა გასტუმრების ამგვარი სისტემა ფართო ასპარეზს აძლევდა მეფის მოხელეებს თვითნებობისა და მოსახლეობის განუკითხავი ექსპლუატაციისათვის. რაც მეტი იყო ქალაქიდან ესა თუ ის შემოსავალი (გამოსაღებები, ჯარიმა, ბაჟები), მით უფრო მეტი იყო ქალაქის ამა თუ იმ მოხელის სარგოც, გასამრჯელოც. ამიტომაც, ბუნებრივია თუკი ქალაქის შემოსავალზე მინდობილი მოხელეები ყოველნაირად ცდილობდნენ უნაკლოდ, დაუნდობლად აეკრიბათ ქალაქის მოსახლეობისაგან მათზე გაწერილი სხვადასხვა სახის გამოსაღებები; მაგრამ ისინი ამითაც არ კმაყოფილდებოდნენ და თავიანთი შემოსავლის გაზრდის მიზნით, ხელოვნურად უქმნიდნენ ქალაქის მოსახლეობას ისეთ პირობებს, რომ მათ მეტი ჯარიმა, მეტი ბაჟი და სხვა გადაეხადათ. ზოგჯერ კიდევ, ქალაქის მოხელეები საკუთარ გასამრჯელოდ აშკარად მოითხოვდნენ მოსახლეობისაგან გაცილებით მეტს, ვიდრე ეს ამა თუ იმ დებულებით იყო დაწესებული. ასე რომ, მეფეთა მიერ ქალაქებზე გამოსაკვებად მიჩენილი პირები, ქალაქის მოურავით სათავეში, ფეოდალურ ქალაქებს უყურებდნენ, როგორც საკუთარი გამდიდრების წყაროს, ქალაქის მოსახლეობას კიდევ, როგორც ძარცვის ობიექტს.

ჩვენ არაერთი საბუთი მოგვეპოვება, რომელიც ქალაქის მოხელეთა ძალმომრეობაზე, მათ მიერ უკანონოდ წართმეულ ჯარიმებზე თუ გამოსაღებებზე მოგვითხრობს. მაგ., 1784 წ. ცხინვალელები ერეკლე II-ს მოახსენებდნენ: ჩვენ ჩვენი შეძლებით თქვენ პირნათლად გემსახურებით, მაგრამ მოხელეები „უმეტესად უსამართლობას გვიშრეგიან“ და ზედმეტებსაც გვახდევინებენო[458]. ცხინვალის მოხელეების, კერძოდ, ცხინვალის მამასახლისის არაკანონიერ მოქმედებაზე ჩიოდა აგრეთვე ცხინვალელი ვაჭარი გიორ-

[457] იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 26, გვ. 019—024.

[458] საქ. ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფ. 229, დავთ. 14, საბ. 10.

გი ბატონიშვილის წინაშე 1778 წ.: „მამასახლისისაგან ილაჯი აღარ მაქვს... ოქმი მიწყალობეთ რომ მამასახლისი დამეხსნასო“[459]. ასევე, თბილისის მოხელეებს შეუვიწროებიათ, როგორც 1794 წ. ბრძანებიდან ჩანს, გიორგი ბატონიშვილის ყმა ხელოსანი მესანთლე ზაზა; ბატონიშვილი იძულებული გამხდარა ქალაქის მოხელეებისათვის ებრძანებინა: „რა დაგემართათ, მაგ მამაძაღლებსა (ქალაქის გამოსაღებთა ამკრებებს, შ. შ.) უთხარი, რომ ხელი აიღონ და დაეხსნან“ ამ ჩემს ყმასაო[460].

ქალაქის მოხელეების თვითნებური მოქმედება, როგორც ჩანს, იქამდე მიდიოდა, რომ მეფე ხშირად იძულებული ხდებოდა გაეფრთხილებინა ისინი, ქალაქის მოსახლეობას „ძალას ნუ დამართებთ“, ძლივს მოგვიგროვებია და ისევ არ გააქციოთო. ერეკლე II-მ 1768 წ. სიგლით თელავის მოურავს უფლება, მოვალეობა და სარგო განუსაზღვრა; მაგრამ რაკი მეფეთა მიერ დაწესებულ ამგვარ დებულებებს მოხელეები ადგილებზე ჩვეულებრივ არღვევდნენ, მეფემ საჭიროდ დაინახა იქვე, ბოლოს მიეწერა: „ასე გაგვირიგებია და გარდაგვიწყვეტია, მაგრამ თელავში ესენი ახალნი მოყვანილნი არიან და აქედ-იქიდამ მოგროებულნი, ამით ძალა არ დაემართოსთ რა, შაღავათით მოექცნენ... თვარემ ჩვენი საწყენი იქნებაო“[461].

ქალაქის მოსახლეობის დაუნდობელი ძარცვით განსაკუთრებით თავი გამოუჩენიათ XVII—XVIII სს. გორის მოურავებს, ქართლის ერთ-ერთ უძლიერეს თავადებს, ამილახვრებს. ჯერ კიდევ ერეკლე I-ის ქართლში მეფობის დროს (1688—1703), რაკი გორის მოურავი ქალაქს როგორც პირად საკუთრებას ექცეოდა და მოსახლეობას უკანონო გამოსაღებებით აწუხებდა, სამეფო ხელისუფლებას ხელახლა განუსაზღვრავს გორის მოურავის უფლება-მოვალეობა და სარგო[462]. მაგრამ ქალაქის ძარცვას შეჩვეულ მოურავებს მეფის მიერ განწესებული ისევ დაურღვევიათ და XVIII ს. 90-იან წლებში ქალაქის მოსახლეობის ძარცვისათვის ძველებურად ხელი მიუყვიათ. გორის მოურავის, იასე ამილახვრის ძალმომრეობის შესახებ შესანიშნავ მასალას გვაძლევს XVIII ს. 90-იანი წლების ერთი დაუთარიღებელი დოკუმენტი. დოკუმენტის მიხედვით, გორის მოურავს იასეს ქალაქში მანამდე არარსებული გამოსა-

---

[459] იქვე, დავთ. 13, საბ. 143.
[460] იქვე, დავთ. 32, საბ. 4.
[461] იქვე, დავთ. 34, საბ. 141.
[462] იქვე, ფ. 227, № 758.

ღებები დაუწესებია, ზოგი კიდევ ხელოვნურად გაუზრდია. მაგ., თუკი გასამყრელო გორის მოსახლეობაზე 5 მინალთუნი იყო, დოკუმენტის სიტყვით, „ამან ჯერ თორმეტი მინალთუნი გახადა, ახლა თორმეტ თუმნათა გახადა“; ამას გარდა, ყოველ კომლს თითო ურემი შეშა ბეგარად დაადო, რომელსაც იგი გორელებს თურმე იასაულის შემწეობით ძალით აზიდვინებდა. გორის მოურავი, თავისი შემოსავალი რომ გაეზარდა, სხვადასხვაგვარი შარის მოდებით, მოქალაქეებს უსამართლოდ აჯარიმებდა და ჯარიმად სამ, ზოგჯერ ხუთ თუმანს ართმევდა. მაგრამ აქითაც არ დაკმაყოფილებულა, ქალაქის საგადასახადო დავთარი, რომელიც ქალაქის მიერ სახელმწიფო გადასახადების გამწერად ამორჩეულ პირებს უნდა ჰქონოდათ, გორის მოურავს მათთვის წაურთმევია და თავის სახლში შეუნახავს, რათა, ვინც ქრთამს მოუტანდა, მისთვის გადასახადი შეემცირებინა, ხოლო ვისაც მტრობდა—გადასახადი მოემატებინა. მოურავი ითვისებდა ქალაქის მოსახლეობის უფასო შრომასაც: ქალაქის ხელოსნებს უფასოდ ართევინებდა ბამბას, ფეიქრებს უფასოდ აქსოვინებდა და მღებრებს კიდევ შეაღებინებდა. ქალაქის მოსახლეობას მისთვის აგრეთვე უფასოდ უნდა ეთიბა თივა და მოთიბული თავიანთი ურმებით მიეტანათ; ქალაქის მოსახლეობას კალოებზე უკანონოდ ბზეს ართმევდა, ცხენებს სტაცებდა და იმდენ ხანს ჰყავდა (ხედნიდა), რომ ზოგჯერ მოურავისა და მისი დამქაშების ხელში მოხელეების ცხენები „კვიცებს იგებდნენ“. ასევე, მოურავისაგან მოსვენება არ ჰქონდა ქალაქის მცხოვრებთა ხარებს, ურმებსა და მეურმეებს. თავისი სასარგებლო გამოსაღები დაუწესებია მოურავს აგრეთვე ქალაქის მოსახლეობის ვენახზე, ბაღებზე, ბოსტნებზე, ისე რომ, არც ვენახი, არც ბაღი და არც ჭირნახული, საბუთის სიტყვით, გორელების აღარ იყო და ფაქტობრივად მოურავს ეკუთვნოდა. მოურავის თვითნებობა იქამდე მისულა, რომ მას ქალაქის მოედანიც კი, სადაც ვაჭრებსა და ხელოსნებს თავიანთი საქონელი გაჰქონდათ, მოუხნავს და თავისთვის ბოსტნად დაუჭერია. ამიტომაც, აცხადებენ გორელები, „ჩვენი საქონელი მეიდანზე ვეღარ გადისო“. ასეთი მრავალგვარი უსამართლო გამოსაღებებიც არ აკმაყოფილებდა მადაგახსნილ მოურავს და, გორელების განცხადებით, მათ „ყოველ ჭირსა და ლხინზე ძღვენის“ მირთმევაც დააკისრა. გორელებს აწუხებდათ განსაკუთრებით ის, რომ მოძალადე მოურავი თვით გორში იჯდა. მათი სიტყვით, არც ერთი „მოურავი აქამდე არ მჯდარა“, ეს კი „თავს დაგვჯდომია“, მთელი ეს უბედურება, ანუ, როგორც საბუთშია

ნათქვამი, „ჭირი“ მოურავის „აქ (გორში, შ. მ.) დგომით დაგვემართა“, ხოლო „როდესაც ჭალას მდგარა ამილახორი, ამდენს მოსახსენებელში არც ერთი არ გვჭირებიაო“. როგორც ჩანს, მეფის მიერ ქალაქის გამგებლად დანიშნული მოხელის მუდმივად ქალაქში დგომა, მოსახლეობისათვის უბედურების, ახალ-ახალი უკანონო სათხოვრებისა და ბეგარის მოტანა იყო.

გორის მოსახლეობის ძარცვაში, როგორც იმავე საბუთიდან ჩანს, მოურავს თანამონაწილეებიც ჰყავდა, კერძოდ გორის მამასახლისი და მოურავის „ბიჭები“; საბუთის სიტყვით, „მამასახლისი შეჰყრია მოურავს ამხანაკათა“, მოურავი „თავს დაგვჯდომია, მამასახლისი კი ბოლოსო“. მოურავის სხვა ხელქვეითნი — „ბიჭები“ კიდევ „დუქნებს ამტვრევენ“, იქ მოსაქმე კაცს „იტაცებენ ტყუილათ და ჯარიმისთვის თავს ასყიდვინებენო“. ერთი სიტყვით, მოურავმა, მამასახლისმა და მათმა თანაშემწეებმა გორში ხალხი ისე ააწიოკეს, რომ „მაგათი შიშით ბაზარში ასნაფებიც (ხელოსანთა და ვაჭართა ამქრები, შ. მ.) ვეღარ დამდგარან“[463]. მსგავსი მაგალითები ქალაქის მოხელეების თვითნებობისა მათდამი დაქვემდებარებული მოსახლეობის მიმართ არაერთი იყო გვიანფეოდალური საქართველოს სხვა ქალაქებში.

კლასობრივ ბრძოლას ქალაქის ძირითად მოსახლეობასა და ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებს შორის ამწვავებდა აგრეთვე ქალაქის გავლენიანი მოხელეების ჩარევა საქალაქო ვაჭრობაში, სადაც ისინი თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ ყველა იმ უფლებას და გავლენას, რაც მათ სამეფო ხელისუფლებისაგან ჰქონდათ მინიჭებული. ქალაქის ფეოდალური არისტოკრატია კი, ფეოდალური ქალაქის ეკონომიკურ ცხოვრებაში, სხვადასხვა გზითა და ხერხებით, აქტიურად მონაწილეობდა.

ყველაფერი ეს—ქალაქის მოსახლეობის მძიმე სახელმწიფო და კერძო საბატონო ვალდებულებანი, ცალკეულ მებატონეთა მიერ ისედაც მძიმე საბატონყმო ნორმების დარღვევა და ყმა ხელოსანთა და ვაჭართა ორმაგი ექსპლოატაცია, სამეფო მოხელეთა მიერ ქალაქის მოსახლეობის დაუნდობელი ძარცვა, ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა პრივილეგიური მდგომარეობა ქალაქის ვაჭრობაში და საერთოდ საქალაქო ცხოვრებაში—ქალაქის ძირითადი მოსახლეობის ყველა ფენაში ერთნაირად იწვევდა ანტიფეოდალურ გამოსვლებს ქალაქებში

---

[463] საქართველოს სახელმწ. მუზეუმი (ქვემოთ, სსმ), ფ. Qd 7120.

ქალაქის მოსახლეობის ექსპლოატირებული ფენის გამოსვლები, პროტესტები ცალკეულ მებატონეთა, მეფის მოხელეთა თუ თვით მეფის წინააღმდეგ სხვადასხვაგვარი იყო. პროტესტების ერთ-ერთ, შედარებით „მორიდებულ“ ფორმას საჩივრები წარმოადგენდა, რომლითაც ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა თუ საქალაქო მოხელეების მოქმედების შესახებ ყმა თავის ძლიერ ბატონს (უფლისწული, დედოფალი), ან კიდევ თვით მეფეს აცნობებდა. ანტიფეოდალური პროტესტების ასეთი ფორმა შედარებით გავრცელებული იყო XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში.

ზემომოტანილი საბუთებიდან ჩანდა, რომ თბილისელი თუ ცხინვალელი ხელოსნები და ვაჭრები თხოვნით მიმართავდნენ თავიანთ ბატონს გიორგი ბატონიშვილს, რათა ისინი დაეხსნა ქალაქის მოხელეების მძლავრობისაგან. ასევე, ქალაქის ხელისუფალთა უსამართლობის შესახებ ჩიოდნენ ცხინვალელები თვით მეფის წინაშე და სხვ. დამახასიათებელია, რომ XVIII ს. მეორე ნახევარი, ერთი ფეოდალის განცხადებით, „ასეთი დრო იყო, ერთი აბაზის საჩივარზედ ქართველ ბატონს (—მეფეს, შ. მ.) სამს არზას მოართმევენ ხოლმე“[464]. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა მებატონეთა წინააღმდეგ ბრძოლის ეს შედარებით „მორიდებული ფორმა“ უფრო მრისხანე ხასიათს იღებდა და იგი ქალაქის მოსახლეობის ერთგვარ ანტიფეოდალურ დემონსტრაციად იქცეოდა. მაგ., როგორც 1795 წ. საბუთიდან ჩანს, XVII ს. მიწურულს, ქართლში ერეკლე I-ის მეფობის დროს, გორის მოსახლეობის დიდი ნაწილი, გორის მოურავის თვითნებობით შევიწროებულნი, თბილისში „მეფე ერეკლესთან ჩასულან [და] უჩივლიათ“. თბილისში ჩასულ გორელთა მოთხოვნა იმდენად კატეგორიული ყოფილა, რომ მეფე იძულებული გამხდარა, ყველა ძველი დებულება, რაც გორის მოურავს ჰქონდა და რომლის ძალითაც იგი მოქმედებდა, „დაეყენებინა“ (გაეუქმებინა) „და სხვა ახალი განჩინება“ მიეცა. ერეკლე I-ის მიერ გორის მოურავისადმი მიცემული ახალი განჩინება, შედარებით ხელსაყრელი ყოფილა ქალაქის მოსახლეობისათვის და ამიტომაც გორელები XVIII ს. 90-იან წლებშიც მის ისევ განახლებას მოითხოვდნენ. მაგრამ ერეკლე I-ის მიერ დადგენილი ახალი დებულება, გორის შემდეგდროინდელ მოურავებს, რაკი მათ უფლებებსა და გაზრდილ მადას შესამჩნევად ზღუდავდა, გადაუმალავთ და ერეკ-

---

[464] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გამოსცა ა. იოსელიანმა, 1950, გვ. 13.

ლე II-ის მეფობის დროს, თუმცა მეფე მის დაუყოვნებლივ მოძებნას ბრძანებდა, არ გამოუჩენიათ[465].

ბრძოლა გორის მოსახლეობასა და მის მოურავებს შორის ამით არ დამთავრებულა. როგორც მასალებიდან ირკვევა, გორის მოურავებმა ერეკლე I-ის მიერ მიცემული განწესება მალე დაივიწყეს და ქალაქის მოსახლეობის ძარცვა კიდევ უფრო გააძლიერეს. ამ მხრივ განსაკუთრებით მადაგახსნილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იასე ამილახვარი აღმოჩნდა. გორის მოსახლეობა იძულებული გახდა მოურავის წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოსულიყო და ვრცელი საჩივარი, გორის მოურავის მიმართ სათანადო ბრალდებების წაყენებით, XVIII ს. 90-იან წლებში ერეკლე II-ისათვის მიერთმია. აღსანიშნავია, რომ აქამდეც, როგორც იმავე საჩივრიდან ჩანს, გორელებს არაერთხელ მიუმართავთ ერეკლე II-ისათვის, მაგრამ მეფეს, თითქოს მოუცლელობით, პასუხი არ მიუცია და სათანადო ღონისძიებები არ მიუღია. ალბათ ამან გამოიწვია გორელების ხელახალი ერთიანი პროტესტი. თვით გორელები ამ შემთხვევაშიც მეფეს თბილისში ხლებიან; როგორც საბუთშია ნათქვამი, ისინი თბილისში „ქვეყნის გაფუჭების მოსახსენებლად ჩასულან და სამართლისათვის ჩივიან". ისინი თავიანთ საჩივარში მეფეს სხვათა შორის მოახსენებდნენ: ნუ გაგიკვირდებათ და ჩვენი საჩივრისთვის ნუ გაგვიწყრებით, ჩვენ მოურავისაგან ისეთი დიდი უსამართლობა გვჭირს, იძულებული ვართ მოგმართოთ. სხვა ქვეყნებში არათუ ასეთ დიდ, არამედ უბრალო საქმეებზედაც ჩივიან, „პეტრე ჭელმწიფის (პეტრე I, შ. მ.) ერთმა ბაყალმა სამს ჭერამზედა უჩივლაო". [466] იმდენად დასაბუთებული და კატეგორიული იყო გორის მოსახლეობის საჩივარი, რომ მეფე იძულებული გახდა მისთვის ყურადღება მიექცია და 1795 წ. უკვე ახალი მოურავისათვის, ოთარ ამილახვრისათვის მტკიცედ განესაზღვრა უფლება, მოვალეობა და სარგო. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ 1795 წ. გორის მოურავის დებულება, თვით გორელების მითითებით, მათი საჩივრის საფუძველზე, მათ მიერვე აყო შედგენილი. გორის მოსახლეობის მიერ წარდგენილ დებულებაზე, ოთარ ამილახვრის განცხადებით, ერეკლე II-ს შემდეგი მინაწერი გაუკეთებია: „ბატონო ამილახვარო, რაც გორელებს ამ აზრით ამილახვრის სარგო განწესება თითოეულათ მოუხსენებიათ ამას უნდა დასჯერდეო"... ამილახვარიც

---

465 სცსა, ფ. 227, № 758.

466 სსმ, ფ Qd: 7120; შდრ. შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის, გვ. 220.

თავის მხრივ უმატებდა: „ჩვენ მის უმაღლესობის ოქმი რომ ვნახეთ მის [ბრძა]ნებას დავმორჩილდით [და რაც] იმაში განწესება სწერია იმას დავჯერდით". ამ მინაწერს ქვემოთ მოსდევს გორელების მიერ შედგენილი ახალი დებულება, რომელიც, სამწუხაროდ, ისეა დაზიანებული (ტექსტის ერთი ნახევარი მოხეულა), რომ მისი სისრულით აღდგენა შეუძლებელი ხდება. ამას გარდა, გორელებმა ახალ მოურავს პირობა დაადებინეს, სადაც სხვათა შორის ნათქვამი იყო: „იმის გარდა, რაც ეს წერილი დაგვიდვია, ამისი მეტი ჩემი სამოურავო გორში არა მოვი[მო]ქმედო რა, ჩვენი ოჯახისა და თქვენი ოჯახების მშვიდობისათვის მოგეცით ეს წერილი; დღეს და დღეის იქით არა ჩვენ და არა თქვენ ამაზედ მეტნაკლებობა არა მოვინდომოთ რა. თუ რომელმაც ამაზე ნაკლები მოვინდომოთ, ღვთისაც და ჯელმწიფისაცა წინააღმდეგი იქნება"[467].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გორის მოსახლეობის მთელი ეს მოძრაობა ქალაქის მოსახლეობის გავლენიანი ზედაფენის, ე. წ. ქედხუდების მეთაურობით ხდებოდა. თვით ვრცელი ტექსტი საჩივრისა, როგორც მისი ერთი ადგილიდან ჩანს, ქედხუდების მიერ იყო შედგენილი. ტექსტში სხვათა შორის ნათქვამია: „ამილახორს [გორის] ნიხრთან საქმე არა აქვს, ქეთხუდებისა არის". მაგრამ მოურავი „ჩვენს (ე. ი. ქედხუდების, შ. ჟ.) ნიხრმოცემულს ჯარიმას" ართმევსო[468]. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ქალაქის მსხვილ ვაჭართა წარმომადგენლები მოსახლეობის ყველა ფენის სახელით და მასთან ერთად გამოდიოდნენ საერთო ექსპლოატატორის წინააღმდეგ.

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანდა, ქალაქის მოსახლეობის ანტიფეოდალური, თითქოსდა „მორიდებული" გამოსვლა საჩივრებითა და პროტესტებით ზოგჯერ ისეთ მასიურ და მწვავე ხასიათს იღებდა, რომ სამეფო ხელისუფლება იძულებული ხდებოდა მისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია; გორელების ერთიანი გამოსვლა, როგორც ჩანს, გამარჯვებით დამთავრდა. მეფემ თავისი თავგასული მოხელე, ძლიერი ფეოდალი, თვით მოქალაქეთა მიერ შედგენილ გარიგების წიგნს დაუმორჩილა. მოურავიც იძულებული გახდა მის წინააღმდეგ მებრძოლ ქალაქის მოსახლეობის ნებასურვილს მიჰყოლოდა.

ქალაქის მოსახლეობის ერთიანი ანტიფეოდალური გამოსვლა, ფეოდალურ საქართველოს ქალაქებში, როგორც ჩანს, ისე ხშირ

---

467 სცსა, ფ. 227, № 758.

468 სსმ, ფ. Qd: 7120.

და საშიშ სახეს იღებდა, რომ თვით მეფეც ზოგ შემთხვევაში ვერ ბედავდა „ქვეყნის დაუკითხავად“ ქალაქზე ახალი გადასახადები გაეწერა. გორელები ერეკლე II-ს წერდნენ: თქვენ როცა გადასწყვიტეთ „ქვეყნის შესამატი და მტრის დასაწყნარებლად სალეკო“ გამოსაღები გაგეწერათ, „რამდენი ხანი ამისი მასლათი ქართლისა და კახეთის ბერთან და დარბაისელთან გქონდათ... რომ თითქმის ვერც კი ბედამდით, რომ ერთი რამ არაფერი შესაწუხარი“ ჩვენ არ შეგვმთხვეოდაო და ეს ამილახვარი ვინღა არის „ამდენი უდები რომ დაგვდვაო“[469].

XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში საჩივრები არ ყოფილა ანტიფეოდალური გამოსვლების ერთადერთი ფორმა. ცალკეულ ყმა ვაჭართა და ხელოსანთა საჩივარი ყოველთვის მათთვის სასურველ შედეგს როდი აღწევდა. პირიქით, უმრავლეს შემთხვევაში საჩივარი უპასუხოდ რჩებოდა და ქალაქის მოსახლეობის განუკითხავი ექსპლოატაცია ჩვეულებრივ გრძელდებოდა. ამას გარდა, ქალაქის მოსახლეობას ვისთვის მიემართა საჩივრით, თუკი თვით მეფე ან დედოფალი, ფეოდალური ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალნი ეწეოდნენ მსგავს ძალმომრეობას. რადგანაც ქალაქის მოსახლეთა საჩივრები ხშირად განუკითხავი რჩებოდა, მისი ცალკეული წარმომადგენლები, რაკი მათ, როგორც აცხადებდნენ, „სხვა გზა აღარ რჩებოდათ გარდა დაკარგვისა“, იძულებულნი ხდებოდნენ პროტესტის კიდევ ერთი ფორმისათვის, ბრძოლის შედარებით მაღალი სახისათვის — ბატონყმობაზე უარის თქმისა და გაქცევისათვის მიემართათ.

აღსანიშნავია, რომ ყმობისაგან განთავისუფლების მიზნით ხელოსნები და ვაჭრები ზოგჯერ ფეოდალურ სასამართლოს მიმართავდნენ და საამისოდ სხვადასხვა საბუთებსა და საჩივრებს ადგენდნენ. მაგ., სტეფანა კალატოზმა ერასტის ყმობაზე უარი განაცხადა და ამის დასასაბუთებლად „ისეთი რამ მოიგონა, რომ ღვთისაცა საწყენი იყო და კაცისაცა“. მართლაც, ყმა კალატოზი იმდენად ყოფილა გატაცებული ყმობისაგან თავის დახსნის სურვილით, რომ საკუთარი დედისთვისაც კი საჯაროდ შეურაცხყოფა მიუყენებია... კალატოზმა სასამართლოზე თურმე განაცხადა: მართალია, ერასტი გოსტაშაბაშვილის ყმა მარტირუზა შიხუაშვილი დედაჩემის კანონიერი მეუღლე იყო, „მარა იმ დედაჩემს განდუაშვილი დასწოლოდ“ და [მე] იმ განდუაშვილის შევი-

[469] იქვე.

ქენიო"[470], ე. ი. მე ერასტის ყმის, დედაჩემის მეუღლის შვილი კი არ ვარ, არამედ განდუაშვილისა და მაშასადამე, ერასტი ჩემზე უფლებას ვერ განახორციელებსო. ამ საბუთით ყმა კალატოზმა ერასტი გოსტაშაბაშვილს სასამართლოში უჩივლა; მათი საქმე ერთხელ ვახტანგ ბატონიშვილმა თვით გაარჩია, ორჯერ კიდევ მდივანბეგებმა და ყმობის მგმობელმა კალატოზმა იმდენი მოახერხა, რომ ვახტანგ ბატონიშვილისაგან განთავისუფლების ბრძანება აიღო. მაგრამ ერასტიმ თავისი ყმა ასე ადვილად როდი დათმო, იგი „დაიჭირა და ავათ მოეპყრო"... ბოლოს მაინც ფეოდალურმა სამართალმა „დედისა და ყმობის მგმობელი" კალატოზი გაამტყუნა და 1790 წ. განაჩენით იგი ისევ ერასტის ყმადმინება[471].

ამგვარადვე, მარცხით დამთავრდა აგრეთვე თბილისელი ყმა ვაჭრების გოდერძი და კიკოლა მოსესაშვილების ცდა თავი გაეთავისუფლებინათ სოლომონ ბეგთაბეგიშვილის ყმობისაგან. მოსესაშვილებმა სასამართლოში სხვაგვარი მტკიცება წარმოადგინეს: ჩვენ ვახუშტი ბატონიშვილის ყმები ვართ და ბეგთაბეგიშვილებს ჩვენთან ხელი არა აქვთო. ამას მოსესაშვილები 1779 წ. აცხადებდნენ, როცა ვახუშტი ბატონიშვილი უკვე გარდაცვლილი იყო. ყმა ვაჭრებმაც, ცხადია, ვახუშტი ბატონიშვილის ყმობა საერთოდ ყმობისაგან თავის დახსნის მიზნით მოიგონეს. ნამდვილად კი, როგორც „ქალაქის ძველის დავთრებითაც და ახალის დავთრებითაც" ჩანდა, მოსესაშვილები ბეგთაბეგიშვილების ყმები იყვნენ. ფეოდალურმა სამართალმა ამჟამადაც მოსესაშვილებს ისევ ბეგთაბეგიშვილების საუკუნო ყმობა გადაუწყვიტა[472]. ასე რომ, ბატონყმობისაგან თავდახსნის ასეთი გზა, სასამართლოში დავა, თავისი ბატონის წინააღმდეგ მებრძოლი ყმისათვის სასურველი შედეგით არ შეიძლებოდა დამთავრებულიყო. ფეოდალური სამართალი ამის შესაძლებლობას სპობდა. მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა არა ეს, არამედ ყმა ხელოსანთა და ვაჭართა ცდები უარი ეთქვათ ყმობაზე.

რაკი უმაღლეს ხელისუფალთა წინაშე თუ სასამართლოში ხელოსნებისა და ვაჭრების საჩივარი და დავა ფეოდალური სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ მებატონეთა სასარგებლოდ მთავრდებოდა, ყმას ბატონის ძალმომრეობისაგან თავის დახსნის ერთ-ერთ შედეგიან გზად გაქცევა მიაჩნდა. ყმობისაგან გაქცევით მეფის თუ

---

[470] საქ. სიძველენი, I, გვ. 151—152.
[471] იქვე, გვ. 159—160.
[472] სცსა, ფ. 229, დავთ. 1, საბ. 129.

კერძო მებატონის „ყმობის გმობა“, XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში კლასობრივი ბრძოლის ერთი შედარებით აქტიური ფორმა იყო. ჩვენ არაერთი დოკუმენტი მოგვეპოვება, რომელიც ყმა ვაჭართა და ხელოსანთა ყმობისაგან თავის დახსნის მიზნით ქალაქიდან გაქცევის შესახებ მოგვითხრობს. აქ მხოლოდ რამდენიმეს მოვიტანთ. როგორც გორის მოსამართლეთა 1697 წ. განაჩენიდან ჩანს, გივი თუმანიშვილს თავისი ყმა გორელი ვაჭარი „ნატურაშვილი გაპაროდა და ინდოეთს მიმალულიყო“. მაგრამ თუმანიშვილმა მოახერხა გაქცეული ყმა ვაჭრის ხელში ჩაგდება, იგი დაიჭირა, ერთხანს, როგორც ჩანს, პატიმრობაშიც ამყოფა, მერე კი, ალბათ გარკვეული შეთანხმებით, გაათავისუფლა; ყმა ვაჭარი „აშვების უკან კიდევ გაპაროდა და ინდოეთს წასულიყო“. ამიერიდან ის თავის ბატონს თვალით აღარ უნახავს. გაქცეულმა ყმა ვაჭარმა ისიც მოახერხა, რომ გორში დარჩენილი უძრავი ქონებაც გზაზე, ქ. განჯაში გორელ კაჭაჭიშვილისათვის მიეყიდნა. საინტერესოა, რომ საბუთის სიტყვით, ნატურაშვილი ერთადერთი არ იყო, მას გარდა „მრავალი... მოქალაქე და გორელი კაცი“[473] გაქცეულა ქალაქებიდან. ასე რომ, გაქცევით ბატონყმობაზე უარის თქმა XVII ს. ქალაქებში არც ისე გასაკვირი და არც იშვიათი მოვლენა ყოფილა. ქალაქებიდან გარბოდნენ და ყმობაზე უარს ამბობდნენ არა მარტო კერძო მებატონეთა ყმა ვაჭრები და ხელოსნები, არამედ სამეფო ყმებიც. როგორც 1784 წ. საბუთშია ნათქვამი, მეფის ყმა „დადაშაანთ გასპარა... ქალაქიდამ გაქცეულა“ და უცხო ქვეყანაში გახიზნულა[474]. სამეფო კაცის გაქცევა „მეფის ყმობის გმობად“ იყო მიჩნეული. 1789 წ. საბუთის მიხედვით, 1764 წ. ვაჭრები „სტეფანა და იმისი ძმა ნასყიდაშვილი გასპარა... ქალაქიდამ გაქცეულიყო... სტეფანა მომკვდარიყო და გასპარაც ამჟამათ რუსის ქვეყანაში დასახლებულ იყო“... და რაკი, საბუთის სიტყვით, თბილისელმა მოქალაქეებმა „ბედნიერის ჯელმწიფის ყმობა გმესა და ჩვენი (ქალაქის მოხელეთა, შ. მ.) ძმობა“, იმათი „მამული და ან ქონება, დარჩეს ჯელმწიფისათვისო“[475]. იყო შემთხვევები, როცა სამეფო მოქალაქეებიც კი, ქალაქის მოსახლეობის შედარებით პრივილეგიური წრის წარმომადგენლები, მეფის წინაშე ურჩობდნენ, დანაშაულს ჩადიოდნენ. მეფე ასეთ ურჩ მოქალაქეებს ქალაქიდან გაგდებით სჯიდა. 1767 წ. საბუთის მიხედვით,

---

[473] იქვე, დავთ. 3, საბ. 59.
[474] სცსა, ფ. 229, დავთ. 5, საბ. 180.
[475] სცსა, დავთ. 6, საბ. 114.

მოქალაქე ბაღდასარაშვილ ფარსადანს „ღმერთი გასწყრომოდა, ხელმწიფეც (ერეკლე II, შ. მ.) გაუწყრა [და] ქალაქიდამ გაგდებული იყო“[476]. საბუთი, სამწუხაროდ, არაფერს ამბობს, თუ რაში გამოიხატებოდა მოქალაქე ბაღდასარაშვილის ასე დიდი დანაშაული.

კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში სამეფო, საეკლესიო თუ კერძო საბატონო გამოსაღებებზე უარის თქმა, მისი გადაუხდელობაც წარმოადგენდა. 1753 წ. საბუთით, თბილისის ყმა ხელოსნები, ყანდუანთ ზალინას შვილები არუთინა და ისაია თავიანთ ბატონს ნაცვლიშვილს იოსებს არაწესიერად ემსახურებოდნენ, „დანაშაულიც ბევრი ჰქონიათ“, ოთხი წლის სახელმწიფო გამოსაღები მალი და სამოურავოც არ გადაუხდიათ. ბატონიც უწყრებოდა; ყმებს ურჩობა ვერ გაუვიდათ. ისინი იძულებულნი გახდნენ ახალი „პირობის წიგნის“ საფუძველზე, „გასულის ოთხის წლის მალი“ 12—12 აბაზი და სამოურავო 4 წლისა, წელიწადში 5-5 შაური მიეცათ[477]. მსგავსი მაგალითი ყმათა ურჩობისა და სახელმწიფო გამოსაღებთა გადაუხდელობისა საქართველოს ფეოდალურ ქალაქებში არაერთი იყო.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ საეკლესიო ყმები, რომელნიც თითქოს შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ (ისინი მარტო ეკლესიას ემსახურებოდნენ), თავიანთი ბატონის წინაშე, თვით კათალიკოსის წინაშე ურჩობდნენ და მათზე დაკისრებულ სამსახურს არ ასრულებდნენ. „ქალაქის დებულების“ მიხედვით, დღესასწაულის დღეს ყმები ვალდებულნი იყვნენ თავიანთი ბატონი „ენახათ და ძღვენი მიერთმიათ“... ამგვარი „ძღვენი“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველწლიურ ფულად გამოსაღებს წარმოადგენდა; ამიტომაც ბუნებრივია, თუკი ქალაქის ყმა ხელოსნებსა და ვაჭრებს „ბედნიერ (სადღესასწაულო) დღეებში“ ბატონის ნახვა, რაც ძღვენის მირთმევას გულისმხობდა, დიდად არ სიამოვნებდათ; პირიქით, ამგვარ ვალდებულებას ქალაქის მოსახლეობა ხშირად თავს არიდებდა.

როგორც ანტონ I კათალიკოსის 1777 წ. ბრძანებიდან ჩანს, მის მოქალაქეებსა და „ისე მსახლობელ“, ე. ი. არამოქალაქე ყმებს, ხელოსნებსა და ვაჭრებს თბილისში „ბედნიერ დღეს თავისი ბატონი (კათალიკოსი)“ „არ უნახიათ“, ე. ი. ძღვენი არ მიურთმევიათ,

---

[476] იქვე, დავთ. 1, საბ. 1.
[477] იქვე, დავთ. 5, საბ. 116.

ეს კი, კათალიკოსის სიტყვით, „უმართებულო მოქცევა“ იყო; ამიტომ მან თავის ბოქაულთხუცესს უბრძანა: „ვინცავინ ჩვენი ყმები იყვნენ ქალაქში მსახლობელნი კომლზე ხუთი აბაზი ახლავ დაადეგ და გამოართვი... რადგან უმართლებლოდ მოიქცნენ, იმას ჯარიმად მოქალაქესაც გამოართვი და ისე მსახლობელსაც. ეს ეხლავ გაარიგე თორემ შენ მოგიკითხავთ და შენ გარდაგხდევინებთო“[478]. როგორც ჩანს, „ბედნიერ დღეს ძღვენით“ კათალიკოსს არც ერთი თბილისელი ყმა არ მისვლია, არც მოქალაქე და არც „ისე მსახლობელი“; მას კი ყმები თბილისში საკმაო რაოდენობით ჰყავდა. ასე რომ, „საბატონო ძღვენის“ გადაუხდელობას კათალიკოსის ყმებში 1777 წ. თბილისში მასიური ხასიათი მიუღია. ეს კი საკათალიკოსო ყმათა ამბოხების მაუწყებელი იყო, ალბათ ამიტომაც ჩარია მან ამ საქმეში სათანადო რაზმები ბოქაულთხუცესის ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ დავით ბატონიშვილის სამართლის პროექტის მიხედვით, „დაკლება როჭიკთა (სამეფო თუ საბატონო გამოსაღებთა, შ. მ.) და ულუფათა (სარგო ნატურით, შ. მ.) ნამდვილი სახე არის ამბოხისა, რომლისა მიერაც წარმოიშვება შფოთი, მაგრამ არა შუშნის უმცროსთა (ყმათა, შ. მ.) ესევითარისა საქმისათვის ამბოხებად, არამედ შესაბამისად ადგილსა გამოცხადებად, რათა არა დასჯილ იქმნას წკეპლითა“[479]. როგორც ვხედავთ, ფეოდალური სამართალი გადასახადთა გადაუხდელობას ამბოხებად, აჯანყებად მიიჩნევდა; ხოლო გადასახადზე უარის მთქმელს კი მეამბოხედ, რომელიც წკეპლით უნდა დასჯილიყო. ქალაქში მოსახლენი ზოგჯერ არათუ ცალკე გამოსაღებებზე აცხადებდნენ უარს, არამედ საერთოდ ბატონყმურ სამსახურზედაც, რაც უკვე ნამდვილი აჯანყება იყო. მაგალითად, XIX ს. დამდეგს დავით ორბელიანის ყმობაზე უარი განუცხადებიათ ქ. დუშეთის მოსახლეებს: „დუშეთს ჩემი კაცები (ყმები) მჩაგრავენ, არას მემსახურებიან რაც მამაჩემი მოკვდაო“ — წერდა დავით ორბელიანი ციციანოვს[480]. მსგავსი მოვლენა სხვაც ალბათ არაერთი იყო XVIII ს. მიწურულის საქართველოს ქალაქებში.

XVII—XVIII სს. წყაროებს არავითარი ცნობები არ დაუცავს ბატონყმური დამოკიდებულებიდან განთავისუფლებისა და თვითმმართველობის მიზნით ქალაქების მასიური აჯანყებების შესახებ ქალაქის მფლობელთა წინააღმდეგ. ეს შემთხვევითი არ უნდა

---

[478] ГМГ, ფ. Ad 1941.

[479] „სამართალი ბატონიშვილისა დავითისა“, ГМГ, ფ. H: 840, მუხლი 244.

[480] სცსა, ფ. 226, საბ. № 9110.

იყოს და იმდროინდელი საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით განუვითარებლობაზე, მათ სისუსტეზე უნდა მიგვითითებდეს. XVII-XVIII სს. ქალაქებში საშინაო და ასევე საგარეო პირობათა წყალობით საქალაქო ცხოვრება წარმატებით ვერ ვითარდებოდა. სამეფო ხელისუფლების ღონისძიებანი, საქალაქო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით, საკმარისი არ აღმოჩნდა. ამას გარდა, ქალაქის ძირითად მოსახლეობას სხვადასხვა კატეგორიისა და სხვადასხვა მფლობელთა ყმები შეადგენდნენ, რომელთა გაერთიანება, ერთად დარაზმვა, შეუძლებელი ხდებოდა. მათ იშვიათად ჰქონდათ საერთო ინტერესები. ამრიგად, ქართული ქალაქების ეკონომიკური, სოციალური სისუსტითა და თავისებურებებით უნდა აიხსნას, რომ მათ იმ დროისათვის ერთიანი ფრონტით არ უწარმოებიათ ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქალაქების მოსახლეობა საერთოდ არ აწარმოებდა ბრძოლას ქალაქის მფლობელთა, მოხელეთა თუ ცალკეულ მებატონეთა წინააღმდეგ. ჩვენ მიერ ზემომოტანილი მასალები — ქალაქის მოსახლეობის გაძლიერებული ექსპლოატაციის, მოხელეთა თვითნებობის, მოსახლეობის ძირითადი მასის უუფლებობის და სხვ. შესახებ, თავისთავად გულისხმობს ქალაქის მოსახლეობის ანტიფეოდალურ გამოსვლებს. XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში ცალკეული ანტიფეოდალური გამოსვლები ნაციონალური ან კიდევ რელიგიური კონფლიქტებისა და ურთიერთბრძოლის სამოსელში ეხვეოდა. მაგრამ რელიგიურ და ნაციონალურ შუღლში კლასობრივ ინტერესთა დაპირისპირების დანახვა შესაძლებელი ხდება. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ქ. თბილისის ხელოსნებისა და ვაჭრების აჯანყება 1698 წ. რომის კათოლიკური ეკლესიის პოლიტიკური და ეკონომიკური აგენტების, კათოლიკე მისიონერების წინააღმდეგ. ეს აჯანყება, რომელიც პატრს ამადიო ბრეშელს აქვს აღწერილი, აღმწერის მიხედვით თითქოს წმინდა რელიგიურ ხასიათს ატარებდა და იმით იყო გამოწვეული, რომ თბილისში კათოლიკები თანდათან მრავლდებოდნენ, რაც „კათოლიკური სარწმუნოების მტერმა სომხებმა ვეღარ მოითმინესო“. ნამდვილად კი აჯანყებას კლასობრივი საფუძველი ჰქონდა.

XVII ს. მეორე ნახევრიდან სავაჭრო ურთიერთობა საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის თანდათან გაცხოველდა. ევროპელ ვაჭრებთან ერთად საქართველოში გამოჩნდნენ

ევროპის სავაჭრო კაპიტალის აგენტებიც, კათოლიკე მისიონერები, რომელნიც მეფეთა ხელშეწყობით, აქტიურად ჩაებნენ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. რომის პაპის აგენტების მრავალმხრივი საქმიანობით ევროპის კაპიტალი ცდილობდა საქართველოში მოემზადებინა (ქართველთა „კულტურულ გათვითცნობიერებას" კი არ ისახავდა მიზნად) ნიადაგი კათოლიკური ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური გაბატონებისათვის. აღსანიშნავია, რომ ქართველი მეფეები და მისი მომხრე დიდებულები, რაკი რომის პაპის აგენტთა მოღვაწეობა ქვეყნისათვის თითქოს სასარგებლო ჩანდა, ხოლო რომთან პოლიტიკური კავშირი შეიძლებოდა თავიანთი ინტერესებისათვის—მაჰმადიანური ქვეყნების აგრესიის წინააღმდეგ—გამოეყენებინათ, ფართო გასაქანს აძლევდნენ კათოლიკე მისიონერების საქმიანობას და ევროპის კაპიტალს საქართველოში. მაგრამ ევროპის სავაჭრო კაპიტალის გაბატონება გაღატაკებას უქადდა გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების ფართო ვაჭრულ-ხელოსნურ მოსახლეობას. ამიტომაც რომის პაპის აგენტების საქმიანობა, რომელნიც ყოველნაირად ხელს უწყობდნენ ევროპის ეკონომიკურ და, შესაძლებელ შემთხვევაში, პოლიტიკურ ბატონობასაც, მათთვის სავსებით მიუღებელი ჩანდა. ამით აიხსნება, რომ რომის პაპის პოლიტიკურ აგენტებს საქართველოში გაცილებით მეტი და ძლიერი მოწინააღმდეგეები აღმოაჩნდნენ, ვიდრე მომხრეები. ამით აიხსნება აგრეთვე ისიც, რომ ფეოდალური საქართველოს ქალაქების მოსახლეობა არაერთხელ აჯანყებულა მათ წინააღმდეგ და არაერთხელ უცდია მათი განდევნა ქალაქებიდან. ერთ-ერთი ასეთი აჯანყება კათოლიკე მისიონერთა წინააღმდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისში XVII ს. მიწურულს მომხდარა.

პატრი ამადიო ბრეშელი 1698 წ. რომში იწერებოდა: „ვინაიდან (თბილისში) კათოლიკები შესამჩნევად გამრავლდნენ და დაიწყეს ხშირად მოსვლა ჩვენს ეკლესიაში, კათოლიკე სარწმუნოების მტერმა სომხებმა ვეღარ მოითმინეს... ფულის (გამოსაღების) მოსაკრებად პატრიარქისაგან გამოგზავნილმა ვართაპეტმა, ყველა მღვდლებთან და ქალაქის ხუთ-ექვს მოწინავე პირებთან (წარჩინებულ მოქალაქეებთან, შ. მ.) ერთად გადასწყვიტეს ჩვენი ეკლესიის დანგრევა და ჩვენი ამ ქალაქიდან განდევნა... მატყუარა ყულარაღასი (სამეფო სასახლის გვარდიის მეთაური, შ. მ.) ლაპარაკში განგებ მუდამ ჩვენ (მისიონერებს, შ. მ.) გვესარჩლებოდა და მათ (მოწინააღმდეგეებს, შ. მ) აყვედრიდა; ვართაპეტმა რა ნახა ეს,

თუმცა მოჩვენებით იყო, მაგრამ მაინც კი პატრების წინაშე ეს ყვედრება ვეღარ აიტანა, გაბრაზებული გავიდა... და დაიწყო შეჩვენება და წყევლა ყველა იმათი, ვინც არ დაკეტავდა დუქნებს და ჩვენის ეკლესიის და სახლის დასაქცევად არ მოვიდოდა... ვაჭრებმა და მედუქნეებმა ყველამ დაკეტეს დუქნები და ყველანი საშინელის ყვირილით, შეიარაღებულნი კეტებით და ცულებით, წამოვიდნენ ჩვენი სახლისაკენ. ამ გაბრაზებული ეშმაკის მონების ყვირილი ისეთი იყო, რომ ქუჩებში ყველა დედაკაცები სახლებიდან გარეთ გამოცვივდნენ და ზოგიც თავიანთი სახლების ბანზედ ავიდნენ, რათა იქითგან ეცქირათ ამ წარმოდგენისათვის, რომელიც მართლა მეორეთ მოსვლის დღეს ჰგავდა. რა მოვიდნენ, დიდრონის ქვებით, კეტებით და ცულებით კარის შემტვრევა სცადეს... უმეტესობა ავიდა ბანზე.. და იქიდგან დაუწყეს სეტყვასავით ქვების სროლა ეკლესიასა და ყორეს (გალავანს, შ. მ.)... ამ დროს როცა ეს გაცოფებული ხალხი თავის ჯავრს ქვების სროლით იყრიდა, ჩვენი ბაღის ქვეითა გზით გაიარა ცხენით მდივანბეგმა (სამეფოს უმაღლესი მსაჯული, შ. მ.), რომელსაც თან ახლდა მრავალი თავისი კაცები; ამ ბატონმა რა დაინახა (ეს)... სასწრაფოდ გამოგზავნა შეიარაღებული კაცები, რომ დაეცვათ ჩვენი ეკლესია, სახლი და ჩვენ ყველანი... მდივანბეგის კაცები ხალხს მისცვივდნენ ჯოხებით და შეაჩერეს... ეს ამბავი რა გაიგონა... ყულარაღასმა გაბრაზებული წამოდგა ფეხზე და უთხრა (ქალაქის) მამასახლისს: „დიდი ცეცხლი მოეკიდა შენს სახლს, წადი ჩქარა შე ძაღლო და მოაშორე იქიდგან ხალხიო“. ესეც საჩქაროთ წამოვიდა ჩვენი სახლისაკენ და ჯოხით გაფანტა მომეტებული ხალხი, რომელიც უკვე დამცხრალიყო მდივანბეგის კაცების შიშით. ყულარაღასმა შემდგომ პატრებს ჩვენს სახლამდე თავისი მეკარე გამოაყოლა... ეს ხალხი ორ საათამდე დარჩა ჩვენი სახლის წინ“... ხოლო შემდეგ მეფის ბრძანება გამოიცა და ხალხი დაშოშმინდაო[841]. როგორც მოტანილი აღწერილობიდან ირკვევა, ქალაქის მოსახლეობის აჯანყება წინასწარ მოფიქრებული და მომზადებული ყოფილა; აჯანყების ინიციატორებად სომხურ-ქართული ეკლესიის წარმომადგენლებს გარდა (ვარდაპეტი, მღვდლები) „ქალაქის 5—6 მოწინავე პირიც“, ე. ი. მოქალაქეებიც ყოფილან. მთავარ ძალას კი თბილისის „ვაჭრები და მედუქნეები“ შეადგენდნენ, რომლებმაც ვარდაპეტის მოწოდებისთანავე დაკეტეს დუქნები და ერთბაშად პატრების სახ-

[841] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის გვ. 291—293; იტალიური ტექსტი, იხ. იქვე, გვ. 708—712.

ლებსა და ეკლესიებს შეუტიეს. ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობა კეტებით, ქვებით და ცულებით ყოფილა შეიარაღებული. რომის პაპის აგენტების წინააღმდეგ ამხედრებული მოსახლეობის დაშოშმინება სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლების (მდივანბეგი, მამასახლისი) და მათ მიერ გამოგზავნილი რაზმის საშუალებით მოხერხდა. მაგრამ ამის შემდეგაც აჯანყებულებს დიდხანს არ დაუტოვებიათ პატრების ეკლესია, სანამ მეფის საგანგებო ბრძანება არ გამოიცა. კერძოდ, ამ ბრძანებამ, როგორც თვით პატრი ამადიოს მითითებიდან ჩანს, საგრძნობლად შეზღუდა კათოლიკე მისიონერების მოქმედების ასპარეზი[482]. ამგვარი ბრძანება იმიტომ გამოიცაო — წერს ამადიო ბრეშელი, — რომ ამბოხების მეთაურებმა (ვარდაპეტმა, მოქალაქეებმა) წინასწარ მოქრთამეს მეფეცა და ყულარაღასიცო. ამ მითითებიდანაც კარგად ჩანს, რომ აჯანყება უშედეგოდ არ დამთავრებულა. სამეფო ხელისუფლება იძულებული გამხდარა ანგარიში გაეწია ქალაქის ვაჭართა და მედუქნეთა მოთხოვნისათვის.

ქალაქის მოსახლეობის გამოსვლა მიმართული იყო არა მარტო რომის პაპის აგენტების, არამედ მის დამცველთა და ხელშემწყობთა (მეფე, ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები) წინაღმდეგაც. ამით აიხსნება, რომ აჯანყება სწორედ ერთ-ერთი უმაღლესი სამეფო მოხელის რაზმმა ჩააქრო. ამრიგად, თბილისის ვაჭარ-ხელოსანთა, მედუქნეთა 1698 წ. გამოსვლა, გარეგნულად რელიგიური კონფლიქტის ფორმის მქონე, არსებითად კლასობრივ შინაარსს ატარებდა და ევროპის სავაჭრო კაპიტალის აგენტებისა და მათი ხელშემწყობი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლების წინააღმდეგ იყო მიმართული.

XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში იყო შემთხვევები, როცა კლასობრივი ბრძოლა ქალაქის მოსახლეობასა და ფეოდალურ არისტოკრატიას შორის ერთგვარად ნაციონალური წინააღმდეგობისა და შუღლის სახეს ღებულობდა. კლასთა ბრძოლის ამგვარ გამოვლინებას განსაკუთრებით ხელს უწყობდა ისიც, რომ ფეოდალური საქართველოს ქალაქებში ვაჭრებსა და ხელოსნებს, განსაკუთრებით კი ვაჭრებს, ე. წ. მოქალაქეებს სხვა ეროვნების წარმომადგენლები, უმთავრესად სომხები შეადგენდნენ, რომელთა ნაწილი დიდი ხნიდან იყო გადმოსახლებული საქართველოში და ენობრივად და კულტურულად ფაქტობრივად ქართველობას ეკუ-

[482] იქვე, გვ. 293.

თვნოდა, ნაწილი კიდევ XVII—XVIII სს. გადმოდიოდა. ყველა ამათ, ქართველი თავადაზნაურობა მაინც სომხებად უყურებდა. დამახასიათებელია, რომ ქართველი ფეოდალის გაგებით „ვაჭარი“ და „სომეხი“ თანაბარი მნიშვნელობის ცნება იყო და ქართველს, რომელიც ვაჭრობას მისდევდა, ქართველი ფეოდალი „გასომხებულს“ უწოდებდა. ამიტომაც კლასობრივი დაპირისპირება ფეოდალურ არისტოკრატიასა და ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნურ მოსახლეობას შორის ფეოდალურ საქართველოში ზოგ შემთხვევაში ნაციონალური (ქართველის და სომეხის) დაპირისპირების სახეს იღებდა. ქართველი ფეოდალები, როგორც ჩანს, განსაკუთრებით უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ ქალაქის მოსახლეობის ნაწილს, მსხვილ ვაჭრებს საერთოდ და ე. წ. მოქალაქეებს თბილისში, სამეფო ხელისუფლება გარკვეულ პრივილეგიურ ფენად ხდიდა და მათ გამრავლებას ხელს უწყობდა. ქართული ფეოდალური არისტოკრატია ამ, სამეფო ხელისუფლების მიერ პატივდებულ, ვაჭრებში თავის მოწინააღმდეგეს ხედავდა და ყოველგვარი შემთხვევით სარგებლობდა, რათა მათთვის ზიანი მიეყენებინა. ფეოდალური არისტოკრატიის მტრული დამოკიდებულება მსხვილი ვაჭრებისადმი, მოქალაქეებისადმი და საერთოდ ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობისადმი კარგად აისახა ერთ-ერთი თავადის, იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძში“. ოღონდ ბარათაშვილმა ეს მტრობა სომეხთა მიმართ მტრობად გამოაცხადა. იესე ბარათაშვილი XVIII ს. 70-იან წლებში წერდა: „უღმთონი სომეხნი... ვაჭარნი ვაჭრულად და ცოდვისათვის ჩვენისა მეფისა პალატსა შემოცვენილნი... მთავრობა და მეფობა აღძარცვილნი და ყოელსა პირსა ქუეყანისასა ღუთის მიერ მონად მიცემულნი, საქართველოში უფლად და გამგედ და აზნაურთ დაუდგენიათ, წინაალმდეგ ღუთის ბრძანებისა... რომელნიცა იყვნენ უმსახურო მეფენი მათ უქმნიეს, თორემ ნახეთ აღმოსავლეთი, დასავლეთი, ბღვარი და ჩრდილო, სადა აქვს სომეხსა აზნაურება. ღმერთმა განხეთქა, კაცმა ვით აღადგინოს?“[483]. როგორც ვხედავთ, იესე ბარათაშვილი სასტიკად ილაშქრებს არა მარტო სომეხი ვაჭრების, არამედ იმ ქართველ მეფეთა პოლიტიკის წინააღმდეგაც, რომელთაც ხელი შეუწყვეს მათ გადმოყვანასა და დაწინაურებას. ქართველ ფეოდალს განსაკუთრებით აწუხებს, რომ ისინი აქ, „საქართველოში უფ-

---

[483] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გამოსცა ა. იოსელიანმა, თბილისი, 1950, გვ. 67.

ლად, და გამგეთ და აზნაურთ“ გაუხდიათ, ე. ი. რომ მათ შესაძ-ლებლობა აქვთ ყმები იყოლიონ, საქალაქო მართვა-გამგეობაში მონაწილეობა მიიღონ და აზნაურის წოდებაც დაიმსახურონ. ქართველი ფეოდალის ამგვარი დამოკიდებულება საქართველოში მყოფი სომეხი ვაჭრებისადმი, სომეხ-ქართველთა მტრულ ნაციონალურ ურთიერთობაზე კი არ მიგვითითებს, არამედ ფეოდალური არისტოკრატიისა და ქალაქის მოსახლეობის კლასობრივ დაპირისპირებაზე, ანტაგონიზმზე. ფეოდალური საქართველოს ქალაქების მოსახლეობაც, თავის მხრივ, ასევე მტრულად უყურებდა ქართველ ფეოდალებს და ზოგიერთ მათ წარმომადგენელთა წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოდიოდა. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ზემოხსენებულ იესე ბარათაშვილს დასწამეს მეფის (ერეკლე II-ის) ორგულ ზაალ ორბელიანისადმი დახმარების აღმოჩენა. მეფის მოღალატე ფეოდალისა და მისი დამხმარე იესე ბარათაშვილის წინააღმდეგ ქალაქის მთელი მოსახლეობა აღიმართა. თვით იესეს განცხადებით, „დაიწყეს ქვეყანაზე ზახილი: — ზაალ ჩავკიროთო და იესეც მის გვერდით ჩავკიროთო. აღადგინეს სომეხნი მოქალაქენი, იძახდნენ ჭონები, მკუპრავები: — მოგვეცით, მოგვეცითო!“ მეფის მოღალატე დიდგვაროვანთა წინააღმდეგ ამხედრებული თბილისის ვაჭრები და ხელოსნები, როგორც თვით იესე მოგვითხრობს, მეფემ და კათალიკოსმა ძლივს დაშალეს[484]. როგორც ვხედავთ, დიდგვაროვანი ფეოდალების წინააღმდეგ გამოსულან არა მარტო „სომეხნი მოქალაქენი“, რომელთაც ასე ძალიან მტრობდა ბარათაშვილი, არამედ ქალაქის მთელი მოსახლეობა. ცხადია, ისე როგორც იესე ბარათაშვილის გალაშქრებას სომეხი ვაჭრების (და საერთოდ ვაჭრების) წინააღმდეგ, ასევე ვაჭარ-ხელოსანთა გამოლაშქრებას ორბელიანისა, ბარათაშვილისა და მსგავსთა წინააღმდეგ, ღრმა კლასობრივი საფუძველი ჰქონდა. იესე ბარათაშვილი მარტო არ ყოფილა, და ქართველ თავად-აზნაურების მტრული განწყობილება ქალაქის მოსახლეობისადმი, რომელიც გარეგნულად სომეხთა მიმართ მტრობის სახეს ატარებდა, XVIII ს. არ დაწყებულა, მას უფრო დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. ქართველი თავადაზნაურობის მტრული დამოკიდებულება სომხური (ე. ი. ქალაქის ვაჭრული) მოსახლეობისადმი, როგორც ეს ადრე ს. კაკაბაძემ შენიშნა[485], აშკარად გამოიხატა როსტომ მეფის შვილობილის ლუარსაბ

---

[484] იქვე, გვ. 68.

[485] იხ. С. Какабадзе, Крестьянский вопрос и крестьянские движения в восточной Грузии XVIII в., «История классовой борьбы в Закавказье», с. 157.

ბატონიშვილის მკვლელობის ფაქტში. ლუარსაბ ბატონიშვილის მუხანათური მკვლელობა ქართველმა თავად-აზნაურებმა, სიაოშ ბარათაშვილის მეთაურობით, წარმოშობით სომეხს ბაინდურ თუმანისშვილს, ანუ ამ ამბების თანამედროვე ისტორიკოსის, ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, სომხებს დააბრალეს: „ქართველთ (ქართველ თავად-აზნაურებს, შ. მ.) უნდოდათ ის სისხლი სომეხთზედა დაეხატა"[486]. ქართველ ფეოდალებს, ცხადია, სურდათ სომხები მეფის მოღალატეებად გამოეყვანათ და ამით სამეფო ხელისუფლება ქართლის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობისათვის დაეპირისპირებინათ. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ, ისტორიკოსის სიტყვით, „მეფე და თათარნი (თბილისის მაჰმადიანური მოსახლეობა, შ. მ.) სომეხთკენ მოდგნენ"[487]. როგორც ჩანს, ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიას დაპირისპირებულ ქალაქის მოსახლეობას (სომხებს, მაჰმადიანებს) თვით მეფემაც დაუჭირა მხარი. ყველაფერი ეს კი კარგად გვიჩვენებს, ერთი მხრივ, ქართველ-სომეხთა ამ და მსგავს დაპირისპირებათა კლასობრივ არსს და, მეორე მხრივ, მეფის პოლიტიკას იმდროინდელი ქალაქების მოსახლეობის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ სომეხ-ქართველთა ამგვარი დაპირისპირება არაერთხელ შეუნიშნავთ უცხოელ მოგზაურებსაც (მაგ., შარდენს). მაგრამ უცხო დამკვირვებელი ყოველთვის ვერ ხედავდა იმ კლასობრივ არსს, რომელიც ამ დაპირისპირებას ედო საფუძვლად.

კლასობრივმა ბრძოლამ ფეოდალურ არისტოკრატიასა და ქალაქის მოსახლეობას შორის თავისი გამოძახილი პოვა აგრეთვე ფეოდალურ სამართალშიც. სახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, „საზოგადოებრივი" მაღალი თანამდებობები სახელმწიფოში არ შეიძლებოდა ჰქონოდა ვაჭარს, მოქალაქეს, რა პატივშიც არ უნდა ყოფილიყო ის. ამგვარი თანამდებობანი (მაგ., მოურავის) მხოლოდ უპირველეს ქართველ თავადებსა და აზნაურებს შეიძლებოდა მიეღოთ. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, ფეოდალური სახელმწიფოებრივი სამართალი ამ არსებითად კლასობრივ განსაზღვრას ისევ ნაციონალური მომენტით ხსნიდა. დავით ბატონიშვილი თავის თხზულებაში წერდა: მოურავის წოდებას ყოველთვის ირჩევენ ქართველთა უპირველეს თავადთა და დიდებულთაგან. სომეხთა საგვარეულოებს, როგორი ღირსებაც არ უნდა ჰქონოდათ,

---

[486] ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 264

[487] იქვე.

ჩინოვნიკების წრეში ადგილი არ ჰქონდათ. რამდენადაც მათი ნაცია უძველესი დროიდანვე საქართველოში ითვლებოდა მხოლოდ მოვაჭრედ და ხალხში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად მათ არ ჰქონდათ საზოგადოებრივი თანამდებობების დაკავების უფლება[488]. ამრიგად, ფეოდალური სამართლის განსაზღვრით, თითქოს მხოლოდ სომხებს არ შეეძლოთ მიეღოთ მაღალი „საზოგადოებრივი თანამდებობანი"; მაგრამ, როგორც თვით სამართლის განმარტებიდან ჩანს, სომხები ამგვარ „პატივს" მხოლოდ იმის გამო იყვნენ მოკლებულნი, რომ ისინი ცნობილნი იყვნენ საქართველოში, როგორც „მოვაჭრე ნაცია", ე. ი . როგორც ვაჭრები. მაშასადამე, თუ ლოგიკურად მივყვებით თვით ბატონიშვილის მსჯელობას, ვაჭრები, რა პატივშიც და ხარისხშიც არ უნდა ყოფილიყვნენ აყვანილნი, მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობებს ვერ მიიღებდნენ. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც, ნაციონალური მომენტი კი არ არის განმსაზღვრელი, არამედ სოციალური, კლასობრივი. უფლებრივად გაბატონებული ფეოდალური არისტოკრატია ეკონომიკურად ძლიერ ვაჭართა ფენას არ უთმობდა თავის ადგილს და ნაციონალური მომენტის მომიზეზებით მსხვილ ვაჭრებს, მოქალაქეებს სახელმწიფოებრივ მმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობას უსპობდა. მაგრამ მსხვილი ვაჭრები, მოქალაქეები ადვილად როდი ურიგდებოდნენ ფეოდალური არისტოკრატიის ამგვარ დამოკიდებულებას მათი უფლებისა და როლისადმი სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დამდეგს, როცა სასაქონლო წარმოების შემდგომი განვითარებისა და მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებათა შედეგად, ფეოდალური არისტოკრატიის ბატონობას წყალი შეუდგა, ქალაქის მოსახლეობამ, განსაკუთრებით მისმა ზედაფენამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის უფრო აქტიური ბრძოლა დაიწყო, რაც, ცხადია, ქალაქის მოსახლეობასა და ფეოდალურ არისტოკრატიას შორის კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მაუწყებელი იყო.

XIX ს. დამდეგს რუსეთის ხელისუფლებამ გადასწყვიტა შეექმნა ე. წ. „სამოქალაქო მმართველობა". საამისოდ შემუშავდა სათანადო პროექტი, რომელიც განსახილველად ერთი მხრივ თბილისის თავადაზნაურობის წარმომადგენლებს, ხოლო მეორე მხრივ ცნობილ მოქალაქეებს, მსხვილ ვაჭრებს გადაეცათ. მართალია,

---

[488] Царевич Давид, Обозрение Грузии, отдел рукописей института Востоковедении, Н: II, § 678.

პროექტი იმ ხანად ცხოვრებაში არ გატარებულა, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა არა ეს, არამედ ის დავა, რომელიც ქართველ თავად-აზნაურებსა და მოქალაქეებს შორის წარმოშვა „პროექტის“ ცალკეულმა პარაგრაფებმა.

როგორც თავად-აზნაურთა, ასევე მოქალაქეთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია პროექტის მეორე პარაგრაფმა, სადაც ნათქვამი იყო: «საქალაქო მმართველობა შესდგება წარჩინებულთა თავმჯდომარის ქალაქის ოთხი პატივცემული მცხოვრებისა და ქალაქში მცხოვრები ქალაქის ოთხი მაცხოვრებლისაგან[489]. როგორც ვხედავთ, საქალაქო მმართველობა, მართალია, ძირითადად ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენლებისაგან უნდა შემდგარიყო, მაგრამ თავმჯდომარედ აზნაური უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ფეოდალური არისტოკრატია თავის ძველ უფლებებს ჯერ კიდევ სავსებით არ თმობდა. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ თბილისის თავადებმა მოიწონეს ეს პარაგრაფი და თავიანთი აზრი ამის შესახებ შემდეგნაირად გამოსთქვეს: „როგორც მეორეს პარაღრაფში წერია, უთუოდ საჭირო არის წინამჯდომი ანუ პრედსედატელი კეთილშობილთაგანი, მცოდნე რიგისა და ღირსი პატივისა და ყურგდებისა, მთავრობის დამტკიცებისა, რადგანაც, რაოდენც უნდა მიიღონ მოქალაქეთა თავის თავზედ ეს თანამდებობა, არა როგორმე არ შეუძლიანთ მმართველობაში რიგის დაცვა და ვერც თუ გამართავენ სასამართლოსა, არა მქონებელთა ერთმანეთის ჯეროვანის პატივდებისა და დამორჩილება მიბარებულის თანამდებობის აღსრულებისა“. მაგრამ ქართველ თავადებს არ მოსწონდათ განსაკუთრებით ის, რომ საქალაქო მმართველობაში „ყოველნი ჩლენნი, ეგრეთვე პრედსედატელიცა აღმორჩევით ხალხისაგან“ უნდა იყვნენ და „არა მისცენ ნება მთავრობასა ერთის დანიშვნისა საკუთარისა თვისის განხილვითა“[490]. როგორც ჩანს, ქართველი თავადების აზრით, მოქალაქეებს არ შეუძლიათ თვით გაუძღვენ თავიანთ საქმეს, რომ მათ უსათუოდ კეთილშობილთაგანი უნდა მეთაურობდეს. ამას გარდა, სასურველი ვერ არის აგრეთვე, რომ მმართველობის წევრების და თვით თავმჯდომარის არჩევა ხალხს მიენდოს, აქ უსათუოდ მთავრობა უნდა ჩაერიოსო. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ თბილისელმა თავადებმა მოითხოვეს, თბილისის თავად-აზნაურთა მარშალს უფლება ჰქონოდა საქალაქო მმართველობაში, საჭიროების მიხედვით, ერთი თუ ორი

---

[489] სცსა, ფ. 2, оп. 1, д. 268, § 2.

[490] იქვე, ფ. 2, д. 268, ფურც. 31—32.

დეპუტატი წარეგზავნა, რომ ამით თავისი გავლენა განეხორციელებინა საქალაქო მმართველობაზე[491]. დასასრულ, თავადები მოითხოვდნენ პროექტში საგანგებოდ აღნიშნულიყო: „მოქალაქეთა, გარდა ერთისა ანუ ორის, მოსამსახურისა და მოახლისა, არა ჰქონდეთ ნება კომლეულის გლეხისა ანუ სოფლის სყიდვისა“[492]. როგორც ვხედავთ, ქართველი თავადები გულმოდგინედ იბრძოდნენ, რათა არ გაფართოებულიყო მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები, რომ ისინი ისევ ფეოდალური არისტოკრატიის პოლიტიკური ბატონობის ქვეშ ყოფილიყვნენ. მაგრამ სულ სხვა შეხედულება ჰქონდა თავის უფლებებზე თბილისის მოქალაქეებს. მოქალაქეები თანახმანი იყვნენ, რომ „პრედსედატელი დამტკიცდეს მთავარმართებლისაგან კეთილშობილთაგანი“, მაგრამ, მათი აზრით, ეს სრულებით იმას არ ნიშნავდა, რომ მმართებლობის თავმჯდომარედ არ შეიძლებოდა მოქალაქე ყოფილიყო. ისინი თავიანთ „ჰაზრში“ საგანგებოდ აღნიშნავდნენ: „როდესაც საჭიროებამ მოითხოვოს პრედსედატელი აღმოერჩიოს მოქალაქეთაგანი საზოგადოების აღმორჩევით და დამტკიცებითა მთავარ მმართებლისათა“[493]. მოქალაქენი, უპირისპირდებოდნენ რა თავადების მოთხოვნას, მოითხოვდნენ «პროექტში“ შეტანილი ყოფილიყო ერთ-ერთ მუხლად: „მოქალაქეთ თავიანთის ჩვეულებისამებრ შეიძლონ სყიდვა ყმისა და მამულისა, რადგანაც თვით ესე ძველთაგანვე ნება დართული ქონიათ“[494]. მოქალაქეებმა მოითხოვეს აგრეთვე, რომ ზოგიერთი იჯარიდან მიღებული შემოსავალი, ყაფნის (სასწორი) შემოსავალი და სხვა ზოგი გამოსაღები, რომელთა დიდ ნაწილს აქამდე ფეოდალური ბიუროკრატიული აპარატი ითვისებდა, ყოფილიყო „მოუშლელად ქალაქის სასარგებლოდ“ და „სამოქალაქოს შკოლის სასარგებლოდ“[495]. დასასრულ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მოქალაქეებმა მოითხოვეს სამოქალაქო მმართველობის წევრები და მოსამსახურეები (ე. ი. მოქალაქეების და საერთოდ ქალაქის მოსახლეობის წარმომადგენელნი) თავიანთი პრივილეგიებით გათანაბრებულნი ყოფილიყვნენ საქართველოს მმართებლობის მოსამსახურეებთან: „სამოქალაქო მმართებლობის ჩლენთა და მოსამსახურეთა სამსახურისათვის ჯილდოს მიღებისა ჰქონდესთ თანასწორი სამართალი სხვათა მაღალ საქართველოს მმართებლობის მოსამსახუ-

---

[491] იქვე, ფურც. 32.
[492] იქვე, ფურც. 31.
[493] იქვე, ფურც. 33.
[494] იქვე, ფურც. 36.
[495] იქვე, ფურც. 36—37.

რეთა თანასწორი"[496]. როგორც ვხედავთ, XIX ს. დამდეგს ფეოდალური ქალაქების ორი სოციალური ფენის კლასობრივი ინტერესები აშკარად დაუპირისპირდა ერთმანეთს: ერთი მხრივ, ფეოდალური არისტოკრატია ძველ პრივილეგიურ უფლებათა შენარჩუნებისათვის იბრძოდა და ყოველნაირად ცდილობდა გასაქანი არ მისცემოდა მისადმი დაპირისპირებულ ძალას, რომლის ხელშიც, ფ. ენგელსის სიტყვით, „მძლავრი იარაღი ფეოდალიზმის წინააღმდეგ — ფული" იყო[497], მეორე მხრივ კი, ქალაქის მოსახლეობა იდგა, რომელიც თანდათან ძალას იკრებდა, ფეოდალური არისტოკრატიის მძლავრობისაგან განთავისუფლებისათვის იბრძოდა და რომელიც ცდილობდა არა მარტო ცხოვრების უფლება მოეპოვებინა, არამედ საბოლოოდ გაფორმებულიყო უფლებრივად და პოლიტიკურად ძლიერ „მოქალაქეთა კლასად", საქართველოს ქალაქების ბიურგერთა კლასად. ასეთ ღრმა კლასობრივ შინაარსს ატარებდა მთელი ის ყრუ და ზოგ შემთხვევაში ნაციონალური ქიშპობის სამოსელში გახვეული აშკარა ბრძოლა, რომელიც საუკუნეების მანძილზე წარმოებდა ქალაქის მოსახლეობასა და ფეოდალურ არისტოკრატიას შორის გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში. შომავალი, რა თქმა უნდა, ქალაქის მოსახლეობის მხარეზე იყო, რომელმაც მოახერხა დიდი ხნით ადრე, ფულის შემწეობით, საფუძველი გამოეთხარა ფეოდალური წყობისათვის და მოემზადებინა ნიადაგი მისი დამხობისათვის[498]. ყველაფერი ეს აშკარა გახდა XIX ს., განსაკუთრებით კი მისი 30-იანი წლებდან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვიანფეოდალური ქალაქების მოსახლეობა ეკონომიკურად და უფლებრივად ერთფეროვანი როდი იყო. ერთი, ქონებრივად შეძლებული ნაწილი ქალაქის მოსახლეობის პრივილეგირებულ ზედაფენას ქმნიდა, რომელიც აგრეთვე მონაწილეობდა საქალაქო მმართველობაში სხვადასხვა თანამდებობების (მამასახლისი, ნაცვალი, გადასახადთა ამკრები, მოქალაქეთა „გამორჩეული მოსამართლეები" და სხვ.) მიღებით. მეორე და ძირითად ნაწილს კი უუფლებო, ეკონომიკურად სუსტი ყმა ხელოსნები და ვაჭრები შეადგენდნენ. ქალაქის მოსახლეობის ამ ორ ფენას ყოველთვის ერთნაირი ინტერესები არ შეიძლებოდა ჰქონოდა. როცა ქალაქის მოსახლეობა ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ გამოდიოდა, მათი ინტერესები, როგორც ზემოთ ვნახეთ,

---

[496] იქვე, ფურც. 37.

[497] Ф. Энгельс, О разложении феодализма, Маркс и Энгельс, Соч., т. XVI, ч. I, с. 441.

[498] შდრ. იქვე, გვ. 442.

ერთიანდებოდა, მაგრამ ინტერესთა ამგვარი გაერთიანება სრულებით არ გამორიცხავდა მათ შორის შინაკლასობრივ ბრძოლას. ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენლები ზოგჯერ ექსპლოატატორებად, მეფის მიერ დანიშნულ მოხელეებად ევლინებოდნენ ქალაქის მოსახლეობის დაბალ, ძირითად ფენას. უკანასკნელს, ამიტომაც, ბრძოლა უხდებოდა არა მარტო ფეოდალთა მძლავრობის, არამედ საკუთარ თანამოქალაქეთა წინააღმდეგ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალაქის მცხოვრებთა ზედაფენიდან ირჩეოდნენ ქალაქზე სახელმწიფო გამოსაღების—მახტის გამწერი და ამკრები „მოქალაქენი", რომელნიც, სარგებლობდნენ რა მათდამი მინიჭებული უფლებებით, არაერთ ბოროტებას ჩადიოდნენ. მახტას, რომელიც შემოსავლის, ქონების მიხედვით უნდა განაწილებულიყო, ხშირ შემთხვევაში, მახტის გამწერები, თვით შეძლებული მოქალაქეები მახტას ისეთ პირებს ახდევინებდნენ დიდი რაოდენობით, რომელთაც მცირე შემოსავალი ჰქონდათ, ან კიდევ, რომელნიც „ქალაქის განწესების" მიხედვით, სავსებით თავისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ ამგვარი გამოსაღებისაგან. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მოქალაქეთა შორის მოკრებილ მახტის ერთ ნაწილს, „მახტის ამკრებად გამორჩეულნი მოქალაქენი" თვით ითვისებდნენ და თავიანთი ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად სათანადო დოკუმენტებს სპობდნენ კიდეც. ყველაფერი ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა რუსეთის ხელისუფლების საქართველოში დამკვიდრების პირველ წლებში, როცა რუსეთის ხელისუფლებამ განიზრახა შეემოწმებინა „აღმორჩეულ მოქალაქეთა" საქმიანობა ამ მხრივ. როგორც შემოწმებამ გამოარკვია, „აღმორჩეული მოქალაქეები" არა მარტო არღვევდნენ მახტისა და საერთოდ სახელმწიფოებრივ გამოსაღებთა გაწერისა და აკრების წესებს, არამედ მის დიდ ნაწილსაც თვით ითვისებდნენ. მაგ. XIX ს. პირველ წლებში მახტის ამკრებლებმა, მოქალაქეებმა მიკირტუმ მუნთიევმა და სტეფანე გურგინბეგოვმა მიითვისეს 1805 მან. და 30 კაპ., ხოლო შემდეგ წლებში ამკრებლებად გამოყოფილებმა მირიმან მირიმანოვმა, სოლომონ აბიმელიტოვმა და კაკალო იფრიუმოევმა 1500 მან. მიითვისეს. ბეჟანა ხატისოვმა და სოლომონ ნაზარბეგოვმა კი 2586 მან. და 60 კაპ[499]. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საუფლისწულო ყმებისაგან გადასახადის ამკრებმა იოსებ ყორღანაშვილმა აკრებილი 1070 მანეთიდან 820 მან. მიითვისა[500]. „აღ-

[499] სცსა, ფ. 2, აღწერა, 1, საქმე 466, ფურც. 101.
[500] იქვე, ფურც. 100.

მორჩეულმა მოქალაქეებმა“, მიკრიტუმ მუნთიევმა და სტეფანე გურგინბეგოვმა მოსპეს რამდენიმე წლის მახტის საგამოსაღებო დავთარი, რათა თავიანთი ბოროტმოქმედება დაეფარათ[501]. მსგავსი მოქმედებანი „აღმორჩეული მოქალაქეებისა“ მით უფრო ხშირი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროს, როცა იმდროინდელი აპარატი ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენის განუკითხავი ძარცვის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას იძლეოდა. მაგ., ერეკლე II-მ ქალაქში დუქნებისა და ადგილების ჩამორთმევით საგანგებოდ დასაჯა მოქალაქე პენტელაშვილი, რომელსაც მეფის სარქრის ფული მიუთვისებია და რომელიც მსგავსი მოქმედებით თურმე არაერთხელ ატყუებდა ქართლ-კახეთის მეფეს[502].

ქალაქის მოსახლეობა ილაშქრებდა მსგავს მტაცებელ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც თავიანთ უფლებებს ქალაქის მოსახლეობის წინააღმდეგ და საკუთარი გამდიდრებისათვის იყენებდნენ. როგორც 1802 წ. საბუთიდან ჩანს, თბილისის მოსახლეობის ერთიანი მოთხოვნით რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა ქალაქის ნაცვალი „ფარვით მტაცებლობის გამო“ გადაეყენებინა[503], მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ იმავე წლის თებერვალს ქალაქის ნაცვლად ისაია თაყუაშვილი დანიშნა[504], რომელიც, ქალაქის მოსახლეობის განცხადებით, „ცხადად მტაცებელი იყო“ და „რომელიცა არა იყო ღირსად აღყვანილ ხარისხსა ზედა და მჴვეჭელ, მტაცებლობა მისი (კარგად ახსოვდა) ტფილისელთა საზოგადოობასა და აწ აღსრული ხარისხსა ზედან, ამისთანასა რაოდენ ბოროტს მოქმედებასა შესძინებს ჩვეულებასა თვისსაო“[505]. ქალაქის მოსახლეობამ „ფარვით მტაცებელის“ მაგიერ „ცხადად მტაცებელის“ დანიშვნის გამო მაშინვე პროტესტი განაცხადა და კნორინგს კატეგორიულად აცნობა „ისაიას ნაცვლობა არას გზით არ გვინდა და ნურც თქუჱნ ინებებთო“[506]. ისაია თაყუაშვილი ჩვენთვის სხვა დოკუმენტებითაც არის ცნობილი; იგი ერეკლე II-ის 1796 წ. ერთ-ერთ სიგელში მეფის ერთგულად და ქალაქში თოფიწამლის სარეწაოს მფლობელ მოქალაქედ არის მოხსენებული[507]. ასე რომ, სამეფო ხელისუფლების „ერთგულ მოქალაქეს“ მისი თანამოძმეების, ქალაქის მოსახლეობის

501 იქვე, ფურც. 57 და სხვ.
502 იქვე, ფ. 229, დავთ. 6, საბ. 129.
503 იქვე, ფ. 226, № 9179.
504 იქვე, საბ. № 9181.
505 იქვე, საბ. № 9179.
506 იქვე, საბ. № 9178. 9180.
507 იქვე, ფ. 229, დავთ. 18, საბ. 15.

ძარცვაში განსაკუთრებით გამოუჩენია თავი. ქალაქის მოსახლეობაც მსგავს ფარვით თუ აშკარად მტაცებელ მოქალაქეთა წინააღმდეგ ფარულ თუ აშკარა ბრძოლას აწარმოებდა.

1792 წ. საბუთიდან ირკვევა, რომ გორის მოსახლეობამ მეფეს „მრავალჯერ მოახსენა საჩივარი" მამასახლისის არაკანონიერი მოქმედების შესახებ, რომ მას არ შეუძლია ქალაქის „მოსახლეობის მოვლა", მაგრამ მეფემ, მიუხედავად ამისა, ის ერთხანს ისევ შეინარჩუნა, შემდეგ კი 1792 წ. იძულებული გახდა გორის მამასახლისი, ბაბუა გადაეყენებინა და მის მაგიერ ზურაბ ხითარიშვილი დაენიშნა[508]. გორის მამასახლისის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ გორელები XVIII ს. მიწურულსაც. როგორც ზემომოტანილი მასალებიდან ჩანდა, გორის მოსახლეობის ძარცვაში მოურავს, იესე ამილახვარს „მამასახლისიც გაუხდა ამხანაკათ"[509]. მამასახლისი კი გორში ქალაქის მოსახლეობისაგან ინიშნებოდა. ასე რომ, თავადთან (მოურავთან) ერთად გორის მოსახლეობას დაუნდობლად ძარცვავდა მათი თანამოქალაქეც, მამასახლისიც; ამიტომაც გორის მოსახლეობა მოურავის წინააღმდეგ ისევე იბრძოდა, როგორც თავისი წრიდან გამოსული მამასახლისის წინააღმდეგაც.

როგორც ჩვენ მიერ ზემომოტანილი მასალებიდან ჩანდა, მამასახლისები თვითნებობდნენ ქალაქის მოსახლეობის მიმართ თბილისშიც. როგორც XVIII ს. ერთ-ერთი დაუთარიღებელი საბუთიდან ჩანს, კათალიკოსის მამასახლისი მის ყმა ხელოსანთა და ვაჭართაგან თბილისში ზოგს მეტს ახდევინებდა, ზოგს კიდევ სავსებით ათავისუფლებდა გამოსაღებისაგან. მამასახლისისაგან შევიწროებული ყმები, ხელოსნები და ვაჭრები კათალიკოსს მოახსენებდნენ: „არას ქვეყნის თარხანი აღარავინ არის საქართველოში (აქ კი) ზოგ(ს) ჩვენი მამასახლისი ათარხნებს, ზოგს სხვანი და ჩვენ ძალა დაგვემართა", სხვის მაგიერაც სამსახურის გაწევა გვიხდებაო. კათალიკოსი იძულებული გახდა მამასახლისისათვის ებრძანებინა: „მამასახლისო გაბრიელ, თუ ძალა და უსამართლობა დაემართა ვისმე, შენ გარდაგახდევინებო"[510]. როგორც ამ საბუთიდან ჩანს და ჩვენ მიერ ზემოთაც აღნიშნული იყო, ქალაქში მოსახლე ცალკეულ ყმათა გათავისუფლება (გათარხნება) სახელმწიფო გამოსაღებთაგან შინაკლასობრივ ბრძოლას ამწვავებდა ქალაქის მოსახლეობის, ასე ვთქვათ, შედარებით შეღავათქმნილ ნაწილსა და იმ ფენას შორის, რომელსაც მრავალგვარი სახელმწიფოებრივი

---

[508] სსმ, ფ. Sd 389.

[509] იქვე, ფ. Qd: 7120.

და კერძო საბატონო ვალდებულებათა გასტუმრება უხდებოდა. ამიტომაც მოსახლეობის ეს უკანასკნელი ფენა იბრძოდა, რათა შეღავათქმნილი, სახელმწიფოებრივი გამოსაღებებისაგან გათავისუფლებული ყმა ხელოსნებიცა და ვაჭრებიც საერთო სახელმწიფოებრივ სამსახურში თანაბრად შეებათ. მაგ., გორელებს, მთავარ ეპისკოპოსის ყმა გრიგულა ალადათაშვილი „ყოვლისფერს ხარჯსა და სათხოვარში" გორელების თანაბრად გაურევიათ; მხოლოდ სასამართლოს განაჩენით გახდა შესაძლებელი ალადათაშვილი, როგორც საეკლესიო ყმა, სახელმწიფოებრივი სათხოვრისაგან გაეთავისუფლებინათ[511]. მსგავსი დავა და ბრძოლა ქალაქის მოსახლეობის შიგნით ფეოდალურ საქართველოში არაერთი იყო. ასე რომ, ფეოდალური საქართველოს ქალაქების მოსახლეობის დაბალ ფენებს ბრძოლა უხდებოდათ არა მარტო საკუთარი მებატონეებისა და მეფის მიერ დანიშნულ ფეოდალ მოხელეთა წინააღმდეგ, არამედ ქალაქის მოსახლეობისაგან გამოყოფილ ზედაფენასთანაც, მსხვილ ვაჭრებთან და მევახშეებთან, რომელნიც თავიანთი საქმიანობით ხშირად გვერდში უდგნენ ფეოდალებს ქალაქის მოსახლეობის ძარცვაში.

ზემომოტანილი მასალების მიხედვით შეიძლება შემდეგი დასკვნები გავაკეთოთ:

1. კლასობრივი ბრძოლა XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში უმთავრესად ანტიფეოდალურ ხასიათს ატარებდა. ქალაქის არაერთფეროვანი მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში ერთიანი ძალით გამოდიოდა ფეოდალ-ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

ანტიფეოდალური კლასობრივი ბრძოლა, ქალაქის მოსახლეობის ცალკეულ წარმომადგენელთა თუ კოლექტიურ საჩივრებში ვლინდებოდა. ცალკეული თუ კოლექტიური საჩივრები თავისთავად მნიშვნელოვანი ანტიფეოდალური გამოსვლები იყო.

2. ფეოდალურ საქართველოს ქალაქებში კლასობრივი ბრძოლის ერთ ფორმას აგრეთვე ბატონყმობაზე უარის თქმა, „ყმობის გმობა" და ყმობიდან გაქცევა წარმოადგენდა.

3. ანტიფეოდალური ბრძოლის შედარებით მაღალი სახე საბატონო გადასაღებებზე უარის თქმა იყო, რომელიც ხშირ შემთხვევაში მასიურ ხასიათს იღებდა და ფეოდალური სამართლის მიერ ამბოხებასთან (აჯანყებასთან) იყო გათანაბრებული. ანტიფეოდალური ბრძოლები ზოგჯერ აშკარა გამოსვლის სახესაც იღებდა,

---

[510] იქვე, ფ. Ad 1772.

[511] ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. II, ნაწ. 15, საბ. 25.

ოღონდ ამგვარი გამოსვლები ხშირად რელიგიური კონფლიქტების თუ ნაციონალური დაპირისპირების სამოსელში ვლინდებოდა.

4. ქალაქის მოსახლეობა იბრძოდა არა მარტო ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, არამედ თავიანი პოლიტიკური უფლებების გაფართოებისთვისაც; ამგვარ ბრძოლას უმთავრესად ქალაქის მოსახლეობის ზედაფენა, მოქალაქეები და მსხვილი ვაჭრები აწარმოებდნენ.

5. ქალაქის მოსახლეობის როგორც ქონებრივი, ასევე უფლებრივი სხვადასხვაგვარობა შინაკლასობრივი ბრძოლის საფუძველი იყო, რაც უმთავრესად ქალაქის მოსახლეობის დაბალი, უმთავრესად ყმური ნაწილის ქალაქის მოხელეთა და მსხვილ ვაჭარმევახშეთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატებოდა.

6. ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი, ქალაქებში მოსახლე ყმა ხელოსანთა და ვაჭართა სხვადასხვა კატეგორიების სიმრავლე და მათი გაუერთიანებლობა, ინტერესების სხვადასხვაობა იყო ის ძირითადი მიზეზი, რაც ხელს უშლიდა ქალაქების მოსახლეობის ერთიანი ფრონტით გამოსვლას ბატონყმური ურთიერთობისაგან გასათავისუფლებლად.

თ ა ვ ი IV

საქალაქო წყობილება გვიანფეოდალურ საქართველოში

1. გვიანფეოდალური ქალაქების მმართველობა

ა) მოურავი

ფეოდალური საქართველოს ქალაქების მართვა-გამგეობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძირითადად მეფის მიერ დანიშნული მოხელეების ხელში იყო მოქცეული. გვიანფეოდალურ ხანაში მდგომარეობა მხოლოდ იმ მხრივ შეიცვალა, რომ მეფე და საერთოდ ფეოდალური არისტოკრატია კიდევ უფრო აქტიურად ერეოდა საქალაქო მმართველობაში. დამახასიათებელია, რომ შედარებით მსხვილ ქალაქებში, ქალაქების მთავარ გამგებლად, მოურავებად ძლიერი ფეოდალები, თავადები იყვნენ, ხოლო მცირე ქალაქებში ან თავადები ან კიდევ აზნაურები. გვიანფეოდალური საქართველოს არც ერთი მსხვილი და მცირე ქალაქი არ შეიძლება დასახელებულ იქნეს, სადაც ქალაქის გამგებლის ხელისუფლება

თვით ქალაქის ძირითადი მოსახლეობის წარმომადგენლებს კუთვნებოდეთ. ამას გარდა, ქალაქის ესა თუ ის მოხელე არ ირჩეოდა ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობისაგან, არამედ თვით მეფის ან კიდევ იმ პირის მიერ ინიშნებოდა, ვისაც ქალაქი ეკუთვნოდა.

ქალაქების უმაღლესი, მეფის მიერ დანიშნული ხელისუფალი, XVII ს. დამდეგიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითადად „მოურავად" იწოდებოდა. მაგ., თუკი თბილისის გამგებელს XV—XVI სს. ჯერ კიდევ ამირათ-ამირას უწოდებდნენ[1], XVII ს. დამდეგისათვის ამ უცხოურ ტერმინს საბოლოოდ ისევ ცვლის ძველი ქართული სამოხელეო წყობისათვის დამახასიათებელი „მოურავი". აღსანიშნავია, რომ გიორგი საააკაძე ლუარსაბ II-ის 1608, 1609 წწ. სიგელებში[2] ჯერ კიდევ „ამირათ-ამირად" იწოდება, მაგრამ უკვე 1610—1615 წწ. საბუთში[3] და 1620 წ. სარჩელის წიგნში[4] იგი უკვე „მოურავად" იხსენიება. ამ დროიდან კი, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილმა საესებით სამართლიანად შენიშნა, თბილისის „მოურავის სახელი საბოლოოდ და საყოველთაოდ... შემოღებულ იქნა „ქალაქის ამირას მაგიერ"[5]. მაგრამ ამ ხნის განმავლობაშიც (XVI ს.—XVII ს. დამდეგი) „ამირა" თბილისის გამგებელის ერთადერთი აღმნიშვნელი ტერმინი არ ყოფილა. მაგ., XVI ს. შუა წლების სიგელში „ქალაქის (თბილისის) მოურავი" არის დასახელებული[6]. აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქების გამგებლის აღსანიშნავად უფრო ადრეც, XIV საუკუნიდან მაინც, საბოლოოდ მკვიდრდება ამირას მაგიერ „მოურავი". მაგ., XV ს. შუა წლების საბუთში თბილისის ამირათ-ამირას გვერდით მოიხსენიება „გორის მოურავი"[7], 1413 წ. საბუთში კიდევ „გორისა და ატენის მოურავობა" არის მოხსენიებული[8]. მსგავს მოვლენას ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოშიც. ქალაქის მთავარი გამგე როგორც XII—XIII, ასევე XV—XVI საუკუნეებში დასავლეთ სა-

---

[1] იხ. ისტორიული საბუთები, III, გვ. 19, 28, 61.

[2] საისტორიო კრებული, IV, გვ. 74; შდრ. ГМГ, Hd 1942; ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 27, საბ. 202.

[3] საისტორიო კრებული, IV, გვ. 75.

[4] იქვე, გვ. 51.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქალაქო წესწყობილება, „პრომეთე", № 1, გვ. 44—45.

[6] ისტორიული საბუთები, II, გვ. 41.

[7] იქვე, III, გვ. 28—29.

[8] თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები, II, გვ. 220.

ქართველოშიც „ამირათ-ამირად“ იწოდებოდა. ამაში ჩვენ გვარწმუნებს დასავლურ ნატყუარ სასისხლო სიგელთა დაჟინებით მითითება. „ამირათ-ამირანი“, როგორც ქალაქთა ხელისუფალნი, მოხსენებულნი არიან 1408 წ. დათარიღებულ ცირღილაძეთა სასისხლო სიგელში[9], 1544—45 წწ. კალანდაძეთა სასისხლო სიგელში[10], 1554 წ. შერგილაძეთა სიგელში[11] და სხვ. ამ ნატყუარ სიგელთა შემდგენლებმა, როგორც ჩანს, კარგად იცოდნენ, თუ რა ეწოდებოდათ დასავლეთ საქართველოში ქალაქთა გამგებლებს. ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ XVI ს. პირველი ნახევრის საბუთში ქუთაისის ქალაქის მოხელეთა შორის დასახელებულია „ამირათ-ამირე“[12], მაგრამ, ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში, ასევე დასავლეთშიც, XVII და მომდევნო საუკუნიდან საბოლოოდ ისევ ქართული „მოურავი“ მკვიდრდება.

აღმოსავლეთ საქართველოში ქალაქების გამგებელთა აღსანიშნავად ზოგჯერ უცხოური წარმოშობის „ტარუღა“-ც გვხვდება. ამჟამად ჩვენ არაერთი დოკუმენტი მოგვეპოვება იმის დასადასტურებლად, რომ ქართულ საბუთებში ხმარებული „ტარუღა“ სავსებით „მოურავს“ შეესატყვისება, „სატარუღო“ კიდევ „სამოურაოს“. „ტარუღა“, როგორც ტერმინი, XVI ს. 70-იანი წლებიდან ჩანს. 1572 წ. საბუთში სიმონ I ქალაქის (-თბილისის) მოურავის მაგივრად თბილისის „ტარუღას“ მოიხსენიებს[13]. როსტომმა 1633 წ. პაატა ჯავახიშვილს ახალდაბის მოურავობა უბოძა და თავისი წყალობა ქართული და სპარსული სიგელებით დაუმტკიცა. დამახასიათებელია, რომ ქართული სიგელის „ახალდაბის მოურავობას“ სპარსულ ტექსტში „ახალდაბის დარუღობა“ შეესატყვისება[14]. ნაზარალი-ხანის (ერეკლე I-ის) 1696 წ. ბრძანებაში მოხსენებული „ქალაქის (თბილისის, შ. მ.) ტარუღა“, როგორც იქვე გაკეთებული მინაწერიდან ჩანს, „ქალაქის მოურავს“ უდრიდა[15]. 1620[16] და 1650 წწ.[17] საბუთებში კიდევ „გორის ტარუღა“ არის დასახელებული, რაც აგრეთვე „გორის მოურავს“ შეესატყვისებოდა. 1740 წ.

---

[9] საქ. სიძველენი, III, გვ. 434—435.

[10] საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 37.

[11] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 397—398.

[12] ГМГ, Sd 2895, გვ. 116—117; ср. Д. Б а к р а д з е, Арх. Путеш., с. 355.

[13] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 414.

[14] ЦГИАГ, Hd 14. 450.

[15] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 48, საბ. 3.

[16] მატენადარან, Груз. док. папка 252, док. 1.

[17] იქვე, док. 2.

თეიმურაზ II-მ თ. სოლომონ გურგენიძეს „თელავის ბაზრის (არა მთელი ქალაქის, შ. მ.) ტარუღობა უბოძა[18], ხოლო ს. გურგენიძის შთამომავალი, იოროდიან გურგენიძე, ამ თანამდებობის მემკვიდრეობით მფლობელი, თავის თავს „თელავის ბაზრის მოურავს“ უწოდებდა[19]. ამრიგად, „ტარუღა“, მოურავის მნიშვნელობით, XVI ს. 70-იანი წლებიდან XVIII ს. შუა წლებამდე მაინც იხმარებოდა. რაკი „ტარუღა“ ქართულ მოურავს შეესატყვისებოდა, ბუნებრივია, მოურავისათვის განკუთვნილი საქალაქო გამოსაღები ზოგჯერ „სატარუღოდ“ იწოდებოდა. ეს კარგად ჩანს როგორც 1552 და 1611 წწ. საბუთებიდან[20], ასევე ვახტანგ VI-ის „დასტურლამალიდანაც“[21]. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მოურავისათვის განკუთვნილ გამოსაღებს XVIII ს. დასასრულს და XIX ს. დამდეგსაც სატარუღოს უწოდებდნენ. „ქალაქის მოურავის სარგოში“ გარკვევითაა ნათქვამი: „ნავრუზს (ახალ წელს, შ. მ.) უკან ქალაქის მოურავისათვის უნდა მოიკრიფოს კომლზედ, ვისიც უნდა ყმა იყოს, ექვსი შაური და ხომხის ყმაზედ ერთი შაური. ამას ეძახიან სატარუღოს“[22]. ამასვე იმეორებდა თბილისის მოურავი ევსტათე ციციშვილი 1803 წ.: „სატარუღო იყო ჩემი განწესება, ოც თუმანს ავიღებდითო“[23].

როგორც ვხედავთ, ტერმინი „ტარუღა“ და „სატარუღო“, რომელიც მონღოლურიდან ირანულში და აქედან ქართულში შემოხიზნულა, საკმაოდ გავრცელებული ყოფილა გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სამოხელეო ტერმინოლოგიაში. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში სამოხელეო ინსტიტუტის („მოურავი“, „ტარუღა“) სესხებასთან გვქონდეს საქმე. ჯერ ერთი, მოურავის ინსტიტუტი ქართულ სამოხელეო წყობაში ადრეა დადასტურებული, ვიდრე მონღოლები თავიანთ ბატონობას საქართველოზე განახორციელებდნენ; ამას გარდა, მონღოლურ „ტარუღას“ შინაარსობრივად არაფერი საერთო არა აქვს ქართულ მოურავთან და ასევე ირანულ ტარუღასთან. განსაკუთრებით ნი-

---

[18] საქ. სიძველენი, III, გვ. 455; ср. Акты, I, с. 40.

[19] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 47—40, „მოურავისა“ და „ტარუღას“ იგივეობის შესახებ მსგავსი მოსაზრებები გამოთქმული აქვთ ვ. გაბაშვილს (იხ. მისი, სპარსული დასტურლამალი, труды ТГУ, XXXV в, 1949, გვ. 205) და ივ. სურგულაძეს (იხ. მისი, საქართველოს სახელმწ. და სამ. ისტ-თვის, 1952, გვ. 430—432).

[20] ისტორიული საბუთები, II, გვ. 4; IV, გვ. 8.

[21] დასტურლამალი, გვ. 26.

[22] საქ. სიძველენი, II, გვ. 524, § 8.

[23] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 91.

შანდობლივია, რომ ქართული მოურავი შინაარსობრივად სავსებით ფარავს ირანულ „ტარუღას“, და ეს, როგორც ვ. გაბაშვილმა მიუთითა, შემთხვევითი არ უნდა იყოს და იქნებ იმაზე მიგვითითებდეს, რომ თვით ეს სამოხელეო ინსტიტუტი ირანში ძველი ქართული სამოხელეო ინსტიტუტის — „მოურავის“ გავლენით იყო შექმნილი[24]. ამ აზრს განსაკუთრებით აძლიერებს ისიც, რომ შაჰ-აბასის საქალაქო „რეფორმები“, რომელიც ყიზილბაშობისა და ყიზილბაშური წესების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო, ძირითადად ხოსრო მირზას (შემდეგში ქართლის მეფე როსტომის) ტარუღობის წლებში გატარდა. დამახასიათებელია აგრეთვე ისიც, რომ ხოსრო მირზამდე (როსტომამდე) თუ ისფაჰანის ტარუღებად ყიზილბაშები იყვნენ, შემდეგში „ისფაჰანის ტარუღობა“ ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველი უფლისწულების პრეროგატივს შეადგენდა“[25], რაც, რა თქმა უნდა, აგრეთვე შემთხვევითი არ იყო.

XVII—XVIII სს. მოურავი ჰყავდა საქართველოს თითქმის ყველა დიდსა და მცირე ქალაქს. როგორც ზემოთ ვნახეთ, საბუთებში არაერთხელ იყვნენ მოხსენიებულნი თბილისისა და გორის მოურავები. ამგვარადვე, „დასტურლამალში“ მოხსენიებულია ალის მოურავი და იქვე მისი სარგოც არის გათვალისწინებული[26]; 1793 წ. ერთ-ერთ ბრძანებაში დასახელებულია ანანურის მოურავი[27]. ამ დროსა და მომდევნო წლებშიც ვიდრე 1803 წლამდე, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ანანურის მოურავად ყოფილა ბარამ (ბარნაბე) ზოტიკის ძე ფისაძე[28]. მოურავი ჰყავდა ატენსაც და მისი მოურავის „დებულება“ საგანგებოდ იყო გამოყოფილი ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“[29]. „ატენის მოურავი“ გვხვდება სხვა დოკუმენტებშიც. როსტომის 1633 წ. სიგელში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალდაბის მოურავობის (ტარუღობის) ბოძებაზეა საუბარი[30]. XVII ს. დოკუმენტში ბაზრისა და გრემის მოურავებია მოხსენიებული[31], 1799 წ. საბუთით ვახტანგ ბატონიშვი-

---

[24] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სპარსული დასტურლამალი, Труды ТГУ, XXXV в. 1949, გვ. 205, შენ. 3.

[25] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, იქვე.

[26] დასტურლამალი, გვ. 121—122.

[27] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 12, საბ. 25.

[28] იქვე, დავთ. 32, საბ, 75; იქვე, ფ. 229, საბ. № 8958.

[29] დასტურლამალი, გვ. 8.

[30] ГМГ, Ид 14450.

[31] ЦГИАГ, ფ. 226 № 612.

ლი საგანგებოდ განსაზღვრავს დუშეთის მოურავის სარგოს[32]. ასევე, საბუთებში არაერთხელ გვხვდება აგრეთვე, როგორც ვნახეთ, თელავის ბაზრის მოურავი (ტარუღა)[33]; სურამის მოურავი კი მოხსენიებულია როსტომის 1633 წ[34]., თეიმურაზის 1745 წ. ბრძანებაში[35], ერეკლეს 1773 წ. ბრძანებაში[36] და სხვ.; ქუთაისის მოურავი დასახელებულია როგორც XVIII ს., ასევე XIX ს. დამდეგის საბუთებში[37], ცხინვალის მოურავი და მისი სარგო 1743 წლისა[38], და მომდევნო ხანის არაერთ დოკუმენტში[39].

აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში რამდენიმე მცირე ქალაქის მოურავობა ერთ პირს ებოძებოდა. მაგალითად, სურამისა და ალის მოურავობა თეიმურაზმა 1745 წ. ერთ კაცს—ნიკოლოზ აბაშიძეს უბოძა[40]. იყო შემთხვევაც, როცა ამა თუ იმ მცირე ქალაქში მოურავი სულ არ იყო და მის მოვალეობას დროებით ქალაქის სხვა მოხელე — ციხისთავი, მამასახლისი თუ ნაცვალი ასრულებდა. მაგ., როგორც 1766 წ. დოკუმენტიდან ირკვევა, რაკი ცხინვალს მოურავი არ ჰყავდა, ცხინვალელთა სამოურავო გამოსაღებს მეფე და ცხინვალის მინბაში (ციხისთავი) იყოფდნენ[41].

როგორც ზემოთ ვნახეთ, ზოგი ქალაქის, მაგ., სიღნაღის მოურავი, საბუთებში არც კი ჩანს, და ეს ჩვენ შემთხვევითად არ მიგვაჩნია. სიღნაღი, კახეთ-ქიზიყის მოურავს ექვემდებარებოდა და მას, როგორც ქალაქს, ცალკე მოურავი არ ჰყოლია. ამგვარადვე, თელავში ინიშნებოდა მხოლოდ ბაზრის მოურავი და არა მთლიანად ქალაქისა და მისი მიდამოებისა, რაკი თვით თელავიც, ისე როგორც სიღნაღი, კახეთ-ქიზიყის მოურავის საგამგეოში შედიოდა. ამით აიხსნება, რომ თელავში დანიშნული მოხელეები ყოველთვის თელავის ბაზრის ტარუღად, ან კიდევ თელავის ბაზრის მოურავად

---

[32] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 13, საბ. 68.

[33] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები. გვ. 47—48; ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 34, საბ. 141

[34] ГМГ, Ид 14450.

[35] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 17, საბ. 94.

[36] საისტორიო მოამბე, I, 1945, გვ. 11.

[37] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დას. საქართ. საეკლ. საბუთები, II, გვ. 87; ГМГ, ფ. Ид 4471: Акты, IV, გვ. 378.

[38] ГМГ, Нд 14851.

[39] იხ. ЦГИАГ, ფ, 229, დავთ. 14, საბ. 110; დავთ. 23, საბ. 129; დავთ. 28, საბ. 233, დავთ. 14, საბ. 99.

[40] იქვე, დავთ. 17, საბ. 94.

[41] იქვე, დავთ. 46, საბ. 290; შდრ. „მოამბე", № 10, განყ. II, 1894 წ. გვ. 46,.

იწოდებოდნენ. ერეკლე II თავის 1768 წ. განწესებაში საგანგებოდ აღნიშნავდა: „სოლომონ მორდლის თელავს ბაზრის ტარუღობა ასე გაგვირიგებიაო“[42]. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ მცირე ქალაქში მოურავი დროებით არ იყო, ან კიდევ რამდენიმე მცირე ქალაქი ერთი მოურავის ხელში შეიძლებოდა ყოფილიყო, გვიანფეოდალური საქართველოს სამოხელეო წყობისათვის მოურავის ინსტიტუტი დამახასიათებელი იყო. მოურავი, როგორც აღვნიშნეთ, დიდსა თუ მცირე ქალაქებში მეფის მიერ ინიშნებოდა, ან კიდევ იმ პირის მიერ, რომელსაც ესა თუ ის მცირე ქალაქი ეკუთვნოდა. მოურავებად კი მეფე ყოველთვის მაღალი საზოგადოებრივი წრის წარმომადგენლებს (თავადს, აზნაურს) ნიშნავდა. მსხვილი ქალაქების მოურავობა გამოუკლებლივ საქართველოს ძლიერ ფეოდალურ საგვარეულოთა წარმომადგენლებს ეპყრათ. მოვიტანოთ სათანადო მაგალითები:

ქ. თბილისში XVII ს. დამდეგს, როგორც ცნობილია, მოურავი იყო გიორგი სააკაძე; მის შემდეგ კი, 1626 წ., როგორც სიმონ II-ის ერთი დოკუმენტიდან ჩანს, ქალაქის მოურავობა ბოქაულთუხუცეს ქაიხოსროს ებოძა[43]. ქაიხოსრო კი იყო ძე მუხრანის ბატონის ვახტანგისა[44]. XVII ს. 30-იანი წლებიდან ვიდრე 70-იან წლებამდე, დოკუმენტების მიხედვით, თბილისის მოურავობა თავად მანუჩარ ანდრონიკაშვილს ჰქონია[45]. მის შემდეგ თბილისის მოურავად, 1679 წ. საბუთში, მანუჩარის შვილი პაატა ბეგი მოიხსენიება, ხოლო 1689 წ. საბუთში კი ზურაბ-ბეგი[46], XVIII ს. დამდეგს, 1702 და 1708 წწ. საბუთებით, თბილისის მოურავად იყო ავთანდილი[47], დიდი მოურავის გიორგი სააკაძის შვილი, რომელსაც, როგორც 1710 წ. დოკუმენტებიდან ჩანს, ვახტანგ VI-მ გიორგი მეფისაგან ბოძებული ეს თანამდებობა დაათმობინა და არაგვის ერისთავს უბოძა[48]. გიორგი ერისთავი თბილისის მოურავად მოიხსენიება 1716 წ. დოკუმენტშიც[49], მაგრამ თუ რამდენი ხანი გაგრძელდა მისი მოურავობა, ჩვენ-

---

[42] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 34, საბ. 141.
[43] იქვე, დავთ. 32, საბ. 341.
[44] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 63.
[45] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 9, საბ. 150, 145; დავთ. 22, საბ. 107, 119, 61.
[46] იქვე, დავთ. 21, საბ. 9.
[47] Д. П у р ц е л а д з е, Церк. грамоты, с. 54.
[48] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 12, საბ. 39; ისტორიული საბუთები, V, გვ. 5.
[49] იქვე, დავთ. 24, საბ. 54. შდრ. იქვე, ფ. 227, საბ. № 294.

თვის უცნობია. ჩვენთვის უცნობია აგრეთვე, თუ როგორი იყო თბილისის მმართველობა ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს (1724—1744 წწ.). აღსანიშნავია, რომ 1748 წ. სიგელით[50] ერეკლე II-მ თბილისის მოურავობა უბოძა მუხრანის ბატონს სახლთუხუცეს კონსტანტინეს[51]. ამასვე ადასტურებს პაპუნა ორბელიანის ცნობაც[52]; მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მომდევნო, 1749 წ. თბილისის მოურავად უკვე თარხნიშვილი იორამი არის დასახელებული[53], რომელიც იმავე, 1749 წ. ლეკებთან ბრძოლაში მოუკლავთ[54]. 1751 წ., როგორც თეიმურაზ II-ის სიგელიდან ჩანს, თბილისის მოურავობა ქართლის მემარჯვენე სარდალსა და ერანის ყულარაღასს გივი ამილახვარს ებოძა[55], მაგრამ იგი დიდხანს არ ყოფილა მოურავად; 1754 წ., პაპუნა ორბელიანის სიტყვით, გივი ბატონიშვილს[56], ხოლო XVIII ს. 70-იანი წლებიდან ვიდრე ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე თბილისის მოურავობა ჯერ დავით ციციშვილს[57], ხოლო შემდეგ მის შვილს ევსტატეს ჰქონდა[58]. როგორც ვხედავთ, თბილისის მოურავებად XVII—XVIII სს. სიგრძეზე ყოველთვის გავლენიანი მოხელეები და ძლიერი ფეოდალები ინიშნებოდნენ.

ასევე იყო გორშიც. XV ს. 40-იანი წლებიდან გორის მოურავობა, იშვიათ შემთხვევაში გამონაკლისს გარდა, ზევდგინიძეთა გვარის სამოხელეო მემკვიდრეობით თანამდებობად იყო გადაქცეული და იმ დროიდან მოკიდებული ვიდრე მეფობის გაუქმებამდე ქართლის ამილახვართა (მემარჯვენე სარდალთა და უძლიერეს ფეოდალთა) პრეროგატივს შეადგენდა. მარტო XVIII ს. მეორე ნახევარში ვიდრე იმავე საუკუნის დასასრულამდე გორის მოურავებად ყოფილან გივი ამილახვარი, ამირინდო ამილახვარი, რევაზ ამილახვარი, იესე ამილახვარი[59] და ოთარ ამილახვარი[60]. თავადებს

---

[50] ЦГИАГ, ფ. 230, დ. 1, ნაწ. II, საბ. 7; ср. Акты, т. 1, с. 33.

[51] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 5, საბ, 98.

[52] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, B_2 გვ. 405.

[53] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 24, საბ. 42.

[54] შედეგი კახეთის ცხ-ბისა, B^2, გვ. 503.

[55] ЦГИАГ, ფ. 226, № 125; შდრ. პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, B_2, გვ. 430; ი ე ს ე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ცხოვრება-ანდერძი, გვ. 12.

[56] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, B_2, გვ. 452.

[57] საისტორიო მოამბე, I, 1945, გვ. 11.

[58] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები..., გვ. 91—92.

[59] ГМГ, ფ. Qd 7120.

[60] ЦГИАГ, ფ. 227, № 758; შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 84—87.

[61] ГМГ, ფ. Hd 14450.

ჰქონდათ არა მარტო შედარებით დიდი, არამედ მცირე ქალაქების მოურავობაც. მაგ., როსტომმა 1633 წ. ახალდაბის მოურავობა პაატა ჯავახიშვილს უბოძა[61]; ცხინვალის მოურავობა კიდევ დიდი ხნის განმავლობაში მეფეთაგან ჰქონდათ ბოძებული ამილახვართა სათავადო გვარის წევრებს ამილახვრიშვილებს[62]. ასევე, სურამისა და ალის მოურავობა 1745 წ. ერთხანს თ. ნიკოლოზ აბაშიძეს ჰქონდა ბოძებული[63], ხოლო 1752 წ-დან კი სურამის მოურავად, აგრეთვე თავადი, ელისბარ თაქთაქიშვილი იყო[64]. 1792 წ. ერეკლე II-მ სურამის მოურავობა თავადს, ამილახვრიშვილ ბეჟანს უბოძა[65]. ევგენი აბაშიძე XVIII ს. ბოლოს ითვლებოდა აგრეთვე ალის მოურავადაც[66]. თელავის ბაზრის მოურავობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თავად გურგენიძეებს ეპყრათ თეიმურაზ-ერეკლეს დროს. მსხვილი თავადები იყვნენ აგრეთვე ქ. ქუთაისის მოურავებიც. აღსანიშნავია, რომ XVIII ს. 80-იან წლებში ქუთაისის მოურავად ქსნის ერისთავის ძე ელისბარი[67], XIX ს. დამდეგს კი ქუთაისის მოურავად აზნაური დავით მესხი ყოფილა[68]. სათავადო, საერისთავო თუ სამთავრო მცირე ქალაქებში, ცხადია, მოურავები თვით თავადების თუ მთავრების მიერ ინიშნებოდა. მაგ., დუშეთის მოურავობა 1799 წ. ლაზარე კობიაშვილს უბოძა ვახტანგ ბატონიშვილმა, „მპყრობელმან სრულიად არაგვის საერისთაოსამან"[69]. ვახტანგ ბატონიშვილის მიერ იყო დანიშნული XVIII ს. მეორე ნახევარში ანანურის მოურავად ბარამ (ბარნაბა) ფისაძე[70]. რა თქმა უნდა, მთავრის (გურიელის) მიერ იყო დანიშნული 1790 წ. საბუთში მოხსენებული ოზურგეთის მოურავი როსტომ ნაკაშიძე[71]. ამგვარადვე, 1829 წ. სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა „თავისი

---

[62] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 28, საბ. 233; დავთ. 14, საბ. 99.

[63] იქვე, დავთ. 17, საბ. 94.

[64] იქვე, დავთ. 28, საბ. 37.

[65] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ.106, 107—108. აღსანიშნავია, რომ XIX ს დამდეგს, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების პირველ წლებში, სურამის მოურავებად, მეფობის არსებობის დროს, თავს აცხადებდნენ ევგენი აბაშიძე, ზაზა ამირეჯიბი და ბეჟან ამილახვრიშვილი (იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 16, 106—108). როგორც ჩანს, ეს პირები XVIII ს. მეორე ნახევარში სხვადასხვა დროს იყვნენ სურამის მოურავებად.

[66] შ. მ ე ს ხ ი ა, იქვე, გვ. 16.

[67] დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, გვ. 87.

[68] ГМГ, Hd 4471.

[69] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 13, საბ. 68.

[70] იქვე, ფ. 226, № 8958.

[71] Д. Б а к р а д з е, Арх. Путешеств. по Гурии и Адчаре, с. 314, 332.

მაგიერობა“ მც. ქალაქ ზუგდიდში, ე. ი. მოურავობა, საშვილიშვილოდ აზნაურ სამაია ხვიტიას უბოძა[72].

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ როგორც ერთიან საქართველოს სამეფოში, ასევე გვიანფეოდალურ ქალაქებში მხოლოდ მეფის მიერ დანიშნული ერთი მოურავი უნდა ყოფილიყო. ქალაქში სხვა პირებს, ყმათა საკმაოდ დიდი რაოდენობის მფლობელ საერო თუ სასულიერო ფეოდალებს, გვიანფეოდალური საქალაქო განწესების მიხედვით, არ შეიძლებოდა თავიანთი მოურავები ჰყოლოდათ. მაგრამ ეს ნორმები ქალაქებში გაბატონების მოსურნე საერო თუ სასულიერო ფეოდალების მიერ, როგორც ჩანს, ირღვეოდა და ფეოდალები ცდილობდნენ სამეფო მოურავის გვერდით მსხვილ ქალაქებში საკუთარი მოურავებიც გაეჩინათ. როგორც თბილისის მოურავის დავით ციციშვილის თხოვნიდან ჩანს, ამგვარ მოვლენას ადგილი ჰქონია XVIII ს. 70-იანი—80-იანი წლების თბილისში. თბილისის მოურავმა 1784 წ. ერეკლე II-ისაგან მოითხოვა ქალაქის რიგის ამგვარი დარღვევა გაესწორებინა და მის წინაპართა (ერეკლე I, ვახტანგ VI, თეიმურაზი) დროს არსებული განწესება აღედგინა. „ქალაქის საღვთო კაცებმა“, ქედხუდებმა და მოქალაქეებმა დავით ციციშვილს ფიცით და სათანადო ხელწერილების მიცემით ერთხმად დაუდასტურეს, რომ ზემოხსენებულ მეფეთა დროს თბილისში „მეფის მოურავის მეტი“ მოურავი არ ყოფილა[73]. ყოველივე ამის შემდეგ ერეკლეს მიერ სათანადო ბრძანებაც გამოიცა: „რადგანაც ამდენი სამღუდელო და საერო კაცნი მოწმობენ, რომ ქალაქში (თბილისში, შ. მ.) ძველთაგან ერთის მოურავის მეტი არა ყოფილა; ჩვენ ამდენის კაცის მოწმობის ძალით, ჩვენს მოურავს გარდაისად, სხვას, ვისაც ქალაქში მოურავები ჰყავს, ისინი მოურაობიდამ დაგვიყენებია. ჩვენი სახასოს ყმისაც და ქალაქში ვისაც ყმა ჰყავს, იმათი მოურავი ჩვენი სიძე დავითი არისო“[74]. როგორც ჩანს, XVIII ს. 70—80-იან წლებში თბილისში ყმათა მფლობელ ფეოდალებს თავიანთი ცალკეული მოურავები გაუჩენიათ და ქალაქი როგორც მეფის ხელისუფალისათვის, ასევე თავიანთი მოურავებისათვის დაუმორჩილებიათ ე. ი. იგი ფაქტობრივად რამდენიმე მეპატრონეს შორის (მეფე, ფეოდალები) გაუყვიათ. მსგავს მოვლენას ადგილი ექნებოდა სხვა, შედარებით მნიშვნელოვან ქალაქებშიც, რაც თავისთავად წარმოადგენს იმ ბრძოლის გაგრძელებას,

---

[72] КМ, докум. № 1550.

[73] საქ. სიძველენი, III, გვ. 15—16.

[74] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 34, საბ. 141.

რომელსაც ადგილი ჰქონდა მეფესა და ფეოდალებს შორის ქალაქის დაპატრონებისათვის, ან კიდევ მისი გაყოფისათვის.

დამახასიათებელია, რომ გვიანფეოდალურ საქართველოში ფეოდალების ამგვარ ცდას ერთგვარი წარმატებაც ჰქონდა და ზოგი ქალაქი მართლაც ფაქტობრივად გაყოფილი იყო მეფესა და თავადებს შორის. მაგ., თელავი, რომელიც თითქოს ქართლ-კახეთის მეფის ერთ-ერთი საჯდომი ქალაქი იყო, როგორც ერეკლე II-ის მიერ 1768 წ. დადგენილ თელავის ბაზრის მოურავის სარგოდან ჩანს, ფაქტობრივად მეფესა და თავადებს შორის იყო განაწილებული. დებულების მიხედვით თელავის შემოსავლის ერთი ნაწილი თავადების ვახვახიშვილებისა და ყორჩიბაშიშვილების ყმების მიერ თელავში შემოტანილი საქონლის ბაჟსა და სხვ. წარმოადგენდა. ასე რომ, თელავი მარტო მეფის ქალაქი კი არ იყო, არამედ თავადებისაც, იგი მეფესა, ვახვახიშვილებსა და ყორჩიბაშიშვილებს შორის იყო განაწილებული. ცხადია, ამგვარ ქალაქში როგორც მეფის, ასევე თავადების მოხელეებიც მოქმედებდნენ. მაგრამ თელავი მაინც ერთგვარი გამონაკლისი იყო. საქართველოს სხვა ქალაქებს კი, როგორც ვნახეთ, მეფის მიერ დანიშნული მოხელე მოურავი მართავდა. „მოურავი", სიტყვა-სიტყვით (букв.) «Curator»-ს შეესატყვისება. აღსანიშნავია, რომ ქართველი ფეოდალის გაგებით, „მოურავი" რუსული ქალაქების „გუბერნატორის" მსგავსი პირი იყო. მაგ., გაბრიელ გელოვანი, 1737 წ. ვახტანგ VI-ის რუსეთს გამგზავრებასთან დაკავშირებით წერდა: მეფე „მობრძანდა ქალაქსა ასტრახანსა, მუნ გამოეგება მოურავი ქალაქისა მისი პატივითა"-ო[75]. ასე რომ, „ასტრახანის გუბერნატორს" ქართულად, ქართველის გაგებით, „ასტრახანის მოურავი" შეესატყვისებოდა. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ ამბროსიო კონტარინი ქუთაისისა და გორის მოურავებს «governatore»-ებს (გუბერნატორებს) უწოდებდა[76]. ასე რომ, მოურავი — მეფის მიერ ამა თუ იმ ქალაქში დანიშნული მოხელე— მისი მთავარი გამგებელი იყო და თავისი შინაარსით დაახლოებით უცხოურ „გუბერნატორს" შეესატყვისებოდა.

ქალაქის მოურავის უფლება-მოვალეობა გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში ყველგან ერთნაირი როდი იყო. მოურავის უფლება ძირითადად, რა თქმა უნდა, ქალაქის საერთო მნიშვნელობის მიხედვით განისაზღვრებოდა. დიდი ქალაქების მოურავები მეტი უფლებით სარგებლობდნენ, საშუალო და მცირე ქალაქებისა კიდევ სხვა უფლებებით. მაგრამ მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, თუ

---

[75] „ივერია", № 5—6, 1879 წ., გვ. 195, 200.

[76] Путешествие Амвросия Контарини... В 1437 г., БИПР, отд. 1, т. II, с. 34, 38—39.

ვინ, როგორი გავლენიანი პირი ასრულებდა მოურავის თანამდებობას ამა თუ იმ ქალაქში.

ჩვენ არ შევუდგებით ყველა ქალაქის მოურავის უფლება-მოვალეობის ცალ-ცალკე განხილვას. აქ მხოლოდ იმ ძირითადს აღვნიშნავთ, რაც მთავარია მეფის ამ მოხელის ხელისუფლების შესწავლისათვის.

ქალაქის მოურავს, როგორც სათანადო დებულებებიდან ჩანს, უნდა განეგო ყოველივე ის, რაც ქალაქსა და ქალაქში მეფის ბრძანებების გატარებას შეეხებოდა, ანუ როგორც „თბილისის მოურავის გარიგებაშია“ ნათქვამი, „ქალაქის სამოქალაქოსი ყოველივე მოურავს უნდა ეკითხოს. მეფემ აწ რომ ქალაქს ან სთხოოს ან შეაწეროს, ან სხვა რამე საქმე იყოს“ ქალაქის მოურავს უნდა ეკითხოს[77]. ამიტომაც მეფე თავის ბრძანებებს პირველ რიგში ქალაქის მოურავს აცნობებდა, რომ მას იგი დაუყოვნებლივ გაეტარებინა. მაგ., როსტომ მეფის მიერ განახლებულ თბილელი ეპისკოპოსის ქალაქში მოსახლე ყმათა სათარხნოს წიგნზე მოურავ მანუჩარს თავის მხრივ წაუწერია: „რა რიგადაც ამ მტკიცეს სიგელში წერია, ჩვენ ქალაქის მოურავს... მანუჩარს ეს ბრძანება ასრე გაგვითავებიაო“[78]. ამგვარადვე დაუმტკიცებია და ცხოვრებაში გაუტარებია მეფის ბრძანება იმავე ყმათა სითარხნის შესახებ ქალაქის შემდეგდროინდელ მოურავს გიორგი ერისთავს[79]. მოურავი, რაკი მეფის მოხელე იყო, ცხადია, მას მეფის ბრძანებები უნდა შეესრულებინა. მოურავი ევსტათე ციციშვილის სიტყვით, „ბატონი (მეფე, შ. მ.) ხომ არ არის, რომ ქალაქს ახალი სჯულები დაუდვას“[80], ამიტომაც, მისი უფლება-მოვალეობა ძველიდანვე მეფეთა მიერ ე. წ. „სამოურაო წიგნით“, „სამოურაო დებულებებით“ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. რა თქმა უნდა, ცდებოდა პლ. იოსელიანი როცა წერდა, რომ რაც შეეხება ქალაქის მმართველობას, იგი ძალიან მარტივი იყო, სრულიად აღმოსავლური თავისებურებებით, ყოველგვარი განსაკუთრებული დადგენილებებისა და ჩვეულების გარეშე[81]. ამგვარი მოსაზრების წინააღმდეგ ამჟამად ჩვენ მრავალგვარი მასალა მოგვეპოვება: ჯერ ერთი მეფეთა მიერ გაცემული მოურავის თანამდებობის ბოძების სიგელები, აგრეთვე მოურავის უფლება-მოვალეობის განმსაზღვრელი წიგნიც იყო. მაგ., როსტომის მიერ ამილახვართადმი მიცემულ გორის მოურავობის წიგნში მტკიცედ

[77] საქ. სიძველენი, II, § 47, გვ. 528.
[78] ისტ. საბუთები, II, გვ. 42.
[79] Акты, I, с. 33.
[80] ЦГИАГ, ф. 227, № 9060.
[81] П. Иоселиани, Города, гв. 84.

იყო განსაზღვრული მოურავის სარგო და უფლება-მოვალეობა[82]. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ (იხ. თავი III), თვით გორელების მოთხოვნით ერეკლე I-მა გორის მოურავს ახალი დებულება მისცა[83]. ამას გარდა, გორის მოურავის სარგოზე ლაპარაკია „დასტურლამალშიც“[84]. აქ განსაზღვრულია აგრეთვე თბილისის[85], ატენის[86], ახალდაბის[87], ალის[88] და ცხინვალის[89] მოურავთა სარგოც. XVIII ს. 90-იან წლებში ერეკლე II-მ ხელახლა მისცა გორის მოურავს განწესება[90], ასევე მის მიერვე XVIII ს. 80-იან წლებში შემუშავდა თბილისის მოურავის ახალი განწესება[91], 1768 წ. კი თელავის ბაზრის მოურავის დებულება[92]; 1743 წ. თეიმურაზ II-მ ცხინვალის მოურავს განწესება მისცა[93]. XVIII ს. მიწურულს კიდევ ვახტანგ ბატონიშვილმა სათანადო სიგელით დუშეთის მოურავს თავისი უფლება-მოვალეობა განუსაზღვრა[94]. ამრიგად, არათუ არ არსებობდა რაიმე „განსაკუთრებული დადგენილებანი“, არამედ ყოველ მსხვილს თუ მცირე ქალაქის გამგებელს სათანადო „წიგნებით“ თავიანთი მოვალეობა მტკიცედ ჰქონდათ განსაზღვრული. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ფეოდალურ ქვეყანაში „სამოურაო წიგნებით“ განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი არ ირღვეოდა და რომ მოურავები ადგილებზე უსიტყვოდ ასრულებდნენ ყველა იმ დებულებას, რაც მათ მეფეთა მიერ ეძლეოდათ. ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ მსგავს „სამოურაო დებულებებს“ მოურავები ხშირად არღვევდნენ, ქალაქებში თვითნებურად მოქმედებდნენ და ქალაქს თავიანთი გამდიდრების წყაროდ აქცევდნენ.

ამას გარდა, ქალაქების ბიუროკრატიული ფეოდალური მმართველობა, ცხადია, ყოველთვის ვერ ქმნიდა მტკიცე ზღვარს ქალაქის ცალკეულ მოხელეთა უფლება-მოვალეობას შორის. ამიტომაც

---

82 იხ. საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 258—259.

83 ЦГИАГ, ф. 227, № 758.

84 დასტურლამალი, გვ. 19—20.

85 იქვე, გვ. 101.

86 იქვე, გვ. 8.

87 იქვე, გვ. 120.

88 იქვე, გვ. 121.

89 იქვე, გვ. 122.

90 ЦГИАГ, ф. 227, № 758.

91 საქ. სიძველენი, II, გვ. 523—528; 528—531; შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 91—92.

92 ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 34, საბ. 141; შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 48—49.

93 ГМГ, ф. Hd 1485.

94 ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 13, საბ. 68.

ხშირი იყო შემთხვევები, როცა ესა თუ ის მოხელე სხვის უფლებებში იჭრებოდა და სხვის ფუნქციებსაც იკუთვნებდა. ამ მხრივ საინტერესოა თბილისის მოურავის ევსტ. ციციშვილის განცხადება გიორგი XII-ისადმი, სადაც სხვა მოხელეთა მიერ შეკიწროებული ქალაქის გამგებელი წერდა: „თქვენი წყალობით მოურავობა მაქვს, მაგრამ ჩემს თანამდებობას სხვები ასრულებენ, მე კი თავისუფალი ვარ". გიორგი XII იძულებული გახდა ამის გამო ქალაქის (თბილისის) მელიქისათვის საგანგებოდ ებრძანებინა: უნდა გაუწყო ჩემი ძმისშვილის, თბილისის მოურავის ევსტატეს შესახებ, რომ ყველა საქმეზე, რომლებიც მას ეხება, შენ მას უნდა კითხო და იყო მასთან ისეთ ურთიერთობაში, როგორც აქამდე იყავი. მან უნდა გაარჩიოს საქმეები, განაგოს იგი თბილისში. მისთვის განკუთვნილი საქმეები, უმაგისოდ შენ არა გადაწყვიტო. ამაზე ჩვენ მეორედ ვიძლევით ბრძანებას, რომელიც უნდა შესრულდეს[95].

როგორც ამ ბრძანებიდანაც ჩანს, თუმცა მოურავის უფლებამოვალეობას ზოგჯერ სხვა ითვისებდა, იგი მაინც ქალაქის მოხელეთა შორის, გვიანფეოდალურ საქართველოში არსებული „დებულებებით", უპირველეს მოხელედ ითვლებოდა, რომლის კითხვისა და ნებართვის გარეშე ქალაქის სხვა მოხელეს საქალაქო საქმეების გადაწყვეტა არ შეეძლო.

საქართველოს შედარებით დიდი ქალაქების — თბილისის, გორის, ქუთაისის,—მოურავების უპირველეს მოვალეობას, „თავაზასა და ხათრს" გარეშე, „ჭეშმარიტი სამართლის" წარმოება შეადგენდა[96]. მაგრამ ქალაქების მოურავთა სამართლის შესახებ საგანგებოდ ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ქალაქის მოურავს განსაკუთრებით ქალაქის ეკონომიკური ცხოვრებისათვის უნდა ედევნებინა თვალყური. თავისი ხელქვეითი მოხელეების დახმარებით იგი ქალაქის ეკონომიკური ცხოვრების ყოველ საკითხში ერეოდა. მას თვალყური ეჭირა ქალაქის ბაჟზე, ქალაქის მებაჟენიც თუ ბაჟის იჯარადარნიც მის ხელქვეით მოხელეებად ითვლებოდნენ ქალაქში. რაკი მოურავი ქალაქის ბაჟსაც მეთვალყურეობდა, მას აქედანაც სათანადო წილი ჰქონდა განკუთვნილი. ქალაქების ბაჟიდან, როგორც დებულებებიდან ჩანს, სხვადასხვა რაოდენობით წილს იღებდნენ თბილისის, გორის, ცხინვალის, თელავის, ქუთაისის, ახალდაბის და სხვა მოურავები.

---

[95] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 92.
[96] საქ. სიძველენი, III, გვ. 12.

გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში, დავით ბატონიშვილის ცნობით, ვაჭრობა ძირითადად მეფის და ქალაქის ხელისუფალთა მიერ დაწესებული ნიხრით წარმოებდა[97]. მართლაც, როგორც სათანადო დოკუმენტებიდან ჩანს, ზოგი ქალაქის მოურავის ერთ-ერთ მოვალეობას სწორედ ქალაქში შემოტანილ პროდუქტებზე ნიხრის დაწესება შეადგენდა. ნიხრს მოურავი უმთავრესად სურსათ-სანოვაგეზე აწესებდა. ნიხრი (ტაქსა) ქალაქებში, ისე როგორც სხვაგან, გადამყიდველთა და ფასების ხელოვნურად გაზრდის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთ უმთავრესს წარმოადგენდა[98]. ქ. თბილისში ნიხრის დაწესება მოურავს ეკითხებოდა. სხვა ქალაქებში (მაგ., გორში) ის ქალაქის სხვა ხელისუფალთა საქმე იყო. „კახეთ-ქიზიყის მოურავის სარგოს“ მიხედვით, კახეთსა და ქიზიყში საერთოდ ნიხრის მიცემა „მეფის ნაცვალს“ ეხებოდა. მაგრამ თელავის ბაზარში ნიხრს, როგორც ჩანს, თელავის მოურავი აწესებდა. იროდიონ გურგენიძეს თელავის ბაზრის მოურავის სარგოთა შორის ჩანიშნული აქვს: „სანიხრო ხორცი გვერგებოდა ცხვრისა, წელიწადში 50 ლიტრა“[99]. „სანიხრო ხორცი“ თელავის ბაზრის მოურავს ხორცზე ნიხრის დაწესების შემთხვევაში შეიძლებოდა მიცემოდა. სიღნაღში კი ნიხრს, როგორც ირკვევა, კახეთ-ქიზიყის ნაცვალი აწესებდა. მცირე ქალაქების — ცხინვალი, ალი, ატენი, დუშეთი და სხვა—სამოურავო დებულებაში საერთოდ ნიხრის შესახებ არაფერია ნათქვამი, როგორც ჩანს, ნიხრი მხოლოდ შედარებით დიდ ქალაქებში წესდებოდა. თბილისის მოურავი ნიხრს აწესებდა ქალაქში გასაყიდად შემოტანილ ხორცზე, ღვინოზე, გელაქნურ თევზზე, ორაგულზე, ზუთხზე, ხრამულზე, ყურძენზე, ზეთისხილზე და სხვადასხვა სახის ხილზე[100]. ზემოხსენებულ პროდუქტებზე ნიხრი მოურავს, „დებულების მიხედვით“, საერთოდ სამ თვეში ერთხელ უნდა დაეწესებინა[101], მაგრამ ზოგ პროდუქტებზე, მაგ., ხორცზე, წელიწადში რამდენიმეჯერ წესდებოდა ნიხრი[102], ღვინოზე კიდევ წელიწადში ერთხელ[103]. ნიხრის დაწესება თბილისის მოურავს მარტო არ შეეძლო; „ქალა-

---

[97] Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н:11, с. 421.

[98] Г. Белов, Городской строй и Городская жизнь..., с. 102.

[99] შ. ფესხია, მასალები, გვ. 48.

[100] იხ. საქ. სიძველენი, II, გვ. 225—226, §§ 18, 19, 21, 22, 23, 24, 26, 28, 30.

[101] იქვე, გვ. 530, § 24.

[102] იქვე, გვ. 525, § 18.

[103] იქვე, გვ. 525, § 19.

ქის მოურავმა... მელიქი, მამასახლისი, ნაცვალი და ქედხუდები უნდა დაისწროს და ისე უნდა მისცეს ნიხრიო"[104]—ნათქვამია თბილისის მოურავის გარიგების წიგნში. მოურავის და ქალაქის მოხელეთა მიერ დაწესებული ნიხრი ყველა ამქრისათვის სავალდებულო იყო; ნიხრის დაცვისათვის თვალყური თვით მოურავს უნდა ედევნებინა და ნიხრის დამრღვევი, „დამნაშავე ასნაფი (цех) დაეჯარიმებინა. ამიტომაც ჯარიმა მოურავის სასარგებლოდ მიდიოდა. ყველა ამგვარი ღონისძიება, იოანე ბაგრატიონის სიტყვით, იმისკენ იყო მიმართული, რათა ქალაქში, „ჯეროვანის ფასით ისყიდებოდეს ხორაგი და სხუანი ნივთნი და აქა სიხარბე და სიყალბე არა გამოჩნდებოდეს რა"[105]. მაგრამ სინამდვილე ხშირად სხვაგვარად მეტყველებდა და „დებულებით" გათვალისწინებული ნორმები, როგორც ვნახეთ, თვით მოურავთა და მის თანაშემწეთა მიერ ხშირად ირღვეოდა.

ქალაქების მოურავთა მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე ქალაქში ხმარებულ საზომ-საწყაოთა სისწორის დაცვისათვის ზრუნვა. როსტომის მიერ გორის მოურავისადმი ბოძებულ სიგელში საგანგებოდ იყო აღნიშნული: „თქვენად უკითხავად ვერც დადგან კოკა, ვერც ლიტრა და ვერც ადლი"[106]. როგორც ჩანს, ქალაქში მოურავის ნებართვისა და წინასწარი შემოწმების გარეშე, ზომაწონის ერთეულები არ შეიძლებოდა ხმარებულიყო. დავით ბატონიშვილი ამის გამო წერდა: ზომა-წონა და სიკეთე საერთოდ გასაყიდისა, დგინდება მთავრობის მიერ. წესის დამრღვევი ისჯება როგორც ქურდი[107]. მოურავთა უშუალო მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე ქალაქებში საერთო წესრიგისა და წესიერების დაცვა, ქურდისა, საერთოდ „ავის კაცისა" და ცუდი ზნის ქალების ძებნა[108]; მათი დაჭერა მოურავის ბრძანებით ხდებოდა და სათანადო ჯარიმაც მოურავის სასარგებლოდ მიდიოდა[109]. თუ მოურავი ქალაქში იყო, ქალაქის სხვა ხელისუფალნი წესრიგის დამრღვევთ მისი ნებართვის გარეშე ვერ დაიჭერდნენ[110]. წესრიგის დაცვაში მოურავს ქალაქის პოლიციის წარმომადგენლები შველოდნენ, საამისოდ სათანადო მოხელეები იყვნენ გამოყოფილი. ამას გარდა,

---

[104] იქვე, გვ. 530—531, § 24.

[105] ГМГ, ფ. H: 215[c], გვ. 8.

[106] საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 259.

[107] Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, H: 11, с. 422.

[108] საქ. სიძე. II, გვ. 520, § 13.

[109] იქვე, გვ. 527, § 38.

[110] იქვე, გვ. 530, § 20.

ქალაქის „ასასები (ასასი — დაბალი ჩინი ქალაქის პოლიციაში, შ. მ.) მოურავს უნდა ახლდნენ, ორი და სამი ასასი მაინც გამოუ-ლევლად უნდა ახლდნენ“. ასასები მოურაკებს მოახსენებდნენ ქურდთა, უზნეო ქალთა და სხვ. წესრიგის დამრღვევთა შესახებ, მოურავები კი მათ იჭერდნენ და ჯარიმას ახდევინებდნენ[111]. მო-ურავს ევალებოდა აგრეთვე თვალყური ედევნებინა პოლიტიკურად საეჭვო პირთათვის, რომ ისინი ქალაქიდან არ გაპარულიყვნენ. ალექ-სანდრე ამილახვარი სხვათა შორის წერდა: „ქალაქის (თბილისის, შ. მ.) მოურავს მეფისაგან ნაბრძანები ჰქონდა მკაცრად დაეცავი“, არსად გავპარულიყავიო[112].

ზოგიერთი ქალაქის მოურავთა უფლებას შეადგენდა აგრეთვე ქალაქის მოსახლეთა გაყრისა თუ შეყრის წიგნების დამტკიცება, მამულთა, სახლთა თუ დუქანთა გაყიდვის წიგნების დამტკიცება და სხვ. თბილისში ეს მელიქ-მამასახლისის უფლებას შეადგენდა, გო-რში, თელავში და სხვა ქალაქებში მოურავებისას. გორის მოურა-ვისადმი როსტომის მიერ ბოძებულ წიგნში ნათქვამი იყო: „ვერც ვის გაჰყრიდეს თქვენად შეუკითხავად მამასახლისი და ვერცა ვის შეჰყრიდეს, ვერცა ვის მამულს მისცემდეს და ვერცა ვის გამოარ-თმევდეს“[113]. გორის მოურავისადმი მიცემულ 1795 წ. განწესება-ში მოურავის სარგოთა შორის დასახელებულია „გასამყრელო კომლზედ ხუთი მინალთუნი“[114]. ამას გარდა, გორის უკანასკნელი მოურავი ოთარ ამილახვარი აღნიშნავდა: „რაც გორში მამული გაისყიდებოდა და ან იყიდდა ვინმე, ან გაიცემოდა, იმის სიგელი ჩემგანაც უნდა დაბეჭდილიყო და ამაში მქონდა სარგებლობა“[115]. ამგვარადვე წერდა თელავის ბაზრის მოურავიც: „გასამყრელი და შესამყრელი შეძლებაზედ იყო, ზოგს ორს თუმანს გამოვართმევ-დით, ზოგს თხუთმეტს მინალთუნს და ზოგს თორმეტს მინალთუნს“. „სახლი გაიყიდებოდა თუ დუქახი თუ ბაღი, აქედამ თუმანზედ ხუ-თი აბაზი ჩვენი იყო“[116]. მართლაც, თელავის მოურავისადმი ერეკ-ლეს მიერ 1768 წ. ბოძებულ „დებულებაში“ აღნიშნული იყო: „გასამყრელო და შესამყრელო შეძლებისაებრ გამოერთმეოდე-სო“[117]. „გაყრა და შეყრა“ მოურავების უფლებას შეადგენდა მცი-

---

[111] იქვე, გვ. 530, § 22.
[112] ალ. ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი, გეორგიანული ისტორია, გვ. 154.
[113] საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ 259.
[114] ЦГИАГ, ф. 227, № 758.
[115] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 87.
[116] იქვე, გვ. 48.
[117] ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 34, საბ. 141.

რე ქალაქებში—დუშეთში, ცხინვალში, ალში, ატენში, ახალდაბაში და სხვ., ამ ქალაქთა სათანადო სამოურავო დებულებებში ყოველთვის მითითებულია მოურავთა „გასამყრელო და შესამყრელო“ სარგოზე, ოღონდ ზოგან, მაგ., ცხინვალში, ალში, ახალდაბაში და სხვ., მოურავს გასამყრელო სარგოს ფულით კი არ უნაზღაურებდნენ, არამედ ხარით და სხვ. მსგავსით.

ქალაქის მოურავის მოვალეობას შეადგენდა მიეღო უცხოელი სტუმრები, გამოეყო მათთვის ქალაქში სათანადო საცხოვრებელი ბინა; უცხოელებიც ვალდებულნი იყვნენ თავიანთი მოსვლა ამა თუ იმ ქალაქში მოურავისათვის ეუწყებინათ; უცხოელი ვაჭრები და ან კიდევ უცხოეთიდან დაბრუნებული იმავე ქალაქის ვაჭრები პირველად მოურავთან უნდა გამოცხადებულიყვნენ და სათანადო საჩუქრები უნდა მიერთმიათ. თბილისის მოურავის „დებულებაში“ ნათქვამია: „მოქალაქე რომ უცხოს ქვეყნიდამ მოვიდეს, პირველად მოურავი უნდა ნახოს, ფეშქაში უნდა მიართვას მოურავს, რომ ეს დებულება არის“[118]. ამგვარადვე არის ნათქვამი გორის მოურავის ოთარ ამილახვრის მიერაც: „გორელნი თუ სხვანი ვაჭარნი, როდესაც სხვას ქვეყნიდან მოვიდოდნენ, ჩემს საფერს ფეშქაშს მომართმევდნენო“[119]. ამ მხრივ, უფრო ადრინდელი მდგომარეობის გასათვალისწინებლად, საინტერესოა კონტარინის შემდეგი ცნობა: ჩვენი გორში ჩასვლისთანავე მე სასწრაფოდ გავაგზავნე ჩემი თანამგზავრი გუბერნატორთან, რათა ეცნობებინა ჩემი მოსვლა. მან მაშინვე გასცა განკარგულება წავეყვანეთ ბინაში[120]. ამგვარადვე, ქუთაისის გუბერნატორის მიწვევით გაჩერდნენ მეფის ერთ-ერთ სასახლეში კონტარინი და მისი თანამგზავრები[121].

დავით ბატონიშვილის ცნობით, საქართველოს ქალაქთა მოურავები ვალდებულნი იყვნენ, თუ მეფე ქალაქში იმყოფებოდა, ყოველ დილით მოეხსენებინათ მისთვის ქალაქის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ მეფე თუ ქალაქში არ იყო, თვეში ერთხელ მაინც მიეწოდებინათ მსგავსი მოხსენება მისთვის[122]. ამას გარდა, ქალაქის მოურავები ვალდებულნი იყვნენ ქალაქის ყოველწლიურ შემოსავალ-გასავლის შესახებ წლის ბოლოს სათანადო ანგარიში ჩაებარებინათ სამეფოს სახლთუხუცესისათვის („განმვე სამეფოჲსა სახე-

---

[118] საქ. სიძვ. II, გვ. 524, § 9.

[119] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 87.

[120] Путешествие Амвросия Контарини, БИПР, отд. I, т. II, с. 38—39.

[121] იქვე, გვ. 34.

[122] Ц а р е в и ч Д а в и д, Обозрение Грузии, ИВАН, Н:11, с. 665.

ლოსა და შემოსავალ-გასავალთა“, შ. მ.) . დავით ბატონიშვილი წერდა: მოურავები ყოველწლიურ ანგარიშს აბარებენ სახლთუ-ხუცესს სასახლის, მამულებისაგან აკრებილი თანხების შემოსავალ-გასავლის შესახებ და მათი ბრძანებებით ხდება მთელი პროდუქ-ტების განაწილება[123].

ქალაქების მოურავები თავიანთი მოვალეობის შესრულებისა-თვის სამეფო ხელისუფლებისაგან ჯამაგირს კი არ იღებდნენ, არა-მედ ქალაქის შემოსავლიდან გარკვეულ ნაწილს, სარგოს, ისე რო-გორც საერთოდ საქვეყნოდ გამრიგე (ადგილებზე წარვლენილი) მოხელეები; ასე რომ, გვიანფეოდალურ საქართველოში ამა თუ იმ მოურავის შენახვა მთლიანად იმ ქალაქზე იყო დაკისრებული, რომლის მოურავადაც იგი ითვლებოდა.

მაგ., თბილისის მოურავი დიდ შემოსავალს იღებდა ქალაქის ბაჟიდან. ქალაქის ბაჟის ერთი მეხუთედი (აქედან მისი სახელწო-დება „ჩელიექი“, „ხუთზე ერთი“) მოურავის სასარგებლოდ მიდი-ოდა. მაგრამ XVIII ს. 80-იანი წლების „დებულებით“ მოურავი-სათვის ქალაქის ბაჟიდან გარდაკვეთით 80 თუმანი განუსაზღვრავთ, მიუხედავად იმისა ბაჟის ერთი მეხუთედი მეტი იქნებოდა თუ ნაკ-ლები. „დებულებაში“ ნათქვამია: „აბანოს კარზედ, და განჯის კარ-ზედ, თუ სხვას კარზედ თუმანზედ ხუთი შაური ბაჟი რომ ყოფი-ლა, ოთხი შაური ბატონისა (მეფისა, შ. მ.) არის და ერთი შაური მოურავისა, მაგრამ ახლა მოურავს ოთხმოც თუმანს აძლევენ“[124]. ამასვე ადასტურებს ევსტ. ციციშვილის ცნობაც: „ჩელიექისა მქონ-და ოთხმოცი თუმანი“[125]. ამას გარდა, XVIII ს. 80-იანი წლების დებულებით თბილისის მოურავს ახალწლის პირველ სამ დღეს თბი-ლისის ექვსივე კარის ბაჟი საკუთრად მიეცემოდა. XVIII ს. მი-წურულს კი თბილისის მოურავისათვის ეს შემოსავალი გაუნახევ-რებიათ. თბილისის უკანასკნელი მოურავი წერდა: „პირველი იან-ვარი რომ დადგებოდა, სამი დღე ქალაქის კარები მე მეჭირა, რაც ბაჟი შემოვიდოდა, ნახევარს მე ავიღებდი, და ნახევარი სამეფო იყო“, რაც წლიურად, საშუალოდ, მისივე ცნობით, 20 თუმნამდე აღწევდა[126]. ასე რომ, მარტო ქალაქის კარების ბაჟიდან მოურავი ყოველწლიურად 100 თუმანს (1000 მან.) იღებდა. კარების ბაჟს გარდა, მოურავი ცალკე იღებდა აგრეთვე თბილისის ბაზარზე გა-

---

[123] იქვე § 678.

[124] საქ. სიძველენი, II, გვ. 523, § 5.

[125] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 91.

[126] იქვე.

საყიდად გატანილი საქონლის ბაჟსაც. მაგ., თბილისში რამდენი ურემი ღვინოც შემოვიდოდა, ურემზე ორი თუნგი, ხოლო საპალნეზე ნახევარი თუნგი ღვინო მოურავისთვის უნდა მიეცათ. მას „ჭაშნიკი“ („გასასინჯი“) ეწოდებოდა[127]. „ღვინის ჭაშნიკს“ თბილისელი მოურავები იჯარით გასცემდნენ ხოლმე და აქედან წლიურად მათ, საშუალოდ, 60—80 თუმანი შემოდიოდათ[128]. ამგვარადვე, მოურავი ბაჟს იღებდა ქალაქში შემოტანილ შეშაზე, ნახშირზე და სხვ. მაგრამ არა ყოველთვის. კვირაში ექვსი დღე შეშისა და ნახშირის ბაჟი მოურავისა იყო, ერთი დღე, შაბათი კი „ქალაქის ნაცვლისა“[129]. თბილისის მოურავი ბაჟს იღებდა აგრეთვე სხვადასხვა სახის თევზზე, ზეთის ხილზე, ზეთზე, ხილზე და სხვ. ევსტ. ციციშვილის ცნობით, ამ პროდუქტებზე სამოურავო ბაჟი, იჯარით გაცემული, მოურავს წლიურად 10 თუმან შემოსავალს აძლევდა[130]. მოურავი შემოსავალს იღებდა მის მიერ ქალაქში სხვადასხვა პროდუქტებზე გარდაკვეთილი ნიხრებისათვის, ჯარიმებიდან, თავის გასამტეხლოდან და სხვ. აღსანიშნავია, რომ თავის გასამტეხლო, ევსტ. ციციშვილის ცნობით, მთლიანად მოურავს ეკუთვნოდა: „თავი რომ გაუტყდებოდა ჩხუბში კაცს, იმისი ჯარიმა ჩემი იყო, ბატონს (მეფეს, შ. მ.) საქმე არ ჰქონდა“[131]. ყველა ზემოხსენებულს გარდა, მოურავი შემოსავალს იღებდა იმ სამსახურიდანაც, რასაც მის წინაშე ქალაქის მოსახლეობა თუ ცალკეული ამქრები ეწეოდნენ, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ ვილაპარაკებთ.

ქალაქის მოსახლეობაზე სპეციალური სამოურავო გამოსაღებიც იყო გაწერილი. მას, როგორც აღვნიშნეთ, XVIII ს. მიწურულშიც „სატარუღოს“ (სამოურავოს) უწოდებდნენ. თბილისში „სატარუღო“ კომლზე, ანუ სახლზე 6 შაური ყოფილა, ხოლო მოქალაქეთა ყმებზე, რომელნიც სხვასთან იდგნენ, 1 შაური[132]. სატარუღოც ყოველწლიურად მოურავს, ევსტ. ციციშვილის ცნობით, 20 თუმანს აძლევდა[133]. ამრიგად, თბილისის მოურავის შემოსავალი მთლიანად, როგორც ევსტ. ციციშვილის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, წლიურად, საშუალოდ, 263 თუმანს (2630 მან.) უდრიდა[134].

---

127 საქ. სიძველენი, II, გვ. 523—524, № 6.

128 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 91.

129 საქ. სიძვ., II, გვ. 524, § 7.

130 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 91.

131 იქვე, გვ. 92.

132 საქ. სიძვ., II, გვ. 524, §8.

133 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 91.

134 იქვე, გვ. 91—92.

ასეთივე შემოსავალი ჰქონდა ქ. გორის მოურავსაც. ოთარ ამილახვრის ცნობით, გორის ბაჟიდან მოურავს ჰქონდა განწესებული „ზოგიდამ ათის თავი, ზოგიდამ ოცისა და თხუთმეტისა“[135]. ამის გარდა, „დასტურლამალის“ მიხედვით, „ნავროზს (ახალ წელს, შ. მ.) უკან სამი დღე ბაჟი (გორში) ამილახვრისა და მამასახლისის არის“[136]. მაგრამ ეს დებულება, XVIII ს. 70-იანი წლებისათვის შეცვლილა. ერეკლე II-ის მიერ გორის მოურავისადმი 1768 წ. მიცემულ დებულებაში გარკვევითაა ნათქვამი: „ნავროზის ათის დღის ბაჟი ჩვენი (მოურავის, შ. მ.) და მამასახლისის არის“[137]. ამასვე ადასტურებს ოთარ ამილახვრის ცნობაც: „ახალი წელიწადი რომ დადგება და იჯარა გამოიცვლება, პირველის დღიდამ ათი დღე ჩემი არის, რაც საბაჟო შემოვა, იმისი ბაჟი ჩემია“[138]. მაგრამ ოთარ ამილახვარი არაფერს ამბობს იმაზე, რომ ამ ბაჟში თავისი წილი მამასახლისსაც ედო. აღსანიშნავია, რომ გორის მოურავს წილი ჰქონდა თვით თბილისის ბაჟშიც და აქედან ყოველწლიურად 3 თუმანი ეძლეოდა. საბაჟოებიდან თუ ფეშქაშებიდან მიღებულ შემოსავალს გარდა გორის მოურავს შემოსავალი ჰქონდა გორში შემოტანილ ცალკეულ საქონელზე მის სასარგებლოდ გაწერილი ბაჟიდანაც. საინტერესოა, რომ გორის მოურავის „ჭაშნიკი“ იმგვარადვე იყო განსაზღვრული, როგორც თბილისის მოურავისა[139] ასევე, გორის მოურავს ბაჟი ერგებოდა, თბილისის მოურავის მსგავსად, ხმელ თევზზე, ახალ თევზზე, ზეთის ხილზე, სხვადასხვა სახის ხილზე და სხვ. აღსანიშნავია, რომ როსტომის სიგელის მიხედვით, თევზის ბაჟი გორში გორის მოურავის სასარგებლოდ მიდიოდა[140], მაგრამ XVIII ს. დამდეგს ამ მხრივ ცვლილება მომხდარა და როგორც „დასტურლამალიდან“ ჩანს, თევზის ბაჟის ერთი მესამედი კათალიკოსისათვის დაუთმიათ, ორი მესამედი კი სამეფოდ დაუდევთ[141]. XVIII ს. 70-იანი წლებიდან, როგორც ირკვევა, „დასტურლამალით“ დადგენილი შეცვლილა და თევზის ბაჟიც ისევ გორის მოურავისა და მამასახლისისათვის მიუნებებიათ. ეს ჩანს როგორც 1768 წ. სამოურავო დებულებიდან, ასევე ოთარ ამილახვრის განცხადები-

---

135 იქვე, გვ. 86.

136 დასტურლამალი, გვ. 20.

137 ЦГИАГ, ф. 227, № 758.

138 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 87.

139 იქვე, გვ. 86.

140 საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 258.

141 დასტურლამალი, გვ. 20; იხ. ს. კაკაბაძის მოსაზრება ამ საკითხზე, საისტ. მოამბე, I, 1925, გვ. 260.

დანაც: „ხმელი თევზი რომ შემოვიდოდა, ურემზედ სამი წყვილი თევზი ჩემი იყო და ახალი თევზი საპალნეზედ ერთი ლიტრა ჩემი იყო“[142].

როგორც თბილისში, ასევე გორში მოურავს ხელოსანთა და ვაჭართა ამქრები ძღვენის მირთმევით თუ სათანადო გამოსაღებებით ემსახურებოდნენ, მაგრამ ამაზედაც ქვემოთ ვილაპარაკებთ. „სატარუღოც“ ორივე ქალაქში 6 შაურით იყო განსაზღვრული[143]. გორის მოურავი, თბილისის მოურავისაგან განსხვავებით, შემოსავალს იღებდა ქალაქის გასამყრელო-შესამყრელოდან, ნასყიდობის სიგელთა დაბეჭდვისათვის გორის მალიდან, ე. წ. „საჩექმოდან“: „გორელი კაცი ქალს რომ გაათხოვებდა, საჩექმე დებულება ერთი ოქრო ჩემი იყო“ — წერდა ოთარ ამილახვარი[14]. ზემოხსენებულთ გარდა, გორის მოურავს თვით ეკუთვნოდა რაც „გორში ჯარიმა ადგებოდა“[145], „თავის გასამტეხლო ჯარიმა ხუთი მინალთუნი“, სამეფო ნაზვრევის, ნაბაღვარის შემოსავლის ათის თავი და სხვ. ქ. გორიდან მიღებულ შემოსავალს დიდი ადგილი ეჭირა ამილახვრის, როგორც მოხელის, საერთო შემოსავალში, რომელიც როგორც XIX ს. დამდეგის ცნობიდან ჩანს, ყოველწლიურად 210 თუმანს (21000 მან.) უდრიდა[147].

შედარებით ნაკლები შემოსავალი ჰქონდა, ცხადია, თელავის ბაზრის მოურავს. მოურავს წილი ედო თელავის ბაჟის იჯარაში და თუ იროდიონ გურგენიძეს დავუჯერებთ, აქედან მას ყოველწლიურად ათი თუმანი ერგებოდა[148]. გორსა და თბილისში არსებული დებულება — ახალი წლის შემდეგ ქალაქის რამდენიმე დღის მოურავისათვის დათმობა—თელავზე არ ვრცელდებოდა. ამგვარადვე, თელავის სამოურავო დებულებაში არაფერია ნათქვამი ვაჭართა მიერ მოურავისადმი მისართმევ ფეშქაშზე. მაგრამ თელავის ბაზარში გაყიდულ თუ გასაყიდ საქონელზე მოურავს თავისი ბაჟი უნდა აეღო. ასევე, მას ეკუთვნოდა „ღვინის ჭაშნიკიც“, ბაჟი ხმელ თევზზე, ხიზილალაზე, ბამბაზე, ფარჩაზე და სხვ.[149]. აღსანიშნავია, რომ თელავისადმი ერეკლეს მიერ მიცემული განწესებით 1768 წ. სატარუ-

---

142 ЦГИАГ, ფ. 227, № 758; შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 86.
143 იქვე.
144 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 86, 87.
145 იქვე, გვ. 86.
146 ЦГИАГ, ფ. 227, № 758.
147 ЦГИАГ, Hd 3327.
148 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 48.
149 იქვე.

ღო სხვაგვარი იყო, ვიდრე თბილისსა და გორში: „სატარუღო შეძლებაზე აბაზი, და ღარიბზე ორი შაური“[150]. XVIII ს. მიწურულს კი, თელავის სატარუღოც გათანაბრებია სხვა ქალაქების სატარუღოს რაოდენობას და ეროდიონ გურგენიძის ცნობით, აქაც ექვსი შაურით ყოფილა განსაზღვრული[151]. ამას გარდა, თელავის „ბაზრის კაცები“ მოურავის წინაშე სხვადასხვა საჩუქრებით სხვაგვარ სამსახურსაც წევდნენ. თელავის მოურავისა იყო „თავის გასამტეხლო კაცზე თორმეტი მინალთუნი“, საბატონო ჯარიმის მესამედი და სხვ. თელავის ბაზრის უკანასკნელი მოურავის ეროდიონ გურგენიძის ცნობით, მისი შემოსავალი წლიურად საშუალოდ 46 თუმანს და 3 მინალთუნს (463 მანეთს) უდრიდა[155]. ქუთაისის მოურავის სარგოს შესახებ იმერეთის სამეფოს უკანასკნელი სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი წერდა: ქ. ქუთაისის მოურავი წელიწადში შესაყიდი საქონლიდან იღებდა სამ ქისას (ქისა 216 ვერცხლი იყო—შ. მ.). შემოტანილი მარილისა და თევზის თითოეული საპალნიდან რამდენსაც იღებდნენ მეფისათვის, იმის ნახევარს იღებდნენ მოურავი, „დასტურლამალით“, „ბაჟის სათაოს აიღებდა“[155]. განსათითოეულ საპალნეზე ეკუთვნოდათ: ხიდზე გავლით ქალაქში შემოსულზე 4—4 ფარა, ხოლო (ქალაქიდან) გაყვანილ თითოეულ საქონელზე 16—16 სტილი ხორცი. ქუთაისში მოდავე ხალხისგან—ორივე მხრიდან თავისთვის იღებდნენ 5 მარჩილს. მათ კიდევ ჰქონდათ სხვა სარგებლობაც[153]. შემოსავალი საერთოდ ჩვენთვის უცნობია.

მცირე ქალაქების სამოურავო დებულებებში, მარტო ცხინვალის, ალის და ახალდაბის მოურავების სარგოშია აღნიშნული შემოსავალი ბაჟიდან. მაგ., ცხინვალში მოურავს ბაჟიდან, ბევრი იქნებოდა თუ ცოტა, ორი თუმანი ეკუთვნოდა[154], ხოლო ახალდაბის მოურავი, „დასტურლამალით“, „ბაჟის სათაოს აიღებდა“[155]. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მცირე ქალაქებში—ცხინვალში, ალში, დუშეთში და ატენში ფულად სამოურავო გამოსაღებები, ე. წ. სატარუღო არ ყოფილა, ახალდაბაში კი „დასტურლამალის“ მიხედ-

---

150 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 34, საბ. 141.

151 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 48.

152 იქვე, გვ. 84—85.

153 Акты, V, с. 378; ср. Н. Д у б р о в и н, История войны и владычества русских на кавказе, т. I, кн. II, Спб, 1871, с. 263—264; ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, სამსახურის დაწყობილება იმერეთის მეფე სოლომონ II-ის დროს, „ეკვალი“, № 24, 1900.

154 ГМГ, Hd: 1485.

155 დასტურლამალი, გვ. 121.

156 იქვე.

ვით ყოველი კომლი სამოურავოდ მარჩილს (3 აბაზი) იხდიდა[156]. სამაგიეროდ, მცირე ქალაქის მოურავებს მოსახლეობა გამოსაღებს ნატურით აძლევდა. მაგ., ცხინვალის მოურავისათვის ვენახზე ორი კოკა ტკბილი, ან კიდევ ორი კოდი პური უნდა მიეცათ[157]. მოურავისათვის მისართმევი „კოკა ტკბილი" გათვალისწინებული იყო აგრეთვე ალისა და ატენის სამოურავო გამოსაღებებში[158]. მცირე ქალაქების,მოურავებს ეკუთვნოდათ აგრეთვე „თავის გასამტეხლო", გასამყრელო, „საჩექმე", სხვადასხვა სახის ძღვენი, ჯარიმის ათისთავი და სხვ.

ქალაქის მოურავი ქალაქში ყოველთვის როდი იყო. მისი ამა თუ იმ ქალაქში მუდმივად ყოფნა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოსახლეობისათვის უფრო უბედურების მომტანი იყო, ვიდრე სიკეთისა. ქალაქში მუდმივად მყოფი მოურავი იწყებდა მის დაუნდობელ ძარცვას; ამიტომაც მოქალაქეები ხშირად მოითხოვდნენ მეფისაგან, რომ მოურავი ქალაქში არ მჯდარიყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გორელებმა კატეგორიულად გაილაშქრეს იესე ამილახვრის წინააღმდეგ, რომელიც მუდმივად გორში იჯდა და ამის გამოც ქალაქის მოსახლეობა დიდად იყო შევიწროებული[159]. ზოგი მოურავი ქალაქში რამდენიმე დღით ჩადიოდა. ქალაქის მოსახლეობა, სამოურავო დებულებებით, ვალდებული იყო ქალაქს ჩასული მოურავი რამდენიმე დღით შეენახა. მაგ., ცხინვალის 1743 წ. სამოურავო დებულებაში ნათქვამია: „როდესაც მოურავი მოვიდეს ყოველნი სამს დღეს ძღვენს მიართმევდენ, თუ სამს დღეს იქით დადგეს თავისის ხარჯით უნდა იყოსო"[160]. მაგრამ ამგვარი დებულებები, როგორც ვნახეთ, ხშირად ირღვეოდა და მოურავი არათუ სამი დღის, არამედ წლების განმავლობაში მოსახლეობის ხარჯზე ცხოვრობდა.

გვიანფეოდალურ საქართველოში მოურავთა გასტუმრების ამგვარი წესი ხელს უწყობდა ქალაქის მოსახლეობის ექსპლოატაციის ზრდას. მოურავები,რომელთა შემოსავალიც დამოკიდებული იყო ქალაქის მოსახლეობაზე ან აღებულ ბაჟებზე, ჯარიმებზე, ნიხრის მიცემაზე, სხვადასხვა საჩუქრებზე და სხვ., ყოველნაირად ცდილობდნენ გაეზარდათ ამგვარ გამოსაღებთა რაოდენობა. მართლაც, ზოგ ქალაქში მოურავები ხელოვნურად ზრდიდნენ ჯარიმებს, ბაჟებს,

---

[157] ГМГ, Hd: 1485; დასტურლამალი, გვ. 122.
[158] დასტურლამალი, გვ. 8, 121.
[159] ГМГ, Sd 7120.
[160] იქვე, Hd: 1485.

გასამყრელოს, თავის გასამტეხლოს და სხვ. მოურავები და მათი ოჯახები მათდამი მინდობილ ქალაქებს თავიანთ სარჩოდ იხდიდნენ, იგი საკუთრებად მიაჩნდათ. აღსანიშნავია, რომ ამგვარ დამოკიდებულებას ქალაქების მიმართ ისინი არც მალავდნენ. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია თბილისის ყოფილი მოურავის დავით ციციშვილის ქვრივის მარიამ ერეკლე II-ის ასულის უმორჩილესი თხოვნა რუსეთის ხელმწიფისადმი. მეფის ასული წერდა: „განსვენებულმან მამამან ჩემმან მეფემან ირაკლიმ მიბოძა ტფილისის მოურაობა სარჩოდ ჩემდა საუკუნოდ წერილით და მაქვნდა სარგებლობა წელიწადში ოთხასი თუმანი...“[161] როგორც ვხედავთ, ქართველი ფეოდალის ოჯახი, თბილისის უკვე გარდაცვლილი მოურავის მეუღლე, თბილისის მოურავობას მის პირად საუკუნო სარჩოდ თვლიდა. მოურავის თანამდებობა მეფის ასულის ერთგვარ მზითევს წარმოადგენდა... და ეს გამონაკლისი კი არ იყო, არამედ სავსებით დამახასიათებელი მოვლენა გვიანფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობისათვის. ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია, თუ როგორ დამოკიდებულებას გამოიჩენდნენ მოურავები იმ ქალაქის მოსახლეობის მიმართ, რომელიც მათთვის „საუკუნო სარჩოდ“ იყო მიცემული.

გვიანფეოდალური სახელმწიფოებრივი წყობისათვის დამახასიათებელი ქალაქის უმაღლესი მოხელის გასტუმრების ამგვარი წესი— система кормлении, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იწვევდა ქალაქის მოსახლეობის დაუნდობელ ექსპლოატაციას და ამწვავებდა კლასობრივ ბრძოლას ქალაქის ექსპლოატირებულ მოსახლეობასა და ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა შორის. საუცხოო მაგალითს ამ თვალსაზრისით გორის მოურავები და მათ წინააღმდეგ ამხედრებული გორის მოსახლეობა იძლევა, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ.

მოურავთა ძალმომრეობა ქალაქის მოსახლეობის მიმართ სამეფო ხელისუფლებისათვის შეუმჩნეველი როდი იყო. მეფე ცდილობდა „დებულებებით“ თუ სხვადასხვა ბრძანებებით შეეზღუდა მოურავთა თვითნებური მოქმედებანი. მაგრამ გვიანფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი სისტემა იმგვარად იყო მოწყობილი, რომ მეფის ამ „დებულებებს“ და ბრძანებებს გარკვეული შედეგის მოტანა აღარ შეეძლო. მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ქალაქების მოურავობა ძლიერ ფეოდალებსა და გავლენიან მოხელეებს ჰქონდათ, რომელთაც მეფე ვერცთუ ისე ადვილად ალაგმავდა.

---

[161] ГМГ, Sd 2110/S 1167.

გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქთა მოურავებს შორის ქართლ-კახეთის სამეფოში უპირველესი თბილისის მოურავი იყო, იმერეთის სამეფოში კიდევ ქუთაისის მოურავი. დავით ბატონიშვილის ცნობით, თბილისის მოურავი სამეფო საბჭოს წევრი იყო: «В непременной царской совете допускается Тифлисский Мдиванбег и Моурав, яко первейшие городоначальники»[162]. თბილისის გამგებელს ამგვარი პრივილეგია ძველიდანვე ჰქონდა მოპოვებული-დამახასიათებელია, რომ თბილისის ამირა აბულასანი, თამარის ის. ტორიკოსის ცნობით, სამეფო დარბაზის (საბჭოს) წევრი იყო[163]. ბუნებრივია, თბილისის მოურავის, ამ ისედაც ძლიერი მოხელის, გავლენა უფრო დიდი იყო, თუკი ეს თანამდებობა დიდ ფეოდალს ეკავა, რომელსაც მასთან ერთად სხვა უფრო მაღალი თანამდებობაც ჰქონდა. როგორც ზემოთ ვნახეთ, XVII—XVIII სს. თბილისის მოურავებად ხშირად ყოფილან სახლთუხუცესი, ერისთავი, ამილახვარი, სარდალი და სხვ. თბილისის მოურავის მსგავსი უფლებებითა და პატივით სარგებლობდა იმერეთის სამეფოში ქუთაისის მოურავიც, რომელიც სარდლის თანამდებობასაც ფლობდა.

თბილისის მოურავის შემდეგ ქართლ-კახეთში დიდი გავლენით სარგებლობდა გორის მოურავი. გორის მოურავობა კი, როგორც აღვნიშნეთ, XV ს-დან ისეთ ძლიერ მოხელეებსა და ფეოდალებს ეკუთვნოდათ, როგორიც ამილახვრები იყვნენ გვიანფეოდალურ საქართველოში.

ბ) მამასახლისი და მელიქი

ქართულ სამოხელეო წყობაში ერთ-ერთ უძველეს თანამდებობას მამასახლისის სახელო წარმოადგენს. თვით ტერმინი „მამასახლისი“ გვაროვნული წყობილების დროიდან არის გადმოსული და შენარჩუნებული ქართულ ენაში. ლეონტი მროველი, როგორც ცნობილია, არაერთხელ მოიხსენიებს „მცხეთის მამასახლისს“, რომელიც როგორც თვით ლეონტისავე მითითებიდან ჩანს, გვაროვნული წყობილების დროინდელი ხელისუფალი იყო[164]. ივ. ჯავახიშვილი ლეონტი მროველის ცნობის საფუძველზე წერდა, რომ მცხეთის მამასახლისი ითვლებოდა ქართველი ხალხის სუვერენად,

---

[162] Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н: 11, гл. IV.
[163] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 81.
[164] А, გვ. 10, 14.

რაც შეიძლება მივიჩნიოთ იმის მინიშნებად, თუ რა როლს ასრულებდნენ ქალაქები სამეფო ხელისუფლების კონცენტრაციის საქმეში[165]. ივ. ჯავახიშვილის ამგვარი მოსაზრება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გავიზიაროთ: ჯერ ერთი, ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებული „მცხეთის“ ანუ „მცხეთელი მამასახლისი“ ქალაქის მამასახლისი კი არ არის, არამედ გვაროვნული წყობილების დროინდელ ქართველ ტომთა საერთო ხელისუფალი. ამას გარდა, როგორც ეს ს. ჯანაშიამ თავის დროზე დაამტკიცა, მეფის ხელისუფლება ქართლში გვაროვნული წყობილების დროინდელ მამასახლისის ხელისუფლებისაგან არ წარმოშობილა[166]. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ უძველეს ხანაშიაც გვაროვნული ორგანიზაციის სუვერენული ხელისუფალი „მამასახლისად“ იწოდებოდა. ეს სამოხელეო ტერმინი შენარჩუნებულ იქნა ქართლში ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების შემდეგაც. როგორც ცნობილია, „ქართლის მამასახლისის“ ხელისუფლება არსებობდა ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგაც (523 წ.). VI ს. ძეგლის „ევსტათე მცხეთელის მარტვილობის“ ავტორი ფეოდალური ქართლის მაღალ ხელისუფალთა შორის „ქართლის მამასახლისსაც“ მოიხსენიებს[167]. როგორც ჩანს, მამასახლისის ხელისუფლება ქართლში არსებობდა მეფობის გაუქმებამდეც, მეფის ხელისუფლების პარალელურად; მაგრამ „ქართლის მამასახლისი“ უკვე სულ სხვა ხელისუფალი იყო, ვიდრე „მამასახლისობის“ დროინდელი „მცხეთელი მამასახლისი“. VI ს. ქართლის მამასახლისი ამ დროისათვის პოლიტიკურად გამარჯვებულ აზნაურთა ხელისუფალთაგანია და იგი ისტორიული ქართლის ერთ-ერთ გამგებლად ჩანს და არა ძველი არმაზისა (ქართლის), როგორც ზოგი მკვლევარი ვარაუდობს. ამ დროისათვის არმაზი უკვე ქალაქი აღარ იყო, რომ „ქართლის მამასახლისი გრიგოლ“ ქალაქის მამასახლისად მიგვეჩნია. მამასახლისის ხელისუფლება, რა თქმა უნდა, გარკვეული ცვლილებებით შენარჩუნებულ იქნა მომდევნო საუკუნეებშიაც, ოღონდ ზოგ შემთხვევაში ამ ქართული ტერმინის მაგივრად იმავე შინაარსის მატარებელი უცხოური ტერმინი იხმარება. ბაგრატ IV-ის მიერ ბოძებულ „ოპიზართა სიგელში“ მოხსენებული სომხური „ტანუტერი“ სხვა არა არის რა, თუ არა იგივე ქართული „მამასახლისი“[168]. „ტანუტე-

---

[165] И. Джавахов, Государственный строй, с. 45.

[166] ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 50.

[167] ქართული ლიტ. ქრესტომატია, I, გვ. 47.

[168] საქ. სიძველენი, III, დამატება, გვ. 150.

რი“ „მამასახლისის“ მნიშვნელობით ქართულ დოკუმენტებში გვხვდება მომდევნო საუკუნეებშიაც. მაგ., 1270—1272 წწ. ნიკოლოზ კათალიკოსის სიგელში კათალიკოსის „ტანუტერი“ (მამასახლისი) არის მოხსენებული[169]. XVI ს. დასავლურ საბუთშიც ქალაქის მოხელეთა შორის „ტანუტერიც“ არის დასახელებული[170]. ამ სომხურ ტერმინს გარდა, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ქართული მამასახლისის აღსანიშნავად ზოგჯერ არაბული ტერმინიც იხმარებოდა, განსაკუთრებით X—XII სს. ამით აიხსნება, რომ X—XII სს. ტერმინი „მამასახლისი“ წყაროებში არ ჩანს. მაგრამ XIII ს-დან იგი, როგორც გარკვეული ხელისუფალი, უკვე მოიხსენიება. ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის 1227—1230 წწ. სიგელში სხვათა შორის ნათქვამია: „ჩუენისა კაცისაგან სამართალი მამასახლისმან ჩუენმან აიღოს... მამასახლისი ჩუენი, ესე იურვოდეს“[171]. როგორც ვხედავთ, ქართლის ერისთავს თავისი მამასახლისი ჰყოლია და იგი სამოსამართლო უფლებებითაც ყოფილა აღჭურვილი. ამრიგად, „მამასახლისის“ თანამდებობა არსებობდა XI—XIII სს., მაგრამ მისი მოხელეთა შორის მოუხსენებლობა უმთავრესად წყაროების ნაკლებობით და ამ ქართული ტერმინის მაგიერ უცხოურის ხმარებით აიხსნება. მამასახლისები ჰყავდათ არა მარტო ცალკეულ სოფლებს, არამედ ქალაქებსაც. XVI ს. შუა წლების დოკუმენტებში ქალაქის მოხელეთა შორის მამასახლისიც არის დასახელებული[172], რომელსაც ქალაქის უმაღლესი ხელისუფლის, ამირათამირას (მოურავის) შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს. XVI ს. შუა წლებიდან მოკიდებული მომდევნო საუკუნეებში მამასახლისი, როგორც ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელისუფალი, დოკუმენტებში ყოველთვის მოიხსენიება. აღსანიშნავია ოღონდ, რომ საქართველოს ცალკეულ ქალაქებში მამასახლისის თანამდებობა ამავე შინაარსის მატარებელი უცხოური ტერმინით აღინიშნებოდა[173]. მაგ., გრემისა და ბაზრის მამასახლისები „ხოჯად“ იწოდებოდნენ. არჩილის ერთ-ერთი დაუთარიღებელი საბუთი წარმოადგენს ბრძანებას ბაზრის ხოჯა როსტომისა და გრემის ხოჯა ყულინას მიმართ, რათა მათ მეფის ბრძანებისამებრ გაათავისუფლონ შუამთის მონასტრის ვაჭრები გრემსა და ბაზარში ბაჟისაგან, სა-

---

169 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ორი სიგელი XIII ს-ისა, საისტ. მოამბე, I, 1949, გვ. 5.

170 ГМГ, ფ. Sd 2895, გვ. 116—117.

171 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 98.

172 ისტორიული საბუთები, III, გვ. 61; იქვე, II, გვ. 41.

173 Ц а р е в и ч Д а в и д, Обозрение Грузии, ვ. ი. ლენინის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება. М: 10601, § 171, 172.

ხოჯაო და სხვა გამოსაღებისაგან[174]. „სახოჯაო“ გამოსაღები ბაზარსა და გრემში მოხსენებულია აგრეთვე თეიმურაზის 1637 წ. საბუთში[175]. აღსანიშნავია, რომ 1701 წ. საბუთში თბილისის მამასახლისი სვიმონიც ხოჯად არის წოდებული[176]. ქართული მამასახლისის აღსანიშნავად საქართველოს ზოგ პროვინციაში და ქალაქში „ქევხა“-ც იხმარებოდა. ეს ტერმინი განსაკუთრებით ქიზიყის მამასახლისების და მათ შორის ქ. სიღნაღის მამასახლისის აღსანიშნავად იხმარებოდა; გიორგი XII-მ 1799 წ. სიღნაღის მამასახლისობა, ქევხობა თეიმურაზ თეიმურაზოვს უბოძა. წყაროებიდან ირკვევა, რომ სიღნაღის მოსახლეობის გამგებლად მეფის მიერ ქევხა (მამასახლისი) ინიშნებოდა, რომელიც ქიზიყის სარდალ-მოურავს ექვემდებარებოდა[177]. „ქევხა“, ქიზიყის მოხელეთა შორის, მამასახლისის მნიშვნელობით მოხსენებულია აგრეთვე ერეკლე II-ის მიერ სიღნაღის მოხელეთადმი 1761 წ. მიცემულ განწესებაში[178].

მამასახლისის მნიშვნელობით ქართულში XV ს-დან იხმარება აგრეთვე უცხოური ტერმინი „მელიქი“. აღსანიშნავია, რომ 1447 წ. სიგელში ქალაქის მოხელეთა შორის მოხსენებულნი არიან ქალაქის მოურავნი, მელიქნი და ნაცვალნი[179]. „მელიქი“ ამ შემთხვევაში სავსებით „მამასახლისს“ შეესატყვისება, ამიტომაც არაა აქ მამასახლისი ცალკე მოხსენებული, რომელსაც ამ დროისათვის ქალაქის მოურავის შემდეგ მეორე ადგილი ეჭირა.

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, საქართველოს ქალაქების, მოურავის შემდეგ, მეორე ხელისუფალნი „მამასახლისად“, „ხოჯად“, „ქევხად“ და „მელიქად“ იწოდებოდნენ. ყველა ესენი ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი ტერმინი იყო და ქართულ „მამასახლისს“ შეესატყვისებოდა.

მოტანილი მასალებიდან ჩანდა აგრეთვე, რომ მამასახლისები ჰყავდა გრემს, ბაზარს, სიღნაღს, რომ მათი მამასახლისები მეფისაგან ინიშნებოდნენ. მამასახლისები ჰყავდა საქართველოს სხვა ქალაქებსაც. მაგ., თბილისის მამასახლისობა 1641 წ. როსტომმა ასლამაზს უბოძა: „შეგიწყალეთ და გიბოძეთ... ქალაქის მამასახლისის შვილს ასლამაზს, შენთა შვილთა ნაზარას... მოგუადექით კარსა და ქალაქის მამასახლისობას გუეაჯენით... მამა შენი მამასახლისი ამირა

---

[174] ЦГИАГ, ფ. 226, № 1475.
[175] ისტორიული საბუთები, IV, გვ. 24.
[176] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 7, საბ. 79.
[177] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 158.
[178] ЦГИАГ, ფ. 227, № 1458.
[179] საქართველოს არქივი, III, გვ. 117.

(სახელია!) თავად მძიმე კაცი იყო და მერე კიდეც დაუძლურდა და მისივ სიცოცხლეში მოხელეობა დავადებინეთ და თქუენთუის წყალობა გუემეტებოდა და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ქალაქის მამასახლისობა სამკუიდროდ და საბოლოოდ ყოვლის კაცისაგან უცილებლად"[180]. როგორც სხვა დოკუმენტებიდანაც ირკვევა, ასლამაზი თავისი მამის სიცოცხლეში და ამ სიგელის მიღებამდეც თბილისის მამასახლისის მოვალეობას ასრულებდა. 1619 წ. საბუთით, თბილისის მამასახლისად ვინმე დავითი ყოფილა, შემდეგ ასლამაზის მამა ამირა, 1634 წლიდან კი მამასახლისის თანამდებობას თბილისში ვიდრე 1677 წ-მდე, ასლამაზი ასრულებდა. ხოლო 1679 წ. საბუთში კი უკვე მისი ზემოდასახელებული შვილი ნაზარა მოიხსენიება მამასახლისად. როგორც . ჩანს, თბილისის მამასახლისობა XVII ს. 40—80-იან წლებში მემკვიდრეობით სახელოდ ქცეულა. 1682—1799 წწ. საბუთებში თბილისის მამასახლისად ვინმე გიორგი ჩანს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ვინ იყო იგი. 1700—1706 წწ. თბილისის მამასახლისად პაპა იყო, 1707—1711 წწ. კი ფარსადანი, 1712 წ. მამასახლისად პირველად ჩნდება ბებუთაშვილების საგვარეულოს წარმომადგენელი აშხარბეგი, მაგრამ მისი მამასახლისობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1712 წ., როგორც ჩანს, თბილისმა სამი მამასახლისი გამოიცვალა. აშხარბეგის შემდეგ ისევ ძველი მამასახლისი პაპუა ყოფილა, შემდეგ კი ფარსადანა. 1716 წლიდან კი, ვიდრე თბილისის მამასახლისის თანამდებობა მელიქის სახელოს შეუერთდებოდა, ე. ი. 1725 წ., მამასახლისად იყო ვინმე ზურაბ[181]. თბილისის შემდეგდროინდელ მამასახლისებზე ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

როსტომის 1656 წ. სიგელიდან ირკვევა, რომ ქ. გორშიც მოურავს შემდეგ ერთი უპირველესი მოხელე მამასახლისი იყო, რომელიც მასთან ერთად განაგებდა საქალაქო საქმეებს[182]. გორის მამასახლისიც მეფის მიერ ინიშნებოდა. 1722 წ. გორელები ერეკლე II-ს წერდნენ: ზურაბა ხითარიშვილისათვის მამასახლისობა გიბოძებიათ, „რადგან ახლა ეს მოწყალება დაგვემართა, რომ ხითარიშვილს მამასახლისობა უბოძეთ. ჩვენც მადლობა მოგვიხსენებიაო"[183]. როგორც აქედან ჩანს, მამასახლისის დანიშვნა თუ გა-

---

180 ГМГ, Qd 6914.

181 სათანადო დოკუმენტებს, მათი მრავალრიცხოვნობისა გამო, ჩვენ აქ არ ვასახელებთ, უმთავრესად ვსარგებლობთ ЦГИАГ-ის 229 ფონდით.

182 საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 258.

183 ГМГ, ფ. Sd, № 389.

დაყენება გორში მეფის სურვილზე იყო დამოკიდებული. ჩვენ რამდენიმე ათეული დოკუმენტი მოგვეპოვება, სადაც გორის მამასახლისები არიან დასახელებულნი. 1636 წ. გორის მამასახლისად ალიბეგი იხსენიება, რომელიც თავის თანამდებობაზე 1651 წ-მდე ყოფილა. აღსანიშნავია, რომ როგორც თბილისის, ასევე გორის მაშასახლისობაც ზოგ შემთხვევაში მემკვიდრეობით თანამდებობად იყო ქცეული. XVII ს. მიწურულსა და XVIII ს. დამდეგს გორის მამასახლისობა ანდრონიკაშვილებს ჰქონდათ. მაგ., 1681—1686 წწ. გორის მამასახლისად ყოფილა ანდრონიკაშვილი დავითი, 1705—1706 წწ. საბუთებში გორის მამასახლისად ანდრონიკაშვილი მერაბი ჩანს, 1711—1713 წწ. საბუთებში მერაბის შვილი გიორგი, ხოლო 1720-სა და მომდევნო წლებში, მცირეოდენი ხარვეზებით ვიდრე 1734 წლამდე ანდრონიკაშვილი როსტომი. შემდეგდროინდელი დოკუმენტები, მართალია, ხშირად იხსენიებენ გორის მამასახლისებს, მაგრამ შესაძლებლობას არ გვაძლევენ დავადგინოთ მათი გენეალოგია. 1737 წ-დან 1801 წ-მდე გორის მამასახლისებად სხვადასხვა დროს იყვნენ: ავთანდილაშვილი ზალია, ბარამასშვილი ღვთისავარა, ამირღაანთ დოლმაზაშვილი რამაზა, რამაზას შვილი ზურაბა და ისაია. ეს იყო გორის უკანასკნელი მამასახლისი ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ხანაში[184].

მამასახლისები მეფეთა მიერ ინიშნებოდნენ მცირე ქალაქებშიც. 1642 წ. როსტომმა მათიაშვილს პაპუნას სურამის მამასახლისობა უბოძა. 1664 წ. კი როსტომის სიგელი მომდევნო მეფეთა მიერ განახლებული იქნა და სურამის მოურავობა პაპუნას ძმას ზაქარას ებოძა[185]. სურამის მამასახლისი მომდევნო ხანის საბუთებშიც არაერთხელ არის მოხსენებული[186]. 1636 წ. კი როსტომმა მის მიერვე გაშენებული „მეფის ქალაქის“ მამასახლისობა სეფედავლე წერეთელს უბოძა[187]. საბუთებში არაერთხელ მოიხსენიება აგრეთვე ცხინვალის მამასახლისი[188], ალის[189], ახალდაბის[190] და სხვ. მამასახლისები ინიშნებოდნენ როგორც დასავლეთ, ასევე სამხრეთ საქართველოს ქალაქებშიც. დასავლეთ საქართველოს ხელისუფალ-

---

184 ამ შემთხვევაშიც მასალები ამოღებულია უმთავრესად ЦГИАГ-ის 229 ფონდიდან.

185 ЦГИАГ, ფ. 226, № 90.

186 იქვე, ფ. 229, დავთ. 27, საბ. 37.

187 იქვე, დავთ. 25, საბ. 126.

188 იქვე, დავთ. 47, საბ. 14; დავთ. 17, საბ. 164, 168; დავთ. 38, საბ. 238; დავთ. 13, საბ. 143; ფ. 226, № 8868 და სხვ.

189 დასტურლამალი, გვ. 121; Д. Пурцеладзе, Цр. Грамоты, с. 13.

190 დასტურლამალი, გვ. 121.

თა შორის „მამასახლისი“, ზოგჯერ მისი შემცველი „ტანუტერი“ ხშირად არის დასახელებული. ქუთაისის მოურავის ერთ-ერთი ხელქვეით მოხელეს ქუთაისის მამასახლისიც 'შეადგენდა[191]. აღსანიშნავია, რომ პატრი იოვანე თავის 1782 წ. წერილში მოიხსენიებს ახალციხის მამასახლისს კოკოთას[192]. როგორც ჩანს, ახალციხეში ოსმალთა ბატონობის მიუხედავად, ძირითადად მაინც შენარჩუნებული იყო ძველი საქართველოს საქალაქო მმართველობა. ამრიგად, მამასახლისის თანამდებობა გვიანფეოდალური საქართველოს საქალაქო მმართველობისათვის ისევე დამახასიათებელი იყო, როგორც მოურავის თანამდებობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მამასახლისის თანამდებობამ, რომელიც დარჩია ბებუთაშვილის სამართლიანი განცხადებით უძველეს დროიდან „ქართველ მეფეთაგან იყო დაწესებული“[193], თბილისსა და გორში საგრძნობი ცვლილება განიცადა. გარდატეხა თბილისის საქალაქო მმართველობაში XVI ს. შუა წლებიდან შეინიშნება. ეს გარდატეხა თბილისის მამასახლისის გვერდით მსგავსი თანამდებობის, თბილისის მელიქის, არა როგორც ტერმინის, არამედ როგორც ცალკე თანამდებობის გაჩენაში გამოიხატა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერმინი „მელიქი“, „მამასახლისის“ მნიშვნელობით, ქართულ დოკუმენტებში უფრო ადრეა დადასტურებული, ვიდრე თვით ეს სახელო გაჩნდებოდა. მელიქი, როგორც თბილისის მოხელე, პირველად მხოლოდ 1552 წ. სიგელში იხსენიება. ლუარსაბ I-ის 1546 წ. სიგელში ჩამოთვლილია თბილისის ყველა მოხელე: ამირათამირა, მამასახლისი, ნაცვალი, მუშრიბი[194], ასე რომ, ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო მელიქის თანამდებობა. იმავე მეფის 1552 წ. სიგელში კი უკვე მელიქიც ჩნდება: „ქალაქის მოურავო, მამასახლისო, მელიქო და ნაცვალო და სხვანო მოსაქმენო თქუენცა... დაუმტკიცეთო“—ბრძანებდა მეფე ლუარსაბი[195]. ამიერიდან მელიქი თბილისის მოხელეთა შორის საბუთებში ყოველთვის არის დასახელებული. ამრიგად, თბილისის მელიქის თანამდებობა ლუარსაბის მეფობის დროს, კერძოდ, 1545—1552 წწ. შორის უნდა იყოს დაწესებული. მაგრამ ცვლილებები თბილისის

---

[191] Акты, IV, с. 373, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დას. საქ. საეკლ. საბუთები, I, გვ. 5;

[192] მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის, გვ. 417.

[193] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 95.

[194] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტ. საბუთები, III, გვ. 61.

[195] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტ. საბუთები, II, გვ. 41.

სამოხელეო წყობაში ამით არ დამთავრებულა. მელიქი თბილისის მოხელეთა შორის მნიშვნელოვან ადგილს იჭერს და მოურავის შემდეგ უპირველეს მოხელედ იქცევა. თუკი ლუარსაბ I-ის დროს თბილისის მამასახლისი იერარქიულად მაღლა იდგა მელიქზე, სიმონ I-ის დროისათვის, კერძოდ XVI ს. 80-იანი წლებიდან, მელიქი თბილისის მოხელეთა შორის მეორე ადგილს იჭერს, მამასახლისი კი მესამე ადგილზე ინაცვლებს[196]. ასე გრძელდება ვიდრე ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე, მხოლოდ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით.

შედარებით გვიან მსგავსი მოვლენა შეინიშნება გორშიც. ჩვენთვის ცნობილ საბუთებში გორის მელიქი პირველად 1734 წ. იხსენიება[197]. გორის მელიქად ამ დროს და მომდევნო წლებში ყოფილა თაყინაშვილი ფარსადანი[198]. გორის მელიქი ფარსადანი მოხსენებულია 1746 და 1747 წწ. დოკუმენტებშიც[199]. აღსანიშნავია, რომ გორში XVIII ს. 40-იან წლებში არა მარტო მელიქი, არამედ მისი მოადგილეც ყოფილა. 1738 წ. ერთ საბუთს ხელს აწერს გორის მელიქის ფარსადანის ნაიბი გიორგი[200]. გორის მელიქები მოხსენიებულნი არიან აგრეთვე 1775 და 1776 წწ. საბუთებშიც[201]. ამის შემდეგ იგი ჩვენთვის ცნობილ გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტებში არ შეგვხვედრია. როგორც ჩანს, მელიქის თანამდებობამ გორში ისეთივე ადგილი ვერ დაიჭირა, როგორიც თბილისში. მოურავს შემდეგ გორის უპირველეს ხელისუფლად მამასახლისი ითვლებოდა. ამას გარდა, XVIII ს. 80-იანი წლებიდან, როგორც ჩანს, გორის მელიქის თანამდებობა სავსებით გაუქმდა. ასე რომ, ამ თანამდებობამ ფეხი ვერ მოიკიდა; მელიქის თანამდებობა გორის მმართველობისათვის დამახასიათებლად არ შეიძლება მივიჩნიოთ, ეს თანამდებობა საქართველოს სამოხელეო წყობაში მაჰმადიანური აღმოსავლეთის გავლენით შეღწეული ჩანს. თბილისის უკანასკნელმა მელიქმა თვით დარჩია ბებუთაშვილმაც კარგად იცოდა, რომ „მელიქობა აზიელთაგან არის დაწესებული“[202]. მაგრამ არაბული წარმოშობის ტერმინი „მელიქი“, მეფეს, ხელმწიფეს რომ ნიშნავდა, სხვადასხვა გაგებით და შინაარსით იხმარებოდა მაჰმადიანური აღ-

---

[196] Акты, с. 9—10, ЦГИАГ, ф. 226, № 2329.
[197] ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 48, საბ. 33; დავთ. 52, საბ. 109.
[198] იქვე, დავთ. 49, საბ. 103.
[199] საქ. სიძველენი, III, გვ. 460; ЦГИАГ, ф. 226, № 6869.
[200] ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 45, საბ. 107; შდრ. დავთ, 36, საბ. 228.
[201] იქვე, დავთ. 47, საბ. 116; დავთ. 46, საბ. 95.
[202] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 95.

მოსავლეთის ქვეყნებში. სხვაგვარი მნიშვნელობა ჰქონდა მელიქს საქართველოშიც. ქართულ საქალაქო სამოხელეო წყობაში მელიქი სავსებით შეესატყვისებოდა ქართულ მამასახლისს. დარჩია ბებუთაშვილი წერდა: „რაც სარგებლობა ტფილისის მელიქსა აქვს, აგრეთვე ეგოდენი სარგებლობა ტფილისის მამასახლისსა აქვს და აგრეთვე, თანამდებობაცა. როდესაც უწინ მელიქი სხვა ყოფილა და მამასახლისი სხვა, შემოსავალი ცალ-ცალკე აუღიათ“[203]. ასე რომ, თბილისში და გორში მამასახლისის გვერდით ისევ ამავე თანამდებობის მატარებელი მელიქიც გაჩნდა. რას უნდა გამოეწვია ამგვარი პარალელიზმი? დავით ბატონიშვილის ცნობით, მელიქები საქართველოში სომხური მოსახლეობისათვის ინშნებოდნენ, ანუ სომხური მოსახლეობისათვის დანიშნულ მამასახლისებს მელიქები ეწოდებოდათ[204]. როგორც ჩანს, როცა თბილისში განსაკუთრებით მომრავლდა სომხური მოსახლეობა, ქართლის მეფემ მათ ცალკე ხელისუფალი, მელიქი დაუნიშნა. „მელიქის“ თანამდებობა სომხეთში გავრცელებული თანამდებობა იყო; სომხური თემების გამგებლები, რომელნიც ხანების მიერ ინიშნებოდნენ, ხშირად მელიქებად იწოდებოდნენ. ასე რომ, ერთი მხრივ სომხური მოსახლეობის გამრავლება თბილისში და მეორე მხრივ მაჰმადიანური აღმოსავლეთის ერთგვარი გავლენა იყო ის ძირითადი მიზეზი, რომელმაც ეს სამოხელეო თანამდებობა საქართველოში წარმოშვა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა, რომ გორის მელიქის თანამდებობა პირველად სწორედ ყიზილბაშობის დროისთვის ჩნდება, და რომ იგი ირანული ბატონობის თანდათან გაქრობასთან ერთად ქრება.

საუკუნეთა განმავლობაში თბილისის სომხური მოსახლეობა თანდათან უახლოვდებოდა კულტურულად და ენობრივადაც ქალაქის ძირითად, ქართულ მოსახლეობას. თბილისის ქართული და სომხური მოსახლეობის საუკუნეთა მანძილზე მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა თანდათან სპობდა მათ შორის ზღვარს; სომხური მოსახლეობა თითქმის უკვე აღარ განსხვავდებოდა კულტურულად და ენობრივად ქართული მოსახლეობისაგან. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებდა, მისი დროის თბილისელი სომხები „ქცევა-ზნითა“ ფაქტობრივ ქართველები იყვნენ[205]. ყოველივე ეს კი თბილისის სომხური მოსახ-

---

[203] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 94.

[204] Царевич Д а в и д, Обозрение Грузии, Гос. библиотека, им. Ленина, отд. рукописей, М., 10601, § 172.

[205] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 54.

ლეობისათვის დაწესებულ თანამდებობას თანდათან სხვაგვარ სახეს აძლევდა, მას ქალაქის მამასახლისის თანამდებობასთან აერთებდა და სპობდა საუკუნეთა მანძილზე არსებული მელიქისა და მამასახლისის თანამდებობათა პარალელიზმს; მელიქისა და მამასახლისის თანამდებობათა შერწყმა XVIII ს. პირველი მეოთხედიდან იწყება.

ჩვენთვის ცნობილი მასალების მიხედვით, 1634 წ. ვიდრე 1666 წლამდე თბილისის მელიქის თანამდებობას ვინმე ეინალა ასრულებდა. 1667 წ. ვახტანგ V-მ ივანგულაშვილს შერმაზანას თბილისის მელიქობა „მტკიცე სიგელით“ „ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა“ უბოძა[206]. მაგრამ იგი აკ თანამდებობაზე დიდხანს არ უნდა ყოფილიყო. 1672 წ. საბუთში თბილისის მელიქად ისევ ეინალა მოიხსენიება. 1679—1686 წწ. საბუთების მიხედვით მელიქად ავთანდილი ჩანს. 1689 წ. საბუთით თბილისის მელიქად, ამ დროისათვის, ეინალა მირიმანაშვილი ყოფილა, ხოლო 1696 წ. საბუთით ისევ ავთანდილი, 1699 წ. დამდეგს მანუჩარი, ხოლო 1699 წლიდან ვიდრე 1711 წ. გიორგი. 1712 წ. მელიქობა მიუღია ბებუთაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენელთა აშხარბეგს, მაგრამ არა დიდი ხნით. 1712—1713 წწ. მელიქობა ვინმე ზურაბს ჰქონია. 1715—1718 წწ. ისევ აშხარბეგს, 1719—1721 წწ. ასლამაზს, ხოლო 1725 წლიდან კი ისევ აშხარბეგ ბებუთაშვილი ჩანს, რომელიც უკვე მარტო მელიქად კი არ იწოდება, არამედ მელიქ-მამასახლისად... და ამ დროიდან ჩვენი აზრით, იწყება ამ ორი თანამდებობის გაერთიანება. დამახასიათებელია, რომ 1725 წ. დამდეგის ერთ საბუთში თბილისის მელიქად ვინმე ოსეფა არის მოხსენებული, ხოლო იმავე წლის მომდევნო თვის საბუთებში აშხარბეგი უკვე მელიქ-მამასახლისად იწოდება. ასე რომ, მელიქ-მამასახლისის თანამდებობათა გაერთიანება თბილისში პირველად 1725 წ. მოხდა. 1725 წლიდან ვიდრე 1735 წ. თბილისის პირველი მელიქ-მამასახლისი აშხარბეგი იყო. 1735 წ. ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერის მიხედვით კი, „მელიქი აშხარბეგ ურუმებმა მოჰკლეს“[207]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წლებში, განსაკუთრებით ყიზილბაშების ბატონო-

---

[206] ЦГИАГ, ფ. 226, № 8720.

[207] საქ. ცენტრარქივის ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილი ს. კაკაბაძისა და გაგოშიძის მიერ, I, გვ. 72; ამა და სხვა შემთხვევაში ჩვენ მიერ ზემოხსენებული მასალები თბილისის მელიქების მმართველობის წლების შესახებ ძირითადად დამყარებულია ЦГИАГ-ის 229 ფონდზე, სხვა ნაბეჭდ წყაროებთან ერთად.

ბის დროიდან (1735—1747), თბილისის მმართველობაში სხვა ცვლილებაც ხდება. როგორც პაპუნა ორბელიანის ცნობიდან ჩანს, ყიზილბაშური წყობის გავლენის შედეგად შემოდის ქალაქის, თბილისის ქალანთარის და ვეზირის თანამდებობაც[208], რაც ქართული სამოხელეო წყობისათვის უცხო იყო და ირანული ბატონობის გადაშენებასთან ერთად ქრება. ჩვენთვის ცნობილ საბუთებში თბილისის ქალანთარისა და ვეზირის თანამდებობები, ზემოხსენებულ წყაროს გარდა, არსად არის მოხსენებული. სწორედ ყიზილბაშთა ბატონობის წლებში ქალაქის მელიქ-მამასახლისის თანამდებობას აღა აშხარბეგის ძე ასრულებდა. აღას მელიქ-მამასახლისობა 1735 წლიდან 1747 წლამდე გაგრძელდა. მაგრამ 1747 წ., პაპუნა ორბელიანის სიტყვით, „შესწამეს ქალაქის მელიქს აღას ღალატი... დაიჭირა მეფემ ერეკლემ პატიმარ-ჰყო... წაართვა მელიქობა და 1000 თუმანი ჯარიმა... მელიქობა უბოძა ანტონას, ხოლო მამასახლისობა[209] პაპას“[210]. ამ დროიდან ეს თანამდებობა, როგორც ჩანს, აღას დაპატიმრებასთან დაკავშირებით, ისევ გაიყო და მელიქის მოვალეობას ანტონი 1751 წლამდე ასრულებდა; 1751—1760 წწ. კი ვინმე საჰაკა. მაგრამ XVIII ს. 60-იანი წლებისათვის აღას მოუხერხებია მეფესთან შერიგება და ძველ თანამდებობათა დაბრუნებაც. 1760 წ. აღამ არამარტო მელიქმამასახლისობა, არამედ ერეკლე II-ისაგან ქალაქის ნაცვლობაც მიიღო[211]. აღა, როგორც ჩანს, 1768 წ. გარდაიცვალა, ამ დროიდან ერთხანს მელიქებიდან ჩვენ მიერ ზემოხსენებულნი ანტონა და საჰაკა ყოფილან, ხოლო 1770 წლიდან, ერეკლეს ზემომოტანილი სიგელის ძალით, მელიქმამასახლისობა და ნაცვლობაც აღას შვილს ავეტიქას მიეცა, რომელიც ამ თანამდებობებს გარდაცვალებამდე, 1795 წლამდე ასრულებდა. 1795—1801 წწ. მელიქმამასახლისობა მემკვიდრეობით ჰქონდა ავეტიქას შვილს დარჩია ბებუთაშვილს.

როგორც ვხედავთ, თბილისის მელიქისა და მამასახლისის თანამდებობა გაერთიანდა, რაც ერთი მხრივ თბილისის სომხური მოსახლეობის ქართულთან თანდათან შერწყმით აიხსნება. ამას გარდა, მელიქი თბილისში იმავე უფლებით სარგებლობდა, რითაც

---

208 პაპუნა ორბელიანი, B_2, გვ. 358, 359, 380.

209 აქ, როგორც ჩუბინაშვილის გამოცემიდან ჩანს, პაპუნა ორბელიანის „ისტორიის“ ტექსტს აკლია, რაც მხოლოდ ამგვარად უნდა იქნეს აღდგენილი, რაკი 1748 და მომდევნო წლების დოკუმენტებში თბილისის მელიქად ანტონი მოიხსენიება, მამასახლისად კი პაპა.

210 პაპუნა ორბელიანი, გვ. 409.

211 შ. მესხია, მასალები..., გვ. 96—97.

მამასახლისი. ესეც უკარნახებდა ქართლის მეფეს, რომ ეს ორი თანამდებობა გაეერთიანებინა.

ამრიგად, თბილისის მელიქ-მამასახლისის თანამდებობა წარმოშობილია ამ ორი, ქართული და უცხოური, ერთი და იძავე შინაარსის მატარებელ თანამდებობათა გაერთიანებით. ცხადია, ცდებოდა ი. კარსტი, როცა წერდა: ქალაქის „მოურავს, მართველსა და პრეფექტს უშუალოდ მისდევს მელიქი, ქალაქის გამგებელი.... მას ექვემდებარებოდა მელიქ-მამასახლისი, რომელიც აწარმოებდა იურიდიული საბუთების ყიდვა-გაყიდვის და სავაჭრო გარიგებათა დამოწმება-დამტკიცებას"[212]. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მელიქ-მამასახლისი თბილისში მელიქისადმი დაქვემდებარებული პირი არ ყოფილა და რომ მელიქისა და მელიქ-მამასახლისის თანამდებობანი თბილისში ცალ-ცალკე არ არსებულა.

არასწორია აგრეთვე ს. კაკაბაძის მოსაზრებაც, რომ თითქოს „17—18 სს. ტფილისის მოქალაქე სომხებს ჰქონდათ ცალკე თავისი მართველობა. მათ საქმეებს მართავდა მელიქი"[213]. მელიქის ხელისუფლება არ შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც სომეხ მოქალაქეთა ცალკე ხელისუფლისა. XVII—XVIII სს. მელიქი მარტო სომეხ მოქალაქეთა ხელისუფალი კი არ იყო, არამედ საერთოდ ქალაქში მეფის მიერ დანიშნული მოხელე, რომელიც XVIII ს-დან მაინც თანაბრად განაგებდა ქალაქის მოსახლეობის ყველა ნაციის წარმომადგენელთა საქმეებს.

როგორც თბილისელ მოქალაქეთა 1784 წ. ჩვენებიდან ჩანს, თბილისში ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ის მეფობის დროს, მხოლოდ „ერთი მოურავი ყოფილა, ერთი მელიქ-მამასახლისი და ნაცვალი"[214]. მაგრამ ეს წესი ერეკლე II-ის დროს შერყეულია და ქალაქში ყმათა მფლობელ საერო თუ სასულიერო ფეოდალებს თავიანთი არა მარტო მოურავი, არამედ მამასახლისებიც გაუჩენიათ. მაგ., 1755 წ. ერთ-ერთ ნასყიდობის წიგნს, რომელიც თბილისშია შედგენილი, ამოწმებს „პატრიარქის მამასახლისი ყაზარა"[215]. ამგვარადვე, 1778 წ. თბილისური ნასყიდობის საბუთის დამმოწმებელია კათალიკოსის მამასახლისი შარუაშვილი გაბრიელა[216]. პატრიარქს თავისი მამასახლისი ჰყავდა 1792 წელსაც, და

---

[212] I. Karst, Code du roi Vakhtang VI, 274, შენ. 4.

[213] ს. კაკაბაძე, საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ XVIII ს-ში, ჟურნ. „მნათობი", № 2, 1924, გვ. 227.

[214] საქ. სიძვ., III, გვ. 15—17.

[215] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 8, საბ. 118.

[216] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 7, საბ. 1; შდრ. იქვე, დავთ. 8, საბ. 113.

როგორც ნასყიდობის წიგნიდან ჩანს, ამ თანამდებობას მაშინ თომა მადონაშვილი ასრულებდა[217]. ერთ-ერთ დაუთარიღებელ დოკუმენტს კიდევ „სვეტიცხოვლის მამულის ქალაქის მამასახლისი ასრათა“ ადასტურებს[218]. ერთხანს თავისი მამასახლისი ჰყოლია ქალაქში თბილელ ეპისკოპოსსაც. 1777 წ. საბუთში მოწმეთა შორის დასახელებულია „ტფილელის მამასახლისი მკერვალი დავითა“[219]. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თავიანთი მამასახლისები თბილისში საერო ფეოდალებსაც ჰყავდათ. 1751 წ. საბუთს ემოწმება „არაგვის ერისთავის ქალაქის მამასახლისი შერმაზანი“[220]. ასე რომ, საერო და სასულიერო ფეოდალებს ქალაქში (თბილისში) ამ მხრივ მტკიცედ ჰქონიათ ფეხი მოკიდებული. ერეკლეს 1784 წ. ბრძანების შემდეგ, როგორც ჩანს, ამგვარი მამასახლისები გადაყენებულ იქნენ, მაგრამ კათალიკოსმა კი თავისი ხელისუფალი თბილისში შეინარჩუნა. კათალიკოსი ქალაქში ერთგვარი იმუნიტეტით სარგებლობდა. მისი ყმების ნასყიდობის წიგნებს თვით კათალიკოსი და მხოლოდ მისი მამასახლისი ადასტურებდა. არც ერთი ზემოდასახელებული ნასყიდობის წიგნი, სადაც კი კათალიკოსის მამასახლისია მოხსენებული, ქალაქში მეფის მოხელეების (მელიქი, მამასახლისი) მიერ არაა დადასტურებული, მაშინ, როცა არაგვის ერისთავის ყმის ბეითალმანის წყალობისა და ტფილისის ყმის ნასყიდობის წიგნებს ჯერ მეფის მოხელეები (მელიქი, მამასახლისი) ამტკიცებენ, ხოლო შემდეგ კი არაგვის ერისთავისა და ტფილელის ქალაქის მამასახლისები[221]. როგორც ირკვევა, კათალიკოსი პატრიარქის ყმები თბილისში XVIII ს. მეფის მოხელეების ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ.

გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების მამასახლისებს და მელიქ-მამასახლისს თბილისში მეფე თვით ქალაქის მოსახლეობის ზედაფენიდან ნიშნავდა. თბილისში მელიქისა და მამასახლისის თანამდებობებს მსხვილი ვაჭრები, მოსახლეობის შეძლებული ფენის წარმომადგენლები ასრულებდნენ. შემდეგ კი ეს თანამდებობა, როგორც აღვნიშნეთ, ბებუთაშვილთა ხელში გაერთიანდა, რომელნიც მეფეთა მიერ თავადის ხარისხამდეც იქნენ აყვანილნი. სხვა ქალაქების მოქალაქეთა წრიდან დანიშნული მამასახლისები, როდესაც თანამდებობებზე იგზავნებოდნენ, თავადების ვითარცა ღირსე-

---

217 იქვე, დავთ. 5, საბ. 19.

218 იქვე, დავთ. 33, საბ. 256.

219 იქვე. დავთ. 10, საბ. 47.

220 იქვე, დავთ. 6, საბ. 176.

221 იხ. ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 10, საბ. 47; დავთ. 6, საბ. 176.

ული თანატოლნი არავითარ ვალდებულებას არ კისრულობდნენ[222]. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ზოგი ქალაქის მამასახლისად მაღალი საზოგადოებრივი წრის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. მაგ., „მეფის ქალაქის“ მამასახლისად სეფედავლე წერეთელი იყო. ამგვარ შემთხვევაშიც ქალაქის მამასახლისები თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი გამოსაღებისაგან და მამასახლისობასთან ერთად სითარხნის წყალობასაც იღებდნენ. 1634 წ. მამასახლისობის ბოძების საბუთში ნათქვამია: „გიბოძეთ სურამის მამასახლისობა და შენი სათარხანე, არაფრისთანა საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოებოდეს რა“[223]. ამგვარადვე, „მეფის ქალაქის“ „მამასახლისობა და თარხნობა“ უბოძა როსტომმა 1636 წ. სეფედავლე წერეთელს[224].

აზნაურის პატივითა და სითარხნით აღჭურვილი ქალაქის მამასახლისები ივიწყებდნენ იმ ფენის ინტერესებს, რომლიდანაც თვითონ გამოვიდნენ და ქალაქის მოსახლეობას დაუნდობელ ექსპლოატატორებად ევლინებოდნენ. ჩვენ ზემოთ არაერთი საბუთი მოვიტანეთ, საიდანაც კარგად ჩანდა, თუ როგორ ავიწროებდნენ მამასახლისები ქალაქის მოსახლეობის დაბალ ფენებს.

რაკი წყაროების მიხედვით თბილისის მელიქი და მამასახლისი თავიდანვე თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ, ხოლო შემდეგ ეს თანამდებობანი გაერთიანდა კიდეც, ჩვენ მელიქ-მამასახლისის ხელისუფლებას ვიხილავთ არა როგორც სხვადასხვას, არამედ როგორც ერთ თანამდებობას და მათი უფლება-მოვალეობის შესახებაც ამიტომ ერთად ვილაპარაკებთ, როგორც ფაქტობრივ ქალაქის მამასახლისის თანამდებობაზე.

თბილისის მელიქ-მამასახლისი ქალაქის მოურავის შემდეგ უპირველესი მოხელე იყო და თბილისის უკანასკნელი მელიქ-მამასახლისის დარჩია ბებუთაშვილის განცხადებით, „ტფილისში (მელიქ-მამასახლისის) შეუტყობრად არა მოხვდებოდა რა“[225].

თბილისის მელიქ-მამასახლისის, ისე როგორც ზოგიერთ სხვა ქალაქთა მამასახლისების, ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობას ქალაქში „ვაჭრის მსუბუქი სამართლის“ წარმოება შეადგენდა, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ. იგი, როგორც შედარებით დიდი მოხელე, ზოგი ისეთი უფლებითაც სარგებლობდა,

---

[222] Царевич Давид, Обозрение Грузии, Гос. библ. им. Ленина, отд. рукописей, М., 10601, § 167.

[223] ЦГИАГ, ფ. 226, № 906.

[224] იქვე, ფ. 229, დავთ. 25, საბ. 126.

[225] შ. მესხია, მასალები, გვ. 95.

რაც სხვა ქალაქის მამასახლისებს არ გააჩნდათ. მაგ., შეყრილობისა და გაყრის წიგნებს თბილისში მელიქ-მამასახლისი ადასტურებდა, სხვა ქალაქებში კი ეს უფლება მოურავებს ეკუთვნოდათ. დარჩია ბებუთაშვილი წერდა: „რომელიც მოქალაქე ძმა ძმას გაეყრება ანუ ძმათ შეეყრება... იმათს შეყრილობისას თუ გასამყრელოს წიგნს მელიქ-მამასახლისი დაუბეჭდავდა... ეს სარგებლობა სხვა ადგილთა შინა მოურავთა აქვსთ და ტფილისში მელიქ-მამასახლისისა იყო“[226]. მართლაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, თბილისის მოურავის გარიგების არც ერთ წიგნში მოურავის ამგვარ უფლებაზე ლაპარაკი არ არის, მაშინ როცა სხვა ქალაქთა მოურავების გარიგების წიგნებში ყოველთვის მითითებულია „გასამყრელო“ სარგოზე. დარჩო ბებუთაშვილის ზემომოტანილი ცნობა სხვა მასალებითაც დასტურდება. თბილისურ გაყრილობის მრავალ წიგნთა შორის, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, არც ერთი არ არის ისეთი, რომელიც მელიქისა და მამასახლისის ან კიდევ მელიქ-მამასახლისის მიერ არ იყოს დადასტურებული[227]. დოკუმენტებიდან ჩანს აგრეთვე, რომ გაყრას მელიქ-მამასახლისის მიერ ქედხუდებიდან გამოყოფილი შუაკაცები აწარმოებდნენ და თავის მხრივ გაყრილობის წიგნებსაც ადასტურებდნენ[228]. მელიქ-მამასახლისი და ქედხუდები ამტკიცებდნენ აგრეთვე ძმად შეყრის ან კიდევ მამაშვილობის წიგნებსაც[229].

თბილისის მელიქ-მამასახლისის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე ქალაქში დუქნის, სახლის, დარბაზის, ბაღ-ბოსტნის ე. ი. საერთოდ „მამულის“ (ქონების) ნასყიდობის წიგნების დამტკიცებაც: „რაც ტფილისში მამული (ქონება, შ. მ.) გაისყიდებოდა, ნასყიდობის სიგელს მელიქ-მამასახლისი დაუმტკიცებდა“—აცხადებს დარჩო ბებუთაშვილი[230]. ნასყიდობის წიგნების ქალაქის მელიქ-მამასახლისისაგან დამტკიცება ძველიდანვე არსებობდა და მელიქ-მამასახლისის თანამდებობათა გაერთიანებამდე ნასყიდობის წიგნებს ცალკე მელიქი და ცალკე მამასახლისი ადასტურებდა. მაგ., 1649 წ. ნასყიდობის წიგნს ემოწმება თბილისის მელიქი ეინალა და მამასახლისი ასლამაზა[231]; იგივე პირები ადასტურებენ 1666—1673 წწ. ნასყიდობის წიგნებსაც[232].

---

226 იქვე, გვ. 94.

227 См. ГМГ, ф. Sd 106; ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 7, საბ. 123, 124; დავთ. 6, საბ. 6; დავთ. 2, საბ. 74; დავთ. 50, საბ. 36; დავთ. 25, საბ. 29 და სხვ.

228 ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 25, საბ. 29.

229 იქვე, დავთ. 16, საბ. 74.

230 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 94.

231 ისტორიული საბუთები, IV, გვ. 31.

232 ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 1, საბ. 26; საქ. სიძველენი, III, გვ. 3.

1683—1684 წწ. ნასყიდობის სიგელების დამადასტურებელნი არიან ქალაქის მელიქი ავთანდილა და მამასახლისი გიორგი[233]. ამგვარადვე გრძელდება მანამ, სანამ ეს ორი თანამდებობა არ გაერთიანდა[234]. ამ სახელოთა გაერთიანების შემდეგ კი ნასყიდობის სიგელის დამამტკიცებელი მელიქ-მამასახლისი იყო. მელიქ-მამასახლისის მიერ არის დადასტურებული თბილისში შედგენილი რამდენიმე ასეული, ჩვენთვის ცნობილი ყველა ნასყიდობის წიგნი[235]. თბილისის მელიქ-მამასახლისების მოვალეობა იყო აგრეთვე საჭირო შემთხვევაში გაეახლებინათ მათ წინა მელიქებისა და მამასახლისების მიერ დადასტურებული ნასყიდობის წიგნები[236].

ქალაქის მელიქ-მამასახლისს მის მიერ დადასტურებული ნასყიდობის წიგნები სათანადო დავთარში უნდა გაეტარებინა, რომელსაც „დაჰნიმის დავთარი" ეწოდებოდა. დაჰნიმის დავთრის მიხედვით შეიძლებოდა ზოგი დაკარგული ნასყიდობის სიგელის განახლება. ერეკლე II 1796 წ. მელიქ-მამასახლის დარჩო ბებუთაშვილს უბრძანებდა: „მელიქო დარჩიავ, ყორღანაშვილს... იოსებს რაც ქალაქში მამულის ნასყიდობის სიგელები ჰქონია სრულიად დაჰკარგვია და ახლა განახლებას ითხოვს. დაჰნიმის დავთარი გასინჯე, რომელიც ნასყიდობა ექნებოდა იმ დავთარში ეწერებოდა და იქიდამ დაკარგულის სიგელების მაგიერი ნასყიდობის სიგელები გაუახლებინე და მოეცი. დაჰნიმის დავთარში ყველა გარჩევით ეწერება"[237].

ნასყიდობის წიგნების დამოწმება-განახლება მარტო თბილისის მელიქ-მამასახლისის უფლება როდი იყო. ამგვარივე უფლებით სარგებლობდა გორში ქალაქის მამასახლისი. მაგ., სახლის ნასყიდობის 1636 წ. საბუთს გორში ადასტურებს მამასახლისი ალიბეგი[238], 1670 წ. ნასყიდობის სიგელს გორის მამასახლისი ზალია[239], 1686 წ. საბუთს მამასახლისი დავით ანდრონიკაშვილი[240], 1732 წ.

---

233 საქართველოს სიძველენი, II, გვ. 99, 144.

234 ГМГ Ad 964; საქ. სიძველენი, III, გვ. 407; იქვე, II, გვ. 450; 300; 336, Ad 1922; ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 1, საბ. 7, 17, 18, 20; დავთ. 5, საბ. 87; დავთ. 6, საბ. 105, 108, 113 და სხვ.

235 იხ. ზოგი მათგანი, ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 1, საბ. 13, 14, 19, 22, 23, 24, 33, 34, 117, 119, 120, 121, 135; დავთ. 2, საბ. 63, 69, 74, 78; დავთ. 4, საბ. 191, 192, 224, 253, 286; დავთ. 5, საბ. 14, 101, 113, 125, 133, 134, 135, 138, 139 და სხვ.

236 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 13, საბ. 3; დავთ. 4, საბ. 192. ГМГ, ფ. Sd 175; Ad: 1920, 1927, 1923; Hd:1670.

237 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 11, საბ. 153.

238 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 52, საბ. 113;

239 იქვე, დავთ. 49, საბ. 106;

240 იქვე, საბ. 104.

ბოსტნის ნასყიდობის წიგნს გორში ადასტურებს მამასახლისი ავთანდილისშვილი ზალია, 1785 წ. ნასყიდობის წიგნს „გორის მამასახლისი ავთანდილა“[241] და სხვ. ჩვენთვის ცნობილი რამდენიმე ათეული ნასყიდობის წიგნი ყველა გორის მამასახლისისა და, ზოგ შემთხვევაში, მასთან ერთად, გორის მელიქის მიერაა დადასტურებული[242]. ჩვენ არ მოგვეპოვება სათანადო საბუთები ვიმსჯელოთ სხვა ქალაქთა მამასახლისების ამგვარი უფლების შესახებ, მაგრამ როგორც 1732 წ. ნასყიდობის წიგნიდან ჩანს, მცირე ქალაქებშიც ნასყიდობის სიგელების დამმოწმებელნი აგრეთვე მამასახლისები უნდა ყოფილიყვნენ. 1732 წ. ნასყიდობის წიგნს ცხინვალში ემოწმება „ცხინვალის მამასახლისი პაატა უნაძე“[243]. ცხინვალი და ასევე სხვა მცირე ქალაქებიც, როგორც დარეჯან დედოფლის ბრძანებიდან ჩანს, საერთოდ თბილისში და გორში არსებულ „ქალაქის განწესებებს“ ექვემდებარებოდნენ[244]. ასე რომ, მამასახლისის მოვალეობაც საქართველოს მცირე ქალაქებში დაახლოებით ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც თბილისსა და გორში.

თბილისის მელიქ-მამასახლისის ერთგვარ უფლებას შეადგენდა აგრეთვე მეფის მიერ ქალაქის მოსახლეებზე გაცემული მამულის თუ სითარხნის წყალობის წიგნების, ქალაქის მოურავთან ერთად, დამოწმება. დარჩო ბებუთაშვილი წერდა: „მეფენი რომ ტფილისში მამულისას ანუ სათარხნისას სიგელს უბოძებდნენ, იმ სიგელის ზურგზე, როგორც მოურავი, ეგრეთვე მელიქ-მამასახლისი დაუბეჭდავდა“[245]. მართლაც, როგორც საბუთებიდან ირკვევა, მეფეთა მიერ გაცემული სხვადასხვა სახის ბრძანებანი ქალაქში სამოსახლო ადგილის, დუქნის, ყმის და სხვ. ბოძების, თუ ამა თუ იმ მოქალაქისა და ყმის საქალაქო გამოსაღებთაგან განთავისუფლების შესახებ პირველ რიგში თბილისის მელიქ-მამასახლისს და სხვა ქალაქთა მამასახლისებს ეცნობებოდა, მაგ., სვეტიცხოველის ქალაქში მოსახლე ყმათა სამეფო ხარჯისაგან განთავისუფლებას მეფეები

---

[241] მატენადარან, Груз. Док. საქაღალდე 252, საბ. 17; ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 48, საბ. 34.

[242] ЦГИАГ, ფ. 229 დავთ. 36, საბ. 226, 228, 238; დავთ. 38, საბ. 242; დავთ. 45, საბ. 97, 101, 102, 103, 112, 113, 116, 119, 122, 127, 128, 130, 136, 224, დავთ. 46, საბ. 64, 144; დავთ. 47, საბ. 84, 85, 90; დავთ. 48, საბ. 33, 34, 37, 38 დავთ. 49, საბ. 103—108, 115, 116 და სხვ.

[243] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 47, საბ. 14.

[244] იქვე, დავთ. 23, საბ. 129.

[245] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 94.

ბრძანებით აცნობებდნენ თბილისის მელიქ-მამასახლისებს[246], ამ-გვარადვე იქცეოდნენ ისინი, როცა სამეფო გადასახადებისაგან თავისუფლდებოდნენ ცალკეული პირები[247]. მეფეთა მიერ გაცე-მული ამგვარი სათანადო სიგელები შეწყალებულებს ქალაქის მოურავისა და მამასახლისისათვის უნდა წარედგინათ, რომელნიც თავიანთი მხრივ დაადასტურებდხენ სათარხნის თუ სხვა სახის წყა-ლობის წიგნებს და საამისოდ სათანადო გასამრჯელოს, ანუ „საბეჭ-დავს" მიიღებდნენ. მელიქ-მამასახლისს მეფის ასეთი ბრძანებები, რა თქმა უნდა, იმიტომ ეცნობებოდა, რომ მას იგი სისრულეში მო-ეყვანა და სამეფო ხარჯისაგან განთავისუფლებული პირებისათვის გადასახადები არ მოეთხოვა. ამიტომაც იღებდა ის სიგელის წარ-მომდგენისაგან სათანადო გასამრჯელოსაც. მაგრამ მამასახლისები მეფეთა ამგვარ ბრძანებებს ხშირად თავიანთ სასარგებლოდ არ-ღვევდნენ და სამეფო ხარჯისაგან განთავისუფლებულ ყმებსაც გა-დასახადს ახდევინებდნენ, რაც მათი პირადი სარგებლობისათვის მიდიოდა; როგორც არჩილის ერთ-ერთი ბრძანებიდან ირკვევა, ბაზ-რის ხოჯას (მამასახლისს) როსტომს, მიუხედავად იმისა, რომ შუა-მთის ეკლესიის ვაჭრები გათარხნებულნი იყვნენ, ერთი მათგანისა-თვის 16 მინალთუნი წაურთმევია. მეფე ამის გამო ბრძანებდა: შუა-მთის ყმა ვაჭრებს ჩვენ ამას წინათ სითარხნე ვუბოძეთ, ახლა კი შენზე „მოჩივარი მოვიდა. თექვსმეტი მინალთუნი წაგირთმევია, ეგეც ისრევ უკლებლად მოეც და ნუღარცა ამაზედ ფულს დაიდებ, თვარემ თუ კიდევ შემოგუჩივლებს ვინმე, რაც ავია იმას გიზამ-თო"[248]. მსგავსი მაგალითები, როგორც სხვა მასალებიდანაც ვნა-ხეთ, არაერთი იყო საქართველოს გვიანფეოდალურ ქალაქებში.

თბილისის მელიქ-მამასახლისს ქალაქის სხვა საქმეებიც ეკი-თხებოდა. აღსანიშნავია, რომ სამეფო ყმათა აღრიცხვა, ან კიდევ მოქალაქეთა შეტანა სათანადო დავთარში მელიქ-მამასახლისის მოვალეობას შეადგენდა. 1794 წ. ერეკლე მელიქ-მამასახლისს ავე-ტიქს უბრძანებდა: ამ „ორს კომლს კაცს (რომელნიც რუსეთს გა-დასახლებულ მოქალაქეს გულიმამბარაშვილს თბილისს დარჩენია, შ. მ.) შენ მოჰკიდე ხელი და ჩვენს სახასო დავთარში ჩააგდეო"[249]. მოქალაქე ასატურ როსტომოვი კიდევ თავის განმარტებაში აღნიშ-

---

[246] ЦГИАГ, ფ. 226, № 3371, 2329, 2381; ნ. ბერძენიშვილი, დოკუ-მენტები სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 17; ГМГ, ფ. Ad:. 1702.

[247] ЦГИАГ, ფ. 226, № 5195, 5543, 5667; ალ. ხახანაშვილი, საეკლე-სიო გუჯრები, გვ. 8—9.

[248] ЦГИАГ, ფ. 226, № 1475.

[249] იქვე, ფ. 229, დავთ. 48, საბ. 1.

ნავდა, რომ ის მეფე გიორგის ბრძანებით, ქალაქის მელიქ-მამასახლისის მიერ შეტანილ იქნა მოქალაქეთა საგადასახადო წიგნში[250]. როგორც ქალაქის მოურავის, ასევე მელიქ-მამასახლისისა და მამასახლისების ერთ-ერთ მოვალეობას ქალაქში წესრიგის დაცვისა-ვის ზრუნვა შეადგენდა. თბილისის „მოურავის გარიგების წიგნის“ მიხედვით, მელიქ-მამასახლისი და ნაცვალი ვალდებულნი იყვნენ ქალაქში დამნაშავენი დაეჭირათ. მაგრამ დამნაშავეთა დასჯის უფლებით ისინი მაშინ სარგებლობდნენ, როცა თვით მოურავი არ იყო ქალაქში[251]. როგორც სხვა დოკუმენტებიდან ირკვევა, ქალაქში წესრიგის დაცვისათვის ზრუნვა მათ ერთ უპირველეს მოვალეობას შეადგენდა. მელიქ-მამასახლისი დარჩია დედოფლის ერთ-ერთ მოხელეს წერდა: „როცა ქალაქის ლოთებს და იმათ ჩხუბი მოსვლიათ, მე იქ ჯერ მისული არ ვყოფილვარ... რა წამს... მიველ... ისინი დავტუქსე... ამის იქით არც არა მოხვდება (მსგავსი მაგალითი არ განმეორდება, შ. მ.) და ვერც ვერავინ შეაწუხებს“ დედოფალსაო[252]. მელიქ-მამასახლისი ვალდებული იყო ეზრუნა ქალაქის სისუფთავეზე და სათანადო ზომები მიეღო სენის გავრცელების წინააღმდეგ, რაც არცთუ იშვიათი მოვლენა იყო შუა საუკუნეების ქალაქებში. დარჩია ბებუთაშვილი ერთ-ერთ მოხელეს წერდა: „ქალაქის (თბილისის, შ. მ.) ამბავი ასე მოგხსენდეს, რაც კვდრები იყო ქუჩებში ან სახლებში, სულ გავატანინე... რაც დაგვა ან გაწმენდა დოხტურის ნასწავლი იყო, რაც შეიძლება ამ საქმეში ბეჯითი ვართო“[253]. მეფეები ხშირად აფრთხილებდნენ მელიქ-მამასახლისებს—მეზობელ ქვეყნებში თუ ქალაქებში სენის გავრცელების შემთხვევაში იქიდან ქალაქში არავინ შემოეშვათ[254].

ქალაქის მელიქ-მამასახლისები ვალდებულნი იყვნენ მიეღოთ ხანძრის საწინააღმდეგო ზომები, დაეცვათ შენობები უდროოდ დანგრევისაგან, საჭირო შემთხვევაში მიეღოთ ზომები მათი შეკეთებისათვის: „ქალაქში ან დაწვით, ან დაქცევით თუ წახდეს რამე, რაც მე მოვსულვარ (ე. ი. რაც მე ამ თანამდებობას ვასრულებ, შ. მ.) ჩემი ბრალი იქნებაო“ — წერდა მელიქ-მამასახლისი დარჩია ბებუთაშვილი[255].

---

250 იქვე, ფ. 1, დ. 193, გვ. 102.
251 საქ. სიძველენი, II, გვ. 530, § 20.
252 საქ. სიძველენი, III. გვ. 382.
253 იქვე, გვ. 383.
254 ЦГИАГ, ф. 2, № 49, ф. 473; შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 97.
255 საქ. სიძველენი, III, გვ. 383.

მელიქ-მამასახლისის, როგორც მეფის მოხელის, ვალდებულებას შეადგენდა თვალყური ედევნებინა ქალაქში სამეფო გამოსაღებთა აკრებისათვის. საქალაქო გამოსაღებებიდან მიღებული თანხის ერთ ნაწილს სათანადო დებულებებისა და მეფეთა ბრძანებების შესაბამისად საჭიროებისამებრ აძლევდა ცალკეულ მოხელეებს ან კიდევ ცალკეულ პირებს. 1794 წ. ერეკლე II მელიქ-მამასახლისს ავეტიქს უბრძანებდა: „ქალაქის მახტიდამ იყოს მალიდამ თუ საახალწლოდამ ნაზარბეგიშვილის გოგიას სალეკოთ ნასყიდი ფარჩის ვალში ორმოცდა ათი თუმანი მოეც“[256]. 1778 წ. კი სულხან მდივანი ავეტიქას წერდა: „ბატონო მელიქო ავეტიქ! ქალაქის მალის ჩემის წლის რუსუმის (სარგოს, შემოსავლის, შ. მ.) ანგარიშში ერთი თუმანი მიბოძეთ... მეტნაკლებს ანგარიშში გავსწორდებითო“[257]. ან კიდევ, „ბატონო მელიქო ავეტიქ! ქალაქის ჩემის წილის მახტის სარგოს ანგარიშიდამ ერთი თუმანი გამომიგზავნე“[258]. ქალაქი და საქალაქო გამოსაღებები მეფეს დიდ შემოსავალს აძლევდა. ხაზინის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ქალაქის, განსაკუთრებით თბილისის გამოსაღებები შეადგენდნენ. საქალაქო გამოსაღებების მეთვალყურე მოხელე, თბილისის მელიქ-მამასახლისსაც, ამდენად, სამეფო საფინანსო უწყებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო. ამით აიხსნება, რომ ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის დროს თბილისის მელიქ-მამასახლისი „სახლთუხუცესთა და მდივანთა თანა, საქართველოს სამეფო შემოსავალ-გასავალთა საქმეთა“ გარჩევას ესწრებოდა. ამგვარ სხდომებში მონაწილეობისათვის თბილისის მელიქ-მამასახლისს სათანადო გასამრჯელოც ჰქონდა დანიშნული[259].

ამგვარი უფლებით მხოლოდ თბილისის მელიქ-მამასახლისი სარგებლობდა.

მელიქ-მამასახლისებს თვით მეფეები, დედოფლები და ბატონიშვილები ხშირად უბრძანებდნენ მათი პირადი თუ სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის ქალაქიდან ფართლეული თუ სხვა სახის საქონელი, პროდუქტი და სხვ. მიეწოდებინათ. ქალაქის მოხელეები ყველა ამათ, ცხადია, ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნურ მოსახლეობას ართმევდა. დარეჯან დედოფალი თბილისის მელიქ-მამასახ-

---

256 ЦГИАГ, ფ. 229, დაეთ. 4, საბ. 229.

257 იქვე, ფ. 226, № 1720.

258 იქვე, № 1719.

259 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 95; შდრ. ივ. ს ო ს ო ლ ა ძ ე, საქართვ. სახელმწ. და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 434—435.

ლისს უბრძანებდა: „ოცი თოფი ქალაქის ჩითი, ათი საბნის პირი, ათი მწვანე ლაინი, ათი ლურჯი ლაინი, ოცი თოფი ნარმა და სამოსელი... მელიქო დარჩიავ, ამ სიით რაც ფარჩა დაგვიწერია, ყველა ჩვენის კერძოობისათვის გვჭირდება და აქავ უნდა მოგვაბარო და ამის ფასს ჩვენს ანგარიშში ჩაგიგდებთ“[260]. მსგავსი ბრძანებები ხშირად მოდიოდა გორის მამასახლისსაც. ერეკლე II გორის მამასახლისს 1791 წ. უბრძანებდა: „გორის მამასახლისო, დღეისათვის სალდათებს და თოფჩებს სამოცდათოთხმეტს კაცს, ოცდა ექვსი ლიტრა ნახევარი ფქვილი მოეც“[261]. მეფის სახლთუხუცესი იოანე კიდევ გორის მამასახლისს უბრძანებდა: „ამად ხანისა და მამად ასან ხანისა და ასკარ ხანის კაცებს ა(1) დღისა-ამათ პური ჩარექი ცხრა. ამათ ქათამი ორი, ამათ ბრინჯი ლიტრა ერთი თავისის ერბოთი, ამათ თაფლი ნახევარი ლიტრა, ამათ მარილი ნახევარი ჩარექი, ამათ ქონის სანთელი ერთის შაურისა. გორის მამასახლისო, ამ სიით ეს შენ მოეცი“[262]. სხვადასხვა მსგავსი ბრძანებებით გორის მამასახლისს დაეკისრებოდა მეფის, ბატონიშვილების სამზარეულოსათვის და სხვა დაწესებულებებისათვის ქალაქიდან მიეწოდებინა მარილი, ხახვი, ქათამი, ყველი, ქონის სანთელი, ხორცი, ღვინო და სხვ[263].

თბილისის მელიქ-მამასახლისს და მამასახლისებს სხვა ქალაქებში მეფისაგან და მაღალი მოხელეებისაგან ებრძანებოდათ აგრეთვე ქალაქში ჩამოყვანილ ხიზანთათვის ცარიელი სახლის მიცემა[264], სხვადასხვა სამხედრო საჭიროებისათვის ქალაქებიდან ურმებისა და ხარების გამზადება, ჯარში (ლაშქარში) გასაყიდი პურის გაგზავნა[265], ბეითალმანი (უმემკვიდრეოდ ამოვარდნილის) სახლკარის გადაცემა იმ პირისადმი, ვისაც სათანადო სამეფო ბრძანებები ჰქონდა[266]; ქალაქში გასაყიდი თუ დაგირავებული სახლისა და დუქნის შეფასება, ქედხუდებისა და კალატოზების თანდასწრებით მათი გაყიდვა[267] და სხვ. მსგავსი საქალაქო საქმეები. ისე როგორც

---

260 საქ. სიძველენი, III, გვ. 244; შდრ. იქვე, გვ. 383—384, 392.

261 საისტორიო მოამბე, I, 1945, გვ. 20.

262 ЦГИАГ, ფ. 226, № 1537.

263 იქვე, № 1626, 1717, 1716, 1715, 1714, 1711, 1709, 1710; ГМГ, ფ. Sd 1262, 1266, 1263—65, 1267, 1268—1277, 1068, და სხვ.

264 ЦГИАГ, ფ. 226, № 816.

265 საქ. სიძველენი, III, გვ. 332.

266 ЦГИАГ, ფ. 227, № 961, ფ. 229, დავთ. 13, საბ. 205.

267 იქვე, ფ. 226, № 838; ფ. 229, დავთ. 1, საბ. 14; დავთ. 5, საბ. 179; დავთ. 6, საბ. 151; დავთ. 13, საბ. 41.

ქალაქის მოურავები, ასევე მელიქ-მამასახლისი და მამასახლისები თავიანთი მოვალეობის შესრულებისათვის ჯამაგირს კი არ იღებდნენ, არამედ სარგოს. ე. ი. მათი შენახვაც ქალაქზე იყო დაკისრებული. ეს თანამდებობა, როგორც დარჩია ბებუთაშვილი აცხადებდა, მათ მნიშვნელოვან სარგებლობას აძლევდა. თბილისის მელიქ-მამასახლისს „ვაჭრის მსუბუქ სამართალში" თავისი სარგო ჰქონდა. ასევე, იგი იღებდა სათანადო გასამრჯელოს გაყრისა თუ შეყრის წიგნების, ნასყიდობის წიგნების დაბეჭდვაში, მეფეთა მიერ გაცემული წყალობის წიგნების დამოწმებაში; ამას გარდა, სახელმწიფო გამოსაღების — მალის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ ყოველი 6 აბაზიდან 3 შაური მელიქ-მამასახლისის სასარგებლოდ მიდიოდა[268]. გორშიაც მამასახლისის სასარგებლოდ მიდიოდა მალის ერთი ნაწილი, ოღონდ 1 შაურის რაოდენობით[269]. მელიქ-მამასახლისისათვის თბილისში და გორშიც სათანადო ბაჟი წესდებოდა ქალაქში შემოტანილ მხოლოდ თევზზე[270]. მელიქ-მამასახლისს თბილისში სხვადასხვა საჩუქრებით ემსახურებოდნენ ვაჭრები, ხელოსანთა ამქრები, ქალაქის ბაღები და სხვ. აღსანიშნავია, რომ თუ თბილისის მელიქ-მამასახლისს ქალაქის ბაჟში საერთოდ წილი არ ედო, გორში ბაჟის ერთი ნაწილი მამასახლისის სასარგებლოდ მიდიოდა[271].

ბაჟში თავისი წილი ედო აგრეთვე ქუთაისის მამასახლისსაც. ზურაბ წერეთელი წერდა: ქუთაისის მამასახლისი იღებდა მოურავის შემოსავლის ნახევარს ერთი საპალნე მარილიდან და თევზიდან, დაკლული საქონლიდან 16 სტილ ხორცს[272]. მცირე ქალაქებში, მაგ., ახალდაბაში, მამასახლისს წილი ედო თავის გასამტეხლოში (ეს თბილისისა და გორის მამასახლისების სარგოში არ ჩანს), გასამყრელოში, ე. წ. საჩექმეში და სხვ[273]. ზოგან კიდევ, ალში, მამასახლისისათვის საახალწლოდ აბაზი უნდა მიერთმიათ[274]. ამგვარი გზით მიღებული შემოსავალი მსხვილ ქალაქებში საკმაოდ დიდი იყო. XIX ს. დამდეგის ცნობით, თბილისის უკანასკნელი მელიქ-მამასახლისი დარჩო ბებუთაშვილი თავისი თანამდებობიდან ყო-

---

268 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 94—95.

269 დასტურლამალი, გვ. 20.

270 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 95; დასტურლამალი, გვ. 20.

271 შდრ. შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 94; დასტურლამალი, გვ. 20; ЦГИАГ, ф. 227, № 758.

272 Акты, т. IV, с. 378.

273 დასტურლამალი, გვ. 120.

274 იქვე, გვ. 121.

ველწლიურად საშუალოდ 60 თუმანს იღებდა[275]. ეს თანხა, რომელიც დებულებით გათვალისწინებული იყო, რა თქმა უნდა, თბილისის ერთ-ერთ ძლიერ მოხელესა და თავადს არ დააკმაყოფილებდა და იგი სხვადასხვა გზით მის ხელოვნურად გაზრდას ცდილობდა. ამას გარდა, თვით თბილისის მელიქ-მამასახლისები, განსაკუთრებით ბებუთაშვილები, როგორც ზემოთ ვნახეთ, აქტიურად ერეოდნენ ქალაქის ვაჭრობაში, საერთოდ ეკონომიკურ ცხოვრებაში და პრივილეგიურ მდგომარეობას ამ მხრივაც თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ.

შედარებით მცირე ქალაქების მამასახლისთა შემოსავალი მათ მიერ შესრულებული თანამდებობიდან, ცხადია, მცირე იყო. მაგ., სიღნაღის ქევხას (მამასახლისს) თეიმურაზ თეიმურაზოვს, როგორც მისივე განცხადებიდან ჩანს, წილიწადში მხოლოდ 8 თუმნის შემოსავალი ჰქონია[276]. ამდენივე უნდა ყოფილიყო დაახლოებით სხვა, სიღნაღის მსგავს ქალაქთა მამასახლისების დებულებით გათვალისწინებული შემოსავალიც. მაგრამ მამასახლისები, ისე როგორც მოურავები, სარგებლობდნენ რა ფეოდალური ბიუროკრატიული აპარატის მოუქნელობით, მსხვილ თუ მცირე ქალაქებს თავიანთი გამდიდრების წყაროდ აქცევდნენ.

გ) ქალაქის ნაცვალი (პოლიცმეისტერი) და მოურავის თანაშემწე

ფეოდალური ხანის საქართველოს საქალაქო მმართველობაში „ნაცვალი" ერთ-ერთი უძველესი ხელისუფალთაგანია. ქართული „ნაცვალი" X—XII სს. ზოგჯერ არაბული წარმოშობის ტერმინით „გუსტასიბით" იცვლება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „გუსტასიბის" თანამდებობა თავისი შინაარსით სავსებით შეესატყვისებოდა „ნაცვლის" თანამდებობას საქართველოს ქალაქებში. უცხოური ტერმინის „გუსტასიბის" გაბატონებით აიხსნება, რომ X ს-დან XII ს. დასასრულამდე საბუთებში „ნაცვალი" არ არის მოხსენებული. მაგრამ ამგვარი თანამდებობა ქართულ სამოხელეო წყობაში რომ არსებობდა, ამაში ჩვენ თამარის 1193 წ. სიგელში „ნაცვალის" მოხსენიება გვარწმუნებს[277]. „ნაცვალი" მოიხსენიება ს. კაკაბაძის მიერ 1219 წ. დათარიღებულ ლაშა გიორგის დროინ-

---

[275] ГМГ, ფ. Hd: 3327.

[276] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 108.

[277] С. К а к а б а д з е, Грамоты царицы Тамары, ИКИАИ, т. III, 1925, с. 116—117.

დელ სიგელშიც[278]. ამ დროიდან მოკიდებული „ნაცვალი“ ქართულ დოკუმენტებში თითქმის ყოველთვის გვხვდება.

„ნაცვალი“ მეფის მიერ ინიშნებოდა როგორც ცალკეულ პროვინციებში, ასევე ქალაქებში და მათ „ბატონის (მეფის) ნაცვალი“ ეწოდებოდათ[279]. ქალაქებში „ბატონის (მეფის) ნაცვლებს“ ზოგჯერ „ქალაქის ნაცვალსაც უწოდებდნენ[280]. „ქალაქის ნაცვლის“ თანამდებობა გვიანფეოდალური საქალაქო მმართველობისათვის ისევე დამახასიათებელი იყო, როგორც მოურავისა, მამასახლისისა და მელიქ-მამასახლისისა. მოურავ დავით ციციშვილისა და მისი მოწმეების ცნობით, თბილისში „ერთი მოურავი ყოფილა, ერთი მელიქი, ერთი მამასახლისი და ერთი ნაცვალი“[281]. მართლაც, გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტებში ჩვენ არ შეგვხვედრია შემთხვევა, სადაც მეფის მიერ დანიშნული ნაცვლის გარდა, სხვა, ცალკეულ საერო თუ სასულიერო ფეოდალთა, ქალაქის ნაცვალი იყოს მოხსენებული.

„ნაცვლები“ პროვინციებში და ქალაქებში, დავით ბატონიშვილის ცნობით, აზნაურებიდან, მართლმადიდებელი რწმენის მქონე პირები ინიშნებოდნენ. მაგრამ მისივე განმარტებით, ზოგ სოფელში და ქალაქში ნაცვლად შეიძლებოდა დაენიშნათ პირები „ვაჭართა და სოფლის მცხოვრებთა წრიდან“, რომელნიც თანამდებობებზე გაგზავნისას არ განსხვავდებოდნენ თავიანთი ხარისხებით უწინდელი თანამდებობის პირებისაგან[282]. ჩვენთვის ცნობილ მასალებში თბილისის ნაცვალი ყოველთვის არის მოხსენებული. მაგ., 1646—1658 წწ. თბილისის ნაცვლად ვინმე შერმაზანა ყოფილა, რომელიც მელიქის თანამდებობასაც ასრულებდა, 1663—1679 წწ. ვინმე დავითა, 1700—1715 წწ. ქაიხოსრო, 1721 წ. თბილისის ნაცვლის თანამდებობას „მელიქყოფილი“ აშხარბეგიც ასრულებდა. თბილისის ისტორიაში იყო შემთხვევა, როცა ქალაქის ნაცვლის თანამდებობაც ქალაქის მელიქ-მამასახლისს ეკუთვნოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1760 წ. ერეკლე II-მ აღა აშხარბეგის ძე ბებუთაშვილს მელიქ-მამასახლისობასთან ერთად ნაცვლობაც უბოძა. მისი შვილი ავეტიქაც დიდხანს ასრულებდა ამ სამ თანამდებობას ერთად. 1786 წლიდან კი უკვე თბილისის ნაცვალი ცალკეა

---

278 С. Какабадзе, там же, с. 13, прим. 3; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 50.

279 საქ. სიძველენი, III, გვ. 134, § 6; შდრ. იქვე, გვ. 132, § 2.

280 საქ. სიძველენი, II, გვ. 527, § 37, გვ. 524, § 7.

281 საქ. სიძველენი, II, გვ. 28—29.

282 Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н: II, с. 759—760.

მოხსენებული, ამ თანამდებობას ამ დროს ზაქარბეგიანთ სტეფანა ასრულებდა. 1793 წ. კი ერეკლე II-მ, როგორც ერთ-ერთ დანახარჯთა ნუსხიდან ირკვევა, ქალაქის ნაცვლობა, ჩვენთვის უცნობ პირს უბოძა[283]. ეს უცნობი 1797 წ. საბუთში თბილისის ნაცვლად მოხსენებული ავთანდილ ქართველიშვილი უნდა იყოს[284]. 1797 წლიდან 1798 წ. მიწურულამდე თბილისის ნაცვლად შერმაზან სურგუნოვი ყოფილა, რომელიც გიორგი XII-ს მექრთამეობის გამო მოუხსნია და ეს თანამდებობა 1798 წ. თომა ისპას შვილისათვის უბოძებია[285]. მაგრამ არც თომა ყოფილა დიდი ხანი ნაცვლად. 1800 წ. 24 იანვარს გიორგი XII-მ თბილისის ნაცვლობა შერმაზან სურგუნოვის შვილს მიკირტუმას უბოძა[286]. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ვერც მიკირტუმამ გაძლო დიდხანს ამ თანამდებობაზე. 1800 წ. ივნის—ოქტომბრის საბუთებში თბილისის ნაცვლად უკვე ვინმე სტეფანე იხსენიება[287]. თბილისის ნაცვლის თანამდებობა ერთხანს შენარჩუნებული იქნა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგაც.

როგორც ზემომოტანილი დოკუმენტიდან ჩანდა, ნაცვალი თბილისში მეფეთა მიერ ინიშნებოდა. XIX ს. დამდეგის ერთი დოკუმენტის სიტყვითაც, თბილისში „არასდროს არ მომხდარა და არც წესად არის დადებული, რომ ნაცვალი მოქალაქეთ (ქალაქის მსახლობელთ, შ. მ.) გამოარჩიონო“[288].

„ნაცვლები“ მეფეთა მიერ ინიშნებოდნენ სხვა ქალაქებშიც. მაგ., გორის ნაცვლის თანამდებობა და სარგო მოხსენებულია „დასტურლამალში“[289]. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1681 წ. საბუთი, სადაც მოწმეთა შორის დასახელებულნი არიან „გორის ნაცვალი ქარუმიძე გარსევან და გორის მამასახლისი ანდრონიკას შვილი დავით“[290]. ხოლო ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ, 1781 წ. გორელთა გაყრილობის წიგნის დამმოწმებელთა შორის დასახელებულნი არიან „გორის მამასახლისი ზურაბა, ნაცვალი ქარუმიძე გარსევან“[291]. როგორც ჩანს, გორის ნაცვლობა, ისე როგორც გო-

---

[283] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის, I, გვ. 128.

[284] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 30, საბ. 240.

[285] იქვე, ფ. 227, № 986.

[286] შ. მესხია, მასალები, გვ. 99.

[287] ЦГИАГ, ფ. 226, № 876, 877, 878, 880, 881; 882.

[288] ЦГИАГ, ფ. 226, № 9178.

[289] დასტურლამალი, გვ. 21.

[290] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 45, საბ. 132.

[291] იქვე, დავთ. 25, საბ. 48.

რის მოურავობა, მემკვიდრეობით თანამდებობად ქცეულა და იგი საუკუნის მანძილზე ქარუმიძეთა ხელში ყოფილა.

საბუთებში ხშირად გვხვდება „ცხინვალის ნაცვალიც“. XIX ს. დამდეგის ერთი საბუთის სიტყვით, მეფეთა დროს „ყოველთვის ყოფილა ნაცვლობა ცხინვალისა“[292]. 1756 წ. ნასყიდობის წიგნს, სხვათა შორის, ემოწმება „ცხინვალის ნაცვალი ქაიხოსრო“[293] XVIII ს. 60-იანი წლებიდან ვიდრე 70-იან წლებამდე. ცხინვალის ნაცვლად ყოფილა ჯავახიშვილი დავითი[294], 1777—1797 წწ. საბუთებით კი—„ბატონის დისწული ზედგინიძეს შვილი სოლომონი“ არის დასახელებული[295]. XIX ს. დამდეგს ეს თანამდებობა აზნაურ იოსებ ქანანოვს ჰქონია[296].

XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. დამდეგის საბუთებში მოხსენებულია აგრეთვე დუშეთის ნაცვალი[297], 1794 წ. საბუთში—თელავის[298]. „დასტურლამალში“ მოხსენებულია აგრეთვე ახალდაბის[299], ატენისა და ალის ნაცვალი[300], დასავლეთ საქართველოს სამეფოს მოხელეთა შორის ნაცვალი ხშირად არის დასახელებული. იგი ქალაქის, კერძოდ ქუთაისის, მოხელეებთან ერთად მოხსენებულია XVI ს. 50-იანი წლების საბუთში[301]. „ქუთაისის ნაცვალი“ XVIII და XIX სს. დამდეგის დასავლურ დოკუმენტებშიც ხშირად გვხვდება[302].

ქალაქის ნაცვალი, როგორც მეფის მიერ დანიშნული მოხელე, საქალაქო მმართველობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, მაგრამ იერარქიულად მას ქალაქის უპირველეს მოხელეთა შორის, მელიქის ხელისუფლების გაჩენამდე, მესამე ადგილი ეჭირა, XVI ს. 50-იანი წლებიდან კი მეოთხე. დავით ბატონიშვილის სიტყვით საერთოდ «Нацвали имеют в своем ведении управление полицейское по городам и всем вообще селениям»[303]. ქალაქის ნაცვალი, ისე რო-

---

292 ГМГ, ფ. Hd: 8554.

293 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 33, საბ. 7.

294 იქვე, დავთ. 46, საბ. 273; „მოამბე“, 1894 წ., № 10, განყ. II, გვ. 46.

295 მატენადარან, Груз. док., საქაღალდე № 252, საბ. 32; ЦГИАГ, ფ. 226, № 5117.

296 ГМГ, ფ. Hd: 8554.

297 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 13, საბ. 68; იქვე, ფ. 226, № 9111.

298 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 49, საბ. 62.

299 დასტურლამალი, გვ. 120.

300 დასტურლამალი, გვ. 121; იხ. იქვე, გვ. 9.

301 ГМГ, Sd 2895, ბაქრაძის კრებული, გვ. 116—117.

302 ГМГ, Hd 4471; Sd 1331, 1319.

303 Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н: 11, § 758.

გორც მელიქ-მამასახლისი და მამასახლისები, ქალაქის მოურავს ექვემდებარებოდა. მაგრამ ნაცვალის მოქმედებაზე თავის კონტროლს აწესებდა აგრეთვე მელიქ-მამასახლისიც. დარნო ბებუთაშვილის სიტყვით, თბილისის ნაცვალი მისი განკარგულებით მოქმედებდა[304]. გიორგი XII თბილისის მელიქ-მამასახლისს წერდა: „ყველა ნაცვლობის საქმე და სამსახური ჩვენგან ამას ეკითხება და შენც ეს უნდა ამოქმედო“[305].

ნაცვალი, როგორც თბილისის მოურავის დებულებიდან ჩანს, მელიქ-მამასახლისთან ერთად ქალაქის „მსუბუქ სამართლის“ გარჩევაში მონაწილეობდა, მაგრამ მისი მონაწილეობა მელიქ-მამასახლისისა და ქედხუდების სამართალში უსასყიდლო იყო[306]. ნაცვალი, როგორც ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოხელე, ამოწმებდა ქალაქში ნეასყიდობის წყალობას თუ თავდახსნილობის წიგნებსაც. ჩვენ არაერთი ნასყიდობის საბუთი მოგვეპოვება XVII—XVIII საუკუნეებისა, რომელიც როგორც თბილისის, ასევე გორის, ცხინვალის ნაცვალთა მიერაც არის დამოწმებული, მაგრამ, არც ერთი დოკუმენტიდან არ ჩანს, რომ ამ შემთხვევაში ქალაქის ნაცვალს სიგელის „საბეჭდავი“ მიეღოს. ალბათ, ნაცვალი ასეთი საბუთების დამოწმებისათვის გასამრჯელოს არ იღებდა.

ქალაქის ნაცვლის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას შეადგენდა თვალყური ედევნებინა საერთოდ ქალაქში და კერძოდ მის ბაზარში წესრიგის დაცვისათვის. თბილისის მოურავის დებულებაში საგანგებოდ არის აღნიშნული: „ბატონის ნაცვალი და მოურავის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯავდეს ლიტრას, ადლს, საწყაოს და ყოველსავე საწონს და გასაზომს და თუნგს და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეაჩნდეს, ჯარიმა უნდა წაერთვას. ამ ჯარიმის ათისთავი მოურავისა არის და ამ მოურავის ათისთავიდამ ათის თავი ბატონის ნაცვლისა არის“[307]. ამგვარი მოვალეობა ჰქონდა არა მარტო თბილისის, არამედ მცირე ქალაქების ნაცვლებსაც. ცხინვალის ნაცვლის დებულებაში ნათქვამია: „ვისაც მეტი თუნგი ექნებოდა ან ლიტრა ან ნაკლები ადლი, ჯარიმას წაართმევდნენ, ავკაცობისა და ჩხუბის ჯარიმას აიღებდნენ“[308]. ნაცვალ-

---

[304] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 95.

[305] ЦГИАГ, ფ. 227, № 986.

[306] საქ. სიძველენი, II, გვ. 523, § 1.

[307] საქ. სიძველენი, II, გვ. 527, § 37; შდრ. იქვე, გვ. 529, § 14.

[308] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 46, სბ. 273; „მოამბე“, № 10, 1894, განყ. II, გვ. 46.

თა მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე თვალყური ედევნებინათ ქურდობისა, ავი ზნის ქალებისა, საერთოდ ავკაცობისა და ქალაქში დებოშის ამტეხისათვის. ამგვარ დამნაშავეებს, ქალაქში თუ მოურავი იყო, ის იჭერდა და აჯარიმებდა, თუ არა და მელიქ-მამასახლისი და ნაცვალი. ამით აიხსნება, რომ შეპყრობილი ქურდისა და ავი ზნის ქალის ჯარიმაში ბატონის ნაცვალს თავისი წილი ჰქონდა[309].

ნაცვალს, როგორც საპოლიციო ხელისუფლების წარმომადგენელს ქალაქში, ამა თუ იმ გავლენიანი მოხელისაგან თუ პირისაგან (სამეფო სახლის წევრები) ხშირად ებრძანებოდა ქურდობაში შემჩნეულ პირთა გაჩხრეკა და შეპყრობა. როგორც 1796 წ. წერილიდან ჩანს, მეფის რძალმა ქ. გორის ნაცვალს უბრძანა ესა და ეს სახლი „დაჩხრიკეთ და გამოიყვანეთ" ქურდიო. ნაცვალსაც, ბრძანების შესაბამისად, „შეეყარა ორმოცამდე კაცი და ისე მიხდომოდა შუაღამისას რის ყიჟინით, რის ყოფით, რის ამბავით და რის ლანძღვით"[310].

საერთოდ საპოლიციო სამსახურის შესრულებისათვის ქალაქში ნაცვალს, დავით ბატონიშვილის სიტყვით, გარკვეული სარგო ჰქონდა ქალაქის სხვადასხვა ჯარიმებიდან: შემოსავლიდან: „თბილისის ნაცვლისა და პოლიციის შესანახად გამოყოფილია ერთი მეხუთედი ქალაქის ყველა ფულადი ჯარიმიდან, რომელიც შემოდის ხაზინაში და ზოგიერთი ნაწილი ქალაქისა და ყმების შემოსავლიდან. გარდა ამისა მათთვის განკუთვნილი იყო თვის შაური, ე. ი. ქალაქში არსებული დუქნების თვიური ფული. სხვა ნაცვლები პოლიციის შესანახად და თავიანთთვის იღებენ 1/10-ს მოურავის ყოველგვარი შემოსავლიდან, რამდენადაც ისინი მოურავების თანაშემწეები არიან[311]. ამასვე ადასტურებს თბილისის ნაცვლის მიკირტუმ სურგუნოვის ცნობაც: „ბაზრიდან მქონდა, რომ ჰასასის ფულიდან მერგებოდა წელიწადში ათი თუმანი" და „რაც ბატონისათვის ჯარიმას ავიღებდი, ათის თავი ჩემი იყო"[312]. ამას გარდა, გორის ნაცვალს, როგორც „დასტურლამალიდან" ჩანს, მართლაც მოურავის შემოსავლის ერთი მეათედი ჰქონდა გადაწყვეტილი:

---

309 საქ. სიძველენი, II, გვ. 527, № 38, შდრ. ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 46, საბ. 273.

310 საქ. სიძველენი, III, გვ. 374.

311 Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н: 11, § 784.

312 შ. მესხია, მასალები, გვ. 99.

„ნაცუალს ამილახორის (გორის მოურავს, შ. მ.) ათის თავი აქუს, სხუა არაფერი“[313].

ქალაქის ნაცვლის ერთ-ერთ მოვალეობას შეადგენდა სათანადო ზომები მიეღო ქალაქში სენის გავრცელების წინააღმდეგ. დაავადებულნი კი არ უნდა დაემალა, არამედ საამისოდ განკუთვნილ ადგილზე უნდა გადაეყვანა, ქალაქი გაეწმინდა[314]. მასვე უნდა მიეღო ზომები ქალაქში სისუფთავის დაცვისათვის, საზოგადოებრივი შენობების მოვლისათვის[315]. ქალაქში ნაგავი მოსახლეობას მისთვის განკუთვნილ ადგილებში უნდა დაეყარა, ხოლო ის, ვინც ნაგავს უადგილო ადგილას დაყრიდა, ნაცვალს უნდა აეძულებინა იგი გაეზიდა და დაეჯარიმებინა კიდეც[316]. ქალაქის ნაცვლის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე თვალყური ედევნებინა საზოგადოებრივი ბაღების მოვლა-პატრონობისათვის. საამისოდ მას 3 კაცი უნდა გამოეყო, რომელნიც სწორედ ამგვარ ბაღებზე იქნებოდნენ გაპიროვნებულნი.

ქალაქის ნაცვალს, როგორც საპოლიციო ხელისუფლების წარმომადგენელს, ევალებოდა თვალყური სჭეროდა ქალაქში მყოფ უცხოელებზე, ეწარმოებინა მათი რეგისტრაცია, და მათი მოქმედების შესახებ ყოველდღიური ცნობა მიეწოდებინა ქალაქის მოურავისათვის. სატახტო ქალაქის ნაცვალი პირველი აცნობებდა მოურავს უცხო ქვეყნების ელჩების ჩამოსვლას, მოურავი კი ამას მეფეს მოახსენებდა. ქალაქის ნაცვლის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე თვალყური ედევნებინა, რომ ქალაქიდან არ გაპარულიყვნენ პოლიტიკურად საეჭვო პირები, სასამართლო პასუხისგებაში მიცემულნი, შეუძლებელი მოვალენი და მათი თავმდებები; თუ ასეთი მოხდებოდა, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა მოურავისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით აგებდა პასუხს. ქალაქის ნაცვლის განკარგულებით ხდებოდა აგრეთვე უცხოელი ელჩებისა თუ კურიერებისათვის ქალაქში სათანადო ბინის გამოყოფა; ნაცვალი უცხოელებს ჩვეულებრივ ქალაქის მოსახლეთა ბინებში ასახლებდა.

ნაცვალი ხელმძღვანელობდა აგრეთვე ქალაქის მოსახლეობის აღწერას; თვალყურს იჭერდა სამეფო გამოსაღებთა აკრებაზე, ქალაქის შემოსავალ-გასავალზე; სათანადო ანგარიშს ამ მხრივ იგი მოურავს უდგენდა. ნაცვალი ვალდებული იყო ყოველდღიური

---

[313] დასტურლამალი, გვ. 21.
[314] Царевич Давид, იქვე, § 772.
[315] იქვე, 770.
[316] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 52, საბ. 92, 96.

მსგავსი ანგარიშები ქალაქის მდგომარეობის შესახებ აგრეთვე მოურავისათვის წარედგინა, რომელიც თავის მხრივ ყოველივე ამას მეფეს აცნობებდა[317].

ყველა ამ მოვალეობათა შესრულებისათვის ქალაქის ნაცვალს, ისე როგორც ქალაქის სხვა მოხელეებს, გასამრჯელო ჩვეულებრივ ქალაქის შემოსავლიდან უნდა მიეღო. ასე რომ, ამ მოხელის შენახვაც თვით ქალაქზე იყო დაკისრებული. მაგ., თბილისის ნაცვალი სარგოს იღებდა ქალაქის ბაჟიდან. კერძოდ, მას ეკუთვნოდა მეათედი იმ შემოსავლისა, რასაც მოურავი იღებდა ქალაქის ბაჟიდან. ამას გარდა, მოურავის ე. წ. ჭაშნიკიდან თბილისის ნაცვალს რვა თუმანი ჰქონდა, ურემ თევზზე თითო აბაზი, საპალნე ზეთზე ნახევარი ლიტრა, საპალნე ზეთის ხილზე ნახევარი ლიტრა, საპალნე ნალზე ორი ჭედა[318], ქალაქში შემოტანილ შეშაზე და ნახშირზე კვირაში ერთ დღეს, კერძოდ შაბათს, თავის სასარგებლოდ ბაჟს ქალაქის ნაცვალი იღებდა[319].

ამას გარდა, ქალაქის ნაცვალს ემსახურებოდნენ სხვადასხვა საჩუქრებითა და გამოსაღებებით ვაჭართა და ხელოსანთა ცალკეული ამქრები. მასვე ჰქონდა, როგორც აღნიშნეთ, შემოსავალი ქალაქის ჯარიმებიდან, „ჰასასის ფულიდან“ და სხვ[340]. ამგვარი გზებით, მიკირტუმ სურგუნოვის ანგარიშით, ქალაქის ნაცვალს ყოველწლიურად დაახლოებით 84 თუმნის (840 მან.) შემოსავალი ჰქონია[321], მიკირტუმ სურგუნოვი, როგორც ჩანს, გარკვეული მოსაზრებით აზვიადებდა თავისი წლიური შემოსავლის რაოდენობას. მელიქ-მამასახლის დარჩო ბებუთაშვილის ცნობით, თბილისის ნაცვლის შემოსავალი წლიურად 50 თუმანს არ აღემატებოდა[322]. სხვაგვარი იყო საქართველოს სხვა ქალაქთა ნაცვლების სარგო. მათი შემოსავალიც, შედარებით თბილისის ნაცვლის შემოსავალთან, ცხადია, მცირე იყო. მაგ., დუშეთის ნაცვალი დუშეთის მოურავის საერთო შემოსავლის 1/3-ს იღებდა[323]. გორის ნაცვალი გორის მოურავის საერთო შემოსავლის 1/10-ს. თუკი ამილახვრის

---

317 ნაცვლის ზემოხსენებულ უფლება-მოვალეობათა შესახებ იხ. დავით ბატონიშვილის დასახელებული ნაშრომის§§ 763, 776, 777, 778, 787, 788, 791; შდრ შ. მ ე ს ხ ი ა, თბილისის ისტორია, 1952, გვ. 259—262.

318 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 98.

319 საქ. სიძველენი, II, გვ. 524, § 7.

320 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 98; Царевич Д а в и д, Обозр..., § 784.

321 შ. მ ე ს ხ ი ა, იქვე, გვ. 98.

322 იქვე, გვ. 95.

323 ЦГИАГ, ფ. 229, დაეთ. 13, საბ. 68.

შემოსავალი წლიურად 210 თუმანს უდრიდა, გორის ნაცვლისა 21 თუმანი უნდა ყოფილიყო[324]. მცირე ქალაქების ნაცვალთა შემოსავალი, ცხადია, უფრო ნაკლები იქნებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალაქის უმთავრესი მოხელე, მოურავი მისადმი საგამგეოდ მინდობილ ქალაქში არცთუ ხშირად იყო. ამას გარდა, საქალაქო საქმეებს იგი თვით უშუალოდ როდი ასრულებდა. ამიტომაც მსხვილ ქალაქთა და ცალკეულ პროვინციათა მოურავებს თავიანთ უშუალო თანაშემწედ საკუთარი „ნაცვალიც“ ჰყავდათ. ასეთი თანამდებობის პირებს მეფის მიერ ქალაქში დანიშნული მოხელისაგან, ქალაქის ანუ ბატონის ნაცვლისაგან განსხვავებით „მოურავის ნაცვალს“ უწოდებდნენ. „მოურავის ნაცვალი“, როგორც მოურავის უშუალო თანაშემწე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თვით მოურავის მიერ ინიშნებოდა. „მოურავის ნაცვალი“, როგორც ზემოთ ვნახეთ, თბილისის მოურავის გარიგების წიგნში „ბატონის ნაცვლის“ გვერდით არის მოხსენებული. როგორც მასალებიდან ირკვევა, „მოურავის ნაცვალი“ მხოლოდ თბილისში იყო. სხვა ქალაქთა „მოურავის ნაცვალი“ ჩვენთვის ცნობილ დოკუმენტებში არ შეგვხვედრია. „მოურავის ნაცვალი“ ქალაქის მოურავის სახელით მოქმედებდა და მის ბრძანებათა შემსრულებელი იყო. იგი მონაწილეობას იღებდა სურსათ-სანოვაგეზე ნიხრის დაწესებაში და აქედან სათანადო გასამრჯელოსაც იღებდა: სირაჯებმა ნიხრანასი „ერთი ოქრო მოურავის ნაცვალს უნდა მისცენ“; ყასბებმაც, როცა მათ ნიხრი მიეცემათ, „ათი ლიტრა ხორცი მოურავის ნაცვალს უნდა მიართვან“ — ნათქვამია თბილისის მოურავის გარიგების წიგნში[325]. მოურავის ნაცვალი ქალაქის ნაცვალთან ერთად ბაზარში საზომ-საწყაოთა სისწორეს თვალყურს ადევნებდა, დამნაშავეს აჯარიმებდა, მაგრამ ჯარიმიდან მას გასამრჯელო არ ჰქონია[326]. სამაგიეროდ მოურავის ნაცვალს სხვადასხვა სახის მისართმევლებით ემსახურებოდნენ ბაყლების, ყასბების და სხვათა ამქრები, ასე რომ, მოურავის თანაშემწის შენახვაც ისევ ქალაქის მოსახლეობაზე იყო დაკისრებული. „მოურავის ნაცვლის“ წლიური შემოსავალი თბილისში, ევსტ. ციციშვილის ცნობით, საშუალოდ 5 თუმანს არ აღემატებოდა[327].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თბილისში თანაშემწე, ნაცვალი ჰყავდა არა მარტო მოურავს, არამედ ზოგ შემთხვევაში მელიქსაც-

---

324 დასტურლამალი, გვ. 21; ГМГ, ფ. 3327.

325 საქ. სიძველენი, II, გვ. 529, § 7, შდრ. გვ. § 525, §19; გვ. 529, §3.

326 საქ. სიძველენი, გვ. 529—530, § 14.

327 შ. ფ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 92.

1780, 1781 წლის საბუთებში ხშირად მოიხსენიება „ქალაქის მელიქის ნაიბი (მოადგილე, ნაცვალი, შ. მ.) თაყოანთ ვართანას შვილი მიკირტუმა“[328], ან კიდევ „ქალაქის მელიქის ნაიბი მიკირტუმა“[329]. როგორც ჩანს, „ქალაქის მელიქის ნაიბი“ მხოლოდ მაშინ ასრულებდა მელიქის მაგივრობას, როცა თვით მელიქი ქალაქში არ იყო. ყველა ამ საბუთს, რომელსაც მელიქის ნაიბი ადასტურებს, თვით მელიქის ხელმოწერა არა აქვს. მელიქს ნაიბი ჰყოლია ქ. გორშიც[330]. მაგრამ ეს თანამდებობა, ჩვენი აზრით, როგორც თბილისის, ასევე გორის საქალაქო მმართველობისათვის დამახასიათებელ მოვლენად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქალაქის ნაცვალს ქალაქის საპოლიციო ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმომადგენელს, „დებულებებით“ მრავალგვარი საპასუხისმგებლო მოვალეობანი ჰქონდა. მაგრამ ისე როგორც ქალაქის სხვა თანამდებობანი, ასევე ნაცვლის თანამდებობაც უფრო შემოსავლის წყაროდ იყო მიჩნეული გვიანფეოდალურ საქართველოში და ნაკლებად ატარებდა თავის ნამდვილ შინაარსს. ამით აიხსნება, რომ ამ თანამდებობას ხშირად სხვა ხელისუფალნი ითავსებდნენ. ამ მხრივ დამახასიათებელია თბილისის მელიქ-მამასახლისის დარჩო ბებუთაშვილის შემდეგი განცხადება: „ტფილისის ნაცვლობა ჩვენი არის და იმისი სარგებლობაც იქნება ორმოცდაათი თუმნამდის. კურთხეულს თბილისის მოურავს თავადს დავით ციციანოვს და ჩვენ (ბებუთაშვილებს, შ. მ.) ნაცვლობის სარგებლობაზე ცილობა მოგვიხდა, რომ ზოგი ერთი ნაცვლობის სარგო მოურავს მიჰქონდა და ამ მიზეზით, მამა ჩემმა (ავეტიქამ, შ. მ.) ნაცვლობა დაზდევა (sic, მიანება, შ. მ.) ჩვენი სამართლის გარჩევამდისო“[331]. როგორც ჩანს, ქალაქის ორ დიდ მოხელეს — მოურავსა და მელიქ-მამასახლისს ნაცვლობის სარგოზე, შემოსავალზე მოსვლიათ ცილობა. მოურავს, თუმცა ნაცვლის თანამდებობას იგი არც ასრულებდა, თავისი შემოსავლის გაზრდის მიზნით, ნაცვლისათვის განკუთვნილი სარგოც მიუთვისებია. როგორც ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, ქალაქის მოსახლეობა ნაცვლისათვის განკუთვნილ სარგოს მაინც იხდიდა, მიუხედავად იმისა, ამ თანამდებობას საერთოდ ქალაქში ასრულებდა თუ არა ვინმე.

---

328 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 4, 217.

329 იქვე, საბ. 221; დავთ. 5, საბ. 174; დავთ. 6, საბ. 149; დავთ. 10, საბ. 50; დავთ. 20, საბ. 65.

330 იქვე, დავთ. 45, საბ. 107.

331 შ. ფ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 95.

მაშინაც კი, როცა ქალაქში ნაცვალი მოქმედებდა, იგი უფრო თავის გამდიდრებაზე ფიქრობდა, ვიდრე მოვალეობის პირნათლად შესრულებაზე. საპოლიციო ხარჯებისათვის განკუთვნილი შემოსავლის ნაწილს თვით იკუთვნებდა, ქრთამებს იღებდა და თვითვე უწყობდა ხელს ქალაქში მოსახლეობის ქონების „ფარვით თუ ცხადად მტაცებლობას“.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ ქალაქის ნაცვლის ერთ უპირველეს მოვალეობას სენის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა და სათანადო ზომების მიღება შეადგენდა. მაგრამ როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, პირადი გამდიდრებით გატაცებული ნაცვლები ზოგ შემთხვევაში თავიანთ მოვალეობას ივიწყებდნენ და სენის გავრცელებასაც კი უწყობდნენ ხელს. როგორც გიორგი XII-ის 1798 წ. ბრძანებიდან ირკვევა, ჩვენ მიერ ზემოხსენებულმა თბილისის ნაცვალმა შერმაზანა სურგუნოვმა ქალაქში მომსვრელი სენის არსებობის დროს ქრთამები აიღო და ავადმყოფები იმის მაგიერ, რომ სათანადო ადგილას გადაეყვანა, დამალა და ამით სენის გაძლიერებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი. გიორგი XII იძულებული გახდა მექრთამე ნაცვალი ასეთი „ძალიანის დანაშაულისათვის“ თანამდებობიდან მოეხსნა. იგი მელიქ-მამასახლისს დარჩიას აცნობებდა: „ტფილისის ქალაქი ადრევე გაწმენდილი იყო ჭირისაგან, მაგრამ ქალაქის ნაცვალმან შერმაზანამ ქრთამები აიღო და ავანტყოფები არ გააწვინა (sic, არ გადაიყვანა, შ. მ.) და ისევ ქალაქში მალავდა. ამ ძალიანის დანაშაულისათვის, თუმცა სხვა პატიჟის (სასჯელის, შ. მ.) მიყენების ღირსიც იყო, მაგრამ ამჟამად ეს ვაკმარეთ და მაგ შერმაზანა ნაცვლისათვის ნაცვლობა ჩაშოგვირთმევიაო“[332].

შერმაზანა გამონაკლისი როდი იყო. მას მსგავსი წინაპრებიც ჰყავდა. ი. გიულდენშტედტის სამართლიანი შენიშვნით, თბილისის უვარგისი პოლიცია თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ქალაქში წესრიგისა და სისუფთავის დაცვას. XVIII ს. 70-იანი წ. თბილისის ქუჩები სიბინძურით იყო მოფენილი, რაც ჰაერს წამლავდა და ათასგვარ სნეულებას იწვევდა. სწორედ მსგავსი უსუფთაობის შედეგად თბილისში «моровая язва... похитила в 1700 г. до 4000 человек»[333]. მსგავსი მოვლენა ალბათ არაერთი იყო გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში. დავით ბატონიშვილი, როცა ნაცვლის თანამდებობას ეხებოდა, სხვათა შორის, წერდა: ნაცვლები მეთვალყურეობას უწევენ აგ-

---

[332] ЦГИАГ, 227, № 986.

[333] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 183; Reisen, p. 129.

რეთვე იმას, რომ მემამულეები თავიანთ ქვეშევრდომებს ზომიერად მოექცნენ, არ დაუმძიმონ გადასახადები, არ გამოამეღავნონ ტირანია და გაუკითხაობა. დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში წარადგენენ მოურავის სასამართლოში[334]. ასე რომ, ნაცვალი ქალაქში, გვიანფეოდალური „დებულებების“ ნორმების მიხედვით, ბატონყმური რიგის დამცველი და ფეოდალთა მიერ განუკითხავად ექსპლოატირებული მოსახლეობის მოსარჩლე უნდა ყოფილიყო. ცხადია, იურიდიული ნორმები ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა და ქალაქის ნაცვალი არათუ ექსპლოატირებულთა მოსარჩლედ გამოდიოდა, არამედ თვით ეწეოდა ქალაქის მოსახლეობის დაუნდობელ ძარცვას.

თბილისის უკანასკნელი ნაცვალი ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროს მიკირტუმ სურგუნოვი ზემოხსენებულ მექრთამე შერმაზანას შვილი იყო, რომელსაც ქ. თბილისის მოსახლეობა, როგორც XIX ს. დამდეგის მასალებიდან ირკვევა, „ფარვით მტაცებელს“ უწოდებდა. სწორედ „ფარვით მტაცებლობისა“ გამო მიკირტუმ სურგუნოვი, რუსეთის ხელისუფლების ქართლ-კახეთში დამკვიდრების შემდეგ, გადაუყენებიათ. მაგრამ ხელისუფლებამ მის მაგიერ ნაცვლად უკვე „ცხადად მტაცებლის“ ისაია თაყუაშვილის დანიშვნა მოინდომა. თბილისის მოსახლეობამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასტიკად გაილაშქრა „ცხად მტაცებელ“ ქალაქის ნაცვალ ისაია თაყუაშვილის წინააღმდეგ[335]. ცხადია, ქალაქის მოსახლეობის აშკარად თუ ფარულად მძარცველი, მექრთამე ნაცვლები ქალაქის ექსპლოატირებული მოსახლეობის მოსარჩლედ კი არ გამოვიდნენ, არამედ პირიქით, მათი სახით ქალაქის მოსახლეობა კიდევ ერთს, სათანადო უფლებით აღჭურვილ ექსპლოატატორს იძენდა. ქალაქის მოსახლეობაც თავის მხრივ ყოველგვარ საბაბს იყენებდა, რათა ნაცვლები თანამდებობიდან გადაეყენებინათ. დამახასიათებელია, რომ თბილისის მცხოვრებლებმა სამეფო ხელისუფლებისაგან იმის გამოც მოითხოვეს ქალაქის ნაცვლის გადაყენება, რომ იგი „ფრანგების (კათოლიკების, შ. მ.) ერთი წინაპართაგანიაო“[336].

---

[334] Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н: 11, § 790.

[335] ЦГИАГ, ф. 226, № 9178, 9179, 9181.

[336] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 294.

გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში ზემოხსენებულ უმთავრეს მოხელეთა გვერდით იყვნენ სხვა ხელისუფალნიც, რომელნიც საქალაქო ცხოვრების სხვადასხვა უბნებს განაგებდნენ და რომელნიც აგრეთვე მეფეთა მიერ ინიშნებოდნენ. საქალაქო მმართველობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ციხისთავს. ციხისთავის თანამდებობა ქალაქებში და საერთოდ ქართულ სამოხელეო წყობაში ერთ-ერთ უძველესს წარმოადგენდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციხისთავის თანამდებობა საქართველოს ქალაქებში ჯერ კიდევ VI ს. არის დადასტურებული. ქალაქის ამ მოხელის თანამდებობა, იმავე შინაარსით, შენარჩუნებული იქნა გვიანფეოდალურ ხანაშიც, ოღონდ ციხისთავს XVII—XVIII სს. ზოგჯერ უცხოური ტერმინით, „მინბაშით“ მოიხსენიებდნენ.

რამდენადაც გვიანფეოდალური ხანის თითქმის ყოველ ქალაქს თავისი ციხე ჰქონდა, ციხის გამგებელი ხელისუფალიც, ციხისთავიც უნდა ჰყოლოდა. ამა თუ იმ ქალაქის ციხისთავი იმის მიერ ინიშნებოდა, ვისაც ქალაქი ეკუთვნოდა თუ ემორჩილებოდა. როცა საქართველოს ზოგი ქალაქი უცხო დამპყრობელთა ხელში იყო, ციხისთავი უცხოელ მებატონეთა მიერ დანიშნული და ქალაქში უცხოელთა ბატონობისა და პოლიტიკის განმხორციელებელი იყო. ხოლო როცა ესა თუ ის ქალაქი საქართველოს მეფეთა კუთვნილებას შეადგენდა, ქალაქის ციხე და მისი ციხისთავი ქალაქის მფლობელის ქალაქის მოსახლეობაზე ბატონობის გამტარებელი იყო.

ციხისთავი ჰყავდა ქ. თბილისს, იგი არაერთხელ არის მოხსენებული წყაროებში[337]. ამგვარადვე, დოკუმენტებში ხშირად არის დასახელებული გორის მინბაში ანუ გორის ციხისთავი[338], ქუთაისის ციხისთავი[339], სურამის ციხისთავი[340] და სხვ. ქალაქის ციხისთავის თანამდებობა ქართულ სამოხელეო წყობაში სავსებით შეესატყვისებოდა ქალაქის კომენდანტის თანამდებობას. გაბრიელ ყორღანაშვილი, რომელიც გიორგი XII-ის მიერ თბილისის ციხისთავად იყო დანიშნული, ერთ რუსულად შედგენილ თხოვნაში თა-

[337] პაპუნა ორბელიანი, B_2 გვ. 368, 405 და სხვ. ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 229 და სხვ. ГМГ, ფ. Ad 1353.

[338] საისტორიო მოამბე, I, 1945, გვ. 14, 18, 20, 21.

[339] ГМГ, ფ. Sd 2855; ქრონიკები, II, გვ. 340, К. М: док. № 971, 81; Акты, IV, 378.

[340] ГМГ, ფ. Hd:14. 450.

ვის თავს «тифлисский комендант»-ს უწოდებდა[341]. ციხისთავთა ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობას ქალაქის ციხეში დგომა, ციხეების შენახვა, ციხეში კაცის ე. ი. გუშაგების დაყენება შეადგენდა. ამა თუ იმ ქალაქის ციხის მინბაში უშუალოდ ქალაქის მოურავს ემორჩილებოდა. გორის ციხის მინბაშს ერეკლე II 1790 წ. წერდა: „თუ დაგჭირდებოდეს რამე ციხისთვინ, ან კაცის დაყენება, ან სხვა რამე ამილახვარს შეატყობინებდე, გაარიგებინებდე და გამოართმევდე. დიდად ბეჯითად უნდა იყო იმ ციხის საქმეზე და მუდამ განუშორებლად ამ ციხეში უნდა იყო[342]. ციხისთავი აყენებდა ციხისა და ქალაქის კარებთან მცველებს, სხვადასხვა ადგილებზე გუშაგებს, რომელნიც თვალყურს ადევნებდნენ ქალაქში შემსვლელთ და გამსვლელთ[343]. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ციხისთავს ევალებოდა მისდამი მინდობილ ციხეებში თავისიივე ყმები დაეყენებინა, რომელნიც ამ მოვალეობის შესრულების გამო სამეფო გადასახადებისაგან თავისუფლდებოდნენ. ერეკლე II 1786 წ. ბრძანებდა: „გორის მინბაშობა დიასამიძეს იოვანეს რომ მივეცით, თავისი ყმანი გაუთარხნეთ რომ ციხეში თავისი კაცნი უნდა დაეყენებინა. ის ოქმი დაჰკარგიათ... ახლა ტეტიას უბოძეთ მინბაშობა, როგორც თარხანი ჰყოლიათ თავეთი ყმანი, ახლაც ისევ თარხანი უნდა ჰყვანდესთ, რომ კიდემ ციხეში კაცნი დააყენოს და ციხე კარგად შეინახოს. მოხელეებო! ეს თქვენც კარგად იცით"[344]. თბილისში კი ციხისთავს თავისი გარნიზონი ჰყავდა. ციხისთავის ყმები, რა თქმა უნდა, ციხეში და საერთოდ ქალაქში მცველებად საკმარისი არ იქნებოდა. „ციხეში დგომა" ქალაქის მოსახლეობის ერთგვარი ბეგარა იყო. ასე, რომ ციხის და ქალაქის კარების გუშაგებად ხშირ შემთხვევაში თვით ქალაქის მცხოვრებლები უნდა ყოფილიყვნენ. აღსანიშნავია, რომ 1746 წ. თბილისურ ნასყიდობის წიგნს, ქალაქის მოხელეთა შორის, „ქალაქის უზბაში ისაიაც" ემოწმება[345]. ქალაქის უზბაში (თურქ. ნიშნავს ასისთავს) თვით ქალაქის სამხედრო ხელისუფალი, ქალაქის გარნიზონის ასისთავი უნდა ყოფილიყო და როგორც ასეთი, სამეფო უზბაშებისაგან განსხვავებით, ქალაქის მინბაშის ხელქვეშეთ მოხელედ უნდა მივიჩნიოთ.

---

341 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 99—100; შდრ. აგრ. Акты, IV, с. 378.

342 საისტორიო მოამბე, I, 1945, გვ. 20.

343 შდრ. ალ. ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი, გეორგიანული ისტორია, გვ. 150.

344 საისტორიო მოამბე, I, 1945, გვ. 18.

345 ЦГИАГ, ფ. 229, დაეთ. 2, საბ 99.

ქალაქთა მინბაშებს, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ქალაქის სხვა მოხელეების მსგავსად, თანამდებობიდან სარგო კი არ ჰქონდათ, არამედ მათ სამეფო ხელისუფლება ჯამაგირსა და ულუფას უნიშნავდა. ქ. თბილისის ციხისთავი გაბრიელ ყორღანაშვილი წერდა: მეფე გიორგის დაბრუნების შემდეგ მე დავინიშნე თბილისის კომენდანტად თვეში 30 ვერცხლის მანეთით და გვიანდელი ჩვევებით, ულუფათი. სულ ვიღებდი წელიწადში 600 მანეთს[346]. თბილისის ციხისთავის ულუფა, როგორც სხვა დოკუმენტიდან ჩანს, დღეში ორი ლიტრა პურით, კვირაში სამი ლიტრა ცხვრის ხორცით, დღეში ერთი შაურის სანთლით, კვირაში ლიტრა მარილით, სამი თუნგი ღვინით, სამარხო თევზითა და ხიზილალით განისაზღვრებოდა[347]. ჯამაგირი და ულუფა ჰქონდა აგრეთვე გორის ციხისთავსაც. როგორც თვით გორის მინბაშის იოვანეს ხელწერილიდან ჩანს, მისი ჯამაგირი წელიწადში 6 თუმნით განისაზღვრებოდა. ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გორის მინბაშს (და ასევე თბილისის და სხვ.) ჯამაგირი ისევ ქალაქის შემოსავლიდან, სხვადასხვა სახის ბაჟებიდან ეძლეოდა[348]. ქალაქის ციხისთავების ულუფაც, ცხადია, ქალაქის მოსახლეობას უნდა გაეღო.

ჯამაგირსა და ულუფას გარდა გორის მინბაში გორის მოსახლეობიდან შეშის ბაჟს იღებდა; მისთვის უნდა მიეცათ აგრეთვე გორში შემოზიდული ტივიდან ერთი ხე, რომელსაც სალბაში ეწოდებოდა[349]. ყოველივე ამას გარდა, ქალაქში შემოტანილ საქონელზე წესდებოდა საგანგებო ბაჟი, რომელსაც „ციხის კარის ბაჟი" ან კიდევ „სამინბაშო ბაჟი" ეწოდებოდა. ციხის კარის ანუ სამინბაშო ბაჟი სამეფო ხელისუფლების მიერ ისაზღვრებოდა. ჩვენ მოგვეპოვება თბილისის სამინბაშო ბაჟის გარიგების სამი სხვადასხვა დროინდელი დებულება. ერთი, 1639 წ., როსტომის დროს ეკუთვნის[350], მეორე XVIII ს. დამდეგს და ვახტანგ VI-ის „დასტურლამალშია" მოთავსებული[351], რომელიც ფაქტობრივად პირველს იმეორებს, მესამე კიდევ შედგენილია 1736 წ. და დართული აქვს „დასტურლამალის" ერთ-ერთ, XIX ს. დამდეგის ხელნაწერს[352].

---

346 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 100.

347 იქვე გვ. 106.

348 საისტორიო მოამბე, I, 1945, გვ. 14.

349 იქვე, გვ. 21.

350 ГМГ. Hd: 1559.

351 დასტურლამალი, გვ. 104.

352 სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა (ლენინგრადი), № 153, გვ. 77.

სამინბაშო ბაჟის გარიგების ზემოდასახელებული წიგნები მრავალმხრივ საინტერესოა და მათ მოტანას და ურთიერთშედარებას აქ საჭიროდ მივიჩნევთ:

	შემოტანილი თუ გატაილი საქონლის სახე და რაოდენობა	სამინბაშო ბაჟის რაოდენობა		
		1639 წ. დებულებით	„დასტურლამალით“	1736 წ. დებულებით
1	აბრეშუმი (საპალნე)	1 შაური (5 კაპ.)	1 შაური (5 კაპ.)	1 შაური (5 კაპ.)
2	ფარჩა ბაზირგანის საქონელი (საპალნე)	$^1/_2$ შაური ($2^1/_2$ კაპ.)	$^1/_2$ შაური ($2^1/_2$ კაპ.)	1 ბისტი 1 ფული ($2^1/_2$ კაპ.)
3	ბამბა (საპალნე)	1 ბისტი (2 კაპ.)	1 ბისტი (2 კაპ.)	. .
4	საყათი საწვრილმანო (საპალნე)	2 ფული (1 კაპ.)	2 ფული (1 კაპ.)	
5	თუთუნი (საპალნე)	$^1/_2$ შაური ($2^1/_2$ კაპ.)	$^1/_2$ შაური ($2^1/_2$ კაპ.)	
6	მარილი (საპალნე)	1 ფული ($^1/_2$ კაპ.)	1 ფული ($^1/_2$ კაპ.)	2 ფული (1 კაპ.)
7	ბრინჯი (საპალნე)	1 ფული ($^1/_2$ კაპ.)	—	2 ფული (1 კაპ.)
8	ერბო, თაფლი, ქონი, ხუშკაბარი (საპალნე)	2 ფული (1 კაპ.)	2 ფულ (1 კაპ.)	1 ბისტი, 1 ფული ($2^1/_2$ კაპ.)
9	ნალ-ლურსმანი და რკინა (საპალნე)	2 ფული (1 კაპ.)	—	—
10	მატყლი (საპალნე)	1 ფული ($^1/_2$ კაპ.)	—	—
11	თევზი (ხმელი თევზი, ორაგული, ზუთხი) (საპალნე)	1 ბისტი (2 კაპ.)	1 ბისტი (2 კაპ.)	1 ბისტი (2 კაპ.)
12	ხმელი თევზი (ურემზე)	—	—	1 შაური (5 კაპ.)
13	თევზი გელაქნური (საპალნე)	—	—	4 ცალი
14	ნესვი და საზამთრო (საპალნე)	—	—	2 ფული (1 კაპ.)
15	ხილი (ურემი)	—	—	1 შაური (5 კაპ.)
16	ხილი (საპალნე)	—	—	1 ბისტი (2 კაპ.)
17	კიტრი (საპალნე)	—	—	4 ცალი
18	შაბი (საპალნე)	—	—	2 ფული (1 კაპ.)
19	ტყავი (საპალნე)	—	—	1ბისტი, 1 ფული, ($2^1/_2$ კაპ.)
20	გასაყიდ ყოველ 100 ცხვარზე	2 შაური (10 კაპ.)	2 შაური (10 კაპ.)	—
21	ყველი (საპალნე)	1 ფული ($^1/_2$ კაპ.)	—	—

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, 1639 წლიდან 1736 წლამდე თბილისში სამინბაშო ბაჟი ზოგ პროდუქტზე ერთი-ორად გაზრდილა, მაგ., მარილზე, ერბოზე, თაფლზე, ქონზე და სხვ. ამას გარდა, 1736 წლიდან ქალაქში შემოტანილ ხილზე და ბოსტნეულზედაც დაუწესებიათ სამინბაშო ბაჟი.

მოტანილი ცხრილები იმასაც გვიჩვენებენ, რომ სამეფო ხელისუფლება ცდილობდა განესაზღვრა სამინბაშო ბაჟის რაოდენობა, რომ ამ მხრივ რაიმე ბოროტებას არ ჰქონოდა ადგილი. მაგრამ, როგორც თვით როსტომის ბრძანებიდან ჩანს, ციხის მოხელეები დებულებებს ხშირად არღვევდნენ და ციხის კარით შემოტანილ თუ გატანილ საქონელზე სამინბაშო ბაჟს თვითნებურად იღებდნენ. ყოველივე ამის გამო თავისი 1639 წ. სიგელის როგორც ქართულ, ასევე სპარსულ ვარიანტში როსტომი იძულებული იყო აღენიშნა, რომ ციხის კარის მცველები „უდიერ საქმეს იქმოდეს და ნიადაგ მოქალაქე და უცხო მგზავრ კაცს“ უკანონო გამოსაღებებით აწუხებდნენ. სიგელის სპარსულ ვარიანტში როსტომი წერს: „ზოგჯერ ნუქერები (ციხის კარის მცველები, შ. მ.) ზედმეტს ახდევინებდნენ გამვლელებს და ვაჭრებმა, მომსვლელებმა და გამვლელებმა თბილისის ქალაქის და საქართველოს (ქართლის) ოლქის გლეხებმა ითხოვეს ამის შესახებ დასტურლამალის (დებულების, შ. მ.) მიცემა, რათა ამიერიდან ხსენებული ციხის კარის მცველებმა იმის საფუძველზე იმოქმედონ და ზედმეტს ნუ გადაახდევინებენ ხალხს... ამიერიდან არც ერთი დინარიც და არც ერთი მანი ტვირთი ზედმეტად არ იქნეს გამორთმეული“[353]. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ სამეფო ხელისუფლებას ხშირ-ხშირად სჭირდებოდა სამინბაშო ბაჟის ხელახლა დაწესება, იმაზედაც მიგვითითებს, რომ როსტომის თუ სხვათა ბრძანებაც ჩვეულებრივ ირღვეოდა.

სამინბაშო ბაჟი, როგორც როსტომის სიგელებიდანვე ჩანს, უნდა დახარჯულიყო „ციხის კარის გასამშვენებლად, ე. ი. იმისათვის, რომ ციხე უკეთესი და უფრო ძლიერი შეიქმნას“; მისი ამ მიზნით დახარჯვა თვით ციხის ხელისუფლებაზე (მინბაში, ციხის კარის მცველები) იყო დაკისრებული. ცხადია, რომ ციხის ხელისუფალნი სამინბაშო ბაჟის უდიდეს ნაწილს უფრო თავიანთ სასარგებლოდ იტოვებდნენ, ვიდრე ციხის „გასამშვენებლად და გასაძლიერებლად“. გვიანფეოდალური საქართველოს ყოველ დიდსა და მცირე ქალაქში საბაჟოები არსებობდა. ჩვენი მასალების მიხედვით საბაჟოები და მისი მოხელეები მება-

---

[353] ГМГ, ф. Hd: 1559.

ქეები იყვნენ თბილისში[354], გორში[355], ცხინვალში, ალში, სურამში, ახალდაბაში[356], ანანურში[357], დუშეთში[358], ქუთაისში, ონში[359], ფოთში[360] და სხვ. მხოლოდ მასალების ნაკლებობით აიხსნება, რომ ჩვენთვის ცნობილ დოკუმენტებში არ არის დასახელებული თელავისა და სიღნაღის საბაჟო და მებაჟეები. დავით ბატონიშვილის სამართლიანი განცხადებით, საბაჟოები ყოველ ქალაქში უნდა ყოფილიყო[361]. საბაჟოების უმთავრეს მოვალეობას დიდ თუ მცირე ქალაქებში შემოტანილ საქონელზე ბაჟის აღება შეადგენდა. ამას გარდა, მათ უნდა დაეთვალიერებინათ უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი, ასევე შეემოწმებინათ უცხოეთში გასატანი ადგილობრივი ნაწარმი[362]. დავით ბატონიშვილისავე ცნობით, ყველა საქონელზე (ქკეუნის შიგნიდან გასატანი თუ შემოსატანი), რომლებზედაც არ იყო ნებართვა, ხაზინას კონფისკაცია უნდა მოეხდინა. ამას გარდა ის მებაჟე, რომელიც ამგვარ საქონელს გაატარებდა, ჯარიმის სახით გადაიხდიდა აკრძალული საქონლის 7-ჯერ მეტ ღირებულებას[363]. ყოველ ქალაქში შემოტანილ თუ გატანილ საქონელზე დაწესებული იყო ე. წ. „საბაჟო გამოსაღები" (таможенные сборы). საბაჟო გამოსაღებთა ტარიფი, დავით ბატონიშვილის ცნობით, სახელმწიფოს ყოველწლიურად უნდა დაეწესებინა[364]. იქნებ დავით ბატონიშვილის ეს ცნობა გაზვიადებული იყოს, მაგრამ ერთი მაინც ცხადია: ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით იცვლებოდა საბაჟო ტარიფიც, რაც მის ხელახლა შედგენის აუცილებლობას იწვევდა. მიუხედავად ამისა, ჩვენამდე მხოლოდ თითო-ოროლა ამგვარმა ტარიფმა მოაღწია, რომელთა მოტანასაც აქ საჭიროდ მივიჩნევთ.

---

354 ЦГИА, ფ. 229, დავთ. 22, საბ. 93; იქვე, ფ. 227, № 974, 971 და სხვ.

355 Акты, I, с. 20; თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის ისტ. საბუთები, გვ. 5; ЦГИАГ, ფ. 226, № 2112; იქვე, № 9128 და სხვ.

356 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 25, საბ. 43.

357 იქვე, ფ. 230, დავთ. № 3, აღწ. 28, საბ. 16.

358 იქვე, ფ. 229, დავთ. 29, საბ. 71.

359 КМ, док. № 787, Акты, т. IV, с. 378.

360 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დას. საქართველოს საეკლ. საბუთები, I, გვ. 45.

361 Царевич Д а в и д, Обозрение Грузии, ИВАН, Н: 11, § 843.

362 იქვე.

363 იქვე, § 850.

364 იქვე, № 843.

საბაჟო გამოსაღებთა შეფარდებითი ცხრილი

	შემოსული და გასული საქონლის სახეობა და რაოდენობა	საბაჟო გამოსაღებთა რაოდენობა			
		თბილისში		გორში	ანანურში
		„დასტურლამალი“ [365]	1736 წ. გარიგებით[366]	„დასტურლამალი“ [367]	1754 წ. გარიგებით[368]
1	ფარჩა (თავრიზის) თუმანზე	10 შაური (50 კაპ.)	1 აბაზი (20 კაპ.)	—	5 შაური (25 კაპ.)
2	ფარჩა (საპალნე, გაუხნელად)	—	—	3 მინალთუნი (3 მან.)	—
3	საყათე (აქლემის საპალნეზე)	27 შაური (1 მან. 70 კაპ.)	2 მან. 1 ბისტი (2 მ. $2^1/_2$ კაპ.),	—	—
	„ (ცხენის, ჯორის, ხარის საპალნეზე)	18 შაური (90 კაპ.)	27 შაური (1,70 კაპ.)	—	—
4	ურდვარის ფარჩა ხამხალათი (აქლემის საპალნე)	11 აბასი (2 მან. 90 კაპ.)	14 აბაზი (2 მან. 40 კაპ.)	2 მინალთუნი (2 მან.)	—
	„ (ცხენისა და ჯორის საპალნე)	—	—	—	—
	„ (ვირის საპალნე)	—	11 აბაზი (2, 20 კაპ.)	—	—
	აბრეშუმი ბათმანზე	1 აბასი (20 კაპ.)	1 მინ. 2 შაური (12, 10 კაპ.)	—	—
5	აბრეშუმი (აქლემის საპალნე)	9 მინალთ. (9 მან.)	2 მინალთ. (2 მან.)	—	—
	„ ბაზირგინის (აქლემის საპალნე)	—	2 აბაზი (40 კაპ.)	—	—
	„ (ცხენის საპალნე)	—	1 აბაზი (20 კაპ.)	—	—
	„ (ალვანის დასტაზე)	—	7 კულნახევარი (4 კაპ.)	—	—
6	ბამბა (აქლემის, ცხენის, ჯორის, ხარის)	2 აბასი (40 კაპ.)	10 შაური (50 კაპ.)	—	10 შაური (50 კაპ.)
	„ (ვირის საპალნე)	—	5 შაური (25 კაპ.)	—	—
7	ენდრო (აქლემის საპალნე)	2 აბასი (40 კაპ.)	—	20 კაპ. (აბასი)	—
	„ (ცხენის, ჯორის, ხარის საპალნე)	1 აბასი (20 კაპ.)	5 შაური (25 კაპ.)	—	—

[365] დასტურლამალი, გვ. 100.
[366] სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა (ლენინგრადი), Груз. рукоп., № 153, лл. 75—76.
[367] დასტურლამალი, გვ. 20.
[368] ЦГИАГ, ფ. 230, დავთ. 3, აღწ. 28, საბ. 16.
*. მსხვილი საფოსლები, ხამხა-ოქროქსოვილი (საბა).

	შემოსული და გასული საქონლის სახეობა და რაოდენობა	საბაჟო გამოსაღებთა რაოდენობა			
		თ ბ ი ლ ი ს ი		გ ო რ შ ი	ა ნ ა ნ უ რ ი
		„დასტურლამალი“	1736 წ. გარიგებით	„დასტურლამალი“	1754 წ. გარიგებით
	ენდრო (ვირის საპალნე)	—	2 შაური 1 ბისტი და ფული ($12^1/_2$ კაპ.)	—	—
8	ერბო ან თაფლი (აქლემზე)	2 აბასი (40 კაპ.)	—	1 აბასი (20 კაპ.)	—
	„ (ცხენის, ჯორის, ხარის საპალნე)	1 აბასი (20 კაპ.)	3 შაური (15 კაპ.)	—	—
9	წინდა (საპალნე აქლემისა)	10 შაური (50 კაპ.)	—	—	—
	„ (ცხენის საპალნე)	5 შაური (25 კაპ.)	—	—	—
10	მატყლი (აქლემის საპალნე)	2 აბასი (40 კაპ.)	—	—	—
	„ (ცხენის, ჯორის, ხარის საპალნე)	1 აბასი (20 კაპ.)	25 შაური (25 კაპ.)	1 აბასი (20 კაპ.)	—
	„ (ვირის საპალნე)	—	2 შაური, ბისტი და ფული ($12^1/_2$ კაპ.)	—	—
11	ბრინჯი, რკინა, შაბი (აქლემის საპალნე)	3 შაური (15 კაპ.)	—	5 შაური (25 კაპ.)	—
	„ (ცხენის, ჯორის, ხარის საპალნე)	2 შაური (10 კაპ.)	3 შაური (15 კაპ.)	—	—
	„ (ვირის საპალნე)	—	შაური, ბისტი, ფული ($7^1/_2$ კაპ.)	2 ბისტი (4 კაპ.)	1 ლიტრა
12	მარილი (საპალნეზე)	1 შაური (5 კაპ.)	1 შაური (5 კაპ.)	—	—
13	ქიშმიში (ხუშკაბარი) (აქლემის საპალნე)	$1^1/_2$ ლიტრა	—	—	—
	„ (ცხენის, ჯორის, ხარის)	1 ლიტრა	1 ლიტრა	—	—
	„ (ვირის საპალნეზე)	—	$^1/_2$ ლიტრა	—	—
14	თამბაქო (საპალნე აქლემისა)	$1^1/_2$ ლიტრა	—	—	—
	„ (აქლემის, ცხენის)	1 ლიტრა	1 ლიტრა	—	—
15	ზეთი (საპალნე ცხენის, ხარის)	1 აბასი და 6 შაური ($22^1/_2$ კაპ.)	6 შაური (30 კაპ.)	—	—
16	ორაგულის (საპალნეზე)	2 ცალი	$1^1/_2$ ცალი	—	—
17	გელაქნური (საპალნეზე)	12 ცალი	12 ცალი	—	—
18	ხმელი თევზი (საპალნეზე)	18 შაური (90 კაპ.)	6 შაური (30 კაპ.)	1 აბაზი (20 კაპ.)	5 შაური (25 კაპ.)
19	ბეწვეული (საპალნეზე)	—	2 მინალთ. (2 მან.)	—	—

	შემოსული და გასული საქონლის სახეობა და რაოდენობა	საბაჟო გამოსაღებთა რაოდენობა			
		თ ბ ი ლ ი ს შ ი		გ ო რ შ ი	ა ნ ა ნ უ რ შ ი
		„დასტურლამალი“	1736 წ. გარიგებით	„დასტურლამალი“	1754 წ. გარიგებით
20	ნალი (ცხენის, ჯორის, საპალნე)	—	5 შაური (25 კაპ.)	—	—
	„ (ვირის საპალნე)	—	2 შაური, 1 ბისტი, ფული ($12^1/_2$ კაპ.)	—	—
21	ლილა თავრიზის (ლიტრაზე)	—	1 შაური (5 კაპ.)	—	—
22	გუნდა და სპილენძი (ცხენის, ხარის, ჯორის)	—	10 შაური (50 კაპ.)	—	—
23	„ (ვირის საპალნეზე)	—	5 შაური (25 კაპ.)	—	—
24	ნესვი და საზამთრო (საპალნეზე)	—	3 ცალი	—	—
25	კიტრი (ცხენის, ჯორის, ხარის საპალნეზე)	—	12 ცალი	—	—
	„ (ვირის საპალნეზე)	—	6 ცალი	—	—
26	ხმელი ტყავი (ცხენის, ჯორის, ხარის საპალნეზე)	—	5 შაური (25 კაპ.)	—	—
	„ „ (ვირის საპალნეზე)	—	2 შაური, 1 ბისტი, 1 ფული ($12^1/_2$ კაპ.)	—	ერთი თუნგი
27	ღვინო (საპალნე)	—	—	—	—

მოტანილი ცხრილი წარმოდგენას გვაძლევს იმ ცვლილებებზე, რაც თბილისის საბაჟო ტარიფში მოხდა 1709 წლიდან 1736 წლამდე. ამას გარდა, იგი იძლევა ცნობებს იმის შესახებაც, თუ რამდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან შედარებით მსხვილ და მცირე ქალაქებში შემოსულ საქონელთა სახეობა და მათი ბაჟი.

ზემომოტანილი ტარიფის მიხედვით უნდა აღებულიყო ბაჟი ყოველ საქონელზე. ზოგიერთ საქონელზე, როგორც ვნახეთ, ბაჟს არა საპალნეებით, არამედ მათი საფასურის მიხედვით იღებდნენ; საბაჟო საქონლის შესაფასებლად კი თბილისში სათანადო პირები იყოფოდა: საბაჟოებში შემოსატანი და გასატანი საქონლის შეფასებას ორი მდივანბეგი ესწრებოდა. ძოურავი, ნაცვალი და ორი კაცი ვაჭრებიდანო, წერდა დ. ბატონიშვილი[369], აღსანიშნავია, რომ ზოგი საქონელი, მაგალითად, ყოველგვარი საომარი იარაღი საქართველოს ყველა ქალაქში ნებადართული იყო უბაჟოდ შემოეტანათ[370].

საბაჟო გამოსაღებების აკრება, ისე როგორც სხვა სახის გამოსაღებებისა, გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში კერძო პირებზე იჯარით გაიცემოდა. იჯარით იყო გაცემული ზოგჯერ ამა თუ იმ ქალაქის ბაჟი მთლიანად, ზოგჯერ კიდევ ქალაქის ბაჟი შემოტანილ საქონელთა სახეების მიხედვით ნაწილდებოდა და ცალ-ცალკე იჯარით გაიცემოდა. დავით ბატონიშვილი წერდა: „საბაჟო გამოსაღები რამდენიმე სახედ იყოფოდა და შესასყიდად ეძლეოდათ კერძო პირებს[371]. გორში, როგორც ირკვევა, ბაჟის ერთი იჯარადარი იყო, ასევე იყო მცირე ქალაქებშიც — ცხინვალში, ალში, ანანურში და სხვ. თბილისში კი ბაჟის რამდენიმე იჯარადარი უნდა ყოფილიყო. მაგ., ცალკე იყო „თამბაქოს იჯარა", „საბეჭდავის", ანუ „ჩითის საბეჭდავის იჯარა", „ლეინის იჯარა", „არყის იჯარა", „თევზის ბაჟის იჯარა"[372], „მარილის იჯარა"[373]. ყველა ამას ცალ-ცალკე თავისი იჯარადარი ჰყავდა, რომელნიც „მებაჟეებად" ან კიდევ „ბაჟის იჯარადრებად" იწოდებოდნენ. ამით აიხსნება, რომ საბუთებში ყოველთვის „ქალაქის (თბილისის შ. მ.) მებაჟეენი" მრავლობით რიცხვში მოიხსენიებიან[374]. მებაჟეებად, ბაჟის მო-

---

[369] Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н: 11, § 860.

[370] იქვე, § 855.

[371] იქვე, § 845.

[372] ГМГ, ფ. Hd: 3622.

[373] ЦГИАГ, ფ. 226, № 5169.

[374] ЦГИАГ, ფ. 226, № 1360; იქვე, ფ. 227, № 97 4; იქვე, ფ. 229, დავთ. 22, საბ. 93.

იჯარადრეებად უმთავრესად ქალაქის შეძლებული ვაჭრები იყვნენ, რომელნიც იჯარიდან თავიანთი შემოსავლის გაზრდის მიზნით ქალაქში მომსვლელ ვაჭრებს, თუ ადგილობრივ მოსახლეობას გაცილებით მეტს ახდევინებდნენ, ვიდრე ეს ზემომოტანილი სახელმწიფო ტარიფებით იყო განსაზღვრული. ბაჟების იჯარით გაცემის სისტემა ამის ფართო შესაძლებლობას იძლეოდა. ასე რომ, თვით მოქალაქეთა წრიდან გამოსული მებაჟე მოიჯარადრეები ამ მხრივაც ქალაქის მოსახლეობის ექსპლოატაციას ეწეოდნენ.

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს საბაჟო სისტემა მნიშვნელოვნად აფერხებდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. სამეფო ქალაქებში სახელმწიფოსა და ქალაქის სხვადასხვა მოხელეების სასარგებლოდ განკუთვნილ სხვადასხვა სახის ისედაც მძიმე ბაჟს ერთვოდა თვით მებაჟე მოიჯარადრეთა თვითნებობაც. სათავადო ქალაქებში კი, მაგ., ანანურში, არაგვის საერისთავოს გაუქმებამდე, მებაჟე თავადობა იყო და ბაჟიც მის სასარგებლოდ მიდიოდა[375]. აღსანიშნავია, რომ თავადები ბაჟს იღებდნენ არა მარტო მათ ქალაქებში შემოტანილ, არამედ მათ მამულზე გატარებულ საქონელზედაც კი. ორბელიანების შემოსავლის 1619 წ. ნუსხაში სხვათა შორის ნათქვამია: „ბოლნისზე თუ თრიალეთზე ან ჩვენს მამულში რაც ქარავანი გაივლის ბაჟი სულ ჩვენა: აბრეშუმზე აბაზი, ენდროზე და ბამბაზე ორი შაური, ფარჩაზე ექვსი შაური, ხიზილალაზე, თევზზე ერთი შაური, ბრინჯზე ერთი შაური“[376]. ამგვარადვე გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეშიც; 1766 წ. გიორგი ბატონიშვილი ბრძანებდა: „ვინცა ვინ ოსმალოდამ ან სხვას ქვეყნიდამ სავაჭრო საქონელი წამოიღოთ და ყაფლანისშვილის მამულში გამოატაროთ, თავიანთი ბაჟი მიეცით, როგორც ბატონის (მეფის, შ. მ.) ბრძანება არის და ბატონის განაჩენი უჭირავსთ ამ რიგათ მიეცით“[377]. მსგავსი `სათავადო საბაჟოები იყო სხვაგანაც. ასე რომ, საქონელი, სანამ ამა თუ იმ ქალაქს ჩააღწევდა, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დაშლილობისა გამო, გზაზე ბაჟს რამდენიმეჯერ იხდიდნენ, რაც, ცხადია, მნიშვნელოვნად აბრკოლებდა ვაჭრობის განვითარებას, შინაგანი ერთიანი ბაზრის წარმოქმნას.

მებაჟეები, ანუ ბაჟის იჯარადარნი ქალაქში ფაქტობრივად მეფის მოხელენი იყვნენ და ამიტომაც ამა თუ იმ პირის ან კიდევ ეკლესიის ვაჭართა თუ საქონლის ბაჟისაგან განთავისუფლებას,

---

[375] ЦГИАГ, ფ. 230, დათ. 3, აღწ. 28, საბ. 16.

[376] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 443.

[377] ЦГИАГ, ფ. 229, დათ. 4, საბ. 200; შდრ. იქვე, საბ. 201.

სხვა მოხელეებთან ერთად, მებაჟეებსაც აცნობებდნენ. გიორგი XII 1798 წ. ბრძანებდა: „ჩვენ მაგიერად ტფილისის ქალაქის მოურავს ევსტათის და მელიქს დარჩიას და ქალაქის (თბილისის, შ. მ.) ყოველს მებაჟეს ასე ეუწყოსთ... წმინდის ნათლისმცემლის მონასტრის ყმანი ჩვენგან ბაჟისაგან გათარხნებულნი არიან და როდესაც ნათლისმცემლის მონასტრის ყმათა სავაჭრო ან ქალაქში მოიტანონ და ივაჭრონ... ამათ ბაჟი არავინ გამოართვათ... მხოლოდ მონასტრის ყმა თავისი საქონლით არის თარხანი და თუ სხვის საქონელი გაურია და იმისი ბაჟი მოგუპარა, თავისასაც შვიდეულათ წავართმევთ და იმასაც იცოდეთ“[378]. ქალაქის მოხელეებთან ერთად, მებაჟეებსაც მეფეთაგან ებრძანებოდათ თვალყური ედევნებინათ არა მარტო აკრძალული საქონლის, არამედ აგრეთვე ცალკეული ფულის ერთეულის საზღვარგარეთ გატანისათვის. გიორგი XII მელიქ-მამასახლისს, ნაცვალს და მებაჟეებს უბრძანებდა: „ჩვენი აბაზი არავინ გაიტანოს ქალაქიდამ. ვისაც უნდოდეს ოქრო გაიტანოს, თუ ჩვენი აბაზი გაიტანა ვინმე და შეამჩნიოთ, ჩვენი სარქრისათვის უნდა წაართვათო“[379].

ქალაქის მებაჟეებს ქალაქის მოხელეთა, განსაკუთრებით მოურავის, ნაცვლის, კონტროლის ქვეშ უნდა ემოქმედათ და ამიტომაც, როგორც ზემოთ იყო მითითებული, მოურავს და ნაცვალს ქალაქის ბაჟი ან სათანადო სარგო ჰქონდათ განწესებული.

ფეოდალური საქართველოს ქალაქების ერთ-ერთ უძველეს მოხელეს მესასწორეც წარმოადგენდა, რომელიც X—XIII სს. „მეკოშრედ“, ხოლო გვიანფეოდალურ ხანაში „ყაფანდარად“ იწოდებოდა. თბილისის ერთ-ერთ საბუთში მოწმეთა შორის მოხსენებულია „ყაფანდარი გეურქა“[380]. ყაფანდარის ანუ ყანთარჩიბაშის მოვალეობა შემდეგნაირად ჰქონდა წარმოდგენილი იოანე ბატონიშვილს: „ყანთარჩიბაში, ე. ი. წონისა უფროსი ისე ასწონიდეს მძიმეთა საქონელთა ვითარცა არის ჩვეულება, ამას აქუნდეს გასაყიდნი, სასწორნი, ადლნი, საწყაონი, ჩაფნი სპილენძისანი და ესე ვითარნი... დაბეჭდილნი სამეფოს ბეჭდით, რომ ამწონებში არავინ იყოს მომტყუებელი“[381]. როგორც ჩანს, ყაფანდარი, როგორც სამეფო მესასწორე, ქალაქში შემოტანილ მხოლოდ „მძიმე საქონელთა“ ამწონი იყო. სხვა წვრილმან საქონლის აწონ-გაზომვას თვით გამ-

---

[378] ЦГИАГ, ფ. 227, № 974.
[379] იქვე, ფ. 226, № 843.
[380] ЦГИАГ, ფ. 229, დათ. 16, საბ. 73.
[381] ГМГ, Hd 2155, გვ. 10.

ყიდველები აწარმოებდნენ, რომელთაც სათანადო საზომ-საწყაოები ყაფანდრისაგან ანუ ყანთარჩიბაშისაგან უნდა ეყიდათ. ასე რომ, ყანთარჩიბაში სამეფო ხელისუფლების მიერ „დაბეჭდილ“ საზომ-საწყაოთა გამყიდველიც უნდა ყოფილიყო.

ყაფანდარს, როგორც ქალაქის მთავარ მესასწორეს, სახელმწიფო ყაფანი (სასწორი) ებარა და მის უპირველეს მოვალეობასაც სწორედ სახელმწიფო სასწორზე სათანადო ბაჟის აღება შეადგენდა. მსხვილ ქალაქებში სახელმწიფო სასწორისათვის „ყაფანის ბაჟი“ იყო დაწესებული[382]. „ყაფანის ბაჟსაც“ სამეფო ხელისუფლება განსაზღვრავდა. ჩვენ, სამწუხაროდ, მხოლოდ თბილისის და ისიც მხოლოდ ორი, სხვადასხვა დროს შედგენილი ყაფნის ბაჟის გარიგების წიგნი მოგვეპოვება. საყაფანდრო ბაჟის რაოდენობა და მისი ცვლილება წლების განმავლობაში ზემოხსენებულ გარიგების წიგნების მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

№	ასაწონი საქონლის სახე და რაოდენობა	ყაფნის ბაჟის რაოდენობა	
		„დასტურლამალი“ [383]	1736 წ. გარიგებით[384]
1	ფქვილი, ხორბალი, ქერი, ფეტვი (მძიმე თავი) (საპალნე)	1 ბისტი (2 კაპ.)	1 ბისტი (2 კაპ.)
	„ (მსუბუქი თავი)	—	2 ფული (1 კაპ.)
2	ბრინჯი. შაბი, წაბლი (საპალნე)	1 ბისტი (2 კაპ.)	1 ბისტი (2 კაპ.)
3	ბამბა (ერთ ცალზე)	1 შაური (5 კაპ.)	—
	„ (საპალნე)	—	2 შაური (10 კაპ.)
4	ენდრო (ცალი) (საპალნე)	$^1/_2$ შაური ($2^1/_2$ კაპ.)	1 ბისტი და ფული ($2^1/_2$ კაპ.)
5	მატყლზე (ცალზე)	$^1/_2$ შაური ($2^1/_2$ კაპ.)	—
	„ (საპალნე)	. . . . .	1 შაური (5 კაპ.)
6	თაფლზე, ერბოზე, ქონზე (ცალზე)	$^1/_2$ შაური ($2^1/_2$ კაპ.)	—
	„ (100 ლიტრაზე)	—	2 შაური (10 კაპ.)
7	საყათო (ცალზე)	1 შაური (5 კაპ.)	—
8	ზეთისხილი (ზეითუნი) (საპალნეზე)	1 შაური (5 კაპ.)	1 შაური (5 კაპ.)
9	რკინა და სპილენძი (საპალნე)	1 ბისტი (2 კაპ.)	1 ბისტი (2 კაპ.)
10	ძროხაზე	1 შაური (5 კაპ.)	1 შაური (5 კაპ.)
11	ცხენზე და ჯორზე	1 აბაზი (20 კაპ.)	1 აბაზი (20 კაპ.)
12	ვირზე	2 შაური (10 კაპ.)	1 შაური (5 კაპ.)
13	აქლემზე	—	14 შაური (70 კაპ.)
14	ხმელი ტყავი (საპალნე)	—	—
15	ხუშკაბარი (ქიშმიში?) (საპალნე)	—	1 ბისტი და ფული ($2^1/_2$ კაპ.) 1 შაური (5 კაპ.)

[382] ЦГИАГ, ფ.229, დავთ. 51, საბ. 220.

[383] დასტურლამალი, გვ. 91—92.

[384] სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა (ლენინგრადი), Груз. рукоп., № 153, л. л. 76—77.

ყაფნის ბაჟი, ისე როგორც სხვა სახის ბაჟები, გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში იჯარით გაიცემოდა. მოიჯარადრეს „ყაფანდარს“ ან კიდევ „ყაფნის იჯარადარს“ უწოდებდნენ. ყაფანი, ანუ ყაფანის ბაჟი, XVIII ს. დამდეგს, როგორც ვახტანგ VI-ის „დასტურლამალშია“ აღნიშნული, იჯარით წლიურად ხან ორმოც თუმნად (400 მან.), ხან კიდევ მეტ-ნაკლებად გაიცემოდა[385].

გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქების მოხელეთა შორის დასახელებული უნდა იქნეს აგრეთვე „ქალაქის მწერალი“, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, ქართულ საბუთებში უცხოური ტერმინით—„მუშრიბად“ მოიხსენიება. „მუშრიბი“, როგორც ქალაქის ერთ-ერთი მოხელე, მოხსენებულია ჯერ კიდევ XIV ს. „ჯელმწიფის კარის გარიგებაში“[386]; ლუარსაბ I-ის 1546 წ. სიგელში მუშრიბი ქალაქის ამირათამირას, მამასახლისის და ნაცვლის გვერდით არის დასახელებული[387]. ქალაქის მწერლის ანუ მუშრიბის თანამდებობა შედარებით მსხვილ ქალაქებში უნდა ყოფილიყო, ამით აიხსნება, ალბათ, რომ ჩვენთვის ცნობილ საბუთებში მხოლოდ თბილისისა და გორის მწერლები არიან დასახელებული. მაგ., 1737 წ. საბუთს სხვათა შორის ემოწმება „ქალაქის (თბილისის შ. მ.) მწერალი ფარსადანა“[388], იოანე პენტელოვი XIX ს. დამდეგს აცხადებდა: „მეფის ირაკლის ბრძანებით ქალაქის მწერლად ვიყავი, ეს ფეიქარი, ოსეფა ბატონიშვილების ყმობით (ყმად) დამიწერიაო“[389]. გორის მუშრიბი, გორის მებაჟესთან ერთად, დასახელებულია ვახტანგ V-ის (შაჰ-ნავაზის) 1662 წ. ბრძანებაში: „გიბრძანებთ გორის მუშრიბო და მებაჟენო რა რიგადაც ამ წიგნით (ბაჟის ნაწილი კათალიკოსისათვის) შეგვეწიროს, თქუენც მესამედს ნუ დააკლებთო“[390]. იგი დასახელებულია აგრეთვე ერეკლე II-ის 1791 წ. ბრძანებაშიც[391]. ქალაქის მწერალთა უპირველესი მოვალეობა ქალაქის მოსახლეთა აღწერა და მათი კუთვნილების აღნიშვნით (თუ ვისი ყმა იყო) სახელმწიფო დავთარში შეტანა იყო. ამას გარდა, როგორც ერეკლე II-ის 1771 წ. ბრძანებიდან ჩანს, ქალაქის მწერალთა მოვალეობას „ქალაქის სახლების, მამულებისა და ბაღების“ აღწერა შეადგენდა[392]. ქალაქის მოსახლეობისა და მათი ქონებრივი

385 დასტურლამალი, გვ. 92.
386 ჯელმწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 9.
387 ისტორიული საბუთები, III. გვ. 61.
388 იქვე, V, გვ. 53.
389 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 54, საბ. 179.
390 Акты, с. 20.
391 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 46, საბ. 184.
392 ЦГИАГ, ფ. 226, № 1362.

ავლადიდების აღწერა, როგორც „დასტურლამალიდან“ ჩანს, „შვდს წელიწადში ერთხელ მოხდების, კომლზედ ორი შაური ასამწერლო არის“[393]. „ქალაქის მწერლის“ ერთი მოვალეობა აგრეთვე ქალაქის საბაჟოში შემოსული საქონლის აღწერა იყო. ამით აიხსნება, ჯერ ერთი, ის, რომ შაჰნავაზი გორის მებაჟეებთან ერთად გორის მუშრიბსაც აფრთხილებდა კათალიკოსისათვის გორის ბაჟის მესამედი არ დაეკლოთ. ამას გარდა, როგორც „დასტურლამალიდან“ ჩანს, ქალაქის ბაჟში სამუშრიბო, „მუშრიბანა“ გამოსაღებიც იყო გათვალისწინებული: „ბამბის საპალნე, აქლემს ჰკიდია თუ ულაესა, საპალნეზე ორი აბასი არის... ერთი შაური მუშრიბანა არის“; „ზეთის საპალნეზედ ერთი აბაზი და მუშრიბანა ნახევარი შაური“; „ჩვენის (სამეფო, შ. მ.) მოქალაქის აბრეშუმისა და ფარჩის საპალნეზედ სამ-სამი აბასი მუშრიბანა აიღების, რამდენიც საპალნე იქნების“[394]. „დასტურლამალის“ ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ ქალაქის მწერალი საბაჟოში შემოსული საქონლის აღწერას აწარმოებდა, მაგრამ აქედან იმგვარი დასკვნის გაკეთება როდი შეიძლება, რომ ქალაქის მუშრიბი მარტოოდენ „ქალაქის საბაჟოში შემოსული საქონლის აღმწერელი მოხელე“ ყოფილიყო[395].

ქალაქის მწერალთა მიერ აღწერილ ქალაქის მოსახლეობაზე სათანადო სახელმწიფო და საქალაქო გამოსაღებების გაწერასა და აკრებას საგანგებოდ გამოყოფილი მოხელეები, ერეკლეს 1771 წ. ბრძანების მიხედვით, ე. წ. „ქალაქის თეთრის (ფულის) მკრეფელნი“ აწარმოებდნენ. სახელმწიფო და საქალაქო გამოსაღებთა (მალი, მახტა, ჰასასის ფული და სხვ.) ამკრებებად თვით მოქალაქეთაგან გამორჩეული პირები იყვნენ, რომელთაც „გამორჩეულ მოქალაქეებს“ ან კიდევ „მახთის მკრებელთ“[397] და ზოგჯერ „მალის მკრებელთ“[398] უწოდებდნენ. თბილისის მოქალაქენი XIX ს. დამდეგს საქართველოში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს წერდნენ: „ჩვენ გვაქვს ჩვეულება დროთა და დროთ აღმოვირჩიოთ სამი კაცი კმასაყოფელად ჩვენი სამოქალაქოდ საზოგადო საჭიროების საზრუნებლადო“[399]. ამგვარად არჩეული მოქალაქეების ერთ-ერთ მოვალეობას მახტის, მა-

[393] დასტურლამალი, გვ. 86.

[394] იქვე, გვ. 106.

[395] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართლის სამეფოს სამოხელეო წყობა „დასტურლამალის“ მიხედვით, (ხელნაწერი), გვ. 221.

[396] ЦГИАГ, ф. 226, № 362.

[397] ЦГИАГ, ф. 226, № 1267.

[398] იქვე, ф. 230, დავთ. 1, ნაწ. II, საბ. 185.

[399] ЦГИАГ, ф. 16, д. 792, ф. 3.

ლისა და სხვ. სახელმწიფო გამოსაღებთა გაწერა და აკრება შეადგენდა[400]. მსგავსი პირები ირჩეოდა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებში. XIX ს. 30-იან წლებში, ძველიდანვე არსებული ჩვეულების თანახმად, გორშიც ირჩევდნენ სათანადო პირებს «для сбора суммы на общественныя потребности по городу Гори[401]», ამგვარადვე სიღნაღშიც, «для исправления городских обязанностей» 2 კაცი აურჩევიათ[402]. მსგავსი არჩევნები მომხდარა დუშეთში[403] და სხვ. როგორც სათანადო საარჩევნო ფურცელშია ნათქვამი, საქალაქო საქმეებისათვის ქალაქის მცხოვრებთაგან არჩეულ პირთა მოვალეობას ქალაქის „შესახვედრი საქმისა და გამოსაღების შემოწერის“ აღსრულება შეადგენდა[404].

მახტის, მალის თუ სხვა სახელმწიფო და საქალაქო გამოსაღებთა გამწერებისა და ამკრებლების არჩევა ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის ერთგვარ პრივილეგიას წარმოადგენდა. ამიტომაც გადასახადთა ამკრებლებად ყოველთვის მსხვილი, შეძლებული და გავლენიანი ვაჭრები იყვნენ, რომელთაც თითქოს საამისო ცოდნა და გამოცდილება გააჩნდათ. მსხვილი ვაჭრები, ცხადია, მათთვის მინიჭებულ უფლებას თავიანთი ინტერესებისათვის იყენებდნენ, გადასახადებს მოსახლეობას შორის, როგორც ზემოთ დავინახეთ (იხ. თავი III), არაწესიერად ანაწილებდნენ, აკრებილ გადასახადთა ერთ ნაწილს თვით ითვისებდნენ და ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად სათანადო საგადასახადო დავთრებსაც სპობდნენ.

გვიანფეოდალურ ქალაქებში მეფის მოხელეებად იყვნენ ე. წ. მებეითალმნეებიც“—უმემკვიდრეოდ ამოვარდნილ თუ გაქცეულ მოქალაქეთა და სამეფო ყმათაგან ქალაქში დარჩენილ „ბეითალმან“ ქონებათა გამგებელნი. „მებეითალმანე“ თბილისურ საბუთებში ხშირად გვხვდება. მებეითალმანეს მოვალეობას ქალაქში უპატრონოდ დარჩენილ, ამოვარდნილ თუ გაქცეულ სამეფო ყმათა და მოქალაქეთა ქონების სახაზინოდ გადარიცხვა და ამა თუ იმ ბეითალმანი სახლის, დუქნის თუ სახლის ალაგის და სხვა იმ პირებისადმი გადაცემა შეადგენდა, რომელთაც ამის შესახებ მეფის სათანადო ბრძანება ექნებოდათ. ერეკლე II 1784 წ. ბრძანებდა: „ჩვენი ბრძანება არის, მელიქო ავეტიქ და მებეითალმანევ ნაზარბეგისაშვილო ოსეფ! მერე, ეს დადაშაანთ გასპარის სახლი ამ გურ-

---

400 იქვე, დ. 182, ფ. 2,4.
401 იქვე, დ. 5252, ფ. 18.
402 იქვე, დ. 5252, ფ. 34—35.
403 იქვე, დ. 5252, ფ. 36.
404 იქვე, დ. 5429, ფ. 37.

გენასთვინ გვიბოძებია და ამას მოაბარეთ"[405]. მსგავსი ბრძანებების მოტანა კიდევ შეიძლებოდა[406], მაგრამ ესეც საკმარისი ჩანს მებეითალმნეს მოვალეობის გასარკვევად. მებეითალმნე, როგორც ჩანს, უშუალოდ ქალაქის მელიქ-მამასახლისს ექვემდებარებოდა და მასთან ერთად გასცემდა ამა თუ იმ პირზე ბეითალმან ქონებას.

ქალაქის მოხელეთა შორის აქვე უნდა მოვიხსენიოთ „ჯარჩებიც" (глашатай). ჯარჩები უნდა ყოფილიყვნენ თითქმის ყველა ქალაქში, მაგრამ ჩვენთვის ცნობილ საბუთებში მხოლოდ თბილისისა და გორის ჯარჩებია მოხსენებული. 1738 წ. საბუთში „ჯარჩი სულეიმანი" არის დასახელებული[407]. 1781 წ. თამასუქის მოწმეთა შორის თბილისის „ჯარჩი ხატისშვილი არუთინა იხსენიება"[408]. თბილისურ საბუთებში მოიხსენიება აგრეთვე „ჯარჩი გოდერძინი"[409]; ხოლო XVIII ს. პირველი ნახევრის ერთ-ერთ საბუთს „გორელი ჯარჩიც" ემოწმება[410]. ჯარჩთა მოვალეობას ქალაქში, განსაკუთრებით ბაზრობის დროს, მეფისა და ქალაქის მოხელეთა სხვადასხვა ბრძანებების გამოცხადება შეადგენდა. ჯარჩები, როგორც ჩანს, ქალაქის მოურავს ემორჩილებოდნენ. ფარსადან გორგიჯანიძეს სხვათა შორის მოთხრობილი აქვს: „მეფემ (როსტომმა, შ. მ.) ქალაქის მოურავს უბრძანა: ჯარჩი დააძახეო, ვინცა ვინ ქალაქში [არიან] გზას იყვნენ"[411]. ჯარჩები არა მარტო მეფის ბრძანებებს, არამედ სხვა მოხელეთა განკარგულებებსაც აცხადებდნენ. მათ ერთ-ერთ მოვალეობას ქალაქის სხვადასხვა პროდუქტებზე და საქონელზე ქალაქის მოხელეთა მიერ დაწესებული ნიხრის გამოცხადებაც შეადგენდა[413].

ქალაქის საპოლიციო ხელისუფალთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ ასასებს, რომელთა სათავეშიც მათი უშუალო ხელისუფალი, ასასები უფროსი, „ასასბაში" იდგა. ასასბაშისა და ასასების შემწეობით ახორციელებდნენ მოსახლეობაზე თავიანთ ხელისუფლებას ქალაქის მოხელენი, განსაკუთრებით მოურავი. ასასბაში და მისი ასასები მოურავს ექვემდებარებოდნენ; ისინი როგორც სამოურავო დებულებაშია ნათქვამი, მოურავის იასაულები,

---

[405] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 5, საბ. 180.

[406] იხ. იქვე, დავთ. 11, საბ. 46, 156; დავთ. 17, საბ. 46.

[407] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 25, საბ. 13;

[408] იქვე, დავთ. 18, საბ. 154.

[409] „ივერია", 1903 წ., № 120, გვ. 2.

[410] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის, II (ხელნაწ.), გვ. 51.

[411] ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 247.

[413] Ср. С. А. Егиазаров, Городские цехи, с. 195.

ე. ი. სადამსჯელო ხელისუფლების წარმომადგენლებად იყვნენ: „ასასბაში და ასასები მოურავს უნდა ახლდნენ და იმის კარზე უნდა იყვნენ, რომ ასასები მოურავის იასაულები არიან“[413]. თბილისის მოურავის გარიგების წიგნის მეორე ვარიანტი კი შემდეგს წერს ასასების მოვალეობის შესახებ: ორი ან სამი ასასი მოურავს მუდამჟამ უნდა ახლდეს ქალაქში, „ქურდსა და ბოზს (ცუდი ზნის ქალებს, კაცებს, შ. მ.) უნდა მოახსენებდნენ მოურავს“[414]. იოანე ბატონიშვილი კი ასასებისა და ასასბაშის მოვალეობათა შესახებ წერდა: „ასასბაში უნდა იცუამდეს (იცავდეს) ქალაქთა შინა დუქანთა ღამე, სახლებთა და ქარვასლებთა ქურდებისაგან და მოჩხუბართ კაცთ ესე შეიპყრობდეს და თჳსსა მოურავსა ესე ცხად ეყოფოდეს.. თუ ცეცხლი გაჩნდებოდეს, ესენი უშუელიდნენ[415]. ასასები, როგორ იასაულები, მოურავის განკარგულებით იჭერდნენ ქურდებს, ცუდი ზნის ქალებსა და კაცებს და სხვადასხვა სახის დამნაშავეებს. მოურავი ზოგ შემთხვევაში დამნაშავეებს აჯარიმებდა, ზოგჯერ კიდევ აპატიმრებდა. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობა, როგორც სასჯელის სახე, შუა საუკუნეებში საერთოდ იშვიათად იყო გამოყენებული[416], საქართველოს ზოგ ქალაქში, კერძოდ თბილისში, როგორც ჩანს, ქურდობისათვის სასჯელის ამ სახესაც იყენებდნენ. იესე ბარათაშვილს 1784 წ. ქვეშ სხვათა შორის მოთხრობილი აქვს: ჩემმა ყმამ ივანემ „ქურდობა ქნა, ქალაქში (თბილისში, შ. მ.), დუქანი გატეხა, დაიჭირეს ჯინჯილს (პატიმრობას, სასჯელს, შ. მ.) ფისცეს“-ო[417].

აღსანიშნავია, რომ ასასები, ანუ როგორც ერთი საბუთი უწოდებს, „მოურავის ბიჭები“, რომელნიც ქალაქში წესრიგის დამცველებად უნდა ყოფილიყვნენ, ზოგ შემთხვევაში, თავიანთი შემოსავლის გაზრდის მიზნით უდანაშაულო პირებს იჭერდნენ და აჯარიმებდნენ; ზოგჯერ კიდევ დუქნებს თვით ამტვრევდნენ, იქ მოსაქმეებს იტაცებდნენ და შემდეგ სათანადო თანხის გაღებით, თითქოს როგორც ტყვეებს, თავს ასყიდვინებდნენ. გორელები ერეკლე II-ს მოახსენებდნენ: მოურავის ბიჭები დუქნებს ამტვრევენ, შენს სახასო კაცს იტაცებენ ტყუილათ და ჯარიმისთვინ თავს

---

[413] საქ. სიძველენი, II, გვ. 528, § 45.

[414] იქვე, გვ. 530, § 22.

[415] ГМГ, ფ. 2155, გვ. 8—9.

[416] Ср. Г. Белов, Городской строй средневековой Германии, с. 62.

[417] იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, გვ. 97.

ასყიდვინებენო"[418]. მსგავსი მაგალითები გვიანფეოდალური ხანის ქალაქებისათვის დამახასიათებელი იყო.

ისე როგორც ქალაქის სხვა მოხელეების, ასევე ასასების და ასასბაშის შენახვაც ქალაქის მოსახლეობას ეკისრებოდა. ქალაქებში საამისოდ სათანადო გამოსაღები იყო გაწერილი, რომელსაც, როგორც ქვემოთ იქნება გარკვეული, „ჰასასის ფული" ეწოდებოდა და რომელსაც ქალაქში მოსაქმე ყველა—დიდი თუ მცირე—ვაჭარი და ხელოსანი იხდიდა.

*

* *

ქალაქთა მოხელეები XI—XIV სს. საქართველოში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთიანი საქართველოს სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესს (гл. казночей) ექვემდებარებოდნენ. გვიანფეოდალურ ხანაში ამ მხრივაც ერთგვარი ცვლილება ხდება—ქალაქი და მისი მოხელეები XVII—XVIII სს. სამეფოს სახლთუხუცესს (სამეფოს შემოსავალ-გასავალთა უპირველეს გამგებელს) ექვემდებარებიან. რაკი სამეფო სახლთუხუცესის კონტროლი საქართველოს ქალაქებზე და მათ მოხელეებზედაც ვრცელდებოდა, სახლთუხუცესი თავისი თანამდებობიდან კუთვნილ სარგოს ერთ ნაწილს საქალაქო შემოსავლიდან იღებდა. მაგალითად, სახლთუხუცესის სასარგებლოდ მიდიოდა საქალაქო ბაჟის ერთი ნაწილი; მასვე წილი ჰქონდა ბურნუთის (თამბაქოს), ყასაბხანის, დაბახანის, თევზის, ღვინის და არყის, ყაფნის, გორის ბაჟის და სხვ. იჯარებიდან[419]. ამას გარდა, საქალაქო გამოსაღებების ერთი ნაწილიც სახლთუხუცესს მიჰქონდა. ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი სახლთუხუცესის იოანე ორბელიანის განცხადებით, მას სარგო ჰქონდა „ტფილისის მახტიდამ,... ტფილისის მალიდამ... გორის მალიდამ". იგი იღებდა აგრეთვე ნაწილს ქალაქის პოლიციისათვის განკუთვნილი „ჰასასების ფულიდან" და ე. წ. „თვის შაურიდან"[420]. აღსანიშნავია, რომ სახლთუხუცესს თავისი სარგოს უდიდესი ნაწილი სწორედ თბილისის და გორის შემოსავლიდან უნდა მიეღო.

კახეთის ქალაქების (თელავი, სიღნაღი) სხვადასხვა სახის ბაჟის იჯარებიდან შემოსავალი ჰქონდათ აგრეთვე კახეთის სახლთუხუცესებსაც[421].

---

[418] ГМГ, ფ. Qd 7120

[419] დასტურლამალი, გვ. 76—77; შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 2.

[420] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 2; შდრ. ГМГ, ფ. Hd: 3656.

[421] შ. მ ე ს ხ ი ა, იქვე, გვ. 7, 9.

ძირითადად ქალაქების მოსახლეობაზე იყო დაკისრებული აგრეთვე მეფის სხვა, შედარებით დიდ ხელისუფალთა შენახვაც. მაგალითად, სამეფო ეშიკ-აღასბაშებსაც (სასახლის წესრიგის მთავარი მეთვალყურე, საპოლიციო საქმის მთავარი ხელმძღვანელი) თავიანთი სარგოს ერთი ნაწილი სწორედ ქალაქის შემოსავლიდან მიჰქონდათ. ქართლის სამეფოს ეშიკ-აღსაბაში ასლან ორბელიანი სხვათა შორის წერდა: „ეგრეთვე იყო ჩემი შემოსავალი რაც ქალაქის კარებზედ ზოგიერთი ნივთი რომ შემოვიდა და, იქიდამ მქონდა სარგო". ასევე სარგოს იღებდა იგი ქალაქში თუ სხვაგან თავისი საპოლიციო სამსახურის შესრულებისა გამოც[422].

ქალაქების შემოსავალთან და ცხოვრებასთან თავისი თანამდებობით კავშირი ჰქონდათ ქართლ-კახეთის სამეფოს „ქარხნის ნაზირებსაც", როგორც სასახლის მეურნეობის დაწესებულებებისა და საწყობების მმართველთ. ქარხნის ნაზირებს, როგორც მათივე განცხადებიდან ჩანს, ქალაქის ამქრებიდან ჰქონდათ განწესებული მათთვის განკუთვნილ სარგოთა ერთი ნაწილი. დავით მაყაშვილი წერდა: „ასნაფიდამ მქონდა რუსუმი (შემოსავალი, შ. მ.), ესეც იქნებოდა ჩემ წილად წელიწადში ათი თუმანი"[423]. ამასვე იმეორებდა მეორე ნაზირი ბარამ გურგენიძეც.

ქალაქების შემოსავლიდან წილს იღებდნენ აგრეთვე სამეფო მდივნები. მდივნებს შემოსავალი ჰქონდათ როგორც სხვადასხვა სახის იჯარებიდან[425], ასევე ქალაქის გამოსაღებებიდან, მახტიდან, მალიდან და სხვ[426]. სამეფოს ზემოხსენებულ მოხელეთათვის ქალაქის შემოსავლიდან მათთვის განკუთვნილი სარგოს მიცემა ქალაქის მელიქ-მამასახლისის მოვალეობას შეადგენდა. მელიქ-მამასახლისს ბარდებოდა ქალაქში აკრებილი გადასახადები და იგი აწარმოებდა ქალაქის სამეფო მოხელეთა გასტუმრებას ანუ მათი „ანგარიშის გაწმენდას"[427].

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქები ინახავდა არა მარტო თვით ქალაქის ბიუროკრატიულ ფეოდალურ აპარატს, არამედ სამეფო მოხელეთა ერთ ნაწილსაც. აღსანიშნავია, რომ მარტო ქართლ-კახეთის პირ-

---

[422] იქვე, გვ. 58.
[423] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 24.
[424] იქვე, გვ. 27.
[425] ЦГИАГ, ф. 226, № 7784, 7783.
[426] იქვე, ф. 226, № 3465.
[427] ГМГ, ф. Ad 708.

ველი სახლთუხუცესი თბილისიდან და გორიდან ყოველწლიურად 1723 მან. იღებდა, რაც მისი საერთო შემოსავლის დაახლოებით 35 პროცენტს შეადგენდა. ყურადღებას იქცევს აგრეთვე, რომ ქალაქის საზოგადო საჭიროებისათვის განკუთვნილი ზოგი საქალაქო გამოსაღებიც კი ფაქტობრივად სხვადასხვა მოხელეთა შორის ნაწილდებოდა და თავის დანიშნულებას ან სრულებით არ ხმარდებოდა, ან კიდევ საამისოდ უმნიშვნელო თანხა რჩებოდა. ასე რომ, გვიანფეოდალური საქართველოს საქალაქო გამოსაღებები და შემოსავალი ფაქტობრივად ფეოდალური ბიუროკრატიული აპარატის შენახვას, ფეოდალური არისტოკრატიისა და მოქალაქეთა ზედაფენის გამოკვებას ხმარდებოდა და არა თვით ქალაქის საზოგადო საჭიროებას.

ა) ქალაქის „ქედხუდები"

გვიანფეოდალური საქართველოს საქალაქო მმართველობის მიმოხილვა სრული არ იქნება, თუკი საგანგებოდ არ შევჩერდებით ე. წ. ქედხუდთა საკითხზე. აღმოსავლეთ საქართველოს საქალაქო ცხოვრებაში და მმართველობაში ქედხუდები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ისინი ჩანან ქალაქის მელიქ-მამასახლისთან ერთად ქალაქის ნასყიდობისა და გაყრილობის წიგნების დამამტკიცებლად, ქალაქის ვაჭართა სამართლის მონაწილეებად, ზოგ ქალაქში ნიხრის მიმცემებად და სხვ. მაგრამ თუ ვინ არიან ეს ქედხუდები, ან ვის ეწოდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში „ქედხუდა", დღემდე გარკვეული ვერ არის. ამ ხელისუფლების ისტორია კი ქართული საქალაქო წესწყობილების შესწავლისათვის მრავალმხრივ საინტერესოა.

როგორც გვიანფეოდალური ხანის ქართული დოკუმენტებიდან ჩანს, „ქედხუდები" იყვნენ თბილისში. თბილისის მოურავის სარგოს წიგნის მიხედვით, მოურავს სამართალში „ქედხუდები ახლდებიან"[428]; 1705 წ. ერთ-ერთ საბუთს სხვათა შორის ემოწმება „ქალაქის (თბილისის, შ. მ.) ქედხუდა იასაშვილი ასლამაზა"[429]; 1663 წ. საბუთში კი მოწმეთა შორის დასახელებულია თბილისის „ციხის ქედხუდებისაგან ჰსაათ-ბეგა"[430]. მსგავსი საბუთების მოტანა კიდევ შეიძლებოდა. ქედხუდები იყვნენ არა მარტო თბილისში, არამედ

---

428 საქ. სიძველენი, II, გვ. 523, § 1.
429 იქვე, გვ. 203.
430 ЦГИАГ, ფ. 229, დაეთ. 21, საბ. 2.

გორშიაც და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებშიც; გორის ქედხუდები მოხსენებულია გორის მელიქის მიერ თეიმურაზ II-ისადმი 1746 წ მირთმეულ არზაში[431] და ალადათაშვილების 1768 წ. განაჩენში[432]. 1790 წ. საბუთში კიდევ „გორის ქედხუდა ბაბალაშვილი ავთანდილი“ არის დასახელებული[433], ერეკლე II-ის 1791 წ. ბრძანებაში ნათქვამია: „გორის მამასახლისი ზურაბ... ამ არზის პატრონებს რომ ასე მოუხსენებიათ, შენ უნდა გორის მწერალი და რამდენიმე ქედხუდა შენთან დაისწრა და ამათი მამული, რომელიც იყოს სამართლიანის საქმით გაურჩიოთ და მოაბაროთ“[434]. ქედხუდები იყვნენ ცხინვალშიც: ანახანუმ დედოფალი 1749 წ. ბრძანებას უგზავნის „ქ. ცხინვალის მამასახლისს და ქედხუდებს“[435]; 1751 წ. ბრძანებაში კიდევ ნათქვამია: „ქ. ცხინვალის მამასახლისო და ქედხუდებო, იასაულის მარიფათით ეს მამულები (ამ მამულებზე დავა, შ. მ.) კარგად და სწორეთ უნდა გაარჩიოთო“[436]. „ორი-სამი ცხინვალელი ქედხუდა კაცი“ დასახელებულია აგრეთვე 1792 წ. ბრძანებაშიც[437]. რაკი მცირე ქალაქ ცხინვალში ქედხუდები იყვნენ, ბუნებრივია, მსგავსი პირები იქნებოდნენ საქართველოს სხვა ქალაქებშიც; მათი მოუხსენებლობა მხოლოდ საბუთების ნაკლებობით შეიძლება აიხსნას.

მოტანილი საბუთებიდან ჩანს აგრეთვე, რომ ამა თუ იმ ქალაქში არა ერთი, არამედ რამდენიმე ქედხუდა იყო.

„ქედხუდა“ მუსლიმანურ სამყაროში სხვადასხვა გაგებით იხმარებოდა, მაგრამ ამ ტერმინს ძირითადად მაინც უხუცესის, მამასახლისის მნიშვნელობა ჰქონდა. ამგვარივე მნიშვნელობა შერჩა ამ უცხო ტერმინს ქართულ სინამდვილეშიც. დავით ბატონიშვილი სხვათა შორის წერდა: საქართველოში უხუცესები არიან ყველა დასახლებულ ადგილში, თათართა უხუცესებს ქედხუდებს უწოდებენ[438]. ასე რომ, მუსლიმანებით დასახლებულ პროვინციათა მამასახლისები საქართველოში ქედხუდებად იწოდებოდნენ. დავით ბატონიშვილის მითითება სხვა ცნობებითაც დასტურდება. ქართულ წყაროებში სხვადასხვა პროვინციათა ქედხუდები არაერთხელ არიან

---

431 საქ. სიძველენი, III, გვ. 460.

432 ГМГ, ფ. Sd № 2999.

433 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 5, საბ. 79.

434 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 46, საბ. 184.

435 იქვე, დავთ. 17, საბ. 164.

436 იქვე, დავთ. 17, საბ. 168.

437 იქვე, დავთ. 45, საბ. 191.

438 Царевич Д а в и д, Обозрение Грузии, Библ. им. Ленина, Отд. рукоп. М 10601, § 158—159.

დასახელებული[439]. ქედხუდა რომ მამასახლისს შეესატყვისებოდა, ამას ადასტურებს როსტომის 1641 წ. ქართულ-სპარსულ ენებზე შედგენილი სიგელი; ქართულ სიგელში მოხსენიებული „ქალაქის მამასახლისი ასლამაზ“ იმავე სიგელის სპარსულ ვარიანტში „თბილისის ქედხუდად“ არის დასახელებული[440]. განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ვ. ბარტოლდს ქ. ანისის მანუჩას მეჩეთის სპარსულ წარწერაში მოხსენიებული „ქალაქის ქედხუდები“ თარგმნილი აქვს, როგორც «старосты города»[441]. ამრიგად, არ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ უცხოური „ქედხუდა“ ქართულ სინამდვილეში „ხუცესს“, ან კიდევ „მამასახლისს“ შეესატყვისებოდა. რა თქმა უნდა, ცდებოდნენ ის ავტორები, რომელნიც ქართულ საბუთებში დასახელებულ ქედხუდებს რუსულად თარგმნიდნენ, როგორც «почотные купцы»[442].

ამგვარად, „ქედხუდა“ თავისი შინაარსით მამასახლისს, ხუცესს ეწოდებოდა; მაგრამ თბილისში მამასახლისი ერთი იყო, ასევე გორსა და ცხინვალშიც, რომელნიც მეფეთა მიერ ინიშნებოდნენ. ზემოხსენებულ ქალაქებში კი ქედხუდები სწორედ მეფის მიერ დანიშნულ მამასახლისთა გვერდით მოიხსენიებიან. ამას გარდა ქედხუდა თითოეულ ქალაქში რამდენიმე იყო. ასე რომ, მეფის მიერ დანიშნული მამასახლისი სულ სხვა ხელისუფალია და მათ გვერდით მოხსენებული ქედხუდები კიდევ სხვა. თბილისის, გორის, ცხინვალის ქედხუდები არ შეიძლება მივიჩნიოთ ქალაქის მაჰმადიანური მოსახლეობის მამასახლისებად. ჯერ ერთი, თბილისში, გვიანფეოდალურ ხანაში, მაჰმადიანები იმდენი არ იყვნენ, რომ მათ რამდენიმე მამასახლისი ჰყოლოდათ. ამას გარდა, გორსა და ცხინვალში მით უფრო, მაჰმადიანური მოსახლეობა სრულებით არ უნდა ყოფილიყო. ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში მოხსენებული ქედხუდები არ არიან ქალაქში მეფეთა მიერ დანიშნულნი და არც მაჰმადიანური მოსახლეობის მამასახლისები. საბუთებში დასახელებული ქედხუდები სწორედ ის პირები არიან, რომელთაც ქალაქის მოსახლეობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვით ირჩევდა საქალაქო და საზოგადო საქმეებში მონაწილეობისათვის. ასე რომ,

---

[439] პაპუნა ორბელიანი, B_2, გვ. 396—398.

[440] ГМГ, ფ. Qd 6914.

[441] В. Бартольд, Персидская надпись на стене анийской мечети Мануче, с. 7.

[442] ЦГИАГ, ф. 227, № 917.

ქალაქის ქედხუდები ქალაქის მოსახლეობის წარმომადგენლები იყვნენ საქალაქო მმართველობაში და მათ ქალაქის მოსახლეობის მიერ არჩეული უხუცესები ან კიდევ მამასახლისები შეიძლება ვუწოდოთ. როგორც თვით მოქალაქეთა განცხადებიდან ჩანს, ქალაქებში უძველესი დროიდან ჰქონდათ ჩვეულება დრო და დრო რამდენიმე პირი საზოგადო, საქალაქო საქმეების მოსაწესრიგებლად აერჩიათ[443]. ქალაქებში სხვადასხვა საქალაქო საქმეების განსაგებლად მოსახლეობის წარმომადგენელთა არჩევის შესახებ ლაპარაკობს დავით ბატონიშვილიც.

ჩვენ არ მოგვეპოვება რაიმე პირდაპირი ცნობა იმის გასარკვევად, თუ როგორ და რამდენი ხნით ირჩევდა ქალაქის მოსახლეობა ამა თუ იმ ქედხუდას, მაგრამ ამ ნაკლს ნაწილობრივ ავსებს ჩვენ მიერ წარმოებული დაკვირვება ქედხუდთა მიერ დამოწმებულ ნასყიდობის წიგნებზე. XVIII ს. დამდეგიდან მოკიდებული მის დასასრულამდე ჩვენთვის ცნობილ ყოველ ვაჭართა და ხელოსანთა ნასყიდობის წიგნს ქალაქში რაძდენიმე ქედხუდა ემოწმება. ამ მასალების მიხედვით თბილისში XVIII ს. დასასრულისათვის ქედხუდებად ყოფილან:

1. თაყუაშვილი ისაია მიკირტუმას ძე
2. ფითუაშვილი აღა ისაიას ძე
3. თამამშოვი ოჰანეზა პეტრუზას ძე
4. მუნთიაშვილი ოსეფა მიკირტუმას ძე
5. ბაღდადაანთ ზორბეგის შვილი სტეფანა
6. აბესალომოვი სტეფანა ოსეფას ძე
7. შმოვანი აღა ოჰანას ძე
8. ფირყულაშვილი გიორგი ნაზარბეგას ძე
9. ინქოშვილი მერაბ აღა (ხახუტოვი)
10. ივანგულოვი სტეფანა აღას ძე
11. ბუძგულოვი მელქოა დავითას ძე
12. ყამაშაროვი (ყარანაანთ) მიღდისი პაპა[445].

ასე რომ, ქედხუდად თბილისში ერთდროულად რამდენიმე პირი ირჩეოდა. როგორც ირკვევა, ქედხუდთა არჩევა ქალაქის უბნების შიხედვით ხდებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ ზემომოტანილ

---

[443] ЦГИАГ, ф. 16, д. 792, ფ. 3.

[444] Царевич Д а в и д, Обозрение Грузии, ИВАН, Н: 11, § 932.

[445] ამ შემთხვევაშიც და ქვემოთ მასალები ქედხუდების შესახებ ამოღებულია ЦГИАГ-ის 229 ფონდიდან, რომელთაც აქ, მათი სიმრავლის გამო, არ ვასახელებთ.

საბუთში დასახელებული იყო „ციხის ქედხუდებისაგან ჰსაათ ბეგა“, რომელიც, როგორც ჩანს, თბილისის „ციხის უბნის“ ქედხუდთაგანი ყოფილა. „ციხის უბანს“, ამავე დოკუმენტის მიხედვით, სხვა ქედხუდებიც ჰყოლია. ქედხუდებად, როგორც ჩვენ მიერ საგანგებოდ შესწავლილი დოკუმენტები გვარწმუნებენ, უმთავრესად ერთი და იმავე გვარის წარმომადგენლებს ირჩევდნენ. მაგ., ფითუაშვილი აღა ისაიას ძის წინაპარი ოსეფა ქედხუდთა შორის ჯერ კიდევ 1710—1717 წწ. საბუთებშია მოხსენებული. ხოლო ამ დროიდან ვიდრე 1777 წლამდე ფითუაშვილები ქედხუდებად არ ჩანან; 1777 წლიდან კი ვიდრე მეფობის გაუქმებამდე ქედხუდად იყო ზემოხსენებული ფითუაშვილი აღა, ასე რომ, იგი ქედხუდად 24 წელი მაინც ყოფილა. ასევე ძველი ჩანს ქედხუდთა შორის ფირყულაშვილების საგვარეულოს წარმომადგენლებიც. პირველად 1711 წ. საბუთში მოიხსენიება ქედხუდა ფირყულაშვილი გიორგი. ხოლო შემდეგ 1766, 1772 და 1801 წლების საბუთებს ამოწმებს ქედხუდა ფირყულაშვილი გიორგი, ალბათ ზემოდასახელებული გიორგის შვილიშვილი. ამ უკანასკნელს ქედხუდობა, იქნებ ხანგამოშვებით, 35 წელიწადი ჰქონია. ტერ-შმოვანთა საგვარეულოს წარმომადგენელი მელქია და მისი შვილი მიკირტუმ პირველად ქედხუდებად 1712 წ. საბუთებში ჩანან, 1766 წლიდან კი ქედხუდად იყო ტერ-შმოვან ოჰანას შვილი აღა, რომელიც ამოწმებს 1768, 1777, 1793, 1800 და 1901 წწ. საბუთებს. 1712 წ. მოიხსენიება ქედხუდად აგრეთვე ყარახაანთ საგვარეულოს წარმომადგენელი, რომელთა შთამომავალი მიღდისი პაპა 1783 წლიდან 1802 წლამდე შერჩა ამ თანამდებობას. მუნთიაშვილები ქედხუდებად ჩანან 1744 წლიდან. 1744—1772 წწ. ქედხუდად იყო მუნთიაშვილი მიკირტუმა, ხოლო 1772 წლიდან ვიდრე მეფობის გაუქმებამდე მისი შვილი ოსეფა. ამ უკანასკნელს, როგორც ჩანს, 29 წელი დაუყვია ქედხუდად. 1744 წლიდანვე ჩანს ქედხუდებად ბაღდადაანთ გვარიც. ჯერ ბაღდადაანთ ნასყიდას შვილი გიორგი ყოფილა ქედხუდად (1744 წ.), შემდეგ მისი შვილი ოსეფა (1766), 1772 წ. ვიდრე მეფობის გაუქმებამდე ქედხუდად ბაღდადაანთ ზურაბას შვილი სტეფანა იყო. დიდხანს იყვნენ ქედხუდებად აბესალომოვების საგვარეულოს წარმომადგენლები: 1766—1782 წწ. ქედხუდად აბესალომოვი ჰსრათა იყო, ხოლო შემდეგ აბესალომოვი ოსეფა, XVIII ს. მიწურულს კი ამ უკანასკნელის შვილი სტეფანა. როგორც ჩანს, ჰსრათას ქედხუდად 25 წელი დაუყვია. თამამშოვები ქედხუდებად პირველად 1770 წ. საბუთში მოიხსენიებიან. ამ დროს ქედხუდად თამაშოვი დავითა ყოფილა, 1783 —

1793 წწ. თამამშოვი აღა პეტრუზას ძე, 1796 წლიდან კი ოჰანეზა პეტრუზას ძე. თაყუაშვილებიც ქედხუდებად XVIII ს. 70-იანი წლებიდან ჩნდებიან. 1772 წლიდან ვიდრე მეფობის გაუქმებამდე, შეუწყვეტლივ, ქედხუდად იყო თაყუაშვილი ისაია, რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ არაერთხელ იყო დასახელებული როგორც „ცხადად მტაცებელი". ისაია თაყუაშვილს ქედხუდად 29 წელი დაუყვია, ხოლო 1802 წ. რუსეთის ხელისუფლებამ იგი ქალაქის ნაცვლადაც კი დანიშნა.

1772 წ-დან ჩანს ქედხუდად ბუძგულაანთ საგვარეულოს წარმომადგენელი მელქოა დავითას ძე, რომელიც 1772, 1778—86 და 1800 წწ. საბუთების დამმოწმებლად გამოდის. მელქოა ბუძგულოვს, როგორც ჩანს, ხანგამოშვებით, ქედხუდის თანამდებობაზე 29 წელი დაუყვია. 1772 წ-დან ვიდრე მეფობის გაუქმებამდე, ქედხუდობა ჰქონდა აგრეთვე ინქოშვილ (ხახუტოვი) მერაბ აღას. მასაც, როგორც ჩანს, 29 წელი ჰქონია ქედხუდობა. 1777—1778 წწ. საბუთებით ქედხუდად მოიხსენიება ივანგულოვი გურგენა გასპარას ძე, ხოლო XVIII ს. მიწურულს კი ივანგულოვი სტეფანა აღას ძე.

ჩვენ აქ მხოლოდ ის საგვარეულოები დავასახელეთ, რომელთა წარმომადგენლებიც თბილისში ქედხუდებად იყვნენ XVIII ს. დამდეგიდან, თუ მის შუა წლებიდან ვიდრე ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე. ამათ გარდა სხვადასხვა დროს ქედხუდებად სხვებიც იყვნენ, მაგრამ მათ შესახებ სიტყვის გაგრძელებას საჭიროდ არ მივიჩნევთ. ჩვენ მიერ მოტანილი მასალები საკმარისი ჩანს ზოგი დასკვნის გასაკეთებლად.

ქედხუდობა თუმცა არჩევითი თანამდებობა იყო და, მოქალაქეთა განცხადების თანახმად, ქედხუდთა არჩევნები დრო და დრო ხდებოდა, XVIII ს. იგი ძირითადად ცნობილ საგვარეულოთა ხელში იყო და ფაქტობრივად ერთგვარ მემკვიდრეობით თანამდებობას წარმოადგენდა. როგორც ვნახეთ, არა მარტო ცალკე საგვარეულოებს, არამედ ცალკე პირებსაც კი ქედხუდობა ათეული წლების განმავლობაში ჰქონდათ. ქედხუდები, როგორც მასალებიდან ჩანს, თბილისის მოსახლეობის პრივილეგირებული ზედაფენიდან, მოქალაქეებიდან ირჩეოდა. ამიტომაც ზოგ შემთხვევაში ქედხუდა და მოქალაქე თანაბარი მნიშვნელობით იხმარება. მაგ., თბილისის მოურავის გარიგებაში ნათქვამია: „ქალაქის მოურავი ქალაქში უნდა სამართლობდეს და სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე თან ახლდეს სამართლის ბჭობაში, და მოურავი თუ უნდა მელიქ-მამასახლისს

და ნაცვალს სამართალში დაისწრებს და, თუ უნდა, არ დაისწრებს, ქედხუდები ახლდებიან"[446]. „სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე", რომელიც მოურავის სამართალს ესწრებოდა, გულისხმობს იქვე ქვემოთ დასახელებულ ქედხუდებს, რომელნიც მოურავს სამართალში ახლდნენ. ერეკლე II-მ 1796 წ. დიმიტრი ხიმშიაშვილის საქმის გარჩევა მელიქ-მამასახლისს რამდენიმე მოქალაქის თანდასწრებით უბრძანა. ამის შემდეგ კი დიმიტრი ხიმშიაშვილი მეფეს სხვათა შორის ატყობინებდა, რომ „მელიქისა და ქედხუდების თანდასწრებით" მისი საქმე უკვე განიხილეს"[447]. ამ შემთხვევაშიაც ქედხუდები მელიქის მიერ სამართალში დასასწრებად მიწვეულ მოქალაქეებს შეესატყვისებიან.

ქედხუდები რომ ქალაქის მოსახლეობის ზედაფენიდან, მსხვილი ვაჭარ-მოქალაქეებისაგან ირჩეოდა, ამაში ჩვენ გვარწმუნებს თბილისის ქედხუდთა და პირველ მოქალაქეთა სიის ურთიერთშედარება. ყველა ჩვენ მიერ ზემოდასახელებული ქედხუდები და მათი საგვარეულო თბილისის პირველ მოქალაქეთა შორის იყვნენ აღრიცხულნი: კერძოდ, თაყუაშვილები, ფითუაშვილები, მუნთიაშვილები, თამამშოვები, ტერ-შმოვანები, ივანგულოვები, აბესალომოვები, ბუძგულოვები, ინოქასშვილები (ხახუტოვები), ყამარშოვები, (ყარანანები), ფირსულაშვილები (ნაზარბეგოვები) და სხვ[448]. ამას გარდა, თითქმის ყველა აქ დასახელებული საგვარეულო ჩვენთვის სხვა საბუთებითაც ცნობილია, როგორც თბილისელი მსხვილი ვაჭრებისა. ამრიგად, ქალაქის მოსახლეობის წარმომადგენლები საქალაქო მმართველობაში მხოლოდ მსხვილი ვაჭრებისაგან, მოქალაქეებისაგან ირჩეოდა. ქალაქის მოსახლეობის ფართო ფენებს—ხელოსნებს ამ შემთხვევაშიაც საქალაქო მმართველობაში თავიანთი წარმომადგენლები არ ჰყოლიათ. ქალაქის ხელოსნური მოსახლეობა ფაქტობრივად უუფლებო ფენას წარმოადგენდა. ქალაქის მოსახლეობის ზედაფენისაგან, მსხვილი ვაჭრებისაგან ირჩევდნენ ქედხუდებს გორში, ცხინვალში და სხვა ქალაქებშიც.

ქედხუდები, ამორჩეული მოქალაქეები თბილისში ცხრაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. 1904 წ. თბილისელებმა, მათი ჩვეულების მიხედვით, სწორედ 9 კაცი აირჩიეს[449]. ჩვენ არ ვიცით, თუ

---

[446] საქ. სიძველენი, II, გვ. 523, § 1.

[447] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 37, საბ. 216.

[448] იხ. „აღწერა პირველის მოქალაქისა და თვითეულად სახლებისა მათისა", ЦГИАГ, ფ. 1, 193, ფ. 16—19, რიგითი ნომრები, 1, 2, 3, 6, 14, 15, 22, 35, 36, 56; დამატება, № 3.

[449] ЦГИАГ ფ. 16, დ. 182, ფ. 11.

რამდენ კაცს ირჩევდნენ ქედხუდად სხვა ქალაქებში. „ამორჩეული მოქალაქეები“ ანუ ქედხუდები ქალაქის მოსახლეობის წარმომადგენლებად იყვნენ საქალაქო მმართველობაში და მეფის მოხელეებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა საქმეების განგებაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი თბილისში, გორში, ცხინვალში და სხვ. ამოწმებდნენ ნასყიდობის წიგნებს, სავაჭრო გარიგებებს, მოქალაქეთა გაყრილობის წიგნებს. ჩვენთვის ცნობილი რამდენიმე ათეული ყველა მსგავსი წიგნი, მელიქ-მამასახლისთან ერთად, ქედხუდების მიერ არის დადასტურებული.

XVIII ს. მიწურულის ერთ დოკუმენტზე საგანგებოდ მიწერილია: „ქალაქის განწესება არის: ძმების გასამყრელო სიგელი მანამ ქალაქის მოხელისაგან და ქედხუდებისაგან არ იყოს დაწერილი და დაბეჭდილი, ის გაყრილობა სამართლით არ შეიწყნარება“[450]. ქედხუდთა მონაწილეობა სხვადასხვა სიგელთა დაბეჭდვაში, როგორც ჩანს, უსასყიდლო იყო. ამორჩეული მოქალაქეები იყვნენ აგრეთვე სახელმწიფო გამოსაღებთა, მაგ., მახტის გამანაწილებლად და სხვა გადასახადთა ამკრებებად. გამორჩეულ მოქალაქეთა ერთ ნაწილს ქალაქის ხელისუფალთა (მოურავი, მელიქ-მამასახლისი) სამართალში მონაწილეობაც შეადგენდა. ეს ზემომოტანილი მასალებიდანაც ჩანდა. ქალაქის მოხელეთა სამართალში მონაწილეობისათვის 4, 3 თუ 2 ქედხუდა იყო საგანგებოდ გამოყოფილი. მაგ., ზემოდასახელებული აბესალომოვი ჰსრათა, რომელსაც ქედხუდად 25 წელი დაუყვია, 1782 წ. საბუთში მოიხსენიება როგორც ქალაქის „მოსამართლეებთან განწესებული“[451]. ამით აიხსნება, რომ გვიანფეოდალურ დოკუმენტებში „ამორჩეული მოქალაქეები“ ხშირად „სუდიებად“ ან „აღმორჩეულ სუდიებად“ (მოსამართლეებად) მოიხსენიებიან[452] და რომ დოკუმენტებში ხშირად ნახსენებია აგრეთვე „გამორჩეული მოქალაქეების სამართალი“[453]. ქვემოთ საგანგებოდ იქნება განხილული „გამორჩეულ მოქალაქეთა“ სამართალი საქართველოს ქალაქებში. ზოგ ქალაქში, მაგალითად გორში, ქედხუდების მოვალეობას შეადგენდა ქალაქში გასაყიდ საქონელზე ნიხრის დაწესება: გორში „ამილახორს ნიხრთან საქმე არა აქვს, ქედხუდებისა არის“ — ნათქვამია გორელების მიერ ერეკლე

---

[450] იქვე, ფ. 229, დავთ. 25, საბ. 24.

[451] იქვე, ფ. 229, დავთ. 37, საბ. 278.

[452] იქვე, ფ. 16, დ. 497, ფ. 107, 29, 103.

[453] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის. II (ხელნაწ.), გვ. 290; ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 32, საბ. 50.

II-ისადმი მირთმეულ საჩივარში[454]. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ „გამორჩეული მოქალაქეები“, ქედხუდები დამოუკიდებელი უფლებით როდი სარგებლობდნენ. მათი ხელისუფლება მთლიანად დაქვემდებარებული იყო ქალაქებში მეფის მიერ დანიშნული მოხელეებისადმი. ქედხუდთა მიერ დამოწმებული ნასყიდობის თუ გაყრილობის წიგნი, სასამართლო განაჩენი და სხვა, თუ მეფის მოხელის მიერაც არ იყო დადასტურებული, ძალაში არ შედიოდა. ქალაქის მელიქ-მამასახლისს შეეძლო არ დაედასტურებინა მოქალაქეთა მიერ შედგენილი სხვადასხვა სახის საბუთები. XVIII ს. მიწურულს ქალაქის სასამართლოს ერთ-ერთ სხდომაზე ნათქვამი იყო: „ეგ (საბუთი) რომ მოქალაქეებმა დაგიწერეს, მელიქმა ნახა, რადგან უსამართლო იყო აღარ დაგიბეჭდაო“[455]. ამას გარდა, „გამორჩეული მოქალაქეები“ სამართალს მხოლოდ ქალაქის მოხელეებთან (მოურავი, მელიქ-მამასახლისი) აწარმოებდნენ და არა ცალკე, როგორც ეს იყო X—XIV სს. საქართველოში.

ქალაქის მოსახლეობისაგან არჩეულ პირთა, ქედხუდთა ხელისუფლება გვიანფეოდალურ ხანაში როდია გაჩენილი. იგი ერთგვარ დაკნინებულ შთამომავალს წარმოადგენს ჩვენ მიერ ზემოხსენებულ „ქალაქის უხუცესების“, „ქალაქის ბერების“ ხელისუფლებისა. ეს კარგად ჩანს დასავლეთ საქართველოს საქალაქო წყობილების მაგალითზე. დასავლეთ საქართველოს ქალაქებში „ქედხუდების“ ხელისუფლება, ამ უცხოური ტერმინით, ცნობილი არ არის. მაგრამ სამაგიეროდ დასავლურ საბუთებში ხშირად მოიხსენიება „ქალაქთ უხუცესი“; მაგ., როსტომ გურელის (1552—1564) სიგელს სხვათა შორის „ქალაქთ უხუცესი გორჯასპი მახაძე“ ემოწმება[456]. ამგვარი თანამდებობა სამეგრელოს სამთავროში შემორჩა XIX ს. პირველ ნახევარშიც, სამთავროს გაუქმებამდე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „ქალაქთ-უხუცესები“ სამეგრელოს სამთავროს ქალაქებში სამოსამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ. სამეგრელოს სამთავროში, მდივანბეგების სამართლის გვერდით, კერძოდ, სამთავრო ქალაქებში, „ქალაქთ-უხუცესების“ სასამართლო ხელისუფლება არსებობდა, რომელიც სასამართლო საქმეების გადაწყვეტაში იმგვარივე უფლებით სარგებლობდა, როგორც მდივანბეგები ოლქებში[457]. ჩვენთვის ამჟამად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ „ქალაქთ-უხუ-

---

[454] ГМГ, ф. Qd 7120.

[455] ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 23, საბ. 114.

[456] Д. Бакрадзе, Арх. путешествие по Гурии и Адчаре, с. 283.

[457] Акты, XII. გვ. 324.

ცესები“ XIX ს. პირველ ნახევარში სამთავრო ხელისუფლების მიერ ინიშნებოდნენ, არამედ იმას, რომ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები დასავლეთ საქართველოს ქალაქებში „ქალაქთ-უხუცესებად“ იწოდებოდნენ. დასავლეთ საქართველოს „ქალაქთ-უხუცესები“ — სამართლის უფლებით აღჭურვილნი, — სავსებით საფუძვლიანად, ერთი მხრივ, გვაგონებს ძველი, X—XII სს. საქართველოს ქალაქების (თბილისის) უხუცესების, ბერების ხელისუფლებას, მეორე მხრივ კი, გვიანფეოდალური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში მოქალაქეთა მიერ არჩეულ ქედხუდებს, ანუ „გამორჩეულ მოქალაქეებს“, რომელნიც აგრეთვე „აღმორჩეულ სუდიებად“ იყვნენ მიჩნეულ ნი. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ქალაქებში ქედხუდები ქალაქის მამასახლისებად, უფროს კაცებად (старейшины, старшины) იყვნენ მიჩნეულნი, უფლება გვექნება გვიანფეოდალური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მოქალაქეთა მიერ არჩეულ ხელისუფალთ აგრეთვე მოქალაქეთა თავკაცები, „ქალაქთა უხუცესები“ ეუწოდოთ. ამრიგად, გვიანფეოდალური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების ქედხუდები და დასავლეთ საქართველოს „ქალაქთ-უხუცესები“ ერთგვარ ნათესაობას ამჟღავნებდნენ X—XII სს. საქართველოს „ქალაქის ბერების (უხუცესების)“ ხელისუფლებასთან. მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არსებობს. როგორც ზემოთ ვნახეთ (თავი 1), „ქალაქის ბერები“, ქალაქის ამირას შემდეგ, უპირველეს ხელისუფალთ წარმოადგენენ, ზოგ შემთხვევაში მათ მთელი საქალაქო მმართველობაც ჰქონდათ ხელთ და შეეძლოთ ესა თუ ის ქალაქი მათთვის სასურველი პირისათვის გადაეცათ. ამგვარი უფლებით როდი სარგებლობდნენ ქალაქთა ქედხუდები; XVII—XVIII სს. ქალაქი საერთოდ და ქედხუდების ხელისუფლებაც მთლიანად მეფეთა მიერ დანიშნული მოხელეებისადმი იყო დაქვემდებარებული. ქედხუდები ქალაქის მოსახლეობის თითქმის უუფლებო წარმომადგენლები იყვნენ საქალაქო მმართველობაში. მოქალაქეთა წარმომადგენლების ხელისუფლების შეზღუდვა საქართველოს ქალაქებში დავით აღმაშენებლის დროიდან დაიწყო. როცა სამეფო ხელისუფლებამ ქალაქების დახმარებით მიაღწია ერთგვარ ძლიერებას, მნიშვნელოვნად შეზღუდა ქალაქის უხუცესების ხელისუფლება და იგი არსებითად სამეფოს მიერ დანიშნულ მოხელეებს დაუქვემდებარა. უხუცესთა ხელისუფლება მართალია შენარჩუნებულ იქნა, მაგრამ არა თავისი ძველი უფლებებით, არამედ როგორც ერთგვარი გადმონაშთები ძველი საქართველოს საქალაქო წესწყობილებისა. ამასთან ერთად, მოქალაქეთა მიერ არჩეული ხელისუფალნი გვიანფეოდალურ აღმო-

სავლეთ საქართველოში ძველებურად. „ქალაქთ უხუცესებად“ კი არ იწოდებოდნენ, არამედ უცხოური წარმოშობის ტერმინით — „ქედხუდებად“.

ტერმინი „ქედხუდა“ ქალაქის მოსახლეობის მაღალი ფენის თავკაცების აღსანიშნავად, „ქალაქის ბერების“ მაგიერ, იქნებ XIII ს. მეორე ნახევრიდან იყოს დამკვიდრებული. ამ მხრივ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანისის მანუჩას მეჩეთის ზემომოტანილ სპარსულ წარწერაში ვაჭართა „მამასახლისების“, უხუცესების აღსანიშნავად ტერმინ „ქედხუდას“ ხმარებას.

მოქალაქეთა წარმომადგენლების ხელისუფლების შეზღუდვის პროცესი უფრო შორს წასულა დასავლეთ საქართველოში. „ქალაქთ-უხუცესებიც“ კი, რომელნიც აღმოსავლეთ საქართველოში XVII—XVIII სს. და XIX ს. პირველ ნახევარში ქალაქის მოსახლეობის მიერ ირჩეოდნენ, დასავლეთ საქართველოში სამეფო თუ სამთავრო ხელისუფლების მიერ ინიშნებოდნენ. ასე რომ, დასავლეთ საქართველოს საქალაქო წესწყობილებაში ფაქტობრივად ამ ძველ ხელისუფალთა მხოლოდ სახელწოდება („ქალაქთ-უხუცესი“) შემორჩა. ამრიგად, როგორც ქედხუდები აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში, მით უფრო „ქალაქთ უხუცესები“ დასავლეთ საქართველოში XI—XII სს. საქართველოს ქალაქთა ბერების (უხუცესების) ეპიგონებს წარმოადგენდნენ. „ქალაქის ბერების ხელისუფლების ამგვარი ევოლუცია კი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ თანდათან დაიმორჩილა (порабатила) სამეფო ხელისუფლებამ თავისი ძველი მოკავშირე — ქალაქის მოსახლეობის გავლენიანი ზედაფენა და მათი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ბ) „საქალაქო სამართალი“

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში სასამართლო ხელისუფლება მეფის რამდენიმე მოხელეს შორის იყო განაწილებული. სამეფოს უმთავრეს მსაჯულებს გვიანფეოდალურ საქართველოში მდივანბეგები წარმოადგენდნენ. მდივანბეგების ერთი ნაწილი საგანგებოდ ქალაქებში მოსამართლეობდა, მათ „ქალაქის მდივანბეგები“ ეწოდებოდათ. „ქალაქის მდივანბეგის“ თანამდებობა XVII ს. მეორე ნახევარში შაჰნავაზის (ვახტანგ V) დროს მოიხსენიება[458]. მაგრამ ამ დროისათვის ჯერ კიდევ ცალკე არ იყო

[458] იხ. საქ. სიძველენი, II, გვ. 137—138.

გამოყოფილი ქალაქთა მდივანბეგების თანამდებობა. ქალაქების მდივანბეგთა ცალკე გამოყოფა ერეკლე II-ის მიერ ჩატარებული სასამართლო რეფორმის შედეგი უნდა იყოს. ერეკლე II-ის მეფობის დროს ქართლ-კახეთის სამეფოში 13-ზე მეტი მდივანბეგი იყო[459], რომელთაც, დავით ბატონიშვილის სიტყვით, ჰქონდათ უფლება ყოფილიყვნენ თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში[460]. მარტო თბილისში, როგორც მასალებიდან ირკვევა, ქართლ-კახეთის სამეფოს მდივანბეგებიდან ორი მაინც მოქმედებდა. XVIII ს. მიწურულს თბილისის მდივანბეგებად ყოფილან იოანე ჩოლოყაშვილი და ნიკოლოზ ციციშვილი[461].

მდივანბეგთა მონაწილეობა „ქალაქის სამართალში" „დასტურლამალის" მიერ მტკიცედ იყო დადგენილი. მდივანბეგები ქალაქში, როგორც უმაღლესი სამოსამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, ძირითადად მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს არჩევდნენ. „დასტურლამალში" ნათქვამია: „თუ ქალაქში (თბილისში, შ. მ.) კაცის სიკვდილი მოხდეს, ან მოქალაქისაგან ან სხვისგან, იმისი სამართალი კარზედ მდივანბეგმან უყოს"[462]. მაგრამ მათი სამოსამართლოფუნქციები ქალაქში ამით არ ამოიწურებოდა. ისინი სამოქალაქო საქმეებსაც არჩევდნენ. ოღონდ ამ შემთხვევაში მათი კომპეტენცია სათანადო დებულებით იყო განსაზღვრული: „თუ მოქალაქე კაცი გარეშე კაცს უჩიოდეს... ან ორნივ მოქალაქე კაცნი თავის ნებით მოვიდნენ და მდივანბეგს შესჩივლონ სამართალი მდივანბეგმან უყოს. თუ მდივანბეგი აქ არ იყოს", „მოქალაქისა და გარეშე, სოფლელი კაცის საჩივარი მოურავმა გაარიგოსო", ნათქვამია „დასტურლამალში"[463]. ამ გვარადვე განსაზღვრავდა „დასტურლამალი" მდივანბეგის სასამართლო ფუნქციებს გორშიც: „გორელი კაცი თუ გარეშე კაცსა და გარეშე კაცი გორელს კაცს უჩიოდეს... მდივანბეგთან იჩივლონ და გაურიგონ. თუ გორელი კაცი ერთმანეთს უჩიოდენ და თავისი ნებით მდივანბეგს შემოსჩივლონ, სამართალი მდივანბეგმან უყოს"[464]. ამრიგად, მდივანბეგს თბილისსა და გორში სამოქალაქო საქმეებზე მხოლოდ მაშინ მიუწვდებოდა ხელი, როცა მოქალაქეს (ვაჭარს, ხელოსანს) გარეშე კაცი უჩიოდა. ე. ი. როცა საქმე არა მარტო ქალაქის მცხოვრებს, არამედ „სოფლელ კაცსაც" შეეხებოდა. ქალაქის მოურავს, თუკი მდი-

---

459 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 55—56.

460 Ц а р е в и ч Д а в и д, Обозрение Грузии, ИВАН, Н: 11, § 545.

461 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 029, 030; 49, 51, 52.

462 დასტურლამალი, გვ. 57.

463 იქვე, გვ. 57.

464 იქვე, გვ. 57—58.

ვანბეგი ქალაქში იყო, ასეთი საქმის გარჩევის უფლება არ ჰქონდა. მდივანბეგს შეეძლო გაერჩია არა მარტო მოქალაქისა და გარეშე კაცის საჩივარი, არამედ თვით მოქალაქეებისაც, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოქალაქენი თვით მოისურვებდნენ მათი საქმე მდივანბეგს გაერჩია. ყველა დანარჩენ შემთხვევაში მოქალაქეთა (ქალაქის მოხელეთა) სამართალი ქალაქის მოურავის განსაგებელს შეადგენდა: „სხუა მოქალაქის საჩივარი ერთმანეთში მოურავმა გაარიგოსო“ — აკანონებდა ვახტანგ VI[465]. სამართლის უფლებით აღჭურვილი იყო თბილისის მოურავი. თბილისის მოურავის სარგოს წიგნისა და სხვა მასალების მიხედვით, მოურავის უპირველეს მოვალეობას „თავაზასა და ხათრს“ (ე. ი. მიკერძოების) გარეშე, „ჭეშმარიტი სამართლის წარმოება“ შეადგენდა[466]. ამგვარივე უფლებით აღჭურვილი იყო გორის მოურავიც. როსტომის 1656 წ. სიგელში გარკვევითაა ნათქვამი: „გიბოძეთ და დაგიმტკიცეთ მოურაობა გორისა და სამართალი მათი (გორელების, შ. მ.) არ იკითხებოდეს უთქვენოდო“[467]. სამოსამართლო ფუნქციებით აღჭურვილნი იყვნენ სხვა ქალაქთა მოურავებიც. ზურაბ წერეთლის ცნობის მიხედვითაც, ქუთაისის მცხოვრებთა სამოქალაქო საქმეებს მოურავი, ან მის მიერ საგანგებოდ გამოყოფილი პირები («люди моурави») არჩევდნენ. იმერეთის სამეფოს მდივანბეგს ან კიდევ ბოქაულთუხუცესს ამგვარ საქმეებში ჩარევა არ შეეძლო. ყოველივე ამის გამო დავით ბატონიშვილი წერდა: «Моуравы дают суд и расправу во всех делах»[468]... მაგრამ ქალაქებში, რომელიც მსხვილ სამოურავო ერთეულში შედიოდა, მოურავი ამგვარი უფლებით როდი სარგებლობდა. მაგ., თელავი, სიღნაღი კახეთ-ქიზიყის სამოურავოში შედიოდა და კახეთ-ქიზიყის სარდალ-მოურავს ექვემდებარებოდა. ამიტომაც თელავისა და სიღნაღის მცხოვრებთა სამართალი მათ უშუალო გამგებლებს კი არ ეკითხებოდათ, არამედ კახეთ-ქიზიყის სარდალ-მოურავს. ამით აიხსნება, რომ თელავის ბაზრის მოურავი ეროდიონ გურგენიძე თავის სასამართლო ფუნქციაზე არაფერს ლაპარაკობს[469].

ქალაქთა მოურავები მხოლოდ სამოქალაქო, „მსუბუქ“ საქმეებს არჩევდნენ. გორის მოურავი ოთარ ამილახვარი სხვათა შორის წერდა: „ჩემს სასარდლოში, რომელიც მსუბუქი სამართალი იყო,

---

465 დასტურლამალი, გვ. 57.

466 საქ. სიძველენი, III, გვ. 12.

467 საისტორიო მოამბე, I. 1925, გვ. 258.

468 Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н: 11, § 654.

469 შ. მესხია, მასალები, გვ. 48.

სამართალი ჩემგან უნდა მისცემოდათო"[470]. ქალაქთა მოურავების სურვილზე იყო დამოკიდებული მათ სამართალში ქალაქის სხვა მოხელეთა (მელიქ-მამასახლისი, ნაცვალი) დასწრება[471]. თუ მოურავის სამართალს მელიქ-მამასახლისი და ნაცვალი არ ესწრებოდა, მოურავს სამართალში „სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე", „ქედხუდები ახლდებიან", მაგრამ ისე როგორც მელიქ-მამასახლისის, ასევე ქედხუდების მონაწილეობა ბჭობაში უსასყიდლო იყო[472].

ქალაქის მოურავები კი სამართლის წარმოებისათვის მნიშვნელოვან სარგოს იღებდნენ, რომელსაც „სამდივანბეგო" ეწოდებოდა. თბილისის მოურავის გარიგების წიგნის მიხედვით, სამართლის წარმოებისათვის „თუმანზედ სამდივანბეგო ხუთი აბაზი მოურავს" ეკუთვნოდა. მოურავი ამდენსავე სარგოს იღებდა მაშინაც კი, როცა სამართალს თვით კი არ აწარმოებდა, არამედ ქალაქის სხვა ხელისუფალნი თუ ამორჩეული მოქალაქეები[473]. იყო შემთხვევა, როცა ქალაქის მოურავი მდივანბეგთა სამართალსაც ესწრებოდა; აქედანაც იგი სათანადო სარგოს იღებდა: „ბატონის (მეფის, შ. მ.) ბრძანებით ქალაქის მოურავი და მდივანბეგები რომ სამართალში დასხდებიან, რაც სამდივანბეგო შემოვა, როგორც რიგი არის, მოურავი და მდივანბეგები ისრე გაიყოფენ"[474].

სასამართლო საქმეების წარმოებისათვის სარგოს იღებდა როგორც გორის, ასევე სხვა ქალაქთა მოურავებიც. გორის მოურავი სარგოს იღებდა მაშინაც, როცა მისი სასარდლოს კაცი თბილისში ჩავიდოდა და სამართალს იქ ეძიებდა, ე. ი. როცა თვით გორის მოურავი სამართალში მონაწილეობას არ იღებდა[475].

ზოგ შემთხვევაში მოურავი „თვითონ არ ინებებდა სამართლის" წარმოებას, მაშინ მისივე ბრძანებით საქმის გარჩევა ქალაქის მელიქ-მამასახლისსა და „გამორჩეულ მოქალაქეებს" მიენდობოდა: „მოურავთან რომ მოჩივარი მოვა, თუ თითონ არ ინებებს სამართალს, თავის იასაულს გაატანს, ორნი უნდათ თუ სამნი მოქალაქე, იმათ დასმენ და სამართალს მოქალაქენი იქმოდნენ"—ნათქვამია თბილისის მოურავის სარგოში[476]. თუკი მოქალაქენი მოურავის ბრძანებისა და ნებართვის გარეშე „სამართალს იზამდნენ", მოურავი მათ დაიჭერდა და დააჯარიმებდა[477].

---

470 შ. მესხია, მასალები, გვ. 86.

471 საქ. სიძველენი, III, გვ. 523, § 1.

472 იქვე, § 1, 2.

473 იქვე, გვ. 523, § 2.

474 იქვე, § 3.

475 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 86.

476 საქ. სიძველენი, III, გვ. 523, § 2.

477 საქ. სიძველენი, III, გვ. 16.

იყო საჩივრის ისეთი სახეები, რომელთა გარჩევა უშუალოდ ქალაქის მელიქ-მამასახლისისა და ქედხუდების მოვალეობას შეადგენდა, — კერძოდ ქალაქის მოსახლეობას შორის წამოჭრილი სხვადასხვაგვარი დავა სახლზე, დუქანზე, სესხად აღებულ ფულზე, ბაღზე და სხვა, მაგრამ ამ შემთხვევაში მოდავეებს მეფისათვის ან კიდევ ქალაქის მოურავისათვის უნდა მიერთმიათ, რათა ნებართვა მიეღოთ, რომ მათი სამართალი მელიქ-მამასახლისსა და ქედხუდებს გაერჩიათ. 1799 წ. თბილისელი ტავრეშაშვილი მეფესთან ჩიოდა: ნაზარბეგაშვილს 16 თუმანი ვასესხე და სამართალმა მისი განაღდების საქმე გადაწყვიტოსო. გიორგი XII ამის გამო ბრძანებდა: „მელიქო დარჩიავ... ამ არზის პატრონი რომ ჩივის ეს შენი გასარიგებელი საქმე არის და შენ უნდა გაურიგოო“[478]. მართლაც, ქალაქის ვაჭართა თუ ხელოსანთა შორის დავა მელიქ-მამასახლისს უნდა გაერიგებინა, ოღონდ მელიქის სამართალს, როგორც ერთ საბუთშია ნათქვამი, „ქალაქის განწესებისამებრ“ ორი თუ მეტი „უმტერ-უმოყვრო მოქალაქე“ უნდა დასწრებოდა[479]. დარჩია ბებუთაშვილიც თავის სარგოს წიგნში ასევე აღნიშნავდა: „რაც ტფილისში მამულის სადაო და ან ვაჭრის სამართალი მოხდებოდა, ყველა მელიქ-მამასახლისთან და ქედხუდების თანდასწრებით უნდა მოხვდეს“[480]. როცა თბილისში მელიქისა და მამასახლისის თანამდებობა არ იყო გაერთიანებული, „ვაჭართა სამართალს“ ორივე მოხელე აწარმოებდა. 1753 წ. ერთ საბუთში ნათქვამია: „შაჰ ყული-ხანის (თბილისის მოურავის, გივი ამილახვრის, შ. მ.) ბრძანებითა... დავსხედით ჩვენ მელიქი საჰაკა, მამასახლისი პაპა და მუნთოანთ („მუნთუაშვილი, შ. ი.) მამაჯანას შვილი მიკირტუშა“ და მოქალაქეთ სამართალი მივეცითო[481]. აქ დასახელებული მუნთუაშვილი მიკირტუმა, როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, თბილისის ერთ-ერთი ქედხუდთაგანი იყო. ასე რომ, მოურავის ბრძანებით თბილისელთა სამართალი მელიქს, მამასახლისსა და ქედხუდას გაურჩევია. მელიქისა და მამასახლისის თანამდებობათა გაერთიანების შემდეგ კი „ვაჭართა სამართალს“, მოურავის ბრძანებით, მელიქ-მამასახლისი და ქედხუდები აწარმოებდნენ. 1784 წ. მელიქ-მამასახლისი და ქედხუდები ერეკლე II-ს მოახსენებდნენ: „გორელი ქრისტესიას და ქურქჩი იასაიას შვილების სახლების სამართალი გებძანათ. ამა-

---

[478] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 23, საბ. 38.
[479] იქვე, დავთ. 14, საბ. 106.
[480] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, ვ. 94.
[481] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 23, საბ. 24.

თი ლაპარაკი და წიგნები გავშინჯეთ“ და სამართალი მივეცითო. განაჩენს მელიქ-მამასახლისის გარდა ხელს აწერდნენ: თაყუაშვილი ისაია მიკირტუმას ძე, ნაზარბეგასშვილი ოსეფა, ტერ-ისაია და სხვები. განაჩენი შემდეგ დადასტურებულია მეფის მიერ[482]. როგორც მოტანილი საბუთებიდანაც ჩანს, მელიქ-მამასახლისისა და ქედხუდების სასამართლო მოქალაქეთა შორის სახლებზე, სესხზე, დუქნებზე და სხვ. დავას არჩევდა. მსგავსი საბუთების მოტანა კიდევ შეიძლებოდა: 1756 წ. მელიქმა, მამასახლისებმა და ქედხუდებმა გაარჩიეს მოქალაქეთა დავა დუქანზე[483], ასევე 1778 წ. მეფის ბრძანებით დავას დუქანზე არჩევენ მელიქ-მამასახლისი, ქედხუდები[484], 1779 წ. ისევ „დუქნის სადაო სამართალი“ მოქალაქეებს მელიქ-მამასახლისისა და ქედხუდებისაგან მიეცათ[485]. 1789 წ. საბუთში სხვათა შორის ნათქვამია: „ვისთანაც გირაოთ იყო დუქნები, იმათ იმის სიმაღლეს (ერეკლე II, შ. მ.) არზა მიართვეს... ჯელმწიფემ ბატონიშვილს გიორგიზედ (ბრძანა), რომ მელიქის და ქედხუდების დასწრებით ამ გირაოების დუქნის საქმე ქალაქის განწესებით გაარიგოს. ბატონიშვილმა მელიქ-მამასახლისს ავეტიქას და ქედხუდებს ოქმით უბრძანა, რომ იმათ გაარიგონო“ და ჩვენც ასე გავარიგეთო. განაჩენს მელიქ-მამასახლისს გარდა ადასტურებენ ჩვენთვის ცნობილი ქედხუდები: ყალოასშვილი ბაღდასარა, თაყუაშვილი ისაია და ფითუაშვილი აღა[486]. ხელოსანთა და ვაჭართა ვალების გადაწყვეტის საქმეს შეეხებოდა მელიქ-მამასახლისისა და ქედხუდების 1776, 1777, 1800 წწ. და სხვ. სასამართლოს სხდომები[487]. მელიქ-მამასახლისისა და ქედხუდების სასამართლო ზოგჯერ სახლის გზაზე დავასაც არჩევდა: „ჰაუშტრის შვილს გიქუას სახლობას ბატონის დედოფლისათვის არზა მიერთმია და ერისთვისშვილის შანშეს გამო ეჩივლა ჩემის ნასყიდის სახლის გზას არ მანებებსო და სამართალს ვითხოვო. ამას წინათაც მელიქს და ქედხუდებს უბრძანეთ ამ გზის გარჩევა. მელიქი და ქედხუდები მოვიდნენ, გასინჯეს და სამართლით მე მომცეს და ის სამართალი თქვენ დაამტკიცეთო“ — ნათქვამია 1795 წ. საბუთში[488]. მსგავს სა-

---

482 ЦГИАГ, იქვე, დავთ. 19, საბ. 91.
483 იქვე, დავთ. 11, საბ. 108.
484 იქვე, ფ. 226, № 216.
485 იქვე, ფ. 229, დავთ. 8, საბ. 55.
486 იქვე, დავთ. 6, საბ. 151.
487 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 7, საბ. 70; დავთ. 5, საბ. 139; დავთ. 19, საბ. 41.
488 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 10, საბ. 64.

დავო საქმეებზე მოქალაქეები, როცა ქალაქის მდივანბეგთან მივიდოდნენ და საქმის გარჩევას თხოვდნენ, მდივანბეგი ასეთ საქმეებს ხშირ შემთხვევაში მელიქ-მამასახლისს და ქედხუდებს აძლევდა გასარჩევად. 1690 წ. საბუთში სხვათა შორის ნათქვამია: აბანოს თაობაზე დავის გამო „მივედით ბატონს მდივანბეგსა ბარძიმსა, გავასინჯვინეთ, ბატონმან მდივანბეგმან ქედხუდებზედა მოაგდო, ქედხუდებმა“ კი ამგვარი განაჩენი მოგვცესო[489].

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, ქედხუდები, „გამორჩეული მოქალაქეები“ მელიქ-მამასახლისის სასამართლოს აუცილებელი წევრები იყვნენ. მაგრამ ქედხუდთა მონაწილეობა სასამართლოში ამ შემთხვევაშიც უსასყიდლო იყო, მათ საამისო გასამრჯელო არ ეძლეოდათ. მელიქ-მამასახლისი კი, როცა მსგავს სადავო საქმეებს გაარჩევდა და განაჩენს დაბეჭდავდა, მის მიერ გარჩეული საქმის სიდიდის მიხედვით, „საბეჭდავს“ მიიღებდა[490]. აღსანიშნავია, რომ ქედხუდები არა მარტო მოურავისა და მელიქ-მამასახლისის სამართალს ესწრებოდნენ, არამედ თვით მდივანბეგთა სასამართლოსაც. მდივანბეგთა 1780 წ. განაჩენში სხვათა შორის ნათქვამია: „მის სიმაღლეს (ერეკლე II-ს) ჩვენ საქართველოს მსაჯულთ შეკრებულებისათვის ებძანათ ამათი სამართალი. ჩვენ თან დავისწარით ქალაქში მოსამართლედ განწესებული ასრათ და ნაზარბეგაშვილი ოსეფაც და მათი საჩივარი მოვისმინეთო“[491]. ამგვარადვე მეორდება 1782 წ. განაჩენშიც: მოქალაქის თუშუასშვილის მიერ დაგირავებული ოთხი დუქნის შესახებ „მის სიმაღლეს მეფეს ჩვენ მსაჯულთათვის ებძანა... მოქალაქენიც დაისწარით და სამართალი მიეცითო. ჩვენ თან დავისწარით ქალაქში მოსამართლედ განწესებული ასარათა და ნაზარბეგაშვილი ოსეფა“[492]. ორივე შემთხვევაში დასახელებულნი ასარათა და ნაზარბეგაშვილი ოსეფა ქედხუდები არიან; ერთი მათგანი, ასარათა აბესალომოვი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქედხუდად 25 წლის განმავლობაში იყო. ქედხუდები საძეფოს მსაჯულთა, მდივანბეგთა სამართალსაც, ცხადია, მაშინ ესწრებოდნენ, როცა საქმე მოქალაქეს შეეხებოდა. ქედხუდთა მონაწილეობა მდივანბეგთა სამართალშიც, რა თქმა უნდა, უსასყიდლო იყო.

---

[489] იქვე, დავთ. 54, საბ. 212.
[490] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, ვ. 94.
[491] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 10, საბ. 152.
[492] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 8, საბ. 54.

ისე როგორც თბილისში, გორშიაც მოურავის სამართალს გორის მამასახლისი და ქედხუდებიც ესწრებოდნენ. ერეკლე II-ის მიერ გორის მოურავისადმი მიცემულ გარიგების წიგნში სხვათა შორის ნათქვამია: „რომელმნაც დამნაშავემ თავისი დანაშაული აშა ქნას (უარყოს, შ. მ.) მაშინ (საქმე) მამასახლისის და ქედხუდების თანდასწრებითა განვიკითხოთ და სამართლიანის საბუთით ჯარიმა ისე გადახდეს“[493]. გორის მამასახლისისა და ქედხუდების მონაწილეობა გორის მოურავის სამართალში სხვა საბუთებითაც დასტურდება. 1763 წ. ერთ განაჩენში აღნიშნულია: „ჩვენ ამილახორმა რევაზ, გვერთ ვიახლეთ გორის მამასახლისი გიორგი, გორის ქედხუდები (და) ამათი სამართალი გავშინჯეთო“[494]. ზოგ შემთხვევაში გორის მოურავის სამართალს, როგორც თბილისშიც, მარტოოდენ ქედხუდები ესწრებოდნენ. 1793 წ. ერეკლე II ბრძანებდა: „ბატონო ამილახვარო ოთარ... ამ არზის პატრონი რომ ჩივის... გორს (რომ) მიხვიდე, ყოვლად სამღვდელო მროველი იუსტინე და სამი ოთხი გორელი ქედხუდა შენთან დაისწარ, ეს ორნი მოდავენი ალაპარაკეთო“[495].

გორის მამასახლისი და ქედხუდები, მეფის ბრძანებით, ზოგჯერ თვითვე იყვნენ გორელთა სამართლის გამგებელნი. ერეკლე II 1791 წ. გორის მამასახლისს უბრძანებდა: „გორის მამასახლისო ზურაბ... ამ არზის პატრონებს რომ ასე მოუხსენებიათ შენ უნდა გორის მწერალი და რამდენიმე ქედხუდა შენთან დაისწრო და ამათი მამული, რომელიც იყოს სამართლიანის საქმით გაურჩიოთ და მოაბაროთ“[496]. რაკი გორელი ქედხუდები როგორც მოურავის, ასევე მამასახლისის სამართალს ესწრებოდნენ, ისინი საბუთებში ხშირად „მოსამართლე გორელებად“ მოიხსენიებიან[497]. „მოსამართლე გორელების“, ქედხუდების მონაწილეობა მოურავისა და მამასახლისის სამართალში უსასყიდლო იყო.

სამართალში მონაწილეობის უფლებით სარგებლობდნენ აგრეთვე ცხინვალელი ქედხუდებიც. მეფის 1792 წ. ბრძანებაში ნათქვამია: „მინბაშო ზაზავ... ამ ფავლენიშვილებს ასრე რომ მოუხსენებიათ, ორი-სამი ცხინვალელი ქედხუდა კაცი და გარე კიდევ ნიქოზიდამ და ხვითიდამ რამდენიმე იმ მამულების მცოდნე კაცი“

---

[493] იქვე, ფ. 227, № 758.
[494] იქვე, ფ. 229, დავთ. 49, საბ. 109.
[495] იქვე, დავთ. 50, საბ. 102.
[496] იქვე, დავთ. 46, საბ. 184.
[497] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 48, საბ. 50.

მოაყვანინე და საქმე გაარჩიეო[498]. ცხინვალელი ქედხუდები, თბილისისა და გორის ქედხუდების მსგავსად, მამასახლისთან ერთად არჩევდნენ მამულზე და სხვ. დავას ცხინვალში. 1751 წ. მეფე ბრძანებდა: „იასაულო ზურაბ საგინაშვილო, მიდი ქცხილვანს და ქცხილვანს მამასახლისი და უფროსი ქედხუდები შეყარე და რომელიც მამული ფავლენისშვილის კაციასი და მაჩაბლის სალაპარაკო იყოს, ის ცალკე გაარჩიეთ“ და სხვა კიდევ ცალკეო[499]. მსგავსი უფლებით სარგებლობდნენ ალბათ სხვა ქალაქთა მამასახლისები და ქედხუდები.

ზემომოტანილი მასალებიდან ირკვევა, რომ გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქებში სისხლის სამართლისა და ზოგ სამოქალაქო საქმეებსაც სამეფოს მსჯულები, მდივანბეგები არჩევდნენ. ქალაქებში „მსუბუქი სამართლის“ მწარმოებლებად მოურავები იყვნენ. მაგრამ მდივანბეგებისა და მოურავების სამართლის გვერდით ქალაქებში მელიქ-მამასახლისების და ქედხუდების სამართალიც იყო, ოღონდ მელიქ-მამასახლისისა და ქედხუდების სასამართლოდ ჯდომა მეფის ან კიდევ ქალაქის მოურავის ბრძანებით, მათი ნებართვით უნდა მომხდარიყო.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებში კი, რამდენადაც ამგვარი დასკვნის გაკეთების უფლებას მცირეოდენი მასალები იძლევა, მდივანბეგებთან და მოურავებთან ერთად სამოსამართლო უფლებებით ე. წ. „ქალაქთ-უხუცესები“ სარგებლობდნენ, რომელნიც აღმოსავლეთ საქართველოს ქედხუდთა მსგავსად მოქალაქეთაგან ამორჩეულები კი არ იყვნენ, არამედ სამეფო თუ სამთავრო ხელისუფლების მიერ დანიშნულნი. იყო დანაშაულის ისეთი სახეც, რომლის გარჩევაზე არც ქალაქთა მდივანბეგებს, არც მოურავსა და მით უფრო მელიქ-მამასახლისებს და ქედხუდებს ხელი არ მიუწვდებოდათ. ასეთი „სჯულის გარდამავლობა“, ანუ საერთოდ „სჯულის კანონის“ დარღვევა იყო, რომელზედაც მეთვალყურეობას ეკლესია ახორციელებდა. საეკლესიო ხელისუფალნი არჩევდნენ აგრეთვე „სჯულის გარდასულთა“ და სხვა რელიგიური წესების დამრღვევთა საქმეს. ამ თვალსაზრისით გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქები სხვადასხვა საეკლესიო უწყებათა შორის იყო განაწილებული. მაგ., თბილისი ამ მხრივ თბილისის საეპისკოპოსოს, „სიონთა ღვთისმშობლის ეკლესიას“ ექვემდებარებოდა, მისი სამწყსო იყო. 1701 წ., ძველიდანვე არსებული განწესების მიხედ-

---

[498] იქვე, დავთ. 45, საბ. 191

[499] იქვე, დავთ. 17, საბ. 168

ვით, ევდომოზ კათალიკოსმა თბილისის საკუთრივ ქალაქის „სჯულიერ საქმეთა სჯანონო“ თბილელი ეპისკოპოსის განსაგებელად მიიჩნია[500]. იგივე დაადასტურა დომენტი კათალიკოსმა 1710 წ.: „კათალიკოზ პატრონმა დომენტიმ ეს წიგნი მოგეცით თქვენ თფილელ მიტროპოლიტს ბატონს პავლეს, ასე რომე დაგელაპარაკე და ძველთაგანაც ყოფილიყო და წიგნიც გაგისინჯეთ, ქალაქის სამწყსო—მეფისა და დედოფლის სახლის გარდა—ქალაქი თქვენი სამწყსო ყოფილიყო. ახლა რაც მეფის ყმა იყოს ქართველი კაცი, ან დედოფლის ყმა იყოს, ან ბატონიშვილების ყმა იყოს და ან დარბაისელთა, ყველა თქვენი სამწყსო არის“[501]. როგორც ჩანს, ქალაქის მოსახლეობის ერთი ნაწილი, კერძოდ მართლმადიდებლური რწმენის მქონე (ქართველი კაცი) „სჯულიერის საქმით“ თბილელ ეპისკოპოსს ემორჩილებოდა, ან როგორც საბუთშია ნათქვამი, „თბილელმა უნდა მოიკითხოს რაც (მათში) საქმე მოხდეს“. დომენტი კათალიკოსის სიგელიდან ჩანს, რომ თბილელ ეპისკოპოსს „არა ქართველ კაცზე“, ე. ი. თბილისის სხვა რწმენის მოსახლეობაზე (გრიგორიანული, მაჰმადიანური, კათოლიკური) ხელი არ მიუწვდებოდა. ცხადია, სხვა სარწმუნოების მქონე მოსახლეობის „სჯულიერი საკანონო“ მათივე რწმენის „საღვთო კაცებს“ უნდა განეგოთ[502]. ამით აიხსნება, რომ 1698 წ. თბილისში კათოლიკური სარწმუნოებისაკენ მიდრეკილ სომხთა და კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ სომეხთა ვარდაპეტმა სასტიკად გაილაშქრა[503]. „სჯულს გარდასულნი“, ქორწინების, მონათვლის, დამარხვის და სხვ. წესების დამრღვევნი სხვადასხვა საეკლესიო სამართლით სასტიკად ისჯებოდნენ. მაგ., თბილისში 1698 წ. მეფის მიერ გაცემული ბრძანების მიხედვით, ვინც კათოლიკურ ეკლესიაში მივიდოდა და კათოლიკობას მიიღებდა, 12 თუმანს (120 მან.) ჯარიმას გადაიხდიდა[504]. ასეთი და მსგავსი რელიგიური წესების დარღვევათა გამო დაწესებულ ჯარიმებსა და სხვა სახის სასჯელს „საკანონო“ ეწოდებოდა. „საკანონო“, როგორც აღვნიშნეთ, იმ საეკლესიო ხელისუფალის განსაგებელს შეადგენდა, და იმის სასარგებლოდ მიდიოდა, რომლის სამწყსოშიაც ესა თუ ის ქალაქი, ან კიდევ ქა-

---

500 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლეს. ისტ. საბუთები, გვ. 214—216.

501 იქვე, გვ. 216.

502 იხ. საქ. სიძველენი, III, გვ. 16—17.

503 ვ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 291—293.

504 იქვე, გვ. 293.

ლაქის მოსახლეობის ესა თუ ის ნაწილი ივარაუდებოდა. ასე რომ, გვიანფეოდალურ საქართველოში, რაკი ქალაქების მოსახლეობა მათი რელიგიური რწმენის მიხედვით სხვადასხვაგვარი იყო, არათუ ყოველ ქალაქს, არამედ ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ ქალაქის მოსახლეობის ცალკეულ ნაწილსაც თავისი დამოუკიდებელი რელიგიური ხელისუფალი ჰყავდა.

როგორც განხილული მასალებიდან ჩანს, გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში სასამართლო ხელისუფლება საერო თუ სასულიერო ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა ხელში იყო მოქცეული. მდივანბეგებად საქართველოში მხოლოდ მსხვილი ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. ასევე, ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ქალაქთა მოურავებიც. მდივანბეგთა და მოურავთა სამართალი ქალაქებში, ბუნებრივია, გაბატონებული საზოგადოებრივი წრის, ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესებს იცავდა და მათი ბატონობის განმტკიცებას ხელს უწყობდა. ფეოდალური არისტოკრატია მხოლოდ უმნიშვნელო საქმეების, მოქალაქეთა შორის დავის გადაწყვეტის უფლებას აძლევდა მელიქ-მამასახლისებსა და მოქალაქეთა ზედაფენის წარმომადგენლებს. ამგვარ სამართალსაც მეფის მიერ დანიშნული მოხელე, მეფისავე თუ მოურავის ნებართვით, უძღვებოდა, რომელიც აგრეთვე სასამართლოში სამეფო ხელისუფლების ინტერესების დამცველად გამოდიოდა. მოქალაქეთა ზედაფენის წარმომადგენელთა მონაწილეობა მდივანბეგების, მოურავების თუ მელიქ-მამასახლისების სამართალში უფრო ფორმალური იყო. ამას გარდა, მოქალაქეთა წარმომადგენლები ფეოდალურ სამართალში მსხვილ ვაჭარ-მევახშეებისაგან ირჩეოდნენ, რომელნიც, ცხადია, ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის ინტერესებს იცავდნენ. ქალაქების ფართო ფენებს, ყმა ხელოსნებსა და ვაჭრებს ქალაქის სამართალში თავიანთი წარმომადგენლები არ ჰყოლიათ. მოსახლეობის ეს ფენა იყო სწორედ ფეოდალური სამართლის ჩაგვრის ობიექტი.

ქალაქის სამართლის განხილვა გვიჩვენებს იმ ევოლუციასაც, რომელიც „მოქალაქეთა წარმომადგენლების სამართალმა“ განიცადა საუკუნეთა მანძილზე. თუკი X—XIV სს. საქართველოში მოქალაქეთა მოსამართლეებად მათივე წრის წარმომადგენლები, „დიდვაჭრები“ იყვნენ, XVII—XVIII სს. „ქალაქის სამართალიც“ ფეოდალურმა არისტოკრატიამ იგდო ხელთ. „გამორჩეული მოქალაქეები“ ანუ „ქალაქში მოსამართლედ განწესებული“ ქედხუდები ძველი უფლებით როდი სარგებლობდნენ. ისინი ფეოდალური არის-

ტოკრატიის წარმომადგენელთა სამართლის მხოლოდ მონაწილენი იყვნენ. „ქალაქის სამართალში“ მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენელთა მონაწილეობით, გვიანფეოდალური ხანის საქალაქო წესწყობილება, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ხარკს იხდიდა ძველის, X—XIV სს. საქართველოს საქალაქო წესწყობილების წინაშე.

ამრიგად, გვიანფეოდალურ ხანაში ფეოდალურმა არისტოკრატიამ მოახერხა ხელთ ეგდო არა მარტო საქალაქო მმართველობის სადავეები, არამედ „ქალაქის სამართალიც“.

3. საქალაქო საკუთრების სტატუტი

გვიანფეოდალური ხანის საქალაქო წესწყობილების მიმოხილვისას არ შეიძლება ყურადღების გარეშე დატოვებულ იქნეს მფლობელობის ქალაქური წესი.

ქალაქების მოსახლეობის სხვადასხვა ფენები—მოქალაქეები, სამეფო, საეკლესიო თუ კერძო საბატონო ყმა ხელოსნები და ვაჭრები მეტ-ნაკლებად განსხვავებული ქონების მფლობელები იყვნენ.

გვიანფეოდალური ქალაქის მოსახლეობის ქონება, მართალია, ისე როგორც თვით ყმა ხელოსნები და ვაჭრები, არ შეადგენდა მათ მებატონეთა სრულ, განუყოფელ საკუთრებას, მაგრამ ფეოდალური სამართლის მიერ შემუშავებული „საკუთრების ქალაქური წესი“ მეფეს, ეკლესიას და სხვა მებატონეს თავისი ყმის ქონებაზედაც ერთგვარი უფლების განხორციელების შესაძლებლობას აძლევდა. ჯერ ერთი, ყმა ხელოსანი თუ ვაჭარი თავისი ბატონის ნებართვის გარეშე საკუთარ სახლსაც კი ვერ გაყიდიდა. 1777 წ. სახლის ნასყიდობის სიგელში თბილისელი დალაქი გიორგი წერდა: მოგყიდე სახლი „ბატონის ჩემის ტფილელ მიტროპოლიტის მიხაილის ნება დართვით“[505]. როგორც თვით მიტროპოლიტ მიხეილის მიერ იქვე გაკეთებული მინაწერიდან ჩანს, ბატონი თავის ყმას ქონების გაყიდვის ნებართვას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მისცემდა: „ჩვენ... მიტროპოლიტი ტფილისისა ამ ნასყიდობის ნებას ვაძლევთ და ვემოწმებით, ამ მიზეზისათვის, რომ თავისი ნასყიდი იყო, ამოწყდა, ვალ მრავალი ემართა, მოვალეები აწუხებდნენ და გარდახდის შეძლება არა ჰქონდათ“[506]. სხვა შემთხვევაში ბატონი, ცხადია, ასე ადვილად როდი მისცემდა ნებართვას თავის ყმას. ამას გარდა, ქალაქში მოსახლეებს როდი შეეძლოთ ბატონის ნებართვის

---

[505] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 10, საბ. 47.

[506] იქვე.

გარეშე თავისი საკუთრება მათთვის სასურველი პირისათვის მიეყიდათ ან გადაეცათ. „საკუთრების ქალაქური წესის“ მიხედვით, მოქალაქის, ყმა ხელოსნისა და ვაჭრის ქონება მხოლოდ იმ პირებზე შეიძლებოდა გაყიდულიყო, რომელთაც თვით მეფე, ან კიდევ სხვა მებატონე ისურვებდა. „საკუთრების ქალაქური წესი“ კრძალავდა სამეფო ყმის ქონების სხვა მებატონის ყმაზე გაყიდვას: სამეფო კაცის მამულის „გარეშე კაცზე... გასყიდვა მართებული არ არისო“—მიწერილია 1766 წ. ერთ სიგელში[507]. ამგვარადვე მეორდება 1774 წ. ნასყიდობის წიგნშიც[508]. არა მარტო სამეფო ყმების, არამედ სამეფო მოქალაქის ქონებაც მხოლოდ მოქალაქეს შეიძლებოდა ეყიდა, სხვა პირზე მისი გაყიდვა „ქალაქის განწესების“ მიხედვით აკრძალული იყო: „ტფილელის ყმას მოქალაქის მამული არ მიესყიდებოდა“ — ნათქვამია 1776 წ. საბუთში[509]. მოქალაქის ქონება არ შეიძლებოდა გადაცემოდა მის სიძესაც კი, თუ იგი მოქალაქე არ იყო. თბილისელი მოქალაქის ქვრივი ნასყიდობის წიგნში წერდა: „ერთი ქალი არუთინას მივათხოვე, რათგან სხვა ილაჯი არა მქონდა, ჩემი ვალებიც არუთინას გარდავაწყვეტინე და ამ ვალების თანხაში და მზითევში ეს ბაღი მივეცი; რათგან არუთინა მოქალაქე არ იყო მელიქმა არ მიმაცემინა (და ამიტომ) ეს ბაღი შენ ივანგულანთ გასპარაშვილს გურგენას მოგყიდეო“[510]. საკუთრების გაყიდვისა და გადაცემის ამგვარი წესი ხორციელდებოდა არა მარტო სამეფო, არამედ საეკლესიო ყმებზედა და მოქალაქეებზედაც. 1792 წ. დუქნის ნასყიდობის წიგნში ნათქვამია: დუქნის ნასყიდობის სიგელი პატრიარქმა დამიმტკიცა ოქმით მიბრძანა „თუ გაყიდვა მოიდომოო, სხვის ყმაზედ ვერ გაყიდიო, ისევ სვეტის ცხოველის ყმას უნდა მიყიდოო თუ გაგიჭირდესო“[511]. საკუთრების გაყიდვისა და გადაცემის შესახებ ქალაქში არსებული განწესება მებატონეთა ინტერესებიდან გამოდიოდა. მეფე თუ ეკლესია ცდილობდა თავისი ყმის ქონება სხვა პირთა ხელში არ გადასულიყო, რომ ამით მისი მფლობელობა ქალაქში არ შემცირებულიყო.

ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესებიდან გამოდიოდა „საკუთრების ქალაქური წესი“ იმ შემთხვევაშიც, როცა უმემკვიდრეოდ გადასული მოქალაქის თუ ყმის დარჩენილ ქონებას (ბეითალმანს) მისი ბატონის საკუთრებად აცხადებდა. გვიანფეოდალურ ხა-

---

[507] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 16, საბ. 26.
[508] იქვე, დავთ. 25, საბ. 135.
[509] იქვე, დავთ. 21, საბ. 2.
[510] იქვე, დავთ. 6, საბ. 125; ГМГ, ფ. Qd 876.
[511] იქვე, დავთ. 5, საბ. 19; შდრ. დავთ. 8, საბ. 113.

ნაში განმტკიცებული ბეითალმანი, ქონების მებატონეზე გადაცემის ამგვარი წესი ქალაქების მოსახლეობის მიმართ ერთგვარად შეცვალა ვახტანგ VI-მ და თბილისის ვაჭარ-ხელოსანთათვის შედარებით ხელსაყრელი, ახალი წესი დააკანონა; ვახტანგ VI თბილისის მოსახლეობისადმი, „დიდთა და მცირეთადმი“ 1722 წ. ბოძებულ სიგელში წერდა: „თქვენისა მოდგმისა და ერთგულებისა საშუსაფოდ ესე წყალობა გიყავით რომლი პირველთაგან გედვათ და აწ აღმომიკვეთია: თუ ქალაქში კაცი ამოვარდეს და თუ არ დარჩეს ძე და არც ასული, იმისი საქონელი, სახლი, კარი და აგარაკი, მამული და მიწაწყალი, ვინც იმისი კარისი გამოჩნდეს იმისთვის გვიბოძებია, ჩვენ ხელი არა გვაქვს და ვერც ვინ ჩვენი მოსაქმე მიედავება. ეს ჩვენგან ბოძებული და წყალობა ესრე გაგითავდესთ და არაოდეს არ მოგეშალოსთ[512]. როგორც მოტანილი სიგელიდან ჩანს, უმემკვიდრეოდ ამოვარდნილი ქალაქის მცხოვრების ქონების საშეფოდ გადადება ქალაქის მოსახლეობას „პირველთაგან (ძველიდანვე) ედვათ“. ვახტანგის დროიდან კი, ამგვარი წესი ამოკვეთილ იქნა. ამიერიდან ქალაქის მცხოვრებთა ბეითალმანი უმემკვიდრეოდ გარდაცვლილ პირთა ნათესავებსაც (თუ ასეთი გამოჩნდებოდა) გადაეცემოდათ. მაგრამ ვახტანგ VI-ის მიერ შემოღებული ახალი წესი მარტოოდენ თბილისს შეეხებოდა და ამას გარდა იგი საერთო მდგომარეობას დიდად არ ცვლიდა, რადგან უძეოდ ამოვარდნილი ქალაქის მცხოვრებთა ქონების მფლობელებად, როგორც საბუთებიდან ირკვევა, მხოლოდ მისი ახლო ნათესავები (განაყოფები: ძმები, დები და მოყვრები) შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. 1777 წ. საბუთში ეკითხულობთ: „ბიძა ჩემი... მანუჩარა ამ ქვეყანას (თბილისს, შ. მ.) აღარ მოვიდა და ბასრას მოკვდა. აქ კარისა არავინა ჰყვანდა, იმისი სასახლეც და სხუა მამულიცა ან რაც დარჩა სულ მოიტანეს და ბედნიერის მეფის სარქრისათვის ზავთი ჰქნეს (სამეფოდ გადადვეს, შ. მ.). რაც მანუჩარას ვალი იყო ისიც ბედნიერის მეფის სარქრიდამ მისცეს. რათგან მანუჩარა ბიძა ჩემი იყო, იმისი სასახლის ღირსეული ფეშქაში მივართვი, რომ არის... რლე (1550 მან.) ...ეს ბედნიერი მეფის სარქარში მიერთვა და სახლი მე მებოძა“[513]. როგორც ჩანს, დისწული თუ ძმისწული უძეოდ გარდაცვლილის „კარისად“, ნათესავად და მისი ქონების მემკვიდრედ არ იყო მიჩნეული: გარდაცვლილის ასე ახლობელ პირებსაც კი საკუთარი

---

[512] ГМГ, ფ. Sd 2938; შდრ. ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 24, საბ. 14.
[513] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 8, საბ. 123.

ბიძის ბეითალმანი ქონების გამოსყიდვა უხდებოდა. მებატონის საკუთრებად ცხადდებოდა არა მარტო გარდაცვლილი, არამედ ქალაქიდან აყრილი, გაქცეული მოქალაქის თუ ყმის ქონებაც. გაქცეული მოქალაქის ქონებაზე მის არც განაყოფებსა და არც მოყვრებს ხელი არ მიუწვდებოდათ. ვახტანგ VI-ის მიერ დაკანონებული ამგვარი შემთხვევების მიმართ ძალაში აღარ იყო. მელიქ-მამასახლისი ავეტიქა ერეკლე II-ს მოახსენებდა: „თქვენის განაჩენის ძალით გაქცეულის კაცის სახლი თქვენი არის, არც განაყოფსა აქვს საქმე და აღარც მოყვრებსო“[514]. სამეფო საკუთრებად იქცეოდა აგრეთვე იმ მოქალაქის თუ სამეფო ყმის ქონებაც, რომელიც სხვა ქვეყანაში დასახლდებოდა. 1784 წ. საბუთში შენიშნულია: „ბატონის (მეფის, შ. მ.) ბრძანება არის ვინცა ვინ მოქალაქე უცხოს ქვეყანაში დასახლდეს იმისი მამული სახელმწიფო იქმნება“[515]. ამგვარადვე მეორდება 1789 წ. საბუთშიც[516]. სხვა ქვეყანაში გადასახლებული მოქალაქის ყმებიც კი, „ქალაქის განწესებით“, მეფის კუთვნილებად ცხადდებოდა. „გულიშამბარაშვილი მიქელა რუსეთს დასახლდა და იმისი ყმა... ეს ორი კომლი გლეხი ჩვენთვის სახასოდ დადევით... ქალაქს გარეთ უბანს დგანანო“—ბრძანებდა ერეკლე II 1794 წ.[517] „ქალაქის განწესება“ კრძალავდა, რა თქმა უნდა, უცხო ქვეყანაში გადასულ მოქალაქეს თუ „გორელ კაცს“ უცხო ქვეყნიდან საქართველოში თავისი ქონება გაეყიდა: უცხო ქვეყნიდან „ქართლში მამულს არავის გავასყიდვინებთ და არც სამართლით გაისყიდება“—წერდა ერეკლე თავის 1784 წ. სიგელში[518]. ამგვარი წესი ადრიდანვე იყო გვიანფეოდალურ ქალაქებში შემოღებული; 1697 წ. საბუთში ნათქვამია: „ყიზილბაშთ ქვეყანას აქაურის წასული კაცისაგან მამული არ გაისყიდებოდა“ არც „მოქალაქისა და არც გორელი კაცისაგანო“[519]. ასე რომ, უმემკვიდრეოდ გარდაცვლილის, ქალაქიდან გაქცეული თუ სხვა ქვეყანაში გადასახლებული მოქალაქისა თუ სამეფო ყმის დარჩენილი ქონება მეფის კუთვნილებად, ბეითალმანად ცხადდებოდა. ამგვარადვე ექცეოდნენ თავიანთ ყმათა ქონებას როგორც საეკლესიო ფეოდალები, ასევე კერძო მებატონეებიც.

---

[514] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 5, საბ. 180.
[515] იქვე, დავთ. 5, საბ. 20.
[516] იქვე, დავთ. 6, საბ. 114.
[517] იქვე, დავთ. 48, საბ. 1.
[518] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ 12; საბ. 37.
[519] იქვე, დავთ. 3, საბ. 59.

თავისი ყმის ბეითალმან ქონებას მეფე თავისი სურვილებისამებრ გასცემდა. მოქალაქის ბეითალმანი პირველ რიგში მოქალაქეს უნდა მისცემოდა, რათა „ჯელმწიფის სამსახური იმით გასწიოს“[520]. ასევე იქცეოდნენ ქალაქში ბეითალმანთა სხვა მფლობელებიც—ეკლესია, კერძო მებატონეები. მაგ., თბილისის მიტროპოლიტმა თავისი ყმის ბეითალმანი სახლის ადგილი თავისსავე ყმას უბოძა[521]. მოქალაქეები თუ ყმები ბეითალმან ქონებას სათანადო საფასურის გაღებით იძენდნენ. გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში ბეითალმანი ქონების გაყიდვის სათანადო წესიც არსებობდა: „ქალაქის განწესება ეს არის: ვინც მამულში მეტს ფასს გაიღებს იმან ერგება.. მეორეც, რომ მოქალაქის სახლი მოქალაქემ უნდა იყიდოს და ჯელმწიფის სამსახური იმით გასწიოს“ — წერდა თბილისის მელიქი ერეკლე II-ს 1769 წ[522]. გაყიდული ბეითალმანიდან მიღებული თანხაც, „ქალაქის განწესების“ მიხედვით, სამად უნდა განაწილებულიყო. ერთი ნაწილი მეფის სასარგებლოდ მიდიოდა, მეორე გარდაცვლილის ნათესავებისა და მესამე კიდევ გარდაცვლილის მღვდელის—„მკვდრის სულის მოსახსენებლად“. ბეითალმანი ქონების გაყიდვის 1780 წ. საბუთში აღნიშნულია: „მის სიმაღლეს მეფეს მოქალაქეებისათვის განეწესებინა სამ წილათ გაუყავით (და ჩვენც ასე მოვიქეცით), ერთი წილი ჯელმწიფის სარქარს მიერთვა დწფ (4 თუმანი, 2 მინალთუნი და ათი შაური, 42 მან. 50 კაპ), და ერთი წილი კვდრის სულისათვის თავის ხუცის ხელით დაიხარჯა დწფ (42 მან. 50 კაპ) და ერთი წილი თავის კარისებს, გათხოვილ ცოლსა და გათხოვილ ქალს მივეცით“[523]. ამგვარადვე, სამად განაწილდა ყალოშვილი მელქოას ბეითალმანიდან მიღებული თანხაც 1779 წ[524]. თუკი უძეოდ გარდაცვლილს არავითარი ნათესავი არ აღმოაჩნდებოდა, ბეითალმანის გაყიდვიდან მიღებული თანხის ორი ნაწილი სამეფოდ მიდიოდა, ერთი კი „მკუდარის სულისათვის“[525]. მაგრამ იყო შემთხვევა, როცა უძეოდ გარდაცვლილს ან კიდევ ქალაქიდან გაქცეულს ვალები რჩებოდა. ამგვარ შემთხვევაში, „ქალაქის განწესების“ მიხედვით, მიღებული თანხიდან პირველ რიგში ვალები უნდა დაეფარათ, დანარჩენი კი ჩვეულებრივ ისევ სამად განაწილდებოდა[526]. როგორც აღვნიშნეთ, უძეოდ გარდაცვლი-

---

[520] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 48, საბ. 2.
[521] იქვე, დავთ. 11, საბ. 144.
[522] საქ. სიძველენი, III, გვ. 467.
[523] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 10, საბ. 96.
[524] იქვე, დავთ. 5, საბ. 181; შდრ. იქვე, დავთ. 6, საბ. 148.
[525] იქვე, დავთ. 17, საბ. 66.

ლი თუ გაქცეული მოქალაქის, სამეფო ყმის ბეითალმანი პირველ რიგში მოქალაქესა და ისევ სამეფო ყმას მიეყიდებოდა. მაგრამ იყო შემთხვევა, როცა ქალაქის მოხელეები (მელიქ-მამასახლისი, მებეითალმანე), მეფის ნებართვით, მოქალაქის ქონებას გარეშე კაცზე ყიდდნენ. 1762 წ. სახლის ნასყიდობის წიგნზე ქალაქის მელიქ-მამასახლისის მიერ მიწერილია: „რათგან ძველთაგან წესია, რომ ბედნიერი მეფის ყმის მამული სხვის ყმაზე არ გაისყიდება, არც ეს უნდა გასყიდულიყო, მაგრამ ამ სახლისა მურახასი (ნებართვა, შ. მ.) ბძანა ბედნიერმა მეფემ ერეკლემ, მისი ბძანებით სიგელი დავაწერინეო"[527]. ამგვარადვეა მიწერილი 1769 წ. სახლის ნასყიდობის სიგელშიც: „ჯელმწიფის ყმის მამული სხვის ყმაზე არ გაისყიდება, მაგრამ ეს სახლი ორმოცის წლის დაგირავებული იყო და ნასყიდივით იყო და ამიტომ გაისყიდა"[528]. არათუ ბეითალმანი, არამედ დავალიანებული მოქალაქის მამულიც, გამონაკლის შემთხვევის გარდა, არ შეიძლებოდა გარეშე კაცზე გაყიდულიყო. 1771 წ. ორი დუქნის ნასყიდობის საბუთს მიწერილი აქვს: „გორელ კაცს ქალაქის მამული არ მიესყიდებოდა, მაგრამ ამ დუქნების პატრონს მოვალეები ძალას უშვრებოდნენ და მოქალაქე მუშტარი ვერ იშოვა, მისი მიზეზით მივასყიდვინეთ, სარგოსაც (უნდა) ემსახურონ"[529]. მეფე, თუკი მისი ყმის მამულს სხვა იყიდდა, თავისი ყმის ქონებას ფაქტობრივად კარგავდა; ამიტომაც „საკუთრების ქალაქური წესი", რომელიც სამეფო ხელისუფლების ინტერესებიდან გამოდიოდა, სამეფო მოქალაქის თუ ყმის მამულის მყიდველს ფაქტობრივად მეფის ყმად აქცევდა, მას მეფის სასარგებლოდ ყოველწლიურად სათანადო გამოსაღებს, მახტას აკისრებდა. 1772 წ. საბუთში ნათქვამია: „რადგან ამ სახლის მსყიდველი სხო იყო, მაგრამ მოქალაქე არ იყო, ამ მიზეზით ამ პირობით ვასყიდვინეთ სახლი, რომ წელიწადში ოცდაათი შაური ქალაქის დავთარში ხარჯი მისცენ"[530]. ზოგ შემთხვევაში ამგვარ პირთა ყოველწლიური გამოსაღები 5 აბაზით (1 მან.) განისაზღვრებოდა. მაგ., 1786 წ. სახლის ნასყიდობის სიგელს მიწერილი აქვს: „როგორც ამ სიგელში წერია, ისევ მოწამე ვარ მელიქ-მამასახლისი ავეტიქ. ამ პირობით რომ წელიწადში ხუთი აბაზი მასთა უნდა ქალაქის დავთარში მისცეს"[531].

---

[526] იქვე, დავთ. 25, საბ. 10.
[527] ЦГИАГ, ფ. 228, დავთ. 10, საბ. 82.
[528] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 5, საბ. 135.
[529] იქვე, დავთ. 1, საბ. 23.
[530] იქვე, დავთ. 7, საბ. 103.
[531] იქვე, დავთ. 5, საბ. 110.

ამგვარადვე მეორდება 1792 წ. საბუთშიც[532]. მეფის მოქალაქის მამულის მყიდველი ზოგი „გარეშე კაცის“ ყოველწლიური გამოსაღები ცალკეულ შემთხვევაში 5 მინალთუნით (5 მან.) განისაზღვრებოდა[533]. ამრიგად, „საკუთრების ქალაქური წესი“ მტკიცედ იცავდა ქალაქის მფლობელის, მეფის ინტერესებს და მას, მაშინაც კი როცა სამეფო ყმისა თუ მოქალაქის მამული სხვა პირის ყმაზე იყიდებოდა, არაფერს აკარგვინებდა. პირიქით, სამეფო ხელისუფლება ამგვარი წესის დაკანონებით გარდაცვლილთა თუ გაქცეულთა მაგიერ ქალაქში ახალ-ახალ ყმებს იძენდა. გვიანფეოდალურ ქალაქებში არსებული განწესება კრძალავდა აგრეთვე მოქალაქის თუ სახასო ყმის ქვრივის სხვა მებატონის ყმაზე გათხოვებას, მაგრამ თუკი ასეთი მოხდებოდა, ამ შემთხვევაშიც სამეფო ხელისუფლება არაფერს კარგავდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქალაქის ქვრივის შემრთველიც სამეფო ყმად ჩაირიცხებოდა. გვიანფეოდალურ ქალაქებში გაბატონებული „საკუთრების წესის“ შესახებ დავით ბატონიშვილი წერდა: «Состояние купеческое по торговым своим оборотам преимущественнее прочих может приобретать капиталы и лутчие в городе выгоды, что все в случае не имения наследников, по установлению государственному, принодлежит царю; то что бы казенныя имения не переходили в частния руки, запрещается помещикам, без царского соизволения, купеческих вдво брать за своих крепостных людей. В противном случае женившийся от помещика будет свободен и запишится в состояние купеческое»[534].

„საკუთრების ქალაქური წესი“ არა მარტო ქალაქის მცხოვრებთა ქონების მემკვიდრეობის საკითხს შეეხებოდა, არამედ მოქალაქეთა გაყრის, ვალის გადახდის, მემკვიდრეობაში ქალის უფლების და სხვა წესებსაც, რომელნიც დღემდე ასევე სავსებით შეუსწავლელია და რომლებზედაც ამიტომ ორიოდე სიტყვით შეჩერებას საჭიროდ მივიჩნევთ.

ქალაქის მცხოვრებთა გაყრის შემთხვევაში, როგორც 1787 წ. საბუთშია ნათქვამი, შემდეგი სამართალი იყო განწესებული: „რომ რისაც მქონელებნი არიან ამ თარიღში რომ იყრებიან, შუა უნდა

---

[532] იქვე, დავთ. 1, საბ. 34; შდრ. იქვე, დავთ. 23, საბ. 50.

[533] იქვე, დავთ. 5, საბ. 157.

[534] Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н: 11, § 832; შდრ. მისივე, სამართალი, ГМГ, ფ: Н: 840, მუხლი, 159.

გაიყონ. რაც ამას წინათ... თავიანთ საერთო თეთრიდამ დაუხარჯავსთ, ის აღარ იხსენება, რადგან დღეს იყრებიან, როცა აქვსთ ნაღდეული (ფული, შ. მ.) თუ ჯინსეული (საქონელი, შ. მ.), ვალი თუ ასაღები, ორისავე საერთო არის, შუა უნდა გაიყონ. შინ თუ გასათხოვარი ქალი ჰყავთ, ზითევი ერგება და თუ მოსწრებული ვაჟიშვილი ჰყავსთ, საქორწილო ერგება თავიანთ ქონების მიხედვითა და უფროს (ძმათა შორის გაყრისას) მამის მამულიდამ საუფროსო ერგება"[535]. აქ მოტანილი „გაყრილობის სამართალი" რომ გვიანფეოდალური ხანის საქალაქო ცხოვრებაში ამგვარადვე ტარდებოდა, ჩანს იმ მასალებიდან, რომელიც თბილისის მცხოვრებთა გაყრილობას შეეხება. 1778 წ. გაყრილობის წიგნში სხვათა შორის ნათქვამია:„რაც მამული გვქონდა და ან ეს ზემო ნაწერი (დუქნები, ოთახები, ბაღი) სულ დავაფასედ და ფასით ერთმანეთში მოვრიგდით, რაც აღას საუფროსო, ან ქალის მზითევი ან ავთანდილის საქორწილო იქნებოდა, როგორც ქალაქის განწესება არის ისე მივეცით". ძმები ამიერიდან ჩვენს მოგებასა და ვალზე ცალ-ცალკე ვაგებთ პასუხს, მაგრამ „თუ მამისეული და პაპისეული ვალი ან ასაღები გამოჩნდეს, ოთხივ ძმისა არის"[536]. როგორც სხვა საბუთებიდანაც ირკვევა, ძმების გაყრის დროს, რომელიმე ძმის ცოლის მზითევით ნასყიდი ან კიდევ შვილის მიერ საკუთარი თანხით შეძენილი არ იყოფოდა: გაყრის დროს „ცოლის მზითვის ნასყიდთან და ან შვილის. საკუთარი სამთავნოთ (თანხდით, შ. მ.) ნასყიდთან ძმებს რა ხელი აქვსთო"—ნათქვამია 1785 წ. საბუთში[537]. ქალაქის მცხოვრებთა გაყრას ზემოხსენებული „ქალაქის განწესებით" აწარმოებდნენ, როგორც აღვნიშნეთ, თბილისში მელიქ-მამასახლისი და ქედხუდები, სხვა ქალაქებში კი მოურავი და ქალაქის სხვა ხელისუფალნი.

გვიანფეოდალურ ქალაქებში არსებული წესები საინტერესო მასალებს იძლევიან ქალის უფლების გათვალისწინებისათვის. როგორც 1751 წ. საბუთიდან ირკვევა, უძეოდ გარდაცვლილი მოქალაქის ქვრივი მისი ქმრის ქონების მემკვიდრედ არ შეიძლებოდა ყოფილიყო, იგი სამეფო ბეითალმანად ცხადდებოდა. მოქალაქის ქვრივი მარიამი ნასყიდობის სიგელში წერდა: „ქმარი, შვილი დამეხოცა და მათგან დანარჩომი სახლკარი ბეითალმათ აიწერა"[538]. მხო-

---

[535] ГМГ, ф. Hd: 3230.

[536] ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 2, საბ. 68.

[537] იქვე, დავთ. 11, საბ. 105.

[538] იქვე, დავთ. 2, საბ. 71.

ლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და მეფის საგანგებო ბრძანებით შეიძლებოდა უძეოდ გადასული მოქალაქის ქვრივი თავისი ქმრის ქონების მფლობელი გამხდარიყო. მაგრამ თუ უძეოდ გარდაცვლილ მოქალაქეს ან ქალიშვილი ან კიდევ და დარჩებოდა, ისინი „ქალაქის განწესებით“ ბეითალმანის მფლობელებად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ: „ქალაქის განწესებისამებრ და სამართლითაც თავისი ძმის ბეითალმანი დას უფრო ერგებოდა და ამისთვის „გიბოძეთ კიდევაცო“—ნათქვამია 1749 წ. საბუთში[539]. ქალი „საკუთრების ქალაქური წესის“ მიხედვით თავის ქონებრივ უფლებას მხოლოდ მზითევზე აცხადებდა, მაგრამ ისიც მხოლოდ 12 წლის განმავლობაში. 12 წლის შემდეგ კი „ცოლის მზითევი ქმარს აღარ ეთხოვებოდა“[540]. როგორც ჩანს, ქალი 12 წლის შემდეგ უფლებას კარგავდა თავის ერთადერთ ქონებაზე, მზითევზედაც. გვიანფეოდალური საქალაქო განწესება ქალს უკრძალავდა, რა თქმა უნდა, ქმრის სიცოცხლეში, თუნდაც ქმრის ქალაქში არყოფნის დროს, მისი სახლკარი და სხვ. გაეყიდა: „ამ ქვეყნის წესი არ არის რომ ქმარი ცოცხალი იყოს (ნასყიდობის) სიგელი მისცეს“[541]. ქალი ნასყიდობის სიგელის მიცემის უფლებით მხოლოდ მაშინ ისარგებლებდა, თუკი ქმრისაგან სათანადო ნდობის საბუთი, ვექილობა ექნებოდა მიცემული. 1791 წ. საბუთში აღნიშნულია: „მოვალისაგანაც ქალაქს მოსვლა არ შემეძლო, წიგნი და ვექილობა მოვსწერე ჩემს მეუღლესა, რომ მამის ჩემის ნასყიდი... სახლი თქვენზედ“ მოეყიდაო[542]. ამგვარადვე, ქალაქის სამართლით, ქონებას ვერ გაყიდიდა, მეფის (ბატონის) ნებართვის და თავისი ნათესავების დაუკითხავად, „უასაკო ყმაწვილი“[543], „უმცროსი ძმა თავის ძმის უნებურათ“[544] და სხვ.

ფეოდალურ ქალაქებში სესხი ფართოდ იყო გავრცელებული. წვრილი ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ პირველი მსესხებელნი, ხოლო გამსესხებლებად ქალაქის მოსახლეობის ზედაფენა, მსხვილი ვაჭრები და მევახშეები. გვიანფეოდალური „საქალაქო განწესება“, რომელიც მოქალაქეთა ზედაფენის ინტერესებს იცავდა, სესხის დაფარვის წესებსაც ადგენდა. მსესხებელი ვალდებული იყო თავისი

---

[539] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 23, საბ. 31; შდრ. იქვე, დავთ. 6, საბ. 142.
[540] იქვე, დავთ. 10, საბ. 152.
[541] იქვე, დავთ. 1, საბ. 1.
[542] იქვე, დავთ. 2, საბ. 63.
[543] იქვე, დავთ. 8, საბ. 139.
[544] იქვე, დავთ. 10, საბ. 4.
[545] იქვე, დავთ. 39, საბ. 6.

ნასესხები თანხის შესაფერი ქონება (სახლი, დუქანი, და სხვ.) გამსესხებლისათვის გირაოდ მიეცა. შეუძლებელი მოვალისაგან სესხის დაფარვა სწორედ ამ გირაოს შემწეობით ხდებოდა. როცა გამსესხებელი თავისი სესხის დაბრუნებას მოინდომებდა, ვალდებული იყო მსესხებლისათვის ფულის საშოვნელად 40 დღის ვადა მიეცა[545]. მაგრამ თუ ამ ხნის განმავლობაშიც მსესხებელი სესხს ვერ დაფარავდა, მისი გირაო გაიყიდებოდა. დავალიანებულის სახლკარის გაყიდვას ქალაქის მელიქ-მამასახლისი და ქედხუდები აწარმოებდნენ და მიღებულ თანხას, როგორც „ქალაქის განწესება არის ისე მოვალეებს გაუყოფდნენ"[546]. როცა ქალაქში გირაო იყიდებოდა, მყიდველთა შორის უპირატესობა მოგირავნეს ან კიდევ, თუ რამდენიმე მოგირავნე იყო, პირველ მოგირავნეს ენიჭებოდა. 1797 წ. გიორგი ბატონიშვილი ბრძანებდა: „სამართლის ეს არის და ქალაქის განწესებაც, რომ ის დუქანი ამ პირველის მოგირავნისა არის და ამასვე მოაბარე ახლავ!"[547].

გვიანფეოდალურ ქალაქებში ხანძრების ხშირი შემთხვევა იყო. ამას გარდა, უცხო დამპყრობლები, შემოსევების დროს, ქალაქებს არა მარტო ძარცვავდნენ, არამედ ცეცხლს აძლევდნენ. ამგვარი უბედური შემთხვევები სპობდა ქალაქის მოსახლეობის უძრავ თუ მოძრავ ქონებას, მათ შორის დაგირავებულ დუქნებსა თუ სახლებსაც. „ქალაქის განწესება" ამგვარ შემთხვევებსაც ითვალისწინებდა: თუ დაგირავებული შენობა დაიწვებოდა „დამწვარისას" მეოთხედს გამოვიდოდნენ, ისე რომ მოგირავნე დავალიანებულისაგან თავისი სესხის მხოლოდ 3/4 ნაწილს მიიღებდა. ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „სახლი თქვენთან (მიკირტუმასთან, შ. მ.) გირაოთ იყო ოც თუმნათ და ერთი სახლი ალდვერანაანთ მირიმანასთან იყო გირაოთ ოც თუმნათ, ეს სახლები ქალაქის წახდენაში (აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობის დროს, 1795 წ.-შ. მ.) დამწვარ იყო და ქალაქის განწესებით დამწვარის მეოთხედი გამოვიდნენ. შენ (მიკირტუმას) უნდა მოგცემოდა შენს ოც თუმანში თუთხმეტი თუმანი, ალივერანაანთ უნდა მისცემოდა თავის ოც თუმანში თხუთმეტი თუმანი"[548]. ამგვარადვე მეორდება სხვა მსგავს საბუთებშიაც[549].

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, „საკუთრების ქალაქური წესი" ქალაქის მოსახლეობის მფლობელობის სხვადასხვა

---

[546] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 7, საბ. 121.

[547] იქვე, დავთ. 13, საბ. 87.

[548] იქვე, დავთ. 8, საბ. 142.

[549] იქვე, დავთ. 4, საბ. 284; შდრ. იქვე, დავთ. 14, საბ. 128.

მხარეს შეეხებოდა. მაგრამ უმთავრესს მაინც ქალაქის მოსახლეობის საკუთრების მემკვიდრეობის საკითხი და მათზე მებატონის უფლებათა განხორციელება შეადგენდა.

XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში ამ მხრივ არსებული წესი, თუნდაც ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის მიერ დაკანონებული, როგორც ჩვენ მიერ მოტანილი მასალებიდან ჩანდა, უფრო საერო და სასულიერო ფეოდალთა, განსაკუთრებით კი მეფის ინტერესებს ემსახურებოდა, ვიდრე ქალაქის მოსახლეობის ფართო ფენებისას.

XVII—XVIII სს. საქართველოს საქალაქო წესწყობილების ზემოთ გაკეთებული მიმოხილვა შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა:

1. ყოველი, დიდი თუ მცირე, ქალაქის უმთავრესი მოხელეები (მოურავი, მამასახლისი, მელიქ-მამასახლისი, ნაცვალი) გვიანფეოდალურ საქართველოში ქალაქის მფლობელის (მეფე, მთავარი, თავადი) მიერ ინიშნებოდნენ.

2. ქალაქთა მოურავები ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთაგან (თავადი, აზნაური) ინიშნებოდნენ. ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები განაგებდნენ ზოგ ქალაქში მამასახლისის თუ მელიქ-მამასახლისის თანამდებობასაც (ბებუთაშვილები თბილისში და სხვ.). მოქალაქეთა ზედაფენიდან დანიშნული მამასახლისებიც კი, თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს, აზნაურის უფლებებით სარგებლობდნენ, მოქალაქეთა ზედაფენიდან ინიშნებოდნენ აგრეთვე ქალაქთა ნაცვლებიც.

3. ყოველ ქალაქში ერთი მოურავი, ერთი მამასახლისი ან მელიქ-მამასახლისი და ერთი ნაცვალი იყო. ამა თუ იმ ქალაქში ყმათა მფლობელ ცალკეულ საერო თუ სასულიერო ფეოდალთა მოურავების თუ მამასახლისების გაჩენა მეფესა და ფეოდალურ არისტოკრატიას შორის ქალაქის გაყოფის ან კიდევ ამგვარი დაყოფის ცდის მაუწყებელი იყო.

4. მოურავების, მამასახლისების, მელიქ-მამასახლისის და ნაცვლის უფლება, „მოვალეობა ყოველ ქალაქში ერთნაირი როდი იყო. ყოველი ქალაქის (დიდის თუ მცირის) მოხელეთა უფლება-მოვალეობა საგანგებო, ჩაწერილი დებულებებით იყო განსაზღვრული ქალაქის მფლობელთა (მეფე, მთავარი, თავადი) მიერ. ამგვარადვე, დებულებით იყო განსაზღვრული მათი სარგოც; მაგრამ მათთვის

დადგენილ დებულებებს ქალაქის მოხელეები, თავიანთ სასარგებ-ლოდ, ხშირად არღვევდნენ.

5. ქალაქის შედარებით მეორეხარისხოვან მოხელეებს შეადგენ-დნენ: ციხისთავი, მებაჟეები, ყაფანდარი, „ქალაქის მწერალი", „თეთრის მკრეფელნი", მებეითალმანე, ჯარჩები; ზემოდასახელე-ბული მოხელეები, ციხისთავისა და მწერლის გამოკლებით, მოქა-ლაქეთა, ვაჭარ-მევახშეთა წრიდან ინიშნებოდნენ. ქალაქებში სა-პოლიციო აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებად, ნაცვალთან ერთად, ასასბაში და ასასები იყვნენ.

6. ქალაქის ზემოდასახელებული ყველა მოხელის (დიდის თუ მცირის) გასტუმრება გვიანფეოდალური ქალაქების შემოსავლისა და თვით მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა. მოხელეთა გასტუმრების ამგვარი წესი ქალაქს მოხელეთა სარჩოდ და გამდიდრების წყაროდ აქცევდა, რაც ქალაქის მოსახლეობის ექსპლოატაციის ზრდასა და კლასობრივი ურთიერთობის გამწვავებას იწვევდა. ქალაქის მოსახ-ლეობის ექსპლოატაციაში მონაწილეობდნენ სამეფოს ისეთი მოხე-ლეებიც, რომელთაც თავიანთი თანამდებობით ქალაქებთან არსე-ბითი კავშირი არ ჰქონდათ.

7. გვიანფეოდალურ ქალაქებში, მეფის მიერ დანიშნულ მო-ხელეთა ხელისუფლების გვერდით, ქალაქის მოსახლეობის ზედა-ფენის წარმომადგენელთა—„ქედხუდების", მოქალაქეთა „თავკა-ცების", „მამასახლისთა" არჩევითი ხელისუფლებაც არსებობდა. მაგრამ მათი მონაწილეობა და როლი როგორც საქალაქო მმართვე-ლობაში, ასევე „ქალაქის სამართალში" იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა ქალაქების ბიუროკრატი-ულ ფეოდალურ მმართველობაზე. ასე რომ, გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების მმართველობა არსებითად ქალაქების მფლობელთა (მეფე, მთავარი, თავადი) ხელისუფლებისადმი იყო დაქვემდებარებული.

8. ქალაქის მფლობელთა ხელისუფლება თავის სურვილებს უმორჩილებდა აგრეთვე „ქალაქის სამართალს"; „ქალაქის სამართა-ლიც" საერო თუ სასულიერო ფეოდალთა ხელში იყო მოქცეული და მათ ინტერესებს, ქალაქებზე მათ გაბატონებას ემსახურებოდა. ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესები ედვა საფუძვლად აგ-რეთვე XVII—XVIII სს. შემუშავებულ „საკუთრების ქალაქურ წესსაც".

თავი V

ხელოსნური და სავაჭრო ორგანიზაციები გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში

1. ზოგიერთი შენიშვნა ქართული ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით

საკითხი ხელოსნური ორგანიზაციების წარმოშობის დროის შესახებ საქართველოში, ისე როგორც საერთოდ აღმოსავლეთის ქალაქებში, ისტორიულ მეცნიერებაში დღემდე გადაწყვეტილი ვერ არის. საკითხის შეუსწავლელობა პირველ რიგში სათანადო კონკრეტული მასალების უქონლობით აიხსნება.

ხელოსნური შრომის ორგანიზაციას საქართველოს ქალაქებში არაერთი მკვლევარი შეხებია და ამიტომაც ამქრული ორგანიზაციის წარმოშობის დროის შესახებაც სათანადო მოსაზრებებია გამოთქმული.

მკვლევართა თუ მოგზაურ-აღმწერელთა ერთი ნაწილი გასული საუკუნის მეორე ნახევარში გამოთქვამდა შეხედულებას, რომ ამქრული ორგანიზაციები საქართველოში უცხოური გავლენის შემწეობით, კერძოდ არაბებისა და სპარსელების საქალაქო წესწყობილებიდან იქნა გადმონერგილი.

მაგ., ა. ჰაქსტჰაუზენის აზრით, თბილისის ხელოსანთა ამქრული ორგანიზაციები, რომელნიც ემსგავსებიან შუა საუკუნეების გერმანიაში განვითარებულ ცეხურ ორგანიზაციებს, მომდინარეობს არა გერმანიიდან, არამედ სპარსეთიდან; მისი აზრით, სპარსეთის შაჰის ნაცვალმა საქართველოში, სპარსელების ბატონობის დროს, შემოიტანა და მოაწყო ცეხები სპარსულ ყაიდაზე[1]. მსგავს შეხედულებას გამოთქვამდა ე. ვაიდენბაუმიც, რომლის მიხედვით, ამქრული წყობა საქართველოში თვით ქართველების მიერ კი არაა შექმნილი, არამედ იგი, ძველი დროიდან სპარსეთში და ოსმალეთში გაბატონებული, გადმონერგილი იქნა თბილისში იმ სომხების მიერ, რომლებმაც მისცეს საწყისი თბილისის ვაჭრულ და ხელოსნურ მოსახლეობას[2]. ნ. დუნკელ-ველინგიც იზიარებდა მოსაზრებას ქართული ამქრული ორგანიზაციის უცხოური წარმოშობის შესახებ. იგი წერდა: „ეს უძველესი ორგანიზაცია შემოვიდა აქ სპარსეთიდან და თვით სახელწოდება ამქარი ან გამკარი სპარსული სიტყვაა“. ამასთან ერთად დუნკელ-ველინგი, ისე როგორც ე. ვაიდენბაუმი,

[1] А. Гакстгаузен, Закавказский край, зз. 104.

[2] Е. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу, с. 113.

საჭიროდ თვლიდა აღენიშნა ის განსხვავებაც, რომელიც ქართულ ამქრებსა და ევროპულ ცეხებს შორის არსებობდა: „ამქრებს აქვთ მსგავსება ცეხებთან, მაგრამ ამასთან ერთად გააჩნიათ თავისებურებანი: არაერთი ამქარი შესდგება არა ხელოსნებისაგან, არამედ ვაჭრებისა და მუშებისაგან, ასე მაგალითად, მაუდის გამყიდველები შეადგენენ ამქარს, წყლის დამტარებლები ანუ თულუხჩები შეადგენენ ამქარს“[3].

ამქრული წყობის იდეალიზატორი და ერთგული დამცველი ი. ახვერდოვიც, იმეორებდა რა ზამოაღნიშნულ შეხედულებებს, იმასაც აღნიშნავდა, რომ თბილისში არსებული ეს განსაკუთრებული სახის ორგანიზაცია უმთავრესად სომხების მიერ არის შემუშავებული[4].

ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის მიზეზების სწორი მეცნიერული ახსნა ვერც ს. ეგიაზაროვმა მოგვცა თავის ვრცელ საგანგებო გამოკვლევაში. იგი უმთავრესად ზემომოტანილ არასწორ შეხედულებათა მიმოხილვით დაკმაყოფილდა[5].

ზემოგანხილულ და მსგავს მოსაზრებებს ტერმინ „ამქარის“ ირანულიდან და მისი შემცვლელი „ასნაფის“ არაბულიდან მომდინარეობა უდევს საფუძვლად[6]. ქართულ ამქრულ ორგანიზაციებს სპარსული გავლენის შედეგად წარმოშობილად მიიჩნევდა XIX ს. ცნობილი მკვლევარი ნ. ბერძენოვიც: „თვით ამქრობა, როგორც ჩანს, ძველთაგანვე აქ გადმოვიდა სპარსეთიდანო“[7]—წერდა იგი.

აკად. მილერი, როგორც რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ეთნოგრაფიის განყოფილებაში 1912 წ. 27 იანვარს მის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან ჩანს, საქართველოს ამქრულ ორგანიზაციებს ქართულ ნიადაგზე წარმოშობილად არ თვლიდა, რადგან ქართულ ამქრებში „ბევრი მუსულმანური ჩვეულებაა დაცული, ბევრია ირანული ლეგენდა და სახელები, სომხური ტერმინოლოგია და სხვ., მაგალითად ბერძნულიც ბევრია“[8].

მსგავსი ანტიმეცნიერული შეხედულებები ქართული ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის შესახებ გამოთქმული იყო არა მარტო რევოლუციამდელი, არამედ საბჭოური ქართული ისტორიული მეცნიერების წარმომადგენელთა მიერაც. მაგ., შ. ჩხეტია

---

[3] Н. Дункель-Веллинг, Статист. опис. г. Тифлиса, с. 57.

[4] Ю. Ахвердов, Тифлисские амкары, с. 4—10.

[5] С. Егиазаров, Городские цехи, ЗКОРГО, кн. XIV, в. 2, с. XXIII.

[6] Ср. П. Шаншиев, Два слова об амкаре, с. 13, прим.

[7] Д. Бакрадзе, и Н. Бердзенов, Тифлис..., с. 139.

[8] Ш. დადიანი, წერილი პეტერბურგიდან, „სახ. გაზეთი“, 1912, № 519.

თავის სპეციალურ გამოკვლევაში წერდა: „ამქარი“ ან „ჰამქარი“ სპარსული სიტყვაა და ჰნიშნავს თანამოსაქმეს, ამხანაგს ხელობით, ეს გარემოება შეიძლება რამდენიმედ ადასტურებდეს ლიტერატურაში დიდი ხნის წინათ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ამქარი შემოვიდა და გავრცელდა საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში ირანიდან“[9]. კიდევ უფრო საოცარია, რომ შ. ჩხეტიას მიხედვით, შეიძლება „თანაბარი საფუძვლიანობით“ ვამტკიცოთ, რომ „ასნაფი“ საქართველოში „შემოსულია არაბეთიდან“[30]. შ. ჩხეტიამ თავისი არასწორი მოსაზრებანი სავსებით გაიმეორა შემდეგდროინდელ ნაშრომებშიც[11]. როგორც ჩანს, შ. ჩხეტიას მიხედვით, ქართული ამქრული ორგანიზაციები შეიძლება იყოს წარმოშობილი როგორც ირანის, ასევე არაბეთის გავლენით, ოღონდ არა თვით ქართული სინამდვილიდან.

ზემომოტანილი შეხედულებების ავტორთათვის უცხოა ისტორიულ მოვლენათა სწორი მეცნიერული ახსნა; მათთვის სავსებით გაუგებარია, რომ ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის წარმოშობა შეუძლებელია გარეგანი ზეგავლენის წყალობით აიხსნას, რომ ამა თუ იმ მოვლენის საფუძვლები თვით ქვეყნის შინაგან ეკონომიკურ და სოციალურ წყობაში უნდა ვეძებოთ. მათთვის გაუგებარია აგრეთვე ისიც, რომ ტერმინოლოგიური ნასესხობა არ შეიძლება თვით ორგანიზაციის ნასესხობაზე მიგვითითებდეს. ამას გარდა, ზემოაღნიშნულ ავტორებს მხედველობიდან გამოეპარათ ისიც, რომ ცეხური ორგანიზაციები საქართველოში გაცილებით ადრე არსებობდა, ვიდრე ქართულ ენაში ამ ორგანიზაციების აღმნიშვნელი უცხოური ტერმინები—„ასნაფი“ და „ამქარი“ დამკვიდრდებოდა.

რაც მთავარია, ქართული ამქრული ორგანიზაციების ზემოდასახელებულ მკვლევართათვის სავსებით უცხოა ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის მიზეზების მარქსისტულ-ლენინური ახსნა, ცეხური ორგანიზაციების გაგება, როგორც ფეოდალური წყობისათვის დამახასიათებელი ისტორიული მოვლენისა.

ბუნებრივია, ზემოაღნიშნულ მკვლევარებს, რაკი არ ესმოდათ თვით მოვლენის ნამდვილი არსი, მისი წარმომშობი მიზეზები, არ შეეძლოთ სწორად გადაეწყვიტათ თვით ხელოსნური ორგანიზაციების წარმოშობის დროის საკითხიც. მაგ., როგორც ა. ჰაქსტაუზე-

---

[9] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, ამქრების ისტორიიდან, გვ. 50.

[10] იქვე.

[11] Ш. Ч х е т и а, История г. Тбилиси, с. 50. შ. ჩ ხ ე ტ ი ა, თბილისის ისტორიისათვის, МИГК, с. 78.

ნის მოსაზრებიდან ჩანს, ამქრული ორგანიზაციები საქართველოში სპარსეთის ბატონობის დროიდან, ე. ი. XVII ს-დან წარმოიშობიან. ფაქტობრივად ამავე თვალსაზრისზე დგანან ის მკვლევარებიც, რომელთა მიხედვით ცეხური ორგანიზაციების არსებობა საქართველოში უცხოური ტერმინების — „ასნაფი", „ამქარი" — დამკვიდრების დროიდან უნდა ვივარაუდოთ. ეს ტერმინები კი, როგორც ამაზე საგანგებოდ ქვემოთ შევჩერდებით, ქართულში მხოლოდ XVII-XVIII სს. ჩნდება. ასე რომ, მათი აზრით, ამქრული ორგანიზაციებიც ამ დროს უნდა იყოს წარმოშობილი, რაც სავსებით ეწინააღმდეგება საქართველოს ისტორიიდან დღემდე ჩვენთვის ცნობილ ფაქტებს.

შ. ჩხეტია ჩვენ მიერ ზემოდასახელებულ წერილში გაკვრით შეეხო ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის დროსაც: „ტფილისში ხელოსნობისა და ხელოსანთა ორგანიზაციების ისტორია ჯერ შესწავლილი არ არის, მაგრამ ნათქვამის მიხედვით (?? შ. მ.) მათი არსებობა ტფილისში ჯერ კიდევ V საუკუნეში, ე. ი. თვით ტფილისის წარმოშობის მომენტში, უდავო ფაქტად უნდა ჩაითვალოს"[12]. თვით შ. ჩხეტიას წერილიდან არ ჩანს კონკრეტულად, თუ რომელი „ნათქვამის მიხედვით" შეიძლებოდა „უდავო ფაქტად" ჩაგვეთვალა ამქართა არსებობა V საუკუნის თბილისში.

მკვლევართა ნაწილისათვის გამოსავალს, როცა ისინი V—VI სს. საქართველოს ზოგ ქალაქში ხელოსანთა ორგანიზაციების არსებობაზე მიუთითებენ, VI ს. ქართული ლიტერატურული ძეგლის, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" ავტორის ცნობა წარმოადგენს.

ჯერ კიდევ ს. ჯანაშიამ მიუთითა, რომ „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" ავტორის ცნობების მიხედვით შეიძლება დაიბადოს საკითხი ხელოსანთა „რაიმე კორპორაციული კავშირის" არსებობის შესახებ VI ს. საქართველოში. ს. ჯანაშია წერდა: „მცხეთაში... ბლომად ყოფილან, მაგ., მეხამლეები და მეჯადაგეები (მეტყავეები, შ. მ.). ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ბევრი მათგანი უცხოელი ყოფილა ტომით. ის გარემოება, რომ ამ ხელოსნებს ჩვეულება ჰქონიათ ერთად ედღესასწაულნათ თავიანთი სარწმუნოებრივი უქმე დღე... საკითხს ჰბადებს, ხომ არა აქვთ ამ ხელოსნებს უკვე იმ დროს რაიმე კორპორაციული კავშირი (საერთო დღესასწაულები დამახასიათებელია ამქრული წყობილებისათვის). ასეთსავე ეჭვს აძლიერებს ამ ხელოსნების საერთო სოლიდარული მოქ-

---

[12] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, ამქრობის ისტორიიდან, გვ. 49.

მედება გარკვეულ შემთხვევის გამო"[13]. მართლაც, „ევსტათის მარტვილობაში" დაცული ცნობები საკითხის მხოლოდ დასმის შესაძლებლობას იძლევა.

უფრო შორს წავიდა ამ საკითხზე მსჯელობისას გ. გამყრელიძე. იგი წერდა: „ქ. მცხეთაში ამ დროს ხელოსნური მრეწველობაა განვითარებული იმდენად, რომ განსაზღვრული დარგის ხელოსნებს კორპორაციაც კი აქვთ შექმნილი, რომელიც თავის გავლენას და კონტროლს ხელოსანთა რელიგიაზედაც კი ავრცელებს"[14]. ამგვარი კატეგორიული მტკიცების საფუძველს ავტორისათვის წარმოადგენს „ევსტათის მარტვილობაში" დაცული ცნობა სპარსელ ხელოსანთა ორგანიზაციული გამოსვლის შესახებ გაქრისტიანებული სპარსელი ხელოსნის ევსტათის წინააღმდეგ. გ. გამყრელიძის აზრით, „მცხეთაში, როდესაც სპარსელი ხელოსანი — მეხამლე მაზდეიანურ სარწმუნოებას ღალატობს, — ნაციონალური რელიგიის დამცველად გამოდიან სპარსელი ხელოსნები... ეჭვს გარეშეა, რომ ამ დროს მცხეთაში სხვა სპარსელნიც — არახელოსნები ბლომად იქნებოდნენ... მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეხამლის მიერ ნაციონალური რელიგიის ღალატის გამო ხმა აღიმაღლეს და მისი დაბეზღება იწყეს მხოლოდ მეჯადაგეებმა და მეხამლეებმა, — იმ პირის თანამოსაქმეებმა, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული ეს პროტესტი. უნდა ვიფიქროთ, რომ ერთი დარგის ხელოსანთა ასეთი ორგანიზაციული გამოსვლა. შემთხვევითი არ იყო, — მათ, უეჭველია, საერთოდაც ექნებოდათ ასეთი კავშირი"[15]. თვით წყარო, „ევსტათის მარტვილობა", სამწუხაროდ, ამგვარი კატეგორიული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა. მაინცდამაინც არ მტკიცდება გ. გამყრელიძის ძირითადი არგუმენტი, რომლის მიხედვით სპარსელი ხელოსნები „ორგანიზაციულად გამოდიან მხოლოდ იმიტომ, რომ „მათმა თანამოსაქმემ" უღალატა ნაციონალურ რელიგიას. ნამდვილად კი, როგორც „ევსტათის მარტვილობიდან" ჩანს, მეხამლენი და მეჯადაგენი მცხეთაში გამოდიოდნენ სპარსული მაზდეიანობის დამცველებად საერთოდ და აბეზღებდნენ ყველას, ვინც მათ „რჩულს" უღალატებდა, თუნდაც იგი ხელოსანი არ ყო-

---

[13] ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, გვ. 89.

[14] გ. გამყრელიძე, ხელოსნური მრეწველობა და ამქრული წყობილება საქ-ში, ხელნაწერი, გვ. 76; შდრ. მისივე, საქართველოში ამქართა წარმოშობის საკითხისათვის, «Известия АН ГССР», т. II, № 6, 1941, с. 557.

[15] გ. გამყრელიძე, ხელოსნური მრეწველობა..., ხელნაწ., გვ. 124—125; მისივე, ამქართა წარმოშობის საკითხისათვის, «Изв. АН ГССР», т. II, № 6, 1941, с. 557.

ფილიყო. ძეგლში ნათქვამია: „შეკრბეს იგივე მეჯადაგენი და მეჯამლენი... და ჰრქუეს: „არიან აქა სხუანიცა ჩუენისა რჩულისანი და იგინიცა ქრისტიანე არიან და მათიცა ბრძანე მოწოდებაჲ და ტფილისს მათიცა წარყვანებაჲ“[16]. მართლაც, „მცხეთელმა ციხისთავებმა“ ევსტათისთან ერთად გაგზავნა თბილისს რვა კაცი, ირანული „რჩულის“ დამტოვებელნი, რომელნიც ხელოსნები არ ყოფილან და რომელნიც, მიუხედავად ამისა, „მეხამლეთა და მეჯადაგეთა“ მიერ იყვნენ დასმენილნი; ასე რომ, „ევსტათის მარტვილობიდან“ არ ჩანს, რომ ხელოსანთა კორპორაციები „თავის გავლენასა და კონტროლს“ მხოლოდ „ხელოსანთა რელიგიაზე“ ავრცელებდნენ. მაგრამ „ევსტათის მარტვილობაში“ დაცული ცნობა, როგორც ჯერ ს. ჯანაშიამ, ხოლო შემდეგ გ. გამყრელიძემ მართებულად მიუთითეს, უფრო სხვა მხრივ იპყრობს ჩვენს ყურადღებას. „მარტვილობიდან“ გარკვევით ჩანს, რომ სპარსელი ხელოსნები „ტოზიკს“, მათ რელიგიურ დღესასწაულს ერთად იხდიდნენ: „მას ჟამსა შეკრბეს სპარსნი, რომელნი მცხეთად იყვნეს, მეჯადაგენი და მეჯამლენი, ტოზიკობდეს და მიავლინეს ნეტარისა ევსტათისა და ჰრქუეს: „მოვედ და გუერთე შუებასა ამას ჩუენსა“[17]. როგორც ჩანს, ხელოსნები მხოლოდ იმათ მოუწოდებდნენ, რომელნიც მათი ხელობისანი იყვნენ. სპარსელმა ხელოსნებმა, როცა ევსტათი დაასმინეს, საგანგებოდ აღნიშნეს: „ჩუენთანა ტოზიკსა არა მოვიდის და ცეცხლი არა გამოსცის და ჩუენსა რჩულსა ჰგმობს“[18] ეს ცნობა ანგარიშგასაწევია და შეიძლება იმაზე მიგვითითებდეს, რომ იმ დროს მცხეთაში მყოფ სპარსელ ხელოსნებს მართლაც ჰქონდათ რაიმე კორპორაცია, მაგრამ ზემომოტანილი ცნობის მიხედვით მსჯელობა VI ს. საქართველოს ქალაქებში ამქრული, ან კიდევ „ამქრულისდარი“[19] ორგანიზაციების არსებობის შესახებ შეუძლებლად მიგვაჩნია. ჯერ ერთი, ხელოსანთა კორპორაციების, კავშირების არსებობა არ ნიშნავს ამქრული ორგანიზაციების არსებობას. მეორე, ამქრული გაერთიანებები, როგორც ეს მარქსიზმის კლასიკოსების შრომებიდან ჩანს, განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის დროს წარმოიშობა და ამდენად წინაფეოდალური ხანის ქალაქ მცხეთაში ამგვარი ორგანიზაციების არსებობა თავისთავად არაა საგულისხმე-

---

[16] ს. კაკაბაძე, საისტ. კრებული, III, გვ. 81; მ. საბინინი, საქ. სამოთხე, გვ. 314.

[17] ს. კაკაბაძე, იქვე, გვ. 80; მ. საბინინი, იქვე, გვ. 313.

[18] ს. კაკაბაძე, იქვე; მ. საბინინი, იქვე.

[19] К. Кекелидзе, Конспек. курс древнегруз. литер., с. 18.

ბელი. მესამე, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორის ცნობები უცხოელ (სპარსელ) ხელოსანთა კორპორაციაზე მიგვითითებს და არა ქართველ ხელოსანთა კავშირებზე. „ევსტათის მარტვილობის“ ცნობებს გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპარსული ხელოსნური ორგანიზაციების გენეზისის საკითხის შესასწავლად, ვიდრე ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიისათვის.

ქართული ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის დროის შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქმული აქვს ნ. დერჟავინსაც. 1912 წ. დერჟავინმა ჯერ რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების ეთნოგრაფიის განყოფილებაში წაკითხულ მოხსენებაში[20], ხოლო შემდეგ 1926 წ. დაბეჭდილ სტატიაში — «Следы древнегрузинских цеховых организаций по данным современной этнографии»[21], ახვერდოვის, ჰაქსტჰაუზენის, ვაიდენბაუმისა და სხვების ზემომოტანილი შეხედულებები მიიჩნია რა არასწორად, გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართულ ამქარს საწყისები თვით საქართველოს ცხოვრებაში აქვს და რომ ხელოსანთა ორგანიზაცია საქართველოში XII ს-დან მაინც უნდა არსებობდეს. ისე როგორც ნ. დერჟავინის ეს საინტერესო მოსაზრება, ასევე სხვა ზემომოტანილი მოსაზრებანი საქართველოში ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის დროის შესახებ არ გამომდინარეობენ ფეოდალური ხანის საქართველოს საქალაქო ცხოვრებისა და წესწყობილების მეცნიერული შესწავლიდან და ამიტომაც დაუსაბუთებელი ჰიპოთეზების სახეს ატარებენ. ფეოდალური საქართველოს საქალაქო ცხოვრების განვითარების დონისა და საქალაქო წესწყობილების გათვალისწინების გარეშე, ცხადია, შეუძლებელია ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის შესახებ ოდნავ დამაჯერებელი მოსაზრებებიც კი გამოითქვას.

ქართული ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის პირობებისა და დროის გარკვევა ჩვენი თემის ფარგლებს სცილდება, ამიტომაც ამ შემთხვევაში მხოლოდ ზოგიერთი ზოგადი დებულების წამოყენებით დავკმაყოფილდებით.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მიხედვით ცეხი განვითარებული ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტია[22]. მარქსისა და ენგელსის კლასიკური განსაზღვრიდან ჩანს, რომ ცეხური ორგანიზაციების წარმოშობის ერთ აუცილებელ პირო-

---

20 შ. დ-ანი, წერილი პეტერბურგიდან „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. № 519.

21 «Язык и литература», т. I, в. 1—2; л. 1926 г., с. 283—284.

22 К. Маркс, и Ф. Энгельс, соч., т. IV, с. 14—15.

ბას წარმოადგენდა ქვეყნის ფეოდალური წყობა, «феодальная организация всей страны»; მეორე მხრივ კი „განუწყვეტელი ბრძოლა სოფლისა ქალაქთან“, თავისუფალი და ყმური შრომის კონკურენცია აყვავებულ ფეოდალურ ქალაქებში, ორგანიზებული ფეოდალური არისტოკრატიის ბრძოლა ქალაქებისათვის, ქალაქის მოსახლეობას აიძულებდა „თავიანთი ტყავის დასაცავად“ გაერთიანებულიყვნენ ცეხებად[23]. ცეხების წარმოშობას ხელს უწყობდა აგრეთვე ფეოდალური წყობილების დროს სასაქონლო წარმოების განვითარება და მასთან დაკავშირებით კონკურენციის წარმოშობა[24].

მარქსიზმის კლასიკოსების ამ მითითებას საერთო მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს და გასაღებს გვაძლევს ქართული ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის მიზეზებისა და დროის მეცნიერული ახსნისათვის.

ჩვენ მიერ ზემოთ უკვე ნაჩვენები იყო, რომ ფეოდალური ურთიერთობა X—XI სს. საქართველოში განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს. ამავე დროზე მოდის საქალაქო ცხოვრების აყვავება და ფეოდალური არისტოკრატიის ბრძოლა ქალაქების დაუფლებისათვის. ფეოდალური არისტოკრატიის ბრძოლა ქალაქების ხელში ჩაგდებისათვის მათი გამარჯვებით დამთავრდა. ფეოდალური არისტოკრატია ცდილობს თანდათან ხელთ იგდოს საქალაქო ცხოვრების სადავეები, შეზღუდოს ქალაქის მოსახლეობის წარმომადგენელთა უფლებები, ჩაერიოს ეკონომიკურ ცხოვრებაში და ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონდეს ქალაქებზე. ყველაფერი ეს — საუკუნოვანი ბრძოლა „გაერთიანებული ყაჩაღი თავადებისა“-„განუწყვეტელი ბრძოლა სოფლისა ქალაქებთან“—X—XI სს. საქართველოს ქალაქებში ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ამქრული ორგანიზაციების წარმოშობისათვის.

ჩვენ ზემოთ ვუჩვენეთ აგრეთვე თვით ხელოსნური წარმოების განვითარების მაღალი დონე X—XI სს. საქართველოს ქალაქებში. წვრილი ხელოსნური სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარება იწვევდა აგრეთვე კონკურენციის გაძლიერებას თვით ქალაქის მოსახლეობას შორის. მოტანილი მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ვაჭრები საქართველოს ქალაქებში ცალკე ძლიერ ორგანიზაციებს ქმნიდნენ, რომელთაც სათავეში მსხვილი ვაჭრები, დიდვაჭრები ედგნენ. ასე რომ, ხელოსნები იძულებულნი ხდებოდნენ თავი დაეცვათ არა მარტო ორგანიზებული ფეოდალური არის-

---

[23] შდრ. იქვე, გვ. 41, 43—44.

[24] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გამოცემა მე-4, გვ. 289.

ტოკრატიის შემოტევისაგან, არამედ აგრეთვე ორგანიზებული ვაჭრების კონკურენციისა და შემოტევისაგან. ესეც თავის მხრივ მიგვითითებს X—XI სს. ხელოსანთა ამქრული ორგანიზაციების წარმოშობისათვის არსებულ ხელსაყრელ პირობებზე.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი იყო აგრეთვე არაერთი მასალა იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მრავალრიცხოვანი იყვნენ თვით ყმა ხელოსნები X—XII სს. საქართველოს ქალაქებში. მეფეს, მონასტერს, ეკლესიას, კერძო ფეოდალს საკმაო რაოდენობით ჰყავდა ამა თუ იმ დარგის ხელოსანი როგორც თბილისში, ასევე სხვა ქალაქებშიაც. ფეოდალურ ქალაქებში თავისუფალი დაყმური ხელოსნური შრომის კონკურენცია კი ერთი მიზეზთაგანი იყო ამქრული წყობის წარმოშობისათვის.

ზემოაღნიშნულ სამინაო პირობებს გარდა, საქართველოში ამქრული ორგანიზაციების წარმოშობას ხელს უწყობდა ქალაქებისა ბრძოლა არა მარტო ფეოდალური არისტოკრატიის, არამედ გარეშე მტრების წინააღმდეგაც. არაბია სარდლების, თურქ-სელჩუკების და სხვ. გამუდმებული ლაშქრობანი X—XI სს. საქართველოს ქალაქთა დასაპყრობად, აუცილებელს ხდიდა „საქალაქო სამხედრო ძალების ორგანიზაციას", რაც ძირითადად ამქრულ გაერთიანებებზე იყო დამყარებული.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წერილობითი წყაროების ჩვენებას XII-XIII სს. ქალაქებში ვაჭართა ორგანიზაციის არსებობის შესახებ. ვაჭართა ორგანიზაციები კი, თითქმის იმავე დროსა და იმავე მიზეზებით წარმოიშობა, რა დროსა და რა მიზეზებითაც ხელოსნური ორგანიზაციები. ზოგიერთი ქვეყნის ქალაქებში (მაგ., გერმანიაში) კი ხელოსნური ორგანიზაციები უფრო ადრე წარმოიშვნენ, ვიდრე ვაჭართა[25]. ასე რომ, ვაჭართა ორგანიზაციების არსებობა ქალაქებში თავისთავად გულისხმობს ხელოსანთა ორგანიზაციების არსებობასაც. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ XII—XIII სს. ვაჭართა ორგანიზაციებს საქართველოს ქალაქებში დასრულებული და საკმაოდ რთული სახე ჰქონდათ, მათი წარმოშობა გაცილებით ადრე უნდა ვივარაუდოთ, ვიდრე XII საუკუნეა. ეს ფაქტიც იმაზე მიგვითითებს, რომ ხელოსნური ორგანიზაციები საქართველოს ქალაქებში X—XI საუკუნეებისათვის წარმოშობიან.

---

[25] შდრ. А. К. Дживилегов, Торговля на Западе в средние века, Спб, 1904, с. 115—117.

ამრიგად, ფეოდალური საქართველოს შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური პირობების, საქალაქო ცხოვრებისა და წესწყობილების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს ფეოდალური წყობისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტის—ამქრობის წარმოშობა X—XI სს. ვივარაუდოთ.

მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმ საგარეო პირობებსაც, რომელშიაც, განსაკუთრებით VIII საუკუნიდან, საქართველოს ქალაქები იყო ჩაყენებული. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქართველოს უმთავრესი ქალაქების ურთიერთობა ერთი მხრივ ხალიფატთან, მეორე მხრივ კი ბიზანტიის იმპერიასთან. უმნიშვნელო როდია ისიც, რომ არაბები საუკუნეების მანძილზე ბატონობდნენ საქართველოს ზოგ დიდ ქალაქში (თბილისი, დმანისი, რუსთავი). არაბებისათვის კი, როგორც ეს ა. კრემერმა გაარკვია, VIII საუკუნისათვის ამქრული წყობა უკვე ცნობილი იყო[26]. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ არაბების გავლენა განსაკუთრებით ძლიერი იყო მათ მიერ დაპყრობილი ქალაქების წესწყობილებაზე, არ შევცდებით, თუკი ხელოსნური ორგანიზაციების არსებობას საქართველოს ზოგიერთ ქალაქში X საუკუნეზე უფრო ადრე ვივარაუდებთ[27]. მაგრამ ეს მაინც არ შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს ქალაქებისათვის საერთოდ დამახასიათებელ მოვლენად.

ბიზანტიის იმპერიაშიც, რომელთანაც საქართველოს მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა, თ. უსპენსკის გამოკვლევით, ხელოსანთა ამქრული ორგანიზაციების არსებობაზე უფრო ადრე შეიძლება ვილაპარაკოთ, ვიდრე ნიკიფორე ფოკას ედიქტით (X ს.) იგი ორგანიზებულ სახეს მიიღებდა. ნიკიფორე ფოკას ედიქტი მანამდე არსებული ხელოსნური ცეხების ვალდებულებებსა და უფლებებს განსაზღვრავდა[28].

ასე რომ, X ს. ბიზანტიისათვისაც ამქრული ორგანიზაციები უკვე ცნობილი იყო[29]. ამრიგად, X—XI სს. საქართველოს ქალაქების საგარეო პირობები, მათი ურთიერთობა მაჰმადიანური აღმოსავლეთისა და ბიზანტიის იმპერიის ქალაქებთან თავის მხრივ ხელს უწყობდა და აჩქარებდა ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის შინაგან პროცესებს.

---

[26] A. Kremer, Culturgeschichte des Orients, II, გვ. 187.
[27] ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომიური ისტორია, გვ. 41.
[28] Ф. Успенский, История Византийской импер., I, с. 243.
[29] Ш. Диль, Очерк из культур. истории Византии, с. 41.

ამრიგად, ფეოდალური წყობა მთელს ქვეყანაში, საქალაქო ცხოვრების განვითარება, ყმების ლტოლვა ქალაქებისაკენ, სასაქონლო წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით კონკურენციის გაძლიერება, გაბატონებული ფეოდალური კლასისა და უცხოელთა გამუდმებული ბრძოლა ქალაქებისათვის და ამასთან ერთად საგარეო ურთიერთობაც X—XI სს. საქართველოს ქალაქებში ქმნიდნენ აუცილებელ პირობას ხელოსნური ორგანიზაციების წარმოშობისათვის.

ძველ ქართულ საისტორიო მწერლობასა და დოკუმენტებს თითქმის არავითარი ცნობა არ დაუცავთ ამქრული წყობის არსებობის შესახებ. მაგრამ ცალკეული ძეგლების მითითება „გალატოზთა უხუცესის", თუ „გალატოზთა გამგებლის", „მკერვალთა უხუცესის", „მხატვართ უხუცესის", „მზარეულთ უხუცესისა" და ხელოსანთა სხვა „უხუცესების" (გამგებლების) არსებობის შესახებ X-XI სს. საქართველოში ნიშანდობლივად გვეჩვენება. აქ მოხსენიებული უხუცესები ცალკეული დარგის ხელოსანთა ორგანიზაციების განმგებლები, თავები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც გვიანფეოდალურ საქართველოში „ამქრის თავები", ან კიდევ უცხოური ტერმინით „ამქარბაშები" და „უსტაბაშები" ეწოდებოდათ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გვიანფეოდალურ ხანაში ზოგი ტერმინი, ხელოსანთა ამქრის თავის აღმნიშვნელი, შენარჩუნებული იქნა იმგვარადვე როგორც ეს X—XIV სს. საქართველოში იხმარებოდა. მაგ., მკერვალთა ამქრის თავს 1635 წ. საბუთით „მკერვალთ უფროსი" ან კიდევ „მკერვალთ უხუცესი" ეწოდებოდა[30].

საინტერესოა აგრეთვე, რომ XIII ს. ირანულიდან ქართულად გადმოკეთებულ ძეგლში „ვისრამიანი" თავის, უფროსის მნიშვნელობით „ოსტატი" და „უსტაბაში" არის მოხსენებული[31]. „ოსტატი" ცნობილი ქართველი ლექსიკოგრაფის საბა-სულხან ორბელიანის (1658—1725) განმარტებით „ჴელოსანთ უფროსს" აღნიშნავდა[32]. საბა ორბელიანის მითითება გვიანფეოდალური ხანის სხვა დოკუმენტებითაც დასტურდება. „უსტაბაში" კი ამგვარადვე იხმარებოდა XVII—XVIII სს-შიც და მხოლოდ ვაჭართა და ხელოსანთა ამქრის თავებს ნიშნავდა, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ხელოსნური შრომის რთული ორგანიზაცია საერო თუ სასულიერო ფეოდალთა მეურნეობაში.

---

[30] ისტორიული საბუთები, IV, გვ. 21, 22.

[31] „ვისრამიანი" ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., გვ. 28, 83.

[32] ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სიტყვის კონა", თბ., 1949.

ჩვენ მიერ საგანგებოდ შესწავლილ იქნა ხელოსნური შრომის ორგანიზაციის საკითხები X—XII სს. ქართულ მონასტრებში[33]. დოკუმენტების შესწავლამ დაგვანახვა, ერთი მხრივ, საერო ყმური ხელოსნური შრომის ფართოდ გამოყენება სასულიერო ფეოდალთა მეურნეობაში, მეორე მხრივ კი გამოავლინა ხელოსნური შრომის რთული ორგანიზაცია. ყმა ხელოსნები „ხელოსანთა უხუცესებს" ექვემდებარებოდნენ. ამგვარადვე, თავიანთი უხუცესები ჰყავდათ დაქირავებულ მუშებსაც („მუშათა უხუცესი"). ხელოსანთა უხუცესებისა და სახელოსნოების მთავარ გამგებლად კი მონასტრის იკონომოსი (грец. οἰκονόμος) ითვლებოდა. უფრო რთული იყო მონასტრის ხელოსანთა ორგანიზაცია, როცა მონასტერი მშენებლობას აწარმოებდა და საკუთარ ყმა ხელოსანთა შრომის გარდა დაქირავებულ ხელოსანთა შრომასაც იყენებდა. თუკი X—XII სს. ქართული მონასტრების მეურნეობაში ყმური ხელოსნური შრომა ასე ორგანიზებული იყო, მით უფრო ორგანიზებული სახე უნდა ჰქონოდა თავისუფალ ხელოსნურ შრომას საქართველოს ქალაქებში.

ამიერკავკასიის ქალაქებში ხელოსნური ორგანიზაციების წარმოშობისა და ისტორიის საკითხების შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლ. ხაჩიკიანის მიერ ამ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ერზინკას (ერზინჯანის) ხელოსანთა 1280 წ. „ძმობის წიგნს (წესდებას)", საიდანაც კარგად ირკვევა, რომ XIII საუკუნისათვის ამქრულ ორგანიზაციებს ამიერკავკასიის ქალაქებში იმდენად დასრულებული სახე ჰქონდათ, რომ მათ უკვე თავიანთი დაწერილი წესდებებიც გააჩნდათ[34].

ქართულ წყაროებს არავითარი ცნობა არ დაუცავთ იმის შესახებ, თუ რა ეწოდებოდა ხელოსნურ ამქრულ ორგანიზაციებს X—XIV სს. საქართველოში. ამ მხრივ ხმარებული ტერმინები—„თაბუნი", „ამქარი", „ასნაფი", მხოლოდ გვიანფეოდალურ ხანაში ჩნდება. მაგრამ ნიშანდობლივია სულხან-საბა ორბელიანის მითითება იმის შესახებ, რომ უცხოური „ასნაფის" მაგიერ ძველ ქართულში „ოფიკალი" იხმარებოდა. „ოფიკალი" საბა ორბელიანს ისეთ სიტყვათა შორის აქვს მოქცეული, „რომელნი... დაავიწყებიეს და სხუა

---

[33] შ. მესხია, ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის ქართულ მონასტერში X—XII სს., „მიმომხილველი", I, 1949, გვ. 57—80.

[34] Լ. Խաչիկյան, 1280 թվականին երզնկայում կազմակերպված „եղբայրությունը", „Известия АН Арм. ССР», серия «Обществ. науки», № 12, 1951, с. 73—84.

თურქთა ენათაგან მოუღიეს მისად ნაცვლად"[35]. ასე რომ, „ოფიკალი", საბას მიხედვით, „ასნაფის" ე. ი. ხელოსანთა ორგანიზაციის აღმნიშვნელ ძველ ქართულ ტერმინს წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერმინი ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებში, ისე როგორც ხელოსანთა ორგანიზაციის აღმნიშვნელი სხვა ტერმინი, არ შეგვხვედრია, რაც, ცხადია, ამქრული ორგანიზაციების შესახებ არსებული ქართული მასალების სიმცირით უნდა აიხსნას.

ხელოსანთა ორგანიზაციის აღსანიშნავად ქართული ტერმინის — „ოფიკალის", ხოლო ხელოსანთა თავების, მამასახლისების (старшина) აღსანიშნავად აგრეთვე ქართული „უხუცესების" ხმარება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ამქრული ორგანიზაციები საქართველოში უცხოური გავლენის შედეგად გვიანფეოდალურ ხანაში კი არაა წარმოშობილი, არამედ ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული და რომ იგი თავის მძლავრ საწყისებს X—XI სს. იღებს.

2. ამქრული ორგანიზაციები გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში

ა) ამქარი როგორც პროფესიონალური გაერთიანება

გვიანფეოდალური ხანის საქართველოში მომხდარმა ეკონომიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა თავისი გავლენა მოახდინეს როგორც ქართული ამქრული ორგანიზაციების შინაგან წყობაზე, ასევე გარეგან სახეზედაც. ამ მხრივ მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე უცხოელ მოძალადეთა (სპარსეთი, ოსმალეთი) საუკუნოვან ბატონობას გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებზე. მაგრამ უცხოელთა ბატონობა უმთავრესად ამქრის გარეგან მხარეზე მოქმედებდა. შემთხვევითი არ არის, რომ ამქრული ორგანიზაციები, მათი ხელისუფალნი გვიანფეოდალურ ქალაქებში უცხოური (სპარსული, ოსმალური) სახელებით იწოდებოდნენ.

გვიანფეოდალურ ხანაში ერთი და იმავე საქმიანობის მქონე ადამიანთა გაერთიანებას, ჯგუფს, მათ შორის ხელოსნურ-ვაჭრულ გაერთიანებასაც, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, „თაბუნი"

---

[35] ს ულ ხ ან-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, 1949 წ. გამოცემა, გვ. 577.

ეწოდებოდა[36]. მაგ., XVIII ს. პირველი ნახევრის ხელნაწერის მინაწერის მიხედვით, ხელნაწერთა გადამწერები „თაბუნებად“ ერთიანდებოდნენ.[37]. მაგრამ „თაბუნი“ ყოველგვარი ჯგუფის, დასის, რაზმის ზოგადი სახელი იყო, ასე რომ, იგი ხელოსანთა და ვაჭართა ორგანიზაციების აღსანიშნავად იშვიათად იხმარებოდა. მიუხედავად ამისა, ამ ტერმინს XIX ს. პირველ ნახევარშიც ნაწილობრივ მაინც ჰქონდა თავისი მნიშვნელობა შენარჩუნებული და ხელოსანთა ამა თუ იმ ამქრის ცალკეული ჯგუფების აღმნიშვნელად რჩებოდა. მაგ., ი. ახვერდოვის ცნობით, მესანთლეთა ამქარი ორ თაბუნად, ხუროების ამქარი 4 და მარკატანტების ამქარი 8 თაბუნად იყო დანაწილებული[38]. „თაბუნი“ მაინც ერთადერთი ტერმინი არ ყოფილა გვიანფეოდალურ ხანაში. მის გვერდით ადრევე ჩნდება არაბული წარმოშობის ტერმინი „ასნაფი“, რომელიც საქართველოში ოსმალეთის გზით უნდა იყოს შემოსული. „თბილისელთა ასნაფები“, როგორც ხელოსანთა და ვაჭართა გაერთიანებანი, მოხსენებულია ეჩმიაძინის 1682 წ. წარწერაში[39]. „ასნაფი“, როგორც გარკვეული საქმიანობის ადამიანთა გაერთიანების აღმნიშვნელი, არაერთხელ გვხვდება აგრეთვე ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“[40]. 1756 წ. თბილისურ საბუთში დასახელებულია ბაყლების, მეთევზეების, ალაფების, სირაჯების, მესანთლეების, ჩორქჩების და სხვ. ასნაფები[41]. როგორც ცნობილია „თბილისის მოურავის სარგოს წიგნით“, ასნაფი ერთადერთი ტერმინია, რომლითაც XVIII ს. 80-იან წლებში ვაჭართა და ხელოსანთა ორგანიზაციები აღინიშნებოდა[42]. ამასვე ადასტურებს იესე ბარათაშვილის არაერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც XVIII ს. თბილისში იყო არა მარტო ხელოსანთა, არამედ მეღვინეთა, ბაჰყალთა, მენახშირეთა და სხვათა ასნაფი[43].

ვაჭრებისა და ხელოსანთა გაერთიანების აღსანიშნავად „ასნაფი“ იხმარებოდა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა

---

[36] საქ. სიძველენი, III, გვ. 460; დასტურლამალი, გვ. 27, 28, 29, 48 და სხვ. შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქალაქო წყობა, „პრომეთე“, გვ. 55.

[37] Д. Б а к р а д з е, Археолог. пут. по Гурии и Адчаре, გვ. 274.

[38] Ю. А х в е р д о в. Тифлисские амкары, об организации, с. 2.

[39] Ю. А х в е р д о в, Тифлисские амкары, Записка, с. 8—9. С. Е г и а з а р о в, Городские цехи, с. XXVI—XXVII.

[40] დასტურლამალი, გვ. 24, 64 და სხვ.

[41] ГМГ, ф. Ad 1880.

[42] საქ. სიძველენი, II, გვ. 524, § 10, 12; გვ. 528, § 43.

[43] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 26, 37.

ქალაქებშიაც. მაგ. XVIII ს. 90-იანი წლების საბუთში გორელ ვაჭართა და ხელოსანთა ასნაფები არიან დასახელებული[44]. ტერმინი „ასნაფი“ ქართულში მრავლობითი ფორმითაა შეთვისებული (მხოლობითშია „სინფ“), მაგრამ ეს ტერმინი ქართულში არა მარტო ხელოსანთა თუ ვაჭართა გაერთიანების, არამედ გაერთიანებათა (ასნაფის) ცალკეული წევრის აღმნიშვნელადაც იხმარებოდა. „მოურავის სარგოში“ ნათქვამია: „რომელიმე ასნაფი ემსახურება მოურავს, ის იმ ასნაფისაგან შეღავათნაქნარი და განთავისუფლებული უნდა იყოს, ეს დებულება არის“[45]. უდავოა, რომ პირველ შემთხვევაში ასნაფი ცეხის წევრს ნიშნავს, მეორე შემთხვევაში კი თვით ცეხს.

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, XVII—XVIII სს. საქართველოში ასნაფი ძირითადი ტერმინი იყო, რომელიც ხელოსანთა და ვაჭართა ორგანიზაციების აღსანიშნავად იხმარებოდა. ცდებიან მკვლევარები, როცა ამგვარ ტერმინად „ასნაფს“ კი არ მიიჩნევენ, არამედ ირანული წარმოშობის „ჰამქარს“ ან „ამქარს“, რომელიც ჩვენი მასალებით მხოლოდ XVIII ს. მიწურულიდან შემოდის ქართულ ენაში[46]. 1782 წ. საბუთში სხვათა შორის „ამქარბაში“ არის დასახელებული[47]. ცხადია, იმ ორგანიზაციას, რომელსაც „ამქარბაში“ ანუ „ამქრის თავი“ განაგებდა, „ამქარი“ უნდა რქმეოდა. ასე რომ, XVIII ს. დასასრულს ამქარიც იხმარებოდა ხელოსანთა და ვაჭართა ორგანიზაციების აღსანიშნავად. ეს ტერმინი XIX ს. განსაკუთრებით იკიდებს ფეხს; თუმცა XIX ს. პირველი წლების საბუთებში ძირითადად ისევ „ასნაფი“ და „ასნაფები“ იხსენიება[48]. „ასნაფი“, ი. ახვერდოვის მოწმობით, XIX ს. შუა წლებშიაც თბილისელ მოქალაქეებში ჯერ კიდევ გავრცელებული ტერმინი იყო[49]. მაგრამ XIX ს. ტერმინი „ამქარი“ თანდათან დევნის „ასნაფს“ და საბოლოოდ მკვიდრდება. XIX ს. მეორე ნახევარში უკვე როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთ საქართველოს ქალაქების ხელოსანთა და ვაჭართა გაერთიანება მხოლოდ „ამქრად“ იწოდება[50]. ამ დროიდან „ამქარი“ მტკიცედ შევიდა სა-

[44] ГМГ, ფ. Qd 7120.

[45] საქ. სიძველენი, II, გვ. 528, § 43.

[46] ცდება ნ. დერჟავინი, როცა ფიქრობს, რომ ძველ საქართველოში, ისე როგორც სპარსეთში, ხელოსანთა და ვაჭართა კავშირებს „ამქარი“ ეწოდებოდა (იხ. მისი, Следы..., «Язык и литература», I, В. 1—2, с. 283).

[47] საქ. სიძველენი, I, გვ. 151—152.

[48] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 27, 91, 95.

[49] И. А х в е р д о в, Тифлисские амкары, Записка, с. 9.

[50] შ. მ ე ს ხ ი ა, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III, 1949, с. 151.

მეცნიერო ლიტერატურაშიც და ჩვენც ამჟამად ყოველთვის ამ ტერმინს მივმართავთ.

„ასნაფებად“ ხელოსანთა და ვაჭართა ორგანიზაციები XIX ს-შიც საქართველოს მხოლოდ იმ ქალაქებში იწოდებოდა, რომელნიც საუკუნეების განმავლობაში ოსმალთა მიერ მიტაცებული იყო და რომელშიც ოსმალური მმართველობა და წესწყობილება ბატონობდა, მაგ., ახალციხეში[51]. ეს, ცხადია, იმით აიხსნება, რომ მთელს მცირე აზიაში ხელოსანთა ორგანიზაციები «esnaf»-ებად იწოდებოდნენ[52].

ამრიგად, XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში ხელოსანთა და ვაჭართა ორგანიზაციებს „თაბუნი“, „ასნაფი“ და „ამქარი“ ეწოდებოდათ. ყველა ეს, ძირითადად, ერთი და იგივე შინაარსის მატარებელი ტერმინები იყო.

*

* *

ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის საფუძველი საქართველოში, როგორც მასალებიდან ირკვევა, მარტოოდენ ხელოსნობა კი არ იყო, არამედ საერთოდ ქალაქის მოსახლეობის ხელობა-საქმიანობა. ამიტომაც „ამქარი“ საქართველოში ეწოდებოდა არა მარტო ხელოსანთა გაერთიანებას, არამედ ვაჭართა და ქალაქის სხვა მოსაქმეთა ორგანიზაციასაც. საქართველოში ამ მხრივ ჩვენ განსაკუთრებულ მოვლენასთან როდი გვაქვს საქმე. ევროპის ქალაქებში, იქ, სადაც ხელოსანთა ცეხური ორგანიზაციები ადრე წარმოიშვნენ, ვიდრე ვაჭართა ორგანიზაციები, ამ უკანასკნელმა ხელოსანთა კავშირების სახელი მიიღო; მაგრამ იყო შემთხვევა, როცა ხდებოდა პირიქითაც[53]. ამით აიხსნება, რომ ევროპის ქალაქებშიც ძირითადი ხასიათით, ეკონომიკური და მორალური პრინციპებით ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებით, ხელოსნური და სავაჭრო კავშირები დიდ ინტერგიას ქმნიდნენ[54]. ამგვარადვე იყო აღმოსავლეთში. აღმოსავლური ქალაქების ამქრებში თუ ასნაფებში ერთიანდებოდნენ არა

---

[51] Л. П. Загурский, Поездка в Ахалцихской уезд, ЗКИОРГО, VIII, 1873, с. 24—25

[52] В. С. Гарбузова, Эвлия Челеби о стамбульских ювелирах VIII в., ТОИКИИВ, III, с. 318; Н. Державин, Следы..., прилож., с. 305—306, 308.

[53] ამ საკითხზე იხილე, А. К. Живилегов, Средневековые города в Зап. Европе, Спб. 1902, с. 148 და შემდეგ; მისივე, Торговля на Западе, Спб., 1904, с. 115 და შემდეგ.

[54] А. К. Живилегов, Торговля на Западе, с. 117.

მარტო ხელოსნები, არამედ ვაჭრებიცა და სხვა ხელობის წარმომადგენლებიც[55].

გვიანფეოდალური ხანის ჩვენთვის ცნობილი დოკუმენტების მიხედვით თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში არსებობდა ხუროების, კალატოზების, დაბაღების (მეტყავეების), ხარაზების, ბასმაღჩების, ნალბანდების, მექვაბეების, ქურქჩების, ოქრომჭედლების, დერციკების, მესაათების, ჭონების, მკერვალების, მჭედლების, მკუპრავების, მეპურეების, მესანთლეების, სირაჯების (ცხენის აკაზმულობის მკეთებლების), მეჭურჭლეების, მხატვრების, მღებრების, ქვისმთლელების, მაზმანების და ხელოსნობის სხვა დარგთა წარმომადგენლების ამქრები. მაგრამ ხელოსანთა ამქრების გვერდით, დოკუმენტების მიხედვით, საქართველოს ქალაქებში იყვნენ ვაჭართა ამქრებიც: ბაზაზების, ბაჰყლების, ყასპების, სარაჯების (მეღვინეების), მეწვრილმანეების და სხვათა. დავით ბატონიშვილის ცნობითაც, ვაჭართა გართიანებებს, რომელსაც ის რუსულისადმი მიმსგავსებით „გილდიებს“ უწოდებს, ისე როგორც ხელოსნურ ორგანიზაციებს, სათავეში უსტაბაშები ედგათ[56]. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ზოგ მცირე ქალაქში (მაგ., დუშეთში), სადაც ვაჭრები არც ისე მრავალრიცხოვანნი იყვნენ, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ისინი ხელოსანთა ამქრებში ერთიანდებოდნენ[57].

ამრიგად, ვაჭართა ამქრები საქართველოს ამქრული ორგანიზაციების ისტორიაში შემთხვევით და მიბაძვით წარმოშობილი მოვლენა კი არ არის, როგორც ფიქრობს ალ. ფირცხალაიშვილი[58], არამედ სავსებით კანონზომიერი; ვაჭართა ამქრული ორგანიზაციები ისევე დამახასიათებელია ქართული ამქრული წყობისათვის, როგორც ხელოსანთა ამქრები.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქართული ამქრული წყობის აღმწერნი და შემსწავლელნი — ი. ახვერდოვი, ე. ვაიდენბაუმი,

---

[55] М. Гаврилов, О ремесл. цехах Ср. Азии, ИСАК, в. III, Ташк., 1928, с. 225; В. И. Ярево-Раевский, Сбор. матер. по мусульман, 1899, с. 31 и др.. В. Гордлевский, Из жизни цехов в Турции, ЗКВ, II, в. 2, с. 235, пр. 2., В. Гарбузова, Эвля Челеби.. , с. 318, и др.

[56] Царевич Лавид, Обозр. Грузии, ИВАН, Н: 11, § 914.

[57] იხ. ს. ბედუკაძე, ეთნოგრაფიული მასალები ხელოსანთა ამქრების შესახებ (ხელნაწერი). ინახება ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

[58] ალ. ფირცხალაიშვილი, შენიშვნები შ. მესხიას წერილებზე, „მიმომხილველი“, II, გვ. 16. იხ. იქვე, შ. მესხია, პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის შენიშვნების გამო, გვ. 489—495.

ნ. დუნკელ-ველინგი, ს. ეგიაზაროვი და სხვ.—ხაზს უსვამდნენ, რომ ამქარი საქართველოში არ იყო მარტოოდენ ხელოსანთა და ვაჭართა, არამედ ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა გაერთიანებაც. ს. ეგიაზაროვი სავსებით მართებულად მიუთითებდა, რომ ვაჭართა ამქრები საქართველოს ქალაქებში თავიანთი სტრუქტურით არც კი განირჩეოდნენ ხელოსანთა ამქრებისაგან[59].

თბილისში ამქრებად ერთიანდებოდნენ ტვირთის მზიდავი მუშები, წყლის მზიდავები (თულუხჩები), თივის გამყიდველები, მედროგეები, დღიურ ქირაზე გამსვლელი მუშები, ექიმები (მკურნალები) და სხვა პროფესიის წარმომადგენლები[60]. აღსანიშნავია, რომ XIX ს. პირველ ნახევარში ამქრებად გაერთიანებულან მათხოვრებიც[61], მსგავსი მოვლენა შეინიშნება საქართველოს სხვა ქალაქებშიც. მაგრამ ამ შემთხვევაშიც საქართველო არ ყოფილა გამონაკლისი. ამქარი ქალაქის სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს აერთიანებდა აღმოსავლეთის ქალაქებშიც[62]. დიდ ქალაქებში, მაგ., თბილისში, როცა ერთი და იმავე დარგის ხელოსნები საკმაოდ მრავალრიცხოვანნი იყვნენ და ტერიტორიალურადაც მათი გაერთიანება ჭირდა, ამა თუ იმ დარგის წარმომადგენლები რამდენიმე ამქრად იყვნენ გაერთიანებულნი. მაგ., საარქივო მასალების მიხედვით, XIX ს. პირველ ნახევარში მხერხავები 5 ამქარს შეადგენდნენ, ხუროები 7 ამქარში იყვნენ გაერთიანებულნი, კალატოზები 6 ამქრად, ტვირთმზიდველი მუშები 6 ამქრად;[63] წყლის მზიდავებიც (თულუხჩები) XIX ს. 40-იან წლებში 2 ამქრად იყოფოდნენ[64]. XIX ს. 50-იან წლებში კი 3 ამქრად[65]. ზოგი დიდი ამქარი კიდევ, მართალია, ხშირად ერთიანობას ინარჩუნებდა და ცალკეულ ამქრებად არ იყოფოდა, მაგრამ ჯგუფებად, თაბუნებად მაინც ნაწილდებოდა. მაგ., XIX ს. პირველ ნახევარში მესანთლეების

---

[59] С. Егиазаров, Городские цехи, с. 1.

[60] «Кавказ», 1851, № 93; Ю. Ахвердов, Тиф. амкары, Записка, 12; საქ. სიძველენი, III, გვ. 56—57;

[61] «Кавказ», 1851, № 30.

[62] В. Гордлевский, Из жизни цехов Турции, ЭКВ, II, в. 2, с. 235; В. Гарбузова, Евля Челеби... с. 318. М. Гаврилов, О рем. цехах Ср. Аз., ИСАК, III, с. 225.

[63] См. С. Егиазаров, Городские цехи, с. 4, შენ. 8; М. Ахвердов, Тиф. амкары, Об организации, с. 2.

[64] «Сб. газ. Кавказ», 1846, с. 268.

[65] «Закавк. Вестник», 1851, № 51.

[66] Ю. Ахвердов, Тиф. амкары, Об организац., с. 2.

ამქარი 2, დურგლების 4, მარკინტანტების 8 და სხვ. თაბუნებად იყოფოდა[66].

ამქრის თაბუნებად დანაწილებას იწვევდა არა მარტო ხელოსანთა რიცხვის ზრდა, მათი გაბნევა ქალაქის სხვადასხვა უბნებში, არამედ ამა თუ იმ დარგის სპეციალიზაციაც. ქართულ ამქრულ ორგანიზაციებში ეს განსაკუთრებით XIX ს. პირველ ნახევარში შეინიშნება. თბილისელ მკერვალთა ამქარი, რომელიც ერთ უსტაბაშს ექვემდებარებოდა, იყოფოდა სპეციალურ ჯგუფებად: კავკასიურ ტანსაცმელთა, ქართულ ტანსაცმელთა და რუსულ ტანსაცმელთა მკერვალებად. ყოველ ჯგუფს, თაბუნს თავისი მამასახლისი ჰყავდა, რომელიც ამქრის უსტაბაშს ექვემდებარებოდა. ასევე ცალცალკე ჯგუფებად ნაწილდებოდნენ მეფეხსაცმელენი, იარაღის მკეთებელნი და სხვ.[67].

ზოგ შემთხვევაში კი, მონათესავე დარგის ხელოსნები და ვაჭრებიც ერთ ამქარში ერთიანდებოდნენ. მაგ., XIX ს. დამდეგს თბილისში, თუ მებაღეებს სურდათ ხილით ვაჭრობა, თუნდაც სეზონურად, ვალდებულნი იყვნენ გაერთიანებულიყვნენ ბაყლების ამქარში[68]; როგორც 1803 წ. საბუთიდან ჩანს, მეტყავეების (დაბაღების) ამქარში, დაბაღებს გარდა, ერთიანდებოდნენ ხარაზები და სარაჯების ცხენის აკაზმულობის მკეთებელნი, როგორც მეტყავეთა მონათესავე დარგის წარმომადგენლები[69]. მსგავსი მოვლენები შეუნიშნავთ ზაგურსკის ახალციხის ამქრებში[70], ნ. დერჟავინის გორის ამქრებში[71] და სხვ.

ზოგ მცირე ქალაქში კი, სადაც ვაჭრები და ხელოსნები არც ისე მრავალრიცხოვანნი იყვნენ, ხელოსანთა და ვაჭართა მხოლოდ თითო-ოროლა ამქარი არსებობდა. მაგ., ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, დუშეთში სულ ორი ამქარი ყოფილა: ვაჭრებისა და ხელოსნებისა. ხელოსნების ამქარში ერთიანდებოდნენ არათუ მონათესავე დარგის, არამედ ყოველი დარგის ოსტატები და სხვა პროფესიის წარმომადგენლებიც. დუშეთის ხელოსანთა ამქარში შედიოდნენ: დურგლები, დალაქები, მეუნაგირე-მემათრახენი, ქვის მთლელი, „რუსი ფეჩნიკი", კალატოზი, მესაათე, მღებარი,

---

[67] «Сб. газ. Кавказ», 1846, с. 259.

[68] См. С. Егиазаров, Городские цехи, с. 7.

[69] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 42, საბ. 178.

[70] Л. П. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд, ЗКОИРГО, VII, с. 25.

[71] Н. Державин, Следы..., «Язык и литература», I, в. 1—2, с. 295.

„საპონიკი“, დერციკი, „პოვერი“, მკუპრავი, ხარაზი, ნალბანდი, „სლესარი“, მესაპნე, გზის მუშა, „პისერი“, „პარტნოი“ და ვაჭარი-მოვიტანი (ღვინის გამყიდველი?)[72]. დუშეთისა და მის მსგავს მცირე ქალაქებში, როგორც ირკვევა, ამქრული წყობა სრულყოფილად ვერ იყო წარმოდგენილი, რაც, ცხადია, პირველ რიგში სასაქონლო წარმოების სუსტი განვითარებით უნდა აიხსნას.

ამქრული ორგანიზაციები, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც უმთავრესად არათავისუფალი, ყმური შრომისადმი წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოიშვა. ამიტომაც ამქრები, ერთ ხანს, XI—XII სს. აქტიურ ბრძოლას აწარმოებდნენ ქალაქებში ბატონყმური ურთიერთობის ყოველგვარი სახის წინააღმდეგ. მაგრამ ცეხურმა ორგანიზაციებმა ევროპაში, ასევე ქართულმა ამქრებმაც თავიანთი პირვანდელი დამოკიდებულება ბატონყმური ურთიერთობისადმი თანდათან შეცვალეს, ისინი უკვე აღარ წარმოადგენდნენ ბატონყმური დამოკიდებულების წინააღმდეგ მებრძოლ ერთგვარ ორგანიზაციას, როგორც ეს ცეხური ორგანიზაციების ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ იდეალიზატორებს ჰქონდათ წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ ცეხური ორგანიზაციების გადაგვარება სხვა გზით მიემართებოდა ევროპის ქალაქებში[73], საქართველოში კიდევ სხვა გზით. საქართველოს ქალაქებში ამქრული ორგანიზაციები თანდათან თვით იქცნენ ხელოსანთა კორპორაციებად და ამით არსებითად დაკარგეს თავიანთი პირვანდელი სახე, როგორც ბატონყმური დამოკიდებულების წინააღმდეგ და სოციალური თანასწორობისათვის მებრძოლთა.

ჩვენი მასალების მიხედვით, ამქრებში გვიანფეოდალურ თბილისში უმთავრესად სწორედ ყმა ხელოსნები და ვაჭრები იყვნენ გაერთიანებულნი. როგორც 1800 წ. საბუთიდან ჩანს, ამქარში გაერთიანებული იყო მეფის ყმა ხელოსანი მესანთლე ზაზა[74]. ამქრებში გაერთიანებულნი იყვნენ კათალიკოსის ყმებიც; 1756 წ. საბუთის მიხედვით, კათალიკოსის ყმები—2 ბაყალი, 2 მეთევზე, 1 ალაფი, 2 სირაჯი, 2 მესანთლე, 1 ჩორქჩი და სხვ.— თავიანთი სპეცი-

---

[72] ს. ბ ე დ ო ვ ა ძ ე, ეთნოგრაფიული მასალები ხეფოსანთა ამქრების შესახებ (ხელნაწერი).

[73] ამ საკითხზე იხ. Ф. Я. П о л я н с к и й. Очерки социально-экономической политики цехов в городах Зап. Европы XIII—XV вв., М., 1952, с. 211—225.

[74] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 32, საბ. 5.

ალობის მიხედვით ამქრებში ყოფილან გაერთიანებულნი[75]. ამქრებში ერთიანდებოდნენ აგრეთვე კერძო მებატონეთა ყმა ხელოსნებიც და ვაჭრებიც. 1755 წ. საბუთით, აღა ბებუთაშვილის ყმები— ბაყალი, ფეიქარი, ყასაბი, მეურმე, კალატოზი, დალაქი, მესანთლე, ხარაზი, მეჭურჭლე, ნალბანდი, მეკონდახე, ხაბაზი, მჭედელი, მელეინე და სხვ.—სხვა ყმა ხელოსანთა და ვაჭართა მსგავსად, სხვადასხვა ამქრებში ერთიანდებოდნენ[76]. ამრიგად, ქართული ამქრული წყობილების მიხედვით მეფის, ეკლესიის თუ კერძო მებატონის ყმობა სრულებით არ იყო ხელისშემშლელი ამქარში გაერთიანებისათვის. 1790 წ. ს. წერაქვიდან ქალაქში გამოქცეულმა კალატოზმა სტეფანამ სათანადო ამქარში შესვლა მოისურვა და ამქრის თავს, საბუთის ენით, „ამქარბაშს" მიმართა. სტეფანა კალატოზის სასამართლოში ამქრის უსტაბაში იოანე უჩვენებდა: „ამ სტეფანას (კალატოზს, შ. მ.) ვკითხე, ვისი ყმა ხარ, რომ დავთარში ჩაგწერო? ამ სტეფანამ ასე მითხრა ერასტის ყმა ვარო"[77]. როგორც აშკარად ჩანს, კერძო მებატონის ყმობა კალატოზს სრულებით ხელს არ უშლიდა ამქარში შესულიყო და ამქრის დავთარში ჩაწერილიყო. ეს საბუთი კიდევ უფრო საინტერესო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობასაც იძლევა. სტეფანა კალატოზი, ბატონის ყმობიდან თავის დაძვრენის მიზნით,თვით სასამართლოში ამტკიცებდა, რომ იგი უკანონოდაა შობილი; მიუხედავად ამისა, იგი ამქრის წევრად მიიღეს.. ასე. რომ, ქართულ ამქარში გაერთიანებისათვის საჭირო არ იყო არც თავისუფლების ცენზი და არც საბუთი კანონიერი წარმოშობილობის შესახებ. ამით აიხსნება, რომ ჩვენთვის ცნობილი ქართული ამქრის წესდებებში არსად არის მითითებული მსგავს დისკრიმინაციათა თაობაზე. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ყმებისა და უკანონოდ წარმოშობილთა მიღება ამქრებში დამახასიათებელი იყო არა მარტო XVII—XVIII სს., არამედ XIX საუკუნის ამქრული წყობისათვისაც[78].

გვიანფეოდალური ხანის ქართული ამქრული წყობისათვის უცხო იყო აგრეთვე რელიგიური დისკრიმინაცია. ერთი და იმავე ამქარში შეიძლებოდა გაერთიანებული ყოფილიყო როგორც მართლმადიდებელი, ასევე გრიგორიანელი, კათოლიკე, მაჰმადიანი

---

[75] ГМГ, ф. Ad: 1880.

[76] ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 22, საბ. 93.

[77] საქ. სიძველენი, I, გვ. 151—152.

[78] ГМГ, H: 2838, Ros 269, с. 106—107; И. Ахвердов, Тиф. амкары, Об. организации, с. 1; С. Егиазаров, Городские цехи, с. 2,46—49.

და სხვა რწმენისა თუ ნაციონალური კუთვნილების წარმომადგენელი[79]. 1803 წ. შედგენილ პირობის წიგნში ჩამოთვლილი გვარებისა და სახელების მიხედვით დაბაღების ამქარში გაერთიანებულნი ყოფილან სომხები, ქართველები და მაჰმადიანები (მაგ., „ალიხანი მაჰმადას შვილი", „ისაიაშვილი აკოფა ერევნელი", „ბერუაშვილი ფარსადან" და სხვ.)[80]. XIX ს. დამდეგს შედგენილ ავლაბრის იუველირთა ამქრის წესდებაში, სადაც მოწაფეთა კურთხევის წესებზეა საუბარი, სხვათა შორის შენიშნულია: „ეს თავი განკუთვნილი იყო გამოსაცვლელად თურქი მოწაფის გასაკეთილშობილებლად"[81]. როგორც ჩანს, იუველირების ამქარს, რომელიც ძირითადად გრიგორიანელ და მართლმადიდებელ ქრისტიანებისაგან შედგებოდა, არაიშვიათად ჰყოლია მაჰმადიანი წევრები და შეგირდები, რისთვისაც საჭიროდ მიუჩნევიათ სათანადო ცვლილებები შეეტანათ საერთოდ ქრისტიანი მოწაფის კურთხევისათვის შემუშავებულ წესებში.

XIX ს. აღწერილობითი წყაროების მიხედვით, თბილისის ამქრებში თავისუფლად იღებდნენ აგრეთვე უცხოეთიდან თუ საქართველოს სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ ხელოსნებსა და ვაჭრებს[82]. ა. ჰაქსტჰაუზენის ცნობით, XIX ს. შუა წლების თბილისში ქართველი, რუსი და სომეხი ხელოსნები ხშირად ქმნიდნენ ერთ ამქარს. ქართველ-სომეხ მეფეხსაცმელეთა ამქარზე მიწერილი ყოფილან აგრეთვე გერმანელი მეფეხსაცმელეებიც[83].

ქართული ამქრული წყობის ზემოდასახელებული ერთგვარი თავისებურებანი, სხვადასხვაგვარ დისკრიმინაციათა არარსებობა, ცხადია, არ შეიძლება ქართული ამქრული ორგანიზაციების „დემოკრატიულობითა" და „მაღალი მორალური იდეებით" აიხსნას, როგორც ამას ქართული ამქრული წყობის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეალიზატორები (ი. ახვერდოვი, ს. ეგიაზაროვი) ჩადიოდნენ.

ჯერ ერთი, თავისუფლებისა, ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცენზისა და სხვ. არარსებობა ქართულ ამქარში სავსებით შეესატყვისება გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების სოციალურ

---

[79] Ю. Ахвердов, Тиф. амкары, записка, с. 11—12; С. Егиазаров, там же.

[80] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 42, საბ. 178.

[81] Լուսաւոր § л. გვ. 105.

[82] Ю. Ахвердов, Тиф. амкары, Об организ., 1 с. 1.

[83] А. Гакстгаузен, Зак. край, 1, с. 105.

ბუნებას. მეორე მხრივ კი, ამქრული წყობის ამ თითქოსდა დემოკ-რატიულობის მიღმა ამქართა ეკონომიკური პოლიტიკა იმალებოდა.

ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითეთ, რომ გვიანფეოდალური საქარ-თველოს ქალაქების მოსახლეობის ძირითად მასას სწორედ ყმა ხელოსნები და ვაჭრები შეადგენდნენ; ამიტომაც ბუნებრივი ჩანს, თუკი ამქრული ორგანიზაციები საქართველოს ქალაქებში, გვიან-ფეოდალურ ხანაში, ფაქტობრივად ყმა ხელოსანთა და ვაჭართა ორ-განიზაციად იყო ქცეული. უძველესი დროიდან, როგორც არაერთ-ხელ აღვნიშნეთ, საქართველოს ქალაქებში საკმაოდ მრავალრიცხო-ვანი იყო სომხურ-გრიგორიანული და მაჰმადიანური მოსახლეობა, რომელიც მკვიდრ ქართულ მოსახლეობასთან მრავალსაუკუნოვანი ეკონომიკური და კულტურული მჭიდრო კავშირის, ურთიერთობის შედეგად თანდათან ერთ ხალხად დუღდებოდა; ყოველდღიური ეკონომიკური კავშირი თანდათან სპობდა მათ შორის არსებით სხვაობას. რელიგიური რწმენა ვერ იქნებოდა ხელის შემშლელი ფაქტორი ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებაში, ეს უკანასკ-ნელი ლახავდა ქალაქების უძველეს მოსახლეობაში ამ მხრივ არ-სებულ განსხვავებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ქალაქების სხვადასხვა რწმენის მოსახლეობის მსგავსი ეკონომიკური კავშირები უფრო ადრეც შეინიშნება. მაგ., რკონის 1253 წ. სიგელით, ერთ სავაჭრო ორგანიზაციაში, ურტაღში გაერთიანებული იყო სომეხი, მაჰმადიანი და ებრაელი[84]. ასე რომ, საქართველოს ქალაქების სხვა-დასხვა რელიგიური რწმენის მოსახლეობის ერთ ორგანიზაციაში გაერთიანებისათვის ისტორიული საფუძვლებიც არსებობდა.

თავისუფლების, რელიგიური ცენზისა და სხვ. არარსებობის მთავარი მიზეზი მაინც, ჩვენი აზრით, ამქრების ეკონომიკური პო-ლიტიკა იყო, კერძოდ, ადგილობრივი ბაზრის დაუფლებისათვის ბრძოლაში შესაძლებელ კონკურენტთა მიზიდვა ამქრულ ორგანი-ზაციებისადმი და მათი დამორჩილება ამქრის მიერ შემუშავებულ საერთო წესებისადმი.

XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქების ხელოსანთა და წვრილ ვაჭართა უმთავრეს კონკურენტებს საქართველოს სხვადა-სხვა კუთხეებიდან მოსული ყმები შეადგენდნენ, რომელთაც ბა-ზარზე გაჰქონდათ როგორც თავიანთი საოჯახო ხელოსნური შრო-მით შექმნილი საქონელი, ასევე სურსათ-სანოვაგეც. სოფლიდან თავიანთი პროდუქტებითა და წვრილი ნაწარმით მოსული ყმები ადგილობრივ, არც ისე დიდ ბაზარზე ვაჭართა და ხელოსანთა

---

[84] იხ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 56.

მნიშვნელოვან კონკურენტებად შეიძლებოდა ქცეულიყვნენ. ამიტომაც ხელოსანთა და ვაჭართა ამქრები აიძულებდნენ დროებით თუ მუდმივად ჩამოსულ ყმებს ამქრებში გაერთიანებულიყვნენ და საერთო რეგლამენტაციას დამორჩილებოდნენ. ამით აიხსნება, რომ თბილისის მიდამოებში ბაღებისა და ბოსტნების მფლობელები, თუკი მათ სურდათ ხილისა და ბოსტნეულის გაყიდვა თბილისის ბაზარზე, ბაყლების ამქარში უნდა გაერთიანებულიყვნენ[85]. ასევე იყო გორშიც. ნ. დერჟავინის ცნობით, გორის ისეთი დარგის ხელოსნების ამქარში, რომელნიც უმთავრესად სოფლებისათვის საჭირო საქონელს ამზადებდნენ, სოფლიდან ჩამოსული ხელოსნებიც ერთიანდებოდნენ და სოფელში დაბრუნების შემთხვევაშიც კი ამქრის წევრებად ითვლებოდნენ. მაგ., გორის მექალამნეების ამქარი აიძულებდა სოფლიდან ჩამოსულ ყოველ მექალამნეს ამქარში გაერთიანებულიყო. სოფელში დაბრუნების შემთხვევაშიც სოფლელი ხელოსანი გორელ მექალამნეთა ამქრის წევრად ითვლებოდა და მათ ყოველგვარ წესებს ემორჩილებოდა[86].

თბილისშიც, XIX ს. დამდეგის მასალებით, არაერთი იყო ისეთი ხელოსანი, რომელიც ამქარში იყო გაერთიანებული და ამავე დროს სოფელთანაც არ ჰქონდა კავშირი გაწყვეტილი, ზოგ სახელმწიფო გადასახადს ისევ თავის თანასოფლელებთან იხდიდა. ზაალ ბარათაშვილი (ზურაბანი) თავის განცხადებაში წერდა: „ჩვენი ყმანი (თბილისში, შ. მ.) არას დროს იმაში (მახტის ძლევაში, შ. მ.) არ გარეულან მოქალაქეებთან და არც საკუთრად სთხოვებიათ; რაც აზნაურთ ყმათ უწინ ასნაფთან უძლევიათ, იმას ახლაც აძლევენ, რომელიც არის თვის შაური, ქეშიკი ასასის ფული და ბეგარა... და სურსათს კიდევ მეტსა, რომ უმეტესი ნაწილი სოფლელნი არიან და სურსათის მოკრებაში იმათთან ირიცხებიან"[87]. როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, თბილისში მოსახლე თავადაზნაურთა ყმების უმეტესობა სოფლელები ყოფილან, რომელნიც ასნაფებში (ამქრებში) იყვნენ გაერთიანებულნი და საქალაქო გამოსაღებებს ასნაფებთან იხდიდნენ, მაგრამ ზოგ სახელმწიფო გადასახადს კი სოფლელებთან, ე. ი. თბილისის ასნაფებში გაერთიანებულ კერძო საბატონო ყმა ხელოსნებს სოფელთან კავშირი მაინც არ ჰქონდათ გაწყვეტილი; ესენი ის ხელოსნებია, რომელთაც თბილისის მკვიდრ მოსახლეობათა ამქარი აიძულებდა გაერთიანებულიყო მათთან, მათ რეგლამენტაციას დამორჩილებოდა.

---

[85] Е. Егиазаров, Городские цехи, с. 7.

[86] Н. Державин, Следы..., «Язык и литер.», № в. 1—2, 1926, с. 296.

[87] ЦГИАГ, ф. 16, д. 497, л. 40.

როგორც ირკვევა, გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქების ამქარს არ შესწევდა იმის უნარი, რომ სოფლიდან მოსული ყმა ხელოსნები და ვაჭრები სრულებით არ დაეშვა ბაზარზე და მოსალოდნელი კონკურენციის თავიდან აცდენის მიზნით, მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდა, რომ მათ საკუთარ ამქრებში აერთიანებდა.

თავისუფლებისა და რელიგიური ცენზის არსებობა ქართულ ამქრებში რომ ამქრების დემოკრატიულობითა და მორალური იდეებით არ იყო ნაკარნახევი, ეს კარგად გამომჟღავნდა XIX ს. პირველ ნახევარში, როცა ხელოსნებს თბილისში უფრო ძლიერი კონკურენტები გაუჩნდათ, ვიდრე სოფლიდან მოსული ყმები იყო. XIX ს. პირველი წლებიდანვე საქართველოს ქალაქებში, კერძოდ თბილისში, თანდათან ფეხი მოიკიდეს უცხოელმა, ებრაელმა ხელოსნებმა. ამ უკანასკნელთ, რაკი უმთავრესად ისეთ ხელობას მისდევდნენ, რომელთა სპეციალისტებიც ადგილობრივ ხელოსანთა შორის არ იყვნენ, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელნი მხარს უჭერდნენ და ამიტომაც ადგილობრივ ამქარში ისინი არ ერთიანდებოდნენ.

ებრაელი ხელოსნები ძლიერი კონკურენტები აღმოჩნდნენ და თბილისელ მკერვალთა ამქრები გაღატაკებამდე მიიყვანეს. 1836 წ. მკერვალთა ამქრებს და მათ უსტაბაშებს თხოვნით მიუმართავთ ბარონ როზენისათვის, მაგრამ მას ებრაელ ხელოსანთათვის განსაკუთრებული მფარველობა აღმოუჩენია და თბილისელ მკერვალთა თხოვნა არ დაუკმაყოფილებია[88]. თბილისელი მკერავები მოითხოვდნენ ებრაელთა არათუ ამქრებში გაერთიანებას, არამედ მათ საქართველოდან გასახლებასაც. საქმე სენატამდეც მისულა, მაგრამ სენატმა 1837 წ. 21 დეკემბრის დადგენილებით მკერვალთა უსტაბაშების —შიო ილურიძისა და იაგორ მანთაშოვის საჩივრები არ დააკმაყოფილა[89]. თბილისელი მკერვალები ბრძოლას მაინც განაგრძობდნენ. 1839 წ. მათ ხელახლა მიმართეს გოლოვინს განცხადებით და მოთხოვნით საქართველოდან ებრაელი ხელოსნების გასახლების შესახებ[90]. მაგრამ არც ეს მოთხოვნა იქნა დაკმაყოფილებული. როგორც ზემომოტანილი მასალებიდან ჩანს, გვიანფეოდალური ხანის ამქრები თავიანთ ეკონომიკურ ინტერესებს ყოველთვის მაღლა აყენებდნენ, ვიდრე სხვადასხვა მორალურ იდე-

---

[88] ЦГИАГ, ფ. 8, საქ. 5064, ფურც. 58—58 (ძველი ნუმერაციით).
[89] იქვე, ფ. ფ. 54—56.
[90] იქვე, ფ. ფ. 231—232[a].

ებს. როცა არათავისუფალთა და სხვადასხვა რწმენის ხელოსანთა და ვაჭართა გაერთიანება ამქარში მის ეკონომიკურ ინტერესებს კი არ ლახავდა, არამედ ამტკიცებდა კიდეც, ამქრისათვის არ არსებობდა არც თავისუფლებისა და არც რელიგიური ცენზი—ამქრის კარები ამგვარ შემთხვევაში ღია იყო. მაგრამ როცა ამქრის ეკონომიკურ პოლიტიკას საფრთხეს უქმნიდა ამქრის გარეშე მყოფ ძლიერ ხელოსანთა კონკურენცია, ამქარი არათუ კარს უღებდა მათ, არამედ მიმართავდა ყოველგვარ ზომებს თვით ქალაქიდან და ქვეყნის საზღვრებიდანაც კი მათი განდევნისათვის. ამრიგად, ამქრის ეკონომიკური ინტერესები განსაზღვრავდა მათს „დემოკრატიულობასა" და „მორალურ მხარეებს".

ბ) ამქრის შინაგანი სტრუქტურა

გვიანფეოდალური საქართველოს ხელოსანთა და ვაჭართა ამქრების სათავეში ამქრის თავი იდგა, რომელსაც ოსტატს, ამქარბაშს (ამქრისთავს) ან კიდევ უსტაბაშს (ოსტატთა თავს) უწოდებდნენ.

საშუალო ირანულის „ოსტატ", ახალი ირანულის „ოსტად" ანუ „უსტად" თავს, უფროსს, მასწავლებელს, გამგეს ნიშნავდა. ძველ ქართულში ეს ტერმინი ამავე მნიშვნელობით შემოვიდა. „ვისრამიანის" ქართულ ვარიანტში, როგორც აღვნიშნეთ, „ოსტატი" სწორედ უფროსის, თავის მნიშვნელობით იხმარება[91]. „ოსტატი" ჯერ გვერდში ამოუდგა ძველ ქართულ ტერმინებს—„მოძღვარს", „უხუცესს", ხოლო შემდეგ ძირითადად შეცვალა ისინი და, იმავე გაგებით, ქართულ ენაში მტკიცედ დამკვიდრდა. „ოსტატი" გვიანფეოდალურ ხანაშიც თავს, უფროსს, მასწავლებელს ნიშნავდა. ჩვენ არაერთი დოკუმენტი მოგვეპოვება, სადაც ოსტატი XVII-XVIII სს. ხელოსანთა ამქრის უფროსის მნიშვნელობით არის ნახმარი. მოვიტანთ ზოგიერთს. 1792 წ. საბუთში სხვათა შორის იკითხება: „შევიყარენით კალატოზების ოსტატი დავით და მეორე კალატოზი დავითა და კალატოზი გოგია, ორი ხურო ოსტატი და ესენიც დავისწარით". ამავე საბუთის ბოლოს კი აქ მოხსენებულნი—კალატოზების ოსტატი დავით და ხურო ოსტატები, დასახელებულნი არიან როგორც უსტაბაშები: „კალატოზების უსტაბაში ამის დამსწრე ვარ დავით", „ოტიაშვილი კალატოზი დავითა ამის დამსწრე ვარ" „მეხუროების უსტაბაში ამის დამსწრე ვარ"[92]. რო-

[91] ვისრამიანი, გვ. 28, 83.

[92] ისტორიული საბუთები, V, გვ. 111—112.

გორც ჩანს, ოსტატი და უსტაბაში სავსებით თანაბარი მნიშვნელობის სიტყვებია. 1802 წ. საბუთში მოწმეთა შორის დასახელებულია „მეწვრილმანეების ოსტატი ასლანა ძე სტეფან ზოჰრაბოვი“[93]. სხვა მასზე ადრინდელ საბუთს, მეწვრილმანეთა ამქრის წესდებას ეს ოსტატი ხელს აწერს როგორც უსტაბაში: „უსტაბაში ასლანა ძე სტეფან ზოჰრაბოვი“[94]. აქ მოტანილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ოსტატი ეწოდებოდა არა მარტო ხელოსანთა ამქრის თავს, ანუ „ხელოსანთა უფროსს“, როგორც სულხან-საბა ორბელიანი განმარტავდა[95], არამედ ვაჭართა, ამ შემთხვევაში მეწვრილმანეთა ამქრის თავსაც.

ამით აიხსნება, რომ საბუთებში ჩვენ ხშირად გვხვდება: „ჭონების ოსტატი“ (მექუდეთა ამქრის თავი)[96], „მკერვალთა ოსტატი“[97], „ხარაზების ოსტატი“[98], „კალატოზების ოსტატი“[99], „ხუროს ოსტატი“[100], „მექვაბეების ოსტატი“ და სხვ. მაგრამ XIII—XVIII სს. ოსტატი ერთადერთი ტერმინი არ ყოფილა ხელოსანთა და ვაჭართა ამქრების თავის აღსანიშნავად. ამ ტერმინის პარალელურად ჩანს აგრეთვე ირანულ-თურქული წარმოშობის „უსტაბაში“ (სიტყვასიტყვით — ოსტატთა თავი), რომელიც, ისევე როგორც ოსტატი, როგორც ხელოსანთა, ასევე ვაჭართა და სხვ. პროფესიის მქონეთა ამქრის თავს ნიშნავდა; ამდენად ეს ტერმინი შეესატყვისება გვიანფეოდალურ ხანაში ხმარებულ „ამქარბაშსაც“[102]. ყოველ ამქრულ გაერთიანებას თავისი უსტაბაში ჰყავდა. საბუთებში დასახელებულია „ბაყლების უსტაბაში“, „ბაზაზების უსტაბაში“, „სირაჯების უსტაბაში“, „ბასმაღჩის უსტაბაში“, „დაბაღების უსტაბაში“, „კალატოზების უსტაბაში“, „ხუროების უსტაბაში“ და სხვ. „უსტაბაში“ ამქრისათვის აღსანიშნავად იხმარებოდა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც. მაგ., XIX ს. დამდეგის საბუთით, სიღნაღში იყო: ბაზაზების, დერეიკების, ბაყ-

---

[93] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 25, საბ. 21.

[94] შ. მ ე ს ხ ი ა, ქართული ამქრული ორგანიზაც. ისტორიიდან, ТИЭ, III, გვ. 147, 149.

[95] იხ. მისი სიტყვის კონა.

[96] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები, I, გვ. 311; ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 7, საბ. 127.

[97] ისტორიული საბუთები, V, გვ. 84.

[98] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 7, საბ. 127.

[99] იქვე, დავთ. 13, საბ. 41.

[100] იქვე.

[101] იქვე, დავთ. 32, საბ. 32.

[102] საქ. სიძვ., I, გვ. 151.

ლებისა და მეთევზეების უსტაბაში, ხარაზების, სარაჯების, ოქრომ-ჭედლების უსტაბაში და სხვ[103]. დასავლეთ საქართველოს ქალაქებშიც უსტაბაში ერთადერთი ტერმინი იყო ამქრის თავის აღსანიშნავად. XIX ს. 70-იან წლებში, ისე როგორც ადრე, ქუთაისის მეპურეთა ამქარს, როგორც მათივე წესდებიდან ჩანს, უსტაბაში ედგა სათავეში[104].

ამქრისთავის სახელის ამგვარი წარმოების გარდა (უსტაბაში), გვხვდება სხვაგვარიც, იმ ამქრის სახელის მიხედვითაც, რომლის თავადაც ესა თუ ის პირი ითვლებოდა. მაგ., ბაყალთა ამქრის თავს „ბაყალბაში" ეწოდებოდა, ბაზაზების ამქრის თავს „ბაზაზ-ბაში" და ასე შემდეგ. „ბაყალბაში" სავსებით შეესატყვისებოდა „ბაყლების უსტაბაშს". 1778 წ. საბუთში მოხსენებული „ბაყ-ლების უსტაბაში დანიელა" 1779 წ. საბუთში „ბაყალბაშ და-ნიელად" არის დასახელებული[105]. თბილისურ საბუთებში ამიტო-მაც ხშირად გვხვდება ამქრისთავების აღსანიშნავად „სირაჯბაში", „ძაჰყალბაში", „ბაზაზბაში", „ყასაბბაში", „აქიმბაში" და სხვ. ამ-ქრისთავის სახელის ამგვარი წარმოება მიღებული იყო საქართვე-ლოს სხვა ქალაქებშიც. მაგ., 1792 წ. თელავში შედგენილ საბუთს სხვათა შორის ემოწმება „ყასაბბაში სტეფანა"[106].

ქართული ამქრული ორგანიზაციების იდეალიზატორები — ი. ახვერდოვი, ს. ეგიაზაროვი და სხვ. განსაკუთრებით ხაზს უსვამ-დნენ იმ „დემოკრატიზმს", რომელიც ამქრულ ორგანიზაციებში ამ-ქრის თავის არჩევნებში გამოიხატებოდა. ისე როგორც ი. ახვერ-დოვი, ასევე ს. ეგიაზაროვი, არ იცნობდნენ რა სათანადო მასალებს, ამას გარდა არ ესმოდათ რა თვით ამქრული ორგანიზაციის კლა-სობრივი ხასიათი, შეუძლებლად თვლიდნენ წარმოედგინათ ამქ-რის „შინაგანი დემოკრატიზმის" დარღვევა ამქართა უსტაბაშე-ბის დანიშვნით, ან კიდევ არჩეული უსტაბაშის თავის თანამდებობა-ზე ხანგრძლივად ყოფნით. ამქრული წყობის ბურჟუაზიული იდეა-ლიზატორების მოსაზრებებმა ერთგვარი გავლენა მოახდინეს ზოგ საბჭოთა მკვლევარზედაც. მაგ., პროფ. ალ. ფირცხალაიშვილისა[107]

---

[103] „მატენადარანი", Груз. док., საქაღალდე, 255, საბ. 84.

[104] შ. მ ე ს ხ ი ა, ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III, გვ. 151.

[105] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 32, საბ. 31, 32.

[106] იქვე, დავთ. 1, საბ. 29.

[107] ა. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი, თბილისის ამქრების 1865 წ. გამოსვლის ისტორიისათვის,

და გ. გამყრელიძის მიხედვით[108], ისე როგორც ი. ახვერდოვისა და ს. ეგიაზაროვის მოსაზრებით, XIX ს. და, ასევე, საქართველოში მეფობის გაუქმებამდეც, ყოველი ამქრის „უსტაბაშებს ამქრის წევრთა საზოგადო კრება“, ან კიდევ „ამქრის სრულუფლებიან წევრთა საერთო კრება“ ირჩევდა. ალ. ფირცხალაიშვილის აზრით, ამქარი ყოველთვის „შინაგანი მმართველობის იმუნიტეტით სარგებლობდა“ და ეს იმუნიტეტი განსაკუთრებით ძლიერი იყო „ქართველი მეფეების დროს, როცა ამქარს 'უფრო ეეტი გასაქანი ჰქონდა“[109]. ალ. ფირცხალაიშვილის და სხვა მკვლევართა მსგავსი მტკიცება ვერ არის დამყარებული თვით ამქრის კლასობრივი ბუნებისა და საქართველოს ქალაქების სოციალური წყობის ღრმა ანალიზზე. გვიანფეოდალური საქალაქო წესწყობილების მიმოხილვა გვარწმუნებს, რომ ამქრის თავები ხშირად თვით მეფის მიერ ინიშნებოდნენ და რომ საერთოდ, ამქარი მეფისა და მის მოხელეთა კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული. ამქრული ორგანიზაციების შინაგან ცხოვრებაში სამეფო ხელისუფლების ჩარევა, განსაკუთრებით საქართველოს ქსხვილ ქალაქში — თბილისში შეიმჩნევა. ჩვენ, სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტი მოგვეპოვება, საიდანაც მტკიცდება, რომ თბილისში მსხვილ ამქრულ გაერთიანებათა უსტაბაშები მეფის მიერ იყო დანიშნული. 1799 წ. გიორგი XII წყალობის წიგნში წერდა: „გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ყმას, ერთგულს და ნამსახურს, მოქალაქეს, იფრუმაანთ როსტომას შვილს ხატიას და მამასა შენსა... კაკალას, ასე რომ ქალაქის (—თბილისის, შ. მ.) ბაზრის ბაზაზბაშობას დაგვეაჯენით, ... გიბოძეთ ქალაქის ბაზრის ბაზაზბაშობა, ასე რომ, როგორც ამას წინათ ბაზაზბაში მოქცეულან (?) შენც ისე უნდა მოიქცეთ (?) და რაც ჩვენი სარქრისათვის და ან სხვისათვის ბაზარს ან ერთმეოდეს ან ეძლეოდეს, ეს ყველა უთქვენოთ არ უნდა მოხდებოდეს და, რაც ამას წინათ ბაზაზბაშის რუსუმი და სარგო ქონდესთ, თქვენც ისე უნდა მოგეცემოდესთ ... გიბრძანებთ ქალაქის მოურავო, მელიქ-მამასახლისო და ჩვენო მოსაქმენო ეს ჩვენი ნაბოძები წიგნი თქვენც ასე დაუმტკიცეთ“[110]. როგორც ვხედავთ, ბაზაზთა ამქრის უსტაბაში[111] მეფის

---

[108] გ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ხელოსნობა თბილისში, 1926, გვ. 96.

[109] ალ. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი, შენიშვნები შ. მესხიას წერილებზე, „მიმომხილველი“, II, 1952, გვ. 474.

[110] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 101; ЦГИАГ, ф. 227; № 977, შ. მ ე ს ხ ი ა, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III, 1949, გვ. 142.

[111] გიორგი XII-ის მიერ შეწყალებული კაკალა 1800 წ. სხვა საბუთებში არაერთხელ არის მოხსენებული როგორც ბაზაზების უსტაბაში. იხ. ГМГ, № 348, 350, 351.

მიერ ინიშნებოდა არა მარტო გიორგის დროს, არამედ უფრო ადრეც. ბაზაზბაში მეფის მოხელე იყო. მისი შემწეობით ართმევდა მეფე ქალაქის ფართლეულებით მოვაჭრეთა ამქარს, რაც პირადად მისთვის, სამეფო სარჭრისათვის თუ სხვ. საჭირო გახდებოდა. ამავე საბუთიდან ჩანს, რომ მეფის ბრძანებით ისაზღვრებოდა ბაზაზბაშის უფლება, მოვალეობა და სარგო.

გვიანფეოდალურ თბილისში მეფის მიერ ინიშნებოდა ვაჭართა სხვა ამქრის თავიც. მეფეს შეეძლო, ცხადია, მის მიერ დანიშნული მოხელე, ამა თუ იმ ამქრის თავი, თუ მეფის წინაშე სამსახურს ვერ გასწევდა, ამქრის დაუკითხავად თვითვე გადაეყენებინა. ამ მხრივ საინტერესო ცნობას მეწვრილმანეთა ამქრის 1800 წ. თხოვნა გვაძლევს. მეწვრილმანეები გიორგი XII-ს მოახსენებდნენ: „თქვენის ბრძანებით ასლანას უსტაბაშობაზედ ხელი ააღებინეთ; ჩვენ უიმისოთ იოლს ვერ წავსულვართ, გეევედრებით, მოწყალება მიიღოთ — იმისი დანაშაული ჩვენ გვაპატივოთ—და ისევ ამაზე უსტაბაშობის მოწყალება მიიღოთ და უბოძოთ“[112]. როგორც ჩანს, მეწვრილმანეების უსტაბაშს მეფის წინაშე სამსახური წესიერად ვერ გაუწევია: თვით ამქარი კი თავისი უსტაბაშით უკმაყოფილო არ ყოფილა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის, როგორც მეფის მოხელე, ამ თანამდებობიდან მეფესვე გადაუყენებია. ამქრის წევრებს მხოლოდ თხოვნა შეუძლიათ მეფის წინაშე, რათა ასლანას ისევ ბოძებოდა წყალობად უსტაბაშობა. ამქარს, ცხადია, თვით აღარ ჰქონდა უფლება თავისი უსტაბაშის არჩევისა.

მეფემ, როგორც ჩანს, შეიწყნარა მეწვრილმანეთა ამქრის თხოვნა და ბრძანებით ასლანა ისევ მეწვრილმანეების უსტაბაშად დანიშნა: „ჩვენი ბრძანება არის ასლანავ, მერე თუ აღარ მოგვატყუებ და ჩვენს სამსახურზე ბეჯითად იქნები, მეწვრილმანეების უსტაბაშობა ისევ შენთვის გვიბოძებია. მეწვრილმანეებო, ისევ დაგვიყენებია თქვენს უსტაბაშათა“[113]. როგორც ჩანს, მეფისათვის ამა თუ იმ ამქრის თავის დანიშვნის შემთხვევაში მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როგორ ბეჯითად გასწევდა სამსახურს იგი მეფის წინაშე, და არა იმას, თუ როგორი იყო ამქრის წევრთა აზრი ამ საკითხზე. ჩვენ, სამწუხაროდ, სხვა მსგავსი მასალა არ მოგვეპოვება, მაგრამ აქედანაც კარგად ჩანს, თუ რამდენად შელახული

---

[112] ЦГИАГ, ф. 227, № 823, შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 101—102.

[113] ЦГИАГ, ф. 227, № 825, შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 102; შ. მ ე ს ხ ი ა, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III, 1949, გვ. 143.

იყო გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში ამქრული წყობის „დემოკრატიზმი“ და „მმართველობის შინაგანი იმუნიტეტი“.

XVII—XVIII სს. მასალებს არ შემოუნახავთ არავითარი ცნობა იმის შესახებ — ყველა ამქრის უსტაბაში მეფეთა მიერ ინიშნებოდა თუ ზოგიერთს თვით ამქარი ირჩევდა. XIX ს. პირველი ნახევრის აღწერილობითი წყაროები კი გვარწმუნებენ, რომ XVII—XVIII სს.-შიაც ამქართა დიდი ნაწილი თვით ირჩევდა თავის უსტაბაშს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მათი „დემოკრატიზმი“ საკმაოდ შელახული იყო. გვიანფეოდალური ხანის ხელოსანთა ამქრების შესახებ დავით ბატონიშვილი შენიშნავდა: „თითოეული ცეხი ყოველწლიურად ირჩევს უხუცესს მოურავისა და ქალაქის უფროსების ნებართვით“[114]. თუ ეს ცნობა გაზვიადებული არ არის, ხელოსანთა ამქრები ქართლ-კახეთის სამეფოში, როგორც ჩანს, თვით ირჩევდნენ თავიანთ უსტაბაშებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სამეფო ხელისუფლება თავის კონტროლს საკუთარი მოხელეების შემწეობით ახორციელებდა. ქალაქის მოურავისა და მამასახლისის დამტკიცების გარეშე, ამქრის წევრთა მიერ არჩეული უსტაბაში თავის უფლებებში ვერ იქნებოდა. მეფეთა მიერ დანიშნული თუ თვით ამქრების მიერ არჩეული და მეფის მოხელეთა მიერ დადასტურებული უსტაბაშები ქალაქებში მეფისა და მის მოხელეთა ბრძანებითა და კონტროლით მოქმედებდნენ. ჩვენ მოგვეპოვება მეფისა და მის მოხელეთა არაერთი ბრძანება თბილისის ამქრების (ბაზაზბაშის, ნეწვრილმანეთა უსტაბაშის, ყასაბბაშის, კალატოზთა, ხუროთა, მესანთლეების და სხვ.) უსტაბაშების სახელზე სხვადასხვა საქალაქო საქმეების გარიგების შესახებ[115].

ამრიგად, ამქრისთავების დანიშვნა ან კიდევ დამტკიცება მეფისა და მის მოხელეთა მიერ გვიანფეოდალური ხანის საქართველოს საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. იგი გამომდინარეობდა, ერთი მხრივ, ქალაქებში გაბატონებული სოციალური ურთიერთობიდან, ხოლო მეორე მხრივ კი, ამქართა კლასობრივი ბუნებიდან.

ქალაქებში გაბატონებული ფეოდალური არისტოკრატია არა მარტო ქალაქის მმართველობას იგდებს ხელთ, არამედ ამქართა ში-

---

[114] Царевич Д а в и д, Обозрение Грузии, ИВАН, Н: II, § 1000.

[115] იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III 1949, გვ. 142—145; ГМГ, ფ. Sd: 328, 330—334, 336, 337, 340—342, 350, 351, 353; ЦГИАГ, ფ. 226, № 4792, 4797, 4799, 4801, 4807, 7776, 7777, 7779; ГМГ, Hd 3818; 3824, 3825; 3826, ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 32, საბ. 5.

ნაურ ცხოვრებაშიც თანდათან ერევა და ქალაქის მოსახლეობის ისეთ გაერთიანებათა დამორჩილებასაც ცდილობს, რომელიც „გაერთიანებული ყაჩაღური თავადაზნაურობის წინააღმდეგ“ საბრძოლველად იყო წარმოშობილი. ამქრები, როგორც შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო და ისეთი გაერთიანება, რომელსაც ქალაქში ორგანიზაციული როლის შესრულება შეეძლო, სამეფო ხელისუფლებისათვის საჭირო იყო. ამიტომაც იგი მათ არსებობას ხელს არ უშლიდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ამქარი თავისი ეკონომიკური პოლიტიკით და კლასობრივი ინტერესებით საშიშ ორგანიზებულ ძალას წარმოადგენდა. ამიტომ სამეფო ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა აქტიურად ჩარეულიყო ამქრის ცხოვრებაში და თავისთვის დაეტოვებინა ამქრის თავთა დანიშვნისა თუ დამტკიცების, მათი მოვალეობის განსაზღვრის, საამქრო წესდებათა დამტკიცების, სხვადასხვა სურსათ-სანოვაგეთა ტაქსაციისა და სხვ. მსგავსი უფლებანი. ყოველივე ამით სამეფო ხელისუფლება ცდილობდა უზრუნველეყო თავისი თავი ამქართა არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური, კლასობრივი, ორგანიზებული შემოტევებისაგან.

ფეოდალთა კლასის ამგვარი ინტერესებიდან გამოდიოდა იოანე ბატონიშვილი, როცა თავისი პროექტით ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველობის გაუმჯობესების შესახებ, მოითხოვდა არა მარტო ზოგი ამქრის თავი, არამედ საერთოდ ყველა ამქრის უსტაბაში სამეფო ხელისუფლების მიერ ყოფილიყო დანიშნული და ყველა ამქარს საქართველოს ქალაქებში მეფის მიერ ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებულ წესების მიხედვით ემოქმედა[116].

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში, მართალია, სამეფო ხელისუფლება უფრო აქტიურად ერეოდა ამქრის შინაგან ცხოვრებაში, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში, მაგრამ იგი მაინც ერთადერთი გამონაკლისი არ ყოფილა. მსგავსი მოვლენა მკვლევარებს არაერთხელ შეუნიშნავთ დასავლეთ ევროპის თუ აღმოსავლეთის ცეხურ ორგანიზაციებში[117].

ჩვენი აზრით, მართებულად წერდა გ. ბელოვი: ის გარემოება, რომ ხელისუფლებას საერთოდ შეეძლო დაენიშნა ცეხების უხუცესები, ძალიან ადვილი ასახსნელია, რამდენადაც ხელისუფლება,

---

[116] ГМГ, ფ. Н 2155, გვ. 9—13.

[117] იხ., მაგ., Ф. Я. Полянский, Очерки социально-экономической политики цехов, с. 54 и др.; С. Егиазаров, Городские цехи (სპარსეთის შესახებ), с. 268, შდრ. იქვე, შენიშვნა 4.

როგორც თავის მოვალეობას, ისე უყურებდა მრეწველობის საკითხებში ურთიერთობის რეგულირებას, ამდენად, მისი მოვალეობა იყო თანამდებობის პირის დანიშვნა, თუ არ უნდოდა ქვეშევრდომთა არჩეული თანამდებობის პირი[118].

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, XVII—XVIII სს. ამქართა „შინაგანი მმართველობის იმუნიტეტი" მეფისა და მის მოხელეთა ჩარევით იმდენად შეზღუდული იყო, რომ ქართულ ამქრულ ორგანიზაციებს ქართველ მეფეთა დროს გაცილებით უფრო ნაკლები გასაქანი ჰქონდათ, ვიდრე პროფ. ალ. ფირცხალაიშვილი ფიქრობს.

XIX ს. დამდეგიდან, როცა ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და საქართველო რუსეთს შეუერთდა, ქვეყანას ფეოდალური ჩიხიდან გამოსვლის მეტი შესაძლებლობა შეექმნა. სამეფო ხელისუფლების გაუქმებამ საქართველოს ქალაქებზე ფეოდალური არისტოკრატიის ბატონობა საგრძნობლად შეარყია. ეს, ერთი მხრივ, იმაშიც გამოიხატა, რომ ამიერიდან სამეფო ხელისუფლება ამქართა უსტაბაშების დამნიშვნელი, მისი მოხელეები კიდევ კონტროლიორი და დამამტკიცებელი ვერ იქნებოდნენ. ამქრულ ორგანიზაციებს, წინააღმდეგ პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის მოსაზრებისა, შეიძლება ითქვას, XIX ს. დამდეგიდან „უფრო მეტი გასაქანი" მიეცა, ამქრის თავებს, როგორც არაერთი მასალიდან ჩანს, თვით ამქარი ირჩევდა.

უსტაბაშის არჩევაში ამქრის ყველა სრულუფლებიანი წევრი, თვით უცხოელიც, რომელიც ამქარში შეიძლება დროებით იყო გაერთიანებული, იღებდა მონაწილეობას[119]. ამქრის თავად არჩევისათვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა რელიგიურ კუთვნილებას[120], არც წლოვანებას, ხელობის განსაკუთრებულ ცოდნას და არც სიმდიდრეს, როგორც ამაზე თვით ხელოსანთა ამქრის წესდებები მიგვითითებენ. როგორც XIX ს. დამდეგის ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, უსტაბაშის არჩევის დროს თავისუფლების ცენზიც არ არსებობდა. მაგ., პატრიარქის ყმათა შორის მოხსენებულია „მეავეჯეთა უსტაბაში"[121]. ამქრის ხელისუფალთა, მათ შორის უსტაბაშთა, არჩევის წესები ამქართა წესდებაში იყო შე-

---

[118] Г. Белов, Городской строй и городская жизнь средневековой Германии, М., 1912, прилож. II, с. 197—198.

[119] Ю. Аквердов, Тиф. амкары, об организации, с. 2.

[120] Там же, Записки, с. 12.

[121] ЦГИАГ, ф. 16, д. 497, л. 55.

ტანილი. მაგ., ავლაბრელ იუველირთა XIX ს. დამდეგს სომხურ ენაზე შედგენილ წესდებაში ნათქვამია: „არ არის აუცილებელი, რომ ამქრის არჩეული ხელისუფალნი იყვნენ უხუცესები ანდა სხვა ხელობისანი ან მდიდრები, მაგრამ საჭიროა მათ ჰქონდეთ ქრისტიანული საბჭო, საღი გონება, იყვნენ მართალნი, არ იყვნენ ძუნწნი ... მათი არჩევის წესი ასეთია: საერთო კრება ერთსულოვნად ირჩევს ჯერ 12 კაცს, ეს 12 კაცი ირჩევს ოთხ ხელმძღვანელს, ეს უკანასკნელი თავის მხრივ ირჩევს მდივანს, მსახურსა და მღვდელს“[122]. უსტაბაშთა და ამქრის სხვა მოხელეთა არჩევა უმთავრესად ღია ცის ქვეშ, ეკლესიის ეზოში, სასაფლაოზე და სხვ. ხდებოდა. ზოგჯერ კიდევ, ზოგ შეძლებულ ამქარს, საამისო შენობაც გააჩნდა[123]. არჩეული მოხელეები სათანადო ფიცს აძლევდნენ ამქრის წევრებს. წესდებებში ფიცის ფორმებიც იყო შეტანილი[124].

უსტაბაში, როგორც დავით ბატონიშვილის მითითებიდან ჩანს, 1 წლის ვადით უნდა აერჩიათ. ამას ადასტურებს ავლაბრელ იუველირთა წესდებაც, სადაც ნათქვამია: „რომ ყველა ისინი — უსტაბაში და სხვები ერთი წლით აირჩევიან“. მაგრამ ამქრის მიერ შემუშავებული ამგვარი წესი უმეტეს შემთხვევაში ირღვეოდა. იუველირთა წესდებაში იქვე ნათქვამია: „თუ ისინი კეთილსინდისიერად ასრულებენ ამ ფუნქციებს, თავიანთ თანამდებობებზე რჩებიან იმდენ ხანს, რამდენიც მოესურვება საზოგადოების უმრავლესობას“[125]. მართლაც, უსტაბაშები ამა თუ იმ ამქარში არათუ ერთ წელს, არამედ ზოგ შემთხვევაში სიკვდილამდეც რჩებოდნენ თავიანთ თანამდებობაზე. ამით ირღვეოდა, ცხადია, თვით ამქრის ყბადაღებული (преславутый) დემოკრატიზმი. დამახასიათებელია, რომ XIX ს. პირველი ნახევრის თბილისში ამქრის წევრები, უკმაყოფილონი ერთი პირის მიერ ამქრისთავის ხელისუფლების წლების განმავლობაში მიკუთვნებით, ხშირად ამბობდნენ: „ადგილი ხომ გაყიდული არ არის, ეხლა სხვა იყოს“ უსტაბაშადაო[126]. უსტაბაში გვიანფეოდალურ საქართველოს ამქრებში ამქრის შიგნით უმაღლესი მოხელე იყო და ეს ერთი მხრივ ანსხვავებდა ქართულ ამქრულ ორგანიზაციებს აღმოსავლურისაგან, სადაც ცალ-

---

122 Լումայ ..., მუხ. A.

123 Ю. Ахвердов, Тиф. амкары, об организ., с. 1; «Кавказ», 1850, № 93, «Закавк. Вестник», 1850, № 51; Сб. газ. „Кавказа“, 1846, с. 260; ს. ბედუკაძე, ეთნოგრაფიული მასალები ხელოსანთა ამქრების შესახებ; Լումայ, მუხ. 7.

124 Լումայ, მუხ. 5.

125 იქვე, მუხ. A.

126 Г. Измиров, Несколько замечаний..., «Зак. Вестник», 1850, № 51.

კეული ამქრები და მათი უსტაბაშებიც უფრო მსხვილ ორგანიზაციებში ერთიანდებოდნენ და მათ უფროსებს ექვემდებარებოდნენ. ამქრული ორგანიზაციების ამგვარი წყობა საქართველოს მხოლოდ ისეთ ქალაქებში შეინიშნებოდა, სადაც ძლიერი იყო ოსმალური გავლენა. მაგ., ახალციხეში ცალკეულ ასნაფთა უსტაბაშები უსტალარ-უსტასებს (ოსტატთა ოსტატებს) ან კიდევ „შეიხ-სიაბს" (Schech-Syhabi—„უმაღლესი შეიხი") ექვემდებარებოდნენ[127]. მსგავსი გაერთიანებანი და თანამდებობანი საქართველოს ქალაქებში არ არსებობდა, რაც ქართული ქალაქების მმართველობის თავისებურებით უნდა აიხსნას.

უსტაბაშის მოვალეობის შესახებ ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ, რაკი ამ საკითხზე საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს[128]; მხოლოდ გვსურს ზოგ ისეთ მასალაზე მივუთითოთ, რომელიც ამქრული წყობის შემსწავლელთა მიერ დღემდე არ იყო გამოყენებული.

უსტაბაშისა და ამქრის მიერ არჩეულ სხვა ხელისუფალთა უპირველესი მოვალეობა, იუველირთა ამქრის წესდების მიხედვით, იყო: „ზედამხედველობა და სამართლისწარმოება ყველა იუველირისადმი"[129]. საზოგადოების წევრები ვალდებულნი იყვნენ ცოდნოღათ თავიანთი უსტაბაში და სხვა სამი მრჩეველი, როგორც მთავარი წარმმართველი მათი ხელობის საქმიანობისა, ისინი ვალდებულნი იყვნენ ყური ეგდოთ და დამორჩილებოდნენ მათ ყოველ კანონიერ ბრძანებას. ანგარიში ვაეწიათ მათთვის, ისე როგორც შვილები უწევენ ანგარიშს თავიანთ მამებს[130]. ამქარში „მამად" აღიარებული უსტაბაშის უმთავრესი მოვალეობა 1847 წ. რუს ხელისუფალთა მოთხოვნით თბილისის მოქალაქეთა მიერ შედგენილ საგანგებო ცნობაში შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: გაარჩიოს სადავო საქმეები თავის ამქრის წევრებს შორის; თვალყური ადევნოს, რათა ამქრის წევრთა შორის დაცული იყოს სიმშვიდე და კეთილგანწყობილება, გაუწიოს დახმარება ამქრის ავადმყოფ და უძლურ წევრებს; თვალყური ადევნოს, რომ ამქრის წევრის სიკვდილის შემთხვევაში დაიკეტოს ამქრის ყველა დუქანი და ამქრის ყველა წევრი დაესწროს მის დამარხვას; თვალყური ადევნოს, რომ ამქრის გარდაცვლილი წევრი დაიმარხოს ამქრის ხარ-

---

[127] Л. П. Загурский, Поездка в Ахалцих. уезд. с. 25.

[128] ი. ახვერდოვის, გ. იზმიროვის და სხვ. წერილებს გარდა განსაკუთრებით იხ. ს. ეგიაზაროვი, Городские цехи, გვ. 279—284.

[129] Լուսաւ ..., მუხ. A.

[130] იქვე, მუხ. 13.

ჯით; შეასრულოს ყველა ბრძანება ქალაქის მმართველობისა, რომელიც კი ამქარს შეეხება. დაასწროს ამქრის ყველა წევრი რელიგიური დღესასწაულების დროს ლოცვებს ეკლესიებში; გაუწიოს დახმარება ამქრის შეძლების მიხედვით ქალაქში საზოგადო ნაგებობათა (ეკლესია და სხვ.) მშენებლობას; შეაგროვოს ამქრის წევრთაგან საქალაქო გამოსაღებები და გადასცეს სათანადო პირებს; აწარმოოს მოწაფის კურთხევა ოსტატად; თვალყური ადევნოს, რომ მოწაფეებს წესიერად ეჭიროთ თავი, არ დაარღვიონ პირობა და უმიზეზოდ არ გადავიდნენ ერთი ოსტატიდან მეორესთან; იბრძოლოს ხელობის სრულყოფისათვის თავის ამქარში[131].

ზემომოტანილი დოკუმენტის ჩვენება სხვა მასალებითაც დასტურდება. ამასთან ერთად, ამა თუ იმ ამქრის სპეციფიკურობა მის უსტაბაშს ზოგჯერ სხვა მოვალეობასაც აკისრებდა. ამქრების უსტაბაშები ხშირ შემთხვევაში გამოდიოდნენ თვით არაწესიერ მომხმარებელთა წინააღმდეგ, რომელნიც შეეცდებოდნენ ამა თუ იმ ოსტატის შევიწროებას[132]. უსტაბაში ანაწილებდა აგრეთვე სამუშაოს თავისი ამქრის წევრთა შორის. მაგ., მშენებელ ხელოსანთა უსტაბაშები, ანაწილებდნენ რა ამქრის წევრებს სხვადასხვა სამუშაოზე თავიანთი შეგირდებით[133], თვით ვალდებული იყვნენ დროდადრო შეემოწმებინათ მათ მიერ გაგზავნილ ოსტატთა და შეგირდთა მუშაობა. მშენებლობის დანახარჯთა ნუსხებში ამიტომაც ხშირად ჩანიშნულია ამა თუ იმ მშენებლობაზე უსტაბაშის გამოცხადებასთან დაკავშირებული ხარჯები[134]. მშენებლობის პატრონს უსტაბაშის დაუკითხავად არ შეეძლო გაემრავლებინა მომუშავე ოსტატთა რიცხვი, ან კიდევ უვარგისობის მომიზეზებით გაეთავისუფლებინა რომელიმე ხელოსანი და სხვ.[135].

უსტაბაში აწარმოებდა აგრეთვე ახალი წევრის მიღებასა და ამქრის დავთარში ჩაწერას[136], უსტაბაშის კონტროლისა და მისი თანხმობის გარეშე ოსტატს არ შეეძლო მოწაფის მიღება; ამ უკანასკნელის გადაყვანა ერთი ოსტატიდან მეორესთან, მოწაფის ნამუშევრის შემოწმება, კურთხევა ოსტატად და სხვ. აგრეთვე უს-

---

131 ГМГ, ф. И 2838, Ros 269.

132 Сб. газ. «Кавказа»., 1846, გვ. 286; შდრ. «Кавказ», 1850, № 93.

133 «Зак. Вестник», 1850, № 51, Сб. газ. «Кавказ»», 1846, с. 266.

134 ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, I, გვ. 223, 237, 286 და სხვ.

135 Сб. газ. «Кавказ», 1846, с. 267—266.

136 საქ. სიძველენი, I², გვ. 151—152.

137 Լուսաբ, მუხ. D. E. H, O.

ტაბაშს ეკითხებოდა[137]. უსტაბაში, როგორც ეს ავლაბრელ იუველირთა ამქრის წესდებიდან ჩანს, ვალდებული იყო კონტროლი გაეწია ამქრის სალაროს შემოსავალ-გასავალზე, ყოველწლიური ანგარიში ჩაებარებინა ამქრის კრებისათვის სალაროს შემოსავლისა და გასავლის შესახებ და სხვ[138].

ამქრის უსტაბაში, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, აწესრიგებდა ამქრის ურთიერთობას მეფესთან თუ ქალაქის მოხელეებთან: „თუ ბატონთან (მეფესთან, შ. მ.) წასვლა იყოს თუ მოხელესთან... ჩვენი ოსტატი (უსტაბაში, შ. მ.) ასლანა... წავიდეს, რაც ამათ გაარიგონ ჩვენი ყაბული არის“ — ნათქვამია XVIII ს. დასასრულს შედგენილ მეწვრილმანეთა ამქრის წესდებაში[139]. ამქრის უსტაბაში იყო ყველა იმის აღმასრულებელი, რაც ამა თუ იმ ამქარს მეფისაგან თუ ქალაქის მოხელეებისაგან ებრძანებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ამქრის წევრთა გამოსაღებსაც უსტაბაში კრებდა. დავით ბატონიშვილი წერდა: „შემოსავალს იღებს მოურავი ცეხების უსტაბაშებთან ერთად და შეაქვთ ხაზინაში“[140]. ამქრის თავის ერთი უპირველესი მოვალეობა ამქრის წევრთა შორის დავის გარჩევა, ანუ ამქრის „შინაგანი სამართლის“ წარმოება იყო. ამქრის წევრთა შორის დავას ხშირ შემთხვევაში თვით უსტაბაში არჩევდა; ზოგჯერ კიდევ უსტაბაშთან ერთად მისი თანაშემწეებიც და ამქრის ცალკეული საპატიო წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას სადავო საქმეების გარჩევაში[141]. იუველირთა წესდების თანახმად, საჩივრების, სადავო საქმეების გასარჩევად უსტაბაში და მისი სამი თანაშემწე კვირაში ორ დღეს — სამშაბათსა და პარასკევს დღის პირველ ნახევარში იკრიბებოდნენ სათათბირო ოთახში, მაგრამ თუკი სასწრაფო საქმე იყო, შეიძლებოდა სხვა დღეებშიც შეკრებილიყვნენ, გარდა კვირისა[142]. უსტაბაშისა და მის თანაშემწეთა „სამართალი“ ქართულ ამქრულ წყობაში უმაღლესს წარმოადგენდა. უმაღლესი საამქრო სასამართლო, რომელიც ჰაქსტჰაუზენისა და ეგიაზაროვის ცნობით, დადასტანის (dadustan) სახელით ცნობილი იყო ამიერკავკასიის ქალაქებში, საქართველოში არ არსებობდა. ამქრის წევრთა ისეთი საქმეები, რომელიც ამქრის უსტაბაშის „სამართლის“ კომპეტენციას სცილდებოდა, ქალაქის მოურავს, მელიქ-მამასახლისს,

---

[138] იქვე, მუხლი, П, Р,

[139] შ. მ ე ს ხ ი ა, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III, 1949, გვ. 147.

[140] Царевич Д а в и д, Обозрение Грузии, ИВАН, н: II, § 1002.

[141] იხ. Зак. Вестник, 1850, № 51, Ю. А х в е р д о в, Тиф. амкары, об. орган., с. 3; Н. Д е р ж а в и н, следы..., с. 287.

[142] Լումոյ, მუხ. Ф.

თუ თვით მდივანბეგს უნდა გაერჩია. დავით ბატონიშვილი ამასთან დაკავშირებით წერდა: „ცეხის უხუცესები არჩევენ წვრილმან საკითხებს თავის ხელოსნებს შორის, წყვეტენ მათ შორის სადავო საკითხებს, უმნიშვნელოვანეს საკითხებს მოურავს წარმოუდგენენ, მაგრამ თუ მოურავის ხელისუფლება არ იქნება საკმარისი, მაშინ საქმე თანმიმდევრობით, კანონიერად გადაეცემა სასამართლოს“[143]. დავით ბატონიშვილის მითითება სხვა მასალებითაც დასტურდება. როგორც ავლაბრელ იუველირთა ამქრის წესდებიდან ჩანს, უსტაბაშსა და მის თანაშემწეებს შეეძლოთ გაერჩიათ უფროსის შეურაცხმყოფელი უმცროსის თუ უმცროსის შეურაცხმყოფელი უფროსის საქმეები. ამგვარ შემთხვევაში დასჯის ოთხი საფეხური არსებობდა: პირველად მათი საქმე გაირჩეოდა ამქრის ოთხ არჩეულ პირთა მიერ და დამნაშავე დაჯარიმდებოდა იმდენით, რამდენსაც თვით უსტაბაში გადაუწყვეტდა. თუკი ერთხელ დასჯილი მეორეჯერაც შეინიშნებოდა უფროსების თუ უმცროსების შეურაცხყოფაში, უკვე გაიკიცხებოდა ამქრის რვა წევრისაგან და გადაიხდიდა იმდენსავე ჯარიმას, რამდენიც პირველ შემთხვევაში გადაიხადა. მესამეჯერ სამჯერ მეტად ჯარიმდებოდა და ამქრის 12 წევრთან გაიკიცხებოდა, ხოლო მეოთხეჯერ უკვე ასეთ პირს გადასცემდნენ პოლიციას და გარიცხავდნენ ამქრიდან. როგორც ჩანს, მეოთხე შემთხვევაში ამქარს უკვე აღარ შეეძლო დამნაშავისათვის კუთვნილი სასჯელი მიეცა და ამიტომაც დამნაშავეს სათანადო უფლებით აღჭურვილ ორგანოებს გადასცემდა.

ამგვარადვე იქცეოდა ამქარი, როცა ამქრის ერთი წევრი სხვადასხვა ხერხებით გადაიბირებდა მეორე ოსტატის მუშტარს. დამნაშავე ამგვარ შემთხვევაში პირველად ჯარიმად იხდიდა საქონლის ღირებულების 1/5-ს, მეორეჯერაც ამდენითვე ჯარიმდებოდა, მესამედ საქონლის მთელი ღირებულებით, ხოლო მეოთხედ შენიშვნის შემთხვევაში მისი საქმე გადაეცემოდა პოლიციას და გაირიცხებოდა ამქრიდანაც. ამქრის უსტაბაშის სამართალი სჯიდა აგრეთვე მომხმარებელთა მომტყუებელ ოსტატსაც პირველ სამ შემთხვევაში სხვადასხვა სახის ჯარიმებით, მეოთხეჯერ გაიკიცხებოდა მთელი ამქრის საზოგადოების წინაშე და 40 დღით გაირიცხებოდა ამქრიდან. ამგვარი წევრი მხოლოდ განსაკუთრებული ხელწერილის დადების შემდეგ შეიძლებოდა დაბრუნებოდა თავის ამქარს.

ამქრის უსტაბაში არჩევდა აგრეთვე ტრაპეზის დროს აყალმაყალის ამტეხთა საქმეებს, ამქრის გარდაცვლილი წევრის დამარხვისას არგამოც-

---

[143] Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н: II, § 1003.

ხადებულის, სადღესასწაულო, რელიგიური წმინდა დღეების დამრღვევებ-ბის და სხვ. საქმეებს[144].

ამგვარადვე, ჯარიმებსა და სხვა სახის სასჯელებს ადგენდა მეწვრილმანეთა ამქრის 1799 წ. წესდებაც იმათ მიმართ, „ვინც მალვით საქონელს იყიდდა“ ან გაყიდდა, „ვინც ახალ დუქანს გააღებდა“, „ვინც კვირას გასტეხდა“, „ვინც მკვდარზე დააკლდებოდა“, ვინც ამქარზე გაწერილ საქალაქო ხარჯსა და ბეგარას არ გადაიხდიდა და სხვ[145].

ამქრის შინაეკონომიკურ და მორალურ მხარეებს არ სცილდებოდა აგრეთვე ქუთაისელ მეპურეთა ამქრის უსტაბაშთა სამართლის კომპეტენციაც. ქუთაისის მეპურეთა ამქრის 1871 წ. წესდება სასჯელის სხვადასხვა სახეებს აწესებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც „ამქარში დუქანს მოუმატოს შეცილებით“, „ვინც ერთმანეთს უნებლიეთ მოჯამაგირეს (—მუშას, შ. მ.) მოუმატოს და თავისთვის მეინდომოს გასაყვანათ“, „ვინც შეგირდი ერთი ერთმანეთში შეაცდინოს და გაიყვანოს“, ვინც „დალოცვილს ოსტატს შეაგინოს“, „ვინც ამქარში წინააღმდეგობა გასწიოს“ და სხვ[146].

რაკი ამქრის სამართალი მხოლოდ შინაურ საქმეებს არჩევდა, მის მიერ დადებული სასჯელიც სხვადასხვა სახის ჯარიმებსა და უკიდურეს შემთხვევაში ამქრიდან გარიცხვას არ სცილდებოდა. ჯარიმები და სხვა სასჯელიც ამა თუ იმ ამქარში სხვადასხვაგვარი იყო და სხვადასხვაგვარი წესებით ტარდებოდა, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ[147]. როგორც ვხედავთ, ამქრის უსტაბაშისა და მისი სამართლის ფუნქციები ამქრის შინაგან ცხოვრებას არ სცილდებოდა. ამქრის წევრთა დანაშაული, როცა ამქრის შინაეკონომიკური და მორალური ცხოვრების ფარგლებს გაცდებოდა, სამართალიც ქალაქში მეფის მიერ დანიშნულ მოხელეებს (მელიქ-მამასახლისი, მოურავი, მდივანბეგი) ეკუთვნოდათ; ამქარი ამ შემთხვევაშიც მთლიანად ემორჩილებოდა ქალაქების ფეოდალურ ბიუროკრატიულ მმართველობასა და სამართალს.

---

144 Լուսաբ, მუხ. Գ, Ա, Ց, Ե, Ц,

145 შ. მ ე ს ხ ი ა, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III, 1949, 63 147.

146 იქვე, გვ. 151.

147 იხ. Г. И з м и р о в, Несколько замечании, «Зак. Вестник», 1850, № 51, Ю. А х в е р д о в, Тиф. амкары, об организ., с. 4—5; С. Е г и. азаров, Гор, цехи, с. 318—320. ი. ბ ე რ ი შ ა ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ლიტ. ბოჰემა, გვ. 50 და სხვ., ГМГ, Н 2838, Ros 296.

ამქრის უსტაბაშს თავისი მოვალეობის შესრულებისათვის გასამრჯელო ეძლეოდა. 1799 წ. მეწვრილმანეთა ამქრის წესდებას უსტაბაშის ხელით მიწერილი ჰქონია: „იმ დაკარგულს წიგნში (წესდებაში, შ. მ.) რომ ჩემი საოსტატო (საუსტაბაშო, შ. მ.) რომ თუმანზედ აბაზი იყო დაწერილი, ახლა ორ შაურს დამაჯერეს და მეც ვიყაბულე — უსტაბაში ასლანა"[148]. როგორც ჩანს, მეწვრილმანეთა ამქრის საერთო შემოსავლის ყოველი თუმნიდან უსტაბაშის სასარგებლოდ 1799 წლამდე აბაზი (20 კაპ.) მოდიოდა, 1799 წ. შემდეგ კი 2 შაური (10 კაპ.). დაახლოებით ასევე იქნებოდა განსაზღვრული აგრეთვე სხვა უსტაბაშთა სარგოც. ამას გარდა, უსტაბაში, როგორც XIX ს. აღწერილობითი წყაროებიდან ჩანს, როცა იგი ამქრის წევრთა სადავო საქმეებს წყვეტდა, 1 მან-დან 1—40 კაპ. სარგოს იღებდა[149]. უსტაბაში სარგოს იღებდა მაშინაც, როცა იგი ამქრის წევრთა ამხანაგობის წიგნს დაადასტურებდა[150]. ამგვარ შემთხვევაში უსტაბაშის სარგო საშუალოდ 20—50 კაპ. არ აღემატებოდა[151]. უსტაბაშის ერთგვარი გასამრჯელო იყო ისიც, რასაც ამქრის წევრები მას ყოველ ახალ წელს მისალოცი საჩუქრების სახით მიართმევდნენ[152]; უსტაბაშს სარგო ჰქონდა მოწაფის ოსტატად კურთხევის დროსა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ზოგი ამქრის უსტაბაში არა მარტო ამქრის წევრთაგან, არამედ ზოგჯერ მომხმარებლისგანაც იღებდა ერთგვარ გასამრჯელოს, რომელიც მას საჩუქრის სახით ეძლეოდა და რომელსაც „სახალათე" ეწოდებოდა[153]. ამქრის უსტაბაშები, რომელნიც მეფეთა მიერ ინიშნებოდნენ, ან კიდევ მეფის მოხელეთა კონტროლითა და დამტკიცებით ირჩეოდნენ, ცხადია, ვერ იქნებოდნენ „ამქრის მამა", როგორც ეს ამქართა წესდებაში იყო აღნიშნული. ასევე, „ამქრის მამად" ვერ იქნებოდა ის უსტაბაშიც, რომელიც წლების განმავლობაში განაგებდა ამა თუ იმ ამქრის ბედ-იღბალს. უსტაბაშებს თანდათან უჩნდებოდათ ამქარზე მთლიანად გაბატონების სურვილი. ამქარი მისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ იქცეოდა თვით ამქრული ორგანიზაციის წევრები კარგად გრძნობდნენ ამქ-

[148] შ. მ ე ს ხ ი ა, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III, 1949, გვ. 147.

[149] Г. И з м и р о в, Несколько замеч., «Зак. Вестник», 1950, № 51; И. А х в е р д о в, Тиф. амкары, об организ., с. 17.

[150] Լուսաչ, მუხ. Я.

[151] Г. И з м и р о в, там же; И. А х в е р д о в, там же; Сб. газ. «Кавказ», 1846, с. 264.

[152] Сб. газ. «Кавказ», с. 261; А х в е р д о в, тамже, с. 16—17.

[153] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები, I, გვ. 211, 241, 295—296, 308.

რის უსტაბაშთა ამგვარ მისწრაფებებს და იძულებულნი ხდებოდნენ თავიანთ წესდებებში საამისო გამაფრთხილებელი მუხლებიც შეეტანათ. მაგ., ავლაბრელ იუველირთა წესდებაში საგანგებოდ ნათქვამია: „ოთხ ხელმძღვანელს ასევე უნდა ყვარებოდა საზოგადოების წევრები, როგორც თავიანთი ძმები და შვილები... არ უნდა გაამაყებულიყვნენ, არ უნდა მიეჩნიათ თავი საზოგადოების ბატონ-პატრონად, თავი უნდა ჩაეთვალათ როგორც ძმა, მსახური თავისი საზოგადოებისა, ასევე საზოგადოებასაც არ უნდა ჩაეთვალა ისინი თავადად“[154]. მაგრამ, ისე როგორც ფეოდალური ხანის სხვა იურიდიული, ასევე ამქართა მიერ შემუშავებული ნორმები, ცხადია, მოვლენათა განვითარებას დიდად ვერ აბრკოლებდა.

*

* *

უსტაბაშს გარდა, ამქარს სხვა ხელისუფალნიც ჰყავდა. თუკი უსტაბაში ზოგჯერ ინიშნებოდა, ამქრის სხვა ხელისუფალნი თვით ამქრის წევრთა მიერ ირჩეოდა — ასეთებს ე. წ. „ახსაყალები“ შეადგენდნენ. ეს ტერმინიც უცხოური წარმოშობისაა, თურქულიდან მომდინარეობს და სიტყვასიტყვით „თეთრ წვერს“ („აკ“-თეთრს, „საყალ“, „საკალ“—წვერს), ხოლო შინაარსობრივად ქართულ „უხუცესს“ შეესატყვისება. „ახსაყალი“ ყოველ ამქარში ირჩეოდა; ზოგჯერ ორი, ზოგჯერ სამი, იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ამქრის წევრთა რაოდენობა. მაგ., იუველირთა ამქარი თბილისში (ავლაბარში) სამ ახსაყალს ირჩევდა, რომელნიც უსტაბაშის თანაშემწეებად ითვლებოდნენ[155]. ქუთაისის მეპურეთა ამქარს კი 2 ახსაყალი აურჩევია: „ერთმანეთის ნებით და თანხმობით ...ჩვენ ამევირჩიეთ ... ასაყალოთ ისთევე სიმონა ცუცხაშვილი და პეტრე კაციტაძე“ — ნათქვამია ქუთაისელ მეპურეთა ამქრის წიგნში[156]. 2 თუ 3, ან კიდევ მეტ ახსაყალს ირჩევდნენ, XIX ს. აღწერილობითი წყაროების მიხედვით, თბილისის ამქრებშიც[157]. თუკი ესა თუ ის ამქარი თაბუნებად იყო დაყოფილი, ყოველ თა-

---

[154] Ჰიცმაj, მუხ. A1.

[155] Ჰიცმაj, მუხ. A.

[156] შ. მ ე ს ხ ი ა, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, 1949, ტ. 151.

[157] Сб. газ. »Кавказ», 1846, с. 256—60; ГМГ, Н: 2838, Ros 269, с. 9. «Кавказ», 1850, № 93; А. Г а к с т г а у з е н, Зак. Край, I, с. 106; И. А х в е р д о в, Тиф. амкары, об организ., с. 2.

ბუნს ერთი ან მეტი ახსაყალი ედგა. მაგ., დურგალთა 4 თაბუნს ორ-ორი ახსაყალი ჰყავდა, მარკიტანტების 8 თაბუნს—თითო[158]. „ახსაყალი“ XVII—XVIII სს. ქართულ წყაროებში არცთუ ხშირად იხსენიება, როგორც ამქრის მოხელე. იგი „დასტურლამალში“ არაერთხელ არის დასახელებული, მაგრამ არა როგორც ამქრის, არამედ „ელის კაცთა თაბუნების“ ერთ-ერთი მოხელე[159]. „ახსაყალი“ ანუ „ახსაყალუ კაცები“ მართალია ზოგ დოკუმენტში ხელოსანთა ამქრის მოხელეებადაც იხსენიებიან, მაგრამ იშვიათად. 1711 წ. მელიქის, მამასახლისისა და ქედხუდების სამართლის ერთ-ერთ განჩინებაში „უფროს უფროსი ახსაყლუები“, ან კიდევ „უფროსი ახსაყალო კაცები“ არიან დასახელებულნი. იმავე საბუთს ეს „ახსაყალო კაცები“ ხელს აწერენ მოწმეებად, როგორც ამა თუ იმ ხელობის „უსტა“: „ნალბანდი უსტა ვართანა ... უსტა ვარძელა, უსტა აბაზა, კალატოზი უსტა ათაბეგა“[160]. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში „ახსაყალი“ იქვე მოხსენიებულ „უსტას“ უნდა შეესატყვისებოდეს. „უსტა“ კი, XVII—XVIII სს. დოკუმენტებით, ამქრის ერთ-ერთ მოხელეს ეწოდებოდა. ასე რომ, ტერმინ „ახსაყალს“ ქართულ დოკუმენტებში ხშირად ცვლიდა „უსტა“. ამ ორი, ერთი და იმავე შინაარსის ტერმინის, ერთდროულად ხმარებით აიხსნება ალბათ, რომ XVII—XVIII სს. დოკუმენტებში ტერმინი „ახსაყალუ“, როგორც ამქრის მოხელის აღმნიშვნელი, შედარებით იშვიათად მოიხსენიება. სამაგიეროდ ქართულ დოკუმენტებში უფრო ხშირად გვხვდება ამავე შინაარსისა და მნიშვნელობის „უსტა“. 1663 წ. საბუთში მოწმეთა შორის დასახელებულია უსტა ჰასანა[161], 1679 წ. საბუთში—უსტა ოანა[162], 1683 წ. წყალობის წიგნში მეფის ყმა მესაათე უსტა ხანსა[163] და სხვ. ასევე გრძელდება XVIII ს-შიაც. 1724 წ. საბუთში სხვათა შორის „ჰექიმი უსტა მიკირტუმა“ არის დასახელებული[164], 1782 წ. საბუთში „კალატოზების უსტა დავითა“[165] და სხვ. „უსტა“, როგორც ამქრის ერთ-

---

158 Ю. Ахвердов, Тиф. амкары, об организ., с. 2.

159 დასტურლამალი, გვ. 27, 28, 29, 30, 92.

160 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 19, საბ. 54.

161 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 21, საბ. 2.

162 იქვე, საბ. 9.

163 იქვე, ფ. 226, № 609, შდრ. აგრეთვე, ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, I, გვ. 94, 62.

164 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 19, საბ. 97.

165 იქვე, დავთ. 8, საბ. 16; შდრ. იქვე, დავთ. 34, საბ. 89; ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის, I, გვ. 28; საქ. სიძველენი, III, გვ. 246.

ერთი მოხელის აღმნიშვნელი ტერმინი, XIX ს. დამდეგსაც გვხვდება; 1806 წ. დანახარჯთა ნუსხაში ვკითხულობთ: „ოთხი აბაზი, ერთი ხუროს ხელფასი მივე, სამი მინალთუნი უსტა პაპას მივე ხალათათ ... ხუთი მინალთუნი უსტა გურგენას მივე ხალათათ, ხუთმეტი მინალთუნი უსტაბაშ გოგრას ხალათათ“[166]. ამგვარადვე მეორდება იმავე პირის მიერ შედგენილ 1804 წ. დანახარჯთა ნუსხაშიც[167]. როგორც ჩანს, უსტა მშენებელ ხელოსანთა შორის, უსტაბაშისა და უბრალო ხელოსნისაგან განსხვავებით, მოიხსენიება. მას უსტაბაშის მსგავსად (თუმც შედარებით ნაკლები) „სახალათეც“ ეძლევა, რაც მხოლოდ ამქრის მოხელეებს, უსტაბაშსა და მის თანაშემწეებს მიეცემოდათ და არა უბრალო ხელოსნებს.

აღსანიშნავია, რომ ამქრის ერთ-ერთ მოხელეს მცირე აზიის ასნაფებშიაც „უსტა“ ეწოდებოდა[168].

ამრიგად, გვიანფეოდალური საქართველოს ამქრებში უსტაბაშის თანაშემწეები ახსაყალებად ან კიდევ უსტად იწოდებოდნენ. უსტაბ ანუ ახსაყალი ჰყავდა არა მარტო ხელოსანთა ამქარს, არამედ ვაჭართა და სხვა პროფესიის წარმომადგენელთა ამქარსაც. აღსანიშნავია, რომ XIX ს. დამდეგის ერთ საბუთში სიღნაღის „ბაზაზების ჰასა ყალუ“ არის დასახელებული[169]. როგორც ზემოთ მივუთითეთ, უსტა (ახსაყალი) ჰყოლია ექიმთა ამქარსაც.

ახსაყალებს, ისე როგორც უსტაბაშს, ერთი წლით ირჩევდნენ. მაგრამ ისინიც, უსტაბაშთა მსგავსად, რამდენიმე წელი რჩებოდნენ თავიანთ თანამდებობაზე. ახსაყალები უსტაბაშის თანაშემწეებად ითვლებოდნენ და მასთან ერთად განაგებდნენ ყველა საამქრო საქმეს, ამქრის წევრთა საჩივრებს, დავას და სხვ. უსტაბაშის ავადმყოფობის შემთხვევაში ერთ-ერთი ახსაყალთაგანი ასრულებდა მის მაგივრობას. თუკი რომელიმე თაბუნის ახსაყალი თვით გაარჩევდა თაბუნის წევრთა დავას, იგი სათანადო გასამრჯელოსაც მიიღებდა. უსტები (ახსაყალები) გასამრჯელოს იღებდნენ შაგირდის ოსტატად კურთხევის დროს; მათვე ეძლეოდათ ზოგ შემთხვევაში „სახალათეც“ და სხვ.

გვიანფეოდალური საქართველოს ამქრის ერთ-ერთ მოხელეს ე. წ. „იგითბაშიც“ შეადგენდა. „იგითბაში“ როგორც ამქართა წეს-

---

166 ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, I, გვ. 241.

167 იქვე. გვ. 211.

168 В. Гордлевский, Из жизни цехов в Турции, ЗКВ, II, в. 2, с. 241, прим. 3.

169 მატენადარან, Груз. док., საქაღალდე 255, საბ. 84.

ებების, ასევე XIX ს. აღწერილობითი წყაროების მიხედვით, კი არ ირჩეოდა, არამედ ინიშნებოდა თვით უსტაბაშის მიერ ამქრის წევრებისაგან, მორიგეობით, თითო თვით, თუ უფრო მეტი ხნით. იგითბაშთა მოვალეობის შესახებ იუველირთა ამქრის წესდებაში ნათქვამია: „ამ საპატიო საზოგადოების ოთხივე ხელმძღვანელს უნდა ჰყოლოდა ერთი მუდმივი მსახური მნიშვნელოვან საქმეებზე ყველაგან გასაგზავნად, რომელსაც ძველად ეძახდნენ იგითბაშს; იგი ყოველგვარი გადასახადებისგან თავისუფლდებოდა, იგი შეეძლოთ გამოეცვალათ... თუ მის საქმეებში აღმოჩნდებოდა უზუსტობა, ან ზედმეტი ლოთობა, ან ჩხუბისადმი მიდრეკილება, ან თუ ჰქონდა ბილწი ენა“[170]. იგითბაში ჰყავდა ყოველ ამქარს, როგორც ხელოსნებისას, ასევე ვაჭრებისას. მაგ., 1801 წ. დანახარჯთა ნუსხაში „კალატოზების იგითბაში“, 1803 წ. საბუთში „დაბადების იგითბაში“ არის დასახელებული[171]. ხოლო 1799 წ. მეწვრილმანეთა ამქრის წესდებაში ნათქვამია: „თუ ჰამქრის საქმე რამ იყოს, იგიდბაშმა შეატყობინოს და არ მოვიდეს, ხუთი აბაზი ჰამქრის მასრაფში უნდა მისცეს“[172]. როგორც ჩანს, იგითბაში ჰყოლია ვაჭართა ამქარს და მისი მოვალეობაც, ისევე როგორც სხვა ამქრების იგითბაშებისა, ამა თუ იმ წევრისადმი საამქრო განკარგულებებისა და საქმეების შეტყობინება იყო[173]. იგითბაშს მსგავსი მოვალეობა ეკისრებოდა, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, დუშეთის ამქრულ ორგანიზაციებშიც[174]. როგორც ჩანს, იგითბაში ამქარში საპოლიციო მოხელის იასაულის თანამდებობას ასრულებდა. შემთხვევითი როდია, რომ 1867 წ. რუსეთის ხელისუფალთა მიერ შედგენილ თბილისის ამქართა წესდებაში იგითბაში იასაულად არის წოდებული, რომელიც ძველიდანვე არსებული წესის მიხედვით, თვით უსტაბაშებს უნდა დაენიშნათ[175].

ამქრის იგითბაში, რაკი საამქრო საქმეების შესრულების გა-

---

170 Հուրաբ, მუხ. Г.

171 ნ. ბერძენიშვილი, მასალები, საქ. ეკ. ისტორიისათვის, I, გვ. 178; შდრ. იქვე, გვ. 182; ЦГИАГ, ფ. 229, დათ. 42, საბ. 178.

172 შ. მესხია, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III, 1949, გვ. 147.

173 იხ. აგრეთვე, Ю. Ахвердов, Тиф. амкары, об организ., с. 4; сб. газ. «Кавказ», 1846, гв. 260, 261; ი. გრიშაშვილმა იგითბაში შეცდომით ამქრის მდივნად მიიჩნია, იხ. მისი, ძველი თბილისის ლიტ. ბოჰემა, ლექსიკონი.

174 ს. ბედუკაძე, ეთნოგრაფიული მასალები ხელოსანთა ამქრების შესახებ.

175 Положение о ремесленных амкарах в г. Тифлисе..., 1867, პირველი პარაგრაფი.

მო თავის სამუშაოს წყდებოდა, სხვადასხვა · გამოსაღებებისაგან, თანამდებობის შესრულების პერიოდში, თავისუფლდებოდა. ამას გარდა, მას სათანადო სარგოც ჰქონდა. ი. ახვერდოვის ცნობით, იგითბაშს ამქრის ყოველი დუქნიდან თვიურად 10—10 კაპ. ეძლეოდა. მეყასბეების ამქარი კი იგითბაშს ყოველი დუქნიდან 40 კაპ. აძლევდა; მას გასამრჯელო ჰქონია მოწაფის ოსტატად კურთხევის დროსაც[176].

თითქმის ყოველ ამქარს გვიანფეოდალურ ქალაქებში თავისი საამქრო სალარო და კანცელარია გააჩნდა. სალაროსა და საკანცელარიო საქმეების გამგებლად კი ამქარი თავის წევრთაგან ყველაზე უფრო მცოდნესა და სანდო პირს ირჩევდა, რომელიც „ხაზინადარად“ ან კიდევ „მდივნად“ (писарь, секретарь) იწოდებოდა[177]. ზოგ შემთხვევაში, თუკი ამქარი მცირერიცხოვანი იყო, ცალკე არჩეული ხაზინადარი შეიძლება არ ჰყოლოდა, ან კიდევ ზოგ ამქარში საერთოდ საამქრო სალარო არც კი არსებობდა. მაგ., ნ. დერჟავინის ცნობით, საამქრო სალარო არ ჰქონია გორის დალაქთა ამქარს[178], მაგრამ ასეთი მაინც გამონაკლისი იყო. სალარო გვიანფეოდალური საქართველოს საამქრო წყობისათვის აუცილებელ ატრიბუტს შეადგენდა. როგორც საამქრო წესდებებისა და XIX ს. აღწერილობითი ხასიათის წყაროებიდან ირკვევა, საამქრო სალაროში შედიოდა ამქრის წევრთა შესატანი; ავლაბრის იუველირთა ამქრის წესდებით, ამქრის წევრს, ყოველ ოსტატს თვიურად სალაროში 1 აბაზი უნდა შეეტანა. ის ოსტატი იყო მიჩნეული ყველაზე გულუხვად და საპატიოდ, რომელიც 12 აბაზს ერთად, წლის დასაწყისში გადაიხდიდა. ამქრის სალაროში შედიოდა აგრეთვე ოსტატად კურთხეულის თუ ამქარში ახლად მიღებული წევრის შესატანი, დუქნის ცალკე გახსნისათვის დაწესებული თანხა, ოსტატთა გამოსაღები ახალდაბადებულ ბავშვთათვის, შემოსავალი, მიღებული ამა თუ იმ პირის გასვენებაში ამქრის მონაწილეობის გამო. დამახასიათებელია, რომ 1821 წ. შედგენილ მიცვალებულის დამარხვისათვის გაწეულ ხარჯის ნუსხაში სხვათა შორის ჩანიშნულია: „ქურქჩის ჰამქარს ძფ (სამი მინალთ. და 10 შაური), მექვაბის ჰამქარს 6“ (ექვსი მინალთუნი)[179]. როგორც ჩანს, მკვდრის დამარხვაში მონაწილეობისათვის ქურქჩებისა და მექვაბეების ამქარს მკვდრის პატრონისაგან სათანადო თანხა მიუღია, რაც ცხადია, ამქრის სალაროში შედიოდა; ამქრის სალაროში შედიოდა აგრეთვე ყველა სახის ჯარი-

[176] Ю. Ахвердов, Тиф. амкары, об организ., с. 17.

[177] ГМГ, Н: 2838, Ros, 269, с. 8—9; Ю. Ахвердов, Тиф. амкары, об организ., 2—3; Հումայ, Թբ. Э, Р.

[178] Н. Державин, Следы..., с. 301.

[179] მატენადარან, Груз. док., საქაღალდე 255, საბ. 92.

მაც. ამქრის სალარო ხშირ შემთხვევაში საკმაოდ დიდ თანხას უყრიდა თავს, რომელიც უსტაბაშის და თვით ამქრის განკარგულებით, სხვადასხვა საჭიროებისათვის იხარჯებოდა ან კიდევ გამოიყენებოდა.

ამქრის სალარო უსტაბაშის განკარგულებაში იყო. ამიტომაც უსტაბაში და ახსაყალები, მწერალთან (ხაზინადართან) ერთად, ყოველწლიურ ანგარიშს აბარებდნენ ამქარს სალაროს შემოსავლისა და გასავლის შესახებ[180]. ამქრის სალაროს ხაზინადარს (მწერალს) სათანადო წიგნი გააჩნდა, სადაც აღინიშნებოდა საიდან რა შემოსავალი შემოვიდოდა ან დაიხარჯებოდა. სალაროს წიგნი, თანხასთან ერთად, საგანგებო ყუთში ინახებოდა[181]. ამქრის კანცელარიაში, როგორც ეს იუველირთა წესდებიდან ჩანს, ინახებოდა აგრეთვე თვით ამქრის წესდება, სხვადასხვა წიგნები, დავთრები, ხელშეკრულებები, ამქრის სამართლის განაჩენები, თამასუქები და სხვ[182]. ამქარს თავისი ბეჭედიც უნდა ჰქონოდა. იუველირთა ამქრის წესდებაში ნათქვამია: „ბეჭდის სათაური ასეთი იქნება: „იუველირთა საზოგადოების ბეჭედი". ბეჭედზე იქნება გამოსახული გველი, ხოლო მის თავზე გვირგვინი, რომელიც გამოხატავს აზრს: თავმდაბლობა ყოველგვარ საქმიანობას აგვირგვინებს"[183].

გვიანფეოდალურ საქართველოს სამეფო ხელისუფლება ამქრის შინაურ ცხოვრებაშიც ერეოდა და ზოგ შემთხვევაში ამქრის უსტაბაშს უბრძანებდა ამქრის ზოგიერთი წევრი საამქრო გამოსაღებებისაგანაც კი გაეთავისუფლებინათ. ამის მაგალითი არაერთი იცის XVII—XVIII სს. საქალაქო წესწყობილებამ. გიორგი XII მესანთლეების და მეწვრილმანეების ამქრებს უბრძანებდა: „ამ ჩვენს ყმას ზაზას ასე რომ მოუხსენებია და ვალის პატრონიც არის, ამ ერთს წელიწადს ნურას ხარჯში გარევთ და ნურც არას შეაწუხებთ"[184]... სამეფო განკარგულებებით და დებულებებით ამქრის უსტაბაშს ებრძანებოდა ისეთ ხელოსანთა განთავისუფლებაც საამქრო გამოსაღებისა და ხარჯისაგან, რომელნიც ქალაქის დიდ მოხელეებს ემსახურებოდნენ. „თბილისის მოურავის სარგოში" სხვათა შორის ნათქვამია: „მოურავს რომ მეწვრილმანე უნდა ჰყავდეს, მეწვრილმანეებში ის თარხანი უნდა იყოს"... „რომელიმე ასნაფი

---

180 Հումայ, მუხ. Р.
181 Հումայ, მუხ. П.
182 იქვე, მუხ. У.
183 იქვე, მუხ. П.
184 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 32, საბ. 5.

(—ხელოსანი, ამქრის წევრი, შ. მ.) ემსახურება მოურავს ის იმ ასნაფისაგან (ამქრისაგან, შ. მ.) შეღავათ ნაქნარი და განთავისუფლებული უნდა იყოს. ეს დებულება არის"[185]. როგორც ვხედავთ, სამეფო ხელისუფლებას შესაძლებლობა ჰქონდა არა მარტო დაენიშნა ან კიდევ დაემტკიცებინა ამქრის უსტაბაში, არამედ მას საშინაო საქმეებშიც ჩარეოდა, მისთვის თავისი ინტერესები ეკარნახებინა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც ამქრის „შინაგანი იმუნიტეტი" საგრძნობლად იყო შელახული.

* *

სამეფო ხელისუფლება ამქრის შინაური ცხოვრების სხვა მხარეებშიც ერეოდა, კერძოდ, მეფე და მისი ეოხელეები უმტკიცებდნენ ამქრებს წესდებებსაც (სტატუტებს).

XIX ს. ზეპირ ცნობაზე დაყრდნობით ა. ჰაქსტჰაუზენმა აღნიშნა, რომ თბილისში „ყოველ სახელოსნოს გააჩნია წერილობითი კანონების კრებული, მეფეხსაცმელეთა კრებული შედგენილია მეფე ერეკლე I-ის დროს. შემდეგში იგი თვითნებურად იქნა შეცვლილი"[186]. ს. ეგიაზაროვმაც არსებითად გაიმეორა ჰაქსტჰაუზენის ზემომოტანილი მოსაზრება, ახალი აბ მოსაზრების დამამტკიცებელი საბუთი ქართული ამქრების ჩაწერილ წესდებათა (კანონთა) არსებობის შესახებ მას არ მოუტანია[187]. რაკი ა. ჰაქსტჰაუზენისა და ს. ეგიაზაროვის განცხადებები დაუსაბუთებელი ჩანდა, ეს შენიშვნებიც მივიწყებულ იქნა და სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელდა მცდარი აზრი ქართულ ამქართა ჩაწერილი სტატუსების საერთოდ არარსებობის შესახებ. ამგვარი მცდარი მოსაზრების გავრცელება ხელს უწყობდა ამქრის წვრილბურჟუაზიული იდეალიზატორის ი. ახვერდოვის ყალბი მტკიცებანი იმის შესახებ, რომ ამქრები საქართველოში სამეფო ხელისუფლების ჩარევისა და ყოველგვარი კონტროლის გარეშე, თვითნებურად მოქმედებდნენ[188].

ქართულ ამქართა წესდებების არარსებობისა და ამქრული წყობილების თვითნებური მოქმედების შესახებ გამოთქმულმა არასწორმა მოსაზრებებმა ერთგვარი გავლენა მოახდინა ამქრული ორგანიზაციების თანამედროვე მკვლევარებზედაც. პროფ. ალ. ფირ-

---

[185] საქ. სიძველენი, II, გვ. 528, § 43.

[186] А. Гакстгаузен, Зак. Край, 1857, с. 107.

[187] С. Егиазаров, Городские цехи, с. XXVI.

[188] Ю. Ахвердов, Тиф. амкары, записка, с. 10.

ცხალაიშვილმა 1940 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში კატეგორიულად მიუთითა: „ვინაიდან თბილისის ამქრებს არ გააჩნდათ არავითარი დაწერილი სტატუტები, ამიტომ დასაშვებია მივმართოთ... ოფიციალურ აღწერებსო“[189]. მსგავსი მოსაზრება, ოღონდ უფრო ფრთხილად, გამოთქვა აგრეთვე გ. გამყრელიძემ 1926 წ. [190] ამგვარივე მცდარი მოსაზრება გაიმეორა კ. ა. პაჟიტანოვმაც 1952 წ., იგი წერს: „ამქრობას არ გააჩნდა წერილობითი წესდებები, მაგრამ მათში არსებობდა მყარი, წმინდა დროინდელი ჩვეულები, რომლებიც მიმართული იყო იმავე მიზნისაკენ, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ დასავლეთ ევროპისა და რუსული ცეხები“[191].

ზემომოტანილ მოსაზრებათა ავტორები, როგორც ჩანს, ქართული ამქრული ორგანიზაციების შესწავლისას მხოლოდ ს. ეგიაზაროვის შრომითა და XIX ს. აღწერილობითი წყაროებით დაკმაყოფილებულან. მათ არ უცდიათ გადაესინჯათ საარქივო მასალები. ამას გარდა, ყურადღება არ მიუქცევიათ თვით ზოგ ნაბეჭდ წყაროსათვისაც კი. საოცარია, რომ მათ მხედველობიდან გამოპარვიათ ჯერ კიდევ 1898 წ. სომხურ ჟურნალ „Հումայ“-ში დაბეჭდილი, XIX ს. დამდეგს შედგენილი, თბილისის (ავლაბრის) იუველირთა ამქრის საკმაოდ ვრცელი და ძლიერ საინტერესო წესდება[192]. თბილისელ იუველირთა ამქრის წესდება ს. ეგიაზაროვის კაპიტალური ნაშრომის გამოქვეყნების (1891) შემდეგ დაიბეჭდა და ალბათ ამით აიხსნება, რომ ამ წესდებამ ვერ მიიქცია ს. ეგიაზაროვისა და მის წინამორბედთა ნაშრომებით დაკმაყოფილებულ ზემოხსენებულ ავტორთა ყურადღება. ამას გარდა, 1948 და 1949 წ. ჩვენ მიერ სათანადო კომენტარებით გამოქვეყნებულ იქნა აგრეთვე თბილისის მეწვრილმანეთა ამქრის 1799 წ. შედგენილი წესდება, მესანთლეთა და მეწვრილმანეთა ამქრების მიერ ერთად 1799 წ. შედგენილი პირობის წიგნი და ქუთაისის მეპურეთა ამქრის 1771 წ. შედგენილი წესდება[193]. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, რომ იგი ქართული ამქრების ძველი ტრადიციების მიხედვით, რუ-

---

[189] ალ. ფირცხალაიშვილი, თბილისის ამქრების 1865 წ. გამოსვლის ისტორიისათვის, Труды ТГУ, XI, в. I, 1940, с. 37, შენ. 3 .

[190] გ. გამყრელიძე, ხელოსნობა თბილისში, გვ. 96.

[191] К. А. Пожитнов, Проблема ремесленных цехов в законодательстве русского абсолютизма, 1952, с. 119.

[192] იხ. „Հումայ“, 1898, I, с. 328—333; II, с. 193—209.

[193] შ. მესხია, მასალები, გვ. 034—035; მისივე, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III, 1949, გვ. 146—148, 149, 152; მისივე, პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის შენიშვნების გამო, „მიმომხილველი“, II, 1951, გვ. 492—493.

სეთის ხელისუფალთა მიერ თბილისის ამქრებისათვის 1867 წ. შედგენილი წესდების შემდეგ და მისგან დამოუკიდებლად არის შექმნილი. როგორც ჩანს, წესდებებს ადგენდნენ არა მარტო ხელოსანთა (იუველირები, მესანთლეები, მეპურეები), არამედ ვაჭართა ამქრებიც (მეწვრილმანეები). ამას გარდა, ჩვენ მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა ისიც, რომ ამა თუ იმ ამქრისათვის წესდება იმდენად აუცილებელს წარმოადგენდა, რომ მისი დაკარგვის შემთხვევაში იგი ისევ უნდა განეახლებინათ ან ხელახლა შეედგინათ. მეწვრილმანეთა ამქრის წესდებას სხვათა შორის მიწერილი აქვს: „ამ წიგნის ერთი სხუა იყო ბატონისა და მოხელისაგან დამტკიცებული და ჩვენგან ხელმოწერილი, ისევ ჩვენ ჰამქარში დაიკარგა და ეს ახალი დავწერეთ“[194]. ამრიგად, უეჭველია, რომ ქართულ ამქრებს თავიანთი დაწერილი სტატუტები ჰქონდათ; ის, რომ ჩვენ დღემდე მხოლოდ რამდენიმე ასეთი წესდება მოგვეპოვება, საქალაქო არქივების განადგურებითა და შემორჩენილი საარქივო მასალების ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელობით აიხსნება.

ამქართა დაწერილი სტატუტები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უმთავრესად ამქრის წევრთა ეკონომიკური ინტერესების დაცვას, ეკონომიკურ თანასწორობას, შინაკონკურენციის თავიდან აცდენას, მოწაფეთა წესიერ აღზრდას და სხვ. ქადაგებდნენ. მივიწყებული არ იყო აგრეთვე ამქრის მოხელეთა უფლება-მოვალეობაც. ამას გარდა, განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ამქრის წესდებებს, ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროს, თვით შეფე (ბატონი) და მისი მოხელეები ამტკიცებდნენ. როგორც ვნახეთ, ამის შესახებ გარკვევით იყო მითითებული მეწვრილმანეთა ამქრის წესდებაში. სამეფო ხელისუფლება ამ შემთხვევაშიც, გამოდიოდა რა თავისი კლასობრივი ინტერესებიდან, ინარჩუნებდა უფლებას ამქრის წყობაში ჩარეულიყო და მისთვის თავისი ინტერესებიც ეკარნახებინა. ყოველ შემთხვევაში, იგი ცდილობდა ამქრებისათვის არ მიეცა უფლება დაპირისპირებოდნენ სამეფო ხელისუფლების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს. როგორც მასალებიდან ირკვევა. სამეფო ხელისუფლება ამგვარად მხოლოდ XVIII ს. მიწურულს როდი მოქმედებდა. სარწმუნო ჩანს ა. ჰაქსტჰაუზენისა და ს. ეგიაზაროვის მითითებაც იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ერეკლე I-მა (ქართლში მეფობდა 1688—1703 წწ.) სცადა თბილისელი მეტყავეების ამქრის ჩვეულებებისათვის

[194] შ. მ ე ს ხ ი ა, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III, 1949, გვ. 147.

კანონის, წესდების სახე მიეცა. ამგვარი მითითება მით უფრო სარწმუნო გახდება, თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ერეკლე I საქალაქო ცხოვრების სხვა მხარეებშიც აქტიურად ერეოდა. როგორც ზემოთ ვნახეთ, მის მიერ განსაზღვრულ იქნა აგრეთვე გორის მოურავის უფლება, მოვალეობა და სარგო. ამრიგად, სამეფო ხელისუფლების ჩარევა საამქრო წესდებების შექმნა-დამტკიცებაში ეპიზოდური მოვლენა კი არ იყო, არამედ სავსებით დამახასიათებელი XVII—XVIII სს. საქალაქო ცხოვრებისათვის. თუკი ესა თუ ის წესდება თვით მეფის მიერ არ იყო დამტკიცებული, მეფის ინტერესების დამცველად მის მიერ დანიშნული ქალაქის მოხელეები გამოდიოდნენ, რომელთა მონაწილეობა საამქრო წესდებების დამტკიცებაში აუცილებლად იყო მიჩნეული. მეფის მოხელეთა შორის საამქრო წესდებათა დამამტკიცებელი პირველ რიგში ქალაქის მელიქ-მამასახლისი უნდა ყოფილიყო. როგორც ზემოთ ვნახეთ, მელიქ-მამასახლისის მოვალეობას შეადგენდა საერთოდ ქალაქის მოსახლეობის სავაჭრო გარიგებათა და სხვადასხვა სახის „პირობის წიგნების“ დადასტურება. ამას გარდა, ჩვენ მოგვეპოვება მეწვრილმანეთა და მესანთლეთა ამქრებს შორის დადებული „პირობის წიგნი“, ორივე ამქრის ერთგვარი საერთო წესდება, რომელიც 1799 წ. სწორედ მელიქ-მამასახლისის დარჩო ბებუთაშვილის მიერ არის დადასტურებული[195].

საამქრო წესდებებს, მეფისა და მისი მოხელის გარდა, თავიანთი ხელმოწერით ადასტურებდნენ ამქრის უსტაბაშები და თვით ამქრის წევრებიც. ამგვარადაა დადასტურებული მეწვრილმანეთა, მესანთლეთა და ქუთაისელ მეპურეთა ამქრის წესდებები.

როცა ქართულ ამქართა წესდებების თავისებურებათა შესახებ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ხაზი არ გაუსვათ შემდეგ გარემოებასაც. ქართულ ამქრულ წესდებებში ამქრის მხოლოდ ეკონომიკურ, პროფესიონალურ ინტერესებზეა ლაპარაკი და თითქმის სიტყვა არ არის ნათქვამი ამქრის, როგორც რელიგიური ძმობის, ინტერესების შესახებ. როგორც მეწვრილმანეთა და ქუთაისის მეპურეთა ამქრის შედარებით ძოკლე წესდებები, ასევე თბილისელ იუველირთა ვრცელი წესდება არაფერს ლაპარაკობს ამქრის ფირის, ხელობის წარმოშობის ისტორიის, ღვთისა და წმინდანებისა, სხვადასხვა რელიგიური დოგმატებისა და მსგავსთა შესახებ, მაშინ რო-

---

[195] შ. მ ე ს ხ ი ა, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III, გვ. 149.

ცა რელიგიური მომენტი აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქალაქთა ამქრის წესდებებისათვის გადამწყვეტი იყო.

მუსლიმანურ აღმოსავლეთში, მათ შორის მცირე აზიაშიც, ასნაფები უფრო სასულიერო-რელიგიურ ძმობას ემსგავსებოდა, ვიდრე პროფესიონალურ-ეკონომიკურ ორგანიზაციებს[196]. მ. გავრილოვის გამოკვლევით, ეკონომიკური ხასიათის საკითხები—მონოპოლია ნედლეულის შესყიდვაში, წარმოებაში, გასაღებაში, სისტემატური დახმარება ამქრის ცალკეულ წევრებზე და სხვ. შუა აზიის ამქრებისათვის თითქმის უცხო იყო[197].

შუა აზიაში ოსტატის უპირველეს მოვალეობას შეადგენდა მოწაფისათვის ჯერ სარწმუნოებრივი დოგმატები ესწავლებინა, ხოლო შემდეგ ხელობა[198]. მოწაფის ოსტატად კურთხევის დროსაც გამოცდა ხელობაში კი არ ხდებოდა, არამედ უმთავრესად იმ რელიგიური დოგმატების ცოდნაში, რომელიც კითხვა-პასუხების სახით ამქართა რისალეებში იყო შეტანილი[199]. ამ თვალსაზრისით მუსლიმანური აღმოსავლეთის ხელოსნური ორგანიზაციების აგებულება სავსებით ემსგავსებოდა აღმოსავლური რელიგიურ-მისტიური ორდენების აგებულებას. მართალია, XVII ს. ევლია ჩელების დროისათვის მცირე აზიის ხელოსანთა ორგანიზაციებს რელიგიური ორდენების სახე ნაკლებად ჰქონდათ[200], მაგრამ მათ ამქრულ ორგანიზაციებში რელიგიური მომენტი მაინც გადამწყვეტი იყო.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად შედგენილი იყო ამქართა რისალეები როგორც შუა აზიაში[201], ასევე ირანშიაც: „სპარსულ რისალეებს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ხელოსნური ცეხის წესდება“. ყველა რისალე შედგენილი იყო ერთი და იგივე ტიპის მიხედვით. დასაწყისში მოცემული იყო სავალდებულო ფორმულა—ღმერთის ქება-დიდება. შემდეგ მოკლედ გადმოიცემა ხელობის წარმოშობის ისტორია, ისლამის ძირითადი დოგმები, ძირითადი ისტორიული მოვლენები მუსლიმანურ სამყაროში, ხალიფების, იმამების, მმართველების საქმიანობის ჩვენებით, და ბოლოს ხელოსანთა საქმიანობის ნორმები იყო მოცემული: მოწაფისა და ოსტატის

---

[196] В. Гордлевский, Из жизни цехов в Турции, ЗКВ, II с. 241.

[197] М. Гаврилов, О ремесленных цехах Ср. Азии, ИСАК, III, с 228—229.

[198] იქვე, 226.

[199] იქვე, 237.

[200] В. Гордлевский, Из жизни цехов Турции, ЭКВ, II, в. 2, с. 243—244.

[201] М. Гаврилов, там же, с. 237.

ურთიერთობა, უხუცესი ოსტატების როლი, ხელდასმა.. და სხვ. რისალეების უმეტესობა შედგენილია კითხვებისა და მათზე აუცილებელი პასუხების სახით"[202].

ყველა ზემოაღნიშნული, რაც კი დამახასიათებელი იყო საერთოდ მუსლიმანური აღმოსავლეთის ამქართა რისალეებისათვის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამქრის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების ნორმებს, — სავსებით უცხო იყო ქართულ ამქართა წესდებებისათვის.

ჩვენ მიერ აღნიშნული განსხვავებანი არსებითი მნიშვნელობისაა. ჯერ ერთი, აქედან დასტურდება, რომ ქართული და მუსლიმანური აღმოსავლეთის ამქრული გაერთიანებები განსხვავებული საწყისებიდან მომდინარეობდნენ. ამას გარდა, რაც მთავარია, კარგად ჩანს, რომ მუსლიმანური ამქრული წყობის გავლენა გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ამქრული ორგანიზაციების მხოლოდ გარეგან მხარეს შეეხო (ტერმინოლოგიური ნასესხობა) და არა მისი შინაგანი წყობის არსებით მხარეებს, მის შინაარსს. ამგვარი დასკვნა კიდევ ერთი ძლიერი საბუთია იმ ყალბ მტკიცებათა წინააღმდეგ, რომელთა მიხედვითაც ქართული ამქრული ორგანიზაციები მუსლიმანური აღმოსავლეთის გავლენით შეიქმნა.

* * *

ზემოაღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ამქრები სრულებით არ ატარებდნენ რელიგიურ სამოსელს, რომ მათთვის რელიგიური დოგმატები და დღესასწაულები სავსებით უცხო იყო. ისე როგორც სხვა მსგავს ფეოდალური ხანის გაერთიანებებში, ქართულ ამქრულ ორგანიზაციებშიც გავრცელებული იყო რწმენა, რომ ხელობა, ისე როგორც საერთოდ ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს მოიპოვოს ლუკმაპური, ღვთიური წარმოშობისაა; ამდენად ყოველ ხელობას თავისი დამაარსებელი, თავისი მფარველი წმინდანი ჰყავს, რომელსაც ამა თუ იმ ხელობის ამქარი უნდა იხსენიებდეს, დღესასწაულებს უმართავდეს და სხვ.

რელიგიური რწმენა ედვა საფუძვლად იმ საერთო დღესასწაულებს, რომელსაც ამქრები წელიწადში ერთხელ მართავდნენ და

---

[202] Н. А. Кузнецов, Из истории социально-экономических отношений в Иране в первой трети XIX в. (Рукопись, Хранится в библиотеке Инст. Востоковед. АН СССР), М., 1952, с. 14.

რომელსაც „ჰამქრობას“ უწოდებდნენ[203]. „ჰამქრობას“ მართავდნენ არა მარტო თბილისის, არამედ გორის[204], დუშეთის[205] და სხვა ქალაქთა ამქრებიც. „ჰამქრობა“—საერთო საამქრო დღესასწაული საქართველოს ქალაქებში გაზაფხულზე, აპრილის დამლევსა და მაისში იმართებოდა[206]. საერთო საამქრო დღესასწაულები ჩვეულებრივ ე. წ. „საღვთოთი“ (samgvto) ანუ „საღვთო სადილით“ მთავრდებოდა[207]. ღვთისა და წმინდანთა პატივსაცემად სადილების გასამართავად, მსხვერპლის შესაწირად წლის განმავლობაში სათანადო თანხას აგროვებდნენ, რომელსაც „საღვთო ფული“, ან კიდევ „სუფრის ფული“ ეწოდებოდა. იუველირთა ამქრის წესდებაში სხვათა შორის ნათქვამია: „წინაპართა ტრადიციები ურღვევი უნდა დარჩეს, ე. ი. მსხვერპლის შეწირვა... მაგრამ არ უნდა იყოს, როგორც წინათ იყო, ცხვრისა და ღვინოს (მიტანა), ფული უნდა ჩაიწეროს საზოგადოების სამახსოვრო წიგნში“[208]. საამქრო დღესასწაულებს გარდა, ხელოსანთა თუ ვაჭართა ამქრები იცავდნენ სხვა საერთო რელიგიურ დღესასწაულებსაც. თბილისისა და სხვა ქალაქების ყოველი ამქარი წმინდად იცავდა კვირა დღეს. მეწვრილმანეთა ამქრის წესდებაში საგანგებოდ ნათქვამია: „ვინც კვირა გასტეხოს, ხუთი აბაზი ჰამქრის მასრაფში მისცეს“[209]. ამგვარადვეა აღნიშნული მეწვრილმანეთა და მესანთლეთა ამქრის საერთო წესდებაშიც: „ვინც კვირას გაჰყიდოს რამე თორმეტი მინალთუნი ჰამქარს უნდა მისცეს“[210]. ამქარი წმინდად იცავდა აგრეთვე რელიგიური დღესასწაულების სხვა დღეებსაც. იუველირთა ამქრის წესდებაში ნათქვამია: „გარდა ჩვეულებრივი კვირა დღეებისა, რომელიც წმინდად უნდა შეინახოს ყოველმა ქრისტიანმა წმინდა კანონების მიხედვით, აუცილებელია წმინდად გვქონდეს ის დღეები ღმერთისა და წმინდანებისა, რომლებიც დადგენილია ჩვენი წმინდა პატრიარქების მიერ. ასევე საჭიროა წმინდად იყოს წმინდანთა დღე, აგრეთვე დღესასწაულებიც... რაც დადგენილია მთავრობის მიერ.

---

[203] ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, გვ. 35.

[204] Н. Державин, следы..., с. 287.

[205] ს. ბედუკაძე, ეთნოგრაფიული მასალები ხელოსანთა ამქრების შესახებ.

[206] იხ. ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, გვ. 35.

[207] Н. Державин, Следы..., с. 285.

[208] Հումայ, მუხ. A_1.

[209] შ. მესხია, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III, 1949, გვ. 147.

[210] იქვე, გვ. 149.

ურჩნი დაჯარიმდებიან მათი მატერიალური მდგომარეობის მიხედვით სალაროს სასარგებლოდ“[211].

ქართული ამქრული წყობისათვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე პატრონატი და მისი კულტი, ხელობათა ფირები, მათი მოსახსენებელი „საღვთო სადილები“ და სხვ. როგორც აღწერილობითი ხასიათის წყაროებიდან ჩანს, მეპურეთა ამქრის ფირი თბილისში ქრისტე იყო, თიხის ჭურჭლის მკეთებელთა თვით ღმერთი, ბეღვინეთა ნოე, მეაბრეშუმეთა, მეზეზეთა და მესანთლეთა იობი, მკერვალთა ადამი და ევა[212]. ნ. დერჟავინის მიხედვით, გორელი მჭედლების ფირი „ოფელთ-ფოფელი“ ყოფილა, რომელიც ჩვენი აზრით, დამახინჯებული „ობელ-თობელია“; ეს უკანასკნელი კი ფირი იყო აგრეთვე ახალციხელ მჭედელთა და მექვაბეთა (სპილენძის ჭურჭლის მკეთებელთა)[213]. გორელი დალაქებისა და თბილელი ყასბების ფირი აბრაამი ყოფილა[214]. კალატოზების ფირი იყო იოსები[215], ხუროების ნოე, ხარაზებისა და მეჩუსტეებისა ილია[216], რომელიც აგრეთვე ახალციხის, ყარსის და ერზერუმის მეტყავეთა და მეფეხსაცმელეთა ფირად იყო მიჩნეული[217]. ფირები ჰყავდათ სხვა ხელობის წარმომადგენელთა ამქრებსაც[218], მაგრამ ამათზე ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ, აგრეთვე საჭიროდ არ მივიჩნევთ შევჩერდეთ იმ საინტერესო ლეგენდებზედაც, რომელიც ყოველ ამქარს დაცული აქვს ამა თუ იმ ფირის შესახებ.

მართალია, ქართული ამქრის წესდებებში ლეგენდები ფირების შესახებ, ან კიდევ რელიგიური დოგმატები არ იყო შეტანილი, მაგრამ მაინც ოსტატი მოწაფის კურთხევის დროს საჭიროდ მიიჩნევდა პირველ რიგში მოეხსენებინა ხელობის მფარველი და მისთვის მიემართა. მაგ., მჭედლების უსტაბაში გორში, მოწაფის კურთხევის დროს, თავის სიტყვას ასე იწყებდა: „ხელობის მფარველო ოფელთ-ფოფელო“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, თითქმის ყველა ფირი ბიბლიური პიროვ-

---

[211] Հումայ, მუხ. Ц.

[212] С. Егиазаров, Городские цехи, с. 10, 204.

[213] Н. Державин, Следы..., с. 286; ср. С. Егиазаров, Гор. цехи, с. 204.

[214] Н. Державин, Следы..., с 297; ი. გრიშაშვილი, საიათ ნოვა, გვ. 35.

[215] С. Егиазаров, Городские цехи, с. 296.

[216] იქვე, გვ. 294; შდრ. ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, გვ. 35.

[217] С. Егиазаров, Городские цехи, с. 204.

[218] იხ. იქვე. გვ. 204, 289, 290; Н. Державин, Следы..., с. 293 და სხვ.

ნებებია, რომლებთანაც ისეთი ლეგენდებია დაკავშირებული, რომელიც ამა თუ იმ ამქრის წარმომადგენლებს შესაძლებლობას აძლევდა ისინი თავიანთი ხელობის წინაპრებად მიეჩნიათ (თიხა ღმერთთან, პური ქრისტესთან, ტანსაცმელი ადამ და ევასთან, დანა აბრაამთან და სხვ.).

ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ქართული ამქრებისათვის დამახასიათებელ ფირთა შორის გამონაკლისი — „ოფელთ-ფოფელი“ ანუ „ობელ-თობელი“, რომელიც გორელ და ახალციხელ მჭედელთა და მექვაბეთა ფირი ყოფილა. ეჭვგარეშეა, რომ „ოფელთ-ფოთელი“ ანუ „ობელ-თობელი“ სხვა არა არის, რა, თუ არა „ბიბლიაში“ დასახელებული თუბალი, რომელიც, „ბიბლიისავე“ სიტყვით, „იყო კვერით ხუროჲ, მჭედელი რვალისა და რკინისაჲ“[219]. „ბიბლიაში“ დასახელებული თუბალთა, თაბალთა ტომი კი, რომელიც ასე დახელოვნებული ყოფილა რკინისა და სპილენძის დამუშავებაში, როგორც ქართულს, ასევე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში, ქართველ ტომთა, იბერთა წინაპრად არის მიჩნეული[220]. ასე რომ, ქართველ მჭედელთა და მექვაბეთა (სპილენძის ჭურჭლის მკეთებლებს) ამქრებს თავიანთი ხელობის მფარველად ქართველ ტომთა წინაპრები, უძველეს დროში რკინისა და სპილენძის დამუშავებაში დახელოვნებული თუბალები მიუჩნევიათ, რაც, ცხადია, შემთხვევითი არ უნდა იყოს და იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ თვით ქართველ მჭედლებში ძველიდანვე არსებობდა გადმოცემა ქართველ ტომთა განსაკუთრებული დამსახურების შესახებ ლითონის დამუშავებაში, მეტალურგიაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამა თუ იმ ამქრის ფირის პატივსაცემად, მის მოსახსენებლად, ამქარი ყოველწლიურად „საღვთოს“ მართავდა, რომელიც მუსლიმანურ აღმოსავლეთში გავრცელებულ ე. წ. „არვახი-ფირს“[221] შეესატყვისებოდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „საღვთო“, რომელიც ხელობის დამაარსებლისა და მფარველისადმი იყო მიძღვნილი, საქართველოში უცხოური გავლენით როდი არის შექმნილი; მას საფუძველი თვით ქართულ სინამდვილეში

---

[219] მოსე, I, 4, 20-22.

[220] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I₃, გვ. 18—19; ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენ-იბერი, Изв. ЯИМК-а..., I, с. 239 и др.

[221] В. Гордлевский, Государство сельджукидов..., с. 102; ср. М. Гаврилов, О ремесленных цехах Ср. Азии, ИСАК, III, с. 227 и прим. 17.

ჰქონდა. ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აფხაზებსა და მეგრელებში ძველიდანვე გავრცელებული ჩვეულება — მჭედლების მიერ თავის მფარველ „შაშვაი"-სათვის ყოველწლიურად მსხვერპლის შეწირვა, ჩვენი აზრით, ამქართა „საღვთოს" წინამორბედი იყო. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ სოფლელ მჭედელთა ეს ყოველწლიური დღესასწაული აფხაზებში „ხეჩხვაპას", ხოლო მეგრელებში „ხეხუნჯობის" სახელს ატარებდა. ისევ როგორც „ხეჩ-ხვამა" (სიტყვასიტყვით — „ხელის დალოცვა"), ასევე „ხე-ხუნჯობა" (სიტყვასიტყვით — „ხელისა და მხარის" დალოცვა, როგორც ჩანს, ფაქტობრივად მიძღვნილი იყო თვით „ხელისადმი", როგორც ხელობის, ხელოსნობის სიმბოლოსადმი[222]. არსებითად ამგვარსავე შინაარსს ატარებდა „საღვთო" ქართულ ამქრებში, რომელიც გარეგნულად რელიგიურ სამოსელში იყო გახვეული. ამქართა უმეტესობას, როგორც აღწერილობითი წყაროებიდან ჩანს, საკუთარი დროშები ჰქონდა, სადაც ფირები და ემბლემები იყო გამოხატული. ჩვენ არ მოგვეპოვება პირდაპირი მითითება, ჰქონდათ თუ არა ამქრებს თავიანთი დროშები ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროს, მაგრამ XIX ს. პირველი ნახევრის ცნობები[223], რომ თბილისის ამქრებისათვის დამახასიათებელი იყო საამქრო დროშებიც, თავისთავად მიგვითითებს იმაზე, რომ ასეთი ჩვეულება არ შეიძლებოდა ამქრებს ამაზე გაცილებით ადრეც არ ჰქონოდათ. ამას გვაფიქრებინებს აგრეთვე ისიც, რომ აღმოსავლეთში საამქრო დროშები უკვე XIV საუკუნიდან მაინც იყო შემოღებული[224].

როგორც ვხედავთ, ქართული ამქრებისათვისაც დამახასიათებელი იყო როგორც საერთო საამქრო და სხვა სახის რელიგიური დღესასწაულები, „საღვთო სადილები", პატრონატი — ამქართა ფირები და სხვ. მაგრამ ამ რელიგიურ სამოსელში, რომელსაც ქართული ამქრებიც ატარებდნენ, ძირითადს ყოველთვის გვიანფეოდალური ქალაქების ხელოსანთა და ვაჭართა პროფესიონალ-ეკონომიკური ინტერესები წარმოადგენდა, ცხადია, ამქართა ეკონომი-

---

222 იხ. ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა, აფხაზები, „მოამბე", 1899, IV, განყ. VII, გვ. 2, 9—10 და სხვ.; შდრ. И. К о б а л и я, Из мифической Колхиды, СМОМПК, XXXII, отд. III, с. 93, 111.

223 Г. И з м и р о в, Несколько замечаний, «Зак. Вестник», 1850, № 51; შდრ. აგრეთვე, ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ლიტ. ბოჰემა, გვ. 42; მისივე, საიათნოვა, გვ. 35; Н. Д е р ж а в и н, Следы,.., с. 283—297.

224 В. Г о р д л е в с к и й, Из жизни цехов Турции, ЗКВ, II, с. 243.

კური ინტერესები განსაზღვრავდა მის ზნეობრივ-რელიგიურ მხარეებსაც.

3. შეგირდისა და ჭარგლობის ინსტიტუტის საკითხისათვის ამქრებში

ამქარი იყო არა მარტო პროფესიონალურ-ეკონომიკური გაერთიანება, არამედ ცოდნის, შეძენილი ხელობის გადაცემის ორგანიზაციაც. ამიტომაც ამქარი, ფართო გაგებით, აერთებდა არამარტო ოსტატებს, არამედ ხელსნობის და საერთოდ ამა თუ იმ პროფესიის შემსწავლელებს, შეგირდებს და ხელოსანთა დამხმარე პერსონალსაც. შეგირდობის ინსტიტუტის არსებობა ამა თუ იმ ამქარში თვით ამქრული ორგანიზაციების ბუნებიდან, მისი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ბრძოლა სხვა ქალაქების ხელოსანთა მოსალოდნელი კონკურენციის წინააღმდეგ და ადგილობრივი ბაზრის სრული დაუფლებისათვის ხელოსანთა ამქრულ ორგანიზაციებს აიძულებდა არა მარტო წარმოების ტექნიკის რეგლამენტაციისათვის ებრძოლა, არამედ აგრეთვე ხელობის წესიერი გადაცემისათვის და მოწაფეობის ინსტიტუტის პუნქტუალური რეგლამენტაციისათვისაც. ამიტომაც, იქ, სადაც ხელსნობა არსებობდა, როგორც მეურნეობის გარკვეული ფორმა, ყველგან არსებობდა აგრეთვე შეგირდობაც. შეგირდობის ინსტიტუტი სრულყოფილ სახეს ამქრულ ორგანიზაციებში იღებდა. ასე რომ, შეგირდობის ინსტიტუტი ისევე დამახასიათებელი იყო ამქრული წყობისათვის, როგორც თვით ამქრობა გვიანფეოდალური ხანის საქალაქო ცხოვრებისათვის.

გვიანფეოდალურ ხანაში „მოწაფის“ აღსანიშნავად აგრეთვე უცხოური (ირანული) ტერმინი „შაგირდი“ დამკვიდრდა. „შაგირდი“, საბა ორბელიანის განმარტებით, საერთოდ მოწაფეს, ფილოსოფიის, ექიმობის, ჯამბაზობის თუ ხელობა-ხელსნობის შემსწავლელს ეწოდებოდა[225]. „შაგირდი“ ამგვარი მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე „დასტურლამალშიც“[226]. ქართულ გვიანფეოდალურ საბუთებში „შაგირდი“ არაერთხელ გვხვდება ხელობის, ხელსნობის შემსწავლელი მოწაფის აღსანიშნავად: 1775 წ. ერთ დოკუმენტში ნათ-

---

[225] იხ. მისი სიტყვის კონა (სიტყვა-ყრმააკი), „სიბრძნე-სიცრუისა“, გვ. 119, 117, 83—84.

[226] დასტურლამალი, გვ. 66.

ქვამია: „შვილები შაგირდად ხელობაში მიმიციაო“[227]. 1777 წ. საბუთში კიდევ ვკითხულობთ: „რვა წელიწადი ფეიქრისათვის შაგირდად მიმიბარებიაო“[228]. მსგავსი საბუთების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, სადაც ამა თუ იმ ხელობის შეგირდები არიან მოხსენებულნი[229]. როგორც ჩანს, შეგირდი ჰყავდა ხელოსანთა ყოველ ამქარს.

ამა თუ იმ პირის შეგირდად მიღებისათვის ქართულ ამქრებში მნიშვნელობა არ ჰქონდა არც მის წოდებრივ წარმოშობილობას თუ მდგომარეობას და არც ნაციონალურ კუთვნილებას. იუველირთა ამქრის წესდებაში ამგვარი შეზღუდვების შესახებ სრულებით არ არის ლაპარაკი, პირიქით, საგანგებოდ მითითებულია, რომ ამქრის ქრისტიანი შეგირდის კურთხევისათვის შემუშავებული წესი ამქარს სათანადოდ უნდა შეესწორებინა „თურქი მოწაფის ხელდასასმელად“[230]. როგორც ჩანს, ქრისტიან იუველირთა ამქარში ჩვეულებრივ იყვნენ თურქი (მაჰმადიანი) შეგირდები.

XVIII ს. დოკუმენტები გვიდასტურებენ, რომ ამა თუ იმ ხელობის შემსწავლელებად, შეგირდებად თბილისში ყმა გლეხთა შვილები და თვით ყმებიც მიიღებოდნენ. 1775 წ. საბუთიდან ირკვევა, რომ ფარემუზ გარაყანიძის ყმას ბერუკას თავისი შვილები თბილისში „შეგირდათ ხელობაში“ ჰყოლია მიბარებული[231]. 1777 წ. საბუთით, მზეჭაბუკ ორბელიანს თავისი ყმა, „აფაქია ბიჭი“ ფეიქრისათვის შეგირდად მიუბარებია[232]. XIX ს. დამდეგის საბუთებში პატრიარქის ყმათა შორის მოხსენებულია „აბრეშუმას მოწაფე“. იმავე საბუთში მოქალაქე ისაია თაყუაშვილის ყმათა შორის „დალაქის მოწაფეც“ არის დასახელებული.

ქართულ ამქრებში მისაღებ შეგირდთა რაოდენობა საერთოდ განსაზღვრული არ უნდა ყოფილიყო. ყოველ ოსტატს, ხელობით სრულს, XIX ს. პირველი ნახევრის აღწერილობითი მასალების მიხედვით, შეეძლო იმდენი შეგირდი აეყვანა, რამდენიც მას სურდა, მაგრამ ყველაფერი ეს უსტაბაშთან შეთანხმებით და შეგირდთან გარკვეული პირობის წიგნის დადებით უნდა მომხდარიყო[234].

---

[227] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 23, საბ. 221.
[228] იქვე, დავთ. 18, საბ. 45.
[229] იქვე, დავთ. 19, საბ. 73, 97; დავთ. 42, საბ. 178.
[230] Լուսայ, მუხ. Л.
[231] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 13, საბ. 221.
[232] იქვე, დავთ. 18, საბ. 45.
[233] ЦГИАГ, ფ. 16, д. 497, л. 55, 77.
[234] Г. Измиров, Несколько замечаний. «Зак. Вестник», 1850, № 51.

იუველირთა ამქრის წესდებაში გარკვევით იყო ნათქვამი: „როცა მოწაფეს სურს იუველირთან მოეწყოს, ეს უნდა მოხდეს ოთხი მთავარი მმართველის ნებითა და მეთვალყურეობით, მათი ქაღალდის გარეშე არ მიიღება. მოწაფის პირობა უნდა დაწეროს იუველირის მდივანმა და სხვა არავინ და თვითონ მდივანმა უნდა მოაწეროს ხელი მოწმობას"[235]. ოსტატსა და შეგირდს შორის დადებული ხელშეკრულება წერილობით ფორმდებოდა ხელოსანთა ზოგ სხვა ამქარშიც, ზოგან კი მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმებით კმაყოფილდებოდნენ[236].

XIX ს. აღწერილობითი ხასიათის წყაროების ცნობები იმის შესახებ, რომ ოსტატს რამდენიმე შეგირდი შეეძლო აეყვანა, დასტურდება გვიანფეოდალური ხანის სხვა დოკუმენტებითაც. დანახარჯთა ნუსხებში ხშირად მოიხსენიება მშენებელი ოსტატი სამუშაოზე 1 შეგირდით, 2—3 შეგირდით, ზოგჯერ კიდევ 4 შეგირდით. „მარიამობის გ (3 აგვისტო) პარასკევ დღესა კალატოზი [მუშაობდა] თავიანთ შაგირდებითა (4)"—ჩანიშნულია 1806 წ. დანახარჯთა ნუსხაში[237].

მასალებიდან ირკვევა, რომ ამა თუ იმ ხელობაში შეგირდის მიღებისას ყოველთვის მხედველობაში მიიღებოდა მისი ასაკი. საშეგირდო ასაკი ხელობის დარგის მიხედვით განისაზღვრებოდა. მაგ., მჭედლები, მეტყავეები და სხვ. მსგავსნი 13 წლისაზე ნაკლებ ყმაწვილს არ მიიღებდნენ, რაკი მათი ხელობა მძიმე ფიზიკურ შრომას მოითხოვდა. სხვა ხელოსანთა ამქრები კი, რომელთა საქმიანობა შედარებით მსუბუქ ფიზიკურ შრომას მოითხოვდა, მაგ., მკერვალნი, ფეიქარნი და სხვ., 9—10 წლის, ზოგჯერ კიდევ 8 წლის ყმაწვილებსაც იღებდნენ[238]. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული მზეჭაბუკ ორბელიანის ყმა „ავაქა ბიჭი" ფეიქრისათვის შეგირდად 8 წლის ასაკისა მიუბარებიათ. ზოგი ამქრის წესდებაში, მაგ., ავლაბრელ იუველირთა წესდებაში, არაფერი იყო ნათქვამი საშეგირდო ასაკის შესახებ. როგორც ჩანს, საშეგირდო ასაკი უფრო ტრადიციის მიხედვით იყო განსაზღვრული, ვიდრე ამქრის წესდებებით.

სხვადასხვაგვარად იყო განსაზღვრული სწავლების ვადა სხვადასხვა ამქარში. ზაგურსკის ცნობით, სწავლება ახალციხის ამქრებ-

---

235 Լուսաց, მუხ. E.

236 იხ. «Кавказ», 1850, № 93.

237 ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, I, გვ. 245.

238 С. Егиазаров, Городские цехи, с. 73—74.

ში, ხელობის მიხედვით, 3-დან 10 წლამდე გრძელდებოდა[239], თბილისის ამქრებში კი, ი. ახვერდოვის ცნობით, საშუალოდ 3—6 წლით[240]. XVIII ს. დოკუმენტების მიხედვით თბილისის ხელოსანთა ზოგ ამქარში, მაგ., ფეიქრებში, სწავლების ვადა 8 წლით იყო განსაზღვრული[241]. სწავლების ვადა სხვადასხვაგვარი იყო, ნ. დერჟავინის ცნობით, გორის ამქრებშიც—მეჩუსტეებსა, დალაქებსა და ჭონებში 3—3 წლით განისაზღვრებოდა, მექვაბეების ამქარში 4 წლით, ხოლო მჭედლების ამქარში 5 წლით[242]. ზოგი ამქრის წესდებაში შეგირდის სწავლების ვადა საერთოდ არაა აღნიშნული, მაგ., იუველირების ამქრის წესდებაში, მაგრამ იგი სასტიკად კრძალავდა მოწაფის გამოშვებას მანამ, სანამ იგი სრულყოფილად არ შეითვისებდა ხელობას. ეს ამქრის ერთ უმთავრეს ამოცანად იყო მიჩნეული: „როგორც ოთხ გამგებელს შორის, ასევე საზოგადოების წევრებს შორისაც მთავარი ის იყო, რომ ვიდრე მოწაფე კარგად არ ითვისებდა ხელობას, არ უნდა მისცემოდა უფლება ბრძანებისა და ტრაპეზისა“[243].

ამქრის წესდების მიხედვით, სასტიკად აკრძალული იყო მოწაფის გადაბირება მეორე ოსტატის მიერ და თავისთან გადაყვანა. ქუთაისის მეპურეთა ამქრის წესდებაში ნათქვამია: „შაგირდი ერთი ერთმანეთში ვინც შეაცდინოს და გაიყვანოს, მას ეკუთვნება შტრაფი ერთი თუმანი“[244]. თბილისელ იუველირთა ამქრის წესდება კრძალავდა როგორც გადაბირებას, ასევე შეგირდის თვითნებურად გადასვლას ერთი ოსტატიდან მეორესთან. მაგრამ თუ მოწაფეს ექნებოდა რაიმე სამართლიანი საფუძველი გადასულიყო მეორე ოსტატთან, სათანადო მიზეზები უნდა მოეხსენებინა უსტაბაშისა და მისი თანაშემწეებისათვის და მხოლოდ მათი დასტურით შეეძლო გადასულიყო სხვა ოსტატთან[245].

ამქრის წესდებები მოითხოვდა ოსტატისაგან მოწაფისათვის გადაეცა ყოველგვარი შესაძლებელი ცოდნა. ოსტატის მოვალეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის იუველირთა ამქრის წესდება: „ყოველი ოსტატი ვალდებულია შეასწავლოს მოწაფეს ჯერ

---

[239] Л. П. Загурский, Поездка в Ахалц. уезд, ЗКОИРГО, кн. VIII, 1873, с. 25.

[240] Ю. Ахвердов, Тиф. амкары, об организации, с. 21.

[241] ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 18, საბ. 45.

[242] Н. Державин, Следы..., გვ. 285, 289, 290, 294, 300.

[243] Լուսաւ, მუხ. 3, И.

[244] შ. მესხია, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III, გვ. 151.

[245] Լուսաւ, მუხ. 3, И.

ფერების, ზომებისა და ფორმების საქმე. ყოველი ოსტატი იმისდა მიხედვით ერის თუ არა იგი მოწაფის უფროსი, ვალდებულია იყოს მისთვის სანიმუშო. უმაღლესი ოთხი პირი ვალდებულია ამას მეთვალყურეობა გაუწიონ და შეამოწმონ ოსტატი, მოწაფე და თუ დაინახავენ, რომ ოსტატი საქმეს ინერტულად ეკიდება, უნდა უსაყვედურონ და გააფრთხილონ. თუ ოსტატი მათ ყურს არ დაუგდებს და მოწაფეს უყურადღებოდ დატოვებს, მაშინ ვალდებულნი არიან ეს მოწაფე სხვა ოსტატს ჩააბარონ"[246]. ამგვარივე დამოკიდებულება უნდა გამოეჩინა მოწაფეთა მიმართ, როგორც სხვა ამქართა ოსტატებს, ასევე უსტაბაშებსა და მათ თანაშემწეებს. ამქართა ამ მისწრაფებებს მხარს უჭერდა გვიანფეოდალური საბართალიც. დავით ბატონიშვილი წერდა: „ხელოსნები ვალდებულები არიან ასწავლონ მხატვრობა და უჩვენონ თავიანთი ხელოვნება დაუფარავად. უხუცესები მეთვალყურეობენ, რომ ცეხის ხელოსნები თავიანთ მოწაფეებს ზომიერად მოქცეოდნენ. უხუცესი სუსტი მეთვალყურეობისათვის ფულად ჯარიმას იხდის"[247].

ამქრის ამგვარი დამოკიდებულება მოწაფისა და მისი წესიერი სწავლებისადმი იმდენად მოწაფის ინტერესების დაცვით კი არ იყო ნაკარნახევი, რამდენადაც თვით ამქრის ეკონომიკური ინტერესებით. ნაწილობრივ ამითვე უნდა აიხსნას ის ვარემოებაც, რომ შეგირდის სწავლება ამქრებში, გვიანფეოდალურ ხანაში, უხელფასო იყო. „სომხური სამართლის" ქართული ვერსია, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. შესავალი), გვიანფეოდალური ხანის საქალაქო ცხოვრებაში გამოყენებული იყო, აკანონებდა: „არ მართებს ფასით განსწავლება ყმაწვილთა კანონის ბრძანებითა"; პირიქით, სამართლის სიტყვით, თუ ოსტატი შეძლებული იყო, შეგირდისათვის ტანსაცმელი, სასმელი და საჭმელიც უნდა მიეცა, მაგრამ, „თუ ოსტატს შეძლება არ ქონდეს, ყმაწვილთა მამამ უნდა უნაღვლოს შვილთა თვისთა ტანთა, ფეხთა, სმა და ჭამა, და ოსტატს, რაც შეძლება ჰქონდეს ძღვენი უნდა მიართვან და თუ ყმაწვილთა მამანი გლახანი იყუნენ, ნუმცა ძღვენი უნდათ". მაგრამ, როგორც ჩანს, კანონის ნორმების შემშლელნი ფეოდალურ ხანაში ხშირად იყვნენ და სამართალიც იძულებული ყოფილა ნაწილობრივ დათმობაზე წასულიყო და აღენიშნა: „თუ ვინ იცის ამ სამართლის მშლელი იყოს და გავიდეს ამიდამ და დაუწყოს შაგირდს რჯა და თხოვნა საოსტატოსა (გამოსაღები სწავლებისათვის, შ. მ.), რაც მის ხელში ყმაწვილობაში მოიგოს, იმით გაისტუმროს"[248].

---

[246] ققაბაძე, მუხ. M.

[247] Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н: II, §§ 1004, 1005.

[248] სამართალი სომხური, ლ. მელიქსეთ-ბეგის გამოცემა, მუხ. ტოგ. (373) გვ. 134.

მართალია, სწავლების ქირას მოსწავლე კანონით არ იხდიდა, მაგრამ ზოგჯერ ძღვენით, ზოგჯერ კიდევ ოსტატის ხელში ყოფნის დროს გამომუშავებული თანხით იძულებული იყო ასე თუ ისე დაეკმაყოფილებინა თავისი მასწავლებელი.

ქართულ ამქრულ წესდებებში არ არის ძითითებული სწავლების ქირის შესახებ. სწავლების ქირა არ ყოფილა, როგორც აღწერილობითი წყაროებიდან ჩანს, XIX ს. პირველი ნახევრის თბილისის ამქრებშიც[249]. შეგირდის სწავლება „საოსტატო“ (გამოსაღების გარეშე, ზოგ გამონაკლისს გარდა, დადასტურებული აქვს ნ. დერჟავინს გორის ამქრებში[250], ლ. ზაგურსკის ახალციხის ასნაფებში[251] და სხვ.

მაგრამ ყველაფერი ეს აიხსნება არა ამქრული ორგანიზაციების მაღალზნეობრივი პრინციპებით, როგორც ამას ამქრის იდეალიზატორები უჩვენებდნენ, არამედ, ერთი მხრივ, ამქრის ეკონომიკური პოლიტიკითა და, მეორე მხრივ, იმით, რომ ოსტატი, და საერთოდ ამქრული ორგანიზაცია, თვით მოწაფის ექსპლოატაციას ეწეოდა. მოწაფის მიერ გაწეული უფასო შრომა გაცილებით მეტი ღირებულებისა იყო, ვიდრე მოწაფის აღზრდაში თვით ოსტატის მიერ დახარჯული შრომა.

შეგირდი, სწავლების არც ისე მოკლე დროის განმავლობაში, ასრულებდა ოსტატის როგორც საოჯახო-საშინაო, ასევე ტექნიკურ სამუშაოებსაც. როგორც გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტები გვიდასტურებენ, შეგირდი ხშირად მონაწილეობდა ოსტატთან ერთად, შრომის პროცესში, მაგრამ გასამრჯელოს არ იღებდა. მის შრომას მთლიანად ოსტატი ითვისებდა; შეგირდის შრომის ანაზღაურებაც მის გასამრჯელოში ივარაუდებოდა. ეს კარგად ირკვევა 1751 წ. საბუთით, რომლის მიხედვითაც, 1 შეგირდით მომუშავე კალატოზი დღიურად იმდენს იღებდა, რამდენსაც 2 შეგირდით მომუშავე კალატოზი: „ერთი მინალთუნი და ორი შაური — პარასკევს, კალატოზი 2, შაგირდი ერთი; ერთი მინალთუნი და ორი შაური — შაბათს, კალატოზი 2, შაგირდი 1“[252].

გამონაკლისს შემთხვევებში, შეგირდის მიერ გაწეული შრომა ნაწილობრივ მაინც ნაზღაურდებოდა ე. წ. „შაგირდანათი“, რომელსაც ოსტატი ან კიდევ მომხმარებელი, საჩუქრების სახით,

---

[249] Г. Измиров, Несколько замечаний, «Зак. Вестник», 1850, № 51; Ю. Ахвердов, Тиф. амкары, об организ., с. 21.

[250] Н. Державин, Следы..., с. 285, 289.

[251] Л. П. Загурский, Поездка в Ахалцих. уезд, с. 25.

[252] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, I, გვ. 18.

დროდადრო აძლევდა შეგირდს. ი. ახვერდოვის მიხედვით, მოსწავლეზე „შაგირდანას“ მიცემა „ოსტატის ნებასა და პატიოსნობაზე იყო“ დამოკიდებული, აგრეთვე იმაზედაც, იმყოფებოდა თუ არა შეგირდი ოსტატის კმაყოფაზე[253]. თუ შეგირდი ოსტატის კმაყოფაზე იმყოფებოდა, ცხადია, ის „შაგირდანას“ ვერ მიიღებდა და მთელ მის შრომას ოსტატი ითვისებდა. თვით „შაგირდანას“ არსებობის ფაქტი კარგად მიგვითითებს იმაზე, თუ რამდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო მოზარდთა შრომის ექსპლოატაცია ამქარში, რომ ოსტატებს თავიანთი „პატიოსნების“ მიხედვით ეგრძნოთ მისი ნაწილობრივ მაინც ანაზღაურების აუცილებლობა. ოსტატების მიერ მოწაფეთა ექსპლუატაციის შესანიშნავ მაგალითს იძლევა ზოგ ქართულ ამქარში დარჩენილი ჩვეულება. XIX ს. პირველი ნახევრის ერთ-ერთ ანონიმ ავტორს სხვათა შორის მოთხრობილი აქვს, რომ მეფეხსაცმელეებისა და მეჩექმეების ამქარს ოსტატები, ჩვეულების მიხედვით, როგორც კი გაჩნდება ქალაქში მწიფე ატმები, ჩქარობენ, რათა ეს ხილი მოუტანონ თავიანთ მოწაფეებს იმის ნიშნად, რომ უკვე დადგა დრო შეგირდებმა იმუშაონ ღამითაც; ამის საპასუხოდ მოწაფეებიც, როგორც კი გაჩნდება გაზაფხულის პირველი მინდვრის ყვავილები, ჩქარობენ უჩვენონ ისინი თავიანთ ოსტატებს, იმის ნიშნად, რომ ღამეები უკვე მოკლდება და დროა ისინი განთავისუფლდნენ ღამით მუშაობისაგან[254]. ამ ჩვეულებაში, რომელსაც თურმე მეფეხსაცმელეთა და მეჩექმეთა ამქრების ოსტატებიცა და შეგირდებიც წმინდად ინახავდნენ, ჩანს ოსტატისა და მოწაფის ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მომენტები: ერთი მხრივ მოწაფის შრომის ექსპლოატაცია, ოსტატების ცდა შეგირდთა სამუშაო დროის რაც შეიძლება მეტად გახანგრძლივებისათვის, მეორე მხრივ კი, შეგირდების ბრძოლა სამუშაო დროის შემცირებისა და ღამით მუშაობისაგან განთავისუფლებისათვის.

ზოგჯერ შეგირდი დამოუკიდებლადაც მუშაობდა, მშენებელ ოსტატთა მიერ იგზავნებოდა ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად. ამგვარ შემთხვევაში იგი ხელფასს იღებდა, მაგრამ მისი შრომა ოსტატის შრომაზე გაცილებით ნაკლებად ფასობდა. 1802 წ. შედგენილ დანახარჯთა ნუსხაში მშენებლობაზე დამოუკიდებლად მომუშავე შეგირდის დღიური სამუშაო ქირა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „სამი მინალთუნი და ხუთმეტი შაური, 15 დღე,

---

[253] Ю. Ахвердов, Тиф. амкары, об организац., с. 20—21; შდრ. С. Егиазаров, Городские цехи, с. 111—113.

[254] იხ. Уста-баш, Сб. газ. «Кавказ», 1846, с. 266.

ამის (არუთინა დურგლის, შ. მ.) შაგირდმა იმუშავა თავისი პურით; 1 დღეს ხუთი შაური იქნება"; „შვიდი შინალთუნი კ̓ (28) დღე ამისმა (იოსებ დურგლის, შ. მ.) შაგირდმა იმუშავა თავისის პურით. 1 დღეს ხუთი შაური იქნება"[255]. როგორც ჩანს, შეგირდის დღიური შრომა 5 შაურად ფასობდა, მაშინ როცა იმავე საბუთით ოსტატის შრომა 10 შაური ღირდა[256]. 1793 წ. შედგენილ ხარჯთა ნუსხაშიც არის მოხსენებული შეგირდის ხელფასი ცალკე, მხოლოდ აქ „დიდი კალატოზის შაგირდის" სამუშაო ქირაა წარმოდგენილი: „10 შაური, 1 დიდი კალატოზის შაგირდი"; „მარჩილი (60 კაპ.) — 1 დიდი კალატოზის შაგირდი"[257]. როგორც ჩანს, „დიდი კალატოზის შაგირდსაც" დღიურად ზოგჯერ 10 შაური, ზოგჯერ კიდევ აბაზი მიუღია. მაშინ როდესაც იმავე საბუთით კალატოზი ოსტატი დღიურად 4 აბაზს იღებდა[258]. ამ შემთხვევაში, მართალია, შეგირდის შრომა შედარებით უფრო მეტადაა შეფასებული, მაგრამ მისი დღიური სამუშაო ქირა ოსტატის სამუშაო ქირას მაინც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლად მომუშავე შეგირდის ხელფასი ორჯერ აღემატებოდა უბრალო მუშის დღიურ ქირას. იმავე 1793 წ. საბუთით, მუშა დღეში მხოლოდ 1 აბაზსა და 2 ბისტს (24 კაპ.) იღებდა[259]. ჩვენ არ ვიცით, შეგირდს დამოუკიდებლად მუშაობისათვის მიღებული ხელფასი თვით რჩებოდა, თუ იგი მას ოსტატისათვის უნდა ჩაებარებინა. უფრო საფიქრებელია, რომ შეგირდის ხელფასი ამ შემთხვევაშიც მის ოსტატს მიჰქონდა; რაკი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ ამქრებში არსებული წესის მიხედვით, შეგირდს, სანამ იგი სწავლებას არ დაამთავრებდა და ოსტატად არ ეკურთხებოდა, თავისი შრომა მხოლოდ ნაწილობრივ, ე. წ. „შაგირდანათი" უნაზღაურდებოდა, „შაგირდანას" კი ოსტატი, „თავისი პატიოსნების" მიხედვით, სწორედ შეგირდის დამოუკიდებელი შრომით გამომუშავებული თანხიდან აძლევდა, ოსტატი ითვისებდა არა მარტო მასთან ერთად, არამედ ზოგ შემთხვევაში დამოუკიდებლად მომუშავე შეგირდის შრომასაც.

შეგირდის შრომის ექსპლოატაცია ოსტატისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. ამიტომ იგი, წინააღმდეგ ამქრების „ზნეობრივი პრინციპებისა", ყოველთვის დროზე როდი უშვებდა

---

255 ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, I, გვ. 194.

256 იქვე.

257 ГМГ, ფ. Hd: 14716.

258 იქვე.

259 იქვე.

სწავლადამთავრებულ შეგირდს, როდი აძლევდა მას ნებას ოსტატად კურთხევისა და სავსებით დამოუკიდებლად მუშაობისა. ამგვარი ტენდენცია, როგორც ჩანს, შესამჩნევი იყო გვიანფეოდალურ ამქრებში და ამიტომაც, დავით ბატონიშვილის სიტყვით, ამქართა წესდებები და გვიანფეოდალური სამაოთალი საჭიროდ მიიჩნევდა ამ მხრივ განსაკუთრებული კონტროლი გაეწიათ ოსტატებზე: „მოწაფეები ვალდებულნი არიან თავიანთ ხელოსნებთან დარჩნენ მათი ხელობის სრულყოფილად ათვისებამდე, ამასთანავე უხუცესები ვალდებულნი არიან მკაცრად ადევნონ თვალი იმას, რომ ხელოსნებმა ზოგჯერ თავიანთი ერთადერთი საქმისათვის არ გამოიყენონ მოწაფეები, ასეთ შემთხვევაში უხუცესები მოწაფეებს აფრთხილებენ და დამნაშავეს აჯარიმებენ“[260]. ზემომოტანილი ნათლად გვიჩვენებს მოზარდთა შრომის ექსპლუატაციას გვიანფეოდალურ ქართულ ამქრებში. შეგირდთა შრომის ექსპლოატაცია ოსტატთა მიერ ააშკარავებს ამქართა იმ პროკაპიტალისტურ ტენდენციებს, რომელიც მიჩქმალული იყო ამქრული წყობის წვრილბურჟუაზიულ აპოლოგეტთა მიერ.

ამქრის წესდებები მტკიცედ განსაზღვრავდნენ სწავლის ვადადამთავრებული მოწაფის გამოცდისა და ოსტატად კურთხევის წესებს. მოწაფის ოსტატად დალოცვის წესები სხვადასხვა ამქარში სხვადასხვაგვარი უნდა ყოფილიყო. ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ თბილისის იუველირთა ამქრის წესდება მოგვეპოვება, სადაც მოწაფის ოსტატად კურთხევის გარკვეულ წესებზე საკმაოდ ვრცლად არის ლაპარაკი.

იუველირთა ამქარში სწავლის ვადადამთავრებული მოწაფის ხელობაში გამოცდა მისი საატესტატო ნამუშევრის წარდგენით ყოფილა დაკანონებული: „თუ რომელიმე მოწაფე ოთხ მმართველთან დაიმსახურებს ღირსეულ ქებას ხელოსნობაში, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაწვრილებით გამოარკვევენ, რომ ესა თუ ის საქმე მისი გაკეთებულია და არა სხვისი, ამ მოწაფის ოსტატად ხელდასმის შემდეგ საჭიროა კიდევ დაჯილდოვდეს იგი მოწმობით ანდა ატესტატით“[261]. როგორც ჩანს, ნაგავსი ჩვეულება ჰქონდათ, XIX ს. აღწერილობითი წყაროების მიხედვით, თბილისის ზოგ სხვა ამქრებშიც და ახალციხის ასნაფებშიც[262]. მაგრამ საგამოცდო ნამუშევრის წარდგენით

---

[260] Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н: II, § 1008.

[261] Լուսաց, მუხ. О. Л. Загурский, Поездка в Ахалцих. уезд., с. 25—26.

გამოცდის ფორმა ქართულ ამქრებში საერთოდ გაბატონებულ წესს არ წარმოადგენდა. ზოგ ამქარში მოწაფის ზეპირი გამოცდა, ზოგან კიდევ თვით ოსტატის ფიცით ჩვენება მისი შეგირდის ხელობაში სრულყოფისა და წესიერების შესახებ საკმარისი იყო სწავლების ვადადამთავრებული შეგირდის ოსტატად დალოცვისათვის[263]. შეგირდის ცოდნის ზეპირი შემოწმებისა, ოსტატის ჩვენებისა თუ ნამუშევრის წარდგენის შემდეგ ხდებოდა მისი დალოცვა, ხელდასმა. შეგირდის ოსტატად დალოცვის წესის შესახებ XIX ს. პირველ ნახევარში ჩაწერილი და შემდეგდროინდელი ეთნოგრაფიული მასალა ჩვენ არაერთი მოგვეპოვება; ყველა ესენი თავისთავად საინტერესოა და მნიშვნელოვანი, მაგრამ მათზე შეჩერებას ამჟამად საჭიროდ არ მივიჩნევთ[264]. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ შეგირდის დალოცვაში მონაწილეობას იღებდნენ ამქრის თანამდებობის პირები—უსტაბაში, ახსაყალები, იგითბაში, თვით ოსტატი, მთელი ამქარი და სასულიერო პირიც, იმ რელიგიის წარმომადგენელი, რომელსაც დასალოცი მიეკუთვნებოდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ამქრების მართლმადიდებელ მოწაფეთა კურთხევა უშუალოდ კათალიკოსის უფლებაში ივარაუდებოდა. მაგ., თბილისში შეგირდთა კურთხევას კათალიკოსის დეკანოზი აწარმოებდა, მაგრამ ამ გზით მიღებულ შემოსავალში კათალიკოსი წილს უდებდა თბილისის საეპისკოპოსო ეკლესიასაც. 1701 წ. კათალიკოს ევდემოზ დიასამიძის მიერ თბილელ მიტროპოლიტისადმი მიცემულ წიგნში სხვათაშორის ნათქვამია: „ვინც ჩვენმა დეკანოზმა შეგირდი აკურთხოს, შეგირდის თავს თითოს ჩარექს სანთელს სიონოა ღვთისმშობელს მიართმევდნენო“[265].

მოწაფის დალოცვა სრულდებოდა ე. წ. ტრაპეზით, საღვთო საღილით, რომელიც, იუველირთა ამქრის წესდების მიხედვით, ღარიბული არ უნდა ყოფილიყო: „როდესაც მოწაფის ოსტატად ხელდასმა ხდება იმავე დღეს მოწაფე ვალდებულია გამართოს წვეულება. ოსტატის ხელდასმა ანდა წვეულების ღირებულება არ უნდა ყოფილიყო უღირსი ან იაფი, რადგან ეს იქნებოდა დიდი სირცხვილი ამ კეთილშობილი ხელობის ამბოციისთვის, ასევე ხელოსნისთ-

---

[263] იხ. Сб. Газ. «Кавказ», 1846, с. 260; «Кавказ» 1850, № 93; С. Егиазаров, Городские цехи, с. 38—39.

[264] იხ. ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, გვ. 35; მისივე, ლიტ. ბოჰემა, გვ. 44, 51; Н. Державин, Следы..., с. 286 и др.; Ю. Ахвердов, Тифамкары და სხვ.

[265] თ. ეორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტ. საბუთები, გვ. 215.

ვისაც, რომელიც ითვლება მეფედ სხვა ხელობათა შორის"[166]. „ტრაპეზი" დამახასიათებელი იყო ყველა სხვა ამქრისათვისაც[167]. ამას გარდა, უკვე დალოცვილი მოწაფე ვალდებული იყო ამქრის სალაროში შეეტანა ე. წ. დასალოციც. „დასალოცის" რაოდენობა სხვადასხვა ამქარში სხვადასხვაგვარად იყო განსაზღვრული; ამქრის ზოგ წესდებაში ლაპარაკია „დასალოცის" შეტანის აუცილებლობაზე, მაგრამ მისი რაოდენობა არ არის ნაჩვენები. მაგ., იუველირთა წესდებაში ნათქვამია: ატესტატის მიღების გამო ოსტატად კურთხეული „სალაროს მიართმევს ერთ საჩუქარს", მაგრამ, თუ რაში გამოიხატებოდა ეს საჩუქარი, არ ჩანს[268]. იუველირთა ამქარს თავის წესდებაში ატესტატის ფორმაც აქვს შეტანილი: „იუველირთა საბჭოს მხედველობაში ჰქონდა ხელოსნობაში დახელოვნება სარქის ოგანეზოვისა, ამიტომ ხდება თქვენი ხელდასმა ოსტატად და გაძლევს ამ მოწმობას სამუდამოდ თქვენდა საამაყოდ"[269]. ატესტატი ხელმოწერილი უნდა ყოფილიყო ამქრის 4 მოხელის, უსტაბაშისა და ახსაყალების ძიერ და ახალ ოსტატს საზეიმო ვითარებაში გადაეცემოდა.

ოსტატად კურთხეულს შეეძლო დარჩენილიყო იქვე და თავისთვის ცალკე დაზგა დაედგა, ან კიდევ ცალკე გაეხსნა დუქანი. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც ამქრის ახალი წევრი იხდიდა ე. წ. „დუქნის გასაღებს". ეს მტკიცედ დადგენილ წესად ითვლებოდა გვიანფეოდალური ხანის ქართულ ამქრებში. 1799 წ. ხელმეორედ შედგენილ მეწვრილმანეთა ამქრის წესდებაში ნათქვამია: „ვინც ახალი დუქანი გააღოს, ჰამქრის იოლი (ჯარიმა შ. მ.) გასწიოს"[270]. ხოლო ქუთაისელ მეპურეთა ამქრის წესდებაში აღნიშნულია: „ვინც ჩვენს ანქარში (!) ახალი დუქანი გააღოს, მან გარდაიხადოს დუქნის გასაღები თხუთმეტი მანეთი"[271]. „დუქნის გასაღები", ისე როგორც სხვა საამქრო გამოსაღებები და ჯარიმები, ამქრის სალაროში მიდიოდა: „ეს ხსენებული დუქნის გასაღები და სხვა შტრაფებიცა, საამქროთ დაიდვას და დაიხარჯოს" — ნათქვამია ქუთაისელ მეპურეთა ამქრის წესდებაში[272].

---

[266] Lიცარ, მუხ. К, Л.

[267] მოწაფის კურთხევასთან დაკავშირებით მსხვერპლის შეწირვა შეგირდის ძიერ ხელობის მფარველისადმი ეთნოგრაფიული მონაცემებით დადასტურებული აფხაზეთისა და სამეგრელოს სოფლის ხელოსნებს (მჭედლებს) შორისაც (იხ. ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა, „აფხაზები, „მოამბე", 1949, IV, განყ. VIII, გვ. 9—10).

[268] Lიცარ, მუხ. О.

[269] იქვე.

[270] შ. მ ე ს ხ ი ა, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, გვ. 147.

[271] იქვე, გვ. 151

[272] იქვე.

* * *

შეგირდობის ინსტიტუტი, როგორც ზემომოტანილი მასალებიდან ჩანდა, სავსებით დამახასიათებელი იყო გვიანფეოდალური ხანის ამქრული წყობისათვის. იგი მისი ბუნებიდან, ამქრის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარეობდა. მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას ქარგლობის ინსტიტუტის შესახებ.

ხელოსანთა ორგანიზაცია, ამქარი, იყო არა მარტო პროფესიული გაერთიანება, არამედ ცოდნის, ხელობის შესწავლა-გადაცემის ორგანიზაციაც. ამდენად, შუა საუკუნეების როგორც დასავლური, ასევე აღმოსავლური ამქარი, ფართო გაგებით, აერთიანებდა როგორც ოსტატებს, ასევე შეგირდებსა და ქარგლებსაც — ხელოსანთა დამხმარე პერსონალს. მაგრამ ქარგალთა კატეგორიის წარმოშობა ხელოსნობის ბუნებიდან არ გამომდინარეობდა და ამდენად არცთუ ყველგან არსებობდა.

შუა საუკუნეების ზოგ ამქარში ქარგალთა კატეგორია ან სრულებით არ არსებობდა, ან, თუ წარმოების ტექნიკური პირობებისა და სხვა მიზეზების გამო საჭირო იქნებოდა ოსტატთა მრავალი თანაშემწე, გვერდს უვლიდნენ ოსტატსა და ქარგალს შორის არსებულ ეკონომიკურსა და უფლებრივ განსხვავებას: ოსტატს უყურებდნენ მხოლოდ როგორც primus interpares, რომელიც წარმოების ხელმძღვანელად ითვლებოდა, ქარგლები კი მასთან, ხელფასისა და საერთო პატივისცემის თალსაზრისით, თითქმის გათანაბრებული იყვნენ.

აღმოსავლეთის, — როგორც შუა აზიის, ასევე მცირე აზიის, — ქალაქების ამქარში ქარგლობის ინსტიტუტი განვითარებული ფორმით არსებობდა. მუსტაფა III თავისი 1773 წ. ფირმანით კანონიერ სახეს აძლევდა ოსმალურ ასნაფებში არსებულ ქარგლობის ინსტიტუტს: „როცა შეგირდი შეითვისებს ყველა ზემოჩამოთვლილ თვისებას და ოსტატიც დარწმუნდება [ამაში]... შეგირდი ხდება ქარგლად (chälfä) და ეძლევა განმასხვავებელი ნიშანი. ქარგალს ოსტატი აძლევს ცნობას, რომლის საფუძველზედაც ასნაფი აძლევს მოწმობას ბეჭდითურთ... ამის შემდეგ ქარგალს შეუძლია გახსნას ცალკე დუქანი და დაიდგას იქვე თავისი დაზგა“[273]. როგორც ჩანს, ქარგალს მცირე აზიაში «Chälfä» ეწოდებოდა. იგივე ტერმინი, ამავე მნიშვნელობით, იხმარებოდა აგრეთვე შუა აზიის ამქრებშიც[274].

---

[273] Н. Державин, Следы древнегрузинских цеховых организаций по данным современной этнографии, «Язык и литература», т. I, в. 1—2, 1926, გვ. 306—307.

[274] Ярево-Раевский, Сборник материалов по мусульманству, Спб, 1899, გვ. 32.

მცირე აზიის ხელოსნურ ორგანიზაციებს თავისი გავლენა ჰქონდა გვიანფეოდალური ხანის ქართულ ამქრებზედაც. ეს გავლენა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო საქართველოს იმ პროვინციებში, რომელთაც XV ს-დან ოსმალები გაუმეზობლდნენ ან კიდევ გაუბატონდნენ.

ლ. ზაგურსკის ცნობით, ქ. ახალციხის ასნაფებში, როცა შეგირდი დაამთავრებს სწავლების სავალდებულო ვადას, იგი, გარკვეული წესების შესრულების შემდეგ, ხდება ქარგალი. მასწავლებელი, ოსტატი წარუდგენს უსტაბაშსა და ასნაფის ზოგ წევრს შეგირდის ნამუშევარს და აძლევს სათანადო დახასიათებას, ქარგალი კი, ამ წოდების მიღების შემდეგ უმასპინძლდება მათ და შეაქვს სალაროში სათანადო შესატანი.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლება ქარგალი ოსტატი გახდეს და ეს პროცესი უფრო რთული გამოცდილებითა და ხელდასხმის წესებით სრულდება[275].

აღსანიშნავია, რომ ს. ეგიაზაროვი, რომელიც უმთავრესად ლ. ზაგურსკისა და ნაწილობრივ ი. ახვერდოვის ცნობებს ეყრდნობოდა, დამახასიათებლად თვლიდა ამიერკავკასიის, და ამდენად, ქართული ამქრებისათვის ქარგლობის ინსტიტუტს. არც ი. ახვერდოვის ცნობები, არც მით უფრო ქართული დოკუმენტური მასალები ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა. ლ. ზაგურსკის ცნობების მიხედვით ქართულ ამქრებზე მსჯელობა ჩვენ არასწორად მიგვაჩნია, რადგან ახალციხური ასნაფი უფრო ოსმალურს უახლოვდება, ვიდრე ქართულს.

ქართული ხელოსნობის მკვლევარი გ. გამყრელიძე ამქარში ხელოსანთა შორის იერარქიას ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში" გამოყოფილ „ზარაფხანის რიგის" მიხედვით ადგენს: „ზარაფხანაში მომუშავე ოსტატთა შორის არსებულა „საბაქი" და „თავგირი", ე. ი. მოთავე, მოწინავე და თავი მოსაქმე. თავსმდგომი ოსტატი. მის პირველ ხელქვეითს „ფიშქარი", ე. ი. ქარგალი წარმოადგენდა; მასვე ჰყავდა „სუხტები" ე. ი. შეგირდები. გარდა ოსტატისადმი დაქვემდებარებული ქარგლებისა და შეგირდებისა, არსებულან აგრეთვე „დამდაბები". ე. ი. დროებით მოყვანილი ხელოსნები[276]. გ. გამყრელიძის ამგვარი მოსაზრების საფუძველს შეადგენს „დასტურლამალის" გამომცემლის პ. უმიკაშვილის მი-

---

[275] Л. П. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г., ЗКОИРГО, кн. VIII, 1873, გვ. 26.

[276] გ. გამყრელიძე, ხელოსნობა თბილისში, თბ., 1926, გვ. 23.

ერ შედგენილი ლექსიკონი. არც სპარსულში და არც ოსმალურში თავხელოსნების, შეგირდებისა და ქარგლების აღსანიშნავად არასოდეს ყოფილა გამოყენებული არც „საბაქი“, „თავგირი“, „ფიშქარი“ და არც „სუხტი“.

აღსანიშნავია, რომ ამგვარადვე იწოდებოდნენ სპარსული „დასტურლამალის“ მიხედვითაც შაჰის ზარაფხანაში სხვადასხვა ტექნიკური პროცესების შემსრულებელი ხელოსნები. ამას გარდა, სპარსულ „დასტურლამალში“, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ ერთ-ერთი თავი, კერძოდ „ზარაფხანის რიგი“, სრულებით არაფერია ნათქვამი შაჰის ზარაფხანის სხვადასხვა სახელოსნოებში განსხვავებულ ტექნიკურ პროცესთა შემსრულებელი ხელოსნების უფლებრივი და ეკონომიკური იერარქიის შესახებ[277].

გ. გამყრელიძის მიერ ჩამოთვლილი ხელოსნები ზარაფხანაში მომუშავე სხვადასხვა სპეციალობის ოსტატებია, ასე რომ, „საბაქი“, „თავგირი“, „ფიშქარი“ და „სუხტი“ უფლებრივად ისეთივე ხელოსნები იყვნენ, როგორიც იქვე მოხსენებული „აჰანგარი“, „ჰყათალი“, „ფუსუზასი“, „გალაქუ“, „სიქაქუნი“, „თახშქუნი“, „თარაზდარი“ და სხვები. ამრიგად, „დასტურლამალის“ ზემომოტანილი ცნობა ხელოსანთა შორის იერარქიაზე კი არ მიგვითითებს, როგორც გ. გამყრელიძე ფიქრობს, არამედ მეფის ზარაფხანაში მომუშავე სხვადასხვა დარგის ოსტატთა სიმრავლეზე.

მცირე აზიის ასნაფებში ხმარებული „ქარგლის“ აღმნიშვნელი ტერმინი chälfä ჩვენში არ გავრცელებულა და არც ყოფილა გამოყენებული. ამ ცნების აღსანიშნავად საქართველოში, როგორც ირკვევა, სპარსული „ქარგარ“ იყო გამოყენებული. ტერმინი „ქარგარი“ // „ქარგალი“[278] ჩვენთვის ცნობილ გვიანფეოდალური ხანის ქართულ მასალებში არ შეგვხვედრია. საფიქრებელია, რომ იგი ქართულში მხოლოდ XIX ს. დამკვიდრდა.

XIX ს. მეორე ნახევრიდან დამკვიდრდა „ქარგალი“ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში როგორც «подмастерье»-ს აღმნიშვნელი ტერმინი.

---

[277] იხ. Tadkirat al-muluk. A manual of Safavid administration, Persian text in facsimile, Nith Transtation and Comentary by V. Minorsky, 1943, გვ. 58—59. ვ. გაბაშვილი, სპარსული „დასტურლამალი“, თსუ-ს შრომები, ტ. XXXV, 1949, გვ. 214—216.

[278] სპარსული ქარ საქმეს ნიშნავს, ხოლო გერ სუფიქსი ისეთივე მაწარმოებელია, როგორც ქართულში მე (შდრ. მეკონდახე, მეხამლე და სხვ.), შინაარსობრივად კი სპარ. ქარგარ ქართულ მომუშავეს მუშას და იმასაც ნიშნავს, რაც ამ ცნებაში დღეს ჩვენ გვესმის.

ქართული ამქრული ორგანიზაციების შემსწავლელნი (ს. ეგიაზაროვი და სხვ.), როცა ქართულ ამქრებში ქარგალთა კატეგორიის არსებობაზე მიუთითებდნენ, უმთავრესად გამოდიოდნენ იქიდან, რომ ტერმინი „ქარგალი", რომელიც ირანულში «подмастерье»-ს ნიშნავდა, ქართულშიც ამავე გაგებით იხმარებოდა. ჯერ ერთი, ტერმინ „ქარგალს" ირანულშიც არ ჰქონია ამგვარი მნიშვნელობა. იგი სიტყვასიტყვით და შინაარსობრივად მუშას აღნიშნავდა და არა «подмастерье»-ს. რაც მთავარია, როგორც სავსებით მართებულად მიუთითა ნ. კუზნეცოვამ, „ირანის ხელოსნობამ არ იცოდა подмастерье-ს ინსტიტუტი"[279]. მეორე, ტერმინი „ქარგალი", როგორც აღვნიშნეთ, სრულებით არ გვხვდება XVII—XVIII სს. დოკუმენტებში და სხვა სახის წყაროებშიც. დამახასიათებელია, რომ ეს ტერმინი თავის ლექსიკონში შეტანილი არა აქვს XVIII ს. დამდეგის ცნობილ ლექსიკოგრაფს სულხან-საბა ორბელიანს. ამას გარდა, XIX ს. დამკვიდრებული ტერმინი „ქარგალი" ქართულშიც, ისე როგორც ირანულში, არ ნიშნავდა «подмастерье»-ს. ქარგალი, როგორც ეს XIX ს. პირველი ნახევრის წყაროებიდან ირკვევა, ნიშნავდა ყველა იმ ოსტატს, ხელოსანს, რომელიც მუშაობდა ქირით ამა თუ იმ სახელოსნოს პატრონთან[280]. მესამე, გვიანფეოდალური ხანის წყაროებში ჩვენ საერთოდ არ შეგვხვედრია ისეთი ტერმინი (ცნება), რომელიც «подмастерье-ს ნიშნავდეს.

ყველაფერი ეს, — «подмастерье»-ს ცნების არარსებობა XVII—XVIII სს., ტერმინ „ქარგალის" თავისებური მნიშვნელობა ქართულში — თავისთავად მიგვითითებს ქარგლობის ინსტიტუტის არსებობაზე, მის განუვითარებლობაზე XVII—XVIII სს. ქართულ ამქრებში. მაგრამ მთავარია ის, რომ თვით ამქრის წესდებები არ იცნობენ, ოსტატისა და მოწაფის გარდა, ხელოსანთა სხვა კატეგორიებს. ჩვენ მიერ ზემოთ არაერთხელ დასახელებულ თბილისის იუველირთა ვრცელ წესდებაში (რომელიც XIX ს. დამდეგს არის შედგენილი), სადაც დეტალურადაა საუბარი მოწაფის სწავლების პროცესსა და მის ოსტატად კურთხევაზე, სიტყვა არ არის ნათქვამი ქარგლობის ინსტიტუტის შესახებ. იუველირთა წესდების მიხედვით, ყოველი შეგირდი, რომელიც კი ხელობას შეისწავლიდა და თავის ცოდნაში ოსტატსა და ამქრის ხელისუფალთ დაარწმუნებდა, ყოველგვარი ქარგლობის საფეხურის გავლის გარეშე ოსტატად ხდებოდა. ამრიგად, XVII — XVIII სს.

---

[279] Н. А. Кузнецова, Из истории социально-экономич. отношений в Иране (рукоп.), с. 135, 137—138.

[280] Ю. Ахвердов, Тиф. амкары Об организ., с. 22, пр. 2; Здр. Положение о ремесленных амкарах в Тифлисе, Тб., 1867, § 41, 39.

დოკუმენტებსა და ამქართა წესდებებში ქარგალთა კატეგორიის მოუხსენებლობა, ჩვენი აზრით, იმ დროისათვის ქარგლობის ინტიტუტის საერთოდ არარსებობით უნდა აიხსნას.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქარგლობის ინსტიტუტი თავისი პუნქტუალური სხვადასხვაგვარი რეგლამენტაციებით XVII—XVIII სს. ქართულ ამქრებში არ არსებობდა. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ გვიანფეოდალურ ხანაში არ იყვნენ ისეთი ხელოსნები, რომლებმაც, მართალია, სწავლის ვადის დამთავრებისთანავე მიიღეს ოსტატის წოდება, მაგრამ თავიანთი ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობით სავსებით არ იყვნენ გათანაბრებულნი ამქრის წევრ სხვა ოსტატებთან.

ისეთ ხელოსანთა კატეგორიის აღსანიშნავად, რომელნიც მხოლოდ თითქმის უთანაბრდებოდნენ, როგორც ეკონომიკურად, ასევე უფლებრივად, ამქრის ოსტატებს, XVII—XVIII სს., ჩვენი აზრით, „ამხანაგი" ან კიდევ „ოსტატის ამხანაგი" იხმარებოდა, ხოლო XIX ს. პირველ ნახევარში კი „ქარგალი".

ქარგალთა და ოსტატთა შორის განსხვავების მოსპობის, ან კიდევ ხელოსანთა ამ კატეგორიის არარსებობის შედეგი უნდა იყოს გვიანფეოდალური ხანის ქართულ საბუთებში ქარგალთა ცალკე მოუხსენებლობა.

ქართულ წარწერაში და გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტებში სიტყვა „ქარგალის" მაგიერ ოსტატთან ეკონომიკურად და უფლებრივად თითქმის გათანაბრებულ ხელოსანთა კატეგორიის აღსანიშნავად „ამხანაგი" იხმარება. „ამხანაგი", როგორც მშენებელ ოსტატთა თანაშემწე, ნ. მარის მიხედვით, მოხსენებულია შატბერდის ეკლესიის სამრეველოს წარწერაში:

„ქრისტე: შეიწყალე: ამისი ოსტი (sic) გალატოზნი:
კლდელი: აბესალამს: მისნი: ა მ ხ ა ნ ა გ ნ: ღმერთმან:
ვინცა: შენდობა: ბარ (ძანონ)[281].

ამ დაუთარიღებელი ასომთავრული წარწერიდან ნათლად არ ჩანს „ამხანაგის" ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობა, მაგრამ ნიშანდობლივია „ამხანაგთა" მშენებელ ოსტატებთან ერთად მოხსენება.

---

[281] Н. Я. Марр Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, Тексты и разыскания, кн. 7, Спб, 1911, გვ. 144.

წარწერის შინაარსის ნათელსაყოფად მოგვყავს ნ. მარის მიერ შესრულებული მისი რუსული თარგმანი:

«Христе, помилуй мастера /и/ каменьшиков сего /здания/ Клдели Абесалму, его товарищей, Камира Казна, слугу да прости, Господь, кто прощение /им/ изволит сказать» (IS), გვ. 145.

„ამხანაგის“ ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობა უფრო გარკვევით გვიანფეოდალური ხანის მასალებიდან ჩანს. 1793 წ. შედგენილ თავლა-საბძლის აშენების დანახარჯთა ნუსხაში მშენებელ ხელოსანთა გვერდით მათი „ამხანაკი“-ც მოიხსენიება: „ჩს (6 აბაზი), ქ. გ. (3) ხურო, გოგია, დავითა და ამხანაკი“[282].

XIX ს. დამდეგს შედგენილ დანახარჯთა ნუსხაში კი კალატოზის ამხანაგია დასახელებული: „თიბათვის :ი: (10), პარასკევს, კალატოზი ოჰანეზა და ამისი ამხანაგი პეტრე: ბ: (2), ამათთან მუშა: იე: (15) ფასით, ამათი სამუშაო :ც ს ნ: (ორი მინალთუნი და ხუთი შაური) (7, გვ. 305). „მთიბათვის :იგ: (13), ოთხშაბათს, კალატოზი ოჰანეზა, ამისი ამხანაგი პეტრე“ (7 გვ. 306). ასევე მეორდება თიბათვის 14, 15, 16, 17 რიცხვების დანახარჯთა ნუსხებშიც. ხოლო 18 თიბათვის ნუსხაში ნათქვამია: „შაბათს, კალატოზი ოჰანეზა და თავისი ამხანაგი პეტრე და ჯანიაშვილი კალატოზი პეტრე და ქვისმთლელი სოსია“[283].

„კალატოზის ამხანაგი“, როგორც ჩანს, ოსტატთა გვერდით იხსენიება, მაგრამ მას ოსტატს კი არ უწოდებს საბუთის შემდგენელი, არამედ „ამხანაგს“, და ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს.

გვიანფეოდალურ საქართველოში „ამხანაგი“ რომ განსაზღვრული სახის ტერმინი იყო და რომ ის ვაჭართა და ხელოსანთა შორის ხშირად იხმარებოდა, ამას „ქალაქის მოურავის სარგო“ და ე. წ. „საამხანაკო წიგნები“ გვიდასტურებს. „მოურავის სარგოში“, სადაც ყასბების სამოურავო გამოსაღებზეა მითითებული, აღნიშნულია: „ღორის ქონი ერთს დაზგაზე რამდენნიც ა მ ხ ა ნ ა გ ნ ი არიან, კაცის თავს სამ-სამი ლიტრა ქონი უნდა გამოერთვას მოურავისათვის“[284]. ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ „ამხანაგად“ ყასაბთა ამქარში შემავალი პირი იგულისხმებოდა. ხოლო „საამხანაკო წიგნებიდან“ აშკარაა, რომ „ამხანაგებად“ (მიუხედავად მათი სოციალური სხვაობისა) ვაჭრობაში ურთიერთთან განსაზღვრული პირობებით შეკრული პირები ითვლებოდნენ.

როგორც ამ მასალებიდან ირკვევა, ვაჭართა შორის „ამხანაგი“ სხვა მნიშვნელობით იხმარებოდა, ვიდრე ხელოსან-ოსტატთა შორის. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად მნიშვნელოვანია ის, რომ „ამხანაგს“ გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტები ხელოსან-ვაჭართა

---

282 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ტ. II, გვ. 1170.

283 იქვე, ტ. I, თბ., 1935, გვ. 307.

284 საქართველოს სიძველენი, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1910, გვ. 525, 529.

შორის გავრცელებულ და გარკვეული მნიშვნელობის ტერმინად წარმოგვიდგენს.

გვიანფეოდალური ხანის ქართული დოკუმენტები შესაძლებლობას იძლევა გავითვალისწინოთ ოსტატის „ამხანაგთა“ კატეგორიის ეკონომიკური მდგომარეობაც.

ჩვენ მიერ ზემოდასახელებულ XIX ს. დამდეგს შედგენილ დანახარჯთა ნუსხიდან ირკვევა, რომ ოსტატის „ამხანაგი“ ყამუშაო ქირას ცალკე იღებდა და ის ოსტატის დღიური ხელფასისაგან ოდნავ განსხვავდებოდა. კალატოზ ოჰანეზას, როგორც დანახარჯთა ნუსხიდან ჩანს, დღეში ერთი მინალთუნი ეძლეოდა: „კალატოზი ოჰანეზა რომ გავისტუმრე, რაც იმუშავა და ან ისე იყო, სულ თერთმეტი დღე იყო და მივეც თერთმეტი მინალთუნი და ჩემი მაუდის კაბა ხალათათა“[285]. ერთ მინალთუნს იღებდა დღეში, ამავე საბუთის მიხედვით, ქვისმთლელი ოსტატიც: „ქვისმთლელ სოსიას მივეც სამუშაო დღეში ხუთი აბაზი“[286]. როგორც ჩანს, ოსტატების, კალატოზისა და ქვისმთლელის დღიური ქირა ხუთი აბაზი ყოფილა. „კალატოზის ამხანაგის“ ქირის შესახებ კი იქვე ნათქვამია: „ამისი ამხანაგი (ოჰანეზასი, შ. მ.) ატოცელი პეტრე გავისტუმრე, ამასაც თერთმეტი დღისა მივეც, დღეში :ყ: (ოთხი აბაზი), იქნება :ჳყ: (რვა მინალთუნი და ოთხი აბაზი); ამაზედ დავხარჯე წამოყვანაში :ქ: (მარჩილი), იქნება სულ (ცხრა მინალთუნი და ორი აბაზი)“[287].

ამრიგად, „კალატოზის ამხანაგი“ ოსტატების თანაბარ ხელფასს არ იღებდა; ამას გარდა, მას არ მიუღია „ხალათიც“, რომელსაც კალატოზ ოსტატს ჩვეულებრივ აძლევდნენ ხოლმე. ასე რომ, „კალატოზის ამხანაგი“ ოსტატი არაა როგორც წოდების, ასევე ხელფასის მიხედვითაც. მაგრამ იგი არც მუშაა, როგორც ვთქვით, იგი ოსტატთა შორის არის მოხსენებული. ამას გარდა, მისი ხელფასი დიდად აღემატება მუშის დღიურ ქირას. იმავე საბუთის მიხედვით მუშას დღეში ერთი აბაზი ეძლეოდა: „ორი ღარი გავათლევინე, მთელანი იყვნენ თვრამეტი მუშა. ამის ერთ მუშას დღეში :ს: (აბაზი)“[288].

„კალატოზის ამხანაგი“ არც შეგირდია. შეგირდი გვიანფეოდალური ხანის საბუთებში „ამხანაგად“ არსად მოიხსენიება

---

[285] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 1935, გვ. 308.

[286] იქვე, გვ. 309.

[287] იქვე, გვ. 308—309.

[288] იქვე, გვ. 323.

და როგორც საბუთებიდან ირკვევა, ოსტატთან მომუშავე შეგირდი ხელფასს ცალკე არ იღებდა. მისი გასამრჯელო ოსტატის გასამრჯელოში ივარაუდებოდა. მაგ., 1751 წ. საბუთით კალატოზი, რომელიც 1 შეგირდით მუშაობდა, იმდენსვე იღებდა, რამდენსაც კალატოზი 2 შეგირდით: „ერთი მინალთუნი და ორი შაური ქ. პარასკევს. კალატოზი 2, შაგირდი 1"; „ერთი მინალთუნი და ორი შაური, ქ. შაბათს, კალატოზი 2, შაგირდი 2"[289].

იყო შემთხვევა, როცა შეგირდი ცალკე მუშაობდა. ამგვარ შემთხვევაში ის გასამრჯელოსაც იღებდა, მაგრამ მისი ხელფასი განსხვავდებოდა როგორც ოსტატის, ასევე „ოსტატის ამხანაგის" ხელფასისაგან. 1802 წ. შედგენილ დანახარჯთა ნუსხაში ცალკე მომუშავე შეგირდის დღიური ხელფასის შესახებ ნათქვამია: „იე (15) დღე ამისმა (არუთინა დურგლის, შ. მ.) შეგირდმა იმუშავა თავის პურით; ა (1) დღეს: სნ: (ხუთი შაური) იქნება". „:კ:(28) დღე ამისმა (იოსებ დურგლის, შ. მ.) შეგირდმა იმუშავა თავისის პურით; ა (1) დღეს :სნ: (ხუთი შაური) იქნება"[290].

როგორც ჩანს, შეგირდი დღეში ხუთ შაურს იღებდა, მაშინ როცა „ოსტატის ამხანაგი" ოთხ აბაზს, ე. ი. „ოსტატის ამხანაგის" დღიური ქირა თითქმის ოთხჯერ აღემატებოდა შეგირდის დღიურ ქირას; ამრიგად, დღიური ქირის მიხედვითაც, გვიანფეოდალური ხანის „ოსტატის ამხანაგი" შეგირდად არ შეიძლება მივიჩნიოთ. ამას გარდა, ოსტატთან მომუშავე მისი „ამხანაგი" დამოუკიდებლად იღებს სამუშაო ქირას, რისი უფლებაც არ ჰქონდა ოსტატთან მომუშავე შეგირდს და არც, როგორც ლ. ზაგუსკის შენიშვნიდან ირკვევა, ახალციხური ასნაფის ქარგალს[291].

როგორც განხილული მასალებიდან ჩანს, XIX ს. 50-იანი წლების აღწერილობით წყაროებში „ქარგლად" წოდებული ხელოსანი, გვიანფეოდალური ხანის მასალებით, „ამხანაგად" იწოდებოდა. მაგრამ „ოსტატის ამხანაგი" როგორც უფლებრივად, ასევე ეკონომიკურადაც არ ჩამოუვარდებოდა იმ ოსტატს, რომლის ამხანაგადაც იგი ითვლებოდა, ხოლო ოსტატთან თითქმის გათანაბრებულ „ამხანაგთა" კატეგორიის არსებობა გვიანფეოდალური ხანის ქართულ ამქარში ქარგლობის ინსტიტუტის გაუვითარებლობაზე მიგვითითებს.

---

[289] იქვე, გვ. 18.

[290] იქვე, გვ. 194.

[291] Л. П. Загурский, Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г., ЗКОИРГО, кн. VIII, 1873, с. 25—26.

ქართულ ამქარში ქარგლობის ინსტიტუტს არც XIX ს. ჰქონდა თავისი სრულყოფილი სახე.

ი. ახვერდოვი მიუთითებდა, რომ შეგირდი, რომელმაც მიიღო დამოუკიდებლად მუშაობის „დასტური“, უკვე ქარგლის მდგომარეობაში იმოფებოდა, მაგრამ ამისათვის, მისივე ცნობით, არავითარი კურთხევა და გამოცდა თბილისის ამქრებში არ ხდებოდა. მხოლოდ მოწაფეს შეჰქონდა სათანადო შესატანი „დასტურის“ მისაღებად და სათანადო ლხინის გასამართავად. მაგრამ „დასტურმიღებულ“ მოწაფეს ყოველთვის შეეძლო (ყოველგვარი საქარგლო ვადის გავლის გარეშე) ოსტატად კურთხეულიყო[292]. გ. იზმიროვის ჩვენებითაც დასტურდება, რომ თბილისის ამქრებში, XIX ს. 50-იან წლებში, შეგირდს ზოგჯერ ვადაზე ადრე და სურვილის გარეშეც აკურთხებდნენ ოსტატად[293].

ამას გარდა, ქარგლად ანუ „ოსტატის ამხანაგად“ ყოფნას ქართული ამქრის წეს-კანონი კი არ განსაზღვრავდა, არამედ თვით ხელოსნის, ან კიდევ ოსტატად კურთხევის კანდიდატის ეკონომიკური მდგომარეობა. XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ამქრის არც ერთ აღმწერელს არსად შენიშნული არა აქვს, რომ ამქარში განსაზღვრული ყოფილიყო შეგირდის ქარგლად ყოფნის ვადები. მიუხედავად ამისა, ზოგი სწავლის ვადადამთავრებული შეგირდი ამქარში ქარგლად („ოსტატის ამხანაგად“) რჩებოდა, მაგრამ ეს უმთავრესად გამოწვეული იყო „ოსტატის ამხანაგის“ უსახსრობით; როცა ხელოსანს შესაძლებლობა არ ჰქონდა ცალკე გაეხსნა სახელოსნო, ან კიდევ შეეძინა საჭირო იარაღები და მასალა, ის რჩებოდა ოსტატთან როგორც მისი „ამხანაგი“, ქარგალი; ყოველივე ამის გამო თბილისის ამქრებში არა მარტო „დასტურმიღებული“ მოწაფეები იყვნენ ქარგლებად, არამედ უკვე ოსტატად კურთხეულნიც. „უფროსი შეგირდები, შენიშნავდა ი. ახვერდოვი, რომლებმაც „დასტურის“ მისაღებად თანხა გადაიხადეს, ისევე როგორც ოსტატად კურთხეულნი, სხვა ოსტატთა მიერ დაქირავებულნი, ერთნაირად ქარგლებად იწოდებიან“[294]. მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არსებობდა: უფროს შეგირდს, რომელმაც მხოლოდ დამოუკიდებლად მუშაობის უფლება მიიღო, არა

---

[292] Ю. М. Ахвердов, Тифлисские амкары, Тиф., 1883, გვ. 14.

[293] Г. Измиров, Об амкарах (цехах) в Тифлисе и об устройстве их, საქ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი Н: 2838, R 269; С. Егиазаров, Городские цехи, Организация и внутреннее управление Закавказских амкаров, ЗКОИРГО, кн. XIV, вып. 2, 1891, გვ. 64—65.

[294] Ю. М. Ахвердов, Тифлисские амкары, Тиф., 1883, გვ. 22, შენ. 2.

აქვს ამქრის საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის უფლება[295]. სულ სხვა მდგომარეობაში იყო უკვე ოსტატად კურთხეული, რომელიც ჯერ კიდევ „ოსტატის ამხანაგად“ იყო თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გამო. ასეთ „ოსტატის ამხანაგს“, როგორც ი. ახვერდოვის წერილებიდან ჩანს, უფლება ეძლეოდა მონაწილეობა მიეღო ამქრის საერთო საქმეებში, მაგ., თავისი წილი ჰქონოდა იმ ნედლეულში, რომელსაც ამქარი ყიდულობდა, და ისე როგორც ამქრის წევრ სხვა ოსტატს, თუ არ დასჭირდებოდა იგი, შეეძლო თავისი წილი გადაეცა, მიეყიდა ამქრის სხვა წევრისათვის[296]. ამქრის მიერ ნაყიდ ნედლეულში მხოლოდ ამქრის წევრს შეეძლო ჰქონოდა წილი, ასე რომ ოსტატად კურთხეული და ჯერ კიდევ „ოსტატის ამხანაგად“ — ქარგლად მყოფი ამქრის წევრად ითვლებოდა.

ქართულ ამქარში ქარგლობის ინსტიტუტის განუვითარებლობაზე მიგვითითებს შემდეგიც: ი. ახვერდოვის ცნობებზე დაყრდნობით ს. ეგიაზაროვი აღნიშნავს, რომ შეგირდს სწავლის ვადის დამთავრების შემდეგ შეეძლო გასულიყო ამქრიდან და ემუშავა ცალკე, როგორც დამოუკიდებელ ოსტატს, მხოლოდ ამგვარ შემთხვევაში ის არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმ ამქრის წევრად, სადაც აღიზარდა; ხოლო თუკი იმავე ამქარში დარჩებოდა, მისი უფლებები იზღუდებოდა — რომ ამქარს სახელი არ გასტეხოდა, შეგირდს არ შეეძლო ოსტატის კონტროლის გარეშე მიეღო დაკვეთები და შეესრულებინა ისინი[297].

აღსანიშნავია, რომ ზოგ ქართულ ამქარში ქარგლობა და ქარგალთა კატეგორია სრულიად არ არსებობდა. გ. იზმიროვი შენიშნავდა, რომ თბილისის ხუროების ამქრისათვის უცნობია სიტყვა „ქარგარი“, ისევე როგორც თვით ეს ინსტიტუტი. თბილისის ხუროების ამქარში შეგირდს, რომელიც ღირსი იყო ეტარებინა ოსტატის წოდება, გამოცდიდნენ და ხდიდნენ ოსტატად[298]. ნ. დერჟავინის მიხედვითაც გორის ამქრებში ქ ა რ გ ლ ი ს წ ო დ ებ ა ა რ ა ა რ ს ე ბ ო ბ დ ა. შეგირდი სწავლობდა უფასოდ ოსტატთან

---

[295] იქვე, გვ. 14.

[296] იქვე, გვ. 22.

[297] იქვე, გვ. 35. С. Егиазаров, Городские цехи, Организация и внутреннее управление Закавказских амкаров, ЗКОИРГО, кн. XIV, вып. 2, 1891, с. 128.

[298] Г. Измиров, Несколько замечаний на статью—«О Тифлисских цехах», Закавказский Вестник, 51, 1850.

სამ წელიწადს და ეს ვადა საკმარისად ითვლებოდა შეგირდის ოსტატად კურთხევისათვის[299].

ამგვარადვე, ტერმინი „ქარგალი“ და ქარგლობა საერთოდ სავსებით უცნობი იყო ქუთაისელ ხელოსანთათვის XIX ს. 70-იან წლებშიც კი. ქუთაისელ მეპურეთა ამქრის წესდებაში ლაპარაკია შეგირდზე, ამქრის „მოჯამაგირეზე“ (დაგირავებულ მუშაზე), მაგრამ არაფერი არის ნათქვამი „ქარგალსა“ და ქარგლობის ინსტიტუტზე[300].

როგორც ვხედავთ, XIX—XX სს. ზოგ ამქარში ქარგლობის ინსტიტუტი სრულებით არ არსებობდა, ხოლო თუ ცალკეულ ამქარში ქარგლობა ამა თუ იმ სახით მაინც იყო, XIX ს. პირველი ნახევრის ქარგალი, ისე როგორც გვიანფეოდალური ხანის „ოსტატის ამხანაგი“, ეკონომიკურად და უფლებრივად ოსტატთან თითქმის გათანაბრებულ პირად ჩანს; ყოველივე ეს კი XIX ს. ქართულ ამქრებშიც ქარგლობის ინსტიტუტის განუვითარებლობას გვიდასტურებს. აღსანიშნავია, რომ ეს მომენტი — ქარგლობის ინსტიტუტის განუვითარებლობა — მხედველობაში იყო მიღებული ქართულ ამქრებში 1867 წ. რეფორმების ჩატარების დროსაც. რაკი რეფორმამდე ამქრებში საერთოდ ქარგლად ყოფნის ვადები და ამ ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი სხვა წესები არ არსებობდა, 1867 წ. თბილისის ამქრებისათვის რუს ხელისუფალთა მიერ შედგენილ წესდებაშიაც ამგვარ საკითხებზე არაფერი იყო ნათქვამი.

ბარონ ნიკოლაის, როგორც წესდების პროექტის ირგვლივ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებიდან ჩანს, თბილისის ამქრებში სწავლებადამთავრებული შეგირდის ქარგლად ყოფნის ვადების დაწესება შემავიწროებლად და ადგილობრივ პირობებთან სავსებით შეუსაბამოდ მიაჩნდა[301]. ამას გარდა, „წესდებით“ ქარგალი ეწოდებოდა არა სწავლის ვადადამთავრებულ შეგირდს, არამედ ოსტატის მიერ დაქირავებულ ყოველ ხელოსანს: „ქარგალი არის ხელოსანი, რომელიც მუშაობს ჯამაგირით სახელოსნო სახლის ან დუქნის პატრონთან“[302].

---

[299] Н. Н. Державин, Следы древнегрузинских цеховых организаций по данным современной этнографии, Язык и Литература, т. 1, в. 1—2, 1926, გვ. 302.

[300] შ. მესხია, ამქრული ორგანიზაციის ისტორიიდან, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, III, გვ. 151.

[301] საქ. ცენტრარქივი, ფონდი 16, საქ. 2229, ფურც. 1—25.

[302] წესდება სახელოსნო ამქრებზედ (ცეხებზედ) ქალაქ ტფილისში და იმათ გამგებლობაზედ, 1867, § 41; შდრ. § 39.

ამრიგად, როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, არათუ XVII—XVIII სს., არამედ XIX ს. პირველ ნახევარშიც ქარგლობის ინსტიტუტს ქართულ ამქრებში არ მიუღია ისე დასრულებული სახე, როგორც მას შუასაუკუნეების ევროპის ცეხურ ორგანიზაციებსა და აღმოსავლეთის ზოგიერთ ასნაფებში ჰქონდა[303].

4. ამქარი გვიანფეოდალური ხანის საქართველოს საქალაქო ცხოვრებაში

ამქრული ორგანიზაციები ნატურალური მეურნეობისა და ბატონყმობის, ე. ი. წარმოების ფეოდალური წესის ბატონობის პერიოდში წარმოიშვნენ და არსებობდნენ. ამიტომაც ამქრული ორგანიზაციების ამოცანა, ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში, ვიწრო ადგილობრივი საქალაქო ბაზრის დაუფლების, მისი მაქსიმალურად გამოყენების ინტერესებით განისაზღვრებოდა. ამქრის ეკონომიკური პოლიტიკაც ძირითადად სწორედ ამ მიზნისაკენ იყო მიმართული.

ქართულ ამქართა ეკონომიკური პოლიტიკის ერთი უმთავრესი ფაქტორი, ისე როგორც ცეხური ორგანიზაციებისა საერთოდ, წარმოების მონოპოლიზაცია და რეგლამენტაცია იყო. ამგვარ მიზნებს ისახავდა ამქრების ბრძოლა, ერთი მხრივ, უცხო ქალაქებიდან მოსულ ხელოსანთა გაერთიანებისათვის ადგილობრივ ამქრებში, ხოლო მეორე მხრივ ამა თუ იმ ამქრის საქმიანობის მტკიცედ განსაზღვრისათვის.

---

[303] გვიანფეოდალური ხანის ქართულ ამქრებში ქარგლობის ინსტიტუტის არარსებობის შესახებ მოსაზრება ჩემ მიერ პირველად 1948 წ. იქნა გამოთქმული (იხ. ჩემი „ქარგლობის ინსტიტუტის საკითხისათვის გვიანფეოდალური ხანის ქართულ ამქარში“, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IX, № 6. 1948, გვ. 378—385). პროფ. ალ. ფირცხალაიშვილმა ზემოაღნიშნულ წერილში წამოყენებული მოსაზრება დამაჯერებლად ვერ მიიჩნია, რადგან, მისი აზრით, რაკი ქარგლობის ინსტიტუტი საერთოდ დამახასიათებელი იყო ცეხური ორგანიზაციებისათვის, ქართული ამქრებიც გამონაკლისი ვერ იქნებოდნენ (იხ. მისი შენიშვნები შ. მესხიას წერილებზე, „მიმომხილველი“-ტ. II, 1952, 485-488). ჯერ ერთი, პროფ. ალ. ფირცხალაიშვილს მხედველობიდან გამორჩა, რომ ქართული ამქრები ამ შემთხვევაში ერთად-ერთი გამონაკლისი არ ყოფილან, რომ მსგავსი მოვლენა შეინიშნება არა მარტო აღმოსავლეთის, არამედ დასავლეთ ევროპის ზოგ ამქრულ ორგანიზაციაშიც. ამას გარდა, ასეთი, მხოლოდ ზოგად სქემებსა და საფრთხილო ანალოგიებზე დამყარებული მსჯელობა, რომელსაც არაერთი კონკრეტული მასალა თან არ ახლავს, მეთოდოლოგიურად მცდარია და, ცხადია, შეუძლებელია გაზიარებულ იქნეს (ალ. ფირცხალაიშვილის შენიშვნებზე ჩემი პასუხი იხ. იქვე, „მიმომხილველი“, II, გვ. 489—495).

როგორც დავით ბატონიშვილის ცნობიდან ჩანს, საქართველოს ქალაქებში უცხო ქვეყნიდან მოსულ ხელოსნებს არ ეკრძალებოდათ თავიანთი სახელოსნოების გამართვა, მაგრამ ისინი უნდა გაერთიანებულიყვნენ ამქრებში და ეხადათ სათანადო საქალაქო გამოსაღებები[304]. ასე რომ, არსებითად უკრძალავდნენ ხელოსნობისა და ვაჭრობის წარმოებას ყველა იმათ, ვინც ადგილობრივ ამქრებში არ გაერთიანდებოდნენ და არ დაემორჩილებოდნენ მათ რეგლამენტაციას. ამგვარი მისწრაფება ამქრებისათვის დამახასიათებელი იყო არა მარტო XIX ს. 40-იან წლებში, როგორც ს. ეგიაზაროვი მიუთითებდა[305], არამედ მთელ გვიანფეოდალურ ხანაშიც. ამქრის მსგავსი ეკონომიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, მათი ბრძოლა სოფლიდან მოსულ ყმა ხელოსანთა გაერთიანებისათვის ამქრებში XVII—XVIII სს. და ბრძოლა ებრაელ ხელოსანთა წინააღმდეგ XIX ს. 40—50-იან წლებში და სხვ.

გვიანფეოდალური ხანის ქართული ამქრები მტკიცედ განსაზღვრავდნენ აგრეთვე ამა თუ იმ ამქრის საქმიანობას, მისი პროდუქციის სახეებს, ვაჭრობის უბნებსა და სხვ. აღსანიშნავია, რომ XIX ს. პირველი ნახევრის ანონიმი ავტორის ცნობით, თბილისის სხვადასხვა ამქრის ოსტატებს შორის ისე მტკიცედ იყო განსაზღვრული სამუშაოთა სახეები, რომ მაგ., დურგალი არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა ხელი მოეკიდა იმ სამუშაოსათვის, რომელიც ხუროს სპეციალობას შეადგენდა, თუნდაც მის შესასრულებლად სულ რამდენიმე წუთი ყოფილიყო საჭირო[306].

მსგავსი რეგლამენტაცია დამახასიათებელი იყო ვაჭართა ამქრისთვისაც. ადგილობრივი ქალაქის ბაზარზე კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით, ამქარი იბრძოდა არა მარტო თავის წევრთა ურთიერთშეთანხმებისათვის, არამედ მონათესავე დარგის ამქართან საერთო ენის გამონახვისა და საერთო რეგლამენტაციის დაწესებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თბილისელ მეწვრილმანეთა და მესანთლეთა ამქრების 1794 წ. პირობის წიგნი. მეწვრილმანეებს, რაკი მათს ერთ-ერთ უმთავრეს სავაჭრო საქონელს სანთელიც წარმოადგენდა, რომელსაც მესანთლე ხელოსნები აკეთებდნენ, საჭიროდ მიუჩნევიათ, სანთლით ვაჭრობის ორივე ამქრისათვის სავალდებულო რეგლამენტაცია

---

[304] Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н: II, § 1009.

[305] С. Егиазаров, Городские цехи, с. 19.

[306] იხ. Сб. Газ. «Кавказ», 1846, г., зз. 267.

შემოეღოთ. „პირობის წიგნის“ მიხედვით, ორივე ამქარს ეკრძალებოდა კვირა დღეს რაიმეს გაყიდვა, ამას გარდა, მესანთლეებს ეკრძალებოდათ საღამოს ლოცვის გამოსვლამდე, ან კიდევ მის დაწყებამდე სანთლის გაყიდვა[307].

აღსანიშნავია, რომ თუკი ბაზარზე ამა თუ იმ ამქრის სხვა კონკურენტიც გამოჩნდებოდა, რომელიც „მათი ხელობის საქონელს“ ჰყიდდა, ამქარი მის წინააღმდეგ ერთიანი ძალით უნდა გაშოსულიყო ან ეცადა მასთან საერთო ენა გამოენახა: „რომელიც ჩვენი ხელობის საქონელს ყიდდეს, იმასაც ერთობით ველაპარაკოთ“ — ნათქვამია მეწვრილმანეთა ამქრის 1799 წ. წესდებაში[308]. ადგილობრივი ბაზრის მაქსიმალურად გამოყენებისათვის ბრძოლასთან ერთად ამქრები სასტიკად ებრძოდნენ შინაგან, ამქრის წევრთა შორის კონკურენციას. ამ მიზნით, ისინი მიმართავდნენ ურთიერთშეთანხმებით ვაჭრობის რეგლამენტაციას. ამქრის ყოველი ჩვენთვის ცნობილი წესდება უმთავრესად ვაჭრობის ეგალიტარული რეგლამენტაციისადმია მიძღვნილი. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას მეწვრილმანეთა ამქრის წესდება იძლევა, სადაც ნათქვამია: „ვინც რომ იცოდეს თავისი ჰამქრის საქონელი მიუყიდნია და ის საქონელი უკან მააცემინოს და თითონ მიყიდოს, იმის ნახევარი ფასი წაერთოსო“. როგორც ჩანს, ამქრის წევრს ეკრძალებოდა თავისივე ამქრის წევრისათვის ვაჭრობაში კონკურენცია გაეწი.ა ასევე, მეწვრილმანეთა ამქრის წევრს ეკრძალებოდა „მალვით საქონელი ეყიდა“; ამ შემთხვევაშიც მას საქონლის ნახევარი წაერთმეოდა. სავაჭრო საქონელი მეწვრილმანეთა ამქარს ერთად უნდა შეეძინა: „რაც საწვრილმანო მოვიდეს, ცოტა თუ ბევრი, საერთოდ უნდა ვიყიდოთ“ — ნათქვამია წესდებაში. საერთოდ ნაყიდი საქონელი შემდეგ, თითოეულის მიერ შეტანილი თანხის მიხედვით, ამქრის წევრთა შორის ნაწილდებოდა; ამქრის ყოველ წევრს ეკრძალებოდა კვირა დღეს ვაჭრობა. ასევე, ამქრის ცალკეულ წევრს უფლება არ ჰქონდა მოლაპარაკება ეწარმოებინა იმ ვაჭართან, რომელიც საწვრილმანო საქონელს მეწვრილმანეთა ამქარს ბითუმად კი (оптом) არ მიყიდდა, არამედ თვით მოინდომებდა მის „წვრილად ყიდვას“. ასეთ შემთხვევაში მთელ ამქარს უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკება ვაჭართან[309].

---

[307] შ. მ ე ს ხ ი ა, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III, გვ. 149.

[308] იქვე, გვ. 147.

[309] იქვე.

მსგავსი ეგალიტარული რეგლამენტაციები გვხვდება მეწვრილმანეთა და მესაქონლეთა ამქრების „პირობის წიგნშიც“. იგი დამახასიათებელი იყო აგრეთვე იუველირთა ამქრისთვისაც; წესდებაში სხვათა შორის ნათქვამია: „თუ ვინმე ერთი ოსტატიდან იღებს ვერცხლს, ოქროს, ან ძვირფას ქვებს... მეორე ოსტატისადმი მისაყიდად ან შესაკვეთად, არავის ჰქონდა უფლება აშკარად თუ მალულად გამოეცვალა იგი და ამით გაუგებრობა შეექმნა თავის პროფესიულ ამხანაგებთან“[310]. ცაჭროზის რეგლამენტაციისადმი მიძღვნილია აგრეთვე ქუთაისელ მეპურეთა ამქრის 1871 წ. წესდების ზოგიერთი მუხლიც. „ერთმა მეორეს ქუჩაში პური არ შეუტანოთ გასასყიდად — და არც ერთმანეთს მიკიტანი წავართვათ პურის მომატებით — უკეთუმცა მოუმატოს, ერთი ოქრო გარდაიხადოს“[311].

შინაგანი კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით იყო შეტანილი ამქრის წესდებებში სათანადო მუხლები შეგირდის, დაქირავებული მუშის („მოჯამაგირის“) გადაბირების, ამქრის დაუკითხავად დუქნის ქირის მომატების, ახალი დუქნის გახსნისა და სხვათა აკრძალვის შესახებ.

ყველა ზემოხსენებულ ეგალიტარულ რეგლამენტაციათა დამრღვევებს ამქარი სასტიკ ბრძოლას უცხადებდა არა მარტო ჯარიმებით, საჯარო გაკიცხვით და ამქრიდან გაგდებით, არამედ მთელ ქალაქში საყოველთაო ბიოკოტის გამოცხადებით.

ასე რომ, ქართული გვიანფეოდალური ამქრული წყობისათვის ცნობილი იყო როგორც ადგილობრივი ბაზრის დაუფლებისათვის, ასევე შინაგანი კონკურენციის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვაგვარი მეთოდები. ს. ეგიაზაროვი და ქართული ამქრული წყობის ზოგი სხვა შემსწავლელნი ვერ ხედავდნენ ამიერკავკასიის ამქრების (მაშასადამე, ქართულისაც) ეკონომიკური პოლიტიკის ამ უმთავრეს პრინციპებს და უარყოფდნენ ამქრებს შორისა და მის წევრთა შიგნით მონოპოლიზაციის და კონკურენციის არსებობას. ს. ეგიაზაროვის მტკიცებით, მონოპოლიზაცია მხოლოდ ჩანასახის ფორმით შეიძლება შენიშნულ იქნეს ა/კავკასიის ამქრებში და ისიც XIX ს. 40—50-იანი წლებიდან[312].

ამქრული ორგანიზაციების ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარეობდა აგრეთვე მისი „ზრუნვა“ მომხმარებლის ინტე-

---

[310] Լուսաւ, მუხ. г.

[311] შ. მ ე ს ხ ი ა, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ТИЭ, III, გვ. 151.

[312] С. Е г и а з а р о в, Городские цехи, გვ. 240, 244.

რესებისათვის. ამქრის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეალიზატორები, როცა ამქრის დადებით მხარეებზე ლაპარაკობდნენ, ყოველთვის მიუთითებდნენ იმ ღონისძიებებზე, რომელსაც ამქარი იღებდა მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად, მათი ნაწარმის შესაძლებელი მაღალი ხარისხისათვის და ამას მომხმარებლისა და მწარმოებლის „ინტერესთა ერთიანობით“ ხსნიდნენ. ქართულ წესდებებში შეტანილია სათანადო მუხლები, რომელიც თითქოს მომხმარებლის ინტერესებს იცავს; მაგ., იუველირთა ამქრის წესდებით, სასტიკად ისჯებოდა ამქრის ყველა ის წევრი, რომელიც შემჩნეული იქნებოდა დამკვეთის ოქროს, ვერცხლის თუ ძვირფას თვალთა მოპარვაში, მათ შეცვლაში უფრო ნაკლები ხარისხის ოქროთი და ვერცხლით და სხვ. ეს ქურდობის თანაბარ დანაშაულად იყო მიჩნეული[313]. ნაწარმის ხარისხის მსგავსი რეგლამენტაცია დამახასიათებელი იყო, როგორც დავით ბატონიშვილის ცნობიდან ჩანს, ხელოსანთა ამქრებისთვის საერთოდ გვიანფეოდალურ ხანამიც. იგი წერდა: „როდესაც ხელოსანი გააფუჭებს აღებულ სამუშაოს, მაშინ შეიკრიბებიან ცეხის უხუცესები და უფროსი ოსტატები, ნახავენ გაფუჭებულ სამუშაოს და ხელოსანს აიძულებენ გადაუხადოს პატრონს და სამუშაო რჩება ხელოსანს. თუ ვინმე ოსტატთაგან შემჩნეულ იქნება შეკვეთილი მასალის ქურდობაში, მაშინ მას გადახდება მთელი ნაქურდალი და მისი საფასური ჯარიმის სახით ხაზინაში უნდა შეიტანოს“[314]. ბრძოლა ნაწარმის მაღალი ხარისხისათვის, მომხმარებელთა დაკვეთების კეთილსინდისიერად შესრულებისათვის, ცხადია, შეუძლებელია აიხსნას მწარმოებლისა და მომხმარებლის „ინტერესთა ერთიანობით“, რომელიც არც შეიძლებოდა არსებულიყო; ამქარს ამ შემთხვევაში მომხმარებელთათვის „ზრუნვა“ კი არ აწუხებდა, არამედ საკუთარი ინტერესები — ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებებისადმი შეგუება. არსებული ტექნიკური მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობა და ნაწარმის ცუდი ხარისხი, ცხადია, მას ადგილობრივ ბაზარს დააკარგვინებდა.

ამქრების ეკონომიკურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ფასების რეგლამენტაციას. ახვერდოვისა და შანშიევის მიხედვით ტაქსაცია ძველიდანვე განმტკიცებული ყოფილა ამქრულ ცხოვრებაში; მაგრამ მათი აზრით, ფასების რეგლამენტაცია მხოლოდ იმ ამქრებში იყო მიღებული, რომელნიც უმთავრესად სურ-

---

[313] Լուսաj, მუხ. r.

[314] Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н: II, §§1010—1011.

სათ-სანოვაგით ვაჭრობდნენ[315]. ს. ეგიაზაროვი, რომელსაც, ისე როგორც ახვერდოვსა და შანშიევს, ფასების რეგლამენტაციის არსებობის შესახებ არავითარი საბუთი არ გააჩნდა, ზემომოტანილ მოსაზრებებს მაინც სარწმუნოდ მიიჩნევდა და სწორედ ამაში — ფასების რეგლამენტაციაში, ახვერდოვთან ერთად, ხედავდა ამქრული ორგანიზაციების ძოღვაწეობის ერთ-ერთ დადებით მხარეს. ს. ეგიაზაროვის აზრით, ამქრები თავიანთი ამგვარი პოლიტიკით იბრძოდნენ ფასების აწევის წინააღმდეგ ამა თუ იმ ქალაქში[318].

ამქრის აშკარა მოწინააღმდეგენი, მათ შორის გ. იზმიროვი, მიუთითებდნენ, რომ ხელოსნურ ნაწარმზე საქართველოს ქალაქებში ნიხრი არასოდეს წესდებოდა, მაშასადამე, ამქარს ამ მხრივ რაიმე გარკვეული დადებითი როლის შესრულება არ შეეძლო[317]. რა თქმა უნდა, ცდებოდა იზმიროვი, როცა ფასების რეგლამენტაციის არსებობას უარყოფდა ქართულ ამქრებში, მაგრამ ის მაინც მართალი იყო ამქრის მოღვაწეობას ამ მხარის საერთო შეფასებაში.

ზემომოტანილი მასალები, კერძოდ, „თბილისის მოურავის სარგო“ და სხვა, ნათლად გვიჩვენებენ, რომ ქალაქის ფეოდალური მმართველობა ამ მხრივაც აქტიურად ერეოდა ამქრის ცხოვრებაში; თბილისში ნიხრს სურსათ-სანოვაგით მოვაჭრე ამქრებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალაქის მოურავი უწესებდა, გორში ქედხუდები, კახეთ-ქიზიყის ქალაქებში კი (თელავი, სიღნაღი) „ნიხრი ვაჭრისა“ კახეთ-ქიზიყის ნაცვალს უნდა გადაეჭრა[318]. ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი მითითება იმის შესახებ წესდებოდა თუ არა ნიხრი, სურსათ-სანოვაგის გარდა, სხვა საქონელსა და ხელოსნურ ნაწარმზე, მაგრამ არაპირდაპირი ცნობები შესაძლებლობას გვაძლევენ, რომ ფასების რეგლამენტაცია გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში საერთო მოვლენად მივიჩნიოთ. მეფის მიერ ამქრის უსტაბაშად დანიშნული პირები, მაგ., ბაზაზბაშები, მეწვრილმანეთა უსტაბაშები და სხვ., ფაქტობრივად მეფის მოხელეებს წარმოადგენდნენ; სამეფო ხელისუფლებას შეეძლო ამ შემთხვევაშიც ამქრებისათვის ეკარნახა თავისი ინტერესები და აეძულებინა სათანადო ამქართა უსტაბაშები, რომ მათ მიერ გასაყიდად გამოტანილ საქონელზე სათანადო ნიხრი დაეწესებინათ. ჩვენს ამ მოსაზრე-

---

[315] იხ. Ю. Ахвердов, Тиф. амкары, გვ. 10; Шаншиев, Два слова об амкаре, გვ. 16—17.

[316] С. Егиазаров, Городские цехи, გვ. 21; შდრ. იქვე, გვ. 195—197.

[317] იხ. ГМГ, Н: Ros. 296, გვ. 48—49.

[318] საქ. სიძველენი, III, გვ. 137, § 29.

ბას ნაწილობრივ მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ ამქრის უსტაბაშებს, იოანე ბატონიშვილის მიხედვით, არა მარტო ქალაქის ბაზრის სხვადასხვა საქონლით უზრუნველყოფისათვის უნდა ეზრუნათ, არამედ სათანადო საქონელზე ნიხრიც უნდა დაეწესებინათ. იოანე ბატონიშვილის პროექტით, რომელიც ნაწილობრივ XVIII ს. მიწურულის ქართლ-კახეთის სამეფოში არსებულ სინამდვილესაც ასახავდა, ქალაქებში სირაჯბაშის „დაკითხვით და ფასდადებით იყიდებოდეს ღვინო... არაყი და სხუა სასმელები"; ჩორქჩიბაში „უწესებდეს ფასს" მეპურეებს; სირაჯების უსტაბაშის დაფასებით გაიყიდებოდეს „სამხედრო იარაღი, უნაგირი, თოქალთო და ცხენის იარაღი"; ხარაზების უფროსის „დაფასებით ისყიდებოდეს ქოში, წუღა, წაღათე" და სხვ. ამგვარადვე უნდა იქცეოდნენ, იოანე ბატონიშვილის მიხედვით, მექუდეთა, ქურქჩების (მებეწვეულენი), მკერვალთ, ნალბანდების უსტაბაში, ბაზაზბაში, რომელიც ფასს უნდა დაადებდეს მაუდს, ფარჩას, ჩითს, ლეინს, ბამბას, მატყლს და სხვა საბაზაზო საქონელს, მექვაბეების უსტაბაში, ოქრომჭედლების, მესანთლეების, კალატოზების, მეჭურჭლეების, მხატვრების, ყაზაზების (ძაფის, ბაბთის, ზონარის და სხვ. მკეთებელნი), დაბაღების, მღებრების ქვისმთლელების და სხვათა უსტაბაშები[319].

როგორც ჩანს, საქონელზე ფასების რეგლამენტაციას აწარმოებდა არა მარტო სამეფო ხელისუფლება, არამედ თვით ამქრებიც. ამაში ჩვენ მოტანილ მასალებს გარდა ისიც გვარწმუნებს, რომ ზოგი ამქრის წესდებებით, ამქრის წევრებს ეკრძალებოდათ ამა თუ იმ ხელოსნური ნაწარმის დაწესებულ ფასსზე ნაკლებად გაყიდვა. მაგ., ქუთაისელ მეპურეთა ამქარი კრძალავდა ამქრის რომელიმე წევრს „პურის მომატებით" ე. ი. უფრო მეტი პურის მიცემით (ან კიდევ ნაკლებ ფასად გაყიდვით) მუშტარი გადაებირებინა, მეორე წევრისათვის წაერთმია. ასე რომ, გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში ფასების რეგლამენტაცია საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა. სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლები ქალაქებში, ასევე თვით უსტაბაშებიც ვალდებულნი იყვნენ თვალყური ედევნებინათ ფასების რეგლამენტაციის დაცვისათვის. „თბილისის მოურავის სარგოს" მიხედვით, ყველა ამქარი, რომელიც მიცემულ ნიხრს დაარღვევდა, ჯარიმდებოდა. ასევე, ნიხრის დარღვევისათვის ჯარიმდებოდნენ ამქრები გორშიაც. სამეფო მოხელეები, ამქრის უსტაბაშებთან ერთად, თვალყურს ადევნებდნენ აგრეთვე, როგორც ზემოთ

---

[319] ГМГ, ф. И 2155, лл. 9—13.

აღვნიშნეთ, სხვადასხვა წონა-ზომის ერთეულის სისწორესა და საქონლის ხარისხსაც. ასე რომ, სამეფო ხელისუფლება და ამქრის უსტაბაშები ფასების რეგლამენტაციით და მასზე დაწესებული კონტროლით ცდილობდნენ, ერთი მხრივ, ამქრის ეკონომიკური პოლიტიკა შეეთანხმებინათ სამეფო ხელისუფლების ეკონომიკურ ინტერესებთან და მეორე მხრივ, უზრუნველეყოთ ამქრებისა და მომხმარებელთა ინტერესების იმგვარად „შეთანხმება", რომ ამქრებს შესაძლებლობა ჰქონოდათ ადგილობრივი ბაზრის მაქსიმალურად ათვისებისა.

მაგრამ ამქართა და სამეფო ხელისუფლების მიერ შემოღებული ფასების რეგლამენტაციას არ შეიძლებოდა ისეთი მნიშვნელობა ჰქონოდა, როგორსაც მას მიაწერენ ამქრული წყობის იდეალიზატორები ფასების შექმნაში (ценообразования). ჯერ ერთი, ფასების რეგლამენტაცია ვერ სპობდა ღირებულების კანონის მოქმედებას. ცხადია, ღირებულების კანონი მოქმედებდა სასაქონლო წარმოების პირობებში შუა საუკუნეების ქალაქებში.

ამას გარდა, სამეფო ხელისუფლების მიერ შემოღებული რეგლამენტაცია ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდა ამქრის ინტერესებს; თვით ამქრებისა და მეფის მოხელეთა მიერ შემოღებული რეპრესიები საკმარისი არ ჩანდა ფასების რეგლამენტაციის შენარჩუნებისათვის. ყოველივე ეს კი იწვევდა მის დარღვევას, რაც არც ისე იშვიათი იყო გვიანფეოდალურ ქალაქებში.

ძირითადად ამქრის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარეობდა აგრეთვე მისი ზნეობრივი რეგლამენტაციებიც. ამქრის წევრთა ურთიერთშორის პატივისცემის შესახებ, „დიდისა და პატარის" გარჩევის, უფროსუმცროსობის გრძნობის, უფროსისადმი განსაკუთრებული პატივისცემის შესახებ ლაპარაკია ამქრის ყოველ, ჩვენთვის ცნობილ წესდებაში. მეწვრილმანეთა ამქრის 1799 წ. წესდების პირველ მუხლში ნათქვამია: „ჩვენში დიდი დიდათ უნდა იყოს და პატარა პატარათ და ერთმანეთის წინააღმდეგ არ უნდა ვიყვნეთ". ამგვარადვე მეორდება მეწვრილმანეთა და მესანთლეთა ამქრების საერთო პირობის წიგნში[320]. უფროსისა და უმცროსის ურთიერთპატივისცემაზე საგანგებო მუხლებია მიძღვნილი იუველირთა ამქრის წესდებაშიც; ასევე, აქვე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლას, ამქარის შიგნით შინაგანი სიმშვიდისა და ურთიერთსიყვარულის დაცვის საკითხებსა და სხვ. დასკვნის სახით, იუველირთა ამქრის

---

[320] შ. მ ე ს ხ ი ა, ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, III, გვ. 147. 149.

წესდება წერდა: „როგორც საზოგადოება, ასევე ოთხი ხელმძღვანელი ვალდებული იყო ყველაფერი ეღონათ იმისათვის, რომ ყველა ერთმანეთთან დაკავშირებულნი ყოფილიყვნენ მშვიდობიანობისა და სიყვარულის გრძნობით“[321]. ამქრის წევრთა შორის ურთიერთპატივისცემასა და უფროსუმცროსობის დაცვას ქადაგებდა აგრეთვე ქუთაისელ მეპურეთა ამქრის წესდებაც: „თუმცა დაულოცავმა კაცმა დაულოცვილს ოსტატი შეაგინოს, ამ კაცმა გარდაიხადოს ერთი ოქრო“... „ეგრეთვე, ვინც ამქარში წინააღმდეგობა გასწიოს, ამ წესისამებრ დაისაჯოს“[322].

ბრძოლა ამქრის შიგნით ზნეობრივი რეგლამენტაციის დაცვისათვის, ცხადია, ნაკარნახევი იყო გარკვეული ინტერესებით; ამქარი, შინაგანი მთლიანობის დაცვით, ცდილობდა შეენარჩუნებინა ერთიანი ფრონტი აგრეთვე მის კონკურენტთა წინააღმდეგ ადგილობრივ ბაზრისათვის ბრძოლაში. ამქრის შინაგანი ერთიანობის, ამქრის წევრთა ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით დიფერენციაციის წინააღმდეგ ბრძოლას ისახავდა მიზნად ამქრის სალაროც. წესდებებით მტკიცედ იყო განსაზღვრული, თუ რაზე დახარჯულიყო ის შემოსავალი, რაც ამქრის სალაროს ჰქონდა სხვადასხვა ჯარიმებიდან თუ შესატანებიდან. ამ მხრივ საინტერესო ცნობას იუველირთა ამქრის წესდება იძლევა. იუველირთა წესდების მიხედვით, თუკი ამქრის წევრი მოხუცებულობისა და ავადმყოფობის გამო მუშაობას ვერ შეძლებდა, თუ მას არ ჰყავდა შემნახველი და მით უფრო. თუკი თვით ბავშვები ეყოლებოდა, ამქარს თავისი სალაროს ხარჯით ზამთრის მკაცრ დღეებში, ქრისტეს დაბადების დღეს, და სხვ. უნდა მიეტანა პური, შეშა, ნახშირი და ასევე ფულიც.

თუკი ამქრის წევრთაგანი გარდაიცვლებოდა სიღარიბეში, ამქარი ვალდებული იყო სალაროდან გაეღო სათანადო თანხა მისი წესიერად დამარხვისათვის, ამქრის სალარო ერთგვარ დახმარებას უწევდა ამქრის წევრს მაშინაც, როცა იგი სათანადო ნედლეულს იძენდა და საამისო თანხა არ გააჩნდა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთგვარი სესხი იყო. ამას გარდა, თუ ამქრის ამა თუ იმ წევრს ვინმე მოუკვდებოდა, ან დაენგრეოდა სახლი, თუ სხვა სტიქიური უბედურება ეწეოდა, ამქრის სალარო დაზარალებულს სათანადო დახმარებას აღმოუჩენდა. ამქრის სალაროდან მიდიოდა ერთგვარი ერთდროული გამოსაღებიც, რომელსაც ქალაქის მმართველობა

---

[321] Լուսաւ, მუხ. A_1 შდრ. იქვე, მუხ. г, щ და სხვ.

[322] შ. მ ე ს ხ ი ა, იქვე, გვ. 151.

ამქარს გააწერდა — ეკლესიების თუ სხვა საზოგადო ნაგებობათა მშენებლობისათვის და სხვ. საჭიროებისათვის. ამქრის სალარო, იუველირთა წესდების მიხედვით, თანაბრად ემსახურებოდა ამქრის როგორც „უფროს, ასევე უმცროს წევრს, ღარიბს თუ მდიდარს“[323].

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ამქრის სალაროს, ზემოდასახელებულს გარდა, სხვა ამოცანებიც ეკისრებოდა; იგი ამქრის წევრთა შორის ფულის გამსესხებელიც იყო. ამქრის წევრი თუკი სესხად მიღებულ ფულს რამდენიმე დღეში, ან ერთ კვირაში დააბრუნებდა, მხოლოდ მცირეოდენ პროცენტს გადაიხდიდა, კერძოდ, სალაროდან მიღებული სესხით მოგებულ ყოველ ხუთ მანეთში „საჩუქრად“ სალაროს 1 აბაზს აძლევდა. სალაროს ფული ამქრის წევრის ხელში 2 კვირაზე მეტს არ უნდა გაჩერებულიყო. მაგრამ თუ მოვალე შეძლებული და სანდო კაცად იყო ვიჩნეული, მას შეიძლებოდა ფული, სათანადო ვექსილით და გირაოთი (5—10 თუმნის ღირებულებისა), ერთი თვეც ჰქონოდა, ოღონდ ამ შემთხვევაში იგი ჩვეულებრივ პროცენტს გადაიხდიდა[324]. როგორც ჩანს, სალარო თავის თითქოსდა ძირითად პრინციპს — ამქრის წევრებისადმი უანგარო დახმარების პრინციპს — ღალატობდა. ჯერ ერთი, ამქრის ღარიბ წევრს იგი ფულს 1 თვითაც კი სესხად არ მისცემდა, ამას გარდა, დახმარების სახით სესხად გაცემულ ფულზე თვით ამქრის წევრებისგანაც სათანადო პროცენტს იღებდა.

ამქრის სალაროს ვახშური ინტერესები ამითაც არ ამოიწურებოდა. იუველირთა ამქრის წესდებაში საგანგებოდ, ცალკე მუხლად შეტანილი იყო: „როდესაც ღვთის წყალობით და საზოგადოების სრული თანხმობით საზოგადოებრივი სალაროების თანხა დიდდება, შესაძლებელი ხდება მისი პროცენტზე გაცემა“[325]. ასე რომ, ამქრის სალარო ფულის გასესხებას არა მარტო ამქრის წევრებზე, არამედ საერთოდ სხვა პირებზედაც ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევდა. იუველირთა ამქრის წესდება საკმარისად თვლიდა სალაროში მხოლოდ 5—10 თუმანი დაეტოვებინა სხვადასხვა აუცილებელი საამქრო საჭიროებისათვის, ხოლო დანარჩენი სეს-

[323] Ადგილი, მუხ. C. § а, в, г, д, е; ამქრის სალაროს მსგავს ფუნქციათა შესახებ იხ. ავრეთვე Г. Измиров, Несколько замечании, «Зак. Вестник», 1850, №51; О тиф. цехах, «Кавказ», 1850, № 93; Сб. Газ. «Кавказ», с. 265; Н. Державин, Следы..., с. 287; С. Егиазаров, Городские цехи, с. 213—216.

[324] Ადგილი, მუხ. с, § д.

[325] იქვე, მუხ. Т.

ხად გაეცა. თუ გავიხსენებთ იმას, რომ ამქრის სალაროები ჩვეულებრივ საკმაოდ დიდ თანხას უყრიდნენ თავს (მაგ., მეტყაველების ამქრის სალაროს 500 მან. ვერცხლით ჰქონია XIX ს. შუა წლებში), ადვილად დავინახავთ, რომ ამქრის საზოგადო შემოსავლის დიდი უმეტესობა სავახშო მიზნებისათვის იყო გამოყენებული. ცხადია, იუველირთა ამქარი ვამონაკლისი არ იყო. თვით ის ფაქტი, რომ სალაროს თანხის სხვადასხვა პირებზე სესხად გაცემის შესაძლებლობის შესახებ სათანადო მუხლი იყო შეტანილი ამქრის წესდებაში, თავისთავად მიგვითითებს, რომ სალაროების ამგვარი მოღვაწეობა გვიანფეოდალური ამქრების ცხოვრებაში ჩვეულებრივ მოვლენად იყო მიჩნეული.

ამრიგად, ამქრის სალარო უფრო სავახშო დაწესებულებად იყო გადაქცეული, ვიდრე ამქრის წევრთა ურთიერთდამხმარე ორგანიზაციად. ამქარი თავისი ვახშური მოღვაწეობითაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქალაქო ცხოვრებაში და ამითაც ავლენდა პროკაპიტალისტური ტენდენციის კიდევ ერთ მხარეს. ამქრის წესდებათა მიერ შემოღებული ზნეობრივი რეგლამენტაცია, თვით სალარო და სხვა, არ გამორიცხავდა ამქრის წევრთა სოციალურ-ეკონომიკურ დიფერენციაციას, პირიქით, სალაროს მევახშეობა ზოგჯერ კიდეც ხელს უწყობდა მას. ამქრის წევრთა სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაცია შორს იყო წასული გვიანფეოდალურ ხანაში. ჯერ ერთი, ამქარი აერთიანებდა არა მარტო თავისუფალ, არამედ სხვადასხვა სახის მებატონეთა (მეფე, ეკლესია, კერძო მებატონეები), სხვადასხვა ეკონომიკური შეძლების ყმებს. იგი ვერ სპობდა, ცხადია, როგორც ამქრის წევრთა სოციალურ, ასევე ეკონომიკურ უთანასწორობასაც. ამქრის წევრთა შორის, როგორც ეს იუველირთა წესდებიდან ჩანს, ჩვეულებრივი იყო „მდიდარი და ღარიბი". მდიდრები, როგორც იმავე წესდებიდან ჩანს, ხშირ შემთხვევაში გარკვეული უპირატესობითა და განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდნენ. დაძმახასიათებელია, რომ 1797 წ. დანახარჯთა ნუსხაში 17-ჯერ დასახელებულია, კალატოზთა და მათ შეგირდთა გვერდით, „დიდი კალატოზის შაგირდი" ე. ი. შეგირდი კალატოზისა, რომელიც დიდად იყო წოდებული. ასე რომ, უბრალო ხელოსანთა, კალატოზთა გვერდით „დიდებიც" იყვნენ, რომელნიც ამქრის სხვა წევრებისაგან თავიანთი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობით გამოირჩეოდნენ[326]. წესდებების მიერაც ამქრის დაყოფა „დიდ" და „პატარა" წევრებად („დიდი დიდათ უნდა იყოს და პატარა პატარათა"), რა თქმა უნდა, ამქრის წევრთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარე-

[326] ГМГ, ფ. Hd: 14716.

ობაზე იყო დამყარებული და არა ასაკობრივ უმცროსუფროსობაზე.

ამქართა უმეტესობას სათავეში სწორედ ეს მდიდრები და გავლენიანი პირები ედგნენ. ჰართალია, წესდება თითქოს ყურადღებას არ აქცევდა ამქრის უსტაბაშის და სხვა ხელისუფალის არჩევის დროს მის სიმდიდრეს თუ ასაკს, მაგრამ ამქრის ნორმები ამ შემთხვევაშიც ჩვეულებრივ ირღვეოდა. მაგ., ზემოხსენებული ბაზაზების უსტაბაში კაკალა იფრუმოვი პირველ მოქალაქეთა შორის იყო აღრიცხული[327]. ასევე, პირველ მოქალაქეთა სიაში იყო ზოჰრაბოვთა საგვარეულოც, რომლის წარმომადგენელიც გიორგი XII-ის მიერ ხელმეორედ პეწვრილმანეთა უსტაბაშად დაინიშნა[328]. ქალაქის მოსახლეობის ზედა, პრივილეგირებული ფენის, ე. წ. მოქალაქეთა წარმომადგენლები სათავეში ედგნენ არა მარტო ვაჭართა, არამედ ხელოსანთა ამქრებსაც. მაგ., 1803 წ. დანახარჯთა ნუსხას სხვათა შორის ემოწმებიან: „მოქალაქე კალატოზების უსტაბაში გოგია კოტოვი“, „მოქალაქე ხუროების უსტაბაში ხურო პაპა ონანოვი“[329]. ამქრის „დიდ“ (მდიდარ) და „პატარა“ (ღარიბ) წევრებს, ისე როგორც ამქრის სათავეში ჩამდგარ მოქალაქეებსა (ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენლებსა) და იმავე ამქრის წევრ ყმა ხელოსნებს, ცხადია, ერთნაირი ინტერესები რომ ექნებოდათ. ასე რომ, ქართულ ამქრებს შიგნით ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ არა მარტო ოსტატი და შეგირდი, არამედ ოსტატი და მისი „ამხანაგი“, მდიდარი და ღარიბი ოსტატი, მოქალაქე და ყმა ხელოსანი. ამქრის ამგვარი შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციით და აქედან გამომდინარე ამქრის წევრების ინტერესთა სხვადასხვაობით აიხსნება უმთავრესად ისიც, რომ ამქრული ორგანიზაციები გვიანფეოდალურ საქართველოში ვერ იქცნენ ქალაქების ფეოდალურ-ბიუროკრატიული მმართველობის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით მებრძოლ აქტიურ ძალად.

* * *

ერთი დარგის ხელოსნები თუ სხვა პროფესიის წარმომადგენლები საქართველოს ქალაქებში, უმთავრესად ერთ უბანში,

---

327 ЦГИАГ, ф. 1, д. 193, л. л. 16—19, № 39.

328 იქვე, № 59.

329 ЦГИАГ, ф. Канц. МВД, Д. 32—40, опис 1447, 1803 г., л. 257.

კვარტალში ან კიდევ მახლობელ კვარტალებში იყრიდნენ თავს. რამდენადაც ამქრები ერთი დარგის ხელოსანთა თუ სხვა პროფესიის წარმომადგენელთა გაერთიანებას შეადგენდნენ, ამდენად ყოველ ამქარს ამა თუ იმ ქალაქში თავისი უბანი, კვარტალი ან კიდევ რიგი ჰქონდა. ევროპელი თუ სხვა უცხოელი მოგზაურები, რომელნიც საქართველოს ქალაქებში ყოფილან, საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ამ ერთ-ერთ ნიშანს ყოველთვის ხაზს უსვამდნენ. გვიანფეოდალური ხანის მასალები არაერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის ამა თუ იმ დარგის ხელოსანთა ამქრის ამა თუ იმ უბანში, თუ რიგებში თავმოყრის შესახებ. XVII—XVIII სს. საბუთებში ხშირად გვხვდება „სამღებროს უბანი"[330], „მჭედლების უბანი"[331], „ზარაფხანის უბანი"[332], ან კიდევ „ბაყლების რიგი"[333], „მეხაშეების რიგი"[334], „ოქრომჭედლების ბაზარი"[335] და სხვა მისთანანი. მაგრამ ამა თუ იმ ხელობის წარმომადგენელთა რიგების თუ უბნების აღსანიშნავად უფრო სპარსული „ხანე" ანუ „ხანა" იხმარებოდა და ამის მიხედვით იწარმოებოდა ამა თუ იმ დარგის ხელოსანთა რიგების სახელიც. მაგ., XVII—XVIII სს. საბუთებში მრავლად გვხვდება: „ქუზა ხანა", „სარაჯხანა", „ალაფხანა", „ყასაბხანა", „ჭონხანა", „ხარაზხანა", „ჩითხანა", „წუღადხანა", „ზემობაზაზხანა", „პატარა ხარაზხანა", „დაბახანა", ქვემო ბაზაზხანა", „მჭედელხანა", „ქულქჩიხანა", „ღილახანა", „აგურხანა"[336] და სხვ. მისთანანი.

ხელოსანთა ამქრების გარკვეულ რიგებად, უბნებად დანაწილება დიდხანს დარჩა საქართველოს ქალაქებში. მაგ., თბილისში ხელოსნები ცალკე უბნებად თავმოყრილნი იყვნენ მთელი XIX ს. განმავლობაში და ამგვარი ცხოვრების გადმონაშთი დღესაც შერჩენია ზოგ ქუჩას მათი სახელწოდებების სახით.

საქართველოს ქალაქებში ამქართა ცალკეულ უბნებსა თუ რიგებში თავმოყრას თავისი გარკვეული მიზანი ჰქონდა: უფრო ადვილად შეიძლებოდა კონკურენციის თავიდან აცილება — ქალაქი, მისი უბნები ე. ი. ადგილობრივი ბაზარი ამქართა შორის ფაქტობრივად ნაწილდებოდა. ამას გარდა, ერთ უბანში თავმოყრი-

---

330 ЦГИАГ ფ. 229, დავთ. 8, საბ. 60.
331 იქვე, დავთ. 1, საბ. 23.
332 იქვე, დავთ. 6, საბ. 121.
333 იქვე, ფ. 226, № 838.
334 იქვე, ფ. 229, დავთ. 4, საბ. 224.
335 იქვე, დავთ. 11, საბ. 44.
336 ყველა ამოღებულია აგრეთვე ЦГИАГ-ის 299 ფონდიდან.

ლი ამქრის წევრები, ამქრის უსტაბაში და საერთოდ ამქრული ორგანიზაცია ადვილად ახორციელებდნენ კონტროლს; ამქართა ამგვარი დანაწილება ხელსაყრელი ჩანდა ქალაქის მფლობელისა და მისი მოხელეებისთვისაც. იგი უადვილებდა ქალაქის მმართველობას სხვადასხვა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ (გადასახადების აკრება, სამხედრო რაზმების შექმნა და სხვ.) ღონისძიებათა გატარებას.

ამქრები ქალაქის ცოცხალი ძალის მნიშვნელოვან რეზერვებს წარმოადგენდნენ, რომელთაგან არაიშვიათად ყალიბდებოდა მოქალაქეთა სამხედრო რაზმები, რომელნიც, ამქართა მიხედვით, თაბუნებად იყვნენ დანაწილებულნი და სათავეში უზბაშები (ასისთავები) ედგათ[337]. აღსანიშნავია, რომ მარტო თბილისის ვაჭარ-ხელოსნებს, საჭირო შემთხვევაში, სამი ათასზე მეტი მოლაშქრის გამოყვანა შეძლებია. პაპუნა ორბელიანის სიტყვით, XVIII ს. შუა წლებში, ერეკლეს ბრძანებით, „გამოვიდნენ მოქალაქენი თბილისისანი სამ ათასი კაი ვაჟკაცნი, კარგ იარაღითა, ბრძანებითა მეფისა... და დადგნენ ყველგან ქალაქთა გარემო და მაღლა ციხეთა... და სცვიდნენ დღედაღამ და მოელოდნენ ყიზილბაშთა“[338]. როცა კი საჭირო იყო, თბილისს უფრო მეტი კაცის გამოყვანა შეეძლო. ზოგჯერ, მეფის ბრძანებით, არა მარტო „კაი ვაჟკაცი“ ხელოსანი და ვაჭარი გამოდიოდა, არამედ ყველა, „ვისაც თოფის აღება შეეძლო“[339]. ამგვარ შემთხვევაში თბილისის ხელოსანთა და ვაჭართა რაზმი, ცხადია, 3000-ზე მეტი იქნებოდა.

ქალაქის მოსახლეობის რაზმების შექმნას აადვილებდნენ ამქრები, რომელნიც თავისთავად ორგანიზებულ ერთეულებს შეადგენდნენ. ამით ახსნება, რომ XIX ს. 50-იან წლებშიც, ძველი ტრადიციის მიხედვით, ქალაქის სამხედრო რაზმები (დრუჟინები) სწორედ ამა თუ იმ კვარტალში თავმოყრილი ამქრების მიხედვით იყო შედგენილი[340].

ამქარს, როგორც ორგანიზებულ ძალას, ქალაქის მფლობელი და მისი ხელისუფლება სხვა შემთხვევაშიც იყენებდა. კერძოდ, ამქრებს ევალებოდათ საზეიმო შემთხვევებში ქალაქის მორთვით, შესაფერი ზეიმით დახვედროდნენ ომიდან გამარჯვებით დაბრუნებულ მეფეს, უფლისწულს და სხვა პირებს. პაპუნა ორბელიანი

---

[337] პაპუნა ორბელიანი, B_2, გვ. 373.
[338] იქვე, გვ. 442.
[339] იქვე, გვ. 409.
[340] Акты, т. XI, с. 206—207.

თეიმურაზ II-ის სპარსეთიდან დაბრუნების შესახებ მოგვითხრობს: „თეიმურაზ... შემობრძანდა ქალაქსა (თბილისს, შ. მ.)... მიეგებნენ მოქალაქენი ანუ დასნი სამღვდელონი, შეასხეს ქება... გაუშალეს მოქალაქეთა ფეინდიზი მძიმე ღარითა, შეიქმნა სროლა ზარბაზანთა... ავლაბრით ალაყაფის კარამდის მორთვეს ბაზარი და განაბრწყინვეს ჩირახდნით"[341]... ამგვარადვე შეხვდნენ მოქალაქენი იმავე დღეს თეიმურაზის სანახავად მოსულ ერეკლე II-საც: „ვითარ მეფეს თეიმურაზს, ეგრეე ჩირახდნით და ფეინდიზით მორთვეს ქალაქნი და განვიდეს შესხმად ქებისად მოქალაქენი"[342]. ყველაფერი ეს ამქრების ტრადიცია კი არ იყო, როგორც ზოგი ავტორი ფიქრობს, არამედ მათი მოვალეობა. მეფისა და მისი მოხელეებისაგან ქალაქს ამგვარ სადღესასწაულო შემთხვევაში „მზად ყოფნა" ებრძანებოდათ. მაგ., თეიმურაზ II-მ მანდატურთუხუცესს უბრძანა თამარ დედოფლის თბილისში მობრძანებისას ქალაქი მზად ყოფილიყო. მანდატურთუხუცესმა სასწრაფოდ შეასრულა მეფის ბრძანება: „მოამზადნა და მოფარდაგნა სარაია საყოფელნი; კვალად განაწესა მოქალაქენი... რომელნიმე მიმგებელ და შემსხმელ ქებათა, რომელიმე შლად ფეინდაზთა, მიმრთველ შაქარ-სუნოსელთა"[343] და სხვ. როგორც ჩანს, ქალაქის მოსახლეობა სხვადასხვა ჯგუფებად ნაწილდებოდა და ყოველ ჯგუფს გარკვეული მოვალეობის შესრულება ეკისრებოდა. აღსანიშნავია, რომ ქალაქის ამქრების ამგვარი მოვალეობა სათანადო დებულებებშიც იყო გათვალისწინებული. მაგ., „თბილისის მოურავის სარგოში" ნათქვამია: „მოურავმა სხვაგან ერთი და ორი თვე რომ დააგვიანოს და ქალაქში მოვიდეს, სირაჯბაში სირაჯებს უნდა მოუძღვეს და მოურავს ტიკით ღვინო უნდა მიართვან. აგრეთვე ბაჰყალბაშმა, სილი უნდა მოართვან; რომ ეს დებულება არის"[344]. ქალაქის მოსახლეობის, ვაჭარ-ხელოსანთა ამქრების ამგვარი ვალდებულებანი გვიანფეოდალურ ხანაში როდი შემუშავდა, იგი ქალაქის მოსახლეობას XI—XII საუკუნიდან ჰქონდა დაკისრებული. საინტერესოა, რომ ასე შეხვდნენ ბაგრატ IV-ს „თბილელნი ბერნი" და თბილისის მოსახლეობა 1045 წ[345]., ხოლო თამარის ისტორიკოსის სიტყვით, 1204 წ. რუქნადინზე გამარ-

---

[341] პაპუნა ორბელიანი, B_2 გვ. 370.

[342] იქვე; შდრ. აგრეთვე, გვ. 381; სეხნია ჩხეიძე, B^2, გვ. 320; ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 252.

[343] პაპუნა ორბელიანი, B_2, გვ. 371.

[344] საქ. სიძველენი, II, გვ. 525, § 20.

[345] მატიანე ქართლისაჲ, A, გვ. 186.

ჯვებულ ქართველ მხედართა შესახვედრად „შეეკაზმა მოქალაქეთა დიდითა მოკაზმულობითა ქალაქი ტფილისი“[346]. ქალაქის მოსახლეობის ეს უძველესი ვალდებულებათაგანი დროთა განმავლობაში ამქრის ტრადიციად იქცა და XIX ს-შიაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა იგი როგორც საერთო დღესასწაულებში, ასევე ამა თუ იმ ჩინებულ პირთა საზეიმო შეხვედრებშიც[347].

ამქრული ორგანიზაციები გამოყენებული იყო აგრეთვე ქალაქებში სხვა ღონისძიებათა გასატარებლადაც. მაგ., ქალაქში ჭირის გავრცელების შემთხვევაში მათ მოვალეობას ქალაქის გაწმენდა, უპატრონო მკვდართა[348] დამარხვა და სხვ. შეადგენდა. ეს ვალდებულებაც ამქართა ტრადიციად იქცა. ამქრული ორგანიზაციების ამგვარი უძველესი ვალდებულებებიდან უნდა მომდინარეობდეს აგრეთვე გვიანფეოდალურ საქალაქო ცხოვრებაში არსებული ჩვეულება — ამქართა მიწვევა ამა თუ იმ პირის დასაფლავების ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად. აღსანიშნავია, რომ ამქრის ჩვენთვის ცნობილ ყოველ წესდებაში „მკვდარზე დასწრების“ ე. ი. ამა თუ იმ პირის დასაფლავებაში მონაწილეობის აუცილებლობისა და წესების შესახებ სათანადო მუხლებია შეტანილი.

ამქრების ორგანიზაციული ძალა გამოყენებული იყო ქალაქების სხვადასხვა საზოგადო ნაგებობათა მშენებლობის დროსაც. ამქრის ვალდებულებას შეადგენდა მონაწილეობა მიეღო თავისი სამუშაო ძალით საზოგადო, საქალაქო ნაგებობათა მშენებლობაში, ან კიდევ გაეღო სათანადო თანხა. როგორც ვნახეთ, იუველირთა წესდების მიხედვით, ამქრის სალაროს შემოსავლის ერთი ნაწილი სწორედ ქალაქის საზოგადო ნაგებობათა მშენებლობაში მონაწილეობისათვის იყო გადადებული. XIX ს-შიაც ამქრები არ ივიწყებდნენ ამ ძველ ვალდებულებას, უკვე ტრადიციად ქცეულს, და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ეკლესიათა აგებაში, გზების გაყვანაში და სხვ.[349]. აღსანიშნავია, რომ საერთო-საზოგადო საჭიროებისათვის გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში არსებობდა გარკვეული სახის გამოსაღები, რომელსაც „მას-

---

[346] ბასილი, გვ. 29.

[347] იხ. «Кавказ», 1850, № 93.

[348] იხ. Ю. Ахвердов, Тиф. амкары, об организации, с. 7—8; ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტ. ბოჰემა, გვ. 52.

[349] იხ. Сб. Газ. «Кавказ», с. 265; Ю. Ахвердов, Тиф. организ., с. 9; Г. Измиров, Несколько замеч., «ЗАК. Вестник», 1859, № 51; «Кавказ», 1851, № 61.

რაფი“ ეწოდებოდა. „მასრაფი“ სახელმწიფო გამოსაღები არ ყოფილა, იგი თვით ქალაქის მოსახლეობის მიერ ქალაქის სხვადასხვა საჭიროებისათვის იყო შემოღებული. „მასრაფი“, როგორც XIX ს. დამდეგის ცნობებიდან ჩანს, უნდა დახარჯულიყო: „1. ქალაქის ხიდების შესაკეთებლად; 2. საზოგადოებრივ ადგილებზე მოკირწყლული გზების შესაკეთებლად; 3. ქალაქის განათებისათვის, დუქნების განათების გარდა; დუქნების განათების ხარჯებს მედუქნეები კისრულობდნენ, 4. საზეიმო დღეებში ილუმინაციებისათვის, 5. ხელფასი მაზრის (უფროსს)—არა უმეტეს 120 მანეთისა, 6. ხელფასი ყარაულობს... და 7. სხვა სასწრაფო საჭიროებისათვის მოწამვლისა და გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის“[350]. ამ გამოსაღებს არასდროს არაფერი ჰქონდა განსაზღვრული და დამოკიდებული იყო ამკრებ მოხელეებზე. ამას, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა ამკრები იხდიდნენ; მაგრამ, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, იგი თავის დანიშნულებისამებრ იშვიათად იყო გამოყენებული და თვით ამკრებნი სხვადასხვა სახის ქრთამებისათვის ხარჯავდნენ; ამკრებნი საზოგადოებრივი საჭიროების სახით იღებდნენ თანხებს გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის, მათ შორის მნიშვნელოვანი თანხის საჩუქრები მიჰქონდათ საახალწლოდ, ან ქრისტეშობის დღეს ან სხვა შემთხვევებთან დაკავშირებით სხვადასხვა პირებთან — ნათქვამია იმავე დოკუმენტში[351]. მსგავსი ფაქტები უფრო დამახასიათებელი იქნებოდა XVII—XVIII სს. საქალაქო ცხოვრებისათვის. აღსანიშნავია, რომ თვით მასრაფის ამკრებთა განცხადებით, ქალაქის მაღალი მოხელეებისა და სხვა წარჩინებულ პირთათვის სადღესასწაულო დღეებში „საჩუქრების“ მიტანა მოსახლეობის ერთგვარ ვალდებულებას წარმოადგენდა და ისინი ამ შემთხვევაშიც ამ ტრადიციის მიხედვით მოქმედებდნენ.

როგორც ჩანს, საზოგადო საქალაქო საჭიროებისათვის შემოღებული გამოსაღებები ძირითადად ისევ ქალაქის ფეოდალურ-ბიუროკრატიული მმართველობის წარმომადგენელთა „საჩუქრებს“ (ქრთამებს) ხმარდებოდა.

გვიანფეოდალური ხანის ქალაქებში ხელოსანთა და ვაჭართა ამკრები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინახავდა ქალაქის მთელ მმართველობას სხვადასხვა სახის გამოსაღებებით, ბეგარით, ჯარიმებით და სხვ. ზემოჩამოთვლილ (იხ. თავი III) გამოსაღებებს

---

[350] ЦГИАГ, ф. 2, оп. I, д. 466, л. 92 ver.

[351] იქვე, л. 92 recto; ср. также, л. л. 68—69.

გარდა, გვიანფეოდალური ხანის ზოგიერთი დებულება ქალაქის ამა თუ იმ ამქარს ავალებდა ქალაქის მოხელეებისათვის (მოურავი, მელიქ-მამასახლისი და სხვ.) სხვადასხვაგვარი სამსახური გაეწია. მაგ., „თბილისის მოურავის სარგოს“ მიხედვით, ყოველ ამქარს ევალებოდა მოურავისათვის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა სახის ძღვენის მირთმევა. დებულებით მესანთლეების ამქარს ევალებოდა „წმინდა აღდგომას“ მოურავისათვის ორი ლიტრა სანთელი მიერთმია, ჩამოსხმული თუ ჩამოუსხმელი, როგორც ეს მოურავს „ეპრიანებოდეს“. ამგვარივე ვალდებულების შესრულება ეკისრებოდათ მესანთლეებს ნათლისღების დღისათვის[352]. ყასბების ამქარს, იმავე დებულებით, დავალებული ჰქონდა აღდგომისა და ნათლისღების დღეს ორ-ორი ცხვარი (ჭედილა) მიერთმია მოურავისათვის[353]. ყასბების ამქრებს სხვა ვალდებულებაც ჰქონდათ, კერძოდ, ყოველ დუქანს სამ-სამი ლიტრა „კარგი და გამორჩეული თხის ქონი“ უნდა ეძღვნათ მოურავისათვის[354]. ყასბები აძლევდნენ მოურავს აგრეთვე ყოველი დაზგიდან ღორის მხარსა და ბარკალს, „რომ მძეხვი უნდა გაკეთდეს“[355]. ყასბების ამქრის ყოველი წევრი „კაცის თავს“ სამ-სამ ღორის ქონს იხდიდა, „რომ ამით საპონი უნდა გაკეთდეს მოურავისათვის“[356]. ასე რომ, მოურავს სათანადო გამოსაღებებით ემსახურებოდა როგორც მთელი ამქარი, ასევე ამქრის ყოველი დუქანი, დუქნის ცალკეული დაზგა და ამქრის წევრებიც.

თავისი საქმიანობის მიხედვით სხვადასხვაგვარი „საჩუქრები“ უნდა მიერთმია მოურავისათვის ბაყლების ამქარსაც: ნათლისღებასა და ყველიერში თითო ცალი ბრინჯი თავისი ერბოთი, დიდმარხვას თცდაათი ლიტრა სამარხი თავისი ნიგვზით[357]. ამას გარდა, როგორც აღვნიშნეთ, ბაყალთა ამქარი, ბაყალბაშის მეთაურობით, ვალდებული იყო ქალაქში შემობრძანებულ მოურავს დახვედროდა და ხილი მიერთმია. ასევე ხვდებოდა ქალაქში შემოსულ მოურავს სირაჯების ამქარი სირაჯბაშის წინამძღოლობით და მას ტიკით ღვინოს მიართმევდა. სირაჯების ამქარს სხვა ვალდებულებანიც ჰქონდა. ასევე, ქალაქის მოურავს თავისი სპეციალო-

---

[352] საქ. სიძველენი, II, გვ. 524, § 10, 11.
[353] იქვე, გვ. 524, § 10, 11.
[354] იქვე, გვ. 525, § 15.
[355] იქვე, § 17.
[356] იქვე, § 16.
[357] იქვე, გვ. 524—525, § 11, 13, 14.

ბის მიხედვით სამსახურს უწევდნენ მკუპრავების[358], მაზმანების[359], მჭედლების[360], მეჭურჭლეების[361], ბაზაზებისა და სხვ. ამქრებიც. ცალკეული ამქრების საქმიანობის მიხედვით გათვალისწინებულ გამოსაღებთა გარდა, მოურავის სასარგებლოდ წესდებოდა ყველა ამქრისათვის ერთნაირად სავალდებულო „საჩუქრებიც“: „ახალ წელიწადს, რაც ასნაფი არის, ყოველ ასნაფმა ორი და სამი შაქარი უნდა მოართვან, მაგრამ ბაზაზებმა ექვსი შაური უნდა მოართვან, „ქედხუდებმა... ნუღლი და მაქარი. უნდა მოართვან“ — ნათქვამია თბილისის მოურავის სარგოში[362]. როგორც ჩანს, ხელოსანთა და ვაჭართა ამქრებთან ერთად, მოურავს მოქალაქეთაგან რჩეული ქედხუდებიც ემსახურებოდნენ.

როგორც თბილისის უკანასკნელი მოურავის ევსტათი ციციშვილის ცნობიდან ჩანს, თბილისის ამქრები ამგვარი სხვადასხვა სახის „ძღვენით“ მოურავს ყოველწლიურად 14 თუმანს შემოსავალს აძლევდნენ[363].

მოურავის მსგავსად ემსახურებოდნენ ქალაქის ამქრები მელიქ-ჭამასახლისსაც. მელიქ-მამასახლისი დარჩია ბებუთაშვილი თავისი სარგოს წიგნში წერდა: „ტფილისელთაგან მოგვეცემოდა წელიწადში 12 თუმანი. ტფილისელთ ასნაფთ აძევსთ ბედნიერს დღეში ძღვენი, როგორც ტფილისის მოურავს ეგრეთვე მელიქსა და მამასახლისს მიართმევდნენ“[364].

ამქრები რელიგიური დღესასწაულების დღეებში თბილისის ნაცვალსაც მიართმევდნენ „ძღვნად“ ბატკნებს, სამარხოს, ბრინჯს, ძროხისა და ღორის სუკებს, ქონს და სხვ. მათი საერთო ღირებულება, ნაცვლის მიკირტუმ სურგუნოვის ანგარიშით, საშუალოდ 12 თუმანსა და 3 მინალთუნს უდრიდა[365]. ამქრები მსგავს სამსახურს უწევდნენ აგრეთვე თბილისის მოურავის ნაცვალსაც[336].

ამგვარსავე სამსახურს წევდნენ სხვა ქალაქთა ამქრებიც საქალაქო ხელისუფლების წარმომადგენელთა წინაშე. გორის მოურავის სარგოს წიგნით, გორის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეო-

---

358 იქვე, გვ. 528, § 42.
359 იქვე, გვ. 527, § 40.
360 იქვე.
361 იქვე, გვ. 527, § 34.
362 იქვე, გვ. 524, § 12.
363 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 91—92.
364 იქვე, გვ. 95.
365 იქვე, გვ. 98.
366 საქ. სიძველენი, II, გვ. 528, § 1; გვ. 529, § 2, 4, 6, 10.

ბის ყოველ კომლს წელიწადში ორჯერ მოურავისათვის 5—5 მინალთ. ღირებული ძღვენი უნდა მიერთმია, ამას გარდა, ახალ წელს თითო შაქარი; მესანთლეებს დუქანზე ნახევარი ლიტრა ქონის სანთელი და სხვ[367]. ასევე ემსახურებოდნენ თელავის მოურავს თელაველი ყასბები, მესანთლეები და სხვა ხელობის წარმომადგენლებიც[368].

რელიგიურ თუ სხვა სადღესასწაულო დღეებში ქალაქის ამქრებს ევალებოდათ სათანადო ძღვენი მიერთმიათ არა მარტო ქალაქის მოხელეებისათვის, არამედ მეფისა, მისი სახლის წევრებისა, ეკლესიის ხელისუფალთა და სხვა წარჩინებული პირებისათვის. ანტონ კათალიკოსის 1777 წ. ბრძანებაში სხვათა შორის ნათქვამია: „მართებული არის, რომ თავის ბატონთან და მოხელესთან ბედნიერს დღეში თავისი ყმა და სახელო უნდა მივიდეს და ნახოს“[369]. „ბედნიერს (სადღესასწაულო) დღეებში“ ბატონთან თავისი ყმის მისვლა „სანახავად“ სათანადო ძღვენის მიტანას ნიშნავდა. როგორც იმავე საბუთიდან ჩანს, თუ ყმა „ბედნიერს დღეში“ ბატონის „ნახვას“ არ მოისურვებდა, ძალითაც, იძულებითაც „ანახვინებდნენ“ — ჯარიმის სახით, მისატანი ძღვენის ღირებულებას წაართმევდნენ. „ბატონის ნახვა“ სადღესასწაულო დღეებში საქართველოს ქალაქების მოსახლეობის კიდევ ერთი ძველი ვალდებულება იყო, შემოხვევითი როდია, როცა შოთა რუსთაველი ვაჭართა უხუცესს ათქმევინებს:

„ამა ქალაქის წესია, დღესა მას ნაროზობასა
ჩვენ დიდ-ვაჭართა ზედა გვაც დარბაზს მიღება ძღვენისა
მათ საბოძვრისა ბოძება ჰმართებს მსგავსისა ჩვენისა“[370].

სადღესასწაულო დღეებში „ბატონის ნახვა“ თავის ყმის მიერ ისე აუცილებელ ვალდებულებად იყო მიჩნეული გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში, რომ XIX ს. დამდეგსაც, ქალაქის მოსახლეობაზე აკრებილი ე. წ. მასრაფი ძირითადად ამგვარი ძღვენისათვის იხარჯებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 1801 წ. 11 ოქტომბრის უმაღლესი ბრძანებით აკრძალული იყო მსგავს საჩუქართა მიტანა მოხელეთადმი, თბილისის ვაჭარ-ხელოსნებს, ახალ წელს, აღდგომას და სხვ. დღესასწაულების დროს, თავიანთი ძველი ვალდებულების მიხედვით 1809—1810 წწ. რუსი მოხელეები-

---

367 შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები, გვ. 86—87.
368 იქვე, გვ. 48—49.
369 ГМГ, ფ. Ad, 1941.
370 შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი.

სადმი უჩუქებიათ: „მთავარმართებელ გენერალ ტორმასოვისათვის ოქროს ქსოვილი, ქუდი და გუბერნატორ ახვერდოვისათვის ოქროქსოვილის გადასაფარებელი, 130 მანეთად ღირებული შაქარი: გუბერნატორ ახვერდოვს 2; მის მდივანს სიმონოვს 3; ვიცე გუბერნატორს ვასილიევს — 1; კომენდანტ ლევენცევს — 4; მელიქ დარჩი ბებუთოვს — 1; პოლიციის პრისტავს —2; ჯიმშერ თუმანოვს, ამჟამად თბილისის უეზდის სასამართლოს მოსამართლეს —1., სულ 14 ცალი 103 მანეთისა და 19 კაპ. ღირებული. ცხვრები: გენერალ ტორმასოვს — 4, გუბერნატორს ახვერდოვს — 3, სიმონოვს — 4, ვასილიევს — 2... ლევენცევს — 6, მელიქ დარჩი ბებუთოვს —4, პოლიციის პრისტავს —4; სულ 27; 48 მანეთისა და 95 კაპ. ამაა გარდა კიდევ ნაჩვენებია ცხოვრების ხვადასხვა ჩინოვნიკებისადმი ბოძებული... 28 მანეთის[371].

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების ამქრები მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენდნენ ქალაქის მფლობელისა და მისი მოხელეებისათვის არა მარტო გადასახადებითა და ბეგრით, არამედ იმ „ძღვენითაც“, რომელსაც ქალაქის ამქრები თავიანთ ბატონებსა თუ ქალაქის მოხელეებს მიართმევდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის მოხელეები (მოურავი, მელიქ-მამასახლისი, ნაცვალი) ფაქტობრივად ვაჭარ-ხელოსანთა ამქრების ხარჯზე ცხოვრობდნენ. ზემოგანხილული მასალები შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევენ:

1. ქართული ამქრული ორგანიზაციები უცხოური გავლენით კი არ არის წარმოშობილი, როგორც ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, არამედ ქართული ფეოდალური ურთიერთობის ნიადაგზე. ქვეყანაში გაბატონებული ფეოდალური ურთიერთობა, საქალაქო ცხოვრების განვითარება, ყმების ლტოლვა ქალაქებისაკენ, სასაქონლო წარმოების განვითარება; ამის ნიადაგზე კონკურენციის გაძლიერება, ფეოდალთა ბრძოლა ქალაქებისათვის იყო ის ძირითადი პირობები, რომლებმაც X—XI სს. საწყისი მისცეს ამქრული ორგანიზაციების წარმოშობას საქართველოს ქალაქებში.

2. ამქრულ ორგანიზაციებში გაერთიანების საფუძველი, გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში, ქალაქის მოსახლეობის პროფესია, საქმიანობა იყო. ამიტომაც ამქრობა დამახასიათებელი იყო არა მარტო ხელოსნობისათვის, არამედ ვაჭრებისა და ქალაქის მოსახლეობის სხვა წარმომადგენელთათვის.

---

[371] ЦГВИА, ф. 2, оп. I, д. 466, л. л. 68—69.

3. ქართული ამქრული ორგანიზაციებისათვის უცხო იყო თავისუფლების ცენზი, რელიგიური თუ ნაციონალური დისკრიმინაცია და სხვ., რაც ქართული ამქრული ორგანიზაციების „დემოკრატიულობით" არ შეიძლება აიხსნას. ცენზისა და დისკრიმინაციათა არარსებობა ამქარში გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან და ამქართა ეკონომიკური პოლიტიკიდან მომდინარეობდა.

4. ზოგი ამქრის თავი (ოსტატი, უსტაბაში) მეფის მიერ ინიშნებოდა, ზოგს კიდევ თვით ამქარი ირჩევდა, მაგრამ მეფისა და მის მოხელეთა თანხმობითა და დასტურით. სამეფო ხელისუფლების ჩარევა ამქრის შინაურ ცხოვრებაში მისი კლასობრივი ინტერესებით იყო ნაკარნახევი. უსტაბაშს გარდა ამქარში სხვა ხელისუფალნიც — ახსაყალები, იგითბაში, ხაზინადარი — იყვნენ, რომელთაც ამქარი ირჩევდა ან კიდევ თვით უსტაბაში ნიშნავდა.

5. ამქრის ინტერესები, მის ხელისუფლათა უფლება-მოკალეობა ამქრის დაწერილი წესდებებით (სტატიებით) განისაზღვრებოდა, რომელსაც მეფე ან კიდევ ქალაქის მოხელეები ადასტურებდნენ. ქართული ამქრის წესდებებში უმთავრესი ადგილი ყოველთვის ამქრის ეკონომიკურ პოლიტიკას ეთმობოდა.

6. ქართული ამქრული ორგანიზაციისათვის შეგირდობის ინსტიტუტი, მთელი თავისი პუნქტუალური რეგლამენტაციებით, სავსებით დამახასიათებელი იყო. მაგრამ მისთვის უცხო იყო ქარგლობის ინსტიტუტი. იგი მხოლოდ ჩანასახის ფორმებში შეინიშნება, ისიც ზოგიერთ ამქარში. ქარგლობას სრულყოფილი სახე არც XIX ს. პირველ ნახევარში მიუღია.

7. ქართული ამქრული ორგანიზაციების ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს ფაქტორს წარმოების რეგლამენტაცია და მონოპოლიზაცია წარმოადგენდა. იგი სხვადასხვა მეთოდებით იბრძოდა ადგილობრივი ბაზრის დაუფლებისათვის; შინაგანი კონკურენციის წინააღმდეგ უმთავრესად ვაჭრობის ეგალიტარული რეგლამენტაცია იყო გამოყენებული. ამქრის ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარეობდა ნაწარმის მაღალი ხარისხისათვის, ტექნიკური სრულყოფისა და რეგლამენტაციისათვის და სხვ. ზრუნვა. ამქრების ეკონომიკურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ფასების რეგლამენტაციას, თუმცა იგი დიდად ვერ მოქმედებდა გვიანფეოდალური ქალაქების ბაზრებზე.

8. ეკონომიკური ინტერესები ედვა საფუძვლად ამქრის მიერ შემუშავებულ ზნეობრივ რეგლამენტაციებსაც, ამქრის სალაროს,

რომელიც გვიანფეოდალურ ხანაში ზოგჯერ მევახშედაც იქცეოდა. ამქრის მისწრაფება მის წევრთა სოციალური და ეკონომიკური თანასწორობისაკენ მიზანს ვერ აღწევდა. ამქარი დანაწილებული იყო „მდიდრებად და ღარიბებად", შეგირდებად და ოსტატებად, „მოქალაქე ხელოსნებად და ყმა ხელოსნებად", რაც მას ერთიანი ინტერესებით აღჭურვილი ორგანიზაციის სახეს ვერ აძლევდა.

9. ქართული ამქრული წყობის ყოველ მხარეში სამეფო ხელისუფლება აქტიურად ერეოდა და მას ხშირად თავისი ინტერესებისათვის იყენებდა, არა მარტო როგორც შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს, არამედ, აგრეთვე, როგორც მნიშვნელოვან ორგანიზებულ ძალასაც.

თავი VI

გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების გარეგანი სახე

1. ქალაქის სიმაგრენი

ა. ქალაქის ციხე

გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქები, ისე როგორც საერთოდ ფეოდალური ქალაქები, მდინარეთა ნაპირებზე, ან კიდევ მდინარეთა შესართავებზე იყო გაშენებული.

ქ. თბილისი მდ. მტკვრის ორსავე ნაპირზე იყო გაშენებული, მაგრამ ქალაქის ძირითადი ნაწილი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე თავსდებოდა. აქვე იყო მისი ციხეც. XVIII ს. საკმაოდ დასახლებული იყო მტკვრის მარცხენა ნაპირიც, კერძოდ მეტეხის უბანი, რომელსაც აგრეთვე თავისი სიმაგრეები გააჩნდა. მტკვარი სანაოსნო მდინარე იყო. მტკვრის ამ მიზნით გამოყენების შესახებ მითითება ჯერ კიდევ ბერძენ ისტორიკოსებთან, ხოლო შემდეგ IX—X სს. ქართულ და უცხოურ წყაროებში მოგვეპოვება. გვიანფეოდალურ ხანაშიც მტკვრით მოჰქონდათ საშენი მასალა —ხე-ტყე ტივებით, ტივებზე ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა საეაჭრო საქონელიც ეწყო.

სანაოსნო მდინარეზე გაშენებული იყო ქ. ქუთაისიც. მდ. რიონი ქუთაისს ორ ნაწილად ყოფდა. მის მარჯვენა ნაპირზე „ქუთაისის ციხე" იყო, მარცხენაზე კიდევ „ქუთაისის ქალაქი". მდინა-

-რე რიონის ქუთაისამდე სანაოსნოდ გამოყენების შესახებ მითი-
-თება იმერეთის 1737 წ. რუქაზე მოგვეპოვება. ფოთის ციხიდან
მოკიდებული ზემოთ (აღმა) მდ. რიონთან მიწერილია: „ამ ციხის
ზეით ხომალდი შემოვა... აქამდის ფოთიდამ ზარბაზნიანი ნავი
დიდი მოვა“[1]. ზარბაზნიანი „დიდი ნავი“ თვით ქუთაისამდე ვერ
აღწევდა, მაგრამ რომ რიონი სანაოსნოდ გამოყენებული იყო, ამას
იმერეთის მეფის ელჩის რუსეთში მაქსიმე ქუთათელის განცხადე-
ბაც ადასტურებს: „ქუთაისის ქალაქიდამ ვაჭრები დადიან ნავითა
იმ სამს ციხეში — ბათუმს, ფოთს და სოხუმს“[2]. ფოთთან მათ რიო-
ნი აკავშირებდა, აქედან კი ზღვით მიდიოდნენ, როგორც ჩანს,
ბათუმშიც და სოხუმშიც.

მდინარეთა შესაყარზე და სანაოსნო მდინარეებზე იყო გა-
შენებული ქ. გორიც. მას ერთი მხრივ მდ. ლიახვი უვლიდა, მეო-
რე მხრივ კი მტკვარი. გორის ციხე მდ. ლიახვის დონიდან დაახლ.
50 მ სიმაღლის გორაზე არის აღმართული. მდ. მტკვრით ჩამოსუ-
ლი ტივი ბორჯომის ხეობიდან ქარელსა და გორს ჩაუვლიდა. აღ-
სანიშნავია, რომ, ისე როგორც თბილისს, გორსაც ედვა გამოსა-
ღები, ე. წ. „სალბაში“; „სალბაშ'ს, კი „დასტურლამალის“ განმარ-
ტებით, ეძახიან, რაც ტივი მოვა, ერთს უკეთეს ხეს საბატონოდ
აიღებენ“[3].

მდინარეთა შესაყარზე იყო გაშენებული აგრეთვე ახალქა-
ლაქი. ვახუშტის სიტყვით, „ახალქალაქი არს ამ ორთა მდინარეთა
(ჯავახეთის მტკვარი და ახალქალაქის წყალი, შ. მ.) შესართავს
შორის“. მდინარეთა მიერ შექმნილ დაქანებულ კალთებიან, უს-
წორო სამკუთხედის ფორმის ერთგვარ „ნახევარკუნძულზე“ მო-
თავსებული იყო ქალაქის „ჩრდილოეთის ფორშტატი“. ქალაქის
ეს ტერიტორია, სადაც იგი ყველაზე უფრო ვიწროვდებოდა, გადა-
კეტილი იყო ახალქალაქის ციხის კედლებით.

მდ. ფოცხოვის ნაპირზე გაშენებული იყო ახალციხე. მდ.
ფოცხოვი მას სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან უვლი-
და, დასავლეთით კიდევ ახალციხეს ლიკანის ხევი ჩამოუდიოდა. ამ
მდინარეთა შესაყარზე, „ფერსათის მთის კერძოთ ჩამოსულსა
კლდესა ზედა“ იყო ციხე, ხოლო მის დავაკებულ კალთებზე თვით
ქალაქი.

---

[1] ЦГИАГ, ВУА, № 20501, ფურც. 11.
[2] А. Цагарели, Грамоты, II, в. I, с. 3.
[3] დასტურლამალი, გვ. 82.

მდინარეებზე გაშენებული იყო მცირე ქალაქებიც. ანანური შდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, მდ. არაგვისა და ვეძათ ხევის (1806 წ. გეგმით მდ. არკალის) შესართავთან აღმართული მაღლობზე იყო გაშენებული.

აწყურს შუაზე ჰყოფდა მდ. მტკვარი. მის მარჯვენა ნაპირზე იყო აწყურის ციხე და მოსახლეობის ნაწილი, ხოლო აწყურის ე. წ. „ფორშტატი“ მტკვრის მარცხენა ნაპირზე ყოფილა.

მდ. ენგურის ნაპირზე იყო რუხი, თვით რუხის ციხეს კიდევ სამი მხრიდან მდ. რუხი უვლიდა. მდ. რიონსა და შავი ზღვის ნაპირებს შორის მოქცეული იყო ფოთის ციხე და ქალაქიც; მდ. ტანაზე გაშენებული იყო ატენი, მდ. ქსანზე ახალგორი, მდ. ლიახვზე ცხინვალი, ალის წყალზე ალი, სურამელაზე სურამი, მტკვრის ორსავე ნაპირზე ახალდაბა, გრემის წყალზე ქ. გრემი. ჩხარულაზე ჩხარი, ყვირილასა და ძირულას შესართავზე შორაპანი, ყვირილაზე საჩხერე, რიონზე ონი, მდ. თელავი ჩრდილო-დასავლეთით უვლიდა საკუთრივ ქალაქსა და მეფის ციხეს; ამას გარდა, თელავის მთელ ტერიტორიას უვლიდა „დიდი ხევი“, რომელიც ქალაქის ერთგვარ სიმაგრეს წარმოადგენდა. ერთგვარ გამონაკლისს ამ შემთხვევაშიც სიღნაღი წარმოადგენდა, რომლის ტერიტორიაზედაც მხოლოდ „მცირე წყარო“, 1802 წ. გეგმით, მერუბაანთ ხევი გადიოდა. როგორც ვხედავთ, გვიანფეოდალური საქართველოს ყოველი, დიდი თუ მცირე ქალაქი დიდსა თუ პატარა მდინარეებზე, მათ შესართავებზე იყო გაშენებული. მდინარეთა შორის სანაოსნოს ძირითადად მტკვარი და რიონი წარმოადგენდა, რომლებზედაც გაშენებული იყო XVII—XVIII სს. საქართველოს ყველა დიდი ქალაქი. აღსანიშნავია, რომ მტკვარსა და რიონს გარდა, XVII—XVIII სს-შიც, ისე როგორც ძველად, სანაოსნოდ გამოყენებული იყო სხვა, შედარებით პატარა მდინარეებიც. მაგ., იმერეთის 1737 წ. რუქაზე, შორაპნის ქვემოთ, მდ. ყვირილაზე მიწერილია: „საჭილაოს ნავი ამოვა, ყვირილას წყლით, შორაპნამდის, ციხემდის ამოვა“. როგორც ჩანს, მდ. ყვირილაც სანაოსნოდ ყოფილა გამოყენებული.

ასე რომ, მდინარეებს, სხვა ქალაქებთან თუ კუთხეებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, გვიანფეოდალური ქალაქებისათვის საგრძნობი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ მდინარეთა მნიშვნელობა ამით როდი ამოიწურებოდა, ისინი ქალაქებს წყლით ამარაგებდნენ და, რაც მთავარია, ფეოდალური ქალაქებისათვის მდინარეები მნიშვნელოვან ბუნებრივ სიმაგრეებს წარმოადგენდნენ.

მაგრამ ფეოდალურ ქვეყანაში ქალაქისა და მისი მოსახლეობის დაცვა მარტო მდინარეებს როდი შეეძლოთ. ამიტომაც ფეოდალური ქალაქები სხვა უფრო საიმედო სიმაგრეებსაც — ციხეებს, კოშკებს და სხვ. აშენებდნენ, რაც ფეოდალური ქალაქების გარეგანი სახისათვის ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა.

გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების გარეგანი სახე შეესატყვისებოდა მის სოციალ-ეკონომიკურ შინაარსს. ფეოდალური ხანის ქალაქებში ტიპიურს გამაგრებული ქალაქები წარმოადგენდნენ. ფეოდალური წყობის ბატონობის ხანაში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ქალაქი თაკდაცვითი ნაგებობის გარეშე წარმოუდგენელი იყო. იგი ქალაქს არა მარტო გარეშე მტრებისაგან იცავდა, არამედ ორგანიზებული თავადაზნაურობის შემოტევისაგანაც, მაგრამ ძირითადად მაინც თვით მის მფლობელს ქალაქის მოსახლეობის შემოტევისაგან. ასე რომ, ქალაქებში სასიმაგრო ნაგებობათა აუცილებლობა ქვეყნის როგორც შინაგანი სოციალ-ეკონომიკური, ასევე საგარეო პირობებით იყო გამოწვეული. ციხე ფეოდალური ქალაქის ერთი აუცილებელი ნიშანი იყო.

ადრინდელი შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების, ისე როგორც დას. და აღმოსავლეთ ევროპის ქალაქების, სასიმაგრო ნაგებობანი, როგორც ირკვევა, ძირითადად ხისაგან შენდებოდა. X ს. სომეხი ისტორიკოსის, თომა არწრუნის სიტყვით, IX ს. შუა წლების თბილისის უმთავრესი ნაგებობანი ხისა ყოფილა: „ბულაშ გასცა ბრძანება — წერს ისტორიკოსი, მოსულიყვნენ თბილისად წოდებულ ქალაქში, რომელსაც უწინ ფაიტაკარანი ეწოდებოდა. მაღნარის ძელით (ხით) იყო ნაშენი მთელი ქალაქი, ზღუდეები, კედლები და მათი სახლები. ქალაქის მკვიდრთა ყოველი სახლი და მათი ყოველი მოწყობილობა ხისაა და მაშინვე გამოიწვა ის ქალაქი ცეცხლით. დაზვინდა და აღტკინდა ცეცხლი ფიჭვისა და ნაძვის ადვილად დასაწვავი ხით“[4]. ხის სასიმაგრო ნაგებობანი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო IX საუკუნეზე ადრინდელი თბილისისთვისაც. შემთხვევითი არ უნდა იყოს X ს. სომეხი ისტორიკოსის მითითება იმის შესახებ, რომ თბილისს „ძველად ფაიტაკარანი“, ე. ი. ხის ქალაქი ეწოდებოდა.

ხის სიმაგრეები დამახასიათებელი იყო საქართველოს სხვა ქალაქებისათვის. ქ. გორს, XV ს-შიც, კონტარინის მოწმობით, ხის ციხე ჰქონია[5]. ხის ციხე-სიმაგრეთა არსებობა, რა თქმა უნდა, ქა-

---

[4] თ ო მ ა ა რ წ რ უ ნ ი, ილ. აბულაძის თარგმანი, გვ. 50.

[5] Путешествие Амвросия Контарини, БИПР, отд. I, т. II, с. 38.

ლაქის სიღარიბეზე როდი მიგვითითებს; იგი თავდაცვისა და საომარი ტექნიკის მაშინდელ დონეს სავსებით შეეფარდებოდა[6].

გვიანფეოდალურ ხანაში, განსაკუთრებით XVI საუკუნიდან, საომარი იარაღებისა და ალყის ხელოვნების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, თანდათან სახეს იცვლის ქალაქების სათავდაცვო ნაგებობანი როგორც თავისი შენების ტექნიკის, აგრეთვე დანიშნულების თვალსაზრისითაც. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ გვიანფეოდალურ ხანაში ქალაქი უკვე მსხვილ სამხედრო ოპერაციათა მთავარ პუნქტსაც წარმოადგენდა[7].

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, ხის სიმაგრეები თანდათან ადგილს უთმობენ ქვისა და აგურის ნაგებობებს. აღსანიშნავია, რომ ეს მომენტი თბილისში გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ X ს. შეინიშნება. ბუღა თურქის მიერ 863 წ. გადამწვარი „ხის ქალაქისათვის“ ახალი ზღუდე ალიზისაგან (გამოუწვავი აგური) შემოუვლიათ[8]. ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით, როგორი იყო XII—XIII სს. თბილისის ციხე-სიმაგრეები, მაგრამ, რომ XV ს. მას უკვე ქვის ციხე-სიმაგრეები ჰქონდა, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია[9]. XV ს. ქვის ციხე-სიმაგრეები ჰქონია აგრეთვე ქუთაისსაც[10]. XVII ს. შუაწლებისათვის ხის სიმაგრეების მაგიერ გორში ახალი ციხე უკვე ქვითკირისა აშენდა[11]. ქვითკირის სიმაგრეები დამახასიათებელი იყო XVII—XVIII სს. საქართველოს ყველა გამაგრებული ქალაქისათვის.

ქ. თბილისი, ისე როგორც გვიანფეოდალური ხანის თითქმის ყველა ქალაქი, ძირითადად ორ ნაწილად იყოფოდა: „ქალაქად“ და „ციხედ“—ერთ ნაწილს წყაროები „ტფილისის ქალაქს“ უწოდებდნენ, მეორეს კი „ტფილისის ციხეს“. თბილისის ციხე მტკვრის მარჯვენა ნაპირას, იმ გორებზე იყო მოთავსებული, რომელიც საკუთრივ ქალაქს დაჰყურებდა. ქალაქში სხვა გამაგრებული ადგილიც იყო, მტკვრის მარცხენა, ასევე ამაღლებულ ნაპირზე მეტეხის ციხე.

თბილისის ციხე რთული სისტემის ნაგებობას წარმოადგენდა. იგი ორ ნაწილად იყო დაყოფილი, საკუთრივ „შიდა ციხედ“ ანუ ციტადელად და ციხედ. როგორც ციტადელი ციხისაგან, ასე-

---

[6] Ср. М. Н. Тихомиров, древнерусские города, с. 227.

[7] Г. Белов, Городской строй средневековой Германии, с. 29.

[8] ვლ. ფუთურიძე, ირანელი ავტორები, გვ. 15.

[9] Путешествие Амвросия Контарини, с. 67—68.

[10] იქვე, გვ. 34.

[11] ვახუშტი, აღწერა, გვ. 74.

ვე ციხე ქალაქისაგან თავისი საკუთარი კედლებით იყო გამოყოფილი. ციტადელს ციხის საერთო ტერიტორიასთან, ამ უკანასკნელს კი ქალაქთან კარები აერთებდა. მხოლოდ XVIII ს. 50-იან წლებში ერეკლე II-ის ბრძანებით აღებულ იქნა „გალავანი ქალაქისა, რომელი იყო ციხესა და ქალაქს შუა და გააერთიანეს ციხე და ქალაქი თბილისისა“[12]. მიუხედავად ამისა, ციხე თავის ციტადელით ქალაქის ყველაზე ძლიერ სიმაგრეს წარმოადგენდა. კაპიტანი იაზიკოვი თბილისის ციხის შესახებ XVIII ს. 70-იან წლებში წერდა: „ერთ ქვიან მთაზე ძველი და მტკიცე ციხეა, რომელშიც წყალია. მაცხოვრებლები მხოლოდ ქართველებია. გუმბათებზე ზარბაზნები დგას[13]. მსგავსი აღწერილობა თბილისის ციხისა მოეპოვება მურავიოვს[14], გიულდენშტედტს[15], და სხვ. ციხის გარდა, ქალაქის ერთ უმნიშვნელოვანეს სიმაგრეს ქალაქის კედლები წარმოადგენდა. გვიანფეოდალური თბილისის ქალაქის კედლები XVII ს. პირველ ნახევარში დანგრეული ყოფილა. მისი აღდგენა, ვახუშტის ცნობით, იმავე საუკუნის შუა წლებში მომხდარა[16].

როგორც შარდენის ცნობიდან ჩანს, XVII ს. 70-იან წლებში ქალაქს კედელი მხოლოდ ერთ მხარეს, კერძოდ მტკვრის გაყოლებით არ ჰქონია, დანარჩენი სამი მხრით კი იგი მოზღუდული იყო. როგორც ვახუშტის მიერ შედგენილი თბილისის გეგმიდან და ასევე ტურნეფორის ჩანახაზიდან ირკვევა, 1673—1700 წწ. შორის ქალაქს კედელი მტკვრის გასწვრივაც გაუკეთდა. გიულდენშტედტის ცნობით, ქალაქის კედლების საერთო სიგრძე დაახლოებით 3 ვერსს, ანუ 1500 საჟენს უდრიდა[17]. ქალაქის გალავანის სიმაღლე ზოგან 8 მ აღწევდა, ზოგან კი 10-ს. კედლის სისქე კი საშუალოდ 1 1/2 მეტრამდე იყო. თბილისს ციხეებსა და კედლებს გარდა კოშკებიც ამაგრებდა. თბილისის კოშკები—„წყალყინისა“ და „კოშკნი კართანი“ ჯერ კიდევ XI ს. იყო ცნობილი[18]. გვიანფეოდალურ ხანაში თბილისის უმთავრეს კოშკებს წარმოადგენდნენ: „სტამბოლის კოშკი“[19], ან კიდევ „თავრიზის კოშკი“[20], „შაიტახტი“ ანუ «Царградская башня»[21] და სხვ. კოშკე-

---

[12] პაპუნა ორბელიანი, B_2, გვ. 429.
[13] А. Цагарели, Грамоты, I, с. 187.
[14] იქვე, გვ. 217.
[15] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 182; Reisen, p. 128.
[16] ვახუშტი, აღწერა, გვ. 53.
[17] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 182; Reisen, p. 128.
[18] მატიანე ქართლისაჲ, A, გვ. 186.
[19] ვახუშტის გეგმა, ექსპლიკ. № 14.
[20] ЦГВИА, ფ. ВУА, № 22660.
[21] იქვე.

ბი იყო აგრეთვე ქალაქის კარებთან, ხიდის თავთან, მეტეხის სიმაგრეში და სხვაგან.

მსგავსი სიმაგრენი იყო აგრეთვე ქ. გორში. ქ. გორი მდინარეთა (მტკვარი-ლიახვი) შესართავთან თითქოს საგანგებოდ აღმართული გორაკის ფერდობებზე იყო გაშენებული. იგი, ისე როგორც თბილისი, ციხედ და ქალაქად ნაწილდებოდა. ციხე, თავისი რთული ნაგებობებით, გორაკზე იყო აღმართული, ქალაქი კი მას სამი მხრიდან ერტყა. ციხე-ქალაქს საგანგებო კარით, რომელსაც ციხის „ქვეით გალავნის კარი" ერქვა[22], უერთდებოდა. ციხე რომ ერთადერთი კარით უერთდებოდა ქალაქს, ეს გორის 1802 წ. გეგმითაც დასტურდება. ამავე გეგმის მიხედვით ციხეში იყო წმ. გიორგის სახელობის ქართული ეკლესია, «Яма выкладенная кирпичом, в которую сожали преступников», სხვადასხვა სანოვაგისა და სამხედრო საჭურველთა შესანახი ნაგებობები და სხვ. ციხის კედლები, როგორც ეს გეგმიდან ჩანს, 33 კოშკითა და ბურჯით ყოფილა გამაგრებული[23]. გორის ციხეში ცალკე არ იყო გამოყოფილი ციტადელი. ციხის ტერიტორია მთლიანად ციტადელის როლს ასრულებდა. აქ თავმოყრილი იყო როგორც ციხის გარნიზონი, ასევე ქალაქის მფლობელის თუ მისი გამგებლის სხვადასხვა ნაგებობანი[24]. გორის ციხის დეტალური აღწერილობა მოეპოვებათ შარდენს, იაზიკოვს, კლაპროტს, თუმანიშვილსა და სხვებს[25], მაგრამ მათზე შეჩერებას ამჟამად საჭიროდ არ მივიჩნევთ.

თვით „გორის ქალაქი" კედლებითაც იყო შემოსაზღვრული, რომელიც გორის 1802 წ. გეგმის შემადგენელის სიტყვით, ალიზისაგან ყოფილა ნაგები: კედლები ქალაქისა გამოუმწვარი თიხის აგურისგანაა[26]. იქნებ ამიტომ წერდა იაზიკოვი, რომ ქალაქი გორი შემოზღუდულია ქვის დაბალი და სუსტი კედლით[27]. მაგრამ მაინც გაუგებარია, თუ რატომ იხსენიებს იაზიკოვი ქვის კედლებს, ალიზის კედელი ქალაქს შეიძლება XVIII ს. 70-იანი წლების შემდეგ შემოავლეს.

---

[22] სეხნია ჩხეიძე, B_2, გვ. 338.

[23] ЦГВИА, ф. ВУА, № 20547, 20548, 21868.

[24] პაპუნა ორბელიანი, B_2, გვ. 470; ЦГВИА, ф. 26, опис 152, № 20.

[25] იხ. А. Цагарели, Грамоты, I, с. 188; I. Klaproth, Reisen... nach Georgien, II, p. 325—327; А. Тухманов, Опис. гор. Гори, Спб, 1816, с. 17—20.

[26] ЦГВИА, ф. ВУА, № 20548.

[27] А. Цагарели, Грамоты, №, с. 188.

შედარებით თავისებურს წარმოადგენდა თელავის სასიმაგრო ნაგებობანი. XVIII ს. თელავი 1802 წ. გეგმის მიხედვით 3 ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: ქალაქის ცენტრალურ, ამაღლებულ ნაწილში იყო «Замок царской», სადაც თავს იყრიდა მეფის სასახლე, პატრიარქის სასახლე, წმ. გიორგის ეკლესია და სხვ. „სამეფო ციხეს“ ოთხი კარი ჰქონია. მისი უმთავრესი კარი ჩრდილო-დასავლეთის კედელზე იყო, რომელიც მას მის წინ შეფენილი ქალაქის მოსახლეობასთან აკავშირებდა. თელავის მეორე ნაწილს „მეფის ციხის“ ჩრდილო-დასავლეთით, მაღალ გორაკზე ოთხკუთხი ფორმის ციხე წარმოადგენდა; ეს იყო, გეგმის შემდგენელის მიხედვით, „გრიგოლ ვახოვის (ალბათ, ვახვახოვის) ციხე“[28]. როგორც ჩანს, გეგმის შემდგენელს შეცდომა მოსვლია. თელავის 1819 წ. გეგმით იგივე ციხე ყორჩიბაშიშვილის კუთვნილებად არის გამოცხადებული[29]. ამას გარდა, ერეკლეს 1768 წ. საბუთიდან ვიცით, რომ ყორჩიბაშიშვილები თელავში საკმაოდ ძლიერი მფლობელები იყვნენ[30]. ასე რომ, ციხეც, ცხადია. მათი კუთვნილება უნდა ყოფილიყო[31].

თელავის მესამე ნაწილი „მეფის ციხის“ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. კურდღელაურის სათავესთან, მის მარჯვენა ნაპირზე აღმართული არასწორი ოთხკუთხა ფორმის ციხე იყო, რომელიც რევაზ ვახვახიშვილს კუთვნებია. ამ ციხეთა შორის უფრო დიდი, მკვიდრი გალავნისა და შენობების მქონე, ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის სიტყვით, „მეფის ციხე“ იყო[32].

როგორც ჩანს, თელავი ფაქტობრივად სამ მებატონეს შორის იყო დაყოფილი. საკუთრივ ქალაქს, როგორც გეგმიდან ჩანს, გალავანი არ ჰქონია. მაგრამ ქალაქის ერთგვარ სამაგრეს, ციხეებთან ერთად, ე. წ. „დიდი ხევი“ ქმნიდა, რომელიც სიმივე ციხეს დასავლეთიდან უვლიდა და რომელსაც 1802 წ. გეგმის შემდგენლის მიერ მიწერილი აქვს: «Россипь по голешному камню«.

თელავის ერთს, მეოთხე ნაწილს „ძველი ციხე“ ანუ ძველი თელავი წარმოადგენდა, რომელიც „დიდი ხევის“ ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა და სამი მხრიდან კედელი ჰქონდა შემოვლებული. „ძველ თელავში“ მოსახლეობა ყოფილა როგორც

---

[28] ЦГВИА, ფ. ВУА, № 22647.

[29] იქვე, № 22649.

[30] ЦГИАГ, დავთ. 34, სად. 147

[31] Ср. И. А. Гюльденштедт, Описание, с. 223; Reisen, p. 99.

[32] ალ. ჯ ა მ ბ ა კ ურ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თელავის აღწერა, ГМГ, ფ. S 1650, გვ. 2—3.

XVIII ს., ასევე XIX ს. პირველ ნახევარშიც. თელავის ჩვენ მიერ დასახელებულ ციხეებს გიულდენშტედტი დეტალურად აგვიწერს: მისი ცნობით, ცენტრალურ, „ბატონის ციხეს“ ჰქონდა „700 ნაბიჯი გარშემო და დაყოფილი იყო ორ ნაწილად“. ყორჩიბაშიშვილების ციხეს „600 ნაბიჯი გარშემო“, ვახვახიშვილებისას კი „500 ნაბიჯი“[33]. კიდევ უფრო თავისებური იყო სიღნაღის სასიმაგრო ნაგებობანი. სიღნაღი XVIII ს. მეორე ნახევარში წარმოშობილი ქალაქია და მისი ციხეც ამ დროს არის აგებული. სიღნაღის ციხეს 5 ვერსის სიგრძის კედლის მიერ შემოსაზღვრული ტერიტორია წარმოადგენდა. ციხის მიზანს შეადგენდა არა მარტო ქალაქის, არამედ მეზობელ სოფლთა მოსახლეობის დაცვაც ლეკების ყაჩაღური თავდასხმისაგან. ციხე ამ შემთხვევაში ქალაქის შფლობელის რეზიდენციას არ წარმოადგენს. ამით აიხსნება, რომ ციხის ტერიტორია 3—4-ჯერ აღემატება თვით ქალაქის ტერიტორიას. ციხის კედლებს 23 კოშკი იცავდა, რომელთაც უმთავრესად მათი მშენებელი სოფლის სახელები ერქვათ: მაღაროს კოშკი, კოშკი ბოდბისა, ველისციხისა, ქიზიყისა, „გორის ბურჯი“, მაჩხაანისა, საქობო, ანაგისა, ბაკურციხისა, კარდანახისა, ვაქირისა, ნარიყალა, შილდისა, კახეთისა, მეფისა ანუ ჯუგაანთა, შირზაანისა და სხვ.

ციხის ცენტრალური კარის წინ, ციხის სამხრეთითა და აღმოსავლეთით გაშლილი იყო ქალაქის მოსახლეობა. ციხის კედლებს შიგნითაც, ნარიყალას კოშკიდან ვიდრე შილდის კარამდე, ქალაქის მოსახლეობა იყო მოკალათებული, მცხოვრებთა სახლები გეგმაში აღნიშნულია აგრეთვე ციხის ტერიტორიის ცენტრშიც, ხოლო ციხის ტერიტორიის დანარჩენი უდიდესი ნაწილი სავსებით ცარიელი იყო[34].

აღსანიშნავია, რომ ქალაქის ტერიტორიას იცავდა ზოგ, განსაკუთრებით ღია ადგილებში, კედლები და კოშკები. ქალაქის ტერიტორიის ირგვლივ სულ 10 კოშკი ყოფილა. გიულდენშტედტი სიღნაღის ციხის შესახებ წერდა: მისი კედლის სიმაღლე 10 და სიგანე 4 ფუნტამდე იყო. აშენებულია რიყისა და კირის მრგვალი ქვებისაგან კირით. მისი დაცვა შედგება 6 ხუთ-ექვსფუნტიანი ზარბაზნისაგან[35].

სასიმაგრო ნაგებობანი დამახასიათებელი იყო მცირე ქალაქებისთვისაც. მაგ., ანანურში ყველაზე მაღალ, შედარებით დავა-

---

[33] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 223; Reisen, p. 99,
[34] ЦГВИА, ф. ВУА, № 2588; იხ. იქვე, № 18481, с. 100.
[35] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 185.

კებულ ადგილზე აღმართული იყო ციტადელი, რომელიც ქალაქის მფლობელს ეჭირა. ციტადელის გარეთ, საერთო კედლებში იყო მომწყვდეული მცხოვრებთა სახლები, დუქნები და სხვ. ნაგებობანი; ქალაქის ამ კედლებით შემოსაზღვრულ ტერიტორიას ჩრდილო და სამხრეთ-აღმოსავლეთით მოსახლეობა და მათი კვარტალები ეკრა. ქალაქის ამ უბანსაც, ციხესთან ერთად, 6 კოშკი იცავდა[36].

დუშეთსაც თავისი ციხე ჰქონდა, რომელიც აგრეთვე კოშკებით იყო გამაგრებული; დუშეთის ციხეში მისი მფლობელი იჯდა. ქალაქის მფლობელის სასახლის წინ, ციხის აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით ქალაქის მოსახლეობა იყო გაშლილი. აქ ყველგან გეგმის შემდგენელის მიერ „ობივატელთა მიწურები" არის აღნიშნული. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალი გზის ორივე ნაპირზე ჩამწკრივებული იყო „სავაჭრო დუქნები". XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დამდეგს ქალაქი კედლით არ ყოფილა შემოსაზღვრული. მაგრამ ადრე რომ საკუთრივ ქალაქსაც ჰქონდა კედელი, ეს დუშეთის XIX ს. დამდეგს შედგენილი გეგმებიდანაც ჩანს. ქალაქის დასასრულს, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეზე გეგმის შემდგენელს მიწერილი აქვს: „დანგრეული ქვის კედლები". იქვე ყოფილა აგრეთვე „დანგრეული აბანო"[37].

თავისი ციხე ჰქონდა მცირე ქალაქ სურამს[38], ალს[39]. საბუთებში მოიხსენიება აგრეთვე ცხინვალის ციხე და „ქრცხილვანის გალავანი", რომელიც აგრეთვე საგანგებო თხრილითაც ყოფილა გამაგრებული[40].

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების სასიმაგრო ნაგებობათა შესასწავლად საინტერესო მასალებს გვაძლევს სამხრეთ საქართველოს ქალაქები, რომელნიც მართალია საუკუნეთა მანძილზე ოსმალეთის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ, მაგრამ მაინც არ დაუკარგავთ თავიანთი სახე.

ახალციხე, ისე როგორც სხვა ქალაქები, ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა — „ციხე და ქალაქი". XV ს. ამბებთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრების შედეგში" სხვათა შორის ნათქვამია: იაყუბ ყაენის მეომრები „მიადგეს ციხესა და ქალაქსა

---

36 ЦГВИА, ВУА, № 21626.

37 იქვე, № 21911.

38 პაპუნა ორბელიანი, B_2, გვ. 377—278.

39 ომან ხერხეულიძე, B_2, გვ. 489.

40 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 1, საბ. 124; იქვე, დავთ. 33, საბ. 6.

ახალციხისასა... გატეხნეს ციხე და დაწვეს ქალაქი"[41]. ახალციხის „ციხე და ქალაქი" არაერთხელ აქვთ მოხსენებული სეხნია ჩხეიძეს, ომან ხერხეულიძეს[42] და XVIII ს. სხვა ქართველ ისტორიკოსებს, იგი აღწერილი აქვს შარდენს, ვახუშტი ბატონიშვილს და სხვ. ვახუშტის სიტყვით, ახალციხე „არს მოზღუდვილი ქვითკირის სამი ზღუდით"[43]. ახალციხის გარეგანი სახის აღსადგენად შედგენილი გეგმაც მოგვეპოვება, რომელიც ოსმალთა ბატონობისაგან მისი განთავისუფლების დროს, 1828 წ. არის შემუშავებული[44].

ქ. ახალციხე გაშენებული იყო მდ. ფოცხოვის მარჯვენა წყლისკენ დაქანებულ მაღალ გორაზე. გეგმის შემდგენელი მას სამ ნაწილად ჰყოფს: Цитадель, крепость и город. ციტადელი მდ. ფოცხოვის ერთი ტოტის მარჯვენა, ყველაზე მაღალ ნაპირზეა გაშენებული. მას თავისი კედლები აქვს. ციტადელის ქვემოთ, ასევე შედარებით მაღალ გორაზე მოთავსებულია ციხე; მისი ტერიტორია გაცილებით დიდია, ვიდრე ციტადელისა თავისი კედლით, რომელიც მდინარის ნაპირამდე ჩადის და ციტადელთან ერთად საერთო, კედლებით შემო, საზღვრულ ტერიტორიას ქმნის. ციტადელსა და ციხეს კიდევ მესამე, საერთო კოშკებით გამაგრებული კედელი იცავს, რომელიც გასდევს მთის კალთებს და ციხის ნაგებობას ირგვლივ უვლის. ეს კედელი ციხესა და ციტადელს ქალაქის მხრიდან იცავდა. ახალციხის მშენებლებს ეს მესამე კედელიც არ მიუჩნევიათ საკმარისად და ქალაქი და ციხე თავისი ციტადელით კიდევ მეოთხე კედლითაც გამოუყვიათ. ვახუშტის, როგორც ჩანს, როცა სამ ზღუდეზე ლაპარაკობს, მხედველობაში არ მიუღია ციტადელის ცალკე კედლები. ციტადელსა და ციხეს მდინარისაკენ გასასვლელი არა აქვს, აქედან იგი სავსებით მიუვალი ჩანს. სამაგიეროდ იგი ჩრდილოეთის ერთადერთი კარით, რომელსაც გეგმის შემდგენელი «Крепостная ворота»-ს უწოდებს, უერთდებოდა ქალაქს.

ახალციხის ქალაქი გაშლილია ფერდობის შედარებით ვაკე და ოდნავ დაქანებულ კალთებზე, ციხე-სიმაგრის წინ, მის მარჯვნივ და მარცხნივ, ნახევარ წრის მსგავსად.

საკუთრივ ქალაქი კედლებით არ ყოფილა შემოვლებული, მაგრამ მას, მდინარის ნაპირიდან მოკიდებული, ნახევარწრედ ირგვლივ უვ-

---

[41] B_2, გვ. 262.
[42] იხ. იქვე, გვ. 310, 491, 493.
[43] ვ ა ხ უ შ ტ ი აღწერა, გვ. 125.
[44] ЦГВИА, ф. ВУА, № 5018.

ლიდა თხრილი, რომელსაც გეგმის შემდგენელი განმარტავს როგორც «Полисад со рвом». როგორც ჩანს, თხრილი ქალაქის კედლების მაგივრობას წევდა, რომელზედაც 4 კოშკი — „ქალაქის დამცველი ბასტიონები“ — იყო აღმართული. მეხუთე კოშკი, რომელიც ქალაქის დასავლეთ საზღვარზე იყო აგებული, საგანგებოდ ყოფილა გამაგრებული.

ამრიგად, ახალციხე ციტადელით, სამკედლიანი ციხით, თხრილშემოვლებული და კოშკებით გამაგრებული რაბათით ტიპიური გვიანფეოდალური ხანის ქალაქია.

საქართველოს ერთ უძველეს ქალაქს ახალქალაქიც წარმოადგენდა. იგი ჯავახეთის მტკვრისა და მდ. ახალქალაქის შესართავთან შექმნილ სამკუთხა ფორმის კონცხზე იყო გაშენებული. გვიანფეოდალური ხანის ახალქალაქის შესასწავლად ორი, 1828 და 1838 წ. შედგენილი ვეგმა მოგვეპოვება[45]. ძველი ახალქალაქის ჩრდილოეთი წვერი მდინარეთა შესაყართან იწყება და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ არის გაშლილი. იქ, სადაც ქალაქის ტერიტორია ვიწროვდება, იგი გადაკეტილია ორი კედლით, რომელნიც მდინარეებისაკენ დაქანებულ ნაპირებთან ერთად ქმნიან ოთხკუთხა ციხეს. ციხის ტერიტორიაში, მის აღმოსავლეთ კუთხეში საკუთარი კედლებით გამოყოფილი იყო ციტადელი, რომლის სამხრეთის კედელი ორი კოშკით იყო გამაგრებული. ციხე ციტადელითურთ ოთხივე, თვით მდინარისაკენ დაქანებული მხრებიდანაც კედლებით იყო გამაგრებული. ქალაქის ტერიტორია, რომელიც მდინარეთა მიერ შექმნილი ხევებით ბუნებრივად იყო გამაგრებული, კედლებით დაცული არ ყოფილა. XI და მომდევნო საუკუნეებში, როგორც „ქართლის მატიანეს“ და ვახუშტის ცნობიდან ჩანს, ახალქალაქის რაბათიც ზღუდით ყოფილა გამაგრებული, მაგრამ იგი მრავალგზის შემუსვრის წყალობით XVIII ს. II ნახევარში მოშლილი იყო.

ახალქალაქის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე, ე. ი. ტერიტორიაზე, რომელიც ციხის ჩრდილო კედელსა და მდინარეთა შესაყარს შორის იყო მოქცეული, მოსახლეობის კვალი XIX ს. 30-იანი წლებისათვის აღარ ჩანს და ამის გამო გეგმის შემდგენელს მიუწერია: „ყოფილი ფორშტატი“; „ჩრდილო ფორშტატში“ დღესაც შეიმჩნევა სხვადასხვა ნაგებობათა კვალი. იგი ერთადერთი კარით უერთდებოდა ციხეს. ციხის სამხრეთ კედლის წინ, რომელზედაც გაივლიდა სამხრეთიდან მომავალი უმთავრესი გზები, თავის დრო-

---

[45] ЦГВИА, ф. ВУА, № 4965; იქვე, ф. 349 (Л), оп. 3, д. 2864.

ზე გაშლილი იყო აგრეთვე ქალაქის მოსახლეობა, რომელიც XIX ს. დამდეგისათვის ახალქალაქში გადასახლებულა, და ამიტომაც უსეც „ყოფილ ფორშტატს“ წარმოადგენდა. „სამხრეთი ფორშტატის“ ერთი მხარე სავსებით დაუცველი ყოფილა.

ახალქალაქიც ჩვეულებრივი, გვიანფეოდალური ქალაქივ შუაში ციხითა და ციტადელით, ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ კიდევ „წინა ქალაქებით“. თავდაპირველად ქალაქის ციხე-ციტადელი და „ჩრდილო ფორშტატი“ უნდა ყოფილიყო, „სამხრეთის ფორშტატი“ ქალაქის შემდეგდროინდელი განვითარების შედეგად უნდა იყოს წარმოშობილი.

ამავე ტიპის, ოღონდ შედარებით მცირე ქალაქს წარმოადგენდა აწყურიც. აწყურის ციხე-სიმაგრე მტკვრის მარჯვენა ნაპირის ერთ მაღალ გორაზეა გაშენებული. ციტადელი, რომელიც გორის უმაღლეს წერტილზეა მოთავსებული, ცალკე კედლებით იყო შემოფარგლული, ხოლო ციხე მეორე კედლით, რომელიც თავის მხრივ ციტადელის კედლებს უერთდება. ციტადელისა და ციხის სამხრეთით, შედარებით ვაკე ადგილზე მოსახლეობაა შეფენილი, რომელიც საგანგებო ხიდით, რომლის არსებობაზედაც ვახუშტიც მიუთითებს[46], უერთდებოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირს, სადაც აგრეთვე მოსახლეობა იყო, რომელზედაც აწყურის 1828 წ. გეგმის შემდგენელს მიუწერია: „ფორშტატი“[47]. ქალაქის მოსახლეობა, როგორც მტკვრის მარჯვენა, ასევე მარცხენა ნაპირზე, კედლებით არ იყო დაცული. მოსახლეობის დამცველს ციხე წარმოადგენდა, ქალაქის მფლობელის საჯდომს კიდევ მისი ციტადელი. როგორც ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ცნობებიდან ირკვევა, აწყურის საკუთრივ ქალაქის მოსახლეობა XV-ს-შიაც კედლებით არ ყოფილა დაცული; ამით აიხსნება ალბათ, რომ იაყუბ ყაენის მეომრებმა ადვილად მოაოხრეს აწყურის ქალაქი, ხოლო ორი მისი კედლით გამაგრებულ ციხეს კი „ვერ უძლეს ბრძოლითა აღებად“[48]. როგორც ჩანს, ოსმალთა ბატონობის დროს აწყურის გარეგან სახეს რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია.

თავისი გარეგანი სახით თითქმის არაფრით განირჩეოდა დასავლეთ საქართველოს უმთავრესი ქალაქები აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ქალაქებისაგან.

---

[46] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 124.

[47] აწყურის გეგმა, იხ. ЦГВИА, ф. ВУА, № 21660.

[48] შედეგი ქართლის ცხოვრებისა, B_2, გვ. 262; შდრ. იქვე, გვ. 263.

XVII ს. ქუთაისის გარეგანი სახის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ნ. ტოლოჩანოვისა და ა. იევლევის ელჩობის მუხლობრივი აღწერანი. აქ დაცული ცნობების მიხედვით, ქუთაისი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: „დიდი ქუთაისისა“ და „პატარა, ქვედა ქუთაისისაგან“ [49]. „დიდი ქუთაისი“ თვით ორ ნაწილად იყოფოდა. აქ ცალკე იყო გამოყოფილი ციტადელი, რომელსაც რუსი ელჩები «Кремль город»-ს უწოდებენ[50].

„დიდი ქუთაისი“ რიონის მარჯვენა ნაპირის გორაზე იყო; რუსი ელჩები ქალაქის ამ ნაწილს შემდეგნაირად აგვიწერენ: „ქალაქი ქუთაისი ქვიანია, კედლების სიმაღლე სამი საჟენია, სიგანე — დიდი საჟენია. ქალაქში კედელ-კედელ ეკლესიის პირდაპირ ოთხი დიდი პალატაა, ამბობენ, რომ ამ პალატებშიც ცხოვრობენ კათოლიკოსები. ქალაქში 15 დიდი და პატარა კოშკია. დიდ ქალაქთან (ფართობი) 1230 დიდი საჟენია, ქალაქი გაშენებულია მთაზე. მდ. რიონზე მაღლა“[51]. ელჩების აღწერილობით, „დიდ ქალაქში“ იყო კრემლიც, რომელიც საკუთარი კედლებით ყოფილა შემოსაზღვრული: იქვე, დიდ ქალაქ ქუთაისში კრემლი-ქალაქია, უკანკუთხეში საკრებულო ეკლესიაა, ოთხკუთხოვანია, კედლების სიმაღლე 10 საჟენია; სიგანე საჟენზე ნაკლები. აქვე კედლებზე შვიდი კოშკია, 12 საჟენის სიმაღლის, ქალაქთან 202 საჟენის დიდი კოშკია. ქალაქს ერთი კარი აქვს, საკეტები რკინისაა. კედლებზე წარწერებია. დადგმულია სამი საპოლკო ზარბაზანი[52]. რუსი ელჩების მიერ მოცემული აღწერილობა ქუთაისის ციხისა და მისი ციტადელისა იმდენად ნათელია, რომ ჩვენს განმარტებებს არ საჭიროებს.

„დიდ ქუთაისს“, ე. ი. ციხესა და „ქალაქის კრემლს“ გარდა, მდ. რიონის მარცხენა, ვაკე ნაპირზე იყო „ქვედა ქალაქი ქუთაისიც“: „ქვის დიდ ქუთაისთან არის ქვედა ქალაქი ქუთაისიც. რიონის ორივე მხარეზე გაყვანილია თხრილი და გაკეთებულია ქვის დასაყრელი და აქვე გაშენებულია ხის კოშკები მებრძოლებისათვის. ირგვლივ ამ ნაყარის გარშემო კედლის გაყოლებით ოთხი ვერსია“[53].

---

[49] Посольство... Толочанова и Иевлева в Имеретию 1650—1652, изд. М. Полиевктов, Тб., 1926, с. 157.

[50] იქვე, გვ. 156.

[51] იქვე, გვ. 152.

[52] იქვე, გვ. 156.

[53] იქვე, გვ. 157.

როგორც ჩანს, ქუთაისის ქალაქს თავისი კედლები არ ჰქონია. ამიტომ წერდა შარდენი, რომ ქალაქი ყოველმხრივ ღიაა, გარდა იმ მხარისა, საიდანაც ზღუდავენ მდინარე და მთები[54].

ორ ნაწილად, ციხედ (ციტადელითურთ) და ქვედა პატარა ქალაქად დაყოფილი ქუთაისის შესახებ მოგვითხრობენ XVII და XVIII სს. სხვა წყაროებიც[55]. „ქალაქი კრემლი", როგორც რუსი ელჩებისა და ასევე სხვა მასალებიდანაც ირკვევა, მეფის საჯდომი იყო. ქუთაისის გარეგან სახეს ამგვარადვე წარმოგვიდგენს იმერეთის 1737 წ. რუქა, რომლის მიხედვითაც ქუთაისის ერთ ნაწილს „ქუთაისის ციხე" წარმოადგენს, მეორეს კიდევ „ქუთაისის ქალაქი", რომელშიც უკვე ამ დროისათვის, რაკი ციხე თათრებს ეჭირათ, ყოფილა „სამეფო სასახლე და ტახტი"[56]. ქვედა, „ქალაქი ქუთაისი" XVIII ს. პირველ ნახევარში უკვე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე „დიდი ქუთაისი"; „ქვედა ქუთაისი", როგორც 1820 წ. გეგმიდან ჩანს, თანდათან იზრდებოდა და თავს უყრიდა ქალაქის მოსახლეობას, ისე რომ XIX ს. დამდეგისათვის უკვე იგი ქალაქის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენდა[57].

მნიშვნელოვანი სამაგრეები ჰქონდა XVII ს. მცირე ქალაქ რუხსაც, რომელიც მდინარე ენგურის ნაპირზე იყო გაშენებული. რუხის მცირე ქალაქს ეყოფოდა ძლიერი კედლებით და კოშკებით გამაგრებული ციხე, რომელსაც სამი მხრიდან აგრეთვე პატარა მდ. რუხი უვლიდა. მდ. რუხის დინება ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ იგი ხელოვნურად უნდა იყოს ციხეს შემოვლებული. ქონგურებიან კედლებს შიგნით მოთავსებულ ტერიტორიას რუხის 1770 წ. გეგმის შემდგენელი „ციხეს" უწოდებს, რომელშიც ცალკე გამოყოფილი იყო „კრემლი ციხეში". „ციხეც" და „კრემლიც" სათანადო კოშკებით იყო გამაგრებული. როგორც ამავე გეგმიდან ჩანს, XVIII ს. 70-იან წლებში რუხი უფრო ციხე იყო, ვიდრე ქალაქი. ქალაქის როლი მან ჯერ კიდევ XVIII ს. დამდეგს დაკარგა. ციხის ტერიტორიაზე XVIII ს. 70-იან წლებში ყოფილა: „კარავი, სადაც თურქული ხორბლისგან გამომცხვარ პურს ინახავდნენ" და „თურქების საცხოვრებელი ადგილი". ციხის გარეთ,

---

[54] შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა, გვ. 66—67.

[55] იხ. ლევან დადიანის წარწერა ხატზე, ИВАН, Н: 47, ს. 39—41; ა. ლ ა მ ბ ერ ტ ი, სამეგრ. აღწერა, გვ. 92—93; შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა, გვ. 66—67; И. А. Г ю л ь д е н ш т е д т, Описание, с. 351—355; Reisen, p. 163—165.

[56] იხ. ЦГВИА, ВУА, 20501, л. 11.

[57] იქვე, № 22110.

გარდა წისქვილებისა, ქალაქის მოსახლეობის არავითარი ნაგებობა არ ჩანს[58].

რუხის მსგავსად, ძირითადად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა XVII—XVIII სს. ფოთი თავისი ციხით. ფოთის ციხეს, როგორც იმერეთის 1737 წ. რუქიდან ჩანს, კვადრატის ფორმა ჰქონია, რომლის ყოველ კუთხეშიც ოთხკუთხი კოშკები იდგა[59]. ამგვარადვე არის ფოთის ციხე წარმოდგენილი 1811 წ. გეგმაშიც[60]. ფოთის ციხის მთელი ტერიტორია, როგორც იმავე გეგმიდან ირკვევა, დათმობილი ჰქონია სამხედრო დანიშნულების ნაგებობებს. აღსანიშნავია, რომ ციხეს თავის დროზე „ფორშტატიც“ ჰქონია, რომელიც ოსმალებს დაუნგრევიათ და მისი მასალით სხვადასხვა სამხედრო ნაგებობანი აუგიათ ციხეში. ციხის აღმოსავლეთით, მისგან არც ისე მოშორებით იყო რამდენიმე „პროვიანტის მაღაზია“. მაღაზიების წინ, აღმოსავლეთით იყო აგრეთვე „პურის საცხობები“ და სხვა ნაგებობანი, რომელთა ერთი ნაწილი ეჭირა სამხედრო სახელოსნოებს, ნაწილს კიდევ «маркитанския лавки» წარმოადგენდა.

მსგავს, უმთავრესად სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტებს, ციხეებს და მასთან წარმოშობილ სავაჭრო ადგილებს წარმოადგენდნენ დასავლეთ საქართველოში ანაკლია და აყუ ანუ სოხუმი, რომელთა ციხეებიც ისევე იყო მოწყობილი, როგორიც ფოთის; მსგავსი ციხე-სიმაგრეები მცირე ქალაქებით იყო არა მარტო შავი ზღვის სანაპიროზე, არამედ თვით იმერეთის შიგნითაც; მაგ., შორაპანი, ონი და სხვა. ამასთან ერთად, დასავლეთ საქართველოში ისეთი მცირე ქალაქებიც არსებობდნენ, რომლის მოსახლეობა რაიმე განსაკუთრებული ციხე-სიმაგრეებით არ იყო დაცული. ასეთებს, ჩვენი აზრით, მიეკუთვნებიან ჩიხორი, ჩხარი, ხონი და სხვ. მისთანანი, რომელთაც, როგორც ჩანს, მუდმივი ხელოსნურ-ვაჭრული მოსახლეობა ნაკლებად ჰყავდათ.

ჩვენ მიერ განხილული მასალები შესაძლებლობას გვაძლევენ გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქები, სასიმაგრო ნაგებობათა მიხედვით, ოთხ ძირითად ჯგუფად დავყოთ.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ქალაქები, რომელთაც ციხის გარდა იცავდა ქალაქის კედლები ან მისი მსგავსი სასიმაგრო ნაგებობანი (თხრილები, კოშკები). ამ ტიპის ქალაქები იყო: თბილისი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ცხინვალი.

---

[58] იქვე, № 22407; შდრ. № 2051, ფურც. 11.

[59] იქვე, № 20501, ფურც. 11.

[60] იქვე, № 22371.

მეორე ჯგუფში შედიან ისეთი ქალაქები, რომელთა დაცვა ძირითადად მინდობილი ჰქონდა მხოლოდ ციხეებს. ამ ჯგუფს ეკუთვნოდა გვიანფეოდალურ ქალაქთა უმეტესობა: ანანური, აწყური, ახალქალაქი, დუშეთი, სიღნაღი, რუხი. ამათგან შედარებით თავისებურია: სიღნაღი თავისი ვრცელი ციხით, ახალქალაქი ჩრდილო და სამხრეთ „ფორშტატებს“ შორის მოქცეული ოთხკუთხა ციხით და თელავი სამი ციხით.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნებიან გვიანფეოდალური ხანის ის მცირე ქალაქები, რომელნიც სტრატეგიული თუ სხვა თვალსაზრისით მნიშვნელოვან პუნქტებთან არსებობდნენ; მათ იყვნენ შეკედლებულნი, მათ დამატებას წარმოადგენდნენ და მათ აფარებდნენ თავს. ასეთი ჯგუფის ქალაქები უმთავრესად დას. საქართველოში იყო, სადაც პირველი და მეორე ჯგუფის ქალაქები იშვიათად გვხვდება.

მესამე ჯგუფის ქალაქები ისეთი ტიპის დასახლებანია, როგორიც იყო ფოთის ციხესთან, ანაკლიას, სოხუმის, შორაპანის, ონის და სხვ. ციხეებთან.

მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნებიან მცირე ქალაქები, რომელთაც მუდმივი ხელოსნურ-ვაჭრული მოსახლეობა მცირე ჰყავდათ და ამის გამო არც საგანგებო სიმაგრეებით იყვნენ დაცულნი, არც კედლებითა და საგანგებო ქალაქის ციხეებით, მაგალითად, წილკანი, ჩხარი, ხონი, ჩიხორი და სხვ.

ყველა უმთავრესი ქალაქისათვის დამახასიათებელი იყო „ციხედ“ და „ქალაქად“ დაყოფა, მაგრამ ქალაქის ციხეები ერთნაირი როდი იყო: ზოგი ქალაქის ციხე საკუთრივ ორ ნაწილად იყოფოდა—„ციხედ“ და „შიდა ციხედ“, „შიდა ციხე“ უმთავრესად სასიმაგრო ნაგებობას წარმოადგენდა და ქალაქის მფლობელთათვის იყო განკუთვნილი. ზოგ ქალაქს კიდევ მარტო ციხე ჰქონდა, რომელშიც ქალაქის მფლობელი თუ გამგებელი იმყოფებოდა და რომელშიც, საჭირო შემთხვევაში, მოსახლეობაც აფარებდა თავს. იყო ისეთი ციხეც, რომელიც მარტოოდენ თავშესაფრად იყო გამოყენებული.

ამ თვალსაზრისით კი გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში ორი ძირითადი ტიპი განირჩევა:

პირველ ტიპის ქალაქებს, რომელთაც ციხეც ჰქონდათ და ციტადელიც, მიეკუთვნებოდნენ: თბილისი, ქუთაისი, ახალციხე, ახალქალაქი, ანანური, აწყური და რუხი. ციტადელი აქ ყველგან ქალაქის მფლობელის ან მისი ხელისუფალის საჯდომი იყო, ციხე კი მოსახლეობის თავშესაფარი. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის

ციტადელს ამგვარი დანიშნულება XVII ს-ში და XVIII ს. დამდეგს ჰქონდა; ხოლო მას შემდეგ, რაც ციხე და ქალაქი გაერთიანდა, როცა ციხის ქალაქისაგან გამომყოფი კედლები ერეკლეს ბრძანებით მოიშალა, ქალაქის მფლობელის სასახლე და მასთან დაკავშირებული სხვა ნაგებობანი საბოლოოდ საკუთრივ ქალაქში იქნა გადმოტანილი. ამიერიდან ციტადელმა თავისი ძველი მნიშვნელობა დაკარგა[61].

მეორე ტიპის ქალაქებს, რომელთაც მხოლოდ ციხე ჰქონდათ და იგი იყო გამოყენებული ციტადელადაც, მიეკუთვნებოდნენ: გორი, დუშეთი, თბილისი (XVIII ს. შუა წლებიდან), თელავი, ცხინვალი, ფოთი, ანაკლია, სოხუმი, შორაპანი და სხვ.

ზემოაღნიშნული ტიპებიდან გამონაკლისს შეადგენდა სიღნაღი, რომლის ციხეც ქალაქისა და მის ახლო სოფლების მხოლოდ თავშესაფარს წარმოადგენდა.

საქართველოში XIX ს. დამდეგიდან დაიწყო ქალაქის კედლების რღვევა, ამავე დროიდან იწყება ქალაქის ციხეების მნიშვნელობის შემცირებაც. XIX ს. პირველმა ნახევარმა მოსპო ქალაქის კედლები, ხოლო XIX ს. მეორე ნახევარმა საბოლოოდ დაუკარგა ქალაქის ციხეებს თავიანი დანიშნულება; ციხეები ამჟამადაც მხოლოდ როგორც წარსულის გადმონაშთნი შემორჩნენ ზოგიერთ ქალაქს (თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი და სხვ.). XIX ს. პირველმა ნახევარმა გვიანფეოდალური ზოგი ქალაქის ციხე და კედლები სავსებით დატოვა და მათ მახლობლად იმავე სახელწოდების მატარებელი ახალი ქალაქი წარმოშვა (ახალციხე, ახალქალაქი და სხვ.).

ბ. ქალაქის კარი

ფეოდალური საქართველოს ქალაქების სიმაგრეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქალაქის კარებს; მაგრამ ქალაქის კარები მარტო ქალაქის დაცვას როდი ემსახურებოდა; მას დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა, იგი აკავშირებდა ქალაქს გარე სამყაროსთან, ამიტომაც ქალაქის კარები ფეოდალურ ქალაქებში ეკონომიკური ცხოვრების ერთგვარი ცენტრიც იყო. ისე როგორც

---

[61] თბილისის ციტადელიდან მეფის რეზიდენცია ჯერ კიდევ როსტომის დროიდა გადმოვიდა, მაგრამ ციტადელსა და ციხეს მაინც თავისი დანიშნულება არ დაუკარგავს, იქ ქართლის მეფის სიუზერენის, ირანის შაჰის გარნიზონი და მისი მოხელეები იყვნენ ჩაყენებულნი.

ციხე და კედლები, ასევე კარებიც ფეოდალური საქართველოს ქალაქებისათვის საესებით დამახასიათებელია.

თბილისის, მცხეთის და სხვ. ქალაქების კარების შესახებ ქართული წერილობითი წყაროების მითითება ჩვენ IV—VII სს. ამბებთან დაკავშირებით მოგვეპოვება. ხოლო X ს. არაბ ისტორიკოსს უკვე თბილისის კართა სახელწოდებაც აქვს ჩამოთვლილი. ტაბარის ცნობით, თბილისში 5 კარი ყოფილა: „მოედნის კარი", „კარის კარი", „მცირე კარი", „რაბათის" თუ „ციხის კარი" და „სოღდებელის კარი" კვიანფეოდალურ ხანაში ამ მხრივ დიდი ცვლილება არ მომხდარა. XVII—XVIII სს. წერილობითი წყაროები და თბილისის გეგმები თბილისში 6 კარს უჩვენებენ. ჩვენ აქ არ შევუდგებით ყველა წყაროს დეტალურ განხილვას, აღვნიშნავთ მხოლოდ იმ დასკვნებს, რომელზედაც სხვადასხვა სახის წყაროებისა და თბილისის გეგმების საგანგებო შესწავლამ მიგვიყვანა[62].

თბილისის, საკუთრივ ქალაქის ჩრდილოეთ კედელზე, მდ. მტკვრის პირის მახლობლად ერთი კარი იყო, რომელსაც ვახუშტი „ქვემო კარს" უწოდებს, სხვა ყველა წყარო „წყლის კარს", გარდა 1800 წ. გეგმისა, სადაც იგი „მუხრანის კარად" არის სახელდებული. წყაროთა ურთიერთშედარება უდავოდ გვარწმუნებს, რომ „ქვემო კარი", „წყლის კარი" და „მუხრანის კარი", ერთი და იმავე კარის სხვადასხვა სახელწოდებაა.

თბილისის დასავლეთ კედელზე ორი კარი იყო. პირველს „დიღმის კარს" უწოდებს ყველა წყარო, მეორეს კიდევ „კოჯრის კარს", ან „მაღლა კარს", ზოგჯერ „წავკისის კარსაც" უწოდებენ წყაროები. ასე რომ, ჩვენი მასალების მიხედვით, „კოჯრის კარი", „მაღლა კარი" და „წავკისის კარი" თბილისის დასავლეთის კედლის მეორე კარის სხვადასხვა სახელწოდებაა. სამხრეთის კედელზე თბილისის ერთი უმთავრესი კარი იყო და იგი XVII—XVIII სს. ყველა წყაროში „განჯის კარის" სახელითაა ცნობილი. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, უდრის ტაბარის მიერ მოხსენებულ „კარის კარს".

ქალაქის აღმოსავლეთ კედელზე კიდევ ერთი კარი იყო, რომელსაც ყველა ჩვენთვის ცნობილი წყარო „აბანოს კარს" უწოდებს. ვახუშტის მიერ შეცდომით ჩრდილოეთის კედელთან ნაჩვე-

---

[62] შ. მ ე ს ხ ი ა, გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების გარეგანი სახე, მოხსენდა საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტორიის განყოფილებას, 1950 წ. დეკემბერს (ხელნაწერი).

ნები „მოედნის კარი“ აბანოს კარის სხვა სახელწოდება უნდა იყოს. „აბანოს“ თუ „მოედნის კარს“ შეესატყვისება ტაბარის მიერ დასახელებული „მოედნის კარი“, რომელიც ციხის მოედანს ძველი თბილისის (აბანოების უბანი) ტერიტორიასთან აკავშირებდა.

ქალაქის მეექვსე კარი მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ავლაბრის კედელთან იყო და მას ყველა წყარო, ზოგ გამონაკლისს გარდა, „ჰავლაბრის“, ან „ავლაბრის კარს“ უწოდებდა. „ავლაბრის კარის“ სხვა სახელწოდებაა „არტემ არარატელის ცხოვრებაში“ და ავლაბრის იუველირთა ამქრის წესდებაში დასახელებული «тапимаческие ворота»[63]. ლილოდან წამოსულ არტემ არარატელს თბილისში სხვა კარით შემოსვლა, გარდა ავლაბრის კარისა, ცხადია, არ შეეძლო. უდავოა, რომ ტაბარის მიერ მოხსენებული „სოღდებელის კარი“ სავსებით შეესატყვისება გვიანფეოდალურ წყაროებში მოხსენებულ „ავლაბრის კარს“.

კარები დამახასიათებელი იყო სხვა ქალაქებისთვისაც. გორში, „ციხის კარს“ გარდა, რომელიც ციხესა და ქალაქს აკავშირებდა, თვით ქალაქის კედლებზე, როგორც 1802 წ. გეგმიდან ჩანს, სამი კარი იყო: ქალქის ჩრდილოეთ კედელს თითქმის შუაზე ჭრიდა ე. წ „იმერეთის კარი“, აღმოსავლეთ კედლის აგრეთვე ცენტრალურ ნაწილში გადიოდა „მუხრანის კარი“, ხოლო ლიახვის ჭალის შაღალ და გამაგრებულ ნაწილზე, სამხრეთ-დასავლეთით იყო მესამე კარი, რომელსაც „თურქეთის კარს“ უწოდებდნენ[64].

როცა ქალაქი კედლებით არ იყო დაცული, მაშინ კარების როლს ქალაქის დასაცავად აღმართული კოშკები ასრულებდნენ. მაგ., ქ. ახალციხეში, ციხისა და ქალაქის შემაერთებელ კარს გარდა, ოთხი კარი უნდა ყოფილიყო, რომელზედაც ქალაქში შემავალი ოთხი გზა გადიოდა: ერთი გზა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოდიოდა, მეორე ჩრდილოეთიდან, მესამე ჩრდილო-დასავლეთიდან და მეოთხე აღმოსავლეთიდან. ყველა ეს გზა, ახალციხის 1828 წ. გეგმით, კოშკებთან გაივლიდა. ამ გზების შემოსასვლელებთან ყოველთვის კოშკები იდგა, რომელთაც, ცხადია, ამ გზების დაცვა და შემოსულთათვის თვალყურის დევნება ე. ი. კარების როლის შესრულება ევალებოდათ[65].

---

[63] Жизнь Артемия Араратского, II, Спб, 1813, с. 39; ср. „Լուսաւոր“, ՁՈՒ. Z.

[64] ЦГВИА, ВУА, № 2054.

[65] ЦГВИА, ВУА, № 5018.

ახალქალაქის კარები კი მხოლოდ თვით ციხის კედლებზე იყო: „ჩრდილოეთი ფორშტატი“ ღვით ციხესა და „სამხრეთ ფორშტატს“ ერთადერთი კარით უერთდებოდა. ამავე კარით შემოდიოდა ჯერ ციხეში და შემდეგ „ჩრდილო ფორშტატში“ აღმოსავლეთიდან წამოსული ე. წ. „ახალციხის გზა“. ციხის მეორე და უმთავრესი კარი მის სამხრეთ კედელზე იყო. აქ თავს იყრიდა სამხრეთის უმთავრესი გზები, ერთ მათგანზე გეგმის შემდგენლის მიერ მიწერილია: „ყარსისაკენ მიმავალი გზა“. ციხეს მესამე კარიც ჰქონდა, მაგრამ მას უფრო სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, იგი, როგორც ჩანს, ციხეს წყლით ამარაგებდა. მსგავსი გასასვლელი ციხეს ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელზედაც ჰქონია, მაგრამ იგი დახურული იყო[66].

სიღნაღის ციხის თავისებური დანიშნულებით აიხსნება ალბათ ის, რომ მის უზარმაზარ კედელს რვა კარი ჰქონდა. უმთავრეს კარს, რომელიც მას ქალაქის მოსახლეობასთან აკავშირებდა და რომელიც ორი მრგვალი კოშკით იყო დაცული, „მაღაროს კარი“ ეწოდებოდა. ამას გარდა იყო „ბოდბის კარი“, „მაჩხაანის კარი“, „მაშნარის კარი“, „ვაქირის კარი“, „ზიარბ ხოველის კარი“ (!), „შილდის კარი“, და „მირზაანის კარი“[67].

ოთხი კარი ჰქონდა თელავის ცენტრალურ, „ბატონის (მეფის) ციხეს“; უმთავრესი კარი, რომელიც ციხის ჩრდილო-დასავლეთ კედელზე იყო, მას ქალაქის ძირითად მოსახლეობასთან აკავშირებდა[68]. კარები, ცხადია, დამახასიათებელი იყო სხვა ქალაქებისთვისაც, მაგ., საბუთებში დასახელებულია „ცხინვალის ციხის კარი“[69]. ცხადია, ცხინვალს სხვა კარიც ექნებოდა, მაგრამ მის შესახებ ჩვენ მითითება არა გვაქვს.

ქ. ქუთაისის ერთ უმთავრეს კარს ე. წ. „ჯიდის კარი“ წარმოადგენდა, რომლითაც „ქუთაისის ციხე“ ე. ი. რიონის მარჯვენა ნაპირი, უერთდებოდა „ქუთაისის ქალაქს“, მარცხენა ნაპირს. „ჯიდის კარი“, როგორც იმერეთის 1737 წ. რუქიდან ჩანს, კოშკში გადიოდა[70]. ამას გარდა, ვიულდენშტედტი მიუთითებს აგრეთვე ქუთაისის ციხის კედლებზე არსებულ დიდ კარებზედაც[3]. ერთ მათგანს, როგორც ხოჯავანაანთ იოვანეს დღიურიდან ჩანს, „გალავნის კარი“ ეწოდებოდა[71].

---

[66] იქვე, № 4965.
[67] იქვე, № 22588.
[68] იქვე, № 22674.
[69] ЦГИАГ ფ. 229, დავთ. 33, საბ. 6.
[70] ЦГВИА, ფ. ВУА, № 20501, ფ. 11.
[71] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 351, Reisen, p. 163.

იმერეთის 1737 წ. შედგენილი რუქა საინტერესო მასალებს გვაწვდის ფოთის ციხის კარების სახელწოდებათა შესახებ. ფოთის კვადრატული ფორმის ციხეს სამი კარი ჰქონია: დასავლეთ, ზღვისკენ მიქცეულ კედელზე გამავალ კარს „სტამბულის კარი“ ჰრქმევია; ჩრდილოეთ, ე. ი. მდ. რიონის ნაპირზე აღმართულ კედლის კარს „წყლის კარი“, ხოლო აღმოსავლეთის კედლისას „საქართველოს კარი“ ეწოდებოდა. ყოველ კართან ორ-ორი კოშკი იყო აღმართული, რომელთაც მათი დაცვა ევალებოდათ[72]. იმერეთის რუქის ჩვენებას ფოთის ციხის კარების შესახებ სავსებით ადასტურებს ფოთის 1811 წ. გეგმაც[73].

ქალაქის კარებზე ყოველთვის მცველები იყო დაყენებული. ალ. ამილახვარი სხვათა შორის წერდა: „მწუხრის ზარები დარეკეს, როცა ქალაქის კარიბჭესთან ძივედი. მცველებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ასე გვიან შორ გზას გავუდგებოდი. ლაპარაკი ჩამოვაგდე შავ ჭირზე, რომელიც ქალაქში მძვინვარებდა,“ და ამრიგად კარის მცველებისაგან თავი დავიძვრინეო[74]. როგორც მასალებიდან ირკვევა, „მწუხრის ზარის“ შემდეგ ქალაქის კარები იკეტებოდა. არც მოქარავნეს და არც სხვას გათენებამდე ქალაქში შესვლა არ შეეძლო. აღსანიშნავია, რომ შოთა რუსთაველის მიხედვითაც, ქარავანი ქალაქში და საერთოდ ვაჭრები, მხოლოდ დღის სინათლეზე უნდა შეეშვათ[75]. ამით ქალაქი თავს იცავდა არასასურველ „სტუმართა“ მოულოდნელი თავდასხმისაგან. არაერთი ყოფილა შემთხვევა, როცა ქალაქის კარებით ვაჭართა ქარავანთან ერთად მტერიც შემოპარულა. დავითის ისტორიკოსს სხვათა შორის აღნიშნული აქვს: თბილისში „შემოვიდა ოდესმე ქარავანი დიდი განძით და თანაშემოჰყვეს თურქნი დიდნი“[76]; ქალაქის კარები რომ იკეტებოდა, სხვა მასალებთან ერთად, წყაროებში „ქალაქის კლიტეთა“ მოხსენიებაც ადასტურებს. „თბილისის კლიტენი“ ჯერ კიდევ XI ს. შუა წლებში არის მოხსენებული. „ქართლის მატიანეს“ სიტყვით, ბაგრატ IV-ს „თბილისის ბერებმა“ „მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი“[77]. კლიტეები ჰქონდა, ცხადია, სხვა ქალაქთა კარებსაც.

---

[72] ЦГВИА, ფ. ВУА № 20501, л. 11. ხოჯავანან იოვანეს დღიური, ГМГ, ფ. Н 2782, გვ. 8.

[73] იქვე, № 22371.

[74] ალ. ამილახვარი, გეორგიანული ისტორია, გვ. 150.

[75] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სტრ. 1071.

[76] А, გვ. 223—224.

[77] იქვე, გვ. 186; იხ. აგრ. ივ. ჯავახიშვილი, საამშენებლო ხელოვნება, გვ. 47—48.

კარებდაკეტილი ქალაქი მტრისათვის ძნელი მისადგომი და ასაღები იყო. შოთა რუსთაველი შემთხვევით როდი ათქმევინებს თავის გმირებს:

„ქალაქი დიდთაგან საომარია...
ათასწელ ვერსით შეუვალთ, თუ ზედ დაგვიხშან კარია“[78];

ქალაქის ციხისა და მისი კარების დაცვისა და გამაგრებისათვის ქალაქის მფლობელი (მეფე) როგორც ქალაქის, ასევე მის ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობაზე სხვადასხვაგვარ გამოსაღებებსა და ბეგარას აწესებდა. სოფლებზე გაწერილი „ქალაქის მუშაობა“ ან კიდევ „ციხის მუშაობა“ სხვა არა იყო რა, თუ არა ქალაქის ციხის აშენებლობაში თუ გამაგრება-აღდგენაში სავალდებულო მონაწილეობა. მსგავს ბეგარაზე და გამოსაღებებზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ქალაქის კარებს ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. იგი კარების შემწეობით უკავშირდებოდა მეზობელ ქვეყნებს, მის ქალაქებს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებსა და ქალაქებს, ირგვლივ მდებარე სოფლებს და სხვ. აღსანიშნავია, რომ ქალაქის ამგვარი ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებთან კარგად აისახა თვით კარების სახელწოდებებშიაც. მაგ., „განჯის კარი“ შემთხვევით როდი ეწოდებოდა თბილისის ყველაზე მთავარ კარს, რომლითაც ქალაქში სამხრეთიდან მომავალი გზები შემოდიოდა, ე. ი. რომლითაც იგი არა მარტო განჯის, არამედ სამხრეთის სხვა ქალაქებსაც უერთდებოდა. უცხო ქვეყნებთან არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობაზე მიუთითებს აგრეთვე გორის ერთ-ერთი კარის, „თურქეთის კარის“, ფოთის „სტამბულის კარის“ და სხვ. სახელწოდებანი. ქვეყნის შიგნით და ქალაქის ახლო-მახლო კუთხეებთან არსებულ ურთიერთობაზე მიგვითითებენ სახელწოდებანი — „კოჯრის კარი“ და „წავკისის კარი“ თბილისში, „იმერეთის კარი“ და „მუხრანის კარი“ გორში, „საქართველოს კარი“ ფოთში და სხვ.

ქალაქის კარები ატარებდა უცხო ქვეყნიდან თუ მეზობელი თემებიდან შემოტანილ საქონელს, მათზე იღებდა ბაჟს ქალაქის მფლობელი. იგი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო. ქალაქის კარებთან იყრიდნენ თავს ვაჭრები, ხელოსნები. იგი გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების ყველაზე უფრო მოძრავი, ცოცხალი და ხალხმრავალი ადგილი იყო. ქალაქის კარებიც, ქალა-

[78] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, სტრ. 1393.

ქის კედლებთან ერთად, საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში აიღეს.

2. ქალაქის კვარტლები, ქუჩები და ქალაქის სავაჭრო (ბაზარი).

ფეოდალური ქალაქების გარეგანი სახისათვის ერთ დამახასიათებელ ნიშანს მისი უბნებად დანაწილება შეადგენდა. ფეოდალური საქართველოს ყველა ქალაქი სხვადასხვა უბნად იყო დაყოფილი. მაგ., VIII ს. თბილისს, როგორც ეს „აბო ტფილელის მარტვილობიდან“ ჩანს, რამდენიმე უბანი ჰქონია[79]. ქალაქის უბანთა სახელწოდების წარმოშობის შესახებ ჩვენ სათანადო მასალები გვაკლია, მაგრამ, როგორც ირკვევა, ქალაქის უბანთა და მათი სახელწოდებების წარმოშობას ძირითად საფუძვლად ქალაქის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის სხვაობა ედო. ყოველი ქალაქის ერთ ძირითად უბანს „ციხის უბანი“ შეადგენდა, სადაც ფეოდალური არისტოკრატია იყო მოკალათებული, მეორეს კი რაბათი (посад), სადაც ქალაქის დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლები, ვაჭრები და ხელოსნები იყრიდნენ თავს. მაგრამ თვით ეს უკანასკნელიც ცალკე უბნებად იყო დანაწილებული; ამ შემთხვევაშიც, მართალია, მათი სახელწოდებანი ხშირად არ გამოხატავენ ამა თუ იმ უბნის მოსახლეობის საქმიანობას, უბნებად დანაწილებას მოსახლეობის ეკონომიკური ცხოვრება, მათი საქმიანობა ედო საფუძვლად. იგივე საფუძველი ჰქონდა ქალაქის უბანთა იმგვარ სახელწოდებასაც, რომელიც მოსახლეობის ტომობრივ-სარწმუნოებრივ განსხვავებაზე მიგვითითებენ. მაგ., „ურიათა უბანი“, „მოგვთა (სპარსთა) უბანი“, „ქართველთა უბანი“ და სხვ. რაკი ქალაქის უბნებად დანაწილების საფუძველი ძირითადად მაინც მოსახლეობის საქმიანობა იყო, უბნების ეს ძველი ტომობრივ-სარწმუნოებრივი სახელები თანდათან გაქრა და ზოგიერთმა უბანმა მოსახლეობის საქმიანობის შესაფერი სახელწოდება მიიღო. გვიანფეოდალურ თბილისში, როგორც აღვნიშნეთ, იყო „მჭედლების უბანი“, „ზარაფხანის უბანი“, „აბანოს უბანი“, „სამღებროს უბანი“, „სარიმაჯის უბანი“, და სხვ. მსგავსი. ამგვარი უბნები, როგორც ჩანს, ერთი დარგის ხელოსნებს უყრიდა თავს. ერთი დარგის ხელოსნები თბილისში, როგორც ეს არქეოლოგიურმა გათხრებმაც დაადასტურეს, უფრო ადრეც ერთ უბანში იყრიდნენ თავს. მაგ. XI—XIII სს. თბილისელ თიხის ჭურ-

[79] ადრინდელი ფეოდალური ხანის ლიტ. ძეგლები, კ. კეკელიძის გამოც., გვ. 69.

ჭელთა მკეთებლებს ქალაქის აღმოსავლეთის კედლებთან მთელი უბანი ჰქონიათ , სადაც რამდენიმე (6-ზე მეტი) ჭურჭელთა გამოსაწვავი ქურა იყო გაძართული[80].

მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ დარგის ხელოსნები და ვაჭრები ძირითადად ცალკეულ უბანში იყრიდნენ თავს, უბანთა სახელწოდება ყოველთვის არ გამოხატავდა მათ საქმიანობას და ზოგჯერ მთელი უბანი ამა თუ იმ საეკლესიო ან სხვა სახის ნაგებობის, ან იმ უბნის რომელიმე მცხოვრების საქმიანობის თუ გვარის სახელწოდებას იღებდა და ან კიდევ გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით იწოდებოდა. მაგ., წყაროებში ხშირად გვხვდება: პირველი ჯგუფის სახელწოდებანი — „ანჩის ხატის უბანი“, „სიბაზიეროს უბანი“, „სიონის უბანი“, „ფეთხაინის უბანი“, „საკაშენის უბანი“, „ვანქის უბანი“, „მოღნინის უბანი“, „ნორაშენის უბანი“ და სხვ. მეორე ჯგუფის სახელწოდებანი — „ცოცხალაანთ უბანი“, „მაყალოანთ უბანი“, „ზემო ზუბოანთ უბანი“, „ხოხანაანთ უბანი“, „ზემო ცხრაპურაანთ უბანი“, „მუსტოფაანთ უბანი“, და სხვ. მესამე ჯგუფის სახელწოდებანი — „გარეთ უბანი“ ანუ „ქალაუბანი“, „კლიდის უბანი“, „ზემო უბანი“, „ქვემო უბანი“, „მოედნის უბანი“, „ვარდის უბანი“ (გორში) და სხვ. როგორც ჩანს, უბანთა სახელწოდების წარმოშობა რაიმე გარკვეულ კანონზომიერებას არ ემორჩილებოდა. მაგრამ ამგვარ სახელწოდებათა ქვეშ ხშირად იმალებოდა უბანთა შორის არსებული ის არსებითი განსხვავება, რომელიც მათი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული.

ფეოდალური ქალაქებისათვის სავსებით დამახასიათებელი იყო არისტოკრატიულ, „ცენტრალურ“, და მდაბიოთა, „ცუდ“ უბნებად დანაწილება. მაგ., როგორც თბილისის 1782 წ. ფრანგული გეგმიდან ირკვევა, „ანჩისხატისა და სიონის უბნებში“ ძირითადად სწორედ ფეოდალური არისტოკრატია იყო მოკალათებული. აქ გეგმის მიხედვით ყოფილა: „საქართველოს პატრიარქის სასახლე“, „პატრიარქის ეკლესია“; სასახლის გვერდით „ანჩისხატის ეკლესია“, საიდანაც მტკვრის დინების მიმართულებით ჩამწკრივებული იყო ოთხი ნაგებობა — „სამეფო სახლი“ (სასახლეები), აქვე იყო წმ. გიორგის ეკლესია, „ერეკლეს კარის ეკლესია“, ცალკე ბინა მეფის ბავშვებისათვის, უფლისწულის სასახლე, თვით სიონი, სამეფო სტამბა და „მეფის ცხელი აბანოები“[81]; არისტო-

---

[80] Г. Ломтатидзе, Очерк по археологии Грузии, с. 187—189.

[81] ЦГВИА, ф. ВУА, № 22656, ექსპლიკ. № 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14.

კრატიული უბანი, რომელიც „ანჩისხატისა“ და „სიონის უბნის“ სახელით იყო ცნობილი, როსტომის დროიდან არსებობდა, სწორედ მის მიერ იქნა გადმოტანილი სასახლე მთელი თავისი ატრიბუტით. იგი თბილისის ყველაზე უკეთეს და ულამაზეს უბანს წარმოადგენდა. სამეფო სახლს წინ თავისი მოედანი ჰქონდა, რომლის შემდეგ იწყებოდა სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობათა მწკრივი. ცხადია, ეს „არისტოკრატიული უბანი“ არსებითად განირჩეოდა ქალაქის სხვა უბნებისაგან, რომელიც ძირითადად ქოხებითა და მიწურებით იყო მოფენილი.

ქალაქის უბნებად დანაწილება არა მარტო მოსახლეობის სოციალური სხვაობითა და მათი საქმიანობის სხვადასხვაობით იყო გამოწვეული, არამედ ქალაქის ზრდითაც. როცა ქალაქი იზრდებოდა, მას ახალი უბანი უჩნდებოდა. ზოგ უბანთა სახელწოდება ზოგჯერ ქალაქის ზრდასაც გვიხსნის. ქალაქის ზრდის შემდეგ გარეუბანი თანდათან ქალაქის ცენტრად იქცეოდა, ზოგი უბანი კიდევ გარეუბნად. მაგ., კალა უძველესი თბილისის ერთ უბანს შეადგენდა (V—VII სს.), მაგრამ როცა თბილისის მოსახლეობა გაიზარდა, კალა ჯერ ახალ ქალაქად იქცა (VIII—XIII სს.), ხოლო შემდეგ მის ცენტრალურ ნაწილად. თბილისის პირვანდელ ქალაქს XVII—XVIII სს. „ძველ თბილისს“, „ძველ ქალაქს“ უწოდებდნენ.

XVIII ს-ისათვის ეს „ძველი ქალაქი“ უკვე ქალაქის გარეუბნად იყო მიჩნეული, მას „სეიდაბადს“ ან კიდევ „აბანოების უბანს“ ეძახდნენ. თბილისის მოსახლეობა მალე არც კალაში დაეტია, მასაც ახალი უბნები უჩნდება. ერთი ამგვარი უბანი XVII—XVIII სს. „კალაუბანი“ ანუ „გარეთ უბანი“ იყო, მაგრამ ეს გარეუბანი XVIII ს. ბოლოს თანდათან ესახლება და XIX ს. პირველ ნახევარში უკვე ახალი თბილისის ცენტრალური ნაწილი ხდება. მსგავსი მოვლენა შეინიშნება სხვა ქალაქთა — ქუთაისის, გორის, თელავის და სხვა განვითარებაშიც.

გვიანფეოდალურ ქალაქებში უბნები ქუჩებად ნაწილდებოდა. ქუჩა ქართულში ზოგჯერ ქალაქის ამა თუ იმ ნაწილის აღსანიშნავად იხმარებოდა. მაგრამ ისე როგორც ქალაქის უბნებად, ასევე ქუჩებად დანაწილებასაც საფუძვლად მაინც ქალაქის მოსახლეობის საქმიანობა ედო. ჩვენ მიერ ზემოდასახელებულ ამა თუ იმ ხელოსანთა რიგები ფაქტობრივად ფეოდალური ქალაქის ქუჩებს ქმნიდნენ. ეს კარგად აისახა თბილისის 1782 წ. გეგმაშიც. „მეფის მოედნის“ ირგვლივ, გეგმის მიხედვით, იყო სამღებროს ქუჩა, ოქრომჭედლების ქუჩა, საფეიქრო სახელოსნოები, მეფეხსაცმლეთა სახელოსნოები, აბრეშუმეულობის სახელოსნოები, და სხვ[82]. ეს ის ადგილია, რომელსაც თბი-

[82] ЦГВИА, ВУА, № 22656, ექსპლიკ. № 17, 18, 25, 27, 28.

ლისის XVIII ს. პირველი ნახევრის აგრეთვე ფრანგულად შედგენილი გეგმა «Pasar»-ს უწოდებს[27]. ამა თუ იმ დარგის სახელოსნოთა მსგავსი რიგები 1782 წ. გეგმით ქალაქის სხვა ნაწილებშიც იყო; მაგ., სიონის ეკლესიის და მეფის დუქნების სამხრეთით ერთ ხაზზე ჩამწკრივებული ყოფილა „მექვაბეთა სახელოსნოები“, შემდეგ „ვაჭართა ქარვასლა“ და სხვ[84].

სახელოსნოების ამგვარი რიგები აძლევდა თავის სახელს ამა თუ იმ მწკრივს, ქუჩას. ამიტომაც გვიანფეოდალურ საბუთებში გვხვდება სახელწოდებანი: ალაფხანა, ყასაბხანა, სარაჯხანა, ჭონნახა, ქულჭიხანა, აგურხანა, ქუზაბანა; ურდვარხანა: ბაზაზხანა, ხარაზხანა, მექვაბეების ბაზარი, ოქრომჭედლების ბაზარი, ანუ ოქრომჭედლების ქუჩა, სირაჯხანა, ჩითსაზხანა, წუღახანა, მეზანდუკეების ქუჩა და სხვ.

სახელოსნოებისა და სავაჭროების სპეციალობის მიხედვით ერთ რიგად ჩამწკრივების შესახებ გვიანფეოდალურ თბილისში მოგვითხრობს იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“[85] და არაერთი უცხოელი აღმწერელიც. ქუჩები ამ დროის ქალაქებში ყოველთვის ხელობის მიხედვით როდი იწოდებოდა. გვიანფეოდალურ საბუთებში გვხვდება ქუჩათა შემდეგი სახელწოდებაც: „გონბორაანთ ქუჩა“, „ბეჰმუდას ქუჩა“, „ხოსროვაანთ ქუჩა“, „ნაცვალაანთ ქუჩა“, „ფინაჩაანთ სათემო ქუჩა“; ან კიდევ: „ანჩისხატის ქუჩა“, „ფრანგის ქუჩა“, „სიონის ქუჩა“, „ზარაფხანის ქუჩა“; „საყდრის ქუჩა“ (გორში), „სათემო ქუჩა“ და სხვ. როგორც ჩანს, ზოგი ქუჩა მცხოვრების გვარის თუ საკუთარი სახლის მიხედვით იწოდება, ზოგი საეკლესიო თუ სხვა ნაგებობათა მიხედვით, ზოგიც მცხოვრების ეროვნული კუთვნილების მიხედვით („ფრანგის ქუჩა“).

ქუჩების დაგეგმვის იდეა, როგორ ჩანს, XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებისათვის თითქმის უცნობი იყო. ქალაქის ჩვენთვის ცნობილი გეგმებიდან ირკვევა, რომ ერთგვარი დაგეგმარება, გეგმაზომიერი მდებარეობა ქალაქებში ბაზრის ან კიდევ გამავალი გზის ირგვლივ აშენებულ სახელოსნო თუ სავაჭრო დუქნებს ეტყობათ. დუქნები თბილისში, გორში, ქუთაისში, თელავში, სიღნაღში და სხვ. მათი გეგმების მიხედვით, გზის ორივე მხარეს, პარალელურ მწკრივს ან კიდევ ირგვლივ ერთ რიგს ქმნიდნენ.

---

[83] იქვე, № 22657, 3.

[84] ЦГВИА, ВУА, № 22656, ექსპლიკ. № 35, 36.

[85] იხ. ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, თბ., 1947, გვ. 42.

ქალაქის სხვა უბნებში არავითარი კანონზომიერება არ შეიმჩნევა. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს XVII—XVIII სს. თბილისი შეადგენდა, სადაც ქალაქის ცენტრალურ რაიონში მაინც ქუჩებს დაგეგმვის ნიშნები ეტყობოდა.

ქუჩები, როგორც აღწერილობითი წყაროებიდან ირკვევა, საქართველოს ქალაქებში, როგორც საერთოდ ეს შუასაუკუნეების ქალაქებს ახასიათებდათ, ვიწრო და მოუვლელი იყო. ვახუშტი ბატონიშვილი XVIII ს. პირველი ნახევრის თბილისის შესახებ მოკლედ შენიშნავდა, „ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშეერნი“[86]. ამ მხრივ რაიმე ცვლილება არც XVIII ს. მეორე ნახევარში მომხდარა. გიულდენშტეიტი წერდა: ქალაქის მთელი გარეუბანი დაახლოებით 3 ვერსამდეა ანდა 1500 საჟენია. ამ მცირე მოცულობის ფართობზე 20000-მდე მაცხოვრებელია. მისი ქუჩების სიგანე 1 საჟენია, მოსახვევები ურო ვიწროა“[87]. ამგვარადვე წერდა იაზიკოვიც: ქუჩები ქალაქში ვიწროა, ისე რომ გავლა ცხენებით შეიძლება[88]. ასევე იყო XIX ს. დამდეგსაც. კლაპროტის მიხედვითაც თბილისის ქუჩები იმდენად ვიწრო იყო, რომ ურმებს მხოლოდ ზოგ მათგანზე შეეძლოთ გავლა, შესახვევებში კი ცხენებითაც ჭირდა გასვლა. ხოლო როცა ქუჩები ატალახდებოდა, ფეხით მოსიარულენიც კი ძლივს ჩაუვლიდნენ ერთმანეთს[89]. თუ ასეთი იყო საქართველოს ყველაზე დიდი ქალაქის ქუჩები, ადვილად წარმოსადგენია როგორი უნდა ყოფილიყო სხვა, შედარებით მცირე ქალაქთა ქუჩები.

ფეოდალური ქალაქების მოკირწყვლისა თუ ქვაფენილი ქუჩების შესახებ ცნობები დავითის ისტორიკოსს მოეპოვება[90]. მას მხარს უჭერს არქეოლოგიური მონაცემებიც. დმანისის ნაქალაქარის გათხრების დროს ქალაქის კარებიდან მოკიდებული ქვაფენილი ქუჩა აღმოჩნდა. ქვაფენილი ქუჩები დამახასიათებელი იყო შუასაუკუნეების სხვა ქალაქებისათვის. მაგრამ გვიან შუა საუკუნეებში ამ მხრივ მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეცვლილია. თვით თბილისის ქუჩათა დიდი უმეტესობა, ჩვეულებრივ, ან ბეტონითა და ან ტალახით ყოფილა დაფარული. არათუ XVII—XVIII სს., არამედ XIX ს. 40-იან წლებშიაც თბილისის ქუჩათა

---

[86] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 54.
[87] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 182; Reisen, p. 128.
[88] А. Цагарели, Грамоты, I, с. 188.
[89] Ст. Тифлис, с. 68.
[90] А, გვ. 227.

დიდ უმეტესობას ქვაფენილი არ ჰქონია. 1835—1837 წწ. თბილისის 65 ქუჩიდან ქვაფენილი მხოლოდ 11 და 1 მოედანი იყო[91].

ქუჩების მოუწყობლობა და აგრეთვე ისიც, რომ ქალაქის მცხოვრებლების დიდ ნაწილს თავისი ერთგვარი „მეურნეობაც" ჰქონდა (ბაღები, ბოსტნები ქალაქის მახლობლად, ოთხფეხა საქონელი თვით ქალაქში) იწვევდა უსუფთაობას, მტვერს, ტალახს ქალაქში. იესე ბარათაშვილის ბოწმობით, XVIII ს. 70-იანი წლების თბილისში ქარის დროს ისეთი მტვერი დგებოდა, რომ შეიძლებოდა მისგან კაციც კი დამხრჩვალიყო[92].

მართალია, ქალაქში შესაძლებელი სისუფთავის დაცვის თვალყურის დევნებას მეფე ქალაქის გარკვეულ მოხელეებს ავალებდა (ნაცვალი. და სხვ.), მაგრამ მოხელეები მას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ და ქალაქის მცხოვრებლები ყოველგვარ ნაგავს იქ ყრიდნენ, სადაც კი მოეპრიანებოდათ[93]; ცხადია, ამგვარი ბრძანებები საქმეს ვერ შველოდა, რაკი თვით ქალაქი სათანადოდ ვერ იყო მოწყობილი და, ამას გარდა, მოხელეებიც გულგრილობას იჩენდნენ. სამართლიანად წერდა გიულდენშტედტი: მოსახლეობის ასეთი სიმჭიდროვე, სასაფლაოები, ცუდი პოლიცია, რომელიც სრულებით არ უყურებს წესრიგის დაცვას, იწვევს სიბინძურეს ქალაქის ქუჩებში, იწამლება ჰაერი[94]. ქალაქის უსუფთაობაზე წერდა იაზიკოვიც: სისუფთავეს ქალაქში სრულებით არ იცავენ[95]. ყველაფერი ეს, ცხადია, იწვევდა ყოველგვარი ავადმ ოფობის და მომსვრელი სენის გავრცელებას. გვიანფეოდალური ქალაქების ასეთი ანტისანიტარული მდგომარეობით აიხსნება ის, რომ მათი ხშირი სტუმარი იყო ჭირი. 1767—68 წწ., როგორც ხოჯავანთ იოვანეს დღიურიდან ჩანს, ჭირი გაჩენილა ახალციხეში, 1768—69 წწ. ქუთაისში (სმსH—2782, გვ. 5), 1770 წ. ჭირმა თბილისში 4000 კაცზე მეტი იმსხვერპლა. ამაზე ადრე და შემდეგაც არაერთხელ ყოფილა სხვადასხვა სენი თბილისში. 1798 წ. „ჭირი გაჩენილა" გორშიც[96]. ფეოდალური ქალაქი თითქმის სრულიად უღონო იყო სენის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გიორგი XII-ის 1798 წ. ბრძანება თბილისის მელიქ-მამასახლისის დარჩია ბებუთაშვილის სახელზე[97]. როგორც ჩანს, ქალაქის

---

[91] ЦГИАГ, ф. 16, Д. 5255, л. 57.

[92] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 30.

[93] ЦГИАГ, ф. 229, დავთ. 52, საბ. 96, იქვე, საბ. 92.

[94] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 129; Reisen, p. 129.

[95] А. Цагарели, Грамоты, I, с. 188.

[96] ГМГ, Sd 4477.

[97] შ. მესხია, მასალები, გვ. 97.

მოსახლეობის დაცვა მომსვრელი სენისაგან ძირითადად «святая копия»-ზე ყოფილა მინდობილი. ქალაქში სენი განსაკუთრებით მოსახლეობის დაბალ ფენებს ანადგურებდა, რომელიც ყველაზე უფრო ანტისანიტარულ პირობებში ცხოვრობდა და რომელსაც აგრეთვე არ ჰქონდა შესაძლებლობა გაქცეოდა სენს.

XVII—XVIII სს. ქალაქების ქუჩების განათების დამადასტურებელი მასალები ჩვენთვის უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ სადღესასწაულო დღეებში, მეფეთა თუ სხვა წარჩინებულ პირთა მობრძანებისას და სხვა შემთხვევაში ქალაქების, განსაკუთრებით თბილისის, „ჩირახდნით გაბრწყინება“ ან კიდევ „აღლამპარება“ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ქალაქების „ჩირაღდნებით გაბრწყინება“ ქალაქის მოსახლეობას ჰქონდა დაკისრებული. XVIII ს. ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში ხშირად გვხვდება გამოთქმები: „ჰქნეს მოქალაქეთა ჩირახდანი“, მოქალაქეთა „განაბრწყინვეს ჩირახდნით“ ქალაქი[98], და სხვ. საერთო განათებისათვის კი, როგორც ჩანს, ქალაქის ხელისუფლება და ასევე მოსახლეობაც ნაკლებად ზრუნავდა. სადღესასწაულო დღეებს გარდა, ქალაქი ღამე ფაქტობრივად ცხოვრებას წყვეტდა და სიბნელით იყო მოცული.

ზოგი არაპირდაპირი ცნობა გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს უმთავრესი ქალაქების (თბილისის) ზოგიერთ ქუჩათა განათება XVIII ს. მეორე ნახევარში მაინც უნდა დაწყებულიყო. ამაში ჩვენ გვარწმუნებს ისეთი გამოსაღების არსებობა, როგორიც იყო „მასრაპი“ და „ქონის ფული“.

აღსანიშნავია, რომ „მასრაპის“ ერთი ნაწილი XIX ს. პირველ წლებშიც (მასზე ადრე არსებული წესის მიხედვით) თბილისში იხარჯებოდა ქალაქის ქუჩებში ფანრების დასადგმელად. ამას გარდა, თბილისში ქალაქის ხელისუფლება ავალდებულებდა ცალკეულ მედუქნეებს თავიანთი დუქნების განათებისათვის სათანადო გამოსაღები — „ქონის ფულიც“ გადაეხადათ. განათება ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა. 1809—1810 წწ. თბილისში ქალაქის მოსახლეობის გამოსაღებიდან, ე. წ. მასრაპიდან, ფანრების დასადგმელად ქალაქის განათებისათვის 208 მანეთი და 36 კაპ. დახარჯულა[99]. საერთოდ კი დადგენილ იქნა, რომ მასრაპის ერთი ნაწილი სწორედ ქალაქის განათებისათვის და „საზეიმო დღეებში ილუმინაციებისათვის“ უნდა დახარ-

---

[98] პაპუნა ორბელიანი, B_2, გვ. 370, 381 და სხვ.

[99] ЦГИАГ, 2, оп. I, д. 466, л. 68.

ჯულიყო. აღსანიშნავია, რომ საერთო განათების, ფარნებს გარდა, ცალკეული დუქნებიც უნდა ყოფილიყო განათებული. დუქნების განათება თვით მათ მფლობელთა ხარჯით უნდა მომხდარიყო[100]. 1811 წ. საბუთში თბილისის დუქანზე გაწერილ სხვადასხვა გამოსაღებთა შორის — „თვის შაური, ჰასასის ფული", — მოხსენებულია აგრეთვე „ქონის ფულიც"[101], რაც, ცხადია, დუქნის განათების ფულს ნიშნავს. როგორც ჩანს, ყოველი დუქანი, XIX ს. დამდეგს, მასრაპის გარდა, ქალაქის განათებისათვის საგანგებო გამოსაღებს იხდიდა, რომელსაც „ქონის ფული" ეწოდებოდა. თუ როგორი იყო სხვა ქალაქთა მდგომარეობა ამ მხრივ, ჩვენთვის უცნობია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განათების თვალსაზრისით საქართველოს ქალაქებში (რაიმე განსაკუთრებულ მოვლენასთან როდი გვაქვს საქმე. ევროპის ქალაქებში საერთო საქალაქო განათებისათვის ზრუნვა მხოლოდ XVIII ს. დაიწყეს[102].

* * *

გვიანფეოდალური ქალაქების ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილს „ბაზარი" წარმოადგენდა; „ბაზარი" სავაჭრო მოედანს ერქვა და იგი, როგორც ჩანს, ქართულ ენაში XII ს-დან დამკვიდრდა[103]. XII ს-მდე ბაზრის მაგიერ, როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, „სავაჭრო" უნდა ყოფილიყო[104].

ბაზარი გვიანფეოდალური ხანის ყველა ქალაქისათვის იყო დამახასიათებელი. ზოგ ქალაქში რამდენიმე ბაზარი იყო, ზოგან კიდევ ერთი. შარდენი თბილისის გრაფიკულ გამოსახულებაში მხოლოდ ორ მოედანს და ერთ „დიდ ბაზარს" უჩვენებს: «La Place du Prince» (მეფის მოედანს); «La Place d'armes (სამხედრო მოედანს) და «La Grand Bazar» (დიდი ბაზარი), რომელიც, როგორც გეგმიდან და მისივე აღწერილობიდან ჩანს, მეფის მოედანთან არსებული ბაზარი უნდა იყოს. ვახუშტი ბატონიშვილი თავის გეგმაში XVIII ს. პირველი ნახევრის თბილისის არც ერთ ბაზარზე არ მიუთითებს. იგი მხოლოდ მოედანთა ჩამოთვლით დაკმაყოფილდა. თბილისის XVIII ს. 40—50-იანი წლების ფრანგული გეგმა თბილისში მხოლოდ 2 მოედანსა და 1

---

100 იქვე, ფ. 92.

101 იქვე, ფ. 229, დავთ. 54, საბ. 6.

102 Г. Белов, Городская жизнь средневековой Германии, с. 41.

103 შდრ. შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სტრ. 988.

104 იხ. ივ. ჯავახიშვილი, საამშენებლო ხელოვნება საქართველოში, გვ. 53—54.

ბაზარს აღნიშნავს, ალბათ იმიტომ, რომ გეგმაში მხოლოდ თბილისის ერთი ნაწილი, ე. წ. კალა არის წარმოდგენილი[105]. ამავე ხანის თბილისის მეორე გეგმის (რუსულ ენაზე) შემდგენელს მხოლოდ ერთი მოედანი აღუნიშნავს[106]. ასე რომ, აქ არც ერთი ბაზარი არ არის ნაჩვენები. თბილისის 1782 წ. ფრანგულ გეგმაში კი მისი შემდგენელი იხსენიებს „მეფის მოედნის“ ირგვლივ სხვადასხვა სახელოსნოთა ქუჩებს, რიგებს, და სხვ. მაგრამ იქვე ბაზარს იგი საგანგებოდ არ აღნიშნავს. ერთ ბაზარს იგი „თათრების ბაზარს“ უწოდებს და თათრის მოედანთან უჩვენებს, ხოლო მეორეს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მეტეხის გალავნის შიგნით აღნიშნავს და მას „სურსათ-სანოვაგის ბაზარს“ უწოდებს[107]. თბილისის 1800 წ. გეგმის მიხედვით კი, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ე. ი. საკუთრივ ქალაქში 2 ბაზარი ყოფილა[108]. ასე, რომ, თუ ზემომოტანილი მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, თბილისში სულ 3 ბაზარი იყო, 2 მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და 1 მარცხენაზე. ცხადია, ამ შემთხვევაში ქალაქის მთავარი ბაზრებია მხედველობაში მიღებული, კერძოდ: ბაზარი მეფის მოედანთან, „თათრის მოედანი“ და სურსათ-სანოვაგის ბაზარი მეტეხში. თბილისის გეგმების არასრულ ცნობებს გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტები ავსებენ. ჩვენთვის ცნობილი დოკუმენტების მიხედვით თბილისში შემდეგი ბაზრებია: „ზემო ბაზარი“[109], „ქვემო ბაზარი[110], „მეიდნის ბაზარი“[111] ანუ „რასტაბაზარი“[112] და „ჩარსუბაზარი“ ანუ „ჩორსო“ დიდი და პატარა[113]. მასალები გვიჩვენებენ, რომ „მოედნის ბაზრის“ ქვეშ თათრის მოედნის ბაზარი იგულისხმებოდა, რომ „მოედნის ბაზარი“ სავსებით შეესატყვისებოდა „რასტაბაზარს“[114], რომ „რასტაბაზარი“, „ზემობაზარი“ და „ჩორსუბაზარი“ სხვადასხვა ადგილას იყვნენ, სხვადასხვა ბაზართა სახელწოდებანია[115]. ამას გარდა, „დიდი

[105] ЦГВИА, ფ. ВУА, № 22657.

[106] იქვე, № 22658.

[107] იქვე, № 22656. ექსპლიკ. № 46, 67.

[108] იქვე № 22660.

[109] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 2, საბ. 77; დავთ. 16, საბ. 76, 77; დავთ. 19, საბ. 80.

[110] იქვე, დავთ. 18, საბ. 165.

[111] იქვე, დავთ. 18, საბ. 17.

[112] იქვე, დავთ. 18, საბ. 169; დავთ. 14, საბ. 20; დავთ. 52, საბ. 91; დავთ. 21, საბ. 103.

[113] მატენადარან, Груз. дак., საქაღალდე, № 252, სახ. 6; ЦГВИАГ, ფ. 229, დავთ. 18, საბ. 169; დავთ. 34, საბ. 89; დავთ. 52, საბ. 91; შდრ. „იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი“, გვ. 23, 83.

[114] იხ. ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 18, საბ. 17; დავთ. 14, საბ. 20.

[115] იქვე, დავთ. 52, საბ. 91.

ჩორსუს“ მოხსენიება 1773 წ. საბუთში გვაფიქრებინებს „პატარა ჩორსუს“ არსებობასაც[116].

ჩვენს ყურადღებას იქცევს სახელწოდებანი: „რასტაბაზარი“ და „ჩორსუბაზარი“. პირველი, როგორც აღვნიშნეთ, ერთი უძველესი და უდიდესი ბაზრის („მოედნის ბაზრის“) სახელწოდებაა. საუკეთესო ბაზრები კი აღმოსავლეთის ქალაქებში, მაგ., ირანში დაცული იყო კედლით, რომლის ნახვრეტებიდან ბაზარში შემოდიოდა შუქი[117]. სწორედ ამგვარი ბაზარი უნდა ყოფილიყო „მოედნის ბაზარი“ და მისი სახელწოდებაც — „რასტაბაზარი“ აქედან უნდა მომდინარეობდეს.

ზოგ შემთხვევაში, ბაზრის ცენტრებში ეწყობოდა მოედნები, რომელიც მრგვალი გუმბათით იყო გადახურული; ამგვარ გუმბათიან ბაზარს ირანში „ჩარსუს“ უწოდებდნენ[118]. ცხადია, თბილისის ზოგი ბაზრის სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. ე. ი. თბილისში გუმბათოვანი ორი ბაზარი ყოფილა — „დიდი ჩორსო“ და „პატარა ჩორსო“. „პატარა ჩორსო“, ჩვენი აზრით, უნდა იყოს 1733 წ. საბუთში მოხსენებული „ჭონსანის ჩორჩო“[119] ანუ „მექუდეთა ჩორსო“ (ბაზარი), რომელიც აგრეთვე გუმბათით ყოფილა გადახურული. აღსანიშნავია, რომ „ჩორსუბაზარი“ ჯერ კიდევ 1664 წ. საბუთშია მოხსენებული[120]. ასე რომ, XVII ს. თბილისში ბაზრის გუმბათოვანი გადახურვა ცნობილი იყო.

უმთავრეს ბაზრებს — „ზემო ბაზარი“, „რასტაბაზარი“, „დიდი ჩორსო (ბაზარი)“ — გარდა ვვიანფეოდალურ თბილისში იყო აგრეთვე სპეციალური ბაზრებიც. ასეთი ბაზრებიც წყაროებში ხშირად არიან მოხსენებულნი. მაგ., „ხარაზხანის ბაზარი“, „ოქრომჭედლების ბაზარი“, „მექვაბეების ბაზარი“, „ჭონხანის ჩორჩო“, ანუ „მექუდეთა ბაზარი“, „სურსათ-სანოვაგის ბაზარი“ (მეტეხში) და სხვ. როგორც 1802 წ. საბუთიდან ჩანს, „ქვემო ბაზარი“ შეესატყვისებოდა „ურდუარის ბაზაზხანას“, ანუ სამხალათით მოვაჭრეთა ბაზარს[121], ზემოხსენებულთ გარდა, უნდა ყოფილიყო სხვაც, რასაც XIX ს. 30—40-იანი წლების თბილისის სხვადასხვა ქუჩათა და მოედანთა შემორჩენილი სახელები გვა-

---

116 იქვე, დაეთ. 34, საბ. 89.

117 Н. А. Кузнецова, Из истории социально-эконом. отнош. в Иране, с. 98.

118 იქვე.

119 ЦГИАГ, ფ. 230, ნაწ. II, საბ. 122.

120 მატენადარან, Груз. Док., საქაღალდე № 252, საბ. 6.

121 ЦГИАГ, ფ. 229, დაეთ. 18, საბ. 165.

ფიქრებინებს; მაგ., „ვერცხლის რიგი“, ქვაბის რიგი, მეწაღეთა რიგი, მეწვრილმანეთა ბაზარი, პურის მოედანი[122] და სხვ. რა თქმა უნდა, მსგავს სპეციალურ ბაზრებს ყოველთვის მოედნები კი არ ეჭირათ, არამედ უმთავრესად გარკვეული ქუჩები, რიგები. სწორედ მსგავსი სპეციალური ბაზრებისაგან, ხელოსანთა თუ ვაჭართა რიგებისაგან მოგვიანო ხანაში წარმოიშვა ქალაქის არაერთი ქუჩა, რომელთაც დღემდე შერჩათ თავიანთი ძველი სახელწოდებანი.

პატარა ქალაქებში ძირითადად მხოლოდ ერთი ბაზარი უნდა ყოფილიყო და მათ სწორედ ხელოსანთა და ვაჭართა ერთრიგად ჩამწკრივებული დუქნები ქმნიდნენ. წყაროებში არაერთხელაა მოხსენებული, მაგ., „გორის ბაზარი“[123], მაგრამ გეგმებში ბაზარი ცალკე აღნიშნული არ არის. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ბაზარი საკუთრივ შეესატყვისებოდა დუქანთა იმ მწკრივს, რომელიც გორის 1802 წ. გეგმის მიხედვით, ქალაქის ქვედა, დავაკებულ ფართობზე ციხეს ნახევარ წრედ ერტყმოდა. გორის დუქნები, მისი სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობები გზის ორივე მხარეს იყო ჩამწკრივებული, რომელიც ციხეს სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ უვლიდა. დუქანთა მწკრივები ქალაქის შუაგულში სიმეტრიულად, თითქოს გარკვეული გეგმის მიხედვით, იყო მოქცეული. ასეთი გეგმიანობა კი ქალაქის სხვა ადგილს არ ეტყობოდა. ცხადია, ქალაქის შუაგულში მისი ბაზარი იყო[124].

წყაროები იხსენიებენ აგრეთვე „თელავის ბაზარსაც“. თელავის მოურავი, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ „თელავის ბაზრის მოურავად“ იწოდებოდა, მაგრამ თელავის გეგმაში „ბაზარი“ ცალკე როდია გამოყოფილი. ამ შემთხვევაშიც ბაზარი ეწოდებოდა მეფის ციხის უმთავრეს კართან სამ რიგად ჩამწკრივებულ სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობებს, დუქანთა რიგს[125]. ამგვარად, დუქანთა რიგები ქმნიდნენ ბაზრებს, როგორც მათი გეგმებიდან ირკვევა, ქუთაისში[126], სიღნაღში[127], დუშეთში[128] და სხვაგან. თავისი

---

[122] იხ. თბილისის 1828 და 1844 წ. გეგმები, ЦГВИА, ფ. ВУА:,№ 22662, 22664.

[123] ЦГИАГ, ფ. 229, საბ. 226, 228, 238; ГМГ, ფ. Qd 7120; ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 243.

[124] ЦГВИА, ფ. ВУА, № 20574.

[125] ЦГВИА, ფ. ВУА, № 22647.

[126] იქვე, № 22110.

[127] იქვე, № 22588.

[128] იქვე, № 21911.

ბაზარი ჰქონდა ისეთ მცირე ქალაქსაც კი, როგორიც იყო ხონი. გიულდენშტედტი ხონის ბაზარს შემდეგნაირად აგვიწერს: ეკლესიასთან მოედანია, აქვეა ხეები დარგული, რომელთაც სამი საჟენის გარშემოწერილობა აქვთ. აქ პარასკეობით მოდის უამრავი მყიდველი ორივე სქესისა[129].

ქალაქის ბაზარი, ქალაქის ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრს წარმოადგენდა. ამას გარდა, იგი იყო ქალაქის პოლიტიკური ცხოვრების ერთგვარი ცენტრიც. ბაზრებზე ცხადდებოდა მეფის და ქალაქის ხელისუფალთა სხვადასხვაგვარი ბრძანებები საგანგებო მოხელეების, ჯარჩების მიერ.

გვიანფეოდალური ქალაქებისათვის, სავაჭრო ბაზრებთან ერთად, დამახასიათებელი იყო აგრეთვე მოედნებიც. თბილისში, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ შარდენი ორი მოედნის — მეფისა და სამხედრო მოედნის (ქართ. ყაბახი) არსებობაზე მიუთითებდა. ვახუშტის გეგმით კი ქალაქში იყო „ბატონის მოედანი", „ციხის მოედანი" (რასაც აგრეთვე „თათრის მოედანი" ეწოდებოდა) და „ყაბახი". ამგვარადვე, „მეფის მოედანს" და «meidan des tatares» (ე. ი. ციხის მოედანს) უჩვენებს თბილისის XVIII ს. 40—50-იანი წ. ფრანგული გეგმაც. თბილისის 1782 წ. გეგმის შემდგენელი კი მხოლოდ ერთ მოედანზე (მინდორზე), ყაბახზე მიუთითებს, სადაც მისივე განმარტებით სხვადასხვა გასართობები ეწყობოდა[130]. 1800 წ. გეგმითაც თბილისში ორი მოედანი იყო. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიაც მთავარ მოედნებზეა ლაპარაკი.

ჩვენთვის ცნობილ გვიანფეოდალურ დოკუმენტებშიც მოიხსენიებიან: „დიდი მეიდანი", „ბატონის მოედანი", „ციხის მეიდანი", „ქვემო ციხის მეიდანი", „ქვემო თათრის მეიდანი", „თათრის მეიდანი", „ქვემო მეიდანი"; აქ მოხსენებული სახელები, როგორც მასალების ურთიერთშედარებიდან ირკვევა, მხოლოდ ორი მოედნის სხვადასხვაგვარი სახელებია: „დიდი მოედანი" და „ბატონის მოედანი" მეფის მოედანს ეწოდებოდა; ხოლო დანარჩენი კი მხოლოდ და მხოლოდ „ციხის მოედნის" აღმნიშვნელი სხვადასხვაგვარი სახელებია. ამრიგად, საკუთრივ ქალაქის ტერიტორიაზე ორი დიდი მოედანი იყო, რომელთანაც იყო აგრეთვე ქალაქის უმთავრესი ბაზრები. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მესამე მოედანიც იყო ქალაქის კედლებს გარეთ, გარეუბანში, უმთავრესად სამხედრო ვარჯიშობებისა და გასართობებისათვის განკუთვნილი. ამ მო-

---

[129] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 355; Reisen, с. 173.
[130] ЦГВИА, ф. ВИА, № 22656, ექსპლიკ. № 86.

ედანს „ყაბახს“ უწოდებდნენ. „ყაბახი“, როგორც გარკვეული მოედნის აღმნიშვნელი, მოხსენებულია 1712 წ. თბილისურ საბუთში[131]. თბილისის მეორე ნაწილშიც ე. ი. მტკვრის მარცხენა ნაპირზე უნდა ყოფილიყო მოედნები. ამაში ჩვენ თბილისის 1828 წ. გეგმა გვარწმუნებს, რომლის მიხედვითაც ავლაბარში იყო მოედნები: კახეთის, სამხედრო და თიბისა[132].

საბუთებში გვხვდება სხვა ქალაქთა მოედნებიც: „ქუთაისის მოედანი“[133], „გორის მეიდანი“[134], რომელიც, როგორც ზემოთ მივუთითეთ, იასე ამილახვარს მოუხნავს და ბოსტნად გამოუყენებია. გორის მოურავის ამგვარმა საქციელმა ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. მოედანი არსებობდა თელავშიც[135] და საქართველოს სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ქალაქებშიც.

ქალაქის მოედნები სხვადასხვა დანიშნულებისათვის იყო გამოყენებული. „მეფის მოედანზე“, როგორც XVII ს. ავტორის დიონიჯიო კარლის ცნობიდან ირკვევა, იკრიბებოდნენ სადღესასწაულო დღეებში მეფის მიერ გამოძახებული თავად-აზნაურები, საზეიმოდ მორთულნი, ცხენებზე ამხედრებულნი და იარაღასხმულნი[136]. „მეფის მოედანი“ და საერთოდ მოედნები თავს უყრიდა ქალაქის მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს არასადღესასწაულო დღეებშიაც, აქ ქვეყნის შინა თუ საგარეო პოლიტიკასა და მდგომარეობაზე მსჯელობდნენ, საუბრობდნენ. ამის გამო ზოგმა მოედანმა, ან კიდევ მისმა გარკვეულმა ნაწილმა „სალაყბოს“ სახელიც მიიღო[137].

ზოგი მოედანი ბაზრის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა, მაგ., ციხის მოედანი; ზოგჯერ კიდევ თვით მოედანზე გაჰქონდათ სავაჭრო საქონელი. მაგ., როგორც გორელი ვაჭრების განცხადებიდან ჩანს, გორის მოედანი მათი საქონლის გასატანი ყოფილა[138]. ასევე, ქუთაისის მოედანზედაც ხულებს გამოდგამდნენ და „ქალაქობას“ მართავდნენ[139].

---

131 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 1, საბ. 17.

132 ЦГВИА, ფ. ВУА, № 22662.

133 ГМГ, Hd: 1326.

134 იქვე, Qd: 7120; ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 36, საბ. 42.

135 ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, თელავის აღწერა, ГМГ, ფ. S 1650, გვ. 4—7.

136 დიონიჯიო კარლი, თბილისის აღწერა, МИГК, в. 29.

137 ГМГ, ფ. S 1646/a, с. 16.

138 ГМГ, Qd 7120.

139 იქვე, H: 2782, გვ. 28.

ქალაქის ზოგიერთი მოედანი საგანგებოდ გასართობებისათვის იყო განკუთვნილი. ასეთს თბილისში „ყაბახი“ წარმოადგენდა,[1] რონელსაც დიონიჯიო კარლი და თბილისის 1782 წ. გეგმის შემდგენელმი „დიდ მინდორს“ უწოდებენ, შარდენი კი «La Place d'armes» უწოდებდა. „დიდ მინდორზე“ იმართებოდა არა მარტო ყაბახი (ცხენიდან სროლა ბოძზე აღმართულ მიზანში), არამედ, როგორც თბილისის 1782 წ. გეგმის ექსპლიკაციიდან ჩანს, კრივიც, ჩოგბურთიც და სხვ. გასართობები. ქალაქის ყაბახზე, ცხადია, უმთავრესად მეფე და მისი მხლებლები, ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები ერთობოდნენ. მსგავს გასართობთა მოედანი, როგორც ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის ჩანაწერებიდან ჩანს, ჰქონია თელავსაც, სადაც აგრეთვე მეფე, მისი ახლობლები და ფეოდალური არისტოკრატიის სხვა წარმომადგენლები „ჩოგნობით“ ანუ „ჩოგან ბურთით“ ერთობოდნენ[140]. როგორც ვახუშტის ცნობიდან ჩანს, საასპარეზო მოედანი ჰქონია ქუთაისსაც. საკუთრივ ქალაქში, მისი სიტყვით, იყო „ასპარეზი მოზღუდვილი ვარჯად ჭანდრით“[141].

გვიანფეოდალური ქალაქები უმეტეს შემთხვევაში მდინარეებზე იყო გაშენებული. მდინარეები ზოგჯერ ქალაქის ამა თუ იმ უბანს ერთმანეთისაგან ჰყოფენ, ზოგჯერ კიდევ ქალაქსა და მის ციხეს. ქალაქის ამა თუ იმ ნაწილს თუ უბანს მსგავს შემთხვევებში ერთმანეთთან ქალაქის ხიდი აკავშირებდა.

თბილისის ხიდი ჯერ კიდევ VIII ს. ძეგლშია მოხსენებული. იოანე საბანისძის სიტყვით, არაბთა მიერ წამებული აბოს ნეშტი „შთაყარნეს დიდსა მას მდინარესა (მტკვარს, შ. მ.) ქუეშე ჯიდისა მის ქალაქისასა, რომელსა ზედა აღმართულ იყო პატიოსანი ჯუარი ჯიდისაჲ“[142]. თბილისის ხიდი, როგორც ამავე ძეგლის მონაცემებიდან ირკვევა, იქ იყო გამართული, სადაც მტკვარი თბილისის მიდამოებში ყველაზე უფრო ვიწრო კალაპოტში ექცევა და, ხიდის გადებისათვის ბოხერხებული ადგილი იყო, კერძოდ, დღევანდელ ბეტეხთან. თბილისის ხიდი ამავე ადგილზე მოხსენებული აქვს აგრეთვე XIII ს. ამბებთან დაკავშირებით ჟამთააღმწერელს[143]. აქვე იყო ერთადერთი ხიდი მდ. მტკვარზე XVII—XVIII სს. თბილისშიც და მას წყაროები „ავლაბრის ხიდს“ უწო-

---

[140] ალ. ჯ ა მ ბ ა კ ურ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თელავის აღწერა, ГМГ, ф. S 1650, გვ. 53—57.

[141] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 157.

[142] ადრინდელი ფეოდ. ქართული ლიტერატურა, კ. კეკელიძის გამოცემა, გვ. 75.

[143] М, გვ. 579.

დებენ. „ავლაბრის ხიდი“ ძელისა, ხისა ყოფილა[144]. XVIII ს. თბილისის ჩვენთვის ცნობილ ყველა გეგმაში მტკვარზე მხოლოდ ერთი ხიდია აღნიშნული, მაგრამ აქ სხვა პატარა მდინარეებიც გადიოდა, მაგ., დაბახანის ხევი, ავანაანთ ხევი, ვერე და სხვ. როგორც ვახუშტის გეგმიდან ჩანს, ამ პატარა ხევებზე, კერძოდ დაბახანის ხევზე და ავანაანთ ხევზე, ხიდები ყოფილა. სწორედ ამ ხიდების თავთან იყო კარები: ავანაანთ ხევის ხიდთან „ქვემო კარი“, „წყლის კარი“ ანუ „მუხრანის კარი“, ხოლო დაბახანის ხევის ხიდთან კიდევ „აბანოების კარი“. ამავე ხევებზე ხიდები აღნიშნული აქვთ თბილისის 1782 წ. და 1300 წ. გეგმათა შემდგენელსაც. აბანოებისა და მუხრანის კარის ხიდები ქვითკირის უნდა ყოფილიყო.

აგურითა და დუღაბით იყო აგებული საკმაოდ მოზიდული ხიდი თბილისის მაშინდელ გარეუბანში, საკმაოდ მოზრდილ მდინარე ვერაზე. ამ ხიდს გვიანფეოდალური დოკუმენტები ხოჯა ბეჰბუთას გაკეთებულად მიიჩნევენ[145]. ხოჯა ბეჰბუთა, ბებუთაშვილების საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი თბილისში, ცხოვრობდა XVII ს. შუა წლებში. ამ დროს უნდა იყოს აშენებული აგურის ხიდი მდ. ვერეზე, რომელიც ახლაც დგას და XX ს. 30-იან წლებამდე მოქმედი იყო[146].

ხიდები ჰქონდა საქართველოს სხვა ქალაქებსაც. ქუთაისის ციხე და ქალაქი, როგორც ეს გეგმებიდან და აღწერილობიდან ჩანს, ერთმანეთს ხიდით უერთდებოდა. ქუთაისის ხიდიც რიონზე, გიულდენშტედტის სიტყვით, ხისა ყოფილა და მისი სიგრძე 80 ნაბიჯს, ხოლო სიგანე 8 ნაბიჯს არ აღემატებოდა[147]. ხიდი ჰქონდა აწყურსაც. აწყურის ციხე და მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის მოსახლეობა მარჯვენა ნაპირის ე. წ. „ფორშტეტს“ სწორედ ხიდით უერთდებოდა[148], ახალციხის ქალაქს (ციხისაგან დამოუკიდებლად) მდ. ფოცხოვზე გაკეთებული ხიდი აერთებდა მის მარცხენა ნაპირთან და აქ გამავალ გზებთან[149].

---

144 სეხნია ჩხეიძე, B_2, გვ. 331.

145 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 22, საბ, 99.

146 მატენადარან, Груз. док., საქაღალდე 252, საბ. 6.

147 И. А. Гюльденштедт, Описание, с. 354; Reisen, p. 165. ამავე ხიდს, საამშენებლო მასალისა და შენების ტექნიკის თვალსაზრისით, XVIII ს. შუა წლებში აშენებულად მიიჩნევს ი. გრძელიშვილიც. იხ. მისი ძველი ხიდი თბილისში მდ. ვერაზე — Сообщ. АН. Груз.ССР, ტ. XI, № 2, გვ. 129—34, 1950 წ.

148 ЦГВИА, ფ. ВУА, № 21660.

149 იქვე, 5018.

შედარებით დიდ მდინარეებზე გაკეთებული ხიდები, რომელსაც გამვლელი გვერდს ვერ აუქცევდა, გვიანფეოდალურ ქალაქებში ხიდის მფლობელთათვის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. ხიდებზე „მეხიდური“ იჯდა, რომელიც ხიდზე გატარებულ ქარავანს თუ ვაჭარს საქონელში სათანადო ბაჟს ახდევინებდა. ხიდებზე ჩვეულებრივ კოშკები იყო, რომელნიც არა მარტო ხიდისა და მასზე გამავალი გზის დამცველის, არამედ აგრეთვე საბაჟოს როლსაც ასრულებდა.

3. სავაჭრო-სახელოსნო და სხვა საქალაქო ნაგებობანი

ქარვასლები

რამდენადაც ქალაქი ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრს წარმოადგენდა, მის ძირითად ნაგებობებსაც სავაჭროები და სახელოსნოები შეადგენდნენ. სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობათა შორის ფეოდალურ ქალაქებში ერთი მთავარი ადგილი ქარვასლებს ეჭირა.

ვაჭართა სასტუმრო სახლების აღსანიშნავად V—VIII სს. ქართულ ძეგლებში ბერძნ. „პონდოქიან“ იხმარებოდა[150]. აქედან მომდინარეობს, ცხადია, IX-X სს-დან ქართულში ხმარებული ტერმინი „ფუნდუკი“, რომელიც ბერძნული „პონდოქიონ“-ის მხოლოდ ფონეტიკურ სახეცვლილებას წარმოადგენდა; X ს. ძეგლში, „საბა ასურის ცხოვრებაში“ ნათქვამია: „შევიდის ფუნდუკსა გასნვენებლად“[151]. „ფუნდკუი“ ან კიდევ „პანდუქი“ XI—XIV სს. ქართულ ძეგლებში არაერთხელ გვხვდება როგორც „ვაჭართა საბანაკო“ სახლის, ან კიდევ „მოქარავნეთა თავშესაფარის“ აღმნიშვნელი[152]. „ფუნდუკი“ ამავე მნიშვნელობით XVIII ს-შიც იხმარებოდა[153]. მაგრამ ამ ბერძნული წარმოშობის ტერმინის პარალელურად უკვე XII—XIII სს. ჩნდება „ქარვასრა“ ანუ „ქარვასლა“ ე. ი. ქარავნის სრა, სახლი. „ქარვასრა“, როგორც მოქარავნე ვაჭართა 'გასასვენებელი, „ვეფხისტყაოსან'შია“ ნახსენები[154].

---

150 იხ. ივ. ჯავახიშვილი, საამშენებლო ხელოვნება, გვ. 60; ჩვენი აზრით. ცდება გ. ბელოვი, როცა სიტყვა «Fondaco»-ს არაბულიდან მომდინარედ მიიჩნევს (იხ. მისი Городской строй, გვ. 59). «Fondaco», ცხადია, ბერძნულიდან შესულა როგორც ევროპულს, ასევე არაბულსა და სხვა ენებშიც.

151 საბა ასურის ცხოვრება, ს. ჯანაშიას გამოცემა, გვ. 7.

152 ვისრამიანი, გვ. 63.

153 ვახუშტი, საქ. ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, იხ. მისივე თბილისის გეგმა.

154 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სტრ. 1073, 1074.

XVII—XVIII სს. „ქარვასლა“ გაბატონებული ტერმინია, რომლითაც ქალაქისათვის დამახასიათებელი ნაგებობა აღინიშნებოდა. აქ ვაჭრების საქონელი ინახებოდა, თვით ვაჭრებიც მოისვენებდნენ და დროებით იცხოვრებდნენ. „ქარვასლა“ გვიანფეოდალური საქართველოს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი, შედარებით დიდი ყველა ქალაქისათვის აუცილებელ ნაგებობას წარმოადგენდა.

თბილისში, XVII—XVIII სს. რამდენიმე ქარვასლა იყო. შარდენი წერდა: „თბილისში რამდენიმე კარგი საზოგადო შენობაა: აქ არის ქვით ნაშენი და კარგად შენახული დიდი საბაზრო შენობები. ასეთივეა ქარვასლებიც, რომელშიც უცხოეთიდან მოსული ხალხი ბინავდება დროებით“[155]. თბილისის ქარვასლებს იხსენიებენ სხვა უცხოელებიც.

ვახუშტის მიერ შედგენილი თბილისის გეგმის მიხედვით ქალაქში 4 ქარვასლა ყოფილა; სამი მათგანი ქალაქის კედლებს შიგნით იყო: „თბილისის ქარვასლა“, „მეფის ფუნდუკი (ქარვასლა)“ და „მელიქის ქარვასლა“. მეოთხე ქარვასლა კი, რომელსაც ვახუშტი „ბეჟანის ქარვასლას“ უწოდებს, ქალაქის კედლებს გარეთ სოლოლაკის უბანში ყოფილა. თბილისის 1782 წ. ფრანგული გეგმა, რომელიც, როგორც ჩანს, არასრულ ცნობებს იძლევა, მხოლოდ ორ ქარვასლას, მეფისა და „ვაჭართა (იქ, სადაც ვახუშტის გეგმით „თბილელის ქარვასლაა“) ქარვასლას“ უჩვენებს. თბილისის 1800 წ. გეგმით კი ქალაქში 4 ქარვასლა ყოფილა. ასე რომ, XVIII ს. მთელ სიგრძეზე თბილისში სულ 4 ქარვასლა იყო.

გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტები სავსებით ადასტურებენ ზემოხსენებულ გეგმათა მონაცემებს და ბატონის, მელიქის ანუ ბებუთაშვილების და თბილელის ქარვასლებს არაერთხელ მოიხსენიებენ[156].

ქალაქის ზემოდასახელებულ მთავარ ქარვასლათა გარდა, თბილისში სხვა პატარა ქარვასლებიც იყო, რომელნიც გეგმებში, როგორც ჩანს, ჩვეულებრივ არ ყოფილა შეტანილი. გვიანფეოდალურ დოკუმენტებში სხვადასხვა პირთა, უმთავრესად მსხვილი ვაჭრების ქარვასლებიც არის დასახელებული. მაგ., 1700 წ. საბუთში „მებაჟეთ უხუცესის ქარვასლა“ იხსენიება[157]. როგორც 1716 წ. საბუთიდან ირკვევა, ქარვასლა ჰქონია დალაქს ღანბარა-

---

155 შარდენი, მოგზაურობა, გვ. 54.

156 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 7, საბ. 1.

157 იქვე, დავთ. 21, საბ. 100.

შვილსაც[158]. 1736 წ. საბუთში „ოქონაანთ ქარვასლა“, 1749 წ. საბუთში „ანტონას ქარვასლა“ იხსენიება[159], 1784 წ. საბუთში „ახალციხელი ოსეფას“ (ნაზარბეგაშვილის?) ქარვასლაა დასახელებული[160]. 1799 წ. საბუთის მიხედვით კი, ცნობილ პირველ მოქალაქეს, ოსეფა მუნთუაშვილს ქარვასლა 127 თუმნად მიუყიდია ოსეფა ყორღანაშვილისათვის[161]. უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ თბილისში, 1719 წ. საბუთის მიხედვით, თავისი ქარვასლა ჰქონდა ჯვარის ძოხასტერსაც[162]. როგორც ძოტანილი მასალებიდან ჩანს, XVIII ს. თბილისში ოთხი დიდი ქარვასლის გარდა, რამდენიმე პატარა ქარვასლაც ყოფილა. დოკუმენტები შესაძლებლობას გვაძლევენ ზოგი პატარა ქარვასლის სიდიდეც გავითვალისწინოთ. 1777 წ. საბუთიდან ჩანს, რომ მეფის დისწულ ეფემიასაგან ოსეფა ნაზარბეგაშვილს ქარვასლა უყიდია, რომლის სიგრძე იყო „ადლი კზ (27), განი ადლი კე (25), რომ ადლის ჯამი გაზანდარი ადლით (—კვადრატულ ადლს, შ. ჰ.) ექვსას სამოცდათხუთმეტი ადლი ყრის“[163]. ასე რომ, ნაზარბეგაშვილის ქარვასლა 675 კვ. მ ფართობისა ყოფილა.

თბილისთან შედარებით პატარა ქალაქებში თითო ქარვასლა იყო. მაგ., გორში, მდ. ლიახვის პირას ერთი ქარვასლა ყოფილა, შაგრამ, XVIII ს. 60-იანი წლებისათვის იგი დანგრეულია და 1761 წ. დოკუმენტში გორის მხოლოდ „ნაქარვასლევი“ არის მოხსენებული[164]. ქარვასლა იყო ახალქალაქში. ახალქალაქის ნაქალაქარში დღესაც დგას საკმაოდ დიდი ქარვასლის ნალისებური, თაღიანი კედლები; როგორც ჩანს, ქარვასლას ერთ მხარეზე ცხრა განყოფილება ჰქონია, ამდენივე განყოფილება ექნებოდა მეორე მხარესაც, რომელიც ბოლო ხანებში (XIX ს. დამდეგი?) ამოულესავთ და ახალი კედლისათვის შეუერთებიათ.

ახალციხის ქარვასლას ჯერ კიდევ შარდენი მოიხსენიებს. ახალციხეში, წერდა შარდენი, „არის აგრეთვე ახალი ქარვასლა, რომელიც ხისაგან არის აშენებული როგორც თითქმის სხვა ყველა აქაური სახლები[165].

როგორც არტემ არარატელის ცნობიდან ჩანს, ქარვასლა ყოფილა სიღნაღშიც: მასში ერთი დიდი ქართული მონასტერია...

---

158 იქვე, დავთ. 10, საბ. 112.

159 იქვე, დავთ. 6, საბ. 109; იქვე, დავთ. 18, საბ. 169.

160 იქვე, დავთ. 17, საბ. 64.

161 იქვე, დავთ. 6, საბ. 78.

162 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 51, საბ. 187.

163 მატენადარან, Груз. док., საქაღალდე № 252, საბ. № 32.

164 იქვე, დავთ. 45, საბ. 101.

165 შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა, გვ. 56.

სასტუმრო და ციხე[166]. ქარვასლები წარმოადგენდა არა მარტო ვაჭართა საქონლის ერთგვარ საწყობსა და მათ სასტუმროს, არამედ თვით სავაჭროსაც და სახელოსნოსაც. მაგ., თბილისის მარტო ნაზარბეგიანთ ქარვასლაში, 1781—82 წწ. აღწერით, თავთავიანთი სავაჭრო და სახელოსნო დუქანი ან სადგომი ჰქონია: 2 სარაჯს, მესტვირეს, 2 ოქრომჭედელს, მეჩახმახეს, მჭედელს, 2 მკალავს, 2 მექვაბეს, 2 ნალბანდს, დაბაღს, 2 ჭონს, ხარაზს, 2 ბაზაზს, მჩითავს, 2 მეწისქვილეს, ხაბაზს, მეფურნეს, მზარეულს, 2 კალატოზს, ხუროს, ქვის მჭრელს, 2 მესანთლეს, მეზეთეს, მეურმეს, მეჯორეს, მენახირეს, დალაქს, მეაბანოეს, 2 ბაყალბაშს, ბაყალს, მუშას და სხვ[167]. აქ დასახელებულთა ერთ ნაწილს, როგორც ჩანს, ქარვასლაში გაჩერებულთა საჭირო მოვლა-სამსახური ჰქონდა დაკისრებული, ნაწილი კიდევ ქარვასლის შენობაში იმგვარ ხელობას მისდევდა, რომელიც იქ დროებით მყოფთა მომსახურეობისათვის იყო აუცილებელი, რათა, ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით რომ ვთქვათ, „მგზავრი არ გაისარჯოს, სადგომი და საჭმელი მზათ დახვდეს“[168].

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანდა, ქარვასლები უმთავრესად ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებს (მეფე, ეკლესია, თავადაზნაურობა) ჰქონდათ; ამათ გარდა ქარვასლებს მსხვილი ვაჭრებიც ფლობდნენ. ქარვასლები მათ მფლობელებს მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჩვენ ზემოთ გვქონდა (იხ. თავი III) და აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

დუქნები

ზოგ მცირე ქალაქში ქარვასლა სრულებით არ იყო, ასე რომ იგი ყველა (დიდი და პატარა) ქართული გვიანფეოდალური ქალაქისათვის დამახასიათებლად არ შეიძლება მივიჩნიოთ. სამაგიეროდ ყველა ქალაქში იყო სავაჭრო თუ სახელოსნო ნაგებობანი, რომელთაც უძველესი ქართული ძეგლები „საფარდულს“ უწოდებდნენ. „დაბადების“ უძველეს ქართულ თარგმანებში სავაჭრო ნაგებობის აღსანიშნავად ყოველთვის „საფარდული“ გვხვდება[169].

---

[166] Жизнь Артемия Араратского, с. 11.

[167] ივ. ჯავახიშვილი, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, „პრომეთე“, № 1.

[168] ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, გვ. 75.

[169] იხ. ეზიკელი, თ. 27, 16, 21.

„საფარდული“ „ფრდა“-საგან არის ნაწარმოები, რაც ძველ ქართულში „სყიდვას“, გაყიდვას ნიშნავდა. ტერმინი „საფარდული“ XII და მომდევნო საუკუნეებშიც იხმარებოდა იმავე მნიშვნელობით[170].

აღსანიშნავია, რომ იგი სულხან-საბა ორბელიანს ქართული ენის ლექსიკონში შეტანილი და განმარტებული აქვს როგორც „სამოსასყიდლო“[171]. „საფარდულთან“ ერთად, X—XI სს. ქართულ წერილობით წყაროებში ხშირად გვხვდება ამავე მნიშვნელობის, მაგრამ უცხოური წარმოშობის ტერმინი „ქულბაქი“. ტერმინი „ქულბაქი“ X—XIV სს. იმდენად იყო გავრცელებული, რომ, შეიძლება ითქვას, ერთადერთს წარმოადგენდა იმ ხანის ქართულ ენაში სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობის აღსანიშნავად. „ქულბაქი“ XVII—XVIII სს. დოკუმენტებშიც გვხვდება არცთუ იშვიათად[172], მაგრამ ამ საუკუნეებში სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობებს ძირითადად მაინც „დუქანი“ ეწოდებოდა. დასავლეთ საქართველოში XVII—XVIII სს., როგორც ჩანს, ტერმინმა „დუქანმა“ მაინცდამაინც ფეხი ვერ მოიკიდა და მის მაგიერ, იმავე მნიშვნელობით „ხულა“ იხმარებოდა[173]. „ხულა — სახლი სავაჭროს სადები“ — განმარტავს ს.-ს. ორბელიანი.

ყოველ გვიანფეოდალურ ქალაქში ამა თუ იმ ხელობის რამდენიმე წარმომადგენელს ერთად, ან კიდევ ცალ-ცალკე თავისი დუქანი ჰქონდა. ამიტომაც დოკუმენტებში დუქნები ხშირად იქ მოსაქმე ხელოსანთა თუ ვაჭართა სპეციალობის მიხედვითაც მოიხსენიება: „მეჩუსტეების დუქანი“, „მექვაბეების დუქანი“, „ალათის დუქანი“, „ბაჰყლების დუქანი“, „დუქანი სამღებრო“, „თოლაჩის დუქანი“, „ჭონის ქულბაქი“, „ბაზაზების დუქანი“[174] და სხვ. დუქანთა ამგვარი სახელწოდებანი იმაზედაც მიგვითითებენ, რომ იქ არამარტო ხელოსნის ნაწარმი იყიდებოდა, არამედ გამართული იყო ამა თუ იმ ხელობისათვის საჭირო დაზგებიც, სახელოსნოები. ცხადია, „სამღებრო დუქანს“ სხვაგვარი მოწყობილობა ექნებოდა, ვიდრე „ჭონის დუქნებს“ ან კიდევ „მექვაბეების

---

[170] იხ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილება, თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 65.

[171] იხ. ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1849, სიტყვა — „საფარდული“ იხ. აგრეთვე ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სამშენებლო ხელოვნება, გვ. 41.

[172] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 1, საბ. 18, 37; დავთ. 4, საბ. 226; დავთ. 19, საბ. 60.

[173] იქვე, ფ. 226, № 1057; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლ. საქ. საეკლესიო საბუთები, I, გვ. 123, 124, 161.

[174] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 5, საბ. 142; დავთ. 7, საბ. 16, 51, 113; დავთ. 45, საბ. 45. დავთ. 44, საბ. 65; ГМГ, ფ. Ad: 1922.

დუქანს.“ ეს უკანასკნელი თავისი მოწყობილობით არსებითად განსხვავდებოდა „მეჩუსტეების დუქნისაგან“ და ასე შემდეგ. როგორც აქედანაც ჩანს, დუქნები გვიანფეოდალურ ქალაქებში სავაჭრო და ამავე დროს სახელოსნო ნაგებობასაც წარმოადგენდა.

დუქნები არქიტექტურული თვალსაზრისით ერთნაირი როდი იყო: ზოგიერთი მათგანი თაღიანი იყო. 1758 წ. საბუთში „თაღბანდი დუქანია“ დასახელებული[175]. ყოფილა ორსართულიანი დუქანიც. დუქნის ქვეშ სახლები იყო გამართული. 1718 წ. საბუთში ნათქვამია: მოგყიდე „ორი ქულბაქი და ქულბაქს ქვეშ სახლი“[176]. 1781 წ. საბუთში კიდევ ნახსენებია დუქანი „თავისი ძირის სახლით და დერეფნით“[177], დუქნები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ თავიანთი სიდიდითაც. იყო დუქანი, რომლის სიგრძე 6 ადლს (დაახ. 1 მ), ხოლო სიგანე 4 ადლს უდრიდა, ე. ი. სულ 24 კვ. მ ფართობისა[178]. იყო აგრეთვე დუქანი სიგრძით 6 ადლი, სიგანით 5 ადლი, ე. ი. 30 კვ. მ ფართობისა[179], ზოგი დუქნის სიგრძე 4 1/2 ადლი ყოფილა, სიგანე კიდევ 3 ადლი[180]; ზოგი დუქანი კი სიგრძით 11, ხოლო სიგანით 3 ადლისა იყო, ე. ი. 33 კვ. ადლის ფართისა[181]. ასე რომ, დუქანთა ფართი საშუალოდ 15 კვ. მეტრიდან 30 კვ. მეტრამდე აღწევდა.

დუქნები ერთმანეთისაგან განირჩეოდნენ იმის მიხედვითაც, თუ რისგან იყო აშენებული. ზოგი დუქანი ქვითკირით. იყო ნაგები[182], ზოგი კი ხისაგან. როგორც აღწერილობითი ხასიათის წყაროებიდან ჩანს, დუქნები XVIII ს. თბილისში უმთავრესად ქვისაგან ყოფილა ნაგები. იაზიკოვი წერდა: «Ряды в городе каменные, со сводами»[183], აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში, საერთოდ დუქნები, ისე როგორც სხვა ნაგებობანი, ქვითკირისა უნდა ყოფილიყო, რაკი საამშენებლო მასალას აქ უმთავრესად ქვა და აგური შეადგენდა. დას. საქართველოში კი პირიქით, ძირითადი საამშენებლო მასალა ხე იყო, ამიტომაც საერთოდ ხის სახლები და ხის დუქნები იყო დასავლეთ საქარ-

---

175 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 14, საბ. 20.
176 იქვე, დავთ. 1, საბ. 37.
177 იქვე, ფ. 227, № 7084.
178 იქვე, ფ. 229, დავთ. 4, საბ. 226.
179 იქვე, დავთ. 1, საბ. 8.
180 იქვე, დავთ. 19, საბ. 60.
181 იქვე, ფ. 227, № 7084.
182 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 21, საბ. 103.
183 А. Цагарели, Грамоты, в. I, с. 188.

თველოს ქალაქებში. როგორც ქუთაისის გეგმიდან ჩანს, XVIII ს. 30—40-იან წლებში დუქნები ხისა იყო, ხის დუქნები იყო ხონშიც, ფოთში, რუხში და სხვაგან. ფოთის გეგმის ექსპლიკაციაში სხვათა შორის ჩანიშნულია რამდენიმე „პროვიანტის მაღაზია, ხისა, გამოუსადეგარი". ამათ გარდა, ფოთში იყო აგრეთვე რამდენიმე პროვიანტის მაღაზია მტკიცე, კრამიტით დახურული[184]. ხისაგან ყოფილა აგებული აგრეთვე, როგორც შარდენი გვარწმუნებს, ახალციხის ქალაქის უმთავრესი ნაგებობანი, მათ შორის დუქნებიც[185].

ცხადია, ქვითკირის თუ ხის, დიდი თუ პატარა დუქნის ფასი ერთნაირი როდი იქნებოდა. ზოგი მასალა შესაძლებლობას გვაძლევს გავითვალისწინოთ დუქნების ფასი XVIII ს. თბილისში. როგორც 1782 წ. საბუთიდან ჩანს, ერთი დუქანი 32 თუმნად (350 მან.) გაყიდულა[186], 1786 წ. საბუთით 35 თუმნად (350 მან.) გაუყიდიათ[187], ხოლო 1789წ. საბუთით ნახევარი დუქანი თორმეტი თუმანი (ე. ი. მთელი 24 თუმანი, 240 მან.) ღირებულა. იმავე საბუთიდან ჩანს აგრეთვე, რომ „ერთი პატარა დუქანი" 10 თუმნად (100 მან.) გაიყიდა[188]. ასე რომ, დუქნის ფასი XVIII ს. მეორე ნახევარში თბილისში 100-დან 350 მანეთამდე აღწევდა, შაშინ როდესაც შედარებით პატარა ქარვასლა 127 თუმნად (1270) იყიდებოდა[189].

ქარვასლებსა და დუქნებს გარდა ფეოდალურ ქალაქებში, ცხადია, საცხოვრებელი სახლებიც იყო. ფეოდალური ქალაქის მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია განსაკუთრებით აშკარად მის საცხოვრებელ ნაგებობათა სხვადასხვაობაში აისახებოდა. რამდენადაც ქალაქი ადმინისტრაციული ცენტრიც იყო, იქ თავს იყრიდა ქალაქის მფლობელის, მისი გამგებლის თუ ფეოდალური არისტოკრატიის სხვა წარმომადგენელთა სასახლეები თუ საცხოვრებელი სახლები და დარბაზები. სამეფოს დედოფლის, უფლისწულების, პატრიარქის და სხვა წარჩინებულთა არაერთი ნაგებობა იყო თბილისში, თელავში, გორში, ქუთაისში და სხვაგან. სასახლეები ჰქონდათ გაბატონებული საზოგადოებრივი წრის სხვა წარმომადგენლებსაც, თავადებსა და აზნაურებს. ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა სასახლეები ქალაქთა უდი-

---

184 ЦГВИА, ფ. ВУД, № 22371, ექსპლიკ. E, L.
185 შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა, გვ. 56.
186 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 8, საბ. 16.
187 იქვე, დავთ. 6, საბ. 10.
188 ЦГИАГ, ფ. 229, საბ. 114.
189 იქვე, საბ. 78.

დეს, ულამაზეს და საუკეთესო ნაგებობებს წარმოედგენდა, რომელთაც სხვადასხვა სახის სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანიც ერთვოდა. ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებს ჰქონდათ არა მარტო საცხოვრებელი სასახლეები, არამედ გასართობი, ე. წ. „სათამაშო სახლებიც", რომელთაც „ხალვათხანას", დროს გასატარებელ სახლებს უწოდებდნენ[190]. ეს სასახლეები ყოველთვის იპყრობდა მნახველთა ყურადღებას როგორც თავიანთი არქიტექტურით, ასევე მდიდრული მორთულობითაც.

ჩვენს ყურადღებას ამ შემთხვევაში იპყრობს გვიანფეოდალურ ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში მნიშვნელოვან ნაგებობათა შენების გარკვეული წესი, რომელსაც შენების „ქალაქურ ან ტბილურ წესს" უწოდებენ[191]. როგორც ჩანს, თბილისში სასახლეებს განსაკუთრებული ხუროთმოძღვრული თავისებურებები ახასიათებდათ, რომელიც მათ პროვინციათა ჩვეულებრივი სასახლეებისაგან განასხვავებდა. საკუთრივ ქალაქში სასახლეები, ცხადია, სწორედ „ტფილური წესით" უნდა აგებულიყო. ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის დავით ბატონიშვილი: ყველა შენობა ქალაქში ნაგები მეფის დამტკიცებული გეგმის მიხედვით უნდა აეშენებინათ[192]. ცხადია, დავით ბატონიშვილი ამ შემთხვევაში აჭარბებს. ყოველი სახლი ქალაქში რომ საერთოდ მეფის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით არ შენდებოდა, ამაში, ერთი მხრივ, ქალაქთა უგეგმოდ, უსისტემოდ შენება, ხოლო მეორე მხრივ, სასახლეთა გვერდით ქალაქებში „საქათმის მსგავსი ქოხების" არსებობა გვარწმუნებს. დავით ბატონიშვილის ცნობა ალბათ მხოლოდ ქალაქის იმ შენობებს შეეხებოდა, რომელთაც ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები აგებდნენ. ამ მხრივ დავით ბატონიშვილი რომ მართალი უნდა იყოს, ეს XVII-XVIII სს. ქართლ-კახეთის სამეფოში ხუროთმოძღვრის, ანუ „საროდარის" თანამდებობის არსებობიდან ჩანს. ხუროთმოძღვრის თანამდებობა საქართველოს ქალაქებში ჯერ კიდევ IV ს. უნდა არსებულიყო. ამას ადასტურებს არმაზის ბერძნული წარწერები, სადაც ქ. მცხეთის „ხუროთმოძღვარი და მხატვართუხუცესი ავრელი აქილოსი" არის მოხსენიებული[193]. ხუროთმოძღვარი, როგორც

---

190 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 89.

191 ძეგლი ერისთავთა, ქრონიკები, II, გვ. 8; შდრ. ისტორიული საბუთები, V, გვ. 111—112.

192 Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н: II, § 906.

193 ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი., გვ. 36.

მთავარი მშენებელი, არაერთხელ მოიხსენიება IX—XIII სს. წერილობით წყაროებში[194]. ხუროთმოძღვრის თანამდებობა შენარჩუნებული იქნა XVII—XVIII სს-შიც, ოღონდ ამ თანამდებობის აღმნიშვნელი ქართული ტერმინი სპარსული „სარაიდარით“ შეიცვალა. სარაიდარი მეფის ერთ-ერთი ძოხელე იყო. მის მოვალეობას, ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, შეადგენდა „შენება სასახლეთა, ეკლესიათა, ხიდთა, ფუნდუკთა“[195]. როგორც ჩანს, ხუროთმოძღვარი ქალაქის ყველა ნაგებობის მშენებლობას კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ მხოლოდ სამეფო სასახლეთა, ქარვასლათა, ეკლესიათა და ხიდებისას. ხუროთმოძღვარი ანუ სარაიდარი, როგორც ამგვარი მოვალეობის შემსრულებელი, არაერთხელ მოიხსენიება გვიანფეოდალურ დოკუმენტებში[196]. ჩვენს დრომდე მოაღწია ხუროთმოძღვართა თვით ჩანახაზებმა, მათ მიერ შედგენილმა პროექტებმა[197].

ფეოდალური არისტოკრატიის არქიტექტურული წესების დაცვით აშენებული სასახლეები ქალაქში მაინც შედარებით მცირე იყო. ქალაქის უმრავლეს შენობებს ვაჭართა და ხელოსანთა საცხოვრებელი სახლები შეადგენდნენ. მაგრამ თვით ქალაქის მცხოვრებთა სახლებიც არ იყო ერთგვარი. აქაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა აშკარა გავლენას ახდენდა ქალაქის გარეგან სახეზე. ქალაქის მოსახლეობის ერთ მდიდარ ნაწილს, მის ზედაფენას რამდენიმეოთახიანი სახლები ჰქონდა. ღარიბი მოსახლეობა კი, მთელი ოჯახით ან ერთ ოთახში იყო მოკალათებული, ან კიდევ ქოხებში, მიწურებში ცხოვრობდა.

ჩვენ არაერთი დოკუმენტი მოგვეპოვება, რომელიც მოსახლეობის პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელთა, მოქალაქეთა სახლკარს წარმოგვიდგენს. მოქალაქის სახლკარის აუცილებელ კუთვნილებას შეადგენდა დარბაზი, სათონე, პატარა ოთახები, დერეფანი, მარანი, და ზოგჯერ სარდაფებიც. „დარბაზი“ სახლის ყველაზე დიდ ოთახს ეწოდებოდა. როგორც 1780 წ. საბუთიდან ირკვევა, ზოგი დარბაზის სიგრძე 9 1/2 ადლს, სიგანე კიდევ

---

[194] სერპ. ზარზმელის ცნობა, ადრინდ. ფეოდალური, ქართ. ლიტ., კეკელიძის გამოცემა, გვ. 172, 167; გიორგი მთაწმინდელის ცხ-ბა, ათ. კრებული, გვ. 285, 197; იოანე ურპაელის ცხ-ბა, Хр. Восток, III, в. III, с. 347.

[195] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 17.

[196] საქ. სიძველენი II, გვ. 66, იქვე, III, გვ. 279—280; ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ეკ. ისტ., I, გვ. 181, 182.

[197] ვ. ბ ე რ ი ძ ე, XVIII ს. ქართველ ხუროთმოძღვართა ნახაზები, Изв. ГМГ, XIV B, 1947, с. 236.

8 ადლს, ე. ი. მისი ფართობი 76 კვ. ადლს (კვ. მ) უდრიდა; დერეფნის სიგრძე ზოგჯერ 8 1/4 ადლს, სიგანე კიდევ 5 ადლს უდრიდა, ე. ი. 41 3/4 კვ. მ. სათონის სიგრძე, ამავე საბუთით, იყო 8 1/4 ადლი, ხოლო სიგანე 4 ადლი, ე. ი. 34 კვ. ადლი (მეტრის) ფართობისა. ასე რომ, ცალკეული ქოქალაქის სახლკარის ნაგებობათა ფართობი სულ 151 3/4 კვ. მეტრს შეადგენდა[198].

თბილისის ზოგი მოქალაქის სახლკარი შედარებით პატარა იყო. მაგ., 1699 წ. საბუთით, მოქალაქის დარბაზის სიგრძე 11 ადლი, ხოლო სიგანე 5 ადლი ყოფილა, ე. ი. დარბაზის ფართობი 55 კვ. ადლს უდრიდა, ოთახისა და დერეფნის სიგრძე ერთად 8 ადლი, ხოლო სიგანე 4 ადლი, ე. ი. ოთახისა და დერეფნის ფართობი სულ 32 კვ. ადლი იყო[199].

აღსანიშნავია, რომ სახლის კვადრატული ადლი XVII—XVIII სს. თბილისში ზოგჯერ 2 მინალთუნად[200], ზოგჯერ 2 მინ. და 3 აბაზად[201], ზოგჯერ კიდევ 3 მინ. და 2 აბაზადაც იყიდებოდა[202]. სახლები უმთავრესად აგურისა ან ქვითკირისა იყო. თბილისის მცხოვრებთა სახლების უმეტესობის შესახებ ვახუშტი წერდა: „სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა“[203]. ასევე წერდა მათ შესახებ გიულდენშტედტიც: „სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა, ზოგთა სპარსთა რიგისა, ზოგთა ქართული, არამედ ციხე, ეკლესიანი და ზღუდენი ქვითკირისანი არიან“[204]. გორშიც მოსახლეობის ერთი, შეძლებული მცირე ნაწილის სახლები ქვითკირისაგან იყო ნაგები და იგი არსებითად განსხვავდებოდა ღარიბთა მიწურებისაგან[205].

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში, განსაკუთრებით კი თბილისში, მოქალაქეთა სახლებს უმთავრესად ბანიანი (ბრტყელი) გადახურვა ახასიათებდათ. ამგვარსახურავიან სახლს, როგორც გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტებიდან ჩანს, „შირვანული დახურვილი სახლი“ ან კიდევ „შირვანული სახლი“ ეწოდებოდა. XVII—XVIII სს. თბილისურ დოკუმენტებში არაერთხელ გვხვდება „სახლი შირვანულათ დახურვილი“[206], „შირვანის დარბა-

---

198 ЦГИАГ, დავთ. 10, საბ. 96.
199 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 5, საბ. 182.
200 იქვე, დავთ. 10, საბ. 96.
201 იქვე, დავთ. 20, საბ. 65.
202 იქვე, დავთ. 17, საბ. 66.
203 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 54.
204 И. А. Гюльденштедт, Описание, с. 182; Reisen, 128.
205 А. Цагарели, Грамоты, I, с. 188.

ზი"[207], „შირვანული სახლი"[208], „შირვანის ოთახი"[209] და სხვ. რო-გორც ჩანს. ბანიანი სახურავის. ანუ „შირვანული „გადახურვის" სახლები საკმაოდ გავრცელებული იყო გვიანფეოდალურ თბილისში.

„შირვანული გადახურვა" თბილისის საცხოვრებელ ნაგებობათა უმრავლესობისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული თავისებურება იყო.

ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის სახლების გვერდით იყო ღარიბთა ქოხებიც, რომელნიც, 1789 წ. საბუთის სიტყვით რომ ვთქვათ, საქათმეებს უფრო გავდა, ვიდრე საცხოვრებელ ნაგებობებს. მეტეხელები ერეკლე II-ს მოახსენებდნენ: „მოგეხსენებათ ჩვენი ცხოვრება, რომ თუ არ დიდი დაჭირება, თორემ აქ მართებული კაცი ვინ დადგება. [სადგომები] თითო საქათმესა ჰგავს, ქოხებში ვყრივართ, დღიურად ვრჩებით მწარედ უილაჯონი და გლახები... სულ რომ დავიყიდნეთ ორმოც თუმანს არავინ მოგვცემსო"[210]. ქოხები იყო არა მარტო ქალაქის შედარებით განაპირა უბნებში, მაგ., მეტეხში, არამედ მის ცენტრალურ რაიონშიც, კერძოდ სიონის უბანში, სადაც თავმოყრილი იყო ფეოდალური არისტოკრატიის სასახლეები; მათ მახლობლად, 1772 წ. საბუთით, ყოფილა ვინმე „არუთინის ქოხები"[211]. ქოხები არაიშვიათი იყო ქალაქის სხვა ცენტრალურ რაიონებშიც. აღსანიშნავია, რომ 1775 წ. ერეკლე II-ს უბრძანებია „ქვემო მოედნის" ირგვლივ გაშენებული ქოხების დანგრევა და ამათგან ქალაქის ამ უბნის გაწმენდა[212].

ქოხები და მიწურები იყო საქართველოს სხვა ქალაქთა მოსახლეობის უმეტესობის საცხოვრებლები. გორის 1802 წ. გეგმით, ქალაქის სახლების დიდი უმეტესობა სწორედ მიწურები იყო. ასევე, დუშეთშიც, ვახტანგ ბატონიშვილის ციხისა და სასახლის ირგვლივ, დუშეთის გეგმის მიხედვით, იყო «Обывательские землянки». მსგავსი მიწურები ან კიდევ ხის ქოხები და ზოგჯერ წნული ფაცხები. იყო საქართველოს სხვა ქალაქთა ღარიბი მოსახლეობის სადგომი

---

[206] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 6, საბ. 149; დავთ. 8, საბ. 102; დავთ. 10, საბ. 50; დავთ. 17, საბ. 68 და სხვ.

[207] იქვე, დავთ. 7, საბ. 81; დავთ. 5, საბ. 134, 172; დავთ. 20, საბ. 81.

[208] იქვე, დავთ. 2, საბ. 69, დავთ, 5, საბ. 41, 110, 141; დავთ. 19, საბ. 43 და სხვ.

[209] ГМГ, ფ. Hd: 1646.

[210] საქ. სიძველენი, III, გვ. 50—51.

[211] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 1, საბ. 24.

[212] იქვე, საბ. 38.

როცა საქალაქო ნაგებობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ე. წ. საქალაქო, საზოგადო სახლებსაც. გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებს თვითმმართველობა არ ჰქონდა და ამიტომაც თვითმმართველობის სახლი ანუ საქალაქო სახლი, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო შუასაუკუნეების ქალაქებისათვის, საქართველოში არ არსებობდა. ჩვენ არ მოგვეპოვება მასალები იმის გასარკვევადაც, ჰქონდათ თუ არა მეფის მიერ დანიშნულ ქალაქთა მმართველ მოხელეებს თავიანთი საგანგებო შენობა, სადაც ისინი საქალაქო საქმეებს აწარმოებდნენ, მაგრამ ამგვარი ნაგებობის არსებობა მაინც სავარაუდებელია.

ქალაქში მეფის მიერ დანიშნულ მოხელეთა სახლს გარდა, XVII—XVIII სს. შედარებით დიდ ქალაქებში, კერძოდ თბილისში, „საამქრო სახლებიც“ უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ცხადია, „საამქრო სახლი“ ყველა ამქარს არ ჰქონდა.

თბილისელ იუველირთა წესდებიდანაც[213] ჩანს, რომ ყველა, შედარებით დიდი და ძლიერი ამქარი საჭიროდ მიიჩნევდა საგანგებო ამქრის სათათბირო სახლს. ჩვენ არ ვიცით იუველირთა ამქარმა გაიჩინა თუ არა ასეთი სახლი, მაგრამ ერთი მაინც ცხადია — ზოგ ამქარს გვიანფეოდალურ თბილისში თავისი სათათბირო ანუ საამქრო სახლი უნდა ჰქონოდა.

XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში ზემოდასახელებულ საერო ნაგებობებთან ერთად საეკლესიო ნაგებობებიც იყო. ეკლესია ქალაქებში არა მარტო რელიგიურ მიზნებს ემსახურებოდა, არამედ თვით აქტიურად მონაწილეობდა საქალაქო ცხოვრებაში. ამას გარდა, ისინი ხშირ შემთხვევაში თვით სავაჭრო საქონელთა საწყობებს და საგანძურთა ერთგვარ შესანახსაც წარმოადგენდნენ.

XVIII ს. პირველი ნახევრის თბილისში, როგორც ვახუშტის გეგმიდან ჩანს, სულ 20 ეკლესია ყოფილა. იაზიკოვის ცნობითაც, XVIII ს. 70-იანი წლების თბილისში 21 ეკლესია იყო[214]. როგორც ვახუშტის, ასევე იაზიკოვის ცნობაც ზუსტი არ უნდა იყოს. გიულდენშტედტი, ჩამოთვლის რა თბილისის ყველა ეკლესიას, აღნიშნავს, რომ საკუთრივ ქალაქში 12, ხოლო მის გარეუბნებში 8, ე. ი. სულ 20 ქართული (მართლმადიდებლური) ეკლესია იყო. ამდენივე ყოფილა სომხურიც. ამათ გარდა, მისივე ცნობით, ქალაქში იყო 3 მეჩეთი[215]. თბილისის 1800 წ. გეგმით, ქალაქსა და

---

[213] Լուսաj, მუხლი y.

[214] А. Цагарели, Грамоты, I, с. 188.

მის შიდამოებში სულ ყოფილა 20 ქართული, 21 სომხური, 2 ბერძნების ეკლესია და 6 მეჩეთი.

ვახტანგის ცნობით, გორში იყო „8 კეთილმშვენიერი ეკლესია“[216], ხოლო როგორც 1802 წ. გეგმიდან ჩანს, აქ XVIII—XIX სს. მიჯნაზე იყო 6 ქართული და 5 სომხური, ი. ი. სულ 11 ეკლესია. დუშეთში, 1802 წ. გეგმის მიხედვით, სულ 4 ეკლესია ყოფილა. 2 იყო ქართული ეკლესია, ციხის გარეთ, ქალაქში კიდევ 1 ქართული და 1 სომხური ეკლესია. თელავში, როგორც მისი გეგმებიდან და ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის აღწერიდან ირკვევა, სულ 3 ეკლესია იყო. ამასვე აღასტურებს გიულდენშტედტის ცნობაც[217]. სიღნაღში, თუ არტემ არარატელის ცნობას დავუჯერებთ, მხოლოდ 1 ქართული „დიდი მონასტერი“ ყოფილა[218]. ქ. ქუთაისში, ბაგრატის ცნობილ ტაძარს გარდა, გიულდენშტედტის ცნობით, საკუთრივ ქალაქში 6 ქვითკირის ეკლესია იყო. საეკლესიო ნაგებობანი დამახასიათებელი იყო ყველა სხვა ფეოდალური ქალაქისთვისაც.

ეკლესიები, იშვიათ გამონაკლისს გარდა, ქვითკირისაგან იყო ნაგები. ზოგ მათგანს თავისი საკუთარი გალავანი ჰქონდა. მაგ., საგანგებო კედლები და სიმაგრეები ჰქონდა მეტეხს, ვანქს;ერთიც და მეორეც თბილისში მნიშვნელოვან სიმაგრეს წარმოადგენდა. გალავანი ჰქონდა თბილისის სხვა ეკლესიებსაც: ანჩისხატს, სიონსა და სხვ., რაც მათ სასიმაგრო ნაგებობის სახეს აძლევდა. აქ მოსახლეობა საშიშროების შემთხვევაში ინახავდა განძეულობასა და ზოგჯერ თვითაც აფარებდა თავს. ამით აიხსნება, რომ ქალაქის დაპყრობისა და გაძარცვის მიზნით შემოჭრილი მტერი არა მარტო საქართველოს ქალაქების კედლებსა და ციხეებს უტევდა და საერო ნაგებობებს ძარცვავდა, არამედ ეკლესიის გალავანსაც არღვევდა და თვით ეკლესიებსაც ძარცვავდა.

ეკლესიები საქართველოს ფეოდალურ ქალაქებში კულტურის ერთგვარ კერებსაც წარმოადგენდა, ჯერ ერთი, როგორც ხელნაწერთა და კულტურის სხვა სახის საგანძურთა საცავი, და მეორე მხრივ კი, როგორც სასწავლებელი. XVIII ს. ქალაქებში ჩვენთვის ცნობილი პირველი სასწავლებლები ძირითადად ეკლესიებთან არსებობდნენ.

---

[215] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 184; Reisen, p. 131.

[216] იქვე, გვ. 74.

[217] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 223; Reisen, p. 99.

[218] Жизнь Артемия Араратского, II, с. 11.

ეკლესიები თავიანთი არქიტექტურული ნაგებობებით ფეოდალური ქალაქის გარეგანი სახის ერთგვარი სამკაულიც იყო. საქართველოს ზოგი ქალაქის გარეგან სახეს ამკობდა ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი უძველესი და შესანიშნავი ძეგლები, როგორიც იყო XI—XII სს. მიჯნაზე აშენებული სიონის ტაძარი, VII ს. ძეგლი „ანჩისხატის ანუ ზარის ეკლესია", XII ს. „ლურჯი მონასტერი", XIII ს. მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია (თბილისში), XI ს. საუცხოვო ძეგლი „ბაგრატის ტაძარი" (ქუთაისში) და სხვ.

ქალაქის მომარაგება წყლით

შუა საუკუნეების ქალაქების უმეტესობა მდინარეებზე იყო გაშენებული. ეს აიხსნება არა იმით, რომ მდინარეები ყოველთვის სანაოსნოს წარმოადგენდა (უმეტესი მათგანი სრულებით არ შეიძლებოდა ამ მიზნით გამოყენებულიყო), არამედ იმითაც, რომ ქალაქის მოსახლეობისათვის, მისი საქმიანობისათვის წყალი აუცილებელი იყო. ამას გარდა, მდინარეები ქალაქების ბუნებრივ სიმაგრეებსაც ქმნიდნენ. შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების უმეტესობა სწორედ იმ მდინარეთა წყლით მარაგდებოდა, რომელიც მათ ჩაუდიოდა. მაგრამ მდინარეთა წყალი ძირითადად სამეურნეო დანიშნულებისათვის იყო გამოყენებული. სასმელი წყალი კი X—XIII სს. და უფრო ადრინდელი ხანის საქართველოს ქალაქებში საგანგებოდ დახურული თიხის მილებით იყო გამოყვანილი. ნაქალაქართა არქეოლოგიურმა შესწავლამ არაერთი ასეთი წყალსადენი აღმოაჩინა მცხეთაში (არმაზის კარსანიდან გამოყვანილი ორი წყალსადენი ღია და დახურული ამარაგებდა), დმანისში და სხვაგან. წყალსადენების რთული სისტემა აღმოჩნდა აგრეთვე ანისშიც[219]. გვიან შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქების წყლით მომარაგებისათვის კი გამოყენებული იყო როგორც თვით მდინარეები, ასევე ღია და დახურული წყალსადენებიც.

მასალებიდან ირკვევა, რომ თვით ქალაქის ფართო მოსახლეობის დახურული წყალსადენებით გამოყვანილი წყლით მომარაგებაზე ქალაქის მმართველობა ნაკლებად ზრუნავდა და მოსახლეობა ძირითადად მდინარეების წყლით კმაყოფილდებოდა, ან კიდევ იმ წყაროებით, რომელიც ზოგ ქალაქში ბუნებრივად შეიძლებოდა ყოფილიყო (მაგ., თელავში).

---

[219] Н. Я. Марр, Ани, с. 76—77.

ჩვენ არ მოგვეპოვება რაიმე მასალა, რომელიც მიგვითითებდეს იმაზე, რომ ქალაქში, მის ცენტრალურ ნაწილებში, ბაზრებში, მოედნებზე და სხვაგან საგანგებო წყალსადენები ყოფილიყო. ცხადია, ზედმეტია ლაპარაკი ქალაქის ყოველი უბნის წყლით უზრუნველყოფისათვის ზრუნვაზე. არათუ XVII—XVIII, არამედ XIX ს. პირველ ნახევარშიც თბილისს წყლით ე. წ. თულუხჩები. წყლის მზიდავები ამარაგებდნენ. თბილისში თულუხჩების რამდენიმე ამქარი იყო, რომელთაც განაწილებული ჰქონდათ ქალაქის უბნები და თავიანთ მუშტრებთან წყალი კასრებით, ტიკებით და დოქებით დაჰქონდათ. თულუხჩები წყლით ამარაგებდნენ ქალაქის მოსახლეობის, ცხადია, შეძლებულ ნაწილს, რომელსაც საამისო თანხის გაღება შეეძლო, უდიდესი ნაწილი კი თვით ზრუნავდა წყლით მომარაგებისათვის[220].

ქალაქის მოსახლეობის ძლიერ მცირე ნაწილი, კერძოდ. მეფის ოჯახი, უმაღლესი სასულიერო პირების და ზოგ სხვა წარჩინებულთა სახლკარი მარაგდებოდა მხოლოდ წყალსადენის წყლით. როგორც პლ. იოსელიანის აღწერიდან ჩანს, მეფის სასახლეში წყალსადენი წავკისის წყლიდან იყო გაკოყვანილი, რომელიც შადრევანებისათვის და სასახლის ბაღების მოსარწყავად ყოფილა გამოყენებული[221].

ქალაქის მოსახლეობას წყალი არა მარტო სასმელად, არამედ სხვადასხვა სახის სამეურნეო საქმიანობისათვის, განსაკუთრებით თავისი ბაღ-ბოსტნების მოსარწყავად სჭირდებოდა. ამ მხრივაც ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში, რომელიც გამდინარე წყაროებით არც ისე ღარიბი იყო, წყლის ნაკლებობა იგრძნობოდა. რაკი წყალი ქალაქში ხშირად დავასა და შფოთს იწვევდა, სამეფო ხელისუფლება იძულებული გამხდარა წყლით სარგებლობის წესები თბილისში საგანგებო დებულებით განესაზღვრა. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ ამ მხრივ საგანგებო მუხლებია შეტანილი. ერთ მათგანში ნათქვამია: „ყოველს პარასკევს დღეს წყალმა ციხის ამბრისათვის უნდა იდინოს და პარასკევს საღამოს, შაბათს, კვრას, დღე და ღამე ბატონის ბაღში უნდა იდინოს. ორშაბათსა და სამშაბათსა, დღედაღამ, თფილელისა და ქალაქის ბაღებისათვის უნდა იდინოს. ოთხშაბათსა და ხუთშაბათსა ციხისა და აბანოებისაკენ იდინოს... თუ ვინ იცის, წყალ-ცოტაობა იყოს, ბა-

---

[220] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 75.

[221] Пл. Иоселиани, Опис. др. г. Тифлиси, с. 81.

ტონის ბაღს წყალი არ უნდა დააკლდეს. ვინც ამ ბრძანებას გარდავა და უჯეროდ წყალს ადენს, თორმეტი მინალთუნი ჯარიმა საბატონოდ გამოართვან[222]. როგორც „დასტურლამალის“ სხვა ადგილიდან ჩანს, „წყლის დინება უჯეროდ“, ე. ი. წყლის მოპარვა და „ჩხუბი წყლისათვის“ XVII—XVIII სს. თბილისში ხშირი მოვლენა ყოფილა[223]. ვახტანგის მიერ ბრძანებული, როგორც ჩანს, ძალაში იყო XVIII ს. მიწურულსაც[224].

აბანოები

ფეოდალური საქართველოს ქალაქებისათვის დამახასიათებელ ნაგებობებს აბანოებიც წარმოადგენდა. აბანოები, არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით, საქართველოს ქალაქებში უძველესი დროიდან იყო ცნობილი. არმაზის ხევის გათხრებმა II—III სს. აბანო გამოავლინა. X ს. არაბ გეოგრაფთა თხზულებებში არაერთხელ არის მოხსენებული და შექებული თბილისში ბუნებრივად ცხელ წყლებზე გამართული აბანოები. მაგ., X ს. შუა წლების ავტორი იბნ-ჰაუკალი თბილისის შესახებ წერდა: „ქალაქში ტიბერიადის მსგავსი აბანოებია, მათი წყალი თბება უცეცხლოდო“[225]. არქეოლოგიურმა გათხრებმა დმანისის ნაქალაქარში გამოავლინეს როგორც ციხის აბანო, რომელიც ქალაქის მფლობელთათვის იყო განკუთვნილი, ასევე ქალაქის საზოგადო აბანოებიც, რომელიც ქალაქის შედარებით განაპირა უბნებში იყო გაშენებული[226].

XVII—XVIII სს. თბილისის აბანოების შესახებ საკმაოდ ვრცელი აღწერილობითი წყაროები არსებობს. ყოველ უცხოელს, რომელიც კი თბილისში ოდესმე ყოფილა, ყურადღება ბუნებრივად ცხელ წყაროებზე გამართული აბანოებისათვის მიუქცევია და მათი აღწერილობაც მოუცია.

აღსანიშნავია, რომ თბილისში ცხელ წყლებზე გამართულ აბანოებს მთელი უბანი ეჭირა, რომელსაც ამის გამო XVII—XVIII სს. ხანაში „აბანოების უბანი“ ეწოდებოდა. „აბანოების უბანში“ ბუნებრივად ცხელ წყლებზე, ვახუშტის ცნობით, ექვსი

---

222 დასტურლამალი, გვ. 14—15.
223 იქვე, გვ. 103.
224 ЦГИАГ, ფ. 230, დაეთ. 1, ნაწ. II, საბ. 195.
225 ვლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ირან. ავტორები.
226 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი, გვ. 363, 422.

აბანო ყოფილა გამართული[227]. ამას გარდა, აბანოები იყო ქალაქის ციხეებშიც, როგორც ამის შესახებ თბილისის 1782 წ. გეგმა მიგვითითებს[228]. ციხის აბანო მოხსენებულია 1756 წ. საბუთში, რომელიც ამ დროისათვის ანა ბატონიშვილს კუთვნებია[229]. აღსანიშნავია, რომ „აბანოების უბნიდან" ანუ ცხელი წყაროების უბნიდან მეფის სასახლისათვის საგანგებო წყალსადენი იყო გამოყვანილი, რომელიც მეფის სასახლის აბანოს გოგირდის წყლით ამარაგებდა. ამაზე მიუთითებს როგორც თბილისის 1782 წ. გეგმა, ასევე პლ. იოსელიანის ცნობაც[230], რომელიც გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტებითაც დასტურდება. მეფის აბანოს, რომელიც საგანგებო წყალსადენით გამოყვანილი გოგირდის წყლებით მარაგდებოდა, XVII—XVIII სს. დოკუმენტები „ჩარხის აბანოს" უწოდებს. „ჩარხის აბანო" ჯერ კიდევ 1659 წ. დოკუმენტშია მოხსენებული[231], და იგი ამავე დოკუმენტის მიხედვით „მეფის მოედნის" და მეფის სასახლის უკან, მტკვრის ნაპირისაკენ იყო მოთავსებული. როგორც ჩანს, „ჩარხის აბანო", ისე როგორც ზემოხსენებული სასახლე, სამეფო რეზიდენციის ციტადელიდან საკუთრივ ქალაქში გადმოტანისას, როსტომის მოღვაწეობის დროს არის აშენებული.

თბილისის აბანოები ქვითკირისა იყო. იაზიკოვი შენიშნავდა: «Бани каменныя со сводами.... в них сверху свет и басейны зделаны из тесенного камня»[232]. ამ ცნობას ადასტურებს სხვა არაერთი წყარო, რომელნიც დეტალურად აგვიწერენ თბილისის სახელგანთქმულ აბანოებს, მაგრამ ამათზე ამჟამად სიტყვის გაგრძელებას საჭიროდ არ მივიჩნევთ.

თბილისს გარდა, აბანოები იყო სხვა ქალაქებშიც, 1803 წ. დოკუმენტში, სადაც ჩამოთვლილია მეფის კუთვნილი ნაგებობანი გორში, სხვათა შორის, დასახელებულია აბანოც[233]. წყაროები ჩვენ არავითარ ცნობას არ გვაწვდიან იმის შესახებ, იყო თუ არა გორში მეფის აბანოს გარდა სხვა საქალაქო აბანო, მაგრამ ამგვარი ვარაუდი მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია.

---

227 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 54.

228 ЦГВИА, ფ. ВУА, № 22656, ექსპლიკ. № 59.

229 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 20, საბ. 14.

230 იხ. თბილისის 1782 წ. გეგმა, ექსპლიკ. № 14, შდრ. Пл. И о с е л и а н и. Опис. др. г. Тифлиси, с. 85.

231 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. ᲑᲒ, საბ. 145.

232 А. Ц а г а р е л и, Грамоты, I, с. 188.

233 ЦГИАГ, ფ. 226, № 9031.

ქუთაისის აბანო მოხსენებული აქვს გიულდენშტედტს[234]; წყაროებში არაერთხელ იხსენიება აგრეთვე თელავის აბანოები, გრემისა და სხვ. ქუთაისის აბანოებს არაერთხელ მოიხსენიებს ხოჯავანანი იოვანე თავის დღიურებში[235]. თელავში ორი აბანო იყო: ერთი მეფის, შედარებით პატარა, რომელიც ფაქტობრივად მხოლოდ ერთი კაცისათვის ყოფილა განკუთვნილი, სულ 16 კვ. მ ფართობისა, ერთი აუზით, რომელიც არჩილის დროს XVII—XVIII სს. მიჯნაზე უნდა იყოს აშენებული, და მეორე აბანო თელავში, ერთსართულიანი, რიყის ქვისაგან ნაგები, რომელიც 7 განყოფილებისაგან შედგებოდა და რომელსაც ერთდროულად 20 კაცის გატარება შეეძლო. თელავის ეს აბანო, რა თქმა უნდა, ქალაქის აბანოს წარმოადგენდა[236]. აღსანიშნავია, რომ თელავის აბანოებისათვის წყალი საგანგებოდ ყოფილა გამოყვანილი, რომელიც თელავის 1802 წ. გეგმაში „აბანოების წყლად" (Абанос цкали) არის სახელდებული.

XVI—XVII სს. სახელგანთქმულ ქალაქ გრემშიც, როგორც მისი ნაქალაქარის ტერიტორიის ერთი მცირე ნაწილის არქეოლოგიურმა შესწავლამ ცხადყო, ორი აბანო ყოფილა. „დიდი აბანოს" ერთი გათხრილი ნაწილი 152,76 კვ. მ ფართობისაა; მას, ისე როგორც თბილისის აბანოებს, თაღიანი, გუმბათოვანი გადახურვა ჰქონია; გრემის „დიდი აბანო", მისი შემსწავლელის სიტყვით, ნორმალურ პირობებში 18—20 კაცს დაიტევდა. იგი ქალაქის აბანო იყო. გრემში მეორე აბანოც ყოფილა, რომელიც სამეფო სახლის კარს ეკუთვნოდა[237]. აღსანიშნავია, რომ აბანოები დამახასიათებელი იყო საქართველოს მცირე ქალაქებისთვისაც. როგორც ფოთის 1811 წ. გეგმიდან ჩანს, ფოთის ციხეში იყო «Баня... каменная со сводами и куполом»; ფოთში მეორე აბანოც იყო, ციხის კედლებს გარეთ, როგორც ჩანს, ფოთის ქალაქის არც ისე დიდი მოსახლეობისათვის განკუთვნილი[238].

აბანოები, რომელიც ქალაქის მოსახლეობის საზოგადო მოხმარებისათვის იყო განკუთვნილი, ფეოდალური არისტოკრატიის, ან კიდევ ვაჭართა მაღალი ფენის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ. ამიტომაც დოკუმენტებში ხშირად გვხვდება აბანოების სხვადასხვაგვარი სახელწოდებანი, წარმოებული მათი მფლობელების სახელების მიხედვით. მაგ., „ბებუთაშვილების დიდი აბანო" ანუ

---

[234] И. А. Гюльденштедт, Описание, с. 354; Reisen, p. 165.

[235] მალ. მამულაშვილი, კახეთის ძველი აბანოები, Известия ГМГ, XIV В., 1947, с. 170, 188—9.

[236] იქვე, გვ. 170—171.

[237] იქვე, გვ. 175—182.

[238] ЦГВИА, ფ. ВУА, № 22371, ექსპლიკ. В, О.

„აშხარბეგის აბანო“, „ბებუთაშვილების პატარა აბანო“, „ბატონიშვილის აბანო“, „მინიშკარბაშის აბანო“ და სხვ. აბანო ქალაქებში კერძო მფლობელთა მიერ მოგების მიზნით კეთდებოდა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მართლაც შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობა საგანგებო საავადმყოფო სახლების არსებობის შესახებ ისეთ ქალაქშიც კი, როგორიც თბილისი იყო. შეიძლება ითქვას, რომ ფეოდალურ ქალაქებში ამგვარი სახლები არც იყო. მაგრამ საავადმყოფოები საერთოდ მაინც უნდა არსებულიყო, რომელნიც, როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობიდან ჩანს, უმთავრესად ეკლესია-მონასტრებთან ეწყობოდა[239]. ქალაქებში კი, ჩვეულებრივ, სხვადასხვა სახის წამლები იყიდებოდა. „სააქიმო წამლებს“, როგორც იოანე ბატონიშვილის ცნობიდან ირკვევა, მეწვრილმანეები ჰყიდიდნენ[240]. მეწვრილმანეებს გარდა, „სააქიმო წამლებს“ თვით ექიმებიც აკეთებდნენ და ჰყიდიდნენ. ექიმებს სათანადო დუქნებიც ჰქონდათ. მაგ., ერეკლე II-მ 1797 წ. „კეთილშობილ ჰაქიმს არუთინას“, რომელიც „სიჭაბუკის ჟამიდან“ სწავლა-განათლების მისაღებად ევროპაში წასულა და „მკურნალობის ხელოვნებით კეთილად განსწავლულა“, „თათრის მოედნის პირზედ“ დუქანი უბოძა[241]. „ექიმის დუქანი“, ან სხვა წყაროებით, „დოხტურის ქარხანა“, რა თქმა უნდა, ქალაქში როგორც წამლების გასაყიდად, ასევე ავადმყოფთა გასასინჯადაც იქნებოდა გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ თბილისში არაერთი „ექიმი“ იყო. საბუთებში ხშირად გვხვდება როგორც „ჰაქიმი“, ასევე „ჰაქიმბაში“ და „ჰაქიმის“ ანუ „ექიმის“ დუქანი. საბუთიდან ჩანს, რომ მოხელეები (მელიქ-მამასახლისი და სხვ.) ქალაქში ჭირის გავრცელების შემთხვევაში ხშირად მიმართავდნენ „დოხტურის“ რჩევასაც[242].

სატუსაღო

მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებში პატიმრობა დასჯის გავრცელებული სახე არ ყოფილა, XVII—XVIII სს. ფეოდალურ საქართველოს ქალაქებში, კერძოდ კი დიდ ქალაქებში, სატუსაღოები მაინც იყო. სატუსაღო ქალაქის გარეგანი სახის ისეთი ნიშანია, რომელიც მიგვითითებს იმ სოციალურ სხვაობასა და კლასობრივ ბრძოლაზე, რომელიც ფეოდალურ სა-

239 A, გვ. 210.
240 ГМГ, ფ. H: 2155, გვ. 9.
241 ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 19, საბ. 73.
242 საქ. სიძველენი, III, გვ. 383.

ქართველოს ქალაქებში არსებობდა. სატუსაღო გაბატონებული კლასის ძალმომრეობის აპარატის, სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან იძულების იარაღს წარმოადგენდა.

თბილისში სატუსაღოს არსებობის შესახებ მითითება VIII ს. ძეგლში მოგვეპოვება.

სატუსაღო არსებობდა XVII—XVIII სს. თბილისშიც და მას, როგორც 1793 წ. საბუთიდან ჩანს, „ტუსაღხანა“ ეწოდებოდა.[243]. თბილისის „ტუსაღხანა“ ანუ სატუსაღო, თბილისის 1782 წ. გეგმის მიხედვით, ციხის ციტადელში ყოფილა მოთავსებული[244]. როგორც ჩანს, სატუსაღო XVII—XVIII სს. ხანაში მტკვრის მარცხენა ნაპირიდან მარჯვენა ნაპირზე, ქალაქის ციტადელში გადმოუტანიათ.

„ტუსაღხანას“ გვიანფეოდალური დოკუმენტები უფრო ხშირად „ჯინჯილხანას“ უწოდებენ. ერეკლე II-ის 1785 წ. ბრძანებაში სხვათა შორის ნათქვამია: „მელიქო ავეტიქ, მანდ ჯინჯილხანაში დიდო არის დაჭერილი, ეგ აუშვი“[245]. თბილისის „ჯინჯილხანას“, როგორც საპატიმროს, იხსენიებს იესე ბარათაშვილიც[246].

„ტუსაღხანაში“ დამნაშავე ან ებათ, ან კიდეე დამწყედეული ბყავდათ; დამნაშავის დასაბმელად ჯაჭვი ანუ ბორკილი იყო გამოყენებული, ამიტომაც „ჯინჯილის მიცემა“, პატიმრობასთან ერთად, „ჯაჭვის დადებასაც“ ნიშნავდა. იესე ბარათაშვილი წერდა: ივანემ... „ახალმა ნეფემ კიდევ ქურდობა ქნა, ქალაქში დუქანი გატეხა, დაიჭირეს ჯინჯილს მისცესო“[247].

„ჯინჯილხანისა“ ანუ „ტუსაღხანის“ გარდა, XVII—XVIII სს. თბილისში საგანგებო საპოლიციო სახლი იყო, სადაც დაჭერილი პირი მიჰყავდათ და საიდანაც შემდეგ პატიმარს „ტუსაღხანაში“ აგზავნიდნენ. ასეთ საპოლიციო სახლს, როგორც იესე ბარათაშვილის ცნობიდან ჩანს, „იასაულების სახლი“ ეწოდებოდა: მეფეს „იასაულები გამოესია... მოვიდნენ, მითხრეს: —ბატონის ტუცაღი ხარო, რას ვიქმოდი... დაჭერილსავით ვიყავი ერთი საათი, წამიყვანეს, იასაულების სახლში დამსვეს“[248].

სადამსჯელო ორგანოები სხვა ქალაქებშიც უნდა ყოფილიყო. ჩვენ არ ვიცით, არსებობდა თუ არა ცალკე სატუსაღოები ამა თუ

---

[243] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 12, საბ. 63.

[244] იხ. ЦГВИА, ფ. ВУА № 22556, ექსპლიკ. № 60.

[245] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 47, საბ. 137.

[246] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 95.

[247] იქვე, გვ. 97.

[248] იქვე, გვ. 26.

·იმ ქალაქებში, მაგრამ, როგორც სხვა მონაცემებიდან ირკვევა, ქალაქის ციხის რომელიმე ნაწილი ან კიდევ ციხეში გაკეთებული სათანადო ორმოები თუ საკანები ამ მიზნით ყოფილა გამოყენებული.

ქალაქთა ბაღები

ფეოდალური ქალაქების მოსახლეობას ხშირ შემთხვევაში თავისი საკუთარი მეურნეობაც გააჩნდა; თვით ქალაქში მას პატარა ეზოც ჰქონდა, სადაც ბოსტანს იკეთებდა; ჰყავდა ოთხფეხი საქონელიც, რომელიც ქალაქის ახლო საძოვრებზე გაჰყავდათ. აღსანიშნავია, რომ დავით ბატონიშვილი ფეოდალური ქალაქისათვის ბაღებს, ვენახებს და სხვ. ისევე დამახასიათებლად მიიჩნევდა, როგორც დუქნებსა და ქარვასლებს, ქალაქებს გააჩნიათ საყარგებლო მიწები, ტყეები, ველები, წყალი, ვენახის ბაღები, სასტუმროები, დუქნები და სხვ.[259].

მართლაც, ქალაქის მოსახლეობას საკუთარი მცირე მეურნეობა ჰქონდა ქალაქის ახლო-მახლო უბნებშიც. ფეოდალური ქალაქები საქართველოში სწორედ ამგვარი ბაღ-ბოსტნებითა და ვენახებით იყო გარშემორტყმული. ვახუშტი ბატონიშვილი თბილისის შესახებ წერდა: „გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლის ხილითა და ყვავილითა სავსე“[250]. თბილისის მიდამოებში ბაღები ჰქონდათ ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებს (მეფე, პატრიარქი, ეპისკოპოსი, თავადაზნაურობა) და ასევე მოქალაქე ვაჭრებსაც. ვახუშტი ბატონიშვილი თბილისის გეგმაში საგანგებოდ აღნიშნავს თბილელის, მეფის ასულის, მეფის დის, ბებუთა მამასახლისის, ბეჟანა კარბულას და სხვ. ბაღებს. აქვე მის მიერ მოხსენებულია სეიდაბადის ბაღები, რომელიც მეფეს ეკუთვნოდა, კრწანისის ბაღები და მეფის მოედნის ბაღები. თბილისის 1782 წ. გეგმა კი, რომელშიც უმთავრესად ქალაქის ძირითადი ნაწილია წარმოდგენილი, მეფის, გიორგი ბატონიშვილისა და დედოფლის ბაღებს იხსენიებს.

როგორც XVII—XVIII სს. დოკუმენტებიდან ირკვევა, თბილისის მოქალაქეებს ბაღები ჰქონიათ თბილისის მიდამოებში — ორთაჭალაში, სეიდაბადში, ვერაზე და კრწანისშიც[251]. თბილისის.

---

[249] Царевич Давид, Обозрение Грузии, ИВАН, Н:11, § 203.
[250] ვახუშტი, აღწერა, გვ. 54.
[251] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 1, საბ. 134.

ცნობილ ვაჭარს ფითუაშვილ აღას, როგორც 1800 წ. საბუთებიდან ჩანს, ბაღები ჰქონია ორთაჭალაში[252]. 1641 წ. საბუთის მიხედვით, ქალაქის მელიქ ეინალს აბანოების უბანში ვენახი ჰქონია[253]. 1766 წ. საბუთით კიდევ, მოქალაქეებს მამული, ბაღები ჰქონიათ კრწანისში[254]. ბაღები იყო, 1712 წ. საბუთის მიხედვით, ყაბახს ზევითაც[255].

ყოველ ბაღს თავისი განსაკუთრებული მოწყობილობა ჰქონდა. კერძოდ, „თავისი სახლები, მარანი ქვევრებით, საწნახელით, ჩარხი... ჩარხის წყალი"[256], ზოგ შემთხვევაში საყინულეც[257] და სხვ.

ბაღებით გარშემორტყმული იყო საქართველოს სხვა ქალაქებიც. ვახუშტი გორის შესახებ წერდა: „გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი... ხილნი და საზრდელნი მრავალნი, გემოიანნი"[258]. ვახუშტის მითითება სავსებით დასტურდება გორის 1802 წ. გეგმითაც. აღსანიშნავია, რომ ბაღი და ვენახი ქალაქის კედლებს შიგნითაც ყოფილა, მაგრამ დიდი რაოდენობით ვენახი, ბაღები და ბოსტნები ქალაქის კედლებს გარეთ, მის ირგვლივ ყოფილა თავმოყრილი. ბაღები და ვენახები იყო დუშეთის ირგვლივაც. გეგმის შემდგენელს საგანგებოდ აღუნიშნავს «Царевича Вахтанга сады» და ასევე ქალაქის ირგვლივ მყოფი რამდენიმე «Виноградный сад». ბაღები, ბოსტნები და ვენახები გარს ერტყა აგრეთვე თელავს, სიღნაღს, ქუთაისს და საქართველოს სხვა მცირე ქალაქებსაც.

ქალაქში და მის ირგვლივ ბაღები ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ ზედაფენას ჰქონდა. ქალაქის ბაღებსა და ბოსტნებში მათ უმეტეს შემთხვევებში გასაყიდი ხილი და მწვანილი მოჰყავდათ. ასე რომ, ბაღები და ბოსტნები ფეოდალური არისტოკრატიისა და მოქალაქეთა წარმომადგენლების შემოსავლის ერთგვარ დამატებით წყაროს წარმოადგენდა. საქართველოს მცირე ქალაქებში კი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სოფელთან; ისინი, ხელოსნობასთან ერთად, მისდევდნენ სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებსაც — მებაღეობას, მებოსტნეო-

---

[252] ЦГИАГ, ფ. 227, № 1456.
[253] იქვე, ფ. 229, დავ. 6, საბ. 4.
[254] ГМГ, ფ. Sd № 2977.
[255] ЦГИАГ, ფ. 229, დავთ. 1, საბ. 17.
[256] იქვე, დავთ. 5, საბ. 22.
[257] იქვე, დავთ. 1, საბ. 17.
[258] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 74.

ბას; მათვე ზოგჯერ საკუთარი ყანებიც ჰქონდათ. ასე რომ, სოფლის მეურნეობას ამგვარი მცირე ქალაქების მოსახლეობის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, რაც ამ ქალაქებს ნახევრადაგრარულ სახეს ძლევდა.

როგორც ზემოგანხილული მასალებიდან ჩანდა, საქართველოს ქალაქებს ტიპიური ფეოდალური ქალაქების სახე (облик) ჰქონდათ.

გვიანფეოდალური ხანის ყოველ ქალაქს ქვითკირის ციხე და კედლები ჰქონდა.

1. XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქი ორი ძირითადი ნაწილისაგან — ციხე და საკუთრივ ქალაქი (посад) —შედგებოდა. ციხეში ზოგჯერ ქალაქის მფლობელის ციტადელიც ცალკე იყო გამოყოფილი და იგი, ციხესთან ერთად, კედლით, კოშკებითა და ბურჯებით მაგრდებოდა. თვით ქალაქსაც (посад) საკუთარი კედლები ჰქონდა.

2. ქალაქის ციხეს და საკუთრივ ქალაქს კარები აერთებდა. კარები აერთებდა ქალაქს გარე სამყაროსთანაც. კარების რაოდენობა ქალაქის სიდიდეზე იყო დამოკიდებული. ქალაქის კარები გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების ერთი ყველაზე მოძრავი, ცოცხალი და ხალხმრავალი ადგილი იყო.

3. ფეოდალური ქალაქი ორ ძირითად უბნად იყო დაყოფილი — „ციხის უბანი“ ანუ „სასახლის უბანი“, სადაც ქალაქის მფლობელი და ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები იყრიდნენ თავს და მეორე, ძირითადი — ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა უბანი. ეს უკანასკნელი თავის მხრივ რამდენიმე უბნად ნაწილდებოდა. უბნებად დანაწილების საფუძველს ძირითადად ქალაქის მოსახლეობის საქმიანობა შეადგენდა. იგივე საფუძველი ჰქონდა ქალაქის ქუჩებად დანაწილებასაც.

4. ფეოდალური საქართველოს ქალაქების ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ბაზრებსა და მოედნებს.

გვიანფეოდალურ ქალაქთა ბაზრები არა მარტო დუქანთა რიგებისაგან, არამედ სხვადასხვაგვარი არქიტექტურული ნაგებობებისაგან შედგებოდა. თბილისის ბაზრებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა „რასტაბაზარი“ და „ჩორსუბაზარი“. თავიანთი დანიშნულების მიხედვით ერთმანეთისაგან განირჩეოდა ქალაქის მოედნებიც.

5. ფეოდალური ქალაქების გარეგანი სახისათვის აუცილებელ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა მუდმივი, სხვადასხვა სა-

ხის სავაჭრო-სახელოსნო ნაგებობანი—ქარვასლები, ქვითკირის დუქნები, სახელოსნოებითა და მათთვის საჭირო მოწყობილობებით. ყოველ მნიშვნელოვან ქალაქში, შედარებით დიდ მდინარეებზე ხიდები იყო გამართული, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა ქალაქის უბნებს თუ ქალაქს მის გარემოსთან.

6. ფეოდალური ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური სახე განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობის საცხოვრებელ ნაგებობათა სხვადასხვაგვარობაში აისახა. ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელთა სასახლეები და სახლები „ქალაქური წესით", გეგმით შენდებოდა. ისინი სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებით, ბაღებითა და შადრევნებით ქალაქის საუკეთესო შენობათა კომპლექსებს ქმნიდნენ. ქვითკირის სახლები, დარბაზები, დერეფნით, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებით (სათონე, მარანი და სხვ.), ეზოთი ჰქონდათ ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის წარმომადგენლებს — ვაჭარ-მოქალაქეებს. მათ გვერდით კიდევ ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ქოხები და მიწურები იყო.

7. ფეოდალურ ქალაქებში არსებულ სოციალურ უთანასწორობასა და კლასობრივ ბრძოლაზე მიგვითითებს აგრეთვე ქალაქებისათვის დამახასიათებელი სატუსაღოები და „საიასაულო სახლები", როგორც გაბატონებული კლასის იძულების ორგანოები.

8. ქალაქის ბაზრებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა არქიტექტურული ნაგებობანი, ქალაქის ხიდები, ზრუნვა ქუჩების განათებისათვის, ქვითკირის ქარვასლები, აპანოები, „დუქნები", „ექიმის დუქნები", „ქალაქური წესით" აგებული სახლები, ბაღები და სხვა. აშკარად მოწმობენ, რომ XVII—XVIII სს. უცხო არ იყო მისწრაფება ქალაქის კეთილმოწყობისაკენ.

ს ა ძ ი ებ ლ ე ბ ი

პ ი რ თ ა

ა

აბაზა უსტა 548
აბაშიძე ევგენი 403
აბაშიძე ნიკოლოზ 403
აბესალომი 578
აბესალომოვი აბელ 300
აბესალომოვი სტეფანა ოსეფას ძე 477-478
აბესალომოვი ჰსრათა 481, 490
აბიმელიტოვი სოლომონ . 391
აბიმელიქოვი იოანე 317, 325
აბრეშუმა 564
აბულასანი 161, 168, 420
აბულ-კასიმი 102
აბუსერისძე ივანე 157
ავათია 78, 84—85.
ადრიანე 73
ავაქა 564—565
ავეტიზა მეფედელი 345
ავეტიკა აღას ძე 430
ავეტიქა 279, 281, 292
ავეტიქა მელიქი 439, 443, 451, 469, 489, 500, 664
ავთანდილა მამასახლისი 436
ავთანდილაშვილი ზალია 425, 436
ავთანდილ მელიქი 429, 434
ავთანდილი 502
აზო 60—62
ათაბეგა უსტა 548
ალადათაშვილი გრიგოლა 394
ალდვერანაანთ მირიმანა 504
ალექსანდრე I 134
ალესანდრე V 41, 242
ალექსანდრე ბატონიშვილი 270, 302
ალექსანდრე დავითის ძე 199
ალექსანდრე მაკედონელი 59, 61, 64—65, 237
ალექსა მეფურნე 319
ალექსი მიხეილის ძე 241
ალექსი მხატვარი 298
ალი ბეგ მამასახლისი 425, 435
ალფ-არსლანი 90—92
ალ-ფარიკი 176, 179
ალხაზიშვილი სვიმონ 330
ალი ხანი მაჰმადას შვილი 528
ამადიო ბრეშელი 380—381, 383
ამად ხანი 440
ამბროსიანთ დავითა 316
ამბროსიანთ ოჰანეზა 316
ამილახვარი 200
ამილახვარი ალექსანდრე 211, 225, 229, 411, 628
ამილახვარი გივი 201, 228, 402, 488
ამილახვარი იასე 369, 373, 393, 402, 418, 642
ამილახვარი ამირინდო 402
ამილახვარი ნიკოლოზ 272
ამლახვარი ოთარ 359, 373, 402, 411—412, 415—416, 486, 491
ამილახვარი რევაზ 402, 491
ამილახვრიშვილი ბექან 403
ამილახვრისშვილი გივი 279
ამირა მამასახლისი 423—424
ამირანაშვილი შ. 83
ამირღაანთ დოლმაზაშვილი რამაზა 425
ანა ბატონიშვილი 661
ანა იოანეს ასული 41
ანახანუმ დედოფალი 475
ანდრია ეპიფანე 223

ანდრია (მოციქული) 67
ანდრონიკაშვილი 19
ანდრონიკაშვილი გიორგი 425
ანდრონიკაშვილი დავით 425, 435, 444
ანდრონიკაშვილი მანუჩარ 401
ანდრონიკაშვილი მერაბ 425
ანდრონიკაშვილი როსტომ 425
ანტიაქ ევერგეტი 229
ანტონ I 204, 299, 337, 343, 378
ანტონა 647
ანტონა მელიქი 430
ანტონ კათალიკოსი 604
არაქელ თავრიზელი 36
არიანე 73
არიშოვი იოსება 317
არტემ არარატელი 36, 220, 657
არუთინა 496, 655
არუთინა დურგალი 570, 581
არუთინას შვილი ოჰანეზა 292
არუთინა მეზანდუკე 294
არუთინა ხარაზი 343
არჩილი 99, 195, 218—219, 422, 437, 662
არწრუნი თომა 610
ასარათა 490
ასატურაშვილი 274
ასიმი 162
ასკარ ხანი 440
ასლამაზა მამასახლისი 434, 476
ასლამაზა ჭონი 345
ასლამაზი 423—424 , 429
ასლანა უსტაბაში 536, 543, 546
ასრათა მამასახლისი 432
აღა აშხარბეგის ძე 430
აღა მაჰმად-ხანი 216, 223, 256, 260, 270, 276, 284, 329, 359, 504
აღაჯანა 320
აღბუღა 134, 152
აშოტ კურაპალატი 89
აშხარ ბეგ 424, 429, 443, 663
ახალციხელი ივანე 92, 169
ახალციხელი შალვა 92
ახვერდოვი ი. 17—18, 303, 508, 514, 520—521, 523, 528, 534—535, 543, 550, 553, 569, 575, 582—583, 589—590. 605
აჯი ჩალაბი 207
აჭრედ III 256
აჭრედ სულთანი 233

ბ

ბაბალაშვილი ავთანდილ 475
ბაბუა მამასახლისი 393
ბაგრატი 137
ბაგრატ III 94, 113
ბაგრატ IV 90, 94—98, 100, 157—158, 421, 599, 628
ბაგრატ IV (იმერეთის მეფე) 241
ბაგრატიონი დავით 8, 29—30, 42, 161
ბაგრატიონი თეიმურაზი 8
ბაგრატიონი იოანე 30, 213—214, 245—246, 410
ბაკურიანის ძე გრიგოლ 164
ბარათაშვილი ზაალ 324—325, 331, 334, 339, 348, 530
ბარათაშვილი ზურაბ 356
ბარათაშვილი იესე 311, 384—385, 471, 520, 635, 664
ბარათაშვილი სიაოშ 386
ბარამასშვილი ღვთისავარა 425
ბარბარო ი. 138
ბარტმან 62
ბარტოლდი ვ. ვ. 132, 476
ბარძიმ მდივანბეგი 490
ბასილ II 113
ბასილა მკერვალი 319
ბასილი კეისარი 94
ბასტამოვი 298
ბაქარი 291, 340
ბაქრაძე დ. 11—13, 28
ბალდადაანთ ზორბეგის შვილი სტეფანა 477—478
ბალდასარაშვილი ფარსადან 378
ბალდასარაშვილი შაქრუა 366
ბარუ ნოინი 161
ბეგუთა მამასახლისი 665
ბებუთაშვილი აღა 279, 443, 527
ბებუთაშვილი აშხარბეგ 429
ბებუთაშვილი დარჩია 281, 298, 301, 426—428, 430, 433—436, 438, 441, 446, 449, 451—452, 456, 488, 603, 605

ბებუთოვი დარჩია 305, 318, 335
ბეგთაბეგიანნი 279
ბეგთაბეგიშვილი იოანე 353
ბეგთაბეგიშვილი სოლომონ 376
ბელოვი გ. 538
ბეჟანა 665
ბერუაშვილი ფარსადან 528
ბერუკა 267, 564
ბერქა ყაენი 129, 131
ბერძენიშვილი ნ. 6, 15, 28, 43—44, 101, 202, 248, 364
ბერშენოვი ნ. 13, 508
ბექა 134, 152
ბეშქენ ჯაყელი 90, 157
ბეჰბუთა ხოჯა 644
ბირკინი რ. 31
ბორა 162
ბროსე მ. 8, 25, 28, 42
ბურნაშევი ს. 35, 219, 225, 247, 256
ბუღა 115, 610—611
ბუძგულოვი მელქოა დავითას ძე 477

ბ

ვაბაშვილი ვ. 25, 399
გაბრიელ მამასახლისი 393
გაგარა ვ. 32
გავრილოვი მ. 557
გალუსტა 292
გამყრელიძე გ. 22—23, 511, 533, 535, 554, 575—576
განდუაშვილი 375—376
განძაკელი კირაკოს 127
გარაყანიძე ფარემუზ 267, 564
გასპარა 271
გელოვანი გაბრიელ 405
გეურქა ყაფანდარი 465
გივი ბატონიშვილი 402
გიორგი I 94
გიორგი II 94—95, 164, 174, 176
გიორგი III 95, 100, 102, 129, 153, 157—158, 169, 175, 222
გიორგი VI 133—134, 222
გიორგი VII 140
გიორგი XII 38, 42, 210, 217, 264, 302, 321, 325, 335, 341, 355, 362, 367, 408, 423, 439, 444, 452, 454, 465, 488, 535—536, 552
გიორგი ბატონიშვილი 270—271, 369, 372, 464—489, 504, 665
გიორგი დალაქი 495
გიორგი დურგალი 345
გიორგი ერისთავი 229, 401, 406
გიორგი იმერეთის მეფე 192
გიორგი კურაპალატი 98
გიორგი მამასახლისი 424, 434, 491
გიორგი მეფე 401, 438, 456
ვიორგი მეპურეკლე 346
გიორგი მთაწმინდელი 181
გიორგი ნაიბი 427
გიულდენშტედტი 35, 121, 187, 219—220, 222, 225, 228—229, 231, 234, 239, 242, 245, 247—248, 255, 257—259, 261, 612, 615, 627, 634—635, 641, 654, 656—657, 662
ვიქუა 489
გოგი 302
გოგია კალატოზი 532
გოგია ფეიქარი 271, 293
გოგია ხელოსანი 366
გოგია ხურო 579
გოგიჩაიშვილი ფ. 21
გოგიჯანაშვილი 343
გოგრა უსტაბაში 548
გოდერძიანი ჯარჩი 470
გოლინაშვილი 271
გოლოვინი 531
გორგიჯანიძე ფარსადან 27, 187, 237, 366, 470
გოსტაშაბიშვილი ერასტი 347, 375—376
გოჩა 302
გრანჯერიო ლუდოვიკო 189, 238
გრიგოლ 99
გრიგოლ ბარ ჰებრაი (აბულ ფარაჯი) 184—193
გრიგოლ მამასახლისი 421
გრიგოლა მექვაბე 292
გრიგოლი (პატრიარქი) 41
გრიგოლ სურამელი 422

გრიშაშვილი ი. 44
გრიქურაშვილი 327
გრიქურა ჯონი 319
გრიქუროვი ნიკოლოზ 325
ჯუარამ მამფალი 91
გუგუშვილი პ. 24
გულიშამბარაშვილი 437
გულიშამბარაშვილი მიქულა 498
გურგანელი 98
გურგენა 470
გურგენა უსტა 548
გურგენიძე ბარამ 473
გურგენიძე იროდიონ 398, 409, 416—417, 486
გურგენიძე სოლომონ 398
გურგინბეგოვი სტეფანე 391—392
გურიელი 206, 403
გურიელი როსტომ 178, 482

დ

დადიანი 206
დადიანი ლევან 189, 192—193, 204, 236—238, 403
დავით აღმაშენებელი 158, 164—166, 178, 180, 183
დავით ბატონიშვილი 271, 299, 314—315,322—323, 331, 333, 335, 355, 379, 386, 409—410, 412—413, 420, 428, 445, 447, 452, 459, 463, 475, 486, 501, 537, 540, 544, 571, 586, 589, 652, 665
დავითა მკერვალი 432
დავითა უსტა 548
დავით ბაზიერთუხუცესი 280
დავითი 27, 443, 579, 628, 634, 663
დავით კუროპალატი 87, 113
დავით მამასახლისი 424
დავით ოსტატი 532
დავით ულუ 129, 161—162
დადაშაანთ გასპარა 377, 469
დათუნაშვილი 287
დანიელა უსტაბაში 534
დარეჯან დედოფალი 269—270, 297, 300, 326, 330, 348, 354—366, 436, 439
დარიოს I 60
დაჩი 80—81
დელა ვალე პიეტრო 32, 192
დე ლა პორტი 34
დე ლიუკა ჟან 236
დე ლუკა ჯიოვანი 32
დენეტრე მდივანბეგი 280
დერჟავინი ნ. 21—22, 44, 514, 525, 530, 551, 560, 568, 583
დიასამიძე იოვანე 455
დიდო 664
დიმიტრი I 100, 222
დიმიტრი II 160
დიონისიო კარლი 33
დიონ კასიუს კოკეონი 74
დომენტი კათალიკოსი 272, 343, 345, 493
დონდორას შვილი ფიბუა 290
დუბროვინი ნ. 20
დუნკელ-ველინგი ნ. 19, 507, 524

ე

ეგიაზაროვი ს. 13, 20—22, 24, 508, 524, 528, 534—535, 553, 555, 575, 577, 583, 586, 586, 590
ეგროსი 56
ედრისი 254
ევსტათი მოურავი 465
ევსტათი მცხეთელი 23, 421, 511—513
ეინალ მელიქი 286, 288—289, 429, 434, 666
ეიეტი (აიეტი) 72
ეკატერინე II 240
ელია ბერძენი 210
ელისბარ სახლთუხუცესი 141
ელისბარ ქსნის ერისთავი 403
ელჩინი 32, 237
ენგელსი 45, 95, 100, 111, 156, 390, 512
ეპიფანე კათალიკოსი 182, 364
ერასტი 527
ერასტი მდივანბეგი 141
ერეკლე (კეისარი) 99
ერეკლე 29, 42, 141, 201, 206, 208—209

ერეკლე I 316, 343, 352, 369, 372—373, 404, 407, 555—556
ერეკლე II 209—212, 214—217, 219—220, 224—225, 228, 230—232, 234, 248, 255—256, 259—261, 264, 271—273, 289, 304, 309, 312—313, 316—317, 331, 334—335, 337—339, 354, 361, 365, 368—369, 373, 375, 378, 385, 392, 401, 405, 407, 411, 415—416, 419, 423—424, 430—432, 435, 437, 439—440, 443—455, 467—469, 471, 475, 480—482, 485, 488—491, 498—500, 505, 598, 611, 614, 624, 631, 655, 663—664
ერემიანი ს. 107—108

ვ

ვაიდენბაუმი ე. 507, 514, 523
ვარდანი 161
ვართანა უსტა 548
ვაროონი 56
ვარძელა უსტა 548
ვასილიევი 605
ვახვახიშვილი რევაზ 614
ვახოვი (ვახვახოვი) გრიგოლ 614
ვახტანგი 657
ვახტანგ ბატონიშვილი 271, 376, 399, 403, 407
ვახტანგ გორგასალი 76, 79—83, 89, 102, 118—119, 220
ვახტანგ ერეკლეს ძე 231
ვახტანგ მუხრანბატონი 401
ვახტანგ V შაჰნავაზი 193—194, 223, 429, 467—468, 484
ვახტანგ VI 18, 24, 28—30, 91, 101, 130, 194—197, 203, 214, 273, 299, 302, 304—305, 307, 321—322, 331, 336, 341, 398, 401, 404, 431, 456, 467, 486, 497—498, 505, 520, 575—576, 659—660
ვახუშტი 5—8, 11, 27, 39, 69, 129—131, 138—141, 147, 219, 221, 223—227, 229, 231, 233—234, 237, 240, 242—243, 428, 608, 612, 617—618, 625, 634, 644, 646, 653—654, 656, 660, 665—666
ვიტსენი ნ. 33, 233, 237, 241
ვოლკონსკი თ. 32, 187, 218

ზ

ზაალ ერისთავი 278
ზაგურსკი ლ. 19, 565, 568, 575
ზაზა 552
ზაზა მესანთლე 369, 526
ზაზა მინბაში 491
ზალია მამასახლისი 435
ზალინას შვილი არუთინა 329
ზალინას შვილი ისაია 329
ზანქან ზორაბაბელი 151, 161, 181
ზაქარა 425
ზაქარბეგიანთ სტეფანა 444
ზაქარბეგოვი აღა 304, 306
ზედგინიძე თაყა 296
ზედგინიძე სოლომონ 445
ზვენიგოროდსკი ს. 31
ზოჰრაბოვი სტეფან ასლანას ძე 533
ზურაბა 302
ზურაბ ბეგი 401
ზურაბოვი აღა 262
ზურაბ მამასახლისი 424, 444, 475, 491
ზურაბ მელიქი 429

თ

თამარი 27, 100, 110, 129, 151, 154, 156—160, 168—169, 173, 175, 180, 222, 420, 442
თამარ დედოფალი 599
თამამშოვი აღა პეტრუზას ძე 479
თამამშოვი დავითა 478
თამამშოვი ოჰანეზა პეტრუზას ძე 477
თარხნიშვილი დავით 314
თარხნიშვილი იორამ 402
თარხნიშვილი ლუარსაბ 281
თარხუნის ძე მირიან 98
თაქთაქიშვილი ელისბარ 403
თაყაიშვილი ე. 13, 28
თაყინაშვილი ფარსადან 427
თაყინოვი იოვანე 312
თაყოანთ ვართანა 451
თაყოანთ მიკირტუმა 451

თაყოევი 298, 304, 307
თაყუაშვილი ისაია მიკირტუმას ძე 321, 366, 392, 453, 477, 479, 489
თაყუაშვილი ისაია 564
თეიმურაზ I 186—187, 189—190, 192, 233, 271, 290, 423
თეიმურაზ II 191—201, 206, 230—231, 253, 264, 272, 361, 398, 400, 402—404, 407, 431, 475, 599
თეიმურაზი (თბილისელი) 291
თეიმურაზ სახლთუხუცესი 273
თეიმურაზოვი თეიმურაზ 423, 442
თემურ-ლენგი 134, 186
თეოდორა 113
თინათინ დედოფალი 290
თუმანიშვილი 613
თუმანიშვილი ბაინდურ 386
თუმანიშვილი დავით ეგნატეს ძე 7
თუმანიშვილი მანუჩარ 265
თუმანოვი ჯიმშერ 605
თუშუაშვილი 490

ი

იაზიკოვი 35, 224, 229, 231, 238, 245, 248, 255, 257, 259—260, 612—613, 634—635, 656, 661
იაკუთი 107
იაკუბ ყაენი 135, 616
ისაია ქურქჩი 488
ისაშვილი ასლამაზა 474
ისე დეკანოზი 356
იბნ ალ-ასირი 90, 122
იბნ-ჰაუკალი 660
იბრაგიმ ხანი 307
ივევლევი ა. 32, 240, 620
იეზაანთ ბუჟინაშვილი ოჰანეზა 300
ივანგულანთ გასპარაშვილი გურგენა 496
ივანგულანთ ისაია 313, 315, 317
ივანგულანთ ნაზარასშვილი ფარსადანა 288
ივანგულაშვილი. შერმაზანა 429
ივანგულოვი 327
ივანგულოვი ნასყიდა 309
ივანგულოვი სტეფანა აღას ძე 477, 479
ივანე 471, 664
ივანე სარგისის ძე 159
ივაშჩენკო მ. 116
ოზმიროვი გ. 10, 18, 24, 582—583, 590
ინწოშვილი მერაბ აღა (ხახუტოვი) 477, 479
ინჯიჯიანი ლ. 36
იოანე II 133
იოანე XXII 133
იოანე ბატონიშვილი 465, 471, 591, 633, 663
იოანე ერზინკაელი 163
იოანე მუხრანბატონი 278, 287
იოანე სახლთუხუცესი 440
იოანე უსტაბაში 527
იოვანე მინბაში 456
იოვანე პატრი 426
იოსელიანი პ. 8—11, 84, 231, 406, 661
იპრუმოვი კაკალა 304, 306, 596
ისააკ I 113
ისაია უზბაში 455
ისაია ხარაზი 319
ისაიაშვილი აკოფა 528
ისთაჰრი 105
ისპაშვილი თომა 444
იულონ ბატონიშვილი 267, 270—271, 302, 335, 352
იური ბოგოლიუბსკი 151
იუსტინე მროველი 491
იუსტინიანე 85, 89
იფრიუმოვი კაკალო 391
იფრუმჯანთ ხატია როსტომას შვილი 535

კ

კაკაბაძე ს. 15, 28, 256, 259, 385, 431, 442
კალანკატუელი მოსე 105
კალისტინსკი ა. 55
კაპანაძე დ. 44, 129, 148
კარლი ი. 259, 359, 642—643
კარსტი ი. 431
კახა ერისთავთერისთავი 153, 161
კაჭკაჭიშვილი 377
კემპფერი ე. 33

კეზერელი იასე 29—30
კირაკოს განძაკელი 162, 181
კლაპროტი 35, 225, 284—285, 613, 634
კლუჩარევი 217—218
კნორინგი 392
კობიაშვილი ლაზარე 403
კოკისშვილი იოსები 344
კოკოთა მამასახლისი 426
კონსტანტინე 165—186, 197—199
კონსტანტინე VII 113
კონსტანტინე XI 91
კონსტანტინე მუხრანბატონი 278
კონსტანტინე პორფიროგენეტი 90
კონსტანტინე სახლთუხუცესი 402
კონტარინი ამბროსიო 137—138, 405, 412, 610
კორნარო ჯიოვანი 230, 256
კოტოანთ საანოვი პეტრუშა 301
კოტოანთ საანოვი პოღოსა 301
კოტნოვი კაკალო 309
კოტოვი გოგია 596
კრემერი ა. 516
კუზნეცოვა ნ. 577
კუტალაევი ზურაბ 301

ლ

ლამბერტი არქანჯელო 32, 236—238
ლაშა გიორგი 27, 129, 442
ლევან ბატონიშვილი 287
ლევენცევი 605
ლენინი ვ. ი. 45, 247
ლეონტი მროველი 27, 49, 51, 56—59, 61—64, 68—69, 420—421
ლეოვი 234
ლილიპაროვი 300
ლიპარიტ (ერისთავი) 90, 96—97
ლიტვინოვი 261, 309, 325—326
ლომთათიძე გ. 110, 130
ლომოური თ. 44
ლუარსაბ I 144, 426—427, 467
ლუარსაბ II 186, 396
ლუარსაბ ბატონიშვილი 385—386

მ

მადონაშვილი თომა 432
მათე ურბელი 100
მათიაშვილი პაპუნა 425
მათოზა მჩითავი 314
მათურელი ი. 41
მაკარი ანტიოქიელი 36, 233, 316
მალხაზოვი გეურქა 309
მამალ ასან ხანი 440
მანაცაკანოვი 304
მანუჩარა 497
მანუჩარ მელიქი 429
მანუჩარ მოურავი 292, 406
მანუჩე 128
მარი ნ. 28, 67, 167, 578
მარიამი 502
მარიამ დედოფალი 270—271, 340
მარიამ ერეკლეს ასული 419
მარკოზაშვილი 209
მარკო პოლო 106
მარტენი 156
მარქარა 272
მარქსი კ. 45, 158, 164, 262—264, 512
მაყაშვილი დავით 473
მაჩაბელი 492
მაჩაბელი ბარძიმ 279
მაჩაბელი ფარსადან 279
მაქსიმე მიტროპოლიტი 257
მაქსიმე ქუთათელი 205
მახაძე გორჯასპი 170, 482
მელიქიშვილი 307
მელიქიშვილი ზურაბ 298—299, 301, 304, 306, 317, 321, 328
მელიქოვი შაქარ 304
მესხი დავით 403
მექვაბისშვილი სარუხანა 290
მეღვინეთხუცისშვილი დ. 42
მეწოფელი თომა 116
მიკირტუმა 504
მიკირტუმა უსტა 548
მილერი 508
მინადოი ტომაზო 137
მირვან 62
მირიან 99

მირიან ბატონიშვილი 270, 348
მირიმანთ არუთინა 288
მირიმანაშვილი ეინალა 429
მირიმანოვი მირიმან 391
მიქელასშვილი ანდრია 344
მიშეცკი ე. 32, 217—218
მიხეილ IV 113
მიხეილ VIII 113
მიხეილ მიტროპოლიტი 495
მოსესაშვილი გოდერძი 376
მოსესაშვილი კიკოლა 376
მოსია დალაქი 288
მოჩენიკო სებასტიან 256
მუნთიაშვილი ოსეფა მიკირტუმას ძე 477—478, 647
მუნთიევი მიკირტუმ 391—392
მუნთოვი 298
მუნთუაშვილი მიკირტუმა მამაჯანასშვილი 488
მურავიოვი 212, 225, 228—229, 231, 245, 255, 612
მურაჩაშვილი დავითა 292
მურაჩაშვილი შაპნაზარა 292
მურვანი 87, 131
მუსტაფა III 574
მუსხელიშვილი ლ. 43, 106—107
მუხრანბატონი კონსტანტინე 289
მეხეთოსი 49, 63
მჭედლიძე თამაზ 267, 269
მჭედლიძე ნასყიდა 267, 269

ნ

ნადირაანთ თამაზა 288
ნადირ შაჰი 199—201, 206, 224
ნაზარა 423—424
ნაზარალი ხანი 397
ნაზარბეგაშვილი 488
ნაზარბეგაშვილი გიორგი 264
ნაზარბეგაშვილი ოსეფა, 469, 489, 490, 647
ნაზარბეგიშვილი გოგია 439
ნაზარბეგოვი სოლომონ 391
ნათაძე გ. 15—16
ნაკაშიძე როსტომ 403
ნარიმანოვი ნონია 327
ნასყიდა 302
ნასყიდა მჭედელი 302
ნასყიდაშვილი გასპარა 377
ნასყიდაშვილი სტეფანა 377
ნატურაშვილი 377
ნაცვლიშვილი გიორგი 329
ნაცვლიშვილი იოსებ 378
ნიკიფორე ფოკა 516
ნიკოლოზ კათალიკოსი 355, 422
ნინა 270
ნუგზარი 280
ნურსალ ბეგი 208

ო

ოანა უსტა 548
ოთარ მინბაში 279
ონანოვი პაპა 596
ორბელი ტარსაიჭ 162
ორბელიანი ალან 473
ორბელიანი გორჯასპი 141
ორბელიანი დავით 379
ორბელიანი ვახტანგ 268
ორბელიანი ზაალ 385
ორბელიანი თანაზ 281
ორბელიანი იოვანე 169, 280, 324—325, 331, 472
ორბელიანი მზეჭაბუკ 564—565
ორბელიანი პაპუნა 200—203, 207—208, 219, 228, 231, 402, 430, 598
ორბელიანი სულხან-საბა 194, 517—519, 533, 563, 577, 649
ოსეფა 309, 478
ოსეფა დურგალი 345
ოსეფა მელიქი 429
ოსეფა ფეიქარი 267
ოტიაშვილი დავით 532
ოქრუა მეკონდახე 289
ოპანეზა 278
ოპანეზა კალატოზი 579—580
ოპეზაშვილი არუთინა 288

პ

პაიტა 280
პაიტა ბეგი 401

პაელე მიტროპოლიტი 493
პანინი 228, 234
პაპა უსტა 548
პაპა მამასახლისი 424, 430, 488
პაპუა 141
პაჟიტანოვი კ. ა. 554
პახომოვი ე. 44, 59—60
პეისონელი 15, 34, 253—255, 257
პენტელაშვილი იოანე 359, 392
პენტელოვი იოანე 467
პეტრე 579—580
პეტრე I 196—197, 203—373
პეტროზა 292
პეტრუშევსკი ი. პ. 160
პიტოევი იოსებ 305
პლინიუს უფროსი 56
პროკოპი კესარიელი 78, 84—85
პტოლემე 74
პუშკინი ა. ა. 210

ჟ

ჟამთააღმწერელი 27
ჟორდანია თ. 13, 28, 363

რ

რაინეგსი ი. 35, 220, 225, 228—229, 239
რამაზასშვილი ზურაბა 425
რამაზასშვილი ისაია 425
რატინოვი 307
რიზენი 531
როკ 62
როკინას შვილი ასატურა 310
როკინას შვილი ბუქინა 310
როკინას შვილი ლიონა 310
რომანოზ IV 113
როსტომი 218, 222—224, 226, 278, 290, 353, 356, 361, 385, 397, 399—400, 402, 406, 410—411, 415, 422—425, 433, 456, 458, 470, 476, 486, 632, 661
როსტომ მეფე 187, 189—191, 193, 195
როსტომოვი ასატურ 301—302, 437
როსტომ ხოჯა 437
რუსთაველი შოთა 43, 150—151, 179—180, 628—629
რუსუდანი 129, 132
რუცინინი კარლო 256
რუქნადინი 599

ს

საკაძე გიორგი 396, 401
საგინაშვილი ზურაბ 492
სადუნ მანკაბერდელი 160—161
სავინი კ. 31
სარა დალალი 264
სარაჯიშვილი მ. 263, 298, 305, 310
სარგის (მხარგრძელი) 158
საურმაგ 61
საღმახანაშვილი მიკირტუმა 270, 293
საჰაკა მელიქი 282, 430, 488
სერაფინო მილოკოკანელი 223, 252
სეიმონ ხოჯა 423
სიმონ II 297, 401
სიმონ მეფე 360
სიმონის შვილი სტეფანე 317
სიმონოვი 605
სოლომონა 292
სოლომონ I 205—206, 209, 240
სოლომონ II 312, 341, 355
სოლომონ მორდალი 401
სოსია ქვისმთლელი 379
სოფიო 270
სტალინი ი. ბ. 48, 364
სტეფანე 444
სტეფანე ბაყალი 293
სტეფანე კალატოზი 144, 167, 223, 294, 347, 349, 375, 397, 427, 527
სტრაბონი 49, 52, 55—57, 72, 75
სულეიმან ჯარჩი 470
სუმბატ დავითის ძე 27, 89
სულხან მდივანი 439
სულხანოვი 265
სურამელი ბექა 228
სურამელი გრიგოლ 228
სურგულაძე ი. 25, 29
სურგუნოვი მიკირტუმა 444, 447, 449, 453, 603
სურგუნოვი შერმაზან 444, 452—453

ტ

ტაბარი 115—116, 626
ტავერნიე ი. 32, 222
ტავრეშაშვილი 488
ტატოევი დავით 305
ტერ-ისაია 489
ტერ-შაოანთ აბელი 288
ტერ-შმოვანი მიკირტუმა 478
ტერ-შმოვან ოჰანას შვილი აღა 478
ტერ-შმოვანი მელქია 478
ტერ-შაოანთ ოჰანა 288
ტეტია მინბაში 455
ტიმოთე (მიტროპოლიტი) 41
ტოლოჩანოვი ნ. 32, 241, 620
ტორმასოვი 605
ტოტლებენი 209
ტოტოლოვი 306
ტრაიანე 68
ტურნეფორი პ. 34, 39, 223, 255, 259

უ

უზუნ ჰასანი 135
ულანცოვი არუთინა 305
უნეკი 127, 161—163
უმიკაანთ ოსეფა 300
უმიკაშვილი პ. 575
უნაძე პაატა 436
უსპენსკი თ. 85, 516
უჩანეიშვილი დ. 16

ფ

ფალენისშვილი კაცია 492
ფალავანდიშვილი 298
ფარნაოზი 61, 63, 69
ფარნაოზ ბატონიშვილი 270, 302
ფარსადან მამასახლისი 424
ფარსადანა მწერალი 467
ფარსმან თმოგველი 90
ფეტვისშვილი 367
ფიბუას შვილი დონდორა 290
ფიბუას შვილი ფეროზა 290
ფითოევი 298
ფითუაშვილი აღა 335—336, 341, 362, 489, 666
ფითუაშვილი აღა ისაიას ძე 477—478
ფილიმონოვი ს. 55
ფირყუზაანთ ავთანდილი 336
ფირყულაანთ გიორგი 315
ფირყულაანთ ოსეფა 315
ფირყულაშვილი გიორგი ნაზარბეგის ძე 477—478
ფირცხალაიშვილი ალ. 22—24, 303, 307, 534—535, 539, 554
ფისაძე ბარამ (ბარნაბე) ზოტიკის ძე 399, 403
ფუნთუაშვილი აღა 264
ფურცელაძე დ. 28

ქ

ქაიხოსრო 443
ქაიხოსრო ბოქაულთუხუცესი 401
ქაიხოსრო ნაცვალი 445
ქანანოვი იოსებ 445
ქართველიშვილი ავთანდილ 444
ქართლოსი 49, 61, 63, 68
ქარუმიძე გარსევან 444
ქაჩიბაისძე დავით 139
ქეთევან 270
ქერიმადინი 163
ქრისტესია 488
ქსენოფონტე 53
ქოჩორა ფეიქარი 319

ღ

ღანბარაშვილი დალაქი 646

ყ

ყაზან ყაენი 113
ყაზარა მამასახლისი 431
ყალოანთ ბაღდასარა 362
ყალოანთ გიორგი 314, 362
ყალოანთ ისაია 314
ყალოასშვილი ბაღდასარა 489
ყალოშვილი მელქოა 499
ყამაშაროვი (ყარანაანთ) მიღდისი პაპა 477

ყანდუანთ არუთინა 378
ყანდუანთ ისაია 378
ყანდუანთ ზალინა 378
ყანჩელი უთრუთ 353
ჯაუხჩიშვილი თ. 28
ყაფლანისშვილი 464
ყვარყვარე ყაჯელი 157
ყორღანაშვილი გაბრიელ 454, 456
ყორღანაშვილი იოსებ 359, 391, 435
ყორღანაშვილი ოსეფა 282
ყორჩიბასიშვილი გიორგი 280
ყუთლუ არსლანი 160—161, 180—181

შ

შადინი 163
შავერდაშვილი ბაღდასარა 343
შავერდაშვილი ბექუა 343
შავერდაშვილი გასპარა 343
შავერდაშვილი თამაზა 343
შავერდაშვილი ოსეფა 343
შავტუხოვი 303
შანშე მხარგრძელი 159
შანშე ერისთვისშვილი 489
შანშე ქსნის ერისთავი 200, 278
შანშიევი 19, 589
შარდენი 33—34, 39, 218—219, 223, 225—226, 233, 237—238, 241, 246, 252, 254, 259, 262, 612—613, 621, 641, 643, 647
შარუაშვილი გაბრიელა 431
შაქარმელიქოვი 305
შაჰ-აბასი 147—148, 185—188, 199, 399
შაპნავაზი 286, 290
შაჰ-ყული ხანი 488
შაჰ ჰუსეინი 230
შერმაზანა მეკონდახე 319
შერმაზანა ნაცვალი 443
შერმაზანი 280, 432
შერმაზანოვი 305
შილბერგერი ი. 138
შიხუაშვილი მარტირუზა 375
შმოვანი აღა ოჰანას ძე 477

ჩ

ჩელები ევლია 557
ჩინგის ყაენი 131
ჩიტაია გ. 311
ჩოლოყაშვილი იოანე 485
ჩუბინაშვილი გ. 89
ჩხეიძე სეხნია 27, 199, 617
ჩხეტია შ. 23, 508—510

ც

ცაგარელი ალ. 13, 28
ციბე იოანე 85
ციციანოვი 249, 268, 293, 353, 379
ციციშვილი გიორგი 281
ციციშვილი დავით 279, 402, 404, 419, 443, 451
ციციშვილი ევსტატე 398, 402, 406, 408, 413—414, 450, 603
ცეციშვილი ნიკოლოზ 485

წ

წერეთელი ა. 364
წერეთელი ზურაბ 280, 417, 486
წერეთელი სეფედავლე 425, 433
წერეთლის შვილი სეფედავლე 191
წურინოვი 317

ჭ

ჭაეჭავაძე ილია 12—13
ჭიაბერი 175

ხ

ხანდავიანი დიმიტრი 262
ხანოსა უსტა 548
ხანუმა დალალი 264
ხანფერი 288
ხანჯან ხანი 200
ხატისოვი ბექანა 391
ხატისშვილი არუთინა 470
ხაჩიკიანი ლ. 518
ხახანაშვილი ალ. 13, 24—25, 28, 363

ხერხეულიძე ომან 27, 219—220, 224, 231, 617
ხეჩუა 302
ხვატოვი ა. 218
ხვიტია სამაია 403
ხიზანიშვილი ნ. 13
ხითარიშვილი ზურაბ 393, 424
ხიმშიაშვილი დიმიტრი 480
ხორენაცი მოსე 152
ხოსრო მირზა 399
ხოჯა-აზიზი 127, 163
ხოჯა ბეჰბუდა 358
ხოჯავანაანთ იოვანე 627, 635, 662
ხუბუა მ. 28
ხუდადაანთ ანტონა 300
ხუციანაშვილი ბერუა 314
ხუციასშვილი პაპუნა 314—315

ჯ

ჯავახიშვილი დავით 445
ჯავახიშვილი ი. 7, 13—15, 25, 28, 43, 67—68, 99, 108, 123, 152, 180, 182, 364, 396, 420—421, 637
ჯავახიშვილი პაატა 397, 402
ჯალალ ად-დინი 113, 116, 126, 129, 132—133 165—166
ჯალალიანცი ესაია ჰასან 36
ჯამბაკურ ორბელიანი ალექსანდრე 208, 614, 657
ჯანაშია ნ. 34
ჯანაშია ს. 7, 15, 38, 51, 62—63, 74—75, 77, 364, 421, 510, 513
ჯანიაშვილი პეტრე 579
ჯანაშვილი მ. 13
ჯან შაჰი 116
ჯანლუზაშვილი დავით 326—327
ჯაფარი (ამირა) 96, 176
ჯაფარ ყულიხანი 282
ჯაყელი დემნა 166
ჯეჰან შაჰი 135
ჯიმშერ ერისთავი 231
ჯუანშერი 27, 99

ჰ

ჰასან უსტა 548
ჰასან ჯალალი 162
ჰაქსტჰაუზენი ა. 10, 507, 509—514, 528, 543, 553, 555
ჰენრი ფლანდრიელი 113
ჰეროდოტე 51—52
ჰონორიუს III 159
ჰსაათ ბეგა 474, 478
ჰსრათა 478

В

Вахтанг VI 18,29
Вахтанг царевич 666

Г

Георгий XIII 30

З

Зорнак 40

К

Картлос 9
Кемфгер Е. 33

W

Witsen Nicoles—218, 226, 241

ა

ბაზგია 90
ანაანთ ხევი 644
ლაბარი 38, 208, 269—270, 310, 341, 359, 540, 543—544, 547, 626, 642
ბერბაიჯანი 59, 88, 100, 114
ბია 132
თენი 53
ია 56, 66, 72, 93
ლავერდი 210
ლაზანი 129, 221
ლბანეთი 56
ლგეთი 207
ლეპო 252, 254
ლექსანდრია 57, 112
ლი 101—102, 114—115, 142, 225—227, 234—235, 329—340, 399—400 403, 407, 409, 412, 417—418, 441, 445, 459
მერიკა 136
მიერკავკასია 20, 22, 60, 88, 100, 105, 125—126, 136, 185, 196, 199, 206, 518, 543, 588
მსტერდამი 256
მუდარია 57
ანაგა 338
ანაკლია 53, 204, 238—239, 242, 244, 262, 274, 623—624
ანაკოფია 242, 244
ანანური 39, 203, 229—232, 234—235, 249, 261, 324, 399, 403, 459, 464, 609, 615, 623
ანისი 96—97, 128, 158, 160, 167, 169, 182, 476, 484
არაბეთი 112, 509
არაგვი 62, 72—73, 261, 278, 401, 403, 432, 609
არაგვის საერისთავო 209, 230
არზრუმი 207, 254—257, 293
ართვინი 233
არმაზი 61—64, 66, 68—71, 73—74, 80—82, 93, 118, 125, 154, 421, 652, 658
არმაზის ხევი 51, 660
არმენია 90
არტაანი 49, 58, 66, 70, 93—94, 120, 143, 154, 157
არტანუჯი 83, 89—90, 92, 94, 102, 117, 143, 154, 157, 233—234
არქევანი 7
არხანგელსკი 136
ატენი 98—99, 101—102, 117, 122—123, 141—142, 154, 158, 170, 396, 399, 407, 409, 412, 417—418, 609
ასტრახანი 136, 203, 255, 265, 293, 314, 316, 353, 362, 405
აფრიკა 136
აფხაზეთი 77, 84, 86, 88, 94, 138, 188, 236
ახალგორი 51, 226, 232, 249, 278, 293
ახალდაბა 225, 227, 232, 234—235, 332, 397, 399, 402, 407—408, 412, 417, 425, 459
ახალქალაქი 39, 90, 92, 94, 101—102, 111, 117, 122—123, 141—143, 157, 226, 233—235, 608, 618—619, 623—624, 626
ახალქალაქი (ქართლის) 191, 249, 355
ახალციხე 39, 91—92, 94, 102, 111, 113, 133, 138, 142—144, 155, 157, 208, 229, 233—235, 292, 426, 522, 541, 561, 565, 568, 571, 575, 584, 606, 616—618, 624, 644—647, 651, 822
ახმეტა 51
ახკატი 275, 357—358
ახტალა 210
აწყვერი 234, 609, 619, 623
აწყური (უსკერი) 39, 103, 155, 233

ბ

ბაგინეთი 51
ბაზარი 146—147, 154, 219, 271, 399, 422—423

ბათუმი 53, 65—66, 93—94, 138, 142, 204, 240, 244, 668
ბაიბურდი 234
ბაიდარი 194, 209
ბაკურციხე 338
ბარალეთი 101—102, 117, 133—134
ბასიანი 258
ბასიანი (ასან ყალა) 234
ბასრა 497
ბაკო 197
ბაქტრია 57
ბაღდადი 97, 192, 243
ბედია 236
ბელაქანი 148, 160
ბიზანტია 85—86, 88, 102, 106, 112—114, 516
ბითვინია 68
ბიუვინტა 93—94, 114, 240, 242, 244, 274
ბოდარი 201
ბოდბა 221, 338
ბოდბისხევი 221
ბოლნისი 103, 226—227, 464
ბორი 51
ბორჩალო 201, 209, 323
ბორჯომი 608
ბოსფორი 79
ბოჟორმა 103

გ

გაგი 103
განჯა 196, 206—207, 254, 377, 629
გაჩიანი 58, 66, 93, 120
გეგუთი 103, 241
გელათი 274, 290, 344
გერმანია 507, 515
გორი 13, 21, 26, 39, 44, 51, 65, 83, 99—102, 111, 116, 123, 134, 138—139, 141—143, 154, 158, 169—170, 195, 202, 215, 219, 223—229, 232, 234, 245, 249—251, 257—258, 260, 263, 269—273, 275, 278, 288, 290, 293, 311—312, 322—323, 329—335, 337—339, 343, 353—354, 357, 360—361, 365, 369—372, 374,—375, 377, 393, 396—397, 399, 402, 405—412, 415—420, 424—425, 427—428, 435—436, 440—441, 444, 446—451, 454—456, 459, 463, 467—472, 474—476, 480—481, 485—487, 491—492, 500, 521, 530, 551, 556, 559—561, 568, 590, 603, 608, 610—611, 613, 622, 624, 626, 633, 635, 640, 642, 647, 651, 655, 657, 666
გოკია 233
გონია 240
გრემი 147—148, 155, 187, 218—219, 271, 273, 290, 399, 422—423, 662
გურია 178, 188, 243
გურჯისტანი 224

დ

ღაბახანის ხევი 644
დაბლაგომი 51
დამასკო 137
ღარიალი 230, 253
ღარუბანდი 105
დაღესტანი 220
დერბენდი 196
ღვალეთი 258
ღვინი 78
დიგორი 258
ღიღომი 79
დიმნა 72
დიოსკურია (ცხუმი) 54—55, 66
დმანისი 43, 83, 88—89, 92 ,94, 97, 102, 106—107, 109,112—113, 115—117, 122, 131, 133—134, 140—142, 145, 157—158, 160, 168, 182, 235, 516, 634, 658
დუშეთი 39, 229, 231—232, 234—235, 249, 251—252, 258, 261, 271, 324, 355, 379, 400, 403, 407, 409, 412, 417, 445, 449, 459, 469, 523, 525—526, 550, 559, 616, 623—624, 640, 666

ე

ეგვიპტე 112
ეგრი 70, 93

ეგრი (მედია) 56, 66
ეგრისი (ლაზიკი) 51, 56, 77—78, 84—86
ევროპა 32, 45, 136, 193—194, 256—258, 380—381, 508, 522, 526, 538, 554, 585, 610, 637
ეფესინი 56
ენგური 237, 609
ერანი 402
ერევანი 38, 60, 199, 206, 254, 287
ერზინკა (ერზინჯანი) 518
ერუშეთი 103
ეჩმიაძინი 274—275, 277, 290—291, 344, 357, 361

ვ

ვანი 51, 53, 56, 66, 70, 93,
ვარდციხე 84, 86, 92—93
ვაჭირი 338
ელადიმირი 113
ველისციხე 338
ვენეცია 256—257
ვერა 336, 644, 665
ვერა (მდ.) 358
ვერის ხევი 356
ვეძათ ხევი 609

ზ

ზაგემი 187
ზემოავჭალა 74
ზოვრეთი 101—102, 141—142, 145, 249
ზუგდიდი 53, 192, 238, 244, 403
ზუფუ 240, 242, 244

თ

თაგილონი 51
თავრიზი 254
თიმარაშენი 226—227
თბილისი 13—14, 17—18, 22—24, 33, 37—40, 43—44, 48, 65, 78—79, 81—82, 86—88, 92, 94, 96—98, 102, 105—106, 109, 113,—117, 126, 131—134, 137—138, 141—144, 153, 157—158, 161—163, 165—170, 173, 175—176, 178, 180—181, 183—184, 188, 191, 193, 195, 197, 199, 202—203, 207—210, 215—216, 222—223, 225—227, 232, 234, 245—250, 252—260, 262—263, 268—282, 284—285, 287—304, 307—309, 311—315, 317—326, 329—334, 336—337, 339—341, 343—350, 352—361, 366, 369, 372, 376—383, 387—388, 392—393, 395—396, 398—399, 401—402, 404, 406—409, 411—417, 419—420, 423—438, 441—446, 447, 449—456, 458—459, 463, 465—472, 474—481, 485—487, 491—493, 496—497, 499—502, 507—508, 510, 512—513, 515—516, 520—521, 523, 525—526, 528, 530—531, 534—536, 540—541, 547, 550, 552—555, 559, 562, 564, 566, 571—572, 577—584, 586, 590—591, 597—600, 603—605, 607—608, 610—611, 622, 624—626, 629—630, 632—639, 641—644, 646—648, 650, 652, 654—657, 659—661, 663—665, 667
თეთრი ზღვა 136
თელავი 38—39, 92, 94, 102, 108, 111, 148, 160, 218—219, 222, 245, 249—250, 258, 260, 263, 269, 273, 279—280, 291, 312, 333, 348, 357, 369, 398, 400—401, 403, 405, 407—409, 411, 416—417, 445, 459, 472, 485—486, 590, 604, 609, 614—615, 624, 627, 633, 640, 643, 651, 658, 662
თეძამი (მდ.) 191
თმოგვი 91—92, 94, 101—102, 122, 140, 142, 157
თრიალეთი 194, 207, 464
თურქეთი 233—234, 254
თაღხარისი 49, 58, 67, 70, 90, 93—94

ი

იბერია 49, 53, 57, 59, 60—61,64, 70, 78, 90
იერუსალიმი 273, 277, 290, 301, 361

ივრის ხეობა 129
იკორთა 274
ილორი 236
ინგილოეთი 41, 48, 135, 143, 188—189, 192, 204—205, 209, 215, 237, 239, 240, 242—243, 257, 269—270, 272—274, 288, 291, 417, 420, 486, 608, 622, 628
ინდოეთი 56—57, 78, 136, 193, 252 262, 377
ინდოსტანი 255
ior (მდ.) 118
იკი (მდ.) 72
ირანი 76, 85, 96, 100, 105, 126, 133, 135—136, 142—144, 181, 185, 189—190, 196—202, 206—207, 209, 217, 237, 252—253, 399, 577, 639
ირკანია 56
ისპაანი (ისპაჰანი) 255, 399
ისპირა 234
იტალია 133, 136, 164

კ

კავკასია 54, 59, 142
კალტიხეა (Caltichea) 138
კარდანახი 338
კარი 90, 169
კარსანი 62, 658
კასპია 124
კასპი 58—60, 66, 70—72, 93
კასპიის ზღვა 56, 196—197
კაფა 236
კახეთი 32, 86—87, 94, 135, 146, 148, 185—190, 192, 195, 197—202, 204, 207—220, 222, 224—225, 228, 231, 234—235, 249—251, 253, 255, 260, 269, 280, 298—299, 313, 324, 328—329, 335, 337, 375, 392, 400, 402, 405, 409, 420, 425, 427, 444, 453, 472—473, 479, 485—486, 535—539, 555, 562, 590—591, 642, 652
კაცხი 274
კერასუნტი 54, 66
კიანე (მდ.) 72
კლდეეთი 51, 96, 157
კლდეკარი 95
კოდა 315
კოლა 233
კოლხეთი 49, 52—54, 56, 66, 70, 72, 84
კონია 114
კონსტანტინოპოლი 136, 236, 252, 254, 257
კორცხელი 236
კოქორი 331
კრწანისი 216, 336, 665—666
კურდღელაური (მდ.) 614
კურსკი 113

ლ

ლაილაში 243—244
ლარგვისი 83
ლენინგრადი 38, 42
ლეხურა 72
ლიახვი 608, 613, 626, 647
ლიზიმახი 65
ლიკანის ხევი 608
ლიფლანდია 113
ლიხი 56—57
ლომსიანთა 91
ლონდონი 257
ლორე 103, 201

მ

მანგლისი 103
მარაბდა 186
მარტყოფი 186
მაჩხაანი 338
მაღარო 221, 338
მერუბაანთ ხევი 609
მესტლიტა 74
მესხეთი 143
მეტეხი 191
მინსკი 113
მირზაანი 338
მოვაკანი 58, 93
მოზდოკი 203, 255, 265, 353
მოსკოვი 34, 38—39, 136, 185, 190, 193, 198
მოსული 114
მოხირისი (მუხურისი) 24, 86, 92
მტვერი (ხუნანი) 69

მტკვარი 56—57, 59, 61—62, 71—73, 96, 105, 108—109, 120, 208, 223, 607, 609, 611—613, 618—619, 625—626, 641—644, 661, 664
მუქარეთი 194
მულანი 199
მუხრანი 224, 267, 401—402
მცირე აზია 100, 133, 136
მცხეთა 49, 51, 60, 62—66, 58—59, 70—74, 80—82, 93, 118, 125, 146—147, 149, 154, 170, 271—272, 290, 420—421, 510, 512—513
მძორეთი 226, 227, 234—235

ნ

ნამერვანი 233
ნარიყალა 141
ნახჩევანი 206
ნაჭარმაგევი 99, 103
ნეკრესი 66—67, 93
ნიკეა 68
ნიკოფსე (ანაკოფია) 55, 66, 93—94, 240
ნიურნბერგი 34
ნიქოზი 491

ო

ოზურგეთი 243—244, 403
ოკი (მდ.) 56
ოკსი (მდ.) 56
ოლთისი 91—92, 94, 102, 123, 143, 233—234
ოლნეცკი 113
ონი 243—244, 258, 312, 459, 622—623
ორბისი (სამშვილდე) 69
ორთაჭალა 336—337, 665—666
ოსეთი 230, 253
ოსმალეთი 142—144, 185, 190, 196—199, 202, 205—206, 209, 217, 232, 237, 241, 252, 257—258, 507, 519—520, 522, 541
ოფრეთი 226—227
ოქროს ურდო 126, 133
ოშკი 87
ოძრხე 49, 58—60, 66, 70, 93—94, 102, 131, 138, 142, 157
ოძრხოსი 49

პ

პეტრა 85—86, 92—94, 242
პიტიუნტი 54

ჟ

ჟალეთი 103
ჟინვანი 100—102, 111, 117, 131, 141—142, 157, 164, 169, 175, 219, 339

რ

რიზა 234
რიონი 56, 607, 620, 627
რკონი 152—153, 529
რომი 77, 189, 223, 380—383
რუისი 332
რუმი 113—114
რუსთავი 43, 49, 58, 63—64, 66, 70—72, 93—94, 102, 107—110, 115—116, 120, 129—130, 142, 154, 157—158, 161, 164, 516
რუსეთი 21, 31, 41, 45, 87—88, 144, 189, 193, 196—197, 203, 205, 209—210, 215—217, 229—230, 233, 239, 241, 243, 250, 252—253, 255—258, 265, 268, 270, 277, 293, 318, 334—336, 353, 367, 387, 391—392, 419, 437, 452, 468, 498, 508, 514, 531, 539, 550, 555
რუხი 53, 192, 204, 236—238, 244, 609, 621—623, 651

ს

საამილახვრო 200, 279
საბარათიანო 139—140
საბარათაშვილო 202, 361
საგარეჯო 222, 234, 261
სათლე 233

სამეგრელო 32, 188—189, 192—193, 236—239, 403, 482
სამთავრო 74, 81
სამშვილდე 58, 64, 66, 69—72, 93—94, 97, 102, 111, 116, 119—120, 134—135, 139—140, 142, 145, 157—158, 164, 235
სამცხე 135, 157
სამცხე-საათაბაგო 128, 138, 144—145, 233—234
სამცხე-ჯავახეთი 199
სარკინე 58—60, 66, 70—71, 93
საფრანგეთი 156, 257
საქართველო 5—17, 20—21, 23—28, 30—49, 51—52, 54—59, 61, 65, 69—70, 72—73, 75—76, 78, 84, 86—92, 94—97, 100—103, 105—106, 111—117, 122—129, 132—139, 142—146, 149—150, 152—155, 161, 163, 165—168, 170, 172, 176—189, 191—193, 195, 197, 199, 202—206, 208—212, 214—218, 222, 227—237, 241—245, 247, 249—250, 252, 254—259, 261—269, 271—275, 277—280, 282, 286, 289—296, 299, 303—304, 311—316, 320, 323—324, 329—331, 333—335, 337, 342, 344—346, 350—353, 355, 360, 363—365, 367, 371—372, 377—381, 383, 385, 387, 389—391, 393—399, 401, 404—405, 408—409, 412—413, 418—420, 422—423, 425—428, 432, 437, 439, 442, 449, 451—452, 454, 458, 463—465, 467—469, 471—476, 482—484, 490, 492, 494—495, 498—499, 505—507, 509—524, 526, 528—529, 531—535, 537—541, 543, 548, 552, 561, 579, 590, 596—598, 600, 605—607, 609—610, 616, 618—619, 622—625, 629—631, 634, 636—637, 644, 649, 651, 654, 656—658, 660, 662—663, 665—667
საჩხერე 243—244, 249, 280
საციციანო 224
საჯავახო 224
სევანი 357
სეიდაბადი 336, 665
სივასი 114
სირია 57, 90
სიღნაღი 39, 219—222, 234, 250—251, 260, 263, 269, 312, 323, 337, 357, 400, 409, 429, 442, 459—460, 472, 485—486, 533, 590, 615, 623—224, 627, 633, 640, 647
სკანდა 241
სმირნა 133, 254
სომხეთი 65, 112, 115, 428
სომხითი 202, 207, 353
სომხით-საბარათიანო 235
სოხუმი 53, 114, 138, 142, 204, 236, 240, 242, 244, 608, 623—624
სპარსეთი 59, 78, 112, 194, 203, 212, 252, 254, 333, 356, 507—508, 519
სტამბოლი 257, 288
სურამი 59—60, 101—102, 225—229, 232, 234—235, 249, 261, 272, 289, 400, 403, 425, 433, 454, 459, 616
სჩინვალი 226

ტ

ტანა 609
ტაო 91
ტაო-კლარჯეთი 86—88, 94, 113, 157
ტაშირი 194
ტრაპეზუნტი 54—55, 66, 90, 93—94, 102, 236
ტრაპიზონი 113—115
ტრაპიზონის სამეფო 100
ტულა 113
ტფილისი 80

უ

უდაბნო 291
უკრაინა 106
ურბნისი 58—60, 66, 71, 93
ურეკი 51
უფლისციხე 58, 64, 66, 70—71, 93—94, 99, 102, 117, 130—131, 142, 157
ულარმა 82—83, 86, 92, 94, 102, 117—118, 121, 219

ფ

ფაზისი (მდ.) 56—57
ფასიდი (მდ.) 72
ფაიტაკარანი 610
ფამბაკი 323
ფეთხაინი 275
ფერსათი 608
ფინეზაურის ხეობა 107
ფოთი (ფაზისი, ფასუ) 40, 54—55, 57, 66, 93—94, 138, 142, 209, 239, 242, 244, 274, 608—609, 622—624, 628—629, 651, 662
ფოცხოვი 608, 644
ფოცხოვი (მდ.) 617
ფსკოვი 113

ქ

ქარელი 608
ქართლი 51, 61—62, 69, 77, 80—82, 94, 99, 101, 108, 113, 118, 135, 141, 143—145, 161, 169, 172, 186, 189—191, 193—194, 199—202, 204, 206—217, 220, 222—229, 231—232, 234—235, 249—253, 255, 258, 260, 269, 280, 292, 298—299, 313, 324, 328—329, 333, 335, 337, 355, 361, 369, 372, 375, 392, 402, 405, 420—422, 425, 427, 430, 444, 453, 472—473, 479, 485, 537—539, 555, 562, 588, 591, 652
ქართლის მთა 62
ქართლ-კახეთი 30, 42
ქვაბთახევი 273, 343, 352—353, 361
ქვემოთელეთი 315
ქიზიყი 338, 400, 409, 423, 486
ქობულეთი 240, 242—244
ქსნის ხეობა 200
ქუთაისი 38, 40—41, 48, 53, 84, 86, 92—93, 102, 111, 113—117, 133—134, 137, 142, 155, 158, 169—170, 236, 240—241, 243, 249, 256—257, 261, 263, 269—270, 274, 280, 290—291, 397, 400, 403, 405, 408, 412, 417, 420, 426, 441, 454, 459, 486, 534, 545, 547, 554, 566, 573, 584, 588, 591, 593, 607—608, 511, 620—622, 627, 630, 640, 642, 651, 657—658, 662
ქუჩუკ-კაინარჯი 209
ქცია (მდ.) 190

ღ

ღართისკარი 207
ღრმაღელე 79

ყ

ყაზახი 209, 323
ყაზბეგი 55
ყარაბაღი 307
ყარაღაჯი 147—148, 220—221
ყარსი 160, 164, 202, 256, 627
ყვირილა 72
ყიზლარი 255, 288
ყირიმი 106, 321
ყოშაქლისა 353
ყუბანი 115

ჩ

ჩიკარისი (ჩიხორი) 241
ჩინეთი 112
ჩიხორი 243, 262, 622—623
ჩუღურეთი 208
ჩხარი 192, 237, 241—243, 274, 622—623

შ

შავი ზღვა 136, 138, 236, 238—240, 255, 257
შამშადილუ 323
შემახია 254, 353
შილდა 338
შიომღვიმე 153—154, 175, 296
შირვანი 115, 196
შორაპანი 66, 70, 72, 93, 242, 244, 261, 622—624
შუა აზია 557
შუამთა 273, 290, 422

ც

ციხე-გოჯი 65—66, 70, 84, 93
ციხის ძირი 204, 242
ცხინვალი 225, 227—228, 232, 234—235, 249—250, 269—273, 275, 279—280, 290, 293, 329, 332, 340, 343, 361, 368, 372, 400, 402, 407—409, 412, 417—418, 425, 436, 445—446, 459, 475—476, 480—481, 491—492, 616, 622, 624, 627
ცხუმი 93—94

ხ

ხაიში 51
ხანდაკი 338
ხელთუბანი 315
ხერთვისი 234
ხკითი 491
ხონი 7, 53, 192, 242, 247, 258, 622—623, 641, 651
ხორნაბუჯი 83, 86, 92, 94, 131, 142, 219—222
ხოფჯა 234
ხრამი (ქცია) 72
ხრამი (მდ.) 119
ხრესილი 205
ხუნანი 58, 64, 67, 70—72, 93—94, 102, 111, 120—121, 131, 142, 158

ჯ

ჯავახეთი 90, 99, 280, 608
ჯავახოსი 49
ჯრუჭი 274
ჯუგაანი 338

ძ

ძამა (მდ.) 101
ძეგვი 60, 224
ძირული 72

წ

წაკისი 659
წედისი 258
წერაქეი 347, 527
წილკანი 232, 234, 273, 290, 623
წიფურია 236
წინწყარო 226—227
წუნდა 49, 58, 67, 70, 93—94, 101, 120

ჭ

ჭალა 371
ჭალატყე 243—244, 274
ჭარ-ბელაქანი 209
ჭერემი 86, 92—94, 102
ჭივჭვა (მდ.) 71, 119
ჭოეთი 220—222
ჭყვისი 243

ჰ

ჰალაბი 114
ჰასტრახანი 292
ჰერეთი (ხორანთა) 58, 67, 93
ჰერეთის (ციკის) მთა 220—221

А

Авлабари 271
Ананури 231
Астрахань 33

Г

Гори 39
Грузия (Грузиния) 9, 11, 17, 33, 42

Д

Душети 231

З

Закавказье 10

К

Казань 33
Кутаиси 240

М

Мингрелия 40
Моздок 231
Мтквари (Кура) 9

Н

Ниренберх 33

Р

Рухи 40

Т

Тифлис 13, 17—18, 37, 40, 231, 260

Х

Хорнабуджи 220

Ц

Цхинвали 231

В

Bostan qalaqi—108

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი. წყაროებისა და ლიტერატურის მოკლე [მიმოხილვა... 5

თ ა ვ ი 1. ქალაქები და საქალაქო წესწყობილება საქართველოში XVI ს. დასასრულამდე (ზოგადი მიმოხილვა) 49

1. ქალაქების წარმოშობის საკითხისათვის საქართველოში 94

2. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XI—XIII საუკუნეებში (საქართველოს ქალაქები XI—XIII სს.). 94

3. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XV—XVI საუკუნეებში . 134

4. სოციალური ურთიერთობა და საქალაქო წესწყობილება X—XVI საუკუნეებში 148

თ ა ვ ი II. საქართველოს ქალაქები XVII—XVIII საუკუნეებში . 185

1. საქართველოს მდგომარეობა XVII—XVIII საუკუნეებში . 185

2. საქართველოს ქალაქები XVII—XVIII საუკუნეებში 217

თ ა ვ ი III. ქალაქების სოციალური სახე და კლასთა ბრძოლა გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში 266

1. ქალაქის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა . . 266

ა) დამოუკიდებელი ხალხი ქალაქებში 266

ბ) ქალაქის მოსახლეობის პრივილეგირებული ფენა („მოქალაქის“ წოდების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში) . . 296

3) ქალაქის მოსახლეობის ვალდებულებანი . 323

გ) ქალაქის ფეოდალური არისტოკრატია 352

2. კლასობრივი ბრძოლა XVII—XVIII სს. საქართველოს ქალაქებში . 363

თ ა ვ ი IV. საქალაქო წყობილება გვიანფეოდალურ საქართველოში . 395

1. გვიანფეოდალური ქალაქების მმართველობა . 395

ა) მოურავი 395

ბ) მამასახლისი და მელიქი 420

გ) ქალაქის ნაცვალი (პოლიცმეისტერი) და მოურავის თანაშემწე . 442

2. ქალაქის სხვა მოხელენი . 454

ა) ქალაქის „ქედხუდები“ . 474

ბ) „საქალაქო სამართალი“ . 484

3. საქალაქო საკუთრების სტატუტი 495

თ ა ვ ი V. ხელოსნური და სავაჭრო ორგანიზაციები გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში 507

1. ზოგიერთი შენიშვნა ქართული ამქრული ორგანიზაციების წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით 507

2. ამქრული ორგანიზაციები გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქებში 519

ა) ამქარი როგორც პროფესიონალური გაერთიანება . 519

ბ) ამქრის შინაგანი სტრუქტურა 532
3. შეგირდისა და ქარგლობის ინსტიტუტის საკითხისათვის ამქრებში . . 563
4. ამქარი გვიანფეოდალური ხანის საქალაქო ცხოვრებაში 585
თავი VI. გვიანფეოდალური საქართველოს ქალაქების გარეგანი სახე . . 607
1. ქალაქის სიმაგრენი . . 607
ა) ქალაქის ციხე . 607
ბ) ქალაქის კარი 624
2. ქალაქის კვარტლები, ქუჩები და ქალაქის სავაჭრო (ბაზარი) . 630
3. სავაჭრო-სახელოსნო და სხვა საქალაქო ნაგებობანი . 645
ქარვასლები . 645
დუქნები 648
ქალაქის მომარაგება წყლით . . . 658
აბანოები . 660
სატუსაღო . 663
ქალაქთა ბაღები . 665

Месхиа Шота Амбакович

ИЗБРАННЫЕ СОЧИНЕНИЯ, т. II
(на грузинском языке)
ТБИЛИСИ
1983

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. გ უ ჩ უ ა
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

*

სბ 1936

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯ ვ ე ბ ე ნ ა ვ ა
მხატვ. რედაქტ. გ. ლ ო მ ი ძ ე
მხატვარი შ. ნ ი ო რ ა ძ ე
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
კორექტორი ე. გ ო გ ა ვ ა

გადაეცა წარმოებას 2.2.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.12.1982;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 44.5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 38.8;

უე 00996; ტირაჟი 10000; შეკვეთა № 358;

ფასი 4 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19